ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

სუტა ბერულავა, ელენე ვირსალაძე,
ქსენია სიხარულიძე, ალექსანდრე ღლონტი,
მიხეილ ჩიქოვანი

ომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები
დაურთო პროფ. მ ი ხ ე ი ლ ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა

მხატვრობა ე ლ გ უ ჯ ა ა მ ა შ უ კ ე ლ ი ს ა

გამომცემლობისაგან

საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხალხმა სულიერი და ნივთიერი კულტურის მდიდარი საგანძური შექმნა. ეროვნული კულტურის ამ საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს ზეპირსიტყვიერებას.

ხალხური სიტყვიერება (ფოლკლორი) წინ უსწრებს ლიტერატურას. დამწერლობამდელი შემოქმედება მთლიანად ზეპირსიტყვიერი იყო და ამგვარადვე გადადიოდა თაობიდან თაობაში. თანდათან ჩამოყალიბდა მხატვრული შემოქმედების ჟანრები და სახეები, რომლებიც განვითარების საფეხურების მიხედვით გამოვლინებას პოულობდნენ ხალხურ პროზასა და პოეზიაში, მუსიკასა და ცეკვაში, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

ბუნებრივია, რომ ხალხური შემოქმედება, კერძოდ სიტყვიერი ხელოვნება, მაღალ ესთეტიკურ მოვლენად მიაჩნდათ ქართული კულტურის დიდ მოღვაწეებს. ისინი ფაქიზად, სიყვარულით ეკიდებოდნენ ხალხური სიტყვიერების თვითეულ თვალსაჩინო ნიმუშს და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხალხის ნაამაგარი ხალხისთვისვე დაებრუნებინათ.

ზეპირსიტყვიერების შეკრებას ჩვენში დიდი ტრადიცია აქვს. თავდაპირველი ცალკეული ჩანაწერები საშუალო საუკუნეების ისტორიულ და ლიტერატურულ თხზულებებში გვხვდება, მაგრამ წმინდა ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა უფრო გვიან, სახელდობრ მე-17 საუკუნიდან დაიწყო. ქართული ხალხური შემოქმედებისადმი დიდი მზრუნ-

ველობა გამოიჩინეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა ფოლკლორისა და თვითშემოქმედებითი ხელოვნების განვითარებისათვის. ჩამოყალიბდა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც ნაყოფიერ საკვლევ და შემკრებლობით მოღვაწეობას ეწევიან.

ქართული მრავალსაუკუნოვანი ზეპირსიტყვიერების სისტემატური გამოცემა დღემდე არ მოგვეპოვება. აქამდე გამოქვეყნებულ კრებულებს უმთავრესად ეთნოგრაფიული პრინციპი ედო საფუძვლად. ამგვარ გამოცემებს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ფართოდ არის ცნობილი კრებულები, რომლებშიც მოთავსებულია ფშაური, ხევსურული, მთიულური, მოხეური, თუშური, ქართლური, კახური, მესხური, გურული, აჭარული, ლეჩხუმური, რაჭული და საქართველოს სხვა კუთხეთა სიტყვიერების მარგალიტები. ასეთი გამოცემები საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ აუცილებელია მთლიანი ეროვნული ხალხური საუნჯის მრავალტომიანი გამოცემაც, სადაც მოთავსებული იქნება ხალხური სიტყვიერების ყველაზე საუკეთესო, კლასიკური ნიმუშები. ამგვარ ცდას წარმოადგენს ხალხური სიტყვიერების ხუთტომიანი ბიბლიოთეკა — „ხალხური სიბრძნე", რომელსაც „ნაკადული" გამოსცემს.

„ხალხური სიბრძნე" საერთო სახელწოდებაა, იგი სიტყვიერი ფოლკლორის ყველა ჟანრს აერთიანებს. მასში წარმოდგენილ იქნება როგორც პროზა, ისე პოეზია ძველი დროიდან დაწყებული. დღემდე. ტომებისათვის ტექსტები პირველ რიგში შერჩეულია არსებულ პუბლიკაციათა და იმ ჩანაწერთა მიხედვით, რომლებიც დაცულია ჩვენს არქივებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და პირად კოლექცი-

ებში. თვითეულ ჟანრს წარემძღვარება მოკლე მიმოხილვა და დაერთვის ძირითად წყაროთა მაჩვენებელი.

წინამდებარე გამოცემა არაა ვიწრო დანიშნულებისა. პირველ ყოვლისა, ჩვენ სხვადასხვა ასაკის მასობრივი მკითხველი გვყავს მხედველობაში, რომელიც დაინტერესებულია ეროვნული ხალხური შემოქმედების გაცნობითა და შესწავლით. ამის გამო ტექსტი განტვირთულია მეტისმეტი კუთხური თავისებურებებისა და ბარბარიზმებისაგან. ალაგ-ალაგ შესწორებულია სტილისტური აღრევებიც.

ვფიქრობთ, ჩვენი ახალგაზრდა მკითხველი, რომელმაც უკვე მიიღო „ჩვენი საუნჯის“ (ქართული კლასიკური მწერლობის ოცტომიანი ბიბლიოთეკა) და „პატარა საუნჯის“ (რჩეული საბავშვო ნაწარმოებების ორტომეული) გამოცემები, დაინტერესდება „ხალხური სიბრძნითაც“. მისი გამოცემა განზრახულია ხუთ ტომად. „ხალხური სიბრძნის“ I და II ტომი ეთმობა ზღაპრებს, III ტომში შევა ეპოსი და ლეგენდა-თქმულებანი, IV-ში — პოეზია, ხოლო V-ში — მახვილსიტყვაობა, ანდაზები და გამოცანები.

ხალხური ზღაპარი

ხალხური ზეპირსიტყვიერების უდიდეს ნაწილს პროზა წარმოადგენს. იგი შედგება ისეთი ჟანრებისაგან, როგორიცაა: ზღაპარი, იგავ-არაკი, თქმულება, გადმოცემა, ლეგენდა, მახვილსიტყვაობა. ხალხური პროზა იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში და დაუწერელი სახით გადადიოდა თაობიდან თაობაში.

„ხალხური სიბრძნის" პროზაული ნაწილი ზღაპრებით იხსნება. ეს ბუნებრივია. ზღაპარი ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი და თანაც მრავალფეროვანი ჟანრია, წინაკლასობრივი საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობაა. მომდევნო ფორმაციებში იგი თანდათან იხვეწებოდა, მრავალფეროვანი ხდებოდა და კლასიკურ ფორმას იძენდა. პირველი ცნობები ზღაპრის შესახებ ორიგინალურ ქართულ მწერლობაში VIII საუკუნიდან მოგვეპოვება. საერო და სასულიერო მწერლობის ძეგლები მომდევნო ხანაში ხშირად ახსენებენ „ზღაპარს".

ქართული ზღაპარი დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. მას ახასიათებს მტკიცე ფორმა და ხატოვანი ენა. მრავალფეროვანია მის პერსონაჟთა შემადგენლობა, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროსთან ერთად მასში დიდი ადგილი უჭირავს ადამიანებს — სხვადასხვა სოციალური ფენისა და მისწრაფებების წარმომადგენლებს. შეიძლება ითქვას, რომ ზღაპარში მოცემულია არა მარტო მხატვრულ-ფანტასტიკური წარმოდგენები, არამედ კონკრეტულ-ისტორიული და ყოფითი ფაქტებიც, სინამდვილე.

ზეპირი მხატვრული შემოქმედება არის სარკე, რომელშიც ნათლად მოჩანს მისი შემოქმედი ხალხის საზოგადოებრივი ყოფა და მსოფლმხედველობა. ვისაც სურს შეისწავლოს ქართველი ხალხის წარსული, მისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ, მისი შეუნელებელი სწრაფვა თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფობისაკენ, ის ისტორიულ წყაროებთან ერთად ხალხურ სიტყვიერებასაც უნდა გაეცნოს.

ხალხის შემოქმედების გენიამ, სულიერი კულტურის სხვა დარ-

გებთან ერთად, თავისი ბრწყინვალე გასაქანი ზღაპრულ ეპოსშიც ჰპოვა. მდიდარი და სადა კაზმული სიტყვით ზეპირ მოთხრობებში ხალხმა უკვდავჰყო თაობათა საზოგადოებრივი გამოცდილება, ბუნებასთან ბრძოლა, დაუღალავი შრომა, თავისუფლების სიყვარული, მოძალადეთა სიძულვილი, მგზნებარე პატრიოტიზმი, მომავლის ჩაუქრობელი რწმენა.

„ხალხური სიბრძნის" პირველი წიგნი იმ მდიდარი საუნჯის ერთ ნაწილს წარმოადგენს, რაც ქართველ ხალხს თავისი არსებობის ხანგრძლივ პერიოდში შეუქმნია. აქაა სასაუბრო ენით ჩაწერილი ცხოველთა ეპოსის ნიმუშები, მას მოსდევს ჯადოსნურ-ფანტასტიკური ნაწარმოებები, რომელთა თემა და შინაარსი საზოგადოებრივი ყოფის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. პროზაულ ნაწარმოებთა სიუჟეტური და შინაარსობრივი მრავალფეროვნება მასობრივი შემოქმედების ამ ნაწილის ადრეულ წარმოშობას და მაღალმხატვრულ დანიშნულებას მოასწავებს.

ზეპირსიტყვიერება ადამიანის მუდმივი თანამგზავრია. ხალხი არაჩვეულებრივი დაკვირვებითა და შერჩევით სრულყოფს თავის მხატვრულ საუნჯეს. ხალხის ამ საუნჯეში ყოველგვარი გადმოცემა როდი მკვიდრდება. ცრუ ხალხური ნაწარმოები ეროვნულ ფოლკლორში ადგილს ვერ პოულობს და მალე ქრება. მხატვრულ გამომგონებლობაში ხალხს ნამდვილი ოქროსმაძიებლური თვისებები ახასიათებს.

ქართული ფოლკლორული პროზის მთავარი გმირები მშრომელები არიან. თითქმის ყველა მოთხრობაში გვხვდება გლეხი, მოჯამაგირე ან ღარიბი, დაჯილდოებული მაღალი მორალური თვისებებით. ისინი ყოველთვის შრომისმოყვარენი, გულმართალნი, კეთილსინდისიერნი, გამტანნი, გაბედულნი და ხელგაშლილნი არიან; ისწრაფვიან, მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, დაიცვან ქვეყანა აოხრებისაგან და იყვნენ თავისუფალნი. მშრომელთა წრიდან გამოსული პერსონაჟები მთელი არსებით გმობენ სიხარბესა და სიძუნწეს, პატივმოყვარეობასა და უსამართლობას.

ხალხური პროზა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შრომის თემას. ხალხის სოციალურ იდეალთა საფუძველი შრომაა. შრომასთან დამოკიდებულება არკვევს გმირის ხასიათს და სახეს. ზარმაცი და უქნარა მწვავე დაცინვის საგანს წარმოადგენს. ზეპირ მოთხრობებში გაბატონებული კლასების წარმომადგენლები: მეფე და მისი მოხელეები, მემამულეები, ვაჭრები, მღვდლები მშრომელ ადამიანებს ჩაგრავენ და ავიწროებენ, ითვისებენ მათი ოფლით შექმნილ დოვ-

ლათს. მიუხედავად ამისა, მაშვრალი ადამიანები იმედს არ კარგავენ, მძიმე დაბრკოლებათა გადალახვის გზით იმარჯვებენ.

ოპტიმიზმი ზღაპრის განუყოფელი თვისებაა. იგი გზას უნათებს დადებით გმირებს, რა მძიმე მდგომარეობაშიც არ უნდა იყვნენ ისინი.

ზღაპარში როგორც ცოცხალ, ისე უსულო საგნებს ხშირად არაჩვეულებრივი სახე აქვს მინიჭებული. ზეპირ მოთხრობას ძალა შესწევს განაზოგადოს ჩვეულებრივი ყოველდღიური მოვლენები, საგნები, ცნებები და წარმოგვიდგინოს ისინი არაჩვეულებრივი თვისებებისა და ნიშნების მქონე მოვლენებად. აბსტრაქციის მიუხედავად, დაკვირვებულ თვალს ყოველთვის შეუძლია აღმოაჩინოს შრომითი მოღვაწეობა, ადამიანის შეუნელებელი სწრაფვა ფიზიკური ტვირთის შემსუბუქებისა და საწარმოო იარაღების განვითარებისათვის.

ქართულ ხალხურ პროზაში მრავალი სხვადასხვა ხასიათის გმირი გვხვდება.

აზროვნებისა და მსოფლმხედველობის მხრივ ზღაპარს ისტორიის ნათელი ბეჭედი აზის. თითოეულ მოტივსა და ეპიზოდს, მხატვრულ სახესა და მეტაფორას თავისი ხანგრძლივი წარსული აქვს. ქართულ ზღაპრებს შორის ცალკე გამოიყოფა ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებები.

რეალური ცხოვრების ნამდვილი სურათები და მაღალი იდეები იჩენს თავს ისეთ ზღაპრებშიც კი, რომელნიც ერთი შეხედვით, ძალიან შორს არიან სინამდვილიდან და აშკარა ფანტასტიკურ იერს ატარებენ. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ „მზის ქალი“. ამ შესანიშნავ ხალხურ მოთხრობაში, რომელიც უდაოდ წინაფეოდალურ ეპოქაში შეიქმნა, თავმოყრილია ქართველი ხალხის მაღალი მორალური თვისებები და გატარებულია ფართო დიდაქტიკური თვალსაზრისი.

ჩვენი ზღაპრები არა ერთხელ გამოცემულა როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე. ოთხმოციანი წლებიდან ქართული ზღაპრები თარგმნილი და გამოცემული იყო რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ჩეხურ, უნგრულ, ბულგარულ, რუმინულ და სხვა ენებზე. მკითხველი ყოველთვის აღფრთოვანებაში მოჰყავდა ჩვენი ზღაპრის მდიდარ ფანტასტიკას, სიუჟეტურ წყობას, ნათელი იდეალის მატარებელ გმირებს, შეუნელებელ ბრძოლას სოციალური ბოროტების დასათრგუნავად, დაუცხრომელ ოპტიმიზმს.

მელია და დათვი

იყო ერთი მელია. მუდამ მარტოკა დაცუნცულებდა. ბოლოს მოსწყინდა მარტო ცხოვრება და სთქვა: „ერთი ძმობილი უნდა ვიშოვნოო“. ადგა და წავიდა. გზაზე დათვს შეხვდა. მელიამ უთხრა: — დავძმობილდეთო! — კარგიო, — უთხრა დათვმა, — მაგრამ შენ რას მოიტან, მე მუდამ თითო ცხვარს მოვიყვანო. — ყოველდღე თითო ქათამს მოვათრევო, — უთხრა მელიამ.

დათვს გაუხარდა და დაძმობილდნენ.

დათვს ყოველდღე მოჰქონდა თითო ცხვარი. მელია აიღებდა ქონს, გადაადნობდა და ჩაასხამდა ქოთანში. დათვმა ჰკითხა: — მაგას რასა შვრები, მელიავ, რად გინდა ქონიო? — ძმობილო, — უთხრა მელიამ, — მუდამ ასე მაძღარი კუჭი არ გვექნება, ერთხელაც იქნება ცხვარ-ქათამი შემოგვაკლდება და მაშინ რა უნდა ვჭამოთ, თუ არაფერს შევინახავთო? — კარგია ძალიანაო, — უთხრა დათვმა, — მაგრამ უჩემოდ კი არ შეჭამოო.

ერთხელ მელიამ და დათვმა ვერაფერი იშოვეს საჭმელად. ძალიან მოშივდათ. მელიამ იფიქრა: „მოდი, დათვს მოვატყუებ და მე თვითონ მივაძღები მარტოკაო“.

ავდარი იყო. მელია ავარდა ბანზე და დაიწყო სირბილი, ვითომ ზეპავდა, რომ წვიმა არ ჩამოგვივიდესო. ზოგჯერ მელია გაჩერდებოდა და დაიძახებდა: „არა მცალიან, ვერ წამოვალო!“ დათვმა გაიგონა და ჰკითხა: — რა არი, ძმობილო, რას იძახიო? — ნათლობაში მე-

ძახიან და შე კი არა მცალიანო, — უთხრა მელიამ. — წადი, ჩქარა წადიო, — უთხრა დათვმა.

მელია მართლაც წავიდა, მაგრამ იქ არაფერი ნათლობა არ იყო, თვითონაც იცოდა. დაბრუნდა და დათვს უთხრა:

— რა ნათლობაა! ერთი ხმიადი ჰქონდათ, ააგორებდნენ, ჩააგორებდნენ, კარზედ მიაგორებდნენ; ერთი საღვინე ჰქონდათ და შიგ არაფერი ედგათო.

მეორე დღეს მელიამ უთხრა დათვს: — ერთ ქორწილს გამოვუარე და დამპატიჟესო. რადგან მე ნათლობაში ვიყავ, შენ იქ წადიო.

წავიდა დათვი, მაგრამ რა ქორწილს შეჰხვდებოდა? ერთ მეცხვარესთან მივიდა. — მეცხვარევ, აბა მაჭამეთ რამე, ქორწილი გქონიათო.

მწყემსმა წამოავლო ჯოხს ხელი და ერთი თუ ორი: — შე აყროლებულო, აქ ქორწილს რა ხელი აქვსო!

დათვმა მთელი ქურქით ძლივს გაასწრო.

სანამ დათვი მივიდოდა, მელიამ ამოჭამა ერთი ქოთანი, ჩაყარა ნაცარი და ჩადგა იქვე. მივიდა დათვი და უთხრა: — მე შიმშილით მოვკვდი, ამოიღე ქონი, ვჭამოთ, რაღა შავი დღისთვის ინახავო?!

მელამ უთხრა: — შენ დიდი სული გაქვს, შეუბერე, ზედ ნაცარი დავაყარე, მოაშორე და ვჭამოთო. შეუბერა დათვმა და თვალებში ნაცარი შეეყარა. დათვმა თათი თვალებზე იტაცა და წმენდა დაიწყო.

ამ დროს მელია წამოხტა და გაიქცა, დათვმა არ შემჭამოსო. ჩახვრიტა მიწა და ამოსვრილი დაჯდა სოროს პირზე. გამოიარა დათვმა და ჰკითხა: — ხომ არავინ გინახავს ამაზე გავლილიო?

მელიამ უთხრა: — ამაზე გაიარა ერთმა მელიამ, იმასა და დათვს ჩხუბი მოსვლოდათ და სადღაც მირბოდაო. გაიცდინა მელიამ დათვი, დაბრუნდა ისევ უკან და ამოჭამა მეორე ქოთანიც, ააავსო ნაცრით და უნდა წამოსულიყო, მაგრამ ამ დროს დათვიც მოვიდა.

მელია სადღა წავიდოდა?! დათვს ველარსად გაექცეოდა.

მელიამ ხერხი იხმარა, დათვს უთხრა: — ბიძავ, ეს ერთი ქოთანი ქონი გვაქვს, შეჭამე, მშიერი იქნებიო. დათვმა უთხრა: — აბა, ახლა შენ შეუბერე ნაცარს, მე კინაღამ თვალები ამოვითხარეო. — მე ცოტა სული მაქვს, ვერ შევუბერავ, ისევ შენ შეუბერეო! — უთხრა მელიამ. — რაო? — შეღრიალა დათვმა. — აუცილებლად შენ უნდა შეუბეროო!

მელიამ შეუბერა ცოტაზე, მაგრამ ვერ გადაყარა ნაცარი და უთხრა დათვს:

— მე ჯერ რა პირი მაქვს, რა სული მედგმისო. მე სული კუდში მიდგას და აბა კუდიდან საიდან შევუბეროო! — მაშ როგორ ვქნაო? — ჰკითხა დათვმა. — თვალები დამეთხრება, რომ კიდე ნაცარი შემიცვივდესო. — თვალები დააჭყიტე და ისე შეუბერეო, — ურჩია მელიამ.

დატყვრიცა დათვმა თვალები, რაც ძალა და ღონე ჰქონდა და შეუბერა. ნაცარი ეცა თვალებში და გამობუგა. დათვმა დაიწყო თვალების წმენდა, მაგრამ რას უშველიდა! მელიამ უთხრა დათვს: — დამიცადე აქ, წავალ და უქიმს მოვიყვანო.

წავიდა მელია. მოიყვანა ერთი თოფიანი მწყემსი და აჩვენა დათვი. მწყემსმა მოჰკლა დათვი და ტყავიც წაიღო და ხორციცა. მელიასათვის კი სამ დღეში ერთი ქათამი უნდა ეძლია. მწყემსმა ორჯერ კი მისცა მელიას დედლები, მერე კი უარი უთხრა. ბევრჯერ სთხოვა მელიამ მწყემსს: მომეცი ჩემი დედლები, თორემ ღმერთი არ შეგარჩენსო! მწყემსმა აინუნშიც არ ჩააგდო მელიას სიტყვები.

მწყემსს ქორფა ბატკნები ჰყავდა საბატკნეში: შეეჩვია მელია და ყოველდღე თითო მიჰქონდა. მწყემსი ხედავდა, რომ ბატკანი მუდამდღე აკლდებოდა, მაგრამ მიზეზი არ იცოდა. ბოლოს ერთი ბანი დახურა, მეორე ახდილი გაუშვა, იმის ქვეშ მახე დააგო. მიიპარა ღამით მელია, ნახა, რომ ერთი ბანი ახდილი იყო, ჩახტა შიგ და ხაფანგში გაება.

მეორე დღეს მივიდა მეცხვარე, ნახა მელია, ჩაავლო კუდში ხელი, გამოათრია გარეთ და უნდოდა ტყავი გაეძრო. მელიამ უთხრა: — კაცო, არ მომისმენ? განა აქ მოსამართლე არ არის, რომ გაგვასამართლოსო?

მოიყვანეს ორი მწყემსი და შესჩივლა მელიამ: — მომისმინეთ, კეთილნო მოსამართლენო! ღმერთმა საწყლად დამბადა, არც მამული მომცა, არც სახლიო. დავეხეტები ასე ქვეყანაზე, ზოგან თაგვს შევხვდები, ზოგან ქათამს და იმასა ვჭამო. დღისით მშიერი ვარ, გარეთ ვერ გამოვდივარ; ყველა ამ ჩემი ტყავისთვინა მმტრობსო. ასე ღამე გამოვდივარ და მეც არ ვიცი, სად დავდივარო. ღამე გამოვიარე მეცხვარის ბანზე და ბანში კი ჩავვარდიო. აბა, მე აქ რა მესაქმებოდაო?! მწყემსმა გამომათრია, უნდა მოვეკალიო. ახლა თქვენ იცით, როგორც გაგვასამართლებთ, ცოცხალიც თქვენ ხელში ვარ და მკვდარიცო.

მოსამართლეებმა გაამართლეს მელია და გაუშვეს. გაიღერა მელიამ კუდი და გაეშურა მინდვრისაკენ.

მელია ახლაც ცოცხალია და ლოცავს მეცხვარეებს.

დათვი და მელია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ერთი ქალისა და ერთი ფარა ცხვრის მეტი არაფერი ებადა. მეწველ ცხვარში თვითონ დადიოდა და ბატკანში ქალსა ჰგზავნიდა.

ერთ დღეს ქალს დაუცხა, ადრე ვეღარ გარეკა ბატკანი: ფარა დაემურა და აღარ შეეძლო გაშლა. იჯდა და ტიროდა. ამ დროს ახლოს მელიამ გაიარა და ჰკითხა: რა გატირებს, ქალო, რა დაგმართნიაო? — ბატკანი დამემურა და ვეღარაფერი მიქნიაო, — უპასუხა ქალმა. — თუ ერთ ბატკანს მომცემ, — უთხრა მელიამ, — ბატკნებს მე გაგიშლიო.

ქალმა უთხრა: მოგცემო.

მელიასთვის მისაცემი ბატკანი გაიყვანეს და მიაბეს ხეზე. მელია შევარდა ბატკნებში და კუდის ქნევა დაიწყო. ბატკნები დაფრთხნენ და გაიშალნენ. მელიამ წამოიყვანა ბატკანი და სიხარულით ფეხზე ძლივსღა იდგა.

მელიას ძალიან უყვარდა თავისი ბატკანი და მუდამ პირით უზიდავდა ბალახს. გაუკეთა ერთი სახლი და იმაში ჰყავდა. საღამოზე სახლში რომ მოვიდოდა, ეთამაშებოდა პატარა ბატკანს. ერთ დღეს დათვმა შენიშნა, რომ მელიას ბატკანი ჰყავდა და იფიქრა: „როგორმე უნდა შევჭამოო“. მელა რომ დაბრუნდებოდა სახლში, ფეხს შეუყოფდა კარში ბატკანს და დაუძახებდა:

ბეკეკო, კარი გამიღე, მე დედაშენი ვარია;
პირში ბალახი მიჭირავ, ძუძუებში რძე არია.

ბატკანიც დაინახავდა მელიას პატარა თათს და გაუღებდა კარს. ეს სიტყვები დათვმაც დაიხსომა. მივიდა ერთხელ ბატკნის სახლთან, როდესაც მელია სხვაგან იყო, და დიდი ხმით დაუძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე, მე დედაშენი ვარია;
პირში ბალახი მიჭირავ, ძუძუებში რძე არია.

ბატკანმა დაუძახა: აბა ერთი თათი შემოყავო. დათვმა შეყო თათი, მაგრამ დიდი თათი ჰქონდა; იცნო ბატკანმა და დაუძახა: — წადი, მე ჩემი დედობილის თათს კარგა ვიცნობ, შენ ის არა ხარ; იმას პატარა თათი აქვს და შენ დიდიო.

დარჩა დათვი გაწბილებული. იფიქრა, უნდა როგორმე ის ბატკანი ხელთ ვიგდოო, და წავიდა ტყეში.

ავდრიანი დღე იყო. მწყემსებს ცეცხლი ენთოთ და ირგვლივ

უსხდნენ. დათვი გადაუხტა, დააფრთხო ეს მწყემსები, თვითონ ნაცარში ამოითუთხნა, გაიტრუსა თათი და წავიდა ბატკნის სახლისაკენ. მივიდა კარებთან, შეყო ჭუჭრუტანაში თათი და დაუძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე, მე დედაშენი ვარია;
პირში ბალახი მიჭირავ, ძუძუებში რძე არია.

ბატკანმა გაუღო კარი და შევიდა დათვი. მაგრამ მაშინვე არ შეჭამა ბატკანი, უნდოდა მიზეზი რამ ეპოვა.

ბოლოს დათვმა დაიჭირა ბატკანი, მაგრამ მელიასი ეშინოდა და ვერა სჭამდა. ნახევარი შეჭამა, ნახევარი კი მელიას შეუნახა.

გამოვიდა დათვი იქიდან და მელიაც მოვიდა. მელა მაშინვე მიხვდა, რა ამბავიც მოხდებოდა. დათვმა დაუძახა: — ძმისწულო, ნახევარი შენ შეგინახე, ბატკანმა გამაჯავრა და შევჭამეო! — მადლობელი ვარო, — მოახსენა მელიამ ეშმაკობით, — მე ბატკნის ხორცს არა ვჭამ, ბიძავ, ჩემი საჭმელი ქათამი და თაგვიაო, და ისიც შენ შეჭამეო. ახლა მინდა, რომ აქ ახლოს ქორწილია და იქ წავიდეთ, ერთი ნასუქი დეკეულის ხორცი მეცა ვჭამო და შენც გაჭამოო; ვერაფერს გაიგებენ მთვრალი მაყრები და შეგვრჩებაო. დათვს ძალიან გაუხარდა: წავიდეთო!

წავიდნენ მართლაც. შევიდნენ ბოსელში, წააქციეს ერთი მსუქანი დეკეული, მიაძღა დათვი და უთხრა მელიას: მოდი, ერთი ჩვენც შემოვძახოთ მაყრულიო. მელიამ უთხრა: — მე ხმა ჩამიწყდა გზისაგან, შენ კი ბოხი ხმა გაქვს და შემოსძახეო. დაიღრიალა დათვმა თავისებურად. გაიგონეს დათვის ღრიალი მაყრებმა, გამოუცვივდნენ ამ მონადირეებს. მელიამ ფხაჭა გაადინა კარის ძირიდან და უშველა ოავს, დათვი კი დარჩა მაყრების ხელში. მეორე დღეს გამოიყვანეს ჩვენი „ბიძა“ და მეფის შესაქცევად ტყავი გააძრეს. ტყავგაძრობილმა დათვმა როგორღაც მოასწრო გაქცევა და თავს უშველა.

დათვი ძალიან გაჯავრებული იყო მელიაზე და ეძებდა, უნდოდა ჯავრი ამოეყარა. დათვმა მალე ნახა მელია, ერთ ეკლის ჯაგთან გორაზე იჯდა და წავიდა იმისაკენ. მელიამ დაინახა და თითქო ვერ იცნოო, პირი მოარიდა. დათვმა დაუძახა: — აბა, დამიცადე, მანდ მოვალო. მელიამ დაუძახა: — ხმა ჩემი ბიძისაა, მაგრამ ეს წითელყვითელი საცმელი კი არ არის იმისიო. მივიდა დათვი და გამოუდგა მელას დასაჭერად. მელა გაძვრებოდა ეკლების ძირში ნელა-ნელა და კუდს მიუშვერდა დათვს, რომ შეეტყუებინა ჯაგებში, შეძვრებოდა შუა ჯაგში და იქ დაჯდებოდა. შეჰყვებოდა დათვიც, იკაწრებოდა,

სდიოდა სისხლი და ყვიროდა. მელა კი გაძვრებოდა და ახლა სხვაგან შეძვრებოდა.

მერე მელიამ დაუძახა: — ოღონდ ნუ მაწვალებ და მე თვითონ მოგარჩენო. — როგორაო? — დაუძახა დათვმა. — როგორა და იმ-ვარად, ხომ გინახია, მეცხვარეებს მგელი რომ ცხვარს დაუგლეჯს, რას უშვრებიან ნაგლეჯსაო? წადი შენ, სახნის-საკვეთი მოიტანე, გა-კახურებ, დაგდაღავ და მორჩებიო.

დათვი მართლა წავიდა, მოიპარა სახნის-საკვეთი და მოუტანა მე-ლიას. მელიამ გაახურა სახნის-საკვეთი, დაუძახა მწყემსებს, შეაკვრე-ვინა ფეხები დათვისათვის და უთხრა: ნუ მომიკლავთ ჩემ ბიძას, უნ-და დავდაღო და მოვარჩინოო. დაუწყო დაღვა მელიამ, და დაიწყო ყვირილი დათვმა.

როდესაც კარგა აღრიალა „ბიძა“ მელიამ, გაუხსნა ფეხები და უთხრა: — ახლა მე მოვნახავ გოდორს, ჩაგიგებ თივა-ბუმბულს და ჩაგსვამ შიგ, რომ ბეწვი ამოგვიდესო. მართლაც, მოაწნევინა ერთი გოდორი. ჩასვა შიგ და გააგორა, მაგრამ დათვი გამოძვრა და გამო-უდგა მელიას. მელიამ უთხრა: — ახ, შენ ჩემო თავო, დამიგორდი, ბიძავ, პატარა გოდორი იყო, ახლა კი დიდი გოდორი უნდა მოვაწნე-ვინო და ჩაგათბუნო შიგაო. დაუჯერა დათვმაც. წაიყვანა მელიამ მწყემსები ერთი კლდის თავზე, მოაწნევინა გოდორი, ჩაუგო ჩალა-ბუმბულა, ჩასვა ეს დათვი, გადაუწნა პირი და გადმოაგორა კლდეზე. თავად კლდის წვერზე დაჯდა და დაჰმღერა:

ახტება და დახტება ე სულ-ბოროტიანი,
დაჯდება და უცქერის ხოსრო დოვლათიანი!

ნადირთა ძმობა

დათვი, მგელი და მელია შეხვდნენ და ერთმანეთს შესჩივლეს, რომ ხშირად დიდის ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმებაო, მოდი დავძ-მობილდეთ და ამიერიდან რაც მოვინადიროთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეფიცეს ერთმანეთისათვის არ ეღა-ლატნათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროდ. იმათ ღობალზე დაჭრილი ირმის ნუკრი ნახეს, კისერი მოუგრიხეს, ჩეროში მწვანეზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა უბრძანა მგელს, რომელსაც შიმშილით

კბილები უკაწკაწებდა, — აბა, გაჰყავიო! მგელმა სთქვა: — თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონს და მეთაურს, შუა ტანი მე და ფეხები მელიას, რომელსაც ცუნცული უყვარსო. ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში თათი, რომ მთებმა ბანი მისცეს. მგელი ყმუილით განზე ღაჯდა.

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა: — ჩემო მელიავ, შენ გაჰყავიო! ცბიერმა მელიამ მოწიწებით წარმოთქვა: — თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც შენ ჩვენზე მუდამ მამობრივად ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ არიან წარმართებულნი სვლანი შენნიო!

— ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფაო, — ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო: — შენ რომ წელან ისე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო!

დათვის, მგლისა და მელიის ამგავი

ერთ დათვს ორი ბელი გაჰქეციანებოდა, გამოეყვანა მზეზე, უხილავდა ბეწვს და ჰფხანდა. მელიამ გამოიარა და ჰკითხა: — ბიძავ, რას აკეთებო? — შვილები მყავს ავად და იმათა ვმკურნალობო, — უპასუხა დათვმა. — არ იცი, ბიძავ, მე როგორი ექიმი ვარ, რატომ არ დამიძახეო? — აბა, თუ რასმე მიშველი, ახლაც შენს ხელთა ვარო, — უთხრა დათვმა, — მომირჩინე შვილები და მიმსახურეო.

მელიამ უთხრა: წადი, ერთი დედალი მომიტანე, ერთი ქადა, ცოტა მშიან, შეეექცევი ცოტა-მატას და მერე უფრო ვუექიმებო. თან ერთი ქვაბი წყალი მოიტანე და ცეცხლი, ოფლს მოვადენ შენს შვილებსო.

წავიდა დათვი. ითხოვა, მოუტანა ერთი დედალი, ერთი ქვაბი, წყალი და ცეცხლი. როდესაც ყველაფერი მოიტანა, მელიამ უთხრა: — წადი ახლა და ის ნიში რომ ჩანსო, — უჩვენა ერთ მთაზე, ერთ ნანგრევზე, — იქ ილოცე ჩემთვისო. გაგზავნა დათვი. აადუღა წყალი, აიღო ეს ბელები და ჩაყარა წყალში. თვითონ ქათამი აიღო, ქადა ყელზე ჩამოიცვა და გასწია.

მიდის მელია და გზაზე ერთ მშიერ მგელს წააწყდა. მგელმა ჰკითხა: — თუ ღმერთი გწამს, ან მაჭამე ეგ დედალი და ქადა, ან მასწავლე სად იშოვეო? — ჭმევით ვერ გაჭმევ, რადგანაც მეც არ მეყოფაო, — უთხრა მელიამ, — და გასწავლი კი, სადაც ვიშოვეო. უთხრა: — ესე პირდაპირ რომ წახვიდე, ერთ დათვთან მიხვალ, ორი შვილი დააქორწილა, მიდი შეჰყმუვლე, შეუთამაშე და ქადასაც მოგცემს და დედალსაცაო. მე იქ ვიყავი და ეს დედალიც და ქადაც იმან მომცაო.

მგელი გახარებული წავიდა და მელია თავის გზას გაუდგა.

ამ დროისთვის დათვი სახლში დაბრუნდა. ნახა, რომ იმის შვილები მოხარშულები ჰყრიან ქვაბში, ხორცი ცალკე წასულა და ძვალი ცალკე. შემოიკრა თავში და ივაგლახა. მივიდა მგელიც, მიუახლოვდა, შეჰყმუვლა, შეუთამაშა. დათვმა სტაცა თათი მგელს, დაიდო და ერთი თუ ორი, დაჟეჟა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ძლივს დაუძვრა მგელი დათვს და თავს უშველა.

წამოვიდა გაფოთებული მგელი მელიის საძებნელად. მელიამ შორითვე იცნო მგელი და ერთი ხერხი მოიგონა: ჩახტა თხილებში და წვრილ წნელებს და წკეპლებს დაუწყო მტვრევა. მგელი მივიდა მელასთან და უთხრა: — შენ არ იყავ, რომ დათვთან გამგზავნეო? მელიამ უთხრა: — მე შენთან რა ხელი მქონდა, შვილო, ტყუილად ნურაფერს მაბრალებ, მე შენ თვალითაც არ მინახიხარო. — მაგას რას აკეთებო? — ჰკითხა მგელმა. — რას ვაკეთებ?! ხომ ხედავ, აი, ქვევით ქათმებს. გოდორი უნდა გადავიცვა თავზე, დავგორდე და ჩავიდე ქათმებთან, მოვიტაცებ ერთ დედალს, შევითრევ გოდორში და ქეიფს გავწევო. — თუ ღმერთი გწამს, მე გადამაწანი თავზე გოდორიო, — უთხრა მგელმა, — ცხვარი რომ ჩანს, იქითკენ დავგორდებიო.

გადააწნა თავზე მელიამ მგელს გოდორი და დაადგორა. ჯერ ხომ ისე დაიჟეჟა, მერე გამოუცვივდნენ მეცხვარეები და ერთი თუ ორი: ზოგმა ხანჯლით დაუწყო ჩხვლეტა, ზოგმა ჯოხით ისე, რომ ბოლოს რის ვაი-ვაგლახით გამოძვრა მგელი და გაიქცა.

მგელი ისევ მელიის საძებნელად წავიდა. მელიამ ისევ შორიდანვე იცნო მგელი. გადახტა კანაფებში, დაუწყო ყრა კანაფს და ბაწრებს გრეხა. მგელი მივიდა და დაუღრიალა: — შენ არ იყავ, ჯერ დათვთან რომ გამგზავნე და მერე გოდორი გადამაწანიო? — არაო, — უთხრა მელიამ, — მე შენთან მოკეთეობის მეტი არაფერი მქონია, შენ ვიღაცას მიმამსგავსე და ახლა გინდა ალალ-მართალ კაცს ხათა-

ბალა გადამკიდოო. როგორც იყო, დააჯერა მელიამ მგელი. მგელმა ჰკითხა: — მაგას რას აკეთებო? — მე ხარაზი ვარო, — უთხრა მელიამ, — თოკებს ვგრეხ; ნახევარზე მშიერი დავდივარ, მუდამ საჭმელს ვერსად ვპოულობ, უკანა ტანს გავიკერავ: ერთხელ რომ ვჭამო, აღარ მომინდება გასვლა, ნაკერი მექნება და მუდამ მაძღარი ვიქნებიო. — თუ ღმერთი გწამს, — შეეეედრა მგელი, — მეც გამიკერე ეს ოხერი და ტიალი, თუ არა ჩემს მუცელს რა გააძღობსო! დაუდგა მელია და გაუკერა უკანა ტანი.

წავიდა მგელი თავის გზაზე. მგელს მალე გაუჭირდა საქმე. დაიწყო ყვირილი, როგორც იყო, გამოიგლიჯა უკანა ტანი და მორჩა. მგელმა სთქვა: „შენი სასაცილო ვიყო, მელიავ, თუ არ გადაგიხადოო“.

გამოუდგა მელიას და დაუწყო ძებნა. ბოლოს იპოვა და გამოუდგა. დაიძრა მელია, მაგრამ ვეღარ გაასწრო მგელს; წამოეწია მგელი, მოჰკრა კუდზე კბილი და მოსწყვიტა. წავიდა უკუდო მელია. იგი დაღონდა: „ახლა ვეღარსად დავემალები მგელსაო“. იფიქრა, იფიქრა მელიამ და ეს მოიგონა: ამოისურსნა ტალახში და წაწვა გზაზე. მაყრები მოდიოდნენ, დაინახეს მელია, ჩამოხტნენ ცხენიდან, აიღეს მელია და პატარძალს უკან გადაადვეს: „ხვალ გავატყაოთ და გამოგვადგებაო.“ მელია მალე მოცოცხლდა; დაინახა, რომ პატარძალს თითებზე ბეჭდები აქვს. მელიამ უთხრა: — პატარძალო, ეგ ბეჭდები მე მომეც, თორემ გავიპარები და მაყრებს ეგონებათ, პატარძალმა გააპარაო. მისცა ბეჭდები, გადმოხტა მელია და მოძუძგა.

გაიარა გზა. ერთ ვაჭარს ცხენით სოფელში თევზი მიჰქონდა; მელია გზაზე გაიძაბა და სული განაბა. გამოიარა ვაჭარმა, დაინახა მელია, ძალინ გაუხარდა, აიღო და ცხენზე დაკრულ დოშებს დააკრა. მელია მალე მოცოცხლდა. გაიხსნა ფეხები, მერე ერთი დიდი დოში ააგლიჯა და გადმოაგდო გზაზე. გადმოხტა თვითონაც და გასწია.

ერთ ადგილას ორმოცამდე მელია დაინახა, ქორწილი ჰქონოდათ. გაიკეთა ჩვენმა მელიამ ეს პატარძლის ბეჭედი მოგლეჯილ კუდზე, მოიბა დოში და ჩაერია მელიების გროვაში. მსუქანმა დოშმა ბევრ მელიას მოჰგვარა პირში ნერწყვი, შემოეხვივნენ და დაუწყეს თხოვნა, გვაჭამე თევზიო. მელიამ ყველას ცივი უარი უთხრა: — თქვენთვის როდი ვიშრომე, შვილოსან, წადით და თქვენც დაიჭირეთო. — როგორ დავიჭიროთ, ის მაინც გვასწავლეო, — უთხრეს მელიებმა. ამ დროს იანვარი იყო. მელიამ უთხრა: — წადით, აქა და აქ რომ ერთი ტბა არის, ჩაყავით კუდები, მოგებმიან თევზები და მერე ამოიღეთო. წაასხა მელიამ საღამოზე ეს მელიები, ჩაიყვანა ტბაზე, ჩააყოფინა

კუდები წყალში და უთხრა: „დილამდე აქ ისხედითო“. დილამდის მელიებს ჩაეყინათ წყალში კუდები და საძრავი აღარ ჰქონდათ.

უკუდო მელია გაიქცა და ერთ მინდორზე გავიდა. თავადიშვილებს მწევრები გამოეყვანათ და ნადირობდნენ. მწევრებს მელია დაენახვა. მწევრები გამოუდგნენ, მელიამ მოცხრილა, მივიდა და გადაერია ამ ჩაყინულ მელიებში. გადაჰყვნენ მწევრებიც. რაკი დაინახეს მელიებმა ამდენი მწევარი, ზოგი მოიგლიჯა და უკუდო გაიქცა ერთის ვაივაგლახით, ზოგსაც მწევრებმა შემოაფხრიწეს ქურქები. ახლა ჩვენს მელიას აღარ ეშინოდა, რადგანაც ბევრნი იყვნენ უკუდო მელიები.

კარგა ხანს ისეირნა უკუდო მელიამ, მაგრამ აქაც მოაგნო მგელმა. შეყარა ეს მელიები, ხან ერთსა სტაცებდა პირს და ხან მეორეს, წენ მომატყუეო, მაგრამ ყველა მართალი გამოდგა. ბოლოს ამ მელიას სტაცა პირი. მელია, ცოტა არ იყოს, შეკრთა, მაგრამ თავი შეიმაგრა და უთხრა: — რას ამბობ, მგელო, ალალ-მართალს რაზე მაწვალებ, ჩემზე ალალი მზის ქვეშ ვერავინ გაიცლის, და შენ კი შარს მდებო. — კარგიო, — გაუშვა მგელმა და წამოასხა ეს მელიები.

ერთ წყალზე საცალფეხო ხიდი იდო, იმ ხიდზე უნდა გაეტარებინა. მოვიდნენ ხიდთან, მგელმა სთქვა: — ღმერთო, ჩემო გამჩენო და ჩემო სიალალ-მართლეე! რომელიც ჩემი მოღალატე იყოს, გადავარდესო. გაიარეს მელიებმა და არავინ გადავარდნილა. ჯერი ჩვენს მელიაზე მიდგა; როგორც კი მივიდა წუა ხიდზე, აუკანკალდა ფეხი და წყალში გადავარდა. გადაჰყვა მგელიც, ეცა გამწარებული და წაუჭირა ყელში.

მგელი კარგა ხანს კბენდა მელიას. კაჭკაჭები მოფრინდნენ, გაიგონეს მელიას ყვირილი, უნდოდათ ხორცის ჭამა. მოფრინდნენ სხვა ჭრელი ჩიტებიც წყლის სასმელად. ველიამ კაჭკაჭებს და ჩიტებს ხელი გაუქნია. წადით, წადითო! მგელმა ჰკითხა: — მელიავ, რას ეძახი მაგ ჭრელ ჩიტებსო? — ეგ ჩიტები ჩემი შეგირდები იყვნენ, მე დავაჭრელეო, — უთხრა მელიამ, — გაუგონიათ ჩემი კვნესა და საშველად მოფრინდნენო. ახლა ამას ვეუბნები: წადით, ველარას მიშველით, ჩემო შვილებო, აქ უნდა მოვკვდეო. — გაგიშვებო, — უთხრა მგელმა, — თუ მეც დამაჭრელებო. — კარგიო, — უთხრა მელიამ, — წადი, შამფურები მოიტანე, ცეცხლიც და დაგაჭრელებო.

მგელმა ყველაფერი მოუტანა. მელიამ გაუკრა ფეხები მგელს, გაახურა შამფურები და დაუსო ამ მგელს; შამფურებს სულ შიშინი გაჰქონდა სისხლში. იბრძოლა მგელმა და გაიხსნა ფეხები. მოცხრილა მელიამ, მგელი ძალიან დამწვარი იყო და ველარ მიეწია.

ლომი და მელია

ლომი ძლიერ ავად გამხდარიყო და უძრავად იწვა თავის ბუნაგში. მოსულიყვნენ სანახავად სხვადასხვა მხეცები, თავს ეევლებოდნენ და უკლიდნენ თავიანთ ბატონს. მხოლოდ მელია არსად ჩანდა. ყველა გაკვირვებული იყო და კითხულობდა: „ნეტავ სად არის დღეს მელია, რომ არ მოსულა აქაო?“

მგელმა დაუმატა: როცა საერთო მოლხენა და ქეიფია, მელა ხომ არასოდეს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა; იცის, რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოელისო. ლომმა ძალიან იწყინა მელიის ასეთი უყურადღებობა. მგლის ნათქვამი მხეცებმა მელიას გადასცეს, მელია გაჯავრდა: „დამაცადოს, მე ვაყურებინებ იმას სეირსაო“.

მეორე დღეს, როცა მხეცები ხელახლა ეახლნენ ლომს, მელიაც მიცუნცულდა. თავდაბლად თავი დაუკრა და სალამი მიუძღვნა. ლომმა უსაყვედურა: — სად იყავ ამდენ ხანს, რატომ არ მნახეო? მელიამ თავი იმართლა: — თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიქეცი გიჟივით, ექიმებს დავეძებდი, ყველას ვთხოვდი შველას და რჩევას, რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულს მეფესა-მეთქი. მირჩიეს: მგელს ფეხი მოსტეხონ, ჯოჭი ამოართვან და ნადირთ მეფეს მიართვახო.

მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი. მგელს თქრიალით წამოუვიდა სისხლი, ფეხები სულ გაუწითლდა და მწარე ღმუილით მოშორდა მხეცებს. უკან მელია გამოედევნა და მისძახოდა: — წითელჩექმებიანო, საით მიბრძანდები? როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო.

კურდღელი, მელა და მგელი

იყო ერთი კურდღელი. ერთხელ წავიდა და მუხის ქვეშ დაწვა. მუხაზე ყვავი შემოჯდა და რკო ჩამოაგდო. რკო კურდღელს თავზე დაეცა. ეგონა, ქვეყანა იქცევაო, წამოხტა და გაიქცა. გზაზე შეხვდა მგელი და ჰკითხა: — კურდღელო, სად მირბიხარო? — მანდეთ, ძმობილო, ცა და ქვეყანა იქცევა და ნუ მიდიხარო! მგელს შართალი ეგონა და ესეც გაიქცა.

შემოეყარათ მელა, ისიც იმათთან ერთად გაიქცა. ირბინა სამი-

ვემ და მივიდნენ ისეთ ალაგას, სადაც საჰმელი ვერ იშოვეს და შიმშილით კუჭი ეწოდათ. ძლიერ რომ გაუჭირდათ, მგელმა და მელამ კურდღელი შეჭამეს. კურდღელი რომ გამოინელეს, ისევ მოშივდათ. ახლა მგელმა მელას შეჭმა დააპირა. გაიქცა მელა, უკან დაედევნა მგელი. მიადგა მელა ერთ წყალს და რაღა ქნას? აიხედა ზევით და შეხედა კაჭკაჭს. ბევრი რომ უყურა, მიუბრუნდა მელია მგელს და უთხრა: — თუ დამეხსნები და არ შემჭამ, აი, ასე დაგაჭრელებ, როგორც ეს კაჭკაჭი არის ჭრელიო.

მგელი მოტყუუდა და მელას დაუჯერა. მელიამ უთხრა: წავიდეთ სადმე, კამეჩი ვნახოთ, დავკლათ, ჯერ ვჭამოთ და გამაძღარი უფრო დაჭრელდებიო. წავიდნენ, მართლაც ნახეს ერთი კამეჩი და დაკლეს. მელა სანამდის გაძღებოდა, წავიდა, ცეცხლი და სახნისი იშოვა, ცეცხლი დაანთო და სახნისი შიგ ჩადო გასახურებლად. მგელს უთხრა: — კამეჩი შუაზე გავხვრიტოთ, შიგ გავძვრეთ და ორივე დავჭრელდებითო. მგელმა დაუჯერა. მელამ კამეჩი წვრილად გახვრიტა ისე, რომ თვითონ შესძლო შიგ გაძრომა. მერე უთხრა მგელს, გავიქცეთ და გავძვრეთო. მელა გაიქცა და გაძვრა შიგ, მგელი გაიქცა და ვერ გაეტია და თავით გაეკვეტა. მელამ წამოუსვა ბელი გახურებულ სახნისს და ზურგზე დაჰკრა, მანამდის ურტყა, სანამ სული არ გააფრთხობინა.

მგელმა ბევრი იყვირა, მაგრამ თავს ვეღარ უშველა, მელა მიაღგა და დაუწყო ქეიფიანად ჭამა კამეჩს და მგელს. ქონი ჭურწი ჩაასხა, ძვლები ხორად დადგა და შეშად მთელი ზამთარი ეყო.

ტურა და მელა

ტურამ ერთ დედაბერს ქათამი მოსტაცა და ტყისაკენ გააქანა. დედაბერი უკან დაედევნა, მისდევს, ილანძღება და მიჰკივის: „ვაი, ჩემი ბრალი, ტურამ ერთი ლიტრა ქათამი მომტაცაო“. ტურა მობრუნდა და ყურს უგდებს დედაბრის ლანძღვით სავსე ყვირილს. ამ დროს თავზე წაადგა მელია და ჰკითხა: — ძმობილო, რას უყურებ, რად დგეხარ აქაო? — ვერ უყურებ ამ დედაბერს, ლანძღვით ამიკლო, ეს ქათამი ერთი ჩარექაც არ გამოვა და ის კი გაიძახის: „ტურამ ერთი ლიტრა ქათამი მომტაცაო“. ამაზე მეტი ცილისწამება

იქნება?! — აბა, მიჩვენე, — უთხრა მელამ, — მე შევიტყობ, რა სიმ-ძიმის არისო.

მელამ ჩამოართვა ქათამი და უთხრა: — დეე, ჩემზე ერთი ძნა იანგარიშოსო,— დაავლო პირი ქათამს, მოკურცხლა ტყისკენ და გადასანსლა.

მ ე ლ ი ა

მელია ქალაქში დასუნსულებდა და ერთ სამღეროში ჩავარდა. რომ ამოვიდა, დაიხედა ტანზე და თქვა: „ჰო, ეს რა კაი ფერი მადევს ახლაო". მერე მელიებს უთხრა: თითო თაგვი უნდა მომიყვანოთ, ამიერიდან მე თქვენი ხელმწიფე ვარ და ეს დაგაწერეთ ხარჯადაო.

ერთი მდინარე ჩამოდიოდა იქვე და გაღმა დაინახა სხვა მელა. მეო, თქვენი ხელმწიფე ვარო, თითო თაგვი უნდა მომიყვანოთ დღემუდამაო! — გასძახა გაღმა. იმან დაუძახა: გამოდი და მაშინ ვნახოთ, რასაც მოგცემო! — დიდი გულით დაუხვდა გაღმიდან მელა. ადგა გაჯავრებული მელა, წყალში გაცურდა და გავიდა. დაიხედა და რას ხედავს, გაირეცხა თურმე და ისევ ძველი ფერი მიეცა. მაშინ თქვა მელამ: — რა მინდოდა აქ წყალში რომ გამოვედი, იქა ვყოფილიყავი, თითო თაგვს მაინც მომიყვანდნენ დღეშიო!

ახლა იქიდანაც ცარიელი დარჩა და აქედანაც.

ძურდღელი და მისი გაჭიეგი

ერთხელ მარტში დიდი ყინვები დაიჭირა. კვერნაქის მთაზე კურდღელს ხუთი ბაჭია ჰყავდა და მოულოდნელმა ყინვამ ძალიან გაუჭირა საქმე. დედა კურდღელი ცდილობდა, როგორმე გაერთო თავისი ბაჭიები, ხან ზღაპრებს ეუბნებოდა მათ, ხან უამბობდა გმირულ თავგადასავალს მკვირცხლთა და დაუძინებელთა თვისთა წინაპართა. ბაჭიები მაინც აბუზულები იყვნენ და დედის ლათაიები ვერ ათბობდათ.

ერთხელ დედა კურდღელი ჯაგიდან გამოხტა და თან მას ბაჭიებიც გამოჰყვნენ. კურდღელმა სერიდან ორმოცი ვერსის მანძილზე ციციანთ ტყეში ცეცხლი დაინახა, ჩამოცუცქდა უკანა ფეხებზე, წინა თათები მიუფიცხა ცეცხლს და დაუწყო თათებს ტრიალი.

ბაჭიებმა ჰკითხეს: — დედილო, რასა შვრებიო?

კურდღელმა მიუგო: — ცეცხლზე ვითბობ ხელებსაო!

ერთმა ეშმაკმა ბაჭიამ, რომელიც დედასავით ჩაცუცქებული იყო, მარჯვენა ფაცი ჩამოიკრა თვალთან.

დედამ ჰკითხა: — შვილო, რა იყოო?

კუდიანმა ბაჭიამ უპასუხა: — ცეცხლის ნაპერწკალი თვალში მეცაო!

ლომი და კურდღელი

ერთ ჭალაში ხშირად თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხეცები. როცა მხეცებში ლომი გაერეოდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა: ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეექცეოდა.

შეკრბნენ მხეცები მოსალაპარაკებლად, როგორ დავაღწიოთ თავი ლომის ბრჭყალებსაო. დიდი ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს: დავუნიშნოთ ლომს სამუდამო სარჩო, ჩვენვე მივუტანოთ და ვთხოვოთ: თავი დაგვანებოს და ნუ გვაფრთხობს ყოველდღეო. წავიდნენ და ეს დადგენილება ლომს მოახსენეს. ლომი დათანხმდა, მხოლოდ პირობა დაუდო — ერთი წუთიც არ გადააცილონ დანიშნულს დროს, თორემ დაგეცემით და ერთიანად ამოგჟლეტთ ყველასო. ამბაირად, მხეცები სათითაოდ ყოველდღე მიჰგვრიდნენ ლომს რომელსამე ცხოველს. ჯერი მიდგა კურდღელზე, უნდა წაეყვანათ ლომთან შესაჭმელად.

— რაკი ჩემი რიგია, რა გაეწყობა! გამიშვით მარტო მე და გიჩვენებთ, რომ საღამოს ლომის სახსენებელიც აღარ იქნება და თქვენც სამუდამოდ დაგიხსნით ტანჯვისაგანო.

მხეცებმა გულიანად გადაიხარხარეს: ვერ უყურებთ ამ მშიშარა და უძლურს, როგორი ტრაბახი სცოდნიაო!

კურდღელმა ცოტათი დაიგვიანა. ლომს ძლიერ მოჰშივნოდა, თვალების ბრიალით და კბილების კაწკაწით მოელოდა სადილს და თანაც ფიქრობდა ბუნაგიდან გამოსვლას, მხეცებში დარეკვას. ამ

დროს გამოჩნდა კურდღელი: შიშისაგან სულ ძაგძაგებდა. ლომმა მრისხანედ გადახედა და სასტიკად დაუყვირა: — სად იყავ ამდენ ხახსაო? — დიდო ბატონო, — კრძალვით მოახსენა კურდღელმა. — თქვენთან ნადირი მომყავდა, გზაზე მეორე ლომი შემხვდა, გამომტაცა და ჩაათრია ღრმა ღელეში, აქ ახლოს რომ არისო. — აბა, მიჩვენე, სად არისო? — უთხრა ლომმა. კურდღელი გაუძღვა, მიიყვანა ერთს ჭასთან და უთხრა: — აი, ბატონო, აქ არის, მაგრამ მეშინიან, მე მარტო ვერ ჩავიხედავ, ხელში ამიყვანეთ და ერთად ჩავიხედოთო.

ლომმა აიყვანა კურდღელი და ერთად ჩაიხედეს ჭაში; ჭის წყალში გამოჩნდა ლომისა და კურდღლის ლანდი: ლომს კურდღელი აეყვანა და ქვემოდან ზევით ამოიჭყვიტებოდა. ლომმა კურდღელი ფიცხლავ გაუშვა, ჩახტა ჭაში მტრის დასასჯელად და კურდღლის წასართმევად, მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგ ჩაიხრჩო.

გაიგეს მხეცებმა ეს ამბავი თუ არა, შეექმნათ დიდი მხიარულება, რომ მოიშორეს თავიანთი მოსისხლე მტერი, კურდღელს კი დიდი მადლობა გადაუხადეს.

მინდვრისა და სახლის თაგვი

მინდვრის მსუქანი თაგვი შინაურ გამხდარ და წვრილმან თაგვს ესტუმრა და სხვათა შორის ჰკითხა: დობილო, რატომ ხარ ეგრეთი პატარა და გამხდარი? შენ ხომ უფრო ნაირ-ნაირი და გემრიელი საჭმლებით იკვებები ხოლმე შინაურობაში, მე საბრალო კი ძლივ-ძლივობით ვშოულობ სულის მოსაბრუნებლად სარჩო-საკვებს მინდორში და, მაინც შენზე მოზრდილი და მსუქანი ვარო.

ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა, რომ უცებ კატა გამოჩნდა; მოასწრო სახლის თაგვმა და შეძვრა სოროში, გაშეშებული და იმედდაკარგული მინდვრის თაგვი შესქცეროდა კატის ანთებულ თვალებს, რადგან უშველებელი იყო და ვერ შეეტია იქაურ ხვრელებში: მივარდა კატა და გაუყარა თავისი მახვილი კლანჭები თაგვსა. ამ დროს სახლის თაგვმა გამოყო თავი სოროდან და უთხრა თავის შემბრალებელ სტუმარ თაგვსა: — დობილო, აი, სწორედ მაგ შეჩვენებულმა მკნავანას ყურებამ და დანახვამ დამაწვრილა და ასე გამახდუნაო.

მგლის გერად შედგომა

ერთი საწყალი მგელი ლეშით გამოძღა, გაიზმორა და იფიქრა: „ბიჭო, აქამდინ სულ ცოდვებს ვშვრებოდი, მოდი, ახლა სულის საქმეზე დავდგები, იერუსალიმში წავალ და ბერად შევდგებიო“. იფიქრა და საქმეს შეუდგა. ახსენა ღმერთი და გაუდგა იერუსალიმის გზას.

გზაზე ერთ მოზვერს შეხვდა: — გამარჯობა, მოზვერო! — დაუძახა მგელმა. — გაგიმარჯოს, მგელო! — უპასუხა მოზვერმა. — სად მიეჩქარები, რა საქმე გამოგჩენია? — ბერად შევდექ, იერუსალიმს მივალ სულის საცხონებლადო. — ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, — დაუძახა მოზვერმა.

მგელი წავიდა. გზაზე ორ ერკემალს შეხვდა, ყანას სძოვდნენ, დიდი დუმები ჰქონდათ, მაგრამ მგელს მაინც ვერ სძლია ეშმაკმა. — გამარჯობათ, ერკემლებო! — დაუძახა მგელმა. — გაგიმარჯოს, მგელო! — უპასუხეს ერკემლებმა. — სად გამგზავრებულხარ, რა გზა მიგელისო? — იერუსალიმში მივდივარ, ერკემლებო, სული უნდა ვიცხონო, ამდენმა ცოდვამ წელი მომწყვიტაო. — ღმერთმა ხელი მოგიმართოსო! — დაუძახეს ერკემლებმა.

მგელი წავიდა. გზაზე ვირს შეხვდა. იმანაც გამარჯობა უთხრა დი იერუსალიმისკენ გზა დაულოცა.

წავიდა მგელი იერუსალიმში და ბოლოს მივიდა. ამასობაში კიდეც მოშივდა. იერუსალიმი ღელეში მდებარეობდა. მივიდა მგელი და გადახედა სერიდან. იერუსალიმი სულ საყდრებით იყო სავსე და არგნიანი ბერები მიდი-მოდიოდნენ. მგელმა იფიქრა: „ამ იერუსალიმში რომ მოველი, საყდარში ხომ არავინ შემიშვებს, იტყვიან მგელიაო, და რა ჭკუა დავფქვი, რომ არც არაფერი მოზვერს ვუყავ და არც არაფერი ერკემლებსა და ვირსაო“ .

გამობრუნდა ეს სულზე დამდგარი მგელი ვირის, ერკემლებისა და მოზვრის საძებნელად. მგელი გზაზე მართლა ისევ შეხვდა ვირს. ახლა კი აღარ მოგონებია გამარჯვება და პირდაპირ მიუხტა შესაჭმელად. ვირმა გაიკვირვა: — აკი იერუსალიმს მიდიოდი სულის საცხონებლად, რადღა მჭამო? — როდესაც მუცელი ცარიელია, მაშინ იქ იერუსალიმს რა ხელი აქვსო? — უთხრა მგელმა. — მოემზადე ახლავე უნდა შეგჭამოო.

ვირმა უთხრა: — კარგი, შემჭამე, მაგრამ საწყალმა ჩემმა პატრონმა ჩემზე გუშინ ფული დახარჯა, ნალები დამაკრა და ამყარე მაინც, რომ ორნაირი ზარალი არ მოუვიდესო.

მგელი კბილებით ფეხზე დააფრინდა ვირს და დაუწყო ნალების აყრა. ვირმა უტყუპა, გააგორა ჩვენი ბერი კბილებჩამტვრეული და გაოთხდა. ცოტა ხნის შემდეგ მგელი გონს მოვიდა, წამოდგა და სთქვა: „აბა, რა ჩემი საქმეა ნალბანდობა, ახია ჩემზე, რომ ასე მომივიდაო“.

ადგა მგელი და წავიდა ცხვრების საძებნელად. იმ გზით აიარა, რომლითაც ჩამოიარა და შეხვდა ისევ იმ ერკემლებს. მგელი მიუხტა, უნდა შეგჭამოთო. ერკემლებმა უთხრეს: — ეს ყანა ჩვენი პატრონებისაა, ჩვენი პატრონები ძმები არიან, გაიყარნენ, გაიყვეს ყველაფერი, ჩვენც გაგვყვეს, ერთი ერთისა ვართ, მეორე — მეორისაო; მხოლოდ ყანა დაგვრჩა გასაყოფი, ახლა არ ვიცით, რომელმა უნდა ვძოვოთ ეს ყანა; თუ ისეთ სიკეთეს იზამ, რომ დასდგები და გაგვიყოფ, მერე რაც გინდა გვიყავიო. — მე როგორ გაგიყოთო? — ჰკითხა მგელმა, — მე რა მედიატორე ვარო. ერკემლებმა უთხრეს: — შენ დადექ, ჩვენ გამოვიქცევით ერთი მხრით ერთი, მეორე მხრით — მეორე, და, რომელიც ადრე მოვალთ, იმან ძოვოს ეს ყანაო. დადგა მგელი, გამოიქცნენ ერკემლები, დაეჯახნენ მგელს და კინაღამ გამოუყლიტეს. წაიქცა მგელი და დაიწყო ფეხების ქნევა. ერკემლები გაიქცნენ და თავს უშველეს.

როგორც იყო, ადგა მგელი და წაეხეტა მოზვრის საძებნელად. „რა ჩემი საქმე იყო, მე რა მედიატორე ვიყავ, რომ მამულს ვუყოფდი, რატომ არ დავუსვი ხელი და დუმები არ ჩამოვგლიჯე იმ ერკემლებსაო“, — ლანძღავდა თავის თავს. მგელი მოზვერთან მივიდა და უთხრა: — მე შენ უნდა შეგჭამო, მომშივდაო. მოზვერმა უთხრა: — კარგი, რაღა ამეცილება, და ერთი ეს სიკეთე მიყავი; საკრავებისა და სიმღერის ხმა ძალიან მიყვარს; მითხრეს, რომ კარგად მღერი, ერთი იმღერე და მერე შემჭამეო! მოზვერი გაუძღვა წინ მგელს, აიყვანა ერთი კლდის წვერზე და დაიწყო მგელმა ყმუილი. უსმინა, უსმინა მოზვერმა, მიეპარა ამოჰკრა რქები და გადააგდო კლდეზე. თვითონ თავს უშველა.

დალეწილ-დამტვრეული მგელი წავიდა და მიეხირა თავის სოროში, დაჯდა სოროს პირზე და დაიწყო თავის თავის ლანძღვა: „რა მრჯიდა, რა ჩემი საქმე იყო სულზე დადგომა; ან რა ნალბანდი ვიყავ, რომ ნალების ყრა დავუწყე ვირს; ან რა მედიატორე ვიყავ; ან რა მომღერალი და მოსაკრავე მე ვიყავ, რომ მოზვერს დავუჯერე და გავყევიო. ახლა რომ კაცი იყოს აქ და ერთი კარგა მიმბერტყოს, რა მადლი იქნებოდაო“.

ერთი მამასახლისი გამოქცეოდა ჩაფრებს და შემძვრალიყო მგლის სოროში. გაიგონა მგლის ნატვრა და ერთი თუ ორი, მოარტყა და მოარტყა; გაიქცა მგელი და თქვა: „ამ ტიალ ქვეყანაში თავის კარზედაც ვერაფერი უთქვამს კაცსაო“.

ეს ზღაპარი მამასახლისმა იმ მგლისაგან გაიგონა, იმან მე მიამბო და მე თქვენ გიამბეთ.

ზღაპარი ღორისა, მისი ხუთი გოჭისა და მგლისა

იყო ერთი ღორი, ჰყავდა ხუთი გოჭი: მშიანა, მცივანა, თბილანა, გვიანა და მაგარა. დედა-ღორი ძალიან ჭკვიანი იყო, მაგრამ არც თუ გოჭები ჰყავდა უგუნურები. თვითონ მინდორში დაიარებოდა, თხრიდა მიწას, პოულობდა და სჭამდა ძირხვენას, მაჩიტას, თეროს ძირს და კიდევ სხვა ბალახის ძირებს, რაც თვითონ უყვარდა. თუ ბალახი იყო ამოსული, თხრით თავს არ იწუხებდა, საქონელივით სძოვდა, თუ სადმე ნაკარტოფილარს შეიგულებდა, სიამოვნებით სჩიჩქნიდა დინგით, პოულობდა კარტოფილს და მადიანად ახრამუნებდა. — რა კეთილია კაცი! — იძახდა ტრუხუნა, — იცის, რომ ასე მიყვარს კარტოფილი და მიწავაშლა და ამიტომ დაუტოვებია მიწაში ამდენიო.

არც დამპალ და ჭიან ხილს იწუნებდა, თუკი შეხვდებოდა სადმე. რაღა გავაგრძელო, სიმინდი და ყანა ხომ სამოთხედ ეჩვენებოდა!

რაკი მადა კარგი ჰქონდა, ჯიქანსაც ძალზე იტენიდა რძითა და გოჭებიც კიტრებივითა ჰყავდა დასუქებული და ჩამრგვალებული. თანაც ხუთიევე გოჭი ძალიან ჭკვიანი და გამგონე იყო.

ერთხელ ღორი მინდორში მიწასა სჩიჩქნიდა. ნაწვერალში თაგვის სორო იპოვა, სულ თავთავებით გაჭედილი. თითო-თითოდ იღებდა გემრიელ ხორბლის თავთავს და მადიანად აკნატუნებდა. ამ დროს თავს წაადგა ერთი მშიერი მგელი ბრიალა თვალებით და კაწკაწა კბილებით. — გამარჯობა, ღორო! — დაიყმუვლა მგელმა, თან უნდოდა თავის ხმისთვის სირბილე და სინაზე მიეცა, მაგრამ მაინც საზარლად და საძაგლად გამოუვიდა.

ამ ხმაზე ღორი შეკრთა, ჯაგარი ყალყზე დაუდგა, მოიხედა, — მგელია, თვალებს აბრიალებს, კბილებს აკაწკაწებს. — რას აკეთებ,

ღორო? რათა სჩიჩქნი მაგ მიწას, რას ეძებ? — დაეკითხა მგელი. — გადღეგრძელოს ღმერთმა, ბატონო! — მიუგო მოწიწებით შიშისაგან მოკუნტულმა ღორმა. — რას ვაკეთებ და აი, აქ თაგვის სორო ვიპოვე, სულ თავთავებით არის გამოტენილი, იმ წყეულ თაგუნას ჩაუზიდავს ზამთრის საზრდოდ, ახლა მე მივაგენ და იმას გიახლები; თუ მიირთმევთ, ბატონო, კაი მსუქან თავთავს აგირჩევთ, იქნება გესიამოვნოთ?!

— რაო? — დაიღრიალა მგელმა, — გინდა ფხები გამეჩაროს ყელში და დამახრჩოს? მე გაყურებინებ შენ სეირსა! შენ ვინ მოგცა ნება, რომ ერთ საწყალ უღონო ცხოველს რის ვაი-ვაგლახით ერთი სორო თავთავი ძლივს მოუგროვებია ზამთრის საზრდოდ, შეუნახავს, შენ კი დასდგომიხარ და მაგრე უსინდისოდ სტვლეპავ? ისინი ზიმშილით უნდა დაიხოცონ, შენ კი შენი შვილები დაასუქო და შენი ნავი მუცელი ამოპყორო?! ამისათვის უნდა შეგეპამო, შე ავაზაკო, შენა! მოინანიე ცოდვები! — ღრიალებდა მგელი.

ღორი მიხვდა, რომ მისი საქმე ძალიან ცუდად იყო, თუ რასმე არ მოახერხებდა. ტყუილად ხომ არ უთქვამთ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“. რა მოვიგონო, როგორ გადვურჩე ამ სულთამხუთავს? — ბუტბუტებდა ტრუხუნა. — დიდებულო ბატონო! — მოახსენა ტრუხუნამ, — თქვენი ნებაა, რასაც მიზამთ თქვენს ფეხთა მტვერსა. ვინ დაგიდგებათ წინ! მაგრამ სანამ შემჭამდეთ, გთხოვთ ერთი სიტყვა მათქმევინოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება. — სთქვი ჩქარა, არ დამაგვიანო! — დაიყმუვლა მგელმა. — მე ძალიან დიდი ხნისა გახლავართ, — სთქვა ტრუხუნამ, — თქვენს მამას პაწაწას მოვესწარი... რა ვაჟკაცი იყო ის სულკურთხეული!.. ასე რომ, აღარც კი მახსოვს, რამდენი წლისა ვარ, ძვლები გამიქვავდა და ტყავი საშინლად გამიმაგრდა; სიმსუქნე რაცა მქონდა, სულ ჩემმა ხუთმა გოჭმა გამომწოვა რძესთან ერთად. ახლა მე რაღა გემო უნდა ჩამატანო? წამობრძანდი ჩვენსა, ხუთი გოჭი მყავს, ერთსა ჰქვიან მშიანა, მეორეს მცივანა, მესამეს თბილანა, მეოთხეს გვიანა და მეხუთეს მაგარა; ხუთივე ისეთი მსუქნებია, რომ სულ ქონი გასდით. მობრძანდი, რომელიც მოგეწონოს, ის წაიყვანე, მერე თუნდაც მეც შემჭამე, მაგრამ იმისთანა გემრიელი და ქორფა გოჭის ხორცის შემდეგ მე რაღა გემოს ჩამატანთ!

მგელი ძალიან დაეფიქრა ხუთი გოჭის ხსენებამ: სად ქორფა გოჭების ხორცი და სად ბებერი ღორისაო! — მაშ, კარგი, — შეჰყმუვლა მგელმა, — ახლა შენ შინ წადი და მეც საღამოზე მოვალ, იცოდე,

თუ მომატყუე, ცუდად იქნება შენი საქმე. — დიდი დღე მოგცეს გამჩენმა, დიდებულო ბატონო, — შესტრუხუნა მოწიწებით ღორმა, — მობრძანდი საღამოზე, ყველანი საღორეში ვიქნებით.

მგელი გზას გაუდგა. საღამოს გემრიელ ვახშამზე ფიქრობდა, თან ტუჩებს ილოკავდა და მსუქანი გოჭების მოგონებაზე ნერწყვსა ჰყლაპავდა.

ღორსაც რაღა დააყენებდა იქა! „ღმერთი არ გაუწყრეს, — ფიქრობდა ღორი, — არ იფიქროს, რომ დღევანდელი კვერცხი სჯობია ხვალინდელ ქათამსაო, არ მობრუნდეს და არ გამომფაშვოს, წავიდე მივეპატრონო ჩემს შვილებს. ვნახოთ, რას წაიღებს ჩემგანო!“

ღორი დაბრუნდა შვილებთან, უამბო მათ რაც გადახდა, და დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ, ან რა უნდა ეთქვათ, მგელი რომ მოვიდოდა და მოითხოვდა კარების გაღებას. მაგრა დაკეტა ღორმა საღორის კარი, დააწვინა შვილები და თვითონაც საღორის კართან დაწვა. ძილით კი რა დააძინებს, მგელს ელის!

კარგა რომ ჩამობნელდა, მოვიდა მგელი და საღორის კარზე დააკაკუნა. — ვინა ხარ? — იკითხა ღორმა, თითქო აქ არაფერიაო. — რაღა დროს სტუმრობაა, ამ დროს ყველა თავის ბინაზე არის! — მე ვარ, გააღე, ღორო, კარი, — შეჰყმუვლა მგელმა. — ღორიც ხარ და არც არა იცი რა, — გასძახა ღორმა. — დაიკარგე მანდედან! რაკი ღორმა ასეთი პასუხი მისცა, მგელმა ახლა მშიანას დაუძახა: — მშიანა, კარი გამიღე! — მაგრამ მშიანა დედისგან როგორც იყო დარიგებული, ისე მოიქცა. — ჯერა მშია, ძუძუსა ვწოვ, შენთვის არა მცალიაო, — გასძახა მშიანამ. — მცივანა, კარი გამიღე! — შესძახა მგელმა მცივანას, რაკი მშიანასაგან ისეთი პასუხი მიიღო. — მცივა, — გასძახა მცივანამ, — რა კარის გასაღებად მცხელა! — თბილანა, კარი გამიღე! — შეჰყმუვლა მგელმა თბილანას. — შენ საქმე გამოგლეკია, ძლივს თბილად ჩავწექ, შენი გულისთვის ახლა გვერდებს გავიცივებ? — გასძახა თბილანამ.— გვიანა კარი გამიღე! — შესძახა ახლა მგელმა გვიანას.—გვიან გეღირსება კარის გაღება, შე სისხლის მსმელო, შენა! დაიკარგე მანდედან! — გამოსჭყვიტინა გვიანამ.

რაკი კარი არავინ გაუღო, მგელი საშინლად გაბრაზდა. მაინც კიდევ სცადა და მაგარას დაუძახა: — მაგარავ, კარი გამიღე! — მაგრაა დაკეტილი, არ გაიღება! — გამოსძახა მაგარამ. — სჯობია, საიდანაც მოთრეულხარ, იქვე მიბრძანდე; ვინ იქნება სულელი, რომ შენ კარი გაგიღოს! გასწი, დაიკარგე მანდედან!

საშინლად გაბრაზდა მგელი, სულ ცოფსა ჰყრიდა. — დაიცათ,

თუ სულ არ დაგყლაპოთ, თქვე უმსგავსოებო, თქვენა! კარი გამიღეთ, — ყმუოდა მგელი, მაგრამ კარს მაინც არავინ უღებდა.

იდგა დიდხანს მგელი, ან ახლა გამიღებენ კარს, ან ახლაო. ვერე თვითონაც სცადა კარის გაღება, მაგრამ მართლაც ძალიან მაგრად აღმოჩნდა დაკეტილი. მეტი ღონე არ იყო, ცარიელი მუცლით უნდა წათრეულიყო თავის სოროსაკენ მოსისხლე მგელი.

ასე გადაურჩა ღორი მგლის კბილებს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე,
წამოვიდა გორებითა, —
აივსენით ქონებითა,
ჭკუითა და გონებითა.

მელია-მსაჯული

ერთი მაიმუნი უთავბოლოდ დაბრატუნებდა, საცა რა ჰგონია, ცხვირს წაჰყოფდა და ყველაფერს სუნავდა, სჩხრეკდა. ერთ ალაგას აკოკოლავებული ქვები დაინახა და თვალები დააჭყიტა — ცნობისმოყვარეობა აღეძრა: „რა განძია აქ დაფლული, თუ არ ვნახე, არ შეიძლებაო," — იფიქრა და ქვები გადმოალაგა. ვნახოთ, მიწაში დიდი ხვრელი გამოჩნდა და ახლა იქ ჩატანტლა დაუდეგარი თათი, — ეგება სასუსნავს რასმე წავაწყდეო. უცებ ხვრელიდან, ჯვარი აქაურობას, უშველებელი გველი ამოძვრა, ვინ იცის, ვისგან და რა მიზეზით ჩაქოლილი!

ჯურღმულიდან განთავისუფლებისათვის მადლობის გადახდის მაგივრად, გველი წაეტანა მაიმუნს შხამმორეული სისინით და ჩანთქმა დაუპირა. — არა, შე ოხერო ჩემო თავო, რა ერბოს ქილები გეგულებოდა ჩაფლული ამ ოხერ ადგილას, რომ ასე გულმოდგინედ ეძებდიო, — უსაყვედურა თავის თავს მაიმუნმა, მერე მიუბრუნდა გველს ცახცახ-კანკალით და შეეკითხა: — მომიტევე შეცოდებანი ჩემნი, ღირსეულო, პატივცემულო, ბატონო გველვეშაპო! რომ მცოდნოდა თქვენი აქ სუფევა, ღმერთი ისე როგორ გამიწყრებოდა, რომ სიახლოვეს მოგეკარებოდიო!

მაგრამ გველი მაშ რის გველია, თუ დანდობა და შებრალება ეცოდინება?! — როგორ?! მაგეთი უზრდელობისა და თავხედობის გამოსყიდვა. როგორც ჩემი ძილისა და მოსვენების დაფრთხობაა, მარტო სიკვდილით თუ შეგიძლია, სხვით ვერაფრით, — დაუსისინა გველმა და უფრო მიუახლოვდა.

ამ დროს, შორიახლოს, შეზარხოშებული მელია ღიღინით მოცუნცულებდა და თან ტუჩებს ილოკავდა. მაიმუნს მელიის ოინბაზობა გაგონილი ჰქონდა და გველს მოახსენა: — ბატონო ჩემო, აგერა ღვთისნიერი ადამიანი მოდის და, თუ უკაცრავად არ გახლავართ, მოვიწვიოთ ჩვენი საქმის გასარჩევად. — კეთილი და პატიოსანი! მაგრამ შეგრცხვება მერე, რომ იმანაც იგივე გადაგიწყვიტოს, რასაც მე გიპირებო? — უთხრა გველმა, რადგან დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში.

შეაჩერეს მელია და ყოველივე დალაგებით მოახსენა ერთმაცა და მეორემაც. — ბატონებო, მე აგრე უმოწმოდ და უსაბუთოდ თქვენი საქმისას ვერას გავიგებ და მართებულად ვერ გაგასამართლებთ, თუ ჩემი საკუთარი თვალით არ დავინახე, რა მდგომარეობამ და მოქმედებამ გამოიწვია თქვენ შორის ეს აურზაური და შურისძიება. ამისათვის საჭიროა, რომ მომჩივანი ცოტა ხანს ისევ თავის ხვრელში შებრძანდეს, ხოლო მოპასუხე გაისარჯოს და ეს ქვები როგორც აალაგა, ისევ ისე დაალაგოს წყობისად თავ-თავის ალაგასაო.

გველს დიდად მოეწონა მსაჯულის ასეთი კეთილგონიერება, საქმის საფუძვლიანად გარჩევა და პირწყლიანობა; არხეინად ჩაპყო ბოლო ხვრელში და ნელ-ნელა ჩაიკეცა გორგალივით.

მელიამ ამ დროს მაიმუნს თვალი ჩაუკრა: — ახლა შენ იცი და შენმა ხელოსნობამაო! მაიმუნი დაფაცურდა და გველს ჯერ თავიც არ ჩაემალა ხვრელში, რომ მიაგორა ქვა და ლოდი და თვალის დახამხამების უმალ ამოჰქოლა მაგრად.

შექეიფიანებულ მელიას მუცელი ხელით ეჭირა და იცინოდა. იჭაჭებოდა სიცილით ისე, რომ თვალთაგან ცრემლები გადმოსდიოდა. — აჰა, ბატონო ქვეწარმავალო, გათავდა თქვენი გასამართლება: ვინაიდან შენ უკმაყოფილებას აცხადებდი იმაზე, რომ მაიმუნმა სიტუტუცით ქვები მოგაშორა თავიდან და, მართალია, ძილი დაგიფრთხო, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფლება მოგანიჭა, აწი მან, მართლაც ტუტუცმა, თავისი შეცდომა გაასწორა, და ისევ ისე შეგიძლია მიეცე ტკბილ ძილს მაგ ბნელ ხვრელში, რამდენი ხანიც გნებავსო! —

ჩასძახა მელამ გველს, გამოემშვიდობა მაიმუნს და თავის სოროსკენ გასწია მცირე ხანს თვალის მოსატყუებლად.

სიხარულით აღფრთოვანებულმა მაიმუნმა თავის ბინისკენ მოჰკურცხლა, მაგრამ მას აქეთ შიშით გულის ფრიალი დასჩემდა საცოდავს!

ლომის ერთგულება

ერთი ტუსაღი ციხიდან გამოიქცა და მთაში იმალებოდა. აქა-იქ ხეტიალში ნახა გამოქვაბული კლდე და შეეფარა: ავდარ-წვიმაში სისველისგან მაინც გადავრჩებიო. საღამოჟამდებოდა. დაინახა უზარმაზარი ლომი. ტუსაღი მიხვდა, რომ ლომის ბუნაგში იყო. შიშმა აიტანა, რაღა ექნა, სადღა გაეკცეოდა!

ლომი ხინკილ-კოჭლობით მიუახლოვდა ბუნაგს. დაინახა შეშინებული კაცი, გაიშვირა ფეხი კაცისკენ. კაცი მიხვდა, ლომი საშიში არ იყო. მივიდა, ფეხი გაუსინჯა. ნახა: დასიებოდა და ეკალი შერჭობოდა; ამოიღო, ჩირქი გამოწურა, თავისი პერანგის სახელო მოხია, შეუხვია და იმ დღიდან დამეგობრდნენ. ლომს ისე შეუყვარდა კაცი, რომ ყოველთვის საზრდოს უზიდავდა მას. ასე ატარებდნენ დროს.

იმ სახელმწიფოში დამნაშავე კაცს ლომებით სჯიდნენ. ამ სასჯელისთვის ეძებდნენ ტუსაღს. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მიაგნეს. ლომი და კაცი ერთად დაიჭირეს და უკვირდათ მათი მეგობრობა. ტუსაღი ცალკე დაამწყვდიეს, ლომი ლომებთან შეიყვანეს.

ერთ დღეს მეფე-დედოფალი და რჩეულნი პირნი შეიკრიბნენ დროს გასატარებლად და მეფემ ბრძანა, ტუსაღი ლომებისთვის შეებრძოლებინათ. ტუსაღს ხუთი ლომი მიუსიეს. ერთი ყველაზე დიდი და ღონიერი ლომი დანარჩენებს გადაეღობა და დაუწყო ჩხუბი, ტუსაღთან არ უშვებდა. ხან ერთს წააქცევდა, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხეს. ამან მეფე-დედოფალ-მაყურებელთა შორის განცვიფრება გამოიწვია. მიიყვანეს ტუსაღი და ჰკითხეს, თუ რას ნიშნავდა თავგანწირული მოსარჩლეობა. ტუსაღმა უამბო მეგობრობა ლომთან: რა დღიდან, რა საბუთით დაამხანაგდნენ. მეფემ მოიწონა ლომის გონიერება და ტუსაღი და ლომი გაათავისუფლა.

კატის მოსარჩლე ვეფხი

სოფლის განაპირა ახოში ერთი გლეხი მიწას ხნავდა და გუთნეულ საქონელს კატაც თან წამოპყოლოდა. როცა გაცხარებული ხვნა დაიწყო, კატა ტყის ნაპირას პეპლებსა და კალიებზე ნადირობდა. ამ დროს ვეფხმა ჩამოირბინა. კატა რომ დაინახა, სახტად დარჩა. ძალიან გაიკვირვა და ჰკითხა: — ძამიავ, შენ, როგორც გეტყობა, ჩვენი ჯიშისა ხარ და რა ცოდვისა გწევია, რამ დაგგვალაო?

ეშმაკმა კატამ თავი მოიკატუნა და უპასუხა: — ჰმ, დიდებულო ბატონო, ნადირთ მეფევ, თქვენ არ იცით, რა წვასა და დაგვაში ვართ კაცის ხელშიო. — მერედა ვინ არის ის კაცი, აგრე უდიერად რომ გეპყრობა და დაუჩაგრიხარო. მაჩვენე შენი დამჩაგვრელი და შენს მაგივრად გავუსწორდებიო, — უთხრა ვეფხმა.

კატა გაუძღვა ვეფხს და დაანახვა მას გლეხი კაცი, რომელიც გუთანს მისდევდა. ვეფხმა მიმართა კაცს და საყვედურის კილოთი უთხრა: — შენ ეს ჩემი მოდგმის კაცი რათ დაგიჩაგრია ასე, რომ ტანი ველარ აუყრია, ან ისეთი რა დაგიშავა ამ საცოდავმაო? ამის გულისათვის უნდა შეგებრძოლოო. — ბატონი ხარო, — უპასუხა გლეხმა, — მე ძალა სახლში დამრჩაო, ჩავალ, ამოვიტან და მაშინ ვიბრძოლოთო. — კარგიო, — სთქვა ვეფხმა, — წადი და მე აქ დაგიცდიო.— რომ მომატყუო, წახვიდე სადმე და მე ტყუილად სოფელში წასვლა შემრჩესო? — უთხრა გლეხმა, — აი, ამ ხეზე თოკით მიგაბამ, სოფელში ჩავირბენ და ჩვენი ძალ-ღონე მაშინ გავსინჯოთო. — კარგიო! — უპასუხა ვეფხმა. გლეხმა მაგარი საბლით მიაბა ვეფხი ხეზე, თვითონ იქვე ტყეში კარგი იფნის სახრე გამოსჭრა, მივიდა ვეფხთან და უთხრა:

— აი, ჩემი ძალაო! — და ისეთები გადაუჭირა სახრით, რომ მთლად გვერდების კანი აუწვა. ვეფხი სიმწრით სულ მაღლა-მაღლა ხტოდა და იმისი საცოდაობით ცა და ქვეყანა იწეოდა. იმდენი ხანი სცემა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით. როდესაც გლეხმა ცემით კარგად მიბნიდა, აუშვა ვეფხი და უთხრა: — არამკითხე მიამბეო, მიბერტყე და მიაგდეო! წადი, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვიო!

ვეფხი ლასლასით გაუდგა თავის გზას და უკანა ფეხებს ძლივს მიათრევდა. ამ დროს კატას თვალი მოჰკრა, ამოიოხრა და კვნესით უთხრა: — ბარაქალა, ჩემო ძამიავ, რომ მაგისთანა მხეცის ხელში კიდევ ეგ ტანი შეგრჩენიაო!

მელიას ეშმაკობა

მელიამ ნაფეტვარზე გაიარა, ნახა, რომ ბევრი თავთავი ეყარა ტყუილად. იფიქრა: „ამ თავთავებით ბევრ ზიანს ვიზამო". დაჯდა და დაიწყო თავთავების კრეფა. აკრიფა ერთი კონა, ამოიღლიავა და გაუდგა გზას.

გზაზე დაუღამდა. მივიდა ერთი სახლის კარებთან და შესძახა: — არ დამაყენებთო? — დაგაყენებთო, — უპასუხეს. მელიამ მიაბარა თავთავების კონა და უთხრა, საქათმეში შეიტანეთო. მელოს თავთავები შეიტანეს საქათმეში და დადვეს ისე, რომ ქათმებს არ გამოეჩურჩა. შუაღამისას, როცა ყველას ეძინა, ადგა მელია, აიღო თავთავები და ერთ დიდ წითელ მამალს დაუდო ცხვირწინ. მეორე დღეს მოსთხოვა მასპინძელს მინაბარები. შევიდა მასპინძელი და მელოს გამოკენკილი თავთავები კი გამოუტანა. მელიამ ტირილი დაიწყო: ძაგის მეტი არაფერი მებადა და ეგეც თქვენმა მამალმა შეჭიკამაო. მასპინძელმა ჰკითხა: — რა გიყო ახლა, მელიავ, რაღა ეშველებაო შენს თავთავებსო? — ან უნდა მომიტანოთ ჩემი თავთავები, ან არადა ის მამალი მომცეთო. რას იზამდა მასპინძელი? აიღო და მისცა მამალი. აიყვანა მელიამ და გასწია თავის გზაზე.

ბევრი იარა, თუ ცოტა, დაუღამდა მელიას. გზაზე ერთ მეცხვარესთან დადგა, მიაბარა მამალი და უთხრა: ეგ მამალი არ მომიკლათ, თორემ ცხვარს წაგართმევთო. კარგიო, — უთხრეს მელიას.

ღამე ადგა მელია, აიყვანა მამალი და ერთ ერკემალს რქებზე ჩამოაცვა. მეორე დღეს მელიამ მამალი მოითხოვა: უნდა წავიდეო. შევიდნენ, ნახეს, მამალი ერკემალს კი ჰყავს ჩამოცმული რქებზე. მელიამ ისევ ტირილი დაიწყო განგებ: ეგ ერთი მამალი მყავდა, დილით ეგ მაღვიძებდა და ახლა კი დავრჩი ცარიელიო. მისცეს მელიას ერკემალი და გაისტუმრეს.

გახარებულმა მელიამ გასწია თავის გზაზე. მიდის და მიიმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლადა.
მამალი ერკემალადა!

დაუღამდა მელიას. დადგა ერთ გლეხთან. ერკემალი მიაბარა და უთხრა: არამც და არამც ეგ ერკემალი ხარებს არ მომიკვლევინოთ, თორემ დამღუპავთ და იმ ერკემლის მომკვლელ ხარს წაგართმევო. ერკემალი შეიყვანეს და დააბეს ხარებთან ცალკე. ღამე ადგა მელია, აიღო ერკემალი და ჩამოაცვა რქებზე ერთს დიდ ხარს. მეორე დღეს

წაართვა მასპინძელს ერკემლის მომკვლელი ხარი და გაიგდო წინ სიხარულით.

გზაზე დაუღამდა, მაგრამ სახლში არავინ შეუშვა. ბოლოს ერთ ქვრივთან მივიდა და სთხოვა: ხარი მყავ, მეშინია, მგელმა არ შემიჭამოს, ბოსელში დამაბმევინეთ, მე კი კარებზე დავწვები და ვუყარაულებ ჩემს ხარსაო. ღამე ადგა მელია, გამოსჭრა ხარს ყელი და ბებრის უმცროს ქალს ჩაუდო დანა ჯიბეში. მეორე დღეს მოითხოვა ხარი, უნდა წავიდეო. ნახეს, ხარი მკვდარია. შეწუხდა სახლის პატრონი. ვითომ შეწუხდა მელიაც. მელიამ უთხრა: ვინც ის ხარი დაკლა, ის უნდა წავიყვანოო. დებმა უარი სთქვეს: ჩვენ არ დაგვიკლავსო. მაშ, ვისაც სისხლიანი დანა ჰქონდეს, ის არის დამკვლელიო. გაუსინჯეს ჯიბეები და სისხლიანი დანა უმცროს დას უნახეს. წამოიყვანა ქალი მელიამ, ჩაისვა გუდაში, მოიკიდა ზურგზე, მიდის და მიიმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი ერკემალადა,
ერკემალაი ხარადა,
ხარაი ლამაზ ქალადა!

გზაზე მხვნელ-მთესველებს შეხვდა. მათ დაუძახეს: — დაისვენე, მელიავ, პური ჭამეო! დაისვენა მელიამ. მისცეს ერთი ცხრილი და უთხრეს: წადი, სანამ ჩვენ სამხარს მოვამზადებდეთ, წყალი ამოგვიტანეო. წავიდა მელია, ავსებს წყალს, მაგრამ ცხრილი რას დაიჭერდა! სანამ მელია წყაროზე იყო, მხვნელებმა მოხსნეს გუდას პირი, ამოიყვანეს ქალი და იმის მაგიერ ერთი ძაღლი ჩაუსვეს, ჩაუდეს პური, რომ გაჩუმებულიყო, და მოუკრეს ისევ პირი. მელია მოვიდა მხვნელებთან და უთხრა: ახლა კი წავალ, გამიშვითო. მხვნელებმა გაისტუმრეს მელია.

მიდის მელია და მიიმღერის ისევ წინანდებურად. გაათავა ძაღლმაც პური გუდაში და დაუწყო ფხაკუნი ხმელ გუდას. მელიას ჰგონია — ქალიაო და ეუბნება: რა არი, ქალო, რა გაწუხებს? თუ გწყურია, დალიე, ამოგიყვანო... მაინც არაფერი შეისმინა მელიისა ქალმა, ისევ აფხაკუნებდა გუდას. ბოლოს მოვიდა მელია თავის სოროში. მოხსნა პირი გუდას, ამოვარდა გუდიდან ძაღლი, გაიგდო მელია და გააძრო ქურქი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

გლეხი, დათვი და მელია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. მას ცოლის მეტი არავინა ჰყავდა. ერთხელ გლეხი ყანაში სამუშაოდ წავიდა. გზაზე პანტის ძირში დათვი ნახა. დათვს იმდენი პანტა ეჭამა, რომ იქვე ხის ძირში გორავდა და ვეღარ მოენელებინა. ეს რომ ნახა, გლეხს სიცილი წასკდა. დათვმა უთხრა: არავისთან გამამხილო, თორემ შეგჭამო. გლეხმა უპასუხა, არავისთან არ გაგამხელო.

როცა გლეხი შინისაკენ წამოვიდა, დათვიც ადგა და ჩუმად უკან გამოედევნა. გლეხი რომ შინ მივიდა, დათვი სახლის ყურეს ამოეტუზა და ლაპარაკს ყური დაუგდო. გლეხი მოუყვა ცოლს დათვის ამბავს. დათვმა ყველაფერი გაიგონა და გამობრუნდა. წავიდა გლეხის ყანაში და ჩაწვა. მეორე დღეს გლეხი ისევ წავიდა ყანაში სამუშაოდ. იქ დაწოლილი დათვი რომ დაინახა, შეშინდა. წამოდგა დათვი და შესძახა:

ადრე გამოხნავ — ადრე გამოგხრავ,
გვიან გამოხნავ — გვიან გამოგხრავ.

გლეხი შეშინდა. გამოვიდა გზაზე და დაღონებული დაჯდა. შუადღეზე ცოლმა სადილი მოუტანა: ერთი კარგად შემწვარი დედალი, სამი ხაჭაპური და ერთი ბოთლი ღვინო. გლეხმა უთხრა ცოლს: რა მესადილება, ქალო, დათვი ყანაში ჩაწოლილა და ასე ეუბნება:

ადრე გამოხნავ — ადრე გამოგხრავ,
გვიან გამოხნავ — გვიან გამოგხრავო.

ცოლმა უთხრა: შენ რა დაუშავე მაგის ფასიო? — წუხელის რომ ამბები გითხარი, იმისთვის მექადნებაო. ამ დროს სად იყო და სად არა, გაჩნდა მელია. გლეხი რომ შეწუხებული ნახა, ჰკითხა: — რამ დაგაღონაო? — როგორ რამ დამაღონა, აგერ ყანაში დათვი წევს და შეჭმას მიპირებსო. მაშინ მელიამ უთხრა: — თუ მაგ ქათამს და ხაჭაპურებს მე მაჭმევ, გიშველიო! გლეხმა მიუგო: — ოღონდ კი მიშველე და ღვინოც შენი ფეშქაში იყოსო!

დაჯდა მელია და შეექცა გემრიელ საჭმელს. როცა გაათავა, გლეხს უთხრა: — შენ წადი და დათვის ახლოს დაიწყე ხვნა, მე გავალ პატარა სერზე და იქიდან დაგიძახებო; შენ კი მაგიერი პასუხი გამეციო.

გლეხმა ხვნა დაიწყო. მელია გორაზე გავიდა და იქიდან გადმოსძახა:

— კაცო, შენ ჰეი! — რა იყო, რა! — სამი წლის დათვის კვალი ხომ არ გინახავს, ხელმწიფე მოდის თავისი ჯარით და მისი ნახვა უნდაო. დათვი შეეხვეწა გლეხს: — არ მინახავს, ასე უთხარიო. — არა, არ მინახავს! — მაშ, ეგ რა არის?

გლეხი დაეკითხა დათვს, რა ვუპასუხო. დათვმა უთხრა: ჯირკიაო. — ეს ჯირკია, ჯირკი! — თუ ჯირკია, ურემზე დაუდეეიო! დათვი შეგორდა ურემზე. მელიამ გამოსძახა: — აბა, დააკარი ჯირკი ურემზეო! გლეხმა დათვი ურემზე თოკით დააკრა. მელიამ დაიძახა:

— აბა, უცულისყუეო!— გლეხმა დასცხო ცული დათვს და მოკლა. მელიამ და გლეხმა ბევრი იცინეს. გლეხმა დათვის ხორცი ხორცად გაყიდა, ქონი ეონად მოიხმარა და ტყავი ტყავად.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ცხოველთა ნადი

იყო ერთი ღარიბი ჯაჯია. პურის დროს პური არ ჰქონდა და სიმინდის დროს სიმინდი. სარჩო შემოაკლდა, შემოელია. ღუკმა პური აღარა აქვს, დაფქული ფერფლი არ გააჩნია, გაკვნეტა სიმინდი არსად ეგულება. ნდობით არავინ ენდობა, საყიდელს ვერ იშოვის და სასესხებელს. უნდა მოკვდეს, ამოწყდეს ასე შიმშილით? — არა, თუ არაფერი მოვიგონე, ცუდად არის ჩემი საქმეო! — თქვა და მოიწია ნადი. ჯერ თაგვთან მიეიდა და უთხრა: — ხვალისთვის ნადი მაქვს, მუშა მყავს; საწყალი კაცი ვარ, მომეხმარე და, ჩემო ცუცუნია, ერთი ჯამი ფეტვი შემომაწიეო! მერე კატას ჩამოუარა და: — შენც ერთი ჯამი ღომი შემაწიე და კაი საუზმეს დაგახვედრებო! მელიას უთხრა: — შენ ერთი ჯამი სიმინდი შემომაწიეო! მგელს: ერთი ჯამი პურიო! დათვს: სახორცეო! და ამნაირად, ჩამოუარა ყველას და სათითაოდ დაპატიჟა: — თქვენ მეწვიეთ ოღონდ და მასპინძლობა ჩემს კისერზე იყოსო! ესენიც შეპირდნენ.

მეორე დღეს, ინათლა თუ არა, მოცუცუნდა თაგვი და ერთი ჯამი ფეტვი მოიტანა. ჯაჯიამ ჩამოართვა და ცეცხლიპირს მისცა ბინა. — აქ დაბრძანდიო! ისიც, ცეცხლიპირს წამოსკუპდა. სადაც არი და მოდის კატა, მოაქვს ღომი. ჯაჯია შემოეგება სიცილით, ჩამოართვა მოსაკითხი და ასე უთხრა: — მადლობელი ვარ. მაგრამ ხელცარიელი არც მე დაგხვედრივარ, მეც კაი საუზმე დაგახვედრეო! შინ მიბრძანდ-

დიო. კატაც შევიდა. სწვდა თაგვს და გემრიელად ჩაახრამუნა, თვითონ კი მის ალაგას წამოცუცქდა. სადაც არი და მოცუნცულობს მელია. ჯაჯია შემოეგება გულმხიარულად, შესაწევარი ჩამოართვა და ამასაც საუზმედ კატა მიუძღვნა. მელა ეცა კატას და რაც მან თაგვს დამართა, ახლა ის ამას მელამ უყო. სადაც არი და მოძუნძულდა მგელი. ჯაჯია გამოეგება, ჩამოართვა ძღვენი და მელიის ძვირი მიუტანა: ის შენსას ამბობს, არ ვიცი, თუ შენ ის მოითმინე, აფერუმ მართლა შენს მოთმენას, კაი მოსათმენი მოგითმენიაო; შენსას რაც ის ლაპარაკობს, კაცის ყურში რავა გაიგონებაო! მგელმა გულმოსულობით კბილები დაახრჭიალა, შევარდა სახლში და ეკრუზა. მელა კერდღლის ბოცორივით მოიკუნტა. მაგრამ მგელმა ბევრი აღარ აცალა და გამოუყვანა წირვა მტერსა და ავს. დაჯდა და მიეფიცხა ცეცხლს. სად არი, სად არა, მოიპარება დათვი, მოყავს ერთი კაი ნებიერი. ჯაჯია შემოეგება უცბად. ეს ჩამოართვა და დათვს მიაძახა: — მგელი შენ გეჩემება, არ ვიცი, თუ იმას ცოცხალი გადურჩი. შენ რო გულფიცხი ხარ, არ ვიცი, თუ იმას მოითმენ.

— სად არი მგელიო? შენ რა იციო? — იკითხა დათვმა. — ეგერ მყავს სახლში დამწყვდეული; მეშინია, მართლა არაფერი შეგამთხვიოსო!

— მანახე, მაჩვენე, სად არის და იმას მე ვაჩვენებ თავის თამაშსო!—დაიღრიალა დათვმა და კარებს მიაშურა. ჯაჯიაც შეუძღვა შინ. მგელი არხეინად არი ცეცხლზე მიფიცხებული. რომ დაინახა დათვი, აიგრუზა, აიძურწა და სხვებზე ნაკლები დღე აღარც იმას დადგომია. გაქცევის ღონე აღარა ჰქონდა და ისიც დათვის წერა გახდა. წვდა დათვი, დატორა, დაბელა ზურგულად. დარჩა დათვი. ახლა ამას უნდა მოუხერხოს რამე, სხვას ყველას იოლად მორჩა, თავად ხელის განძრევა არ დასჭირვებია, ისე ამოახოცია, ამოაჟლეტია ერთმანეთი სათითაოდ. ამას კი თავად უნდა გაუსწორდეს. უნდა უხიმინაოს რამე, მეტი ჯანი არ არის, არადა პირისპირ რას გაიწყობს მასთან! წაიყვანა ტყეში ვითომ ხის საჩეხად. დათვი ხეზე შეგზავნა, თვითონ ძირს დადგა და კაი ალესილი ცული დაიკავა ხელში.

— ნედლს ფეხი დაადგი და ხმელი მოსწიეო! დათვიც წვეროში მოექცა ხეს. დაუჯერა ჯაჯიას. ნედლზე შედგა. უკანა ფეხებით და წინა ფეხებით კი ხმელს მოსწია. ხმელი ხელში შერჩა, ნედლზე აუსხლტა ფეხი და წამოვიდა თავდაყირა ძირს. ჯაჯიამ ცული მოუმართა და ძირს დავარდნაც არ აცალა, შუბლში სთუქა შენს დათვს. დაუშინა და ისიც სხვებს გაუყენა საიქიოს. დათვი მოკლა და თვითონ გამარჯვებული დაბრუნდა შინ. ასე, ამნაირად, მოხერხებით ჩვენმა ჯაჯიამ მტრებიც მოიშორა და ორიოდე დღის სარჩოც შეაგროვა.

იერუსალიმს მიმავალი მელია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი, იყო ერთი მელია. იარა, იარა და შეხვდა ერთ მამალსა. — გამარჯობა, მამალო! — გაგიმარჯოს, მელია! — სად მიდიხარ, მამალო? — არსად. ჩემს პატრონს ორმოც-ორმოცი დედალი ჰყავს, ჩემს მეტი მამალი არ ურევია. ჩემი პატრონი იძახის: „ეს მამალი დაბერდა, რიგიანად ვეღარ დადის, უნდა დავკლაო". გამოვიპარე, მინდვრად უნდა ვიცხოვრო. შენ სადღა მიდიხარ, მელავ? — მე იერუსალიმს მივდივარ, სული უნდა ვიცხონოო. — მეც შენი ამხანაგი ვიქნებიო. — კარგიო, — უპასუხა მელიამ.

წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ბატსა. — გამარჯობა, ბატო! — გაგიმარჯოთ, მელავ და მამალო! — სად მიდიხარ, ბატო? რა გაგჭირვებია? — ეჰ! რა სად მივდივარ? ჩემს პატრონს ათითორმეტი ჭუკი გავუზარდე. თითქმის ჩემი ტოლები გავხადე, ახლა იძახის: „ეს ჭუკები შევინახოთ და ეს ბატი კი დავკლათ, დაბერდაო". ავდექი და გამოვიპარე; მინდვრად უნდა ვიცხოვროო, — მიუგო ბატმა.

მელიამ უთხრა: — იერუსალიმს მივდივართ და მოდი, შენც ჩვენი ამხანაგი იყავიო. — ძალიან კარგიო.

წავიდნენ სამივენი. ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდნენ ძერასა. — გამარჯობა, ძერავ! — გაგიმარჯოთ, მელიავ, მამალო და ბატო! სად მიდიხართო? — იერუსალიმს მივდივართ, სული უნდა ვიცხონოთო. — მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო.

წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ოფოფსა. — გამარჯობა, ოფოფ! — გაგიმარჯოს, მელიავ, მამალო, ბატო და ძერავ! — სად მიდიხართო? — იერუსალიმს, სული უნდა ვიცხონოთო. — მეც თქვენი ამხანაგი ვიქნებიო. — ძალიან კარგიო.

წავიდნენ. იარეს, იარეს და მივიდნენ მელიის სოროსთან. — აი, მოვედით იერუსალიმსა, მობრძანდითო. ისინი რომ სოროში შევიდნენ, თვითონ კარში ჩადგა და უთხრა: — მამალო, აქ უნდა ვილოცოთ და სული ვიცხონოთო. მამალმა სიხარულით ყვირილი მორთო. მელამ უთხრა: — შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, შუაღამისას ყივილს დაიწყებ, მე რომ საქათმესთან მოვალ, შენ ხალხს აღვიძებ და პირცარიელას მტოვებო? — მოაგლიჯა თავი და დადო ძირსა.

მერე დაუძახა ბატსა. — მოდი, ბატო, აქაო. მივიდა ბატიც.

— შენ ვინ მოგცა იმდენი ნება,—უთხრა მელიამ,—შუაღამე რომ გადავა, შენ საათობით დაიწყებ ყიყინსა და ხალხს აგებინებ, მე რომ საქათმესთან მოვალ და პირცარიელს მტოვებო? — მოაგლიჯა თავი და დადო ძირსა.

ძერას უთხრა:— მობრძანდი აქაო. მივიდა ძერა.— შენ ვინ მოგცა იმდენი ნება, — უთხრა მელამ, — ერთი საწყალი დედაკაცი ერთორ წიწილას ძლივს გამოზრდის, მიხვალ და მოსტაცებ, მე კი ხელცარიელს მიშვებო? — მოაგლიჯა თავი და დადო ძირსა.

დაუძახა ოფოფსა. ოფოფმა უთხრა:—ოღონდ კი ნუ შემჭამ, ჩემი შეჭმა აბა, რა გაგიხდება, და ერთს კარგად გაგაძღობ, კარგად გაცინებ და ისე გარბენინებ, რომ შენ დღეში ისე სწრაფად არ გაქცეულიყოო. — ძალიან კარგიო.

გამოუძღვა ოფოფი. ატარა, ატარა. ერთ დედაკაცს გუთანზე საღილი მიჰქონდა. ოფოფი მივიდა და დედაკაცს წინ დაუჯდა. დედაკაცმა თქვა: — თუ ეს ოფოფი არ დავიჭირე და ჩემი გოგოები არ გავახარე, არ იქნებაო. ჯერი ძირს დადგა და თვითონ ოფოფს გამოუდგა. ოფოფი ნელ-ნელა დაფრინავდა და დედაკაცი კარგა შორს გაიტყუა. მელა მივიდა, გადააბრუნა ქოთანი და ერთი ღონიერად მიაძღა. დედაკაცი მოვიდა, ნახა ცარიელი ქოთანი, თავსა და პირში წაიშინა. — უი, დამიდგეს თვალები, ახლა რაღა ვქნაო! — გაძეხ, მელავ, თუ არაო?— ჰკითხა ოფოფმა. — ოჰ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ისე გავძეხ, რომ თავის დღეში ასე არ გავმძღარვარო.

— მაშ, მოდი, ახლა ერთი კარგა გაცინებო. ოფოფი გაუძღვა მელასა და ერთ საყდართან მიიყვანა. საყდართან ორი ბერი დგას, ორივეს ჯოხები უჭირავს. ოფოფი მოფრინდა და ერთ ბერს თავზე დააჯდა, მეორე ბერი გაცეცხლდა: „ოი, შე წყეულო და შეჩვენებულო!“ დაუქნია ჯოხი, ოფოფი უნდა მოეკლა. ოფოფი აფრინდა და ჯოხი კი ბერს მოხვდა თავში და გაუხლიჩა. ოფოფი ახლა იმ ბერს დააჯდა თავზე. გაჯავრებულმა თავგატეხილმა ბერმა მოუქნია ოფოფს ჯოხი, უნდა მოეკლა, ოფოფი აფრინდა და ჯოხი კი თავის ამხანაგ ბერს მოსდო და თავი შუაზე გაუხლიჩა.

მელია კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. — ხომ კარგად იცინე, მელავ? — ჰკითხა ოფოფმა. — უჰ, შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მიცინიაო. — ეს, ხომ გაცინე, მელიავ, და სირბილიც მალე იქნებაო.

წაიყვანა მელა და ერთი ძეძვის ქვეშ დასვა: აქ მოიცადეო. წამო-

ვიდა ოფოფი. მონადირეები მწევრებით კურდღელაობდნენ. — აქ წამოდით, მე გასწავლით კაი ნადირსაო, — უთხრა ოფოფმა.

გაუძღვა მათ და მელიას ზედ წააყენა. — აბა, მელიავ, ახლა გაქცევის დროც მოვიდა, ადექი, რაღას ზიხარო?

მელიამ გაალმასებული მწევრები რომ დაინახა, ზეზე წამოიჭრა და გულგახეთქილმა მინდვრებისკენ მოკურცხლა. — ეპო, — სთქვა მელიამ, — შენმა დედამ რა მიყოს, ოფოფო, რომ პირველს შენ არ მოგგლიჯე თავიო.

აბა რა ხეირს დააყრიდნენ მწევრები მელიას, კარგად მიხვდებით.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ხოხობი და მელია

ერთი ჯაგის ძირში ხოხობი იჯდა და ხორბალს კენკავდა. ისე იყო თავის საქმით გართული, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ წამოეპარა მელია. მელიამ ერთი ნახტომით მოიგდო პირში საბრალო ხოხობი და იქვე ჯაგის ძირშიეე დაუპირა შეჭმა. ხოხობმა რომ დაინახა ჩემი საქმე გათავებულია და მელიას კბილების წერა ვხდებიო, ერთი გაიფართხალა და საყვედურით მიმართა მელიას: — არც კი გრცხვენია, ხომ დამიჭირე და შეჭმასაც ისე მიპირებ, რომ ღმერთს არც კი ახსენებო. განა სადღა გაგექცევი? ადიდე ღმერთი და საქმეს ისე შეუდექიო!

მელას ჭკუაში დაუჯდა ხოხბის რჩევა. ნაშოვრით გათამამებულმა გაიფიქრა: ამ ხოხობს მერეც ხომ შევჭამ, კარგი იქნება ღმერთი ვადიდოო, და მართლაც შესთხოვა: — სხვა კიდევ ბევრჯერ შემეწიეო და ასეთი ლუკმა მრავალი მაშოვნინეო.

ისარგებლა ხოხობმა, პირიდან გაუსხლტა მელას და გაფრინდა. რომ დაინახა მელიამ ეს ამბავი, დაიწყო მოთქმა და თავში ცემა:

ხოხობის მოტყუებულსა თვალი დაუდგეს მელსაო,
პირში მეჭირა ხოხობი, რაღა დიდება ღმერთსაო.

ყორანი და გველი

ყორანს ტყეში ბუდე ჰქონდა და ბარტყები გამოეჩეკა. შეეჩვია ერთი გველი და ბარტყები სულ ერთიანად შეუჭამა. ყორანი ძლიერ დაღონდა, არ იცოდა, რა ექნა და როგორ მოეშორებინა თავიდან გველი.

თავისი გულის ტკივილი ყორანმა მელას შესჩივლა. მელამ ასე ურჩია: — წადი და, როცა სოფელში სარეცხი გამოფინონ გასაშრობად. დასტაცე ნისკარტი, წამოიღე და დააგდე იმ ადგილას, სადაც გველი წევსო.

ყორანი მართლა ასე მოიქცა. გამოაფინეს ეზოში სარეცხი თუ არა, დაავლო კლანჭები ერთ კარგ ცხვირსახოცს და გაიტაცა. დიდი და პატარა კიჟინით გამოედევნა. ყორანმა ცხვირსახოცი დააგდო სწორედ იმ ადგილას, სადაც გველი იწვა. სოფლელები მიცვივდნენ ცხვირსახოცის ასაღებად, დაინახეს ვეებერთელა გველი, აიღეს კეტები და სული გააფრთხობინეს. ამის შემდეგ ყორანი არხეინად და უშიშრად ცხოვრობდა თავის ბუდეში.

შაშვი და მელია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი შაშვი. გაიკეთა ბუდე ერთს დაბურულ ტყეში, გამოჩეკა ბარტყები და ცხოვრობდა ტკბილად თავისთვის. გაიგო მელიამ, რომ შაშვს ბარტყები ჰყავსო, მივიდა მის ბუდესთან და შესძახა: — შაშვო, შვილები მომე, თორემ დაგიჭერ და შენც შეგჭამო. — თავი დამანებე, — უპასუხა შაშვმა, — თორემ ისეთს დავიძახებ, რომ რაც რამ დედამიწის ზურგზე ორფეხები არიან, სულ აქ მოვლენო. — მე კი ისეთს დავიხავლებ, მთელი ოთხფეხობა აქ მოვაო, უპასუხა მელიამ.

დაიძახა შაშვმა და მოვიდა მთელი ორფეხობა: რაც რამ ფრინველი ან კაცი იყო, სულ იქ მოვიდა. დაიხავლა მელიამ და რაც კი რამ იყო ქვეყანაზე ოთხფეხი, იქ მოიღო გრიალი. შეექნათ საშინელი ომი და სისხლის ღვრა; ოთხფეხებმა დაამარცხეს ორფეხები. დაბოცეს სულ ერთიან, ზოგი დაჭრეს და გაფანტეს.

ერთი კაცი გადარჩა ამ ომს. მან გზაზე დაჭრილი სვავი ნახა-

შინ წაიყვანა, უწამლა, დაუკლა ცხვარი და აჭამა. როცა მოიკეთა, კაცს უთხრა: მოდი, შემაჯექი მხრებზე, ჩემს დედ-მამასთან წაგიყვან. ვიცი, ისინი გკითხავენ: „რა მოგცეთ, შვილი რომ მოგვირჩინეო?“ შენ სხვა არაფერი გამოართვა, ერთი ხელსაფქვავა აქვთ და იმაზე უთხარ, ის მომეცით-თქო.

მეორე დღეს შეისვა ეს კაცი სვავმა მხრებზე და გასწია სახლში. სვავის დედ-მამამ სიხარულით მიიღო შვილის გადამრჩენი. — რა მოგცეთო? — ჰკითხეს, როდესაც კაცი გაემზადა წასასვლელად. — თქვენ რომ ერთი ხელსაფქვავა გაქვთო, — უპასუხა კაცმა. მისცეს ხელსაფქვავა და კაცი გახარებული წავიდა სახლში. მოდის და მოიმღერის. შეხვდა ერთი კაცი, ხმალი ჰკიდია, და ჰკითხა: — რას იმღერი, კაცო, რა გაქვს სამღერიო? — სვავის დედ-მამასთან ვიყავ, ერთი ხელსაფქვავა მომცეს, წაღმა შემოვატრიალებ — ოქროს თვალს დაფქვავს, უკუღმა — ვერცხლისას, — უპასუხა ხელსაფქვავას პატრონმა. — მოდი გავცვალოთ, მე ისეთი ხმალი მაქვს, ვეტყვი: „ამოდი ვერცხლადა, დაენთე ცეცხლადა, წადი, იმ კაცს თავი მოჰჭერ, მოდი და ჩაეგეო!“ გაცვალეს. ცოტა რომ გაიარა, მიმართა ხმალს. ამოვარდა ხმალი ვერცხლად, დაენთო ცეცხლად, მოჰჭრა თავი ხელსაფქვავას წამღებს, წამოიღო კაცმა ხელსაფქვავაც, ხმალიც და წამოვიდა. გზაზე მოდის და მოიმღერის. წინ კაცი შეეხვდა, სუფრა მოაქვს.

— გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — რა გამღერებს, რამ გაგახარაო? — რა არ მახარებს, ისეთი ხელსაფქვავა მაქვს, რომ წაღმა შემოვატრიალებ — ოქროს დაფქვავს, უკუღმა — ვერცხლსაო! — გამიცვალე სუფრაზედაო, — უთხრა მგზავრმა, — ეს ისეთი სუფრაა, რომ რასაც ეტყვი — სასმელ-საჭმელი იქნება თუ სახლი და კარი, ყველაფერს გააკეთებსო.

გაცვალეს. სუფრა ამან გამოართვა, ხელსაფქვავა იმან წაიღო, მაგრამ როგორც კი გასცდა მგზავრი, წამღები მისი ხელსაფქვავასი, კაცმა ხმალს უთხრა: — ხმალო, ამოდი ვერცხლადა, დაენთე ცეცხლადა, წადი, ჩემი ხელსაფქვავას წამღებს თავი მოსჭერ, მოდი და ისევ ჩაეგეო!.. ამოვიდა ხმალი ვერცხლად, დაენთო ცეცხლად, მოსჭრა თავი ხელსაფქვავას წამღებს, მოვიდა და ჩაეგო. წამოიღო კაცმა ეს ხელსაფქვავა, ეს ხმალი, ეს სუფრა და წამოვიდა სიხარულით. მოვიდა სახლში, სუფრას უთხრა: — სუფრავ, აბა ერთი კარგი სახლები დამიდგიო! მაშინვე მშვენიერი სახლები წამოიჭიმა. დაიწყო ტკბილად ცხოვრება. ახლაც ცოცხალია და წუთისოფელსა სჭამს.

ნახევარქათმის ამგავი

ერთი ნახევარქათამი და ერთი მელია დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. მელიამ გზაზე ნახევარქათამი გააჯავრა. ნახევარქათამმა უთხრა მელიას: — მელია, სუ, თორემ ჩაგყლაპავო.

მელიამ გაიცინა და უთხრა: — ჩამყლაპეო. გააღო პირი და გადაყლაპა მელია.

წამოვიდა. გზაზე ერთ მგელს შეხვდა და მასაც დაუძმობილდა. წავიდნენ ერთად, გზაზე მგელმა გააჯავრა ნახევარქათამი. ნახევარქათამმა უთხრა: — მგელო, ჩაგყლაპავ, თუ თავი არ დამანებეო. — ჩამყლაპეო, — უთხრა მგელმა. გააღო პირი ნახევარქათამმა და მგელიც მელიასთან ჩააბრძანა.

წამოვიდა ისევ ნახევარქათამი. გზაზე ერთ დათვს შემოხვდა: — დათვო, ჩაგყლაპავო, — უთხრა ნახევარქათამმა. დათვმა რაღაც დაიბუტბუტა და ხმა არც კი გასცა. გააღო პირი ამ ნახევარქათამმა და გადაყლაპა დათვიც.

წავიდა ისევ ნახევარქათამი და მივიდა ერთ ზღვასთან. დაღონდა ნახევარქათამი: როგორ უნდა გადავიდეო. იფიქრა, იფიქრა, გააღო პირი და ჩაყლაპა ეს ზღვა და მშრალზე გავიდა ზღვის გაღმა. აქ ამოეფარა კამეჩის ნეხვს და დაიწყო ძახილი: — დიდებულო ხელმწიფევ, დიდებულო ხელმწიფევ! გამოგზავნა ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირები — წადით, ვინ იძახისო.

წამოვიდნენ ეს ნაზირ-ვეზირები, ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ხელმწიფეს მოახსენეს: — ვეძებთ, მაგრამ ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთო.

ნაზირ-ვეზირები რომ გაშორდნენ, ნახევარქათამმა ისევ მორთო ყვირილი: — დიდებულო ხელმწიფევ, დიდებულო ხელმწიფევ!

წამოვიდა ახლა თვითონ ხელმწიფე. ეძება ეს მყვირალა და კამეჩის ნეხვის უკან იპოვა; წაიყვანა შინ, მისცა კარისკაცებს და უთხრა: — საქათმეში შეაგდეთო.

წაიყვანეს ნახევარქათამი და შეაგდეს საქათმეში. ნახევარქათამმა ამოუშვა მელია მუცლიდან. მელიამ დაჭამა ქათმები და გასწია თავის გზაზე. მეორე დღეს შევიდნენ, ნახეს — ქათმები ერთიც აღარ არის. დაიჭირეს ნახევარქათამი და შეაგდეს საბატეში.

ამოუშვა ნახევარქათამმა მგელი. მგელმა დაჭამა ბატები და წავიდა თავის გზაზე. მეორე დღეს შევიდნენ საბატეში, ნახეს, რომ ერთი ბატიც აღარ დარჩენილა; ნახევარქათამი კი ქანდარაზე ზის.

გამოიყვანეს და დაამწყვდიეს საცხვრეში — ეგებ ერკემალმა

გაჭყლიტოსო. ამოუშვა ნახევარქათამმა დათვი ამ ცხვრებში. დათვმა დაჭამა ცხვრები და გასწია თავის გზაზე. მეორე დღეს ხელმწიფემ შეგზავნა კაცები: „ნახეთ, იმ ეშმაკმა რა ჰქნაო?“ შევიდნენ, ნახეს— ცხვარიც აღარ არის.

გაჯავრდა ხელმწიფე. მაშინ უბრძანა მისი დაკვლა: მოახრაკვინა და შეჭამა. მუცელში გაცოცხლდა ნახევარქათამი და დაიწყო ხტუნაობა და სიმღერა. ხელმწიფემ უბრძანა ნაზირ-ვეზირებს და მეომრებს: „აიღეთ ხმლები და როდესაც ამოფრინდება, მოკალითო“. ამოფრინდა ნახევარქათამი და გაიქცა ბაღში. გამოუდგნენ მოსაკლავად. ამოუშვა პირიდან ნახევარქათამმა ზღვა და ჩაახრჩო ხელმწიფე და მისი ნაზირ-ვეზირები.

ჩიტი და მელია

იყო ერთი ჩიტი-ჩიორა, ტყეში ერთი მოხერხებული ალაგი იპოვა და ბუდე გაიკეთა. მერე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დასდო. სამს კვირაზე გამოჩეკა პატარა ჩიორები. დედა თავის შვილებს უზიდავდა ყალიებსა, პეპლებსა, ბუზებსა, აჭმევდა და ზრდიდა.

დიდს სიხარულში იყო ჩიორა. ჩქარა დავაფრენ ჩემს ბარტყებსო. მაგრამ მალე უბედურება ეწვია. წყეულმა მელიამ ბუდეს მიაგნო, ხის ძირში მიცუნცულდა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

შეეშინდა საწყალ ჩიორას. აიყვანა ერთი ბარტყი და გადმოუგდო მელიასა. მელიამ პირი დაავლო, ბეჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მეორედ კიდევ მიირბინა და შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო, მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე,

თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

დაღონებულმა ჩიორამ მეორე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელიამ პირი სტაცა, ბუჩქებში გაარბენინა და გადაყლაპა. მესამედაც მიცუნცულდა მელია და ჩიტს შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო, მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დაღონებულმა ჩიორამ მესამე ბარტყიც აიყვანა და მელიას გადმოუგდო. მელიამ გაარბენინა და ისიც სწრაფად გადაყლაპა.

უბედური ჩიტი აფრინდა და მოშორდა იმ არემარეს. შემოჯდა ერთ ხეზე მეტად დაღონებული. მონადირემ დაინახა და ჰკითხა: — ეგრე მწარედ რამ დაგაღონა, ჩიორაო? — არ გებრალები?! ერთმა წუწკმა მელიამ შვილები დამიჭამაო. — აბა, წამოდი, მიჩვენე ის წყეული და მე გაუურებინებ მის სეირსაო!

ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა. მონადირემ მელიას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა და კბილები ჩააყრევინა. დანით გაუფატრა მუცელი, ბარტყები ამოიყვანა და ბუდეშივე ჩაუსვა გახარებულ ჩიორას.

მელია და მწყერჩიტა

მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონივრად მიაძღა. გაუჭირდა მონელება. შეეხვეწა მწყერჩიტას: მეზობელო, ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, თავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო! — კარგიო! — უთხრა მწყერჩიტამ,— მე ავფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყეო.

აფრინდა და გაედევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებზე ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, სანამ ფერდებს დაიხეთქავდა. — ნათლიმამ, მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერჩიტამ. მონელებით მოვინელე, — უპასუხა მელიამ,—მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანო; ერთი გულიანად მაცინე და შენს შვილიშვილებსაც არას დავუშავებო. — კარგი, ეგეც ადვილი სამსახურია, გამომყე უკან და სიცილით გაგაძღობო, — უთხრა მწყერჩიტამ. მიიყვანა მელია კალოზე და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლეხმა სახრე მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად გასრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მწყერჩიტა მერე მაწვნის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლეს, მწყერჩიტამ აიცდინა, მოხვდა ქოთანს, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე დაიღვარა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მოფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა: კაი სეირი გაჩვენე თუ არაო? ამ დროს მელიას კიდეც მოშივნოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზე დაჯდა და უთხრა: — ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო.

მიეპარნენ მწყერჩიტას და მოუქნიეს დიდი სახრე. აიცდინა მწყერჩიტამ სახრე, მოხვდა მელას შიგ თავში და შუაზე გაუტეხა. აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავის ბინისაკენ და მელას მიაძახა: სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვიო!

ჭინჭრაქა და ჭიჭინოგელა

იყო პატარა ჩიტუნია ჭინჭრაქა. მეზობელს ოჯახის შვილი მოკვდომოდა და სატირალში მიიპატიჟეს: მოაგროვა ჭინჭრაქამ დიდძალი ასაბია და მოზარედ ჭიჭინობელა გაიყოლია. მივიდნენ სატირალში დიდის ამბითა და ზარ-ზეიმით. აუშვა ზარი ჭიჭინობელამ და გაბა და გაბა — სულ გული და მუცელი შეუწუხა ხალხსა.

მისმა ჭიჭინმა მთლად ყურები წააჭამა მთელს ასაბიასა. შერცხვა ჭინჭრაქასა და ღობეში მიიმალა. სამი თვე იჭიჭინა და იჭიჭინა

კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივვვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ძროხამ უთხრა — შენ რომ ჩემთვის ბალახი მოგიტანიაო!

რწყილი წავიდა, დაგლიჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა.

ძროხამ მისცა რძე,
რძე მიუტანა კატასა,
კატა დაეხსნა თაგვსა,
თაგვი მოშორდა ორმოსა,
ორმომ მისცა ფეტვი,
ფეტვი მიუტანა კრუხსა,
კრუხმა მისცა წიწილა,
წიწილა მიჰგვარა ყვავსა,
ყვავი დაეხსნა მუხასა,
მუხამ მისცა რკო,
რკო მიუტანა ღორსა,
ღორმა ჯაგარი უთაღაზა, —

რწყილმა ჯაგრის ბაწარი დაგრიხა და ჩაუგდო წყალში ჭიანჭველას, რომელიც ბალახს მოსჭიდებოდა. ჭიანჭველა ბაწარზე შეჯდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, ჭიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა.

მერმე ისევ ძმურად გაუდგნენ გზასა.

ირმისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბერიკაცი. ეს ბერიკაცი უშვილოდ დაბერებულიყო. ისიც და მისი ცოლიც სულ იმას ეეედრებოდნენ ღმერთს, რომ შვილი მიეცა მათთვის. გავიდა ხანი და მიეცათ შვილი, მაგრამ უბედური ბერიკაცი კი მოკვდა.

ცოლს მწუხარებით რძე დააკლდა და ბავშვის რჩენა არ შეეძლო. ბავშვი ერთ კოქლ ირემს მიაბარა და სთხოვა: შენ გამიზარდეო.

ბავშვი მიეჩვია ირემს, ტყეში თან დასდევდა და როცა მოუნდებოდა, ძუძუს სწოვდა. იმ არემარეში, სადაც ეს ირემი ცხოვრობდა, ხშირად დადიოდა სანადიროდ მეფის შვილი.

ერთხელ ნახა ბავშვი ირემს რომ დასდევდა. მეფის შვილმა დაანება ნადირობას თავი და გასწია შინისკენ. შინ რომ მივიდა, მამამ ჰკითხა: შვილო, რატომ არ ინადირეო. შვილმა არა უპასუხა, მხოლოდ სთხოვა — ეშოვა მისთვის სამოცდაათი ფუთი ჯაჭვი და ასოცი კაცი ჯაჭვის მსროლელი.

მამამ წადილი აუსრულა, უშოვა ჯაჭვიცა და კაცებიც. წავიდნენ სანადიროდ. ტყეში რომ მივიდა ხელმწიფის შვილი, ეძება ბავშვი და, როცა იპოვა, თავის კაცებს უბრძანა დაეჭირათ. ესროლეს ქა-

მანდი და შემოახვიეს ბავშვს, მაგრამ, ბავშვმა რომ გაიწია, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა.

გაწყვეტილი ჯაჭვი მოხვდა კაცებს და მეფის შვილის მეტი ყველანი დაიხოცნენ. შინ რომ მივიდა ხელმწიფის შვილი, მამას მოახსენა: ჩემი წადილი თუ არ ავისრულე, თავს მოვიკლავო. მამამ უთხრა: შვილო, რა არის მაგისთანა, რომ თავს იკლავო. შვილმა მიუგო: ერთი პატარა ბავშვი ვნახე ტყეში, კოპლ ირემს დასდევსო და ვერ დავიჭირეო.

მამამ კიდევ გაატანა რამდენიმე ფუთი ჯაჭვი, კაცები, მაგრამ ვერც ახლა დაიჭირეს.

ხალხი დაიხოცა, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა ასე ხუთჯერ. ბოლოს დაიჭირეს და მოიყვანეს შინ, ირემიც თან მოჰყვა. ბავშვი ტიტველა იყო და ლაპარაკი არ იცოდა.

ხელმწიფის შვილმა ამ ბავშვს ოთახი მისცა. როცა მოშივდებოდა, ძირს ჩამოვიდოდა, ირემთან მივიდოდა და ძუძუს მოსწოვდა. ხელმწიფის შვილმა იფიქრა: ვასწავლი საჭმლის ჭამას და ტანთ ჩაცმასაო.

სადილობისას და ვახშმობისას შედიოდა მასთან, გაშლიდა სუფრას, მოიტანდა საჭმელს, ხელ-პირს დაიბანდა და დაჯდებოდა პურის საჭმელად. ასე მოდიოდა ახალ-ახალ ტანისამოსჩაცმული.

მერე ეს ბავშვიც ისე მოიქცა, როგორც მეფის შვილი: ადგებოდა, ჩაიცვამდა, კანკალით დაიბანდა პირს და დაჯდებოდა პურის საჭმელად. დიდხანს იყო ასე. ერთხელ მეფის შვილმა თვალი მოჰკრა, სიხარულით შეეარდა ოთახში და მამას შეატყობინა ეს ამბავი. მამამ უთხრა: შემოიყვანეთ სასახლეში და ჩვენთან იცხოვროსო. ჯერ ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ მათთან ცხოვრებამ ლაპარაკიც ასწავლა და კიდეც შეაჩვია ამათ.

სანადიროდ ისა და ხელმწიფის შვილი ერთად დადიოდნენ, მაგრამ ირმისა უფრო ღონიერი იყო. ზევით ისარს რომ აისროდა და მიწაზე ჩამოვარდნილი დაესობოდა, მისი ამოძრობა ხელმწიფის შვილს არ შეეძლო, ირმისა კი ადვილად ამოაძრობდა ხოლმე.

ერთხელ ხელმწიფე სხვაგან წაბრძანდა. გასაღები ჩააბარა ირმისას და უბრძანა: ჩემმა შვილმა თუ გამოიღვიძოს და გითხრას: დამატარე ოთახებიო, თერთმეტი ოთახი აჩვენე, მეთორმეტეში კი არ შეიყვანო, არ დაღუპოო.

წავიდა მეფე. ადგა მეფის შვილი და უთხრა: ოთახები მაჩვე-

ნეო. ირმისა დასთანხმდა, მხოლოდ მეთორმეტეში არ შეიყვანა: ეს შენი საქმე არ არისო. ხელმწიფის შვილმა იხიშვლა სატევარი და უთხრა: თუ არ გააღებ, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო.

ირმისა ადგა და გააღო. გააღო თუ არა, დაინახა სურათი ერთი საოცარი ქალისა. ხელმწიფის შვილი ცოცხალ-მკვდარი დაეცა. ირმისამ წამოაყენა, დააწვინა ოთახში და უთხრა: შენ ოღონდ კარგად იყავი და მე გიპოვნი იმასაო.

ხელმწიფე რომ მოვიდა, ნახა და უსაყვედურა: რად მომკალი, რად აჩვენე ის სურათიო?! ირმისამ უთხრა: მე მოვგვრი იმ ქალს, ოღონდ წასვლის ნება მომეციო. ხელმწიფემ ნება დართო და ორნივ წავიდნენ.

იარეს დიდხანს, წელიწადი დაჰყვეს გზაში. ბოლოს მივიდნენ ერთ ზღვის პირს. აქ იდგა ერთი ძირი ვაშლის ხე, ზედ ვაშლები ესხა. ირმისამ უთხრა ხელმწიფის შვილს: ჩამოაგდე ვაშლიო. ხელმწიფის შვილმა ვერ წესძლო. მაშინ ირმისამ მუშტი ჰკრა, ჩამოყარა ვაშლები და დასხდნენ საჭმელად. ზღვიდან ამოვიდა ერთი დევი და ყვიროდა: ვინ არის, რომ პაპიჩემის დარგულ ვაშლსა სჭამს, ახლავ გავათავებო. ირმისამ უპასუხა: აქ მოდი და საკადრისს მოგახსენებო.

დევი მივიდა თუ არა, ირმისამ ჰკრა მუშტი და მოკლა. ამოვიდა მეორე დევი. ისიც იმას ამბობდა, რასაც პირველი. ირმისამ ესეც მოკლა. მესამე დევი სხვაგან ყოფილიყო და რომ მოვიდა, იმანაც ასეთივე ყვირილი მორთო. ირმისამ შესძახა: მოდი, შენი ამხანაგები აქ არიან და ნახეო. მოვიდა თუ არა, ირმისა ეცა და დაიწყეს ჭიდაობა: დიდხანს იჭიდავეს; როგორც იყო, ირმისამ დასძლია და მოკლა დევი. ადგა, ჩამოყარა ვაშლი, ჩაიწყო უბეში და ზოგიც ხელში დაიჭირა; ორი ხელმწიფის შვილს მისცა და წამოვიდნენ თავიანთ გზაზე.

იარეს დიდხანს, მივიდნენ ერთი დევის სახლში. აქ ნახეს ორი დევის ქალი. ამათ უთხრეს: ყმაწვილებო, გირჩევთ ახლავ წახვიდეთ, თორემ დევები მოვლენ და შეგჭამენო. არ დაუჯერა ირმისამ და დაჯდა ჩრდილოში. ამოიღეს ვაშლები და დაიწყეს ჭამა. დევის ქალები მორბილდნენ და მუქარის მაგიერ, რაც კი შეიძლებოდა, პატივი სცეს. როცა ისინი ვაშლს შეექცეოდნენ, სამი ძმა დევი მოვიდა. — რა სულიერი ხართ, ჩემს სახლში მოსულხართ და ჩრდილში დამჯდარხართო? — ჰკითხა ერთმა დევმა. ირმისამ მიუგო: მოდი და გეტყვიო. დევი მივიდა თუ არა, ირმისა ეცა, წააქცია და ზედ მუხლით შედგა.

მოვიდა მეორე დევი, განუმეორა პირველი დევის სიტყვები. ესეც წააქცია ირმისამ და ერთიმეორეზე დააწვინა. მოვიდა მესამე დევი და დაიღრიალა: ვინ არის იმისთანა, რომ ჩემი ძმები ერთმანეთზე დააწვინა და მოკვლას უპირებს, რომ აქვე გავათავოო. ირმისამ უთხრა: მოდი აქ და მე გეტყვი ვინცა ვარო. მოვიდა თუ არა, დაუწყო მუშტის ქნევა. ირმისამ სტაცა ხელი, წააქცია, სამივე ძმა ერთმანეთზე დააწვინა და უთხრა: მოგკლათ, თუ არაო? დევები შეეხვეწნენ: დღეიდან ჩვენც თქვენი ძმები ვიქნებით და თქვენც ჩვენი ძმები იყავითო. აუშვა ირმისამ და შევიდნენ სახლში.

დევებმა მასპინძლობა გაუმართეს ხელმწიფის შვილსა და ირმისას. მერე ურჩიეს რა გზით უნდა წასულიყვნენ ქალთან. აქეთ თუ წახვალთ, ოცდაათ დღეს მოუნდებით, მაგრამ უშიშრად მიხვალთ. მეორე გზით თუ წახვალთ, ათ დღეში მიხვალთ, მაგრამ დევები არიან მძლავრები და შეგეამენო. თუ ამ დევებს გადაურჩით, მერე მიხვალთ იმ ქალთან. როცა დაღამდება, ლოგინს დაგიგებთ, საჭმელს გაჭმევთ და დაგაწვენთ. სწორედ მაშინ, როცა იმ ქალს შენთან მოპარვა მოუნდება, მე აქედან ისარს ვისვრი. თუ ის ქალი მოგეპარა და თითზე ბეჭედი ისე გაგიკეთა, რომ ვერ გაგეღვიძა, უსათუოდ მოგკლავს. ამიტომ ვახშმის შემდეგ არ დაიძინოთ იმ ქალის სახლში. ჩვენ უთუოდ ისარს ვისვრით და მაშინ დაიჭირეთ ის ქალიო.

წავიდნენ ორივენი. იარეს დიდხანს და მივიდნენ ერთი დევის სახლში.

დევი იწვა და ტყვედ მოყვანილი ქალი ბუზებს უგერიებდა. დაინახა თუ არა ეს ყმაწვილები, ქალმა უთხრა: აქედან წადით ჩქარა, თორემ როცა დევი გაიღვიძებს, მეც შემჭამს და თქვენცაო. ირმისამ უთხრა: შენ აქ ჩამოდი და ის მე ვიცი, დევი რასაც მიზამსო. ქალმა მიუგო: ბუზები დაეხვევა, გამოიღვიძებს და დაგვხოცავსო. ირმისამ უთხრა: აქ ჩამოდი, აქაო. ჩამოვიდა ქალი. დევს გამოეღვიძა და შეჰყვირა: ვინ წამართვა ჩემი საკბილო ცხოველიო. ირმისამ უთხრა: მე გახლავარო!

გაბრაზებული დევი ჩამოვიდა და შეება ირმისას. დაიწყეს ბრძოლა. დიდი ხნის შემდეგ ირმისამ დასძლია და მოკლა დევი. ირმისამ წაიყვანა ქალი და ჩააბარა იმ სამ დევს, როგორც თავიანთი და.

წამოვიდნენ ისევ, იარეს დიდხანს. მივიდნენ ერთ სასახლეში, ნახეს, რომ დევების ქორწილია. შევიდნენ ეზოში. დაინახა თუ არა დევების უფროსმა, ჩამოგზავნა იმათი ვინაობის შესატყობად. შე-

იტყეს, რომ სხვა რჯულისანი იყვნენ. ჩამოგზავნა ხელმეორედ: დახოცეთ ეს კაცები, თუ არ ამოვიდნენ ჩვენთანაო. მაგრამ ირმისამ ეს დევი უცებ მოკლა. როცა შეიტყეს დევი მოკლესო, ჩამოგზავნეს სხვა დევი, ისიც მოკლა. ასე, რომ ყველა დახოცა. ახლა ჯერი მიდგა უფროს დევზე.

ჩამოვიდა თუ არა უფროსი დევი, მაშინვე ეძგერა ირმისას. დაიწყეს ჭიდაობა. იჭიდავეს დიდხანს. დევმა მოიქნია ირმისა და მუხლებამდე ჩასვა მიწაში. მერე ირმისამ მოიქნია დევი და ჩასვა მიწაში წელამდე. ბოლოს მაინც ირმისამ აჯობა: ჩასვა მიწაში თავებამდე და მერე ხელი მიჰყო ამ თავების მოჭრას. დევი ასთავიანი იყო, მოსჭრა ოთხმოცდაცხრამეტი თავი და უთხრა: რომელი გირჩევნია, სიკვდილი თუ სიცოცხლე? დევმა მიუგო: სიცოცხლე მირჩევნია, ოღონდ ამიშვი და ჩემი საცხოვრებელი შენთვის მომიციაო. როცა ამოვიდა, ისევ ჩხუბი დაუწყო, მაგრამ ისევ ირმისამ დასძლია. მაშინ დევმა უთხრა: ცა და ღმერთი ზევით და მიწა და წყალი ქვეით თაკდებად გქონდეს, ოღონდ ამიშვი და ჩემ ღონეს მეფის შვილს მივცემო.

აუშვა, დაუტოვა მეფის შვილი ამას და თვითონ წავიდა.

წასვლისას დევს უთხრა: შენ ამას ასწავლე სუყველაფერი შენი ხერხი და ღონე, თორემ როცა გამოვიელი, მოგკლავო.

წავიდა ირმისა. მივიდა იმ ქალთან, რომელსაც ეძებდნენ. საღამო იყო. ქალმა ვახშამი აჭამა, დაუგო ლოგინი და დააწვინა. როცა გავიდა ერთი საათი, მივიდა ის ქალი, აიღო ბეჭედი და თითზე უნდა გაეკეთებინა. მაშინ სამმა დევმა ისარი ისროლეს. სტაცა უცებ ხელი ირმისამ ამ ქალს თითში. ქალმა უთხრა: მე შენი ბედის ვყოფილვარო და გაიკეთა ბეჭედი თითზე. ირმისამ მიუგო: ჩემთვის კი არა, ჩემის ძმისათვის მინდიხარ ცოლადაო.

დილა რომ გათენდა, ქალმა გასცა ბრძანება დევების ქალაქში, სუყველას მოეტანა მისთვის თითო ხელი ძვირფასი ქვეშაგები ძღვნად: სხვა რჯულის კაცზე გავთხოვდიო.

მეორე დღე რომ გათენდა, დევები მოგროვდნენ ირმისასთან და ეს ქალი თავისი მზითევით წამოიყვანეს მეფის შვილთან. მაშინ მეფის შვილი ისევ დევის სახლში იყო ხერხისა და ღონის სასწავლებლად. მეფის შვილთან რომ მივიდნენ, ნახეს, რომ ნაცარში იჯდა და ღონის მომატება კი არა, რაც ღონე ჰქონდა, ისიც წართმეოდა.

მივიდა ირმისა დევთან და უთხრა: რა არის, რატომ პირობა არ

შეასრულეო? დევმა მაშინვე თავის ღონე მისცა მეფის შვილს ირმისას ბრძანებით. ირმისამ მოკლა დევი. იმის ქონება მთლად წამოიღო და ყველა ერთად წამოვიდა.

იმ სამ ძმა დევთან რომ მოვიდნენ, გამართეს კიდევ ქორწილი. სამ დღეს აქ დარჩნენ, მერე წამოვიდნენ. დიდხანს იარეს და მივიდნენ იმ ვაშლის ძირში. იმ ღამეს იქ იყვნენ დევები, მეფის შვილი, ირმისა და ხუთი ქალი: სამი ქალი სამი ძმა დევის და იყო. ერთიც ის, რომელიც დევს წაართვა, მეხუთეც ცოლი მეფის შვილისა. იმ ღამეს ყველანი დაწვნენ და დაეძინათ. ირმისასაც მიეძინა.

ამ დროს მოფრინდა ერთი რაღაცა ცხოველი და მეფის შვილის ცოლი ჰაერში აიტაცა. ირმისა უცებ წამოხტა, გააღვიძა ამხანაგები და უთხრა: ხომ ხედავთ, რომ დევმა წაიყვანა მეფის შვილის ცოლიო.

მეფის შვილს ეწყინა, მაგრამ რას იზამდა. ირმისამ დევებს უთხრა: თქვენ აქ იყავით, სანამ არ მოვიდე, თორემ ყველას დაგხოცავთო. დევები დათანხმდნენ და იქ დარჩნენ, ირმისა და მეფის შვილი კი წამოვიდნენ.

იარეს დიდხანს. მივიდნენ ერთი დევის სახლში. დევი სანადიროდ წასულიყო. მოტაცებული ქალი ეზოში დასეირნობდა. ირმისა და მეფის შვილი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა და უთხრა: წადით ახლავე, თორემ მოვა ჩემი ქმარი დევი და ორივეს შეგჭამთო. მაგრამ ირმისამ უთხრა: შენ იმას გეხვეწებით, რომ შეგვიტყვე, სადა აქვს მას თავისი სულიო. — კარგიო, — უთხრა ქალმა და ადგილი დაუნიშნა, რომ ერთი თვის შემდეგ მოსულიყვნენ.

წავიდნენ ირმისა და მეფის შვილი და დადგნენ ერთ გამოქვაბულში. როცა დევი მოვიდა, თავის ცოლს ჰკითხა: არავინ მოსულაო. მან უპასუხა: არავინაო. ერთი კვირის უკან ცოლმა დევს უთხრა: შენი სული სად არის, რომ შემოვწირო რამეო. დევმა უთხრა: ჩემი სული შენ რად გინდაო. ცოლმა უთხრა: როგორ რად მინდა, რასმე შევწირავ, რომ სცხონდე და ჩემთვისაც კარგი იყოსო. დევმა უთხრა: ჩემი სული სვეტშიაო.

ქალმა ეს სვეტი ისე შეღება, რომ იმის შეხედვას არა სჯობდა რა. დევმა რომ ეს ნახა, უთხრა: ჩემი სული თუ ასე გიყვარს, ამ კატაში არისო.

ცოლმა ეს კატა ისე გაალამაზა, მეტი არ შეიძლებოდა. უკერავდა კარგსა და კარგს ტანისამოსს და აცმევდა. ეს რომ ნახა დევმა, უფრო მოეწონა და უთხრა: ჩემი სული ცხრა მთას იქით არისო.

ერთს ხეზე ჩამოკიდებულია ცხრათავიანი დევი. იმას შიგნით უზის ირემი. ირემში შველია, შველში კურდღელი, კურდღელში არის ბაჭია, ბაჭიაში კოლოფი და იმ კოლოფში სამი მერცხალი, — ორი მერცხალი არის ჩემი თვალები და ერთი ჩემი სულიაო.

გაუხარდა ქალს, რომ ყველაფერი შეიტყო, მეორე დღეს უნდა მოსულიყვნენ მეფის შვილი და ირმისა.

როგორც მოვიდნენ, ქალმა ყველაფერი უამბო, რაც დევისაგან გაეგონა. იმათ წასვლა დააპირეს, მაგრამ ქალმა უთხრა: ისევ თავი დაანებეთ, რადგან ის დევი, რომელიც ხეზეა ჩამოკიდებული თუ სუნი მიუვიდა ადამიანისა, დიდ მანძილზე მიიზიდავს და შესჭამსო. ირმისამ უთხრა: ნუ გეშინია, მე იმას მოვუხერხებ და ხელში ჩავიგდებო. ორივენი წავიდნენ.

ირმისამ და მეფის შვილმა დიდხანს იარეს, მივიდნენ ერთი მთის სიახლოვეს, გაიარეს ცხრა მთა. მივიდნენ თუ არა მთის ძირში, მეფის შვილი ააკანკალა დევის შუქმა, მაგრამ ირმისამ გაამაგრა. როცა ორიოდე ადლის სიახლოვეს მივიდნენ, ორივენი დააბრმავა შუქმა. მაგრამ როგორც იყო, ირმისამ გაჭრა თოკი, ჩამოვარდა დევი, მოსჭრა ამ დევს ცხრა თავი, გაჭრა შუაზე, ამოიყვანა ირემი. ისიც გაჭრა, ამოიყვანა შველი. ისიც გაჭრა, გამოხტა კურდღელი. სტაცა ხელი კურდღელს და გაჭრა. შიგ ნახა ბაჭია. ისიც გაჭრა, ამოიღო კოლოფი.

ამ დროს გახდა ავად დევი. ირმისამ გახსნა კოლოფი, ამოიყვანა ერთი მერცხალი და მოკლა. მაშინ დევს ცალი თვალი დაუბრმავდა. მივიდა დევთან ირმისა და უთხრა: ეს ქალი რომ წამოიყვანე, ეგ იმიტომ მოგივიდაო. მაშინ დევმა თქვა: ქალს რომ კაცი დაენდოს, ქვეყანას დააქცევინებსო. ირმისამ ამოიყვანა მეორე მერცხალი და ისიც მოკლა. დევი ორივე თვალით დაბრმავდა.

წამოიყვანეს ქალი და მოვიდნენ იმ ვაშლის ძირში. აქ დახვდათ მათ სამივე დევი. იმ ღამეს იქ დარჩნენ, მაგრამ ირმისას არ დასძინებია, რადგან ეშინოდა, კიდევ არავინ წამართვას ქალიო.

როცა შეიქნა შუაღამე, მოვიდა სამი ქაჯი, შემოსხდნენ ვაშლის წვეროზე და დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა თქვა: რა ბედი მიეცეს ამ ცოლ-ქმარსაო. მეორემ თქვა: ის ბედი მივცეთ, რომ როგორც შევიდეს სიძე ეზოში და ცხენი გამოათამაშოს, ცხენიდან გადმოვარდეს და მოკვდესო. მეორემ თქვა: თუ ამას გადარჩეს, ხელმწიფის ცოლმა რომ მოართვას ოქროს სარტყელი და ოქროს ფეხსაცმელი, მაშინ სარტყელი გველად გადაიქცეს და ქალი შეჭამოს და თუ ამას

ფადარჩეს, ფეხსაცმელმა ფეხი მოსტეხოსო. მესამემ კიდევ სთქვა: თუ ამასაც გადარჩეს, ღამე მოვიდეს გველეშაპი და ორივე ჩანთქასო. თუ ამას ვინმე ყურს უგდებდეს და გააცხადოს, ქვაგრილად იქცესო. ამას ყურს უგდებდა ირმისა, მაგრამ არავის უთხრა.

მეორე დღეს შინ წამოვიდნენ. როგორც შევიდნენ ყველანი ეზოში, იმ დროს მეფის შვილმა გადაჰკრა ცხენს და უნდოდა გაეთამაშებინა, მაგრამ ირმისამ არ გაუშვა, ცხენს აღვირი დაუჭირა და ჩამოხტნენ ცხენებიდან.

დედამთილმა მიართვა რძალს ოქროს სარტყელი და ფეხსაცმელი, მაგრამ ირმისამ გამოართვა, დაამტვრია და გადაყარა.

ამას ყველაფერს გადარჩნენ, მაგრამ ის ღამე კი საშიში იყო.

ირმისამ იმ ღამეს არ დაიძინა. საცა ცოლ-ქმარი იწვა, იმ ოთახს დარაჯობდა. შუაღამისას მივიდა გველეშაპი. ირმისამ მოკლა ისა, გამოიტანა, ერთ სახლში შეიტანა და იქ დააგდო, თვითონ დაწვა და დაიძინა. როცა ადგა, ეს სახლი შელესა.

გაიმართა ქორწილი და სამი დღე გასტანა.

ქორწილის შემდეგ დევები წავიდნენ თავიანთ სახლში.

ერთხელ დღესასწაულში ხელმწიფე და მისი შვილი სალოცავად წავიდნენ, მაშინ დედოფალმა და რძალმა ირმისას დაუწყეს გამოკითხვა: რატომ არ მიეცი ნება მეფის შვილს ცხენი გაეთამაშებინა, და ოქროს სარტყელი და ფეხსაცმელი რად დაამტვრიე და გადაყარეო. მაგრამ ირმისამ არაფერი უთხრა, მხოლოდ სთხოვა, დამეხსენითო.

დიდხანს ეხვეწნენ და ბოლოს ირმისამ უთხრა: ჩემი სიკვდილი გინდათ და აი გეტყვითო.

ირმისამ ყველაფერი უამბო, რაც ქალებმა ილაპარაკეს და როგორც დაამთავრა, ქვაგრილად იქცა. დაიწყეს ტირილი დედამთილმა და რძალმა. ადგა რძალი და გაიქცა მკითხავთან. მივიდა და შეეხვეწა: მირჩიე რამე ქვაგრილისაო! მკითხავმა უთხრა: შენი შვილი მოხარშე მდუღარე წყალში და გადაასხი იმ ქვაგრილსა, ის ბავშვი და ირმისა ერთად მოვლენ შენთანაო.

წამოვიდა და მოხარშა თავისი შვილი, გადაასხა ირმისას და თვითონ შევიდა თავის ოთახში.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი სიმღერით ამოვიდნენ. ამის შემდეგ ყველამ ერთად მშვიდობიანად და ბედნიერად დაიწყო ცხოვრება.

სამმტევან ჭაგუკიშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რახრახ მეწისქვილე. მას ედგა ერთი ვაზი წისქვილის ახლოს და ზედ სამი მტევანი ყურძენი ესხა. დადგა ეს რახრახ მეწისქვილე და სამსაპალნიან ქვევრს დაუწყო რეცხვა. ამ დროს ჩამოიარა ერთმა მელიამ და უთხრა: — შენი ჭირიმე, ჩემო მეწისქვილევ, ერთი მტევანი ყურძენი მომიწყვიტე და ბედსა გწევო! მეწისქვილემ უთხრა: — ჰმ, რას ამბობ, მელიავ, ამოდენა ქვევრსა ვრეცხავ ამ ყურძნის გულისთვის და ესეც შენ რომ მოგიწყვიტო, ქვევრში რაღა ჩავასხაო?

არ მოეშვა მელია და მოაწყვეტინა ერთი მტევანი ყურძენი. გაცუნცულდა მელია, იქვე შეჭამა ყურძენი და ისევ მოვიდა მეწისქვილესთან და უთხრა: — ჩემო მეწისქვილევ, ერთიც მომიწყვიტე და ბედსა გწევო! მეწისქვილემ ისევ უთხრა: — რას ამბობ, კაცო, ამ ორი მტევნის გულისთვის ამოდენა ქვევრსა ვრეცხავ, ესეც რომ შენ მოგიწყვიტო, ქვევრში რაღა უნდა ჩავასხაო? — არა, არა, ჩემო მეწისქვილევ, მომიწყვიტე და ბედსა გწევო!

ბევრი ხვეწნის შემდეგ მოუწყვიტა მეორე მტევანიც. გაიქცა, იქვე შეჭამა და ისევ მეწისქვილესთან მიირბინა და უთხრა: — ჩემო მეწისქვილევ, ერთიც მომიწყვიტე და ბედსა გწევო. დაფიქრდა მეწისქვილე და თქვა: „აბა ვნახო, რა ბედსა მწევსო“, და მესამეც მოუწყვიტა.

მელიამ ისიც რომ შეჭამა, მივიდა მეწისქვილესთან და უთხრა: — მე უნდა წავიდე და მავან და მავან ხელმწიფის ქალი გითხოვო ცოლადო! — არა, რას ამბობ, ჩემო მელიავ, აბა, ის ხელმწიფე მე ქალს როგორ მომცემსო? მაგრამ მელიამ ერთი თავისებურად დაუტატანა: ვაი, შე უბედურო, მაგაზე მეტი როგორ არ იცი. შემდეგ ყურიც აღარ მიუგდო მეწისქვილეს და წავიდა ხელმწიფესთან ქალის სათხოვნელად.

მივიდა და ხელმწიფეს მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფევ, სამმტევან ჭაბუკიშვილი ქალსა გთხოვთო! ხელმწიფემ უთხრა: — სამ რამეს დავავალებ ჩემ სასიძოს და თუ შემისრულა, მივცემ ქალს, თუ არადა, არ მივცემო. — აბა, რას გვიბრძანებო, — ჰკითხა მელიამ. ხელმწიფემ უთხრა: — თუ შეუძლია ჩემ სასიძოს ჩემი სახლიდან თავის სახლამდე სულ ხალიჩა-ფარდაგი დააფინოს გზაზე, რომ სულ ველის ყვავილივითა ჰყვაოდესო? — ეჰ, ეგ ხომ არ გაუჭირდებაო! — უთხრა მელამ და წამოვიდა მეწისქვილესთან. — რა ამბავია, ჩემო მელიავ? — ჰკითხა მეწისქვილემ. მელიამაც უთხრა, თუ რას ავა-

ლებდა სასიმამრო. ამის გაგონებაზე წელი მოსწყდა მეწისქვილეს და თქვა: მე სად შემიძლია ამ დავალების შესრულებაო! მელიამ ჩაუთხლაპუნა თავში და უთხრა:

— მოიტა ერთი ტომარა ჩქარაო. მისცა ტომარა, გაიქცა ხელად მელია, ყველა სანაგვეზე მიირბინ-მოირბინა, გაავსო ტომარა ძველი თუ რამე მოხვდა გადაგდებული! ეს წინდისა იყო, თუ ტომრის ნაგლეჯები, ფარდაგის ნაგლეჯები, თუ ისე ძველმანი შეხვდა რამე. აავსო ტომარა, მოვიდა მეწისქვილესთან, მისცა ხელში და უთხრა: — წადი იმ ხელმწიფის კარზე დადექი და დაიწყე სულ უკულმა გადაყრა და, სანამ შენ კარზე არ მოხვიდე, უკან არ მიიხედოო.

მართლაც, წავიდა ჩვენი რახრახ მეწისქვილე. დაიწყო ხელმწიფის კარიდან და სანამ თავის სახლთან არ მოვიდა, უკან არ მიუხედავს. მოვიდა თავის სახლთან, მიიხედა უკან და რასა ხედავს! მთელი გზა ველის ყვავილივით ჰყვაოდა — ისეთი ხალიჩა-ფარდაგი იყო დაფენილი. მეორე დღეს მიცუნცულდა ჩვენი მელია ხელმწიფესთან და მოახსენა: — აბა, გამოიხედე, დიდებულო ხელმწიფევ, და დაინახე შენს სასიძოს რა შესძლებია, ახლა რაღას დაგვავალებო? ხელმწიფეს ძალიან მოეწონა და უთხრა: — ეს ძალიან კარგიო! ჩემს სასიძოს თუ შეუძლია ამ გზის იქითა და აქეთ ისეთი ხეხილი დარგოს: რიგი მწიფდეს, რიგი ახლა ჰყვაოდეს და რიგიც ჩამოდიოდესო? — ეჰ, ეგ ხომ არ გაუჭირდებაო!

წამოვიდა და უთხრა მეწისქვილეს: — შენმა სასიმამრომ ასე დამბარაო. უჰ, მოსწყდა წელი ჩვენ მეწისქვილეს: მე სად შემიძლიან ამ საქმის გაკეთებაო! მელიამ ჩაარტყა თავში და უთხრა: — მოიტა ჩქარა ტომარა, შე უშნოო. გამოართვა ტომარა და გაიქცა. მიამტვრ-მოამტვრია ყველა ხის კენწერო, აავსო ტომარა და დაბრუნდა მეწისქვილესთან, მისცა ტომარა და უთხრა: — წადი ხელმწიფის კარიდან დაიწყე გადაყრა და, სანამ შენ სახლთან არ მოხვიდე, უკან არ მიიხედოო. წავიდა, მართლა დაიწყო ხელუკულმა გადაყრა, და რომ მივიდა თავის სახლთან, გაიხედა და მშვენიერი სანახავი იყო: შუა გზაზე დაფენილი ხალიჩა-ფარდაგი და გზის იქით და აქეთ სხვადასხვა ხეხილი იყო ჩამწკრივებული: რიგი მწიფდა, რიგი ჰყვაოდა და რიგი ჩამოდიოდა.

მეორე დღეს მიცუნცულდა მელია ხელმწიფესთან, გამოიყვანა და გაახედა აყვავებული გზისკენ. ხელმწიფეს ძალიან მოეწონა და უთხრა: — ერთსაც დაგავალებ და, თუ ამასაც შემისრულებთ, მე შზადა ვარ, ჩემი ქალი თქვენ მოგათხოვოთო. — აბა, რას გვიბრძანებთ? — უთხრა მელიამ. — ჩემს სასიძოს თუ შეუძლია მავან და

მავან ადგილას გააშენოს ვენახიო. წამოვიდა მელია და მეწისქვილეს მოახსენა. უპ, ელდა ეცა უარესად: მე სად შემიძლია ეს საქმე შევასრულოო!

მოუვიდა მელიას ბრაზი, წაავლო ხელი მეწისქვილეს და უთხრა: მომყევი ჩქარაო! წაიღო ვაზის რქები დანიშნულ ადგილზე. მივიდა, ოთხივე კუთხეში დაურჭო ვაზის რქები, ნაფოტებისაგან გააკეთა მარნები, მეზვრეებისთვის გააკეთა სახლები, ჯოხის კაცები და ჯოხისავე თოფებით დააყენა მწკრივებს შორის. გადასწერა ჯვარი და მთელი ეს ცარიელა ადგილი გადაიქცა მშვენიერ ზვრად. ზვარს შემორტყმული ჰქონდა მშვენიერი გალავანი. შიგნით გადაჭიმული იყო მარნები, მეზვრეებისთვის სახლები და მეზვრეები კი თოფით ხელში უვლიდნენ ზვარს.

მეორე დღეს მივიდა მელია ხელმწიფესთან და უთხრა: — აბა, დაინახე შენს სასიძოს რა შესძლებიაო! გადმოიხედა ხელმწიფემ და დაინახა მართლაც მშვენიერი სანახავი. ძალიან მოიწონა და უთხრა: — მავან და მავან დღეს მობრძანდეს ჩემი სიძე და წაიყვანოს ქალიო.

წამოვიდა მელია მეწისქვილესთან და უთხრა: მავან დღისათვის წავიდეთ და მოვიყვანოთო. ჩვენს მეწისქვილეს უფრო ელდა ეცა. ეს მელია აღარა ხუმრობს, სახლი არა მაქვს და სად უნდა მოვიყვანო, ამ წისქვილის გაფქვილულ ოთახში ხომ არ შემოვიყვანო?!

დანიშნულმა დღემ მოაწია და მაყრიონი ქალის მოსაყვანად გზას გაუდგა. მელია დაწინაურდა და სულ ცალ ფეხზე ხტუნაობით წავიდა. მიკრიფ-მოკრიფა სხვადასხვა მინდვრის ყვავილი, ჩაყარა წყალში და თვითონ კი კივილით გაიქცა ხელმწიფესთან. ამ ხმაზე გამოვიდა ხელმწიფე და იკითხა მელიას კივილის მიზეზი. — რა გაკივლებს, ჩემო მელიავ, ხომ არაფერი დაგემართა, რა ამბავიაო? დაიწყო მელიამ უფრო ტირილი და თავში ცემა. — რაღა რა ამბავია, ჩემო ხელმწიფევ, აბა, გაიხედე წყლისკენ, წითელ-ყვითლად რომ ჩანს, სულ თქვენი სიძის ტანსაცმელია, წყალმა წაგვართვაო. — მაგის გულისათვის რა გატირებსო? — უთხრა ხელმწიფემ, — წადი და, რომელიც საუკეთესო ტანსაცმელი იყოს, ჩამოუღეთ და გაატანეთო, — უთხრა თავის შინაყმებს. წამოიღო მელიამ ტანსაცმელი ნეფისათვის, ჩააცვა და უთხრა:

— არამც და არამც ტანსაცმელზე ყურება არ დაიწყო, თორემ შეგატყობენ, რომ ხამი ხარ და სირცხვილიაო. თავის სიცოცხლეში მეწისქვილე პირველად ხედავდა ასეთ ტანისამოსს და რას არ და-

ხედავდა! მივიდნენ, ნეფიონი დასხდა, მაგრამ ეს ჩვენი რახრახ მეწისქვილე სულ ზედ იყურება ტანსაცმელზე. მეფის ვეზირები ეკითხებიან: — მელიავ, ეს ჩვენი სიძე რათ იყურება ასე ტანისამოსზეო? მელია კი, როგორც მოხერხებული სიტყვის პატრონი, უპასუხებს: — კაცო, ხომ დაინახეთ, როგორი ტანისამოსი იყო მაგისი, წყალს რომ მიჰქონდა? თავის ტანისამოსთან არ მოსწონს და იმიტომ იყურებაო.

გათავდა ქალიანთა ქეიფი, შესხდნენ ცხენებზე და წამოვიდნენ.

დაწინაურდა ისევ მელია. წამოვიდა დევების სახლებისკენ და დაიწყო ყვირილი: — არიქათ, თავს უშველეთ, თორემ ჯარი მოდის და ყველას გაგწყვეტენო. გამოცვივდნენ დევები, დიდი და პატარა, და დაედევნენ მელიას: ჩემო მელიავ, ჩვენც გადაგვარჩინეო. — მომყევითო! — უთხრა მელიამ და გაუძღვა წინ. მიიყვანა თივებთან და უთხრა: — შეძვერით ქვეშ და რამდენიც დაგიძახოთ „გულთან", თქვენ იმდენი გულში მიქუჩდითო. შეაძვრინა ყველა დევი, მისცა ასანთი გარშემო, აინთო ცეცხლი. ურბენს თვითონ მელია თივებს და ყვირის: „გულთან, გულთანო!" დევები უფრო გულთან მიიწევდნენ და სულ შიგ ამოიბუგნენ. გამოიქცა მელია, გააღო სახლის კარი და თვითონ ისევ შეეგება ნეფიონს. გამოუძღვა წინ და მიიყვანა დევების სახლში. მეწისქვილეს კი უთხრა: არამც და არამც აქეთ-იქით ყურება არ დაიწყოო. მივიდნენ, მაგრამ ჩვენი ნეფე პირღია იყურება ხან ერთი კედლისკენ და ხან მეორე კედლისკენ. უკვირს, ის პირველად ხედავს ასეთ მორთულ სახლს. უყურებენ ქალის მაყრები და ეუბნებიან მელიას: — კაცო, თუ ის ტანისამოსი სხვისი იყო და თავის ტანსაცმელთან არ მოსწონდა, ეს სახლი ხომ თავისია, აქ რაღა აქეთ-იქით იყურება, რაშია საქმეო? მელიამ ჩაიცინა და უთხრა: — იცით, რა ეშმაკი თვალისაა თქვენი სიძე? აი, იქ ერთი თვალი მარგალიტი აკლია და იმასა ნაკლისობსო, — იცრუა მელიამ.

შუა ლხინში არიან და მელიამ მოიგონა ავადმყოფობა. მოახსენეს ნეფეს, რომ მელია კვდება და რა ვუყოთო. — გაიტანეთ და სახლის უკან გადააგდეთო, ბრძანა ნეფემ.

წამოხტა მელია, დაეჭიდა წვერებზე ნეფეს და დაუწყო რყევა, თან ეუბნებოდა: ვთქვა შენი კარგი კაცობა, ვთქვაო? შეშინდა ჩვენი მეწისქვილე, მართლა არაფერი თქვასო, და შეეხვეწა: — არა, არა, ჩემო მელიავ, ნუ იტყვიო, — და უთხრა თავის მოსამსახურეებს, — გაუშალეთ ფარჩის ლოგინი და ჩააწვინეთო! მერე მართლა მოკვდა ჩვენი მელია.

ლერწმის ქალი

იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყავდა ერთი ვაჟი. ერთ მშვენიერ დღეს ხელმწიფის ვაჟი გავიდა ბიჭებში საკოჭაოდ. ამ დროს წყალზე გამოიარა ერთმა ქალმა, კოკა ეჭირა ხელში. ხელმწიფის ბიჭმა ესროლა ქვა და კოკა გაუტეხა. ქალი წავიდა სახლში ტირილით და დედას უთხრა: ხელმწიფის შვილმა კოკა გამიტეხაო. დედამ უთხრა: წაიღე, შვილო, მეორე კოკა, თუ კიდევ გაგიტეხა, ნუ დასწყევლი, რადგან დედისერთაა, მხოლოდ უთხარი: ისეთი ქალის სიყვარული ჩაგივარდეს გულში, რომ ადამიანის ნაშობი არ იყოს-თქო.

ქალმა აიღო კოკა და წავიდა წყაროზე. ხელმწიფის ვაჟმა ის კოკაც გაუტეხა, მაშინ ქალმა უთხრა: შენამც გულში ჩაგვარდნია ისეთი ქალის სიყვარული, ადამიანის ნაშობი არ იყოსო. ეს რომ გაიგონა ვაჟმა, ადგა მაშინვე და წავიდა სახლში. გახდა ავად. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ერთხელ ბიჭმა ნებართვა სთხოვა თავის მამას, შემჯდარიყო ცხენზე და გაევლო. მამამ ნება დართო. შეჯდა ცხენზე ხელმწიფის ვაჟი და წავიდა, წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

დიდი ძებნის შემდეგ ხელმწიფემ შვილი რომ ვერ იპოვა, თავისი სახელმწიფო შავებით შემოსა.

ხელმწიფის ვაჟმა ბევრი იარა, მივიდა ერთ კოშკთან, გარეთ დახვდა ერთი ქალი და უთხრა: დაძმობას, ამაღამ შემინახეო. ქალმა უთხრა: მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო. ვაჟი გადმოვიდა ცხენიდან, დააბინავა ცხენი, შევიდა სახლში და ნახა ერთი ბებერი კაცი, წვერზე ხავსი ჰქონდა მოკიდებული. გამარჯობა რო უთხრა, ძლივსღა გააგებინა. ხელმწიფის ვაჟმა ამ ბებერ კაცს უთხრა: ჩემი საქმე ესეა, ისეთი ქალის სიყვარული მაქვს გულში ჩავარდნილი, რომელიც ადამიანის ნაშობი არ უნდა იყოსო. ბებერმა კაცმა უთხრა: ასეთი არაფერი გამიგია რა, მხოლოდ აქედან რომ წახვალ, ნახავ ერთ კოშკს, იქა ცხოვრობს ჩემი უფროსი ძმა, თუ ეცოდინება, იმასაო.

გათენდა დილა. შეკაზმა ცხენი, შეჯდა ხელმწიფის ვაჟი და გაუდგა გზას. კარგა ხნის სიარულს შემდეგ მივიდა იმ კოშკთან, დაინახა ერთი ქალი და უთხრა: დაძმობას, ამაღამ შემინახე თუ შეიძლებაო. ქალმა უთხრა: მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო.

ვაჟი გადმოვიდა ცხენიდან, ცხენი დააბინავა. თვითონ შევიდა სახლში, დაინახა ერთი ბებერი კაცი, წვერზე ხავსმოკიდებული.

გამარჯობა რომ უთხრა, ძლივსღა გააგებინა. შემდეგ კი უამბო თავისი თავგადასავალი. ამ ბებერმა კაცმა უთხრა: ასეთი არაფერი გამიგია, მხოლოდ ჩემს იქით ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობს, თუ ეცოდინება, იმასაო.

გათენდა დილა. წავიდა ბიჭი და გზაში ფიქრობდა: ეს უმცროსი ძმები ესე დაბერებულები არიან, იმას ხომ სულ ვერაფერს გავაგებინებო. მივიდა იმ კოშკთან. დაინახა ქალი, დაუძახა: დედაშვილობას, ამაღამ შემინახეთო. ქალმა უთხრა: დიდი სიამოვნებით, ჩემ ქმარს ვეტყვი და რას იტყვისო.

ჩამოვიდა ბიჭი ცხენიდან, ელოდებოდა ქალის პასუხს. ქალი სახლში შევიდა, დიდხანს დაიგვიანა, რადგან ქმარს სძინებოდა და ვერ უბედავდა გაღვიძებას. ბოლოს ჩაიცვა ოქროს ქოშები, ატეხა ერთი ბრახაბრუხი და ასე გამოაღვიძა თავისი ქმარი.

ქმარმა უთხრა: რატომ გამაღვიძეო. — ერთი სტუმარი მოგვივიდა, მთხოვა ამაღამ შემინახეთო და ამიტომ გაგაღვიძეო. ქმარმა უთხრა: წადი, დაუძახე, მოვიდესო. დაუძახა ქალმა: მობრძანდი სახლშიო.

ვაჟმა ცხენი დააბინავა, შევიდა სახლში, დაინახა ქალის ქმარი, ძალიან ახალგაზრდა კაცი იყო, დაჯდა და საუბარი გაუბა. თავის თავზე უთხრა: ასეთი და ასეთი ქალის სიყვარული მაქვს ჩავარდნილი გულში და ხომ არსად გაგიგონიათო.

კაცმა უპასუხა: ეგეთი ქალი არ გამიგონია, მხოლოდ ჩვენს საზღვარზე ცხოვრობენ დევები, სამნი ძმანი არიან, ერთი დედა ჰყავთ, ძმები დილით მიდიან სანადიროთ, დედა კი მატყლს ართავს ხოლმეო. დედას პირი იქითკენ აქვს ყოველთვის, საიდანაც მზე არის. შენ იმდენს უნდა ეცადო, უკანიდან მოექცე და უთხრა: დედაშვილობას, წყალი მწყურია და წყალი დამალეინეო, მაშინ არ შეგჭამს და მას ელაპარაკე. თუ ეცოდინება, იმას, თუ არადა, სხვას არავის ეცოდინებაო. ამით დაამთავრეს ლაპარაკი. შემდეგ თავის ცოლს უთხრა: პური გვაჭამეო. ცოლმა უპასუხა: რა გავაკეთოო. — სხვენში რომ გოგრა გვაქვს, ის გოგრა მოხარშეო. ჩამოიტანა გოგრა ქალმა. ქმარმა უთხრა: ეს გოგრა ისევ აიტანე და მეორე გოგრა რომ არის, ის ჩამოიტანეო. წავიდა ქალიც და ჩამოიტანა ისევ ის გოგრა.

ქალმა ვახშამს დაუწყო მზადება. ხელმწიფის ვაჟმა უთხრა: კაცო, შენი ორი ძმა ვნახე შენზე უმცროსები, ისინი ისე არიან დაბერებულები, ძლივს ვაგონებდი, რომ ველაპარაკეო. შენ იმათზე უფროსი ყოფილხარ, და ასე ჯეელი ხარო? ამ კაცმა უპასუხა: ჩემს ერთ ძმასა ჰყავს ცოლად ვირის გვერდი, მეორე ძმას — ძაღლის ყბაო. იმ ცოლებმა დააბერეს ისინი, თორემ ასე ადრე არ

დაბერდებოდნენო. ჩემი ცოლი კიდევ ისეთი ადამიანია, რომ ახლა სხვენში ერთი გოგრის მეტი არა გვქონდა, მაგრამ მე რომ ვუთხარი, აიტანა გოგრა უკან და ისევ ჩამოიტანაო. იმათი ცოლები რომ ყოფილიყვნენ, შიგ თავში დაარტყამდნენ და ეტყოდნენ: ერთი გოგრის მეტი როდისა გვაქვსო! რომ დავწვები და დავიძინებ, ვიდრემდის არ გამომეღვიძება, სახლში არ შემოდის, ფეხის ხმაზე არ გავაღვიძოო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემი გაღვიძებისაო. ჩაიხედა სარკეში და დაინახა, რომ ერთი თეთრი თმა უკვე ამოსულიყო, იმ ერთ გაღვიძებაზე. აი, ამიტომ არიან ჩემი ძმები ბებრებიო.

ლაპარაკს როდესაც მორჩნენ, ივახშმეს და დაიძინეს. მეორე დილას ადგა ხელმწიფის ვაჟი, შეკაზმა ცხენი და გაუდგა გზას. როგორც ამ კაცმა უთხრა, დევების დედას მიეპარა და მუდარით უთხრა: დედი, დედაშვილობას, წყალი მწყურია და დამალევინეო. დედაბერმა სწრაფად მოიხედა უკან და უთხრა: დედაშვილობა რომ არ გეთქვა, რა კარგი ვახშამი იქნებოდიო. დედაბერმა გამოუტანა წყალი და დაალევინა. მერე უთხრა ხელმწიფის ვაჟს: ჩემი შვილების შიშით ქვესკნელს ჭიანჭველას ვერ გაუვლია, ზეცაში ფრინველი ვერ გაფრენილა და შენ აქ რამ მოგიყვანა. ხელმწიფის ვაჟმა უპასუხა: მე ისეთი სატკივარი მაქვს ატეხილი, რომ გინდა დევების შვილებმა შემჭამონ და გინდა ვინც უნდა იყოს, თუ საწადელს ვერ მივაღწევო. დედაბერს უამბო თავისი თავგადასავალი. დედაბერმა უთხრა: ასეთი ქალი მე არ გამიგია, ოღონდ მაინც ვეცადოთო.

საღამომ მოაწია, დედაბერმა დამალა ხელმწიფის შვილი. მოუვიდნენ შვილები და უთხრეს დედას: დედი, ადამიანის სუნი მოგვდისო. დედამ უპასუხა: შვილებო, მზით უკან ვინმე გადმოყრიდა ნაგავს ქრისტიანი და მისი სუნი მოვიდოდაო. დედამ დააჯერა თავისი შვილები, შემდეგ გაატყავეს თავიანთი ნანადირევი, მოხარშეს და ჭამეს.

გათენდა დილა. დევის შვილები წავიდნენ სანადიროდ. ბებერმა დედაკაცმა გამოიყვანა ხელმწიფის ვაჟი, მისცა ერთი დანა და უთხრა: წადი აგერ იმ ტყეში შენი ცხენით, მოსჭერი სამი ხე და მოიტანე აქაო. წავიდა ეს ვაჟიც, მოსჭრა სამი ხე, ისეთები, რომ ძლივს მოიტანეს თვითონ და მისმა ცხენმა. ბებერმა დედაკაცმა მოსწია ხეებს მუხლზე და სამივენი დაამტვრია: როგორებიც მინდოდა, ვერ მომიტანეო. წავიდა თვითონ ტყეში, მოსჭრა სამი ხე, მოიტანა სახლში. მერე ხელმწიფის ვაჟს უთხრა: შეჯექი ცხენზე და მომყევიო. დედაბერს სამი ხე მიჰქონდა ხელით, ისე გარბოდა, რომ ვაჟი ცხენით ძლივს მისდევდა. მივიდნენ ზღვის პირას, გადმოვიდა ხელმწიფის

ვაჟი ცხენიდან. მისცა ბებერმა ერთი დანა და ქასური[1] ბიჭს და უთხრა: ეს დანა ისე უნდა გალესო, ამ ხეს რომ დავადო, გადასჭრასო. ბიჭმა დაუწყო დანას ლესვა, ბოლოს ხელები აუკანკალდა: შეეშინდა ბიჭს, უთუოდ იმისათვის მალესვინებს დანას, რომ მე მომჭრას თავიო. ეს რომ შენიშნა ბებერმა, უთხრა: რატომ გიკანკალებს ხელებიო. ბიჭმა უპასუხა: მეშინია, ვაითუ თავი მომჭრაო. ბებერმა უთხრა: რათ მინდა რომ თავი მოგჭრა, მაშინვე შეგჭამდი, თუ კი მნდომოდა, მაგრამ დედაშვილობამ გიშველაო. ბიჭმა დანა გალესა, ამ ბებერმა ეს სამივე ხე გადაყარა ზღვაში და დაჰკიდა. მთელი წყალი იქით გაქანდა და სამი ლერწმის ხე გამოჩნდა წყალში. ბებერმა უთხრა: გაიქე, ის ხეები მოსჭერ ძირში და მალე გამოიტა, წვიმამ არ მოგისწროსო. შევარდა ბიჭი, საჩქაროდ მოსჭრა ლერწმის ხეები და როდესაც ნაპირში გამოვიდა, ზღვამ ცოტათი დაჰკრა ტალღა. გამოიტანა სამივე ხე ბიჭმა. ბებერმა დედაკაცმა დაუკვერცხა ხეებს თავი და დაიწყო ლოცვა. როდესაც ილოცებოდა, გასკდა ერთი ლერწმის ხე შუაზე და გადმოვარდა ისეთი მშვენიერი ქალი, რომელსაც თვალი აღარ მოშორდებოდა. წამოიყვანეს ქალი ამ ბებრის სახლში. როცა სახლში მოვიდნენ, ბებერმა გამოუცხო ერთი თონე პური, მისცა ერთი ცხენი, ერთი კოკა წყალი და უთხრა: წადით ახლა. სანამდე შინ არ მიხვიდეთ, არ ჩამოხვიდეთ ცხენებიდანაო.

წავიდნენ, მართლაც, ასე იქცეოდნენ. როდესაც სახლს მიუახლოვდნენ, მაშინ ვაჟმა უთხრა: ახლა უკვე მამაჩემის სახელმწიფოში ვართ მოსული და როგორც ჩემს სახლში, ისე ვგრძნობ თავსო. მოდი, ჩამოვიდეთ ცხენებიდან და ცოტა დავისვენოთო. ქალმა უარი უთხრა: გახსოვს, იმ ბებერმა დედაკაცმა რა გვითხრაო? ბიჭმა მაინც შეაცდინა და ჩამოვიდნენ. ცხენები საძოვარზე გაუშვეს. თვითონ ერთი მდინარის პირას ჩრდილში დასხდნენ. ვაჟს ქალის კალთაში დაეძინა. მოვიდა ერთი შავი არაბის ქალი, მიესალმა ამ ქალს და დაუწყო ლაპარაკი. ამ ქალს შავმა არაბმა უთხრა: მოდი ვიბანაოთო. ლერწმის ქალმა უარი უთხრა ბანაობაზე, რადგან მის ქმარს კალთაზე ედო თავი და ისე ეძინა. არაბის ქალმა მაინც შეაცდინა და თავქვეშ უნაგირი დაუდეს ვაჟს. ჩავიდა, ჯერ არაბის ქალმა იბანავა, შემდეგ უთხრა ლერწმის ქალს: ახლა შენ იბანავე და მე გიდარაჯებ, არავინ მოვიდესო. ქალმა გაიხადა ტანისამოსი, ჰკრა არაბის ქალმა ხელი, გადააგდო წყალში და უთხრა: შენამც იქცევი თევზადაო.

ლერწმის ქალი იქცა თევზად. არაბის ქალმა ჩაიცვა ლერწმის

---

[1] დანის სალესი.

ქალის ტანისამოსი, გამოაცალა უნაგირი და თავის კალთაში დააძინა. როდესაც გამოეღვიძა ვაჟს, შეხედა ქალსა, ელდა ეცა: ეგ რა მოგსვლია, როგორ გაშავებულხარო?! ქალმა უთხრა: გახსოვს, ბებერმა რომ გვითხრა: სანამდის სახლში არ მიხვალ, ცხენებიდან არ გადმოხვიდეთო. შენ რომ გადმომიყვანე ცხენიდან, ალბათ, იმიტომ გავშავდიო.

შეკაზმეს ცხენები, გაუდგნენ გზას და მივიდნენ მამის სახლში. მამას, ერთი მხრით, გაუხარდა, სახელმწიფოს შავები გადააძრო, მაგრამ, მეორეს მხრით, ძალიან ეწყინა, და უთხრა: შვილო, მაგის გულისათვის იკლავდი თავსო? შვილმა უთხრა თავის მამას: ეჰ, მამი, ალბათ ბედი ესა ყოფილა და რას ვიზამდიო. გადაიხადეს ქორწილი.

ეს თევზი წამოვიდა წყალდაწყალ და სადაც ხელმწიფის ნახირი სვამდა წყალს, იქ ამოვიდა. წყალზე რომ მირეკენ საქონელს, თევზი გაიფრთხიალებს და საქონელი ფრთხება, უწყლობით იხოცებიან, წყალს ვერა სვამენ. მწყემსებმა მოახსენეს ხელმწიფეს ეს სამწუხარო ამბავი.

იმ წყალზე თევზაობა აკრძალული იყო, მაგრამ ხელმწიფემ მაშინვე ბრძანა, მთელი მებადურები გასულიყვნენ სათევზაოდ. ბევრი თევზი დაიჭირეს მებადურებმა, მაგრამ ის თევზი მაინც ვერ დაიჭირეს. როდესაც წყლიდან ამოდიოდნენ მებადურები, ერთმა კოჭლმა მებადურმა თქვა: მოდი, ერთხელ კიდევ გადავაგდებ ბადეს, დავიჭერ კარგია, არადა ჯანი გავარდესო. გადააგდო ბადე და მოჰყვა ეს თევზი. დაიჭირა და წამოიყვანა. წავი არაბის ქალმა უთხრა: ეგ თევზი მოხარშეთ, ჭამეთ, მხოლოდ ფხა, რაც იქნება, ცეცხლში ჩაყარეთო. მართლაც ასე იქცეოდნენ, მოხარშეს თევზი, დაუწყეს ჭამა, ფხას კიდევ ცეცხლში ყრიდნენ.

ბოლოს ერთი ნაქეიფარი კაცი მოვიდა და უთხრა: თუ შეიძლება, თევზი მინდა, ცოტა მაჭამეთო. უთხრეს: თევზს გაჭმევთ, მხოლოდ ფხა რაც შეგხვდეს, ცეცხლში ჩაყარეო. მართლაც, ისე იქცეოდა ეს კაცი. ბოლოს გადაავიწყდა და თევზის ერთი ფხა გადაუვარდა გომურის კარების უკან.

თევზი შეჭამეს, ხალხი წავიდა სახლში, საქონელი დააბინავეს. დილა რომ გათენდა, ნახეს ერთი დიდი ხე ამოსულა, საქონელი კარში ვერ გამოუშვიათ. როდესაც უნდა გამოვიდნენ კარში, ხე დაიბრიალებს და მთელი საქონელი სულ ერთიმეორეს მიეხლება. შავი არაბის ქალმა უთხრა: ააგეთ ერთი საკირე, მოჭერით ეგ ხე და როგორც გინდა პატარა ნაფოტი იყოს, სულ საკირეში ჩაყარეთ და დაწვითო.

მართლაც ასე მოიქცნენ: დაუწყეს ჭრა, შეუკეთეს საკირეს. ბოლოს, ხეს რომ სჭრიდნენ, მოვიდა ერთი კაცი და უთხრა: დღეს სამჭედლოში ცული გავაკეთებინე და თუ შეიძლება ვცადო ამ ხეზე, გასჭრის თუ არაო. ხის მჭრელებს კიდეც გაუხარდათ და დაუწყო ხეს ჭრა. ხის ჭრის დროს მოსკდა ერთი ნაფოტი და წავიდა მაღლა ჰაერში. ეს ხე მოჭრეს და სულ დაწვეს, გარდა ამ ერთი ნაფოტისა, რომელიც ჰაერში წავიდა.

ეს ნაფოტი ჩამოვარდა დაბლა ერთ სახელმწიფოში, შუა გზაზე. ერთ მშვენიერ დღეს ხალხი წავიდა ხატში სალოცავად. მათ შორის ერთი ქვრივი დედაკაცი იყო. ეს ქვრივი დედაკაცი ხატიდან რომ დაბრუნდა, დაუწყო ფიჩხს შეგროვება და ნახა ეს ნაფოტი. წამოიღო ნაფოტი სახლში, დასაწვავად ვერ გაიმეტა და თქვა: ეს გამოდგება ქოთნის საფარებლადაო.

დედაბერი რომ წავიდოდა სადმე, ეს ნაფოტი იქცეოდა ქალად, დაგვიდა, დაასუფთავებდა სახლს, მოუმზადებდა კერძს ბებერს და ისევ ნაფოტად იქცეოდა. ამ ბებერმა დედაკაცმა უთხრა თავის რძლებს: ვიდრე გავიყრებოდით, ყურს არ მიგდებდით, ახლა რამ შეგაყვარათ ჩემი თავი, ყოველდღე მისუფთავებთ და კერძსაც მახვედრებთო?! რძლებმა უთხრეს: ჩვენო დედამთილო, ძველი ანდაზა ხომ გაგიგონია, ცეცხლიდან გავიყარენით, განა ძმობიდანაცაო. ჩვენი საქმეც ეგრე იყო. ერთად რომ ვიყავით, ჩხუბი მოგვდიოდა, ახლა კი რაღაზე მოგვივა ჩხუბი, თანდათან ერთმანეთი უფრო შეგვიყვარდებაო.

ამ ბებერმა დედაკაცმა ბოლოს გადაწყვიტა: მოდი ვუთვალთვალებ, რომელი რძალია რომ მისუფთავებს ოთახსაო.

იქვე ოთახთან დაიმალა. იქცა ნაფოტი ქალად, დაგავა სახლი, გადმოყარა ნაგავი გარეთ, თვითონ კარში არ გამოვიდა. ამ დროს ბებერმა დაიჭირა ეს ქალი. ქალს ძალიან შეეშინდა და დაიწივლა: ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე, ქრისტიანი ვარო. ბებერმა ჰკითხა ვინ იყო, საიდან მოვიდა. ამ ქალმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა და ბოლოს უთხრა, რომ მე ის ნაფოტი ვარ, რომელსაც შენ ქოთნის დასახურავად იყენებო. ბებერმა არ დაიჯერა. მაშინ ეს ქალი იქცა ნაფოტად და ქრთანს დაეფარა. ბებერმა წაიშინა მუხლებში ხელი: რაზე დავლუპე ჩემი თავი და ამისთანა ქალი ნაფოტად რაზე ვაქციეო.

ამ დროს ნაფოტი იქცა ისევ ქალად და დაიწყეს ტკბილად საუბარი. ამ ქალმა ბებერს უთხრა: დღეის შემდეგ ვიცხოვროთ როგორც

დედა და შვილიო. მართლაც, ასე ცხოვრობდნენ. ერთხელ ჰკითხა ქალმა: დედი, ოჯახში რა გვყავს ისეთი, რომ ბაზარზე გავყიდოთო?— შვილო, აი ეს ერთი ქათამიაო. ამ ქალმა უთხრა: წაიყვანე, დედი, ეგ ქათამი, რომ გაჰყიდო, ერთი აბაზის აბრეშუმის ძაფი მიყიდეო.

წავიდა ბებერი ბაზარზე და წაიყვანა ქათამი. გაყიდა ხუთ შაურად. აბაზის ძაფი უყიდა და დარჩა ერთი შაური. ამ ქალმა ძაფისაგან მოქსოვა ერთი ხალიჩა. ერთხელ უთხრა ბებერსა: წაიღე, დედი, ეს ხალიჩა გაყიდე ბაზარზე და ორი აბაზის ძაფი წამომიღეო. ბაზარში რომ წაიღო ხალიჩა, შეეკითხა სამი გენერალი: რას აფასებ ხალიჩასაო? განა თქვენ არ იცით ამის ფასი, რაღა ღირსო? გენერალმა უთხრა: ას თუმანს მოგცემო. ამ დედაკაცს კი ეგონა სასაცილოდ მიგდებსო, ეს ხალიჩა ბევრი, ბევრი ღირდეს ორი მანეთიო, და უთხრა: რა სასაცილოდ მიგდებო?! მეორე გენერალმა უთხრა: ორას თუმანს მოგცემო. იმასაც უთხრა: სასაცილოდ ნუ მიგდებო, რაცა ღირს ის მომეციო. მესამემ მისცა სამასი თუმანი და გაიქცა: არ შემეშალოს ბებერიო. ბებერი კიდევ აქეთ გამორბის სახლისკენ: ფული არ წამართვანო.

მოვიდა სახლში, მოიტანა ფული და თავის შვილს უთხრა: შვილო, არ ვიცი რამ დააგიჟა იმ ხალიჩაზე ხალხი, სამასი თუმანი მომცეს. თუ სამი კაპიკი ეგონა, ხელში მაინც როგორ არ ებევრაო. ამაზე უთხრა თავისმა ქალმა: დედი, შენ არ იცი მაგ ხალიჩის ფასი, ათასი თუმანი რომ დაგეფასებინა, მაინც გაიყიდებოდაო. ასეთი ხალიჩა რამდენიმე მოქსოვა და გაყიდა.

შემდეგ ამ ფულით აიშენეს დიდი სასახლეები. მოქსოვა ერთი ხურჯინი, რომელზედაც ამოქარგა ხელმწიფის ვაჟის დასაპატიჟებელი წერილი: თუ გვიკადრებთ, მთელი შენი სახელმწიფოთი მობრძანდი ჩვენთანაო. თავისი სურათიც ჩააკრა ხურჯინში. ქალმა თავის დედობილს უთხრა: ერთ ალაგას უნდა გაგზავნოო. ზოგან მოგიხდება ფეხით სიარული, ზოგან ცხენით. გაისარჯე ჩემი გულისათვის, თხოვნაზე უარს ნუ მეტყვიო. დედობილმა უპასუხა: სადაც უნდა მითხრა, წავალ, შვილო, თუნდაც ვიცოდე, რომ იქიდან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდებიო. მისცა ეს ხურჯინი ამ დედაკაცს და უთხრა: ეს ხურჯინი უნდა წაიღო ამა და ამ ხელმწიფის ვაჟთან, შენი ხელით უნდა მიუტანო. ვინც არ უნდა გითხრას, რომ მე შევუტან ხურჯინსაო, არავის არ დაანებოო.

წავიდა ბებერი დედაკაცი. წაიღო ხურჯინი. ქალმა გაატანა ბლოშად ფული. იარა ბებერმა, ხან ფეხით, ხან ცხენით და ბოლოს მივიდა სახელმწიფოში, სადაც ის ხელმწიფის შვილი ცხოვრობდა. სახლთან

რომ მივიდა, შავი არაბის ქალი დახვდა კარში, ბებერს უთხრა: სად მიდიხარო? ბებერმა უპასუხა: ხელმწიფის შვილის ნახვა მინდა, უნდა ვადავცე რამეო. არაბის ქალმა უთხრა: მომეცი, მე შევუტანო. ბებერმა არ მისცა, თვითონ შეუტანა. მაგრამ ქალმა ისე ჩაარტყა კისერში, რომ ერთ წლამდე სულ გაშეშებული კისერი დაჰქონდა. ხურჯინი გადასცა ხელმწიფის ვაჟს. როცა წაიკითხა წერილი, დასწერა პასუხი, რომ ამა და ამ დროისთვის იყავი მზად და მოვალო.

დედაბერი რომ მივიდა ქალთან, უთხრა: რა ჰქენიო? ბებერმა უპასუხა: ხურჯინი შევუტანე, ერთი შავი არაბის ქალი იყო იქ, ისეთი ჩამარტყა კისერში, რომ ახლაც მტკივაო, და აი ეს წერილი გამოგიგზავნა. წაიკითხა ქალმა წერილი. დანიშნული დროისათვის შეუდგა მზადებას, რომ მოაწყოს კარგი ვახშამი, არ შერცხვეს.

როდესაც მოვიდა დრო, რომ უნდა მისულიყვნენ, ამ ქალმა ჩაიცვა ვაჟკაცური ტანისამოსი. მოვიდნენ კიდეც მოწვეული სტუმრები და დაიწყეს ქეიფი. ხელმწიფის შვილი და შავი არაბის ქალი დასხდნენ ერთად, დანარჩენი ხალხი, ვისაც სად ეკუთვნოდა, ყველა ისე გაანაწილა. როცა ქეიფი დაიწყეს, თვითონ დადგა თამადად, ბოლოს ხალხს გამოუცხადა: მე ცოტა ცუდად გავხდი, ცოტა ხანს ოთახიდან უნდა გავიდე და ჩემს დას გამოგიგზავნით, რომელიც ჩემზე უკეთეს თამადობას გაგიწევთო.

გავიდა მეორე ოთახში, გაიხადა ვაჟური ტანისამოსი, ჩაიცვა ქალის ტანისამოსი, გავიდა ხალხში ისევე და დაიწყო სადღეგრძელოების თქმა. როცა ხალხს სმისა და ჭამის თავი აღარა ჰქონდა, მაშინ ამ ქალმა უთხრა: მოდი, ახლა ყველა თავის თავგადასავალს მოვყვეთო.

მაშინ სთხოვეს: ჯერ თქვენი თავგადასავალი გვიამბეთო. ქალი დასთანხმდა და გამოაცხადა, ორი კაცი დაეყენებინათ კარებში, რომ კარში არავინ გასულიყო. დაიწყო ქალმა დაწვრილებით თავგადასავალი. როდესაც ახსენა შავი არაბის ქალი, წყალში რომ გადააგდო და თვითონ ხელმწიფის ვაჟთან იჯდა, არაბის ქალი მაშინვე წამოიწია ფეხზე, მაგრამ ხალხი რას გაუშვებდა. ქალმა რომ დაამთავრა თავისი თავგადასავალი, გამოიყვანეს შავი არაბის ქალი, მოაბეს ცხენის კუდზე, გააქციეს ცხენი და სულ დააჩქლეთინეს. ხელმწიფის ვაჟმა უთხრა თავის მამას: აი, ამ ქალის გულისთვის ვიკლავდი თავსაო და რა მექნა, რომ ვერ გავიგე როგორ გამომეცვალაო. დაიწერა იმ ლერწმის ქალზე ჯვარი, ერთი კაი ქორწილი გადაიხადეს და დაიწყეს ტკბილი და საამური ცხოვრება.

ხელმწიფის ზღაპარი

ერთი ხელმწიფე იყო და ჰყავდა სამი შვილი. როცა მოხუცდა ხელმწიფე და ავადაც გახდა, თავის შვილებს დაუბარა ანდერძად: როდესაც მოვკვდე, სამნი ხართ და თითო ღამეს საფლავზე მიდა-რაჯეთო. მალე მოკვდა კიდეც ხელმწიფე და დაასაფლავეს, როგორც წესი იყო. ხელმწიფეს ერთი შვილი ჰყავდა ისეთი, რომელიც არა-ფერს არ აკეთებდა და ნაცარქექიას ეძახდნენ. ამ ნაცარქექიამ სთქვა: აბა, ძმებო, მამის ანდერძი როგორც იყო, წავიდეთ ვუდარაჯოთო. ძმებმა თავში ჩაარტყეს, მკვდარს რაღა დარაჯობა უნდაო. მაშინ ად-გა ნაცარქექია და წავიდა სადარაჯოდ. თან წაიღო ბარი და წერაქვი. საფლავთან რომ მივიდა, საფლავის თავში ამოჭრა ერთი ორმო, ჩაჯ-და შიგ და ზემოდან ფოთლები დაიფარა. იმ ღამეს არავინ არ მოსუ-ლა. მეორე ღამესაც ისე დაუდარაჯა, მაგრამ ახლაც არავინ ჩანდა. მესამე ღამეს შუაღამისას მოფრინდა ერთი მამალი და დაუწყო საფ-ლავს ქექვა. ამ დროს ამოხტა ნაცარქექია ორმოდან, დაიჭირა მამალი, გაუკრა ფეხები და საფლავს კი მიწა წააყარა.

გათენდა და დაბრუნდა სახლში. მიიტანა წერაქვი და ბარი, ჩა-აბარა თავის ძმებსა და უთხრა: ახლა მშვიდობით იყავით, სამედამოდ გშორდებითო და გაუდგა თავის გზას.

გზაში ნაცარქექიას შემოხვდა ერთი ვაჭარი და რომ დაინახა მამალი, მაშინვე შეევაჭრა. ნაცარქექიამ მამალი არ მიჰყიდა. ბოლოს უთხრა: თუ გინდა, ერთად ვიაროთ და საღამოზე, როცა დაგვიღამ-დება, იქ დავკლათ და ერთად ვჭამოთო. გავიდნენ ერთ სახელმწიფო-ში და დაღამდა კიდეც. ვაჭარმა უთხრა: შენ წადი ბაზარში, იყიდე რამეები, მე ცოტა ხანს დავიძინებ, როცა მოხვიდე და ქათმის დაკვლა დააპირო, გამაღვიძეო.

წავიდა ნაცარქექია ბაზარში, იყიდა რაც უნდოდა სასმელ-საჭმელი და დაბრუნდა უკან. ნახა ვაჭარს ეძინა და შეეცოდა, რომ გამო-ეღვიძებინა. დაკლა ქათამი. გამოწელა და ნახა — ნაწლავებში რაღაც ბრჭყვიალებდა. გამოჭრა ნაწლავი და გადმოვარდა ბეჭედი. ეს ბეჭე-დი გარეცხა და ჯიბეში ჩაიდო. ნაცარქექიამ მოხარშა ქათამი და გა-აღვიძა ვაჭარიც.

ვაჭარმა რა წამსვე გაიღვიძა, მაშინვე მამალი მოიკითხა. ნაცარ-ქექიამ უთხრა: დავკალიო. ვაჭარი ძალიან გაწყრა და უთხრა: ნაწ-ლავები სად გადაყარეო? ნაცარქექიამ შეიტყო ნაწლავები რისთვისაც

იკითხა და უპასუხა: ზოგი იქით გააქანა კატამ და ზოგი აქითაო და შეეპამაო. ვაჭარი დაღონდა, ადგა და შინ წავიდა.

დალამდა და დაწვა ნაცარქექია. ამოიღო ბეჭედი და დაუწყო შინჯვა. ბეჭედს ერთ ადგილას რაღაც თვალივით შენიშნა. დააჭირა იქ ხელი და ამოიშალა ჯარი და დაუწყეს კითხვა: რას გვიბრძანებ, ბატონო, და რას გვიბრძანებო? ნაცარქექიას შეეშინდა და უთხრა: ჩადით, ჩადით ისევ უკანვეო. ჩავიდნენ ბეჭედში ისევ ის ჯარისკაცები. დაწვა და დაიძინა ნაცარქექიამ.

მეორე დილა გათენდა. ნაცარქექიამ გაიგო, რომ აქაურ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი გასათხოვარი ქალი. ნაცარქექიაც იმ დღეს ბებერ დედაკაცთან იდგა და უთხრა დილით: დედი, თუ შეიძლება ხელმწიფის ქალთან უნდა გამეგზავნო მაჭანკლადაო. უთხარი ამა და ამ ხელმწიფის შვილი გთხოვს შვილსაო.

ბებერს ძალიან ეზარებოდა, მაგრამ წავიდა, რას იზამდა. მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხელმწიფეე, წუხელ ერთი ხელმწიფის შვილი იყო ჩემთან სტუმრად და იმან გამომგზავნა მაჭანკლად შენს ქალთანო.

ხელმწიფე ძალიან გაწყრა და უთხრა: რაკი ხელმწიფის შვილი ყოფილა, ურჩევნია ცოტა ხანს ცოცხალმა იაროსო. მე ჩემს ქალს ისეთ ვაჟს მივცემ, რაც არ უნდა დავავალო, უსათუოდ შემისრულოსო. თუ ვერ შეასრულა რასაც ვუბრძანებ, თავს მოვჭრი იმ ვაჟსო. ჩემი ქალიშვილის ოთახის გალავანს ადამიანების თავებით ვაკეთებ და სწორედ ერთი თავიღა აკლიაო. ურჩევნია წავიდეს სახლში, თორემ სიკვდილი არ ასცდებაო!

დაბრუნდა ბებერი სახლში და მოუყვა სუყველაფერს, რაც ხელმწიფემ უთხრა. ნაცარქექიამ უპასუხა ბებერს: მიდი და მოახსენე რა სურს დამავალოს, მითხრას და შევასრულებო. ბებერი წავიდა ხელმწიფესთან, მაგრამ მუხლები უკან რჩებოდა. მოვიდა ხელმწიფესთან ბებერი: რაცა სურს დამავალოს, შემომითვალოსო.

ხელმწიფემაც შეუთვალა იმ ვაჟსა: სადაც თვითონა დგას ამჟამადო, იმ საცხოვრებლებიდან ჩემს სახლამდე სწორი ხიდი გააკეთოსო, ისე რომ ჩემი სახლი და მისი სახლი ჩანდეს იმ ხიდის თავბოლოსო. ხიდს როცა დაამთავრებს, უნდა ხეხილი ჩაყაროს იქეთ-აქეთო, ისეთი, რომ რიგი მწიფდებოდეს, რიგი ყვაოდეს და რიგიც შემოდიოდესო. ამ ხეებზე კიდევ იადონი და ბულბული გალობდესო. ყოველივე ეს უნდა შეასრულოს ორი დღის განმავლობაში, თუ არადა, თავს მოვჭრიო.

წამოვიდა ბებერი უკან ტირილით, ეცოდებოდა ხელმწიფის ვაჟი. ბებერი დაბრუნდა უკან და მოუყვა სუყველაფერს ვაჟს, რაც ხელმწიფემ დაავალა.

დაბინდდა. დაწვნენ და დაიძინეს.

შუაღამემ რომ მოატანა, ადგა ნაცარქექია ლოგინიდან, გახსნა თავის ბეჭედი და ამოიშალა ჯარი. ეუბნებოდნენ: რას გვიბრძანებ, ბატონო? ნაცარქექიამ გასცა ბრძანება, რომ ხელმწიფის სახლიდან შის სახლამდე გაეკეთებიათ ხიდი, იქით-აქეთ ხეხილი დაერგოთ ისეთი, როგორიც ხელმწიფემ შემოუთვალა და ზედ იადონი და ბულბულიც ყოფილიყვნენ. გასცა ბრძანება, რომ გაეკეთებინათ ორ დღეში.

ორი დღის ნაცვლად იმ ჯარს ორი საათი დრო დასჭირდა დავალების შესრულებისათვის. გამოაღვიძა ბებერი ნაცარქექიამ და უთხრა: წადი, დედი და უთხარი ხელმწიფეს, შენი სურვილი შესრულებულია-თქო.

ადგა ბებერი, ტანთ ჩაიცვა და გაუდგა ხელმწიფის სასახლისაკენ. წინათ თუ მორცხვად მიდიოდა, ახლა გული მიეცა და ფეხების ბაკიბუკით მიუბრახუნა კარზე. ხელმწიფეს ეძინა: გამოაღვიძეს და კარში რომ გამოვიდა და დაინახა, კინაღამ ჭკუიდან შეიშალა.

უთხრა ხელმწიფეს ბებერმა: რაც უბრძანე, შესრულებულია და ახლა ვაჟმა და ქალმა უნდა ნახონ ერთმანეთიო. ხელმწიფემ სთხოვა ბებერს — ვაჟი მოეყვანა.

მიიყვანა ბებერმა ვაჟი ხელმწიფესთან. ნაცარქექიამ დაუჭინა ხელმწიფეს: შენი ქალი უნამუსოა, უნამუსო, უნამუსოო! სამჯერ გაუმეორა.

ხელმწიფეს ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა. ქორწილი დანიშნეს. დიდი ქორწილი გადაიხადა. ქალ-ვაჟი კარგა ხანს ცხოვრობდნენ ერთად. ვაჟი ბეჭედს ხელიდან არ იშორებდა. ერთხელ ნაცარქექია გაიპატიჟეს სხვის ქორწილში ნათლიად. ცოლმა უთხრა: ვაითუ ბეჭედი დაჰკარგო, მოდი და სახლში შეგინახავო. ნაცარქექია შეაცდინა ცოლმა, გამოიძრო ბეჭედი თითიდან და ქალს მისცა.

ნაცარქექია წავიდა ქორწილში. ეს ამბავი გაუგია ვაჭარს და უშოვნია ბლომად ბეჭდები. მოვიდა ამ ხელმწიფის სახლის წინ და იძახის: ბეჭედი ბეჭდებზე გასაცვლელიო! ხელმწიფის ქალმა ჩაუტანა ბევრი ბეჭედი. თითო ბეჭედში ვაჭარი აძლევდა ათ-თხუთმეტ ბეჭედს: იქნება როგორმე შეეცდინა და ის ბეჭედიც გამოეტანინებია. ბოლოს უთხრა ხელმწიფის ქალს: თუ კიდევ ბეჭედი რამე გაქვთ, ასი ბეჭედი რომ მთხოვოთ, მოგცემთო.

წავიდა და ამ ქალმაც ჩამოუტანა ის ბეჭედიც. დახედა ვაჭარმა და იცნო: ჯადოსანი ბეჭედი ყოფილაო. მაშინვე მისცა ასი ცალი ბეჭედი.

დაღამდა. გახსნა ბეჭედი ვაჭარმა, ამოიშალა ჯარი და უთხრეს: რას გვიბრძანებ, ბატონოო? ვაჭარმა ჯავრობა და თავში ცემა დაუწყო ჯარისკაცებს: სად იყავით ამდენ ხანსო! ბოლოს გასცა ბრძანება: რაც თქვენ გაგიკეთებიათ, აიღეთ სულ მთლათ, თეთრი ზღვის კუნძულზე დადგითო. ეგ ქალიც თან წამოიყვანეთო. ჯარმა შეასრულა ბრძანება: მთელი შენობა აიღო და დანიშნულ ადგილზე დადგა. ქალიც იქ წაიყვანეს და ვაჭარიც.

დაბრუნდა ნაცარქექია ქორწილიდან, დაინახა — იმ ადგილზე თავის გაკეთებული აღარაფერი აღარა ჩანს რა. ხელმწიფე იჯდა და ტიროდა. მაშინ უთხრა ნაცარქექიამ ხელმწიფეს: მე გითხარი — შენი ქალი უნამუსოა-თქო და ტყუილი ხომ არ გამოდგაო.

ხელმწიფემ უთხრა: რას იზამ, შვილო, ოღონდ ეს მომითმინე და უკეთეს ქალს გიშოვნიო.

ნაცარქექია ძალიან დაღონებული იყო. ბოლოს მეთარეებს გააკეთებინა ერთი თარი, აავსო ერთი ტომარა ნამცხვრით, მოიკიდა ზურგზე და გაუდგა გზას. დღეში თითო ცალ ნამცხვარსა სჭამდა და ერთობოდა თარის დაკვრით.

ბევრი ხნის სიარულის შემდეგ გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე და რასა ხედავს! წინ მიუძღვის ერთი კაცი და როგორც ჯარი სამწყობროში, ისე ჩაუყენებია ძაღლები და მოუდის. ნაცარქექია დაუპირდაპირდა ძაღლებს. ძაღლები გაიფანტნენ. ძაღლების უფროსმა, რომ ნაცარქექია არ დაეგლიჯათ, ჩუმად დაუცაცხანა: ხმა არ ამოიღოთო! მივიდა ნაცარქექია ძაღლების უფროსთან და ძაღლების უფროსმა უთხრა: ამათი შიშით ახლომახლო კაცს არ გაუვლია და შენ რამ გაგაბედინა აქ გამოვლაო?

ნაცარქექიამ პასუხი მისცა: მე თავი მაქვს გადადებული სასიკვდილოდ და გინდა ძაღლს შევუჭამივარ და გინდა მგელს, სულერთია ჩემთვისაო.

ძაღლების უფროსმა უთხრა: რა გაგჭირვებია ისეთი, რომ მაგას ლაპარაკობ? ნაცარქექია მოუყვა: ასეა, ასეა ჩემი საქმეო და ამ ერთ კვირაში ხომ არაფერი გაგიგია რაო? ძაღლების უფროსმა უპასუხა: სწორედ ერთი კვირა იქნება, შუაღამის დრო იქნებოდა, მაღლა იცქირებოდნენ ჩემი ძაღლები და სულ წკმუტუნებდნენო.

გამოეშვიდობა ნაცარქექია და წავიდა. ძაღლების უფროსმა მო-

ბრუნა ის უკან და მისცა ერთი ძაღლი: ეს ძაღლი შენთვის მიჩუქნია, როგორც გინდა ისე მოიხმარეო. მხოლოდ მაგ გზით რომ მიდიხარ, ვერაფერს ვერ შეხვდებიო. ნაცარქექია მაინც წავიდა და წაიყვანა თან ძაღლი. ბევრი იარა თუ ცოტა, გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე და დაინახა, რომ წინ მიუძღვის კაცი და თან უკან მთელი მინდორი კატებს უკავია. გადაუხტა ძაღლი კატებს და დაიწყეს ჩხუბი. როგორც იყო დააშოშმინეს.

უთხრა კატების უფროსმა: სად მიდიხარ, აქეთკენ არავინ არ ცხოვრობსო. ნაცარქექიამ უთხრა: ესე, ესეა ჩემი საქმე და იმის საძებნელად მივდივარო. ამ ორ კვირაში ხომ არაფერი არ გაგიგიაო?

კატების ხელმწიფემ აცნობა: სწორედ ორი კვირა იქნება მას აქეთ, შუაღამის დრო იქნებოდა, როცა ჩემი კატები ყალყზე იდგნენ და მაღლა იცქირებოდნენ. ძალიან შხუილით გადაიარეს, მეც მესმოდა ხმაურიო.

ადგა და გამოემშვიდობა ნაცარქექია და წავიდა. ბოლოს კატების ხელმწიფე მიუბრუნდა და ერთი კატა მისცა. ეს კატა როგორც გინდა ისე მოიხმარე, შენი ნებააო. წავიდნენ სამნი: ნაცარქექია, ძაღლი და კატა.

ძალიან შეუყვარდა ნაცარქექიას ეს ძაღლი და კატა, ხან ერთს კოცნიდა და ხან მეორეს. თარს რომ დაუკრავდა, ორივენი თამაშობდნენ. წავიდნენ, იარეს, იარეს და გავიდნენ ერთ ტრიალ მინდორზე.

დაინახეს, რომ წინ მოდის ერთი კაცი და უკან სულ წითელი თაგვებით არის სავსე მინდორი. გადაუხტა ძაღლი და კატა თაგვებს და სულ ერთმანეთში არივ-დარია.

თაგვთა ხელმწიფემ დაუწყო ნაცარქექიას ჩხუბი, რაზე მიხოცავ ჯარსაო.

ბოლოს დააშოშმინეს ძაღლიც და კატაც და დაიწყეს ლაპარაკი. ნაცარქექიამ მაშინვე ჰკითხა თაგვთა ხელმწიფეს: ასეთი ამბავი ხომ არაფერი გაგიგია ამ სამ კვირაშიო?

თაგვთა ხელმწიფემ უპასუხა: სწორედ სამი კვირის წინათ, შუაღამის დროს ჩემი თაგვები სულ უკანა ფეხებზე დადგნენ, მაღლა იყურებოდნენ და წრუწუნებდნენო. გამოემშვიდობა თაგვების ხელმწიფეს ნაცარქექია. მანაც აჩუქა ერთი თაგვი და უთხრა ნაცარქექიას: მანდეთ ტყუილათღა წახვალო. ერთი დღე რომ იარო, ზღვას მიადგები და ვერსად წახვალო. ნაცარქექია მაინც წავიდა. მივიდნენ ზღვის პირას, დასხდნენ და ისადილეს თაგვმა, ძაღლმა, კატამ და ნაცარქექიამ.

ცოტა ხანს დაუკრა თარი, ათამაშა თაგვი, ძაღლი და კატა და შემდეგ მწარედ ამოიოხრა. თუმცა კატამ, ძაღლმა და თაგვმა ლაპარაკი არ იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ თუ რა მდგომარეობაში იყო ნაცარქექია. როგორც კი შებინდდა, ადგნენ სამივენი, დაიწყეს ზღვისაკენ ცქერა და კუნძულების დათვალიერება.

კატა უფრო კარგა ხედავდა ღამე და ერთ კუნძულზე რაღაც შენიშნა. უთხრა მაშინვე ძაღლსა და თაგვს: ამა და ამ კუნძულზე რაღაც შევნიშნე და უნდა წავიდეთო. მივიდა კატა და ნაცარქექია წამოაყენა ფეხზე, დაუჭირა ხელი ვაჟს და უჩვენა იქითკენ, საითაც უნდა წასულიყვნენ და მერე თავად უჩვენა კატამ — შენ აქ დარჩი და ჩვენ წავალთო.

თაგვი შემოაჯდა ძაღლს კისერზე და ეცნენ კიდეც ზღვას. გავიდნენ ერთ კუნძულზე. მოილაპარაკეს ჯერ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ძაღლმა უთხრა კატას: მოდი, შენ წადი, შემოუარე იმ კოშკს გარშემო. კატა ყველასათვის საყვარელია; ისინი იტყვიან: შეიძლება გემიდან გადმოუვარდა ვინმეს და გაგიღებენ კარებსო.

წავიდა კატა. მართლაც, ისე მოიქცა: შემოუარა კოშკს ირგვლივ და დაიწყო კნავილი. გამოიხედა კარში კაცმა და უთხრა თავის ცოლს: კატაა და შემოუშვით სახლშიო. გაუღეს კატას კარები, შევიდა სახლში. შესვლისთანავე კატამ დაურბინა ყველა თაროს, მერე კამოდის უჯრებში ჩასუნა. ისინი იძახოდნენ: ალბათ, თაგვია და იმისი სუნი საიდანმე მოსდისო და იმას ეძებსო. მაგრამ იმათ არ იცოდნენ, რომ კატა ბეჭედს ათვალიერებდა —სად ექნებათ შენახულიო.

დაღამდა. დაწვნენ და შენიშნა კატამ, რომ კაცს ყელზე რაღაც ეკიდა და იმაში შიგ რაღაცა ჰქონდა ჩადებული. უყურა კატამ და ლოგინში როდესაც დაწვნენ, კაცმა ყელზე რომ რაღაც ქონდა, ის მოიხსნა და ცხვირის ნესტოში შეიდო. კატამ მაშინ დაინახა, რომ ეს ბეჭედი იყო.

დაიძინეს თუ არა, კატა გამოიქცა ძაღლთან და თაგვთან, მივიდა და უამბო ყველაფერი, რაც ნახა.

მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ თაგვი და კატა უნდა წასულიყვნენ.

თაგვმა უთხრა კატას: მე კარში ვიქნები, შენ ხომ სახლში შეგიშვებენ, როდესაც პურს სჭამენ, ათვალიერე ან ჭურჭელს სად დააწყობენ, ან მდოგვს სად შეინახავენ, ან პილპილი თუ ექნებათ, იმას სადღა შეინახავენ. ესენი ნახე კარგად და როდესაც დაწვებიან, მაშინვე შემატყობინე და შემოვალ შიგნითო.

კატა შევიდა, ქალმა და კაცმა ჭამეს პური, მოემზადნენ დასაწოლად. ჭურჭელი გაშალეს. კატა ათვალიერებდა, თუ სად რას დადგამდნენ.

როდესაც დაწვნენ და დაიძინეს, კატამ შეატყობინა თაგვს ყოველივე და შეიყვანა ოთახში. აჩვენა ჯერ სადაც იდგა მდოგვი. მივიდა თაგვი და ამოუსვა კუდი შიგ, შემდეგ პილპილთან მიიყვანა, მდოგვში ამოვლებული კუდი ახლა პილპილში ჩადო და უთხრა კატას: ცხვირის რომელ ნესტოში აქვს ბეჭედიო? კატამ უთხრა: მარჯვენაშიო. მივიდა თაგვი და მარცხენა ცხვირის ნესტოში შეუყო მდოგვსა და პილპილში ამოვლებული კუდი. კაცმა ისე მაგრა დააცემინა, რომ ბეჭედი გამოვარდა. დასტაცა ფისომ პირი და გამოიჭცნენ ორივე ძაღლისაკენ. მიიტანეს ძაღლთან. ფისომ უთხრა ძაღლს: ბეჭედი მე მქონდეს, თორემ შენ დაინახავ თუ არა ზღვაში რაიმეს, დაყეფავ და პირიდან გამოგივარდებაო.

ძაღლმა მაინც თავისი არ დაიშალა, გამოართვა ბეჭედი, შემოახტა თაგვი კისერზე და გაუდგნენ გზას. ზღვა რომ გაიარეს, აღარ ექნებოდათ ათი მეტრი გამოსასვლელი, ძაღლს წინ წეეფეთა წითელი თევზი. ძაღლმა დაჰყეფა და ბეჭედი პირიდან გამოუვარდა. ბეჭედი მაშინვე თევზმა ჩაყლაპა. ეს დაინახა მარტო კატამ. გამოვიდნენ დაღონებულები და მივიდნენ პატრონთან.

კატა ადგა და დაჰყვა ზღვის პირზე. ქვემოთ რომ ჩავიდნენ ცოტა, იქ ნახეს მებადურები თევზებს იჭერდნენ. მებადურებს ძალიან გაუხარდათ ძაღლისა და კატის დანახვა და ეალერსებოდნენ. კატა სულ წითელ თევზს ათვალიერებდა. რამდენი თევზიც დაიჭირეს, იმდენი გამოწელეს და გადაუყარეს ძაღლსა და კატას. კატა ყურს არ უგდებს. იმ ნაწლავებს, მაგრამ ბოლოს წითელი თევზი გაება ბადეში. გაჭრეს. თევზი და ნაწლავები გამოყარეს თუ არა, მაშინვე ეცა ნაწლავებს, იპოვა ბეჭედი და გაიქცა პატრონისკენ გახარებული.

როცა მიუტანეს ბეჭედი ნაცარქექიას, მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა და ჰკოცნიდა ხან ძაღლს, ხან კატას და ხან თაგვსა.

წამოვიდნენ სახლისაკენ. მოვიდნენ ჯერ თაგვთა სახელმწიფოში. ნაცარქექიამ ჩააბარა თავისი თაგვი მეფეს და მადლობა გადაუხადა. შემდეგ კატათა სახელმწიფოში ჩააბარა კატაც იმათ მეფეს. წამოვიდა ახლა ძაღლთა სახელმწიფოში და ძაღლიც დაუბრუნა პატრონს. გადაუხადა მადლობა და მოვიდა თავის სიმამრთან.

რაკი შუაღამემ მოატანა, ამოიღო ბეჭედი ნაცარქექიამ, გახსნა. და ამოუშვა ჯარი. ჯარმა უთხრა: რას გვიბრძანებ, ბატონო?

ნაცარქექიამ გასცა ბრძანება: რაც აქ იყო გაკეთებული და წაი-

ღეთ, ერთ საათში აქვე დადგითო. ის ვაჭარიც აქ მოიყვანეთ და ჩემი ცოლიცაო! წავიდნენ და მართლაც ასე მოიქცნენ. ერთ საათში სუ-ყველაფერი თავის წესზე დააყენეს.

გათენდა დილა. გამოაღვიძა თავისი სიმამრი ნაცარქექიამ და უთხრა: წამოდი შენი ქალი გაჩვენო ვისთანაც არისო. მოიყვანა და დაანახა, რომ ვაჭართან იწვა.

ხელმწიფემ უბრძანა თავის მეჯინიბეებს, გამოეყვანათ ორი ცხენი, მოებათ ის ქალი და ვაჭარი ცხენის კუდებზე და დაეგლეჯინებინათ. მეჯინიბეებმა ბრძანება შეასრულეს.

ნაცარქექიამ და ხელმწიფემ იწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ცხვრის შვილი

ერთ მეცხვარეს თურმე ცხვარი მიუდიოდა შინ. ერთი ჯანდაგი ცხვარი დარჩა გზაზე; არც მეცხვარემ უგდო ყური და დაანება თავი. იმ ცხვარმა ერთი ნატყლაპი იპოვა და ის შეჭამა. იმისგან გაინერბა. მოუხტნენ მგლები: უნდა შეგჭამოთო. ცხვარი შეეხვეწა: ახლა ხომ მხედავთ, ლუბი ვარ, ან თქვენ რა გემოს ჩამატანთო, დამაცალეთ, გავსუქდები და მაშინ თქვენ ხელთა ვარო, სამღირველოც ვიქნები და გემრიელიცაო. მგლებმაც უსმინეს ვედრება და არ შეჭამეს.

ცხვარს გაუჩნდა ვაჟი, იმის სახელი — „ცხვრის შვილი". ის ვაჟი თურმე დღეში თითო მათრახის ტარს იზრდებოდა. ათის დღისა რომ გახდა, მჭედელს მშვილდ-ისარი გააკეთებინა. როდესაც გაიგო, რომ ის მგლები ახლა კი მოვლენო, იმათ მოსასვლელ კარებში ცხრა ისარი შეინახა. მგლები მართლაც ცხრანი მოვიდნენ. ესროლა თითო და სათითაოდ დახოცა. მერე დედას ერთ-ერთ კლდეში გაუკეთა ბინა და მუდამ იქ უზიდავდა წყალსა და ბალახსა. ბოლოს თქვა ცხვრის შვილმა: ერთი ისეთი კაცი უნდა ვიშოვო, რომ ძმად გამომადგესო, ჩემისთანა იყოს და მტრის წონა ჰქონდესო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შეხვდა ერთს კაცს; ერთმანეთს გამარჯობა უთხრეს. მერე ჰკითხა: — შენ ვინა ხარო? — მე ის კაცი ვარო, ემ გორას მოვგლეჯო და იმ გორას მივარტყამო, — უპასუხა იმან. — მეც ეგეთი კაცი მინდაო, დავძმობილდეთო! — აგრეო!

დაძმობილდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ კაცსა. — შენ რა კაცი ხარო? — ჰკითხეს. — მე ის კაცი ვარო, — უპასუ-

ხა იმან, — ამ წიფლიანს ავივლი — ავამტვრევო, ჩამოვივლი — ჩამოვამტვრევო. — კარგიო, ჩვენც ეგეთი გვინდოდა, დავძმობილდეთო! — ძალიან კარგიო!

დაძმობილდნენ. წავიდნენ. ერთ მაღალს მთაზე გავიდნენ, ჩახედეს და ნახეს, რომ ქვევით ერთი ჭყანტიანია, და იმ ჭყანტიანს იქით, ჯარგა შორს, დევების სახლია.

ძმობილებმა თქვეს: აბა, რომელიც იმ დევების სახლს დაეკრავთ, ის ვიქნებით კარგი ბიჭიო.

გაჰკრა გორთა მგლეჯელმა და ჭყანტიანს აქეთ დაეცა ისარი, სახლამდე ვერ უწია.

გაჰკრა წიფლიანის მტვრეველმა და ჭყანტიანში ჩაარჭო ისარი, ცოტათი აჯობა გორიდრეკიას. დევების სახლთან ვერც იმან უწია.

ახლა ცხვრის შვილმა გაჰკრა. ისარი დევების სახლის ბანზე მივიდა, შიგ თავში მიიჭედა, წვერი სახლში ჩააჩინა. დევებმა თქვეს:

— რამ დააგრიალა ეს ბანი, რომ კინაღამ დაიქცაო, გავიდეთ, ვნახოთ რა არისო? გამოვიდნენ, ნახეს, ისარი არის დაცემული. აჰხედეს მაღლა მთაზე და ნახეს, რომ კაცები გადმომდგარან და მშვილდ-ისარი უჭირავთ ხელში. სთქვეს: აბა, ვცადოთ, ამოვაძროთ ისარიო! ეზიდნენ, ეზიდნენ და, რაკი ვერ ამოაძრეს, გაიქცნენ და გადიყარნენ ცხრა მთას იქით. იმათ კი დაჰკივლეს და დაუტიეს.

დევებს ერთი ბებერი ჰყავდათ, ის ველარ გაიქცა, მაღლა თავხეზე შესვეს და დაანებეს თავი. მოვიდნენ ძმობილებიც. ცხვრის შვილმა ნეკურა თითით ამოაძრო ისარი და შეინახა. მერე ჩაიარეს და სახლი ძალიან მოეწონათ. აქ დავდგეთო, თქვეს. მეორე დღეს გორთა მდრეკელს უთხრეს:

— ჩვენ სანადიროდ წავალთ, ეს ხორცი კი არისო, და სადილი მოგვიმზადეო. — ესენი წავიდნენ. იმან ყველაფერი გააკეთა. ბებერმა დაუძახა: აქ ამომაწოდე რაც რამ გააკეთე, თორემ ჩამოვხტები და შენც შეგჭამ და მაგასაცაო. ააწოდა გორთა მდრეკელმა. მოვიდნენ ისენი და, რომ არაფერი დახვდათ, ჰკითხეს:

— ყველაფერი იყო და რატომ არ მოამზადეო?

— დამძინებოდა და ველარ მოვასწარიო.

მერე წიფლების მტვრეველი დარჩა. ბებერმა იმასაც ისე უყო.

მესამე დღეს ახლა ცხვრის შვილმა უთხრა:

— წადით თქვენ, და, აბა, ახლა მე დამეძინოს აქაო. — გააკეთა იმანაც და დადგა. ბებერმა იმასაც დაუძახა: ამომაწოდე რაც მანდ

გააკეთე, თორემ ჩამოვხტები და შენც და მაგათაც ერთად შეგჭამთო. შეიხედა ცხვრის შვილმა მაღლა და დაინახა, რომ თავხეზე დევების დედა ზის და დაუტყვრეცია თვალები. მაშინვე ესროლა ისარი და თავხეს ზედ მიაკრა.

დადგნენ იქ სამივე, მოიყვანეს ცხვარი და დაიწყეს ცხოვრება.

ს ი ზ მ ა რ ა

ერთი ყმაწვილი იყო და დედინაცვალი ჰყავდა. ერთხელ დედინაცვალმა პური გაფინა გასაშრობად და გერი გვერდით მიუსვა. ყმაწვილს დაეძინა. პურს ქათმები მიესიენ და კენკვა დაუწყეს. დედინაცვალი გაჯავრდა, გერს სცემა. — რა ეშმაკმა დაგაძინა, პური შეჭამეს ქათმებმაო! — დედ, დედ! მაცალე რა გითხრაო! — რაო? — ჰკითხა დედინაცვალმა. — ძილმა წამიღო, ბურანმა: ცალი ფეხი ბაღდადს მედგა, ცალი ბაღდადის ბოლოსა; აქეთ მზე მეჯდა, იქით მთვარე, შუქურ-ვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო.

დედინაცვალს სიზმარი მოეწონა, სტაცა გერს ხელი და უთხრა: მომეცი ჩქარა ეგ სიზმარი! — ეს ხომ სიზმარი იყო, აბა, რა მოგცეო? დედინაცვალმა სცემა და გააგდო ეს სიზმარა. წავიდა, იარა, ხელმწიფის კარს მივიდა. — რას დადიხარ, ბიჭო, რას ეძებ? — ჰკითხა ხელმწიფემ. — ასე და ასე იყო ჩემი საქმე, დედინაცვალმა მცემა და გამაგდოო, — მოახსენა ყმაწვილმა და სიზმარი უამბო ხელმწიფეს.

ხელმწიფესაც მოეწონა ეს სიზმარი და უბრძანა: მომეცი ეგ სიზმარი! — აბა, რა მოგართვა, სიზმარი იყოო! აიღო ხელმწიფემ და ეს ყმაწვილი ხაროში ჩააგდო.

ამ ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალს ყმაწვილი შეეცოდა: სადილის შემდეგ აიღებდა ხოლმე საჭმელს, სიზმარას ჩუმად მიუტანდა და ხაროში ჩაუყრიდა.

ეს ხელმწიფე დასავლეთის ხელმწიფე იყო. ამ მზეთუნახავ ქალს აღმოსავლეთის ხელმწიფე სთხოვდა, მაგრამ მამა არ აძლევდა.

ერთხელ აღმოსავლეთის ხელმწიფემ მზეთუნახავის მამას ოთხი ჭაკი ცხენი გამოუგზავნა და შემოუთვალა: გამოიცან, რომელია ამ ცხენებში დედა, რომელი უფროსი კვიცი, რომელი საშუალო და

და რომელი უმცროსი. თუ გამოიცნობ, ხომ კარგი, თუ არადა შენი ქალი ჩემიაო.

ხელმწიფე და მისი ქალი დაღონდნენ, რადგან ეს გამოცანა ვერ გამოიცნეს. წავიდა ქალი სიზმარასთან და უთხრა: რა გეშველება, შე საწყალო სიზმარავ! მე ხომ აღმოსავლეთის ხელმწიფეს მივყევარ, შენ აქ მშიერი მოკვდებიო და უამბო გამოგზავნილი ცხენების ამბავი. — ნუ გეშინიათ, — უთხრა სიზმარამ, — დაუდეთ ცხენებს მარილი და ბლომად აჭამეთ; მერე თავლაში შერეკეთ და კარი დაუკეტეთ. მეორე დღეს, კარებს რომ გააღებთ, დაუკვირდით: პირველად წყლის დასალევად გამოვა დედა, იმას გამოჰყვება სულ პატარა კვიცი, პატარა კვიცს მოჰყვება იმაზე უფროსი და სულ ბოლოს გამოვა დიდი კვიცი. ქალი წავიდა და ყველაფერი მამას უამბო. მართლაც ასე მოხდა.

ეს გამოცანა რომ გამოიცნო, აღმოსავლეთის ხელმწიფემ ახლა მარილის ქვა გამოუგზავნა და შემოუთვალა: ამ მარილის ქვას თუ კოპად დაჰხევ, დაგეხსნები, თუ არა და შენი ქალი ჩემიაო.

ქალი ისევ სიზმარასთან წავიდა და ეს გამოცანაც უამბო. — ნუ გეშინია, — უთხრა სიზმარამ, — მამაშენმა ეს მარილის ქვა უკანვე გაგზავნოს და შეუთვალოს: პირი აართვას ამ მარილის ქვას — როგორ უნდა დახევა მსხვილად თუ წვრილად, რომ მეც იმის მიხედვით დავხიო-თქო.

ესეც რომ მიუგო, მაშინ აღმოსავლეთის ხელმწიფემ მშვილდს მოზიდა, ისარი იმ ხელმწიფის სახლის წინ ჩაერჭო და ადგილიდან ვერავინ ვერ დასძრა.

ქალი ისევ სიზმარასთან მივიდა და ყველაფერი უამბო.

— ნუ გეშინია, — უთხრა სიზმარამ,—ამაღამ მე ამოვალ და ამოვიღებო.

მართლაც, იმ ღამეს სიზმარა ამოვიდა, მიანძრ-მოანძრია ისარი, ამოიღო და იქვე დააგდო, თვითონ კი ისევ ხაროში ჩაჯდა.

მეორე დილას გამოვიდა და ხელმწიფე გაკვირდა: ვინ ამოიღო, ვინა, ჩემი ქალი იმას უნდა მივცეო.

ყველა იძახის: მე, მეო, მაგრამ ხელმწიფე რომ ეტყოდა: აბა, თუ შენ ამოიღე, ახლაც დასძარ ადგილიდანაო, ისარი ვერავინ ვერ დაძრა. მაშინ ქალმა უთხრა: მამავ, იქნება ის სიზმარა ცოცხალი იყოს, და იმან ამოიღოს?

გაგზავნეს ვეზირები, ნახეს: სიზმარა დევს დამსგავსებია. მოიყვანეს, აიღო ხელში ისარი, გაჰკრა და აღმოსავლეთის ხელმწიფის სახლში ჩაერჭო.

მეფეს გაუხარდა და თავისი ქალი სიზმარას მიათხოვა. ორი-სამი კვირა ქალი და ვაჟი ერთად იყვნენ, შემდეგ სიზმარა ადგა და იმ ხელმწიფის საომრად გაემართა.

კარგა გზა რომ გაიარა, ერთი კაცი დაინახა. ეს კაცი თან ხნავს და თან მოხნულ ბელტებს ჰყლაპავს. — კაცო, კაცო, ძალიან ძნელ საქმეს არ ჩადიხარ, რომ მაგოდენა ბელტებსა ჰყლაპავ? — ჰკითხა სიზმარამ. — ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა. ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჰქნა: ჩვენი ხელმწიფის ქალი შეირთო და მეორე ხელმწიფეს ეომება. — მე ვარ სიზმარა. მოდი დავძმობილდეთო.

წავიდნენ. ერთ ალაგას შენიშნეს, ერთი კაცი ზღვას დაყუდებია და სრუტავს. — ძალიან საქმე არ არის, მაგოდენა ზღვას სრუტავ,— უთხრა სიზმარამ. — ეჰ, ძნელი საქმე ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს კი ეომება. — მე ვარ სიზმარა. მოდი ჩემთან, შენც ჩვენი ძმა იყავიო.

წავიდნენ სამნი. ნახეს — ერთ კაცს ფეხებზე წისქვილის ქვები შემოეცვა და კურდღლებს იჭერდა. ყველას გაუკვირდა და უთხრეს: კაცო, კაცო, რა ძნელ საქმეს ჩადიხარ? — ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომება. — სიზმარაც მე ვარ. წამოდი ჩემთანო.

წავიდნენ ოთხნი ერთად. ნახეს: ერთ კაცს ყური მიწაზე დაუდვია და რაღაცას ლაპარაკობს. — კაცო, რას შვრებიო? — ჰკითხეს. — ქვესკნელს ჭიანჭველები იბრძვიან და მე აქედან ვაშველებ და სამართალს ვაძლევ. — ძალიან ძნელი საქმე უნდა იყოს ესა. — უთხრა სიზმარამ. — ეჰ, ძნელი საქმე ის არი, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო. — მე ვარ სიზმარა, წამოდი ჩვენთანაო.

წავიდნენ ხუთნი ერთად. ნახეს ერთი კაცი ზევით შეჰყურებს.— რას შეჰყურებო? — ჰკითხეს. — სამი დღეა რაც ისარი ცისაკენ ვტყორცნე და აგერ ახლა დაბრუნდა ქვევით, — უთხრა უცნობმა.— ოჰ, ძალიან ძნელი საქმე გიქნიათ, — უთხრა სიზმარამ. — ეჰ, რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომება. — მე ვარ სიზმარა. შენც ჩვენთან წამოდიო.

წავიდნენ ექვსნი. ნახეს ერთი კაცი მტრედებს მიპარვია, ფრთებს აძრობს და ერთის ფრთას მეორეს უკეთებს, მეორისას — მესამეს, მესამისას — მეოთხეს და მტრედები კი ვერას იგებენ. — უჰ, ძალიან ძნელი საქმე არ არის, მტრედები ვერ გებულობენ ფრთებს ისე უცვ-

ლი. — ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო და მეორეს ეომება. — მე ვარ სიზმარა. აბა, შენც ჩვენი ძმა იყავიო.

წავიდნენ შვიდნი. ნახეს, ერთ მღვდელს ეკლესია აეკიდა და სადაც უნდოდა იქ დასდგამდა და სწირავდა.

— ოჰ, მღვდელო, მღვდელო, სწორედ ძალიან დიდი საქმეა, მაგოდენა ეკლესიას რომ დაარბენინებ. — ეჰ, ეს რა ძნელი საქმეა, ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო. — მე ვარ სიზმარა. აბა, შენც ჩვენი ძმა იყავიო, — უთხრა სიზმარამ.

წავიდნენ რვანი. მივიდნენ აღმოსავლეთის ხელმწიფესთან და ქალი სთხოვეს. ამ ხელმწიფემ უთხრა: ჯერ გამოგცდით, რა კაცები ხართ და მერე ქალს მოგცემთო. სამ დღეს ჩემს ხაბაზებს პურს ვაცხობინებ და თუ ერთ დღეს შესჭამთ, ხომ მოგცემთ ქალს, თუ არადა, თავებს დაგაყრევინებთ.

— არიქა, — უთხრეს ბელტიყლაპიას, — კაცო, თუ იმოდენა ბელტებსა ჰყლაპავდი, ამ გამტკიცულ პურს როგორ ვერ შესჭამო? — თქვენ არხეინად იყავით, ისე შევჭამ, რომ ერთი ნამცეციც არ დარჩეს, — თქვა ბელტიყლაპიამ. მრავალის უმრავლესი პური გამოაცხვეს, მაგრამ ბელტიყლაპიას ერთი ნატეხიც არ დარჩენია. — კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ, — ახლა კიდევ ღვინოს დაგალევინებთ. თუ ჩემს ექვსურმიან ქვევრს ერთ დასხდომაზე დასცლით, ხომ მოგცემთ ქალს, თუ არადა თავებს დაგაყრევინებთო. — აბა, ძმაო, ზღვახვრეპიავ, თუკი იმ მლაშე წყალსა ხვრეპავდი, ამ ღვინოს განა ვერ დალევ? — თქვენ მიმიყვანეთ და მე ვიციო.

ზღვახვრეპია ქვევრთან მიიყვანეს, დახედა ქვევრს, გაიცინა და თქვა: აბა, ძმაო, ხრუპი ვქნა, ხრაპი არ არის და სრუპი ვქნა, სრაპი არ არისო.

დაეწაფა ქვევრს და სულ ამოსრუპა. — კარგიო, თქვა ხელმწიფემ, — ახლა მოდით და სამი დღის სავალიდან წყალი მოვატანინოთ; თქვენ თქვენი კაცი გაგზავნეთ, მე ჩემ კაცს გავგზავნი. თუ ჩემმა კაცმა მოასწრო, არც ქალს მოგცემთ და თავებსაც დაგჭრით. თუ თქვენმა კაცმა მოასწრო, მაშინ ჩემი ქალი წაიყვანეთ.

ახლა კურდღელს რომ იჭერდა, იმას უთხრეს: კაცო, ფეხებზე წისქვილის ქვებწამოცმული კურდღელს იჭერდი, წყალს მალე როგორ ვერ მოიტან? — ოღონდ გამგზავნეთ და მე ვიციო.

წავიდნენ ისა და ხელმწიფის კაცი. ერთი დღე ირბინეს. ჩამორჩა უკან ხელმწიფის კაცი, ქვებიანი კი მირბის და მირბის. ხელმწიფის

კაცმა ხერხი მოიგონა, დაუძახა და უთხრა: კაცო, მოიცა, ნელა წავიდეთ, თავს რისთვის ვიხოცავთ, ცოტა შევისვენოთ და ისე ვიაროთო!

ამანაც დაუჯერა. დასხდნენ, პური სჭამეს, ღვინო დალიეს. პურის ჭამის დროს ხელმწიფის კაცმა ქვებიანს ღვინის მაგივრად ბანგი შეაპარა.

დაწვა ქვებიანი და დაეძინა. ხელმწიფის კაცი კი წავიდა ორი დღის სავალი გზა გაიარა, მივიდა წყალთან, აავსო ჭურჭელი და გამოიარა კიდეც ერთი დღის სავალი გზა. ქვებიანს კი ისევ სძინავს.

სიზმარამ მეისრეს უთხრა: აბა, ერთი გაიხედე და გაიგე, ის კაცი მოდის, იქვე არის, თუ რა დაემართა. გაიხედა და სთქვა: ვაიმე, ვაიმე, ჩვენს კაცს შუა გზაზე სძინავს და იმათ კაცს კი ჭურჭელი აუვსია და მოდის. — აბა, თუ გვიშველი რასმე, — შესძახეს ყველამ.

მეისრემ მშვილდ-ისარი მომართა, გასტყორცნა და ისარი წისქვილის ქვას მოახვედრა. დაიმსხვრა ქვა; გამოეღვიძა მძინარეს, წყლისაკენ მოჰკურცხლა, ჭურჭელი წყლით აავსო და ერთი დღის სავალით კიდევ მოასწრო ხელმწიფის კაცს. — ახლა კი დაიწერეთ ჯვარი, — უთხრა ხელმწიფემ. სიზმარამ მიწის მხვნელს მისცა ქალი.

წაიყვანეს და ჯვარი დასწერეს. იმ ღამეს ხელმწიფემ კარგი ნადიმი გაჰართა, მაგრამ თავის კარისკაცებს ჩუმად უთხრა: სტუმრების კერძში ისეთი წამალი ჩააყარეთ, ყველანი მოიწამლონ და დაიხოცონო.

ამ საიდუმლო ლაპარაკს ყური მოჰკრა ჭიანჭველების მოსამართლემ და ეს ამბავი მტრედებს რომ ფრთებს უცვლიდა, იმას უთხრა. ამანაც ისე შეუცვალა თეფშები, რომ მეფის ხალხმა ვერაფერი გაიგო რა, და ვინცა სჭამა, ყველა დაიხოცა. — ახლა მომიყვანეთ ისეთი კაცი, რომ ჩემი ქალის მზითევი დასძრასო, — სთქვა ხელმწიფემ. — არიქა, მღვდელო, გვიშველე. თუკი იმოდენა ეკლესიას დაარბენინებდი, ამ მზითევს როგორ ვერ დასძრავ? — თქვენ დარდი ნუ გაქვთ, — სთქვა მღვდელმა, — მზითევს კი არა, თუ გინდა თქვენც ზედ დასხედითო.

აჰკიდეს მღვდელს მზითევი, ის იძახის: მოიტათ, მოიტათო. წამოვიდნენ ყველანი და შინ მშვიდობით მივიდნენ. ყველამ თავ-თავისი ადგილი მონახა და საქმეზე დადგა.

ამ მოგზაურობაში გავიდა ხუთი-ექვსი წელიწადი. სიზმარას ქალ-ვაჟი უკვე დიდები გამხდარიყვნენ. როცა სიზმარა თავის ხელმწიფე სიმამრთან მივიდა, ცოლი ერთ მხარეს მოისვა, ქალიშვილი — მეორეს. ვაჟიშვილმა აიღო ოქროს სურა, თავის მამას წინ ოქროს ტაშტი დაუდგა და ხელ-პირი დააბანინა. — აი, ეს მზეა და ეს მთვარეო, —

მოახსენა სიზმარამ და მოხვია ხელები ცოლ-შვილს. აი ეს კიდევ შუქურვარსკვლავია, ხელ-პირს რომ მაბანინებს. აბა, ესენი როგორ მოგცე შენო...

ხელმწიფემ თავისი ტახტი დაულოცა და თავისი სამეფო გვირგვინიც იმას გადასცა.

შავ-თეიმურაზი, მზე-თეიმურაზი და მთვარე-თეიმურაზი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, რომლებსაც ერთი შავი ცხენის მეტი არა გააჩნდათ რა. ეს ცხენი იყო მათი საზრდო და იმედი. წავიდოდა დილით ცხენი ტყეში, დამაკდებოდა იქ, მოვიდოდა საღამოზე, მოიგებდა კვიცს, დაკლავდნენ ცოლ-ქმარი კვიცს და შეჭამდენ. ასე გადიოდა დღეები და წლები. ბოლოს მოსწყინდათ კვიცის ჭამა და სთქვეს: როცა ცხენი მოვა და მოიგებს კვიცს, თვით ცხენი დავკლათ, შევჭამოთ და მერე ისე ვიცხოვროთ, როგორც ღმერთი გვიჩვენებსო.

ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთი გულთმისანი ფინია. შეებრალა ფინიას ცხენი, შეეგება გზაში და ყველაფერი შეატყობინა. ცხენმა უპასუხა, თუ ასე გებრალები, აბა მიშველე, მე ფეხებს თოკით შემიკრავენ, შენ წადი წინ, ეს თოკი დაკეფსე და როცა გამიჭირდება, ადვილად გაეწყვეტავ, ავდგები და წიხლებით დავხოცავ ყველასო. ფინიამაც და ცხენმაც ყველაფერი ასე შეასრულეს. ცხენი გადარჩა წაიყვანა კვიცი, წავიდა შავ ტყეში და დაიწყო იქ ძველებური ცხოვრება: დილით წავიდოდა, დამაკდებოდა, საღამოს კი კვიცს მოიგებდა. როცა დიდი ჯოგი გაუხდა ცხენებისა, დედა-ცხენმა სთქვა, ასეთი ყოფნა რა ყოფნაა, სულ კვიცების შობა მომწყინდა. ღმერთო, როგორც გამაჩინე, ისე დამარჩინე და ერთი ადამიანის შვილიც ჩამისახე მუცელში, რომ ამ ცხენებს მოუაროსო. შეუსრულა ღმერთმა ნატვრა და ეყოლა ისეთი ვაჟი, რომ სხვა რომ წლობით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. დავაჟკაცდა შვილი და მოინდომა ქვეყნის გაცნობა. მივიდა დედა-ცხენთან და სთხოვა:

— დედა, გამიშვი, წავალ, გავიგებ ქვეყანაზე რა ხდებაო. ბევრი უშალა დედამ, მაგრამ არ დაიშალა. ბოლოს დედამ უთხრა:

— შვილო, რაკი აგრეა, აი ჯოგი, აირჩიე, რომელი კვიციც გინდა, შეჯექი და წადიო.

აარჩია ვაჟმა ერთი კვიცი და შეჯდა. დაიწყო კვნესა და გმინვა კვიცმა: ეს რა უსამართლობაა, უმცროსი ძმა უფროს ძმას ზურგზე აჯდებაო. ვაჟმა რა იცოდა, რას ნიშნავდა კვიცის სიტყვები. მივიდა დედასთან და ჰკითხა: დედა, რას ამბობს ეს კვიციო? დედამ უთხრა: შვილო, ეგ გაუშვი და სხვაზე შეჯექიო. მეორე კვიცმაც ისე თქვა და იწყო გმინვა. ვაჟმა ისევ დედას ჰკითხა: ეს კვიცი რატომ ამბობს ამ საყვედურსო? დედამ არ გაუმხილა საიდუმლო და დაარიგა: სხვაზე შეჯექი და როცა დაიწყოს, ლაგამი ჩაჰკარ მაგრა პირში და ხმას აღარ გაიღებსო. ვაჟიც ასე მოიქცა და წავიდა.

მიდის გზაზე ვაჟი, მიდის და თანაც ფიქრობს: მივდივარ, მაგრამ რომ ვინმე შემხვდეს და მკითხოს: ვინა ხარ, რა გქვია, ან ვისი შვილი ხარ, რაღა ვუთხრაო. მობრუნდა ისევ დედასთან და ჰკითხა: დედა, მითხარი რა მქვია, ვისი შვილი ვარ, მამაჩემის სახელი რა არისო? დედამ არც ახლა უთხრა ყველაფერი, მხოლოდ დაარიგა: წადი, შვილო, და თუ ვინმემ გკითხოს, მიუგე, რომ შენ ხარ შავ-თეიმურაზი, შავი ცხენის შვილი და ტყეში შობილი.

წავიდა ვაჟი, მიდის და მიდის. იარა, იარა, ცოტა იარა თუ ბევრი იარა, ბოლოს შემოხვდა ერთი ჭაბუკი, რომელსაც მზე-თეიმურაზი ერქვა. შეუტია შავ-თეიმურაზს და შეჰყვირა:

— ვინ ხარ და როგორ გაბედე ამ ჩემს სამფლობელოში შემოსვლა, აქ ჩემი შიშით ჭიანჭველასაც ვერ გაუვლია! — შავმა თეიმურაზმა შეუტია:

— ვინა ვარ და მე გახლავარ შავ-თეიმურაზი, შავი ცხენის შვილი, შავმთაში გაზრდილიო. შეშინდა მზე-თეიმურაზი და ძმობა სთხოვა. შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა და წავიდნენ ერთად.

იარეს, იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა, შეხვდნენ ერთ ჭაბუკს. ჭაბუკმა შეუტია მათ:

— ვინ ხართ, აქ რომ გაგიბედიათ მოსვლა? აქ ჩემი შიშით ჭიანჭველასაც ფეხი ვერ დაუდგამს მიწაზე, მე ვარ მთვარე-თეიმურაზიო. შავ-თეიმურაზი არც აქ შეშინდა, შეუტია მთვარე-თეიმურაზს და უთხრა:

— მე გახლავარ შავ-თეიმურაზი, შავი ცხენის შვილი და შავმთაში გაზრდილიო. შეშინდა მთვარე-თეიმურაზი და ძმობა სთხოვა. დაძმობილდნენ და გასწიეს ერთად.

იარეს, იარეს ძმობილებმა და მივიდნენ ერთ სახელმწიფოში. როცა შემოაღამდათ, ერთ დედაბრის ქოხს მიადგნენ და ღამის გა-

სათევი ბინა სთხოვეს. დედაბერმა გაუღო კარები და, როცა დაისვენეს, ჰკითხა:

— შვილებო, ვინა ხართ, ან რაზე მოსულხართო? — სტუმრებმა უთხრეს:

— ჩვენ ესა და ეს ვართ, საცოლეებს დავეძებთ, ერთი კაცის შვილები უნდა იყვნენ და მზეთუნახავები, სხვას ვერ შევირთავთო. თუ იცი ისეთი კაცი, რომ სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდეს, დედაშვილობას, გვასწავლეო. — დედაბერმა უთხრა:

— შვილებო, ასეთი კაცი როგორ არ ვიცი, მაგრამ მისი ქალები, აი, იქ რომ გზაჯვარედინი მოჩანს, მარჯვნივ ერთ ხაროში ჰყავს საძძმა დევს ჩამწყვდეული და იქ რომ მიხვიდეთ, ვერც ერთი ცოცხალი ვერ დაბრუნდებითო. ხაროდან ისეთი სიცხე ამოდის, რომ ვინც მიეკარება, იწვისო.

ვაჟებმა სთქვეს: ჩვენი საქმე ეს ყოფილა, რაც მოგვივა მოგვივა, წავიდეთ და ბედი ვცადოთო. რადგან აღარ იშლიდნენ, დედაბერმა ურჩია: — შვილებო, თოკი მოიბით და თითო-თითო ჩადით ქვესკნელში, ერთმა თუ ვერ გაუძლოთ სიცხეს, მეორემ სცადეთ, ან მესამემო.

წავიდნენ ვაჟები, მიადგნენ ქვესკნელის პირს და ნახეს, რო ალმური ამოდის ქვესკნელიდან. მოიბა მზე-თეიმურაზმა თოკი და ჩაუშვეს ხაროში. შუაზე რომ მიატანა, იყვირა: დავიწვი, დავიწვი, ძმებო, ზევით ამწიეთო. ძმებმა ამოიყვანეს. შემდეგ მთვარე-თეიმურაზმა მოიბა თოკი, მაგრამ იმასაც ისე დაემართა. ბოლოს მიდგა ჯერი შავ-თეიმურაზზე. მოიბა თოკი და სთხოვა ძმობილებს: — ჩამიშვით, მაგრამ თუ ვიყვირო, სულ ძირსა და ძირს ჩამიშვით, ზევით არ ამომიყვანოთო. ჩავიდა თუ არა შუამდის, იყვირა: — დავიწვი, მიშველეთ, ზევით ამიყვანეთო, — მაგრამ რას გაუგონებდნენ! სულ ქვევით და ქვევით ჩაუშვეს.

შავ-თეიმურაზი ჩავიდა ქვესკნელში. იარა, იარა და დაღამებისას მიადგა ერთ დედაბრის ეზოს და შეეხვეწა: — დედაშვილობას, მზეთუნახავ ქალებს ვერ მიმასწავლიო? დედაბერმა მიუგო: — სწავლით კი გასწავლი, შვილო, მაგრამ ქალები დევებსა ჰყავს ცოლებად. უფროსი თორმეტთავიანს, საშუალო ცხრათავიანს და უმცროსი რვათავიანს; რომ მიხვიდე, წაგახდენენ, შეგჭამენო. ვაჟმა არ დაიშალა და გასწია დევებისაკენ.

იარა, იარა და მიადგა თორმეტთავიანი დევის სასახლეს. ჰკრა დაკეტილ კარებს წიხლი, შელეწა და შევიდა. ქალი შინ იყო, დევი კი სანადიროდ იყო წასული. შავ-თეიმურაზი ისე მოეწონა ქალს,

ისე რომ, თვალები ზედ დარჩა, თანაც შეებრალა და უთხრა: — რა ლამაზი ყმაწვილი ხარ, ბრალი არაა, შენ რომ ახლა დევი შეგეპარ-ხო? ვაჟმა მიუგო — ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მე ვიცი და დევმა, შენ საქმელი გექნება და ის მომიტანეო. ქალმა მიუგო: — აბა, რა უნდა მქონდეს, რომ გაჭამო, მარტო თორმეტი თონე პურია გამომცხ-ვარი, თორმეტი ბუღა კამეჩი მოხარშული და ეს იმასაც არ ეყო-ფაო. — ვაჟმა მოატანინა სუყველაფერი და ხელად გაათავა.

ამ დროს მოვიდა დევიც, გადმოხტა რაშიდან. შავ-თეიმურაზი ზის ოქროს ტახტზე, უკრავს ოქროს ჩონგურს და ათამაშებს ოქროს კრავს. რაშმა იკრა ადამიანის სუნი და შეფრთხა. დევმა შეუტია: — შე ოხერო, რა გაფრთხობს, შავ-თეიმურაზი ხომ არ მოსულაო?! — შიგნიდან შავ-თეიმურაზმა დაუძახა: — აქ გახლავარ და მობრძან-დიო! შევარდა დევი და ეცნენ ერთმანეთს. გეგონებოდათ ორი მთა ეცა ერთმანეთსაო. სძლია შავ-თეიმურაზმა, დასცა ძირს დევი და გააგდებინა თორმეტივე თავი. შემდეგ ამოიღო ოქროს ბეჭედი და დანიშნა ქალი. ქალს მოსწონდა ვაჟი და გაუხარდა, მაგრამ შავ-თეიმურაზმა უთხრა: შენ ჩემი უფროსი ძმის ცოლად გნიშნავო. ქალი დაღონდა, მაგრამ რაღას იზამდა.

მეორე დილას წაიყვანა ქალი და მიადგა ცხრათავიანი დევის სა-ხახლეს. იქაც შეამტვრია კარები, შეჭამა ცხრა თონე პური და ცხრა ბუღა კამეჩი. შეება დევს, მოსჭრა ცხრავე თავი, დანიშნა ქალი საშუალო ძმისთვის და წავიდა მესამე დევთან, მოკლა ისიც და წაიყვანა უმცროსი ქალი თავისთვის. ქვესკნელის კარს რომ მიად-გა ზევით ამოსასვლელად, ჯერ უფროსი ქალი მოაბა თოკს და აუშვა, მერე საშუალო. როცა ჯერი მის ცოლზე მიდგა, მან უთხრა:

— ჯერ შენ ადი, მერე მე ამოვალ თუ არა ძმები გიღალატე-ბენ, შენ ქვესკნელში ჩაგტოვებენო.

ვაჟმა არ დაიჯერა, ჯერ ცოლი აუშვა, მერე თვითონ მოეჭიდა თოკს, მაგრამ შუაზე რომ ავიდა, ძმებმა გადაჭრეს თოკი და ისევ ქვესკნელში მოადინა ბრაგვანი შავ-თეიმურაზმა. ქალმა ჩასძახა: — აკი გეუბნებოდი, რატომ არ დამიჯერეო. მერე ასწავლა: ნუ გე-შინია, მანდ ბაღში სამი თხაა: წითელი, შავი და თეთრი. თეთრს თუ დაიჭერ და შეჯდები, მაღლა ამოგაგდებს, წითელი აქეთ-იქით მიგა-ზეთქებს და შავზე თუ შეჯდები მეორე ქვესკნელში ჩაგაგდებსო.

ირბინა, ირბინა ვაჟმა, მაგრამ ვერ დაიჭირა ვერც თეთრი და ვერც წითელი თხა. მხოლოდ შავი დაიჭირა და სთქვა: რა ვუყო, რაც იქ-

ნება, იქნება, ამაზე შეეჯდებიო. შეჯდა და იმწამსვე ქვედა ქვესკნელ-ში მოადინა ბრაგვანი.

რაღას იზამდა ვაჟი? ადგა და გაუდგა. იარა, იარა და მიადგა ერთ დედაბრის ქოხს და ღამის გასათევად ბინა სთხოვა. დედაბერმა მი-იღო და შეუდგა ვახშმის მზადებას. მოიტანა შარდი და დაუწყო შიგ ფქვილს ზელა. იყვირა ვაჟმა:

— ბებერო, ეგ რა ჰქენიო?

— რა ვუყო, შვილო, უპასუხა ბებერმა,—წყაროზე გველეშაპია, არავის წყალს არ გვანებებს, ვინც მივიდა, ყველა შეჭამა და მე რა-ღა ვქნაო. ჩვენი ხელმწიფე წელიწადში თითო ქალს აძლევს, მაშინ ისიც, ვისაც ჭურჭელი აქვს, ყველას უვსებს წყლით, მე კი ჭურჭელი არა მაქვს წყლის სამყოფი და ასე ვიტანჯებიო. ვაჟს სულ ცეცხლი შოედო ბრაზისაგან. დავლო ხელი კოკას, მშვილდ-ისარს და გასწია წყლისაკენ. წყალთან აბია ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი და მწარედ ტირის. ვაჟმა ჰკითხა:

— რა გატირებსო?

— როგორ რა მატირებს, გველეშაპი მოვა საცაა და შემჭამსო.

— ნუ გეშინია, — მიუგო ვაჟმა, — დაჯექი და ერთი კალთაში დამაძინეო. ჩაუდო ქალს კალთაში თავი და ტკბილად ჩაიძინა. იშ-ხუვლა ცაში გველეშაპმა და დაეშვა ძირს. ქალმა ცხარე ცრემლები გადმოუშვა თვალებიდან. ერთი ცვარი ლოყაზე დაეცა მძინარე ყმა-წვილს და გამოეღვიძა. მოსწია მშვილდს, გასხლტა ისარი, ეცა ჰა-ერში მომფრინავ გველეშაპს და შუაზე გააპო. იმოდენი იყო ის წყეული, რომ სისხლი ზღვად დადგა და ხორციდან დიდი მთები აღიმართა.

გახარებული ქალი მამასთან გაიქცა, ვაჟმა კი აავსო კოკა წყლით და მიურბენინა დედაბერს ქოხში. დედაბრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ხელმწიფეს ძლიერ შეეშინდა, ქალი რომ ცოცხა-ლი დაინახა; იფიქრა, გველეშაპს გამოპარვია, მოვა ახლა ის წყეუ-ლი და მთელ სახელმწიფოს დამიჭამსო. ქალმა რომ უამბო, რაც მოხ-და, გაუხარდა ხელმწიფეს, მაშინვე მოიპატიჟა მთელი სამეფო და გამართა ლხინი. ქალს უთხრა: — ვინ იყო ის შენი მხსნელი ჭაბუკი, დაუარე სტუმრებს და მიჩვენეო. ქალმა დაუარა, მაგრამ ჭაბუკი იქ არ აღმოჩნდა. თურმე, ჭაბუკს ეთქვა დედაბრისთვის: — ვინც შოვიდეს, არ უთხრა, რომ სტუმარი მყავსო. ხელმწიფემ მეორედ გამართა ნადიმი და ყველა მოაყვანინა. მეტი გზა რომ არ იყო, ყმა-წვილი გავიდა ჭალაში, დაიჭირა კურდღელი, ჩაისვა ჯიბეში და ისე დაჯდა სტუმრებში. დაუარა ქალმა და შეამჩნია ვაჟი, მაგრამ ახლოს

ვერ ბედავდა მისვლას, ვაჟი მაშინვე კურდღელს ამოაყოფინებდა თავს ჯიბიდან და შეაშინებდა ქალს. ბოლოს გაუბერდა ქალს და მოახსენა მამას: აქ გახლავს ის ვაჟი და მოაყვანინეო.

მოიყვანეს ხელმწიფესთან ვაჟი. — რა მოგცე, შვილო. მაგ სიკეთისათვის? — ჰკითხა ხელმწიფემ ვაჟს, — გინდა ნახევარ სახელმწიფოს გაჩუქებო. — შენი არაფერი არ მინდა, ოღონდ ზევით ამიყვანეო, — უთხრა ვაჟმა.

ხელმწიფეს ემძიმა ეს თხოვნა, მაგრამ მაინც აღუთქვა. მოაყვანინა ფასკუნჯი და უთხრა: შენ რომ გველეშაპი შვილებს გიჭამდა, აი, ამ ყმაწვილმა მოჰკლაო. მივარდა ფასკუნჯი ვაჟს და თაყვანი სცა. მერე ხელმწიფემ უთხრა ფასკუნჯს, ზევით უნდა აიყვანო ვაჟიო. მაშინვე შეისვა ფრთებზე ვაჟი და წამოვიდა წიწინ-წიწინით. ზურგზე თორმეტი უღელი ხარი ეკრა საგზლად. რამდენს დააღებდა მოშიებული ფასკუნჯი პირს, იმდენჯერ თითო-თითო ხარს ჩაუგდებდა ვაჟი. ცოტაღა აკლდა ამოსვლას, რომ შემოელია ვაჟს ხორცი. ფასკუნჯი წივის: შია, ხორცი უნდა! ვაჟმა მოიგლიჯა ბარძაყზე ხორცი და შეაჭამა ფასკუნჯს. ერთი მძლავრად შეატრიალა ფრინველმა ფრთები და ამოფრინდა ზედა ქვეყანას. ვაჟს ჰკითხა: — რა იყო ისე ტკბილი, ბოლოს რო მაჭამეო?

ვაჟმა უჩვენა მოგლეჯილი და სისხლიანი ბარკალი. ფასკუნჯმა მოუსვა ფრთა და ჭრილობა მოურჩინა, მერე გამოეთხოვა ვაჟს და ჩაფრინდა ისევ ქვესკნელში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ეატო იქა, ფქვილი აქა.

ზღაპარი ივანე ცისკრისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი მჭედელი. შვილები არ ჰყავდა და გულით კი უნდოდა. ერთხელ მჭედლის ცოლი წყალზე იყო. კოკას რომ ავსებდა, ნახა, რომ წყალს სამი ვაშლი მოჰქონდა. მჭედლის ცოლი დასწვდა ვაშლებს, ამოიღო წყლიდან და წაიღო სახლში. ერთი ვაშლი ქმარს მისცა, ერთიც თვითონ შეჭამა და ერთიც შუაზე გაიყვეს.

დაორსულდა მჭედლის ცოლი. დადგა მეცხრე თვე, ასტკივდა

მუცელი და დაუძახეს ბებერს, რომ ეშველა. საღამოზე ბავშვმა დედის მუცლიდან დაიძახა:

— წადით, მღვდელი მოიყვანეთ, რომ მომნათლოთ, თორემ დავიბადები თუ არა, გავფრინდები ცაშიო! მართლაც, ბინდზედ დაიბადა ვაჟი, მონათლეს და დაარქვეს ივანე საღამოსი. მოწოვა ვაჟმა ძუძუ და გაფრინდა ცაში. ის იყო მღვდელი უნდა წასულიყო სახლში, რომ მეორე ვაჟმა დაიძახა:

— მღვდელი არ წავიდეს, შუაღამის დროს მეც დავიბადებიო! — შუაღამის დროს დაიბადა მეორე ვაჟიც; მონათლეს და დაარქვეს ივანე შუაღამისა. მოწოვა მანაც ძუძუ და გაფრინდა ცისაკენ. თენებაზე, ცისკარზე დაიბადა მესამე ვაჟი. მონათლეს და დაარქვეს ივანე ცისკარი. მოწოვა ივანე ცისკარმა და გასწია ცისაკენ.

ამის შემდეგ ძმები ცხოვრობდნენ ღრუბლებთან და დასრიალებდნენ ვარსკვლავების ახლოს. დედასთან მარტო დღეში ერთხელ მოფრინდებოდნენ ხოლმე ძუძუს მოსაწოვად: ივანე საღამოსი საღამოზე მოფრინდებოდა, ივანე შუაღამისა შუაღამის დროს და ივანე ცისკარი ცისკარზე. მოსწოვდნენ ძუძუს და გაფრინდებოდნენ ისე, რომ ერთხელ არ უნახავთ ძმებს ერთმანეთი.

გავიდა კარგა ხანი, მოიზარდნენ ძმებიც. ახლა, რაკი ძუძუს არა სწოვდნენ, გვიან-გვიან მოდიოდნენ სახლში. მოვიდოდნენ კვირაში ერთხელ, წაიღებდნენ საკმარის პურს და წავიდოდნენ ისევ.

იმ ქალაქში ერთი ხელმწიფე იყო, ხელმწიფეს სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალები არ გამოდიოდნენ გარეთ არც დღე და არც ღამე, ეშინოდათ, არ მოგვეკიდოს ან მზე და ან სიცივეო. ერთხელ მამამ უთხრა ქალებს:

— შვილებო, მუდამ სახლში სხედხართ, გადით გარეთ, ნახეთ მზე, ქვეყანაო! — ქალებმა უსმინეს მამას და გამოვიდნენ სასეირნოდ. შუადღე იქნებოდა როცა უცებ მოიღრუბლა, დაიწყო ელვა-ჭექა და ჩამობნელდა. მოფრინდა ერთი დევი, მოიტაცა ეს ქალები, და შეერია ღრუბლებში. გავარდა ხმა ქალაქში, ხელმწიფის ქალები დაიკარგნენო.

შეწუხდა მთელი ქალაქი, დაღონდა ხელმწიფეც; შველა აღარ საიდან იყო. გაგზავნეს მაძებრები, მაგრამ კვალი ვერსად იპოვეს. ბოლოს მოვიდა ბებერი — ბებია ივანე ცისკრის დედისა და უამბო ხელმწიფეს, რომ ამ ქალაქში ერთ მჭედელს სამი ვაჟი ჰყავს, სამივ ცაში ცხოვრობს, როგორც ფრინველები, ცაც იმათ ხელშია და ქვეყანაცა, თუ ეცოდინებათ, ისევ იმათ ეცოდინებათ, რა იქნენ წენი ქალებიო. ხელმწიფემ მაშინვე წვეულება გამართა და გაგზავნა კაცი

მჭედლის შვილების დასაპატიჟებლად. დედამ პირობა მისცა ხელმწიფის კაცს, რომ დავაბრუნებ სახლში და გამოვგზავნი ხელმწიფესთანაო.

საღამო ხანზე მოვიდა ივანე საღამოსი, უფროსი ვაჟი. დედა ძლივს დაესწრო შვილის ნახვას, ასვა-აჭამა და, როდესაც შვილი უნდა წასულიყო, დედამ დაუწყო თხოვნა: — დარჩი, შვილო, ჩემთან ამაღამ, ხვალ ხელმწიფეს წვეულება აქვს და დაგპატიჟათო. დარჩა ივანე საღამოსი დედასთან; დედამ დაუგო ლოგინი და დააწვინა. შუაღამის დროს ივანე შუაღამისა მოვიდა. მასაც გაუმასპინძლდა დედა და სთხოვა: — დარჩი აქ ამაღამ, ხვალ უნდა ხელმწიფესთან წავიდეთო. ივანე შუაღამისა დასთანხმდა დედის თხოვნას და დარჩა. სახლში მძინარე კაცი ნახა და ჰკითხა დედას: — ეს ვინღა არის, რომ აქა სძინავსო? დედამ უთხრა: — ეგ შენი უფროსი ძმა არისო, ორივ ერთ ღამეს დაიბადენითო. დაიძინა ივანე შუაღამისამაც. თენებას ივანე ცისკარიც მოჰყვა. იმასაც გაუმასპინძლდა დედა და დააწვინა ისიც ძმების ახლოს.

თენება იყო. უფროსი ძმა ივანე საღამოსი ძილით იყო გამომცხვარი, ივანე შუაღამისა შუა ძილში იყო და ივანე ცისკარს მაშინღა ჩაეძინა. უფროსი ძმა ადგა და რომ ნახა ორი უცხო კაცი, ძალიან გაჯავრდა: — სხვას რა ხელი აქვს, რომ ჩემს სახლში შემოდიან ჩემს დაუკითხავადო? უნდოდა მათი დახოცვა, მაგრამ არც ისარი ჰქონდა და არც ხმალი. მივიდა, სწვდა ივანე ცისკრის ხმალს (აბჯარი მარტო ივანე ცისკარს ეშოვა), მაგრამ ძვრა ვერ უყო. დედამ დაინახა, ივანე საღამოსი რომ ხმალს ეზიდებოდა და შეშინებულმა ჰკითხა:— რად გინდა, შვილო, ხმალი, აქ რა მტრები გაწუხებსო? — ესენი ვინ შემოგიყვანია სახლშიო? — ჰკითხა ივანე საღამოსამ. — ეგენი შენი ძმებია. სამივ ერთ ღამეს დაიბადენით და ეგენიც მოვიდნენ პურის საჭმელად და დავაბრუნეო.

გამოიღვიძეს ძმებმა, გადაეხვივნენ ერთმანეთს და გადაჰკოცნეს. მერე წავიდნენ ხელმწიფესთან, ხელმწიფემ დიდი პატივით მიიღო ძმები და ბრძანა, რომ კარგად გამასპინძლებოდნენ მათ. საღილის ბოლოს ხელმწიფემ ჰკითხა უფროს ძმას, ივანე საღამოსას, — ცაში დადიხარ, ქვეყანას ხედავ, ნახავდი, ჩემი ქალები სად არიანო. ივანე საღამოსამ უარი უთხრა, მე არ მინახავს არსად ისინიო, ივანე შუაღამისამაც ისე უთხრა. ივანე ცისკარზე მიდგა ჯერი.

ივანე ცისკარი წამოდგა, დაუკრა თავი ხელმწიფეს და უთხრა:

— ბედნიერო ხელმწიფევ, ერთ მაღალ მთის წვერზე ვიწექი, ცას ვუყურებდი და ღრუბლების რევასაო. უცებ მომესმა წივილი და ქა-

ლების ტირილიო. შევხედე და დავინახე, მოფრინავს დევი და მოაწივლებს ქალებსაო. მე მაშინვე მშვილდს მოვავლე ხელი, მაგრამ მალე ისევ დავაგდე, დევს მოკლავდი, ჩამოვარდებოდა და ქალებიც დაიხოცებოდნენ; წავიდა და წაიყვანა ქალები. მას შემდეგ აღარაფერი არ გამიგიაო.

ხელმწიფეს გაუხარდა, რომ ბოლოს კვალი იპოვა თავის ქალებისა. ივანე ცისკარს უთხრა:

— წადი, იპოვე ჩემი ქალები და თქვენ მოგცემთ ცოლებადაო. უმცროსი ისეთი ლამაზია, რომ მზეს შეშურდება იმის სილამაზე, ის შენი ცოლი იქნებაო.

ივანე ცისკარი დათანხმდა; მან აზრით იცოდა, სადაც ცხოვრობდა ის დევი. წაასხა ძმებიც და გაუდგა გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთ მთასთან. მთას ცალი ფეხი ერთ ზღვაში ედგა და მეორე—მეორე ზღვაში. მაღალი წამოხურული კლდე იყო, თვალი ვერ ასწვდებოდა. კლდის ძირს ერთი კარავი ნახეს. კარავში ერთ რკინის კაცს ეძინა, თავი მთასავითა ჰქონდა.

ივანე ცისკარმა გაგზავნა ძმები: წადით, გააღვიძეთო. მივიდნენ ძმები დევის გამოსაღვიძებლად, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს. მობრუნდნენ და უთხრეს ივანე ცისკარს, რომ ვერ გავაღვიძეთო. ივანე ცისკარი მივიდა დევთან და ჩაჰკრა თავში მშვილდი. რკინის კაცმა სთხოვა ივანე ცისკარს: მიძმეო და გამოგადგებიო. ივანე ცისკარმა უთხრა:

— შენი თავი იმაში მეჭირვება, რომ ამ კლდეზე აგვიყვანოო. რკინის კაცმა უთხრა:

— შენ მჭედელი ხარ, გააკეთე ერთი დიდი ჯაჭვი, შევტყორცნოთ ზევით, მოვდოთ კლდეს და ავიდეთო.

ივანე ცისკარმა მოიტანა ბლომად რკინა, კვერები, მაგრამ გრდემლი კი დავიწყებოდა. რკინის კაცმა უთხრა:

— აი, ჩემი თავი იყოს გრდემლად და ამაზე გამოკვერე ის ჯაჭვიო. დადგა ივანე ცისკარი და გამოკვერა უზარმაზარი ჯაჭვი. ჩასვეს ერთი დიდი მარგილი, დაამაგრეს იმაზე ერთი პირი ჯაჭვისა, ხოლო ნეორეზე ჩანგლები მოაბეს; და უთხრა ივანე ცისკარმა ძმებს:

— აბა, სცადეთ შეგდება, იქნება შეუწიოთო. მივიდნენ ივანე საღამოსი და შუაღამისა, მაგრამ ვერც კი დაძრეს.

— აბა, ახლა შენ, რკინის კაცო, — უთხრა ცისკარმა. რკინის კაცმა მოავლო ჯაჭვს ხელი, შესტყორცნა, მაგრამ ერთი სამი-ოთხი ადილი კიდევ დააკლდა წვერამდე. — ეგ არის შენი ღონეო? — ჰკითხა

ცისკარმა. — ეგ არისო. მაშინ ცისკარმა მოავლო ხელი, სტყორცნა და აიყვანა წვერამდე. მოეკიდნენ ყველანი, მოედო ჩანგალი კლდეს, გამაგრდა ისე, რომ ასვლა კარგად შეიძლებოდა. აგზავნა ძმები ცისკარმა, მაგრამ ძმები ვერ ავიდნენ, კინაღამ ჩამოცვივდნენ შიშით. მერე რკინის კაცი აგზავნა და უთხრა, არ ჩამოიხედო, თორემ ჩამოვარდებიო. წავიდა რკინის კაცი და ცოტაღა უკლდა ასვლას, რომ ჩამოიხედა ძირს, თავმა დასძლია და კინაღამ ჩამოვარდა. რის ვაი-ვაგლახით ჩამოვიდა.

მერე დატოვა ძმები ცისკარმა და უთხრა რკინის კაცს: თუ რამ დაუშავდება ამათ, შენი კისრიდან ამოვიღებო. ავიდა ცისკარი და გასწია დევის გზაზე. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სპილენძის სახლთან. სპილენძის სახლი სპილენძის დევისა ყოფილიყო. შევიდა სახლში, ნახა ერთი ლამაზი ქალი. ვაუმა გამოჰკითხა ყველაფერი. გაიგო, რომ ეს ქალი ხელმწიფის უფროსი ქალი ყოფილიყო. ქალმა დაღონებულმა უთხრა: — ნეტავი არ მოსულიყავი, შვიდთავა დევი მოვა და მოგკლავსო. — ნუ შეწუხდები, მე ვიცი და იმანაო, — უთხრა ცისკარმა. — მაშ, მე შენი ცოლი ვიქნებიო, — უთხრა ქალმა. — არაო, — მიუგო ცისკარმა, — შენ რძალი და მე მაზლიო.

საღამო ხანზე შვიდთავა დევი ცხენით სახლში მოდიოდა. როდესაც მოუახლოვდა დევი სახლს, ცხენმა წაიბორძიკა. — აჩუ, შე საოხრევ, ივანე ცისკარი ხომ არ დაგხვდება სახლში, რა გაშინებსო. შევიდა შინ და მართლა ივანე ცისკარი კი დახვდა. ცისკარი საჩრდილობელში იჯდა გარეთ. დევმა დაუძახა: — ცისკარო, გამაგებინე: სამტროდ მოსულხარ თუ სამოყვროდაო? — შენთან სამოკეთო რა მაქვსო, — მიუგო ცისკარმა, — სამტროდ მოვედიო. გადმოხტა ცხენიდან სპილენძის დევი და დაუძახა: — შეუბერე ემანდ მიწასაო. — შეუბერე კიდეც და რაც გინდა ისა ქენიო, — უთხრა ცისკარმა. შეუბერა დევმა და ფეხის სამაგრებლად მიწა აქცია სპილენძად. დაიჭიდნენ კიდეც. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა მუხლებამდე, მოიქნია დევმა და ჩასვა მუხლებამდე. მოიქნია ცისკარმა და ჩასვა წელამდე, შოესო ხმალი და მოსჭრა სამი თავი. გაცოფდა დევი, დაიქნია ცისკარი — ჩაიყვანა საზარდულამდე. ამოფრინდა ისევ ივანე და მოსჭრა ოთხი თავიც, გამოართვა ქალს ბეჭედი ძმისათვის, გამოეთხოვა და წავიდა ცხრათავა დევთან, რომელსაც შუათანა ჰყავდა.

იარა ცისკარმა და მივიდა ვერცხლის სასახლესთან. აქ შუათანა და დახვდა. აქაც საგრილობელში დაისვენა და ელოდებოდა დევს. ქალი ეხვეწებოდა, წადი, მოგკლავსო, მაგრამ ცისკარმა არ დაუჯერა. მოდის საღამოზე ცხრათავა დევი და უცებ ცხენმა წაიბორძიკა.

— აჩუ, შე სატიალევ, რა ივანე ცისკარი დაგხვდებაო. მოვიდა სახლში და მართლაც ივანე კი დახვდა წამოწოლილი ხის გრილში. დაუძახა:

— ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოკეთოდაო?

— მე შენთან სამოკეთო რა მაქვსო, — უთხრა ცისკარმა.

— მაშ შეუბერე მიწასაო.

— არც არას შევუბერავ და არც არაფერიო, — უთხრა ცისკარმა. მალე მოკლა ცხრათავა დევი. დანიშნა თავისი ძმისათვის მისი ცოლი; გამოეთხოვა და წავიდა თორმეტთავიან დევთან.

მივიდა მის სახლში ცისკარი, მიდამო სულ ოქროსი იყო. შევიდა ვაჟი და ნახა იქ უმცროსი ქალი. მივიდა ცისკარი, გადაეხვია თავის საცოლეს და დაუწყო კოცნა. ქალს შეუყვარდა ცისკარი. ცისკარმა უთხრა:

— მე მოვედი, ის დევი უნდა მოვკლაო. ქალმა ტირილი დაიწყო:

— ნუ. თორემ მოგკლავს, შენ იმას ვერაფერს უზამ, იმის მომრევი არ არისო. ცისკარმა უთხრა ქალს:

— ნუ გეშინია, თორმეტთავიანი დევი მე ვერ მომკლავსო! გავიდა, დაჯდა ხის ძირში და დაუწყო მოლოდინი დევს.

დევი საღამოზე მოდის შინ, დაიბორძიკა ცხენმა.

— აჩუ, შე სატიალევ, იქნება ივანე ცისკარი გაშინებსო? შენა ნახავ, რომ მის მძორს ყორნები ჭამდნენ და მისი სისხლი ღვარივით მიდიოდესო! — მოვიდა დევი შინ, დაინახა ცისკარი და შეკყივლა:— ცისკარო, სამტროდ მოხვედი, თუ სამოკეთოდაო? — სამტროდ მოვედი, — უთხრა ცისკარმა, — შენთან მოკეთობა რას გამომადგებაო. — შეუბერე მიწასაო, — დაუძახა დევმა. — შეუბერე, და მანდა ხარო, — უპასუხა ცისკარმა.

გადმოუხტა დევი და ცისკარიც მიეგება. შეუბერა დევმა და ადგილი ოქროდ აქცია. იბრძოლეს. დაიყვანა საზარდულამდე დევმა ცისკარი და ცისკარმა დევი მხრებამდე, ცხრა თავიც მოსჭრა. დევი დაიღალა. ცისკარსა ჰკითხა: — როგორ იციან თქვენში ომაო?— ჩვენში ომობენ და დაისვენებენო, — უპასუხა ცისკარმა: — მაშ, დამასვენეო, — სთხოვა დევმა. ცისკარმა იფიქრა, ეს რომ დავასვენო და აძომასწროს, ხომ მომკლაო. ამოფრინდა მიწიდან და მოსჭრა დევს ის სამი თავიც. ეს კი ვაჟკაცობა აღარა ქნა ცისკარმა: სამი თავი ღალატით მოსჭრა.

წამოიყვანა ქალი ცისკარმა და წავიდა. რო გამოსცდნენ სახლს, ქალმა უთხრა: — ცისკარო, გაიხედე რამდენი ოქრო რჩება ტყუი-

ლადაო! — დევებს ოქრო ვინ მისცაო, — უთხრა ივანემ, — ეგ სულ თვალის მოტყუება არისო. მან მოგაჩვენა შენ, რომ ამ სიმდიდრით ბაინც გართობილიყავ, რაკი მამის სახლს მოშორდიო. შეუბერა ივანემ და აქცია მტვრად. მოვიდნენ შუათანა დასთან, იქაც მტვრად აქცია ვერცხლის სახლი; წაიყვანა შუათანაც, უფროსიც და მივიდნენ კლდესთან.

ცისკარმა ჩაუშვა ჯერ უფროსი ქალი და დაუძახა უფროს ძმას, მოსჭიდე მაგას ხელიო. ჩაუშვა შუათანა და ის კიდე შუათანა ძმას ჩააბარა. მერე თავის საცოლეს უთხრა, მაგრამ ქალი არ უჯერებდა, ის რკინის კაცი გიღალატებსო. შენთვის ამომდის მზეც და მთვარეც, რომ გიღალატოს, მე მაშინ რაღა ვქნაო. ცისკარმა არ დაუჯერა და ჩაუშვა. ჩავიდა თუ არა ქალი, რკინის კაცმა შემოჭრა ჯაჭვს ლახტი და გაწყვიტა.

დარჩა ივანე ცისკარი მაღლა. რაღას იზამდა. ჩამოვარდნილიყო — მოკვდებოდა. მაგრამ აღარც სხვა გზა იყო. ქალმა დაუძახა: ივანე, წადი, იმ დევს ერთი რაში ჰყავდა, ზღვაში რომ ცხვირივით კლდე დგას, იქ აბია, ერთხელ ჩამოაგდო და იქ დააბაო. წადი გამოიყვანე ის რაში და თუ რამეს გიშველის, ის გიშველისო. წავიდა ცისკარი, ჰკრა წიხლი კლდეს, გადაანგრია და ნახა რაში. ხელის სისქე მტვერი და ჭუჭყი ედო ზურგზე. რაშმა უთხრა: სამ დღეს შავ მთაზე გამიშვი, რომ ღონე მოვიკრიბო, თორემ დასუსტებული ვარ და ვერა გზიდავო. გაუშვა ცისკარმა სამ დღეს რაში. მესამე დღეს მოიყვანა. შეკაზმა და შედგა ზედ ფეხი, მაგრამ რაშმა ერთი ფეხით წაიბორძიკა. რაშმა კიდევ უთხრა: ამაღამ კიდევ დამასვენეო. იმ ღამესაც დაასვენა რაში ცისკარმა. მეორე დღეს შეკაზმა, შეჯდა და გასწია საჩქაროდ. რაში გაფრინდა ისარივით და ორი დღის წინ, სანამ რკინის კაცი მივიდოდა, ქალაქში მოიღო გრიალი.

როგორც რაშმა დაარიგა, ცისკარმა შეკაზმა რაში, დააკრა ზედ თავის აბჯარი, გამოაძრო სამი ძუა და გაუშვა ისევ შავ მთაზე. თვითონაც ჩაიცვა ერთი ძველი ფარაჯა და დაიწყო ქალაქში სიარული. ბოლოს ერთ მჭედელთან მივიდა და უთხრა:—შენი არაფერი არ მინდა, ვიმუშავებ, ოღონდ პური მაჭამეო. მჭედელმა უთხრა: — ძალიან კარგიო! — ცულს აკეთებდა მჭედელი, უთხრა, — მოიტა, კვერი დამიკარიო. ცისკარმა მოავლო ცალი ხელი ერთ დიდ კვერს, დაარტყა ამ გრდემლს და კუნძიანად დაამტვრია. მჭედელს ძალიან გაუკვირდა მისი ღონე. გააკეთეს დიდი გრდემლი დიდ კუნძში, და დაიწყო ცისკარმა მუშაობა, მჭედლის ხუთი დღის საქმეს ერთ საათში აკეთებდა. მჭედელს ძალიან უხაროდა, რომ ამისთანა მუშა იშოვა.

ბოლოს მოვიდა რკინის კაციც და მოიყვანა ცისკრის ძმებიც. დანიშნეს ქორწილის დღეც, მაგრამ მეორე ბეჭედი აღარ აღმოაჩნდა უფროს დას, რადგანაც ივანე ცისკარმა გამოართვა. გაგზავნეს ეს ბეჭედი, რომ ამნაირი ბეჭედი უნდა სხვა გაგვიკეთონო, მაგრამ ყველა მჭედელმა უარი უთხრა. მერე ცისკრის უფროსთან მოიტანეს. მანაც უარი უთხრა, მაგრამ ცისკარმა წაუჩურჩულა, გამოართვი, მე გავაკეთებო. იმ ღამეს დაიძინა მჭედელმა. ცისკარმა ცოტა-მატა მიარაკუნ-მოარაკუნა, ამოიღო შენახული ბეჭედი, შეახვია და შედო მაღლა თაროზე. მეორე დღეს შევიდა მჭედელი და დაჰკრა წიხლი: რა ჰქენ, იქნება ხელმწიფესთან შემარცხვინეო? ცისკარმა გადმოუღო ბეჭედი და მისცა.

გაგზავნეს ბეჭედი, მჭედელიც წავიდა ქორწილში, ივანესაც სთხოვა, მაგრამ უარი უთხრა. როდესაც უნდა გამოსულიყვნენ ეკლესიიდან უფროსი ძმა და უფროსი ქალი, ივანე გამოვიდა მინდვრად, შეტრესა ძუა რაშისა და რაში იმასთან დაიბადა. შეჯდა ცისკარი და უთხრა: — წადი და ცას მიეკარ, იქიდან უნდა დავეცე და ერთი სილა გავკრაო. აფრინდა რაში და მიეკრა ცას. როდესაც ეკლესიიდან გამოვიდა ცოლ-ქმარი, ჩამოეშვა ივანე, ერთი სილა სთხლიშა თავის უფროს ძმას.

მერე გაუშვა ისევ რაში, დაბრუნდა შინ და დაჯდა, ვითომ არაფერი არ მოუხდენიაო. მოვიდა მჭედელი და ყველაფერი უამბო: ცხენმა ზოგი ფეხით გაიტანა, ზოგი კამპითაო. — აბა, რომ წამოვსულიყავ. ხომ შიშით მოვკვდებოდიო, — უთხრა ცისკარმა.

მერე ცისკარმა მეორე ბეჭედიც ისე გაუკეთა. ქალებმა იცნეს, მაგრამ არაფერი სთქვეს; უმცროსი ქალი კი ტიროდა: თუ მოვიდა, რატომ არ გამომიხსნის კიდევაცაო. შუათანა ძმასაც ერთი სილა უთავაზა.

ახლა ჯერი რკინის კაცზე მიდგა. დაუძახა თავის რაშს ცისკარმა, შეჯდა, აიღო ლახტი და უთხრა აფრინდიო. აფრინდა რაში და მიეკრა ცას. რკინის კაცი რომ მიდიოდა ეკლესიაში და ქალი მიჰყავდა, დაეშვა ივანეც ცოდან. ის იყო საყდარში უნდა შესულიყვნენ, რომ ნოვარდა ივანე, მოუქნია რკინის კაცს ლახტი, დაარტყა თავში და სულ-ხორციანად მიწაში დაჰკარგა. გადმოხტა თვითონ, გადაეხვია თავის საცოლეს და გადაჰკოცნა.

ყველაფერი უამბო ხელმწიფეს. შეირთო უმცროსი ქალი და, როდესაც ხელმწიფე მოკვდა, თვითონ გახდა ხელმწიფედ.

ჭირი იქა. ლხინი აქა,
ქატო იქა. ფქვილი აქა.

მზის ასული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა. მოხნეს სამი დღის მიწა და დათესეს. ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზე. მოვიდა ისეთი ჯეჯილი, რომ უკეთესი არ იქნებოდა, აღელდა ყანა ზღვასავით. აღელდა პატრონის გულიც სიხარულით, იმ ყანის მნახველი.

ერთს დღეს ცა მოიღრუბლა, დაუშვა სეტყვა და შუა ყანა სულ გაანადგურა. ის ორი ნაპირისა კი გადარჩა.

მოვიდა პატრონი, დახედა ყანას და დაწყდა გული, მაინც არაფერი სთქვა, აიღო ნამგალი და გაუდგა გზას ბედის საძებნელად. იარა, იარა და ერთს მდიდარ კაცთან მივიდა. ასი დღის ყანა ჰქონდა იმ მდიდარ კაცს. მივიდა და უთხრა: — რას მომცემ, რომ ეგ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოგიმკაო? — შუაზე გაგიყოფო, — უპასუხა მდიდარმა კაცმა.

წავიდა და დაუწყო ულოს გრეხა. შუადღემდი ულო გრიხა, მერე მოუდო ნამგალი და გაუსვა. ის იყო ერთი ძნაღა ჰქონდა შესაკრავი, რომ ჩადის მზე. მოუხადა კაცმა ქუდი მზეს და შეევედრა:

— ნუ ჩახვალ ჯერ, ცოტა მოიცადეო!

მაგრამ მზემ აღარ მოიცადა. შეკრა ის ძნაც და მოვიდა ყანის პატრონიც. ძალიან გაუკვირდა, ყანა რომ მომკილი დაინახა, და უთხრა: — გავიყოთ ახლა შუაზე, როგორც პირობა გვაქვსო. მომკელმა არ უსმინა, გადუგდო ნამგალი და უთხრა: — მაინც ბედი არ მაძლევს და არ მაძლევს, პირობა დროზე ვერ შეავასრულე, შენ შენთვის და მე ჩემთვისო!

წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთს ხელმწიფესთან და დაუდგა მეცხვარედ ოთხი წლის ვადით. პირობა დაუდო, რომ არც მგელს რაიმე შეეჭამა ამ ოთხ წელში, არც ჭირს მოეკლა, ერთის სიტყვით, ბეწვი არ უნდა დაკლებოდა; ბოლოს კი შუაზე გაიყოფდნენ: ნახევარს ერთი წაასხამდა, ნახევარს — მეორე. თუ დააკლდებოდა რამე, მეცხვარე ცარიელი უნდა წასულიყო. დადგა კაცი მეცხვარედ. გავიდა ოთხი წელი, ერთი თიკნის ყური არ დაკლებია. ისე მოაშენა ცხვარი, რომ მიწას უმძიმდა. ის იყო ბაკში ერეკებოდა ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ ერთი მგელი გამოვარდა, ეცა ერთ ცხვარს, მოიტაცა და გააქანა ტყისაკენ. პატრონი მაინც შუაზე უყოფდა ცხვარს, მაგრამ მეცხვარემ გადუგდო კავი და წავიდა თავის გზაზე.

ბევრი იარა, თუ ცოტა, მივიდა ერთს მდინარესთან, დაჯდა და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ სამი მზის ქალი ჩამოსულა და ბანაობენ წყალში; ისეთი მშვენიერები არიან, რომ კაცის თვალი მათზე უკეთესს ვეღარას ნახავს! ადგება ეს კაცი, მიეპარება ამ ქალებს, მოიტაცებს ერთს და გამოიქცევა. ირბენს ბევრს, ირბენს, გაიყვანს ერთ ტრიალს მინდორზე, გაუკეთებს ქოხს და დადგებიან იქ. მაგრამ არაფერი კი არ აბადიათ. ქმარი აღარც სამუშაოდ წავიდა: სადაც ვიყავი, რასაც ხელი მოვკიდე, ბედი არა მქონდაო და ახლა სადღა უნდა წავიდეო.

ქალს ერთი ნატვრის ბეჭედი ჰქონდა. მისცა ის ბეჭედი ქმარს და უთხრა: — ჩემი სიმდიდრე და მზითევი ეს არის, ამის მეტი არც მე მაბადია არაფერი და არც შენ. მიწაზე დადებ — სუფრა გაიშლება, სუფრაზე დადებ — სასმელ-საჭმელი ჩამორიგდება, ჩამოიტან ქვევით — ჭურჭელი დარიგდებაო.

გაიხარა ქმარმა და უფრო მეტს განცხრომას და შვებას მიეცა. ხელმწიფის დაპატიჟება ჩაიდო გულში. ცოლმა დაუშალა, შენ ქერქში იყავ. მიუწვდომელს ნუ ეწვდებიო. ხელმწიფის სტუმრობა ადვილი ნუ გგონიაო. ეგ ერთი ბეჭედი გვიგდიაო და გაგკვირვებია, გინდა ეგეც თავიდან მოიშოროო? — არ იქნება და იქნებაო, — დაიჟინა ქმარმა, უნდა დავპატიჟოთ და ჩვენი გლეხური ცხოვრება ვაჩვენოთო. ნახოს, რომ ჩვენც შეგვიძლია ხელმწიფეს გავუმასპინძლდეთო.

ადგება ერთ დღეს ეს კაცი და გასწევს ხელმწიფესთან დასაპატიჟებლად. მიართმევს საჩუქარს და სთხოვს, გაგვაბედნიერეთ და მობრძანდით ჩვენსა სადილადო. ხელმწიფეს გაეცინა: — შენ რა ხარ. შენი სადილი რა უნდა იყოსო! — მაინც უთხრა: — მე კი ვერ წამოვალ და ნაზირ-ვეზირს გამოგაყოლებო. ხელმწიფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირნი და უბრძანა: — წადით, ნახეთ. ეს კაცი რომ მეპატიჟება, რით მეპატიჟება, აქვს რამე, თუ აბუჩად მიგდებსო.

გაუძღვება კაცი და გაჰყვებიან ნაზირ-ვეზირნიც ჯარით. გზაზე რომ მიდიან, ნაზირ-ვეზირსაც პური მოშივდებათ. მოკლეს ერთი ხოხობი, მისცეს ბიჭსა და გაგზავნეს შესაწვავად ქოხში.

სწვავს ხოხობს ბიჭი, თვალი მზის ქალზედა აქვს. ისე მოსტაცა გონება ქალმა, რომ სრულებით დააგიწყდა, თუ ხოხობს სწვავდა. ნახევარი ხოხობი სულ ჩაებუგა. მოართვა ნაზირ-ვეზირს დამწვარი ხოხობი. ჰკითხავენ, რად დასწვი ხოხობიო? — ღმერთმა ჰკითხოს! ერთი ქალი იყო ამ კაცის ქოხში, ისე მომტაცა გონება, რომ ვეღარაფერი გავიგეო.

ნაზირ-ვეზირებმა დააჩქარეს ჯარი, შესხდნენ და გასწიეს იმ ქოხისაკენ. ქალის ნახვა მოუნდათ. მივიდნენ შორი ახლოს და ჩამოხტნენ. ჩამოუყოლა მზის სიძემ ბეკედი ცხენებს და სათითაოდ თივა და ქერიანი თოფრები დაკიდა კისერზე. ცოტა ხნის მერე ცარიელი თოფრები ჩამოკიდნა. დადო ბეკედი და გაუშალა სუფრა ჯარს: მოვიდა და მოვიდა საჭმელი და სასმელი, სულ ახალი და ახალი!

ნაზირ-ვეზირნი გაკვირვებულნი იყვნენ: სახლი არ უდგას, ნაგებობა არაფერი უჩანს და ეს რა ამბავია! ნახეს ახლა მისი ცოლი და სულ ჭკუაზე შეიშალნენ. გაუმასპინძლდა გულუხვად მზის სიძე და გააკვირვა ნაზირ-ვეზირნი. მოვიდნენ ხელმწიფესთან.

— როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ყმაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

ნაზირ-ვეზირებმა ძალიან უქნეს, სულ უცეცხლო საჭმელები გაგვიკეთაო. მაგრამ მას რომ ცოლი ჰყავს, იმისთანა კი აღარაფერი იქნებაო, ის იმას კი არა, ხელმწიფეს ეკადრებაო. — როგორ წავართვაო? — ჰკითხა ხელმწიფემ, — უმიზეზოდ ცოცხალი არ დამანებებსო. ნაზირ-ვეზირმა ურჩია: — დაიბარე ის კაცი და შეუკვეთე: მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანეო. ის იქ წავა, იქიდან ვეღარ მოვა და ცოლი შენ დაგრჩებაო.

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უთხრა: — უნდა წახვიდე და მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანოო. დაბრუნდა შინ მზის სიძე, შესჩივლა ცოლს: — ხელმწიფე მზესთან მგზავნის, ოქროს ერკემალი უნდა მომიყვანოო. — ახლა რაღა გეშველებაო! — უთხრა ცოლმა. — ეგ წინადვე უნდა გეფიქრა, ახლა ჯავრობით ვეღარაფერს გაწყობ და ისევ ისა სჯობია, ადგე და შეუდგე გზასაო. მისცა ნიშანი და გაგზავნა.

ბევრი იარა მზის სიძემ, ბევრი ქვეყანა გაიარა, გაათავა სახმელო და სამზეოს მიაღწია. იარა და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე იყვნენ. მზე გზაზე ყოფილიყო, ქვეყნის სანათობლად წასულიყო. მთვარემ ნახა მზის სიძე, იცნო და ძალიან გაუხარდა. დედას ახარა: ჩვენი სიძე მოვიდაო. გამოჰკითხა სიძეს მოსვლის მიზეზი. სიძემ უამბო ყველაფერი. მთვარემ უთხრა: — მზე მოვა, შენ ვერ გაუძლებ იმის ნათელს, დაიწვებიო! — აქცია ნემსად და შეარჭო ბოძში. საღამოზე მოვიდა მზეც. — სულიერის სუნი მომდისო, — დაიძახა მზემ, — ვინ მოსულა ჩვენს საბრძანებელშიო? — რას ამბობო? — გაუჯავრდა მთვარე, — ქვეყანაზე შენ დადიხარ, შენ მოგყვებოდა სულიერის სუნიო. ახლა შენი სიძე რომ იყოს აქა, ხომ არ დასწვა-

ეო? არაო, — უფიცა მზემ, ოღონდ თვალით კი მაჩვენეთ როგორი კაცია ჩემი სიძეო. აქცია მთვარემ სიძე ისევ კაცად და წამოაყენა მზის წინ.

მზე მიეალერსა სიძეს და გამოჰკითხა მისვლის მიზეზი. — ხელმწიფე შენს ქალს მეცილებაო. — უთხრა სიძემ. — გაუგონია, მზეს ოქროს ვერძი ჰყავსო და გამომგზავნა წასაყვანადა.

— ფიქრი ნურაფრის გაქვსო, — გაუმაგრა გული მზემ, — წამოდი ჩემ ბაღში, დაისვენეო. შევიდა ბაღში სიძე, ნახა, სადაც რამ იყო, ძალიან მოეწონა. მართლაც მშვენიერი სანახავი იყო: ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინღა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოსდიოდა... მზემ სიძეს უთხრა: — აქ, ბაღში იყავი და სადილს მგელი და ელია მოგართმევენო... — მოშივდა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო ლოდინი. მოვიდა მგელი და მოუტანა სუფრა, მოვიდა ელია და მოართვა სასმელ-საჭმელი.

მზის სიძეს ერთი კომბალი ჰქონდა; გაიკითხა მგელი იქით და უთხრა: — მე .რომ ოთხი წელიწადი ერთი თიკნის ყურიც არ დამკლებია, ისე ვუელიდი ცხვარსა, და ყავლის გათავების დროს შენ რომ მოხვედი და მომტაცე, რადა ჰქენ ეგ საქმეო? წაუდო და წაუდო მგელს, იმდენი სცემა, რამდენიც ენება. მერე გაიკითხა ელია და იმასაც ჰკითხა: — მე რომ სამ მამულში შუა მამული მეჭირა, შენ წამოუშინე სეტყვა და სულ მიწაში ჩაატანინე ჩემი ყანა, რადა ჰქენიო? დაუდო და დაუდო იმასაც, ჰკრა კომბალი თვალებში და გამოაჩიჩქნა.

დაჯდა და შეექცა სადილს. მერე ადგა, დაერია მზის ბაღს, დაამტვრია, დასჭრა ხეხილი, გაატიალა და გაავერანა ერთიან. მერე დაჯდა და დაისვენა. წავიდნენ მგელი და ელია მზესთან საჩივლელად. მოვიდა მზე სიძესთან და ნახა: ბაღიც ისე გაუვერანებია, რომ მტერს აეტირება. — რადა ჰქენ ასეო? — ჰკითხა სიძეს. — თქვენ რაღად ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამული მეგდო, წამოუშინა ელიამ სეტყვა, გამოიხრაო: ოთხი წელიწადი ხელმწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა მგელმაო, ან მე რომ ასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, შევკონე, ერთი ძნაღა მქონდა შესაკრავი, გთხოვე, ნუ ჩახვალო, და შენ რატომ ყურიც არ შეიბერტყეო?

მზემ ვეღარაფერი უთხრა. მისცა ოქროს ვერძი და გაისტუმრა მშვიდობით. მიუყვანა ოქროს ვერძი ხელმწიფეს. ხელმწიფეს იმედი დაეკარგა ქალის ხელში ჩაგდებისა. ნაზირ-ვეზირს ჰკითხა: რაღა მეშველებაო? ნაზირ-ვეზირმა ურჩია: საქიოს გაგზავნე, თქვენმა მშობელმა დედამ რომ ბეჭედი წაიღო, ის მოგიტანოსო.

დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უბრძანა: — საიქიოს წადი, დედაჩემმა რომ ბეჭედი წაიღო, ის მომიტანეო.

მივიდა ცოლთან მზის სიძე და შესჩივლა: — ხელმწიფე ახლა საიქიოს მგზავნის, შენი თავი უნდა წამართვასო. ცოლმა ერთი ვაშლი მისცა და უთხრა: — გააგორე ეს ვაშლი და, სადაც ის წავიდეს, გაჰყევ შენც კვალდაკვალო. აიღო ვაშლი მზის სიძემ, გააგორა და მიჰყვა კვალზე. მიგორავს ვაშლი და აი, გამოვა ერთ მინდორზე. ერთი ირემი დგა, რქები ცამდე აქვს აწვდილი. — გამარჯობა შენიო! — ეტყვის მზის სიძე ირემს. — გაგიმარჯოსო! — უპასუხებს ირემი, — სად მიდიხარ, აქ რამ მოგიყვანაო? — საიქიოს მივდივარ, ხელმწიფის დედას ბეჭედი უნდა გამოვართვა და მივუტანოო. — მეც რამე წამალი მომიტანე. რქებს ვეღარ ვზიდავო, — შეეხვეწა ირემი.

გასცდა ირემს მზის სიძე და მივიდა ერთ კლდესთან, შიგ ერთი ხარი აბია; არც სასმელი წყალი აქვს, არც საჭმელი ბალახი, და ისეთი მლუქანი კია, რომ ხორცი ზედ ასკდება სიმსუქნით.

მზის სიძეს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა ხარსა: — არაფერს კი არ სჭამ და რამ გაგასუქა ასეო? — რომ ჩამოიღლი, მაშინ გეტყვიო, — უპასუხა ხარმა. გასცდა ამას მზის სიძე და ერთს მშვენივრად მოროულს მინდორზე გამოვიდა. ნიავის ქროლაზე ბალახი ზღვასავით ღელავს. წყაროებს ჩუხჩუხი და ლურლური გააქვს ბალახებს შუა. მინდორში ერთი ხარი დგას. პირაკრულია, ვერცარასა სჭამს და ვერცარასა სვამს, ისეთი მშლეა, რომ კაჭკაჭი ვერაფერს გამორჩება. გაკვირვებული მზის სიძე იმასაცა ჰკითხავს: — რამ გაგხადა ეგრე, ასეთი სასმელი და საჭმელი წინა გაქვსო? ხარმა ამაზე უპასუხა: — ამელელი ბევრი მინახავს, ჩამომველელი კი აღარც ერთიო. მზის სიძე გასცდა მშლე ხარს და ერთ მღვდელს შეხვდა, ზურგზე საყდარი ჰკიდია, დადის და, სადაც ერთს კაცს ნახავს, დასდგამს და ულოცავს. მზის სიძე მღვდელსაც მიესალმა. მღვდელმა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა და მზის სიძემ კიდევ — საყდრის ზურგზე აკიდებისა. მღვდელმა სთხოვა — საიქიოს რაკი მიხვალ, შემიტყვე. რა ვუყო ამ საყდარს, მუდამ ზურგზე ხომ არ მეკიდება, ამპავი მომიტანეო.

გასცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთს ადგილას, ცულის ტარზე ცოლ-ქმარნი წვანან, და ცულის ტარი აქეთ და იქეთ კიდე გადაჭარბებულია. მზის სიძე გაკვირვებული შესცქეროდა ცოლ-ქმარს: — თუ ღმერთი გწამთ. ეგ როგორ არის, რომ ცულის ტარზე წევხართ ორი სული და იქეთ-აქეთ კიდე ადგილი დარჩენილაო?

— ამელელი ბევრი გვინახავს და ჩამომველელი კი აღარავინაო! —

უპასუხა ცოლ-ქმარმა. — აიარე, ჩამოიარე და მაშინ ყველაფერს გიამბობთო. გასცდა იმათაც გაკვირვებული მზის სიძე და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ცოლ-ქმართან: კამეჩის ტყავზე დაწოლილან, ერთი იქით გორავს, მეორე აქეთ და კიდევ ერთმანეთს სწიხლავენ: იქით მიწექ, მიიწიეო!

მზის სიძე მივიდა, სალამი მისცა და ჰკითხა: — ეგ რა უბედურებაა თქვენ თავს, რომ კამეჩის ტყავზე წევხართ და კიდევ ვიწროდ გეჩვენებათო. — ამვლელი ბევრი გვინახავს, ჩამომვლელი კი აღარავინაო! — უპასუხა ცოლ-ქმარმა, — წადი და თუ ჩამოივლი, მიზეზს შეიტყობო.

გასცდა ამათაც მზის სიძე და მიდის. გზაზე ერთი დედაკაცი შეხვდება. მოუგროვებია კვერცხები და კოშკს აშენებს. აიყვანს ცოტად, ააცილებს მიწას, იგრიალებენ კვერცხები და ჩამოცვივიან დაბლა. დედაკაცი ხელახლა მოჰყვება და ააშენებს კოშკს. მივა მასთან მზის სიძე და გაკვირვებული ჰკითხავს: — რას შვრები, კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, რომ შენ ააშენოო?! — ჩამოიარე და მაშინ გეტყვიო, — უპასუხა დედაკაცმა. გასცდა ამ დედაკაცსაც მზის სიძე და წავიდა თავის გზაზე. მიადგა ერთ თონეს. ერთი დედაკაცი დგას და აცხობს პურსა, ჩააკრავს თეთრს პურს, როგორც ბამბას, და ამოიღებს შავს, როგორც ტალახს. მზის სიძე მივა იმასთან და გაკვირვებული ჰკითხავს: — ეგ რისგან არის, რომ თეთრ პურს ჩააკრავ და შავს ამოაკრავო? — ჩამვლელი ბევრი მინახავს, ამომვლელი არც ერთიო, — უპასუხა პურის მცხობელმა დედაკაცმა, — ჩაიარე და თუ კიდევ ამოივლი, მაშინ გეტყვიო. გასცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. გზაზე ერთი კაცი ნახა: ხევზე ხიდადა ძევს: ყველა იმაზე გადის და გამოდის. — ეგ რა ამბავია შენს თავსაო? — ჰკითხა მზის სიძემ კაცხიდას. — ჩამვლელი ბევრი მინახავს, ამომვლელი აღარც ერთიო, — უპასუხა კაცხიდამ, — ჩაიარე და თუ ამოივლი, მაშინ გეტყვიო. გასცდა იმასაც მზის სიძე და მივიდა ხელმწიფის დედასთან. — შვილმა დაგიბარაო, — უთხრა ხელმწიფის დედას. — მანდ რომ ბეჭედი წაიღე, ის გამომიგზავნეო. — მისცა ბეჭედი მზის სიძეს ხელმწიფის დედამ და უთხრა: — წაიღე. მიეც ჩემს შვილს და უთხარ: დედამ დაგიბარა. რადგანაც აქაც არ შაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ. შენამც იქნები წყეული, შენი საქმე ისე მოვიდეს, რომ შენმა ვეზირებმა შეგჭამონო.

მზის სიძემ ჰკითხა: — ესე, ესე გზაზე ერთი ირემი ვნახე, რქები ცამდის ჰქონდა აწვდილი. სიარული აღარ შეეძლო. წამალი დამბარაო, და თუ შეიძლება მასწავლეო. ერთი მღვდელი იყო კიდევ,

ზურგზე საყდარი ეკიდა, სადაც ერთს კაცს ნახავდა, მიიტანდა, დასდგამდა და იქ ულოცავდაო, იმასაც დაუბარეთ — რა უყოს იმ საყდარსა.

ხელმწიფის დედამ უთხრა: — ირემმა მაისის წყალი დალიოს და გასცვივა რქებიო, მღვდელმა კიდევ წაიღოს ის საყდარი, დადგას შუა სოფელში, ზარი დაჰკიდოს, ლოცვაზე რომ დგებოდეს, დარეკოს ზარები, ვისაც ლოცვა უნდა მივა და ილოცებსო, ვისაც არ უნდა, არ მოვა, მისი ბრალი არ იქნებაო. წამოიღო ბეჭედი და წამოვიდა მზის სიძე: გზაზე კაც-ხიდას ჰკითხა მიზეზი ასე ტანჯვისა. კაც-ხიდამ უთხრა: — მე ხიდი მებარა, ზედ არავის გავატარებდი უფასოდ, საწყალი და გაჭირვებული არ ვიცოდი, ყველას ერთნაირად ვაძრობდი ტყავს და აი ახლა ხომ ხედავ, როგორა ვარო?!

გასცდა ამას მზის სიძე და წამოვიდა თავის გზაზე. პურის მცხობელმა დედაკაცმა უთხრა: — მე იმქვეყნად ისეთი წუწკი ვიყავი, პური რომ ჩამეკრა და იმ დროს მშიერ მგზავრს გამოეელო, ან გლახას, თვალებს ჩავიწევდი თონეში, რომ არ დამენახა ისინი და პურის მიცემა არ მონდომოდა. ახლა ასე ვარ, როგორიც უნდა თეთრი პური ჩავაკრა — მიწად მექცევაო. კვერცხების კოშკს რომ აგებდა, იქ მოვიდა. დედაკაცმა უთხრა: — მე იმქვეყნად კვერცხებს ვიპარავდი და აი, ახლა ასე ვიტანჯებიო.

დასტოვა მზის სიძემ კოშკის ამგები და წავიდა თავის გზაზე. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოვიდა კამეჩის ტყავზე მწოლიარე ცოლ-ქმართან, მათ უთხრეს: — იმქვეყნად ჩვენ ერთმანეთი გვძულდა. ქვეყანა ჩვენთვის ვიწრო იყო, ვერ ვთავსდებოდით და აი, ახლა კამეჩის ტყავზედაც ვერ ვეტევითო. რამდენიც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, ველარ მოვშორდებითო.

მზის სიძე ცულის ტარზე მწოლიარე ცოლ-ქმართან მივიდა. მათ უთხრეს: — იმქვეყნად ერთმანეთი გვიყვარდა და აქაც გვიყვარსო. მოყვარულ ცოლ-ქმარს ცულის ტარიც არ ეპატარავება საცხოვრებლად, ოღონდ ერთმანეთის თავი ჰყავდეთ ცოცხალიო.

ბევრი იარა მზის სიძემ თუ ცოტა იარა, მივიდა იმ მღვდელთან, ზურგზე რომ საყდარი ეკიდა და მოუტანა ამბავი, ხელმწიფის დედის დაბარებული.

გასცდა მღვდელსაც და იმ ხართან მოვიდა, მშვენიერ მდელოზე რომ ება, სასმელი და საჭმელი მრავალი ჰქონდა და მჭლე კი იყო. ხარმა უთხრა: — მე ჩემს პატრონს არაფერში გამოვადეგ, არაფერს ვუკეთებდი და აი ახლა ასე ვარო.

მჭლე ხარს გასცდა და კლდეში რომ მსუქანი ხარი ება, მასთან

მივიდა. მსუქანმა ხარმა უთხრა: — მე ჩემი პატრონისათვის თავდადებული ვიყავ, არა ვღალატობდი და პატრონიც კარგა მივლიდაო. ახლა თუნდა არც არაფერი ვჭამო და ვსვა, მაინც მსუქანი ვიქნებიო.

გასცდა ამასაც მზის სიძე და წამოვიდა ირემთან. მივიდა, მიუტანა ამბავი: — მაისის წყალი დალიე და რქები გაგცვივაო. დალია ირემმა მაისის წყალი და გასცვივდა რქები.

მოვიდა და მოუტანა მზის სიძემ ხელმწიფეს დედის ბეჭედი და წყევლაც... იქცა ხელმწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირნი მგლებად და შეჭამეს.

ხელმწიფის ქონება მზის სიძეს დარჩა.

იამ რა უთხრა ვარდსა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდი და დიდებული ხელმწიფე: ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. სამივეს ნადირობა საშინლად უყვარდა და ყოველ ცისმარე დღეს სანადიროდ დადიოდნენ.

ერთ დღეს ძმები სანადიროდ ერთ უცხო მთაში წავიდნენ. ნადირი ბევრი იყო. ინადირეს, დახოცეს ნადირი, მოეწონათ ადგილი, გაშალეს კარავი და დადგნენ. იმ ღამეს კარავში ეძინათ, დილით ადგნენ და ისევ ტყეს მიაშურეს. ძმები როგორც კი მიეფარენ თვალსა, მოვიდა გველი და შემოეხვია კარავს. საღამოზე დაბრუნდნენ ძმები, ნახეს კარავს გველი შემოხვეია, დაუშინეს თოფები, მაგრამ ტყვია არ მიეკარა გველსა. რაკი ველარაფერი გააწყვეს, ჰკითხეს გველს: — გვითხარი, რა გინდა ჩვენგან, მოგვთხოვე და კარავი კი დაგვანებეო. გველმა უთხრა: — მე სხვა არაფერი არ მინდა, არც არას ბევრსა გთხოვთ. ის შემიტყვეთ: იამ რა უთხრა ვარდსაო, ვარდმა რა უთხრა იასაო? ძმები დაღონდნენ. ვინ რა იცოდა, იამ რა უთხრა ვარდსა და ან ვარდმა — იასა?! ბოლოს უმცროსი ძმა ადგა და სთქვა: — მე წავალ, ერთი წლის ვადა მომეცი და ჩემი ძმებიც გებარებოდესო. ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გამოვიდა ერთ ტრიალ მინდორზე, სამი კაცი ნახა. ისინი ძმები ყოფილიყვნენ: უფროსი ძმა პირტიტველა იყო, მაშინლა ამოსდიოდა წვერი; შუათანა ჭაღარა იყო და პატარა ძმა კი სულ ბატივით თეთრი იყო. მგზავრი მივიდა, მიესალმა და, რაკი გაიგო რომ ძმები იყვნენ, ჰკითხა, ვინ არის უფროსიო? მათ

პირტიტველაზე უთხრეს—უფროსი ის არისო. მგზავრს ძალიან გაუკვირდა, ჰკითხა: ეგ რისგან არისო? მათ უთხრეს: — სად ბიხვალო? —მე მივდივარ იმის გასაგებად, თუ იამ რა უთხრა ვარდსა და ვარდმა რა უთხრა იასაო. გველმა გამომგზავნა, კარავს შემოეკრა და აღარ გვიშვებსო, პასუხი უნდა მივუტანოო. კაცებმა სთქვეს:

— ის წყეული ისევ ცოცხალიაო? ამ გზაზე ჩამველელი ბევრი ვინახავს, ამომვლელი კი აღარავინაო, რომ ამოივლი, ყველაფერს მაშინ გიამბობთო. აჩვენეს თავიანთი სასახლე, დალოცეს და წავიდა.

ბევრი იარა და ერთ ტრიალ მინდორზე გამოვიდა. იმ მინდორზე ერთი ხე იდგა. იმ ხეზე ფასკუნჯი ბუდობდა. გამოჩეკდა ყოველ ნელიწადს ბარტყებს ფასკუნჯი, მაგრამ მოფრინდებოდა არწივი და როცა ფასკუნჯი არ იყო, დაუჭამდა ბარტყებს. მგზავრი მივიდა და დაისვენა ხის ძირას. უცებ არწივი მოფრინდა. მომართა მგზავრმა მშვილდი, ესროლა ისარი და ჩამოაგდო. მოფრინდა ფასკუნჯი, ნახა არწივი მკვდარი, შვილები ცოცხლები, სიხარულს მიეცა. ფასკუნჯმა ჰკითხა: — რა სულიერი ხარ, რომ შვილები გადამირჩინე და ასეთი სიკეთე მიყავიო? რა გინდა, რასა მთხოვ, რომ მოგცეო? — მე ქვეყანაზე არაფერი არ მინდა სხვა, ის ქვეყანა მიმასწავლეთ, სადაც იციან იამ რა უთხრა ვარდსაო, ვარდმა რა უთხრა იასაო. — იმ წყეულმა გამოგგზავნაო? — ჰკითხა ფასკუნჯმა, — ეს ალაგი ქვესკნეთს არის: ქვესკნეთის ხელმწიფე გეტყვის. მოგკლავს კიო. მაგრამ, ღვთის შეწევნით, მე გადაგარჩენ, რადგან შენ მე გადამირჩინე შვილებიო. ერთი ფრთა მისცა: ეს ფრთა დახრუკე, როდესაც შველა დაგჭირდეს. და მე იქ დავიბადებიო. დაისვა მხარზე მგზავრი, დაიჭექა, გაიხსნა მიწა და ჩაიკრა ქვესკნეთს. ფასკუნჯმა მიიყვანა და დასვა ვაჟი იმ ალაგას, სადაც ეს ამბავი ითქმებოდა. ერთ ქვაზე იჯდა. მივიდა ხელმწიფე და ჰკითხა: — შვილო, რა გინდა, რისთვის მოსულხარო? — მე ის მინდა, შევიტყო იამ რა უთხრა ვარდსაო, ვარდმა რა უთხრა იასაო, — უპასუხა ბიჭმა. — გეტყვი, შვილო, და მოგკლავო, — უპასუხა ხელმწიფემ, — თუ გინდა ნუ მათქმევინებ და არ მოგკლავ, წადიო. აი, ეს კაცს ერთიღა მიკლია მოვკლაო, ორი ათასიც ცოცხლები მყავს და ვინახავო. თუ გინდა, აქ შეგინახავ, და თუ არადა წადიო. — არა, მითხარიო, უთხრა ბიჭმა.

დასხდნენ და დაიწყეს ბაასი. უამბო ხელმწიფემ: მე მყავდა ისეთი ლამაზი ცოლი, რომ ბნელ ღამეს ანათებდა. იმ სილამაზისა ერთი ქალი გამეზარდა, იმაზე უკეთესი იყო. მე ერთი მათრახი მქოხდა, რასაც დავკრავდი — რადაც მინდოდა, იმად ვაქცევდი, მინდოდა ძაღლად, მინდოდა ჯორად და ცხენად. ჩემი მათრახის ძალა ჩემმა

ცოლმაც კი არ იცოდა. როცა ქალიშვილი გამეზარდა, მას ვასწავლე, მან კიდევ დედას ასწავლა. თურმე იმ ჩემ ცოლს კურო ჰყოლია, უცლია იმასთან, იმ არაბსაც უცლია ჩემ ცოლთან. ერთხელ ჩემი ცოლი დროს სატარებლად წავიდა, თან ქალიშვილი და მოსამსახურე წაიყვანა. წინ მე წავედი. როდესაც ისინი არაბთან მივიდნენ, მე იქ ვიყავი დამალული. მოვიდნენ, ისადილეს და წავიდნენ სახლში. ისინი რომ წავიდნენ, მე გამოვედი საფარიდან, შევუვარდი არაბს, მოვეჭერი თავი, წამოვიღე სახლში და დავმალე. დილა რომ გათენდა, მაგიდაზე დავდე. ჩემმა ცოლმა იცნო, წამოხტა და ის მათრახი დამკრა — მაქცია ძაღლად; ისეთი დღე დამაყენა, რომ მტერსაც კი შევებრალებოდი. სამ დღეში ერთხელ მაჭმევდა: შიმშილით და წყურვილით სულს მართმევდა. ის კიდევ ჩემს თვალწინ საყვარელს ეხვეოდა. მუდამ დღე ამ დუხჭირში ვიყავი. ერთხელ ჩემი ცოლი და ქალი სხვაგან წავიდნენ. ერთი მოახლე მყავდა. იმ მოახლემ ის მათრახი დამკრა და ისევ კაცად ვიქეცი. მერე ის მათრახი დავიჭირე ხელში და, როცა დედა და შვილი მოვიდნენ, გადავკარ მათრახი — ცოლი წყლად ვაქციე, და აი, ახლა ჩემ წინ მიდის, ნაგავი და ნეხვი შიგ ჩადის, ღორები და ძაღლები შიგ იწუმპებიან. ქალი ვერ გავიმეტე თვალით საყურებლად, დაეწყეველე და ის არის ჩემი შვილი, რომელმა გველმაც შენ გამოგგზავნა. ახლა რომ შენ წახვიდე და ყველა ეს ამბავი ჩემს ქალს უამბო, ის ქალად იქცევა, ეს ჩემი ცოლი აქ ისევ დედაკაცად იქცევა და იმავე ტანჯვაში ჩამაყენებენ, რა ტანჯვაშიც წინათ ვიყავი. აბა ცოცხალი როგორ უნდა გაგიშვაო?!

ეს ლაპარაკი რომ გაათავა ხელმწიფემ, ბიჭებს უბრძანა: — აბა, ბიჭებო, მოსჭერით თავიო! ვაჟმა უთხრა: — ყალიონს დაჩვეული ვარ, ერთი კიდევ მომაწევინეთ სიკვდილის წინ და ისე მომკალითო. მოუტანეს ყალიონი და ცეცხლი, დაიწყო წევა. ამოიღო ფასკუნჯის მოცემული ბუმბული, დაადო ყალიონს და დაუწყო ტრესვა. ამ დროს იქექა ფასკუნჯმა, ერთ წამს დაეშვა ვაჟთან, მოიტაცა, შეისვა მხრებზე და ერთიან აიტაცა ზექვეყანას. ვაჟი გადარჩა, ხელმწიფემ ვეღარ მოკლა.

წამოვიდა ვაჟი და მოვიდა იმ სამ კაცთან, გზაზე რომ შეხვდნენ: უფროსი რომ უწვერული იყო, შუათანა ჭაღარა და უმცროსი სულ გათეთრებული. პირველად უმცროსთან მივიდა. — აბა, ახლა მითხარი, რადა ხარ გათეთრებული, ბოლო რამ მოგიღოო? მან უთხრა: — ისეთი საძაგელი ავი ცოლი მყავს, ღმერთიც რომ მოვიყვანო სახლში, იმასაც კი გალანძღავს და გაათრევსო, მე ხომ მლანძღავს და მკრულავსო. ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს, ქვეყანაში თავი არ გამო-

შეყრფაო. იმის ჯავრმა და ვარამმა გამათეთრა და მომხარა წელშიო.

შუათანა ძმამ უთხრა: — ჩემი ცოლი ცოტა უკეთესიაო, მაგრამ წმინდა წყლისა არც ის არისო; არც ის მაყრის ხეირსაო. მეც იმან გამათეთრა და უდროოდ დამაბერაო.

უფროსმა ძმამ უთხრა: — რაც უნდა გაჯავრებული მოვიდე სახლში, რაც უნდა ჯავრი მაწვეს გულზე და პირი არ მეღებოღეს, მოვა ჩემი ცოლი, ისეთ სიტყვას მეტყვის, ისე მომექცევა, რომ სულ სიცილით დავსუსტდებიო, და რაღა დამაბერებს იმის შემყურესაო.

გამოეთხოვნენ ერთმანეთს, დალოცეს ერთურთი და განშორდნენ. ვაჟი თავის გზაზე წამოვიდა, ის ერთი წელი ისე წასულა და გაპარულა, რომ ერთი დღეღა აკლია მისვლას. ვაჟმა მშვილდ-ისარი მოიხსნა, გასტყორცნა. ისარი გველთან დაერჭო. გველმა თქვა, მოდისო, სიხარულით ზეცას ეცა, მიწას დაეცა, ცხრა მთას იქით გადავიდა, ვიდრე ბიჭი კარავთან მოვიდოდა, ის გველი კიდევ მალე მოვიდა. შეეიდა უმცროსი ძმა და ძმებიც იქ დახვდნენ დაჯდა ეს ბიჭი და დაუწყო გველს მასლაათი, ყველაფერი უამბო ხელმწიფის ნათქვამი. დაამთავრა თუ არა მოყოლა, გველი მშვენიერ ქალად იქცა და ქალ-ვაჟი გადაეხვივნენ ერთმანეთს, გახდნენ ცოლ-ქმარი. მას შემდეგ ეს ამბავი დაუვიწყარია და იტყვიან ამბად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი მონადირე. ერთხელ მინდორში ნადირობდა და ნახა: სამ მუხაზე ერთი დიდი არწივი იჯდა, სამივე მუხა ეჭირა. მოზიდა მშვილდს მონადირემ, დაუმიზნა ისარი. არწივმა უთხრა: — ნუ მომკლავ, მხარი მაქვს მოტეხილი, წამიყვანე სახლში, მომიარე, მომარჩინე, ბარტყი ვარ და ბოლოს მეც გამოგადგებიო. აღარ მოკლა მონადირემ, წაიყვანა სახლში. ცოლს ძალიან ეწყინა: ჩვენთვის არაფერი გვაქვს, მაგას რა ვაჭამოთო!

მართლაც ისეთი ღარიბები იყვნენ, კბილის გამოსაჩიჩქნი ჩხირიც კი არ ჰქონდათ. ორ კვირას უწამლა. დაეტყო რჩენა. არწივმა მონადირეს უთხრა: წამიყვანე მუხებთანაო.

წაიყვანა მონადირემ. დაუქროლა არწივმა და ერთი მუხა ძირიანად მოკგლიჯა და სამი მთის იქით გადისროლა. მონადირეს უთხრა:— კიდევ წამიყვანე. ცოტა კიდევ მაკლიაო! მონადირემ ისევ წამოიყვანა. ორ კვირასა ჰყავდა კიდევ. არწივმა უთხრა: წამიყვანე მეხებთანაო. წაიყვანა მონადირემ. დაუქროლა არწივმა, მოკგლიჯა მეორე მუხა და ცხრა მთას იქით გადააბზრიალა. — კიდევ მაკლია ცოტა მორჩენა, კიდევ წამიყვანე ცოტა ხანსაო! მონადირემ ისევ წაიყვანა. ცოლი ძალიან გაუწყრა, ჩვენთვის არაფერი გვაქვს, ეგ რაღა მოათრიეო. არწივი ორი კვირა კიდევ იყო; მონადირე წამლებს ადებდა, უხვევდა მხარსა. ორი კვირის უკან სრულებით გაჯანსაღდა და მონადირეს უთხრა: ახლა წავიდეთ მეხებთანაო. წავიდნენ. დაუქროლა არწივმა და მესამე მუხა სრულებით დაჰკარგა: ვეღარ გაიგეს, სად გადავარდა. მაშინ არწივმა უთხრა: — ახლა კარგადა ვარ. უნდა შემაჯდე მხრებზე, ერთი დაკლული ხარი წამოიღო თან. ჩემს დედამამასთან წაგიყვან და დაგასაჩუქრებენო. ამას კი გეტყვი, რაც უნდა გაძლიონ არ გამოართვა, მარტო სთხოვე: — თქვენ რომ ჟანგიანი ყუთი გაქვთ, ეგ მომეცი-თქო.

წავიდა მონადირე, დაამზადა ერთი ხარი, დაუდო არწივს მხრებზე და თვითონაც ზედ შეაჯდა. არწივი აფრინდა და წავიდა სულ მაღლა და მაღლა. რამდენიც შემოტრიალდებოდა, მონადირე იმდენ ნაჭერ ხორცს ჩაუდებდა პირში. ის იყო, მივიდნენ, რომ ხორციც გაუთავდა. გამოიჭრა კანჭი მონადირემ და შეაჭამა.

— ოჰ, ეს რა გემრიელი რამე შემაჭამეო! — უთხრა არწივმა, გადმოსვა დაბლა. ბინაზე რომ მივიდნენ, მონადირემ კოჭლობა დაიწყო. — რათა ჰკოჭლობო? — ჰკითხა არწივმა. — წეღან შენ რომ თქვი, ეს რა გემრიელი რამ შემაჭამე, ის ჩემი ხორცი იყო; ხარის ხორცი გამითავდა და კანჭიდან გამოვიჭერო! მოუსვა ფრთა არწივმა და გაუმრთელა. მიიყვანა დედასთან მონადირე. დედას უთხრა: — დედავ. მხარმოტეხილი ვიყავ, ამ კაცმა სიკვდილს გადამარჩინა და რაც ისურვოს, ყველაფერი მიეცითო.

გადმოუღო და გადმოუღო არწივის დედამ მონადირეს ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, ჩასაცმელი და დასახური, მაგრამ არაფერს ხელი არ მოჰკიდა. — რაღა გინდაო? — ჰკითხა არწივის დედამ. — თქვენ რომ ჟანგიანი ყუთი გაქვთ, ის მომეცითო! კიდევ ძვირფასი და ძვირფასი გადმოუღო დედამ. მონადირე ადგა და წასვლა დააპირა. — მოდი, მოდი, წაიღეო! — დაუძახა არწივის დედამ. გადმოუღო კიდევ ძვირფასი და ძვირფასი რამე. ყუთი კი არ მისცა. მონადირე წამოვიდა. — მოდი, მოდი, წაიღეო! — მობრუნდა

მონადირე. კიდევ ძვირფასი და ძვირფასი რამეები გადმოუღო. ყუთს მაინც არ აძლევს. მონადირემ მაინც სხვას არაფერს მოჰკიდა ხელი. მესამედ დაუძახა არწივის დედამ და მისცა ყუთი. უთხრა: — სანამ შინ არ მიხვიდე. არამც და არამც არ გახსნა, თორემ ძალიან ინანებო. შეისვა არწივმა მხრებზე მონადირე და ისევ ძირს ჩამოიყვანა.

მოდის მონადირე, მოაქვს ყუთი, იფიქრა — იქნებ იმათ მომატყუილეს და ცარიელი ყუთი მომცესო. ვნახავ რა არის შიგაო. იქნება ისეთი რამე ძევს, მომკლასო. გახსნა. ამოვიდა და ამოვიდა დუქან-ბაზარი და სასახლეები. გაიქმა უზარმაზარი ქალაქი, გაჩაღდა ვაჭრობა. გარბიან და გამორბიან ვაჭრები. ერთი ხმაურობა და ამბებია. მონადირე კი დგას და შესცქერის. უნდა დაკეტოს, მაგრამ ვერა კეტავს. იცემს გულში ხელს, იბდღვნის თმას. ამ დროს ჩამოივლის ერთი დევი. — რასა სტირი, კაცო? — რას არა ვტირი, ეს ყუთი გავხსენ, ეს ქალაქი იქიდან ამოვიდა და ვეღარ დავხურეო. — რას მომცემ, რომ დავხეროო. ხომ მომცემ იმას, რაც შენ არ იცი? — მოგცემო, — უთხრა მონადირემ. იმისი ცოლი ორსული იყო და, სანამ მონადირე მივიდოდა, იმას ოქროს ჭოჩრიანი ვაჟი ეყოლა და მონადირემ კი არა იცოდა რა. დაუხურა დევმა ყუთი, ეს ქალაქიც აიკრიფა და ისევ ისეთი ადგილი დარჩა, როგორც წინათ იყო. ამა და ამ დროს მოვიკითხავ მე ჩემსას და გამომიგზავნეო, — უთხრა დევმა. კაცი წავიდა სახლში, გახსნა ყუთი და ამოვიდა და ამოვიდა ისევ დუქან-ბაზარი და სახლები. გაიმართა ქალაქი. ეს კაცი ქალაქის პატრონია, მაგრამ შვილი ადარდებს: დევს უნდა გაუგზავნოს, ჯავრი არა სცილდება. როცა მოიზრდება ეს ვაჟი, ადგება და წავა დევთან. ივლის, ივლის და გზაზე ერთი დედაკაცი შეხვდება.—სად მიდიხარ, შვილო—ჰკითხავს.—დევთან მივდივარ, უნდა შემჭამოსო. — შვილო, — უთხრა დედაკაცმა, — რომ მიხვალ, წყალს ნახავ, იმ წყალზე დევის ქალები ჩამოდიან საბანაოდ. შენც იქვე დაიმალე. ზევით რომელიცა დგას—უფროსია; იმის ქვეეით რომ დგას—შუათანაა და ბოლოს რომ არის.—ის უმცროსი, იმას დაუმალე ტანისამოსი. გამოვა, მისი დები წავლენ და ის ტიტველი რაღას იზამს? რაკი ტანისამოსს არ მისცემ, შენი ცოლი გახდებაო. მერე ის გიხსნის გაჭირვებიდანაო. ბიჭმა ისე ქნა, როგორც დაარიგა იმ დედაკაცმა.

მივიდა წყლის პირს, ჩასაფრდა. როცა ქალები მოვიდნენ, დაიწყეს ბანაობა, ის მივიდა და აიღო უმცროსი ქალის ტანისამოსი. ქალები ბანაობას მორჩნენ. გამოვიდნენ. უფროსებმა ჩაიცვეს, უმცროსმა ვერ იპოვა ტანისამოსი და დაიძახა:

— ვინა ხარ, გამოჩნდი, შენ ძმა და მე დაო! — ბიჭი არ გამოვიდა. ქალმა კიდევ დაიძახა: — გამოჩნდი, ვინა ხარ, შენ ძმა და მე დაო! — ბიჭი არ გამოვიდა. ბოლოს ქალმა დაიძახა: — გამოჩნდი, ვინა ხარ, ჯანი წაგივიდეს, შენ ქმარი და მე ცოლიო! მაშინ გამოვიდა ვაჟი და მისცა ტანისამოსი. ქალმა შეხედა, ეს ოქროს ქოჩრიანი ვაჟი ძალიან მოეწონა. უთხრა: — რათ მოსულხარ აქაო? — მამაშენის ლუკმა ვარო, — უთხრა ვაჟმა, — უნდა შემჭამოსო. — ნუ გეშინია, — უთხრა ქალმა, — როცა გაგიჭირდეს, მე შემატყობინეო. მივიდა ვაჟი დევთან. დევმა უთხრა: — ერთ რამეს გეტყვი, და, თუ ვერ აასრულე, იცოდე, შეგჭამო; ჩემი ეზო და კარები სულ ოქროქსოვილით უნდა დაჰფინოო! წამოვიდა ვაჟი ცოლთან დალონებული: მამაშენმა ასე მიბრძანაო. — წადი, შენ დაიძინე, და მე ვიცი, — უთხრა ქალმა. იმ ღამეს დაიბარა თავისი კაცები და სულ ძვირფასი ოქრო-ქსოვილებით დააფენინა ეზო-კარი. დილით უთხრა ქმარს: — მიდი, დაჯექი და დაუწყე სწორება, ვითომ შენ დაჰფინეო.

გამოვიდა დევი. ზის ვაჟი და ასწორებს ოქრო-ქსოვილებს. რაღა იქნებოდა! მეორედ უბრძანა: — ხვალისათვის ისეთი სასახლეები უნდა დამიდგა, რომ ხელმწიფეს ეკადრებოდესო! წავიდა ვაჟი ცოლთან. ცოლმა უთხრა: შენ წადი, არხეინად დაიძინე, მე თვითონ ვიცი. წავიდა ვაჟი, დაიძინა. ქალმა დაიბარა თავისი კაცები და უბრძანა:

— აბა, როგორ მარდად მოიქცევით, თქვენი იმედი მაქვსო. დილისთვის ისეთი სასახლეები დადგით კაცს თვალსა სტაცებდეს. უთხრა ქმარს ქალმა:

— ადი, ზედ აიტანე ჩაქუჩი, ვითომ რამეები დაგკლებია, აკაკუნეო. ავიდა ვაჟი სასახლეზე, უჭირავს ჩაქუჩი და აკაკუნებს. გამოვიდა დევი. ნახა მშვენიერი სასახლეები დაუდგამს; იკბინა ტუჩზე, მაგრამ რაღა იქნებოდა! მერე უთხრა: — ერთი ცხენი მყავს გასახედნი და ის უნდა გამიხედნოო. — კარგიო! — უთხრა ვაჟმა. წავიდა ცოლთან. ცოლს უთხრა: — მამაშენს გასახედნი კვიცი ჰყოლია, ის უნდა გამახედნინოო. — აქამდე არაფერი, საქმე ახლა არისო,— უთხრა ცოლმა; თვითონ მამაჩემი იქცევა კვიცად და იმას უნდა უმხედროო. მე ერთ ლაგამს მოგცემ, ის ლაგამი ამოსდე იმას პირში, თან ერთი რკინის კვერი წაიღე, აღმა აფრინდეს თავში სცემე, დაღმა წავიდეს — ცხვირშიო. ნუ შეიბრალებ, რაც ძალა და ღონე გქონდეს, მაგრა დაჰკარ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებსო.

მეორე დღეს წაიღო ვაჟმა ლაგამი და ჩაქუჩი. შეჯდა ამ კვიცზე და გაფრინდა ცხენიც ცისკენ. რამდენიც ის ცხენი ზევით აიწევდა,

იმდენს დაუშენდა თავში კვერსა, და რამდენს ძირს დაეშვებოდა, იმდენს ცხვირში სცემდა. ისე მოღალა, რომ ძალა გამოელია და დადგა ცხენი. მოიყვანა დევის კარებზე, შეიყვანა თავლაში, წამოჰ-ყარა ლაგამი და გამოვიდა. იქცა ცხენიც ისევ დევად და გამოვიდა ისიც. დევი კარებზე დგას. — რა ჰქენ, გაეხედნე ჩემი ცხენი, თუ არაო? — ჰკითხა წყრომით ვაჟსა. ვაჟი ხედავს, რომ დევს ყბები სულ ჩამოღადრული აქვს ცემისაგან. — რა გჭირს სახეზედაო? — ჰკითხა ვაჟმა. — ეს შენი ნაცემი არისო, — უთხრა დევმა, — შენ რომ იჯექი, ის ცხენი კი არ იყო, მე ვიყავიო. ხვალ კი აღარაფერი აღარ გიხსნის, უნდა შეგეამოო! შეწუხებული ბიჭი მივიდა ცოლ-თან. — რა ჰქენ, უმხედრე ცხენსა თუ ვერაო? — ჰკითხა ცოლმა. — მამაშენმა მითხრა, ხვალ უნდა შეგეამოო. ვეღარაფერი ვერ გიშ-ველისო. იმ ღამესვე ადგნენ ეს ქალი და ვაჟი და გასწიეს. იარეს, იარეს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. რომ გათენდა, გაიგო დევმაც მათი გაპარვა და გამოეკიდა ისიც.

მიდიან ქალი და ვაჟი. ქალი ეტყვის ვაჟსა: — აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო! მიიხედავს ვაჟი: — ბუზის ტოლად შორს რაღაცა მოჩანსო! იქცა ქალი შემოსულ ყანად. ვაჟი მომკალად. დგას, მკის და გადასდის ხვითჭი. მოვა დევი. — ამაზე ქალსა და ვაჟს ხომ არ ჩამოუვლიაო, — შეეკითხა მომკელსა. — მთელი დღე ვმკი, სიცხით ვიწვი, რა ამვლელისა თუ ჩამომვლელისათვისა მცხე-ლაო? — ეტყვის დევსა, — არავინ მინახავსო. გაბრუნდება დევი უკან და გასწევს თავის სახლში. — ვერავინ ვნახე იმათი მნახველიო. — სრულებით არავინ იყოო? — ჰკითხა ცოლმა.

— როგორ არა, ერთ ალაგას ყანა იყო და მომკალი მკიდაო. მი-ველ ვკითხე და არავინ მინახავსო. — აბა, შენი ქალი და სიძე ისინი ყოფილანო, — უთხრა ცოლმა.

როცა დევი შინ გამობრუნდა, იქცა ყანა ისევ ქალად, მომკალი ვაჟად და გაუდგნენ გზასა. იარეს, იარეს, დიდი გზა გაიარეს. დევიც დაბრუნებულა ისევ სახლიდან და გამოჰკიდებია. ქალი ეტყვის ვაჟსა: — აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოჩანსო? — ბუზის ტოლად რა-ღაცა ჩანსო, — ეტყვის ვაჟი. — ის მამაჩემიაო! იქცა ქალი და-ბურულ ტყედ, იმის ქალწულ გულში მზის სხივი არ ჩავარდება; ვა-ჟი — მოხუცებულ კაცად, დადის ტყის პირებში და ჩინჩხვრებს ჰკრეფს. მოვა დევი.—აქეთკენ ქალსა და ვაჟს ხომ არავის ჩამოუვ-ლიაო? — ჰკითხავს დევი ბერიკაცსა. — ამ ტყის მადლმა, რაც ეს ტყე გაჩენილა, აქა ვარ და მე აქ სხვა არავინ მინახავს შენს მეტიო. მოხუცებული ვარ, მე რა მგზავრების დარდი მაქვსო. — გაბრუნდა

დევი და წავიდა სახლში. იქცა ტყე ისევ ქალად, მოხუცებული ვაჟად და გაუდგნენ გზასა. მოვიდა დევი სახლში. — რა ჰქენ, ვერსად დაეწიე, ვერ დაიჭირეო? — ჰკითხა ცოლმა. — ვერაო, — უთხრა დევმა. მათი მნახველი ძე-ხორციელი ვერა ვნახეო! გზაზე ერთი უღრანი ტყე იყო, ერთი ბერიკაცი ჩინჩხვრებსა ჰკრეფდა, სხვა არავინ მინახავსო. — შე გამოყრუებულო, ის ტყე შენი ქალი იყო და ის მოხუცებული — შენი სიძეო, — უთხრა ცოლმა. ახლა კი მეც წამოვალ და ვნახოთ, სად წამივლენო! შესხდნენ რაშებზე ორივე ცოლ-ქმარი და გამოეკიდნენ ქალსა და ვაჟსა. მიდიან ქალი და ვაჟი, მისდევენ დევი და მისი ცოლიც. ქალი ეტყვის ვაჟსა: — აბა, მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო? — მიიხედა ვაჟმა. — ბუზის ტოლად რაღაცა მოჩანსო, — ეტყვის ვაჟი. მიიხედა ქალმა, მიიხედა და ორად მოჩანდა. — ახლა დედაჩემიც მოგვდევს, ახლა კი ვეღარ გაღვურჩებითო! იქცა ქალი უძირო ტბად და ვაჟი იხვად. ლაბლაბებს ტბა და დაცურავს იხვიც არხეინად. მივიდნენ დევი და იმისი ცოლიც. დაეწაფა დევის ცოლი ტბას, დაუწყო სმა, უნდა ამოეცალა სულა. დაუწყო სმა დევმაც. სვეს, სვეს და ორივენი დასქდნენ. იქცა ტბა ისევ ქალად, იხვი ვაჟად. გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაჰკოცნეს. შესხდნენ დევისა და იმის ცოლის რაშებზე და გასწიეს ვაჟის მამასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ხასან-ხუსანა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. გავიდა დრო, მოხუცდა ხელმწიფე, დაიბარა შვილები და უთხრა: — ვიცი, მე უნდა მოვკვდე, ანდერძად ამას გიტოვებთ: ამა და ამ ქვეყანაში დევებს გატაცებული ჰყავთ სამი ქალიშვილი და თუ შეგიძლიათ, ისინი მოიყვანეთო და სათითაოდ დაირიგეთო! კიდევ უთხრა მეორედ: — შვილებო, მე მყავს ბევრი მტერი, სანამ ცოცხალი ვიყავი, ვერაფერს მაკლებდნენ და მე რომ მოვკვდები, არ მოუშვათ ჩემს ახლოსო.

ხელმწიფე მოკვდა. დაკრძალეს შვილებმა და დაუწყეს დარაჯო-

ბა. წავიდა პირველ ღამეს დიდი ძმა-მამის საფლავზე. როდესაც გათენება ახლოვდებოდა, ბიჭს თვალებში რაღაც მოებლანდა. შეეშინდა და გამოიქცა სახლისკენ. მოვიდა და შევიდა ბოსელში. იმ ღამეს იქ გაათია. გათენდა თუ არა, შევიდა ბიჭი სახლში. ძმები დაეკითხნენ: — ხომ არავინ მოსულაო! — ძმამ უთხრა: — არავინ არ იყოო. მაგრამ იმ ღამეს მოვიდა ვიღაცა და მთელი საფლავი დათხარა.

მეორე ღამეს მოვიდა შუათანას ჯერი. ისიც ისე გამოიქცა, როგორც პირველი ძმა.

ბოლოს ადგა და წავიდა სულ პატარა ძმა. აისხა იარაღი და დაიწყო დარაჯობა. როდესაც ძილი მოერია, არ დამეძინოსო, ადგა, თითი გაიჭრა და სიმწრით არ დაეძინა. უცბად ჰაერში გაისმა რაღაც შრიალი. ბიჭი მიიმალა საფლავების ქვების უკან და დაიწყო ცდა. ამ დროს ჩამოეშვა წითელ რაშზე მჯდომი ხელმწიფე, დაახტა საფლავს და უთხრა: — სიცოცხლეში ვერაფერი ვერ დაგაკელი, ახლა ხომ მოკვდი, უნდა ამოგიღო და სულ ლუკმა-ლუკმა დაგჭრაო. გაიგო ბიჭმა ეს თუ არა, ესროლა ისარი და ჩამოაგდო ძირს. მიიყვანა ცხენი და დაბა ძეგლის გვერდით. მოიცადა კიდევ ცოტა ხანი ბიჭმა და უცბათ კიდევ გაისმა შრიალი. ადგა და მიიმალა. ჩამოეშვა ხელმწიფე ძირს, რომელიც იჯდა თეთრ რაშზე, და უთხრა: — სიცოცხლეში ვერაფერი ვერ დაგაკელი, მაგრამ ახლა ხომ მოკვდი, უნდა ამოგიღო და რაშის ფეხებით უნდა გადაგქელოო. გაიგო ბიჭმა თუ არა ეს სიტყვები, ესროლა ისარი და ჩამოაგდო ძირს. მიიყვანა რაში და რაშის გვერდზე დაბა, მიიმალა კიდევ თავის ალაგას. ამ დროს მოისმა კიდევ ჰაერში შრიალი, მოდის ხელმწიფე, რომელიც ზის შავ რაშზე. დაახტა რაში საფლავს და დაუწყო თხრა. ბიჭმა აღარ დაიცადა სიტყვების თქმა, ესროლა ისარი და ჩამოაგდო ძირს.

ეცადა ბიჭმა კიდევ დიდ ხანს. რომ არავინ მოვიდა, გათენებისას ადგა და წამოვიდა. წამოიყვანა სამივე რაში. წამოსვლის დროს მამამისმა საფლავიდან ამოსძახა: შვილო, შენ ღმერთმა ისეთი ძალა მოგცეს, რომ დედამიწას უჭირდეს შენი ტარება, შენ ძმებს ძალა ისე დააკლოს ღმერთმა, წინ რომ პური ედოთ, ვერა შეჭამონო! მართლაც, მოემატა ბიჭს ღონე და დევგმირულად მოდის გზაზე. მოიყვანა რაშები და დაბა ბოსელში. მივიდა კარებთან, გააღო და შევიდა. ნახა რომ ძმებს სძინავთ. ადგა და დაუყვირა: — ადექით, თქვენ ზარმაცებოო. მაგრამ ძმები ადგილიდან ვერ ინძრეოდნენ. მაშინ მივიდა პატარა ძმა, მოჰკიდა ხელი ძმებს და დასვა სკამზე. შეეკითხა: მამის ანდერძი არ უნდა ავასრულოთო? ძმებმა უთხრეს: ადგომა აღარ შეგვიძლია და იქ როგორ წამოვალთო.

მაშინ ადგა პატარა ძმა და შეუდგა მამის ანდერძის შესრულებას. შეჯდა წითელ რაშზე და გაუდგა გზას. ბევრი სიარულის შემდეგ შეხვდა ვერცხლის ტბა. გადააფრინა რაში, მაგრამ რაშმა მეტი წასვლა ვეღარ შეძლო და დაეშვა ძირს. მაშინ მობრუნდა ბიჭი და გადმოიყვანა ისევ პირველ ნაპირზე, მოიყვანა უკან სახლში და შეჯდა შავ რაშზე. შემოჰკრა ბიჭმა შავ რაშს მათრახი თუ არა, რაშმა ნიავივით გააქროლა მეორე ნაპირზე. ბევრი იარა ბიჭმა, ბოლოს დაინახა კვერცხივით მრგვალი კოშკი. შემოუარა გარშემო, კარები ვერ ნახა. მაშინ ადგა და ერთ ალაგას გაჰკრა და შეანგრია კოშკის კედელი. თურმე ეს კოშკი ყოფილიყო დევებისა. სწორედ ის სამი ქალიშვილი აქ ყოფილიყვნენ. შეიარა ბიჭმა. შემოხვდა დევი, რომელიც გაგულისებული მოდიოდა. დაეტაკა ბიჭს, მაგრამ ვერაფერი უყო. მოუქნია ბიჭმა ხმალი და ქათამივით წააგდებინა თავი.

განაგრძო გზა. მივიდა ერთ ალაგას. გაიხედა და დაინახა ათსართულიანი სახლი. ყველა სართულში იდგნენ მცველები. დაიწყო ბიჭმა პირველ სართულზე ასვლა. ამ დროს შემოხვდა ადამიანის მსგავსი კაცი, სახელად ხასანა. აიარა მეორე სართული და შემოხვდა მეორე ადამიანის მსგავსი კაცი — ხუსანა. ბიჭს გაუკვირდა აქ ადამიანის მსგავსი ხალხი რომ ნახა. თურმე ეს ვაჟები იმ ქალების შვილებია, ორი დისა. მესამეს კი არ ჰყავდა. ავიდნენ ზევით. მიიყვანეს ბიჭებმა თავიანთ დედებთან. გაიგო ბიჭმა მათი ვინაობა და დაიწყო გამოძიება. თურმე ეს ქალები გამოტაცებული ყოფილან ამ ბიჭის სახელმწიფოდან. ბიჭმა უთხრა: — მე მოვსულვარ თქვენდა წასაყვანადო! მაშინ ქალებმა უთხრეს: ახლა ჩვენი ქმრები მოვლენ და მოგკლავენ. გირჩევთ აქედან წახვიდეო. არ დაუჯერა ბიჭმა და მოუცადა იქ.

ამ დროს გაგულისებული დევები მოდიოდნენ სანადიროდან. ვერაფერი ენადირათ და გაჯავრებულები იყვნენ. შემოვიდნენ სახლში თუ არა, დაინახეს უცხო კაცი. მოვიდა დევი, შეეშმა დაუპირა, მაგრამ ხასანამ, მისმა შვილმა, არ მიუშვა, დევი გაგულისდა და შეებრძოლა თავის შვილს. როდესაც ხედავდა ბიჭი, რომ იმას უნდა ეძლია, მოუქნია ხმალი, ფეხებიდან გადასჭრა და დავარდა დევი ძირს. ხასანა მოეხვია მეგობარს.

მოჰკლა მეორე დევიც და წამოიყვანა ორივე და. თურმე მესამე და ჰყოლია ერთ გიჟ ქოსას, რომელიც თმებით არის ჩამოკიდებული. ქალებმა უთხრეს ბიჭს: როდესაც მიხვალ ჩვენი დის წამოსაყვანად, არამც და არამც არ შესცდე და ქოსა არ ჩამოხსნა, თორემ ის ღო-

ნიერია, შემოგკრავს და დაგარეტიანებსო. მაგრამ ბიჭმა ეს არ დაუჯერა. შევიდა სახლში, ნახა, რომ ქოსა მართლა თმებით იყო ჩამოკიდებული. ქოსამ რომ დაინახა ადამიანი, მიმართა: — ადამიანის შვილო, ჩამომხსენიო. ქალმა უთხრა: — ეს რომ ჩამოხსნა, ვერც მე წამიყვან და შენც ცოცხალი ვერ გადარჩებიო!

ბიჭმა არ დაუჯერა და ჩამოხსნა ქოსა. მოუბრუნდა ქოსა მაშინვე, შემოჰკრა მუშტი და კვახივით დაახეთქა ბიჭი ძირს. მოიტაცა თავისი ცოლი და გაიქცა. ბიჭი ძირს დაეცა გულწასული. მოვიდნენ ხასან-ხუსანა და ძლივს ააყენეს. ბიჭმა უთხრა: — სად წავიდა, მაჩვენეთო. ხასანამ უთხრა: — აი, ის ხე, მინდორში რომ ჩანს, იქ მიდი. იმ ხესთან ყოველ საღამოობით ამოდის ერთი კვიცი და სძოვს; ადი შენ ხეზე, როდესაც კვიცი ახლოს მოვა, დააფრინდი ზედ, მიეკარ მუცელზეო, და ეგ კვიცი იმ ქოსასთან ჩაგიყვანსო. ასეც მოიქცა ბიჭი. მივიდა ხესთან, ავიდა ზედ და დაიცადა.

საღამოს პირას გამოვიდა კვიცი და დაიწყო ძოვა. მოისამთა* ბიჭმა ადგილი და გადაეშვა კვიცზე, მიეკრა მუცელზე. კვიცი მაშინვე გაქრა თავის ბინისკენ და ჩაიყვანა მიწის ქვეშ. როდესაც მივიდა ადგილზე, გაჩერდა. გადმოვიდა ბიჭი. გააღო კარი და შევიდა ოთახში. ნახა, ქოსას სძინავს. ქოსამ თურმე ერთი თვე ძილი იცის, ერთი თვე სიფხიზლე. გააღო მეორე ოთახი და ნახა ქალი, რომელიც ძალიან ტირის. ქალმა დაინახა ბიჭი თუ არა, გახარებული წამოხტა და მოეხვია. ამ ქალმა ბიჭს უთხრა: — ჩქარა, ახლავე წავიდეთო! — წამოიყვანა ბიჭმა, მოიყვანა მის დებთან და გაგზავნა თავის სახელმწიფოში. თვითონ კი უკან დაბრუნდა. ჩავიდა ქოსასთან და ნახა, ქოსა ახლად იღვიძებს. შემოაჯდა კვიცს და გამოქუსლა. გამოიღვიძა ქოსამ. ნახა, რომ ცოლი იქ აღარ არის, გამოეკიდა ბიჭს... ბევრი სდია, მაგრამ ვერ დაეწია. ბიჭმა გააჩერა კვიცი, გადმოხტა მიწაზე და გმირულად დაუხვდა ქოსას. გაუქანა ხმალი და კისერი მოაგდებინა. მოჰკლა ქოსა და წამოიყვანა მისი ცხენი. მოიყვანა თავის სამშობლოში და დაიწყო იქ ცხოვრება. დიდი და მისცა დიდ ძმას, შუათანა შუათანას და პატარა თვითონ შეირთო. დაჯდა ხელმწიფედ და დაიწყეს მხიარული ცხოვრება.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

---

* მოისამთა — მოიხერხა.

ცხრა ძმა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ცხრა ძმა. მათი დედა მეათეზე ორსულად იყო. ძმებმა ერთხელ სანადიროდ წასვლა დააპირეს და დედას უთხრეს: — ჩვენ წავალთ, თუ ვაჟი გაგიჩნდეს, უღელი გამოდგი ბანზე და თუ ქალი — ჯარაო. თუ ვაჟი გაგიჩნდა, ჩვენ წავალთ და დავიკარგებითო, — წავიდნენ სანადიროდ.

გაუჩნდა იმათ დედას ქალი და ღადგა ჯარა ბანზე; ერთმა წყეულმა ბებერმა უმტრო: აიღო ჯარა, და უღელი გამოდგა. მოდიან ძმები სახლში, დაინახეს გამოდგმული უღელი და თქვეს: დედაჩვენს მეათე ვაჟი გასჩენიაო; ეწყინებათ საშინლად, წავლენ და გადაიკარგებიან ცხრა მთას იქით. მათი და კი იზრდება და შვენდება. სხვა რომ წლით იზრდება, ის დღით იზრდება. ისეთი გაიზარდა, თითქოს დევიაო.

ერთხელ ქალი ბავშვებთან თამაშობდა და თამაშობაში ერთი გოგონა აატირა. გოგოს დედამ დასწყევლა ქალი და დააყვედრა: — შე გასაწყვეტო, თუ ეგეთი ღონიერი ხარ, ცხრა მთას იქით რომ ცხრა ძმა გადაგეკარგა, მათ რატომ არ იპოვი და უშველიო. ქალს ჩაეჭრა გულში დედაკაცის სიტყვები, მივიდა დედასთან და უთხრა: — დედავ, ქინმა მომიარა და ძუძუ მომაწოვეო! — რაღა დროს შენი ძუძუა, შვილო, ახლა გასათხოვარი ხარო!

ქალმა უთხრა კიდევ: — დედავ, თუ გიყვარდე, მაინც მომაწოვეო! — დედამ აუსრულა თხოვნა. ქალმა ძუძუ რომ ჩაიგდო პირში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუჭირა კბილი და უთხრა დედას: — მითხარი, თუ მართლა ცხრა ძმა მყავსო! — არა, შვილო,— უპასუხა დედამ, — მე იმის ღირსს ვინ გამხდის, რომ ცხრა შვილი მყავდესო! — სწორად მითხარ, თორემ ძუძუს მოგაგლეჯავო! — უთხრა ქალმა. დედა რომ შეწუხდა ტკივილისაგან, მერე უთხრა: — მართალია, შვილო, ცხრა შვილი მყავდა; შენზე ორსულად რომ ვიყავ, ისინი სანადიროდ წავიდნენ; ვაჟი გამიჩნდებოდა, უღელი უნდა დამედგა, ქალი — ჯარაო. მე ჯარა გავდგი, მაგრამ ერთმა სულის მტერმა ბებერმა მიღალატა, ის ჯარა აიღო და უღელი გადგაო. ახლა შენი ძმები ცხრა მთას იქით არიან გადაკარგულებიო.—მაშ, მე ცოცხალი ნუ ვიქნებიო, — სთქვა ქალმა, — თუ არ წავიდე და არ მოვძებნო ჩემი ძმებიო! — ჩაიცვა ქალმა კაცური ტანისამოსი, დაიჭირა რკინის ჯოხი და გაუდგა გზას.

ბევრი იარა ქალმა, თუ ცოტა იარა, მივიდა იმ მთაში, ცხრა მთას იქით, სადაც მისი ძმები იყვნენ, ცეცხლის შუეს მიჰყვა და მივიდა ძმებთან. ჯერ მიესალმა და მერე ჰკითხა: დამაყენებთ თუ არაო? — რატომაც არაო, — უპასუხეს დიდი სიხარულით. ქალმა უამბო ყველაფერი. ძმები გადაეხვივნენ და დაუწყეს კოცნა: შენა ხარ ჩვენი და, ახლა ერთად ვიცხოვროთო. იმ ღამეს სიხარულით ივახშმეს და დაიძინეს. მეორე დღეს ძმები სანადიროდ დაემზადნენ და დას უთხრეს: არამც და არამც ცეცხლი არ გააქრო, თორემ ძალიან ძნელი საშოვარიაო. წავიდნენ ძმები სანადიროდ. ქალს ცეცხლი გაუქრა. ბევრი იტირა, იტირა, მერე ავიდა ბანზე და გაიხედა, იქნება ცეცხლი სადმე დავინახოო. გაიხედ-გამოიხედა ქალმა, შორს, ერთ დაბურულ ტყეში დაინახა ცეცხლი; ადგა, გაჰყვა სინათლეს, იარა, იარა, და მივიდა ცეცხლთან; ცეცხლი დევების სახლში ენთო, თვით დევები კი სახლში არ იყვნენ, სანადიროდ წასულიყვნენ. მათი დედა იჯდა მარტო კერიას პირას.

ქალი მივიდა და სარკმლიდან ჩასძახა დევების დედას: — დედავ, დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდეო! — დედაშვილობა არ გეთქვა, მე ვიცოდი, როგორ დღესაც დაგაყენებდიო, — უპასუხა დევების დედამ, — ჩამოდი და წაიღეო. დაუყარა ცხრილზე ნაცარი, ზედ ცეცხლი დაუდო და გაისტუმრა. მოდის ქალი, მოაქვს ცეცხლი და თან გზაგზა ნაცარი ებნევა, თეთრი ნაცრიანი კვალი მისდევს. მიიტანა ქალმა და დაანთო ცეცხლი. მოვიდა დევი სახლში, დედას უთხრა: — დედავ, ადამიანის სუნი მომდისო. — არა, შვილო, აქ ადამიანს რა უნდოდაო, — უთხრა დედამ. — მითხარ, დედავ, არაფერს დავუშავებო! დაუჟინა დევმა. — ერთი ქალი იყო, ცეცხლი წაიღო, წადი, კვალს გაჰყევ და ის კვალი პირდაპირ იმ ქალთან მიგიყვანსო, — უთხრა დედამ. მივიდა დევი სახლთან და ქალს დაუძახა: — ქალო, კარი გამიღეო!

ქალმა იქიდან უპასუხა: — წადი, აქედან დაიკარგე, თორემ ჩემი ძმები მოვლენ და სულ აგკუწავენო. დევმა უთხრა: — თუ კარს არ გამიღებ, ხელი მაინც გამოყავიო! ქალმა ნეკა-თითი გაუყო. დევმა წოვა დაუწყო. დევი მუდამ დღე მიდიოდა ქალთან, ქალი ძალიან დასუსტდა. ძმებმა შეატყვეს დას, რომ ხდება, თანდათან ბეჩავდება, ჰკითხეს:

— დაო, რატომ არ გვეტყვი, რა დაგემართა, რა არის შენს თავსაო? დამ უთხრა: — თქვენ რომ სანადიროდ წახვედით, მე ცეცხლი გამიქრა, ავდექ, ბევრი ვიარე, ერთ ულრან ტყეში ცეცხლი დავინახე, დევის სახლი ყოფილიყო, მივედი და ჩავძახე ბანიდან, ცეცხ-

ლი მომეცით-მეთქი. დევის დედამ ცხრილში ჩამიყარა ნაცარი, ცეცხლიც ისე ჩამიდო და წამოვიღე. კვალს დევი მოჰყვა და დამიძახა, კარი გამიღეო. მე კარი არ გავუღე. მაშინ მან დამიძახა, ხელი მაინც გამოყავიო. მე ნეკა თითი გავუყავი, იმან კიდევ წოვა დამიწყო სისხლისა. მას შემდეგ ისე მწოვსო.

ძმები ძალიან შეწუხდნენ და სთქვეს: ზოგი სანადიროდ წავიდეთ და ზოგნიც აქ დავიმალოთ, როდესაც დევი მოვა, მოვკლათო. მართლაც, ზოგნი სანადირო წავიდნენ, ზოგნიც კარებს უკან დაიმალნენ. მოვიდა დევი და დაუძახა ქალს: — ქალო, კარი გააღეო! ქალმა გაუღო კარი, შევიდა დევი, მაგრამ კარებში გაიჭედა. ამოუხტნენ ძმები, აკუწეს და ჩაჰყარეს კარებს უკან ორმოში. თვითონ სანადიროდ წავიდნენ. დას უთხრეს: ახლა მაინც გაუფრთხილდი, ცეცხლი არ გააქროო. ქალს ცეცხლი ისევ გაუქრა. ადგა მტირალი, ავიდა ბანზე და გაიხედ-გამოიხედა. შორს, დაბურულ ტყეში დაინახა ცეცხლი, ისევ იმ დევის სახლში ენთო ცეცხლი. წავიდა ისევ იმასთან ქალი. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა და დევის დედას ჩასძახა ბანიდან: — დედავ, დედაშვილობას, ცოტა ცეცხლი მომაწოდეო! ბებერმა უთხრა: — დედაშვილობა არ გეთქვა, შავ დღეს დაგაყენებდიო; ჩამოდი, წაიღეო. მისცა ბებერმა ცეცხლი და თან ერთი მუჭა ქინძის თესლი გაატანა: — წაიღე, შვილო, და სახლში კარებს უკან რომ ორმო გაქვთ, იმაზე დათესეო. საღამოზე შენი ძმები ირემს მოიტანენ; ირემს რომ მოხარშავთ, შენ ქინძი მოკრიფე, ხორცს დაჭერი, გემოს მისცემს და ძმებს ის აჭამეო. წამოიღო ქალმა ცეცხლი, ისევ დაინთო, დათესა ის ქინძიც კარებს უკან. მოვიდნენ ძმები, მოიტანეს ირემი. ორმოზე მშვენიერი ქინძი ამოვიდა; ძმებმა დაჭრეს ირემი და მოხარშეს. ქალმა მოკრიფა ქინძი, დაუჭრა ძმებს ხორცზე და აჭამა. ხორცის ჭამაზე ცხრა ძმა ირმად გადაიქცა. ტირის ქალი მათი შემხედვარი. დილით მინდორზე წაასხამს, აძოვებს ბალახს, საღამოს მორეკავს და დააყენებს.

ერთხელ ქალს ირმები ბალახზედა ჰყავდა, თვითონაც იქ იჯდა. ამ დროს სანადიროდ ერთი ხელმწიფის შვილი გამოსულიყო. ნახა ირმები და დაუმიზნა მშვილდ-ისარი, უნდოდა მოეკლა, მაგრამ ქალმა შეასწრო თვალი და დაუძახა: — არ მომიკლა, ჩემი ძმები არიანო. ხელმწიფის შვილს ძალიან მოეწონა ქალი, მივიდა მასთან და უთხრა: — ამას იქით შენ ცოლი უნდა იყო ჩემი და მე ქმარიო! არა, — უპასუხა ქალმა, — შენ ძმა და მე დაო. ხელმწიფის შვილმა არ დაიჯერა: შენ ცოლი და მე ქმარიო. მაშინ ქალმა უთხრა: — თუ ღვთის ფიცს მომცემ, რომ ამ ირმებს არ დამიკლავ, ნებას მოგცემ,

თუ არადა არაო! შეჰფიცა დიდი ფიცით ხელმწიფის შვილმა, არც შენ გიღალატებ და ეგ ირმებიც ჩვენთან გვეყოლებაო. წაჰყვა ქალი ხელმწიფის შვილს, წავიდნენ და ჯვარი დაიწერეს. ჯვარწერის შემდეგ მოახლემ უთხრა ქალბატონს: — ქალბატონო, წყლისაკენ გავისეირნოთო. გაისეირნეს წყლისაკენ. მოახლემ უთხრა: — აბა, ქალბატონო, წყალში ჩავიხედოთ, რომელი უფრო ლამაზი ვართო? ჩაიხედეს წყალში; ქალბატონი ლამაზი იყო. მოახლემ უთხრა: — აბა, ქალბატონო, შენი ტანისამოსი მე მეცვას, თუ უფრო ლამაზი არ გამოვჩნდეო?! — გაიხადა ქალბატონმა ტანისამოსი, მოახლეს ჩააცვა თავისი და მოახლისა კიდევ თვითონ ჩაიცვა. ჩაიხედეს წყალში, კიდევ ქალბატონი გამოჩდა ლამაზი. შეშურდა მოახლეს ქალბატონის სილამაზე, ჰკრა ხელი და თვითონ სასახლეში წამოვიდა და ხელმწიფის შვილს უთხრა: — მოახლე წყალში ჩამივარდაო. ხელმწიფემ ვერ იცნო, რადგან დედოფლის ტანისამოსი ეცვა. — თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, — უთხრა მოახლეს, — იმისათვის რას დაღონებულხარო. მოიავადმყოფა თავი დედოფალმა და ხელმწიფის შვილს უთხრა: — თუ დამიკლავთ უფროს ირემს, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო.

დაღონდა ხელმწიფე: — როგორ უნდა დავკლა, აკი ფიცი მოგეცი და შენც ფიცი ჩამომართვი, არ დამიკლაო?

შეწუხდა დედოფალი. ხელმწიფის შვილმა უბრძანა მსახურებს: დაჰკალით ირმებიო. დაიწყეს ხანჯლის ლესვა. ჩარეკეს ირმები წყალზე. ჩაჰყვნენ წყლის პირს ირმები და ტირიან. მივიდა უფროსი ირემი წყალთან და დასძახა:

დაო, დაო, ვაშლა,
პირწითელა ვაშლა;
შენსა ძმასა ირემსა,
ულესავენ დანასა.

თურმე ქალი წყალში თევზად იყო ქცეული, ნახევარი ტანი თევზისა ჰქონდა და ნახევარი კაცისა. ქალ-სირინოზი წყალში დაიწყებდა მღერას, ირმები ნაპირას მიუვიდოდნენ და დაიწყებდნენ გართობას. ქალ-სირინოზმა ამოსძახა:

წადი უთხარ ხელმწიფესა,
ღვთისა ფიცსა რად გატეხსა?!

გაიგონა ეს ვეზირმა, წავიდა და ხელმწიფეს მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფევ, ირმები წყალზე ჩავრეკეთ, უფროსი ირემი

მივიდა და წყალს ჩასძახა: დაო, დაო, ვაშლა, პირწითელა ვაშლა, შენსა ძმასა ირემსა, ულესავენ დანასაო! ახლა წყლიდან ვიღაცამ ამოსძახა: — წადი უთხარ ხელმწიფესა, ღვთისა ფიცსა რად გატეხსაო? გაგზავნა მაშინვე ხელმწიფემ მებადურები და უთხრა: სადაც იქნება და სადაც არა, უნდა დაიჭიროთ ის ცხოველი და აქ მომიყვანოთო. წავიდნენ მებადურები, ესროლეს ბადე, გააბეს ქალ-სირინოზი და მოუყვანეს ხელმწიფეს. გააკეთებინა აუზი ხელმწიფემ და ჩასვა შიგ თევზი. უყვარს ძალიან ხელმწიფეს ეს თევზი. მუდამ მის ალერსშია. გახდება ისევ ავად დედოფალი.

— თუ მომიხარშავთ იმ თევზს და მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო, — იძახდა. შეწუხდა ისევ ხელმწიფე. ბოლოს მაინც უბრძანა, მოხარშეთო. გამოწელეს და მოხარშეს. დედოფალმა უბრძანა: ისე მოხარშეთ და მომიტანეთ, რომ ერთი ფხა არსად გადაგივარდეთო. ერთმა მოახლემ აიღო ერთი ფხა და გარეთ გადააგდო. თევზის ფხაზე ისეთი ალვის ხე ამოვიდა, რომ წვერი ცაში ჰქონდა მიბჯენილი. გააკეთებინა ტახტი ხელმწიფემ ალვის ხის ქვეშ, სიცხეში ჩავიდოდა და დაბრძანდებოდა მის ჩრდილში.

მოიავადმყოფა ისევ თავი დედოფალმა — თუ მაგის ფიცრის ტახტს შემიკრავთ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო. დაღონდა ხელმწიფე: როგორ უნდა გავიმეტო და ეს მშვენიერი ხე მოვჭრაო. რომ შეწუხდა დედოფალი, უბრძანა ხელმწიფემ, მოჭერითო. ისე მოჭერითო, უბრძანა დედოფალმა, რომ ერთი ნაფოტი არსად გადავარდესო.

მოჭრეს ალვისხე. ბედად ერთი ნაფოტი გაფრინდა და შორს, სადღაცა სოფლის ბოლოს დაეცა. ამ დროს ბებერი სალოცავიდან შოდიოდა, დაინახა ნაფოტი, მოეწონა, აიღო და წაიღო სახლში ქოხის საფარებლად. მეორე დღეს ბებერი ისევ ლოცვაზე წავიდა. იქცა ნაფოტი ქალად, დაუგავა სახლი, დაუწმინდა ჭურჭელი, იქცა ისევ ნაფოტად და დაეფარა ისევ ქოხს. მოვიდა ბებერი, ნახა დაგვილი სახლი, შეჭამანდი მოხარშული და მეზობლებს ლანძღვა დაუწყო:— თქვენ რა საქმე გაქვთ, რომ ჩემს სახლში შემოდიხართ, ან შეჭამანდსა დგამთ და ან სახლს მიგვითო? მეზობლები გაჯავრდნენ:—ვისა აქვს შენი ჯავრი, უთვალთვალე და ვინც შემოდის, დაიჭირეო. უთვალთვალა ბებერმა. ნაფოტმა სთქვა, ახლა კი წავიდოდა ბებერი ლოცვაზეო და იქცა ქალად, გადმოვიდა, აიღო ცოცხი და დაიწყო სახლის გვა. ამ დროს მისწვდა ბებერი და დაიჭირა ქალი... — შენ რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემ სახლში შემოსულხარო. ქალმა უთხრა: — ადამიანი ვარ და ადამიანის შვილიო, შემიბრალე და მიშვე-

ლეო. ბებერს ძალიან გაუხარდა: მაინც შვილი არა მყავს და ჩემი ქალიშვილი იქნებიო. დაიწყეს ქალმა და ბებერმა ერთად ტკბილად ცხოვრება.

ერთ წელიწადს უბალახობა იყო. ხელმწიფეს სულ ეხოცებოდა შიმშილისაგან ცხენის ჯოგი. ქალმა დედობილს უთხრა: — დედობილო, ხელმწიფეს ერთი ცხენი, რომელიც დავარდნილი ჰყავდეს, გამოართვი, მოიყვანე და გავასუქოთო. წავიდა ბებერი ხელმწიფესთან და უთხრა:—დიდებულო ხელმწიფევ, ერთი, რომელიც უვარგისი ცხენი გყავდეს, ის ცხენი მე მომეციო! მისცეს ერთი ცოცხალ-მკვდარი ცხენი. წამოიყვანა ბებერმა და მოჰგვარა თავის ნაშვილებს. დაიბანა ქალმა ხელები და ისეთი ბალახი მოვიდა, რომ შიგ გაცურდებოდა საქონელი. ისე გასუქდა ცხენი, ისე გათქვირდა, რომ ვეღარ იჭერენ. გაგიჟებული დარბის. ქალმა უთხრა დედობილს: — წადი, უთხარი ხელმწიფეს, თავისი ცხენი მიიბაროსო. მივიდა ბებერი ხელმწიფესთან და უთხრა: — დიდებულო ხელმწიფევ, ნაზირი გამოგზავნეთ და თქვენი ცხენი წამოიყვანეთო. ქალმა დაარიგა ცხენი: რომ მიხვიდე ხელმწიფის კარებზე, დაწექი და რამდენიც უნდა გცემონ, არ ადგეო, მინამ მე არ მოვიდე და არ გითხრა: ადექი, შე პატრონივით მუხანათოო.

მოვიდნენ ვეზირები ცხენის წასაყვანად. ისეთია ცხენი, სულ ვარსკვლავებს ეთამაშება. წაიყვანეს გახარებულებმა ცხენი და მიიყვანეს სასახლესთან. აქ კი ჩაწვა ცხენი და აღარა ქნა ძვრა. ბევრი სცემეს, ეწივნენ, მაგრამ არ ადგა. მაშინ ბებერმა მოახსენა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ, მე ერთი შვილობილი მყავს, რომელმაც ეს ცხენი გაჰკვება, იმან რომ უთხრას, ადგება ეს ცხენიო! მაშინ უბრძანა ხელმწიფემ ბებერს: წადი და მოიყვანეო. მოვიდა ქალი და უთხრა ცხენს: — ადექ, შე პატრონივით მუხანათო!— ადგა მაშინვე ცხენი და შეითამაშა. ჰკითხა ხელმწიფემ ქალს: — რად დაუძახე ჩემ ცხენს ან მე მუხანათიო?.. — ქალმა უამბო ყველაფერი. ხელმწიფემ მეორედ დაიწერა ჯვარი; მოახლე ცხენის ძუას მიაბეს და ლუკმა-ლუკმად აქციეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაშენე,
წამოვიდა გორებითა;
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

გაუცინარი ხელმწიფე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გაუცინარი ხელმწიფე. თავის დღეში ის გაცინებული არავის ენახა და გაუცინარს იმიტომ ეძახდნენ.

ხელმწიფეს სამი ვაჟი ჰყავდა; ვაჟებს გაუცინარი ხელმწიფის შვილებს ეძახდნენ. ერთხელ ძმებმა თქვეს: წავიდეთ, ვკითხოთ ჩვენს მამას, რად გვეძახიან გაუცინარი ხელმწიფის შვილებსაო? წავიდნენ მამასთან საკითხავად. ჯერ უფროსი ვაჟი შევიდა. მამამ ჯამით ღვინო მიაწოდა და უთხრა: — ჯერ ეს დალიე, მერე ერთს სილას შემოგკრავ და გეტყვიო! — აიღო ვაჟმა ჯამი და დალია. შემოჰკრა სილა ხელმწიფემ და ქოჩორზე დაატრიალა: — წადი და მერე გეტყვიო! ახლა შუათანა შვილი შევიდა. — რა გინდაო? — ჰკითხა ხელმწიფემ. — გაუცინარი ხელმწიფის შვილებს გვეძახიან და რათა ხარ გაუცინარი, მითხარიო, — უთხრა შვილმა. — აბა, დალიე ეს ჯამი ღვინო და მერე გეტყვიო! აიღო ვაჟმა ღვინო და დალია. ხელმწიფემ სილა გაარტყა და ქოჩორზე დაატრიალა: წადი, მერე მოდი და გეტყვიო! — უთხრა შვილსა. წავიდა ძმებთან. ძმებმა ჰკითხეს: — რა გითხრაო? — წადი და მერე გეტყვიო.

ახლა უმცროსი ძმა წავიდა. — რა გინდაო? — ჰკითხა გაუცინარმა. — ჩვენ გაუცინარი ხელმწიფის შვილებს გვეძახიან და რათა ხარ გაუცინარიო? — მიაწოდა ხელმწიფემ ჯამით ღვინო და უთხრა: — აბა, დალიე ეს ჯამი, ერთ სილას შემოგკრავ და მერე გეტყვიო! — ჩამოართვა ჯამი ღვინო და დალია. შემოჰკრა ხელმწიფემ სილა, მაგრამ ფეხიც ვერ მოაცვლევინა.

— დამკარ მეორე და მითხარიო! — უთხრა შვილმა. შემოჰკრა კიდევ მეორედ გაუცინარმა, მაგრამ კიდევ ვერ მოაცვლევინა ფეხი.

— შემომკარ მესამედ და მითხარიო! — უთხრა კიდევ გაუცინარს შვილმა. შემოჰკრა კიდევ მესამედ სილა, მაგრამ მაშინაც ვერ მოაცვლევინა ფეხი. მერე უთხრა: — წადი და ჩემი თავის ტოლა ბროწეულები მომიტანეო. სადაც იდგა, ისიც ასწავლა და უთხრა: მოხვალ და მოიტან, გეტყვი ჩემს ამბავსაო! ძმებთან მივიდა. ძმებმა უთხრეს: — რა გითხრაო. — ჩემი თავის ტოლა ბროწეულები მომიტანე და მაშინ გეტყვიო.

იარეს, ბევრი იარეს და ტრიალს მინდორზე გავიდნენ; გზაგასა-

ყარზე ნახეს, ერთი ქვა იდგა, ქვაზე ეწერა: აქეთ წახვალ — მოხვალ, აქეთ წახვალ — მოხვალ, ასე წახვალ — ვეღარ მოხვალო.

უფროსი ძმა იქით წავიდა, საითაც მოვიდოდა, შუათანა იქით წავიდა, საითაც მოვიდოდა, უმცროსი იქით წავიდა, საითაც ვეღარ მოვიდოდა. ბევრი იარა უმცროსმა ვაჟმა თუ ცოტა იარა, დაინახა შავი ჯარი, სულ ცხენოსანი. ბიჭმა იმედი გადიწყვიტა და სთქვა: ახლა კი მოვკვდებიო. დაიწერა პირჯვარი და გასწია ჯარისაკენ. ახლოს რომ მივიდა ჯართან, ნახა — გაქვავებული ლაშქარია, გასცდა და წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ შორს წითელი ცხენოსანი ჯარი დაინახა; შეშინდა: ახლა კი მოვკვდებიო, და დაიწერა პირჯვარი. მიუახლოვდა და დაინახა, რომ წითელი ცხენოსანი ჯარი გაქვავებული იყო. გასცდა ამასაც და გაიარა. მერე თეთრი ცხენოსანი ჯარი ნახა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დაინახა ერთი ციხე; მისი წვერი ცამდე იყო აწვდილი! ციხის ძირს ბროწეული იდგა. ბროწეულს ხუთი თავის ტოლა ბროწეულები ება, ჩავიდა გაუცინარი ხელმწიფის შვილი, მოსწყვიტა ბროწეულები. ერთი შეჭამა, სამი ჯიბეში ჩაიდო და ერთიც ზედ შეარჩინა.

გადმოიხედა ქალმა ციხიდან და დაუძახა: — ვაიმე, შვილო, რა ჩემს შვილსა ჰგავხარ, აქ ვინ მოგიყვანაო? ბინძური დევი მოგკლავსო. — მე მანდ უნდა ამოვიდე და რაც მომივა, მომივაო, — უთხრა გაუცინარი ხელმწიფის შვილმა ქალსა. ქალმა თმა გამოუკვანძა და ჩაუშვა. შეხტა ვაჟი, სტაცა მას ხელი და ავიდა ციხეში. ქალმა დამალა: რომ მოვიდეს და გნახოს, მოგკლავსო. გაუცინარი ხელმწიფის შვილმა სთხოვა: — როგორმე გაიგე, ჰკითხე, რაში არის იმის სული და მერე მე ვიცი. მოვიდა დევი და სთქვა: — ხორციელის სუნი მომდისო! — არაო, — უთხრა ქალმა, — აქ ადამიანს რა უნდოდა, შენ თვითონ მოგყვებოდაო. ჩამოეკიდა ყელზე ქალი ბინძურ დევს და დაუწყო სურვილება: — ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ვეღარა ვძლებ, როდესაც შენ აქ არა ხარო. მითხარ, რაში არის შენი სულიო?

— ჩემი სული ცოცხში არისო, — უთხრა ბინძურმა დევმა. ბინძური რომ სანადიროდ წავიდა, ქალი ადგა და მორთო ცოცხი ათასნაირად, შემოახვია ბაღდადები და ფარჩები, მიიტანა და ლოგინზე დადო.

მოვიდა ბინძური დევი, ნახა ცოცხი და დაიწყო სიცილი: — მოგატყუე, განა მართლა მაგ ცოცხში არის ჩემი სულიო?! ჩემი სული დედაბოძში არისო. წავიდა ბინძური ისევ სანადიროდ. აიღო და

გარეცხა და გაწმინდა დედაბოძი, მორთო და მოკაზმა, ეხვევა და ესურვილება. მოვიდა ბინძური და ნახა ცოლი ამ ამბავშია. — მაგას რასა შვრებიო? — ჰკითხა. — შენ სულს ვეხვევიო! — რომ გაგასულელაო, — უთხრა ბინძურმა სიცილით, — ჩემ სულს შენ ვინ მოგცემს, ამა და ამ ალაგას რომ ერთი ტახია, იმის თავში ერთი კოლოფია, იმაში სამი ჩიტია: წითელი ღონეა, თეთრი — გონება და შავი —სულიო! — ვინ მოჰკლავს იმას, არი ვინმე იმისთანაო? — იმას ვერაფერი მოჰკლავს, თუ ჩემ შარდში ნაწრთობი ისარი არ მოხვდაო,— უპასუხა ბინძურმა.

წავიდა თუ არა ბინძური დევი სანადიროდ, ადგა გაუცინარი ხელმწიფის შვილიც, აიღო ორი პური და წავიდა მჭედელთან. გააკეთებინა ოცი ლიტრის მშვილდ-ისარი, მოსწია და მოდრიკა. გააკეთებინა ორმოცისა, მოსწია და მოდრიკა, ბოლოს სამოცისა გააკეთებინა, მოსწია მშვილდი, მაგრა იდგა. მჭედელს უთხრა: — შენ არ აწრთო, საწრთობელ წყალს მე თვითონ მოგიტანო. წავიდა და გამოიტანა ბინძური დევის შარდი, აწრთო მჭედელმაც მშვილდ-ისარი. გადიგდო გაუცინარ ხელმწიფის შვილმა მხარზე და გაუდგა გზას ღორის საძებნელად.

იარა, იარა და მივიდა იმ წყალზე, სადაც ტახი წყალსა სვამდა. წყალზე ქალი იჯდა და ტიროდა. რა გატირებსო? — ჰკითხა ვაჟმა, — რად იტკენ მაგ მშვენიერ თვალებსაო? — თუ ქრისტიანი ხარ, წადიო! — უთხრა ქალმა, — დრომ მოაწია, ღორი მოვა, უნდა შემჭამოსო. თურმე ღორს ყოველდღე თითო ქალი ჰყავდა გადადებული შესაჭმელად. ვაჟმა უთხრა: შენ იმისი ნუ გეშინია, ახლა სულ ცოტას დავიძინებ და დავისვენებ, შენ მუხლზე მივდებ თავს და, როდესაც ტახი მოდიოდეს, ერთი სილა შემომკარი და გამომაღვიძეო.

დაიძინა გაუცინარი ხელმწიფის შვილმა. გავიდა ცოტა ხანი და გამოჩნდა ღორიც; ილესავდა კბილებს და ქაფსა ჰყრიდა. ქალმა ვაჟს შესძახა, შემოჰკრა სილაც, მაგრამ ტყუილად! ტირის ქალი, ტირის, დედამიწა იწვება მისი ცოდვით. უცებ ქალის ცრემლი დაეცა ლოყაზე ვაჟს და ცხრა პირი კანი ასძვრა. წამოხტა ვაჟი, მოავლო მშვილდ-ისარს ხელი და ესროლა ღორს, ესროლა და ერთს გვერდში ნაკრავი მეორე გვერდში გაჩნდა. წაექცა ღორი და დალია მაშინვე სული. მოსჭრა საჩქაროდ თავი, გაჩეხა და ამოიღო იქიდან ყუთი. ყუთში ჩიტები იყვნენ.

ჯერ ჯანს წაგლიჯა თავი და მერე გონს. სულის ჩიტი კი ცოცხალი წამოიყვანა და წავიდა კოშკში.

სანადიროდ იყო ბინძური დევი; გაეგო გრძნობით, რომ ღორის თავს უბედურება რაღაცა არისო და წამოსულიყო საჩქაროდ. მაგრამ ამ დროს მოასწრო ვაჟმა და ღონის ჩიტსაც თავი მოსწყვიტა.

ბინძურს ძალა აღარ ჰქონდა და ძლივსძლივობით მიეთრია კოშკთან. მივიდა და დაეგდო კოშკის ძირას; აღარაფერი არ შეეძლო. დაინახა ზევიდან ქალმა, ჩამოვიდა, დაუჯდა თავით და დაუწყო კითხვა:—რა გჭირს, ჩემო სიცოცხლეე, რა დაგემართაო? მოვიდა ვაჟიც და დაუქყივლა ბინძურს:—რას უდგიხარ, ძაღლო, ადე, დაიკარგე მანდედანაო! მითხარი, სად არის შენი ცხოვრებაო, ან ის ჯარები რომ გაგიქვავებია, მათ რაღა გააცოცხლებსო? მაშინ დევმა უთხრა:—წადი, მაღლა ადი, იქ სამი მათრახია, ერთი თეთრი, ერთი წითელი და ერთიც შავიო. შავი მათრახი შავ ჯარს დაჰკარი, წითელი წითელს და თეთრი თეთრსაო. ჯარები გაცოცხლდებიან და შენი ყმები იქნებიანო. — მასწავლე ლოცვაცაო!—უთხრა ვაჟმა. ასწავლა ბინძურმა ლოცვაც. — შენი სიმღიდრე რაშიღა არისო?—ჰკითხა ვაჟმა. — აი, ეს გასაღები წაიღე, სულ ნაპირის ოთახი გააღე და ჩემი ცხოვრება იქ არისო,—უთხრა ბინძურმა. წავიდა ვაჟი, გააღო კარი და სამი წყეულიკი დახვდა. — ოჰ, ეს რა კარგი საქმეა ჩვენთვისაო! — თქვეს წყეულებმა. ვაჟმა უთხრა: — ცოტა ხანს აქ იყავით, გარეთ გავალ და ისევ შემოვალო. გამოვიდა და გადმოიკეტა გარეთ კარი, მივიდა დევთან და ჰკითხა: — იქ რისთვის შემიყვანე, იქ წყეულებმა კინაღამ შემჭამესო. — არაო, — უთხრა ბინძურმა, — შენ წადი, ესა და ეს ოთახები გააღე, იქ თვალ-მარგალიტია, ის წყეულები შენ აღარაფერს გიზამენ, რაკი ნათელი აჩვენეო; აჰკიდე მათ და წაიღეო. ადგა ბიჭი, გააღო ოთახები, აუარებელი თვალ-მარგალიტი წამოიღო და წამოვიდა, წამოიღო თან ის ბროწეულებიც. მივიდა იმ ქვასთან, გზის გასაყარში რომ იდო, დაჯდა იქა და დაისვენა. გაუცინარი ხელმწიფის შვილს ძმები იქ დახვდნენ. ამოიღო ბროწეულები და თითო-თითო დაურიგა. ძმებს შეშურდათ: ჩვენი მოტანილი ბროწეულები წვრილებია და მაგის მოტანილი მსხვილებიო. ადგნენ და ღალატი დაუპირეს. მაინც ერთად წავიდნენ. გზაზე წყალი მოსწყურდათ. ერთი ჭალა იყო; იმ ჭალას ეძახდნენ ბულაყს. მივიდნენ ძმები ბულაყთან და წყალი უნდა ამოეღოთ. ჯერ უფროსი ძმა ჩაუშვეს. ცოტა რომ ჩაუშვეს, ყვირილი მორთო: ამწით, ამწით, დავიწვიო. ამოსწიეს და ამოიყვანეს. ახლა შუათანა ძმა ჩაუშვეს, მანაც ისე დაიწყო ყვირილი. ამოსწიეს და ისიც ამოიყვანეს. უმცროსმა ძმამ თქვა:

— მე ჩამიშვით და რამდენიც ვთქვა „დავიწვიო,“ იმდენი ძირს ჩაშიშვითო. ჩაუშვეს უმცროსი ძმა და დაიძახა: „დავიწვიო“ და უფრო

ჩაუშვეს. ჩავიდა ვაჟი და დალია წყალი. ჯერ წყალი ააწოდა ძმებს, ახლა თვითონ მოიბა წელზე, მაგრამ შუა გზაზე გადაჭრეს ძმებმა თოკი და ჩააგდეს ძირს. წამოვიდნენ ძმები, წამოიღეს ბროწეულები და მოუტანეს მამას.—მესამე ძმა რაღა უყავითო? — ჰკითხა მამამ. — არ ვიცით, არ გვინახავსო, — უპასუხეს ძმებმა. — აბა, მაშ შენ გზაზე რა ნახეო? — ჰკითხა მამამ უფროს შვილს. — არაფერიო, — უპასუხა შვილმა. დაუძახა ახლა შუათანას და მასაც ისე ჰკითხა. არც არაფერი მე მინახიაო, უთხრა მანაც. გაჯავრდა ხელმწიფე. მაშინვე გაგზავნა საძებრად ნაზირ-ვეზირი და გაატანა ჯარი. წავიდა ჯარი, ბევრი ეძებეს და ბოლოს ბულაყში იპოვეს. ამოიღეს და წამოიღეს შინ მკვდარი.

ხელმწიფემ უფლის ხელსახოცი წაუსვა თუ არა, ვაჟი მაშინვე გაცოცხლდა. გაუცინარმა ისეთი გაიცინა, რომ მიწა შეინძრა, ცა გაიხსნა და იქიდან აუარებელი ოქრო-ვერცხლი გადმოიბნა. მაშინ ხელმწიფემ უთხრა: — რა უყავი ბროწეულებიო? — მე წამოვიღე, ცოტათი მახსოვსო, — უთხრა შვილმა. — მაშ რა ნახე, შვილო, გზაზედაო? — ჰკითხა მამამ. შვილმა ყველაფერი უამბო, რაცა ნახა: გზაზე შავი ცხენოსანი ჯარი იდგა გაქვავებული, იმის იქით წითელი და იმის იქით თეთრიო. გავიარე კიდე და ერთი ციხე ვნახე, წვერი ცამდი ჰქონდა აწვდილიო და სამი ფანჯარა ჰქონდაო. იმ კოშკის ძირში ერთი ბროწეული იდგა და ეს ბროწეულები იმაზე დავკრიფეო. — მაშ, იქ ქალი კი ვერავინ ნახეო? — ჰკითხა ხელმწიფემ. — ვნახეო, — უთხრა ვაჟმა. მაშინ უთხრა ხელმწიფემ: — შვილო, გაუცინარს იმიტომ მეძახიან, რომ ის ქალი ჩემი ცოლია, იმ ბინძურმა დევმა მომტაცა და ის შავი ცხენოსანი ჯარი, ის წითელი და ის თეთრიც ჩემია და იმან გამიქვავაო. ახლა მოდი შენა და გაიცინე, ვისაც იმოდენა დაგიკარგავსო. ადგა მაშინვე ვაჟი, წავიდა კოშკში, მოჰკლა ბინძური, წამოიყვანა დედა, წამოიღო მათრახები, ერთი ერთს ჯარს გადაპკრა, მეორე მეორესა, მესამე — მესამესა, გააცოცხლა და წამოვიდა შინ მშვიდობით.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა;
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გაამოთ ყველასა!

ზღაპარი უხეირო

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა, ღმერთი მაღალი, კაცი დაბალი! იყვნენ ცოლ-ქმარნი ღარიბები და უქონლები. ერთი ვაჟი მიეცათ. დაარქვეს „უხეირო", მაგრამ ვერ გაზარდეს. ძუძუ არა ჰყოფნიდა. წაიყვანეს ქალაქში, იქნება სამაღლოდ ვინმემ აიყვანოსო. ხელმწიფემ აიყვანა და დაუწყო ზრდა. მაგრამ ეს ბავშვი ისეთი მჭამელი გამოდგა, რომ ძლივს აძღებდნენ. როცა მოიზარდა, თითო თონე პური და თითო ცხვარი არა ჰკმაროდა. როცა ვაჟკაცი გახდა, მაშინ ხომ ვეღარაფრით ვეღარ აძღებდნენ. რამდენიმე ხარს ერთად შეჭამდა და იმდენსავე კოკა ღვინოს დალევდა. მაინც ისე იყო, თითქო არაფერი უჭამიაო! გაბეზრდა ხელმწიფე, ჩაბაზები პურის გამოცხობას ვერ ასწრებდნენ და მზარეულები მოხარშვას.

რაკი გაბეზრდა, ხელმწიფემ დაიბარა უხეირო, მისცა ორასი თუჰანი ფული, ერთი გუთნეული და გაგზავნა მამასთან. მოვიდა დედმამასთან უხეირო, მაგრამ ერთი-ორი დღეც ვერ დარჩა. რა უნდა ეჭამა. რით უნდა გაეძღო მუცელი? ადგა და ისევ ხელმწიფეს მიადგა კარებზე. ხელმწიფეს უხაროდა — ეგ არის მოვიშორე თავიდანაო, მაგრამ, რაკი ისევ კარებზე მოადგა, რაღას ჰტყოდა! იფიქრეს. ამას ძალით ვერ გავაგდებთ და ისევ ისა სჯობია, ხერხით მოვიშოროთ როგორმეო.

საშინელი ლონიერი იყო უხეირო, რომ მისი გამწევი კაცი არ გამოვიდოდა! უბრძანეს უხეიროს: ამა და ამ ადგილას რომ დიდი მთა არის და მთაზე ტყე, იმ ტყიდან უნდა შეშა მოიტანოო! ის ტყე ასთავიან ღევებს ეკუთვნოდა: მათი შიშით ნიავიც კი ვერ გაიჩუჩუნებდა, ფრინველიც ვერ შეფრინდებოდა იმ ტყეში.

— კარგი, მომიტანეთ ცულიო! — დაიძახა უხეირომ. მოუტანეს ალმასის ცული. შემოჰკრა იქვე კედელს და სულ მიფშვნიტა. გაუკეთეს ათფუთიანი, ისიც მიამტვრია. ბოლოს ოცფუთიანი გაუკეთეს, გაიდო მხარზე და გასწია ღევების ტყისკენ. მივიდა ტყეში, შემოჰკრავს წიფლებს. სულ ჩხირებივით ამტვრევს; დგას ერთი ლეწამტვრევა და ჩახიჩუხი. გაიგეს ღევებმა და მისკენ გამოქანდნენ მაშინვე. არ მოგიკვდეთ უხეირო, არც შემდრკალიყოს და არც გაქცეულიყოს! სტაცა ორივე ღევს ხელი, ამოიჩარა იღლიაში, მიიყვანა, შეა-

ბა კამეჩებივით, დაუწყო ეს მთელ-მთელი წიფლები და დაირეკა. სულ გუგუნით მიატანინა ხელმწიფის კარებზე!

მოახსენეს ხელმწიფეს: გამობრძანდი, რამდენი შეშა მოიტანა უხეირომაო. გამოვიდა ხელმწიფე, კინაღამ გული წაუვიდა ამ დევების დანახვაზე. მოხსნა შეშა უხეირომ დევებს, ახსნა უღელი, გაუშვა ნებაზე და უთხრა: — კაცის ნათესავს ამას იქით აღარა ავნოთ რაო!

გავიდა ხანი. დაუწყეს უხეიროს, უნდა წახვიდე და უკვდავების წყალი მოიტანოო. უხეირო რა უარს იტყოდა, მაგრამ რომ არ იცოდა საითკენ იყო ის უკვდავების წყარო. ამ უკვდავების წყაროს ორი ბუღა კამეჩი იცავდა. რომ დაინახავდნენ ეს კამეჩები იქითკენ მიმავალ კაცს, გაექანებოდნენ, დაეჯახებოდნენ და გაჭყლეტდნენ. უხეირომ უთხრა: — წავალ, მაგრამ მომეცით, რით მოვიტანოო! მოუტანეს გოზაურები. სთხლიშა ერთმანეთს და დაამსვრია: — ბავშვი ხომ არა ვარ, ამეებით საღ წავიდეო. მომიტანეთ დიდი რამეო! ახლა ქვევრები მოუტანეს. ჰკრა ეს ქვევრები ერთმანეთს და დაამსვრია. — მომიტანეთ დიდი რამეო! შეშინ მოუტანეს ორი ას-ას კოკიანი რუმბი. გადიწყო ბზარზე და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა. მივიდა უკვდავების წყაროსთან. გამოეკანენ კამეჩები, უნდა დაეჯახონ და გაჭყლეტონ. სტაცა უხეირომ ყურებში ხელი, დაგრიხა სქელი ხეები. მოგლიჯა ერთი ჭადარი. დაადო კისერზე უღლად. მერე რუმბები დაავსო, დასცხო და დაირეკა კამეჩები ხელმწიფისკენ.

ხელმწიფეს მოახსენდა: უხეირო თვითონაც უპირველი მოვიდა და იმ კამეჩებისთვისაც ის რუმბები მოუტანია. რომ დაინახა ხელმწიფემ ეს კამეჩები, კინაღამ გული გაუსკდა: ჯერ უხეიროს ვერ ვუძლებდი. მაგათ სადღა გავუძლო: უთხარით, ეს კამეჩები ისევ გაუშვასო. უხეირომ გაუშვა კამეჩები. მოსცხო თითოთითო სახრე და გარეკა: — გასწით, როგორც გიცხოვრიათ, ისევ ისე იცხოვრეთო!

მაინც კიდევ არ დაწყნარდა ხელმწიფე. კიდევ ეძებდა მიზეზს, სადმე იმისთანა ადგილს გაეგზავნა უხეირო. რომ დაღუპულიყო. ერთ ადგილას ელიას ყანა იყო. ასი დღის მიწას გარს სულ გალავანი ევლო და შიგ ყანა ეთესა. უხეიროს უთხრეს: ეს ცხვრის ფარა ელიას ყანაში უნდა გარეკო და აძოვო. გარეკა უხეირომ ერთი ფარა ცხვარი ელიას ყანისკენ. შერეკა ყანაში. ფარას თავი მიანება. თვითონ წამოწვა და დაიძინა. გადმოიხედა ელიამ. ხედავს. მის ყანას ცხვარი შესევია და აოხრებს: დაუშვა და დაუშინა სეტყვა. ისეთს

ისვრის, სულ ხის ტოტებს ამტვრევს. ეს ფარა ისე გაწყვიტა, რომ ერთი თხაღა დარჩა, ისიც სადღაც ჯაგებში შემძვრალიყო და იმიტომ გადარჩენილა. ამ უხეიროს კი აინუნშიც არ მოსდის, სძინავს გულიანად.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, არახუნა ელიამ სეტყვა, მაგრამ მაინც ვერ გააღვიძა. მაშინ განრისხებული გადმოვიდა და დააწვა უხეიროს ზევიდან. წამოდგა უხეირო, გადაბრუნა ელია და დააჯდა ზევიდან. ამიშვიო! — უთხრა ელიამ. უხეირო არ უშვებს. ამიშვიო! — სთხოვა კიდევ ელიამ. — დამლოცე და აგიშვებო! — უთხრა ელიას უხეირომ.

მაშინ დალოცა ელიამ, რომ ჯერზე ნახევარი პური ეჭამა, ნახევარი ჩარექა ღვინო ესვა და ნახევარი გირვანქა ხორცი ეჭამა. აუშვა უხეირომ და გამოსწია თავის გზაზე. ახლა კი დედ-მამისკენ წამოვიდა, მათი ნახვა მოუნდა. ცოტა ხანს იყო უხეირო თავის დედ-მამასთან, ისევ გმირობის სურვილმა მოუარა, ველარ დადგა დედ-მამასთან, ადგა და წავიდა თავის თავის საცდელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თავის სახელმწიფო გადაიარა, უცხო ქვეყანაში გავიდა. დაინახა ერთი დევი მორბის, თან ერთი გორა უჭირავს და ბურთივით მოაქვს. დადგა უხეირო და დაუწყო ცქერა: — კაცო, მე ლამის ქალამნებიც გავიხადო, და შენ მაგოდენა გორა სად მიგაქვსო? — ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ის უნდა გამოვცადოო! — გამოართვა ეს გორა უხეირომ, მოიქნია და სამი მთის იქით გადაისროლა. მერე უთხრა დევს: — მეძმობი თუ მეყმობიო? — გეძმობიო, — უთხრა დევმა. ეძმო დევი და ორივენი წავიდნენ.

მოდიან, ერთი დევი მორბის, ხელში ორჯერ იმაზე დიდი გორა უჭირავს და მოათამაშებს. — სად მიხვალ, კაცო, მე ლამის ქალამნებიც გავიხადო და შენ მაგოდენა გორას მიარბენინებო? — ეკითხება უხეირო. — ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ის უნდა გამოვცადოო! გამოართვა უხეირომ გორა და ორ მთას იქით გადისროლა. მერე უთხრა: — მეყმობი თუ მეძმობიო? — გეძმობიო, — უპასუხა დევმა. ეძმო და წავიდნენ.

მოდიან, ახლა მესამე დევი შემოხვდა, მასაც ორჯერ მეტი გორა დაუჭერია, ვიდრე მეორე დევსა, და ბურთივით მოაქანებს. — კაცო, სად მიგაქვს მაგოდენა გორა, მე ცარიელამ ლამის ქალამნებიც გავიხადოო? — ეუბნება უხეირო. — ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, აქებენ, და მის საცდელად მივდივარო. — შორს სიარული რად გინდა, — უპასუხა უხეირომ, — უხეიროც მე ვარო. გამოართვა გორა, მოიქნია და ერთი მთის იქით გადააგდო.—მეყმობი თუ მეძმობიო?—

ჰკითხა დევსა. — გეძმობიო, — უთხრა დევმა. ეძმო და წავიდნენ ოთხნი ძმად შეფიცებულნი.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ თეთრი დევის სამფლობელოში; ტყეში დადგნენ, არც პური აქვთ, არც ცეცხლი. უხეირომ უთხრა: — უნდა წახვიდეთ და სადაც იყოს შეშა და პური იშოვოთო. დევები ისე შეშინდნენ, სულ კანკალმა აიტანა: — შიმშილით რომ დავიხოცნეთ, თეთრი დევის შიშით იქ რა მიგვიყვანსო? ადგა მაშინ უხეირო და თვითონ წავიდა, — მე თვითონ მოვიტანო. შორს დაინახა ბოლი, მიჰყვა და დევის დედასთან მივიდა: — დედაშვილობას. ორიოდე პური და ცეცხლი გამომიტანე, პური მშიანო! — შენ ვინა ხარო? — უთხრა დევის დედამ. — ჩემის შვილის შიშით ფრინველსაც ვერ გადუფრენია ცაში, და რა სულიერი ხარ, აქ რომ მოსულხარო? წადი ჩქარა, თავს უშველე, თორემ ჩემი შვილი სანადიროდ არის. მოვა და შეგჭამსო! — რა მხარეზე არისო? — ჰკითხა უხეირომ. ბებერმაც ასწავლა. — თუ წყალს გაასწარ, არა გიშავსო, — უთხრა დევის დედამ, — და თუ წყალს აქეთ მოგასწრო, კი იცოდე, ვერ გადაურჩებიო. უხეირო სწორედ იქით წავიდა, საიდანაც თეთრი დევი უნდა მოსულიყო.

შორიდანვე დაინახა უხეირომ თეთრი დევი, ნადირობიდან რომ ბრუნდებოდა. ერთი ხარ-ირემი მოუკლავს, ერთი ჭადარი მხარზე გაუდვია და ისე მოდის ღიღინით. უხეირო ჩაიმალება ხიდის ყურთან და. ცხენი რომ მოახლოვდება, ამოჰყოფს თავს, „ყვიტ“ იტყვის, და შეუფრთხება ეს ცხენი დევს. უჯავრდება თეთრი დევი, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს და წინ არ მიდის. აჩუ, შე ოხერო, ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა იმას მოვკლავ, და მანდ ვინა ზის, ვინ გაშინებს ისეთი, რომ მე ვერ მოვერევიო! მაშინ კი წამოდგა უხეირო და დაუძახა: — აბა. თუ მომკლავ, უხეირო მე ვარ და ჩამობრძანდიო! შეიბნენ უხეირო და თეთრი დევი. დაახეთქა უხეირომ ეს თეთრი დევი და მოჰკლა. მერე დააკრა ცხენს მკვდარი და გააგდო დევის დედისკენ: „აბა, თუ თეთრი დევი მძლავრიაო!“

წამოიღო ცეცხლი და პურები. ისეთებია ეს დევები, სადღა აქვთ იმედი, თუ უხეირო კიდევ ცოცხალი მოვა, მაგრამ მოვიდა. დასხდნენ. დაანთეს ცეცხლი, ჭამეს პური. მერე ისევ წავიდნენ. გზაზე აღარა შემთხვევიათ რა, სანამ წითელი დევის საბრძანებელში არ მივიდნენ. დადგნენ აქაც ტყეში, მაგრამ არც პური ჰქონდათ და არც ცეცხლი. უხეირომ შეუთვალა დევებს: წადით, აქ ახლომახლო ესახლება ვინმე, გამოართვით ორიოდე პური და ცეცხლიო! — აქ წითელი დევი სახლობს და ჩვენ არ შეგვიძლია ფეხი მივდგათ იქაო; წი-

ნათაც გვიცდია, მაგრამ მაშინაც ძლივს გადავრჩით ცოცხლებიო. კარგი, მე წავალო, — სთქვა უხეირომ.

წამოვიდა და წითელი დევის დედასთან მოვიდა. — დედი, ორიოდე პური მომეც და ცეცხლიო! — აქ რამ მოგიყვანა, ძე-ხორციელს აქ ვერ გაუვლია ჩემი შვილის შიშითაო, — უთხრა დევის დედამ, — წადი. სანამ მოსულა, ეცადე წყალს გაასწრო, თორემ თუ აქეთ მოგასწრო, გაგაფუჭებსო. მისცა პურებიც, ცეცხლიც და წამოვიდა. არ გავიდა ხიდსა, აქეთვე დადგა. მოდის წითელი დევი, მხარზე ერთი წიფელა გაუდვია, ცხენისათვის ხარ-ირემი გადუკიდია.

— შენ ვინა ხარ, აქ ჩემის შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს. რა სულიერი ხარ, რომ აქ მოსულხარო? ჩამოუხტა დევი და შეიბნენ. იბრძოლეს კარგა ხანს, მაგრამ დასცა უხეირომ და მოჰკლა ისიც. გადაჰკიდა მკვდარი ცხენს და დედას გაუგზავნა: „აბა, თუ შენი შვილის შიშით აქ ვერავინ გაივლისო!“

ააკრა ირემს საჴწვადეები, წამოიღო პური, ცეცხლი და მოიტანა თავის ამხანაგებთან. იმ დღესა და იმ ღამეს კაი დროება გაატარეს. მეორე დღეს აღგნენ და გზას გაუდგნენ. სულ იმისთვის კი დადიან, რომ თავი სცადონ. რამდენიც მიდიოდნენ, ამ დევებს შიში ეტყობოდათ. ბოლოს ერთ ქვეყანაში მივიდნენ. შავი მთაა. შავი ტყე დგა, შავი ფრინველი დაფრინავს. დადგნენ, დაისვენეს. კიდევ შესთავაზა დევებს უხეირომ პურისა და ცეცხლის მოტანა. ისინი კი შიშით კინაღამ დაჭრნენ. — ამ შავ მთას ხომ ჰხედავო, — უთხრეს უხეიროს, — იქ შავი დევი ცხოვრობს, იმისი მომრევი ჯერ არავინ არისო, და მას თვალით როგორ დავენახვებითო. ის გვირჩევნია, ავდგეთ, წავიდეთ. გავეცალოთ ამ დაწყევლილ ადგილსაო. ერთხელ ჩვენც ვეომეთ მაგას, მაგრამ ცოცხლები ძლივს გადავრჩითო.

— არა, ძმაო, მე უკან ველარ დავიხევ, თუ თქვენ არ წახვალთ, მე წავალ და მე მომკლას იმ შავმა დევმაო! ბევრს ეხვეწნენ ძმობილები, ნუ წახვალო, მაგრამ მაინც არ დაიშალა, წავიდა და მივიდა. შავი დევის დედასთან. — დედაშვილობას, ორიოდე პური მოგვეცი და ცეცხლიო! — ვინა ხარო, — უთხრა დევის დედამ, — პური არ მიძევს, ცეცხლი არ მინთია, წადი, საიდანაც მოსულხარ, თორემ ჩემი შვილი მოვა და შეგჭამსო. — რა მხარედან ჰოდისო? დევის დედამაც ასწავლა. შევიდა უხეირო, გამოიტანა ძალით პურები, ცეცხლიც წამოიღო და წამოვიდა სწორედ იმ მხრისაკენ. საიდანაც შავი დევი უნდა მოსულიყო. წყალთან რომ მივიდა, ხიდის ყურთან დაიმალა. ამ დროს მოდის შავი დევიც, ხარ-ირემი მოუკლავს, ერთი წიფელა მხარზე გაუდვია და მოღიღინებს. ხიდზე რომ შეღგა. უხეი-

რომ თავი ამოყო და „ყვიტ!“ დაიძახა. ცხენი დაფრთხა, ფრუტუნი დაიწყო. ერეკება დევი ცხენს, უჯავრდება, მაგრამ ცხენი ფრუტუნებს, არ იძვრის ადგილიდან... — აჩუ, შე საოხრევ, ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ისიც კი ცოცხალი ვერ მომრჩება და ვინ გაშინებსო! — აბა, თუ ვერ მოგრჩებაო! — და ამოუხტა კიდეც უხეირო. შეიბნენ. ძალიან დიდხანს იბრძოლეს. უხეირო დაიღალა და თითქო გაუკვირდა შავი დევის მორევა. ბოლოს, როგორც იყო, მოიკრიბა რაც ჯანი ჰქონდა. დასცა და იქვე სული გააფრთხობინა. დააკრა მკვდარი ცხენს და იმის სახლისაკენ გაიგდო. აიკრა სამწვადეები ირემს. წამოიღო და მოვიდა. დევებს ძალიან გაუხარდათ, ცოცხალი რომ ნახეს უხეირო. როგორ გადარჩიო. ეკითხებოდნენ. არ იჯერებდნენ, თუ უხეირო შავ დევს მოერეოდა. კაი ბური ჭამეს და დაისვენეს.

მეორე დღეს დევებმა უთხრეს უხეიროს: — ჩვენ გზას დასასრული არ უჩანს, აღარ შეგვიძლია შენ მოგყვეთ, ჩვენ აქ დავრჩებითო. — კარგიო. — უთხრა უხეიერომ. — მე უთქვენოდაც ვიარეო. წაიყვანა ეს დევები, ერთს თეთრი დევის ცოლი შერთო. მეორეს — წითლისა და მესამეს — შავი დევისა. სამივეს გამოეთხოვა და უთხრა:— ნუ დამივიწყებთ. აი, ამ ბურთს დავკიდებ. უცქერეთ და, როცა სისხლმა დაიწყოს წვეთა ამ ბურთიდან, მაშინ იცოდეთ, მიეშველენითო.

წავიდა უხეირო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქალაქში მივიდა. ხედავს, რომ ეს ქალაქი, როგორღაც მიჩუმებულია. ექვსი წლისაზე ზევით კაცს ვერა ნახავ. უხეირო ერთ ბებერთან დადგა. ეს ბებერი უფრთხილდება უხეიროს. თავს შვილივით ინახავს. — რისთვის მოხვედი, შვილო, აქ რა გესაქმებაო?—უხეირო მოუყვა და უამბო თავისი თავგადასავალი.

მეორე დილით შეხედავს უხეირო, რომ ეს ბებერი სადაც რამ ჭუჭრუტანებია ქოლავს, ისე რომ შუქი ვერ შემოიპარება. უხეიროს გაუკვირდა. ჰკითხა ბებერს: — დედილო, მითხარ, რატომ არ არიან დიდი კაცები ამ ქალაქშიო? — რა ვიცი, შვილო, რატომღაც არა რჩებიან, სულ იხოცებიანო. არ უნდა რომ უთხრას, მართალს არ ეუბნება კიდევა ჰკითხა უხეიერომ. კიდევ არ უთხრა ბებერმა. ბოლოს უხეირომ უთხრა: — დედი, ძუძუ უნდა მოვაწოვო. — რაღა დროს შენი ძუძუა, შვილო, ვაჟკაცი ხარ, — უთხრა ბებერმა. უხეირო არ მოეშვა. რომ ჩაიდო პირში ძუძუ, მოუჭირა კბილები: — მითხარ მართალი. რათ არის გაწყვეტილი ამ ქალაქში კაცები, რომ ბავშვებიღა დარჩენილანო? რაღა უნდა ექნა ბებერს. მანაც უამბო: შვილო ქალაქის ახლოს, ზღვაში ერთი რკინის კაცია. იმ რკინის კაცს ერთი

მოტაცებული ქალი უზის კოშკში; როცა ის ქალი გარეთ გამოვა, შუქი ქალაქში შემოდგებაო. ხომ გახსოვს, სახლის კედლებს რომ ვქოლავდი, არ მინდოდა შენ ივისი შუქი დაგენახა; ახალგაზრდა ხარ, წაგახდენდაო. ამ ქალაქის ხელმწიფეს უნდა ის ქალი, ეომება რკინის კაცს, მაგრამ ვერას აკლებს. იმ რკინის კაცმა ისე გაუწყვიტა ჩვენს ხელმწიფეს ხალხი, რომ ექვსი წლისაზე ზევით აქ მამაკაცს ველარა ნახავ. იმას ვერავინ ვერ მოერევაო. — მაშ რაღა ბიჭი ვყოფილვარ, — თქვა უხეირომ, — თუ ის ქალი არ წავართვიო! იმ ღამეს ისევ ბებერთან გაათია. მეორე დღეს რომ გათენდა, გამოვიდა გარეთ. ცოტა ხნის მერე გამოვიდა კოშკიდან რკინის კაცის ცოლიც და შუქი შემოადგა ქალაქს. გასწია უხეირომ და მივიდა კოშკთან. რკინის კაცი ამ დროს ცაში იყო წასული სალოცავად. უხეირო ქალთან ავიდა.

— აქ რათ მოსულხარ, ვინ ხარ, რა სულიერი ხარო? — ჰკითხა ქალმა — რკინის კაცმა რომ აქ შოგასწროს, ხომ მოგკლა და აღარ დაგარჩინაო. დადის უხეირო ამ ოთახში და იმის ნავალზე სულ ვარდი იშლება. ქალს ძალიან მოეწონა, მაგრამ რკინის კაცს როგორ გადაურჩებოდნენ ცოცხლები! — მაგის ფიქრი ნუ გაქვსო, — უთხრა უხეირომ, — მე ვიცი და რკინის კაცმაო. რომ მოდიოდა ქალისკენ, ბებერმა უთხრა უხეიროს: იმ ქალს შეეხვეწე და ის გამოჰკითხავს, რა მოჰკლავს რკინის კაცსაო. მართლაც შეეხვეწა უხეირო ქალსა: — მითხარ, რა მოჰკლავს რკინის კაცსაო? — მე არ ვიცი, — უთხრა ქალმა, — ის არავის არ ეტყვისო. კიდევ შეეხვეწა ვაჟი ქალს, რომ რკინის კაცისთვის როგორმე ეთქმევინებინა. — კარგიო, — უთხრა ქალმა, — შენ წადი, დაიმალე, და მე ვიცი თვითონაო. შუადღისას რკინის კაციც მოვიდა. ჩამოეკიდა ყელზე ქალი, დაუწყო ალერსი და ჰკითხა: — მითხარი, გენაცვა, რამდენი მტერი გყავს, შენი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია, რა მოგკლავს, მაშინ შენ თავს უფრო გავუფრთხილდებიო! — რკინის კაცმა უთხრა, რომ ჩემ შარდში დასველებული იარაღის მეტი ვერაფერი მომკლავსო, ისიც თუ იღლიის ძირში დამკრესო. თუ იღლიის ძირში არ დამკრეს, არ მოვკვდებიო.

აღგა ქალი ამ ლაპარაკის შემდეგ და, როცა დრო იპოვა, სადაც დევი შარდზე დგებოდა, იქ ორი დიდი ნაჯახი მიაყუდა. მართლაც დევი შარდზე მიმდგარიყო, ეჭვი ვერაფრისა აეღო. როცა რკინის კაცი წავიდა კიდევ სალოცავად, მივიდა უხეიროცა, მოამზადა ორივე ნაჯახი და დადგა საომრად. მოვიდა რკინის კაცი და შეიბნენ. დიდხანს იბრძოლეს ძალიან, ოფლი სულ წყალივით სდიოდათ. ბოლოს

დასცა უხეიროს და დასცხო იღლიის ძირში ხაჯახი, მაგრამ ერთი ნა-ჯახი გატყდა; მაშინ მეორე დასცხო და იქვე სული გააფრთხობინა. ამის შემდეგ დაიწყო ქალთან კოშკში ცხოვრება და ფეხს აღარსადა სდგამდა, აღარა შორდებოდა ქალსა.

გაიგო ხელმწიფემ, რომ რკინის კაცი მოკლეს, და ის მზეთუნახავი ახლა სხვა კაცსა ჰყავსო. შეკრიბა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა: უეჭ-ველად ის ქალი როგორმე ხელში უნდა ვიგდოო. ომით ვერას გავ-ხდებითო,—თქვეს ვეზირებმა, ისევ ხერხით როგორმე თუ შევძლებთ მაგ საქმესაო.

ამ დროს მოვიდა ხელმწიფესთან ერთი ბებერი და მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფევ, დამაკარით ფიცარზე, ჩამაგდეთ ზღვაში და მე მოვიყვან იმ ქალსაო. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა. მაშინვე დააკრეს ბებერი ფიცარზე და შეაცურეს ზღვაში. მიცურდა ბებერი კოშკის ძირში და დაიწყო ყვირილი: — მიშველეთ, ვინა ხართ ქრის-ტიანი, გამომხედეთ, ზღვაში ვიხრჩობი, თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ რამეო. გამოიხედა უხეიროს, დაინახა ფიცარზე დაკ-რული წყალში ჩაგდებული ბებერი. ქალს უთხრა: — ჩავალ, გამო-ვიყვან, მადლიაო. — ეს ჩვენი მტერია, დაანებე თავიო, — უთხრა ქალმა.

უხეიროს მაინც არ დაიშალა, ერთმა წვინტლიანმა ბებერმა რა უნ-და მიყოსო. — რომ ინანო, მე ნუღარ დამაბრალებო, — უთხრა ქალ-მა. ჩავიდა უხეიროს, გადაარჩინა ბებერი და ამოიყვანა კოშკში.

ბებერი ემსახურება ერთგულად, ყველაფერს მშვენივრად აკე-თებს. ამ დროისთვის იშოვა ბებერმა ბანგი, შეაზავა ღვინო და შეი-ნახა. გაუკეთა ერთხელ სადილი და მოართვა ეს ღვინოც. თვითონ ღვინოსა სვამს ბებერი, ქალ-ვაჟს კი ბანგნარევს ასმევს. ცოტა ხნის შემდეგ ქალსაც და ვაჟსაც მიეძინათ.

ეს ბებერი კუდიანი იყო. იცოდა, რომ უხეიროს ვერაფერი მოჰკ-ლავდა თუ, თავში რომ სამი თმის ბეწვი ჰქონდა, იმას არ ამოაძრობ-დნენ. მივიდა, ამოაძრო თავიდან ის სამი ბეწვი, შეახვია წითელ ჩვარში და ზღვაში გადაუძახა. უხეიროც მოკვდა მაშინვე. მერე შე-უკრა ფეხები, მოაბა ერთ ჭადარს ფეხებით და ყელთავქვე ჩაჰკიდა ქვევრში; ქალი კი მოიგდო ხელში, ჩაისვა ნავში და მოუსვა ხელმწი-ფისაკენ. გამოიღვიძა ქალმა, მიიხედ-მოიხედა, ნახა რომ თავის სახლ-ში არ არის. მიხვდა ყველაფერს და დაიწყო ტირილი. მერე ჩაჯდა საბრელოში და ხმა აღარავისათვის გაუცია. ეფერება ხელმწიფეც, ცდილობს, როგორმე მოიგოს მისი გული, მაგრამ ტყუილად.

ამ დროს დევებთან დატოვებული ბურთი სისხლის წვეთას დაიწყებს. „უხეიროს უკირსო“ — თქვეს დევებმა. მაშინვე წავიდნენ უხეიროს საძებნელად, მოსდევენ მის ნავალზე გაშლილ ვარდს და მოვლენ ამ კოშკთან. გადავლეს და ნახავენ, რომ მკვდარი უხეირო ყელთავქვე ჩაკიდებულია ქვევრში. შემოიკრეს თავ-პირში, მაგრამ ტირილით რას არგებდნენ? ბოლოს თქვეს: უნდა შევიტყოთ, ის თმები სად არის, ვის ხელშია. ერთმა თქვა: მე ხმელეთზე გავიგებ, ოუ სადმე არისო. მეორემ თქვა: მე ცაში შევიტყობო. მესამემ თქვა: მე ზღვაში მოვძებნიო. ეძებეს ხმელეთზე — არ იყო; აძებნინა მეორე დევმა ფრინველებს ცაში — არც იქ იყო. ზღვის თევზთა მეფე მესამე დევის სიძე იყო. დაუძახა სიძეს და სთხოვა: — აბა, შემიტყვე, სამი ბეწვი თმა ხომ არავის ჩაუყლაპავს შენს საბრძანებელშიო. დაუძახა თევზთა ხელმწიფემ თევზებს, დიდსა და პატარას, მოვიდა და მოვიდა თევზი! ამა და ამნაირი ბეწვები ხომ არავინ ჩაყლაპეთო, ჰკითხავს ხელმწიფე. ყველამ უარი თქვა: არაფერი არ გვინახავსო. ხომ არავინ გაკლიათო? — ჰკითხა ხელმწიფემ. — როგორ არა. დიდებული ხელმწიფევ, ერთი ბებერი თევზი გვაკლია, ზღვის ძირზე წევს, სიბერით ვერ იძვრისო. ხელმწიფე მაშინვე იმისკენ დაეშვა. ბებერმა უთხრა: — ეს არის ახლა მოიტანა წყალმა წითელ ჩვარში შეხვეული და მე ჩავყლაპეო; ოღონდ ნუ მომკლავთ კი და ჭიქყინები ჩავიდნენ ჩემს მუცელში და ამოიღონო. ჩაგზავნეს ჭიქყინები, ამოიტანეს ეს ბეწვები და მიუტანეს დევებს. მიუს-მოუსვეს თავზე ეს ბეწვები უხეიროს, გაუხსნეს ფეხები და საღ-სალამათივით მაშინვე ფეხზე დადგა.

— ოჰ, რა ბევრი მძინებიაო! — თქვა.

— ბევრი ვეძინებოდა, რომ ჩვენ არ მოვსულიყავითო, — უთხრეს დეკებმა.

ოთხმა მეგობარმა გამოსწია ქალისაკენ. სულ აიკლეს ხელმწიფის საცხოვრებელი. ხელმწიფეც მოკლეს და ქალიც წამოიყვანეს. იქორწინა უხეირომ. შეირთო ცოლად ეს მზეთუნახავი და მრავალ წელს ბედნიერად იცხოვრეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით —
საიქიოს ცხონებითა!

ხუთკუნჭულა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ ცხრანი ძმანი. ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ იმათას ვერც არას ცეცხლი დასწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა. ნახევარზე მწივრები იყვნენ. ბოლოს თქვეს ძმებმა: წავიდეთ, ან ძოკამაგირედ ვისმე დავუდგეთ ან კიდევ ვიმუშაოთ, ღლიერი ლუკმა ვიშოვოთო. წავიდნენ. იარეს და ერთს ქვეყანაში მივიდნენ. იქ ერთი დევი შეხვდათ. დევმა ჰკითხა: — სად მიდიხართო? ამათ უპასუხეს: — სამუშაოდ, ლუკმის საშოვნელად. გვინდა მოკამაგირედ ვისმე დავუდგეთო.

— მე დამიდექითო, — უთხრა დევმა.

— კარგაო, — უპასუხეს ძმებმა.

წაიყვანა დევმა და წაიდნენ. დევს ცხრა ქალი ჰყავდა. მასთან აუარებელი საქონელი, ძროხა და ცხენი. იმ ღამეს დევმა კარგი ვახშამი აქმა, ღაღვინა და თვითონაც დაუწყო თვალის ბერა. თუ როდის დაეძინებოდათ. რვა ძმასა სძინავს, ხუთკუნჭულა კი, უმცროსი ძმა, არ იძინებს, ლოგინში წევს და დევზე აქვს თვალი.

— დაგეძინათო? — დაუძახებს დევი.

— არაო, — უპასუხებს ხუთკუნჭულა.

— რა არ გაძინებსო? — ჰკითხავს დევი.

— შენი ბატების ყიყინიო, — უპასუხებს ხუთკუნჭულა. წავა მაშინვე დევი, გადაჰყლაპავს ბატებს და ცოტას მოიცდის.

— დაგეძინა თუ ისევ გღვიძავსო? — ჰკითხა ხელახლა დევმა.

— არაო, — უპასუხებს ხუთკუნჭულა.

— რა არ გაძინებსო? — ჰკითხა ხელახლა დევმა.

— შენი ძროხების ფეხის ხმაო, — უპასუხებს ხუთკუნჭელა. წავა დევი, გადაჰყლაპავს ძროხებს და დაბრუნდება; დაეგდებს ყურს, ყველას სძინავს ვითომ.

— დაგეძინაო? — დაუძახა ხუთკუნჭულას.

— არაო, — უპასუხებს ისევ ხუთკუნჭულა. — რა არ გაძინებსო? — დაუძახებს გაცეცხლებული დევი. — შენი ცხენების ჭიხვინიო, — უპასუხებს ხუთკუნჭულა. დევი ისევ წავა. ახლა ცხენების დასაჭმელად. ამ დროს ადგება ხუთკუნჭულა, აიღებს დევის ქალების ტანისამოსს და ძმებს დაუწყობს, ძმების და თავის ხანჯლებს და ტანისამოსს დევის ქალებს, და გაიტრუნავს სულს, თითქო დაეძინაო. მოვა დევი, დაუვლის თავის ქალებს — ვაეები ჰგონია, დასჭრის თავებს და დაჰყრის. ხუთკუნჭულა ჩააცმევს ძმებს ქალების ტანისა-

მოსს, მათ კი გაისტუმრებს ეტყვის, თქვენ წადით, ხიდს გადითო. თვითონ იქ დარჩება. მეორე დღეს ქალად ჩაცმული დევს ეტყვის:

— ხორცს ჩავყრი, ის ვაჟები რომ დავხოცეთ იმათას, და მეც ჩემს დებთან წავალ, საყდარში წავიდნენო.

— კარგი, წადი, — ეტყვის დევი. წავიდა ხუთკუნჭულა და ვავიდა ხიდს, ამოიღებს ხორცს დევი, ჭამს, და აკი ძუძუები ამოუჩნდება! მაშინვე ეტყვის: ეს ხუთკუნჭულამ მიყოო. აგდებს ხორცს და გამოუდგება ხუთკუნჭულას. კარგა გზას გაივლის და დაუძახებს:

— ხუთკუნჭულავ, გამასწარ ხიდსაო?

— გაგასწარ და თვალიც მოგთხარეო! — უპასუხებს ხუთკუნჭულა. ის ხიდი დევისა და ერთი ხელმწიფის საზღვარზე იდო. იმ ხიდს დევი ვერ გავიდოდა და ძალიანაც ეშინოდა. ამიტომ, რაკი ხიდს გავიდა ხუთკუნჭულა, სამშვიდობოს იყო გასული.

დაბრუნდა დევი სახლში კბილის კრაჭუნით. ძმები კი წავიდნენ და მივიდნენ იმ ხელმწიფესთან, ახლა მას დაუდგნენ მოჯამაგირედ. ძმები აუხირდნენ ხუთკუნჭულას, მოინდომეს იმისი თავიდან მოშორება. ხელმწიფეს უთხრეს:

— ერთ დევს ერთი თხა ჰყავს. ის თხა გულთმისანია და, რასაც ან ნახავს, ან გაიგონებს, ყველაფერს იტყვისო. ის თხა რომ მოიყვანოს, კარგი იქნებაო. ის თხა იმ დევისა იყო, ვისთანაც ძმები იყვნენ. ხელმწიფემ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა:

— წადი და ამა და ამ დევს რომ თხა ჰყავს, აქ მოიყვანეო; თუ არ მოიყვან, ვერაფერი გიხსნისო. რას იზამდა ხუთკუნჭულა! ადგა და წავიდა თხის მოსაყვანად. მივიდა დევის სახლში და დაენახა თხას. თხამ დაუძახა დევს:

— ხუთკუნჭულა, ხუთკუნჭულაო! — გავიდა დევი გარეთ, ეძებს ხუთკუნჭულას. ხუთკუნჭულა კი კარის უკან არის დამალული. ეძებს დევი, მაგრამ ტყუილად. ხუთკუნჭულა კიდევ დაენახა თხას. თხა კიდევ დაიძახებს. ხუთკუნჭულას კიდევ ეძებს დევი, მაინც ვერა პოულობს. ბოლოს გაბრაზებული გადაისვრის თხას გარეთ. ხუთკუნჭულა დაავლებს ხელს, გაიქცევა და გავარდება ხიდს. დევი იფიქრებს: „ბიჭო, იქნება ის ოხერი ხუთკუნჭულა მართლა სადმე იყოს, თხა მომტაცოს და წაიყვანოსო“, და გამოიხედა გარეთ, სადღაა თხა! იმის კვალიც აღარ იყო. მაშინვე გამოეკიდება დევი, ირბენს და მოუახლოვდება ხიდს:

— ხუთკუნჭულავ, გახველ ხიდს თუ არაო?

— თვალი კი არ მოგთხარეო! — მოაძახა ხუთკუნჭულამ და წაი-

ყვანა თხა. დევი შინ დაბრუნდა გაბრაზებული. მოუყვანა ხუთკუნჭულამ თხა ხელმწიფეს; ძმებს კი, რასაკვირველია, ვერაფრად ეპიტნავათ. ხელმწიფეს უთხრეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, მაგ თხის პატრონს ისეთი ხალიჩა აქვს, რომ მისი ფასი დედამიწის ზურგზე არაფერი იქნებაო. თუ ხუთკუნჭულამ მისი თხა მოიყვანა, ხალიჩასაც მოიტანსო. ხელმწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა, უნდა წახვიდე და იმ დევს რომ ერთი ხალიჩა აქვს, ის მოიტანოო. ხუთკუნჭულას რა მეტი ღონე ჰქონდა! ადგა და წავიდა. ხელმწიფეს კი მოახსენა, რომ ერთი მუჭა ნემს-მახათი მიბოძეთო. მისცეს და წაიღო. ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა დევის სახლში, შეიპარა, სადაც ხალიჩა იყო დაგებული, და დაარჭო ხალიჩაში ნემსები. მოვა დევი, დაჯდება ნემსებზე — შეერჭობა, იქით გადაიწევს—იქიდან შეერჭობა, აქეთ გადმოიწევს — აქედან. ბოლოს, რაკი ძალიან შეწუხდა, მოავლო ხელი ხალიჩას და გადაუძახა გარეთ. დაავლო ხელი ხალიჩას ხუთკუნჭულამ, გააქცია და გავარდა ხიდს. დევმა იფიქრა: „ის ეშმაკი ხუთკუნჭულა კი არ იყოს სადმე და ის ხალიჩა არ წაიღოსო“. გამოიხედა, შაგრამ სადღაა ხალიჩა! ღარჩა დევი ხახაცარიელი. გამოეკიდა ხუთკუნჭულას და დაუძახა:

— ხიდს გახველი, ხუთკენჭულავ, თუ არაო?

— გაველ და თვალიც მოგთხარეო! — უპასუხა ხუთკუნჭულამ. მოვიდა და მოუტანა ხალიჩაც. ძმებს უფრო მოუვიდათ გული. ხელმწიფეს მოახსენეს:

— ხუთკუნჭულამ მაგ თხისა და ხალიჩის პატრონიც მოიყვანოსო. ძალიან კარგი რამ სახილველი იქნებაო. დაიბარა ისევ ხუთკენჭულა ხელმწიფემ და უთხრა:

— უნდა წახვიდე და ამ ხალიჩის პატრონიც აქ მოიყვანოო.

— კარგიო, — მოახსენა ხუთკუნჭულამ. — მაგრამ ერთი ხელი იმერული ტანისამოსი კი მიშოვეთ და ხუროს იარაღები, რაც რამ არისო. ხელმწიფემ უშოვა, ჩაიცვა ხუთკუნჭულამ, აიღო ხელში ხერხი, ეჩო, ხუსტარა, საწარბელა, შალაშინი და გასწია. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დევის საბრძანებელში. უცებ დევს შეხვდა ტყეში.

— ოჰ, შენ არა ხარ ხუთკუნჭულაო? — დაუძახა დევმა.

— აი, ასე და ისე მოუვიდეს ხუთკუნჭულას და ჩემი ცოდო ნუ დაულიოს ღმერთმაო, — უთხრა დევს ხუთკუნჭულამ. — იმ ვერანას ეშველოდი, იმერელი ვარ, არაფერი მომცა და გამომაგდოო. დევმა მართლა დაუჯერა.

— თუ იმერელი ხარ, — ჰკითხა, — მაშ შენ კაი ხელობა გეცოდინება. რას გააკეთებ საკვირველსაო?

— ვე ისეთს კიდობანს გავაკეთებ, — უთხრა ხუთკუნჭულამ, — რო შიგ ჩაჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინოო.

— აბა გააკეთეო, — უთხრა დევმა. საჩქაროდ გააკეთა კიდობანი ხუთკუნჭულამ და უთხრა დევს:

— აბა ჩადი, ნახე, ძირს გააგდებინებ თუ ვერაო. — ჩაჯდა დევი. ჰკრა წიხლი და გააგდებინა. გააკეთა მეორედ, ჩასვა დევი და უთხრა: — აბა ახლაც გააგდებინებო? დევმა მართლაც ვეღარ გააგდებინა. დაეღერსა და უთხრა: — ფეხით არ იარო, ზურგზედ აგიკიდებ და შენ სახლში ისე მიგიტანო. დათანხმდა დევი. მოიკიდა ხუთკუნჭულამ და ხუსხუს ხელმწიფისაკენ! ხიდს რომ გაეიდა, დევს გულმა გაუგო: — აი, გადამიყვანე განა ხიდსაო? — უთხრა ხუთკუნჭულს და დაიზიდა. მაგრამ სად წავიდოდა. წამოიღო ხუთკუნჭულამ და მოუყვანა ხელმწიფეს. შეიკრიბა მთელი ჯარი, ნაზარ-ვეზირი, ხელმწიფე და სხვა დიდებულები დევის სანახავად. ხუთკუნჭულა კი გაქცა. წაიღო ერთი მარილის ქვა და ავიდა ერთ მაღალ ჭადარზე, იქიდან უცქერის სეირს. ახლდეს კიდობანს. ამოვარდა იქიდან გაგიჟებული დევი, დაერია ხალხს და ყველა ერთად კი მოაქცია თავის ხელმწიფით და რვა ძმით შავ მუცელში.

რაკი ყველა მიყლაპ-მოყლაპა. ხუთკუნჭულას დაუწყო ძებნა და მერე ჭადარზე შეიხედა. იქ მჯდომი ხუთკუნჭულა დაინახა და დაუძახა: — ხუთკუნჭულავ. მაჩწავლე. მანდ როგორ ასვედიო? — ამ მარილის ქვას ხომ ხედავ. — დაუძახა ხუთკუნჭულამ დევს, — ეს მარილის ქვა გულზე დავიდევ. ამოვფრინდი და ამოვედიო. — სად ვიშოვო მაგისთანა ქვაო? — ჰკითხა დევმა. — გულაღმა დაწექი, მე ჩამოვეშვებ, გულზე დაგეცემა და ამოხტებიო, — დაუძახა ხუთკუნჭულამ.

დაწვა დევი გულაღმა. ჩამოუშვა მარილის ქვა. დაეცა დევს და შუაზე გახვრიტა. ამრიგად. ხუთკუნჭულამ დევი მოიშორა თავიდან. ჩამოვიდა ხიდან. ის იმოდენი სარჩო იმას დარჩა. გახდა სიმდიდრისა და შეძლების პატრონი. გახდა ქვეყნის ბატონი და პატრონი. აქვს მუდამ ძველი პური და ძველი ღვინო.

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აკ სიიოიხლო გაგვიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

მეცხვარე გრმა დევი და ფეიქრის შეგირდი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ერთი ბიჭი, მაგრამ ის ისეთი ჯიუტი, კერპი და გაუგონარი იყო, რომ დედ-მამას არაფერს არ უგონებდა. თავი შეაქულა თავისი სიზარმაცით. ადგნენ და, რომ ვეღარა მოაგვარეს რა, ერთ ფეიქარს მიაბარეს შეგირდად.

ერთხელ ფეიქარმა სახლში გაგზავნა გორგლების მოსატანად. წამოიღო ამ ბიჭმაც გორგლები, საფეიქროში უნდა მიეტანა, მაგრამ დახე ებედურებას! გზაზე ბიჭები კოჭაობდნენ. თვითონაც სელმა წასძლია, გორგლები იქვე დააწყო და თვითონ კოჭს ჩაუჯდა. სანამ ის კოჭაობდა, გორგლები ვიღაცამ მოჰპარა და ცარიელი მიბრძანდა ოსტატთან. აბა ოსტატი რა პირს დაუკოცნიდა, მერე ისიც ფეიქარი? სცემა და გააგდო.

წავიდა ბიჭი იქიდანაც. აბა დედ-მამასთანაც რაღა მიესვლებოდა? ძალიან მოშივდა. საგზალი არ ედო და ფული არ ებადა, რომ ეყიდა და ეჭამა. გზაზედაც არავინ არ აჭამა. ძალიან დაიღალა და მოშივდა. ერთ ადგილას ნახა, რომ ერთ დევს ერთი დიდი ფარა ცხვარი გამოურეკავს და აძოვებს. ბიჭმა თქვა: ერთი ავეკვიატები, ეგების რამენაირად სახლში შევუვე. რომ შიმშილით არ მოვკვდე, თორემ აქ ახლომახლო არა ჩანს რა კაცის საზრდო.

როცა დაღამდა, დევმა ცხვარი დაირეკა და წაასხა სახლში. დევს ჩვეულებად ჰქონდა: როცა ფარეხში შერეკავდა ცხვარს, კარებში გაილაჯებოდა, ცხვრებს ისე უშვებდა და თან ხელითა სთვლიდა, ხომ არაფერი დამაკლდაო. ბიჭი ერთ ერკემალს შეუძვრა ქვეშ და, როცა ერკემალი შევიდა, ისიც თან შეყვა. დევმა ზურგზე გადაუსვა ხელი ერკემალს, რას იფიქრებდა, თუ მის მუცელქვეშ ბიჭი იყო დამალული?! დათვალა დევმა ცხვრები, დაკეტა კარები. ერთი ცხვარი გამოიყვანა, დაკლა, მოხრაკა, ნახევარი შეჭამა და ნახევარი დილისთვის შეინახა; მერე დაწვა და დაიძინა.

დევს რომ დაეძინა, ბიჭი მივიდა, შეჭამა ცხვრის ხორცი და ისევ დაიმალა. მეორე დღეს, დევს რომ გამოეღვიძა, ნახა ხორცი, უნდა ეჭამა და ცხვარი გაერეკა, მაგრამ იქ აღარაფერი დახვდა.

დევს გული მოუვიდა. უნდოდა გაეგო, ვინ იყო იმისი ქურდი და დაუძახა: — რა ხარ, რა სულერი ხარ, ხორცი რომ შეგიჭამია. მითხარ და არაფერს გერჩიო. ბიჭმა დაუძახა: — მე შვილი და შენ მამაო! ამდენი და ამდენი ხანია მშიერი ვიყავ, შენს ცხვარს შემოვყევი

და ახლა შენ იცი, რასაც მიზამო. კარგიო, — უთხრა დევმა, — შენ შვილი და მე მამაო. მაინც ღმერთმა სხვა ნუგეში არა მომცა რა, შენ მაინც იყავ ჩემთანაო!

დარჩა იქ ბიჭი და დაიარხეინა გული. დადიოდა ცხვარში და უვლიდა ერთგულად. ისე უფრთხილდებოდა, რომ ერთი ციკნის ყურიც არ დაჭკლებია.

ერთხელ დევმა უთხრა ბიჭსა: შავი მთა რომ არის, შვილო, იმ მთაზე არ გარეკო ცხვარი, თორემ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიო!

ეს რომ გაიგონა ბიჭმა, ძალიან მოუნდა იქით წასვლა. იმ ღამეს აღარც კი სძინებია, გათენებას მოუთმენლად ელოდა. გათენდა თუ არა, გარეკა შავი მთისაკენ ცხვარი. შავ მთაზე რომ ავიდა, ნახა, ერთი შავი მეცხვარე გამოვიდა, შავი კომბალი უჭირავს, შავი ნაბადი ასხია, შავი ცხვარი ჰყავს და შავი ძაღლები. მეცხვარემ დაუძახა: — ვინა ხარ? რა სულიერი ხარ, რომ ჩემ მთაზე მოსულხარ და ცხვარს აძოვებო? — ახლოს მოდი, — დაუძახა ბიჭმა, — ჩხუბს და დავიდარაბას, ნარდი გექნება, მოიტანე, ვითამაშოთ და გაერთოთო! — ძალიან კარგიო!

მოიტანეს ნარდი, ითამაშეს. ბიჭმა ცხვარი სულ წააგო, მხოლოდ ათი სულიღა დარჩა. ბიჭმა სთქვა: „მოდი, კიდევ ვეთამაშები, იქნება ღმერთმა ახლა ჩემსკენ გადმოიხედოს და მოვიგოო. თუ წავაგებ დავკრავ ფეხს და გავიქცევი, სად მიპოვნის ბრმა დევიო?“

ითამაშეს და ამ ბიჭმა სულ კი მოუგო მეცხვარეს ცხვარიც, ძაღლებიც, ნაბადიც, კომბალიც და ცარიელი გაისტუმრა.

საღამოზე მორეკა ცხვარი და დევს დაუძახა: — გამოდი, მამი, ჩადექი კარებში და დათვალეო! გამოვიდა დევი, ჩადგა ფარეხის კარებში და დაუწყო თვლა. თავისი ცხვარი რომ დათვალა, დევი უნდა წასულიყო, მაგრამ ბიჭმა შეაყენა: — კიდეა, მამი, დათვალეო! დევმა დათვალა და ერთი იმდენი კიდევ მომატებია, რაც დევსა ჰყავდა. — აბა, მამი, შენ რომ მითხარი, შავ მთაზე არ წაასხა ცხვარიო, მე იქ წავასხი და ეს ცხვარი სულ ერთ შავ მეცხვარეს მოვუგე ნარდშიო. — კარგი, შვილო, მაგრამ წითელ მთაზე არ წაასხა, თორემ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიო.

ბიჭმა არ დაიწალა და ახლა წითელ მთაზე გარეკა ცხვარი. გამოვიდა წითელი მეცხვარე, გამორეკა სულ წითელი ცხვარი და წითელი ძაღლები, თვითონაც წითელი ნაბადი ასხია და წითელი კომბალი უჭირავს.

— ვინა ხარ, რომ ამ ჩემ მთაზე ცხვარს აძოვებო? — დაუყვირა ბიჭსა.

— წამოდი, ერთი ნარდი ვითამაშოთ, რა დროს ეგენიაო? — დაუძახა ბიჭმა. წამოვიდა წითელი მეცხვარე და ითამაშეს. როგორც შავ მეცხვარეს, ამასაც სულ მოუგო ცხვარი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მერე თეთრ მთაზე წაასხა და იმასაც ისევე მოუგო, როგორც შავსა და წითელსა. იმოდენა ცხვარი შეაგროვეს, რომ აღარ იციან, სად დატიონ. უხარია დევს, რომ ამისთანა შვილობილი იპოვა. ბიჭს უთხრა: — შვილო, ამადაამ ჭალაში არ წახვიდე, თორემ მეც იქ დავბრმავდი და დაიღუპები. განა მუდამ სწყალობს ბედი კაცსაო!

ვაჟმა არ დაიშალა და სწორედ იმ ჭალაში ჩარეკა ცხვარი. ისეთი ჭალაა, თვალს ვერ მოაშორებს კაცი, სავსეა ტყითა და ბალახითა.

გაძღა ცხვარი და დაეყარა. დაკლა ბიჭმაც ერთი ბატკანი, შეწვა, დაჯდა და სჭამს. ამ დროს მოვიდა ერთი ბებერი, დაუჯდა გვერდზე და სთხოვს: — მაჭამე, შვილო, ხორციო! — ბიჭმაც აჭამა. ბატკანი რომ გაათავეს, ბებერმა უთხრა: — ადექი და ერთი ცხვარი კიდევ დაკალიო.— ამ წუთასაო,— უთხრა ბიჭმა, ადგა და უკანიდან მოუარა ბებერს. ბებერი ერთ დიდ ხესთან ზის. ისეთი თმები აქვს, რომ მიწაზე ათრევს. მოუარა ბიჭმა უკანიდან, სტაცა ხელი თმებში, ხეზე შემოახვია და მაგრა დაბა. — მითხარ, როგორ დააბრმავე მამაჩემი, ან რა უშველის, წამალი მომეცი, თორემ ახლავე აგკუწავო!— უთხრა ვაჟმა. ბებერმა უპასუხა: — ოღონდ ნუ მომკლავ და... წადი ჩემ სახლში, იქ ჩემი ქალია, ასე უთხარ: დედაშენმა შემოთვალა, უკვდავების ხელსახოცი რომ მაქვს, ის გამომიგზავნეო. მოგცემს და გეტყვის: დაჯექი, ცოტა ხანს ჩვენთან გული გაართეო, მაგრამ არამც და არამც არ დაჯდე, მაშინვე წამოდი, როცა მიიტანო სახლში, მამაშენს ერთი ოქროს წყარო აქვს, იმ წყაროში დაასველე, მოუსვი თვალებზე და მაშინვე აეხილებაო. შენც თავი იმ წყაროში დაიბანეო.

წავიდა ვაჟი ჯადოქარი დედაკაცის ქალთან. ქალი გამოეგება, შეიყვანა სახლში. ისეთია ეს ქალი, კაცს თვალს მოსტაცებს. ვაჟმა უთხრა: — დედაშენმა შემოგითვალა, უკვდავების ხელსახოცი რომ მაქვს, ის გამომიგზავნეო. მისცა ქალმა ხელსახოცი და თან სთხოვა: — მოდი, დაჯექი ჩემთან პატარა ხან, რა გეჩქარებაო? — ვაჟმა შემოჰკრა ხმალი და შუაზე გაკაფა. წამოიღო ხელსახოცი, ის ბებე-

რიც სულ ლუკმალუკმა აკუწა, წამოასხა ცხვარი და წამოვიდა გახარებული.

სახლში რომ მოვიდა, მამას დაუძახა: — მამი, ოქროს წყარო სადა გაქვსო. — ამა და ამ ეზოში არის, შვილო! — შევიდა ვაჟი, დაასველა წყაროში ხელსახოცი, თვითონაც თავი დაიბანა და სულ ოქროს თმა დაესხა თავზე. წამოიღო ხელსახოცი, მოუსვა მამას თვალებზე და აუხილა. ისეთია დევი, ისე გახარებულია, ჰკოცნის ამ ბიჭს: შენ გენაცვალე, შვილო, ჩემ მხსნელ ანგელოზად მომიფრინდი ზეციდანაო; აბა, შვილო, ვისთვის რა მინდა, ჩემი სარჩო-საბადებელი სულ შენი იყოს, იყავ ჩემთან, ნუღარ მომშორდებიო.

გავიდა ხანი, ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად. მაგრამ ვაჟს მობეზრდა იქ ყოფნა და თავის დედ-მამისა და ქვეყნის ნახვა მოუნდა. დევს უთხრა: — მართალია, მამი, მიყვარხარ, მაგრამ მე სხვა დედ-მამაც მყავს და იმათთვის ძალიან შევწუხდი, მინდა წავიდე, ვნახო ისინიც და ჩემი ქვეყანაცაო.

დევს ძალიან ემძიმებოდა შვილობილის წასვლა, მაგრამ როგორ დაუშლიდა. — კარგი, შვილო, წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მხოლოდ ამა და ამ თავლაში შედი, სამი რაში აბია, აუშვი, ერთზე შეჯექი და ორიც თან წაიყვანე. როცა აღარ გინდოდეს, ძუა გამოაძრე, გაუშვი და, როცა დაგჭირდეს, ამოიღე ძუა, ახსენე და ისევ შენთან მოვლენო.

წავიდა ბიჭი, გამოეთხოვა მამობილს. შევიდა, ნახა, სამი ისეთი რაშია, ერთი მეორეს სჯობია, სამივე შეკაზმული და გამართულია; ერთი შავია, ერთი წითელი და ერთი თეთრი. შავს ერთი ხელი შავი ტანისამოსი და იარაღი აქვს უკან დაკრული, წითელს — წითელი და თეთრს — თეთრი. გამორეკა, ერთზე შეჯდა, ორი თან წაიყვანა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ ქალაქში, სადაც ხელმწიფე იყო; ჩამოხტა, რაშები გაუშვა, მხოლოდ ძუა გამოაძრო, თვითონაც თავზე ერთი ცხვრის მაჩიკი ჩამოიცვა, რომ ოქროს თმა არ გამოსჩენოდა, და მივიდა ხელმწიფის სასახლესთან: მოსამსახურე არა ნებავს ხელმწიფესა, დამიყენონო. არაო, უპასუხეს. ბოლოს მაინც, რაკი აღარ მოეშვა, მებატედ დაიჭირეს. დილით გაირეკავს ბატებს და საღამოთი მორეკავს. რადგან თავზე გამხმარი მაჩიკი ჰქონდა ჩამოცმული, მათ ქაჩალი ეგონათ და ეაჩალ-მებატე დაარქვეს.

ამ ხელმწიფეს სამი გასათხოვარი ქალი ჰყავს. უმცროსი ისეთია, როგორც მზეთუნახავი. ერთხელ უმცროსმა თვალი შეასწრო ბიჭს,

რომ მაჭიკიდან ოქროს თმა ჩამოშლია, ისე ანათებს, როგორც მზე. გულში მისი სურვილი ჩაუვარდა და გადაწყვიტა მას მისთხოვებოდა. ერთხელ თავის დებს უთხრა: — გათხოვება რომ მოგვინდეს, როგორ უნდა ვუთხრათ მამასაო?

დებმა არაფერი უპასუხეს, წავიდნენ და მამას მოახსენეს, რომ გათხოვება მოგვინდა და უნდა გაგვათხოვოო. მამამ დაიბარა თავისი ჯარი-ჯამაათი და ყველანი დაამწკრივა. თავის ქალებს უთხრა, მიდით და ვინც მოგეწონოთ, ის აირჩიეთ ქმრადაო. მივიდნენ ქალები, უფროსმა ვეზირი ირჩია, მივიდა და კალთაში ჩაუჯდა, შუათანამ ნაზირი, უმცროს ქალს კი არავინ მოუვიდა თვალში, იმას ქაჩალ-მებატე უნდა, ის-კი აქ არ არის.

მერე მამამ უთხრა: — აირჩიე, შვილო, შენც ხაქმრო, თუ არაო?

— არა, მამავ, მე ვინც მომწონს, ის აქ არ არისო.

იკითხა ხელმწიფემ, ვინღა გვაკლიაო, და უთხრეს, რომ თქვენი ქაჩალ-მებატეღა გვაკლია, ბატებში იყო და არ წამოვიყვანეთო.

— წადით და მოიყვანეთ ისიცაო, — უბრძანა ხელმწიფემ. წავიდნენ და მოიყვანეს. მივიდა ხელმწიფის ქალი და ჩაუჯდა კალთაში. ისეთია ხელმწიფე, ლამის სიბრაზით თავისი დაემართოს. უფროსი სიძეები ხომ დასცინიან, იგდებენ მასხარად, ქაჩალ-მებატეს მისთხოვდაო. გამოაგდო ორივე მამამაც, ჩავიდნენ და დადგნენ ერთ საცოდავ საბატეში.

ერთხელ ხელმწიფის ცოლი ავად გახდა. დაიბარა სიძეები და უთხრა, ამა და ამ ალაგას რომ წყაროა, თუ იმის წყალს მომიტანთ და დამალევინებთ, მოვრჩები, თუ არადა — მოვკვდებიო. შეესხდნენ უფროსი სიძეები და წავიდნენ წყლის მოსატანად. ქაჩალ-მებატემაც სთხოვა: — ერთი ცხენი მომეცით, იქნება მე მოვიტანოო! — მაგრამ კინწის კვრით გააგდეს: — გასწი, დაიკარგე აქედანაო!

სიძეები რომ წავიდნენ, ქაჩალ-მებატემ გამოხსნა ძუა, ახსენა თავისი შავი რაში. იმ წამს იქ დაიბადა, ჩაიცვა შავი ტანისამოსი, შავი აბჯარი აისხა, წავიდა, მოიტანა და დაჯდა უფროსი სიძეების გასავალ გზაში. როცა მათ გამოიარეს, ბიჭმა უთხრა: — რაც თქვენ წყალი გინდათ, აი, მე მაქვს; შორს რომ არ იაროთ, ვინ იცის, მოხვალთ კი იქიდან კიდეე თუ ვერა, მე მოგცემთ, მხოლოდ თქვენი ყურის ბიბილოები მოიჭერით და მომეცითო.

რაღას იზამდნენ, მოიჭრეს ყურის ბიბილოები. ბიჭმა მისცა წყალი და წამოიღეს. ვაჟმა კი ის ყურის ბიბილოები შეინახა, გაიხადა ტანისამოსი, დააკრა ისევ შავ რაშს და გაუშვა. თვითონ ისევ ძველი

ტანისამოსი ჩაიცვა, თავზე ისევ მაჭიკი ჩამოიცვა და გასწია სახლში.

მოუტანეს წყალი სიძეებმა, მაგრამ ხელმწიფის ცოლი მაინც კიდევ არ მორჩა. დაიბარა უფროსი სიძეები და უთხრა: — სანამ უკვდავების ყურძენს არ მომიტანთ, არ მოვრჩებიო. იმ ვენახს, სადაც ეს ყურძენი ასხია, ღობედ გველვეშაპი ავლია, სარად გველი უდგას და ხვლიკი საყელავად.

წამოვიდნენ უფროსი სიძეები. აბა უმცროს სიძეს რა კაცად ჩასთვლიან?! წამოვიდა ბიჭიც მინდორში, გამოხსნა თეთრი რაშის ძუა, ახსენა და იმ წამში იქ დაიბადა. ჩაიცვა თეთრი ტანისამოსი, თეთრი აბჯარი აისხა, მოახტა რაშს, გააფრინა, გადახტა გველვეშაპის ვენახში, მოკრიფა ყურძენი და წამოიღო. სწორედ იმ გზაზე დაჯდა, სადაც მის ქვისლებს უნდა გამოევლოთ. გამოიარეს იმათაც დაღონებულებმა. — გამარჯობა თქვენიო! — გაგიმარჯოსო! — სად მიდიხართ, ვინა ხართო? — ჩვენ ამადაამ ხელმწიფის სიძეები ვართ, სიდედრი ავად გაგვიხდა, ახლა მივდივართ, უკვდავების ყურძენი უნდა მოვიტანოთ, მაგრამ იმ ვენახს თურმე გველვეშაპი ღობედ არტყია, გველები სარად უდგას და ხვლიკები საყელავადა. არ ვიცით, მივდივართ კი, მაგრამ დავბრუნდებით თუ არა, ეგ ღმერთმა იცისო. — იქიდან მე მოვიტანე ყურძენი, მოგცემთ, თუ ჩემს ცხენს დუმებზე თიოო წიხლს მიარტყმევინებთო. — ოღონდ მოგვეცი და რაც გინდა ჰქენიო, — უთხრეს მეფის სიძეებმა. ჩაახდევინა ნიფხვები, დაუარა რაშმა და ყველას თითო წიხლი უთავაზა, ისე რომ რაშის ნალი ზედ ბეჭედივით დააჩნდათ. მისცა ყურძენი და წავიდნენ.

მიუტანეს სიდედრს, აჭამეს და მორჩა.

გავიდა ხანი. ერთხელ ერთმა ხელმწიფემ შემოუთვალა ამათ სიმამრს, უნდა გეომო და მოემზადეო. ამან შეუთვალა: მე მზადა ვარ, შენ მოემზადეო. მოემზადნენ უფროსი სიძეები წასასვლელად. — ქაჩალ-მებატე გააგდეთ, არ მოკლას ვინმემაო, — თქვეს სიძეებმა და გააგდეს.

ქაჩალ-მებატე გავიდა მინდორში, მოიშვლიპა თავიდან ცხვრის მაჭიკი, გამოხსნა წითელი რაშის ძუა, ისიც იმ საათში იქ დაიბადა. ჩაიცვა წითელი ტანისამოსი, წითელი იარაღი აისხა, შეჯდა წითელ რაშზე და გასწია, სადაც ომი იყო. სწორედ იმ დროს მოვიდა, როცა მისი სიმამრი ხელმწიფე უკვე დაემარცხებინათ და გაქცევას აპირებდა. შეუტია ვაჟმა, ხოცა და ხოცა; რაც მან დახოცა, ორი იმოდენა მისმა რაშმა. თავზარი დაეცა მტრის ჯარსა; აირივნენ და სულ თხე-

ბივით გაიფანტნენ. ქაჩალ-მებატე ხელში დაჭრილიყო. ხელმწიფემ თავისი ხელსახოცით შეუხვია ჭრილობა და დიდი მადლობა გადაუხადა.

ხელმწიფე გამარჯვებული დაბრუნდა თავის სახელმწიფოში. ბიჭიც წავიდა, გაიხადა იქ ტანისამოსი, დააკრა ისევ რაშსა და გაუშვა. თვითონ ისევ მაჭიკი გაიკეთა და მივიდა ცოლთანა. უამბო: ასე და ასე იყო ჩემი საქმეო. დაიპატიჟა ხელმწიფემ თავისი ქვეშევრდომნი, გაუშალა სუფრა და თვითონ მეღვინედ დადგა: უნდა ნახოს, ვისა აქვს მისი ბაღდადით ხელი შეხვეული და ამით გაიგოს, ვინ იყო ამის გამარჯვების მიზეზი. ჩამოუარა ყველას, მაგრამ იმის ბაღდადი არავის აღმოაჩნდა. — აკლია კიდევ ვინმე თუ არაო? — იკითხა ხელმწიფემ. — ქაჩალ-მებატეღა აკლიაო, — მოახსენეს. — მოიყვანეთ და დააგდეთ სადმეო.

მოიყვანეს და ყველაზე ბოლოს დასვეს. ქაჩალ-მებატეს ეცინება გუნებაში.

დაუსხა და მიაწოდა თასი ხელმწიფემ. გამოუწოდა ხელი ქაჩალ-მებატემ. ხელმწიფემ იცნო თავისი ბაღდადი.

— შენ ვინ მოგცა ჩემი ბაღდადიო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— შენ თვითონ შემიხვიე ამით ხელი, ომი რომ გათავდაო, — უთხრა ვაჟმა.

ხელმწიფეს არა სჯეროდა. მაშინ მოიშვლიპა თავიდან მაჭიკი ბიჭმა და ოქროს თმამ კი გამოანათა. ისეთია ხელმწიფე, თვალებს არ უჯერებს.

— რად გიკვირს, დიდებულო ხელმწიფევ, შენი უფროსი სიძეები რომ დამცინოდნენ, ჩემი ყმები არიან, აბა ყურის ბიბილოები უნახეთ, რა უყვესო. თქვენ რომ უკვდავების წყლისთვის გამოგზავნეთ, მაგათ მე მივეცი და სამაგიეროდ ყურის ბიბილოები დავაჭერო. აბა ნახეთ, თუ არ გჯერათო. — ნახეს, მართლა, ყურის ბიბილოები დაჭრილი აქვთ. — აბა, ახლა ნიფხვები ჩახადეთ, ნახეთ, დუმებზე ჩემი ცხენის ნალები ატყვია თუ არაო? ნახეს, მართლა ასეა.

ამის შემდეგ ხელმწიფემ ძალიან შეიყვარა თავისი უმცროსი სიძე და დიდი ქორწილიც გადაუხადა. როცა ხელმწიფე მოკვდა, ხელმწიფობა იმას დარჩა და ქვისლებიც მისი ყმები გახდნენ. დედ-მამაც მოიყვანა და იცხოვრეს ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

დედაბრის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს დიდხანს არ ჰყავდა ვაჟი. ბოლოს ეყოლა. ხელმწიფე თავის შვილს ძალიან უფრთხილდებოდა და არსად უშვებდა სასახლის გარეთ. ერთხელ ხელმწიფის შვილი სწორებში მშვილდ-ისრობასა თამაშობდა. ამ დროს წყლიდან ერთი ბებერი მოდიოდა და წყლიანი კოკა გამოატარა ბავშვების ახლოს. ბიჭებმა უთხრეს ხელმწიფის შვილს: — აბა, აიმ კოკას თუ გაუტეხავ იმ ბებერსაო? — ხელმწიფის შვილმა ჩააგდო ისარი კილოში და ესროლა. ისარი მოხვდა კოკის ძირს, გატეხა და წყალი კისერზე გადაესხა ბებერს. მობრუნდა ბებერი, უნდა დაეწყევლა კოკის გამტეხი, მაგრამ, რაკი დაინახა, რომ ხელმწიფის შვილი იყო, უთხრა: — ხელმწიფის შვილო, დასაწყევლად მენანები, დედისერთა ხარ, მაგრამ გეტყვი: ცხრა დევ ძმას რომ და ჰყავთ, იმის სურვილიმც ჩაგვარდნია გულშიო.

ხელმწიფის შვილმა ეს დაიხსომა.

ხანი გადიოდა. ხელმწიფის შვილი გაიზარდა. ახლა ხელმწიფე იმის საცოლესათვისღა ზრუნავდა. გაუგზავნეს ხელმწიფის შვილს საკითხავად, ვინ გინდა ცოლად რომ შეგრთოთო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: — თუ იქნება, ცხრა ძმა დევს რომ ჰყავთ და ის იყოს, თორემ მე არც ცოლი მინდა და არც ხელმწიფობაო. — დაღონდა ძალიან ხელმწიფე: ცხრა ძმა დევის და საიდან უნდა მოვგვარო ჩემ შვილსაო! ხელმწიფემ დაიბარა შვილი და უთხრა: — შენგან არჩეულ საცოლეს მე ვერას გზით მოგგვრიო. — შვილმა უთხრა: — დედაბრის შვილი და მე წავალთ და მოვიყვანთ იმ მზეთუნახავსაო. — ხელმწიფე ჯერ არ დაჰყვა, შვილი როგორ უნდა გავგზავნო დევებთანაო, ბოლოს დაიყოლია, როგორც იყო, შვილმა. ხელმწიფემ დაიბარა დედაბრის შვილი და უთხრა: — ჩემს შვილს შენ გაბარებო. დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი სწორები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ.

დედაბრის შვილი ძალიან ღონიერი იყო: ქვას რომ ხელს მოუჭერდა, მაშინვე ფქვილად აქცევდა, და ძალიან ჭკვიანიც იყო. დედაბრის შვილმა უთხრა:

— მშვილდ-ისარი გამიკეთეთ რკინისა და წავალთო. — დაიბარეს მჭედლები, გააკეთებინეს თხუთმეტლიტრიანი მშვილდი და მიუტანეს დედაბრის შვილს. მოსწია დედაბრის შვილმა და მიგრიხ-მოგრიხა. გააკეთებინეს ოცლიტრიანი, იმასაც ასე უყო; ოცდახუ-

თიანი — იმასაც. ბოლოს გააკეთებინეს ორმოცლიტრიანი. ეს კი კარგად მოხვდა ხელში დედაბრის შვილს; გადიკიდა მხარზე და გაუდგნენ გზას.

სანამ იმათი სახელმწიფო იყო, იგნებდნენ გზას, მაგრამ მერე კი აღარ იცოდნენ, საითკენ წასულიყვნენ. ბოლოს დედაბრის შვილმა უთხრა: — გავკრავ ისარს და ჩვენ გავყვეთ მის კვალსაო. — ჩაგდო კილოში ისარი, მოზიდა ბაწარს და გასტყორცნა. წავიდა ისარი, გადაიარა შვიდი მთა და ჩაესო შვიდი ძმა-დევების ბაღში. დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი გაჰყვნენ ისრის კვალს. ზოგან ხე იყო ისრისაგან მოტეხილი, ზოგან მთას ჰქონდა პირი მოგლეჯილი. იარეს, იარეს და მიადგნენ დევების სახლ-კარს. დევებს ვენახი ჰქონოდათ, ღვინო ესვათ. შევიდნენ შიგ: ხილსა ხილობდნენ და ჩრდილსა ჩრდილობდნენ.

დევების დედა მაღლა იჯდა ბანზე. ჭადარივით ტარი ეჭირა ხელში და ზედ დოლაბი ჰქონდა კვირისტავად. დევის დედამ თქვა: — ვინ არიან ეგენი, რომ აქ მოსულანო? ჩემი შვილების შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუფრენია, ეგენი კი მანდ დასეირნობენო. — აიღო და გადმოაგდო კვირისტავი და დაუძახა დედაბრის შვილს: — წამოდი, შვილო, კვირისტავი გადმომივარდა და ამომაწოდეო. — მივიდა დედაბრის შვილი, მოავლო ხელი დოლაბს, ესროლა ამ ბებერს და კბილები შეამტვრია. ბებერმა დაუძახა: — შე დამეხილო, რატომ ფრთხილად არ ამოაგდეო. — აი, შე სულელო ბებერო, — დაუძახა დედაბრის შვილმა, — იქნებ შენა გგონია, რომ მე მომატყუებ; განა არ ვიცი რადაც გადმოაგდეო?

საღამოზე მოვიდნენ შვიდნი ძმანიც, მოიტანეს შვიდი ირემი, შვიდი ჭადარი და დაყარეს კარებზე. დევებმა დაინახეს დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი და უთხრეს ერთმანეთსა: — კარგი ვახშმის ჩიტებია, რატომ საშამფურეები არ მოვიტანეთ, რომ შეგვეწვაო? — მერე დაუძახეს: — ჩვენი შიშით ცაზე ფრინველი ვერ გადაივლის და თქვენ როგორ გაბედეთ, რომ ჩვენს ვენახში ხილსა ხილობთ და ჩრდილსა ჩრდილობთო? — დედაბრის შვილმა დაუძახა:— თქვენ ბაღში გვიშლით სიარულს და მე ვახშმადაც თქვენსას ვიქნებიო! დევებმა იფიქრეს: ღონიერი რომ არ იყოს, ეგრე გულადად ვერ ილაპარაკებდაო. დაატყავეს ირმები, ჩაკაფეს ქვაბში და დაუძახეს დედაბრის შვილს: — წამოდი, ქვაბი შემოგვიკიდეო! — გამოცდა უნდოდათ დედაბრის შვილისა. დედაბრის შვილი მივიდა, მოავლო ხელი ქვაბს და შედგა ცეცხლზე. მოიხარშა ირმები; მოიტანეს დევებმა ვახშამიც. დედაბრის შვილმა უთხრა:

— მე უღვინოდ არ შემიძლია ჭამა და არც ამ ხელმწიფის შვილსაო. — დევებმა უთხრეს: — ღვინო გვაქვს, მაგრამ ძალიან ძირს არის ჩადგმული და, სანამ გავთხრით, კიდეც გათენდებაო. დედაბრის შვილმა მოითხოვა: ბარი მომიტანეთო, და ასწავლებინა, სადაც ღვინიანი ქვევრი იყო. მივიდა, გადააცალა ზევიდან მიწა, მოანგრია ქვევრის ნაპირები, ამოსწია ოთხმოცჩაფიან ქვევრს, ამოიდო იღლიაში და მოიტანა კერაზე. იმ ღამეს კარგად დალიეს.

მეორე დღეს გასწიეს თავიანთ გზაზე. დედაბრის შვილმა სტყორცნა ისარი; ისარმა გადაიარა რვა მთა და დაეცა რვა ძმა დევის კარებზე. გაჰყვნენ ისრის კვალს და მიადგნენ დევების სახლს. შევიდნენ ბაღში და ხილი იხილეს. ის ღამე რვა დევთან გაატარეს. მეორე დღეს დედაბრის შვილმა ისროლა ისარი, ისარმა გადაიარა ცხრა მთა და ჩაერჭო დევების სახლის კარებში. გაჰყვნენ ისრის კვალს და მივიდნენ ბოლოს ცხრა ძმათ სადგომთან. შევიდნენ ბაღში, მიიარ-მოიარეს და ვაშლთან მივიდნენ; ვაშლის ძირში ჭიანი ვაშლი ეყარა. ხელმწიფის შვილმა აიღო და დაუწყო ჭამა, დედაბრის შვილი გაუჯავრდა: — განა ვაშლი დაილია, რომ ჭიანსა სჭამო? მოავლო ერთ რკინას ხელი, ესროლა ვაშლს, ჯერ ზევით აახვეტინა ვაშლის ტოტები, მერე ძირს წამოვიდა და ჩამოამტვრია. ვაშლი ყვითლად გაიშალა ხელმწიფის შვილის ფეხებთან.

დევების დედა მაღლა მჯდარიყო და ართავდა. დაინახა თუ არა ბაღში დაუპატიჟებელი სტუმრები, დაუძახა: — თქვენ რა ხალხი ხართ, რომ ჩვენს ბაღში შემოსულხართო? ჩემი შვილების შიშით ცაზე ფრინველი ვერ გადაივლის, მიწაზე — ჭიანჭველა, და თქვენ ხილსაც ჰხილობთ, ჩრდილსაც ჩრდილობთ და ვაშლსაც ამტვრევთო? — ამაღამ ვახშამსაც თქვენთანა ვჭამთო! — დაუძახა დედაბრის შვილმა. დევების დედამ იფიქრა, რომ არ შეეძლოს, აგრე ამაყად არ ილაპარაკებდაო. მოდი, კვირისტავს გადვუგდებ და, თუ მოერია და ისევ ამოაწია აქნობამდე, ღონიერი იქნებაო. გადმოაგდო კვირისტავად ნადები დოლაბი და დაუძახა დედაბრის შვილს: — არიქა, კვირისტავი გადმომივარდა და მომაწოდეო! — მივიდა დედაბრის შვილი, მოავლო ხელი დოლაბს და გაანება თავი ბებრისკენ. დოლაბი მოხვდა კბილებში ბებერს და სულ ერთიანად ჩაალეწა. დევების დედას ერთი კბილი ქვესკნელში ჰქონდა ჩაშვებული და ერთიც ცაში ჰქონდა მიბჯენილი.

საღამოზე მოვიდნენ ძმანიც, მოიტანეს ცხრა ირემი და ცხრა ხმელი ხე. დაინახეს დედაბრის შვილი ბაღში და გაუხარდათ: საჭმელი გაგვჩენიაო. ერთ ძმას შინ შესვლა მოუნდა, მაგ-

რამ შეიჭედა, ველარ შეეტია: დედაბრის შვილის ისარს ნახევარი კარები დაეჭირა. ცხრა ძმა დევმა ბევრი ებრძოლა, მაგრამ ვერ ამოიღეს დედაბრის შვილის ისარი. ბოლოს იფიქრეს, ეგ ძალიან ღონიერი უნდა იყოს, რომ ისარიც ვერ დავძარით იმისიო. ბოლოს იმათაც ისა თქვეს: დავუძახოთ და ქვაბი შევადგმევინოთო. ჩაკაფეს ირმები, ჩაყარეს ქვაბში და დედაბრის შვილს დაუძახეს: — შენ ქართველი იქნები, წამოდი, ერთი თქვენებურად მოგვიხარშე ხორციო! — ჩვენებურად მოგიხარშავთ და ჩვენებურად ვჭამოთო, — მიუგო დედაბრის შვილმა. — აიღო ოთხყურა ქვაბი, რომელსაც ოთხი ძმა ძლივს დგამდა ცეცხლზე, შედგა ზედადგარზე. ვახშამზე დედაბრის შვილმა ღვინო მოითხოვა, ჩემი ხელმწიფე უღვინოდ ვერა სჭამს პურსაო! დევებმა იფიქრეს: თუ ყმა ასეთი ღონიერია, ხელმწიფე რაღა იქნება, მოდი, მოვეფეროთ, რომ არ დაგვხოცონო. — ერთი წლის სათვალავი გვაქვსო, — მიუგეს დევებმა, — და ღრმად არის ჩაფლულიო, თუ ამოიღებ, დავლიოთო. მირეკა დედაბრის შვილმა დევები, ამოათხრევინა ქვევრი, დაავსეს რუმბები, მოიტანეს და დაიწყეს სმა. დედაბრის შვილი გამოხრავდა ძვალს, მიარტყამდა ერთ-ერთ დევს და დაუმატებდა: — ქართულად მოვხარშე და ქართულად გიახლებითო.

ბოლოს დედაბრის შვილმა გამოუცხადა დევებს: — მე გავიგე, რომ თქვენ კარგი და გყავთ, თუ იმას მისცემთ ჩემ ხელმწიფეს, ხომ კარგი, არადა — გაგწყვეტთო. დევებს მეტი ღონე აღარა ჰქონდათ, უნდა მიეცათ და ხელმწიფის შვილისთვის.

მეორე დღეს ხელმწიფის შვილი და ქალი ერთად დატოვეს მარტოკები, დედაბრის შვილმა კი დევები სანადიროდ წაასხა; როდესაც წავიდნენ ყველანი, ქალ-ვაჟმა ბევრი უალერსა ერთმანეთს, ქალმა ყველა გასაღები მისცა თავის ქმარს. დაატარა ოთახები და აჩვენა თავის ძმების სარჩო. ბოლოს დაღალულს დაეძინა ვაჟის კალთაზე.

ვაჟმა თმების ქექვაში და ალერსში, ერთ ნაწნავის ძირში, იპოვა ერთი პატარა გასაღები. ვაჟმა იფიქრა: უყურე ამ მოუნათლავს, ჩემთვის რომ ყველაფერი არ უთქვამსო. აიღო, შეხსნა გასაღები და წავიდა ოთახებში. გაიარა რვა ოთახი სავსე ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით და მიადგა ერთ ოთახს. ოთახის კარი დაკეტილი იყო გარედან. ვაჟმა იფიქრა, აქ რაღაც იქნებაო, გააღო კარი და რა ნახა? შვიდკეცა ჯაჭვებით დაბმული იყო დევკაქიანი.

დევკაქიანი ცხრა ძმათ დევების მტერი იყო, დის მოტაცება უნ-

დოდა და ღრუბლით ეომებოდა დევებს; დევკაჟიანი იმიტომ ერქვა, რომ არც ისარი და არც ხმალი არ მიეკარებოდა, არაფრით მისი მოკვლა არ შეიძლებოდა; ბოლოს ცხრა ძმა დევმა დაიჭირა და დაბა. დევკაჟიანმა, რაკი დაინახა მზის სხივი, მიიწ-მოიწია, მოზიდა ჯაჭვებს, მიწუვიტ-მოწუვიტა, გამოვარდა გარეთ, გაიტაცა ქალი და გაუდგა გზას. ვაჟს გულს შემოეყარა; როდესაც გონს მოვიდა, ადგა და მოძებნა ქალის ოთახი, მაგრამ სადღა იყო ქალი? დაიწყო ტირილი ხელმწიფის შვილმა, მაგრამ ტირილით რაღას უშველიდა.

დედაბრის შვილმა ერთი სროლით გაატანინა ცხრა ირემი, მოჰკიდა დევებს და წამოვიდნენ შინ. დედაბრის შვილმა ნახა ნამტირალევი ხელმწიფის შვილი და მაშინვე გულში მოხვდა, აქ რაღაც უბედურება მომხდარაო. ხელმწიფის შვილმა უამბო, რაც მოხდა. დაუკრიჭეს კბილები დევებმა ხელმწიფის შვილს, მაგრამ დედაბრის შვილმა უთხრა დევებს: — მე წავალ იმ დევის მოსაძებნად და ხელმწიფის შვილს აქ დაგიტოვებთ; ოცი დღე რომ გავა, თუ მოვედი ხომ კარგი, ვერადა — რაც გინდათ, ის უყავით ხელმწიფის შვილს, თქვენი ტყვეაო.

ადგა დედაბრის შვილი, აიღო თავის ორმოცლიტრიანი, ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას. იარა დედაბრის შვილმა, იარა და მივიდა ერთ სახელმწიფოში. შეხედა, ერთ მღვდელს ზურგზე ეკიდა საყდარი, ხან ერთ სოფელში დასდგამდა და ლოცულობდა, ხან სხვაში. დედაბრის შვილს გაუკვირდა და უთხრა: — შენ ძალიან ღონიერი იქნები, რომ საყდარი მოგიკიდია ზურგზეო. მღვდელმა უთხრა: — ღონიერი მე კი არა ვარ, ღონიერი დედაბრის შვილია, რომ ცხრა ძმა დევს და წაართვა და თავის ხელმწიფეს დაუსვა ცოლადაო. — დედაბრის შვილმა უთხრა: — მე ვარ ის დედაბრის შვილიო. — მღვდელს ძალიან გაუხარდა და მოახსენა: — ან მიძმე და ან მიყმეო! — დედაბრის შვილმა იძმო და გასწიეს.

იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ დიდ მდინარეს. მდინარის პირს ზის ერთი დაღონებული კაცი, მივიდნენ მღვდელი და დედაბრის შვილი და ჰკითხეს: — რას დაღონებულხარ, ან ამ წყალთან რას ზიხარო? — კაცმა უთხრა: — წყალი მწყურია და ვერ დამილევია, ერთი ყლუპი რომ გამომივიდეს, მეორე აღარ გამომივაო. დედაბრის შვილმა უთხრა: — კაცო, ჩვენ გასვლაც არ შეგვიძლია და შენ სასმელადაც არა გყოფნისო? — წყალიხვრეპიამ უთხრა: — მე რა ვარ, რაც არის, დედაბრის შვილია, ცხრა დევს რომ და წაართვა და თავის ხელმწიფეს ცოლად დაუსვაო. — დედაბრის შვილმა უთხრა: — ის მე ვარ და გაგვიყვანე წყალსაო. — წყალიხვრეპიას ძალიან გაუხარ-

და და დედაბრის შვილს სთხოვა: ან მიყმე და ან მიძმეო. დედაბრის შვილმა იძმო და წავიდნენ სამნი.

კარგა გზა გაიარეს და ნახეს ერთი კაცი, მიწაზე გაწოლილა, დაუდვია ყური მიწისთვის და იცინის. დედაბრის შვილი მივიდა მასთან და ჰკითხა: — რას იცინი, ან მიწაზე ყური რად დაგიდვიაო? — როგორ არ გავიცინო, — უთხრა იმ კაცმა, — აქ წამოვწექი, მინდოდა დამესვენა, ხმა რაღაც მომესმა, აღარ მასვენებს, ერთი ალიაქოთი დგას, დავადე ყური მიწას და გავარჩიე: ჭიანჭველებს ომი აქვთ, ერთ ჭიანჭველას ბარძაყი მოსტეხეს, იმას უხვევენ და ის მაცინებსო. — ჩვენ კაცის ფეხის ხმა ვერ გაგვირჩევია დედამიწაზე და შენ კი დედამიწის ძირში ჭიანჭველების ომსაც ყურს უგდებო; საკვირველი კაცი ყოფილხარო, — უთხრა დედაბრის შვილმა. — საკვირველი მე კი არა ვარ, საკვირველი დედაბრის შვილია, რომ ცხრა დევს და წაართვა და თავის ხელმწიფეს დაუსვა ცოლადაო. — მე ვარ ისაო, — უთხრა დედაბრის შვილმა. ჭიანჭველების მაყურებელმა უთხრა: — ან მიძმე და ან მიყმეო, მე შენთან მინდა ყოფნაო. — დედაბრის შვილს ძალიან გაუხარდა: სწორედ ისეთ კაცებს პოულობდა, როგორებიც იმისთვის იყო საჭირო; მაშინვე იძმო და გაუდგნენ გზას.

ნახეს, კაცი დგა, აუღია თავი და იცქირება ცისაკენ. — რას დგახარ და ცაში რას იცქირებიო? — ჰკითხეს იმას. ცაში მაცქერალმა მოახსენა: — შარშან ისარი შევტყორცნე, ახლა დაბრუნდა და ველი, როდის ჩამოვარდება, ან საითკენ მიჰხრის ქარიო. როდესაც დედაბრის შვილმა და მისმა ამხანაგებმა გაიკვირვეს მისი თვალის გაჭრა, მანაც უთხრა: მე კი არა, საკვირველი დედაბრის შვილია, რომ დევებს და წაართვა და თავის ხელმწიფეს ცოლად დაუსვაო. — დედაბრის შვილი გამოემცნაურა, იძმო და წავიდნენ.

ახლა გასწიეს ხუთმა. გზაზე ერთ კაცს შეხვდნენ — მოჰგლეჯდა ერთ გორას, აიტანდა სხვა მთაზე და დააგორებდა. დედაბრის შვილმა ჰკითხა: — მაგას რადა შვრებიო? — სხვა ველარაფერი მომიგონებია ჩემ გასართობადა და გორებსა ვგლეჯო, — უთხრა გორიგლეჯიამ. ესეც იძმეს და გასწიეს.

ერთ კაცს შეხვდნენ გზაზე, ფეხებზე დოლაბები ჰქონდა წამოცმული, დასდევდა წვრილიანში კურდღლებს და იჭერდა. ესეც იძმეს და წავიდნენ.

ახლა უთხრა დედაბრის შვილმა: — ჯერ ჩვენ უნდა გავიგოთ, სად არის დევკაჟიანი, მიწაში თუ ცაშიო, და ისე მოვძებნოთო, თორემ

ეგრე წარაუგონთ სიარული რას გვარგებსო. ცაჭვრეტიას უთხრა: აბა, აიხედე, იქნება ცაში იყოსო. აიხედა ცაჭვრეტიამ, ბევრი ეძება და ბოლოს სთქვა: ცაში არსად არისო. ახლა ჭიანჭველების მაყურებელმა ჩაიხედა ქვესკნელში, დაადო ყური დედამიწას და გაუძღვა წინ ამხანაგებს, დევკაჟიანთან მე მიგიყვანთო.

იარეს, იარეს და ერთ გორას მიადგნენ. გორაში საშინელი ხმა ისმოდა. ჭიანჭველების მაყურებელმა უთხრა: — აქა აქვს ბინა დევკაჟიანსა, მაგრამ როგორ უნდა ჩავიდეთ, კარი არა აქვსო. — დედაბრის შვილმა უთხრა: — აბა, გორიგლეჯიავ, თუ რამ შეგიძლია, ახლა გამოიჩინეო. გორიგლეჯიამ მოსდო გორას ხელი, მოგლიჯა და გამოაგორა. მღვდელმა მოიკიდა და გაიტანა შორს. მიადგნენ ციხის წვერსაც. ციხის წვერიდან ალი ამოდიოდა. თურმე დევკაჟიანი, როდესაც ამოისუნთქებდა, ცეცხლს ამოჰყრიდა. ვინ უნდა ჩავიდესო, დაიწყეს ამხანაგებმა. ვერავინ ვერ გაბედა ჩასვლა. დედაბრის შვილმა უთხრა: — მე მომაბით თოკები და, როდესაც ცეცხლი ჩადგება, ჩამიშვითო. მოაბეს თოკები და ჩაუშვეს. დაიძახა დედაბრის შვილმა: დავიწვიო, მაგრამ უფრო ჩაუშვეს. ბოლოს დედაბრის შვილმა ფეხები დაადგა მიწაზე და ამოიქცია სული. მერე დედაბრის შვილს ფეხდოლაბაც ჩაჰყვა. გაიარეს დევის ოთახები და ქალის ოთახს მიადგნენ.

ქალს კიდეც გაუხარდა დედაბრის შვილის მისვლა და კიდეც გაჯავრდა: — აქ რამ მოგიყვანაო, — უთხრა ქალმა, — დევკაჟიანი ხომ მოგკლავსო. — მომკლავს და მომკლასო, — უთხრა დედაბრის შვილმა, — თუ შენ ვერ წაგიყვან და ჩემი ხელმწიფის სურვილს ვერ ავასრულებო. ქალმა უთხრა: — მან ხუთი დღე ძილი იცის, მაშინ თუ რასმე უზამს კაცი, თორემ უიმისოდ მას არაფერი მოჰკლავსო; მაგრამ არც მძინარე მოკვდება, რადგანაც იმისი სული სხვა რაღაცაში არისო. დედაბრის შვილმა უთხრა: — თუ გინდა ხელმწიფის შვილი, გამიგე, რაში უდგა სული დევკაჟიანსაო. ქალმა დედაბრის შვილი და ფეხდოლაბა დამალა. ქალმა დევკაჟიანს დაუწყო ალერსი: — ეგრე რომ მიყვარხარ, რატომ არ მეტყვი, შენი სული რაში არის, რომ ის სალოცავად გავიხადოო! — დევკაჟიანმა იფიქრა, რაღა ახლა შევუყვარდი ამ ქალს, აქამდე თავისთან ახლოსაც არ მიკარებღაო, იქნება მცდიდესო, აიღო და ასწავლა: — ჩემი სული ე მაგ ქოთნის ნატეხში არისო. ქალმა იმ დროისთვის, როდესაც დევკაჟიანი ნადირობიდან მოვიდოდა, აიღო ქოთნის ნატეხი, გარეცხა, გაწმინდა, შემოსა აბრეშუმის ბაღდადებში და ჩადო კიდობანში. როდესაც დევკაჟიანი დაბრუნდა, ქალმა აჩვენა ქილის ნატეხი: — აი,

როგორ ვინახავ შენ სულსაო. დევმა უთხრა: — შე საწყალო, ჩემი სული მაგაში კი არა, ცოცხშიაო. მეორე დღისათვის ცოცხიც ისე მორთო ქალმა. მერე კი თქვა დევმა, უთუოდ აღარა მცდისო, და ასწავლა: — აქა და აქ, ცხრა მთას რომ გადავა კაცი და ერთ დიდ ველში რომ ჩავა, იქ შვიდი მთიბელი სთიბსო; ის მთიბელები უთიბენ ირემსაო. ის ირემი შუადღემდე შავ მთაზე არის, შუადღისას ჩამოვა და, თუ საკმარისი არ არის გათიბული, სულ ფეხით გათელავსო. იმ ირემს ვერავინ ვერ მოჰკლავს, არც ისარი და არც ხმალი, თუ ჩემ შარდში არ არის ნაწრთობი. თუ იმას მოჰკლავენ, იმაში შველი ზის და ახლა ის გაიქცევაო; თუ შველს დაიჭერენ, იმაში კურდღელი ზისო, კურდღელში ყუთია, ყუთში სამი ჩიტია: ერთია სული, ერთი ჯანი და ერთიც გონიო. როდესაც ისინი დაიხოცებიან, მაშინ მეც მოვკვდებიო.

ქალმა ეს ყველაფერი დედაბრის შვილს შეატყობინა. იპოვეს ნატეხარი და დადგეს იმ ადგილას, სადაც დევი მიდგებოდა ხოლმე შარდზე. დედაბრის შვილმა აწრთო ისრები და ფეხდოლაბასთან ერთად საჩქაროდ გასწია ირმის საძებნელად. გაიარეს ერთი მთა, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე, არსად არის ირემი. გაიარეს მეშვიდე და მერვე, მეცხრე გადაიარეს და გადაიხედეს, იქით ერთი უშველებელი ველია გაჭიმული, არსად ბოლო და არსად სიგრძე და სიგანე. შორს სადღაც კი ჩანს შვიდი რაღაც შავად. დედაბრის შვილს გულში მოხვდა, მთიბელები იქნებიანო, და დაეშვა მათკენ.

მივიდნენ მთიბლებთან, მთიბლებს გაუყვლეფიათ ერთი უშველებელი ადგილი და ნათიბი დაუგროვებიათ გროვა-გროვად. დედაბრის შვილმა ჰკითხა: — რისთვის სთიბავთ მაგოდენა თივასაო? მთიბლებმა უთხრეს: — აი იმ შავ მთაზე ირემია, გვიცქერის, შუადღისას ჩამოვა, თუ საკმარისი არ დახვდება მოთიბული, სულ ფეხით გაგვიტანსო. დედაბრის შვილმა უთხრა ფეხდოლაბას: — აბა, შენ მოემზადე, დავიმალოთ აქვე თივის უკანაო.

მოვიდა შუადღე და მოვარდა ირემიც. ირემმა შეხედა, მერე მოავლო პირი და ერთი ბულული თივა ერთ ლუკმად გადაყლაპა. მერე ისევ თავი აიღო და დაუწყო ცქერა ერთ ადგილას. სუნი თუ დაიყარა! გაბრუნდა ირემი გასაქცევად. დაადევნა დედაბრის შვილმა ისარი. ირემმა დაიჩოქა, დაეცა მიწაზე და დალია სული. დედაბრის შვილმა გაჭრა ირემი; იქიდან მართლა ამოხტა შველი და გაიქცა მინდორზე, მაგრამ ფეხდოლაბამ მალე დაიჭირა, გაჭრეს და მუცლიდან კურდღელი ამოვარდა, მაგრამ ფეხდოლაბას კურდღელი ველარსად

გაეხვეწა. დაიჭირა კურდღელი, გაჭრეს და ამოაცალეს ყუთი; გააღეს ყუთი და შიგ ჯერ უბუმბულო ჩიტის ბარტყები ისხდნენ.

დევი სანადიროდ იყო. გულმა გაუგო, რომ ირემს რაღაც დაემართაო, და გასწია შინისაკენ გაცეცხლებულმა ქალის დასასჯელად. მივიდა ხვრელის პირზე, ასწია გორას და უნდა შესულიყო, მაგრამ ამ დროს დედაბრის შვილმა ჯანის ჩიტს მოსწყვიტა თავი. მაშინვე დადუნდა დევი და ბოძად მიედგა გორას. მერე მივიდა დედაბრის შვილი და უთხრა: — გვითხარ, რა გაქვს ამ სახლში, სხვა ხომ აღარავინ მოიტაცეო? დევმა გაიფიქრა: სიკვდილს ისევ სიცოცხლე სჯობიაო, მისცა გასაღები და უთხრა: — ამ გასაღებით რომ ოთახს გააღებ, ექვსი ქალია, და გამოიყვანეთო; ამ გასაღებით გააღებთ ერთ ოთახს და იმაში შვიდ ცხენს ნახავთო, გამოიყვანეთ და ღმერთმა მოგახმაროთო. — მოჰგლიჯა გონების ჩიტსაც თავი დედაბრის შვილმა, აერია გონება დევკაჟიანს და ველარაფერი გაიგო. გააღეს ოთახები და ნახეს მზეთუნახავი ქალები. გააღეს სხვა ოთახი — იქ რაშები ება.

დედაბრის შვილმა მოკრიბა ყველა, წინ გაიძღოლია ფეხდოლაბა და ამოვიდა ციხის წვერიდან. დაურიგა ამხანაგებს ექვსი მზეთუნახავი ქალი, დაითითოვეს რაშები, წამოიყვანეს ხელმწიფის შვილის საცოლე და წავიდნენ. წასვლის დროს სულსაც მოსწყვიტა თავი და დევი დარჩა ბოძად.

მიიწურა დედაბრის შვილის მისვლის დროც, მიიწურა იმათი გზაც. დევები ძლიეს ელოდნენ დაღამებას, რომ დაეგლიჯათ ხელმწიფის შვილი ნაწილ-ნაწილ. ხელმწიფის შვილი კი იჯდა და გასცქეროდა გზას, სად და როდის გამოჩნდება დედაბრის შვილიო. ბოლოს გამოჩნდნენ. წინ დედაბრის შვილი მოდიოდა, უკან ექვსი უცხო მოჰყვებოდა და მოჰყავდათ ქალები. მოჰგვარეს ხელმწიფის შვილს მზეთუნახავი; გააჩაღეს დევებმა ქორწილი, მოჰხადეს ასკოკიანებს.

ქორწილის შემდეგ გასწიეს ხელმწიფესთან, აქაც გადიხადეს ლხინი და იცხოვრეს ყველამ ტკბილად.

მალე ხელმწიფის შვილი ხელმწიფედ გახდა; დედაბრის შვილი თავის ვეზირად გაიხადა და სხვებიც უფროსებად, ზოგი რისა და ზოგი რისა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ზღაპარი ტიტველი მგლისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ყავდა ერთი ვაჟიშვილი. როცა დაბერდა, დაიბარა და უთხრა: — შვილო, ყველგან ინადირე და წითელ მთაზე არ წახვიდე სანადიროდ, თორემ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიო. ყველგან ნადირობდა ხელმწიფის შვილი და წითელ მთაზე კი არ მიდიოდა, არა სტეხდა მამის ანდერძსა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და წავიდა. ბევრი ინადირა იქ, სახიფათო არა შეხვედრია რა, ბოლოს სამი ტიტველი მგლის ლეკვი ნახა და დახოცა.

წავიდა შინა. მამამ გაიგო, რომ წითელ მთაზე ყოფილა სანადიროდ, დაიბარა შვილი, შვილიც ეახლა. — რომელ მთაზე იყავ სანადიროდაო? — ჰკითხა მამამ. — რომელსა და წითელ მთაზეო. — მერე იქ რა ნახეო? — ტიტველი მგლის სამი ლეკვი ვნახე და ისინი დავხოცეო.

ხელმწიფე ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა. შვილს უთხრა: — ჩადი სალაროში, აირჩიე, რაც იარაღი მოგეწონოს, ჩაიცვი, რაც ტანისამოსი მოგივიდეს თვალში, შედი თავლაში, რომელიც საუკეთესო რაში იყოს, იმაზე შეჯექი და წადიო, თორემ მოვა ტიტველი მგელი, შენც შეგჭამს და მეცაო. ვაჟმა გაუგონა, ჩავიდა სალაროში, მოირთო ლამაზად, აისხა იარაღები, შეჯდა საუკეთესო რაშზე და წავიდა.

მართლაც, მოვიდა ტიტველი მგელი. — შენ შვილს რა დავუშავე, რომ შვილები დამიხოცაო? — ჰკითხა ხელმწიფეს. ხელმწიფემ უთხრა: — ჩემი შვილი აქ იყო, მაგრამ ამ კარებიდან შემოვიდა და იმ კარებიდან გავიდა, როგორც შენ არ იცი, ისე მე არ ვიცი იმისი არაფერიო.—მისცა იმ მგელს, რაც საქონელი ჰყავდა. გადაჭამა მგელმა რაც საქონელი იყო და წავიდა საძებნელად.

ხელმწიფის შვილი მამის სახლიდან რომ წავიდა, დასავლეთის ხელმწიფეს შეეხიზნა: — ასეა ჩემი საქმე და უნდა მიშველოო. ხელმწიფემ უთხრა: — იყავ, რაც მოგვივა, მოგვივიდესო.

გაუგია ტიტველ მგელს, რომ ხელმწიფის შვილი დასავლეთის ხელმწიფესთან არისო, მივიდა და უთხრა: — აქ აღმოსავლეთის ხელმწიფის შვილი მოსულა შენთან, მან ლეკვები დამიხოცა და მინდა გავიგო, რა დავუშავე, რად დამიხოცაო? — ხელმწიფემ დაუმალა ვაჟი.

— მართალია, აქ იყო, მაგრამ ერთი კარებიდან შემოსულა და

მეორედან გაპარულაო, მისი სხვა არაფერი ვიცი. აი, ჩემი ცხვარი და ძროხა, მიირთვი, როგორც შენი ნება იყოსო.

ბინამ ტიტველი მგელი იმ საქონელს შეჭამდა, ხელმწიფემ უთხრა ვაჟსა: — აი, შვილო, შენი გულისათვის რამოდენა ზარალი მომივიდა, მაგრამ მე არაფრად ჩავაგდე, ოღონდ შენ გადარჩიო. შენ ვერავინ გიშველის ერთი მეცხვარის მეტი. იმას იმოდენა ცხვარი ჰყავს, რომ თვითონაც არ იცის იმის ანგარიშიო, მაგრამ ისეთი ავი ქოფაკები ჰყავს, რომ ადამიანს დანახვისთანავე შეჭამენო. წაიღე დაკლული ცხვრები, როცა დაგეწივნენ, სათითაოდ გადაუგდე ცხვრები და შენც მეცხვარესთან მიდიო.

მართლაც ვაჟი ისე მოიქცა, როგორც ხელმწიფემ დაარიგა. წაიღო გატყავებული ცხვრები და, როცა ფარას მიუახლოვდა, გამოცვივდნენ ძაღლები, ვაჟმა სათითაოდ გადაუგდო ცხვარი და გასცდა. მივიდა მეცხვარესთან:

— ტიტველი მგელი მომდევს და უნდა დამიფაროო.

— მე როგორ დაგფარავ, შვილო, ამ ცხვარს შენთვის არ დავინანებ, მაგრამ ტიტველ მგელს ჩემი უთვალავი ცხვრის შეჭმა არ გაუჭირდება, გადაყლაპავს და შენც იმათთან შეგჭამსო. შენ თუ გიშველის, ამ და ამ კლდეზე რომ კოშკი დგას, იმ კოშკში ერთი ქალია, შვიდ წელიწადში ერთხელ ეღება იმ კოშკს კარები, სადაც პირველად მზე მიადგება. თუ შეგინახავს და დაგიფარავს ისა, თორემ შენ სხვა ვერავინ გიშველისო. შენს იღბალზე დღეს ღიაა იმისი კოშკის კარი და წადი, შეეხვეწე, იქნება დაგიფაროსო.

ვაჟმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ კოშკთან. კარები მართლა ღიაა, ისეთი ქალი გადმომდგარა, რომ თვალს ვერ გაუშტერებს კაცი. ვაჟი მივიდა და შესძახა: — დაძმობას, ტიტველი მგელი მომდევს, უნდა შემჭამოს და დამფარე შენს კოშკშიო! — დაგფარავო, — ჩამოსძახა ქალმა, — მხოლოდ შენ ქმარი და მე ცოლიო!

აიყვანა და დამალა. დაიკეტა კარებიც. დაიკეტა თუ არა კარები, მოვიდა ტიტველი მგელიც. დაწვა ამ კოშკთან, წევს და ელის, სანამ კოშკის კარი გაიღებოდეს. შვიდ წელიწადში ისე დაილია, ისე დაილია ეს მთასავით ნადირი, რომ ხბოსტოლა აღარ არის.

გავიდა შვიდი წელიწადი. მგელი კიდევ აქა წევს. კარები რომ გაიღო, მგელმა დაუძახა: — რა ხარ, რა სულიერი ხარ! შვიდი წელიწადია აქ გელი, ერთი მაინც გადმოიხედე, დაგინახო, რა სახისა ხარ, ან რა ადამიანი, რომ შვილები დამიხოცეო? ქალმა უთხრა ბიჭს: — მოდი, დავუდგათ კიბე და ამოვიდესო! — ძალიან კარ-

გიო! — ჩაუდგეს კიბე. მოდის მგელი. შუა საფეხურზე რომ შეადგა ფეხი, ჰკრეს ერთბაშად კიბეს ხელი, გადმოაგდეს და მგელი სულ ერთიანად დაიმსხვრა.

ცხოვრობენ იქ ქალი და ვაჟი ბედნიერად. ამ ქალმა ყველა ოთახის გასაღები მისცა ვაჟს, მხოლოდ ერთი ოთახისა არ მისცა. იმ ოთახში ქალის კაბა ეკიდა, ვინც იმ კაბას ქალის მეტი ხელს ახლებდა, ის კაბა მაშინვე გაფრინდებოდა, ამის შემდეგ კოშკსაც კარი გაეღებოდა და აღარ დაიკეტებოდა.

ერთხელ ქალს რომ ეძინა, ვაჟმა მოჰპარა გასაღები, წავიდა და ის ოთახი გააღო. ხედავს, ერთი ისეთი კაბა ჰკიდია, სულ მზესავით ანათებს. ვაჟი მივიდა და მოავლო ხელი. შეახო თუ არა ხელი, მაშინვე აფრინდა კაბა, წავიდა და ჩავარდა ზღვაში.

ხელმწიფის მეჯინიბეები რომ ცხენებს ჩამორეკენ წყლის დასალევად, კაბას ზღვა აქანებს და საქონელი ფრთხება, ვეღარ სვამს წყალსა მივიდნენ, ნახეს, ზღვა ერთ მზესავით კაბას აქანებს. წავიდნენ, მოახსენეს ხელმწიფეს. შეგზავნეს მცურავები და გამოატანინეს ეს კაბა.

ისეთია ხელმწიფე, აღარ იცის რა ქნას. — თუ ამ კაბის პატრონი არ ვიპოვე და ცოლად არ შევირთე, არ იქნებაო. — დაატარეს, ვისაც კარგად მოუვა, ის უნდა შეირთოს. მაგრამ ზოგს დიდი მოსდის, ზოგს პატარა. არ იქნა, ვერ იპოვეს და ვერა.

ერთხელ ხელმწიფესთან ერთი ბებერი მოვიდა და მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფევ, იმ ქალს მე მოგიყვან, ოღონდ შენ უღელი ხარი მომეცი, ნახევარი თუნგი ბანგი და ერთი თხაო. — ხელმწიფემ მისცა ყველაფერი, რაც ბებერმა ითხოვა.

წამოასხა ბებერმა ხარები, წამოიღო ბანგი და წამოიყვანა თხა. მოვიდა იმ კოშკთან, ხან ხარებს აძოვებს, ხან ცეცხლს ანთებს და აბოლებს, ხან თხას სადგისითა ჩხვლეტს და აჩხავლებს. გადმოიხედეს ქალმა და ვაჟმა. ქალმა გადმოსძახა: — ან მაგ თხას რად აჩხავლებ, ბებერო, ან მაგ ცეცხლს რად ანთებ და აყროლებ ბოლით აქაურობასაო? — თქვენს ხმას ვენაცვალე, რომ თვალით დაგინახეთ! — ეალერსება ბებერი. — ერთი ტიალ-ოხერი ვარ, მინდა ეს თხა დავკლა, ვერც ცეცხლი ამინთია და ვერც თხა დამიკლავს, იმოდენა თავი აღარა მაქვსო. თუ მიპატრონებთ და თქვენთან მოსამსახურედ წამიყვანთ, ჩემ თავს თქვენ განაცვალებთო. — ვაჟმა უთხრა ქალსა: — მოდი და ამოვიყვანოთ მოსამსახურედ, მადლი არისო. — არაო, — უთხრა ქალმა, — ეგ კარგს არ დაგვაყრის, ნუ გინდა, წავიდეს თავის

გზაზედაო. თუკი მოსამსახურე გვინდა, განა სხვა აღარ არის, რომ ეგ არ დავიჭიროთო?

მაინც აიყვანეს და იმსახურებდნენ. ერთხელ შეაპარა ბებერმა ბანგი, დაათრო ქალი და ვაჟი. ვაჟს ყელი გამოსჭრა, ქალი ჩამოიყვანა, დააწვინა მარხილზე და წაიყვანა ხელმწიფესთან. ხელმწიფესთან რომ მოიყვანეს, ქალს ისევ ეძინა. გაუშალეს მშვენიერი ლოგინი, თავით თავისი კაბა დაუდეს და დააწვინეს.

გამოიღვიძა ქალმა, მიიხედ-მოიხედა, სახლი ეუცხოვა. დაიწყო ტირილი, აქ რა მინდაო. ასეა ეს ქალი, არ მიიკარა არავინ ერთი გოგოს მეტი. ასეთია ხელმწიფე, რაც შეუძლია, ცდილობს ასიამოვნოს რამე, მაგრამ ქალი არც ხმასა სცემს და არც იკარებს.

ის ვაჟი დარჩა იქ ყელგამოჭრილი. იმჟამად ამ კლდესთან მწყემსებმა მორეკეს საქონელი. ხედავენ, რომ კიბე იქვე აყუდია და კლდის კარიც ღიაა. თქვეს:

— ამდენი ხანია აქ დავდივართ და ამის მეტად აქ კარები არ გვინახავსო; ავიდეთ, ბიჭებო, ვნახოთო. ზოგს ეშინია, ეშმაკები იქნებიან შიგაო. სხვები იძახიან: ამ შუადღისას ეშმაკებს რა უნდაო. ავიდნენ, ნახეს, ერთი მშვენიერი ვაჟკაცი გდია ყელგამოჭრილი. ნეტა ვიცოდეთ რამე, რომ ვუწამლოთო, ამბობენ პატარა მწყემსები.

ჭერში სამი წკეპლა იდო: შავი, თეთრი და წითელი.

შავმა წკეპლამ თქვა: „მე რომ ვინმე ჩამომიღებდეს და მაგ ყელგამოჭრილ ვაჟკაცს დამკრავდეს, მაშინვე თავი მოებმისო.“

თეთრმა თქვა: „მე რომ ვინმე ჩამომიღებდეს და იმ ბიჭს დამკრავდეს, მაშინვე სული ჩაედგმისო“.

წითელმა თქვა: „მე რომ ვინმე ჩამომიღებდეს და იმ ვაჟკაცს დამკრავდეს, მაშინვე ფეხზე დადგებაო“.

ეს გაიგონეს ბიჭებმა, ხელად ჩამოიღეს სამი წკეპლა. დაჰკრეს შავი და მოება თავი. დაჰკრეს თეთრი — ჩაედგა სული. დაჰკრეს წითელი და — ვაჟკაცი ხელად წაღი-სალამათი ფეხზე წამოდგა. — უჰ, რამდენი მძინებიაო! თქვა ამოოხვრით ვაჟმა. — ისე შენს მტერს ეძინოს, როგორც შენ გეძინაო, — უთხრეს ბიჭებმა, მოუყვნენ და უამბეს ყველაფერი დაწვრილებით. ვაჟმა უთხრა: — ამ წკეპლებს კი ვერ მოგცემთ და, რაკი მაგისთანა სიკეთე მიყავით, ფულს მოვცემთ, რამდენიც გინდათ წაიღეთო. — ბიჭმა მისცა ფული მწყემსებს, თვითონაც კარი დაკეტა და წავიდა დაღონებული. მაშინვე მიხვდა, ვინც დამართა ამისთანა უბედურება. იარა, იარა და მოვიდა იმ ხელმწიფესთან, რომელსაც ის ქალი ჰყავდა მოტაცებული, ჩაცვა გლეხურად, მივიდა ხელმწიფის სასახლესთან; კარის კაცებს უთხ-

რა: — ხელმწიფეს მოახსენეთ, მებაღეს ხომ არ დაიჭერსო? — დადგა ის ვაჟი მებაღედ. ისეთია, სულ ყვავილის კონებს აკეთებს და უგზავნის ხელმწიფეს. აბა რა იცის ქალმა, თუ მისი ქმარია.

ერთხელ მოგლიჯა ვაჟმა ერთი საზამთრო, ამოჭრა გვერდში ისე, რომ არ შესტყობოდა, ჩააგდო თავისი ბეჭედი და გაატანა ქალის მოსამსახურეს.

—ეს საზამთრო შენს ქალბატონს მიართვი,- საკუთარი ხელით გაჭრასო. — მიუტანა მოსამსახურემ ამ ქალს ეს საზამთრო და უთხრა:

— ერთი ახალი მებაღე გვყავს, იმან გამომატანა და ასე მითხრა, ქალბატონმა საკუთრად გასჭრასო. — გაჭრა ქალმა და თავის ქმრის ბეჭედი კი გადმოვარდა იქიდან. ერთი ისეთი გაიცინა, რომ ბანი და ჭერი სულ დაინძრა. ხელმწიფეს გაეხარდა: „გუნებაზე მოსულა და ბედი ჩემი, რომ ახლა მაინც მომცემს ნებას მასზე ჯვარი დავიწეროო.“ ჩამოგზავნა მოსამსახურე, — ჰკითხე, რაზედ გაეცინა, ამდენი ხანი აქ არის და ერთხელაც არ გაუცინიაო.

ქალმა შეუთვალა: — ბაღი კარგი გაქვს, მაგრამ ფრინველებს უსკორებიათო.

ხელმწიფემ შემოუთვალა: — არც ახლა დაიწერ ჩემზე ჯვარსაო? — თუ ამ ბაღის ზემოდან სულ რკინას გადააკრავ. ირგვლივაც სულ რკინით შეღობავ, ზევით და ქვევით ისეთ კარებს შეაბამ, რომ კაცი გავიდოდეს და ისე დაიკეტოს, რომ შიგნიდან ველარ გაიღებოდეს, ხომ დავიწერ შენზე ჯვარს, თუ არა და არაო.

დატრიალდა ხელმწიფე. ხელად ბაღს ისეთი რკინის გალავანი შემოარტყა, რომ ფრინველიც ვერ გამოფრინდება. ზევით და ქვევით ისეთი კარები შეაბა, კაცი რომ გავა, თავისთავად დაიკეტება და შიგნიდან ველარაფრით ველარ გააღებენ.

ქალმა ამ დროისთვის ვაჟს ყველაფერი შეატყობინა: ამა და ამ დროს მე და ხელმწიფე ჩამოვალთ სასეირნოდ, შენ და ჩემს გოგოს სამი ცხენი მზათა გყავდეთ, მე ავიცდენ მეფეს. გადავსხდეთ და წავიდეთო. კარები დაიკეტება და სულ შიგ მოემწყვდევიან ხელმწიფე და მისი ნაზირ-ვეზირები.

როცა ბაღი მზად იყო, ხელმწიფემ შეუთვალა ქალსა: — მზად არის, როგორც ინებე, და რას იტყვი, ჩამოვიდეო? — ქალმა შეუთვალა, ჩამობრძანდიო. როცა ხელმწიფე და ეს ქალი სასეირნოდ ჩაბრძანდნენ, ცოტა რომ გაიარეს, ქალმა უთხრა ხელმწიფეს: — ცოტა ხანს აქ მომიცადე, ცოტა საქმე მაქვს და მოვალო. წავიდა ქალი. ელის ხელმწიფე. იქვე კი ქმარს და გოგოს ცხენები მზადა

ჰყავდათ, ქალს თავისი კაბაც თან წაეღო, გადასხდნენ ცხენებზე, გაიტეხეს კარები და გაუდგნენ კოშკისაკენ. რაკი კაბა მიიტანეს, კარებმა ისევ იწყო დაკეტვა და გაღება. ხელმწიფე და მისი ნაზირ-ვეზირები დღესაც იქ არიან გამომწყვდეულები. ქალი და ვაჟი კი თავის მოსამსახურით ტკბილად ცხოვრობენ.

აზარფეშა და ტოლჩაო,
ეს გათავდა და მორჩაო.

იადონი და გულგული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა მას სამი ვაჟი. ამ ხელმწიფემ სიბერის ჟამს ააშენა ერთი უმშვენიერესი ტაძარი. როცა დასრულეს შენობა, ხელმწიფემ დაიყენა დარაჯები და უბრძანა: — გაიგეთ შემომსვლელებისაგან, რა წუნს დასდებენ ამ ტაძარსაო! — ერთ დღეს ამ შენობაში შემოვიდა ერთი კოჭლი დევი, მიიხედ-მოიხედა, მოეწონა და სთქვა თავისთვის: „ძალიან მშვენიერი რამ არის, საუცხოოდ აგებულიცაა, მაგრამ ამისი ნაკლი ის არის, რომ იადონი და ბულბული არ არიან აქა და არ ჭიკჭიკებენო," — თქვა და წავიდა.

დარაჯმა მოახსენა ხელმწიფეს. რომ თქვენს შენობას იადონი და ბულბული აკლია, თორემ სხვაფრივ ყველაფრით სრულიაო. დაღონდა ხელმწიფე, არ იცოდა სად ეშოვნა ბულბული და იადონი. მოუხმო თავის სამ შვილს და უბრძანა: — წადით, იადონი და ბულბული იპოვეთ, მიმგვარეთ და ვინც მომიყვანთ, ჩემს სახელმწიფოს იმას დავუულოცავო. — ადგნენ სამთავ ძმები და წავიდნენ საძებნელად. მივიდნენ ერთ სოფელში. სოფლის თავში სამართლის ქვა ეგდო. იმ ქვაზე ეწერა: „ზევით წახვიდე, მალე მოხვიდე," „მარჯვნივ — გვიან მოხვიდე მშვიდობითა" და „მარცხნივ წახვიდე და ვეღარ მოხვიდეო". ითათბირეს ძმებმა, თუ საით წასულიყო თვითეული მათგანი, სამივე ხომ ერთად ვერ ივლიდა! ორი ძმა მარჯვნივ გაემგზავრა და უმცროსი კი მარცხნივ.

იარა, ბევრი იარა და ერთ ქალაქში მივიდა. ძალიან შემკობილი იყო ეს ქალაქი. ერთ დუქანში შევიდა, გამოჰკითხა ხელმწიფის შვილმა ქალაქის ამბავი მედუქნეს, იმანაც ყველაფერი უამბო. — ძალიან ცუდი საქმე მოგელის, რომ აქ მოხვედი, ამ ქალაქის ხალხის

ჩვეულება ასეთია: ღამე ძაღლებად იქცევიან და ეუჩ-ეუჩა დაძრწიან, თუ ვისმე ადამიანს მოაწყრეს, შეაჭამენო; მე ალაგი არა მაქვს. აი, იმ მედუქნესთან მიდი, კარგი ოთახები აქვს და ის შეგინახავს. — მადლობა უთხრა ხელმწიფის შვილმა მედუქნეს და მეორესთან მივიდა. ივან მიიღო, შიგნით ოთახში შეიყვანა და უთხრა: — არამც და არამც კარები არ გააღო, მაგრად გქონდეს ჩაკეტილიო. რომ დაღამდა, ამ ქალაქის მცხოვრებნი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი; ყველანი ძაღლებად გადაიქცნენ. ასტეხეს საშინელი აურზაური, ჩხუბი, იმისთანა ყეფა-ყმუილი, კაცს შეზარავდა. იყნოსეს ადამიანის სუნი, მიადგნენ ამ მედუქნეს, ხან აქედან მოუვლიან, ხან იქიდან, კინაღამ კარები შეამტვრიეს. იბრალა ღმერთმა და როგორც იყო გადარჩა განსაცდელს ხელმწიფის შვილი.

გათენდა დილა. ყველანი ისევ ხალხად გადაიქცნენ. გაიღო კარები, საბრალო ხელმწიფის შვილი გამოვიდა, ჭამა პური მედუქნესთან და თავისი ამბავი უამბო, თუ რად წამოსულა და არც კი იცის. სად წავიდეს, ან როგორ იშოვოს იადონი და ბულბული. მედუქნემ უთხრა: — მეტად ძნელს საქმეს დასდგომიხარ. ძნელია იმათი შოვნა. ის იადონი და ბულბული ჰყავს ერთ მზეთუნახავს. ჩარექის ქალს; ის ქალი ხელმწიფის ქალია, დილით ასწონიან—ჩარექი მოდის. საღამოს ასწონიან—მაინც ჩარექი. არც ეჭატემა და არც აკლდება. მარმარილოს კოშკში ზის ის, ბულბული და იადონი ჭიკჭიკით შეაქცევენ მას. წადი, აი ამ გზაზე, შორს მანძილს რომ გაივლი, ერთი მშვენიერი წალკოტი დაგხვდება. რიგი მწიფს, რიგი ჰყვავის, რიგიც მკვახეა, ვინ მოსთვლის მის ქებას, ის ბაღი ცალთვალა დევისაა. რომ გაიარო, არამც და არამც ხელი არ ახლოო, — დაარიგა ის და გაისტუმრა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ბაღთან. მართლაც რომ სანაქებოა! რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ ყოფილიყო! ხელმწიფის შვილმა ითმინა, ბევრი ითმინა, არას მისწვდა, მაგრამ ბოლოში რომ გავიდა, სწვდა ერთ მსხალს. როგორც კი გაკბიჩა, დაუძახა ცალთვალა დევმა: — ეი, შენ, უმაწვილო, მოითმინე პატარა ხანს, გარედან რას სწვდები, შიგ შემობრძანდი და ხილი იხილეო. — ხელმწიფის შვილმა იმ წამს გადააგდო მსხალი, მაგრამ გვიანღა იყო, დევს ვერ წაუვიდოდა, დამორჩილდა, მივიდა დევთან. დევმა აათვალ-ჩაათვალიერა, მიიპატიჟა. მამაშენიც ხამი არ არის ჩემთან სტუმრობასაო. დევმა მიატარა, მოატარა, ძალიან მოეწონა ხელმწიფის შვილს ბაღი, მერე ამ დევმა უთხრა: — წამობრძანდი, ჩემი სახლიც ნახეო. — წაჰყვა, გააღო დევმა ოქროს კარები და

შეიყვანა სახლში. მაგრამ დახე მის განცვიფრებას! შესვლის უმალ სამოცმა მიჯაჭვულმა კაცმა ერთხმად დაიძახა: — შე უღმერთოვ, შენ რაღამ მოგიყვანა აქაო. — მივიდა დევი, აუშვა ერთი ტყვე და ეს ხელმწიფის შვილი იმის ადგილას ჩაბა, შენ აქ მოითმინეო. მერე ცეცხლი აანთო, გადმოიღო ოქროს შამფური, გააცხელა ცეცხლზე, ააგო ეს ცოცხალი კაცი, შესწვა ცეცხლზე, დაჯდა და თავ-ფეხიანად დაძმუძნა, მერე დაწვა და დაეძინა. ამოუშვა საშინელი ხვრინვა. ხელმწიფის შვილმა იკითხა: — ამ კაცს რა ხასიათი აქვსო? — ტყვეებმა მიუგეს: — ერთ კაცს რომ შესჭამს, დააწვება ძილქუში და სამ დღეს აღარ გამოიღვიძებსო. — მაშინ ხელმწიფის შვილმა უთხრა: — აბა, ეს ჯაჭვების კვანძი ავწიოთ, ეგებ სიმძიმისაგან გაწყდეს და ჩაიშალოსო. — მოგროვდნენ სულყველანი ერთად, დაებღაუჭნენ, ასწიეს და ოდნავ შეანძრიეს. მერე ხელმწიფის შვილმა უთხრა:

— შეისვენეთ და მერე მთელი ძალით ავწიოთ. — შეისვენეს და ასწიეს — მხოლოდ ერთი გაუყენეს. მესამედ კიდევ შეისვენეს: — აბა, ახლა კი ძმურად, ერთად და ძალით ავწიოთო. — ასწიეს და როგორც იყო აიტანეს მუხლზე, გაწყდა ერთი წვერი და ჩამოიშალა ჯაჭვები. გაინთავისუფლეს თავები და გაიქცნენ. ხელმწიფის შვილი ეუბნება: მოიცადეთ, ეს თვალ-მარგალიტი და სიმდიდრე წაიღეთო, მაგრამ თავი რომ ცოცხალი დააღწიეს, იმას რა სჯობდა!

ხელმწიფის შვილმა აიღო შამფური, გაახურა ცეცხლში, ასწია, ჰკრა იმ ცალ თვალში დევსა და გამოუჭეჭყა. წამოვარდა დევი ზეზე, აქეთ-იქით მიაწყდა, ვერა გაიგო რა. მაშინ ხელმწიფის შვილმა გაისვა ხმალზე ხელი და დევი ლუკმა-ლუკმა აჩეხა. გამოსწია და თავის გზას დაადგა. იარა რამდენიმე ხანი და ერთ ადგილას დაინახა, რომ სამი ძმა დევი დგას და ერთმანეთს საშინლად სცემენ ლახტებითა. მივიდა ახლოს და დაუძახა: — სამ ძმას დევს გაუმარჯოსო! მათ ხმა არ გამოსცეს. მეორედ კიდევ დაუძახა, მესამედ კიდევ: — სამ ძმას დევს გაუმარჯოსო! — მაშინ გაანებეს ჩხუბს თავი და უთხრეს: — რა იცი, რომ ძმები ვართო? — როგორ არ ვიცი, განა არ გეტყობათო?! მაგრამ რაზე ხოცავთ ერთმანეთსაო? — რახან გვეკითხები შუაკაცობაც შენ უნდა გაგვიწიოო, ჩვენ ვიყრებით და ვერა ვრიგდებით: ჩვენ გვაქვს ერთი ნატვრის სუფრა, ერთი მფრინავი ხალიჩა და ერთიც უჩინმაჩინის ქუდი; ესენი ვერ გაგვიყვია და შენ გაგვინაწილეო. მაშინ ხელმწიფის შვილმა მოატანინა მშვილდ-ისარი, გაისროლა სამი ისარი სხვადასხვა მხარეს და უთხრა: — წადით, ისრები მოიტანეთ. ვინც უწინ მოიტანს, ნატვრის სუფრა იმას ერგოს;

ვინც მეორედ მოვა, ნატვრის ხალიჩა იმას და ვინც ბოლოს — უჩინ-მაჩინის ქუდი იმასო. გაუხარდათ. წავიდნენ ისრების მოსატანად, მაგრამ სად იპოვნიდნენ?! მგონი ცხრა მთას იქით იყვნენ გადაკარ-გულები. დეევები რომ შორს წავიდნენ, ხელმწიფის შვილმა მოსინჯა ეს ნივთები, გაშალა მფრინავი ხალიჩა, აიღო ხელში ნატვრის სუფ-რა, უჩინმაჩინის ქუდი და უთხრა ხალიჩას: — აბა, ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამიყვანე და იქ მიმიყვანე, სადაც ჩა-რექის ქალი ცხოვრობსო. — აფრინდა ეს ხალიჩა და თვალის დახამ-ხამებაზე იმ ქალაქში მიიყვანა. მადლობა უთხრა ხალიჩას, დაკეცა და ერთ დედაბერთან შევიდა, სთხოვა, მისტუმრეო. დედაბერმაც სი-ხარულით მიიღო. გამოჰკითხა ქალაქის ამბავი. დედაბერმა უამბო, რომ კარგი ქალაქია, კარგი ვაჭრობაოო; ისიც უამბო, რომ ჩვენ ხელ-მწიფეს ჩარექის ქალი ჰყავს, დილით ასწონიან ჩარექია, საღამოზე კიდევ ისევ ისევე, არც აკლდება და არც ემატებაო; იმასა ჰყავს ია-დონი და ბულბული, რომლებიც თავის მშვენიერი ჭიკჭიკით შეაქცე-ვენ იმ ქალსაო. მერე ამ ყმაწვილმა უამბო, თუ რისთვის მოსულა. დედაბერმა უთხრა: — ტყუილად გარჯილხარ, ის ქალი მარმარილოს კოშკში ზის, ცივ ნიავს არ აკარებენ და შენ როგორ შეხვალ იქაო. დაანახა ის კოშკიც. იმას მარტო ერთი ფანჯარა ჰქონდა. გაშალა იმ საღამოზე ხალიჩა, დაჯდა ზედ, დაიხურა უჩინმაჩინის ქუდი და უთხ-რა ხალიჩას: — ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამიყვანე და, სადაც ჩარექის ქალი ზის, იმ ოთახში შემიყვანეო! აფ-რინდა ეს ხალიჩა და შიგ კოშკში კი დამალა ეს ყმაწვილი.

ჩარექის ქალს ეძინა, იადონი და ბულბული შესჭიკჭიკებდნენ მძინარეს, კაცი უამესს ვერას გაიგონებდა. ქალს თავით და ფეხთით სანთლები ენთო. აიღო, თავის სანთელი ფეხთით დაუდგა, ფეხთისა თავით და ერთი აქეთ ლოყაზე აკოცა და მეორე იქით. ქალს გამო-ეღვიძა, წამოჯდა ზეზე, მიიხედ-მოიხედა, ვერავინ ნახა, გაუკვირდა, ისევ დაიძინა. შუაღამე რომ შეიქნა, კიდევ შეუცვალა სანთლები და აკოცა. გამოეღვიძა ქალს, დაიძახა: — რა სულიერი ხარ, რა გინდა ჩემგანაო, თუ ეშმაკი ხარ, ჩემთან ეშმაკს რა უნდაო, თუ ადამიანი ხარ და აქ როგორ გაბედე მოსვლაო? — მაგრამ ვერას ხედავდა. ვაჟმა მესამედ კიდევ აკოცა, ქალმა ბევრი იჯავრა, მაგრამ ვისზე, ვერავის ხედავდა.

გათენდა დილა, ჩააცვეს ქალს, გაიყვანეს, ასწონეს და ჩარექს კიდევაც დააკლდა. განრისხდა ხელმწიფე მზარეულებზე: კაი საჭმე-ლი არ გიჭმევიათო. გაუსვა ხელი და თავები წააყრევინებინა საწყალ მზარეულებს. ის დღე ხელმწიფის შვილმა კოშკში გაატარა. რომ და-

ლამდა და ქალმა დაიძინა, კიდევ შეუცვალა სანთლები და ფოკა. წამოდგა ქალი და ხვეწნა დაიწყო: — თუ კაცი ხარ მე და და შენ ძმა, თუ ქალი — მე შვილი და შენ დედაო! მაგრამ ხმა არავინ გასცა. ქალს კიდევ დაეძინა, ვაჟმა კოცნა გაუმეორა. კიდევ წამოვარდა, ეხვეწებოდა: — გამოჩნდი ვინა ხარ, ხომ გაიგე მზარეულებს რა უყვეს. რაზე იხვევ მათ ცოდოს თავზეო? გამომიჩნდი და რა ვქნა, შენ ქმარი და მე ცოლიო. მაშინ მოიხადა ქუდი ყმაწვილმა და გამოჩნდა. ქალს დიდად გაუკვირდა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი. დააწყეს როგორ წასულიყვნენ. მერე გაშალა ნატვრის სუფრა, შეეტენენ ვახშამს, როცა ისინი შეექცეოდნენ, დაიწყეს საამო სტვენა იადონმა და ბულბულმა. გაათავეს ვახშამი, დასხდნენ ხალიჩაზე, იადონი და ბულბული გალიით ხელში დაიჭირეს და შეულოცეს ხალიჩას: — ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, აგვიყვანე და იმ ქალაქში მიგვიყვანე, სადაც ჩემი ძმები არიანო! — აფრინდა ხალიჩა და იმ ქალაქში ჩამოსხა. დაიჭირეს ერთი სახლი და მოისვენეს. მეორე დღეს ყმაწვილმა დაუწყო ძებნა თავის ძმებს. აგერ, დაინახა, რომ უფროსი ძმა ხაბაზთან არის მოჯამაგირედ. მივიდა, პური იყიდა და ხაბაზს უთხრა: — შენს მოჯამაგირეს გამოატანე პური, ფულს ვაჩუქებო. როცა გაჰყვა ძმა, უმცროსმა უთხრა: — რა გაგიჭირდა ისეთი, რომ ხაბაზს დაუდექიო? იმან უამბო თავის გაჭირვება. მაშინ წაიყვანა აბანოში, გაბანა, ჩააცვა ტანისამოსი როგორც ხელმწიფის შვილს ეკადრებოდა და თავის დანიშნულთან მიიყვანა. ახლა წავიდა მეორე ძმის საძებნელად, ისიც მეხაშეს დასდგომოდა მოჯამაგირედ. იყიდა ხაში, გაიყოლა ძმა თანა, ისიც გაბანა, ჩააცვა და მიიყვანა შინ.

როცა ძმებმა დაინახეს გამარჯვებული უმცროსი ძმა, შური აღეძრათ; ჩუმად მოილაპარაკეს, დააწყვეს საქმე. თუ როგორ დაეღუპათ იგი. გაიტყუეს და უთხრეს: — წამოდი, ერთი საკვირველება გიჩვენოთო! წაიყვანეს. ერთ ღრმა აკლდამასთან მიიყვანეს და ჩაახედეს შიგ. თავი წინ რომ წაიღო და ჩახედა, ჰკრეს ხელი და შიგ ჩააგდეს. წამოვიდნენ, მივიდნენ ქალთან, ქალმა საქმრო იკითხა. მათ უთხრეს: მოვაო. იადონმა და ბულბულმა ფრთები ჩამოუშვეს. ქალმა იფიქრა: რაღაც უბედურებაა ჩემს თავსაო. იტირა ბევრი, მაგრამ მაზლებმა გაუქარწყლეს. დასხდნენ ხალიჩაზე და მამის ქალაქში წავიდნენ. მიეგება მთელი სახელმწიფო — ხელმწიფის შვილები მშვიდობით დაბრუნდნენო, მოჰყავთ იადონი, ბულბული და მზეთუნახავი ქალიო! მოეგება მამაც. მიიღო სიხარულით, ჰკითხა ამბავი. მათაც უამბეს, როგორც უმცროსი ძმისგან გაეგონათ. გაურიეს ბევრი ტყუ-

ილიც და ძმის ამბავიც უთხრეს: ის მოუსავალი გზით წავიდა, უეჭველად დაიღუპებოდაო. მერე ქალს ურჩია ხელმწიფემ ერთ-ერთი ძმა შეერთო, მაგრამ არა ქნა: მაზლს ვერ ზევირთავო. ჩაჯდა ერთ ბნელ ოთახში, იადონი და ბულბულიც თანა ჰყავდა, და საქმროს დაკარგვას გლოვობდა.

უმცროსი ძმა რომ ხვრელში იჯდა, იმ დღესვე ერთი მკვდარი თოკებით ჩაუშვეს შიგა. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოეხვივნენ მგლები ამ ხვრელსა, რაკი ლეშის სუნი აიღეს. ყმაწვილმა დაინახა, რომ ერთ სოროდან მგელი მოძვრება; გააქნია მკვდარი და შიგ პირში მისცა მგელსა, მგელმა გაათრია. თვითონაც უკან მიჰყვა ღა გარეთ გამოძვრა. გასწია და წავიდა მამის სამფლობელოსაკენ. მივიდა, მაგრამ ყველამ სიცილი დაუწყო, აბუჩად აიგდო. ამ დროს ქალის ოთახში იადონმა და ბულბულმა ჭიკჭიკი მორთეს. ქალმა იფიქრა: „იქნება ჩემი საქმრო საითმე გამოჩნდეს, ამათ რომ ასე გაიხარესო". მართლაც, უმცროსი ძმა მივიდა შინა, ჯერ საცოლო ნახა და მასუკან დაიბარა ძმები და მშობლებს უამბო ყველაფერი. მაშინ დარჩა მეფობა უმცროსს და დასაჯა ძმები. იადონი და ბულბული ტაძარში შეიყვანეს, იქვე დაქორწინდნენ და ბედნიერად ცხოვრება დაიწყეს.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

ხელმწიფის სამი ვაჟი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სახელგანთქმული ხელმწიფე. ხელმწიფემ მოისურვა ტყეში ნადირობა, თან წაიყვანა თავისი სამი ვაჟიშვილი, უფროსმა ძმამ მოჰკლა ირემი, შუათანამ—კურდღელი, პატარამ კი—სპილო. წამოვიდნენ სახლში. როცა მოიტანეს ნანადირევი სახლში, ხელმწიფემ შვილებს უთხრა:

— რაკი თქვენ ნადირობის ხალისი გაქვთ, ერთ უღრან ტყეში არის დევი. რომელსაც გატაცებული ჰყავს მშვენიერი ქალიშვილი, ის დაიხსენით და მომიყვანეთ ცოლადაო. ძმები დათანხმდნენ ამ სიტყვაზე და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, პირველი ძმის მოკლული ირმის დედა შემოხვდათ გზაზე. ირემი ცხარე ცრემლითა

ტიროდა. შეეკითხა უფროსი ძმა: — რა გატირებსო? — ირემმა უთხრა: — ვინც ჩემ შვილს მომიყვანს, იმას დიდ სიკეთეს ვუზამო! მაშინ უფროსმა ძმამ უთხრა: — შენ შვილს მე მოგიყვანო, ოღონდ ერთ დავალებას გეტყვი და ის შემისრულეო. — გახარებული ირემი დათანხმდა. დაბრუნდა უფროსი ძმა უკან და მკვდარი, მოკლული ირმის შვილი მიუყვანა. გახარებული ირემი გადაეხვია თავის შვილს, აკოცა და იმ წამს გაცოცხლდა. მაშინ ბიჭმა უთხრა: — შენ შენი ხომ შეგისრულე, ახლა ჩემი დავალება შეასრულეო. — მითხარიო, — უთხრა ირემმა. ადვა ბიჭი და რაც რომ მამამისმა უთხრა, გადასცა. ირემმა უთხრა: მაგას შეგისრულებ, მაგრამ იცოდეთ მამათქვენს თქვენი ღალატი უნდაო.

ძმები შეფიერდნენ. ირემმა უთხრა: — როდესაც მაგ ქალს მოიყვანთ, ერთი თმა ამოაცალეთ და შეინახეთო. მამათქვენი ორ დავალებას კიდევ მოგცემთ, ამ ორ დავალებას მეც შეგასრულებინებთო. როდესაც ამ სამივე დავალებას შეასრულებთ, მაშინ ვეზირი გიღალატებთო, — ეს თქვა და გაჰქრა.

წავიდნენ ძმები ქალის მოსაყვანად; ბევრი გზა გაიარეს, შეხვდათ ერთი უზარმაზარი სახლი, რომლიდანაც ბოლი ამოდიოდა. მივიდნენ ამ სახლთან. ნახეს, რომ დევს სარჩო აღარა აქვს, შეუდგამს წყალი და თავის ცოლი უნდა მოხარშოს. მაშინ ძმებმა მოისაზრეს; უფროსმა ძმამ თქვა: მე პურს დავტოვებ, როდესაც დევი სუნს გაიგებს და გარეთ გამოვა, მაშინ თქვენ შედით და ქვაბი გადააბრუნეთო. ასეც მოიქცნენ, აიღო უფროსმა ძმამ, გამოიტანა პური, დატოვა კარგა შორ მანძილზე. გაცოფებული დევი, როდესაც პურის სუნი გაიგო, გახარებული გავიდა გარეთ. მანამდე იმ პურთან მივიდოდა, ძმებმა დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს გადააბრუნეს ქვაბი და გამოვიდნენ გარეთ. როდესაც დევმა პური შეჭამა, მაშინვე შევარდა სახლში, მდუღარე წყალში ფეხი ჩაჰყო, შეღრიალა და ახტა მაღლა, მერე გარეთ გამოვარდა და გაიქცა რაც ძალა და ღონე ჰქონდა.

როდესაც დევი გადაიკარგა, ძმებმა სტაცეს გოგოს ხელი და წამოიყვანეს. გზაზე ქალს უფროსმა ძმამ თავიდან ერთი ბეწვი თმა ამოაძრო და შეინახა. მიიყვანეს სახლში და ჩააბარეს მამამისს.

ხელმწიფეს ჰყავდა ერთი გულთმისანი, მოიყვანა ეს გულთმისანი და უთხრა: — ამ ქალს რამე ხომ არ აკლიაო? — გულთმისანი ბევრს აკვირდებოდა, მაგრამ ვერ გამოიცნო.

პირველ ტანჯვას ასე გადარჩნენ ძმები. ახლა მისცა მეორე დავა-

ლება ხელმწიფემ: — ამა და ამ ალაგას დევკაცა ცხოვრობს და მისი რძე მომიტანეთო.

დაღონებული ძმები გაუდგნენ გზას. ამ დროს შემოხვდათ კურდღელი, რომელიც ძალიან ტიროდა თავის შვილზე. შეეკითხა შუათანა ძმა ვინაობას, თუ რაზე ტიროდა. გაიქცა და თავისი შვილი მოუყვანა. კურდღელმა რომ დაინახა თავისი შვილი, გახარებული გადეხვია, გადაუსვა კუდი და გააცოცხლა. მაშინ კურდღელი ადგა და მისცა თავის ბეწვი: — სადაც რა გაგიჭირდეს, ამოიღე და მახსენეო.

გაუდგნენ ძმები გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთ მდინარის პირს. დალიეს წყალი, ჭამეს პური და ისევ გაუდგნენ გზას. მივიდნენ ერთ ალაგას, ნახეს დიდი მთა, რომელიც შვიდ წელიწადში ერთხელ იღებოდა და ერთხელ იხურებოდა. სწორედ მეშვიდე წელიწადი იყო, მთა გაღებული დახვდათ. დიდის კანკალით, შევიდნენ ძმები. შევიდნენ და ნახეს, რომ დევკაცის მოწველილი რძე ორ სურაშია ჩასხმული. სტაცა უფროსმა ძმამ ერთ სურას ხელი. როცა უკან ბრუნდებოდნენ, ამ დროს მოდიოდა დევკაციც. ძმები მიიმალნენ იქვე. დევკაცამ გაიარა, ძმები წამოდგნენ და გამოუდგნენ გზაა. გამოიარეს გზა და თქვეს: ნეტავ ვიცოდეთ, ეს რძე მამაჩემს რად უნდაო?! აიღეს ძმებმა ეს რძე და დაადგეთეს შეშაზე. ნახეს, იმდენი ჭიანჭველა დაესია, რომ შეშა ერთიანად გადაფარა. მაშინ ძმებმა თქვეს: მამაჩემს ეს რძე სახეიროდ არ უნდაო, და გამოუდგნენ გზას. მოიტანეს და მისცეს რძე.

ხელმწიფემ თავისი გულთმისანი იხმო და უთხრა: — ამას ხომ არაფერი აკლიაო? — გულთმისანი დააკვირდა და თქვა:

— ამას ერთი წვეთი რძე აკლიაო. — გაგულისებულმა ხელმწიფემ დაუყვირა თავის შვილებს: — წადით და ის ერთი წვეთი რძე მომიტანეთო! — წავიდა შუათანა ძმა, გაიარა ცოტა ტყე და ახსენა კურდღელი. მაშინ კურდღელი მის თვალწინ დაიბადა. უთხრა ბიჭმა კურდღელს თავისი გასაჭირი. გაიქცა კურდღელი, იმ დროს, როდესაც მთა უნდა დახურულიყო. შეასწრო, სურაში კუდი ჩაყო და უკანვე გამოჰკურცხლა. მოვიდა და ბიჭს უთხრა: — მომიჭირე კუდზე ხელი და ერთი წვეთი რძე მოწურეო. მოუჭირა ბიჭმა კუდზე ხელი და ერთი წვეთი რძე მოიწურა. მოიტანა, სურაში ჩაამატა და სურაც გაივსო. ხელმწიფეს გულთმისანმა უთხრა: — ეს ორი დავალება ხომ შენ მიეცი, ახლა ერთ დავალებას მე მივცემო. — მისცა ხელმწიფემ ნება გულთმისანს. გულთმისანი ადგა და სამივე ძმას უთხრა: — წადით და მამათქვენს სპილოს ძვლის სახლი აუგეთო. გულშემოყრი-

ლი ძმები გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, შემოხვდათ სპილო, რომელიც დაღონებული დადიოდა, შეეკითხნენ ვინაობას, სპილომ უთხრა ყველაფერი. წაკიდა და უმცროსმა ძმამ სპილოს შვილი მოიყვანა და ჩააბარა პატრონს. გახარებულმა სპილომ ხორთუმი გაუსვა თავის შვილს და გააცოცხლა. როდესაც გააცოცხლა სპილომ თავისი შვილი, უთხრა: — რა დარდი გაქვთ მითხარითო. ადგა და უმცროსმა ძმამ უთხრა: — მამაჩემს ასეთი და ასეთი სახლი უნდა ავუშენოთო. სპილომ აიღო და თავის ფეხით ბიჭს მარჯვენა ხელზე ჯვარი დაუხატა, თან უთხრა: — წახვალ მამაშენთან, მოსთხოვ ხუთას ფუთ თაფლს, მოიტან და დაასხამ ამ ტრიალ მინდორზეო. სპილოები მოვლენ, მაშინ ყველას ეს ჯვარი უჩვენე და ყველა სპილო ბოძებად იქცევაო. მერე მე მოვალ და სახლსაც ავაშენებო. უმცროსი ძმა ასეც მოიქცა. მოვიდა მამამისთან, მოსთხოვა ხუთასი ფუთი თაფლი. აიღო ბიჭმა ეს თაფლი, მიიტანა და ტრიალ მინდორზე დაასხა. გავიდა რამდენიმე ხანი. გაიხედა და ნახა, რომ იმდენი სპილო მოდის — საზღვარი არა აქვს! დაიჭირა ბიჭმა მარჯვენა ხელი, გაიშვირა და ჯვარი უჩვენა, ყველა სპილო სვეტებად იქცა. დააგროვა ბიჭმა ბევრი სვეტი და როდესაც აღარაფერი მოდიოდა, დადგა და თვლა დაუწყო. ამ დროს დაინახა, რომ მოდის უზარმაზარი დევი, რომელიც პირიდან ცეცხლსა ჰყრის. ბიჭმა იფიქრა: „მოდი ამ ღევს ამ სვეტებს გადავაზიდვინებო". ადგა და ჯვარი ნახევრად უჩვენა. ეს დევგმირი დევიც მონა გახდა ბიჭისა.

მიაბა ბიჭმა სვეტები და აზიდვინა. მოიტანა მამამისის კარებთან და დაყარა. დაიბარა შემდეგ სპილო და სპილოც შეუდგა საქმის გაკეთებას. ააგო სპილოს ძვლის სახლი, რომელშიც ორმოცი ოთახი იყო. მოაწყო შიგ სხვადასხვა რამეები და მეორმოცე ოთახი დაიტოვა თავისთვის საიდუმლოდ. მერე უთხრა მამამისს: — მზად არის, მოდით და ნახეთო!

შევიდა მამამისი და გაუკვირდა. მოიყვანა გულთმისანი და უთხრა: — ამას ოთახები რამე ხომ არ აკლიაო? — გულთმისანმა უთხრა: — ოცდამეცხრამეტე ოთახი აკლიაო. — მაშინ ბიჭმა უპასუხა: — ოცდამეცხრამეტე თქვენთვისო და მეორმოცე კი ჩემთვისაო!—ხელმწიფე დათანხმდა. დაიწყეს ძმებმა შიგ ცხოვრება. ძმებმა იფიქრეს: „ჩვენ ვიშრომოთ, ჩვენ ვიწვალოთ და თან მამაჩვენი ასეთს დავალებებს გვაძლევდეს, აბა მასთან როგორ უნდა დავდგეთო?" გადაწყვიტეს ძმებმა გაყრა მამისაგან. ეს გულთმისანმა იგრძნო და შეატყობინა ხელმწიფეს: თქვენი შვილები გაყრას გიპირებენო. ადგა

იმ ღამეს ხელმწიფე, მოეპარა ძმებს და გადაასხა ის რძე. დაეხვია ბიჭებს ჭიანჭველა.

ამ დროს მოაგონდა პირველ ძმას მამამისის ცოლის თმა და თქვა: „თმავ, თუ რამე ძალა გაქვს, ახლა გვიშველეო!“ მაგრამ თმამ შველა ვერ მისცა. იფიქრა მეორე ძმამ კურდღლის ბეწვი: გაჩნდა კურდღელი. მაგრამ კურდღელმაც შველა ვერ მისცა. იფიქრა მესამე ძმამ სპილო: მოვიდა სპილო, ნახა, რომ ძმები ძალიან დიდ გაჭირვებაში არიან. ადგა და დიდი ძალით დაუწყო შებერვა და მთელი ჭიანჭველები გადაფანტა. მერე სპილომ უთხრა: — ვიცი მამათქვენი ცოცხალს არ დაგტოვებთ, მოდი და იმის ოთახს სვეტი გამოაცალეთო, სახლი მაშინვე ჩაინგრევა და შიგ მოემწყვდევიანო.

მივიდა უფროსი ძმა, გამოაცალა სვეტი და ოთახი დაინგრა. ხელმწიფე, მისი ცოლი და გულთმისანი სახლის ქვეშ მოემწყვდნენ...

აქ ვიღაცა დამალულა.
ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ალალულა, მალალულა.

მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იყო, იყო ერთი გამოჩენილი მონადირე. მონადირე ნადირს მუდამდღე ხოცავდა და მოჰქონდა სახლში. ერთხელ მონადირე ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. უცებ ერთი თეთრი ირემი ამოუხტა, დაუდგა წინ და უთხრა: — მესროლე, თუ დამკარ, ხეტავი შენ, და თუ ვერ დამკარ — ვაი შენაო!

ესროლა მონადირემ და დააცდინა. ირემი გაჰქრა. დაბრუნდა შინ მონადირე და ცოლს უთხრა: — დღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ, მოვკვდები, სუდარა მომიმზადეო. — მართლაც, იმ ღამეს მოკვდა მონადირე. მონადირის ცოლი ორსულად დარჩა. გაუჩნდა ვაჟიშვილი, ისეთი ლონიერი და ყოჩაღი, რომ იმის დარი იმ ქვეყანაში არავინ იყო. ერთხელ ჩამოიღო თოფი შვილმა, გატენა, შევიდა დედასთან და ჰკითხა: — დედავ, მამაჩემი რამ მოკლაო? — წერაქ, შვილო, — უპასუხა დედამ. — არა, უნ-

და მითხრაო, — გადაეკიდა შვილი. ბოლოს დედამ უამბო ყველაფერი.

მონადირის შვილი ადგა, ჩამოათალა ერთ ხეს, ესროლა სამი და ნატყვიარი ნატყვიარში გაატარა. გადაიკიდა მერე მხარზე თოფი და გასწია იმ ირმის საძებნელად.

გაიარა ტყეები, ხევები და იმ მინდორზე გამოვიდა, სადაც მის მამას ესროლა ირმისათვის თოფი და დაეცდინა. უცებ გამოუხტა მასაც თეთრი ირემი, დაუდგა წინ და უთხრა: — მესროლე. თუ დამკარ, ნეტავ შენ, და თუ დამაცდინე — ვაი შენაო! დაუმიზნა ვაჟმა და შიგ გულში გაახედა. წაიქცა ირემი და მოკვდა. მივიდა ვაჟი, ხორცი ამოაჭრა, გადაყარა, ტყავი თავის კუდით, ფეხებით და თავით წამოიღო შინ და მოვიდა დედასთან; დადო ტყავი და დაისვენა. შეეხედოთ, გაცოცხლებულა ირემი, ბეწვზე თვალმარგალიტი ასხია, დადის და დააღარუნებს. მონადირის შვილი გაკვირვებულია. შეიყვანენ მაშინვე ირემს სახლში და დასტრიალებენ თავს. შეიბერტყება ირემი, სულ მარგალიტი და თვალი სცვივა: ერთ კვირაში ერთ სახლს ავსებს. გამდიდრდა ძალიან მონადირის შვილი; ისეთი სახლები დადგა, რომ ხელმწიფეს ეკადრება. ბოლოს შვილი ეტყვის დედას: — დედავ, რად გვინდა ამდენი სარჩო და ქონება, თუ ან ხალხში არ გამოვალთ და ან ქვეყანაში არ გამოვჩნდებითო; დავპატიჟოთ ხელმწიფე და ერთი ჩვენი სიმდიდრე ვიჩვენოთო. — არა, არ გვინდა ხელმწიფეო, — უთხრა დედამ შვილს, — ის ჩვენ აქ სიკეთეს არ მოგვიტანსო. — არა ქნა შვილმა: — უთუოდ უნდა დავპატიჟოო. — როგორც გინდოდესო, — უთხრა დედამ. მაშინვე მოამზადებინა მშვენიერი სადილი, ვაჟმა ჩაიცვა მდიდრულად და წავიდა ხელმწიფესთან საპატიჟოდ. ხელმწიფე როგორც იყო წამოიყვანა, აჭამა კარგი სადილი და მერე თავისი ირემი უჩვენა. ხელმწიფეს თვალები დაებრიცა ირმის ცქერით. — ეგ ირემი მე უნდა წავიყვანოო, — უთხრა ხელმწიფემ ვაჟს. ვაჟი უარზე შედგა, მაგრამ რა გაეწყობოდა? — წაართვეს და წაიყვანეს.

დარჩა ხახამშრალი მონადირის შვილი. გავიდა რამდენიმე ხანი და, აი, ერთ დღეს ეძახის ხელმწიფე ვაჟს თავისთან. ვაჟი წავა. ხელმწიფე ეტყვის: — აი, ეს ოთახები სავსეა თვალ-მარგალიტით (ოთხი ოთახი სავსე იყო და მეხუთე ნახევარზე) ისეთი სახლები უნდა ამიშენო, რომ კაცს არ ენახოსო. ვაჟი შეწუხდა, ხელმწიფეს უთხრა: — დიდებულო ხელმწიფევ, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და საიდან აგიშენოთ სახლიო. — როგორც გინდა, ისე ააშენეო, — უთხრა ხელმწიფემ. ვაჟმა იფიქრა და უთხ-

რა: — კარგი, ორასი ურემი კირი მომიტანეთ, ორასი ურემი ლამი და მე ვიცი. — მოუტანეს ყველაფერი. ვაჟმა ალების ერთი ტბა იცოდა. იმ ტბაზე სასმელად მთელი ალების ჯარი მიდიოდა. წაიღო ეს იმოდენა კირი და ლამი, ჩაყარა შიგ და ამოლესა ტბის ძირი და გვერდები, მერე მიუშვა შიგ ბანგი.

მოვიდნენ ალები, დალიეს ეს წყალი, დათვრნენ და დაეყარნენ იქვე. მიუსია კაცები მონადირის შვილმა მთვრალ ალებს და ყველასათვის კბილები კი დაახერხინა. წამოიღო ის კბილები, მოიწვია ხელოსნები და ისეთი სახლი დადგეს ალების კბილებისა, რომ იმაზე საკვირველი აღარა იქნებოდა რა. გამოვიდა ხელმწიფე. ნახა ეს სახლი და იქვე წაიკცა, ძლივძლივობით მოაგონეს გულწასული ხელმწიფე და შეაბრძანეს შინ.

ერთი ბებერი იყო ამ ხელმწიფის მოსამსახურეებში. ის ადგა და ხელმწიფეს მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფევ! დროს ნუ ჰკარგავ, ეგ ბიჭი ყოჩაღი ყოფილა, მაგას შეუკვეთე, რომ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მოგიყვანოსო! — დაიბარა ხელმწიფემ მონადირის შვილი და უთხრა:

— შენ უნდა წახვიდე და აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მომიყვანოო. — მონადირის შვილი ეტყვის: — დიდებულო ხელმწიფევ! თუ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი გინდა მოგიყვანო, ათასნაირი ფარჩა მომეცი და ერთი ხომალდიც გამიკეთეო. — უბრძანა ხელმწიფემ ათასნაირი ფარჩა, ისეთი ჭრელი, რომ კაცს თვალს მოჰკვეთდა. ჩააწყო ხომალდში და გასწია ზღვით. კარგა გზა რომ გაიარა, უცებ ერთი ქუხილი და ჭექა მოესმა, შეხედა და ნახა: თეთრ ქორს გამოუგდია წინ მტრედი და მოსდევს. მტრედი შევარდება ხომალდში — ნუ მიმცემო, ეხვეწება ვაჟს. მომეცი, ეტყვის თეთრი ქორი მონადირის შვილს და გამოგადგებიო. მისცემს ვაჟი მტრედს და გასწევს ქორიც. გაივლის კიდევ და უცებ ერთი საშინელი შხაპუნი და წყლის ხევა მოისმის. მოიხედავს ვაჟი და დაინახავს, რომ ერთ თეთრ თევზს გამოუგდია წინ ერთი წითელი თევზი და მოსდევს. ამოხტება თევზი და შევარდება ხომალდში. თეთრი თევზი შეეხვეწება მონადირის შვილს: ეგ თევზი მომეცი და, თუ დაგჭირდეს ჩემი თავი, გამოგადგებიო. მისცა თევზი თეთრ თევზს და გასწია თავის გზაზე.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ქალის სახლთან. ამოალაგა რაც ფარჩა ჰქონდა და გაფინა ქალის კარებზე. გამოვიდა ქალი და შლის გაკვირვებით ფარჩას. ვაჟმა უთხრა: — ქალბატონო, ეგ რა არის, საქმე იქაა, მე რომ გემი მაქვსო. თუ გნებავთ, წამობრძანდით

და ნახეთო! ჩაიტყუა ამრიგად ვაჟმა ქალი, ჩასვა ხომალდში და გაა-ქანა.

ვზაზე ქალმა უთხრა: — რა არის, რომ ერთი სანათურიც არ გიქ-ნია, რომ ცა დაინახოს კაცმაო. — ვაჟმა მაშინვე ამოჰკრა ზევით ხო-მალდს, იქცა ქალი მტრედად და გაფრინდა. დარჩა ცარიელი მონა-დირის შვილი. ერთიც ვნახოთ, დაუჭერია თეთრ ქორს ეს მტრედი და მოუყვანა ვაჟს. ამრიგად, გაიარეს ქალმა და ვაჟმა კარგა გზა. ბოლოს ქალი ეტყვის: — ამ ცის ლაჟვარდს ხომ არ მაჩვენებ, ეს ზღვის ტალღები მაინც მაჩვენეო. — ამოჰკრა ვაჟმა ხომალდს; ქალი დგა ა და უცქერის ვითომ ზღვას; უცებ იქცევა თევზად და დაიკარ-გება ზღვაში. დაიწყებს მონადირის შვილი თავპირში ცემას, მაგრამ რაღას გააწყობს. უცებ შხლატუნი მოესმის, გაიხედავს და ნახავს, რომ თეთრ თევზს დაუჭერია ეს თევზი და მოჰყავს. მოუყვანა თევზ-მა და შეუგდო ხომალდში. ქალმა ჰკითხა მონადირის შვილს: — ვის-თვის გინდივარო? — ხელმწიფისთვისაო, — უპასუხებს ვაჟი. — არა, მე ხელმწიფის ცოლად არ გამოგყვებიო, — ეტყვის ქალი, — შენ ქმარი და მე ცოლიო! — ეგ როგორ მოხერხდება, ხელმწიფე წა-მართმევს შენს თავსო.— ეგ მე ვიციო, — უპასუხა ქალმა, — შენ მარტო ის წაუღე ხელმწიფეს, რაც გაგატანოო. უთხარი: საჩუქარია ქალის გამოგზავნილი, თქვენა და თქვენმა ნაზირ-ვეზირმა გახსენი-თო. წაიღო ვაჟმა, რაც ქალმა გაატანა, და წავიდა. მიუტანა ხელმწი-ფეს და უთხრა: — თქვენმა კაცებმა გახსენით, ქალმა მოგართვათო. თვითონ კი გაერიდა. ხელმწიფემ და მისმა ნაზირ-ვეზირმა დაუწყეს ხსნა ქალის საჩუქარს. უცებ გატყვრა და იქვე მიაწვინა ყველანი. ქალიც მონადირის შვილს დარჩა და სახელმწიფოც.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

გოჟმის ყვავილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო შვიდი ძმა. ძალიან მდიდრები იყვნენ, აუარებელი სარჩო-საბადებელი ჰქონდათ; თვა-ლისა და მარგალიტის ანგარიში არ იცოდნენ. მუდამ ლხინსა და გა-

ხარებაში იყვნენ; ერთი არც მტერი ჰყავდათ და არც მოკეთე; ქვეყნისა არაფერი არ იცოდნენ. ბოლოს თქვეს ძმებმა: — ასე სიცოცხლეც არ შეიძლება; მოდი, წავიდეთ, ან მტერი ვინმე შევიძინოთ და ან მოკეთეო! — თქვეს და აასრულეს. აჰკიდეს შვიდ ცხენს შვიდი საპალნე თვალ-მარგალიტი, აისხეს თვითონაც იარაღი და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ დიდ ტრიალ მინდორზე. გაიხედეს: სხვა არაფერი არა ჩანს, მთელი მინდორი მარტო ცხვრით არის თეთრად დაფარული და ერთი მეცხვარე უდგას. ძმები მაშინვე მივიდნენ იმასთან და უთხრეს, რომ ასეა ჩვენი საქმე. გვინდა დავიმოკეთოთ ვინმეო. მეცხვარეს გაუხარდა, მაშინვე მიიპატიჟა სახლში და მშვენივრად გაუმასპინძლდა. შვილი ჰყვანდა მოსანათლი, ისიც მოანათლინა და დანათესავდნენ. როცა ძმებმა წასვლა დააპირეს, მეცხვარემ იმდენი ცხვარი გაატანა, რამდენსაც კი შეიძლებდნენ და წაასხამდნენ.

წამოვიდნენ გახარებული ძმები, რომ კარგი მოკეთე იშოვეს. ცხვარი როდი უხაროდათ, იმიტომ, რომ თავის სარჩოც ბევრი ჰქონდათ. გავიდა კარგა ხანი. აღარც არაფერი ძმებმა იცოდნენ მეცხვარისა, აღარც მეცხვარემ მათი, ერთმანეთი აღარ ენახათ. ბოლოს ძმებმა თქვეს: — მოდი, წავიდეთ, ჩვენი ნათლული და ნათლიმამა ვნახოთო. — წავიდნენ, ნახეს — აღარსად ნათლული, აღარსად ცხვარი, აღარც სადმე მეცხვარე. ძალიან გაუკვირდათ, ბევრი ეძებეს, ბევრი თავიც შეიწუხეს, ბოლოს ერთი ბებერი ნახეს და ჰკითხეს: — მავანი და მავანი მეცხვარე თუ გაგიგონია, რა იქნა, სად წავიდაო?

ბებერმა უთხრა: — ეგეთი მეცხვარე დიდი ხანია ამოწყდა, ერთი შვილი დარჩა; სამადლოდ ხან ვინ აქმევს და ხან ვინაო. დღეს ერთთან გაძღება, ხვალ მეორესთან; სადაც დაუღამდება, იქ გაუთენდება, ერთი თავშესაფარი არა აქვსო. ძმებმა თხოვეს ბებერს, რომ ერთი ის ბიჭი გვიპოვე და რასაც გვთხოვ, მოგცემთო. ბებერმა მოუყვანა ნათლული. კარგა მოზრდილი ბიჭი იყო. ძმებს ძალიან გაუხარდათ. წამოიყვანეს სახლში. ასვეს, აქამეს, ჩააცვეს, დაპხურეს; დაბანეს და გაურეცხეს. გაუშალეს ბუმბულის ლოგინი და უთხრეს, მოისვენეო. მაგრამ ბიჭმა უარი უთხრა. მე არ შემიძლია, მაგაზე ვერ დავიძინებ, ბანზე ავალ და იქ დავიძინებ, ერთ საბანს კი დავიხურავ ზევიდანაო. ძმები რაღა თავს შეაწყენდნენ? როგორც გენებოსო, მოახსენეს. ავიდა ბიჭი და დაიძინა ბანზე.

თურმე იმ ღამეს ერთ ხელმწიფის ქალს და ხელმწიფის შვილს პირობა ჰქონოდათ, მოსულიყვნენ იმ ბანზე და მერე წასულიყვნენ ჯვარის დასაწერად. მოვიდა ქალი პირველი. ნახა, არსად დაპირებული! მივიდა, ასწია საბანი, იქნება ეს იყოსო. ის არ აღმოჩნდა. ქალმა დიდხანს უცადა კიდევ. ბოლოს რომ არა და არ მოუვიდა ხელმწიფის შვილი, ქალმა სთქვა: „ხომ მაინც მომატყუა და მომატყუა, შემარცხვინა და, რასაც ღმერთი მაძლევს, მოდი ნუ დავკარგავო". ასწია საბანი და ჩაეხუტა ვაჟს. გააღვიძა და უთხრა: — ჩქარა წავიდეთ, ჯვარი დავიწეროთ, მე შენ ქმრად მინდიხარო! — ვაჟი დათანხმდა რის ვაი-ვაგლახით: — ერთი ღარიბი კაცი ვარ, რასაც არა მხედავ, ამაზე მეტი არც სახლი მაქვს, არც კარი, არც სარჩო-საბადებელი, არც საპმელ-სასმელიო. — არაფერი უშავსო, — უთხრა ქალმა, — ყველაფერი მე მაქვსო. — ქალმა წაიყვანა ვაჟი თავის სახლში. მერე წავიდნენ იქიდან და ერთ ქალაქში მივიდნენ, იქირავეს ხელმწიფისაგან სახლი და დადგნენ იმაში. ქალი ისეთი ლამაზია, რომ ხელმწიფე გაგიჟდა მისი სილამაზით. დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უთხრა: — მე ისეთი ცოლი მყავს, რომ ქრისტიან კაცს პური არ ეჭმევა იმასთან და დახეთ ამ მთიულს როგორი ლამაზი ცოლი ჰყავსო! — რა ვუყოთ, დიდებულო ხელმწიფეე, — უპასუხეს ნაზირ-ვეზირებმა, — ძალით ხომ ვერ წავართმევთო. — ხელმწიფემ უბრძანა: — ნაზირ-ვეზირებმა ისეთი რამე იღონეთ, რომ იმას ის ცოლი წავართვათო. — ნაზირ-ვეზირებმა იფიქრეს და მოახსენეს: — ის მთიული კაცია, არაფერი არ უნახავს, სადილად მოვიპატიჟოთ, ის წესზე ვერ მოიქცევა, ვერ ადგებ-დაჯდება, განურისხდი და წაართვი ცოლიო. — მაშინვე გაუგზავნეს ვაჟს კაცი, რომ ხვალ ხელმწიფე გეპატიჟება სადილზეო. ვაჟი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა: — რა ვიცი, არაფერი მინახავს, ან როგორც უნდა ადგომა და დაჯდომა, ან სხვა საქციელიო. — ცოლმა დაარიგა: — რომ შეხვიდე, არ გაიცინო. თუ გაიცინონ, შენც გაიცინე, დაილაპარაკონ — შენც დაილაპარაკეო. — ბოლოს ექვსი ვაშლი მისცა. — სადილი რომ გათავდეს, ეს ექვსი ვაშლი თეფშზე დააწყვე და მიართვი ხელმწიფესო. ხელმწიფე ისევ შენ დაგიბრუნებს, შენ დასჭერი და ისევ ხელმწიფეს შესთავაზეო. საპმელი რომ მოგიტანონ, ყველა საპმლიდან აიღე თითო ლუკმა და გადადგიო. მერე ადექი, დაუკარი თავი და წამოდიო.

ვაჟი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ცოლმა დაარიგა. სადილი როცა გაათავეს, ადგა, დაუკრა თავი და წამოვიდა. ხელმწიფე ძალიან განურისხდა ნაზირ-ვეზირებს: — თქვე ვირებოო, ვირები მართლა თქვენ ყოფილხართ და არა ის მთიულიო! რაზე შემარცხვინეთ და

მომკერით თავიო! ახლა სხვა რამე მოიფიქრეთ, თორემ ცოცხლები ვერ გადამირჩებითო. — ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს: — სასეირნოდ წაბრძანდით და ისიც დაიბარეთ, რომ თან გახლდეთო. ან წინ წავა, ან უკან დარჩება, არაფერი არ ეცოდინება და განურისხდითო. მაშინვე დაიბარა ვაჟი და უბრძანა, რომ სასეირნოდ მივდივარ ხვალ და შენც თან უნდა მახლდეო. — ვაჟს მეტი რა ღონე ჰქონდა. წამოვიდა სახლში ცოლთან დაღონებული. — რას დაღონებულხარო, — უთხრა ცოლმა, — აჰა, ეს ძუა, ეს ბურთი ჯიბეში ჩაიდე და, როდესაც მათ მიუახლოვდე, ძუა გამოხსენი და შენი რაში გაჩნდებაო. დანიშნულ ადგილას რომ მიხვიდე, — უთხრა ცოლმა, — უცებ მოატრიალე რაში, ბურთი ამოხტება ჯიბიდან და თამაშობას დაიწყებსო. რაშიც იმას დაუწყებს თამაშობას და ხელმწიფეც შენ დაგიწყებს შემოცქერასაო. გზაზე კი, არა და არ ჰქნა, ან წინ არ წაასწრო და ან უკან არ ჩამორჩეო. გააქციონ ცხენები — შენც გააქციე, დააყენონ — შენც დააყენეო.

წავიდა ვაჟი და წაიღო ძუა და ბურთი. როდესაც ხელმწიფე და დიდებულები სასეირნოდ წამოვიდნენ, გამოხსნა ვაჟმა ძუა და ერთი მშვენიერი რაში იმასთან დაიბადა. მოახტა ვაჟი რაშსა და ამოუდგა გვერდში ხელმწიფეს. გააჩქარებს ხელმწიფე — გააჩქარებს ვაჟიც; ნელა წავა ხელმწიფე — ვაჟიც ნელა წავა. იარეს და, როდესაც დანიშნულ ადგილას მივიდნენ, უცებ რაში მოატრიალა და მოაბრუნა. ამოხტა ბურთი ჯიბიდან, და დაიწყეს რაშმა და იმან თამაშობა. მთელი დიდებულები და ხელმწიფე იდგნენ და პირდაღებულები შესცქეროდნენ რაშისა და ბურთის თამაშს. როდესაც მორჩა თამაშობას, დაუკრა ვაჟმა თავი ხელმწიფეს და სახლში გააშურა. ხელმწიფე ახლა უფრო მეტადაც გაუწყრა ნაზირ-ვეზირებს: — თქვე ვირებო, მეც ვირად გამხადეთ და გამაბრიყვეთ! იმაზე კარგი და შესაქცევი მხედარი ვის უნახავსო!? თუ ისეთი არაფერი არ მოიგონეთ, რომ იმას არ შეეძლოს გაკეთება, ვაი თქვენს ტყავსო! — ნაზირ-ვეზირებმა ბევრი იფიქრეს, ეძიეს და ბოლოს გადაწყვიტეს, ბოქმის ყვავილზე გავაგზავნოთ და იქიდან კი ვერას გზით ვეღარ მოვაო.

წავიდნენ და მოახსენეს ხელმწიფეს. ხელმწიფესაც ძალიან გაუხარდა. დაიბარა მეორე დღეს ვაჟი და უბრძანა, ბოქმის ყვავილი უნდა მომიტანოო. ვაჟმა დაუკრა თავი და გამობრუნდა. მოვიდა ცოლთან და უთხრა:—ასე არის ჩემი საქმე და რა ვქნაო? — ცოლმა უთხრა:—წადი, ხელმწიფეს ცხრა თვე, ცხრა დღე და ცხრა საათი გამოსთხოვე ვადა და ჩემთვის კიდევ სასმელ-საჭმელიო. წავიდა ვაჟი ხელმწიფესთან და ყველაფერი ესენი გამოსთხოვა. მოვიდა ცოლთან.

შოუტანა ცხრა თვის საზრდო და თვითონ კი წავიდა ბოქმის ყვავილის მოსატანად. ბევრი ეძება, ბევრი იარა. რა სოფელზედაც გაივლიდა, იკითხავდა, ბოქმის ყვავილი ხომ არ იცით სად არისო? და ყველა ერთ პასუხს აძლევდა: ჩვენელი ბევრი გვინახავს ბოქმის ყვავილის მოსატანად და ამომველი ბოქმის ყვავილით აღარც ერთიო.

ვაქმა ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ბოლოს ერთ ადგილას. სამი დღის ყანა დგას, სამი ძმა მკის; ერთი ბოლოს დგას, ერთი შუაზე და ერთიც თავში, მკიან და ვერ მოუმკიათ. მივიდა ქვევითა კაცთან ვაქი და მიესალმა. ერთმანეთს გამარჯობა უთხრეს და ამბავი ჰკითხეს. ვაქმა უთხრა, რომ ბოქმის ყვავილისთვის ვარ წამოსული და იქნება იცოდე რამე, მასწავლეო. ის კაცი ისეთი ბებერი იყო, რომ თეთრი დახავსებული წვერი წელზე ედო. ამ ბებერმა უთხრა:

— მე კი არ ვიცი და ასე აიარეო. ზევით რომ ყანას მკის, ის ჩემი უფროსი ძმა არის და იქნება იმან იცოდესო. — გადაუხადა ამ კაცს მადლობა ვაქმა და წავიდა.

შუათანა ძმასთან მივიდა. ნახა, რომ კაცს თეთრი ძლივს ურევია. ყოჩაღად არის. მიესალმა, გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს, დასხდნენ, დაისვენეს. სამი დღე აქ მოუგვიანდა ვაქს, სამი იმ უმცროს ძმასთან, ცხრა თვე გასულია და ექვსი დღეც, სამი დღე და ცხრა საათიღა დარჩა ვადა! ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი; ვაქმა უამბო თავისი თავგადასავალი და უთხრა, რომ ახლა ბოქმის ყვავილის მისატანად ვარ წამოსული და არ ვიცი, გავიმარჯვებ თუ ვერაო. იქნებ შენ იცოდე სად არის? როგორია? როგორ იშოვება, მასწავლეო. კაცმა უთხრა, რომ მე კი არ ვიცი და იქნება ჩემმა უფროსმა ძმამ იცოდესო. აგერ ზევით რომ აივლი, იქ არის ჩემი ძმაო.

გამოეთხოვა ამასაც ვაქი, მადლი გადაუხადა და წავიდა უფროს ძმასთან. იმას ეძინა. კარებში მისი ცოლი დახვდა, მშვენივრად მიიღო, პატივი სცა და გამოჰკითხა ასე შორიდან წასვლა-მოსვლის მიზეზი. ვაქმა უთხრა, რომ ბოქმის ყვავილის მაძებარი ვარ და იქნება თქვენმა ქმარმა იცოდესო. ქმარსა სძინავსო, უთხრა დიასახლისმა, გავაღვიძებ, ვკითხოთ, იქნება იცოდესო.

ახადა სკივრს, ამოიღო იქიდან ცხრა წლის ნიშნობის ქოშები, ჩაიცვა და გაიარ-გამოიარა ქმრის ოთახის კარებზე, ეგება ქოშების ხმამ გამოაღვიძოსო. გაეღვიძა ქმარს და ცოლს უსაყვედურა, რად გამაღვიძეო. ჩაიხედა სარკეში, ერთი თეთრი თმა გამორეოდა, გამოიგ-

ლიჯა და გადააგდო. ცოლმა უთხრა: — ეს ყმაწვილი ბოქმის ყვავილისათვის არის მოსული და ხომ არ იცი, სად არისო? — მოიცადეო, —უთხრა ქმარმა, — ჯერ ვისადილოთ, დროება გავატაროთ და მერე ვასწავლიო, მაგრამ ადვილი კი არ არის მისი მოტანაო!

გაშალეს სუფრა. სადილს რომ მორჩნენ, ქმარმა უთხრა ცოლს, ჩადი და ერთი ნესვი ამოიტანეო. ცოლი ორსულად იყო და უკანასკნელ თვეში იდგა. ჩავიდა ცოლი ნესვისთვის ძირს, მეოთხე სართულში, ამოიტანა ერთი ნესვი; ქმარმა დაუწუნა, ეს არ ვარგა, სხვა ამოიტანეო. ჩავიდა მეორედ ცოლი, ამოიტანა კიდევ, ქმარმა ისიც დაუწუნა. მესამედ ჩავიდა ცოლი, ატყობდა ვაჟი, რომ ცოლს ძალიან უჭირდა, სულ ოფლი დაასხა. ქმარი მაინც არ მოეშვა, სანამ ცხრაჯერ არ ჩაგზავნა, არ ამოატანინა და ჩაატანინა.

ვაჟი ეხვეწებოდა მის ქმარს, ნუ აწუხებ ცოლს — ცოდო არისო, მაგრამ მან არ გაუგონა. ბოლოს უთხრა: ხომ ნახე, ჩემი უმცროსი და შუათანა ძმები, როგორნი არიან და მე როგორი ვარო. მე ერთხელ ჩემდა უნებურად გამაღვიძა ცოლმა და მაშინვე თეთრი თმა გამომრეოდაო. ისინი უფროსები ეგონება კაცს და მე უმცროსიო, იმიტომ, რომ ასეთი სიამოვნების ცოლი მყავსო. ცხრა წელიწადია და ჩემ ცოლს ჩემთვის ერთი ჩემი უნებური სიტყვაც არ წამოსცდენიაო.

ამ ჩემს ცოლზე დანიშნული ვიყავი, ჩემი ძმები შემეცილნენ, დიდხანს არ ვანებებდით ერთმანეთს, ბოლოს ღმერთმა ჩამოიარა და გაგვასამართლა: „ვინც პირველი დაინიშნეთ, ცოლი მისი არისო“. მას შემდეგ ჩემს უმცროს ძმას ძაღლის ყეფის მეტი არაფერი ესმის თავის სიცოცხლეში, შუათანას — ვირის ყროყინის მეტი და მე — მამლის ყივილის მეტი, ღმერთმა ასე ინებაო.

მერე უთხრა, ბოქმის ყვავილი სადაც იყო. ერთი კლდე უჩვენა, თავი თეთრი ჰქონდა, შუაგული წითელი და ძირი შავი. ისეთი მაღალი კლდე იყო, რომ ჭადრის წვერი ვერ აუწვდებოდა. — იმ კლდეზე ქაჯთ ქალი დაჯდება და გადმოჰფენს თმებს, თმაზე სულ ბოქმის ყვავილი ასხია; მისი თმა კლდის ძირზე დაეფინება, ვინც მივა და კლდის ძირზე დაიმალება, აი, იქ იშოვის იმ ყვავილსაო. ბევრი ახალგაზრდა ვაჟი დაღუპა და დაანელა იმან. შენ რომ მიხვიდე, ის თმა ხელზე დაიხვიე და თვითონ იცის, მოგკლავს თუ დაგარჩენსო.

წავიდა ვაჟი და დაჯდა კლდის ძირას. გამოვიდა ქაჯთ ქალი და გადმოჰფინა თავის ოქროს თმა კლდეზე, ათასნაირი ყვავილით აჭრელებული. მივიდა ვაჟი, დაიხვია, დაიხვია მისი თმა მკლავზე და უნ-

დოდა დაჭერა. ქალმა სიმძიმე იგრძნო, გაიგო, ვინც იყო მიზეზი, აიწია, აკრიფა თმები და ვაჟი თავის ოთახში გადასტყორცნა. თვითონაც თან მიჰყვა. ვაჟი უვნებლად ფეხზე იდგა. ქალმა ჰკითხა: — რა გინდოდა, რისთვის მოხველ, რამ გაგაბედინა აქ მოსვლაო? — ბოჟმის ყვავილი მინდაო, — უპასუხა ვაჟმა. — ვიცი, რადაც გინდაო, — უთხრა ქალმა, — ნუღარ დავიგვიანებთ, ცხრა საათიღა არის დარჩენილი, წავიდეთ, მეც წამოვალო.

შესხდნენ ნიავქრის ცხენებზე და გაეშურნენ. ღამე იყო, რომ მის ცოლთან მივიდნენ. ჩამოხტნენ კარებზე, ვაჟმა კარები დაუკაკუნა ცოლსა. ქალი გულგახეთქილი წამოვარდა, იმას ეგონა ხელმწიფიანი შოვიდნენ ჩემს წაასაყვანადაო. — თქვე უღმერთოებო, გათენებას მაინც მოუცდიდით, რა გაუძლებარი გეკირთო! კარებს უკან გასანთლული თოკი ჰქონდა ჩამობმული, თუ ვადა გადავიდოდა და ქმარი არ დაბრუნდებოდა, გაჰყოფდა შიგ თავს და დაიხრჩობდა. ქაჯთ ქალმა უთხრა ვაჟს: — არაფერი გაქვს განა შენი ცოლისა, რომ აჩვენო არ შესწუხდესო? ვაჟს ხელზე ბეჭედი ჰქონდა, გამოიძრო და კარებიდან შეუგდო ქალსა. ცოლს საშინლად გაუხარდა, გაუღო კარი და გადაეხვია თავის ქმარს.

მეორე დღეს ქაჯთ ქალმა გაუგზავნა ხელმწიფეს ბოჟმის ყვავილი და შეუთვალა: — დიდებულო ხელმწიფევ, ეს როგორი ხელმწიფე ყოფილხარ, ზღვაზე გამოვიარე და ხიდი არ იდოო. სამი ქალი მიშოვე და გამომიგზავნე, მე ხიდს ავუშენებ, ასწიონ და გადონ ზღვაზედაო.

როგორც იყო ის სამი ქალი უშოვა ხელმწიფემ და გამოუგზავნა. აქცია თავის ნაწნავები ხეებად და უბრძანა იმ ქალებს, ზღვაზე ხიდად გაედოთ. ასწიეს ქალებმა და გააკეთეს ხიდი. თვითონ ქაჯთა ქალიც იქვე ჩაეკრა. ხიდია ისეთი, რომ კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. შეუთვალა ქალმა ხელმწიფეს, რომ შენი ცოლის გარდა წამოიყვანე შენი დიდებულები და ნახე ხიდიო.

ხელმწიფე წავიდა თავის დიდებულებით, ნაზირ-ვეზირებით ხიდის სანახავად; შედგნენ და გაისეირნ-გამოისეირნეს. მართლა, ძალიან მოეწონათ. მესამედ რომ გაიარეს და შუა ადგილას მივიდნენ, ასწია ხიდს ქაჯთა ქალმა, აქცია ხეები თმებად, შეიკეცა და ხელმწიფეს თავის ნაზირ-ვეზირ-დიდებულებით წყალში კი გადუძახა. მათი ლეშით თევზები დააძღო.

ვაჟი ხელმწიფედ დასვა, ცოლიც მას დაუნარჩუნა, ხელმწიფის ცოლი კიდე ხელზე მოსამსახურედ დაუყენა. გამოემშვიდობა და წავიდა თვითონ თავის ადგილას.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ნაცარი იქა, ფქვილი აქა,
ელასა, ბიჭო, მელასა,
კოკა მეკიდა ყელასა;
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გვაამოს ყველასა!
უნაგირი მცხეთას დამრჩა,
მოსართავი არაგვზედა,
ღმერთმა ყველა გადღეგრძელოსთ.
ვინცა სხედხართ ალაგზედა!
ჩიტი გაფრინდა ცხრაფრთანი.
ასი ტყუილი, ერთი მართალი!

ოქროკაცა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ერთხელ ხელმწიფე სანადიროდ წავიდა ტყეში. ტყეში შენიშნა პატარა ქოხი. მიგზავნა მასთან ორი ვეზირი. ვეზირებმა შეიხედეს და დაინახეს ოქროს კაცს ეძინა. მივიდნენ ხელმწიფესთან და უთხრეს ოქროკაცას სძინავსო. მაშინ ხელმწიფემ მისი დაჭერა მოინდომა.

ამ ოქროკაცას ჰქონდა ჩეულებად ერთი კვირა ძილი და ერთი კვირა სიფხიზლე. სწორედ იმ დროს ძილის დრო იყო. მიგზავნა ხელმწიფემ ვეზირები და დაიჭირეს; მოიყვანეს და ჩასვეს ციხეში. გამოაქვეყნა ხელმწიფემ ყველა სახელმწიფოში: ოქროკაცა დავიჭირე და მოდით, ნახეთო!

ხელმწიფის ვაჟს თამაშის დროს ფანჯრიდან ბურთი ჩაუვარდა ოქროკაცასთან. ბურთის ჩავარდნამ ოქროკაცა გააღვიძა, შეხედა, თავისთავი დატუსაღებული ნახა. კედელს შემოჰკრა მუშტი, მეორე კედელს კიდევ, მაგრამ დანგრევა ვერ შესძლო. პატარა ბიჭი ავიდა ფანჯარაზე, ოქროკაცას ბურთსა სთხოვს, მაშინ ოქროკაცამ უთხრა: — წადი, კარები გააღე და ბურთს მოგცემო! — შევიდა ბიჭი დედამისთან და ციხის გასაღები სთხოვა. ამ დროს ყველა სახელმწიფოდან ჩამოსული იყვნენ ხელმწიფეები ოქროკაცას სანახავად. ბიჭმა გააღო კარი, გამოუშვა ოქროკაცა. ოქროკაცამ ბიჭს შეხედა, მისცა ბურთი ხელში და გაიქცა.

ხელმწიფემ ჩამოსული სტუმრები მიიყვანა ციხის კარებთან ოქ-

როკაცას სანახავად. შეხედა, კარი ღიაა! მაშინ გაჯავრებული ხელმწიფე შევიდა ცოლთან და უთხრა:

— კარი ვინ გააღოო? — ჰკითხა მეფემ.—ჩვენს ბიჭს ბურთი ჩავარდნოდა და გასაღები მომთხოვაო, კარის გაღების დროს ოქროკაცა გაქცეულაო.—მიუგო ქალმა. მაშინ ხელმწიფემ დაიბარა ვეზირი და უბრძანა: წაიყვანეთ და ჩემი შვილი გადაკარგეთო! აიღო ბიჭმა რაც რომ საჭირო ჰქონდა. გაუდგნენ გზას ვეზირი და ხელმწიფის შვილი.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდათ ერთი ჭა. ხელმწიფის შვილმა წყლის დალევა მოინდომა და ვეზირს უთხრა: — ჩაგკიდებ და წყალი ამომიღეო. — ვეზირმა მიუგო: — როგორ გეკადრება შენ, რომ მე ჩექმით წყალი დაგალევინოო! მაშინ ადგა ბიჭი და თვითონ ჩავიდა. დალია წყალი და, როდესაც ზევით უნდა ამოსულიყო, ვეზირმა უთხრა: — თუ შენ ტანსაცმელს მე მომცევ, მაშინ ამოგიყვანო, თუ არა და დაგახრჩობო! ბიჭმა მიუგო: — ამწიე და ჩემი ტანსაცმელი შენი იყოსო. ამოსწია ვეზირმა ხელმწიფის შვილი. გაიძრო ტანსაცმელი და მისცა ვეზირს, ვეზირის ტანსაცმელი კი თვითონ ჩაიცვა. ვეზირმა უთხრა: — ახლა მე ვიქნები ხელმწიფის შვილი და შენ იქნები ვეზირი, ვინც დაგეკითხოს, ასე უთხარიო. კვლავ გაუდგნენ ორივენი გზას. დიდი სიარულის შემდეგ ჩავიდნენ ერთ სახელმწიფოში, მივიდნენ ხელმწიფესთან, დაიწყეს იქ სამსახური. ვეზირი დააყენეს ხელმწიფის მოადგილედ, ხელმწიფის შვილი კი მენახირედ.

გამოვიდა ხელმწიფე და უთხრა მენახირეს: ჩვენი სასაძოვრე ალაგი იქნება — სამხრეთი, ჩრდილოეთი, დასავლეთი, არ შეცდე და აღმოსავლეთით არ გადარეკოო. ერთ დღეს ბიჭმა გადარეკა სამხრეთით, შემდეგ ჩრდილოეთით და დასავლეთით. დიდი ხნის შემდეგ ბიჭმა მოინდომა აღმოსავლეთით გაერეკა. ბოლოს ადგა და გადარეკა საქონელი. დახვდა მშვენიერი ბალახი, საქონელი ხარბად ძოვდა, ბიჭმა დაიძინა.

ამ დროს გაიგო ოქროკაცამ, რომ მის ადგილში საქონელი შემოერეკათ, წამოვიდა და საქონელს ხოცვა დაუწყო. გაწყვიტა ბევრი, ბოლოს მივიდა ბიჭთან, ის იყო უნდა ეტაცა ხელი, დააკვირდა და იცნო ხელმწიფის შვილი, რომელმაც იგი გაანთავისუფლა. გააღვიძა ფრთხილად და უთხრა: შენ აქ ვინ მოგიყვანაო? ბიჭმა უამბო თავისი თავგადასავალი. წაიყვანა ოქროკაცამ თავის დებთან. აჭამეს პური და გააძღეს. ოქროკაცამ უთხრა თავის დებს: — გამოიტანეთ და საღონიერო წამალი დაალევინეთო. — წამლის დალევისთანავე ბიჭი მძლავრად შეიქნა. ადგა და გამორეკა საქონელი. ხელმწიფემ

ზეხედა, რომ მისმა ნახირმა დაიგვიანა და ვეზირები გაგზავნა მის სანახავად. დაინახეს, რომ ბიჭმა აღმოსავლეთის მხრიდან გადმორეკა საქონელი. მოვიდნენ და უთხრეს ხელმწიფეს: — ჩვენმა მენახირემ აღმოსავლეთიდან გადმორეკა საქონელიო.

ჩამორეკა ბიჭმა საქონელი ბოსელში და დაბა.

ხელმწიფეს ჰყავდა სამი ქალიშვილი გასათხოვარი; მან გამოაცხადა ყველა სახელმწიფოში: ჩემს ქალიშვილებს ვათხოვებ, ვისაც რა შნო გაქვთ გამოიჩინეთო. ყველა სახელმწიფოს ვაჟკაცები ჩამოვიდნენ ხელმწიფის კარზე. გამოიყვანა ხელმწიფემ თავისი სამი ქალიშვილი აივანზე. დააყენა სამივე ერთად და უთხრა: — ვისაც რომელი ვაჟი მოგწონთ, მითხარითო.

გამოიარა ერთმა ვაჟკაცმა, ამოიღო ცხვირსახოცი ოქრო-მკედით მოქარგული, დიდმა ქალიშვილმა ინდომა იმ ვაჟის ამოყვანა. გამოიარა კიდევ მეორემ და ჩაახველა. შუათანა ქალიშვილმა ინდომა მისი ამოყვანა. მას მოჰყვა მესამე ვაჟი, რომელიც პატარასთვის უნდოდათ, მაგრამ პატარამ არ ინდომა. მაშინ გაჯავრებულმა ხელმწიფემ თავის ქალიშვილს სახალხოდ კარგად სცემა, რომ იმდენ ხალხში არც ერთი ვაჟიშვილი არ ამოარჩია.

ამ დროს მენახირე იყო ოქროკაცასთან და ეუბნებოდა: — ხელმწიფემ თავის სამი ქალიშვილი უნდა გაათხოვოსო. — ოქროკაცამ დაალევინა საგმირო წამალი, შესვა რაშზე და უთხრა:

— გაფრინდიო!

გაგიუებული რაში გაჰქრა ჰაერში. ბიჭმა მოუწია რაშს კისერი და გამოსწია ხელმწიფისკენ. დაქროლავს ბიჭი ხელმწიფის კარებთან. ხელმწიფემ დაინახა ჰაერში მოფრინავე კაცი, გამოიყვანა პატარა ქალიშვილი და უთხრა: — ეგ მაინც მოიწონეო და ძირს ჩამოვსვამო.

გოგომ შეხედვისთანავე იცნო მათი მენახირე და ისიც არ მოინდომა. გაჯავრებულმა ხელმწიფემ და მისმა სიძეებმა მოინდომეს გოგოსთვის სასჯელი. მოიყვანეს გოგო კიბეებთან, სუყველამ ერთად ჰკრეს ხელი და დააგორეს. მის შემდეგ ხელმწიფემ გააგდო თავისი ქალიშვილი ბოსელში.

ბიჭმა ჩამორეკა თავისი ნახირი; ბოსელში რომ შემორეკა, დაინახა — ხელმწიფის ქალიშვილი ბაგაში წევს. ბიჭი გაოცდა და შეეკითხა: რატომ ხარ აქაო?

გოგო მოუყვა თავის ამბავს. შემდეგ ჰკითხა. — რაშით რომ გადმოფრინდი, შენ იყავი თუ არაო? — ბიჭმა უარი განაცხადა. უარის თქმისთანავე გოგომ უთხრა:

— მითხარი, თუ არა ხელმწიფესთან დაგაბეზღებო!

ოქროკაცას ნათქვამი ჰქონდა ბიჭისათვის — არამც და არამც არ ილაპარაკო, თორემ ოცი წლით გავქრებით ორივენიო. შეშინებული ბიჭი ამიტომ არაფერს ეუბნებოდა. გოგომ ბევრი უჩიჩინა, მაგრამ ენა ვერ ამოაღებინა.

ერთ დღეს ხელმწიფემ გამოაქვეყნა, რომ ამა და ამ დღეს ჭიდაობა იქნება ჩემს კარზე და ვთხოვ ყველა გმირი ჩამოვიდესო. სწორედ იმ დროს, როდესაც ჭიდაობა იწყებოდა, ბიჭმა გაიგო, გაიქცა ოქროკაცასთან და უთხრა: — ჩემი ხელმწიფის მოჭიდავე ჭიდაობს და მინდა იმას დავეჭიდოო! — ოქროკაცამ დაალევინა სამივე დის საგმირო წამალი და ბიჭი შეიქნა მძლავრი. ოქროკაცამ უთხრა: — რასაც დაგაბარებ, ისე მოიქეცი; როდესაც გახვალ მოედანზე საჭიდაოდ, ხელის წაკლებისთანავე მაგრად მოეჭიდე ისე, რომ თითები დაეკროსო.

წამოვიდა ბიჭი, მივიდა ხელმწიფესთან და სთხოვა: — ბატონო ხელმწიფეე, შენს მოჭიდავეს დამაჭიდეო! — ხელმწიფემ უთხრა: — ხელი რომ მოგიჭიროს, მუჭაში ჩაიმალებიო! — დიდი ხვეწნის შემდეგ გაუშვა ხელმწიფემ საჭიდაოდ. მოაწერეს სახალხოდ ხელი ორივემ და გავიდნენ მოედანზე. ხელის ჩამორთმევისთანავე ხელმწიფის მოჭიდავემ მოუჭირა ხელზე, მაგრამ ვერაფერი ვერ დაიკლო. მაშინ მენახირემ მოუჭირა ხელზე და შეუწება თითები, სტაცა ფეხში ხელი, დაატრიალა ჰაერში ორჯერ-სამჯერ და გადაუძახა ოქროკაცასაკენ. ოქროკაცამ სტაცა ხელი და გადმოისროლა ხალხში. ხელმწიფემ ნახა, რომ მისი მენახირე გმირი იყო, დაუძახა თავის ქალიშვილს და უთხრა: — ეს მაინც შეირთეო, მაგრამ გოგომ უარი უთხრა. მენახირემ გაირეკა თავისი საქონელი ოქროკაცასაკენ. სალამოს პირას ჩამორეკა ნახირი და დაწვა. ამ დროს მოვიდა გოგო და უთხრა: — ურლა წამიყვანო თუ არაო?

ბიჭმა უარი უთხრა, მაგრამ გოგომ მაინც ენა ამოადგმევინა. მაშინ ხელმწიფემ გაიგო, რომ თავისი მენახირე ოქროკაცას მხრით იყო ღონიერი. დაიბარა მენახირე, მაგრამ რადგან ბიჭმა ყველაფერი ილაპარაკა, ოქროკაცა მაშინვე გაქრა. ბიჭმა გოგოს უთხრა: — ჩვენ ახლა გავქრებითო. შენ მჭედელს გააკეთებინე დიდი ლომი, რკინის ქალამნები და წამოდი ჩვენს საძებნელადაო. ბიჭმა ბეჭედი დაუტოვა გოგოს. და ისიც იმ წამსვე გაქრა.

მივიდა გოგო მამამისთან, სთხოვა რაც მისმა ქმარმა დააბარა. გოგოს მისცა ხელმწიფემ რაც სჭირდებოდა. გამოუყვანეს ერთი ქეციანი ცხენი და შესვეს ზედ. ავიდა გოგო ოქროკაცას დებთან, მათ აჩვენეს ალაგი საითკენაც უნდა წასულიყო. უთხრა დიდმა დამ: როდესაც ათას ვერსს გაივლი, შეგხვდება დედაჩემი, რომელიც უშვე-

ლებელ გობში ცომს ზელსო, ძუძუებიც შიგა აქვს ჩატანილიო. მიდი და მოასწარ მარჯვენა ძუძუზე ხელის წაკლება და უთხარი, თქვენი რძალი ვარ-თქო, და ის გიჩვენებს გზასაო.

გამოიყვანა უმცროსმა დამ თავისი რაში და მისცა გოგოს, შეჯდა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დანიშნულ ალაგას. დაინახა, რომ ქალი უზარმაზარ გობში ცომს ზელს, მოეპარა და სტაცა მარჯვენა ძუძუში ხელი. მოუბრუნდა ქალი და უთხრა: — შენ ვინა ხარო? — გოგომ უთხრა: — თქვენი რძალი ვარო. — უამბო თავისი თავგადასავალი და მაშინ ქალმა უთხრა: გაივლი ორიათას ვერსს, შეგხვდება დედაჩემი, რომელიც საზღვარზე დგას, მიდი და გზას ის გასწავლისო. წავიდა გოგო და რამდენიმე ხნის შემდეგ გაჩნდა იქ. მივიდა ქალთან და უთხრა ყველაფერი. ამ ქალმა ასწავლა გზა და გადაიყვანა საზღვარზე. გავიდა გოგო და დაჯდა წყაროს პირას. როდესაც წყალი უნდა დაელია, ამ დროს დაინახა სამი ქალი, რომლებსაც დიდი დოქები ეჭირათ ხელში. გოგომ წყლის დალევას თავი დაანება. მოვიდნენ გოგოები, გაავსეს დოქები და, როდესაც მოდიოდნენ, გოგომ სთხოვა: — მომეცით, წყალი დავლიოო. მისცეს დოქი ხელში. როცა წყალი დალია, გამოიძრო ჩუმად ბეჭედი და ჩაადო შიგ. გოგონებმა მიიტანეს წყალი, სადაც ბევრი ხალხი იჯდა. დალია ყველამ. რომელშიც ცოტა წყალი დარჩა, ის დოქი მოითხოვა ბიჭმა. წყალს რომ სვამდა, პირში ბეჭედი ჩაუვარდა. გამოიღო, დააკვირდა და ნახა, თავისი ცოლის ბეჭედი იყო. ბიჭმა უთხრა ოქროკაცას: — ჩემი ცოლი მოსულა და მოიყვანონ აქაო. მაშინვე მოიყვანეს ქალი. ილაპარაკეს ბევრი, ოქროკაცამ უთხრა: — ეს ქალი ჩვენი რძალიაო, წაიყვანეთ და საზღვრები დაათვალიერებინეთო. — ივ სამმა ქალმა უთხრა:

— წაიყვანე და შენ თვითონ დაათვალიერებინეო. — ადგნენ და გაუდგნენ გზას. როდესაც გადმოსვლას უკლდა ათი ათასი ვერსი, ივ სამი ქალიშვილის ცხენებმა ბრაგუნი დაიწყეს. შეცვივდნენ გოგოები და უთხრეს: რა ამბავი გაქვთო. ცხენებმა უთხრეს: ჩვენი სტუმრები გაიქცნენ და დავიჭიროთო. გამოუდგნენ გზას, მოეწივნენ; მაშინ ოქროკაცამ ძირს დაუშვა რაშები, თავისი ცხენები აქცია თაგვებად, თვითონ კატად, ქალი კურდღლად, ბიჭიც ვირთხად.

მოვიდნენ მდევრებიც. დახედეს, ტრიალ მინდორზე არავინ არ არის და გაბრუნდნენ, როდესაც დაბეს რაშები ადგილას, მაშინ ოქროკაცამ აქცია ადამიანად ყველა, რაშები ისევ რაშებად და გამოუდგნენ გზას.

ცხენებმა კიდევ დაიწყეს ბრაგუნი, შეცვივდნენ ქალიშვილები,

შეხდნენ რაშებზე და გამოეკიდნენ. როდესაც მოეწივნენ, ოქროკაცამ ძირს დაუშვა რაშები, აქცია ხეებად, თვითონ ტყის მცველად. მოვიდნენ, შეეკითხენ ოქროკაცას: აქეთ სამ სულს ხომ არ გამოეცლიაო? ოქროკაცამ უთხრა: ჩრდილოეთამდის წავიდნენო. გაუდგნენ ისინი იქით, ესენი აქეთ. როდესაც რაშები კიდევ დაიბეს აღგილზე, ხელმეორედ დაიწყეს ბაგაბუგი. მოეწივნენ. დაუშვა ოქროკაცამ ძირს რაშები და აქცია ისინი სიმინდად, თვითონ თოხნა დაუწყო სიმინდს. ამჯერადაც მოატყუეს.

დაბრუნდნენ გოგოები უკან, ამ დროს ამათაც გადმოაღწიეს საზღვარზე.

ჩამოვიდნენ პირდაპირ ხელმწიფესთან, დაიბარეს ვეზირი და უთხრეს: როგორ მოხდა, რომ შენ ხელმწიფის შვილი გახდიო? ვეზირი მიხვდა, რომ კარგი ამბავი არ იყო და სიმართლის ლაპარაკი დაიწყო.

როდესაც ოქროკაცამ მოისმინა ყველაფერი, დაჭრა ხელი და კისერი მოაგდებინა. მიჰყვა ხელმწიფის სიძეებს, ქალიშვილებს — დახოცა; ხელმწიფეს თავისი ხელით ჩამოგლიჯა ორივე ყური და ისე გაუშვა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა;
მთქმელსა და გამგონებელსა
დავალევინე ყველასა.

საწყალი კაცი და მისი შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი საწყალი კაცი და დედაკაცი. მათ ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი. ცოლქმარი უწყალოდ ღარიბები იყვნენ. როდესაც ვაჟი გახდა თხუთმეტი წლისა, თქვეს: სამუშაოდ სადმე გავგზავნოთო. დედ-მამამ უყიდა შვილს ერთი ხელი ტანსაცმელი, კარგი ჩოხა-ახალუხი, ფეხსაცმლები, კარგი ქუდი, გაამზადეს და უთხრეს: გგზავნით მეფესთან, იქნებ ისწავლო რამე და ოჯახს გამოადგეო.

მივიდა მეფესთან ეს ვაჟი. — ბატონო, მიმიღებთ თუ არა მოსამსახურედო? — ბატონმა აიყვანა ბიჭი ცხენების მომვლელად საჯინიბოში. დარჩა რამდენიმე წელიწადი ეს ვაჟი მეფესთან. მსახურობს

პირნათლად. რასაც დაავალებენ, ასრულებს. ბატონს ჰყავდა სამი ქალი გასათხოვარი, ოტა ხნიერი ქალები. ეს ბატონი ქალების გათხოვებაზე არაფერს ფიქრობდა. ერთ დღეს მოწყვიტა მწიფე ნესვი ბაღში უფროსმა ქალმა და მამას მიართვა: — ნახეთ, მოწეულია თუ არაო. მეფემ უთხრა: — რაში გჭირია, ქალო, მწიფე ნესვის გაჭრაო? — იმიტომ, რომ დრო მაქვს ახლა გათხოვებისა და თქვენ კრას ფიქრობთო.

მეფეს ეწყინა ქალის პასუხი და დაითხოვა თავისი ოთახიდან. ქალი ნაწყენი დარჩა. უამბო დებს, რაც გადახდა: მამა ჩვენზე არაფერს ფიქრობსო. დაღონდნენ. ბოლოს მივიდა უმცროსი ქალი და სთხოვა მამას, — უნდა გამათხოვოო.

— ვიზე, შვილო? ჯერ უფროსებიც არ გამითხოვებიაო.

— მე მათი ყურება რაში გამომადგება, მამა, მე საქმრო მყავს უკვეო.

— ვინა?

— მეჯინიბე ჩვენიო.

— ის საწყალი გლეხის შვილი? — მეფეს ძალიან ეწყინა. უთხრა ვეზირებს: ქალიც და ვაჟიც ისეთ ადგილზე გადაკარგეთ, სადაც ხალხი არ ცხოვრობსო.

მართლაც, შეასრულეს ვეზირებმა მეფის ბრძანება. წაიყვანეს ეს ქალი და მეჯინიბე ისეთ ადგილას, სადაც არაფერი არ არის: არც ტყე, არც ქვა და გაუშვეს. ამ უდაბურ ადგილზე მხოლოდ ანწლი იდგა მაღალი. ამ ანწლით ქოხი გააკეთეს მაგარი. ცხოვრობდნენ ღარიბულად. ხან მშივრები იყვნენ, ხან კი მაძღრები. ასე ატარებდნენ დროს. ამ ქალს ეყოლა ქალიშვილი. როდესაც დაიბადა, მივიდა სამი ბედის მწერელი მის დასალოცავად. დასხდნენ და მსჯელობენ, თუ როგორი სიცოცხლე უნდა ჰქონდეს ამ ბავშვს. ერთმა თქვა: იყოს კოქლიო. მეორემ თქვა: ბრმა და ქაჩალიო. მესამემ თქვა: ეს ქალი ისეთი ბედნიერი უნდა იყოს, რომ სიცოცხლეში ქვეყანა მას შენატროდესო. ეყოლოს ოქროსთმიანი ქალი. ეს ქალი იცინოდეს — პირიდანა ოქრო-ვერცხლი• სცვიოდეს; ტიროდეს — თვალ-მარგალიტი სცვივოდეს; რომ დადიოდეს — ოქროს აგური იჭრებოდეს და საითაც გაივლ-გამოივლის, ყველგან ოქროს ფილაქანი ეგებოდესო.

ქალი იზრდება. იცინის — ოქრო-ვერცხლი სცვივა, ტირის — თვალ-მარგალიტი სცვივა, დადის — ოქროს ფილაქანი იგება. ამ საწყალმა გლეხის შვილმა და ქალმა მეფისამ დიდ ცხოვრებას მიაღწიეს. დაიწყეს ისეთი სახლები, რომ ხელმწიფე ვერ ეღირსებოდა ისეთს. დაათავეს შენობები და ცხოვრობენ კარგად, კეთილშობილად.

ამ დროს ერთი აღმოსავლეთის მეფის შვილი წამოვიდა სანადიროდ ქორ-მეძებრებით. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ამ შენობას თავისი ქორ-მეძებრებით. ძალიან გაუკვირდა სასახლის ნახვა მონადირეს: ნეტავი ვიცოდე, რომელი მეფე არის აქ დასახლებულიო. დიდხანს უცქერის განცვიფრებული.

ბოლოს ქალი გადმოდგა აივანზე, იცინის — ოქრო-ვერცხლი სცვივა პირიდან, გადის-გამოდის აივანზე — ოქროს აგური იჭრება.

დაინახა თუ არა მეძებრები და თოფიანი კაცი, მონადირე, სიცილი ცრემლად გადაიქცია. ცრემლები თვალ-მარგალიტად სცვივა, გროვდება. მეფის შვილს ძალიან მოეწონა ქალი: ეს ცოლად რომ არ შევირთო, არ შეიძლებაო. გამობრუნდა მაშინვე მეფის შვილი სახლში, მამასთან. — მამავ, შენ რა მეფე ხარ, მეფე სხვა ადგილას ყოფილაო. მთელი მიდამო ოქრო-ვერცხლით არის სავსეო. აბა, ავიდეთ მაღლა და გაიხედე, მისი შუქი ჩვენს სახლს ადგებაო. ავიდა მამა მაღლა და დიდხანს უცქირა. — ოჰ, ეს ვიღაცაა, რა ბედნიერი ყოფილაო. — ქალი ჰყავს იმას, მამა, მზეთუნახავი, რომელიც თითქმის მზეს ეუბნება ჩამოდიო, მთვარეც კი ბნელდება მისი შუქისაგან. — მერე, რა გინდა, შვილო? — სწორედ საცოლედ მინდა. თუ იმას არ შემრთავთ, თავს მოვიკლავო. — აბა, როგორ? იქნება არ გვიკადროსო? — რატომ არ გვიკადრებს, მამა, შენც მეფე ხარ, ისიც მეფე ჩანს, ქალს არ დაგვარიდებენო! — მაშ, ვინ გავგზავნოთ მაჭანკლადო? — არ ვიცი, მამავ, ეს შენი საქმეაო. — დაუძახე შენს აღმზრდელ ძიძასო.

ბებერი ჰყავთ ერთი სახლში, რომელმაც აღზარდა ეს ვაჟი. ეს გავგზავნოთ, და საქმეს გაგვიკეთებსო. ამგზავრებს ამ ბებერს, თან აყოლებს ვეზირებს, გზის მაჩვენებელია თვითონ მეფის შვილი.

მივიდნენ ამ საწყალი კაცის დიდ შენობასთან, რომლითაც ჭკუიდან იშლებიან მისი მაყურებლები.

ვაჟი ბრუნდება მამასთან, მაჭანკალი კი რჩება. ბებერი ეუბნება ამ საწყალ კაცს: — შენი ქალი უნდა მიათხოვო ამომავალი მეფის შვილს და უარს ნუ მეტყვითო. — არა, გენაცვალე, მეფე ხოჰ ჩვენ არ გვიკადრებსო, — ეუბნება დედა. — მე მაჭანკლად ვარ გაგზავნილი, დავალება მაქვს მეფისაგანო.

თანხმდებიან მშობლები. ეუბნებიან, რომ ისეთი გზები უნდა გააკეთოთ თქვენი სახლიდან ჩვენს სახლამდე, რომ იქ ჩასხდეთ — აქ ჩოხვიდეთ, აქედან ჩასხდეთ და წახვიდეთ; გზის იქით-აქეთ ხეხილის ბაღები უნდა გააშენოთ საუცხოო, ისეთი, რომ ყველას ესიამოვნებოდესო.

გაბრუნდება მოხუცი მეფესთან სიხარულით, უამბობს ყველაფერს. მეფესაც გაუხარდება, ვაჟიც გამხიარულდება, მერე მოხუცი ეტყვის: — უნდა გააკეთოთ ისეთი გზები, რომ აქედან ჩავსხდეთ — იქ მივიდეთ, იქ ჩავსხდეთ — აქეთ წამოვიდეთო.

შეუდგება მეფე გზების გაკეთებას. დაუძახებს თავის სახელმწიფოს ხალხს და გააკეთებს ბ"შვენიერ გზებს თავისი სახლიდან ქალის სახლამდე. დამთავრების შემდეგ იმართება ნიშნობა, — მეჯლისი. როდესაც ჯვარი დაიწერეს, ამ ჯვრის დაწერის წინ ეს ბებერი იყო მომზადებული თავისებურად; მასა ჰყავდა გასათხოვარი ქალი და თავისთვისა ფიქრობდა: თუ ეს ჩემი ქალი ვერ დაგისვა გვერდით, ყმაწვილო, მაშინ ჩემი ქალობა რაღა უნდა იყოსო. როცა წავიდნენ ჯვრის დასაწერად და ქალის მოსაყვანად, თავისი ქალი დაუსვა მდადედ მეფის ქალიშვილს. ჯვრისწერის დროს ქეიფის შემდეგ გამოემგზავრნენ თავიანთ საკუთარ სასახლეში. მოჰყავთ პატარძალი დიდი ამბით. ასე, ნახევარი გზა ექნებოდათ გამოვლილი, რომ ერთ ჯაგნარიანში გადმოხტნენ შვლები. მთელი ხალხი დაედევნა დასაჭერად შვლებს. მეფეც გადახტა, უნდა დაიჭირონ. დარჩნენ მარტო ბებერი, პატარძალი და ბებრის ქალი.

ბებერმა გახადა პატარძალს ტანისამოსი. ამ პატარძალს ჩააცვა თავისი ქალის ტანისამოსი, პატარძლის ტანისამოსი კი თავის ქალს ჩააცვა. გადმოიყვანა ჯაგებში პატარძალი, თავისი ქალი კი დასვა პატარძლის ადგილას, ხოლო თავისი ქალის ადგილას დასვა სხვა ქალი, — მდადეც შეცვალა. ბებერმა პატარძალს დასთხარა თვალები, შეახვია ქაღალდში და ჩაიდო ჯიბეში. ამ დროს მობრუნდა მაყრიონი, შვლებიც დაუხოციათ. — წავიდეთ, ვაშა, ვაშაა! — იძახიან.

თვალებდათხრილი ქალი დარჩა ამ ბუჩქნარში. მეფის ვაჟი გონს ვერ მოვიდა. საცოლე გვერდით უზის. მივიდნენ თავიანთ სამეფოში. მიეგებნენ მეფეს. დიდი სროლა, დიდი თამაში. შევიდნენ შენობაში. მთელ სამეფოში ხმა გავარდა: ისეთი ქალი მოჰყავს ამ მეფის შვილს ისეთი, რომ გაიცინებს — ოქრო-ვერცხლი სცვივა პირიდან, იტირებს — თვალ-მარგალიტი სცვივაო, დადის—ოქროს ფილაქანი იშლებაო. ასეთი სახელია გასული.

დაბინავდნენ, დაწყნარდნენ დიდი მილოცვის შემდეგ. ხალხი ფიქრობს: სად არის თვალ-მარგალიტი ან ოქრო-ვერცხლი? — უცქერიან. არაფერი არ არის. ზის ქალი როგორც კუნძი. ამ დროს ეკითხება ვეზირი მეფეს: — აბა, ერთი გავაცინოთ თქვენი პატარძალიო. გააცინეს, გაახუმრეს, არაფერი არ არის. აბა, ახლა ვატიროთ, თუ

თვალ-მარგალიტი ჩამოცვივა თვალებიდანო. ატირეს. მაინც არაფერი არ არის.

ახლა ვათამაშოთ. აბა, ოქროს აგური მოიკრება თუ არაო. არაფერი. ჩაცვივდნენ მწუხარებაში მშობლები. ყმაწვილი ფიქრობს: ჩემი ცოლი ასეთი არ იყო, ეს რა არის ასეთიო? უყურებს სახეზე და რაღაც ეჭვში შედის. ადგება შემდეგ და ეტყვის მამას: ამ ქალს ცალკე მიეცით ბინა, არ მსურს ამასთან ცხოვრებაო.

ასეც მოხდა. ეს ვაჟი გახდა ავად. არის ერთ წვალებასა და ვაებაში.

ტყეში დარჩენილი ქალი ამ ხნის განმავლობაში ტირის. ტირის ისე, რომ მთელი ეს ჯაგნარი ოქრო-ვერცხლით გავსილა. ერთხელ წამოადგა მონადირე. ჰკითხა: შენ რა სულიერი ხარ, რათა სტირიხარო? — მე ვარ ბრმა, — ეუბნება ქალი, შენ ძმა და მე და. წამიყვანე, მიპატრონე და ეს ქონებაც გინდა წაიღე, თუგინდ დასტოვე, მე ზედა მაქვს ყველაფერიო.

ეს მონადირე იყო საწყალი, ღარიბი კაცი. მოიკიდა ზურგზე ქალი და მიიყვანა სახლში, თავის პატარა ბუდრუგანა ქოხში.

ქალმა უთხრა: — ძმაო, დაიკირე ურმები, მოიტანე ის ოქრო-ვერცხლი და მოიხვარეო.

მართლაც, მოიტანა და დაიწყო სახლის შენება. ამ ქალს ინახავს როგორც თავის დას.

გაიგო ამ ბებერმა, რომელიც მეფესთანაა, ამა და ამ სოფელში ის ქალი ცოცხალი არისო. „ის ოქრო და ვერცხლი უნდა დავცინცლო იმ მონადირესო", — მოიფიქრა ბებერმა. ერთ მშვენიერ დღეს ჩაიწყო ჯიბეში ბებერმა ქალის თვალები და დადის და კითხულობს სოფელში, თვალებს ვყიდი თვალ-მარგალიტზეო. გაიგო ამ მონადირემ და გადწყვიტა, ჩემს დას თვალები უნდა ვუყიდოო.

დახვდა წინ ბებერს: — აბა, რა მოგცეთო? მორიგდნენ. თვალებს აძლევს ბებერი, ის აძლევს ოქრო-ვერცხლს თვალებში, რამდენიმე ჯორ-აქლემაკიდებულს. მონადირეს თვალები მიაქვს თავის დასთან, მიიყვანს ექიმს და ჩაუდგამს. ახლა ეს ქალი ისეთივე გახდება, როგორც პირველად იყო — თვალხილული. ქალი აწყობს ოჯახს. ამ ბებერმა, თქვა: — „რაღა ჩემი სიცოცხლე იქნება, თუ ის ვაცოცხლეო". მოდის ბებერი ამ ქალის სახლში. მაშინ გაიქცევა ქალი წყლის პირას, იქცევა თევზად და ცხოვრობს წყალში.

დაბრუნდება ბებერი და მოვა მეფესთან ცარიელი. ერთხელ მებადურებმა მოაყოლეს ბადეში ერთი მშვენიერი, წითელი, ლამაზი თევზი. ერთი ამბობს, გავანაწილოთო; მეორე ამბობს, მეფეს მივართვათ

ეს თევზი, ყოველი გაჭირვების დროს გამოგვადგება მეფეო. მართლაც, მიართვეს მეფეს. ბებერმა მაშინვე უთხრა მეფეს: — ეს თევზი უნდა მოვხარშოთ და ვაჭამოთ შენს ვაჟს, რომ მორჩესო, თუ არა და არ მორჩებაო. მეფემ ბრძანა: ამოიყვანეთ, გააკეთეთ და აჭამეთო, თუ წამლად გამოდგება, დაგაჯილდოვებო.

როდესაც გაჭრეს თევზი, გადაეარდა ერთი ძვალი და იქ ამოვიდა მაღალი, მშვენიერი ალვის ხე, გააქვს დღე და ღამე შრიალი. ალვის ხის ქვეშ გაუმართეს საწოლი ამ ვაჟს და ძალიან სიამოვნებდა, ატარებდა დროს დღე და ღამე. ბებერს, მის აღმზრდელს, სწყინდა, რატომ ჩემ ქალთან არ არის, რად ჩამოშორდაო. როცა იგრძნო ბებერმა, რომ კაცს ძლიერ შეუყვარდა ხე და თანაც ქალს ყურს არ უგდებსო, მუხლის ჩოქით სთხოვა მეფეს: — მოსჭერით ეს ხე, რომ თქვენი ვაჟი მორჩესო. ისე დაწვით, რომ ერთი ნაფოტიც არ გადარჩეს, თორემ ვაჟი მოგიკვდებაო.

დაუწყეს ალვის ხეს ჭრა. ერთი ნაფოტი შეუმჩნევლად გადაზუზუნდა შორს ქუჩაში ცულის დარტყმის დროს. ეს ხე დაკუწეს და დაწვეს მთლიანად. მოისვენა ბებერმა, ახლა მაინც შეუყვარდება ჩემი ქალიო.

ამ დროს ერთი ბებერი მოდის ქუჩაში, კოკა უდგას მხარზე. ამ ბებერს მოეწონა ეს ნაფოტი. ფიქრობს: რა კარგი სახაშეს საფარებელიაო, მივიტან და დავაფარებო. მართლაც, წაიღო, მიიტანა სახლში და დააფარა სახაშეს. ბებერი წავიდა სამუშაოდ. ეს ქალი-ნაფოტი გადმოხტება სახაშედან, ასუფთავებს ბებრის ქოხს, საღამოს ჩადის ისევ შიგ და ეფარება ზედ. ბებერი მოდის და ფიქრობს: ამ ჩემ ყურეს ვინ ასუფთავებსო.

ერთ დროს მიატანს ქალს თვალს, ვეღარ მოასწრო სახაშეში ჩაჯდომა. გაუხარდება ბებერს, გადაეხვევა და აკოცებს: გენაცვალე, შვილო, ვისი ხარ და საიდან მოხვედიო. ქალი გადაიხარხარებს:

— ჰა, ჰა! —და წამოსცვივა პირიდან ოქრო-ვერცხლი. როცა დადის — ოქროს აგური იჭრება და ოქროს ფილაქანი ეგება მის გარშემო, თვალებიდან კი თვალ-მარგალიტი სცვივა.

ეს ბებერიც გამდიდრდა. — შენ დედა და მე შვილი! — ამ დროს გაიგებს ძმა, მონადირე, მივა დასთან, გაუხარდებათ. და ეტყვის: — ძმაო, მე მოვკვდები, ცხოვრება და ქონება ბევრი გაქვს. წადი, ერთ მაღალ შორ მთაზე ააშენე ერთი მონასტერი, სადაც არავინ არ შეგხვდება. გააკეთე კარგი კუბო ოქროსი, წამიღე და ამ მონასტერში დამაყუდე შიგ და დაკეტე კარებიო.

ძმამ აასრულა დის ნათქვამი სიტყვები.

ქალი მოკვდა. მაშინ ძმამ წაიღო მონასტერში, დააყუდა, დაკეტა კარები. დაბრუნდა და წამოვიდა შინ.

ერთ დროს მეფის შვილმა, ავადმყოფმა, მოინდომა სანადიროდ წასვლა. წავიდა რამდენიმე თვით, საგზლით. ბევრი იარა თუ ცოტა, ატარა დრო, დღე და ღამე ხეებქვეშ იყო. გუნებაც გადაეწმინდა. ერთ დღეს მიადგა ამ მონასტერს. შესცქერის შორიდან. უახლოვდება. იწერს პირჯვარს: ოჰ, ღმერთო, მიშველე, ეს რა ვნახე, სიზმარშიც არ მომაგონდება ასეთი. ნეტავი, რა ვქნა, რით გავაღო კარებიო? — ენატრება შინ დაბრუნება. გააკეთებინებს მჭედელს გასაღებს. სიხარულით მიაშურებს მთაში მონასტერს. გააღებს კარს და რას ნახავს: მთელი ეკლესია გაჩირაღდნებულია სინათლით! ვაჟი მიუახლოვდება კუბოს. ეკვდრება მუხლის ჩოქით: ღმერთო, გამიცოცხლეო. ამსგავსებს სახეზე.

აკოცებს ქალს, დაკეტავს კარებს და წამოვა სახლში მამასთან. მორჩა ავადმყოფობისაგან ვაჟი. იარა სამი წელიწადი მონასტერში ამ ქალთან, მიცვალებულთან.

სამი წლის შემდეგ მივიდა. დახვდა ოქროსთმიანი ვაჟი. ის ასაზრდოებდა ნადირის ხორცით დედას. როდესაც მივიდა მეფის შვილი მონასტერში, ქალი გაღვიძებული დახვდა.

ვაჟი ბრუნდება სახლში და მიყავს თავისი მშობლები მონასტერში. — დედავ და მამავ, მე ვიპოვე ჩემი პირველი ცოლიო!

წავიდნენ ქალის წამოსაყვანად. მოიყვანეს დიდი სიყვარულით. მეფემ დაჰპატიჟა დიდებულნი და გამართეს დიდი მეჯლისი, დროსტარება.

ახლა ეუბნება ვაჟი ცოლს:

— გაიცინე, გენაცვალე! — ქალი იცინის — ოქრო-ვერცხლი სცვივა პირიდან.—აბა, ერთი ათამაშეთ, საზოგადოებამ დაინახოსო!

დაუკრეს დოლი, დუდუკი. ქალი თამაშობს. მის თამაშზე იჭრება ოქროს აგური.

— ახლა ერთი იტირეო. — მართლაც, ცრემლის მაგივრად თვალმარგალიტი სცვივა. ბებერი ძლიერ ღონდება.

ეკითხებიან ქალს: — სად იყავ, როგორ მოხდაო? — მომეცით სიტყვის უფლებაო. — აბა, დაიწყეო. — ჯვარი რომ დავიწერეთ და წამოვედით, შუაგზაზე შვლები გადმოხტნენ. მთელი მაყრიონით ჩემი ქმარი მათ დაედევნა, მე იქ დავრჩი. ჩემი ქმრის აღმზრდელმა, ამ ბებერმა, რომელიც გვერდით მეჯდა, გამხადა ტანისამოსი. ჩემი ტანისამოსი ჩააცვა თავის ქალს, რომელიც მდადედ მეჯდა, თავისი ქალის ტანისამოსი მე ჩამაცვა და გადამაგდო ჯაგებში. დამთხარა თვალები

და ჩაიდო ჯიბეში. თავისი ქალი დაუსვა ჩემს ქმარს ცოლად. მობრუნდა მაყრიონი. წავიდეთ, წავიდეთ! ვაშა, ვაშაო! — იძახდნენ. მიდის ეტლები. დიდხანს ვიყავი ბუჩქებში მარტოკა. ტირილის მეტს არაფერს ვაკეთებდი. მოდგა ერთი მონადირე. ვუთხარი: შენ ძმა და მე და. წამიყვანე, მომიარე — ეს ქონება შენ. ვიცხოვროთ ერთადო. წამიყვანა თავის სახლში.

ბოლოს ამ ბებერმა გაიგო და ოქრო-ვერცხლის გამოცანცვლა განიზრახა. მოიტანა თვალები ოქროზე გასაყიდად. მონადირემ გაიგო, იყიდა თვალები, მოიყვანა ექიმი, ჩამისვა და ისევ ისეთი გავხდი. გაიგო ბებერმა ეს და მოვიდა. მაშინ ვიქეცი თევზად, შევცურდი წყალში. თევზი ბადეს მომაყოლა მებადურმა. რადგანაც ლამაზი ვიყავი, მიმართვეს მეფეს: როცა გაგვიჭირდება, მეფე წყალობას მოიღებსო. ბებერმა იცოდა, რომ ეს მე ვიყავი: დაკუწეთ და აქამეთ ვაფს და მორჩებაო. ერთი ძვალი გადავარდა და მისგან ამოვიდა ალვის ხე. ეს ხე მშვენიერი იყო. ვაფს მუდამ იმ ხის ქვეშ ეძინა. ეს ბებერი იძულებული გახდა, ხე მოეჭრევინებინა. სთხოვა ბატონს, მოჭრეს, დაწვეს, მაგრამ პირველ ცულის დარტყმაზე ერთი ნაფოტი გადავარდა შორს ქუჩაში.

მოდის ერთი ბებერი, კოკა უდგას მხარზე. მოეწონება ნაფოტი: წავიღებ, სახაშეს დავაფარებო. ბებერი სამუშაოდ მიდის, ნაფოტი უვლის მის სახლ-კარს. მოდის ბებერი, — ისევ ჩაჯდება სახაშეში, საღამოთი მოდის ბებერი, დუდუნებს თავისებურად: ნეტავ, ვინ არის ჩემი მომვლელი? რატომ არ ვხედავ თვალითო. ერთ დროს მიატანს ბებერი თვალს ქალს. მერე ცხოვრობენ ასე. ეს ბებერიც გამდიდრდა. ამ დროს გაიგებს ძმა თაეისი დის კეთილდღეობას, მოვა დასთან. და ეტყვის: მე მოვკვდები, შენ არ გაგიჭირდება ჩემი დასაფლავება. ქონება ბევრი გაქვს, ძმაო, ოქრო, ვერცხლი. წადი და ერთ მაღალ მთაზე გააკეთე მონასტერი, შემიტანე და დამაყუდე შიგ, მერე დაკეტე კარები, წადი შინ. დაიწყო მონასტერი ძმამ, აასრულა ანდერძი. ოქროს კუბო დააყუდა მონასტერში, ჰკეტავს კარებს. მიდის მონასტერში რამდენიმე წლის შემდეგ მეფის შვილი. ავადმყოფი გაემგზავრა სანადიროდ, მიადგა მონასტერს. ნეტავ, რა ვქნა, რით გავაღო ეს კარებიო? დაბრუნდება შინ, გააკეთებინებს მჭედელს გასაღებს, წავა ისევე, გააღებს კარებს და წავა სახლში. ასე მიდის და მოდის ამ ქალთან. სამი წლის შემდეგ მივიდა, დახვდა ოქროსთმიანი ვაჟი. იცნეს ერთმანეთი. მოიყვანეთ ჩემი ქმრის აღმზრდელი თავისი ქალით, ალაპარაკეთ ხალხის წინაშე, ტყუილია თუ მართალი, რაც მე ვთქვიო.

ახლა იწყებს ბებერი ლაპარაკს. — სადღა წავალ თქვენი ხელიდან,

სუყველაფერი ჩემი ბრალია. თვალები მე დავთხარე და გადავაგდე ჯაგებში. ჩემი ქალი დავუსვი ცოლად, მეგონა მოკვდებოდა. მე კარგად ვიცი, დანაშაული არ მეპატიება. გლოცავთ, გვირგვინოსანნო! დიდ-ხანს იცოცხლეთ, მე რაც გინდა მიყავითო!

გამოიყვანენ დედა-შვილს გარეთ ეზოში, გამოაბამენ ცხენის ძუაზე. მთელი ხალხი მათ უყურებს. ასე დახოცეს ეშმაკ-ჯადოსნები.

ქალსა და ვაჟს ბედნიერება. ქალი თამაშობს — ოქროს ფილაქანი ეგება, იცინის — ოქრო-ვერცხლი იშლება, მისი ცრემლები თვალმარგალიტად ცვივა. ასე დამთავრდა მათი საქმე. დარჩნენ ბედნიერად. ქორწილში გახლდით და ერთი თხუთმეტი ჯამი ღვინო დავლიე.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
ალი ყანთარი — ავი ზამთარი, სამი ტყუილი — ერთი მართალი.

ჯეირნის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ბალას ჩიტი ჩამკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა —
პატარაში ლაღე იყო;
ასი კაცი ვერ შესჭამდა,
ერთი კაცის ლუკმა იყო.

იყო ერთი ბეფე, რომელსაც ჰყავდა ოცი ვაჟიშვილი, ოცივე საქორწილოდ მოდიოდნენ. მიგზავნეს უფროსი შვილი მამასთან: — მამავ, დრო გვაქვს ქორწილისაო. საუბარმა ვერაფერი შედეგი მოიტანა. მოილაპარაკეს წასულიყვნენ იმ ადგილას, სადაც ოცი და იქნებოდა ერთად. მართლაც, ასე გააკეთეს. შეკაზმეს რაშები, აპკიდეს სურსათი, საჭელ-სასმელი და გაემგზავრნენ. მეფეს ჰყავდა ერთი კარგი რაში; მისი შეკაზმულობით, თავისი ლახტით. მიბრუნდა უფროსი ვაჟი და უთხრა: — უნდა მომცე შენი რაში, თავისი შეკაზმულობითო. — მამამ უპასუხა შვილს: — აბა, დადექი კარგად, სილას გაგარტყამ, თუ გაუძელ, მოიხმარებ კიდეცაო. — დადგა ვაჟი. ერთი შემოჰკრა მამამ, ვაჟი ადგილზე დაემხო. — წადი, შვილო, შენ ვერ მოიხმარო. — შეჯდა თავის რაშზე ეს ვაჟი და დაეწია ძმებს.

მერე მიბრუნდა უკან უმცროსი ვაჟი. სთხოვა მამას რაში. მამამ უთხრა: სილას გაგარტყამ და თუ არ წაიქეცი, მოიხმარ კიდეცაო. — დადგა. გაარტყამს სამ სილას, მაგრამ ფეხსაც ვერ მოაცვლევინებს. მაშინ მისცემს თავის რაშს, ულოცავს გზას. ვაჟი შეჯდება, დაეწევა ძმებს. ეწყინათ ძმებს: რატომ შენ მოგცა და ჩვენ არაო.

წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, გავიდნენ ერთ ჯვარედინ გზაზე. არ იციან საით წავიდნენ. წყალი სწყურიათ ძლიერ და ვერსად უპოვიათ. ამ დროს დაინახეს: ერთ ბებერს სველი კოკა უდგას მხარზე და მოაძუნძულებს. გადაუხტა წინ უმცროსი ძმა: დედი, დედაშვილობას, წყალი დამალევინეო. ვაჟმა გაიკრა მათარას ხელი, დაასხა წყალი და მიართვა უფროსს. ყველას დაალევინა, თვითონ კი არ შეხვდა. ეკითხება ეს ბებერი: — შვილო! ვინა ხართ, სად მიხვალთ, ერთმანეთს გევხართ ყველანიო. — ძმები ვართ, დედილო. — საით მიემართებით? — კიდევ ეკითხება ბებერი. — სადაც ოცი დანი ერთად არიან. — არა, შვილო, გაბრუნდით უკან. მათი შიშით ზეცას ფრინველი ვერ გაივლის და მიწაზე ჭიანჭველაო, დაგჭამენ და დაგხოცავენო. — აბა, დედი, გვითხარი მათი გარემოება. — ოცი დანი არიან, შვილებო, მარტო დედა ჰყავთ ცოცხალი და ცხრა ძმა, თითოს ცხრა თავი აბია. თუ არ დაშლით და მიდიხართ, დიდი ბაღი აქვთ ეზოში, რაშები გაუშვით ამ ბაღში უშიშრად. მაშინ დედა გამოვა ეზოში და დაგიძახებთ: „ვინ ხართ, ჩემი შვილების შიშით აქ როგორ მოხვედითო!“ შენ დაუძახე: „სამოყვროდა ვართ მოსული და არა სამტროდ“. მიგიღებთ მაშინ, გაგიმართავთ სადილს.

დაათავა ბებერმა. — მშვიდობით, დედი, ნახვამდის! — შემოჰკრავს რაშს მათრახს და მალე წამოეწევა დაწინაურებულ ძმებს ვაჟი. — ძმებო, საით მივდივართ, იცით? — მეხი კი დაგეცა მაგ თავში, შენ კი იცი, საით მივდივართ? — აბა, მაშ, მომყევით უკანო.

გაჰყვნენ ბუტბუტით. მივიდნენ, სადაც ცხოვრობენ ოცნი დანი, იმ სასახლის კარზე. გახსნეს ბაღის კარები. შევიდნენ ბაღში. დახსნეს შეკაზმულობა რაშებს და მოისვენეს გრილოში. ამ დროს გამოდის ქალების დედა.

— ვინ ხართ, რა სულიერები, საიდან? ჩემი შვილების შიშით ზეცას ფრინველს ვერ გაუვლია და თქვენ რამ მოგიყვანათო? — წამოდგა უმცროსი ძმა. — ჩვენა ვართ მოსული სამოყვროდ და არა სამტროდ.

ეს ბებერი აწყობს სუფრას. შეიპატიჟებს შინ. დაიწყებენ ქეიფს. ბებერი ევლება თავს ამ ვაჟებს, დევები კი სანადიროდ არიან წასული მთაში. დაღამდა. საღამოთი მოიტანეს ცხრა ირემი და ცხრა წიფელ.

მიესალმნენ სტუმრები. მოხარშეს ცხრა ირემი და გამართეს ვახშამი. დაიწყეს ქეიფი. დათვრნენ ყველანი. გაუშალეს ლოგინი და მოასვენეს სტუმრები.

დედა მუდამ ღამე ჯაჭვით აბამს თავის შვილებს. შუაღამისას მოვა კარებზე სტუმრებთან: ვისა გღვიძავთ, ვისა გძინავთ, ვინ ხართ მოსვენებაშიო? — ხმას არავინ იღებს. მეორედაც მივა და უკაკუნებს კარებს, მაგრამ ხმას არავინ სცემს. მესამედ რომ მივიდა, კიდევ თქვა: ვისა გღვიძავთ, ვისა გძინავთ, ვინ ხართ მოსვენებაშიო?

ამ დროს უმცროსი ძმა დაუდგება: მე მღვიძავს, შენს სიძესო! ეს ვაჟი თავის საწოლზე ბალიშ-მუთაქას დადებს და წაახურავს საბანს. მეოთხედაც მიდის ბებერი, ხმას არავინ სცემს.

ამოიღებს ვაჟი თავის მამის ხმალს და ჩადგება მარჯვნივ კარებში. უშვებს უფროს შვილს ბებერი. დევი მიდის სტუმრების შესაჭმელად. შეაღებს კარებს. ვაჟი ჩამოუსვამს ხმალს, ჩამოსჭრის ცხრა თავს, გაიტანს და გადაჰყრის. ძმებს სძინავთ, ვერაფერს ვერ იგებენ. გამოუშვა ბებერმა რიგრიგობით მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე დევი. ყველა ასე დახოცა უმცროსმა ძმამ. დარჩა მარტო დედა ცოცხალი. დაგვიანების შემდეგ იფიქრა დედამ, ჩხუბი თუ მოუვიდათ ჩემს შვილებს და ერთმანეთი დაჭამესო. გამოვიდა ბებერი კარებზე. აქ ვაჟიც დახვდა.

— რა იქნენ ჩემი შვილებიო?

— მთაში წავიდნენ სანადიროდო.

— ეგრე ადრე? კარგი, მაშ, მობრძანდით ჩემთანო. — სადა გყავთ ქალებიო? — ბებერი მიხვდა, ახლა ცუდად არის საქმეო. გაუძღვება წინ. ჩამოართმევს გასაღებს ვაჟი და გააღებს მეთორმეტე ოთახს. ნახავს — მზეთუნახავი ქალები ცხოვრობენ შიგ, თამაშობენ... გაბრუნდება უკან ვაჟი ძმებთან. მიჰყავს გვერდით ეს თავისი სასიდედრო. მიიყვანს დახოცილ შვილებთან და აჩვენებს; მერე მასაც მოსჭრის თავს, გადააგდებს და ეტყვის: შენც იმათი ყადრი ხარო.

ვაჟი ძმებს დააძრობს ბეჭდებს, წაიღებს ქალებთან, დაჰყვება უფროსიდან და გაუკეთებს ბეჭდებს, უმცროსს კი თავის ბეჭედს გაუკეთებს. მერე ქალებს დააძრობს ბეჭდებს და ძმებს გაუკეთებს. ძმებს კი ისევ სძინავთ.

უმცროსი ძმა წაწვება კარებში. გათენდა დილა. იღვიძებენ ვაჟები. წაჰკრავენ წიხლს: — რა დაგემართა, ვერ გაძეხ ძილითაო?

ადგება უმცროსიც. — რა არი, ძმებო, რა ამბავიაო. — რაღა რა ამბავია, წავიდეთ ჯანაბის კვალზე. აქ არც ოცი დანი არიან და არც სხვაო.

უმცროსი იცინის. აზრზე ვერ მოდიან, რომ ხელებზე უცხო ბეჭდები აქვთ გაკეთებული ვაჟებს. ეს ვაჟი ხან გადააბრუნებს ხელს, ხან გადმოაბრუნებს, იქნებ ანიშნოს, რომ ისინი დანიშნულები არიან. ძმები ვერაფერ აზრზე ვერ მოდიან. — აბა, ძმებო, დაიბანეთ პირი, დაივარცხნეთ ქოჩრები და მომყევით გვერდშიო.

დაიბანეს პირი, გასუფთავდნენ. ერთმანეთს ეუბნებიან ეს ძმები: — წავიდეთ აქედან, თორემ დაგვხოცავენო.

გაუძღვება წინ უმცროსი. მიდიან მეთორმეტე ოთახში. რა ნახეს! სიხარულისაგან აღარ იციან რა ქნან. — აი, ძმებო, ჩვენი ცოლები!

დააყოლებს უფროსიდან და დაუყენებს გვერდზე ყველას. უმცროსთან რომ მივა, — ეს კიდევ მეო.

დიდი კოცნა, დიდი თამაში და ლხინი. ეუბნებიან უმცროს ძმას: შენა ყოფილხარ ჩვენი მხსნელი. აქამდის მასხარად გიგდებდით, რადგან გვეგონა არაფერი შეგეძლო. მართლა ბიჭი ჰყოფილხარ, კარგი მხედარიო.

რამდენიმე თვის შემდეგ ტოვებენ იმ ბინას და მიდიან თავიანთ სამეფოში. შუაგზაზე რომ მივიდნენ, ერთი გასავალი შეხვდათ გზაწვრილი. წევს სიგრძეზე გაშაპული ცეცხლია დევი. გააქროლებს რაშს წინ უმცროსი და დაუძახებს: — წითელო დევო, გახსენ გზა, გაგვიშვიო. — არა, არ გაგიშვებთ, სანამ ჩემს გულის მურაზს არ ამისრულებთო. — ხომ შეიძლება, რომ მე დავრჩე შენთან და აგისრულო გულის მურაზიო? — შეიძლებაო.

მაშინ დასხდნენ, ჭამეს პური, ისადილეს. უთხრა ძმებს უმცროსმა: — ძმებო, მელოდეთ სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე, სამი საათი და სამი წამი. თუ მოვედი ამ ვადაზე, თუ არადა ეს ჩემი დანიშნული გაათხოვეთო.

დაემშვიდობნენ ძმები. — მშვიდობით, ძმაო, აბა, შენ იციო!

უმცროსი ძმა დარჩა ცეცხლის დევთან. შეეკითხება: რა არის შენი გულის წადილიო? — წადი ამა და ამ სახელმწიფოში და ჯეირნის ქალი არის მეფედ, ის მომიყვანეო ცოლადო.

მიდის ვაჟი და უბარებს დევს: — დაწექი ცალ გვერდზე სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე, სამი საათი და სამი წამი. ამ ვადამდე უნდა იწვე ცალ გვერდზე. თუ გადაბრუნდი, ვერაფერსაც ვერ ვიბრძოლებო. — მიდის ვაჟი ამ პირობით.

ბევრი იარა თუ ცოტა, გავიდა ერთ მინდორზე. რას ნახავს! სამი კაცი ზის. სამ სოფელში ყოფილან: ერთი სოფლიდან მოუტანიათ სუფრა, მეორე სოფლიდან — ხალიჩა, მესამედან — ქუდი. ამას იყოფენ და ვერ გაუყვიათ. არ იციან, რომელი რას ნიშნავს: ხალიჩა დი-

დია, სუფრა — საშუალო, ქუდი — პატარა. ვერ თანხმდებიან, ვის რა ერგოს. ამ დროს მიდის ეს ვაჟი. დაინახეს კაცებმა: — აგერ ღვთის კაცი და ის გაგვინაწილებსო! — დაუძახებენ: — მობრძანდით ჩვენთანო. უმცროსი ძმა უპასუხებს:

— აქედანაც მეშინია და ახლოს ვერ ვბედავ, მომკლავთო. — არა, ღმერთმანი, არაფერს გერჩითო. — მიდის ვაჟი. — აი, ძმაო, სამ სოფელში ვიყავით საქურდლად. ერთი სოფლიდან მოვიტანეთ ხალიჩა, მეორედან — სუფრა, მესამედან — ქუდი. ახლა ერთი გვითხარი ამათი გარემოება და მოგვაშველეო. ვაჟი ეუბნება:

— ხალიჩას ასეთი მნიშვნელობა აქვს, რომ დაჯდე — წაგიყვანს, სადაც გინდაო; სუფრას, რომ არა გქონდეს რა, გაშლი და სუყველაფერი გექნება საჭმელ-სასმელიო; ქუდი ასეთია: ვინც დაიხურავს, ვერავინ დაინახავსო. — ძალიან მოეწონათ სტუმრის ამბავი. — მაშ, რა ვუყოთო? — აი, რა ვუყოთ! მომეცით სამივემ მშვილდ-ისარი და მოემზადენით გასაქცევად.

გაუკრავს მშვილდ-ისარს სამ მთაზე და გაუშვებს მათ მოსატანად, თან ეტყვის: ვინც წინ მოხვალთ, — მას ხალიჩა, ვინც მას მოყვებით — სუფრა და ვინც ბოლოს — იმას ქუდიო.

გარბიან. ამ დროს თვითონ სუფრას დაკეცავს, ჯიბეში ჩაიდებს, დაიხურავს ქუდსაც და დაჯდება ხალიჩაზე: — ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, მიმიყვანე იქ, სადაც ჯეირნის ქალი მეფობსო. — ხალიჩა წავიდა შხუილით. ჰიატანა ქალაქს. ჩამოვიდა ვაჟი დაბლა. ხალიჩა გადიგდო ზურგზე და მივიდა ერთ ღარიბ ბებერთან. — გამარჯობა, დედი! ამაღამ გამათენებინე. — არა, შვილო, თქვენი საკადრისი არა მაქვს რა. პურიც არა მაქვს, რომ გაჭამოო. — ნუ შეწუხდები, დედი, სასმელ-საჭმელი მე მაქვსო. უღებს ბებერი კარებს და შედის ქოხში.

დაღამდა. ბებერი წუხს, არაფერი არ აქვს. ბევრი ირბინა, მაგრამ ვერაფერი იშოვა. მას არა ჰქონდა, არც არვინ აძლევდა. დაჯდება ბებერი და ოხრავს, რცხვენია. ამოიღებს და გაშლის სუფრას ვაჟი: — სუფრავ, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, გვეკუთვნის თუ არ გვეკუთვნის, ყველაფერი მრავალი იყოსო! — ეს ბებერი გაოცებული დარჩა, როცა ქოხი საჭმელ-სასმლით გაივსო.

პურის ჭამის შემდეგ ეკითხება ვაჟი: — დედი, უნდა გამიგო, თქვენ ხელმწიფეს ადამიანის სუნი რად ეჯავრებაო. — წვილო, ჩემი გაზრდილია პატარაობით და ეგ არ გამიგიაო! — აბა, მაშ, ხვალ წადი, დედი, და გაიგე, ადამიანის სუნი რად ეჯავრება.

გათენდა მშვენიერი დილა. წავიდა ბებერი მეფესთან,

დაუძახებს მოსამსახურეებს, მიმიყვანეთ მეფესთანაო. ისინიც მიიყვანენ. ეკითხება ბებერი მეფეს: — თქვენთან ვიყავი დიდი ხანი, ამაგი მაქვს, ვიცი, არ დამიმადლით და მეტყვითო. — რაა, დედაბერო, რა გაგჭირვებიაო? — ის, რომ, მითხარი, რად გეჯავრება ადამიანის სუნი? მეფეს ეწყინა. უბრძანა მოახლეებს: ეს ბებერი გადააგდეთ ძირსაო.

ვაჟს ხურავს უჩინმაჩინის ქუდი და ვერავინა ხედავს. ბებერს გადმოაგდებენ დაბლა. ვაჟი შეაშველებს ხელებს, დაიჭერს, მიწაზე არ დაუშვებს. ვაჟი წამოვა სახლში, მოიხდის ქუდს და ჩვეულებრივად დახვდება ბებერს. ბებერი ეუბნება: — შვილო, აივნიდან გადმომაგდეს, რბილად რომ არ დავცემულიყავ, მოვკვდებოდიო. — კარგი, დედი, მაშ, დაისვენე. ოქრომჭედლები ხომ არიან ამ ქალაქშიო? — დიახ, შვილო. — აბა, წავიდეთო.

შევიდნენ ქალაქში. მივიდნენ ოქრომჭედლებთან. გააკეთებინებს ძვირფას თეფშს ვაჟი! აწერს ზედ დიდი ასოებით: „ჩვენ ვიყავით დედალ-მამალი ჯეირანი. დაგვაფრთხო მონადირემა; დედალი აქეთ გადმოვვარდი, მამალი დავკარგე და დღესაც მის გზას ვტირი“. დაიდგა თავზე ვაჟმა. მივიდა მეფის სასახლესთან და გადის-გამოდის. ორივე ხელით დაბღუჯული უჭირავს თავზე. — თეფში გასაყიდი! თეფში გასაყიდი! — იძახის. დაინახა მეფის კარისკაცმა.

— ქალბატონო, რა მშვენიერი რამე აქვს ამ კაცს, ვიყიდოთ.

დაუძახეს. ადის კიბეზე. მეფე კითხულობს მაღლიდან: „ჩვენ ვიყავით დედალ-მამალი ჯეირანი, დაგვაფრთხო მონადირემა; დედალი აქეთ გადმოვვარდი, მამალი დავკარგე და დღესაც იმის გზას ვტირი“. დაათავა წაკითხვა მეფემ. უკეთებს მკლავს მკლავში ვაჟს და აჰყავს თავის ოთახში. მოეხვევა, კოცნის. ხან ტირის, ხან იცინის.

— სად იყავ, საიდან მოხვედიო?

ცხოვრობენ ერთად. ატყუებს ჯეირანს ვაჟი. ვერ მიხვდა მოტყუებას მეფე. ასე გააგრძელეს ერთად ცხოვრება. ამ დროს ჟამიც მოდის შინ წასვლისა. ძილიც აღარ ეკიდება ღამე ვაჟს, პირობა უნდა აუსრულოს ცეცხლის დევს. ერთხელ ეტყვის მეფეს: — ნება მომეცით ქალაქში და განაპირა სოფლებში გავიაროო. — რათა, რა გაგჭირვებია, მოსამსახურეებს გავგზავნიო. — არა, მე უნდა წავიდე, ერთ ბებერთან მაქვს საქმეო.

მიდის ვაჟი ბებერთან. სუფრას აჩუქებს. ახლა ბებერი გახდა უზრუნველყოფილი. ვაჟმა უთხრა: ეს არავის მისცე, სანამ მოკვდებოდე, გქონდეს ჩემს სახსოვრადო.

ბებერი გადაეხვევა, აკოცებს.

— მშვიდობით, შვილო, ჩემს მოსაგონებლად დიდხანს იცოცხლეო.

მიდის ვაჟი მეფესთან. ხალიჩა გაახვია, შეკრა ბოხჩაში. საღამოს უთხრა მეფეს: — ამაღამ ამ ხალიჩაზე უნდა დავიძინოთ, თუ გინდა რომ მოვისვენოთო. — რად გინდა, ეს რომ გავშალოთ, განა ამაზე უკეთესი არაფერი გვაქვსო?—არა, სანამ ამაზე არ დავწვები, ვერ მოვისვენებო. — დაწვნენ ზედ. შუაღამის დროს ქალს სძინავს, ვაჟს ღვიძავს. გააღებს კარებს და ეტყვის: „ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, მიმიყვანე ცეცხლის დევთანო.“ — ხალიჩაც მიდის, მიფრინავს. ქალი იღვიძებს და ეუბნება: — ოჰ, შე ჩემი ცოდვის მუხანათო, გავიგე, მაგრამ მაინც მომატყუე. მოდი, ნუ ჩამაგდებ იმის ხელში, ცოლად შენ წამიყვანეო. — აბა, რა გიყო, არ გამიშვებს; ვერც მოვერევი, რომ მოვკლაო. — მაშ, მე გასწავლი. სამი წელიწადია ხომ ცალ გვერდზე წევს? — სამი წელიწადი, სამი თვე, სამი დღე, სამი საათი და სამი წამი. — ახლა ცალი გვერდი დამპალი აქვს. ვეღარ იძვრება. რომ მიხვიდე, გაუხასდი, გამოუცხადე და დაუძახე: „წითელო დევო!“ ის დაგიძახებს: „ჰა!“ „ვაი შენ და ცეცხლი, ხომ აგისრულე შენი გულის წადილი“. მაშინ მას მოეკიდება ცეცხლი და შენ დაგრჩებიო.

ამ დროს კიდევაც მივიდნენ ცეცხლის დევთან. ვაჟი ეძახის: — წითელო დევო! — ჰა, რა გინდა? — ვაი შენ და ცეცხლი, ხომ აგისრულე გულის წადილი, მომყავს ჯეირნის ქალი, არც ახლა გამიშვებ! — თავისუფალი ხართო! დევს ცალი გვერდი დამპალი აქვს, მეორე გვერდსაც ცეცხლი ეკიდება და იწვის.

ესენი ისვენებენ. პური ჭამეს. შემდეგ გაემართნენ თავის სამეფოსკენ. დასხდნენ ხალიჩაზე. „ხალიჩავ, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, მიმიყვანე ჩემ მამასთან და ძმებთანო!“ ხალიჩა წავიდა. ესენიც ტკბილად მღერიან. მივიდნენ ვადაზე. გავიდა სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე, სამი საათი და სამი წამი. სამ წამზე მივიდნენ სწორედ თავის დედ-მამასთან. ამ დროს პირველად დანიშნული გაუთხოვებიათ მეფის შვილზე. სხედან. დიდი მილოცვაა, დიდი სიმღერა, თამაში და გართობა. ამ ხანში ესენიც შევიდნენ. უფრო გაუხარდათ მშობლებს, ძმებს. გაგრძელდა სამი დღე და ღამე ქორწილი. მოეხვია პირველად დანიშნულს და აკოცა მარჯვენა მხარზე. — შენ იქნები ჩემი და, მე ვიქნები შენი ძმა. იცხოვრეთ და იცოცხლეთ!

თვითონ უმცროსმა ძმამ ჯეირნის მეფე-ქალზე დაიწერა ჯვარი. გააგრძელეს მერმე ქორწილი. იყო დიდი ლხინი და დროსტარება.

ბერნაძის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ბლეხკაცი, გვარად ბერნაძე. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალი. იმ დროს ისეთი კანონი იყო, ვაჟი რომ გაიზრდებოდა, სამი-ხუთი წელიწადი მეფეს უნდა მსახურებოდა.

როდესაც ოცი წლის გახდა უფროსი ვაჟი, მამას უნდოდა გაეგზავნა სამსახურის მოსახდელად. მამამ გაამზადა წასასვლელად. შეჯდა ცხენზე ვაჟი და წავიდა. მამაც შეჯდა ცხენზე, წამოურბინა მეორე გზით და ჭალაში შეხვდა წინ, ეუბნება: — გადმოდი ცხენიდანო. — ბიჭს გული გაუსკდა, დაბრუნდა სახლში. მამა მასზე ადრე მივიდა. — რა ამბავია, შვილო, რათ დაბრუნდიო? — დავბრუნდი, მამავ, ყაჩაღები დამხვდნენ გზაში და კინაღამ მომკლესო.

ახლა მეორე წავიდა მეფესთან. იმასაც ისე უყო... ვერ შესძლო. მესამესაც ასე დაემართა. როცა ყველა ძმა გაწბილდა, უმცროსმა ქალმა უთხრა მამას: — გამომაწყე, მამი, ბიჭის ტანისამოსით, მომეცი ცხენი, ხანჯალი, ხმალი, შევჯდები და წავაკლ, მე მოვიხდი მეფის სამსახურსო.

გამოაწყვეს ქალიშვილი. ქალი იცვამს ვაჟურად, დაიკავებს ხმალს, ხანჯალს, ჯდება ცხენზე და მიდის მეფესთან. მამა ამასაც უხვდება ისევ იმ ადგილას. — ჩამოდი ცხენიდანო! — მამაჩემს რომ არ ჰგავდე, ამ წუთში თავს მოგჭრიდი. წადი, ჩამომეცალეო. — მამამ იფიქრა: ეს უთუოდ ვარგისიაო. — მაშ, წადი, საითაც მიდიხარ, დაშილოცნია, შვილო, გზა შენთვისაო.

ქალი მიდის მეფესთან. მივიდა, გადმოხტა ცხენიდან, მუხლისჩოქით სთხოვა მეფეს: — გეახელით სამსახურისთვისო. რა საქმეს მომცემთ, მუშაობა სად დავიწყოო?

მეფეს ძლიერ მოეწონა მშვენიერი ყმაწვილი, ლამაზი, ტანადი. მისცა მსუბუქი საქმე.

ეს ვაჟი ემსახურება ბატონს. უყვარს ძლიერ. მეფეს ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავს. ამ ქალს ჩაუვარდა ეს ყმაწვილი გულში: თუ ეს არ შევირთე, რაღაა ჩემი სიცოცხლეო, ფიქრობს. ვაჟი შედის ხშირად ქალთან. ქალი უერთებს გულითა და სულით სიყვარულს, მაგრამ ბერნაძის შვილი ყურს არ უგდებს. მეფის ქალს ჩაეკრა გულში დარდი. — თუ შენ ვერ მოგკლა, მაშინ მე რაღა ქალი ვარო!

ჩავარდა ქალი ლოგინად. შინაური ექიმები, გარეული ექიმები, ყველანი ადგანან თავზე, მაგრამ ქალს მაინც ვერ არჩენენ. მშობლები ეკითხებიან:—შვილო, რა მოგარჩენსო? არაფერს არ მარგებს ექიმე-

ბის წამლებიო. — მაინც, გვითხარი, რა გიშველისო? — გეტყვით, მაგრამ ძნელია. — რაა, შვილო, იქნება ისა სჯობს, გავიგოთ შენი გულის პასუხი. — მამავ, ვერავინ ვერ მომარჩენს მე ბერნაძის შვილის მეტი. — როგორ მოგარჩენს ბერნაძის შვილი? — იმას აქვს უნარი, უკვდავების წყალს მომიტანს. დავლევ თუ არა, მოვრჩებიო. — ქალმა იცის, ეს უკვდავების წყარო ისეთ ადგილას არის, რომ იქ ვერავინ მივა.

იბარებს ბერნაძის შვილს მეფე და ეუბნება: — ჩემს ქალს უნდა მოუტანო უკვდავების წყარო და მაშინ მორჩება. შენი იმედი აქვსო. — ბატონო, თქვენი წყალობით, თქვენი წყალობა არ მომაკლდება, სადაც გამგზავნით, ყველგან თავდადებული ვიქნებიო.

ბერნაძის შვილი მიემგზავრება უკვდავების წყაროს მოსატანად. ბევრს ივლის თუ ცოტას, მივა წყაროსთან. ამ წყაროს აქვს ალმასის კარები, თავისთავად იღება და იკეტება. როდესაც კარი გაიღება, თუ ვერ მოასწარი შესვლა, აქეთ-იქით ლომები აბია და ისინი შეგჭამენ. კარებთანაც არის ლომები. ბერნაძის შვილი შეებრძოლა ამ ლომებს და დახოცა. დაამტვრია კარები. შევიდა. წყაროს თავზე ზის ერთი მოხუცებული კაცი. წვერი აქვს მუხლებამდის დაფენილი და სახეზე ხავსი მოკიდებული. მოხუცმა უთხრა: წადი აქედან, შვილო, თორემ მოგკლავენ. ამ წყალს პატრონი მძლავრი ჰყავსო.

ბერნაძის შვილს სიცილად არ ეყო. აავსო ჭურჭელი უკვდავების წყლით. მიაწოდა ამ მოხუცს და უთხრა: დალიეო — დალია ხავსმოკიდებულმა წყალი. ეს მოხუცი ისევ ისეთი გახდა, როგორიც იყო ადრე. — მშვიდობით, შვილო, გმადლობ ჩემი განთავისუფლებისათვისო!

ბერნაძის შვილი კვლავ აავსებს ჭურჭელს წყლით. გამოემგზავრა მეფესთან, მივიდა და უთხრა მეფეს: მოგართვი უკვდავების წყალიო. შეუტანეს ქალს გახარებულმა მშობლებმა, ეგონათ ქალი ამით მორჩებოდა. ქალი უფრო ავად გახდა. ქალს არ უნდოდა ცოცხალი დაბრუნებულიყო ვაჟი.

— აბა, დალიე, შვილო, წყალი. ახლა კი წამლად მოგიხდებაო. ქალმა დედ-მამა დაითხოვა ოთახიდან, — მე დავლევო. გამოვიდნენ თუ არა, ჩუმად დაღვარა წყალი და სურა დადგა ცარიელი. ისევ შევიდნენ მშობლები. — რა ქენი, შვილო, კარგია თუ არაო? — ვკვდები, ვეღარ მოვრჩებიო. — უფრო ავად გახდა ქალი, თავი მოიმკვდარუნა. — მაშ, რა გიყო, რა მოგარჩენს, შვილოო? — ბერნაძის შვილი. — წყალმა რომ არ გარგო? — მაინც მაგან უნდა მომარჩინოს. — აბა, როგორ და რით? — ამ ჩვენს დიდ მაღალ მთაში ირემი ცხოვ-

რობს თავისი შვილით. იმისი რძე უნდა მომიტანოს, დავლევ თუ არა, შოვრჩებიო.

დაიბარებენ ბერნაძის შვილს.—უნდა წახვიდე და ირმის რძე მოიტანოო, უთხრეს. — მოგართმევთ, ბატონო!

მიემგზავრება მთაში ბერნაძის შვილი. უახლოვდება ირემს. ისეთი მძლავრია ეს ირემი, რომ მასთან მისვლას ვერავინ ბედავს. სტაცა ხელი, წაბა თოკი ყელზე და მიიყვანა მეფესთან. მეფეს ძალიან გაუკვირდა. მოწველეს, რძე მიართვეს ქალს. დალია, მაგრამ უფრო შეწუხდა. — რაღა ვქნა, შვილო, მოდი, ექიმებს დავუძახებ ისევო. — არა, მამი, მე მომარჩენს ბერნაძის შვილიო.

ქალი მძიმე ავადმყოფი გახდა. — მაშ რა გიყო? ექიმები არა გწამს, არცა გრგებს მათი წამალი. — გეუბნები, მამავ, ბერნაძის შვილი მომარჩენს. — როგორო. — იქ, დასავლეთის მხარეს, სამნი ძმანი არიან დევები. ერთი კოჭლი დევი არის მძლავრი, აი იმის ღვიძლს თუ შომიტანს, მაშინ მოვრჩები.

იბარებს მეფე ბერნაძის შვილს: უნდა მოჰკლა კოჭლი დევი, გასჭრა და იმის მთლიანი ღვიძლი მოიტანოო.

გასწია, მივიდა დევების სასახლეში. მიიღეს სტუმარი, კარგი მასპინძლობა გაუწიეს. გათენდა დილა. დევმა უთხრა: უნდა ვიბრძოლოთო. ბერნაძის შვილი ეკითხება: ჯაჭვი ხომ გაქვს დიდიო? აბა, ვცადოთ, თუ გასწყვეტავ, თუ არა, მაინც ვიბრძოლოთო.

მოაბა ხეზე ჯაჭვი დევმა, გასწია და გაგლიჯა. ბერნაძის შვილმა უთხრა: შავკრათ ერთი დიდი ყუთი, ჩაჯექი შიგ, მიიწ-მოიწი, გასტეხავ თუ არაო. — გააკეთეს დიდი ყუთი. ჩასვეს შიგ დევი: მიიწ-მოიწიე, დაამტვრევ თუ არაო.

დევმა ვერაფერი ვერ დააკლო, მაშინ დააჭედა თავი, მაგრად დალურსმა. მერე ძმებს უთხრა: გაუკეთეთ გოგორები ყუთს, შეებით და წავიდეთ მეფესთანაო.

შეაბა ეს დევები ბერნაძის შვილმა უღელში, თვითონ უკან გაჰყვა. მიიტანა მეფესთან ჰიჰინით. ამოიყვანეს დევი, დაკლეს, გასჭრეს, ამოაცალეს ღვიძლი, შეუწვეს და მიართვეს ეს მეფის ქალს. — აბა, შვილო, ჭამე და მორჩებიო. — ქალმა ჭამა, მაგრამ მაინც არ მორჩა. ამ ვაჟის სიყვარულს ვერ ინელებს. — მაშ რა გიყოთ, რა მოგარჩენსო? — ბერნაძის შვილიო.

იბარებენ ბერნაძის შვილს. ქალი ეუბნება: გაქვავებული ქალაქი რომაა, იმის ამბავს თუ მომიტან, მოვრჩებიო.

გაემგზავრა ბერნაძის შვილი. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა გა-

ქვავებულ ქალაქში. მართლაც რას ხედავს: ყველა მოგზაური, მოვაჭრე გაქვავებული არის.

დაღამდა. ერთი ადგილიდან გამოდის პატარა სინათლე. მიუახლოვდა შუქს, მივიდა ახლოს, არავინ არის. დააბა ცხენი მახლობლად. ნახა ერთ კუთხეში გაქვავებული მეფე — ქალაქის თავი. შუაღამის დროს მოვიდა ერთი ქალი, რომელიც ყოფილა ამ მეფის ცოლი. სცემს და აწვალებს. გავიდა რამდენიმე ხანი და ამ ქალს მოუვიდნენ საყვარლები, მაშინ ეს ქალი წავიდა. მივიდა გაქვავებულთან ბერნაძის შვილი და ეკითხება: რათა ხარ გაქვავებული და რათა სტირიო.

— ეს ჩემი ცოლი ჯადოსანია, მას ჰყოლია საყვარლები, რაც არ ვიცოდი. მე მყავდნენ რაშები; ვაკმევდი ნუშ-ქიშმიშს, მაგრამ რაშები მაინც დამიხდნენ. მეჯინიბეს ვეჩხუბებოდი, რათ არიან დამხდრები-მეთქი. მეჯინიბე ვერ მიბედავს თურმე, ეთქვა, რომ, ჩემი ცოლი, შუაღამე რომ გახდება, გაამზადებს ხარჯს, გადაჰკიდებს ყველაფერს, შესხდებიან რაშებზე მეჯინიბესთან ერთად და ეახლებიან ქაჯეთის მეფეს. იქ ქეიფობენ და მერე მოდიან სახლში ღამე. ერთ დროს მეჯინიბეს ვუთხარი: მე უნდა ვუყარაულო-მეთქი ცხენებს. მეფე მეჯინიბეს დახდის ტანისამოსს, მას მეფე იცვამს, მეფისას კი მეჯინიბე. მეჯინიბე მიდის მეფის ოთახში, ისვენებს, მეფე კი რაშებს ყარაულობს. ამ დროს შედის მეფის ქალი საყვარლებთან გასამგზავრებლად: — აბა, ჩქარა შეკაზმე რაშები, მეჯინიბევ!

დატრიალდება მეჯინიბე, შეკაზმავს სამ რაშს. ერთზე თვითონ შეჯდება, ერთზე სასველ-საჭმელს აჰკიდებს და მესამეზე მეჯინიბე ჯდება. მიდის ქალი გახარებული ქაჯეთის მეფესთან. იქ დიდხანს გაატარებენ ქეიფი, ხვევნა-კოცნა. ქეიფის შემდეგ უბრძანა მეჯინიბეს: შეკაზმე რაშები, თორემ გათენება მოგვისწრებსო და მეფე შეგვიტყობსო. მეჯინიბე შეკაზმავს საჩქაროდ. — გამობრძანდი, დედოფალო, მივდივართ! — ეტყვის მეჯინიბე. გამოვა დედოფალი, ერთ კარგ სილას გაარტყამს: რატომ მარდად არ შეკაზმეო. — უკაცრავად, დედოფალო, ცოტა შემიგვიანდაო. მოდიან. ცოტა გზა რომ გამოიარეს, მეჯინიბემ უთხრა დედოფალს: დედოფალო, ხურჯინი დამავიწყდა სახლში, ცოტა ხანი მოითმინეო. გარბის მეფე მეჯინიბურად ჩაცმული და შევა, სადაც ქაჯეთის მეფე და ორი ვეზირია (დედოფლის საყვარლები), დააჭრის სამივეს თავებს, ჩაალაგებს ხურჯინში, მოიკიდებს ზურგზე და მორბის დედოფალთან. — ჰაი, რად დაიგვიანეო? — ეუბნება დედოფალი.

მოჰკიდებს რაშს ხურჯინს. დედოფალი ერთ მათრახს წამოჰკრავს კიდევ. მოასხდნენ ცხენებს და მოვიდნენ მეფის სასახლეში. დედო-

ფალი შევიდა თავის საწოლში. მეჯინიბემ ცხენები დაბა საჯინიბოში. მერე ხელდახელ გაიძრო თავისი ტანისამოსი, ჩააცვა მეჯინიბეს. მეჯინიბეს დახადა ტანისამოსი და თვითონ ჩაიცვა. მეჯინიბე საჯინიბოში რაშებთან წავიდა, მეფე თავის ოთახში შევიდა. დედოფალმაც საუზმე მიართვა თავის ქმარს, ვითომდა არაფერი. დასხდნენ ერთად. მეფემ ხურჯინი შეინახა. თან შეექცევიან საუზმეს, თან საუბრობენ. მეფე ეუბნება თავის ცოლს: წუხელ შესანიშნავი სიზმარი ვნახეო.— რაო? ჰკითხა დედოფალმა.

— არ ვიცი, რაღაცა მომელანდა, ვითომ თქვენ ქაჯეთის მეფეს, და მის ორ ვეზირს ყვარობდით, აპირებდით წასვლას, მე ჩამეცვა მეჯინიბის ტანისამოსი, მეჯინიბეს ჩემი ტანისამოსი. მეჯინიბე დამერჩინოს ჩემს მაგივრად. მე შემეკაზმოს რაშები, ამეკიდოს სურსათი, მივსულიყავით ქაჯეთის მეფესთან და იმ ღამეს მექეიფოს. მერმე მეუბნები შენ: ჩქარა წავიდეთ, გათენება მოგვისწრებს და გაგვიგებს მეფეო. მეც დავტრიალდი, შევკაზმე. თითქვის ცოტა შემიგვიანდა. ამაზე ერთი კარგი სილაქიც მჭყუტეთ. გამოვცდით ცოტა გზას და მე გითხარ, ხურჯინი დამავიწყდა-მეთქი. თქვენ მომიცადეთ, მე გავიქეცი უკან. შევედი სახლში, სამივეს თავები დავაჭერი, ჩავაწყვე ხურჯინში, მოვიტანე, დავიკიდე და წამოვედი სახლში. ასეთი უცნაური სიზმარი ვნახე.

— რას ამბობ, შე უხეირო, რას ბოდავ?

— აი, თუ რას! — გამოიღებს ხურჯინს, ამოიღებს თავებს და ეუბნება:

— არც ახლა გჯერა? ამ დროს მისი ჯადოსანი ცოლი დასწყევლის თავის ქმარს, დაარტყამს ჯადოს, გადასწერს უკუღმა ჯვარს ქალაქს და გაქვავდება მთლიანად კაცი და ქალი. მეფესაც გააქვავებს. ამ კაცს ასე აწვალებს. დღეში სამჯერ სცემს, ნახევარი ქვაა, ნახევარი ცოცხალი კაცი. ასეთია ჩემი ამბავიო.

ამ დროს მოვა ქალი საცემრად. ბერნაძის შვილი მოემზადა, იკრეფს მთელს ძალას, სტაცებს დედოფალს ხელს თმაში: თუ გინდა, რომ გაცოცხლო, დამლოცე, თუ არა და მოგკლავო. — წაართვა ჯადო.

— როგორ დაგლოცო? — ისე დამლოცე, თუ ქალი ვიყო — ბიჭად ვიქცე, ბიჭი ვიყო —ქალად ვიქცეო. — მართლაც დალოცა. იქცა ეს ქალი ბიჭად. დალოცა ქალაქი: როგორც ყოფილა, ისევ ისე იყოსო. მოძრაობდეს ისე, როგორც მოძრაობდაო. — გააცოცხლე შენი ქმარი, დალოცეო! — გაცოცხლდა მეფეც. მერე ბერნაძის შვილი დედოფალს კლავს. მოუტანა ბატონს დედაქალაქის ამბები. უთხრეს

ქალს: ახლა მორჩები თუ არა, ხომ მოგიტანა იქაური ამბებიო? — თუ შემირთავს ბერნაძის შვილი, მოვრჩებიო! — აბა, ბატონო, მე რა თქვენი საკადრისი ვარ, მე გლეხი ვარ, თქვენ ბატონიო.

მეფეს ძალიან მოსწონს ბერნაძის შვილი. დართო ნება. ბერნაძის შვილმა თანხმობა მისცა ქორწინებისა და ქალიც მორჩა. იქორწილეს. ახალგაზრდული სიყვარული აფრქვიეს ერთმანეთს. დედ-მამაც მოიყვანეს და ცხოვრობდნენ ტკბილად.

მთას ურემი ავიტანე. წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით ბრძანდებოდეთ, საიქიოს ცხონებითა.
ტყეში სახრე გამოვჭერი. გამოვიდა ნავადა,
თუ მე სიტყვა შეგაწყინეთ, ნუ იქნებით მწყრალადა.

ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა

იყო და არა იყო რა,იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს შვილი არა ჰყავდა. ღმერთს ევედრებოდა, ღმერთო, ერთი შვილი მომეციო. ბოლოს დაორსულდა ხელმწიფის ცოლი. გაუხარდა ხელმწიფეს და ბევრი ზვარაკი დაკლა და ბევრიც გასცა საწყალ ხალხზე. როცა დრო მოუვიდა მშობიარობისა, ნახეს, რომ გველი ეყოლა. დაღონდა ხელმწიფე: ნეტავი შვილი სხვისაც არ გამეგონაო! მაგრამ რას იზამდა, შვილი იყო, ხომ ვერ მოკლავდა. ეს გველი იზრდებოდა, და ნახეს, რომ ყმაწვილებს დაუწყო ჭამა. ორმო გათხარეს, რბილად ჩაფინეს და შიგ ჩააგდეს. ეს გველი ადამიანის მეტს არაფერსა სჭამდა. ყოველ ღამეში ერთს უგდებდნენ. თუ მოაკლებდნენ, წიოდა, რომ იმის წივილი ცაში ადიოდა.

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი საწყალი ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ერთი ქალი. იმ კაცს ცოლი მოუკვდა და დარჩნენ მამა და შვილი. ამ კაცმა სხვა ცოლი მოიყვანა და იმასაც მოჰყვა ერთი გერი ქალი. ამ გველეშაპის სადილ-ვახშმის ბეგარა რიგით მოჰყვა, ჯერი ამ გლეხზე მიდგა. დედაკაცმა თქვა: თვალიმც გამოსქდება, სწორედ ახლა ჩემ შვილს გავუგზავნიო, შენი შვილი გაუგზავნე, რაც გინდა ქენიო.—ძალიან კარგი. ჩემ შვილს გავუგზავნი, ხელმწიფის წინააღმდეგი ხომ არ გავხდებიო.—ისე რომ მეორე დღეს უნდა წასულიყო ქალი. იმ ღამეს ქალმა სიზმარი ნახა: არ შეგეშინდეს, შენ უნდა ხელმწიფის რძალი გახდეო. რომ მიხვალ, ხელმწიფეს რასაცა სთხოვ, შეგისრულებს. უთხარი: შენ რომ ცხვარში ყვითელი ბატკანი გყავს, ის

დამიკალი და მომიხარშე-თქო, ოქროს სინზე დამიწყვე და მომიტანე-თქო. დაგიკლავს, მოგიხარშავს, დაგიწყობს ოქროს სინზე. დაიდვი თავზე და რომ დაღამდეს, პირდაპირ ჩავარდი ორმოში, არ შეგეშინ-დესო. — მეორე დილით წავიდა ეს ქალი უშიშრად და ყველას უკ-ვირდა, რომ ტირილი არ მოსდიოდა. წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფეს უთხრა: ბატკანი უნდა დამიკლაო. — ამაზე ხელმწიფემ უარი გამოუცხადა. მაგრამ ქალმა უთხრა: — თუკი მე შენი შვილის-თვის თავი გამოვიმეტე და ჩემი ფეხით მოვედი, შენ ერთი ბატკანი არ გემეტებაო?

რაღას იზამდა, ხელმწიფემ აუსრულა და დაუკლა ყვითელი ბატ-კანი, მოუხარშა და დაუწყო სინზე, და რომ დაღამდა, დაიდგა თავ-ზე სინი და ჩახტა ორმოში. იმ ღამეს არავის არ ჩაუხედავს. მეორე დილით ჩაიხედეს, ნახეს ქალი და ვაჟი ერთმანეთს ჩახუტებიან და სძინავთ. ხელმწიფეს ახარეს: წამობრძანდი, შენი თვალითა ნახე, რა სანახავიაო. — ხელმწიფე ლოგინიდან წამოხტა ტიტლიკანა და ხელ-მწიფის ცოლიც დაედევნა. რომ ნახეს, სიხარულით გულები წაუვი-დათ. როცა გონზე მოვიდნენ, ხელმწიფემ ბრძანება გასცა: — ისე ამოიყვანეთ, რომ არ გაიღვიძონო. ჩაუშვეს ორი კაცი საკაცით და ისე ფრთხილად ასწიეს და დადეს რომ არ გაეღვიძათ. ამოიყვანეს, საკუთარ ოთახში მოიყვანეს და ოქროს ქსოვილ ლოგინში ჩაწვინეს. ერთი ხელი ვაჟური ტანსაცმელი დაუწყვეს. ქალს გამოეღვიძა და ბიჭიც გააღვიძა, ტანისამოსი ჩააცვა და ადგნენ. შეცვივდნენ ხელ-მწიფე და ხელმწიფის ცოლი და დაუწყეს კოცნა და ღმერთს ეუფლ-რებოდნენ იმ ქალის გაჩენისთვის.

ხელმწიფემ გამართა დიდი მეჯლისი და დიდი ქორწილი გადაი-ხადა, მთელი ორი კვირა სუფრა აუღებელი იყო. ეს საწყალი ქალი გახდა ხელმწიფის რძალი. ეს ამბავი რომ დედინაცვალმა გაიგო, თქვა გუნებაში: ნეტავი რაღა მიქნია, რო ჩემი გერი ხელმწიფის რძალი იყოს და ჩემი შვილი კი აქ მყავდესო. ჩაიცვა საგარეო ტანისამოსი და წავიდა. მივიდა ხელმწიფის სასახლეში და უთხრა კარის კა-ცებს: — უთხარით ხელმწიფეს, შენი რძლის დედა მოვიდა და ქა-ლის ნახვა უნდა-თქო. — ხელმწიფეს მოახსენეს, ძალიან გაუხარდა და ბრძანა, მოიყვანეთო. მოიყვანეს. ხელმწიფემ ხელი ჩამოართვა, მოიკითხა, სიძე და ქალიც ნახა, დაკოცნა და მიულოცა ბედნიერება. იმ დღით იქ დაანარჩუნეს, აქეიფეს და იმავე ღამეს უთხრა, თუ შე-იძლება ერთი-ორი დღით ჩემს შვილს წავიყვანო. ქალმა უარი თქვა და ბიჭს უთხრა, არ გამაყოლო, თორემ ინანებო. ბიჭმა უარი უთხრა სიდედრს, მაგრამ არ მოეშვა. იმდენი ქნა, რომ დაიყოლია წასაყვა-

ნად. ქალმა იცოდა, რაც მოელოდა, მაგრამ მათი ხათრით უარი ვეღარ თქვა.

წამოიყვანა ეს ქალი. შინ რომ მოიყვანა, მაშინვე უთხრა: ჩქარა გაიხადე ეგ ტანისამოსიო, ნეტავი კი რაღა მიქნია, შენ ხელმწიფის რძალი იყო და ჩემი შვილი კი აქ იჯდესო. გახადა ტანისამოსი, წააქცია და დანა დააჭირა ყელზე, უნდა მოგკლაო. ქალი შეეხვეწა: ნუ მომკლავ, ხვთის ფიცს გაძლევ, არსად არ ვიტყვიო, გამიშვი, წავალ საითმე, დავიღუპებიო; ერთი სიტყვით, ჩვენ სახელმწიფოში აღარ დავდგებიო. მაშინ აღარ მოკლა. ჩააცვა თავისი ქალის ძველმანი და გაუშვა. იმისი ტანისამოსი კი თავის ქალს ჩააცვა და ორი დღის მერე წაუყვანა ხელმწიფის შვილს. რომ მოუყვანა, გაუხარდა ხელმწიფის შვილს. დედაკაცი ჩქარა წამოვიდა, ქალი კი იქ დატოვა. ხელმწიფემ და დედოფალმა ვერა გაიგეს რა, მხოლოდ ბიჭმა კი მალე შეამჩნია: ეს ქალი ისე აღარ იქცევა. ბიჭი სახტად დარჩა, რა დაემართა ორ დღეში, ეგრე როგორ გამოიცვალაო, მაგრამ ხათრით ვერ ეუბნება დედ-მამას. ეს ბიჭი ზეზეურ ჩამოხმა დარდისაგან. აე მათ თავი დავანებოთ და გადავიდეთ იმ ქალთან, დედინაცვალმა რომ სახლიდან გააგდო.

წავიდა ეს ქალი და დაიწყო მათხოვრობა. როცა ორი დღის საგზალს იშოვიდა, თან მიდიოდა. იმდენი ქნა, გადავიდა სხვა სახელმწიფოში. შევიდა ერთ ტყეში და ტყის ნაყოფს დაუწყო ჭამა: შინდს, ზღმარტლს, პანტას, მაყალოს და კუნელს. იარა, იარა და ბოლოს ერთ ტრიალ მინდორს მიადგა. ნახა ერთი პატარა ეკლესია დგას, თქვა: მოდი, მივალ, პირჯვარს დავიწერ, იქნება ღმერთმა მომხედოს. მოვიდა, ნახა, კარი არ იყო დაკეტილი. შეაღო კარი და ნახა, რომ შიგ ერთი მიცვალებული ასვენია, ვაჟი იყო. გვერდზე მონადირის იარაღი ელაგა, თავით ერთი პური ედო, ერთი კერძი ქათმის ხორცი და ერთი დოქი ღვინო ედგა. დაჯდა და ნახევარი პური შეჭამა, ნახევარი კერძი ქათამი და ნახევარი დოქი ღვინო დალია. წავიდა უკან და საკურთხეველში დაიმალა.

მზე რომ ჩავიდა, ეს მკვდარი წამოჯდა, მოიფშვნიტა თვალები, კერძს რომ დახედა, ნახევარი იყო: ღმერთო, შეღმუვლა, შე დალოცვილო, ისეთი რა შეგცოდე, რომ აქამდე სრული კერძი მქონდა, ძლივს მყოფნიდა. ახლა ეგეც გამინახევრეო. შეჭამა, რაც იყო, შეისხა იარაღი და წავიდა. გათენებამ რომ მოატანა, მოვიდა, ისევე დაწვა და მოკვდა. ისევე სრული კერძი დაედგა, ეს ქალი კიდე გამოვიდა, ჭამა ნახევარი კერძი და წავიდა.

იარა, იარა ტყე-ტყე და სალამოთი მოვიდა. მეორე დღესაც ეგრე

უყო. მერე ამ ბიჭს რომ არა ყოფნიდა, თქვა: ანამც ხვთისგან არ იყოს და აქ იყოს ვინმე, გამოდი, ნუ გეშინიან, არას გიზამო. ვაჟი ხარ, ძმობას გეტყვი და ქალი ხარ — და რადაც შენ ისურვებ, ივად მიგიღებო, თუ გინდა დად. თუ გინდა ცოლადო. — მაშინ გამოვარდა ეს ქალი და უთხრა: შენ ქმარი და მე ცოლიო. — მოეხვივნენ ერთმანეთს და დაკოცნეს. ქალმა თავისი თავგადასავალი უთხრა და ბიჭმა თავისი. ბიჭმა უთხრა: — კარგი, მაგრამ მე რომ დღისით მკვდარი ვარ და ვერა ვმონაგრობ, ეს ერთი კერძი რას გვეყოფაო. ქალმა უთხრა: ნუ გეშინია იარაღი გვაქვს, დღისით ვინადირებ, ცეცხლს გავაჩენ, ნადირს მოვკლავ, მოვიტან და იოლად წავალთო. დარჩა ის ქალი იმასთან და ძალიანაც უყვარდათ ერთმანეთი. ამასობაში ეს ქალი დაორსულდა. როცა თვეში ჩადგა მშობიარობისათვის, ბიჭმა უთხრა: — ახლა როგორ მოვიქცეთ, თუ ღამე მოგიხდა მშობიარობა, მე მოგეშველები, მაგრამ ვაი თუ დღისით მოგიხდეს, ვინ იქნება შენი პატრონიო. მოდი, შენ წადი მამაჩემთან, ძალიან მოწყალე ხელმწიფეა. ჩემი სახელი ახსენე და უთხარ: ღმერთი იმას გაპოვნინებს, მგზავრად მოვეტანე. მშობიარობამ გზაში მომისწრო და თუ ერთი პატარა ოთახი გაქვთ, მომეცი-თქო. მოგცემს, მხოლოდ სხვებიც ბევრი დგანან გლახები და შენ ფანჯარას ნიშანი დაადე, რომ ღამე მოვიდე და ვიცოდე, როგორ არის შენი საქმეო.

წავიდა ეს ქალი და ხელმწიფესა სთხოვა: შენი დაკარგული შვილის პოვნას, ერთი პატარა ოთახი მომეცი, მშობიარე ვარ და მგზავრად მოვეტანეო. მაშინვე მოსამსახურეებს უბრძანა: ერთი სუფთა ოთახი მიეცით და ერთი ხელი ლოგინიო. ლამფა, ტანისამოსი და საჭმელი ყოველდღეო და როცა მშობიარობა ჰქონდეს, ბებიაც მოუხვანეთო. დარჩა ის ქალი იმ ოთახში და ფანჯარას ქაღალდი გამოსჭრა. იმ ღამეს ბიჭი მოვიდა, ფანჯარაზე დაურახუნა და ჰკითხა, როგორა ხარო? — ქალმა უთხრა: —ძალიან კარგადა ვარ და ძალიანაც კარგა დავბინავდიო. უეჭველად ხვალ მშობიარობა მექნება, ვატყობ, მუცელი ნელ-ნელა მტკივაო. ბიჭი გამოემშვიდობა, წავიდა და უთხრა: — ხვალ საღამოს ამ დროს მოვალო და ბიჭი დამახვედრეო. — მართლაც, მეორე დღეს ბიჭი ეყოლა. საღამოს მოვიდა ის ბიჭი და ბევრი ურახუნა კარი, მაგრამ ქალი ლოგინზე იწვა და ვერ ადგა. გარედან შესძახა: — როგორა ხარო? — ძალიანაც კარგა ვარ და ბიჭიც დაგახვედრეო, მხოლოდ ეს არის. რომ ბავშვის შესახვეები არა მაქვს. მოახლეები ყურს არ მიგდებენ და ხელმწიფესთან კიდეე, აბა, ვინ მიმიყვანსო. — ბიჭმა უთხრა: — რა იცის მამაჩემმა,

თუ არა, ოქროქსოვილში არ ჩაგაწვენს და ყმაწვილსაც ოქროს აკვანში არ ჩააწვენს! — გამოემშვიდობა ბიჭი და წავიდა.

ეს მცველებმა სულ წმინდად გაიგეს და ხელმწიფეს ამბავი მოუტანეს. ხელმწიფემ დალანძღა ყარაულები, რატომ არ დაიჭირეთო. მცველებმა უთხრეს: — იარაღით იყო და იმიტომ ვერ შევბედეთო. მოვიდა ხელმწიფე და ქალსა ჰკითხა: — ვინ არის რომ მოდისო? — ქალმა უთხრა, ჩემი ქმარიაო.—მაშ, რატომ დღისით აქ არა რჩებაო? ქალმა უამბო ყველაფერი, როგორც შეხვდა ბიჭს და როგორც არის, დღისით კვდება, ღამე ცოცხლდება და სახელიც ამბროსი ჰქვიაო. — ხელმწიფემ უთხრა: ალბათ ნათქვამი ექნება რისგან მოსვლიაო. — ქალმა დაიწყო: — ეგ ვაჟი სანადიროდ ყოფილა, ირმისთვის თოფი უსვრია, ირემს არ მოხვედრია, წასულა ტყვია და მზის სხივს მოხვედრია. მზე ძალზე გაჯავრებულა და დაუწყეველია. ტყეში ერთი პატარა ეკლესია არის, მოუკლავს და იმაში დაუსვენებია. ღამე ცოცხლდება და დღისით კი მკვდარია. საზრდოდ ღვთიდან ერთი კერძი აქვს მიცემული დღეში. ერთი პური, ერთი კერძი ქათმის ხორცი და ერთი დოქი ღვინო. — ხელმწიფემ უთხრა: ეგ ხომ ჩემი შვილიაო. ქალმა უთხრა: მე ვიცი, თვითონ მან გამომგზავნაო. ხელმწიფემ უთხრა: — ამაღამ რომ მოვიდეს, შინ შემოიტყუე, ეგებ დავიჭიროთო. თუ არ შემოიტყუებ, მაშინ შენ დაგახრჩობო. ორი წელიწადია, არ მინახავს, მთელი ქვეყანა გადავაბრუნე და ვერსად ვიპოვეო. უთხრა, — ყოჩაღად მოიქეცითო.

იმ ღამეს მოვიდა, დაუბრახუნა და ჰკითხა: — როგორა ხარო? — კარგადა ვარ, მხოლოდ შემოდი, არ გინდა შენი ძე ნახოო? — რა უქნა, ალაგს ვეღარ მივაღწევ და უადგილო ადგილას მოვკვდები სამუდამოდ. — შემოდი, დიდხანს არ გაგაჩერებო. — შევიდა თუ არა, კარი ჩაუკეტეს და დაიჭირეს. ბევრი ეხვეწა, მაგრამ არ გაუშვეს, ხელმწიფეს შეატყობინეს. მოცვივდნენ ხელმწიფე და დედოფალი, ნახეს თავიანთი შვილი, მოეხვივნენ და ჰკოცნიდნენ. გათენდა დილა და ეს ვაჟი მოკვდა საბოლოოდ, აღარც დღე ცოცხლობდა და აღარც ღამე. ჩამოვარდა იმ ქალაქში გლოვა და საცოდაობა. სამი დღე-ღამე თავებს იხოცავდნენ და მერმე უნდა დაემარხათ. ქალმა უთხრა: არ დამარხოთ, ეს მკვდარი არ არის, ამის წამალი უნდა ვიშოვოთო.

წავიდა ეს ქალი და ყმაწვილი იქ დატოვა. მიდის და თვითონაც არ იცის, სად მიდის. ერთ ადგილას ვენახში გადავიდა და ბილიკზე მიდიოდა, ნახა, რომ ერთი ბებერი და ერთი ქალი ვენახს მარგლიან. ქალმა უთხრა: ბები, ჩვენ ქალაქში რა დიდი ცოდო მოხდაო, ხელმწიფის შვილი რამდენი ხანი დაკარგული იყო და თურმე დღისითა

კვდებოდა და ღამე ცოცხლდებოდა, ახლა სამუდამოდ მომკვდარაო. რომ ნახოთ, ისეთი სანახავია, გეგონება—სძინავსო.—ეგ მზის მკვდარია, მე ვიცი მაგის წამალი, მაგრამ მე ვინ დამიჯერებსო. ეჰ, შვილო, პატრონი რომ ჰყავდეს, გაიმეტოს თავი, წავიდეს მზის დედასთან, მზის პირის ნაბანი სთხოვოს, მოუტანოს და იმაში აბანაოს, სამუდამოდ გაცოცხლდებაო.—ქალმა რომ გაიგო, გაუხარდა და მივარდა ბებერთან, კარგად გამოჰკითხა და წავიდა.

იარა, იარა. ბევრი ტანჯვა გამოიარა და მივიდა მზის დედასთან და უთხრა თავისი გაჭირვება. მზის დედამ ქალი დამალა და მზე რომ მოვიდა, დედამ უთხრა: — შვილო, ამქვეყანაზე დახვალ და მიამბე, რა ნახეო? — ეჰ, დედავ, ქვეყანაზე ბევრ რამესა ვხედავ, მაგრამ ერთ ქალაქში რომ საცოდაობა მოხდა, იმისთანა არაფერიაო. — ასეთი რა მოხდაო? — ჰკითხა დედამ. შვილმა უთხრა: — მე შენთან ნათქვამი მაქვს, რომ ერთმა ხელმწიფის შვილმა გამაჯავრა და მოვკალი ისე, რომ სანამ ჩემი შუქი არის ხმელეთზე, ის მკვდარი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ღამე უნდა გაცოცხლებულიყო. ერთ პატარა ეკლესიაში ესვენა, თავის საკუთარი კერძიც მივეცი: ერთი პური, ერთი კერძი და ერთი დოქი ღვინო. ამ პირობით ყოველ დილა, სანამ მე ამოვიდოდი, სწორედ ამ ალაგას უნდა მოსულიყო და იქ უნდა მომკვდარიყო, თუ სხვაგან გაუთენდებოდა, სამუდამოდ მოკვდებოდა. ახლა ის მამასთან წასულა, მამას აღარ გამოუშვია და სამუდამოდ მომკვდარა. ახლა იმას რომ ჰყავდეს თავგამოდებული ვინმე და ჩემი ხელ-პირის ნაბანი წაიღოს და იმაში აბანაოს, მთლად გაცოცხლდებაო. დედას გაეცინა. მზემ უთხრა: — რა გაცინებს, დედაო? — დედა მოეხვია, დაკოცნა და უთხრა: საწყალი იმისი ცოლი დამალული მყავს. ხომ არას უზამო? — არა, დედავ, მაშინ გამაჯავრა და მოვკალიო. მას აქეთა ვნანობ, მაგრამ სხვა წამალი არა არის რაო. ჩემი პირის ნაბანი ჩაუსხი ოქროს სურაში, გაატანე და ნუგეშიც ეციო.

მეორე დილით მზემ ხელ-პირი დაიბანა, ჩაასხეს სურაში და გამოატანეს. წამოვიდა გახარებული. მოვიდა. ხელად გაბანეს და ბიჭი წამოდგა. თვალები მოიფშვნიტა და თქვა: — უჰ, რა ერთი მძინებიაო. — გადაეხვივნენ და ყველამ სათითაოდ დაუწყეს კოცნა და არ იცოდნენ, რა ექნათ. გამართა ხელმწიფემ მეჯლისი, დიდი ქორწილი და შვილსა და რძალს ჯვარი გადასწერა. ახლა ამათ აქ თავი დავანებოთ და გადავიდეთ გველკაცთან.

რიცა მეორე ქალი მოუვიდა, ვაჟმა მაშინვე იგრძნო და შეატყო მიხვრა-მოხვრაში, ლაპარაკში, მაგრამ ვერ ამბობდა, რადგან ტყეოტლა: ქალმა მაშინვე უთხრა, დედინაცვალს ნუ გამატანო. ეს ბიჭი

დარდისაგან გახდა ავად. მოჰყავდათ მთელი ქვეყნის ექიმები, მაგრამ არაფერი წამალი არ უდგებოდა და ყველა იმას ამბობდა, ამას რაღაცა დარდი აქვსო. დედ-მამა ეკითხებოდა: — რა გაქვს, შვილო, დარდი, გვითხარი და აგისრულებთო. — მაგრამ ბიჭი არაფერს არ ამბობდა, ან რა უნდა ეთქვა, ცოლი შემიცვალესო, ხომ ვერ იტყოდა. მერე ექიმებმა ურჩიეს, გაგზავნე სხვა ქვეყნებში, გაატანე დიდძალი საქონელი, მოვაჭრენი გააყოლე, ვაჭრობაში გაერთობა, გულს გადააყოლებსო და შეიძლება კარგა გახდესო. ეგრეც აასრულეს. გაგზავნეს სხვა ქვეყნებში, გაატანეს ჯორ-აქლემებით საქონელი და ხელქვეითები.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, სწორედ იმ ქალაქში ჩამოხდნენ, სადაც იმის პირველი ცოლი იყო. დაეხვია დიდძალი მუშტარი. გავარდა ხმა: სხვა სამეფოდან დიდი ვაჭარი მოსულა და დიდი ძალი საქონელი მოუტანიაო. ხელმწიფის შვილმა უთხრა თავის ცოლს: გავიაროთ, ვნახოთ, იქნება მოგვეწონოს რამეო და ვიყიდოთო. — ძალიან კარგიო, — უთხრა ცოლმა. გაიარეს, ნახეს. რაც მოეწონათ, იყიდეს. ახლა კი რაკი ამ ქალმა და ვაჟმა ერთმანეთი ნახეს, მაშინვე იცნეს ერთმანეთი, მაგრამ არაფერი არა თქვეს. ამ ქალმა უთხრა თავის ქმარს: — პატიოსან ვინმესა ჰგავს, დაჰპატიჟე სადილად და უთხარი, საქონელიც თან წამოიღოსო. აქ რომ რამე შეემთხვეს, ჩვენი სირცხვილი იქნებაო. — მერე უთხრეს: ვაჭრობას რომ მორჩე, ჩვენთან მობრძანდი სადილად და საქონელიც თან გადმოიტანეო. ვაჟმა უთხრა: მე აქაური ხელმწიფის შვილი ვარო, და ეს ჩემი ცოლიაო. — კეთილი და პატიოსანიო, — გაუხარდა სტუმარს.

საღამოს დაკეტა სავაჭრო, დაჰკიდა ჯორ-აქლემსა და გადავიდა ხელმწიფის სასახლეში. დასხდნენ და კარგად იქეიფეს, ბოლოს ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, ქალმაც დაიძინა და დარჩნენ მარტო ხელმწიფის შვილები. მაშინ გველკაცამ უთხრა: — ერთი რამე უნდა გკითხო და არ დამიმალოო. ვაჟმა უთხრა: — ბრძანეო, თუ ვიცი, არაფერს არ დაგიმალავო. — გველკაცამ უთხრა: მართალია, მეხათრება, მაგრამ უთქმელობაც არ შემიძლიაო. შენ უნდა მითხრა, ეგ ქალი სად იშოვე, ცოლად რომ შეგირთავსო.—მერე ხელმწიფის შვილმა უთხრა: ჩემი საქმე არაკიაო. დადგა და წვრილად უამბო. გველკაცამ გაიცინა და უთხრა: ეს ქალი წინათ ჩემი ცოლი იყო, ჩემი საქმეც საარაკო არისო, მაგან მომარჩინაო. დადგა და დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი: ამ ქალსა ჰყოლოდა დედინაცვალი, დედინაცვალსაც ჰყოლოდა ერთი ქალი, შეშურებოდა გერის ხელმწიფის რძლობა და ერთ დღეს მოვიდა, გვითხრა ერთი-ორი დღით ჩვენთან

წავიყვანო, და მეც ნება დავრთე, რა ვიცოდი, რაში იყო საქმე. თუმცა ამან მაშინვე უარი მითხრა, ნუ გამატანო. მე კიდევ ვუთხარ: წადი, ნუ აწყენინებ-მეთქი. წაიყვანა და ამისი ტანისამოსი თავისი ქალისთვის ჩაეცმევინა და მომიყვანა და ეს კიდევ გაეგდო. მე მაშინვე ვიგრძენი, მაგრამ ვერ გავამხილე ჩემ დედ-მამასთან. რა სათქმელი იყო, ცოლი შემიცვალეს-მეთქი; ყველა სასაცილოდ მე ამიგდებდა, რისთვის გაგზავნეო, ავდექი და ჩემ გულში ვხარშავდი ჩემ ბოღმას. გავხდი ავად და მერე ექიმებმა ურჩიეს მამაჩემს, სავაჭროდ გაგზავნე, გულს გადააყოლებსო. ავდექი და წამოვედი. ახლა როგორც გინდა იფიქრე, შენთვისაც დიდი სიკეთე გაუწევია და ჩემთვისაც და როგორ მოვახერხოთო? შუაზე გავჭრათ, არც შენთვის იქნება, არც ჩემთვისაო.

იქაურმა ხელმწიფის შვილმა თქვა, მოდი ერთ რამეს ვიტყვიო: — ხვალე მზარეული დავარიგოთ, მაგისთვის სულ მლაშე საჭმელი მოამზადოს, სადილი დიდხანს გავაგრძელოთო. მერე ეგ გავა თავის ოთახში დასაძინებლადო, მოახლე დავარიგოთ: შინ წყალი არ დაანარჩუნოს და გარედან კიდევ კარი დავუკეტოთ. ძილში წყალი მოსწყურდება, ადგება და წყალს ძებნას დაუწყებს, ახლა კარებს ეცემა, კარი დაკეტილი დაუხვდება, ახლა მოახლეს დაუწყებს ძახილს და მოახლე ხმას ნუ გასცემს, ბოლოს, რომ ზეწუხდება, ვნახოთ ვის სახელს დაიძახებს. ვის სახელსაც დაიძახებს, ეს ქალიც იმას დარჩესო. ეგრეც მოახერხეს.

მეორე დღეს სადილზე მლაშე საჭმელები აჭამეს. იმ ქალს ეგონა, სუყველასი ეგრეაო. ბოლოს დრო რომ გადიოდა, ადგა ქალი, ბოდიში მოიხადა და წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად. როცა დაეძინა, მოახლემ, როგორც დარიგებული იყო, წყალი აართვა და გარედან კარი დაუკეტა. ქალს რომ გამოეღვიძა, წყალი ძალიან სწყუროდა, წამოხტა და ლიტრას ეცა, მაგრამ ცარიელი იყო. მივიდა კართან, კარიც დაკეტილი დაუხვდა, ბოლოს, რომ შეწუხდა, დაიძახა: — გველკაცავ, ღმერთი არა გყავს, ერთი წყალი დამალევინეო. — წამოხტა მაშინვე და მიურბენინა წყალი. მაშინვე დაჰკრეს ტაში და უთხრა: — ალალი იყოს, შენი სიყვარული უფრო ჰქონია და შენი უპრიანიაო. — მეორე დღეს დიდი მეჯლისი გადაუხადეს და გაისტუმრეს. გველკაცა გახარებული მივიდა შინ და თავის მეორე ცოლს უთხრა: — აი ჩემი ცოლი ეს არის, შენ სად მოსდევდი დედაშენსაო? — დაიბარეს ის დედაკაცი, მოიყვანეს ცხენი, ძუაზე მოაბეს ქალიცა და ის დედაკაციც და დააჩქლეთინეს ცხენს. მოიყვანეს იმ ქალის მამა და თავიანთთან აცხოვრეს. ისე ინახავდნენ, ცივ ნიავს არ

აკარებდნენ. ადგნენ, ხელმეორედ ქორწილი გადაიხადეს და ცხოვრობდნენ და ხარობდნენ.

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
ღმერთმა ყველას გაგიმარჯოთ, მთქმელსა და გამგონესაცა.

ხელმწიფის შვილი

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ხელმწიფემ უთხრა: — შვილო, უნდა დაგნიშნო შენაო. — კარგი, თუ დამნიშნავ, ამომავალი ხელმწიფის ქალი მინდა. თუ მომიყვან იმას — სხვა არ მინდაო. — ის ღარიბი ხელმწიფის შვილიაო, — უთხრა მამამ, — მდიდარი ხელმწიფის შვილი ითხოვეო. — ის მე არ მინდა, მე ვინც მინდა, ის უნდა მოვიყვანოო. — არა, შვილო, ჩემი ხარ და ჩემ სიტყვაზე უნდა გაიაროო. — გაჯავრდა ეს ვაჟი, გამოიყვანა ცხენი, გამოიტანა ნაბადი, თოფი, შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას. გადაეიდა ტყეში, იპოვა ერთი გამოქვაბული, შეიყვანა ცხენი, დააბა შიგა, გავიდა თვითონ სანადიროდ. დღეში ერთ ირემს მოჰკლავდა. ეს ერთი კაცი იმ ირემს ვერა სჭამდა, ნახევარ ირემს ისევ აგდებდა. იცუნცულა ერთმა მშიერმა მელამ და მიაგნო ამ აყროლებულ ლეშს, ერთი არწივიც მიფრინდა იქ, ერთიც კატა, ერთიც კურდღელი მივიდა. გახდნენ ამხანაგები.

მელამ თქვა: — მოდი ერთი, მშიერ დათვსა და მგელს დავუძახებ, ამ ძვლებსაც იმათ ვაჭმევო. გავიდნენ ისინი — დაუძახეს და მოიყვანეს. ამათ იცხოვრეს ერთ კვირას ასე. ბოლოს, მელა ჭკვიანი იყო და იფიქრა: ჩვენთვის ერთი მამასახლისი არის საჭირო, თუ არა ერთი ერთმანეთს დაეახრჩობთო. დაუძახა თავის ამხანაგებს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და უთხრა: — აი, ძმებო, ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ მამასახლისი, ისიტომ რომ, ის მამასახლისი რასაც მოჰცემს, ლუკმაც რომ იყოს, თანახმა უნდა გავუხდეო. როგორ ფიქრობთ, კარგი აზრიაო?—ძალიან კარგი აზრიაო,—წამოიძახა ყველამ. მელას ფიქრში თვითონ უნდოდა მამასახლისად დადგომა და უთხრა მგელს, დაასწრო: მამასახლისი შენ უნდა იყოო. — ოჰ, ძმაო, — მგელმა უთხრა,— მე არ შემიძლია გაყოფა, მე მეტს დავიტოვებ და მერე საყვედურში ჩავვარდები და აქედანაც დამითხოვთო. — კარგი, დათვო, შენ იყა-

ვიო, — უთხრა მელამ. — არაო. ერთბაშად წამოიძახეს: ისევ შენ უნდა იყო, მელაო. — მე ვიქნები, მაგრამ ჩემ სიტყვას არ უნდა გადაუხვიოთო. — კარგი, ძმაო, კარგიო. — მე რაღაცას გეტყ-ვით თქვენაო, უთხრა მელამ: ამ ხორცს რომ ვჭამთ, ტყუი-ლად ხომ არ გგონიათ თქვენაო? აი ეს ვაჟკაცი გვაჭმევს და რა უნდა ვუყოთ ჩვენ ამასაო; მოდი, ამომავალი ხელმწიფის გოგო რომ არის, ის მოვგვაროთ მაგასაო. მაგრამ ვინ გაბედავს, რომ მოიყვანოს ის. გოგო? მგელო და დათვო, თქვენ წახვალთ, შეებმებით კავში, მიხვალთ ხელმწიფის ეზოში და დაიწყებთ ხვნას: ხელმწიფეს გაუ-კვირდება — მხეცებშიც გავლენა მქონიაო. დაუძახებს თავის ცოლ-შვილს — ისეირეთ, როგორი საკვირველი ამბავიაო. ხელმ-წიფის გოგოც გამოვა აივანზე, არწივიც აქ იქნება — ზევიდან დას-ტრიალებს ხელმწიფის სახლს. გოგო რომ გამოვა, არწივი აიტაცებს. და წამოიყვანსო.

რა ჰქნან, ბრძანებაა, ისე მოიქცნენ და წავიდნენ. გოგო გამო-ღიდა მკლავტიტველა. დაეცა არწივი, აიტაცა და წამოიყვახა გამო-ქვაბულში.

ამ დროს დაღამდა. ხელმწიფის შვილი სანადიროდან მოვიდა. მო-ვიდა და ნახა, ადამიანის შვილი ზის იმის გამოქვაბულში. გაუკვირ-და ხელმწიფის შვილს და შეეკითხა: — ვინა ხარ შენაო?

— ამომავალ ხელმწიფის შვილი ვარო.

— ოჰ, შენ გენაცვალე, მე შენთვის ვარ გადმოვარდნილი, შენთ-ვის ვკვდები, ვინ მოგიყვანა აქაო?

ქალმა უთხრა როგორც იყო. ხელმწიფის შვილი მიხვდა, ამ ნა-დირებმა თუ მოიყვანესო. მაშინ უფრო მოუმატა ჰაო და აჭმევდა ხორცს. მელამ კიდევ მოაგროვა ეს ნადირები და უთხრა: — ესენი ადამიანის შვილები არიან, მათი ტიტველა ალაგზე წოლა არ შეი-ძლებაო.

— აბა რა უნდა ვქნათ?

— აი რა უნდა ჰქნათ თქვენა. თქვენ წახვალთ ქალაქში. მგელი შევა ბაზარში, ხალხი მაგას გამოეკიდება, დუქნები უპატრონოდ დარ-ჩება. დათვო, შენც შეხვალ ერთ ფარჩის დუქანში, მოჰკიდებ ხელს ერთ თოფ ფარჩას და გამოიქცევი.

— მე ხომ მომკლავენ, ძაღლებს დამახრჩობინებენო. — მელამ უყვირა: — აი, შე მამაძაღლო, აქამდე მშიერი დაეთრეოდი, ახლა ღო-რიგით გასუქდი და არ გინდა რამე გამიგონო. თუ მოგკლავენ, მოგ-კლან, — მგელს ჩაუცივდა ენა და ვეღარაფერი უთხრა. წავიდეთო. ადგნენ და წავიდნენ. მართლაც, ასე მოიქცნენ. შევიდნენ ქალაქში.

მგელი ბაზარზე დაეშვა, ხალხი იმას გამოეკიდა, დუქნები დარჩა უპატრონოდ. დათვი შევიდა ერთ დუქანში. მოიკიდა დიდი შეკვრა ფარჩა და გამოიქცა. ამოიტანა და მგელიც გადარჩა სიკვდილს.

ესენი აქ დავტოვოთ, მივიდეთ ხელმწიფესთან. ამან გასცა ბრძანება, ვინც ჩემს ქალიშვილს მომიყვანს, თავის წონა ოქროს მივცემო. ადგა ერთი კუდიანი ბებერი, დაიბჯინა ჯოხი და მივიდა. მე მოგიყვან შენ შვილსო.

— კარგიო. — ხელმწიფემ უთხრა: აი, შენი წონა ოქრო, ნახევარს ახლა მოგცემ, ნახევარს რომ მომიყვან შვილს, მაშინაო. უთხრა ხელმწიფეს ბებერმა: — მომცემ ერთ ჭურსაო? — მისცა ჭური. გაზივთა შიგნით, გარეთ, აიღო ერთი გველი მათრახად, გადაალაჯა ჭურზე, აფრინდა ჭური და წამოვიდა. მოვიდა გამოქვაბულთან, დააგდო ჭური, გველმათრახიც შიგ ჩააგდო. დაიბჯინა ჯოხი და დაიწყო კვნესა. ამ დროს ეს ხელმწიფის შვილი სანადიროდან მოდიოდა. უთხრა: — გამარჯობა, დედიო!

— გაგიმარჯოს, შვილო!

— სადაური ხარ, სად მიდიხარ, დედიო?

— ასპინძის აბანოზე ვიყავი, შვილო, გამასწრეს ამხანაგებმა, ხიზაბავრელი ვარ, ახლა არ ვიცი, მოხუცებული ქალი სად წავიდეო.

— წამოდი, დედი, ჩემთან დადექიო.

— სად ცხოვრობ შენა, შვილო?

— აგერ ჩანჩხერელა კლდეშიო.

— შენ გაძეხ დღითა და სიცოცხლითა, შვილოო! — შემოისოსნა ეს მოხუცებული უკან. დაფრთხა ცხენი და დავარდა. ცხენი მიხვდა, რომ ბებერი ქაჯი იყო, ბიჭისთვის ავი უნდოდა. ცხენს დაუწყო ცემა, მათრახით თავპირი გამოულაყა. ცხენმა იფიქრა, რაზე ვიკლავ თავსაო, და შემოისვა ბებერი. მიიყვანა ბიჭმა თავის ტყეში. გაუწყრა, გაუჯავრდა ცოლი.

— კარგი, ქალო, ამაღამ გაათიოს, დილაზე წავიდესო. — დააყენეს.

ამ ბებერმა წყალი გაათბო, ბიჭის ცოლს თავი დაბანა. გაეხარდა ამ ქალს, ეს რა კარგი მოხუცებული ყოფილაო.

— ეს აღარ უნდა გაუშვა აქედანა. — ქმარს უთხრა.

— რა ვიცი, წუხელი მიჯავრდებოდი. მოგწონსო? — რა ბევრი გავაკრძელოთ, ეს ქალი სასეირნოდ დაჰყავდა ბებერს. ეს მელა კი მიხვდა, რომ ბებერი კუდიანი იყო, ქაჯი.

ერთხელ ამ ბებერმა სასეირნოდ წაიყვანა ქალი, როდესაც ნადი-

რები სანადიროდ წავიდნენ; აქეთ-იქით ატარა და ბოლოს თავის ჭურისკენ წაიყვანა. ქალმა უთხრა: — დედი, ეს რა ჭური ჩანსო?

— არ ვიცი, შვილო, მივიდეთ, ვნახოთ რა ჭურიაო.

მივიდნენ, შიგ რაღაცა გდია. უთხრა: — დედი, შიგ რაღაცა გდია, ამოიღეო.

— მე წელი მტკივა, შვილო, შენ ამოიღეო. — ჩაეკიდა გოგო ჭურს, უნდა ამოიღოს მათრახი. ამ დროს ბებერმა ხელი ჰკრა და ჩააგდო შიგა. შეჯდა ეს ბებერი, გაფრინდა ჭური და მიიყვანა გოგო მის მამასთან, — ხელმწიფესთან. ქალმა უთხრა სად ცხოვრობდა და ვისთან იყო.

მოვიდა მელა და ნახა, ქალი აღარ არის. ჰკითხა კატას: — გოგო სად არისო?

— არ ვიცი.

— კაცო, — მელა დაფიქრდა, — მამასთან თუ წაიყვანა ბებერმაო. მაშინ მელა გაჯავრდა, დათვსაც სცემა, მგელსაც და არწივსაც. გაბრაზებულმა მელამ დაიყვირა: დამიძახეთ, კატა სად არისო.

დაუძახეს კატას იმ წამსვე, გამოვიდა კატა მელასთან, უთხრა მელამ კატას: შენ წახვალ იმ ხელმწიფესთან, თუ გიცნობს, გოგო გეტყვის: ფისო, აქ რამ მოგიყვანა, შენ პატრონს ვენაცვალეო. მაშინ გამობრუნდი, ორივე ამბავი მომიტანე — თუ გითხრას გენაცვალე და თუ არ გითხრასო. — წავიდა კატა. მივიდა ხელმწიფის სახლში. შევიდა, ნახა ის ქალი. ქალმა იცნო კატა. ეს ხომ ჩვენი კატააო. ქალმა უთხრა: ფისო, აქ რამ მოგიყვანა, შენს პატრონს ვენაცვალეო. გაბრუნდა, ხორცი უნდა გამოუტანოს. კატას გაეხარდა, ხორცს აღარ მოუცადა და გამოიქცა უკან. მოვიდა, მელიას უთხრა ყველაფერი. მაშინ მელიამ უთხრა არწივს: — აბა შენი საქმეა ახლა ყველაფერი: ხელმწიფის სახლში მიფრინდები, ის გოგო გიცნობს და გამოგეკვება. შეისვი მხრებზე, გამოფრინდი და ამოიყვანე აქაო. გაფრინდა არწივი, მივიდა ხელმწიფის სასახლესთან. დასტრიალებდა ზევიდან სასახლეს. ქალმა გამოიხედა და იცნო არწივი, გამოჰკრა ბოხჩა, გამოვიდა აივანზე. მივარდა არწივი და წამოიყვანა ხელმწიფის შვილთან. მაშინ თქვა მელიამ: ჩვენ ასე ხელს არ მოგვცემსო. — მგელს უთხრა: — ჩახვალ შენ ჩიხორიშში, იდარაჯებო; დათვს უთხრა: შენ ჭალაშიო. კურდღელს უთხრა: შენ ჭანდარას სერებზეო, არწივსაც უთხრა: შენ ჰაერიდან უთვალთვალებო.

ხელმწიფემ შეყარა ჯარი და წამოვიდა საომრად. ჩიხორიშის ყა-

ნებში, დადგეს კარვები. ხელმწიფემ შავი კარავი დადგა. გამოიქცა გულგახეთქილი მგელი დათვთან, უთხრა: ხელმწიფე საომრად მოდის, არიქა, გაიქე მელიასკენ და უთხარ, ხელმწიფე საომრად მოდის, ქალი უნდა წაგართვასო! მოვიდნენ, მოიყარეს თავი ყველამ: დათვმა, არწივმა, მგელმა, მელამ, კატამ და კურდღელმა. ვახშმობაც გახდა. თურმე დათვი იყო დათვების ხელმწიფე, მგელი — მგლებისა და ასე ყველა. მელამ, როგორც მამასახლისმა, დაავალა მგელს, ასიათას მგელს შენგან ვთხოულობ საომრადაო. დათვს კიდევ ისე, არწივს კიდევ ისე, კატას კიდევ ისე, კურდღელს კიდევ ისე. შუაღამისას ყველამ უნდა ჩამაბაროთ თქვენი ჯარებიო. მგელი ავიდა გომარეთის ტყეში დაიღმუვლა. რაც დაავალა, ერთი იმდენი მოაგროვა, ცოტა მეტი. დათვიც ჭაიტის ტყეში გადავიდა, — იმანაც შეასრულა თავისი დავალება. არწივიც ბნელის კლდეს გავიდა, იმანაც წამოიყვანა ჯარი, რაც დავალება ჰქონდა. კურდღელი გადავიდა ყიშლაში, მელაც გავიდა ხოროგვერდში. კატაც მოვიდა ხიზამბავრაში და მოაგროვა ჯარი. აღნიშნულ დროზე მოიყარეს თავი სახიზრის გვერდში (გავერანებული სოფელია...) შედგა მელა ერთ ჯირკზე, დაუწყო ხმამაღლა ლაპარაკი ჯარებს: — ადამიანი არ ჭამოთ, მარტო დაახჩეთ, ცხენები სჭამეთო. მე რომელ კარავთანაც მივალ, იმას ახლოს არ გაუაროთო, — დაავალა ხელმწიფეებს: მგელს, დათვს, არწივს, კატას, კურდღელს და ყველას. ამათაც თავიანთ ჯარებს გადასცეს. წავიდნენ საომრად. დაეწივნენ ხელმწიფის ჯარებს. სანამ ინათა, მთლად გაელიტეს ხელმწიფის ჯარები. ადამიანი დაახრჩეს და ცხენი ჭამეს. გარეკა ყველამ თავიანთი ჯარები. გათენდა და გამოვიდა ხელმწიფე თავისი კარავიდან. მელამ გაუარა წინ და უთხრა: — ვისზე მიგდიოდა ფიქრი, სად მიდიოდი შენ საომრადაო? — უთხრა ხელმწიფემ მელას: — ოღონდაც ჩემი სიძე მანახე, მაშინ მეც მომკალ, თუ გინდაო. — წამობნელდიო, — უთხრა მელამ. წავიდნენ. ავიდნენ თავის სიძესთან. ნახა თავისი სიძე, ილაპარაკეს. უთხრა მერე ხელმწიფემ: წამობრძანდი, შვილო, ჩემ საბრძანებელში, აქ რა გინდა, კლდეებში რომ ცხოვრობო. — მელამ იცისო, — სიძემ უპასუხა. მელას შეეკითხნენ. მელამ უთხრა: — ძალიან კეთილიო. — ადგნენ წავიდნენ: მელა, მგელი, დათვი, არწივი, კატა და სიძე-ქალიშვილი. მგელს დღეში ერთი ცხვარი ჰქონდა სადილად, დათვს — ხარი, არწივს — ბატი, მელას — მოხრაკული ინდაური, კატასაც ერთი ჯამი რძე. ხელმწიფესთან იცხოვრეს ერთი-ორი კვირა. ხელმწიფემ გულში ჩაიდო სიძის მოკვლა. მელამ შეატყო და ეითომდა სიზმარი ნახა. — კაცო, წუხელი სიზმარში პაპაჩემი და ბებიაჩემი მოსულიყვ-

ნენ და მემდურებოდნენ: რატომ არ მოხვალ საიქიოს, არ გვნახავო. უნდა წავიდე, ვნახოო, — უთხრა მელამ ხელმწიფეს და ლალას. — როგორ უნდა წახვიდე, კაცოო, — ხელმწიფემ და ლალამ ჰკითხეს მელას. — მიყურეთ თქვენაო. გამოიტანეთ ერთი-ორი ურემი ხმელი შეშა, შუა კალოზე დაანთეთ ცეცხლი, მე შევძვრები ქვეშა, გადაასხით ნავთი, მიეცით ცეცხლი, მოეკიდება ცეცხლი, ავარდება კვამლი, წავყვები კვამლს და ავალ ზეცაშიო.

მართლაც ასე მოიქცნენ. გადაასხეს ნავთი, მისცეს ცეცხლი, სანამ ცეცხლი მისცეს და ნავთი გადაასხეს, — მელამ ამოთხარა მიწა და ჩაძვრა. უყურებენ ხელმწიფე და ლალა ამ კვამლს, მელა მისდევს კვამლს თუ არაო... გავიდა ორი-სამი დღე. ამოძვრა მელა ვახშმობისას ცეცხლნანთებ ადგილიდან. გაიბერტყ-გამოიბერტყა ბალანი და შევიდა ხელმწიფესთან. გამარჯობა თქვენი, პაპაშენი და ბებიაშენი გემდურებიან ძალიან, რატომ არ მოდიან და არ გვნახავენ საიქიოსაო. — ლალა!—ხელმწიფემ უთხრა,—კაცო, ეს თუ ნადირია და წავიდა, განა ჩვენ ვერ წავალთო!—გაიტანეს ორი ურემი შეშა, დაყარეს კალოზე, შეძვრნენ ქვეშა, უთხრეს: — გადაასხიან ნავთი და მიეცით ცეცხლიო. ასეც მოიქცნენ. ჩასწვეს ხელმწიფე და ლალა ცეცხლში. მაშინ უთხრა მელამ იმ გახვანებულ ხელმწიფის შვილს: — ადი ახლა ტახტზე, უპატრონე ქვეყანას, შენ იქნები ამ სახელმწიფოს ხელმწიფე დღეის იქითაო. — ისიც ავიდა ტახტზე და უპატრონა ქვეყანას. მგელი, დათვი, მელა ყველა იმასთან ცხოვრობდნენ.

წისქვილს პერი დავაყარე,
ჩამოვიდა მინდობითა,
თქვენ წახვალთ და ჩვენ დავრჩებით,
კიდევ განახავთ მშვიდობითა.

კონსტანტინეს ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი შეფე უშვილო, მდიდარი, დიდი საბრძანებლის პატრონი. უშვილობა ძლიერ აღონებდა. ადგა ერთხელ და დარდის გადასაყრელად გაისეირნა სხვა სახელმწიფოში. შემოხვდა კაცი და მიესალმა,—გამარჯობა შენიო.—მეფეს ასეთი კადნიერება გაუკვირდა, მაგრამ მაინც მიუგო,

გაგიმარჯოსო. — რამ დაგაღონა, მეფეე, — ჰკითხა კაცმა. — უშვილობამაო, — უპასუხა მეფემ. — მერე სად მიხვალო? — სასეირნოდ, რომ გული გადავაყოლოო. — შვილი რომ ვინმემ გაგიჩინოს, ნახევარს მისცემო?

— ნეტავი შვილს შემახედებდეს და მთლად მისი იყოსო.

— მაშ, ეს ვაშლი წაუღე შენ ცოლს, შეაჭამე და ეყოლება შვილი.

გამოართვა მეფემ ვაშლი, დაბრუნდა ცოლთან, შეაჭამა და ელის შვილს. მართლა დაორსულდა ცოლი და ეყოლა ვაჟი. დაორსულდა მეორედ და ისევ ვაჟი ეყოლა. მესამე წელიწადს მესამე ვაჟი მიეცა. უმცროსს დაარქვეს კონსტანტინე. მეფის სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ყოველღღე ნადიმი იყო გამართული სასახლეში. მეოთხე წელიწადს ეწვია ის კაცი, ვინც ვაშლი მისცა. მეფეს მის დანახვაზე ფერი ეცვალა, პირობა რომ გაახსენდა. — როგორა ხარ პირობაზეო, — შეეკითხა მოსული. — კარგადაო, — მიუგო მეფემ. — მაშ ამისრულე დანაპირიო, — უთხრა კაცმა. მეფე შემობრუნდა შინ, მოიხმო შვილები და ჰკითხა: შვილებო, მამის ვალი ვის გადახდება? — შვილს, — მიუგეს შვილებმა ერთხმად. მაშ, ერთ-ერთი თქვენში ამ კაცს უნდა გაჰყვეთო? — შვილებმა შეხედეს ერთი მეორეს, მაგრამ ორი უფროსი უარზე დადგა, ვერ გაბედეს და ბოლოს კონსტანტინემ განაცხადა თანხმობა. შემოუჯდა მგზავრს ცხენზე უკან და წაყვა. — თასმით მაგრად მომაკარით ბავშვი, რომ არ გამექცესო, — თქვა კაცმა. — რისი თასმაო, — უთხრა კონსტანტინემ, — ჩემი სურვილით მოგყვები და მიბმა რაღად მინდაო.

იარეს, იარეს და შევიდნენ ერთს დაბურულს ტყეში და მიადგნენ ერთს სასახლეს, რომელსაც კარებზე ცხრა კლიტე ედო. გააღო კაცმა კარები და შეიყვანა კონსტანტინე. შეხედა კონსტანტინემ და რას ხედავს? ცხრა მზეთუნახავი ქალი დგას მის წინ და მწარედ ტირის. — რა გატირებთო? — ჰკითხა ვაჟმა. — რა გვატირებსო და ჩვენ რომ დაღუპულები ვართო, შენ რაღად იღუპავ თავს აქ მოსვლითაო, — იყო პასუხი. — ჩვენ სულ ვიყავით ოცი, თერთმეტი დაკლა დევმა და შეჭამა. ხვალ უნდა ამათი ზეჭმა, მერე დაწვება და იძინებს სამ წელიწადს. როცა გაიღვიძებს, ჩვენც შეგვჭამსო. — დაიძინეს. სიზმარი ნახა უფროსმა ქალმა, რომ კონსტანტინეს უბეში აქვს კვერი, კაჟი, სავარცხელი და სახლების გასაღები. როცა გაიღვიძა, სიზმარი ვაჟს უთხრა. ჩაიხედეს ვაჟის უბეში და მართალი გამოდგა.

დევს სძინავს. კონსტანტინემ გააღო კარები, ჩამოიღო დევის

ხმალი, დაჰკრა მძინარე დევს, მაგრამ მარტო ერი ღერი თმა შეაჭრა, მეტი ვერა დააკლო. მერე რაშს, უთხრა: — ჩემს სახლში წამიყვანეო. — კარგიო — უთხრა რაშმა. შეჯდა ვაჟი და წამოვიდა შინ. გამოიანგარიშა ვაჟმა და სამი წელიწადი უკვე გასულა მას აქეთ, რაც დევს დაეძინა. რაშმა უთხრა: უკან მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო? —რაღაცას შავ წერტილს ვხედავო,—ვაჟმა მიუგო.—მაშ ჯერ ძლიერ შორს ყოფილაო.—კიდევ მიიხედეო,—უთხრა რაშმა მეორედ. ვაჟმა მოიხედა და უთხრა: კაცი უნდა მოგვდევდესო.—გადააგდე კაჟიო,— უთხრა რაშმა. ვაჟმა გადააგდო კაჟი და აიმართა გზაზე დიდი სალი კლდე. მოატანა დევმა, ამტვრია, ამტვრია და ძლივს გამოვიდა. ამათ ამასობაში დიდძალი გზა გამოიარეს. — კიდევ მიიხედეო, — უთხრა რაშმა. ვაჟმა ისევ დაინახა კაცი. რაშის ბრძანებით გადააგდო კვერი და აიმართა რკინის კლდე. დევმა ამტვრია, ამტვრია და როგორც იქნა, გამოვიდა. მესამედ სავარცხელი გადააგდო და უღრანი ტყე გაჩნდა. დევმა ესეც გამოიარა და უნდა, რომ კონსტანტინეს მიეწიოს, ამ დროს კონსტანტინემ აღელვებულ მდინარემდის მიატანა და უთხრა: „წყალო კარგო, მშვიდო, მიშველე!“ წყალი დაწყნარდა, გაიყო და კონსტანტინე გაღმა გავიდა. მოატანა დევმა და შესძახა ვაჟს: — როგორ გახვედიო. — როგორა და წყალს ვუთხარი: „წყალო ფინთო, გიჟო, გაღმა გამიყვანე“, და გამიყვანაო. უთხრა ასე დევმა და წყალი უფრო გადაირია. დევი დაღონდა და შესძახა ვაჟს: ბენ თუ მიდიოდი, ჩემი რაში რაღატომ წამართვიო. ვაჟმა მოკლა რაში და დევსაც სული გავარდა.

დაბრუნდა ახლა კონსტანტინე ქალების გამოსახსნელად. იარა, იარა და მივიდა ღამის გასათევად ერთს ბებერთან და ვახშმი ჰოსთხოვა. — შვილო, ამ ქალაქის მარჩენალი ერთი ვაშლი იყო ბაღში, მაგრამ რაღაც ფრინველი მოდის ღამღამობით და აღარ გვანებებს არაფერს და მე სადღა ვიშოვი შენს საჭმელსაო,—უთხრა ბებერმა, — ვინც მიდის ახლოს, ყველას ჰხოცავსო. — წავიდა ვაჟი სადარაჯოდ. მოფრინდა ფრინველი და შეება კონსტანტინეს. იბრძოლეს, იბრძოლეს, აჯობა ვაჟმა და წააძრო ფეხზე ქოში. ამის შემდეგ ფრინველი აღარ გაჰკარებია ამ ქალაქს.

ახლა მეორე ქალაქში შევიდა კონსტანტინე და მოესმის დიდი ტირილი ეკლესიასთან. თურმე ხელმწიფის შვილი ყოფილიყო დამარხული, ღამ-ღამობით მოდიოდა რაღაც ფრინველი, ამოიღებდა მკვდარს საფლავიდან, გააცოცხლებდა, აწვალებდა, მოკლავდა და ისე დაადებდა დაუმარხავს. წავიდა ვაჟი სადარაჯოდ. დაინახა თუ არა ვაჟი ფრინველმა, გაექანა მოსაკლავად, ეცა კონსტანტინეც,

აჯობა, წაართვა ჯოხი, რომელიც ეკავა და ვაჟი ცოცხალი მიუყვანა მამას. მეფემ ქალი აძლია ცოლად, მაგრამ კონსტანტინე არ დაეთანხმა და წავიდა მესამე ქალაქში.

შეხედა, რომ აქაც ხალხი იტანჯება. ქალაქში დიდი მდინარე ჩამოდის, ზედ გემებია, გაღმა შიმშილია, გამოღმა ბევრია ყველაფერი. მაგრამ წაიღებენ თუ არა გემებით გაღმა პურს, იღუპება. გაიგო თუ არა ეს, ვაჟი წავიდა და თვითონ ჩაჯდა გემში. შუა მდინარეზე ვიღაცამ ხელი ამოჰყო გემის დასაღუპავად, ეცა ვაჟი, წაძრო ხელთათმანი და გემი მშვიდობით გაიყვანა. დიდი სიმდიდრე შეაძლიეს ვაჟს, მაგრამ ხელი არ ახლო. მეოთხე ქალაქში გაეშურა საშველად. ვაჟს მოშივდა. აიღო ქოში და მეპურეს უგირავებდა პურში. დაინახა ქოში მეფის შვილმა და დაიჩემა. იქვე იდგა ვაჟარი. ვაჟარმა დაიჭინა, მეფის შვილი მართალს ამბობსო. დანაძლევდნენ ვაჟი და მეფის შვილი ასე: თუ ვაჟი იმისთანა ქოშს კიდევ მოიტანდა, მეფის შვილისთვის და ვაჟრისათვის თავი უნდა მოეკრა, და თუ ვერა, მაშინ კონსტანტინეს მოჭრიდნენ თავს.

იარა, იარა კონსტანტინემ, მაგრამ ვერსად იშოვა. ბოლოს ტყეში ქოხი დაინახა და ღამის გასათევად შიგ დაიმალა. შუა ღამეზე სამი მზეთუნახავი ნემოვიდა, დასხდნენ და მოყვნენ თავის თავგადასავალს. უფროსმა თქვა: — მე ერთს ქალაქში ვაშლს არავის ვანებებდი, ხალხს შიმშილით ვხოცავდი, მაგრამ ერთი ვაჟი მოვიდა და ქოში წამართვაო. ნეტავ, ის ჩემი ქმარი გახდებოდესო. მეორემ თქვა: ერთი მეფის შვილს ვაწვალებდი საფლავში, მით მთელს სახელმწიფოს თავზარს ვცემდი, მერე ვიღაც ყმაწვილმა ჯოხი წამართვა, ნეტავ ჩემი ქმარი მაინც გახდებოდესო. უმცროსმა თქვა: მე ხალხს შიმშილით ვწყვეტდი, გემს დამშეულებისაკენ არ ვუშვებდი, ბოლოს ერთმა ყმაწვილმა ხელთათმანი წამართვა, ნეტავი ჩემი ქმარი მაინც იქნებოდესო.

გაათავეს თუ არა, შეხედეს ვაჟს, რომ გამოვიდა, მივიდნენ და დაუწყეს კოცნა. როცა მისი სანაძლეო შეიტყვეს, დასვეს ნოხზე, თან ქოში გაატანეს. ხალიჩამ ვაჟი ადგილზე მიიყვანა, ვაჟარსა და ხელმწიფის შვილს ორივეს თავები დააგდებინა, მერმე წავიდა და ცხრა ქალი თავიანთ პატრონებს დაურიგა, თვითონ ისევ ამ სამ ქალთან დაბრუნდა. დააწყვეს მათ ხალიჩაზე თავიანთი სიმდიდრე, თვითონაც ზედ დასხდნენ და წაყვნენ ვაჟს სახლში.

კონსტანტინეს მამას წვერი მოეშვა და ისე გლოვობდა დაკარგულ შვილს. გაიხარა მეფემ. ეს სამი ქალი სამმა ძმამ ცოლებად შეირთეს და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

უჩინმაჩინის ქუდი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი საწყალი გლეხი. ჰყავდა მოხუცი დედა.

ძალიან უჭირდათ ცხოვრება. ერთ დღეს შვილმა უთხრა დედას: დედაჩემო, მე ასე ცხოვრება არ შემიძლია. წავალ სადმე ან ვიპოვი რასმე, ან დავკარგავ რამესო —კარგიო,—უთხრა დედამ. ადგა შვილი, დაადგა გზას და მიდის. სად მიდის, არ იცის, დაიღალა და დაჯდა გზის ნაპირას. მოდის ერთი მგზავრი. მოვიდა. გამარჯობა უთხრა. გაგიმარჯოსო, — მიუგო დაღონებულმა გლეხმა.

— რამ დაგაღონაო? — ეკითხება მგზავრი.

— როგორ თუ რამ დამაღონაო? დაბრძანდი და ჩემს ამბავს გიამბობო.

დაჯდა მგზავრი. ეუბნება თავის გაჭირვებას ეს საწყალი გლეხი: მე ვცხოვრობდი ძალიან ღარიბად. გამიჭირდა ცხოვრება. დავფიქრდი და ვუთხარი დედას: „დედაჩემო, მე ასე ცხოვრება არ შემიძლია, წავალ სადმე, ან ვიპოვი რასმე და ან დავკარგავო". დავადექი გზას და მოვდივარ. თუ შევხვდი რამეს, შევხვდი ხეირიანს, თუ არადა შინ ცოცხალი ვეღარ დავბრუნდებიო.

მგზავრმა უთხრა: — რაკი ეგრე გქონია, ძმაო, საქმე, მე ერთ რამეს გასწავლი, ოღონდ ძნელი შესასრულებელიაო. — ბრძანეო. — უპასუხა გლეხმა. ეუბნება მგზავრი გლეხს: დაადექი ამ გზას და იარე და იარე. ერთ ვერსს რომ გაიელი, შეხვდები ერთ ძალიან დიდ კლდეს, ის შვიდ წელიწადში ერთხელ იხსნება. შენ მიდი იმ კლდესთან და გაჩერდი, რომ გაიხსნას კლდე, — ახლა მალე გაიხსნება, — უცებ შედი კლდეში, იქ პკიდია ქუდი. სხვაც ყველაფერი ბევრია, მარტო იმ ქუდს წამოაველ ხელი და უცებ გამოდი გარეთ. იმ ქუდის მეტს არაფერს მოკიდო ხელი, თორემ დაიკეტება კლდე და დარჩები შიგ.

მადლობა გადაუხადა საწყალმა გლეხმა და წავიდა. დაადგა გზას. ერთ ვერსს იქით მიუახლოვდა კლდეს. მივიდა იმ კლდის პირზე და გაჩერდა. ფიქრობს გლეხი: მგზავრმა რომ კლდე მასწავლა, ეს იქნებაო. არის გაჩერებული, ამ დროს გაიხსნა კლდე. უცებ შევარდა კლდეში გლეხი. მივიდა ქუდთან და მოკიდა ხელი. ამ კლდეში ყურძენიც არის, რა გინდა, სულო და გულო, — ყველაფერია. გლეხი შიმშილით არის გამწარებული. ქუდს წამოაველო ხელი და წამოიღო.

მაგრამ ვერ მოითმინა: ხომ ვკვდები და ვკვდები მშიერიო, ერთ მტევან ყურძენს მაინც მოვწყვეტ და შევჭამო! მოსწყვიტა ერთი მტევანი ყურძენი და დაიკეტა კლდე.

დარჩა კლდეში გლეხი... შვიდი წლის შემდეგ კვლავ გაიხსნა კლდე. გამოვარდა გლეხი გარეთ, გამოიტანა ქუდი და კლდეც დაიკეტა.

კაცი ამ კლდის ახლოს დაჯდა და დაისვენა. დარჩა რამდენიმე ხანი. იფიქრა, წამოვწვებიო. ის კი არ იცის, რა ძალა აქვს ქუდს! წამოწვა ჩრდილში. დაიდო ქუდი თავქვეშ. თქვა ამ კაცმა: აჰ, ჩემო ქუდო, ერთი ხალიჩა რომ მომცა კიდევ. რა კარგად დავიძინებდიო, ქუდზე რა რბილად მიდევს თავიო! ამის თქმა და, გაჩნდა უცებ ხალიჩა. დაიგო ამ კაცმა და დაწვა ხალიჩაზე. ქუდი თავით დაიდო. ლაპარაკობს ეს კაცი: საწყალი დედაჩემი დავტოვე მარტოო. ახლა რომ მ-მიყვანა და მანახა, რა კარგი იქნებაო!

ხალიჩამ უცებ წამოიყვანა ეს კაცი თავის ქუდიანად და გამოფრინდა დედისაკენ. მოვიდა და დაფრინდა დედასთან. ახლა ეს კაციც ფიქრობს: ეს ქუდი ძალიან კარგი ყოფილაო!.. შემეწია ღმერთიო! უთხრა ამ კაცმა ქუდს: აჰა, ქუდო, თუ რამე ძალა გაქვს, ახლა გამოჩნდება, ერთი ძალიან კარგი სახლი დამიდგი ამ ეზოში, უკეთესი სახლი ხელმწიფესაც არა ჰქონდესო. ამ სიტყვის თქმა და, გაჩნდა სახლი, იმისთანა, რომ უკეთესი არ შეიძლება. თავად წამოწვა და არის არხეინად.

გათენდა დილა და გამოიხედა დედამისმა გარეთ: სახლი დგას მის ეზოში იმისთანა, რომ უკეთესი არ შეიძლება. დაიწყო ტირილი: ვიღაცას ჩემს ალაგში სახლი დაუდგამს წუხელისო! მეზობლებმაც დაინახეს ეს სახლი და ძალიან გაუკვირდათ: ამ ღამეს რითი ააშენეს, როგორ ვერ გავიგეთო!

ადგა შვილი და მივიდა დედასთან — დედაჩემო, რა გატირებს, არა გცხვენიაო?—როგორ, რა მატირებს, შვილო.—უპასუხა დედამ, — ვიღაცას სახლი დაუდგამს ჩვენს ალაგში წუხელისო! — ნუ გეშინია, დედა! ეს ჩემი სახლი არისო.

მესამე დღეს უთხრა შვილმა დედას: — დედაჩემო, ერთი სიტყვა მაქვს შენთან სათქმელიო. — რა, შვილოო? — უპასუხა დედამ — რა, დედაჩემო, და შენ უნდა გამეგზავნო ჩვენს ხელმწიფესთან უნდა მიხვიდე და უთხრა: მე მყავს შვილი, ამისთანა და ამ-სთანა არის-თქო. ნურც მაქებ და ნურც მაძაგებ მაინც და მაინც; უთხარი: შენი ქალიშვილი უნდა გამოატანო ჩემს შვილსა-თქო.

— არ შემიძლია, — უპასუხა დედამ შვილს, — მე რომ მივიდე ხელმწიფესთან და ეგ ვუთხრა, აუცილებლად თავს წამაჭრისო.

აღარ დააყენა დედა შვილმა. იფიქრა დედამ: წავალ, რაც იქნება იქნება! მომკლავს, მეტი ხომ არაფერი იქნებაო!

გამოემშვიდობა დედა შვილსა და წავიდა ხელმწიფესთან.

გამოიხედეს ხელმწიფის მცველებმა და დაინახეს, ვიღაც მოხუცი ქალი მიდი-მოდის სასახლის წინ. — ვის ეძებო? ეკითხებიან მცველები. — ხელმწიფის ნახვა მინდაო, — უპასუხა მოხუცმა ქალმა. წაიყვანეს და აიყვანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფეს სალამი უთხრა. ხელმწიფემ უთხრა ამ ქალს: — რამ მოგიყვანა, ქალო, აქ რა გინდაო. — მაქვს ცოტა საქმეო, — მოახსენა ქალმა. აუხსნა თავისი შვილის დანაბარები.

— რას ამბობ, ქალო? — უპასუხა ხელმწიფემ, — შენ იმისთანა შვილი როგორ გეყოლება, მე სიძედ მივიღოო! წადი, უთხარი შენს შვილს: თუ მაგისთანა ვაჟკაცი ხარ-თქო, შენი სახლიდან ჩემ სახლამდის ხვალ დილამდის ბაღი გააკეთე-თქო.

წამოვიდა მოხუცი ქალი. მოვიდა შვილთან. — რა გითხრა, დედაჩემოო? — ჰკითხა შვილმა. — ჯერ ძალიან უარი ბრძანაო, მერე მითხრა: — წადი, გადაეცი შენ შვილს, თუ მაგის თავი გაქვს, ახლა გამოჩნდება: ჩემი სახლიდან თქვენ სახლამდის. გზას გადაღმა და გადმოღმა გააკეთე ბაღიო. — მაგაზე ნუ შეწუხდებიო, — უპასუხა შვილმა, — თქვენ არხეინად იყავითო! ადგა შვილი, ეუბნება ქუდს: თუ რამე ძალა გაქვს, ახლა გამოჩნდება: ჩემი სახლიდან ხელმწიფის სახლამდის გზას გადაღმით და გადმოღმით ზღაპრული ბაღი გააშენე გათენებამდისო!

გათენდა დილა. გამოიხედა ხელმწიფემ, მოჩანს ბაღი. ადგა შვილი, გაგზავნა დედა ისევ ხელმწიფესთან. დაბარა: ახლა ხომ შეიძლება ჩემს შვილს თქვენი ასული გამოატანო-თქო? — მივიდა დედა ხელმწიფესთან: ბატონო ხელმწიფე, ახლა ხომ შეიძლება ჩემ შვილს თქვენი ასული გამოატანოთო?

უპასუხა ხელმწიფემ: წადი, უთხარი შენს შვილს: რაკი მაგისთანა ვაჟკაცი ხარ, ჩემი სახლიდან შენ სახლამდის ხვალ გათენებამდის სულ მარმარილოს ქვა იყოს დაგებული-თქო.

გამოტრიალდა დედა და წამოვიდა შვილთან. რა ჰქენიო? ჰკითხა შვილმა. დედამ უთხრა შვილს ხელმწიფის დანაბარები.

ახლა ბიჭმა აიღო ქუდი და ეუბნება: ქუდო, თუ რაიმე ძალა გაქვს. ახლა გამოჩნდება: ჩემი სახლიდან ხელმწიფის სახლამდის სულ მარმარილოს ქვა უნდა დააგო გათენებამდისო. ბიჭმა გამოიხედა დილაზე გარეთ, — სულ მარმარილოს ქვა აგია, სადამდისაც მიაწვ-

დინა თვალი. შეტრიალდა დედასთან და გაგზავნა ხელმწიფესთან: ახლა ხომ შეიძლება ჩემს შვილს თქვენი ასული გამოატანოთო?

წავიდა დედა ხელმწიფესთან და შვილის დანაბარები მოახსენა. უპასუხა ხელმწიფემ: შენი შვილი მართლა კარგი ვაჟკაცი ყოფილა. წადი ახლა ეს უთხარი: თუ რამე შეგიძლია, ჩემი სახლიდან შენ სახლამდის დაფინე გზაზე ხალიჩები, მისთანა, რომ უკეთესი არ იყოს; მობრძანდი და წაიყვანე ჩემი ასულიო.

დედა წამოვიდა სახლისაკენ და რაც დააბარა ხელმწიფემ, მოახსენა თავის შვილს. შვილი ადგა ზეზე, აიღო ქუდი. ეუბნება ქუდს: თუ რაიმე ძალა გაქვს, ახლა გამოჩნდება! ჩემი სახლიდან ხელმწიფის სახლამდის სულ ხალიჩები იყოს გაფენილი ხვალ დილამდისო!

გამოიხედა გლეხმა მეორე დღეს: ხალიჩებია გზაზე გაფენილი ხელმწიფის სასახლისაკენ... წაიყვანა ხალხი და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფესაც ძალიან მოეწონა. თავის შვილზე დასწერა ჯვარი. ერთი ღამე დარჩნენ ხელმწიფის სასახლეში. მეორე დღეს გამოიხმო და უთხრა ხელმწიფეს ამ კაცმა: თუ რაიმე ჯარი გყავს, სულ ერთიანად წამობრძანდით ჩვენსკენო! ხელმწიფემ იფიქრა: „ჩემი ჯარის საჭმელი სად ექნება ამას, მაგრამ წავალ, რაც იქნება-იქნებაო".

დიდი ჯარით წამოჰყვა თავის სიძესა და ასულს. მოვიდნენ სასახლეში. ხელმწიფემ შეხედა სახლს. სახლი მართლა ძალიან მოეწონა. შევიდნენ შიგნით და დასხდნენ.ცარიელი მაგიდების მეტი არაფერია. ბიჭმა აიღო ქუდი და ეუბნება: ქუდო! თუ რამე ძალა გაქვს, ახლა გამოჩნდება! იმისთანა სუფრა გააწყვე, რომ ხელმწიფეს ეკადრებოდესო!

უცებ გაჩნდა გაწყობილი სუფრა: რა გინდა, სულო და გულო, სუყველაფერი არის. ხელმწიფე თავისი ჯარით დარჩა სამ დღეს. მეოთხე დღეს შინისაკენ გასწია. მეხუთე დღეს ბიჭმა უთხრა თავის ცოლს: მე სანადიროდ წავალ და ჩქარა მოვალ. შენ და დედაჩემი იყავით ერთადო. ადგა ზეზე, გადაიკიდა თოფი და წავიდა სანადიროდ.

ეს გაუგია იმ კაცს, რომელმაც ასწავლა კლდისა და იმ ჯადოსნური ქუდის საიდუმლო. ფიქრობს: ის ქუდი როგორ ჩავიგდო ხელშიო? ერთ დღეს იყიდა ახალი ქუდი. მოვიდა ამ კაცის სასახლის წინ. იძახის: ვისა გაქვთ ძველი ქუდი გასაყიდი! ახალი ქუდი ვის გინდათო.

ამ ხელმწიფის მზეთუნახავმა არ იცის, ეს ქუდი რაშია გამოსადეგი. დაუძახა: — მოიცადე, მოიცადეო! — გამოუტანა ეს ქუდი და

ეუბნება: — შეიძლება, ძველ ქუდში რომ ახალი ქუდი მომცეო? — არ. გეკუთვნის, მაგრამ წაიღეო! — უპასუხა.

გამოართვა ეს ქუდი კაცმა. ქალი შევიდა სახლში.

ეუბნება კაცი ამ ქუდს: აბა, ქუდო! თუ რაზე ძალა გაქვს. ეს სასახლე, ეს ქალიც შიგ იყოს, საჩქაროდ ჩვენ ალაგზე დადგიო! ხელად ეს სახლი — ქალიც შიგ არის, ეს კაციც, გაჩნდნენ იმ ალაგზე.

დარჩა დედამისი ძველ სახლში, ისე გაჭირვებული, როგორც წინათ ცხოვრობდა. ის ბიჭიც დაბრუნდა სანადიროდ რომ იყო წასული. მოვიდა თავის ეზოში, ხედავს მისი სახლი აღარსად არის. ხელმწიფემაც გაიგო: „ჩემ სიძეს აღარც სახლი ჰქონია, ჩემი შვილიც დაუკარგავს სადღაცაო". ამ ბიჭმა დაიწყო ტირილი. ადგა, გადაიკიდა თოფი და წავიდა. დაადგა ისევ იმ გზას, რომლითაც წინათ წავიდა.

იმ კაცმა, ვინაც ქუდი გამოართვა, და მოტყუებით გაიტაცა ბიჭის სახლი, უთხრა ხელმწიფის ასულს: — მე და შენ დავიწეროთ ჯვარი და ვიცხოვროთ ერთადაო. — არ შეიძლებაო! — მოახსენა ქალმა, — ერთი წელიწადი მე ჩემი ქმარი მინდა ვიგლოვოო. მერე ხომ მაინც ერთადა ვართ და სად წავალო!

ერთხელ უწინდელი ქმარი მოვიდა იმ კაცის სოფელში, გაიხედა — დაინახა თავისი სახლი. მივიდა სახლის წინ, დაჯდა და დაიწყო ტირილი.

ქალმა გადმოიხედა მაღლიდან. ქალსაც ტირილი მოერია. რომ იცნო თავისი ქმარი, შეტრიალდა ოთახში, აიღო ის ქუდი. გადმოუგდო თავის ქმარს. ახლა კი იცის ქალმა, რა ძალა აქვს ამ ქუდს. კაცმა აიღო ქუდი და ეუბნება: აბა, ჩემო ქუდო! ვიცი, კარგი ძალა გაქვს, ეს სახლი საჩქაროდ ასე ერთბაშად მიიტანე და დადგი იქ, სადაც წინათ იყო.

აბა. რა გაუჭირდებოდა! ორი წამის განმავლობაში როგორც წინათ იყო ეს სახლი. დაიდგა ისევ იმ ალაგზე. ის კაციც შიგ არის, ვინც ეს ქუდი წაიღო წინათ ამ სახლიდან. მეორე დღეს შეაღო ოთახი, სადაც იმ კაცს ეძინა, ლუკმა-ლუკმა დაჭრა და გადაუყარა ძაღლებს.

ხელმწიფემ გაიგო თავისი ასულის ამბავი, გაიხარეს და ცხოვრობდნენ ერთად.

თუშის შვილი და მეფის შვილი

იყო და არა იყო რა, ჩვენზე უკეთესი რა იქნებოდა — იყო ერთი მეფე. ჰყავდა ერთი ვაჟი. ძალიან უყვარდა. ერთხელ მეფემ უთხრა თავის ნაზირ-ვეზირს, ასეთი ბავშვი კიდევ იქნება სადმეო? ვეზირმა უთხრა: ქვეყანაა, იქნებაო! მეფემ უთხრა: თუ მომიყვანე, შენი წონა ოქრო უნდა მოგცეო და თუ ვერ მომიყვანე, თავს მოგჭრიო. ვეზირმა აიღო სამი თვის ვადა და წავიდა საძებნელად. ბევრი იარა თუ ცოტა, შეუსრულდა სამი თვე. მობრუნდა ცარიელი, ვეზირი შევიდა და მოახსენა მეფეს: დიდებულო მეფევ, თქვენი საბრძანებელის სამი კუთხე მოვიარე და ერთი მხარე დამრჩაო. ერთი თვის ვადა მომეცით კიდევ და თუ ვერ მოვნახე, თავი მომკვეთეთო. მისცა მეფემ ერთი თვის ვადაც. დაეთხოვა მეფეს, გასწია და წავიდა საძებრად.

ბევრი იარა თუ ცოტა, ავიდა ერთ მთაზე. დაინახა თუშების ბინაზე ერთი ბავშვი. თუ ჰგავს ესა, თუ არადა არაო. თუშს უთხრა მეფის დავალება და წავიდნენ მეფესთან. მეფეს კაცი მიუვიდა, რომ ვეზირს ბავშვი მოჰყავსო. მეფემ უბრძანა: რომ მოიყვანოს, ვნახოვო. ვეზირი ეუბნება: თუ შეიძლება, ორი ხელი ტანსაცმელი შეკერონ, ორივეს ჩავაცმევ და ისე ნახოსო. თუ თავის შვილი იცნოს, ნაძლევი მაგას ეკუთვნის, თუ ვერ გამოიცნო, ჩემიაო.

ორივეს ჩააცვეს ერთნაირი ტანსაცმელი და შეიყვანეს მეფესთან. მეფე ხან ერთს გადაეხვევა, ხან მეორეს, მაგრამ ვერა სცნობს თავის შვილს. ვეზირს ეტყვის: ბარაქალა, ვეზირო, მიიღე შენი წონა ოქროო. ვეზირი უპასუხებს:—ჯერ ბავშვის მამა შეიჯერე, მერე ჩვენ გავსწორდეთო. მეფე დასთანხმდა. თუშს უთხრეს: ეს ოქრო-ვერცხლი შენთვის მოგვიცია, არც ხარჯი გვინდა, არც არას გამოვართმევთ შენს შვილსაო. — თუშმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. ვეზირს თავის წონა ოქრო მისცეს, ბავშვებიც სკოლაში მიაბარეს.

ერთი კვირა, ორი კვირა ასე სწავლობდნენ. ერთხელაც მეფე შემოვიდა. ნახა, რომ დედოფალი ისეთი გაჯავრებულია, რომ მეტიც არ შეიძლება. ჰკითხა მეფემ: — რა დაგემართა, რადა ხარ აგრე გაჯავრებულიო? — დედოფალმა უთხრა: — როგორ არ ვიყო გაჯავრებული, სიკვდილი ყველას მოგველის, ვინ რა იცის, რომელია შენი მემკვიდრე შვილი და რომელია მოყვანილიო?

მეფემ უთხრა: მაგაზე რა გაჯავრებსო, ხვალვე ჩემი შვილისთვის ერთ ძაფს მეტს გავაკეთებინებო. მეორე დღეს მართლაც ერთი ძაფი მეტი გაუკეთეს. ყოველთვის მხიარულად დაიარებოდნენ, მაგრამ

ახლა კი ძალიან მოწყენილი დადის თუშის შვილი. მეფის შვილი ეუბნება: — ძმაო, რადა ხარ დაღონებული, ხომ არ გეწყინა, რომ ერთი ძაფი მეტი გამიკეთეს? აგერ ჩემი ტანსაცმელი შენ, და შენს მე ჩავიცვამო. — არა, ძმაო, რატომ მეც არ გამიკეთესო. — თურმე გულთმისანი იყო.

ერთი დღე, ორი დღე ასე დაღონებული დადიოდა ეს ბიჭი. ბოლოს მეფის შვილს უთხრა: — მეფეს სთხოვე, რომ ორი კარგი ცხენი გაგვიმზადონ, ხვალ სასეირნოდ უნდა წავიდეთ, ცოტა გული გადავაყოლოთო. — მეორე დღეს მოემზადნენ და წავიდნენ სასეირნოდ ბაღში. მიიარეს, მოიარეს და ბოლოს თუშის შვილმა ხელი ჩამოართვა და უთხრა: მშვიდობითო, და მოუსვა ცხენით. მეფის შვილიც უკან გაჰყვა. — ძმაო, ნუ მომდევ. შენ მეფის შვილი ხარ, მე კი თუშის შვილი ვარო. — მეფის შვილმა უთხრა: საცა შენ მოკვდები, იქაც მე მოვკვდებიო და არ მოგშორდებიო.

ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთს დაბურულ ტყეში. შევიდნენ. დაინახეს ერთს სახლიდან წმინდა კვამლი ამოდიოდა. თუშის შვილმა გაიგო, რომ დევის სასახლეს მივადექითო. ამ დროს დევის ბებერი მოვიდა და ძალიან გაუხარდა. წავიდა სახლში და შვიდი წლის ღვინო მოუტანა. თუშის შვილმა გაიგო და უთხრა მეფის შვილს: შვიდი წლის ღვინო უნდა მოგვიტანოს და არ დალიო, თორემ შეგვჭამენო. თუ პირველად შენ მოგცეს, მე ვეტყვი. აი, ის გზა საით მიდისო, მე თუ მომცეს, შენ უთხარი. და არც ერთმა არ დავლიოთ, მთლად გადავღვაროთო. მართლაც, მოუტანა დევის ბებერმა და დაუსხა ღვინო მეფის შვილს. თუშის შვილმა უთხრა: ა, ის გზა საით მიდისო. მეფის შვილმა გადაღვარა, მერე თუშის შვილს მისცა, მანაც ძსე აჩვენა. ბოლოს წავიდა და შვილებს უთხრა. უფროსი შვილი გამოგზავნა. მეფის შვილი მაინც დათვრა და ძირს გადმოვარდა. თუშის შვილმა ცხენები მაგრად დაბა და ბებერს გაჰყვა. მივიდა და კარებს უკან გაჩერდა, ხმალიც მოიმარჯვა. ამ დროს დევ-ბებერი შევიდა და უთხრა: კარგი სადილი მოგვივიდა. წადი და შემოათრიეო. გავიდა უფროსი. მერე მეორე. მესამე და ყველას ერთნაირად მოჰკვეთა თავი. დევ-ბებერმა დახედა, რომ ჩვენი ლუკმა არ ყოფილანო, ადგა და ორმოში დაიმალა.

თუშის შვილმა გაიგო, რომ აღარავინ დარჩა, წავიდა და მეფის შვილიც მოიყვანა. მეფის შვილმა დაინახა დევის სხეული და ძალიან გაუკვირდა, რა მომხდარაო. თუშის შვილმა უთხრა: ცოცხალი რომ დაგენახა, რაღას იზამდიო? მიზიდეს და ორმოში დევ-ბებერს თავზე დააყარეს. დევის სახლ-კარი მთლად დარჩათ, მათ აუარებელი ოქრო-

ვერცხლი გადაჰკიდეს ცხენებს, გასწიეს და წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ერთს ქალაქში. ერთი ღარიბი ბებრის სახლი იქირაეეს და დაიწყეს ცხოვრება. ერთ დღეს დასეირნობდნენ. დაინახეს ერთ დერეფანში ზის ერთი ახალგაზრდა ქალი და რაღაცას კერავს; ერთმანეთს რომ შეხედეს. გული გადაუქანდათ. წავიდნენ და ბებერს უთხრეს: შენ იცი, ერთ მუჭა ოქროს მოგცემთ. და ეს ქალი გაგვირიგეო. ბებერმა უთხრა: მეფის ქალი არის, გათხოვილია, როგორ მოხერხდებაო? თუშის შვილმა უთხრა: შენ ნუ გეშინია, ქალი თვითონ მოგვდევს, ოღონდ გაგვაცანიო.

ადგა და წავიდა ბებერი, ყველაფერი უამბო მეფის ქალს. ამას უფრო გაუხარდა, ორი მუჭა ოქრო მისცა და წერილიც გაატანა. მეფის შვილმა გაიგო ყველაფერი. ღამე მივიდნენ. ქალმა თავის საწოლი ოთახი ასწავლა და წავიდა. შუაღამისას წავიდა ეს ქალი მეფის შვილთან. ნახა, რომ სძინავს, ველარ გააღვიძა, წერილი დაწერა და ხელში ჩაუდო. თავად წავიდა თავის საქმეზე. მეფის შვილმა გაიღვიძა, დაინახა რომ გათენებულა, ხელში რაღაც ქაღალდი უჭირავს არც კი იცის, ვის მიუცია. ჩუმად გასულა და წასულა. თუშის შვილმა ჰკითხა: რა გითხრა, როგორ არის საქმეო. მეფის შვილმა ყველაფერი უთხრა, რაც დაემართა. წერილი წაიკითხეს: თუ ასე მოიქეცით, ჩემს ცოდვაში ნუღარ შეხვალთ, ორი კვირა დამრჩა. რომ უნდა წამიყვანონ. თუ რას მიშველით, მალე მიშველეთო. — მეორე ღამეს ორივე ძმა მივიდა და უთხრეს: რაც ტანსაცმელი მოგვიდა, იმისი ნაჭერი მოგვეცით. მართლაც, იმნაირი ტანისამოსი შეიკერა თუშის შვილმა, მივიდა, ნახა მეფის ქალმა, რომ თავისზე უკეთესი რძალი მისულა მის საკუთარ სახლში. გაუკვირდა ასეთი საქმელი. იმ ღამით ყველაფერი დააწყვეს, რომ როგორ მოვიქცეთო. თუშის შვილმა უთხრა: მე სადაც დევები დავხოცე, თქვენ იქ მიდით და მომიცადეთ, მეც მალე მოვალო. დაემშვიდობენ და წავიდნენ.

დარჩა თუშის შვილი რძლად. მოუვიდნენ მოყვრებიც წასაყვანათ. ნახეს რძალი, უფრო მოეწონათ. ეგონათ ფერი წაუსვამსო. წაიყვანეს რძლად თუშის შვილი. თუშის შვილს გადახვიეს ხელი მულებმა, მეფის დებმა. რძალი ეტყვის: ავადა ვარ, უთხარ შენს ძმას მე და შენ ერთად მოვისვენოთო. კარგიო, უთხრა მულმა. ერთი დღე, ორი დღე. ბოლოს უთხრა მულს პატარძალმა: უბრძანე, ორი ცხენი მოგვიყვანონ, სასეირნოდ წავიდეთო. კარგიო, უთხრა მულმა. მეორე დღეს შესხდნენ და წავიდნენ სასეირნოდ. თუშის შვილი გაუტყდა და უთხრა: მე კაცი ვარ. ამა და ამ ხელმწიფის შვილი, თქვენი რძალი ჩემმა ძმამ წაიყვანაო. ნუ გაამხელ და ჩვენც იქ წავიდეთო, ნუ შე-

არცხვენ შენს გვარსაო. დათანხმდა და წავიდნენ. მივიდნენ დევის სასახლეში, ნახეს მეფის შვილიც იქ უცდიდათ. იქიდან ძვირფასი ნივთები აჰკიდეს ცხენებს და პირდაპირ მამის სახელმწიფოში მივიდნენ. მამას მიახარეს: შენი დაკარგული შვილები მოდიანო. მეფემ დიდად დაასაჩუქრა მახარობლები.

ჭირი იქა. ლხინი აქა: ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა. მელასა. ბროლი გვეკიდა ყველასა.
ჩვენს ავად ამხსენებელსა დანა დაესოს ყელასა.

დ ა თ უ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ქალი და ერთი ვაჟი. ჰქონდა ერთი დიდი ბაღი, ათასნაირი ხეხილით სავსე.

ერთ საღამოს ქალებმა მოახლე ქალი გაგზავნეს ბაღში ხილის მოსატანად. მოახლემ დაიგვიანა. როდესაც მოვიდა, მიზეზი არა თქვა დაგვიანებისა. გავიდა შვიდი თვე. ქალი ორსული გამოდგა. ვეზირებმა ეს ხელმწიფეს მოახსენეს, მანაც ქალის მოკვლა ბრძანა. ქალმა უთხრა ხელმწიფის ვეზირებს: ჯერ ნუ მომკლავთ, ხელმწიფესთან ერთი საიდუმლო მაქვს სათქმელი, იმას მოვახსენებ და მერე, რაც გსურდეთ, ის მიქენითო.

მივიდა ქალი ხელმწიფესთან და მოახსენა: როცა ბაღში ხილს ვკრეფდი, ხიდან დათვი ჩამოხტა, მეცა და დამაორსულა. ნუ მომკლავ, გაიგებ მაინცა. როგორი შვილი მეყოლებაო. ხელმწიფემ პატიება ბრძანა ქალისა და კარგად მოვლა. გავიდა ორი თვე და ქალს ვაჟი ეყოლა. ისეთი ვაჟი, რომ ყველა ხელმწიფის შვილებს სჯობდა. ხელმწიფემ ბრძანა: ვაჟს სახელად დათუა დაარქვით და გვარად დათულაშვილიო. ისეთი კარგი ბიჭი გამოდგა, რომ ერთი წლისა ხუთი წლისას ჰგავდა, ათი წლისა ოცდახუთი წლისას. ათი წლისას მთელს სახელმწიფოში ვერავინ ერეოდა. ერთ ჭამაზე ათი კოდის ნამცხვარი პური არ ჰყოფნიდა და ვეზირები შიშით ხმას ვერა სცემდნენ.

მივიდნენ ვეზირები და შესჩივლეს ხელმწიფეს: ბატონო, რასაც ვაცხობთ, სულ ეგა ჭამს, ჩვენ შიმშილით ვიხოცებითო. მოუხერხე რამე, თუ არა შენც ცუდ დღეს დაგაყენებსო. მოიხმო შეშინებულმა

ხელმწიფემ დათუა და უთხრა: შენ ძალიან ღონიერისა და მჭამელი კაცის სახელი გაქვს გავარდნილი. თუ ეს მართალია, აი, იქ ცხრა მთის იქით, მეათე მთის ძირში გარეული ღორია, ღორში ერთი დიდი ფერდელა ტახი ურევია, წადი, ის ტახი მოკალი და მომიტანეო.

წავიდა დათუა და საგზლად ხუთ-ხუთი საპალნე პურ-ღვინო წაიღო ზურგით. მივიდა ტახთან. ნახა რომ ორ-ორი ალაბი ეშვი აქვს. გამოჭრა ბზისგან ორი ტაფელა და მოუყარა ღორებს თავი წამოსარეკად. ღორებმა საკბენად შეუტიეს, მაგრამ დათულაშვილმა რომელსაც გაარტყა ტაფელა, სიცოცხლე დაავიწყა. წამორეკა წინ ღორები და მოასხა ხელმწიფესთან. ვეზირები უფრო შეშინდნენ და ისევ შესჩივლეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ ახლა ფერდელა ტახის მოკვლა დაავალა, იქნება კბილი დაკრას ღორმაო. მაგრამ ვაჟმა ესეც კარგად შეასრულა. ბოლოს უთხრა: დასავლეთის ხელმწიფის ქალს თუ მომიყვან სარძლოდ, ჩემს ქალს შენ მოგცემ და ნახევარ სახელმწიფოს დაგიმტკიცებო.

წავიდა დათუა. გავიდა დიდ მინდორზე და ნახა, მონადირეებს კურდღლისათვის ძაღლები მოუტევიათ. ნახა კიდევ, რომ ერთმა კაცმა, რომელსაც ფეხებზე წისქვილის ქვები დაეკრა, ეს კურდღელი დაიჭირა. გაუკვირდა დათუას და უთხრა: — ძმაო, ვინ ხარ შენ, ფეხებზე მაგოდენა ქვები გაკრავს და კურდღელს ისე. იჭერო? — კაცმა უპასუხა: — მე რა კაცი ვარ, კაცი ის მითხარი, ერთი დათულაშვილი რომ ყოფილა, თურმე ასი გარეული ღორი ჩამოურეკავს მთიდანაო. დათუამ უთხრა: — ეგ დათულაშვილი მე ვარ და მიამხანაგეო. დაამხანაგდნენ და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ერთს ყანაში გავიდნენ და ნახეს, ერთი კაცი ხნავს, მეორე სახვნელის თავს მიპყვება, ბელტებს ყლაპავს და იძახის: ვაი რა მშიანო! შესძახეს ძმობილებმა: — ჰეი, კაცო, ვინა ხარ, მაგდენი ბელტი გადაგიყლაპავს და კიდევ გშიანო! — მან მიუგო: — მე რა კაცი ვარ, კაცი ის მითხარი, ერთი დათულაშვილი რომ ყოფილა, მთიდან თურმე ასი გარეული ღორი ჩამოურეკიაო! დათუამ უპასუხა: — ეგ მე ვარო, მეძმე და გამყევიო. წავიდნენ ერთად.

გავიდნენ მინდორზე და შენიშნეს: ერთი კაცი ცას მისჩერებია, მშვილდი ხელში უპირავს. გაკვირდნენ ესენი, ჰკითხეს: — რას უყურებ ცაშიო? — მან უპასუხა: შარშან ისარი ვისროლე და ახლა შოდის ძირს, ხმა მომესმაო. ამ ლაპარაკში ისარიც დაეცა ძირს. გაუკვირდა დათუას და ჰკითხა: — შენ რა კაცი ყოფილხარ, შარშან ისარი გისვრია და ახლა ჩამოვარდაო! მან უპასუხა: — მე რა კაცი

ვარ, კაცი ის მითხარი, ერთს დათულაშვილს რომ მთიდან ასი გარეული ღორი ჩამოურეკიაო! — გაუტყდა დათულაშვილი ვინაობას, დაამხანაგდნენ და წავიდნენ.

იარეს, იარეს და ერთ მდინარეს მიადგნენ. ნახეს — შუა მდინარეში დგას ერთი კაცი, სვამს წყალს ისე, რომ ქვევით მდინარე დაუშრია და კიდევ იძახის: ვაი რა მწყურიაო! შესძახა დათულაშვილმა: — ჰეი, რა კაცი ხარ შენ, მდინარე დაგიშრია და კიდევ გწყურიაო! — ესეც ისე შეიამხანაგეს და გაუდგნენ გზას. მივიდნენ დასავლეთის ხელმწიფესთან და ქალი მოსთხოვეს. ხელმწიფემ ქალი გამოიყვანა. ქალმა რომ გამოკითხა, ყველაფერი უბრძანა მათ: მე ვინც ნაძლევს მომიგებს, ცოლიც მისი ვიქნებიო და თუ წააგო, თავს მოვკვრიო. — დათულაშვილი დათანხმდა სანაძლეოზე. ქალმა უთხრა: — მე და შენ უკვდავების წყალზე თითო კაცი გავგზავნოთ და ვისიც უფრო მალე მოვიდეს, ის იქნეს გამარჯვებულიო.

გაგზავნეს კაცები. დათულაშვილმა ქვებიანი კაცი გაგზავნა. ქალმა თავის კაცს ერთი დოქი ბანგი გაატანა და დაუბარა: გზაში დოქიანი კაცი შეგხვდება, ეს დაალევინე, დათვრება, მის დოქში უკვდავების წყალი არის და ის დოქი გამოარბენინეო. დათულაშვილის კაცს გზაში დაძინებოდა. როცა დააგვიანდა, დათულაშვილმა მშვილდიანს ისარი ასროლინა, ისარი მძინარე კაცის ახლოს დაეცა, გაეღვიძა კაცს, წამოავლო დოქს ხელი, გაიქცა წყალზე და კიდევ მოასწრო ქალის კაცს.

ქალი ძლიერ დაღონდა. დათულაშვილმა ჰკითხა მიზეზი, ბოლოს დასძინა, თუ გნებავს, კიდევ დავნაძლევდეთ: აგერ ორი კაცი მახლავს, ერთი ღვინით გამიძღე და მეორე პურითაო. ქალმა იფიქრა: ამ ორ კაცს როგორ ვერ გაეაძღებო. დაუძახა მომსახურეებს, მოატანინა რაც ქალაქში პური და ღვინო იყო, მაგრამ ვერ გააძღეს ეს ორი კაცი. ერთი იძახოდა, ვაი რა მშიაო, და მეორე კი — რა მწყურიაო! რაღა უნდა ექნა ქალს, ადგა და წაჰყვა დათულაშვილს. ხელმწიფემ ეს ქალი რძლად ითხოვა, თავისი ქალი და ნახევარი საბრძანებელი დათულაშვილს მისცა და ცხოვრობდნენ ბედნიერად. შარშან იქ ვიყავი და წლეულს აქ გიახელით.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ეატო იქა, ფქვილი აქა.

სასწაულმოქმედი პერანგი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო დასავლეთის ხელმწიფე და ჰყავდა სამი ვაჟი. ერთხელ ხელმწიფე ძლიერ ავად გახდა. დაიბარა შვილები და უთხრა: ვიცი, სიკვდილის დღე მომიახლოვდა. ვეღარ მოვრჩები და ჩემს შემდეგ თუ გაგიჭირდეთ რამე, აღმოსავლეთის ხელმწიფეს მიმართეთ და შემწეობა სთხოვეთო.

მართლადაც, გარდაიცვალა ხელმწიფე და დაასაფლავეს. როგორც შეეფერებოდა. გაიგეს თუ არა შორეულმა სახელმწიფოებმა ეს ამბავი. დაესივნენ ობლების ქონებას. თვითონ კი ცოცხლებმა ძლივს გაასწრეს და აღმოსავლეთის ხელმწიფესთან გაიქცნენ. ხელმწიფემ კარგად მიიღო ისინი. მისცა საკუთარი სახლი, მიუჩინა მოსამსახურე და კეთილად ეპყრობოდა. ერთი მეთვალყურე მიუჩინა და დაავალა: ეს ხელმწიფის შვილები კარგი ნაწურთნი სჩანან და აბა, დღეს პირველ საღილზე რას იტყვიან, ამბავი მომიტანეო.

ბატკანი დაუკლეს. დასხდნენ სადილზე. როდესაც პური აიღო ხელში, უფროსმა თქვა: ამ პურს ადამიანის სისხლი ურევიაო. საშუალომ თქვა: აი, ეს ბატკანი თავისი დედის რძით არ არის გაზრდილი, ძაღლის ძუძუ უჭამიაო. უმცროსმა თქვა: მე რომ ხელმწიფეს შევხვედე. ის ხელმწიფის შვილი არ უნდა იყოსო.

ეს ამათი ნალაპარაკევი მეთვალყურემ ხელმწიფეს მოახსენა. ხელმწიფემ ბრძანა: მოიყვანეთ გუთნისდედაო. დაიბარეს, მაშინვე გამოცხადდა. ხელმწიფემ ჰკითხა: ამ პურს ადამიანის სისხლი რად ურევიაო?

— ხელი გავიჭერ თესვის დროს და მუჭით რომ ხორბალს ვაქნევდი, სისხლიც თანა ჰყვებოდაო, — უპასუხა გუთნისდედამ.

დაიბარეს მეცხვარეები. ხელმწიფემ ამათაც ჰკითხა: ამ ბატკანს რათ აჭამეთ ძაღლის ძუძუ. თავის დედას რათ მოაშორეთო?

მეცხვარეებმა უპასუხეს: დედა მოუკვდა, რძითა ვზრდიდით და ძაღლსაც შესჩვეოდაო.

დაითხოვა ისინი ხელმწიფემ. შევიდა თავის დედასთან და უთხრა: დედი, წუხელის სიზმარში მასწავლეს, თუ ძუძუს მომაწოვებ, სიბერემდის ვიცოცხლებო. დედამაც მისცა ძუძუ. ხელმწიფემ ძუძუ პირში ჩაიდო. კბილი მოუჭირა და უთხრა: მე ვიცი, ხელმწიფის შვილი არა ვარ და მითხარ, ვინ იყო მამაჩემიო? თუ არ მეტყვი, არ გაგიშვებო. რაღას იზამდა, დედაც გამოტყდა და უთხრა: მეჯინიბის შვილი ხარო. მაშინ დარწმუნდა ხელმწიფე: ესენი მართლა ღირსნი არიან პატივისცემისაო და უფრო კარგად შეინახა, გამოზარდა და

როდესაც სრულწლოვანნი შეიქნენ, მაშინ გაისტუმრა თავიანთ სახლში. სამივეს სამი ცხენი დაუტვირთა თვალ-მარგალიტით და ფულით და ისე გაუშვა. წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს. ერთ ჯვარედინ გზაზე გავიდნენ. ერთი დიდი ქვა იყო და იქ დაისვენეს. იმ ქვაზე ეწერა: ამ გზით წავიდეს მგზავრი — ისევ დაბრუნდეს, ამ გზით წავიდეს — ან დაბრუნდეს, ან არა. და ამ გზით წავიდეს—სულ ვეღარ დაბრუნდესო. ერთი გზაც თავიანთი სახლის გზა იყო. ეს ქვა ოთხივე გზის შუაზე იდო.

— შინ რომ მივიდეთ, რა გავაკეთოთ, — თქვეს, — მტერი სულ გაანადგურებდა იქაურობასო, და არჩიეს სხვადასხვა გზით წასვლა. უფროსმა ძმამ აირჩია ის გზა, რომელზედაც ეწერა „წავიდეს, ისევ დაბრუნდესო". — საშუალმა აირჩია მეორე — „ან დაბრუნდეს, ან არაო", უმცროსმა კი მესამე გზა აირჩია — „წავიდეს, ვეღარ მოვიდესო". ბევრი ურჩიეს ძმებმა: ჩვენი გზა აირჩიე, მანდეთ ნუ წახვალო, მაგრამ არ გაიგონა. ამოიღეს თითო ბეჭედი, დააწყვეს ქვის-ქვეშ, მიწაში დამალეს. — ვინც წინ გამოიაროს, თავისი ბეჭედი გამოიღოს და მამის ბინაზე წავიდესო, —დაუმოწმეს ერთმანეთს და წავიდნენ.

გავუვლეთ პატარას. წავიდა შორს უგზო-უკვლოდ, არ იცის საიდ მიდის; გავიდა ერთ დიდ გზაზე და დაადგა იმ გზას. გაიყვანა გზამ ერთ ზღვის პირს და დაუღამდა კიდეც. აქ ნახა ერთი ქოხი. გაუკვირდა: ნუთუ აქ, ამ უდაბურ ალაგას, არის ვინმეო?! გადასწყვიტა მისვლა, ვნახავ რა იქნებაო, და მივიდა. ნახა, რომ ამ ქოხში ერთი დედაბერი იყო.

დედაბერს გაუკვირდა და ჰკითხა: შვილო, აქ რამ მოგიყვანა ამ უდაბურს ადგილასაო. მართლაც, ისეთი უდაბნო იყო ეს ალაგი, რომ არავინა ცხოვრობდა, არც რა ითესებოდა, მთლად სილა იყო და მიწა არა.

— დედაშვილობას, — უთხრა ხელმწიფის შვილმა დედაბერს, — ბინა მომეცი. ღამე გავათიოო. დედაბერმა შეიწვია შინ და ცხენი გარეთ დაბა, ხურჯინები კი მოხადა და ქოხში შეიტანა. დაღამდა კიდეც. გამოხედა კიდევ ცხენს, მოუარა და უეცარმა სანახავმა შეაჩერა: ზღვაში ერთი დიდი სასახლე იყო და მთლად ბრწყინავდა; როგორც ცეცხლი, ისე ანათებდა. ძალიან შეშინდა ხელმწიფის შვილი, მაგრამ ბოლოს როგორც იყო, მოიკრიფა ძალ-ღონე. შევიდა დედაბერთან და ჰკითხა: ის რა არის, რომ ანათებს ზღვაშიო? — ეგ ოქროს სახლია, შიგ ხელმწიფის ქალი ცხოვრობს მზეთუნახავი, მრავალკეცი

საბურველი აქვს პირზე ჩამოფარებული, მაგრამ მაინც ეგრე ანათებს მისი სილამაზეო, — უპასუხა დედაბერმა. — როგორ ცხოვრობს, გვერდით ვინ ახლავს და როგორ შეიძლება მასთან ასვლა, გეცოდინება და მასწავლეო. — შეეხვეწა ვაჟი.

დედაბერმა უთხრა: როდესაც ხელმწიფე ცოცხალი იყო, აქ ქალაქი იყო გაშენებული. ხალხიც მრავლად ვცხოვრობდით და ეგ ქალი რომ ეყოლა, თილისმის მცოდნე პირები შეკრიბა და ეს სასახლე ასე გააჩერა ჰაერში დაკიდებული, ხმელეთიდან კიბე გააკეთებინა იმ სახლამდის და თვითონ იმით ადიოდა ქალთან. იმ კიბეს ათასი მეომარი იცავდა. არვის შეეძლო სხვას ასვლაო. ერთხელ აღელდა ზღვა და რაც სახლები იყო და ან ხალხი, სულ ზღვაში შეიტანა. მე ზევით, მთაზე ვიყავ წასული საზრდოს საშოვნელად და გადავრჩი. მას აქეთ აქ ვარ, არც სიკვდილი მეღირსა და ასე ვიტანჯები მარტოკა. იმ ქალს უფლიდან თუ საზრდო ეძლევა და ცხოვრობს, თორემ არა ვიცი რა. ის კი ვიცი, რომ ცოცხალია, რადგანაც ღამე ანათებსო. მეც ციდან მანანა მეძლევა და ვცხოვრობო.

ამ ხელმწიფის შვილმა ეს ამბავი მოისმინა, ისე წავიდა ფიქრებში, რომ იმ ღამეს თვალზე ძილი არ მოსვლია. მეორე დღეს წაიღო ცოტა ფული, შეჯდა ცხენზე და წავიდა. იარა, იარა და მიადგა ერთ ქალაქს. იქირავა ხურო, დურგლები, იყიდა ხის მასალა და მოიტანა. დაიყენა ოსტატები და გააკეთებინა კიბე. ოსტატებს ბევრი აჩუქა და სთხოვა: მე რომ ავალ, ეს კიბე დაშალეთ და ზღვაში ჩაყარეთო. გამოეთხოვა დედაბერს და ავიდა ქალის სახლში. კიბე ოსტატებმა დაშალეს და წყალში ჩაყარეს. ხელმწიფის შვილი ავიდა ბანზე და დაიწყო წინ და უკან სიარული. ქალს მოესმა ფეხის ხმა და დაუძახა: ვინ ხარ, რა სულიერი ხარ, აქ ვინ მოსულხარ, თავის დღეში აქ ადამიანს არ გაუვლია და შენ საიდან მოხვედიო?! — მე მამა-უფალმა გამომაგზავნა შენს ამხანაგადაო! — უპასუხა ვაჟმა.

ქალმა უთხრა: მე მამა-უფლისაგან მეძლევა საზრდო და თუ ახლა შენთვისაც გამოგზავნის, მართალი იქნება შენი სიტყვა, მანამდის კი მანდ გაჩერდიო.

გავიდა ცოტა ხანი და, მართლაც, სადილისათვის ორთავეს ტაბლა მოერთვა თავისი პურ-ღვინით.

მაშინ უთხრა ქალმა: მართლა მამა-უფალს გამოუგზავნიხარ ჩემს ამხანაგად, თორემ გაჩვენებდი, მოპარვით მოსვლა როგორც უნდოდაო. შეფიცეს, უსიკვდილოთ არ ეღალატათ ერთმანეთისათვის და დაიწყეს სადილობა. იცხოვრეს ერთად და უზრუნველად. ქალმა უჩვენა რვა ოთახი სულ სხვადასხვა სანახაობებით სავსე: ერთში იყო

ფრინველები და გალობდნენ ტკბილს ხმაზე, მეორეში იყო თუთიყუში და როგორც ადამიანი ისე ტიტინებდა, მესამეში იყო თვალმარგალიტი და ოქრო-ვერცხლი აუარებელი, მეოთხეში იყო სულ ჩასაცმელები ქალისა. ერთი თვითონ საცხოვრებლად ჰქონდა მდიდრულად მოწყობილი და დანარჩენს ოთახებშიც ბაღი იყო მოთავსებული ათასნაირ სხვადასხვა ყვავილებით და ხეხილებით. იმისთანა ხეხილები არსად იყო დედამიწაზე. იმისთანა ყვავილებიც იყო, რომ ლაპარაკობდნენ. ერთი ამბობდა: მე რომ შემჭამო, მოკვდები. მეორე ამბობდა: მე რომ მკვდარს დამადო, გაცოცხლდებაო. და სხვა. მეცხრე ოთახი არ აჩვენა და უთხრა: ნუ მთხოვ მაგის ჩვენებასო.

ერთხელ ქალს ეძინა და იმის უჩუმრად აიღო გასაღები და წავიდა მეცხრე ოთახის სანახავად. გააღო და შევიდა. რა შევიდა, გაოცდა: კიდევ პატარა ოთახი იყო შიგ. ისე გააოცა ამ სანახაობამ, რომ კარები ღია დასტოვა და მივიდა იმ პატარა ოთახის გასაღებად. გააღო თუ არა, ნახა ერთი ჩიტი ნისკარტით პერანგსა ქსოვდა. ჩიტმა რომ უცხო კაცი დაინახა, გაფრინდა და პერანგიც თან წაიღო. ვაჟი მივიდა დაღონებული და დაჯდა ქალთან.

გაეღვიძა ქალს. მაშინვე გაიგო საქმე რაშიაც იყო და უთხრა: თუ კი ეგრე გულით გინდოდა გენახა, მეტყოდი და გაჩვენებდიო. ის პერანგი რომ მცმოდა, თუნდ მთელი ქვეყანა შემბმოდა, ვერას დამაკლებდა ან ახლა კი მუდამ შიშსა და შეწუხებაში უნდა ვიყოთო.

ჩიტმა პერანგი რომ წაიღო, შორს, ტრიალ მინდორზე გაიტაცა და ერთ ალაგას დაუვარდა, თვითონ კი გაფრინდა.

გაზაფხული იყო. მწყემსებს ცხვარი მიუდიოდათ იალაღებზე. ერთ ღამეს ამ მინდორზე მოუხდათ ღამის გათევა და ცეცხლი კი არა ჰქონდათ. რომ აენთოთ. იყურეს აქეთ-იქით. სხვა მეცხვარეები თუ არიან სადმე. ცეცხლი მოვიტანოთო. დაინახეს შორს ცეცხლი და გაგზავნეს ერთი მწყემსი მოსატანად. რაჰდენად მწყემსი უახლოვდება. იმდენად გაკვირვება ემატება: ცეცხლი არ არის და ასე კი ანათებს. მეცხვარე შიშმა შეიპყრო, მაგრამ მაინც ცნობისმოყვარეობა აღეძრა და მივიდა ახლო. ნახა, რომ პერანგია. აიღო და წამოვიღა. მოაქვს და უხარია: ეს რა კარგი რამ ვიშოვე, ჩვენს ხელმწიფეს მივუტან და დამასაჩუქრებსო. მოვიდა ამხანაგებთან. გაჰკვირდნენ. ნაქსოვია, არც ნაქარგია, არც ხელით ნაკერი აქვს რამე. გაგზავნეს ეს მწყემსი ხელმწიფესთან და გაატანეს პერანგი. ახლა ხელმწიფე ჰკვირობს: ხელოვნური რამე არ არის, ცით მოწყვეტილი ჰგონია. შეატყობინა ნაზირ-ვეზირებს: გამიგეთ ეს რა უნდა იყოს, ამის ჩამცმელი ქვეყნიურია, თუ ცით არის მოწყვეტილიო. ვეზირებმა მოახ-

ხენეს: ბატონო, კაცები გავგზავნოთ და თუ ქვეყნიურია, მაინც გაიგებენ რამესო.

მწყემსი დაავიწყდა ხელმწიფეს, მაგრამ მწყემსს თავისი თავი არ დავიწყებია. ხელმწიფეს მოახსენა: რას მიბრძანებთ. ბატონო, პკრანგი წავიღო თუ თქვენა გნებავთო? გაიცინა ხელმწიფემ და დაესაჩუქრა. მერე გაგზავნა ყოველმხრივ კაცები: გამიგეთ, ვინ არის ამ ეს პატრონი და დიდად დაგასაჩუქრებთო.

წავიდნენ, მთელი წელიწადი ეძებეს, მაგრამ ვერსად რა გაიგეს. დაბრუნდნენ შინ დაღონებულები.

ხელმწიფემაც მოიწყინა, აღარც გამობრძანდა ხილვად სახელმწიფოსა. გასცა კიდევ ბრძანება: ვინც მიპოვის იმ ქალს. ჩემ სახელმწიფოს ნახევარს იმას დავუმტკიცებო. მაშინ მივიდა ერთი დედაბერი და მოახსენა: ხელმწიფე ადღეგრძელა ღმერთმა, რათა სწუხდებით აგრე, ერთი პატარა ნავი, ერთი ჩარექა ბანგი და ერთიც ღვინო მომეცით და მე მოვიყვან იმ ქალსაო.

გაუხარდა ხელმწიფეს, მისცა ყოველივე ეს და გაისტუმრა.

ჩააშვებინა ზღვაში ნავი დედაბერმა და წავიდა ზღვით. იმდენი იარა, რომ მივიდა იმ ქალის სახლთან და დაიწყო გარშემოვლა. ამ დროს ქალი და ვაჟი ბაღში დასეირნობდნენ და ზღვას გადმოხედეს, ნახეს — დედაბერი მაღლა იშვერს ხელებს: მიშველეთ, ამომიყვანეთ, ვიღუპებიო! ვაჟმა გამოარბენინა თოკები, ქალი არ უშვებს: ნუ ვინდა. არ ამოიყვანო, თორემ დავიღუპებითო. მაინც არ გაუგონა. ჩაუშვა და ამოიყვანა. გადარჩენისათვის დედაბერმა მადლობა შესწირა, ნავი კი ისე მოხერხებულად დაამაგრა სახლის კედელზე, რომ ზევიდგან არაფრის შიში არ მოელოდა და არც ქალსა და ვაჟს შეუმჩნევიათ რამე. იყო ამათთან, კარგი სამსახური გამოიჩინა, კარგის ამბებით ატკბობდა და ქვეყნიურს ამბებს უამბობდა.

ერთ დღეს გაახსენდა, რომ ჰქონდა ერთი ჩარექა ღვინო და ერთიც ბანგი. თვითონ ღვინო დალია და მათ კი ბანგი შეაპარა. რადგანაც ბანგისა და ღვინოს ჭურჭელი ერთმანეთს ჰგავდა, მათაც ვერ შეამჩნიეს და დალიეს. დაეძინათ ქალსაც და ვაჟსაც. ადგა ეს დედაბერი, გამოსჭრა ვაჟს ყელი, ქალი თოკით ჩაუშვა, თვითონაც თოკი სახლს მოაბა, ჩაეშვა ნავში, აუშვა და წავიდა. სწრაფად მივიდა ხელმწიფესთან ქალითურთ. აიყვანეს ქალი და იმისთვის მომზადებულ ოთახში დააწვინეს მძინარე. როდესაც გაეღვიძა ქალს, გაუკვირდა უცხო სახლში რომ ნახა თავისი თავი.

პირისფარეშებმა მოურბენინეს ამბავი ხელმწიფეს: გაიღვიძა ქალმაო. მასაც გაუხარდა და გაექანა ქალთან. ქალმა რომ უცხო კა-

ცი დაინახა, ამოიღო დანა ჯიბიდან და გულზე დაიდო: არ მოხვიდე, თორემ მოვიკლავ თავსაო! დაუწყო გამოკითხვა: მე აქ ვინ მომიყვანა, რა ჰქვია აქაურობას, ან შენ ვინა ხარო? ხელმწიფემ უთხრა: მე ამ ქვეყნის ხელმწიფე ვარ, შენ მოგიყვანა ბებერმა. შენი ქმარი მოკლა. ახლა მე უნდა შეგირთო ცოლად, შენი პერანგიც აქა მაქვს და როდესაც ჯვარს დავიწერ, მაშინ მოგართმევ, მანამდის კი მე მექნებაო. — კარგიო, — უთხრა ქალმა, — შენს ხელთა ვარ, რას გავაწყობ, მაგრამ ერთი წელიწადი ვადა მომეცი ვიგლოვო ჩემი ქმარი, არავინ შემოხვიდეთ ჩემთან, თუ ვინმე გაბედავთ შემოსვლას, თავს მოვიკლავო. მთლად შენს სახელმწიფოს შავები ჩააცვი და სახლსაც შავი გააკარიო.

ყოველივეზე დასთანხმდა ხელმწიფე, რაც ქალმა მოითხოვა.

როდესაც ვაჟს თავისი ძმები გაშორდნენ და სხვადასხვა გზით წავიდნენ, უფროსმა ვაჭრობაში ბევრი ფული მოიგო, მობეზრდა აქეთიქით სიარული და წამოვიდა ძმების შესახვედრად. რა მოვიდა ჯვარედინა ქვასთან, ბეჭედები ნახა. შუათანას გაუვლია და თავისი ბეჭედი წაუღია, უმცროსის იქვე არის. ადგა და წავიდა იმ გზით, რომლითაც უმცროსი იყო წასული. ბევრი სიარულის შემდეგ მივიდა იმ დედაბერთან და ჰკითხა: ამ ოთხი წლის წინათ ერთი ვაჟი წამოვიდა აქეთ და ხომ არა იცით რა იმისიო?

დედაბერმა რაც იცოდა, ყოველივე უამბო და ისიც, რომ რაც იმ ქალთან ავიდა, აღარა ვიცი რა და ეს ცხრა დღე იქნება აღარც სინათლე დამინახავსო.

ადგა ეს ხელმწიფის შვილი და წავიდა, დაიქირავა ხურო-დურგლები, მოატანინა მასალა, გააკეთებინა კიბეები და ავიდა. ავიდა და ნახა საუცხოო სასახლე მდიდრულად მოწყობილი, ნახა თავისი ძმა ყელგამოჭრილი ხრიალებს, თურმე სიჩქარით დედაბერს მთლად ვერ გამოეჭრა ყელი, სასულე ზედვე ჰქონდა. ადგა, დაიარა მთელი ოთახები, ნახა მშვენიერი ბაღი სხვადასხვა ხეხილით და ყვავილებით. ერთი ყვავილი იძახის: მე რომ მჭამო, მოკვდები, მეორე ამბობს: მე რომ მკვდარს დამადო, გავაცოცხლებო და სხვა. აიღო ამ ვაჟმა და მოსწყვიტა ეს ყვავილი, დაადო ძმას და, მართლაც, გაცოცხლდა გაახილა თვალი და ჩაილაპარაკა: რამდენი მძინებიაო. დაინახა თავისი ძმა, გაუკვირდა და ჰკითხა: როგორ მოხვედი. ან ქალი რა იქნაო. ძმამ თავისი მოსვლის მიზეზი აუხსნა, ისიც უამბო, თუ როგორ ამოვიდა, როგორ ნახა თვითონ ყელგამოჭრილი, როგორ გააცოცხლა და სხვა, — ქალი კი არ მინახავსო, — უთხრა. მაშინ გაახსენდა ყოველივე, ის დედაბერი იზამდა ყველაფერსო. თავის ბაღში შევიდა, ხის

კენწეროები დაჭრა, შეკრა კონად და წავიდნენ. ძმას უთხრა: წადი, ძმაო, სახლში, მე მანამ არ ვიპოვი, იმის გზაზე უნდა მოვკვდეო.

გაშორდნენ ერთმანეთს და წავიდნენ, დიდი — სახლში და პატარა—ქალის საძებრად. ბევრი ძებნის შემდეგ შევიდა იმ ქალაქში, ნახა სულ შავი აქვს გადაკრული, ქალსა და კაცს შავი აცვია და მზეც არ ანათებს რიგიანად. იკითხა მიზეზი და უამბეს: ხელმწიფემ ერთი ქალი მოიყვანა, ეს ქალი თავის ქმარზე არის მგლოვიარე და ყველას შავი ჩაგვაცვეს. არ იცინის, სულ დარდიანია და მზეც არ გვინათებსო.

წავიდა, ხელმწიფის კარზე ჩაიარა და დაიძახა: კარგი ნამყენების გაკეთება ვიცი, საუკეთესო ტოტები მაქვს, ხომ არ ინებებთო?! შეატყობინეს ხელმწიფეს. — მებაღედ აიყვანეთო! — ბრძანა ხელმწიფემ. ვაჟმა დაამყნო და ნამყენებმა ამავე ზაფხულს დაისხა საუკეთესო ხილი. ერთი კალათი აავსო მებაღემ ხილით და ხელმწიფეს მიართვა. გაუკვირდა ხელმწიფეს ხილის მშვენიერება და სიმსხოით ხომ არ ენახა არსად. აიღო და ქალთან გაატანა: იქნება ესიამოვნოსო. მებაღემ ქალის ფანჯარასთან რომ გაიარა, ქალმა მაშინვე იცნო და სიხარულით კარები გააღო. გაიხარეს. ჰკითხეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი. ქალმა უთხრა: რადგან თვალითა გნახე, ახლა გაგვიადვილდება ყოველივეო. ხელმწიფეს მოახსენეს: ქალს ძლიერ ეამა ხილი და მებაღე მიიღოო. ასე და ამრიგად დაიწყო ამ ვაჟმა ქალთან სიარული. ხელმწიფემ ნება მისცა ყოველდღე მიეტანა არჩეული ხილი და შეეთავაზებინა ქალისთვის.

ამათაც ის უნდოდათ. მოილაპარაკეს. ქალმა უთხრა: როდესაც წელიწადი შესრულდება, იმ დღით მომიტანენ ჩემს პერანგს. მე ვიტყვი, სანამ ჯვარს დავიწერდეთ, მინდა ერთი ბაღში გავიარო და თქვენის ჯარით ბაღის კარებში გაჩერდით, მე მარტოკა შევალ ბაღშიო. შენც იქ, რაც ხეები ამყნე, კენწეროები დააჭერ და მზად გქონდეს, გავშლი პერანგს, დავსხდეთ ზედ და გაგვაფრენს.

ასე, რა წელიწადი შესრულდა, ხელმწიფემ გამოუგზავნა პერანგი და სთხოვა: გამოდი, ჯვარი დავიწეროთო. ქალმა დააბარა: ერთი თხოვნა ამისრულეთ და დიდი სიამოვნებით, სხვას აღარას გთხოვო. მობძანდა ხელმწიფე: აბა, რასა მთხოვო? ქალმა უთხრა: თქვენ თქვენის ჯარით ბაღის კარებში გაჩერდით, მე მარტოკა შევალ ბაღში, ვნახავ იმ ხილს ზედ დასხმულს, რომელსაც აქამდის ყოველდღე მიგზავნიდი. მინდა ჩემის თვალით ვნახო, როგორ ასხია, დავტკბები მისი ყურებით და შემდეგ თქვენი ნებაა, მე წინააღმდეგი არა ვარ ქორწინებისაო.

ხელმწიფემ ნება დართო. ჩაიცვა ქალმა პერანგი, ხელმწიფე და ჯარი კი ჩადგა ბაღის კარებში. ქალი შევიდა შუა ბაღში. გაიხადა პერანგი. დაჯდა ზედ, მებაღეც გვერდით მოისვა და უთხრა პერანგს: აბა ამწი და ჩემს სასახლეში მიმიყვანეო. პერანგი აიწია და მაღლა-მაღლა გაფრინდა.

დარჩნენ ხელმწიფე და მისი ჯარი პირდაღებულები.

ქალ-ვაჟი მივიდნენ თავიანთ სახლში, რაც საუკეთესო რამ ჰქონდათ, თან წაიღეს, ის კეთილი დედაბერიც არ დაივიწყეს, თან წაიყვანეს და წავიდნენ ძმებთან. შეექმნათ დიდი სიხარული და დაიწყეს მხიარული ცხოვრება.

მანამ ესენი მივიღოდნენ, დიდ ძმებს აეშენებინათ ახალი სახლები. იცხოვრეს გაუჭირვებლად და ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ორმოცშვილიანი ხელმწიფე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ორმოცი ვაჟიშვილი. თვითეული მათგანი ერთმანეთზე თითო წლით იყვნენ უფროსი (წინანდელ დროში ხალხი ორას წელზე მეტხანს ცოცხლობდა. სამოცი წლის კაცი მაშინ ვაჟკაცად ითვლებოდა). მოისურვა ამ ხელმწიფემ თავის შვილების დაქორწილება. მოიხმო ნაზირ-ვეზირები და უთხრა: ვფიქრობ ჩემი შვილების დაქორწილებას და რას იტყვითო? თუ სხვადასხვა ოჯახიდან მოვიყვანე რძლები, ვერ მორიგდებიანო. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, ბოლოს ხელმწიფემ თქვა: ვივლი ქვეყანაზე და ვიპოვი ისეთ კაცს, რომ ორმოცი ქალი ჰყავდესო. ნაზირ-ვეზირებმა უთხრეს: თქვენი საქმეა, ჩვენ რაში გავერევით, როგორც გინდათ, ისე მოიქეცითო. თავის ნაზირ-ვეზირებში ერთი-ორი კაცი აირჩია. გაიხადეს თავიანთი ტანისამოსი როგორც ხელმწიფემ, ისე ვეზირებმა. ჩაიცვეს სულ უბრალოდ: წავიდეთ და დავიაროთ ქვეყანა, სადაც შევხვდებით, იქ დავნიშნავთ შვილებსო. იმავ დღესვე შეემზადნენ სუყველაფრით, საგზალი ჩაილაგეს. გათენდა დილა. მშვიდობის დილა გაგითენდათ! ცხენებს მოუჭირეს შვიდ-შვიდი მოსართავი. მოასხდნენ ცხენებს მამლებივით; ხივებში წყალივით, მთებში ქარივით, გაუდგნენ თვალუწვდენელ ტრიალ მინდორს.

გაჰკრეს უზანგი თავის ტაიჭებს. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ეს ღმერთმა იცის, ჩავიდნენ ერთ ქალაქში, სხვათა სახელმწიფოს ქალაქში. იკითხეს, სად არის სასტუმრო დარბაზიო? მიასწავლეს, რომ შავან ქუჩაში არისო. მივიდნენ, შევიდნენ და მოთავსდნენ იქა. ეს სასტუმრო ეკუთვნოდა ერთ მდიდარ კაცს, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა სასახლეში. ამათ მოითხოვეს საჭმელი, მიართვეს, პატარა ხანს იმუსაიფეს. ესმით რაღაც მუსიკის ხმა, რაღაც საკრავებისა. ამ დროს შემოვიდა მსახური. შეეკითხნენ: ეს რა მუსიკა ისმის ამ სასახლეშიო. მსახურმა უპასუხა: ამის პატრონს ორმოცი ქალიშვილი ჰყავს. ისინი ყოველდღე კარგა შუაღამემდე ერთობიან და მერე მიდიან დასაძინებლადო. ხელმწიფეს გულში ჩაანათა ამ სიტყვამ: გვიან დავიწყეთო და მალე ვიპოვეთო. ხელმწიფემ უთხრა: წადი და ამ სასტუმროს პატრონსა სთხოვე ჩვენთან მოვიდესო. წავიდა და დაუძახა თავის პატრონს. ვიდრემდის ის მოვიდოდა, ხელმწიფემ და ნაზირ-ვეზირებმა დაიწყეს თათბირი: აბა ყოჩაღობა და ვაჟკაცობა ახლა უნდა გამოვიჩინოთო. ამ ლაპარაკში იყვნენ. რომ სასტუმროს პატრონიც შემოვიდა ოთახში. სალამი მისცეს. ხელმწიფეს უბრალო ტანისამოსი აცვია. ამათ ნელ-ნელა დაუწყეს ლაპარაკი, დაწვრილებით ათქმევინეს ყველაფერი: ორმოცი ქალი მყავს, ვაჟი არაო. ხელმწიფემ უთხრა, დავმოყვრდეთო, ორმოცი ვაჟი მე მყავსო. ამ კაცს გაუკვირდა ეს ამბავი. მერე უთხრა: არ შეიძლება რამე საბუთი მაჩვენოთ, რომ ორმოცი ვაჟი გყავთო, რომ თქვენი ვინაობა ვიცოდე, ვინა ბრძანდებით. მაშინ უთხრეს: თუ შეიძლებოდეს ხუთი წუთი გვადროვეთ და მერე გვნახეთო. ხუთი წუთის შემდეგ ნაზირ-ვეზირებმა და ხელმწიფემ ჩაიცვეს ისევ თავიანთი ტანისამოსი, შებრუნდნენ და დაალაგეს საბუთები. კაცს შეეშინდა: ვისთანა მაქვს საქმეო. თუ იკადრებთ და მოისურვებთ, დიდი სიამოვნებით დავთანხმდებიო. მე ჩემ თავსაც ბედნიერად ვთვლი, რომ ხელმწიფის მოყვარე გავხდებიო. ახლა ამ ხელმწიფემ უთხრა: არ შეიძლება ჩემი მხლებლებით წამოვიდე და ვნახო თქვენი ქალთა კრებაო? — რატომ არ შეიძლება, მხოლოდ ათი წუთის შემდეგაო.

გამოვიდა ეს კაცი, ჩამოვიდა თავის სასახლეში. ამ ქალებს გაუწყვეტინა ხმა და უთხრა: მე ესა და ეს ხელმწიფე მეწვია. იმასაც ორმოცი ვაჟი ჰყოლია და თქვენ მათ უნდა მიგცეთო. ახლა მოვა და თქვენ მწკრივად დადგებითო. თუ მოგეწონებათ, თანხმობა გამოუცხადეთ. თუ არადა, მე რა ძალა მაქვსო. ქალებმა, მართლაც, სუყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც უთხრა. დარბაზის კარები გაიღო თუ არა, ქალები რიგში გაჩერდნენ, სალამი მისცეს. მოეწონათ.

— ბედნიერად ვცნობთ ჩვენ თავსო, მხოლოდ ჩვენ გვინდა, რომ მათი სურათები ვნახოთო. ამოიღო ხელმწიფემ და გადასცა თავისი შვილების სურათი. სათვალავი ჩამოუთვალეს, მართლაც ორმოცი იყვნენ. მაშინ მიუთითეს მამამისს, რომ ნება ჰქონოდათ, როგორც მამამთილისთვის, ხელმწიფისთვის ნიშანი ჩამოერთმიათ. მამამ ნება მისცა. ხელმწიფემ ყველას ბეჭდები შეუცვალა. იმ ღამეს იქეიფეს, დროება გაატარეს და ილაპარაკეს, თუ რა დროს შეიძლებოდა მათი ქორწილი. ქალების პატრონმა უთხრა: დიდებულო ხელმწიფევ, ჩვენ ასე ადრე არ შეგვიძლიაო. სამი დღე იქეიფეს. გადაწყვიტეს, რომ ორმოცი დღის შემდეგ ქორწილი იქნებოდა. დაასრულეს ქეიფი. გამოემშვიდობნენ ახალ მოყვარეს და წამოვიდნენ სახლში. რამდენიმე ხნის შემდეგ მიაღწიეს თავის ციხეს. ტახტზე იჯდა ხელმწიფის მაგიერ უფროსი ვაჟიშვილი. რომ მოვიდნენ ქალაქის დაახლოებით, შიკრიკის მაგიერ გაუგზავნეს ერთი მეცხვარე: მიხვალ, მოულოცავ ხელმწიფეს, რომ მამაშენი მოდის თავის ნაზირ-ვეზირით და დაუნიშნიხართ კიდეცაო. ეს ხელმწიფე სიხარულით რამდენიმე მანეთსაც აჩუქებს და გამოისტუმრებს მეცხვარეს.

თვითონ თავისი ამალით მიეგებნენ მამას, ხელმწიფემ მოიხმო ორმოცი შვილი თავის ნაზირ-ვეზირით და უთხრა: ქორწილი გვექნება და გადასაწყვეტია — ტახტზე ვინ ავაო. უფროსმა შვილმა ხელმწიფობა არ ინდომა. ადამიანი დაბადებულია ორი დღისთვის: პირველი — სიმხიარულისთვის და მეორეც — სიკვდილისთვის. ჩვენ რომ არ დავკარგოთ ეს ორი დღე, უარს ვამბობთ ოცდაცხრამეტი შვილი. დარჩა უმცროსი შვილი. ახლა იმასა ჰკითხა. მან ასე გადაწყვიტა: მე რომ უარი ვთქვა, არ ივარგებსო, მაგრამ ჩემი საცოლე ისე წამოიყვანეთ, ცივი ნიავი არ მიაკაროთო. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა, რომ უმცროსი შვილი ტახტზე რჩებოდა. პირობა დასდო, ცოლს მოგიყვან ისე, რომ ნიავსაც არ მივაკარებთო. გაუდგნენ გზასა. ჩავიდნენ იმ ქალაქში, სადაც მათი საცოლეები იყვნენ. მოჰყვნენ ქორწილს. ოცი დღე-ღამე სულ ქორწილ-ქეიფია, სასმელი, საჭმელი იმდენი, რომ ლაპარაკი აღარ უნდა. თითო ქალს გამოატანა ორი აქლემი საპალნე მზითევი. ოთხმოცი აქლემი გამოიმძღვარეს და მოდიან. ხუთი დღე რომ იარეს, ერთ დიდ ღელეში ჩამოდგნენ. დაღამდა. ძნელი იყო იმ ღელეში გამოსვლა, იპოვეს ერთი ვაკე. ჩამოხტნენ და იმ ღამეს იქ მოისვენეს. განთიადისას გამოვიდა ხელმწიფე და ნახა, რომ ალყა შემორტყმოდა კარავებს გარშემო. გუნება გადმოუტრიალდა. შიშით თავზარი დაეცა და გააღვიძა თავის ნაზირ-ვეზირები და უთხრა: ადექით, კარში გაიხედეთ, რა ხდებაო! გავიდნენ და ნახეს

გველეშაპი შემოვლებია, კუდი თავზე გადაუდვია და დევს. ამ თავისი ნაზირ-ვეზირიდან ბელადმა გაიფიქრა: ახლა ჩვენი საქმე უნდა მიდგეს ძალაზე. გზა უნდა გავკაფოთო. ეს გველეშაპი გულთმისანი იყო. გაიგო ყველაფერი და უთხრა: შენ ძალის იმედი ნუკი გაქვს, რაღაც იარაღები რომ ჩამოგიკანტურებია, ერთი კუდი რომ შემოგისვათ, თქვენი მტვერიც აღარ იქნებაო. მხოლოდ მე პატიოსნად, ადამიანურ ენაზე გეტყვით ერთ რამეს და თუ შემისრულებთ, გაგისტუმრებთ. თუ არადა, სხვანაირად მოგექცევითო. მაშინ ამ ბელადმა უთხრა: ბრძანე და შეგისრულებთო.

გველეშაპმა დაიწყო: თქვენ მოგყავთ ორმოცი სარძლო. ოცდაცხრამეტს ქმარი გვერდში ჰყავსო, იმ ოცდაცხრამეტს გზას ვაძლევ თქვენთან ერთად, მხოლოდ მე დამიტოვებთ იმ უქმრო რძალს თავის კარვით, გამომიგზავნით მის ქმარს და რაც რომ სალაპარაკო მაქვს, მას ვეტყვიო. წამოვიდა ბელადი, დაუკრა თავი ხელმწიფესა და უთხრა: საქმე ასე არისო. თუმც დიდად შეწუხდა ხელმწიფე, მისი დატოვება დიდად ეძნელებოდა, ამასთანავე სწუხდა, რომ ოცდაცხრამეტი ახალი საქორწილო ადამიანი ერთად იღუპებოდა და მათთან ამოდენა ჯარი-ჯამაათი. იფიქრა: ისევ ერთის დაღუპვა სჯობს, ვიდრე ათასისა. დიდად უძნელდებოდა გამოეცხადებინა ეგ თავისი უმცროსი რძლისათვის, მოიკრიფა ძალ-ღონე და გაუბედა თავის რძალს: საქმე ასე არისო, რომ შენ უნდა დარჩე გველეშაპთანაო, ვიდრემდის შენი ქმარი მოვიდოდეს და წაგიყვანდესო. ამ ქალს ამოუჯდა გული, ბევრი იტირა, მაგრამ მაინც მოიფიქრა საბოლოოდ, რომ ალბათ მარტო მე ვარ განწირული, რომ ერთი ვიყვე ათასის საღვთოო. მივიდა ეს ქალი გველეშაპთან, თავი დაუკრა და თანხმობა გამოუცხადა: მე ვრჩები აქა ჩემი კარვით და გთხოვ დანარჩენებს ნება მისცე წავიდნენო. გველეშაპმა გადიქნია კუდი და ყველა წყნარად გადიოდა იმ ალყიდან გარეთ. თვალცრემლიანი ეუჟუნა ქალი რჩებოდა მარტო კარავში. საბოლოოდ გამოემშვიდობა ხელმწიფე, გაიარა თვითონაც.

გველეშაპმა კვლავ შემოარტყა ალყა და გადადო კუდი თავზე. ეს ქალი დარჩა მარტო. ესენი გაუდგნენ თავიანთ გზას. ერთ დღესაც ჩავიდოდნენ ესენი თავიანთ ქალაქში. შიკრიკები გაგზავნეს. ახალგაზრდა ხელმწიფე დაუხვდა თავის ჯარით-ჯამაათით, სამოცდაათი მოლა-მუდურით და ასი მღვდლით, დაირა-მუსიკით შეხვდნენ ქორწილობას. მოიწვიეს, რასაკვირველია, იმ დარბაზში, სადაც უნდა ქორწილი გადაეხადათ. ამ ახალ ხელმწიფეს, ჯეელ ვაუკაცს თვალები უბრწყინავდა: საცაა დავინახავ ჩემ საცოლესაო, მაგრამ ვერ-

სად მოჰკრა თვალი. ყველა რომ თავთავის ადგილზე დასხდნენ, გა-
მოელია მოთმინება ამ ახალგაზრდა ხელმწიფეს, მოვიდა, თავი დაუკ-
რა მამა-ხელმწიფეს და მოწიწებით ჯერ მიულოცა შვილების ბედნი-
ერება, მერე მიულოცა თავისი თავის მოტყუება, რომ მე ცოლი არ
მომიყვანეო. ამ ხელმწიფეს ასეთი აზრი ჰქონდა, ჩემი შვილი რომ
წავიდეს, შეიძლება გველეშაპმა გააფუჭოსო და იცრუა: შვილო,
სანამ ჩავიდოდით, შენი ცოლი გარდაცვლილიყო, ახლა ისეთი ქალი
უნდა მოგიყვანო, რომ ამნაირივე ქორწილს გადაგიხდი მარტო შენაო,
როგორც ახლა ყველასაო. ამ ბიჭმა პასუხად მისცა: წავალ იქ, სა-
დაც ჩემი ცოლია, რა საფლავშიც წევს, მეც იქ ჩავწვებიო. მაშ. მე
ბედი არა მქონია, რომ ორმოცში მარტო ჩემი ცოლი გარდაიცვა-
ლაო. მამა ბევრს ემუდარა, მაგრამ იმისმა ლაპარაკმა ამაოდ ჩაიარა,
ბიჭი მაინც თავისას გაიძახოდა. ხელმწიფემ დახედა, რომ ვერაფერი
გააგონა, მაშინ დაჯდა და ყველაფერი უამბო. ამ ბიჭმა არც ქორწილს
მოუცადა, არც არაფერსა და გაუდგა თრიალეთის მთებსა. ნიავ-ქა-
რივით მიჰქროდა, გული არ უთმენდა, როდის მიაღწევდა თავის
სატრფოს. ბოლოს მიაღწია თავის მიზანს, მივიდა, თავის სატრფოს
კარავი დაიხახა, მიუახლოვდა, ნახა, რომ გველეშაპის ალყა ისევ
არტყია, როგორც უამბო მამამ. სალამი მისცა და უთხრა: მე ის ვა-
ჟი ვარ, რომელსაც სატრფო მელის ამ თქვენ ალყაშემორტყმულ კა-
რავშიო. გველეშაპმა გადაიღო ბოლო, გააღო კარები და უთხრა:
მიბრძანდი შენ საცოლესთანაო. შევიდა ეს ვაჟკაცი, ხელმწიფის შვი-
ლი მიესალმა თავის ცოლს, გადაეხვივნენ, გადაჰკოცნეს. გველეშა-
პის სიტყვით, სამი დღე მათ უფლება ჰქონდათ უდარდელად დროე-
ბა გაეტარებინათ. სამი დღე რომ შეუსრულდათ, მოიხმო ეს ვაჟკაცი,
უთხრა, რომ ქაჯეთის ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, იმ
ქალს მე მომიყვან და მერე შენ საცოლეს წაიყვანო. რას იზამდა ბი-
ჭი, დასთანხმდა.

გამოემშვიდობა ეს ბიჭი ცოლსაც, გველეშაპსაც და წავიდა.
ზღაპარში ადვილად ითქმის, მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რამდენი გაიარა.
იარა, იარა და მივიდა ერთ ღელეს თან. გზაზე ერთი ლომი იწვა. იმის
ხმით არემარეს ზანზარი გააქვს. ამ ბიჭმა იფიქრა: მე რომ გავიარო,
ეს ლომი მავნებს რამეს. ლომი წევს და ვერა დგება, თურმე უკანა
ბარძაყში მუწუკი გასჩენია, ჩირქი ჩასდგომია და აწუხებს, ის აღ-
რიალებს. ბიჭმა მოიმარჯვა მშვილდისარი. ესროლა და კოკობად
სწორედ იმ მუწუკში მიარტყა, მოარტყა და მუწუკიდან იარამ გად-
მოჩქეფა. მორჩა ლომი. ალაპარაკდა ადამიანის ენაზე და დაიძახა: ვი-
ნა ხარ, რა ადამიანიშვილი, გამოჩნდი და სიკეთეს გადაგიხდიო. გა-

ბედვა მიეცა ვაჟკაცს, დაუდგა წინ ლომსა: შენ იყავ ჩემი მკურნალიო? რასაცა მთხოვ, შეგისრულებო. — ჩემი სათხოვარი ის არის, რომ მივდივარ ქაჯეთის ხელმწიფესთან და თუ შეგიძლია შემწეობა, იქ აღმომიჩინეო. — შემაჯექ ზურგზეო, მე მიგიყვან იქამდე, სადაც ჩემი საზღვარიაო. წამოახტა ეს ბიჭი ზურგზე. ლომმა მიიყვანა საზღვრამდე და უთხრა: დაადგები ამ გზასა და ჩახვალ იქა. როცა დაგჭირდები, აი, ეს ჩემი ბალანი, დაადე ტალკვესზე და ჩამოჰკარი, ახსენე ჩემი სახელი და იმავე წუთს იქ გავჩნდებიო.

ბევრი იარა, მივიდა ერთ წყაროსთან. ამ წყაროს სიახლოვეს იდგა ერთი დიდი ნაძვის ხე. ამ ხეზე ჰქონდა გაკეთებული ბუდე უზარმაზარ არწივს. ამ არწივს ბუდეში ჰყავდა წყვილი მართვე. შვიდი წელიწადი ბარტყებს ჩეკავდა, ის-ის იყო უნდა დაეფრინა, ნახავდა რომ აღარ არიან. ის ვაჟკაცი სწორედ იმ დროს მიესწრო, როცა გველთა-გველვეშაპი დაეშვა ზემოდან და უნდოდა გადაესანსლა არწივის ბარტყები. ბარტყებმა ასტეხეს დიდი ვაი-ვაგლახი. ამ ვაჟკაცს შეჰბრალდა, გაუშალა მშვილდისარი, სტკიცა შიგ თავში. გველვეშაპი დაეშვა ძირსა. დაეშვა ძირსა და ამ დროს მიჰყვა და აკაფა სულ ერთიანა და მიყარა იმ ხის ძირში მისი ლეში. ვაჟს სწორედ ამ დაღალვაში მოერია ძილი და დაეძინა. არწივმა იდროვა, სანადირო-დან უკან დაბრუნდა თავის ბახალებისკენ და რა დაინახა ხის ქვეშ მიგროვილი რაღაც ლეში და მასთან ერთად მწოლარე ადამიანის შვილი, დაეშვა ზემოდან, უნდა დაეფლითა, როგორც გულმოკლულს, ამ შვიდი წლის განმავლობაში თავისი გამაუბედურებელი. ამ დროს შვილებმა მოჰკრეს თვალი, გადაეღობნენ დედას და თავის ენაზე აუხსნეს, რომ ის იყო მათი მხსნელი. მადლობის სამაგიეროდ არწივმა მოიფიქრა: მზის ქვეშ მწოლარე კაცი რომ მზემ არ დასიცხოსო, გადააფარა თვისი ფრთები კარავივით და მოთმინებით უცდიდა, თუ როდის გამოიღვიძებდა. ცოტა ძილის შემდეგ ბიჭმა გაიღვიძა, აიხედა მაღლა და დაინახა, რომ რაღაც შავი კარავივით ადგია თავზე. შეიშმუშნა, დაპირა წამოდგომა, კიდევ გული შეეცვალა და შეშინდა, თავი ისევ ძირს დადო. ეს არწივმა შენიშნა და უთხრა: ადამიანის შვილო, ნუ გეშინია, ითხოვე, რაც შემიძლია, ყველაფერ საშუალებას აღმოგიჩენო. ვინაიდან ჩემი შვილები შენ გადაარჩინე სიკვდილს, ამისათვის პირველად დიდ მადლობას გიძღვნიო, შემდეგში გთხოვ იმას, რომ არ დამიმალო, გულახდილად მითხრა შენი აქ მოსვლის მიზეზიო. წამოდგა ეს ვაჟკაცი, დაიწყო ის, რაც უკვე ვთქვით, ვიდრე არწივამდე მოვიდოდა: უნდა წავიდე ქაჯეთის ხელმწიფესთან და ერთი მზეთუნახავი ქალი რომ ჰყავს, ის უნდა წამოვიყვანო საცოლედაო.

არწივმა უთხრა: აბა დამაჯექ ზურგზე, დახუჭე თვალები და გავფრინდებიო. მართლაც. ვაჟი ასე მოიქცა, შემოაჯდა არწივს ზურგზე, დახუჭა თვალები, აიწია არწივმა და გასწია. ჩაიყვანა იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობდა ქაჯთა ხელმწიფე. ჩამოჯდა ძირს და უთხრა ვაჟს: გააღიე თვალებიო. აი, ეს არის იმ ქაჯთა ხელმწიფის ქალაქი, რომელსაც შენ ეძებდიო. კიდევ შეიძლება ჩემი თავი დაგჭირდეს. აიღე ეს ფრთა და რა წამს ახსენებ ჩემ სახელს, უმალ იქ გავჩნდებიო. დაემშვიდობნენ ერთმანეთს, არწივმა გასწია თავის ბარტყებისკენ, ბიჭმა კიდევ ქალაქისკენ.

ბევრი იარა. თუ ცოტა, მივიდა ერთ ბებერ ქალთან. სალამი მისცა და უთხრა: თუ შეიძლება ამაღამ მისტუმრე, დედიო.—არა შვილო, არ შემიძლია. მე ერთი ოთახი მაქვს, ჩემ თავსაც ძლივს ვიფარავო.—არა უშავს რა, დედი, მე ფული მაქვს, არ შეწუხდებიო. დედაკაცმა რომ ფულის სახელი გაიგონა, უფრო გამაგრდა: იქნება რამე დავტყუო ამ კაცსაო. ვაჟმა გაიმეორა, ჯიბეს გაიკრა ხელი, ერთი ბღუჯა ოქრო ამოიღო და აჩუქა. ამ ქალმა სიხარულით აღარ იცოდა როგორ შეეპატიჟა, მობრძანდითო. შევიდა სახლში ეს კაცი, მიიხედ-მოიხედა და ნახა. რომ მართლა ერთი პაწია ოთახი აქვს, როგორც ქალაქში მაცხოვრებელ ადამიანს. ბებერმა ჩაი გაუკეთა, ივახშმეს კარგად, დაწვნენ და დაიძინეს

გათენდა დილა. მშვიდობის დილა გაგითენდეთ! დაიბანეს პირი. ამ ვაჟმა დაუწყო კითხვა: აქ ვინ არის ხელმწიფედ, რა ჰყავს. ქალი თუ ჰყავს გასათხოვარიო? ამ ბებერმა უთხრა: მერე რაში გეკითხება, გასათხოვარი ქალი ჰყავს თუ არაო?—მე, დედი, ხელმწიფის შვილი ვარ და იმ ქალის ცოლად თხოვა მინდაო. — ეე, შვილო, შენისთანა ხელმწიფის შვილების თავი ბევრი გაუგორებიაო. ერთიც შენ იქნებიო.—არა, დედი. მე ისე არ მოვიქცევი, მე ის ქალი თან მინდა წავიყვანო და არა ჩემი თავიც აქ დავტოვოო. შენ მხოლოდ მასწავლე მისი სახლი სად არის და ქალი რომელ ოთახში ჰყავთო. ამ ბებერმა ქალმა უთხრა: მე დახეულ-დაგლეჯილი ბებერი ვარ, ქუჩაში ვერ გავიელი და ვერც გასწავლიო. მაშინ ვაჟმა უთხრა: წამობრძანდი. წაგიყვან მკერავთან. ერთ ხელ კარგ ტანისამოსს შევაკერინებ შენთვისო.—დიდი სიამოვნებითო. ქალს გაუხარდა. ადგნენ ორთავენი და წავიდნენ. მისცეს შეკვეთა ერთი ხელი ტანისამოსისა, ისეთი როგორც ეკადრებოდა ხელმწიფის ხიზანს. ამ ქალმა რომ ჩაიცვა ეს ტანისამოსი, გადიხედა კუდზე. გაიპრანჭ-გამოიპრანჭა და თავისი თავი ვიღაც მშვენივრად სცნო. გადუხადა მადლობა მკერავს და წამოვიდნენ შინ. შინ რომ მოვიდნენ, ამ ვაჟმა მაშინ უთხრა: აბა გაემზადე, დედი, წა-

ვიდეთ, ქუჩაში გავიაროთო. — რის წასვლა, რის წამოსვლა, რის დედი. ძლივს გაიხსნა ჩემი ბედიო. შენი საფერი პირდაპირ მე ვარო. მე ბებერი კი არა ვარ, ნუზლისაგან დამცვივნია კბილებიო. მაინცდა-მაინც ბიჭის გავლენამ მეტად იმოქმედა, ვიდრე ამ ბებრის ლაპარაკმა. ადგნენ და წავიდნენ. გაიარეს ქუჩაში და უთხრა: აბა შეხედე, ეს არის ხელმწიფის ქუჩა, აიხედე, აი, მეთორმეტე სართულში. მიიხედ-მოიხედა ამ ვაჟკაცმა, დაათვალიერა კარები, სანათურები და დაბრუნდნენ სასახლისაკენ. რომ დაბნელდა, ეს ვაჟკაცი გამოვიდა ხელმწიფის სასახლესთან, ამოიღო არწივის ფრთა და ახსენა არწივის სახელი. ნახევარი საათის შემდეგ არწივი დაიბადა მასთან და უთხრა: რა გაქვს ისეთი გაჭირვება, რომ დაგეხმაროო? ვაჟმა უთხრა: ჩემი საქმე ასე არისო: მეთორმეტე სართულზე უნდა ამიყვანო და სანამ მე დავბრუნდებოდე, უნდა დამხვდეო. არწივმა და ვაჟმა იცადეს იქამდე, მანამ იქ ხმა მისწყდებოდა და დაიძინებდნენ. მერე არწივმა შემოისვა ზურგზე და აფრინდა მეთორმეტე სართულზე. სანათურით გადახტა ვაჟი ოთახში, ნახა, რომ ქალს სძინავს, ერთი ოქროს შანდალი თავით უდგას და ვერცხლისა ფეხთით. ფეხთითა შანდალი გადადგა თავთან, თავთითა ფეხთით შეუცვალა, ერთი მსუბუქადაც აკოცა და გადმოხტა სანათურიდან. მოიხმო არწივი და ჩამოხტა ძირს. მოვიდა კიდევ თავის ბებერთან, გაათია ღამე, დილით კიდევ ადგა გაიარ-გამოიარა.

გოგომ გამოიღვიძა დილით: შეცვლილა სანთელი ერთი მეორის ადგილს. წყრომით დაუძახა თავის მოსამსახურე ქალებს: რომელმა გამოსცვალეთ ჩემი შანდლებიო. ქალებმა პასუხის მაგივრად ტირილი დაიწყეს და მოახსენეს, როგორ გავბედავდით, შენს ნებადაურთველად შემოვსულიყავით და ეგ მოგვემოქმედაო. ბევრი იფიქრეს. შემდეგ ასე უთხრა თავის თავს: შეიძლება წუხელ ეგრე დავტოვეო. სამი ღამე ამ ანგარიშით იქცეოდა ეს ვაჟკაცი. ქალმა ვერასგზით ვერ დაიჭირა ქურდი. მეოთხე ღამეს მოიმძინარა თავი. ვაჟი კიდე გადახტა სანათურიდან და მას ჰქონდა ბოთლით დადგმული ღვინო ოქროს ჭიქითა. დაისხა ერთი, გადაჰკრა და როცა ჭიქა დადგა მაგიდაზე, ამ ქალმა ხელი წაატანა და მაჯაში წაავლო. ვაჟი შეკრთა, მაგრამ სწორედ მაშინ თქვა: ახლა კი მივაღწიე ჩემს მიზანსო. ნაცვლად იმისა, რომ ქალს დაეყვირა, ჩუმად ჰკითხა: შენ ვინა ხარ და რამ გაგაჩინა აქაო? ამ ვაჟკაცმა უპასუხა: მე ვარ ხელმწიფის შვილი და მსურს შენი შერთვაო.

სწორედ ამ ქალსაც მოეწონა ეს ვაჟი. მანაც გამოუცხადა სურვილი, გადაეხვივნენ ერთმანეთს, გადაჰკოცნეს და ფიცი დასდეს: სიკვ-

დილამდე შენ ჩემი ხარ და მე შენიო. ქალმა სამაგიეროდ უთხრა: ეს რომ გაგვიგოს მამაჩემმა, შენც მოგკლავს და მეცაო. ვაჟმა ჰკითხა: მაშ, როგორ მოვიქცეთო? — აი, შენ ხვალ ვინმეს გაგზავნი მამაჩემთან მოციქულადაო, გამოუცხადებს შენს სურვილს და მამაჩემი დაგავალებს ისეთ რამეს, თუ ვერ შეასრულე, მოგკლავსო. თუმც არ უნდოდათ დაშორება, მაგრამ განთიადმა მოატანა და უნდა დაშორებულიყვნენ. წამოახტა თავის არწივს ზურგზე და ჩამოიყვანა ძირს.

არწივი წავიდა თავის ბარტყებთან, ვაჟი კი წავიდა ბებრის სახლში. ბიჭმა ბებერს გამოუცხადა, რომ მოციქულად უნდა გაგგზავნო ხელმწიფესთანაო. ამ ბებერმა, თუმც უარის თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ გაუბედა და ჰკითხა: როგორ უნდა მივიდე მოციქულადაო? ვაჟმა უთხრა: მასა აქვს თავის ეზოში სამოციქულო ქვა, ჩამოჯდები იმ ქვაზე და თვითონ დაგინახავენ და მიგიწვევენო. მართლაც, ბებერი ეგრე მოიქცა. შევიდა ხელმწიფის ეზოში და ჩამოჯდა სამოციქულო ქვაზე. დაინახეს კარისკაცებმა, მოახსენეს ხელმწიფეს, რომ სამოციქულო ქვაზე ვიღაც უცხო ქალი ჩამომჯდარაო. ხელმწიფემ მაშინვე უბრძანა, რომ მიეყვანათ მასთან. წავიდნენ კარისკაცები. დაუძახეს, მოიყვანეს ხელმწიფესთან. ქალმა სალამი მისცა ხელმწიფეს და ხელმწიფემ ჰკითხა: რა გსურს, ან რისთვის ჩამომჯდარხარ ამ საელჩო ქვაზეო? პასუხად ბებერმა ქალმა მიუგო: ჩრდილოეთის ერთი ხელმწიფის შვილი ჩამოსულა თქვენი ქალის სათხოვნელად და თუ შეიძლება ინახულოთ ვაჟი და მიათხოვოთ თქვენი ქალიო. ხელმწიფეს ძალიან ეწყინა, რომ ვიღაც ბებრუხუნამ გაბედა მასთან ელჩობა და ბრძანა: ეს ბებერი წაეყვანათ და ჩაეგდოთ საყინულეში. მართლაც, კარისკაცებმა მოკიდეს ხელი და გაამგზავრეს ორმოცსაფეხურიან სარდაფში, სადაც ყინულს ინახავდა ხელმწიფე. გაგზავნა მერე კაცები, ჰკითხეთ სად არის მაგის სახლიო. იკითხეს მისი ეუჩა-სახლი კარისკაცებმა, გაიგეს სად ცხოვრობდა, მოვიდნენ მეფესთან და უთხრეს: ამა და ამ ქუჩაზე ცხოვრობს ის კაციო. გაგზავნა თავის კარისკაცები და მოაყვანინა ის ჩრდილოეთის ხელმწიფის შვილი. ჰკითხა ვინაობა. — მე ვარ ჩრდილოეთის ხელმწიფის შვილი, გამიგონია თქვენი ქალის სილამაზე და თუ თქვენი ნება იქნება, მე მსურს რომ ვითხოვო თქვენი ქალი. ხელმწიფემ უპასუხა: დიდი სიამოვნებით მოგცემ ქალს, თუ შეასრულებ ჩემს სამ პირობას, რომელსაც ახლავე გეტყვიო. პირველი ის იქნება, რომ მოგცემთ ერთ ქითან რძეს ხელში, სანამ ახვიდე ორმოცი სართული ზევით და ჩამოხვიდე, უკვე მაწვნად იყოს შედედებულიო. ხვალ დილიდან მოხვალ და შეუდგები პირობის ასრულებასო. თავი დაუკრა ხელმწი-

ფეს და გამოვიდა გარეთ. პატარა რომ გამოიარა, უეცრად მოაგონდა ის ბებერი, რომელიც გაგზავნა მოციქულად, მიუბრუნდა ხელმწიფეს და ჰკითხა: რა იქნა ის ჩემი გამოგზავნილი მოციქული ბებერი, რომ აღარ დაბრუნდაო? ხელმწიფემ პასუხად მისცა: მანამდის ჩემს აღთქმას არ შეასრულებ, ის შენი გამოგზავნილი ბებერი ვეღარ ნახავს თავის სახლსო. გამოემშვიდობა ხელმწიფეს და გამოსწია სახლისკენ.

დიდმა ფიქრმა აიტაცა ეს ვაჟი: ბებერი იქ, სადღაც იყო დამწყვდეული და, მეორეც, რძე როგორ აეტანა ორმოც სართულზე. და ჩამოეტანა მაწვნად. დაღამდა თუ არა, ქალმა თავი მოიავადმყოფა და უთხრა მოახლეებს: წადით, დაიძინეთ, უნდა მოვისვენოო. მოახლეები საძინებელ ოთახებში წავიდნენ და ქალი დარჩა მარტო. ვაჟმა იდროვა, მოიხმო თავისი არწივი და წამოახტა ზურგზე. ჩვეულებრივ გადახტა სანათურიდან, მიესალმა ქალსა, დიდი სიამოვნებით დაიწყეს ლაპარაკი და ქალმა ჰკითხა: — რა გითხრა დღეს მამაჩემმა, ანდა რა პასუხი მიეცი? — მამათქვენის პირველი მოთხოვნაა, უნდა მომცეს რძიანი ქოთანი, ორმოცი სართული ავიტანო მაღლა და მაწვნად ჩამოვიტანო ძირს, არ ვიცი როგორ მოვიქცეო. ქალმა უთხრა: — მაინც რას ფიქრობს შენ, როგორ უნდა მოიქცე? — მე იმას ვფიქრობ, რომ შენი სიყვარულის გულისთვის ერთს ამაღამაც ალერსით გავატარებ და ხვალ მოვკვდებიო.

ქალმა უთხრა: ნუ იდარდებ, ძე მაგის საშუალებას გამოგინახავო. ნუ გეშინია, შენ ამაღამ ჩემთან გაათიე ღამეო. რასაკვირველია, ეს ღამე ლაპარაკში და ალერსში გაათიეს. ამ ქალს ჰქონდა ერთი ბეჭედი, რომელიც რძეს მაწვნად აქცევდა — აი, მოგცემ ამ ბეჭედს, ეცადე რძეში ამოავლო და უნდა შეინახო ისე, რომ ვერ გიპოვონო, გაგჩხრეკავენ და ცხვირის ნესტოში შეინახეო. ეს ბეჭედი ისეთი რბილი იყო, რომ მოიკეცებოდა და ცხვირის ნესტოში ეტეოდა. სწორედ განთიადმაც მოტანა. დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მივიდა ვაჟი სახლში, ბებერი არ დაუხვდა. ეახლა ხელმწიფეს, სალამი მისცა და შეუდგა პირობის შესრულებას.

ხელმწიფემ მოატანინა რძე, მისცა ვაჟს ხელში, მიიყვანა ორმოცი სართულიან კიბესთან და უთხრა: ვიდრემდის ჩამოხვიდოდე, უნდა ეგ რძე იქცეს მაწვნადო. ხელმწიფეს სულაც აინუნში არ მოსდიოდა, რომ შეასრულებდა და არაფრად ჩააგდო ეს ვაჟი. ვაჟი მიდიოდა მაღლა, ეცადა და რძეში ამოავლო ბეჭედი, მერე ვითომ ხელი მიიტანა მოსახოცად და შეინახა ცხვირში. დაბრუნდა, ჩამოვიდა ძირს, ნახეს და, მართლაც, რძე გადაქცეულიყო მაწვნად. ხელმწიფეს დიდად

ეწყინა და შეწუხდა. უბრძანა თავის კაცებს, გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოუჩინეს. მაშინ ხელმწიფემ ჰკითხა: როგორ და რის ძალით გადააქციეო მაწვნადო? ვაჟმა მიუგო: რის ძალითაც თქვენ არ მოელოდით, იმით გადავაქციე მაწვნადაო. — კარგიო, ეგ პირველი შესრულება იყოს, ხვალისთვის გაძლევ მეორე დავალებასაო. მე მყავს ერთი ლომი და იმასთან უნდა გახვიდე საჭიდაოდო. ეს ვაჟი დღეს ძალიან გახარებული დაბრუნდა, იმედი ჰქონდა, რომ ხვალაც გამარჯვებული გამოვიდოდა. მოიხმო თავისი არწივი, ქალი დაუხვდა სანათურთან და გადაიყვანა თავის საწოლ ოთახში, გამოჰკითხა გავლილი დღე. ყმაწვილმა ყველაფერი უამბო და შემდეგ მეორე დღისათვის აღსასრულის შესახებ უამბო: რითი და როგორ უნდა შეესრულებინა იმისი წინადადება. ქალს უთხრა: მე მყავს ერთი ლომი, რომელიც იმის შინაურ ლომს ერთი შემოკვრითაც დაჰფანტავსო. მხოლოდ შენ ის მითხარი, ჩემო მზევ, ჩემო საყვარელო, როგორ მოვიხმო ჩემი ლომი, რომ არავინ არ გაიგოს, ვითომ და მე გადავიქცე ლომად და ვეჭიდებოდე იმის ლომსო? ქალმა უთხრა: შენ სთხოვე მამაჩემს მოგცეს ორი საათი დრო და იმ ეზოში, სადაც თქვენ უნდა იჭიდაოთ, გააღოს მეორე კარი, რომ ვითომდა იმ მეორე კარიდან ლომადქცეული უნდა შეხვიდე. ის კიდევ თავის კარიდან გამოუშვებს და თქვენ ეზოს შუაგულში დაეტაკებით. დაათავეს ლაპარაკი და შეუდგნენ ერთმანეთის ალერსს.

გათენებამაც მოატანა, ჩამოშორდნენ ერთმანეთს და ვაჟმა გამოსწია სახლისაკენ. მივიდა სახლში, პატარა წაისაუზმა და დათქმულ დროზე მივიდა ხელმწიფის ეზოში. გამოვიდა ხელმწიფე, სალამი მისცა ვაჟმა და სთხოვა, რომ გადაედო დანიშნული დრო ორი საათით და ეზოსთვის გაეღო მეორე კარი, რომლიდანაც ვითომდა გაშმაგებული ლომივით შემოვიდოდა. ხელმწიფეს სიცილად არ ეყო და უთხრა: კეთილი და პატიოსანი, ცოტახნის შემდეგ ჩემი ლომი იდგება შუაგულ მოედანზე და დაგელოდება საჭიდაოდაო. დაბრუნდა ვაჟი, გავიდა ქალაქს გარეთ. ამოიღო ლომის ბალანი, ახსენა და იმწამსვე დაიბადა მასთან ლომი და ჰკითხა: რა გაჭირვება დაგადგა, ჩემო კეთილო მოყვარეო, რომ მომიხმეო? ვაჟმა აუხსნა მდგომარეობა. ლომმა უთხრა: მაგისთვის სულაც ნუ იდარდებო. გასწიეს ეზოსკენ. ეზოს გარეთ არც ერთი სულდგმული არ უნდა ყოფილიყო. მივიდნენ ახალ კარებთან, დაუძახა: მე მზადა ვარ, გამოიყვანეთ თქვენი ლომი საჭიდაოდ! გამოიყვანეს ლომი მოედანზე, თვითონ კარებს უკან მიიმალა და ლომს უთხრა: აბა შენი დრო არისო.

შეეტაკნენ ორთავ ლომები, გასწიეს და გაეოსწიეს. დასცხეს, გა-

მოიჭიმეს ტყავები. იგდო ზურგზე ამ ვაჟის ლომმა, ისე დაახეთქა ძირს, რომ სულიც აღარ დაჰყვა. გამარჯვებული ლომი დატრიალდა, მიიხედ-მოიხედა და გასწია კარებისკენ. ამ ვაჟმა გადაჰკოცნა ორთავ. თვალებში და უთხრა: დიდი მადლობელი ვარ, მშვიდობის გზა გქონდესო. ამაყად მოუარა იმ კარებიდან და გამოეცხადა ხელმწიფეს; მოახსენა: დამავალეთ მესამე, ეს მეორე უკვე შესრულებულიაო.

ხელმწიფეს ეწყინა თავისი ლომის დამარცხება და მესამე დავალება მისცა. მე მყავს ერთი რაში. ხვალ იმ რაშს მოგცემ და უნდა დაიჩვიო შეჯდომასაო. დაემშვიდობა ხელმწიფეს. ჩვეულებრივ. საღამოს კიდევ ავიდა ქალთან. უამბო მასაც და ქალმა უთხრა: ის რაში იქნება მამაჩემი. უბედურებაც ეგ არისო. აი, იმ დროს, როცა რაშს მოგიყვანენ, შეჯდები და წაგიყვანს ცაში, ან მიგახლის ცასა, ან მიგახლის მზესთან დასაწველადაო. შენ ეცადე მოექცე მუცელზედაო, ქვეიდან. ის გნახავს, რომ შენ მუცელზე მოექეცი, დაეშვება ძირს. მაშინ მოექეცი ზურგზედაო; რომ დაგინახავს ზურგზე მოექეციო, მაშინ ეცდება, მარჯვნივ მიგახალოს კედელზე, მაშინ გადმოდი მარცხნისკენ, წამოვა მარცხნისკენ და გადმოდი მარჯვნისკენ. და რომ დაინახავს უშედეგოდ მოქმედებს, წავა თრიალეთის მინდვრისკენ, მაგრამ შენ ნუ შეგეშინდება: ის არც წაიბორძიკებს, არც გადმოგაგდებს. მას აქვს გარკვეული მიჯნა, მივა და დაბრუნდება სახლისკენაო. რომ მივა თავის ეზოს კარებში, გადმოხტი წინ და აღვირი დაიჭირე ხელში. ერთი მაგრად უშხივლე ყურის ძირში მათრახი, ის გაჭწარებული გადაიძრობს აღვირს თავიდან და შევარდება საჯინიბოში. მაშინ შენ დარჩები გამარჯვებულიო. ეს ვაჟს არ მოსწონდა, მაგრამ უნდა ეცადა, რომ ეს ყველაფერი მოეყვანა სისრულეში. ქალი კიდევ იმის იმედის გასაცოცხლებლად ეუბნებოდა: ნუ გეშინია, რახან მაგდენი ჰქენი, მაგასაც მოახერხებო. ამასობაში კიდეც თენდებოდა.

მოახლოვდა გათენება. დაუძახა თავის არწივს სანათურთან, ისკუპეს და ჩამოვიდნენ ძირს. წავიდა სახლში, წაისაუზმა ისე, რომ თვალებმა პრწკიალი დაუწყეს და აღნიშნულს დროზე მივიდა ხელმწიფესთან ნათქვამი სიტყვის ასასრულებლად. ხელმწიფემ უთხრა: მიბრძანდი ეზოში და რაშს მოგგვრიან ახლავეო. თვითონ ხელმწიფე გადაიქცა შეკაზმულ რაშად და მიჰგვარეს ვაჟკაცს. ვაჟკაცმა შემოიკალთავა, მათრახი ხელში მოიმარჯვა და მარდად შემოახტა. რაშმა იგრძნო, რომ ჩემზე უკვე კაცი ზისო და აფრინდა. გასწია პირდაპირ მზისაკენ: ეგება დავწვაო. ეს ვაჟკაცი გადაბრუნდა და ამოეკრა ცხენს მუცელზე. რაშმა იგრძნო, რომ ვაჟი მუცელზე მაკრავსო, დაეშვა ძირს: ეგებ ქვესკნელში ჩავიტანოო. მიწას . რომ მიუახლოვდა, ვაჟი

ისევ ზურგზე მოექცა. რაშმა იგრძნო რომ ვაჟი ისევ ზურგზე მოექცა, მაშინ გაქანდა მარჯვნივ და უნდოდა მიეხალა კედლისთვის, მაგრამ ვაჟმა მოასწრო და გადმოხტა მარცხენა მხრისკენ. რაშმა გაიგო. რომ ვაჟკაცი მარცხნივ მომექცაო და გაქანდა მარცხნივ, ვაჟიც გადმოქანდა მარჯვნივ. რაშმა რომ ვეღარაფერი მოახერხა, და გაქანდა. თრიალეთის მინდვრისაკენ. ხევი, ღელე წყალივითა და მთები აჯარუებულ ქარივით გადიარა. მივიდა თავის მიჯნასთან და დატრიალდა: იქნება თავბრუ დაეხვეს და გადმოვარდესო. შემოვიდა ეზოში, ვაჟკაცი გადმოხტა წინ, გადმოაგდო აღვირი, ერთი მაგრად აწნა ყურის ძირში მათრახი და გამწარებული რაში შეევარდა საჯინიბოში. ვაჟკაცმა ხელში მათრახი შეათამაშა და ამაყად შეჰყვირა: გამობრძანდი, დიდებულო ხელმწიფევ, მიიღეთ თქვენი ცხენის აღვირი და ახლა საითკენაც გსურდეთ, შეჯექით და იქითკენ იარეთო.

გამოვიდა ხელმწიფე, ძალაუნებურად მადლობა გადაუხადა და უთხრა: ხვალ მოხვალ და შევუდგებით ქორწილსაო. მაგრამ ამ ვაჟს მოაგონდა კიდევ ის ბებერი და სთხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ. საწყალი ბებერი, ამოიყვანეს გაციებული, მოხრუკული, როგორც ზამთრის ბუზი, და ჩაბარეს ამ ვაჟს: აჰა, შენი ბებერი და წაიყვანეო. მოჰკიდა ხელი ამ ვაჟკაცმა დიდი სიხარულით, დაუძახა მეეტლეს და გასწიეს შინისკენ. დაუძახა არწივს და უთხრა: აი, ჩემო კეთილო არწივო, ერთი უკანასკნელი თხოვნაცა მაქვს, ერთხელ კიდევ ამიყვანო ჩემს სატრფოსთან. ეს იქნება უკანასკნელი შეწუხებაო. — კეთილი და პატიოსანიო. შემოაჯდა ზურგზე. მიიყვანა სანათურთან. ქალი სიხარულით შეეგება, ყელზე შემოეჭნა და გადიყვანა თავის საწოლ ოთახში. ყველას მოგეცეთ ისეთი სიხარული, როგორც იმათ მიეცათ, დარჩენოდათ მხოლოდ ერთი ქორწილი.

დიდ აღტაცებაში იყვნენ და არ იცოდნენ როგორ გაეტარებინათ ეს უკანასკნელი ღამე. ასე თუ ისე, დიდი წვალებით და ვაი-ვაგლახით გაათიეს ის ღამეც. გათენებისას დაუძახა კიდევ თავის არწივს, გადაეხვია, აკოცა თვალებში და უთხრა: ახლა თავისუფალი ხარ და მშვიდობითო! წამოვიდა თავის ბებერთან და უთხრა: დღეს უნდა ვიქორწილო და შენც იქ უნდა მყავდეო. დაუძახეს მეეტლეს.

წავიდნენ მკერავთან, წინათვე ჰქონდათ შეკვეთილი ტანისამოსი, დაუხვდათ მზამზარეული, ჩაიცვა, დაიხურა, ჩასხდნენ ისევ ეტლში და მივიდნენ ხელმწიფესთან. მისცეს სალამი ხელმწიფეს და უთხრეს: აგერ ჩვენ მზადა ვართ და ველით თქვენს განკარგულებასაო. ხელმწიფეს უნდოდა, რომ როგორმე ჩაეშალა ქორწილი. წინადადება მისცა: ჩამოვიყვან ჩემ ქალს და თუ ერთმანეთი მოგეწონებათ,

ქვენი სურვილი აღსრულდებაო. გაუგზავნა მოახლეები თავის ქალიშვილს, რომ მასაც ჩაეცვა თავისი საქორწინო ტანისამოსი და ჩამოსულიყო ხელმწიფის სატახტო ოთახში. ხელმწიფის ქალი მოემზადა, ჩაიცვა საქორწინო ტანისამოსი და ჩამოვიდა დანიშნულ ადგილას: რას მიბრძანებ, მამაჩემო? — აი, ეს ჩრდილოეთის ხელმწიფის შვილია და სურს შენი ცოლობა. მე უკვე აღვუთქვი, რომ უნდა მიგცე მას. ქალმა პასუხად უთხრა: სამი პირობა რომ გქონდა და მის ამსრულებლისათვის ჩემი თავი უნდა მიგეცა ცოლადო? ხელმწიფემ უპასუხა: აღსრულებულია ყველა პირობაო და ჩააბარა თავისი ქალი. — წადით, იცხოვრეთ, იმრავლეთ და გაბედნიერდითო. დაუკრეს ბუკი-ნაღარა, შეგროვდა დიდი ძალის ხალხი და შეუდგნენ ქეიფსა და დროის ტარებას. თხუთმეტი დღე და ღამე იქეიფეს.

გათავდა ქორწილი. ვაჟმა მოისურვა სახლისაკენ გამგზავრება. გაიარა ერთმა კვირამ. შეამზადა ყველაფრით, გამოემშვიდობნენ და გზას გაუდგნენ. რომ გავიდნენ ერთი დღის სავალზე, ხელმწიფის შვილმა უთხრა ხელმწიფეს: დაბრუნდი შენი ჯარით და მე ჩემი ეტლით წავალო. ეტლში ება ოთხი ცხენი, რომლებიც ცაში ვარსკვლავებს და წყალში თევზებს ეთამაშებოდნენ. განაგრძეს გზა. კარგა ხნის შემდეგ გზაში შემოხვდათ ერთი ქონდრის კაცი, თვითონ იყო ერთი მტკაველი და წვერი ჰქონდა ორი მტკაველი. სალამი მისცა და უთხრა: შეიძლება მე თქვენი მეეტლე ვიყოო? ხელმწიფის შვილმა უთხრა: ძალიან კარგიო. ცოლმა დაუშალა.

— ეჰ, რას მიზამს, მაგას ერთი სილა რომ შემოვკრა, ძირს გადავკრავო. — ამავ დროს, დასტურის შემდეგ ეს ჯუჯა როგორც რწყილი ისე შეხტა კოფოზე, დაუსვა ცხენებს მათრახი და ნიავქარივით შიაქროლებდა.

კარგა გზა გაიარეს. ცხენებს დაღლილობა შეამჩნია ხელმწიფის შვილმა. უთხრა მეეტლეს: შეაჩერე ცხენები აქ, პატარა ვაძოვოთო. შეაჩერა. გამოუშვეს ცხენები, გაუშვეს ბალახზე. შეუდგნენ პურის ჭამას. მეეტლეც მოიწვიეს. მოსწყურდათ წყალი, მისცა ლიტრა ხელში მეეტლეს და უთხრა: მონახე წყალი და მომიტანეო. მეეტლემ ამაყად შეუბრუნა: მე წყალი კი არ უნდა გიზიდო. მე ვარ მარტო მეეტლეო! თუ ძალიან გწყურია, ეი გზა, წადი და მოიტანეო. გაწყრა და გაჯავრდა ხელმწიფის შვილი და უთხრა: — ერთს ისეთს შემოგკრავ, რომ კვერცხივით დაიმსხვრევიო!

— აბა სინჯე და ვნახოთ ვინ ვის დაამსხვრევსო!

გაჯავრდა ხელმწიფის შვილი, მაგრამ ცოლი შეეხვეწა: მაგისგან

კარგი არაფერი იქნებაო. ჯუჯაც წამოხტა ფეხზე და გაჰკრა ერთი სილა ხელმწიფის შვილს. ეს კაცი დაეცა ძირს როგორც მკვდარი. მოჰკიდა ხელმწიფის ქალს თმებში ხელი, წამოიკიდა ზურგზე და წაიყვანა თავის სადგომში.

საღამოს გამოიღვიძა ხელმწიფის შვილმა, ნახა აღარც ქალია, აღარც მეეტლე. ხელები თავში შემოიკრა, ნეტამც გამეგონა ჩემი ცოლისათვისო, ახლა რაღა მეშველებაო. მიანება თავი ეტლსაც და ცხენსაც, დასტოცა იქ და მიჰყვა იმ კვალს, საითაც ქალის ფეხის ნაკვალევი მიდიოდა (რაკი დაბალი იყო, ქალს ვერ მოერია და მიათრევდა).

კვალმა მიიყვანა ერთ კლდეში გამოჭრილ გამოქვაბულთან. კარში უზარმაზარი ქვა იყო მიყუდებული. სინჯა ამ ქვის გადმობრუნება, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ქალმა გაიგო: ჩემი ქმარია კარებს ეჯაჯგურებაო და უთხრა: შენ ტყუილად ეჯაჯგურები, ჩამოშორდი, არ გაიგოს და არ მოგკლასო. წადი ამაღამ საღმე მოისვენე და ხვალ ჩამოხვალ და გეტყვი მაგის ამბავს, როგორ შეიძლება ჯუჯას დამარცხებაო. დაღამებისას თავის ეტლს მიაშურა. საღამოს დაბრუნდა ჯუჯა. ნახა ქალი ძალიან შეწუხებულია, ტირის. — რატომ ტირიხარო? ხელმწიფის შვილზეც კარგად შეგინახავ და მამაშენზეცაო. ქალმა მიუგო: თქვენ წახვალთ სანადიროდ და მე მარტო ვრჩები აქ ოთახშიო: არა მაქვს ისეთი გასართობი, რითაც თქვენს მოსვლამდის არ მომეწყინოსო. ჯუჯამ ჰკითხა: — რით გინდა, რომ გაერთო? — აი იმით, რაშიც თქვენი უკვდავი სული იმყოფება. გაიცინა ჯუჯამ და უთხრა: — ჩემი სული ე მაგ ცოცხშიაო. ამ ქალმა იცოდა, რომ ეს ტყუილი იქნებოდა, მაგრამ მაინც აიღო ეს ცოცხი და მოკაზმა როგორც დედოფალა, ვითომ ეთამაშება. ჯუჯას ქალის ამნაირ ქცევაზე სიცილი აუტყდა. ჰკითხა ქალმა:—რაზე იცინი, აქ სათამაშოდ მოგიყვანივარ, ჯერ მატყუებ და მერე იცინიო.

— მართლა, ქალო, გატყუებ, ჩემი სული ორ ზღვათა შუა არისო. იქ ერთ ყუთშია მოთავსებული: ჩემი ღონე, თვალთ სინათლე და სიცოცხლეო. ერთ თევზს აქვს ჩაყლაპული და იქ ინახებაო.

— შე კაი კაცო, ეგრე მეტყოდი, რაღას მტანჯავდიო: ახლა იმედიანად ვიქნები და არხეინად ვიცხოვრებ შენთანაო.

გათენდა დილა. ეს ჯუჯა ადრიან ადგა ჩვეულებრივ და გასწია სანადიროდ. ჩვენი ხელმწიფის შვილი კი მტირალა თვალებით მივიდა კარებთან და დაუძახა: — ჰა, მეტყვი, ქალო, გასახარსაო?!

— შენი გასახარისი ის იქნებაო, წახვალ, დიდრონ ბადეებს მოაქსოვინებ, დაიჭერ მრავალ მებადურსაო, გემებით და ნავებით შეგ-

ზავნი თეთრი და შავი ზღვის შუაო. ერთ თევზის გვამში ინახება პატარა ყუთი, რომელშიც სამი ჩიტია: იმისი სული, თვალის სინათლე და სიცოცხლეო. მაგ ყუთს რომ იპოვი, დაბრუნდები ჩემთანო. მართლაც, ეს ხელმწიფის შვილი ჩავიდა ზღვის პირას, დაიჭირა მებადურები, დაუნიშნა გასამრჯელო და უთხრა: ესეც თქვენ, თევზიც თქვენ, მხოლოდ თევზს რომ დაიჭერთ, უჩემოდ არ გამოწელოთ და არც გამოუწელავი თევზი წაიღოთო. ამ მებადურებს ძალიან უხარიათ, რომ თან თევზიც, თან გასამრჯელოც მათი არის. ნავებითაც და გემებითაც დადიოდნენ და იჭერდნენ თევზს. ერთ დღეს ეღირსათ იმ თევზის დაჭერა, რომელსაც მუცელში ის ყუთი ჰქონდა. გამოწელეს და ნახეს ერთი ყუთი, რომელსაც ხელმწიფის შვილი დიდი სიხარულით დაეტანა, ჩაიდო ჯიბეში და გამოემშვიდობა თავის მებადურებს და უთხრა: მე ჩემი საშოვარი ვიშოვე და ახლა ეგ გემები თქვენთვის მიჩუქნია; მშვიდობითო და გამოსწია ცოლისაკენ. ამავე დროს, როცა მან ჯიბეში ჩაიდო ყუთი, ამ ჯუჯამ იგრძნო რაღაც ავადმყოფობა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. სახლისკენ გამოეშურა. მივიდა, სახლის კარი გამოაღო და ჩამოჯდა. ცოლმა ჰკითხა: რათა ხარ ეგრე დაძმარებული, ჯუჯაო?

— რაღაც დღეს ქეიფზე ვერა ვარო.

ხელმწიფის შვილიც უკვე უახლოვდება ჯუჯას სასახლეს. მაშინ რაღაც აზრად გაუარა ხელმწიფის შვილს თავში და თქვა: მოდი, ერთი ამ ყუთს გავხსნი, ვნახო შიგ რა არისო. როცა ახადა ყუთი, ერთმა ჩიტმა თავი გადმოყო. შეეშინდა ამ ხელმწიფის შვილს: არ გამოფრინდესო. ყუთის სახურავს რომ დააწვა, თავი გადაეკნაპა ამ ჩიტსა, თურმე ეს ჩიტი ჯუჯას ღონე ყოფილა. ამ ჩიტს რომ თავი გადაეკნაპა, ჯუჯას ღონე გამოეცალა. ხელმწიფის შვილი მიუახლოვდა ჯუჯას და ნახა კარებზე ჩამომჯდარი. ჯუჯამ ერთი სცადა ფეხზე წამოხტომა, მაგრამ ვეღარ დადგა ფეხზე. უთხრა ჯუჯამ: რახან ეგრე დამართე, დანარჩენებს თავი დაანებე და ეს ქალი წაიყვანეო, მაგრამ ხელმწიფის შვილმა უთხრა: არა, ამდენი წვალებისათვის, მე შენ სიცოცხლეს მოგისპობო. ახადა ყუთს თავი და გადმოჰყო თვალის ჩინის ჩიტმა თავი. დახურა და იმასაც გადააკნაპა თავი. დარჩა ჩვენი ჯუჯა უსინათლო. ამ დროს სცადეს მისი უკვდავება, მართლაც მოკვდებოდა თუ არა. ვას ჰქონდა შეგროვილი თივა, მოუკიდეს ამ თივას ცეცხლი და ჩაადეს ჯუჯა შიგ. გაიტრუსა, მოიკრუნჩხა, მაგრამ სული მაინც ჰქონდა. ერთი სიტყვით, მეასამე ჩიტსაც წააგლიჯეს თავი. ჯუჯაც მოკვდა. ყველა ადამიანი განთავისუფლდეს ჭირისაგან, როგორც ისინი განთავისუფლდნენ ჯუჯასაგან. შევიდნენ საჯინიბოში. სადაც ჯუ-

ჯას ორი შეკაზმული ტაიჭი ება. ოქრო, ვერცხლი, ლალი, მარგალიტი ბლომად ჰქონდა ამ ჯუჯას; ჩაყარეს ხურჯინში, გადაკიდეს ცხენებს და გამოსწიეს.

ბევრი სიარულის შემდეგ მიაღწიეს გველვეშაპამდის. გველვეშაპმა დაინახა, რომ მოვიდა ხელმწიფის შვილი, თან მოიყვანა ქალი, რომლის მოყვანაც დაავალა. სალამი მისცა გველვეშაპს, გველვეშაპმა გადააგდო კუდი გვერდზე და უთხრა: მობრძანდით თქვენს საცოლესთანაო. საცოლესაც ძალიან გაუხარდა. ჩამოხდნენ ორივენი ცხენებიდან და ვიდრემდის კარავში შევიდოდნენ, გველვეშაპმა მეორედ დაუძახა: მობრუნდი ჩემსკენ, ხელმწიფის შვილო! — გადიძრო გველვეშაპის ტყავი და გამოვიდა ერთი მზეთუნახავი ქალი და უთხრა: აი, ჩემი აღთქმა იყო, რომ მოსპობილიყო ქვეყანაზე ჯუჯა. რაკი ეგ მოისპო, ახლა გზა დამილოცია, ბედნიერები იყავითო. თვითონ კი მოუსვა, საიდანაც ჩამოსულიყო. ესენიც ბევრს აღარ გაჩერდებოდნენ, რაკი თავისუფლება მიეცათ, გამოსწიეს ვამ-ს ოჯახისაკენ და რამდენიმე დღის შემდეგ მოაღწიეს სატახტო ქალაქს.

მამამისს დიდი სიხარული მიეცა, რომ შვილი გადარჩა გველვეშაპს. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი გადაუხადა; ტახტიც კი დაუთმო: შენ იქნები ამას იქით ხელმწიფეო. ჭამეს, სვეს, დროება გაატარეს და თქვენც აგაშოროთ ჭირი და ლხენა მოგცეთ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე. წამოვიდა გორებითა,
აქ დღეობით გამოძეხით, საიქიოს ცხონებითა.

ელენე მშვენიერის ზღაპარი

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი. როდესაც მოხუცი ხელმწიფე მოკვდა, ორი დღის შემდეგ მოვიდა ერთი დევი ხელმწიფის პირველი ქალის სათხოვრად და დაჯდა სამოციქულო ქვაზე. გამოვიდა ამ ხელმწიფის პირველი ვაჟიშვილი და უთხრა: ვინ ხარ შენ მანდ რომ ზიხარო? — მე ვარ მოსული თქვენი უფროსი დის სათხოვნელადო! — უპასუხა დევმა. პირველმა ძმამ უთხრა: წადი, შე ბინძურო, აქედან, ვინ ხარ, მე რომ შენ დაი

მოგათხოვოო! — დევმა არ დაიშალა. მაინც იქა ზის. გამოვიდა შუათანა ძმა, ისევ იქა ზის. იმასაც სთხოვა და იმანაც უარი უთხრა დის მიცემაზე. დევი კიდევ ზის იქა. ბოლოს გამოვიდა უმცროსი ძმა და ჰკითხა: რა გინდა, რისთვის მოსულხარო? დევმა უპასუხა: — ქალი მინდა, ქალისთვის მოვსულვარო.

— ამ საათშიო, — უთხრა ბიჭმა, — მოიცადე, ახლავე ჩაგაბარებ ქალსაო. — გამოიყვანა თავისი უფროსი და, ჩააბარა ამ დევს და გაატანა. წავიდა დევი, წაიყვანა ეს ქალი და თანაც გულში ჩაითქვა ძმების მოქმედება.

ახლა სხვა დევები მივიდნენ დანარჩენი ორი დის სათხოვნელად და. როგორც პირველ შემთხვევაში, პირველმა და შუათანა ძმამ უარი უთხრეს, პატარა ძმამ ორივე გაატანა. რომ გაათხოვეს ყველა და, დარჩა სამი ძმა და დედა. ერთ დღეს გამოვიდნენ კარში ეს ბიჭები და გამართეს შეჯიბრი სროლაში. ამ დროს მოდის ერთი ბებერი, მოაქვს წყაროდან ქილით წყალი. პატარა, უმცროსმა ძმამ ესროლა ისარი და ქილა გაუხვრიტა ამ ბებერს. მოდის ბებერი, წყალი იღვრება ქილიდან. უცბად შეხედა, წყალი იღვრება. — ვაი, რა დამემართა, ვინ იყო, რომ ასეთი საქმე გამიკეთაო. აქეთ მოიხედა, იქეთ მიიხედა, დაინახა ცოტა მოშორებით ის ბიჭი და უთხრა: — ჰე, შე უბედურო, რა გითხრა, მშვენიერი ვაჟკაცი ხარ, ვერ გამიმეტებია შენი თავი რომ დაგწყევლო, მაგრამ მაინც გეტყვი: შენამც დავარდნილხარ ელენე მშვენიერის ნატვრაშიო. ამ ბიჭმა თქვა: უჰ, ეგ ელენე მშვენიერი რა ყოფილა, ან სად ყოფილა; აბა მე ახლავე წავალ და შოვნახავ ელენე მშვენიერი სად არის, სად იმყოფებაო.

მოვიდა სახლში ეს ბიჭი და უთხრა დედას: დედა, მომეცი სამგზავრო პური, მივდივარ ელენე მშვენიერის საპოვნელადო. დედამ ცივი უარი უთხრა: არ წახვიდე, ჩემო შვილო, შენა ხარ ჩემი ერთადერთი ვაჟკაცი და შენც მიდიხარ შორს გზასა? დაჯექი, ჩემო შვილო. იყავი ჩემთან, ნუ მომკლავ შენის ჯავრითაო.

ბიჭმა არ დაიშალა, მაინც გაუდგა გზას. სახლიდან წაიღო მხოლოდ ერთი ხელმანდილი, რომელშიც ერთი თქმით ამოვიდოდა ყველაფერი სასურველი საჭმელი.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოიღალა, დაჯდა ერთ წყაროსთან და პურსა სჭამს. ამ დროს მოვიდა ერთი გოგო, შეხედა ამ ბიჭს თუ არა, თავის გულში თქვა: ეს რა ჩემს ქალბატონსა ჰგავსო. აავსო წყაროზე ქილა და სწრაფად გაბრუნდა სახლისკენ. სახლში რომ მოვიდა, ქალბატონს მოახსენა: ქალბატონო, რა ვნახე! აგერ, ჩვენ წყაროზე მოსულა ერთი ბიჭი, შეხედულობით სულ თქვენა გგავთო.

ქალბატონი გაუწყრა გოგოს და უთხრა: რას ამბობ, შე უბედურო, მე როგორ მემსგავსება?! მე ვარ ხელმწიფის შვილი და შორიდან გამოთხოვილიო. — არა ქალბატონო, არა, უეჭველად ეს თქვენი რაღაცა უნდა იყოსო. — აბა, რაკი აგრეა, წადი და დაუძახე, ერთი აქ მოვიდეს, ვნახო, ვინ არისო.

ადგა ეს გოგო, მოვიდა წყაროსთან და უთხრა ბიჭსა: აბა წამოდით, ქალბატონი გეძახითო. ადგა ეს ბიჭი და გაჰყვა. გამოვიდა ქალბატონი და ბიჭს შეხედა, იცნო, რომ ის იყო თავისი უმცროსი ძმა და ბიჭმაც იცნო, გადაეხვივნენ ერთიმეორეს: საიდან, ჩემო ძმაო, რამ გადმოგაგდო შენ ამ უცხო ქვეყანასაო? — რა ექნა, ჩემო დაო, მივდივარ შორ გზას, ელენე მშვენიერის საძებნელადაო. — ეჰ. ყველა კარგი, ჩემო ძმაო, მაგრამ შენი სიძე რომ მოვა ახლა აქ და შეგჭამს, ამას რაღა ვუყოთო? — რატომ, რათ უნდა შემჭამოსო. — შენ ხომ იცი, რომ შენი სიძე დევია და არა ადამიანი? — რა ვუყო, თუ შესაჭმელი ვარ, შემჭამს და შემჭამოსო. — აჰა, მოდი ჯერ მაინც იმ დოლაბში დაიმალეო. შევიდა ბიჭი დოლაბში და დაიმალა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა დევი, მოაქვს მთელი ქვეყნის არემარე: შეშა, ხორცი თუ სხვა. როგორც შევიდა სახლში დევი, იმ წამსვე სუნი ეცა.

— ქალო, აქ რაღაც უცხო ადამიანის სუნია, შენ ვიღაცა შემოგიყვანია ჩემს სახლშიო.

— აბა შენ ეგრე ნუ იცი, მეც ადამიანის შვილი არ ვარ? ნუთუ აგრე მალე უცხო ადამიანის სუნი გაარჩიეო. — დევმა გაწყრომით უპასუხა: — მალე მითხარი აქ ვიღაცაა, თორემ შენც შეგჭამ და იმასაცაო. ქალს შეეშინდა და უთხრა: ერთი რამ უნდა გითხრა და არ გამიწყრე: ჩემი სამშობლოდან რომ ვინმე იყოს, როგორ მოეპყრობი მას, რას უზამო? დევმა უპასუხა: — ააა, შენი სამშობლოდან? ქალო, სტუმარი თუ არის უფროსი ან შუათანა ძმა, მათ აუცილებლად შევჭამ და თუ არის პატარა, უმცროსი ძმა, მას ჩემს ჯამში ჩავისვამ, ჩემთან ვაჭმევ პურს და რა გაჭირვებაც აქვს, კიდეც მოვეხმარებიო. ამ ქალს გაუხარდა დევის ნათქვამი. მაშინვე დაუძახა თავის ძმას, გამოიყვანა დოლაბიდან და უთხრა: აი ჩემი ძმაო.

დევმა იცნო ბიჭი და უთხრა: ააა. შენა ხარ ჩემი პატარა ცოლიძმა?! მობრძანდი, მობრძანდი, კარგია რომ გვნახეო. ერთი შენი დარდი მითხარი, რატომ გადმოხველ ამ ჩვენს მხარეზე, რა გაგჭირვებიაო? — ბიჭმა უარი უთხრა პირველად: არაფერი, თქვენს სანახავად მოველო.

— არა, უეჭველად შენ რაღაც დარდი გაქვს, თორემ ისე არ

გენახავდეო. ბიჭი იძულებული გახდა, რომ თავის გულის დარდები ეთქვა იმ სიძისათვის. უთხრა: მე მივდივარ ელენე მშვენიერის სანახავად.

— უჰ, ეგ რა მძიმე რამე მითხარიო,—უთხრა დევმა,—მე ფრინველთა ხელმწიფე ვარ და არ ვიცი ეგ ელენე მშვენიერი სად ცხოვრობს: აბა ახლავე შევაგროვებ ჩემს ფრინველებს, შეიძლება იცოდნენ მისი საცხოვრებელი ბინაო.

დაუძახა დევმა მთელ თავის ფრინველებს, მოაგროვა აუარებელი ფრინველი და ეკითხება: აბა მითხარით, სად ცხოვრობს ელენე მშვენიერიო? ფრინველებმა ერთხმად დაუძახეს თავის ხელმწიფეს: არ ვიცით ელენე მშვენიერის ბინა და არც გაგვიგია ჩვენ იმის ხსენებაო!

— რადგანაც არ იცით, წადით თქვენს ალაგასაო.

ბიჭმა უთხრა, აბა ახლა მე უნდა წავიდე ჩემს გზაზე, სადმე უნდა მოვნახო მაინც ელენე მშვენიერიო. — მოდი, ნუ წახვალ, არ გინდა ის ოხერი ვიღაცაა, ვერ იპოვი და მებრალები, თავს დაიღუპავო. — უთხრა დევმა. ბიჭმა მაინც არ დაიშალა. დევმა უთხრა: — რადგანაც არა გჯერა, მოიცადე, აი, ეს ხელმანდილი წაიღე, გამოსადეგია შენთვისაო.

— რა გამოსადეგიაო?

— როცა პური მოგშივდება, ეტყვი: ხელმანდილო, პური მშიანო და რაც გენებებათ, მიირთმევთო. ბიჭმა უპასუხა: რაკი შენ ჩემთვის სიკეთე გდომებია, მაშ, აგერ ჭიქა, ჩაასხი შიგ რძე და შედგი მე რომ ვიჯექი, იმ დოლაბში. როცა ეს რძე გასისხლდება, მაშინ იცოდე, რომ მე მკვდარი ვარ. თუ გინდა სიკეთე მიყო, წამოდი და მეძებეო.

გაუდგა ბიჭი გზას, მივიდა ერთ წყაროსთან, დაისვენა და სადილობს. აქაც მოდის ერთი გოგო და აქაც ისევე ხდება, რაც მოხდა პირველ წყაროზე. აქ შუათანა ქალს და სიძეს ნახავს ბიჭი, მათგანაც ხელმანდილს წაიღებს და წავა. ახლა მესამე დის სახლში მივიდა. მოვიდა დევი და უთხრა: — სად მიდიხარ, ჩემო ცოლისძმავ? — ჩემო სიძეე, მივდივარ ელენე მშვენიერის მოსაყვანადაო.

— ოჰ, ელენე მშვენიერი? მე მთელი ბაყაყების ხელმწიფე ვარ, არ ვიცი ეგ ელენე მშვენიერი და შენ საიდან გაიგეო. — დაუძახა ამ ხელმწიფემ მთელ თავის ბაყაყებს და ჰკითხა: აბა ვინ იცით ელენე მშვენიერის ბინაო? მოვიდნენ მთელი ბაყაყები და ყველამ ერთხმად მოახსენა ხელმწიფეს: არ ვიცით ელენე მშვენიერის ბინაო. ხელმწიფე კიდევ შეეკითხა: კიდევ არის თუ არა ჩემს სახელმწიფოში დარჩენილი ბაყაყებიო?

— ერთადერთი ბერი, ბღენძი კოჭლი ბაყაყია დარჩენილიო.

— აბა, წადით, ის მოიყვანეთ და მას ეცოდინება ელენე მშვენიერის ბინაო.

წავიდნენ ბაყაყები იმ კოჭლი ბაყაყის მოსაყვანად. მოიყვანეს.

— აბა, კოჭლო ბაყაყო, გვითხარი ელენე მშვენიერი სად არის, თუ იცი?

— ეჰ, თქვე უბედურებო, რათ კითხულობთ ელენე მშვენიერს, ვინ მივა იმასთან, ის არის უნახავ ალაგას დამალული და დევსა ჰყავს შეპყრობილიო. ტყუილია, ეგ ვერ მივა იქაო.

— აბა, ნუ გააგრძელე, კოჭლო ბაყაყო, ჩქარა თქვი, რომელი გზით არის იმასთან მისასვლელიო?

— აი, — გაიხედა ამ კოჭლმა ბაყაყმა, — წავა ამ სწორე გზაზე, როგორც გაივლის დიდ ტრიალ მინდორს, დაინახავს ერთ სახლს, იმ სახლს აბია ქვის კარები; ვის შეუძლია იმის გაღება, გარდა იმ დევისა?

ბიჭმა არ დაიშალა, ადგა, გაუდგა გზას. აქაც გადასცა თავის უმცროს სიძეს ჭიქა რძე და იგივე დაავალა. წავიდა ბიჭი, სადაც ელენე მშვენიერი იმყოფებოდა. მივიდა ერთ წყაროსთან. სახლი ახლოს იდგა. გამოვიდა ერთი ახალგაზრდა გოგო, მივიდა წყაროზე წყლის ასავსებად, შეხედა ამ ბიჭს, ძალიან მოსაწონარი, კაი ვაჟკაცი იყო და კაი ლამაზი სუფრაც ედგა წინ. გოგოს ძალიან გაუკვირდა ბიჭის საქციელი, თავის გულში თქვა: კაცო, ეს რა მშვენიერი ვაჟკაცი რომ ყოფილა და ცოდვა არის ამის სიკვდილი, რომ აქ. ამ სახელმწიფოში გადმოსულა, სადაც ადამიანის შვილის სახსენებელი სრულებით არ არსო. გაკვირვებული შევიდა თავის ქალბატონთან და ეუბნება: — ერთი ვიღაცა ვნახე დღეს მე ამ ჩვენ წყაროზეო.

— წადი, შე უბედურო, შენ რაღაცა სიზმარი გინახავს, თორემ აქ ვინ მოვიდოდაო.

— არა, ქალბატონო, არა, ცხადად ვნახე. მართლა ძალიან კარგი ვაჟკაცი იყო. რომ ნახო, თვალს კი ვეღარ მოაშორებო.

— როგორ შეიძლება, რომ მე ამ ბინძურს დავუჯერო, ნუთუ ეგრე მშვენიერი ვინმეა აქ მოსულიო?

— კი, ქალბატონო, კი.

— აბა თუკი ეგრეა, წადი და დაუძახეო.

ადგა, წავიდა ეს მოჯამაგირე გოგო, მივიდა წყაროზე იქ, სადაც ბიჭი იჯდა; უთხრა: აბა წაჰობრძანდი, ჩვენი ქალბატონი გეძახისო. ბიჭმა უთხრა: — ერთი მითხარი, რა გვარისაა თქვენი ქალბატონი. ანდა რა ჰქვიანო?

— ნუთუ არ გაგიგონია ელენე მშვენიერიო?

ბიჭს ძალიან გაუხარდა, რომ ელენე მშვენიერი აქ ყოფილა. ადგა და სიხარულით მიდის ელენე მშვენიერის სახლისაკენ. შეაღო კარი, შევიდა სახლში და დაინახა ელენე მშვენიერი თუ არა, იმ წამსვე გონება დაებნა. ელენე მშვენიერმა ამოიღო ხელსახოცი და მოუსვა თუ არა, ბიჭი გონებაზე მოვიდა.

— სადაური ხარ, ბიჭო, საით მიდიხარო? — ჰკითხა ელენემ.

— მე მოვედი სწორედ თქვენს სანახავადაო.

— რომ გაგიგოს დევმა, ხომ შენც შეგჭამს და მეცაო. აბა ერთი მაინც მაჩვენე, შენ რაღაც ხელმანდილი გქონიაო.

— რატომ არაო, უთხრა ბიჭმა; მხოლოდ ერთი სიტყვის ნება მომეციო.

— ორი თქვი, ნება გაქვსო.

— აბა თუ შეიძლება, თქვენი ერთი მუხლის ქვეშ მაყურებინეთ და მაშინ გიჩვენებ ამ ჩემს ხელმანდილსო. შეხედა ამ ელენემ გაკვირვებით თავის მოჯამაგირე ქალებს და უთხრა: შეიძლება თუ არა, ასეთი რამეო. — რატომ არა, ქალბატონო, რა დიდი რამეა, რა იქნება, ჩვენ აქ არა ვართ, რის გეშინიანო.

აყურებინა ელენე მშვენიერმა ამ ბიჭს, რაც უთხრა, ის შეუსრულა. ბიჭმა უყურა, უყურა, გაბეზრდა ყურებით და უთხრა: კმარა, მომწყინდა ყურებაო.

— მაშ აბა ჩამოერთვას ეს ხელმანდილიო. — უთხრა კიდევ მოჯამაგირე ქალებს, — აიყვანეთ ეს ვილაცა არის და გადააგდეთ დევებთან, რომ შეჭამონო!

მიიყვანეს ეს ბიჭი და გადააგდეს ამ მოჯამაგირეებმა დევებთან. დევები წამოიშალნენ ბიჭის შესაჭმელად. ბიჭმა უთხრა: მოიცათ, მოიცათ, არ შემჭამოთ და სიკეთეს გიზამთო. შეჩერდნენ დევები, აღარ დაუწყეს ბიჭს რჩოლა. ამოიღო ბიჭმა ჯიბიდან მეორე ხელმანდილი და გაუშალა დევებს წინ, რომელშიც ყველა საჭმელი იყო, დევებს ძალიან გაუხარდათ, დასხდნენ ლამაზად შეექცნენ. არის ლხინი, თამაში, ერთი, მეორე... ელენე მშვენიერმა უთხრა თავის მოჯამაგირეებს: გაიხედეთ გარეთ, იმ ბიჭს შეჭამდნენ დევები, თავი იქნება დარჩენილი, ამოიტანეთ, გვიკლია ერთი თავი იმ ცხრასართულიანი სახლის გავსებას, დახოცილი საქმროებით რომ ვაგროვებთ და იქ დადევითო.

გადაიხედეს მოჯამაგირეებმა თუ არა, ნახეს, რომ ბიჭი დევებთან ქეიფობს; ცეკვავენ, თამაშობენ. მოჯამაგირეებმა გაკვირვებით უთხრეს ქალბატონს: ქალბატონო, ის ბიჭი დევებს არ მოუკლავთ, კიდევ ჰქონია ხელმანდილი რამ, ხედავ რა დღეში ჰყავს ჩვენი დევები?

— აბა დაუძახეთ, ერთი ეგეც წავართვათო! — უთხრა ქალბატონმა. დაუძახეს, ამოიყვანეს ბიჭი მაღლა.

— აბა ითხოვე მაგ შენ ხელმანდილში რა მოგართვათო? — უთხრა ბიჭს ელენემ.

— ერთი სიტყვა კიდევ მიბოძეთ, ქალბატონო, — უპასუხა ბიჭმა.

— ორი თქვი, ბატონო.

— აბა, თუ შეიძლება, წელქვეშა ტანი სულ დამანახე და მოგართმევო.

საწადელი აუსრულეს, მერე ჩამოართვეს მას ის ხელმანდილი და გადააგდეს დევებთან. დევებს გაუხარდათ. იფიქრეს: ჩვენთვის კიდევ მოაქვს ბიჭს საქორწინო პურ-მარილიო. ამოიღო ამ ბიჭმა თავისი მესამე ხელმანდილი, გაუშალა დევებს, აჭამა და ასვა, რაც ენებათ. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უთხრა მოჯამაგირე ქალებს ელენე მშვენიერმა: აბა გადახედეთ ჩვენ ბიჭს, თუ რა დღეშია დევებთანაო.

გადახედეს მოჯამაგირე ქალებმა: შეხედეს, დევები მთვრალები არიან, ერთიმეორეს ვეღარა სცნობენ. — ქალბატონო, ჩვენ ბიჭს კიდევ ჰქონია ხელმანდილი და დევებს აქეიფებსო. ელენე მშვენიერს ძალიან გაუხარდა, თქვა: ღმერთს ჩვენთვის რაღაცა გამოუგზავნია სარჩენადაო. ამოიყვანეს კიდევ ზევით, ვნახოთ რა იქნება, კიდევ ჩამოვართმევთო. ამოიყვანეს ბიჭი. — აბა, ითხოვე რა მოგცე მაგ ხელმანდილშიო.— ერთ სიტყვას გეტყვი, ქალბატონო, კიდევ თუ შეიძლებაო?

— თქვი, რატომ არაო,

— აბა, დააგე შენი ლოგინი, დამაწვინე მე და ჩემს ზემოდან ხალიჩით შენ დაგიჭირონ შენმა მოჯამაგირეებმა. თუ საღამოდან გათენებამდე დაიჭერენ შენი მოჯამაგირეები შენ თავს ხალიჩით, თავი მომაჭერ და თუ არადა, თუ ჩამოვარდი ჩემთან, შენ ჩემი იქნები და მე შენიო.

ელენე მშვენიერს ძალიან გაუკვირდა ეს სიტყვა: როგორ შეიძლებაო? — რატომ არა, ქალბატონო, დაგიჭერთ, რა დიდი საქმეაო, — უთხრეს მოჯამაგირეებმა. რა დიდი რამეა, ერთი ღამე არ არის? კაცი ერთ ღამეს მგლის ტყავში გასძლებსო.

— აბა, ეგ თქვენი საქმეა, ეგ თქვენ იცითო.

დააგეს ლოგინი და ჩააწვინეს ბიჭი შიგ ელენეს ლოგინში; ზევით მაღლიდან დაიჭირეს ელენე მშვენიერი. წევს ბიჭი ლოგინში და ფიქრობს: ახ, ნეტავ როდის ჩამოვარდება ელენე მშვენიერიო. ასე რომ, მაშლის ყივილმა მოატანა. ამ საწყალმა ბიჭებმა ვეღარ გასძლეს გათენებამდე. ერთი იქით გადავარდა, მეორე აქეთ გადმობრუნდა, მესამე, მეოთხე... ჩავარდა ელენე მშვენიერი ბიჭთან.

— აბა. ჩამეხვიე, ჩემო ტურფავ. თუ კი ჩემი უნდა გამხდარიყავ, რად მტანჯავ ამდენი ხანიო?

— არა, შენი ჭირიმე, შენ ხომ იცი მე შენი ვარ, შენ ჩემი ხარ, მაგრამ ვერ მოგეკარები. ნათლია მყავს ზეცას, წავალ, შევეკითხები და მაშინ იყვეს რაც შენ გულს უნდა და სურსო.

— კარგი, რატომ არა, შეიძლებაო, — უთხრა ბიჭმა.

ადგა ქალი ზეზე, მიდის ზეცას ნათლიასთან. წასვლისას ქალმა უთხრა ბიჭს: აი, შენ ეს გასაღები გებარებოდეს, მეოცე, მეოცდახუთე, მეოცდათხუთმეტე, მეოცდაცხრამეტე — სულ არაფერი ეგენი, ხოლო მეორმოცე, არამც და არამც არ გააღო, თორემ ცუდი დღე დაგადგებაო.

— კარგი, კარგი, ჩემო ტურფავ, არ გავაღებ, არ გავტეხავ შენს სიტყვასო.

ადგა ქალი, მიდის ზეცას ნათლიასთან, ავიდა და ჰკითხა ეს გარემოება.

— ეჰ, შე კაი ქალო, რაღაზე მოდიოდი აქ, შენ რომ დაიბადე, მაშინვე იმის ბედი იყავიო.

ადგა ქალი და გამობრუნდა თავისი სახლისაკენ. ამ ბიჭმა დაუარა კარებს და დააღო. რომ მივიდა იმ მეორმოცე კართან, გაახსენდა ელენეს ნათქვამი: ეს კარი არ გააღოო. მაინც არ დაიშალა ბიჭმა, გააღო მეორმოცე კარი. გააღო თუ არა, წამოიშალნენ ასლან-ყაფლანი, ერთი აქედან, ერთი იქიდან და უთხრეს ბიჭს: ეჰ, ადამიანის შვილო, რამ გაგაჩინა, რამ გადმოგაგდო აქეთ: მოგვხედე, ვიწვით, ვიდაგვით, თუ შეიძლება ერთი ცვარი წყალი მოგვასხიო. — რა იქნებაო? — მიაწვდინა. მიასხა ამ ბიჭმა თუ არა, იმ წამსვე ასლან-ყაფლანმა უთხრეს ბიჭს: აბა, ბიჭო, გზა გვიტიეო! ბიჭმა ველარ მოასწრო დევების გზის დატოვება, რომ ამოისუნთქეს, ბიჭი ძელებში შეისროლეს, გამოცვივდნენ ეს ასლან-ყაფლანი და გაიქცნენ. მივიდნენ სადაც ელენე მშვენიერი იყო, მაგრამ ვერ ნახეს იქ. გამობრუნდნენ, გზაზე წამოეწივნენ ელენე მშვენიერს, დაიჭირეს და წაიყვანეს.

გავიდა კარგა ხანი, აღარ მოუვიდა ამ ბიჭს ელენე მშვენიერი. ბიჭი დარდში ჩავარდა. მივიდა ელენეს მოჯამაგირე ქალებთან და ჰკითხა, თუ რატომ არ მოვიდა ამდენ ხანს ელენე.

— რა ქენი შენ, — უთხრეს გოგოებმა, — კარები ხომ არ გააღე იმ ოთახისა?

— კი. გავაღე, მერე რა მოხდაო?

— შენ თვითონა სთქვი რა მოხდაო?

— რა მოხდა და ასლან-ყაფლანი იყო, თუ რაღაცა ჯანდაბა, კინაღამ მომკლეს. რომ შემიბერეს, ძელებში შემისროლეს. მთელი ერთი საათი შებნედილი ვიყავი ძელებში.

— ოჰ, შე უბედურო, შენა, ელენე მშვენიერი მათ წაუყვანიათ. მორჩა, შენ მას ვეღარ ნახავო.

— საითკენ წავიდოდა აბა ერთი მითხარითო?

— საითკენ წავიდოდა, აბა რა ვიცით, თუ წავიდა, ასე წავიდოდაო.

— აბა, მე წავალ მის საძებნელადო.

ადგა ბიჭი და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გაიხედა ერთ ტრიალ მინდორზე, დაინახა ერთი დიდი ქვა. მივიდა იმ ქვასთან ახლოს. აქეთ შემოუარა, იქით შემოუარა იმ ქვას, შეხედა ერთი მხრიდან ერთი პატარა ფანჯარა მოჩანს. გადაიხედა, და ელენე მშვენიერი იქა ზის. ელენე მშვენიერმა დაინახა ის ბიჭი თუ არა, ცრემლები გადმოღვარა.

— აბა, ჩემო ტურფა ელენე, რაღას ზიხარ, წამოდიო.

— სად წამოვიდე, შე საწყალო, კარებს ვინ გააღებს, რომ გამოვიდე. კარები ისეთია, დევის მეტი ვერავინ გააღებსო. თუ კი დევი აქ მოვა, შენც შეგჭამს და მეცაო.

— აბა რა ვუყოთო, აბა მოდი აგერ სარკმლიდან გადმოხტი და ქვევიდან მე დაგიჭერო. ადგა ელენე მშვენიერი და გადმოხტა სარკმლიდან. წაავლო ბიჭმა ხელი და წამოიყვანა.

მოვიდა სახლში დევი და დაიყვირა: სად არის ქალიო! შეჯდა ცხენზე დევი, გამოეკიდა უკან ელენეს. დაეწია და უთხრა: სად მიგყავს ეგ ჩემი ცოლიო?!

— სადა და სახლში მიმყავსო.

— ეს ერთი მიპატიებია და შემდეგში თუ იზამ ამისთანა საქმეს, აღარ გაპატიებ, უეჭველად თავს მოგაჭრიო. წაართვა ქალი; წამოიყვანა უკან დევმა. დილა გათენდა, კიდევ წავიდა დევი სანადიროდ. მეორე დღეს კიდევ მივიდა ბიჭი ელენე მშვენიერთან და წამოიყვანა. მოვიდა დევი და რომ ნახა სახლში არ იყო ქალი, მეტად გაჯავრდა. დაუყვირა ცხენს: — ცხენო, ქალი სად არის, რაშია საქმეო?!

— ნუ გეშინია, გეშინდელის არ იყოს, ქალი ახლოს არისო.

დევმა გამოიყვანა ცხენი, შეჯდა და წამოეწია. წაავლო ხელი ქალს და უთხრა ბიჭს: — სად მიგყავს ეგ ჩემი ქალი?!

— სად მიმყავს და სახლში მიმყავსო.

— აი, შენ ეს მეორე ხათრი, რომ წყლით გაგვაგრილე, თუ კიდევ გაიმეორებ, ხათრი აღარაფრისა მექნებაო!

წამოიყვანა ქალი დევმა უკან. დაღამდა, გათენდა და დევი კიდევ წავიდა სანადიროდ. კიდევ მივიდა ბიჭი მესამედ და წამოიყვანა ელენე მშვენიერი. მოვიდა საღამოს დევი სახლში, შეხედა რომ ქალი არ არის. პირიდან ცეცხლსა ჰყრის. — აბა, ცხენო, საჩქაროდ ქალიო! გამოიყვანა ცხენი, შეჯდა და წამოვიდა. წამოეწია შუა გზაში და წაავლო ხელი: მე ხომ გითხარი, მესამედ აღარ გაპატიებ-მეთქი. ერთი, ორი და ესეც სამი, გაჰკრა ყელში ხმალი და მოკლა ბიჭი.

— ოჰ, — თქვა დევმა, — ახლა მტერი მოვკალი, თავისუფლად ვივლი, თუნდაც ერთი კვირა აღარ მივიდე ჩემს ცოლთანაო. — წამოიყვანა დევმა ქალი სახლში. ცხოვრობენ ერთად.

უფროს სიძეს გაახსენდა ამ ბიჭის სიტყვები. თქვა: მოდი, ერთი ვნახო ჭიქაში რძე რომ ჩაასხა, რძეა ისევ თუ სისხლი გახდაო. ნახა, რომ ჭიქაში რძე გასისხლიანებულა. — ოჰ, — ამოიოხრა, — ცოლშვილის პატრონი გამხადა და დღეს ვხარობ მე, ის კი მომკვდარაო. ადგა დევი და წამოვიდა საძებნელად. გამოიარა გზა ცოტაზე. ვნახოთ, შეხვდა ერთი ქვისლი.

— ვინა ხარ შენ, სად მიდიხარო?

— ასე და ასე, ჭიქაში რძე გამისისხლიანდა, ცოლისძმა მომიკვდა და მივდივარ მის საძებნელადაო.

— ოოო, ნუთუ მე კიდევ ქვისლი მყოლია და არ ვიცოდიო. სწორედ მეც მაგაზე მივდივარო.

მიდიან ორივე ერთად. გაიხედეს, ერთი დევი კიდევ მოდის.

— გამარჯობა შენი. საითკენ მიდიხარ ეგრე გაჩქარებულიო?!

— სადა და ცოლიძმა მომიკლეს და საძებნელად მივდივარო.

— ოჰ, კაცო, მესამე ქვისლიც კიდევ გვყოლია ჩვენაო. აბა, წავიდეთ სამივე, ვიჩქაროთ, ეგებ სადმე მოვნახოთ ის ჩვენი ძვირფასი ცოლიძმაო.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ნახეს ერთ ტრიალ მინდორზე სულ ლუკმა-ლუკმა დაჭრილი კაცი. იცნეს ცოლიძმა. მივიდნენ და დაუწყეს რაღაც წამლობა. გამოარჩინეს ეს კაცი, გამოაცოცხლეს. წამოდგა და თვალებზე ხელებს ისვამს. უჰ, რა ბევრი მძინებიაო. მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, და ელენე მშვენიერი აღარსად არის. უცბად გაქანდა იმ გზაზე, საითაც ელენე მშვენიერი იყო; წაავლეს ამ დევებმა ხელი და გააჩერეს: — მობრუნდი, კაცო, არ გინდა ელენე მშვენიერიო!

— აბა, როგორ მოვბრუნდები, ვიდრე არ მოვიყვან იმასაო.

— გამობრუნდი, ძმაო, თორემ ჩვენ ვერაფერს გიშველით. ეს

ერთი გიშველეთ, და მეორედ კი აღარ შეგვიძლია შენი გაცოცხლებაო.

— როგორ, ნუთუ მე მკვდარი ვიყავიო?!

— მკვდარი იყავი, მაშაო.

— ოჰ, რატომ გამაცოცხლეთო!

მაინც არ დაიშალა ბიჭმა და წავიდა. დევები დაბრუნდნენ სახლში.

მიდის ბიჭი ელენე მშვენიერისაკენ. გაიარა ცოტა გზა. ორ ძაღლს უშოვიათ ერთი ლეში და ერთი მეორეს ებრძვიან: — არა შენა და არა მეო. ამ ბიჭმა უთხრა: მოიცათ, რა გაჩხუბებთო. ამოიღო ჯიბიდან დანა, გაუჭრა; ნახევარი ერთს მისცა, ნახევარიც მეორეს. დამშვიდდნენ ეს ძაღლები და უთხრეს ბიჭს: შენ აგაშენა ღმერთმა, ადამიანის შვილო, რომ მაგისთანა სიკეთე გვიყავი. აგერ ეს ჩვენი ბალანი, საცა გაგიჭირდება, ჩვენი თავი ახსენეო. აიღო ბიჭმა ბალანი და გაუდგა გზას. ხედავს გზაზე, რომ ქათმებს უპოვიათ რამდენიმე ქერის მარცვალი და ერთიმეორეს არ ანებებენ. რომ დაინახა ბიჭმა უთხრა: — ქათმებო, რა გაჩხუბებთო? აიღო და გაანაწილა ქერი. დამშვიდდნენ ეს ქათმებიც. — შენ აგაშენა ღმერთმა, რომ ამ დარდს გადაგვარჩინეო. აი, ეს ჩვენი ბუმბული წაიღე და სადაც გაგიჭირდება, ჩვენი თავი ახსენე და გამოგადგებითო.

აიღო ბიჭმა ბუმბული, ჩაიდო ჯიბეში და გაუდგა გზას. გაიარა ცოტაზე, ერთი ვარდის ბუჩქი დგას. დახვევია ფუტკრები ერთიმეორეს და ჩხუბობენ. — რა გაჩხუბებთ, აგერ ერთ ტოტზე ერთი დაჯექით და მეორეზე — მეორეო. მაშინ მართლა ეს ფუტკრები ერთი იქეთ დაჯდა, მეორე აქეთ და დამშვიდდნენ ესენიც, დასხდნენ თავისუფლად.— შენ აგაშენა ღმერთმა, ადამიანის შვილო, რომ ჩვენ ამ აყალ-მაყალს გადაგვარჩინეო. რახან შენ მაგდენი სიკეთე გვიყავი, აი, შენ ეს ჩვენი ბეწვი, სადაც გაგიჭირდეს, ჩვენი თავი ახსენე, იმ წამს შენთან დავიბადებითო.

აიღო ბიჭმა ბეწვი, ჩაიდო უბეში და გაუდგა გზას, გაიარა ცოტაზე და მივიდა ერთ სოფელში. მივიდა ერთი ბებრის სახლთან და უთხრა: დედი, ღვთის სტუმარი არ გინდაო?

— როგორ არა, შვილო, სტუმარი კი არა, სახლში მოჯამაგირეც მჭირდება, თუ შესძლებო.

— დიდი სიამოვნებით, ჩემი ხელობა ეგ არისო.

— არა, შვილო, სამს რასმე დაგავალებ და თუ შემისრულებ, მაშინ დაგიჭერ მოჯამაგირედ.

— კარგიო.

— აი, შვილო, შეგიდგამ ერთ დიდ ქვაბ ბრინჯის ფლავს და თუ შესჭამ იმასაო. გაუკეთა ბრინჯის ფლავი ბებერმა, გამოუტანა და დაუდგა: დაადგა ბიჭი, შიმშილისაგან ძალიან მოწყვეტილია, სჭამს მგელივით. ბებერი დასცქერის და უკვირს, რას შვრება ეს ოჯახდაქცეული, როგორა სჭამსო. ცოტა რომ ჭამა, ბიჭი კიდევაც ძღებოდა, აღარ იცოდა რა ექნა.

— დედი, თუ შეიძლება თქვენ კარზე მიბრძანდით, მე ძალიან მერცხვინება, რომ თავზე მადგიხარ ჭამაშიო.

— კარგი, შვილო, კარგი, წავალო.

წავიდა ბებერი. ბიჭს არ შეუძლია მეტის ჭამა, თქვა: ნეტავი რა ექნა, როგორ გავიპარო აქედან, რომ ამ ბებერმა არ მომკლასო. ნეტავი გზაზე რომ ძაღლები ვნახე, არ მიშველიან არაფერსაო? ამოიღო ბეწვი და ახსენა ძაღლები. ერთიც ვნახოთ მოგროვდა აუარებელი ძაღლი. — რაშია საქმე, ძმობილო, რა გაგჭირვებიაო? — უთხრეს ბიჭსა.

— როგორ რა, თქვენი ჭირიმე, აი, ამ კუდიანმა ბებერმა ეს ამღენი ქვაბი ფლავი დამიდგა და როგორ შემიძლია მე ამის შეჭმა და თქვენ თუ მიშველით რამესაო. დაეხვიენ მთელი ძაღლები, დაუწყეს ჭამა ფლავს, რომ შეჭამეს, კიდევ ერთი-მეორეს ჩხუბი დაუწყეს. — აბა, თქვენი ჭირიმეთ, აქ ნუ ყვირით, თორემ კუდიანი ბებერი თუ გამოვიდა, თქვენც დაგხოცავთ და მეც მომკლავსო. ძაღლები ისევ გაქრნენ.

შემოვიდა ბებერი, შეხედა, ბიჭი ქვაბს კოვზს ძირზე უხახუნებს. ბიჭმა შესჩივლა ბებერს: შე კაი ქალო, რა იქნებოდა ცოტა ბევრი შეგედგა, ერთი ამ ფლავის ჭამით გავძღარიყავო. ბებერი გაოცდა და თავის გულში თქვა: „ოჰ, მე ვარ კუდიანი და ეს ჩემზე მეტი ყოფილაო". — კარგი შვილო, ეს ერთი დავალება შემისრულეო. მეორე დავალებაში დაუთესა ერთი დღიური ნაგუთნი ქერი და უთხრა: ეს ქერი უნდა უკან ამოკრიფო, ერთი მარცვალიც რომ ვნახო, იცოდე თავს მოგაჭრიო.

დათესა ბებერმა ერთი დღიური ყანა და უთხრა: აბა, აკრიფეო. დაუწყო ბიჭმა კრეფა. ჭოსწყდა კისერი საცოდავად მარცვლების კრეფაში და უთხრა ბებერს: თუ შეიძლება მიბრძანდით, თქვენი მრცხვენია, თორემ აქამდი ავკრეფდიო.

— კარგი, შვილო, კარგი. წავალ და შენ აკრიფეო. რომ წავიდა ბებერი, იმ წუთშივე თქვა: აბა, სადა ხართ, ჩემო ქათმებო. ქათმები ხელად იქ გაჩნდნენ.

— რა იყო, ძმობილო, რა გაგჭირვებიაო?

— ამაზე მეტი გაჭირვება როგორ იქნება, სიკვდილი მელისო,— და უთხრა თავისი დარდი ქათმებს. მიესიენ ქათმები, ხელად აკრიფეს ქერი; მოაქვთ და აგროვებენ ბიჭთან. რომ მოაგროვეს, უთხრა ბიჭმა: აბა, ახლა წადით, თორემ კუდიანი ბებერი თუ გამოვიდა, შავს დღეს დაგვაყენებსო. წავიდნენ ქათმები ხელად, საიდანაც იყვნენ მოსული.

გამოვიდა ბებერი. ეს ბიჭი აქეთ მოხტება, იქით მიხტება, ღითომ ქერის მარცვალს კრეფს. რომ შეხედა ბებერმა, გაუკვირდა: უჰ, — თქვა, — ეს რა უქნიაო?!

— შე დალოცვილო, რატომ ბევრი არ დამითესე, რომ კრეფით გავმძღარიყავიო.

— კარგი, შვილო, ეგეც ამისრულე. აბა, ახლა შედი სახლში, დაჯექი, ჭამე პური და წაიყვანე სამოცი ცხენი საბალახოდ. საღამოზე თუ ერთი ცხენიც დაგაკლდა, იცოდე თავს მოგჭრიო. — კარგი, დედი, კარგიო. ბიჭი დაჯდა პურის საჭმელად, კუდიანი ბებერი შევიდა ცხენებთან თავლაში და ეუბნება ცხენებს: აბა, წადით, ცხენებო, დაიკარგენით ისე, რომ საღამოზე ერთიც ვერ მოგიყვანოთ მაგ ბიჭმა სახლში. უმეტესად შენ გეუბნები, ჩემო თეთრო ცხენო. წადი და ცხრა მთას იქით გადახტი, რომ ღმერთის მეტმა ვერავინ ვერ გიპოვოს, არამცთუ ბიჭმაო.

ადგა ბიჭი, შევიდა თავლაში და გამორეკა ცხენები, წაიყვანა საბალახოდ. გარეკა სოფლის ბოლოს ერთ პატარა ჭალაში. სძოვენ ცხენები. ბიჭი წევს თავისთვის, მაგრამ არ სძინავს. ცხენები უყურებენ ბიჭს, რომ დაიძინებს, მაშინ უნდათ გაიქცნენ, როგორც დაარიგა ამ კუდიანმა ბებერმა. გამოიხედა ბიჭმა და თქვა: დავიძინო, ეს ცხენები სად წავლენო. დაიძინა ბიჭმა, წავიდნენ ცხენები, სულ გადაიკარგნენ. თეთრი ცხენი, რომელიც ქარის ცხენი იყო, ცხრა მთას გადავიდა და დაწვა ისეთ ადგილას, რომ ეშმაკიც ვერ იპოვიდა.

ბევრი ეძინა თუ ცოტა, ამ ბიჭმა გამოიღვიძა, დაღამებულა უკვე. აქეთ მოიხედა, იქით მიიხედა, ერთი კოჭლი ცხენის მეტი ველარა ნახა რა. ბევრი ირბინა, ბევრი იფანცქალა, მაგრამ მაინც ვერ იპოვა ცხენები. აღარ იცის რა ქნას. მაშინ თქვა: ახ, ნეტავი ის ფუტკრებ თუ მიშველიანო. ამოიღო ბეწვი და ახსენა მათი სახელი. მოვიდა აუარებელი ფუტკარი. შემოეხვივნენ გარს და უთხრეს: რა არის, ძმობილო, რა გაგჭირვებიაო? — ამაზე მეტი გაჭირვება რა იქნებაო. სამოცი ცხენი წამოვიყვანე. უნდა ჩავაბარო საღამოს პატრონს და ერთის მეტი ვერ ვიპოვეო.

— ახლავე გიშველით, ძმობილო, ნუ გეშინიაო.

რომ გაიშალნენ ეს ფუტკრები, მთელ ქვეყანაზე მოედვნენ, რომელ ცხენსაც გვერდში ეცემიან, სიმწრით პირდაპირ სახლისაკენ გარბიან. მოაგროვეს ორმოცდაცხრამეტი ცხენი და ერთი აკლია. წავიდნენ, ისიც იპოვნეს ცხრა მთას იქით და მოიყვანეს იქვე იმ ქალთან. — აბა წადი ახლა შენ, წინ ირბინე და დაუყვირე ბებერს, კარი გააღე ცხენები მოდიანო. მირბის ბიჭი წინ, ყვირის: დედი, კარი გააღეო! — გააღო კარი ბებერმა და ცხენები შევიდნენ თავლაში. ბებერმა დათვალა ცხენები, არ აკლდა. ძალიან გაოცდა. იფიქრა: მე ეს ბიჭი რაღაცას მიზამს, სჯობია თავიდან მოვიცილოო და უთხრა ბიჭსა: წადი, შვილო, შედი სახლში, ჭამე პური და გამოდი, რომელ ცხენიც მოგეწონება, წაიყვანე და წადი შენ მშობლებთანაო.

ბიჭი პურის საჭმელად შევიდა. ბებერმა ცხენებისაკენ გასწია, თავლაში რომ შევიდა, უთხრა თეთრ ცხენს: მე ხომ გითხარი, შე დაღუპულო, წადი ცხრა მთას იქით დაიკარგე, რომ ვეღარ გიპოვოს მაგანაო. — არა, შენი ჭირიმე, სადაც ისარი დაგვასო, სისხლი გამოგვადინა, რაღას ვიზამდი, მაშინვე გამოვიქეცი სახლისაკენაო.

ბებერი მიადგა ამ თეთრ ცხენს და ჯოხით სულ ტყავი გააძრო. უნდა არ მოიწონოს ბიჭმა ის ცხენი და არ წაიყვანოს. ჭამა პური, გამოვიდა ბიჭი, დახვდა ერთი უცხო ქალი და უთხრა: შვილო, შენ რომ მიდიხარ თავლაში, იქით მარჯვენა მხარეს ერთი თეთრი ცხენია, რომელსაც ცემისაგან სულ ტყავი ჰკიდია. თუ წაიყვან, ის ცხენი წაიყვანე და მეტი არაფერი არ გინდაო.

შევიდა ბიჭი თავლაში. კუდიანი ბებერი ეუბნება: აბა, შვილო, აირჩიე რომელი ცხენიც გნებავსო, პირობიდან ვერ გადავალო.

აქეთ აიარა, იქით ჩაიარა ამ ბიჭმა, ვითომ და არ მოეწონა არც ერთი ცხენი.

— შვილო, რას დადიხარ, როგორ არ მოგეწონა ცხენებიო. აი, შეხედე როგორ მსუქანი ცხენებია, წაიყვანე რომელიც გინდაო?

— თუ შეიძლება, აგერ ეს უღონო ცხენი მომეცი, შევჯდები და ვივლი ნელ-ნელაო.

— არა, შვილო, უღონო ცხენი რა ხელს მოგცემს, შუა გზაში მოგიკვდებაო.

— თუ იქნება, დედი, ეგ უღონო ცხენი მომეციო.

— კარგი, შვილო, კარგი, წაიყვანე და შენ მასწავლებელსამც გასძვალებია პირში ენა, ვინც შენ გასწავლაო.

გამოიყვანა ბიჭმა ცხენი თავლიდან, დაადგა უნაგირი და მოახტა

ზედ. გადაჰკრა მათრახი, ცხენმა უთხრა: — რაზე მცემ, ვინ ხარ შენ, რომ მცემო! წაიყვანა ცხენმა ბიჭი მაღლა ცაში, მზეს უნდა დააწვეღინოს. ბიჭი ქვეყიდან მოექცა; ცხენი დაბლა წამოვიდა, ბიჭი ზურგზე მოექცა ცხენს. გვერდზე წავიდა ცხენი, ბიჭი უნდა კლდეზე მოაწყვიტოს; მეორე გვერდზე მოექცა. მაშინ ცხენმა უთხრა: აფერუმ, ბიჭო, აგერ ცხენი დავბერდი და შენისთანა მხედარი არ მინახავს, ამ მოხუცებულობის დროს შენ მაინც გემსახურებიო; მითხარი, სად წაგიყვანოო?

— მე მინდა ელენე მშვენიერისაკენ წასვლა, თუ იცი, იმის ბინა სითკენ არიო? — წავიდა ცხენი, მიჰქრის, მიადგა ერთ კლდეს. ეს კლდე იხსნება და იკეტება. ცხენმა უთხრა ბიჭს: დამარტყი იმისთანა მათრახი, რომ ტყავი გასკდეს, თუ არადა ამ კლდეში მოვყვებით და ორივე მოვკვდებითო. დაარტყა ამ ბიჭმა, მართლაც, კაი მათრახი. გამწარდა ეს ცხენი და ისე გაფრინდა, რომ თვალსაც ვერ მოჰკიდებდი, მაგრამ მაინც ცხენის ორი ბეწვი იმ კლდეში მოჰყვა. — ნუ გეშინია, გავედით, ბიჭო, ორი ბეწვი დარჩა კლდეში, იმით არაფერი დაშავდებაო.

წავიდნენ. გაირბინეს ის ადგილი, სადაც ელენე მშვენიერი ცხოვრობდა. დაინახა თუ არა, ბიჭმა უთხრა სარკმლიდან: აბა, ელენე მშვენიერო, უნდა წავიდეთ, ველარას გვიზამს ჩვენი მტერიო. შემოისვა ბიჭმა და წამოიყვანა. დაბრუნდა დევი სახლში. გაჯავრებით მოიკითხა ელენე მშვენიერი. უთხრა ცხენს: სად არის ქალი, რა იქნაო?! ცხენმა უპასუხა: მე ველარ გიშველი, წამოვალ, მაგრამ ქალს ველარ მოიყვანო. წამოვიდა დევი გზას, გამოუდგა, მაინც წამოეწია.

თეთრმა ცხენმა უთხრა ბიჭს: მიიხედე, უკან ხომ არავინ მოგვდევსო. მიიხედა ბიჭმა უკან თუ არა, ერთი ბუზის ტოლი რაღაც გამოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მიიხედა და რაღაც მოდის ცეცხლისფრად. წამოეწია დევი. — არიქა დევი წამოგვეწია, დევის ცხენიო. რა ქნას ბიჭის ცხენმა, ძალიან მოხუცებულია. ეს ბიჭის ცხენი დევის ცხენის დედაა. მიბრუნდა ბიჭის ცხენი და ეუბნება დევის ცხენს. ალალი იყოს შენზე ეს ჩემი ძუძუ, რომ მე შენ გაგზარდე. მე დავბერდი და შენ ჯეელი ხარ, ხომ იცი, სადღა გაგასწრებ მე შენ. წაიყვანე ეგ დევი მაღლა ცაში, გადმოაგდე ძირს, ცხრა არშინი მიწაში ჩავიდეს, რომ მაგის მყრალი სუნი არ ამოვიდესო.

გაიცინა დევის ცხენმა. წაიყვანა მაღლა, გადმოაგდო დევი ძირს და მოკვდა დევი. ჩამოვიდა დევის ცხენი ძირს ბიჭთან, ბიჭმა იმ ცხენზე შესვა ელენე მშვენიერი; მოვიდნენ ბიჭის სახლში. შვიდ დღე და ღამეს გაგრძელდა ქორწილი და ცხოვრობდნენ ტკბილად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

წ ი ქ ა რ ა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. დედა ადრე მოუკვდა და მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. დედინაცვალი ერთი ავი და აშარი ქალი გამოდგა. გერს დღემუდამ სცემდა და ცეცხლის კალოში აყენებდა.

ბიჭს ერთი ხარი ჰყავდა, სახელად წიქარა ერქვა, ძალიან უყვარდა. ყოველდღე მინდორში დაჰყავდა. დაბინდებამდე აძოვებდა, აბანავებდა. ჩრდილში ასვენებდა, რომ სიცხეს არ შეეწუხებინა და მისი მოვლით თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი კი არა ცხრებოდა, გერის თავიდან მოშორება უნდოდა.

სხვაფრივ რომ ვერას გახდა, ადგა და ერთხელ თავი მოიავადმყოფა. დაიწყო ტყუილი კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

— რა გიშველისო?

— წიქარას გულ-ღვიძლის გარდა ვერაფერი მომარჩენსო, — უთხრა ქალმა. იცოდა, წიქარას დაკვლა ბიჭს დარდით დაასნეულებდა და ბოლოს მოუღებდა.

მამა შეწუხდა ამ სიტყვების გაგონებაზე. მაგრამ რას იზამდა, ქალი რომ ლოგინიდან აღარა დგებოდა, გადაწყვიტა, დაეკლა წიქარა.

მეორე დილას ვაჟი ხედავს, მამა დანასა ლესავს.

— რად გინდა, მამა, ეგ დანა, რისთვისა ლესავო? — ჰკითხა ვაჟმა.

— წიქარა უნდა დავკლაო. — უთხრა მამამ.

დაღონდა ბიჭი. მაგრამ რა უნდა ექნა!

— წავალ, წყალს მაინც დავალევინებო, — უთხრა ბიჭმა.

წაიყვანა წიქარა წყალზე. ასმევს წყალსა და ტირის. ტირის ისე, რომ მისი ცრემლები წყალს ეწევიან.

— რა გატირებს, ჩემო მეგობარო? რაზე ითხრი თვალებს, შემოგვეცლოს შენი წიქარაო.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, ეგონა, მომესმაო, შეშინებული და განცვიფრებული დიდხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს მიხვდა, რომ თავისი წიქარა ელაპარაკებოდა.

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლასაო, — მიუგო ვაჟმა.

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, მაგრამ არც შენ მოგელის კარ-

გი დღე. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი. შემაჯექი ზურგზე და გავიპაროთო.

ვაჟმა მოიტანა ყველაფერი და მოვიდა. წიქარამ შეისვა ვაჟი ზურგზე და გაჰქუსლეს. მამა ელოდა, ელოდა და ბიჭი რომ აღარ მობრუნდა, წავიდა წყალზე. ბიჭი იქ არ დაუხვდა, აქეთ ეცა. იქით ეცა, მაგრამ შვილისა და წიქარას ასავალ-დასავალი ვერ შეიტყო. დედინაცვალმა გერის დაკარგვა არად ჩაგდო, მაგრამ როცა ქმარმა უთხრა, წიქარაც თან წაუყვანიაო, ერთი წყეული ღორი ჰყავდა და ის გამოუყენა.

მირბის წიქარა, მიარბენინებს პატარა მეგობარს, მისდევს ეშვებ-დალესილი ღორი. ეს არის, უნდა დაეწიოს, რომ წიქარამ უთხრა ბიჭს:

— რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგას, გადა-ღვარე ბოთლი წყალი.

გადაღვარა წყალი ბიჭმა, გაჩნდა საშინელი ზღვა. ღელავს ზღვა შავად, სიკვდილს უქადის ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირ-თების ცემას და მიცურავს. სანამ ღორი ზღვას გადასცურავდა, წი-ქარამ და იმისმა მეგობარმა კარგა გზა გაიარეს... ბოლოს გამოვიდა ღორიც. წიქარამ უთხრა ვაჟს:

— თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო?

მიიბრუნა ბიჭმა თავი:

— შორს ბუზისოდენად რაღაც მორბის თუ მოფრინავსო. — უთხრა წიქარას.

— ეგ ღორიაო, — მიუგო წიქარამ.

მირბის წიქარა. მიაქროლებს ბიჭს, მორბის ღორი, ცოტა კიდევ და დაეწევა წიქარას.

—გადააგდე სავარცხელიო! — შესძახა ბიჭს წიქარამ.

გადააგდო ბიჭმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. სჭრა ეშვებით ღორმა ტყე, სჭრა და გავიდა. მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს. კარგა გზა გაიარეს. მოიხედა ბიჭმა, შორს ბუზივით ისევ რაღაცა მოჩანდა.

— ბუზის ტოლა რაღაცა ჩანსო. — უთხრა წიქარას.

— ღორი მოგვდევსო, — მიუგო წიქარამ.

ცოტა კიდევ. ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სჭრის ღორი, სჭრის რაც ძალი და ღონე აქვს კლდეში საფეხურებს და ადის ზემოთ. შუა ადგილზე რომ მი-

ვიდა ღორი, დაუსხლტა ფეხი და უფსკრულში ჩაინთქა. წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც.

ბიჭსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ. იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ბიჭი ერთ ტრიალ მინდორზე. იქ ერთი ალვის ხე იდგა, მისი კენწერო ცასა სწვდებოდა. შესვა ზედ. მისცა ორი სალამური, ერთი საჭირვარამო, ერთი სალხინო და უთხრა:

— მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრად, ბალახს მოვძოვ და ვირჩენ თავს. შენ აქ იჯექი, თუ რამე გაგიჭირდეს, საჭირვარამო სალამური დაუკარი და მაშინვე აქ დავიბადები. თუ გილხინდეს, სალხინო სალამური დაუკარი, საქმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცა, — გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ბიჭი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს... გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, ძალიან მოეწონა და მიჰყვა ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ხედავს, ბიჭი სალამურს უკრავს, პეპლები კი გარს შემოხვევიან, სალამურის ხმაზე თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით აევსო თვალები და გადაწყვიტა, ხელთ ეგდო სალამური.

— ჩამოდი ერთი ძირს, მაჩვენე ეგ სალამური, რისგან არის გაკეთებული, — დაუძახა ვაჟს. მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა. წიქარას ჰქონდა ნათქვამი, ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ადგა შურიანი მეცხვარე, წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ამა და ამ ადგილას ერთი ბიჭი ზის ალვის ხეზე და ისე უკრავს სალამურს, რომ იმისი დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა, ან თქვენ უნდა მომგვაროთ ის ბიჭი, ან კაცი იშოვოთ იმისი მომყვანიო. ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფესთან ერთი მოხუცი ქალი მიიყვანეს.

— მე მოგგვრით იმ ბიჭსაო, — უთხრა ხელმწიფეს დედაბერმა.

ადგა დედაბერი, წაიყვანა ერთი თხა, წაიღო სადგისი და მივიდა ალვის ხესთან. ბიჭი ზის თავისთვის ალვის ხეზე და უკრავს სალამურს. დედაბერი ალვის ხის ძირში დადგა, ამოიღო სადგისი და ჩხვლეტა დაუწყო თხას. ჩხავის საწყალი თხა. ვაჟმა რომ დაინახა, მოხუცი თხას აჩხავლებდა, დაუძახა:

— რასა შვრები, დიდედო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?

— დაკვლა მინდა, შვილო, და ვერ დამიკლავს, იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი და დამიკალიო.

ბიჭი რას მოიფიქრებდა, რომ მოხუცს ღალატი ედო გულში. ჩავიდა ძირს. დედაბერმა რაღაც ჯადოთი გააბრუა და დაძინა. ასწიეს

და წაიყვანეს მძინარე ბიჭი ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ბიჭს გამოეღვიძა, ხედავს დატყვევებულია. დაღონდა, დაიწყო ტირილი, ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ მისი სალამურები ალვის ხეზე ეყარნენ ოხრად დარჩენილები. ბიჭი ფანჯარასთან დაჯდა და ცას მიაცქერდა. ამ დროს ცხრაკლიტულს ყვავმა ჩამოუფრინა, დაინახა ვაჟმა და შესძახა:

— ყვავო, ყვავო, სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენი შვილების მზესა, მინდორში რომ ალვის ხე დგას, ზედ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!

— მე რომ ლეშსა ვჭამდი და შენ ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? — უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზასა. გააყოლა თვალი ბიჭმა და ჩამოყარა ცრემლები.

გადმოიფრინა ბეღურამ.

— ჩიტო, ჩიტო, შენი ბარტყების გაზრდასა, მინდორში ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და მომიტანეო!

— შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი? ვერა, მე ვერ მოგიტან, სხვასა სთხოვეო, — უთხრა ბეღურამ და გასცილდა. გააყოლა იმასაც თვალი ბიჭმა და ჩამოსცვივდა ცრემლები. ბოლოს მერცხალი დაინახა ბიჭმა და შესტირა:

საით მიფრინავ, მერცხალო,
საითკენ მიეშურები?
მინდორთ რომ ალვის ხე ხარობს,
ციცინი წყარონიც დიანო,
პეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ მხრებსა შლიანო,
შეიყრებიან ჩიტები,
ყვავილნი შეკრბებიანო,
წიქარაც იმათთან მოდის,
იქ დაინახავ, ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო.

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა საჭირვარამო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა თუ არა სალამურის ხმა, მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული

ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი რომ უნდა გაეტეხა, ცალი რქა მოსტყდა! დაღონდა წიქარა, თავის რქას ისე არ ჩიოდა, როგორც მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა, უცებ ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა:

— რას მომცემ, რქა რომ მოგაბა, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— გაჭმევო, — უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუმთელა რქა, ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც, შევიდა ბიჭთან, შეისვა ზურგზე მეგობარი და გაეშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ბიჭი ალვის ხეზე და თავად ისევ მინდორში წავიდა.

იჯდა ბიჭი ალვის ხეზე, უკრავდა სალხინო სალამურს და ერთობოდა. უცებ წიქარა მოაგონდა და ნახვა მოუნდა. დაუკრა საჭირვარამო სალამური, მაგრამ წიქარა არ გამოჩნდა. რაღას იზამდა, წამოვიდა საძებნელად. ბევრი ეძება, ბოლოს ერთ კორდზე მკვდარი იპოვა. დაემხო ბიჭი წიქარას და ატირდა. ისე გულსაკლავად ტიროდა, რომ მისი ცოდვით ბალახნიც ტიროდნენ, აღარ ირხეოდნენ, პეპლები აღარ ფრინავდნენ და ცრემლსა ღვრიდნენ.

— ვაიმე, ჩემო წიქარა, — მოსთქვამდა ბიჭი, — უშენოდ ახლა რაღა მეშველებაო.

ამ დროს საიდანღაც ის თაგვი გამოვძრა. წიქარას რომ რქა გაუმთელა, წიქარას ლეშის საჭმელად მოსულიყო თურმე. რომ დაინახა ბიჭი ასე საცოდავად ტიროდა, უთხრა:

— რას მომცემ, წიქარა რომ გაგიცოცხლოო, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— ოღონდ კი ჩემი წიქარა გააცოცხლე და გაჭმევო, — უთხრა ბიჭმა.

გაიქცა თაგვი, იქვე მიკრიფ-მოკრიფა რაღაც ბალახი, მოარბენინა. წიქარას წაუსვ-წამოუსვა და გააცოცხლა. მოეხვია ბიჭი ხარს, ეალერსება, თვალებს უკოცნის, წიქარაც პირს უთათუნებს ბიჭსა და ლოკავს.

—აბა! გეყოფათ, — უთხრა თაგვმა ბიჭს, — მე უკვე კარგად მომშივდა, შენი სიკვდილის დროაო.

გაიქცა თაგვი, მოკრიფა სასიკვდილო ბალახი, მოიტანა და ბიჭს გაუწოდა. ბიჭს არ ეთმობოდა წიქარა, მაგრამ პირობა ხომ უნდა შეესრულებინა და თავისი მეგობრისათვის მომკვდარიყო!

ის იყო ბიჭი უნდა შეხებოდა ბალახს, რომ თაგვმა უთხრა:

— მიპატიებია სიკვდილი, თქვენნაირი მეგობრები ჩემს დღეში

არ მინახავს! იცოცხლეთ მარადო! — ბიჭი გონს ვერ მოსულიყო, რომ თაგვი გაქრა.

გახარებულმა წიქარამ შეისვა თავისი მეგობარი ზურგზე. წამოიღო სალამურები, გააქროლა ბიჭი ახლა სხვა ადგილას, სხვა მხარეში, სადაც არც შურიანი მეცხვარე იყო და არც კუდიანი დედაბერი, შესვა ერთ ალვის ხეზე და მისცა სალამურები, თვითონ კი მინდორში წავიდა. ბიჭი ახლაც იმ ალვის ხეზე ზის, უკრავს სალხინო სალამურს, თვითონაც ხარობს და მთელ ქვეყანასაც ახარებს. როცა წიქარას ნახვა მოუნდება, დაუკრავს საჭირვარამო სალამურს და წიქარაც მაშინვე იმასთან გაჩნდება ხოლმე.

ჩაქუჩა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი. მათ ჰყავდათ ერთი ბიჭი, რომელსაც ჩაქუჩა ერქვა. დედა ადრე გარდაეცვალა. ერთი კვირის შემდეგ კაცი წავიდა და სხვა ცოლი შეირთო. დედინაცვალი ბიჭს არ ასვენებდა. გაგზავნიდა წყალზე და რამდენჯერაც მოიტანდა. იმდენჯერ გადაუღვრიდა: წადი, წმინდა წყალი მოიტანე, ეს მღვრიე არისო!

ერთხელ, როდესაც ბიჭი წყალზე მიდიოდა, დაინახა წითელი და შავი გველი ჩხუბობდნენ. შავი გველი წითელს დაედევნა. მივიდა წითელი გველი, ბიჭს ლიტრაში ჩაუძვრა და უთხრა:—როცა მოვიდეს შავი გველი, უთხარი ცხრა მთას იქით გადაიარა-თქო. მივიდა შავი გველი და ბიჭს ჰკითხა: — აქ სულიერს რაიმეს ხომ არ გამოუვლიაო? ბიჭმა უპასუხა: გამოიარა და ცხრა მთას იქით გადაიარაო.

წავიდა შავი გველი. ამოძვრა წითელი გველი, ამოიძრო ერთი ფხა და მისცა ბიჭს: — როცა გაგიჭირდეს, ინატრე, რაც გინდა და ყველაფერი აგისრულდებაო. — გაავსო ლიტრა ბიჭმა და წამოვიდა სახლში. სახლში რომ მოვიდა, ინატრა: ნეტავი ჩემი დედინაცვლის სკივრი ისე აივსოს ფართლით, რომ სარქველი არ ეხურებოდესო. მართლაც. გაივსო სკივრი ფართლით. უთხრა დედინაცვალს: — დედი, ახლა მაინც შემიკერე შარვალ-ხალათიო! — დედინაცვალმა ისევ წყალზე გაგზავნა. გზაში ბიჭმა ინატრა: ნეტავი სახლში რომ

მივალ, ჩვენ რომ ვარცლი გვაქვს, სულ პურით სავსე დამხვდესო. მოვიდა სახლში და ვარცლი, მართლაც პურით სავსე დახვდა. უთხრა დედინაცვალს: ახლა მაინც მომეცი პურიო. ის გაუბრაზდა და უთხრა: — ღორი გარეკეო. გამოიყვანა ბიჭმა ღორი, გაიგდო წინ, დაიწყო სტვენა და გაუდგა გზას, არც იცის, სად მიდის.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ სოფელში. იქ შეეცოდათ, პური გამოუცხვეს, აჭამეს და ისევ გზას გაუდგა. მიადგა ერთ სოფელს. შევიდა შიგ და დაინახა ერთი მზეთუნახავი ქალი. ინატრა: ღმერთო, ამ ქალს გაუჩინე ერთი ბიჭიო და როდესაც კარებს შევაღებ, თქვას: „აი, მამაჩემიო!“ მართლაც გაუჩნდა შვილი ქალს. მოდის ხალხი და კითხულობს: რად გაუჩნდა შვილიო? შეაღო ბიჭმა კარები იმ დროს და ბავშვმა დაიძახა: აი, მამაჩემი ჩაქუჩაო. ხელმწიფემ თქვა: აბა, რაღას ვუზამ, აი შენი ჩაქუჩა, ადექი და ძაგას გაჰყევიო. შენც კაცი მოგინახავს რაღაო!

წაუვა ქალი ჩაქუჩას. ჩაქუჩა წინ მიდის და ცოლს არ უცდის. ქალი ეძახის: — კაცო, დაიცადე, ქრისტიანი არ ხარო? ჩაქუჩა მაინც არ უცდის. გაიარეს კარგა მანძილი. შუადღისას დაცხა. ჩაქუჩამ ინატრა: ეჰ ერთი თელა გააჩინე და მის ჩრდილში ჩავიძინოთო. მართლაც გაჩნდა თელა, რომელსაც მშვენიერი ჩრდილი ჰქონდა. დაწვნენ ხის ძირას ჩაქუჩა და ქალი და დაიძინეს. მეორე დილა რომ გათენდა, ინატრა: ღმერთო, ისეთი რაში მომეცი, რომ სხვა რაში რასაც ერთ წელიწადს გაივლის, მან ერთ წუთში გაიაროსო. გაჩნდა რაში. შეჯდა ზედ, უვლის მინდორს და იძახის: აქამდე ჩემია, აქამდე ჩემია, აქამდე ჩემიაო. ინატრა: ღმერთო, ამ მინდორში ისეთი ხილი ჩაყარე, რომ რიგი მწიფდებოდეს, რიგი ყვაოდეს, რიგი იკრიფებოდესო. გაჩნდა ყველაფერი, რაც ბიჭმა მოინდომა. ახლა მეორე მინდორზე გავიდა, იქაც იგივე ინატრა. ინატრა ერთი სასახლე, მოსამსახურეები, გამართა კარგი ქორწილი და დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე, წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით დაგეწევით, საიქიოს ცხონებითა.
მუხას ჯოხი შემოვკარი. გამოცვივდნენ ტურებიო,
ყველას მაშინ გაუმარჯოს. როცა ჰყავდეს სტუმრებიო.
გათავდა ღა მორჩა, არღუნი და ტოლჩა.

ერთშვილიანი ხელმწიფე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყავდა ერთი ქალიშვილი. ხელმწიფეს თავის დღეში კიდობნები არ ენახა. ერთ დღეს გადაწყვიტა, რომ კიდობანი გაეკეთებინა. მეკიდობნენი თითო კიდობანში თითო ქალს იღებდნენ. ხელმწიფეს უნდოდა სამი კიდობანი გაეკეთებინა. ერთ დღეს დაიბარა მეკიდობნენი და უთხრა: სამი კიდობანი უნდა შემოკრათო. მათ მოიკითხეს ქალები, ხელმწიფეს კი ერთის მეტი არ ჰყავდა. ხელმწიფემ დაითხოვა მეკიდობნენი, სანამ ვინმეს ქალებს გამოართმევდა. ბევრი იარა ხელმწიფემ, მაგრამ ქალები ვერავის წაართვა. ბოლოს შეხვდა ერთ კაცს და ჰკითხა: — ქალები არავინ იციო? — რად გინდა ქალებიო? — მიუგო კაცმა ხელმწიფემ უთხრა: — მე მინდა სამი კიდობანი გავაკეთებინო, თითო კიდობნის გაკეთებაში თითო ქალს მთხოვენ, მე კი მყავს ერთიო. იმ კაცმა უთხრა ხელმწიფეს: — ძაღლი აღარა გყავსო?— როგორ არა მყავსო!— ვირი აღარა გყავსო? ვირიცა მყავსო. — მაშ, წადი და ორივენი აქ მომირეკეო. მოურეკა ხელმწიფემ ამ ბიჭს და ორივენი ქალებად აქცია.

დაიბარა ხელმწიფემ მეკიდობნენი და უბრძანა: კიდობნები გააკეთეთო. მეკიდობნეებმა გააკეთეს ერთი კიდობანი, ხელმწიფეს ფიცარი შემოელია. წავიდნენ მეკიდობნენი სახლში ფიცრის უქონლობის გამო. ბევრი წვალების შემდეგ ხელმწიფემ იშოვა ფიცარი, დაიბარა მეკიდობნენი და გააკეთებინა კიდობნები. ისინი სამნი იყვნენ. ხელმწიფესაც ჰყავდა სამი ქალი, ყველა მეკიდობნეს თითო ქალი მისცა. წაასხეს სამივე ქალი მეკიდობნეებმა და შეუდგნენ საქორწილო ფულის დათვლას. ხელმწიფე უნდა მისულიყო და გაემართა ქორწილი. ხელმწიფე იმ დროს ავად იყო და ვერ წავიდა. დაიბარა სამივე მეკიდობნე და უთხრა: ამ ერთი კვირის შემდეგ ჩამოვალ, რადგან ავად ვიყავ და დასუსტებული ვარო.

გავიდა ერთი კვირა და წავიდა ხელმწიფე თავის სიძეებთან. პირველად მასთან მივიდა. რომელიც ახლოს იყო. ხელმწიფემ ბევრი უცქირა, მაგრამ ვერ შეატყო, რომელი იყო, მხოლოდ მაშინ შეატყო როცა თავისმა ქმარმა უთხრა: მოიტანე პურიო, მან დაუტია: რა მაქვს რომ მოვიტანოო, და ხელმწიფემაც შეატყო ვინც იყო. წავიდა ახლა მეორესთან ,და მასთან რომ მივიდა, გაიმართა კარგი ქეიფი, მაგრამ ის ქალი სულ კამპავდა ხალხს და მასაც შეატყო ხელმწიფემ, რაც იყო.

წავიდა ხელმწიფე ახლა მესამე სიძესთან. ქალმა რომ დაინახა თავისი მამა, გზაშივე მიეგება. დარწმუნდა ხელმწიფე, რომ ეს ჩემი ქალიაო, გაიმართა ლხინი. იმ დღეს ხელმწიფემაც კარგი დრო გა-ატარა. ძალიან მოეწონა სიძე და წაიყვანა თავის სახელმწიფოში. იქაც მეორედ გადაუხადა ქორწილი თავის ქალს. ერთი წლის შემ-დეგ ეყოლათ მშვენიერი ვაჟი. ეს ბიჭი ძალიან ჩქარა იზრდებოდა. თოქმის იმის მომრევი იქ არავინ იყო ტოლებში და იმ სახელმწი-ფოში როგორც გმირი, ისე იყო გამოცხადებული. ხელმწიფეც ძალი-ან მოხუცი იყო. ამიტომ გადაწყვიტა თავისი შვილიშვილი ჯერ დაე-ქორწინებინა და შემდეგ ხელმწიფედ დაენიშნა. ხელმწიფის შვილი-შვილი სულ პირტიტველა ბიჭი იყო, როცა საცოლეს დაუწყო ძებნა. ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო ერთ კუთხეში ლამაზ ქალს და დაი-ნიშნა. მოიყვანა თავისი პაპის სახელმწიფოში და გადაიხადა ქორ-წილი. ხელმწიფემაც თავისი ქვეყანა სიძეს გადააბარა და იგი გამო-აცხადა ხელმწიფედ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ცხრა ძმისა

ერთ კაცს ცხრა ვაჟი ჰყავდა. როდესაც წამოიზარდნენ, მაშას სთხოვეს: ცოლები შეგვრთეო. მაგრამ,—უთხრეს შვილებმა,—ისეთი კაცი უნდა მოძებნო, რომ იმდენივე ქალიშვილი ჰყავდეს, რამდენიც ჩვენ ძმები ვართო. სხვადასხვა კაცის შვილებს არ შევირთავთო. — შვილებო, ღმერთმა მოგიწყოსთ ხელი, მაგრამ მე ძლიერ მეეჭვება, რომ მოიძებნოს სადმე ამნაირი კაცი. მე მაინც არ დაგაკლებთ ჩემს შემწეობას, — უთხრა მამამ და გაუდგა გზას. იარა, იარა და კარს მი-ადგა ერთ დევს. — დევო, რამდენი ქალიშვილი გყავსო? — ჰკითხა მან. — ექვსი,—მიუგო დევმა.—არ მიხერხდება შენი მოყვრო-ბაო.

განაგრძო გზა. ახლა მეორე დევს მიადგა კარს. — დევო, რამდენი ქალიშვილი გყავს? — ჰკითხა ამასაც. — შვიდიო, — უთხრა დევმა. მაშ, მე არ მარგია შენი მოყვრობაო.

გაშორდა ამას და გასწია. იარა, იარა და ერთ კეისართან მივიდა. შეიტყო, რომ კეისარს რვა ქალიშვილი ჰყოლიაო, ყველა გასათხოვარი და ერთიმეორეზე უკეთესი. ჩაფიქრდა ეს კაცი: რა ქნას. დაემოყვროს კეისარს, ერთი უცოლოდ ურჩება და ცხრა ერთად სად მონახოს? ეჰ! რაც მოხდება, მოხდეს. — იფიქრა მან, გაუგზავნა კეისარს მაშვალი და მოყვრობა სთხოვა. კეისარი დათანხმდა. გამოაწყო რვა ქალიშვილი საქორწილოდ. ნახევარი თავისი ქონება გააყოლა მათ მზითვად და გაატანა ამ კაცს. მოდის ეს კაცი შინ, მოჰყავს თან რვა ქალიშვილი. ერთი ხიდი უნდა გაიარონ. ხიდის ქვეშიდან წითელმა დევმა ამოჰყო ხელი; წაავლო ამ კაცს და გააჩერა: არც წინ უშვებს, არც უკან.

— ვინ ხარ, ან რა გინდაო? — დაუძახა კაცმა. — მე ვარ წითელი დევი. თუ შენი შვილის, ბულათის გამოგზავნას არ დამპირდები, არ გაგიშვებო! რას იზამდა, მეტი ღონე არ იყო. დაჰპირდა. მოდის ეს კაცი. მაგრამ დანა კბილს არ უხსნის, თითქო ყველა შვილი ამოსწყვეტოდა. შეიტყვეს შვილებმა მამის მოახლოვება და წინ შეეგებნენ. ყველაზე უწინ ბულათი შეხვდა. — მამა, მადლი და დიდება ღმერთს, რომ შენც მშვიდობით დაბრუნდი და შენი შვილების საცოლეებიც მოგყავსო! მამამ ხმა არ გასცა. გაუკვირდა ბულათს და ისევ ეთხრა: — მამა, მადლი შენსა და ჩვენს სალოცავს. რომ შენც შინ მშვიდობით მოხვედი და შენი შვილების საცოლეებიც მოგყავსო! მამამ არც ახლა გასცა ხმა. დაღონებულმა ბულათმა დედასთან გასწია და შეეხვეწა: დედავ, მე მოგიკვდე, თუ მამას არ ჰკითხო — რა ამბავია, რომ ხმას არ მცემსო?

მამამ რვა რძალი სახლში მოიყვანა. ცოტა ხანს იქით ცოლი დაეკითხა ქმარს: რატომ არ ელაპარაკები ბულათსო? — ჰე. ნეტავი ყველა შვილი დამხოცოდა და ამას არ მოვსწრებოდი. რასაც მოვესწარიო. წითელი დევი დამხვდა ხიდზე. სანამ ბულათის თავს არ შევეპირდი, მანამ არ გამომიშვა. აი, ამიტომ ვარ გლახა გუნებაზე და ამიტომ არ ველაპარაკები ბულათსო.

ბულათი ამ დროს კართან იდგა და ყურს უგდებდა. გაათავა ლაპარაკი თუ არა მამამ, მაშინვე მიიჭრა მასთან ბულათი და ეთხრა: მამავ, ამისთვის შენ რას სჯავრობ. მე დღესვე გავწევ დევთან და ფიქრი ნუ გაქვს, არაფერი გამეჭირდებაო. მოემზადა ბულათი და წავიდა დევთან. ეს პირდაღებული ელის ბულათს. დაინახა თუ არა, ისე გაუხარდა, თითქოს ცისკარი გაღებოდეს: — ჩემო ბულათო, აბა გამეგზავნე... — შე ფინთო, შე ბილწო, ჯერ არაფერი გამეგება და

სად უნდა გაგეგზავნო? ცოტა ხანს მომასვენე და მერე სადაც გინდა. გაგეგზავნები! — ცოტა ხანს უკან დევმა ისევ უთხრა: — აბა, ჩემო ბულათ, ახლა გამეგზავნე კეისართან. მას ერთი ტურფა ქალიშვილი ყავს, ის მომიყვანე ცოლად. ბულათი კარში გამოვიდა. არ იცის, რა ქნას. ამ დროს ერთი დედაბერი დაინახა, მიუბრუნდა და უთხრა: დედაბერო, ჩემი საქმე ასე და ასეა, მადლი ქენი, მასწავლე როგორ უნდა მოვიქცეო?— იმ კეისართან ბევრი მისულა ქალის სათხოვნელად. მაგრამ ცოცხალი კი არავინ დაბრუნებულა, — უთხრა დედაბერმა. მაგრამ შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე რომ დაგარიგო, ისე იარე და არაფერი გიშავსო. გზაზე შენ შემოგხვდება სამი კაცი: ერთი მათგანი ძლიერ ბევრსა სვამს, მეორე ბევრს ჭამს და მესამე დიდ ტვირთს იკიდებს. იცოდე, სამივენი უნდა წაიყვანო კეისართან: გაჭირვების დროს გამოგადგებიანო.

გამოეთხოვა ბულათი დედაბერს და გასწია. ერთს მინდორში კაცს შეხედა. ეს კაცი ჰგლეჯს მიწის ბელტებს, ჰყლაპავს და მაინც იძახის: მშია, მშია! სთხოვა ამ კაცს წაყოლა. წაჰყვა ეს კაცი, გაიარა დიდი მანძილი. შეხვდა მეორე კაცს. ამას ხახა ჩანჩქერისათვის მიუშვერია და მაინც იძახის მწყურია, მწყურია! ამას სთხოვა წაჰყოლოდა, წაჰყვა. მიდიან სამივე. შეხვდნენ მესამე კაცს: რაც მინდორში ქვა არის, ყველა ზურგზე დაუყრია, მაინც იძახის: ტვირთი მინდა, ტვირთი მინდა! სთხოვა ამასაც — წამომყევიო. ესეც გაჰყვა. გასწიეს და კარს მიადგნენ კეისარს. ბულათმა ქალიშვილი სთხოვა საცოლედ. კეისარმა შემოუთვალა: თუ შენ და შენი ამხანაგები ცხრა გოდორ პურს შესჭამთ დილიდან საღამომდის, მაშინ მოგცემ ქალიშვილსო. ბულათმა უთხრა დიდჭამიას: მინდორში ბელტებს ერთიმეორეზე ჰყლაპავდი და მაინც მშია, მშიას იძახოდი. აბა, თუ რამე შეგიძლია, ახლა უნდა გამოიღო ხელი. მოუტანეს ცხრა გოდორი პური, მიუშვეს დიდჭამია, საღამომდე ნამცეციც არ გადარჩენია. ბულათმა ეს ამბავი კეისარს შეატყობინა და სთხოვა ქალიშვილი. კეისარმა შეუთვალა: ერთს საქმეს კიდევ შეგიკვეთო; იმასაც თუ ასრულებთ, მერე წაიყვანე ჩემი ქალიშვილიო.

— თუ შენ და შენი ამხანაგები ერთ ჭურ ბანგს დალევთ, მაშინ მოგცემთ ქალიშვილსო. ბულათმა დიდმსმელს სთხოვა ამ საქმის შესრულება. მიადგა იგი ჭურს და ისე ამოცალა, რომ ცვარი არ დაუტოვებია. შეატყობინეს კეისარს. კეისარს ეს ამბავი არაფრად იამა. არ უნდა ქალიშვილის მიცემა, მაგრამ რას იზამს?! შეუთვალა ბულათს, რომ სამი დღე მაცალე და მერე მოგცემ ქალსაო. ეს ბულათმა არ ქნა: თუ მომცემთ ნებით, ხომ კარგი, თუ არადა შენს უნებურად წავიყვანო.

თავის ამხანაგ მტვირთავს უთხრა: აბა, შენ იცი, თუ რამე შეგიძლია, ახლა გვინდა შენი ხელიო. მოიკიდე როგორმე კეისრის სასახლე და გასწიე. აძან მოსდვა ხელი კეისრის სასახლეს. შეიგდო ზურგზე და მიაქვს. შიგ არიან კეისარი და მისი ქალიშვილი. კეისარს შეეშინდა, სთხოვა ბულათს — თვითონ დაეტოვებია და ქალიშვილი წაეყვანა. ბულათი დაყაბულდა. კეისარმა ქალიშვილს მრავალი სიმდიდრე გააყოლა, დალოცა და გაუშვა.

მოდის გახარებული ბულათი, მაგრამ ერთი რამ აწუხებს: როგორ დაუთმოს კეისრის ქალიშვილი დევს. მოაწია დევის ბინამდის. სანამ მასთან შევიდოდა, ნაცნობ დედაბერთან გასწია. უთხრა: ასე და ასეა ჩემი საქმე, მირჩიე რამეო. დედაბერმა ურჩია: ქალიშვილს დევის სახლში ნუ წაიყვან. ჯერ უთხარი დევს: ქალი მოგიყვანე და კარზე ნახე-თქო. კარებში რომ გამოყოს თავი, დოლაბი, რომელიც იქვეა ჩამოკიდებული ჭახრაკით, ისე ჩამოაგდე, რომ დევს თავზე დაეცეს. თუ ეს მოახერხე, შენი საქმე გაკეთებულიაო. ბულათი ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა ურჩია. უთხრა დევს: შე, ბილწო, მოგიყვანე კეისრის ქალიშვილი, გარეთ არის და ნახეო! — დევი სიხარულმა აიტანა, მაშინვე გამოეშურა კარისაკენ. დაედევნა უკან ბულათი და, როცა დევმა მიაწია იმ ადგილას, სადაც დოლაბი იყო დაკიდებული, დაუტრიალა ჭახრაკი; ჩამოვარდა, დაეცა დოლაბი დევს თავზე და მტვრად აქცია. რასაკვირველია, გაუხარდა ბულათს. დევის ქონება ოთხად გაპყო. სამი ნაწილი თავის ამხანაგებს მისცა, მეოთხე დედაბერს, თვითონ ქალიშვილი წაიყვანა და წავიდა შინისაკენ. სახლში ძლიერ გაუხარდათ ბულათის მისვლა და დიდად იმხიარულეს.

საწყალი კაცის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი კაცი. ცხოვრობდა სოფელში და ძალიან გაჭირვებული იყო. არაფერი არ ჰქონდა: არც სახლი. არც კარი. ადგა და წავიდა. ტყის პირას გააკეთა ფოთლის ქოხი. ამ ბიჭს საზრდო არა ჰქონდა რა. შეკრავდა ერთ გუდურა შეშას და მიჰქონდა ქალაქში გასაყიდად. ყიდდა და ყიდულობდა

პურსა და საზრდოს. ერთ ზამთარს წაიღო ქალაქში ერთი გუდურა შეშა გასაყიდად. ძალიან ციოდა. იყიდა პური და ამოიღლიავა მოდის გზადაგზა, თანაც პურსა კბეჩავს. ამ დროს ხელმწიფის ეზოსთან გაიარა ხელმწიფის ქალმა დაინახა და თავის მამას უთხრა: — აგერ, მამი, ეშმაკი! მამამ გაიხედა და იცნო, რომ კაცი იყო, ძალიან გაუჯავრდა. — ეს ადამიანია, ეშმაკი არ არისო! — თუ ადამიანია. ეგრე რამ გააშავაო.

მოუვიდათ ჩხუბი. მამამ გაიწია ქალიშვილზე: ან გაჰყევი, ან ამ საათში თავს მოგჭრიო! ეს ქალი შეფიქრიანდა. სიკვდილს ისევე იმ კაცის გაყოლა აირჩია. გამოკრა თავისი ტანისამოსი ბოხჩაში და გამოუდგა ამ კაცს. დაუძახა: — დამიცადე, კაცო! — კაცმა უკან მოიხედა და არ დაიჯერა, თავისი ბინისაკენ წავიდა, თქვა: —სასაცილოდ მიგდებსო. მივიდა ეს კაცი თავის ქოხში. მივიდა ეს ქალიც. კაცმა უთხრა: — რად მოხვედიო? — იმიტომ მოვედი, რომ შენ ქმარი უნდა იყო, მე ცოლი, უნდა შემირთოო. კაცს შეეშინდა, რითი უნდა შევინახოო? — ხომ ხედავ, თითო გუდურა შეშას ვყიდი და თავს იმითი ვისაზრდოვებო. ქალმა უთხრა: — მე თვითონ შეგინახავო. მაქვს ერთი ხელსახოცი მოქსოვილი, რომელიც ორმოცდაათი თუმანი ღირსო, წაიღე ეს ხელსახოცი და ბაზარში ჩაიტანეო. თუ ვინმე შემოგევაჭროს, უთხარი — ფასი ზედ აწერია-თქო. წაიღო ეს ხელსახოცი და ბაზარში ჩაიტანა. შემოხვდა ერთი ვაჭარი კაცი. — რა ღირს ეს ხელსახოციო? იმან უთხრა: — მე არ ვიცი, ფასი ზედ აწერიაო. მაშინ მყიდველმა უპასუხა: — წამოდი და შინ დაგითვლი ფულსაო. წამოიყვანა და დაუთვალა ორმოცდაათი თუმანი, მასაც აჩუქა ორი მანეთი, პური აჭამა და გაუშვა სახლში.

მოიტანა ეს ფული სახლში ამ კაცმა. მეორე ხელსახოციც მოქსოვა ქალმა და ორმოცდაათი თუმანი დააწერა. — წაიღე ეს ხელსახოცი და ისევ იმ ბაზარში ჩაიტანეო. წაიღო, ატარა, ატარა, ნაღდ ფულზე ვერ გაყიდა. შემოხვდა ერთი ვაჭარი და უთხრა: ფული კი არა მაქვს, მაგრამ სამ სიტყვას გეტყვი და თუ მომცემო? — არა, შენი ჭირიმე, მე სიტყვაზე ვერ გავყიდიო. წაიღო ეს ხელსახოცი და უკან მიიტანა სახლში.

ცოლმა უთხრა: — არავინ გევაჭრაო? — შემევაჭრენ სიტყვებზე, მაგრამ არ მივეციო. — ძალიან დაგიშავებიაო. წადი, იპოვე ის კაცი და მიეცი სამ სიტყვაზეო.

წამოვიდა და ჩაიტანა ისევ ბაზარში ხელსახოცი, ბევრი ძებნის შემდეგ იპოვა ეს კაცი. უთხრა: — მოგცემ ხელსახოცს და მითხარი სამი სიტყვაო. — წამოდიო.

წაიყვანა სახლში. ამ კაცმა უთხრა: — პირველი სიტყვა ეს იქნება: დაუფიქრებლად სიტყვას ნუ იტყვიო, დაფიქრდი და ისე თქვიო. მეორე: შენთან რომ კაცი მოვიდეს და გითხრას: ის კაცი მოსაკლავად მოდისო, შენ რომ წახვიდე და მოკლა, შენი ცოდვა იქნება, რომ ალალმართალი გამოდგესო. მესამე: წყალგაღმა რომ იყო და კაცი მოვიდეს და გითხრას, როგორი გასავალიაო. შენ არაფრად ჩაუგდო და უთხრა: ადვილი გასავალიაო. ის რომ დაისრჩოს, შენი ცოდო იქნებაო. შენ უნდა უთხრა, შენ შენი ეცადე-თქო. მაგითი მთავრდება ეს სამი სიტყვაო. აჩუქა ფული, აქამა პური და გაუშვა სახლში. შინ რომ მივიდა, ცოლს უამბო სამი სიტყვა. ცოლმა უთხრა: ეს სიტყვები დაიმახსოვრე, გამოგადგებაო. ახლა შენ რომ წახვიდე და ერთ წელიწადს მოჯამაგირედ დადგე. ხუთ თუმან ფულს მოგცემენ. ერთ ულელ ხარს ვიყიდით და ჩვენი საქმე კარგად იქნებაო.

წავიდა ეს კაციც და ჩავიდა ქალაქში. შემოხვდა სამი ვაჭარი კაცი. გამარჯობა უთხრეს ამ კაცსა. გაგიმარჯოსო. — მოჯამაგირედ დადგები? — დავდგებიო. — წელიწადში როგორაო? — ექვს თუმნადაო.

ამოიღეს და მაშინვე მისცეს ექვსი თუმანი. აიღო და ეს ფული გაგზავნა სახლში. გაატანა თავიანთებურ კაცსა. ის კაცი კი წავიდა მათთან მოჯამაგირედ. სამი დღე და ღამე იარეს და სულ ერთად ურწყულებძა. გავიდნენ გორგოთ მთაზე. მარტო იქ იყო წყალი. მოჯამაგირეს მისცეს ლიტრა და ამით წყალი მოიტანეო; მივიდა და ნახა, იმ წყალთან იდგა ერთი შეიარაღებული ბიჭი. რომელიც ბაყაყს ათამაშებდა. ამ მონადირე ბიჭმა უთხრა: აბა, ძმობილო. დაფიქრდი და მითხარი: — მე ვჯობივარ. თუ ეს ბაყაყიო? ბაყაყი ეთამაშებოდა მხრებზე. უნდა ეთქვა რამე. მაგრამ მოაგონდა ვაჭრის სიტყვა. დაუფიქრებელ სიტყვას ნუ იტყვიო. სამი ნაბიჯი გადადგა უკან და შეეშინდა ეთქვა. რომ შენ ჯობიხარ ამ ბაყაყსო, ვაითუ მომკლასო; იფიქრა აქ რაღაცაშია საქმეო.

ბიჭი აჩქარებდა: არა, ჩქარა თქვი, რომელი ჯობიაო. მერე იფიქრა იმ ბიჭმა, მოდი და ვიტყვი, ბაყაყი გჯობიაო. თქმა ამისი და ეს ბაყაყი გასკდა და მზეთუნახავი ქალი გამოვარდა. გაიქცა ეს ბიჭი. გადაეხვია ამ კაცს და დაუწყო კოცნა. რამდენი კაცი მომიკლავს და შენისთანა სიტყვა არავის არ უთქვამს. წყალი ახლა თავისუფალიაო. წყალი ამ ბიჭს ეჭირა და იმიტომ ხოცავდა ხალხს, ეუბნებოდნენ — შენა ჯობიხარო. ადგა და ამ კაცს სამი ბროწეული და ერთი ოქროს ქამარი აჩუქა: თუ ცოლი გყავს, ამ ქამარს შემოირტყამს, ოქროს

ქოჩრიანი ბიჭი გაუჩნდებაო. ადგა, ესენი, გამოახვია ძონძებში და გაატანა თავიანთებურ კაცს. მან კიდევ გაავსო ლიტრა და აუტანა წყალი ვაჭრებსა. გაუკვირდათ, რომ ცოცხალი ავიდა და უთხრეს:— იქ არავინ იყო, ბიჭო? — იყო და წავიდაო, წყალი თავისუფალიაო. გადაეხვივნენ ამ ბიჭსა: — რა სიტყვა უთხარი, რომ წყალი გახსნაო? — წავიდნენ ვაჭრები და წაიყვანეს ეს მოჯამაგირეც. თავიანთებურმა კაცმა იმ ცოლს მოუტანა ძონძებით ეს სიმდიდრე. ქალს ძალიან გაუხარდა. გაჭრა ერთი ბროწეული და ნახევარი ბროწეულით ერთი პატარა ქალაქი ააშენა. მოჯამაგირეები. მოსამსახურეები დაიჭირა ამ საწყალი კაცის ცოლმა, როგორც ქალბატონს ეკადრებოდა, კამეჩის ჯოგი, ცხვრის, ცხენის და ყველა მწყემსს უთხრა, თუ ვინმე შეეკითხებოდა, მისი ქმრის სახელი და გვარი ეთქვათ. ქმარს წლის ბოლოს ელოდებოდა. საწყალ კაცს გაუვიდა ყავლი. აჩუქეს შვიდი თუმანი, დიდი მადლობა გადაუხადეს და გამოისტუმრეს. მოჯამაგირე აღარ უნდოდათ, რადგანაც წყალი გამოუვიდათ. ახლა წამოვიდა ეს კაცი თავისი ფოთლის ქოხისკენ. შემოხვდა გზაში უცბად კამეჩის ჯოგი. შეეკითხა მწყემსებს: — ვისია ეს ჯოგიო? მათ უთხრეს მისი სახელი და გვარი. ამ კაცს ეწყინა, სასაცილოდ მიგდებენო. მწყემსებმა კი სიმართლე უთხრეს, ეს არ იცოდნენ, თუ ის პატრონი იყო.

ასე იკითხა, ცხვრის ფარა რომ შემოხვდა. აქაც ისევე უთხრეს თავისი გვარი და სახელი. გადახედა თავის კარ-მიდამოს და იქ ფოთლის ქოხი აღარ იყო; დახვდა ქალაქი. შეფიქრიანდა ეს კაცი. მერე იკითხა: — ესა და ეს ხელმწიფის ქალი სად არისო? — ქალბატონიო? — დიახ, ისაო. — აი, მაღლა შენობაში ცხოვრობსო. მივიდა ის კაცი იმ ეზოში და გამოცვივდნენ ლაქიები, დაუწყეს ლაპარაკი. მოჯამაგირედ ხომ არ დადგებიო? ამ კაცმა უთხრა: — დავდგებიო. ზოგი უარზე დადგა: რათ გინდაო? ერთმა ბერიკაცმა თქვა: ბატებს მაინც მოუვლისო.

გავიდა ერთი თვე. ეს კაცი დასდევდა ბატებს. უთხრა ბერიკაცს: — ქალბატონის ნახვა მინდა, შეატყობინეთო. — მე ვერ გავუბედავო, — უთხრა ბერიკაცმა და პატარა ქალი გაგზავნა: — წადი, ქალბატონს უთხარი, ერთი კაცი არის აქ ერთი თვეა და შენი ნახვა სურსო. ავიდა ქალი და ქალბატონს მოახსენა.

ქალბატონი მაშინვე გამობზრიალდა გარეთ. იქნება ჩემი კაცი მოვიდაო. დაუძახა მოსამსახურეებს ის კაცი მოეყვანათ. გამოვიდა ეს კაცი კანკალით. ქალმა იცნო ქმარი. პატარა ქალს უთხრა, დამიძახე მოსამსახურე ბიჭსაო. — ავიდა მოსამსახურე ბიჭი. ქალბატონმა

უთხრა, — ის კაცი აქ ამომიყვანეთ, ფეხი ძირს არ დაადგმევინოთო. — ჩავიღნენ, დასტაცეს ხელი. თანაც ჯავრი მოსდით და სცემენ მაგრად. ჩვენ არ შეგვირთო ქალბატონმა და ეს ვინ შეირთოო? ქალბატონმა ბიჭები დაითხოვა. დაბლა ჩადითო. დასვა ის კაცი, ტანისამოსი გამოუცვალა, გაუყარა მკლავი და დერეფანში სეირნობენ. მოსამსახურეებს შეეშინდათ, რომ დავარტყით, დაგვითხოვსო, მაგრამ მან არავინ დაითხოვა.

დაეძინა ქალს. კაცმა რომ დაინახა, აკვანი იდგა, ჯავრი მოუვიდა. ამოიღო ხანჯალი. ცოლს თავი უნდა მოჭრას, მაგრამ ვაჭრის სიტყვა მოაგონდა, უნდა დაფიქრდე და ისე მოკლაო. მოაგონდა ქამარი, მას შემოირტყამდა და დაორსულდებოდაო. გამოიღვიძა ქალმა და უთხრა: ეს ყველაფერი შენი ამაგია, სამი ბროწეული და ერთი ქამარი რომ გამოგზავნეო. ნახევარი ბროწეულით ქალაქი ავაშენეო. წავიდნენ, ჯოგიდან გამოიყვანეს თეთრი ცხენი, დაადგეს ვერცხლის უნაგირი, მოსამსახურე ხელმწიფის დასაპატიჟებლად გააგზავნეს. მოსამსახურე დაარიგეს: თუ ვინმემ გამოგკითხოს გზაზე — ვინა ხარო, არ უთხრა. ხელმწიფესაც აგრე მოახსენე — მათი მოჯამაგირე ვარ-თქო.

ხელმწიფეს გაუკვირდა და უთხრა: — ასეთი ბიჭი ხარ და იმ უბედურს როგორ გაუგონე სიტყვაო? — სასაცილოდ აიგდო ხელმწიფემ, — სადილად როგორ დამპატიჟაო! — მოსამსახურე მობრუნდა და მოუტანა ამბავი, ხელმწიფემ უარი თქვაო. მეორე დღეს წითელი ცხენი გამოიყვანეს ჯოგიდან, ოქროს უნაგირი დაადგეს, ტანისამოსი ოქროსი ჩააცვეს და გაგზავნეს ხელმწიფესთან.

მივიდა და უთხრა: — დიდებულო ხელმწიფევ, თქვენი სიძე გპატიჟებთ, სადილად მობრძანდითო. ცოლმა ურჩია ხელმწიფეს: — ჩვენი კერძი წავიღოთო და მინდორზე მოვიპატიჟოთო. ბიჭმა მოიტანა ამბავი: — ესე, ესე. ხვალ მოდიან თავიანთი ხარჯითო. სიძეს გაეცინა. საიდანაც ხელმწიფე უნდა მოსულიყო იმ მხარეს ჯოგი გაუშვა.

შეხედა ხელმწიფემ ჯოგს და იკითხა: ვისიაო? უთხრეს თავისი სიძის სახელი და გვარი. ხელმწიფემ თავისი წვენი გზაზე დაღვარა. ჯარი დააბრუნა: გამდიდრებულა ჩემი სიძე და სირცხვილია ასე მისვლაო. ნახა ქალაქი, ნახა სიძე და ქალიშვილი ხელგაყრილნი გადიან და გამოდიან. დაბლა არც კი იკადრეს ჩამოსვლა. ავიდა ხელმწიფე თავისი მეეღლით მაღლა, გადაეხვია თავის სიძეს და ქალს. დაუწყეს კოცნა. უთხრა ქალმა: რატომ არ მოხვედით, არ გვკადრულობდითო? შევიდნენ შინ. ნახეს ისეთი საჭმელები, ხელმწიფეს არც კი

ენახა. სადილის მერე ქალმა მამას უთხრა ფული უნდა დაგვიხურდაო. მოიტანა ორ ბროწეულნახევარი და უხურდავებდა. ორი ძლივს დაახურდავა და ნახევარი დარჩა. ნახევრის ხურდა აღარ ჰქონდა. ხელმწიფემ დაულოცა თავის სიძეს სახელმწიფო, ჩამოჰკიდა ჯაჭვი და მანაც იხელმწიფევა.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. მთელ სახელმწიფოში განთქმულ მონადირედ ითვლებოდა. ხელმწიფესაც ძალიან უყვარდა და მასთან დაახლოებული იყო. მონადირე რასაც კი მოჰკლავდა, ყველას ხელმწიფეს მიართმევდა. მონადირე გარდაიცვალა და დარჩა ერთი ვაჟიშვილი. რასაც სხვა წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ერთხელ მონადირის შვილის ბინაზე ხალხი იყო შეყრილი და მუსაიფობდა. ამ დროს მონადირის შვილი პატარა ბავშვებთან კოჭაობდა. ხალხი ლაპარაკობს: მონადირის შვილმა რომ თავისი მამის ხელობა იცოდეს, ან მისი იარაღი, აუცილებლად მამაზე კარგი მონადირე იქნებოდაო. მონადირის შვილმა ეს რომ გაიგონა, მაშინვე დედასთან გაიქცა და უთხრა: დედი, ძუძუ მინდაო. რა დროს ძუძუა, შვილო, სადაცაა უნდა დაგაქორწილოო. არა დედი, ძუძუს სურვილმა მომეარა და იმისათვისა გთხოვო. დედამაც მოაწოვა ძუძუ.

მონადირის შვილმა მოწოვის მაგივრად კბილები მოუჭირა და უთხრა: — მითხარი, მამაჩემი რა ხელობისა იყო და ან მისი იარაღი სად ინახებაო?—დედა ჯერ უარზე იდგა. როდესაც შეწუხდა, უთხრა: მამაშენი მონადირე იყო და მისი იარაღი მეცხრე ოთახში ინახებაო. მისცა გასაღები და გააღო პირველი ოთახი. დაინახა პირველ ოთახში სულ ფრინველების ფიტულებია, მეორეში — კურდღლების, მესამეში — მელიების, მეოთხეში — მგლების, მეხუთეში — ლომების... მეცხრე ოთახში კი თავისი მამის იარაღი. მონადირის შვილი მივიდა იარაღთან, მაგრამ ვერ დასძრა და გამოვიდა დედასთან ტირილით. დედამ უთხრა: წადი, ჩვენს ხევში ჩამოდის ორი წყალი. ერთი მღვრიე, მეორე წმინდა. ჯერ მღვრიეში იბა-

ნავებ, მერე წმინდაშიო. მონადირის შვილმა დედის სიტყვა შეასრულა, დაბრუნდა სახლში და მამის იარაღიც მჩატე ეჩვენა.

შეიჭურვა იარაღით და წავიდა ტყეში სანადიროდ. ბევრი იარა თუ ცოტა, გავიდა ერთ უღრან ტყეში და შეხვდა ერთი ნადირი. ესროლა და მოკლა, გააძრო ტყავი და წამოიღო სახლში. იმ სახელმწიფოში, სადაც მონადირის შვილი ცხოვრობდა, სანთლის ანთება აკრძალული იყო. როდესაც ის ტყავი მოიტანა სახლში, გააკრა კედელზე და ისე ანათებდა ღამით, როგორც სანთელი. ხელმწიფის ვეზირებმა დაინახეს ეს შუქი მონადირის შვილის სახლში და ხელმწიფეს შეატყობინეს. ხელმწიფემ გასცა ბრძანება, მონადირის შვილი მიეყვანათ მასთან. როდესაც ვეზირები მოვიდნენ, ნახეს რომ რაღაცა ტყავი ანათებდა. მონადირის შვილი როდესაც მიდიოდა ხელმწიფესთან, ტყავიც თან მიჰქონდა, მაგრამ დედამ დაუშალა: დედა გულთმისანი ჰყავდა და იცოდა, რა მოელოდა ბოლოს. მონადირის შვილმა დედას არ გაუგონა და ტყავი მიართვა ხელმწიფეს. საჩუქრად. ხელმწიფეს მონადირის შვილი ძალიან შეუყვარდა და დიდად პატივს სცემდა, ვეზირებს კი ყურადღებას არ აქცევდა.

ვეზირებს მონადირის შვილი შესძულდათ და მისი მოკვლა განიზრახეს. ერთ ღამეს ვეზირებმა გამართეს თათბირი და დაადგინეს, მონადირის შვილი გაეგზავნათ ისეთ ადგილას, რომ იქიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულიყო. მეორე დღეს ვეზირებმა ხელმწიფეს მოახსენეს თავიანთი გადაწყვეტილება: დიდებულო ხელმწიფევ, რა კარგი იქნებოდა, ამ ძვირფას ტყავს რომ ოქროს ბოძიც ჰქონოდაო. — ვინ მომიტანსო? — ვინა და შენი კეთილი მონადირის შვილიო.

მეორე დღეს გამოიძახა მონადირის შვილი და უთხრა: — უნდა მომიტანო ოქროს ბოძი, თუ არადა თავს მოგჭრიო. დაბრუნდა დაღონებული და დედას უამბო. ვიდრე დედას ეტყოდა, დედამ უკვე იცოდა, რა უთხრეს მის შვილს და დაარიგა როგორ მოქცეულიყო. წადი და უთხარი ხელმწიფეს გააკეთებინოს სამოცფუთიანი ისარი და სამი ურემი შეაბმევინოსო. ამისი ფასი რაც გავა, ყველაფერი ვეზირებისა იყოს, შენი არც ერთი კაპიკი არ ერიოს, თორემ ვერ შევასრულებ შენს დანაბარებს-თქო. მართლაც, ხელმწიფემ გააკეთებინა სამოცფუთიანი ისარი, მოსწია მონადირის შვილმა და გატეხა. მერმე ოთხმოცფუთიანი გააკეთებინეს და ის კი ვეღარ გატეხა. მონადირის შვილი დაბრუნდა დედასთან. დედამ ასწავლა შვილს, როგორ უნდა მოეტანა ოქროს ბოძი: წადი, შვილო, გადაივლი ერთ მთას, გადაივლი მეორეს და მესამეზე როდესაც გადა-

ზვალ, დაბლა ჭალაში არის დევების სახლი. პარასკევ დილას მხოლოდ მათი და რჩება სახლში. მესამე მთიდან ესვრი ისარს და სახლი დაინგრევა. სახლიდან გავარდება ოქროს ბოძი, შემოკრავ მათრახს შენს რაშს, ჩააფრენ ჭალაში და წამოიღებ ბოძს. მონადირის შვილმა დედის სიტყვები შეასრულა და მართლაც წამოიღო ბოძი, მიართვა ხელმწიფეს. ხელმწიფემ ოქროს ბოძი დადგა სახლში და ზედ დაჰკიდა ტყავი.

ვეზირებმა უთხრეს ხელმწიფეს, ეს ტყავი და ეს ბოძი ამშვენებს შენ სახლს. შენისთანა ხელმწიფე არ იქნებოდა, რომ გველეშაპის ძვლის სახლიც გქონდეს და ეს ბოძი და ეს ტყავი შიგ გაკრულიო. ხელმწიფემ უთხრა: — ამას ვინღა შემისრულებსო? — ამასაც მონადირის შვილიო.

მართლაც, მეორე დღეს დაიბარა მონადირის შვილი და განუცხადა თავისი აზრი.

მონადირის შვილი დაბრუნდა სახლში. დედამ უთხრა: წადი, შვილო, და უთხარი, სამოცდაათი ურემი თავისი მეხრეებით, მათი საჭმელი, ორმოცდაათფუთიანი ისარი გააკეთებინე და დაბრუნდი ჩემთან. მხოლოდ მასში რაც ფასი გავა, ყველაფერი იყოს ვეზირებისა. ისე დაასაწყლა ვეზირები, რომ სახლებს ყიდიან, ოღონდ კი დაიღუპოს მონადირის შვილიო.

დედამ შვილი გაისტუმრა და დააბარა: როდესაც მიუახლოვდები ქაჯების სახელმწიფოს, ურმები მოშორებით დააყენე, შენ კიდევ წადი და ტყეში პატარა ქოხი გააკეთე. გათენებისას, როდესაც მზე ამოდის, ბოლო და თავი ერთად აქვს გველეშაპს. მზის ამოსვლის დროს, საიდანაც მზე ამოვა, იქიდან ესროლე და მოხვდება თავში. მონადირის შვილმა დედის ნათქვამი ყველა შეასრულა და მოკლა გველეშაპი. დაბრუნდა ისევ თავის ქოხში. სახელმწიფოს რომ გაეღვიძა, ძალიან გამხიარულდნენ, რომ განთავისუფლდნენ გველეშაპისაგან და დაუწყეს ძებნა მის მომკველს. ვინ არ მოიყვანეს, მაგრამ ისრის გამოძრობა ვერავინ ვერ შესძლო. დაინახეს, ერთი ტყიდან ბოლი ამოდიოდა. ხელმწიფემ გაგზავნა მათთან კაცი და მოაყვანინა. მოვიდა მონადირის შვილი და თავისუფლად ამოაძრო თავისი ისარი. მაშინ ხელმწიფე გადაეხვია, დაკოცნა და უთხრა: — რასა მთხოვ, რომ მოგცეო. — არაფერი არ მინდა, სამოცდაათი ურემი მყავს აქ, ამ გველეშაპის ძვალი გამომირჩიეთ და გამივსეთ ურმებიო.

დაახვია ქაჯეთის ხელმწიფემ თავისი სახელმწიფოს ხალხი და

გაუვსეს ურმები. მონადირის შვილმა ძვლის სახლიც გაუკეთა. გავიდა რამდენიმე ხანი და ვეზირებმა მოიგონეს ერთი კიდევ ისეთი სახიფათო საქმე, რომ მონადირის შვილი დაღუპულიყო, და მოახსენეს ხელმწიფეს.

— დიდებულო ხელმწიფევ. მთელ მსოფლიოში შენისთანა ხელმწიფე არ არის, არც არავის შენისთანა კოშკი აქვს, მხოლოდ ცოლი გაკლიაო. ამა და ამ ადგილას არის მზეთუნახავი ქალი, ის რომ მოიყვანო, შენისთანა ქალი არავის არ ეყოლებაო. — ვინ მომიყვანსო? — ვინა და შენი მონადირის შვილიო.

დაიბარა მონადირის შვილი და უბრძანა, რომ წასულიყო მეორე დღესვე. მივიდა მონადირის შვილი დედასთან და დედამ უთხრა: — წადი, მოახსენე ხელმწიფეს, რომ გიყიდოს ორმოცდაათი თოფი ჩითი ერთი, ასორმოცდაათი ერთი და ორასორმოცდაათი ერთი. სულ იყოს ვეზირების ხარჯი. როდესაც გაივლი და ჩვენს საზღვარს გადასცდები, დაგხვდება გზაში ერთი სახლი, სადაც ცხოვრობს ქალი. მიეცი ორმოცდაათი თოფი ჩითი. შემდეგ ის გასწავლის მეორე თავის დას. იქაც რომ გაივლი, მიეცი ასორმოცდაათი თოფი. მესამესთან რომ გაივლი, მიეცი ორასორმოცდაათი თოფიო. წავიდა მონადირის შვილი. შეხვდა გზაში სამი შევარდენი: ერთი თეთრი, ერთი წითელი და ერთი შავი, რომლებსაც გველვეშაპი ეომებოდა.

დაინახა მონადირის შვილმა, ესროლა ისარი და მოკლა გველვეშაპი. მაშინ სამივემ გამოუძრო ბუმბული და უთხრა: საცა გაგიჭირდეს რამე, ბუმბულებს მოსწვი ბოლო და იქ გავჩნდებითო.

წავიდა მონადირის შვილი. ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა იმ ქალის სახლს და მისცა ორმოცდაათი თოფი და უთხრა თავისი გასაჭირი. ქალმა ასწავლა მეორე დის სახლი და წაიყვანა კიდევ უფროს დასთან. მონადირის შვილმა მეორე დას მისცა ასორმოცდაათი თოფი ჩითი და ისიც თავისი მხრივ წაჰყვა უფროს დასთან, მივიდნენ მესამე დასთან, ამასაც მისცა ორასორმოცდაათი თოფი ჩითი და დამალეს ის ბიჭი, დაუძახეს იმ ქალს, რომელიც უნდა წაეყვანა ხელმწიფისათვის. მოწვევაზე ის ქალი მოვიდა. გამართეს ქეიფი და შეაპარეს ჩუმად ბანგი. მალე ქალმა დაიძინა. ბიჭმა წაიყვანა თავის სახელმწიფოსაკენ. როდესაც საზღვარს მიუახლოვდა, ქალი გამოფხიზლდა და გადმოუხტა რაშიდან, გამოექცა. დაედევნა და დაიჭირა. მაგრამ ქალი ვერ დაიმორჩილა. ამ დროს მოაგონდა ბუმბულები. ამოიღო, მოუწვა ბოლო და სამივე შევარდენი იქ გაჩნდა. — რა გინდა, ძმაო, რა გაგიჭირდაო? — ეს ქალი

უნდა მომიყვანოთ სახლშიო. დაავლეს შევარდნებმა თავისი ბრჭყალები და მიიყვანეს მონადირის შვილის სახლში. იმ ღამეს იქა ჰყავდა და მეორე დილას მიუყვანა ხელმწიფეს. მაგრამ ვიდრე მონადირის შვილი ქალს მიუყვანდა ხელმწიფეს, ვეზირებმა ცილი დასწამეს მონადირის შვილს და მოახსენეს ხელმწიფეს: წუხელ თავისთან ეწვა ქალი და მერე თქვენთან მოიყვანაო.

ხელმწიფემ კარისკაცს უბრძანა, ჩამოეხრჩოთ მონადირის შვილი. მაშინ წამოდგა ქალი და სთხოვა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ, თუ შეიძლება მომეცით ერთი სიტყვის ნებაო. თავის გრძნეული წკეპლა ქალს ხელში ეკავა. ხელმწიფემ სიტყვის უფლება მისცა. ქალმა თქვა: ვინცა გყავს შენ სახელმწიფოში, ყველა აქ მოიყვანეო.

ხელმწიფემაც ბრძანა, რომ ყველა შეკრებილიყო. მართლაც, მოვიდა ყველა. მაშინ ქალმა მოახსენა ხალხს: ეს ტყავი ვისი მოტანილიაო? მონადირის შვილისაო. — ეს ოქროს ბოძი ვისი მოტანილიაო? — მონადირის შვილისაო. — მე ვიღას ვეკუთვნიო? — ვინც თქვენ მოგიყვანათო. გადაჰკრა ქალმა გრძნეული წკეპლა ხელმწიფეს, შენ იქეცი კურდღლადაო და ვეზირები კი აქცია მწევრებად. გამოუდგნენ, დაიჭირეს კურდღელი და შეჭამეს მონადირის შვილი დაჯდა ხელმწიფედ. იმ ღამეს გადაიხადეს ერთი კარგი ქორწილი და დღესაც ის ხელმწიფობს იმ ქვეყნად. ვინცა შრომობს, პურს ისა სჭამსო.

ჭირი იქა. ლხინი აქა. ქატო იქა. ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე ბარს ჩავიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით მომიგონეთ, საიქიოს ცხონებითა.

უშვილო ხელმწიფე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. შვილი არა ჰყავდა. მთელი თავისი სახელმწიფო მოიწვია და დაკლა ცხვარი. ყველას უთხრა, შვილის წამალი ხომ არ იცითო? ყველამ უარი უთხრა ამ დროს ერთი კაცი წყალგაღმა იყო. დაუძახა ხელმწიფემ: — შვილის წამალი ხომ არ იცი? — მან უპასუხა: — მაგაზე ადვილი რა არისო? გამოვიდა წყალში, ხელმწიფესთან ჭამა პური და უთხრა:

სამი ბადე დამიწანიო. ხელმწიფემ დაუწნა სამი ბადე. წავიდა სათევზაოდ. გადააგდო ერთი ბადე, არ ამოჰყვა თევზი; მეორე გადააგდო, არც იმას ამოჰყვა; მესამე რომ გადააგდო, იმას ამოჰყვა ორი თევზი, მიუტანა ხელმწიფეს და უთხრა: მოხარშე ეს თევზები და შეჭამეო. ხელმწიფემ არ იცის, ვის მოახარშვინოს, რომ არ შეუჭამოს. იმ სოფელში იყო ერთი ბებერი დედაკაცი. მიუტანა და უთხრა: მოხარშე ეს თევზებიო. მოხარშა, მაგრამ ბოლოები დააწიწკნა და შეჭამა ბებერმა დედაკაცმა.

დაორსულდა ხელმწიფის ცოლი და ის ბებერი დედაკაციც. გაუჩნდა ხელმწიფეს ქალი, იმ ბებერს კი ბიჭი. ბიჭს დაარქვეს ბებრისშვილი. ეს ბიჭი და ქალი მალე იზრდებიან. ორივეს ერთმანეთი მოსწონთ. ბებრისშვილი სანადიროდ დადიოდა. იმ სახელმწიფოში იყო სამი დევი: ერთი თეთრი, მეორე წითელი, მესამე შავი. ამ დევებმა მოიტაცეს ხელმწიფის ქალი. გაიგო ბებრისშვილმა, წამოვიდა და მათ გზაში, ხიდქვეშ დაუდარაჯა.

მოდის თეთრი დევი თეთრი ცხენით. შეფრთხა ცხენი. დევმა უთხრა: აჩუ, შე ტიალო, ქვესკნელს ჭიანჭველას არ გაუვლია და ზეცას ფრინველს ჩვენი ძვების შიშითაო. კიდევ დაჰკრა მათრახი. აჩუ, ერთს აქებენ ბებრისშვილს, ის ვერას მიზამსო. გამოვიდა ბიჭი. მოკლა ეს დევი. ცხენმა გამოუძრო ბეწვი და მისცა: სადაც ჩემი თავი დაგჭირდეს, მახსენე და იქა ვარო. გაუშვა ის ცხენი.

მოდის ახლა წითელი დევი წითელი ცხენით. ცხენი შეუფრთხა ამ წითელ დევსაც. აჩუ, შე ვერანო, რისა გეშინია, ქვესკნელს ჭიანჭველას ვერ გაუვლია, ზეცას ფრინველს ჩვენი შიშითაო. დაჰკრა მეორედ მათრახი: ერთსა აქებენ, ბებრისშვილს, ჯერ სამი წლისაც არ არის, ვერას მიზამსო. გამოვიდა ეს ბებრისშვილი და შეეტაკნენ ერთმანეთს. მოკლა ის წითელი დევიც. ცხენმა გამოიძრო ერთი ბეწვი, სადაც ჩემი თავი დაგჭირდეს, მახსენე და იქა ვარო. გაუშვა ცხენი.

მოდის შავი დევი შავი ცხენით. შეუფრთხა იმასაც ცხენი ხიდის ყურზე. — აჩუ, შე ვერანო, რა გაშინებსო! ქვესკნელს ჭიანჭველას და მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია ჩვენი შიშითაო. — დაჰკრა მათრახი, ცხენი კიდევ შეფრთხა: — აჩუ. შე ტიალო, რა გაშინებს. ერთს აქებენ ბებრისშვილს, ჯერ სამი წლისაც არ არის და ვერას მიზამსო.— გამოიარა ბებრისშვილმა ხიდის ქვეშიდან ზლაზვნით, გამოიარა ცხენმაც. ერთმანეთს შეეტაკნენ. აიღო და დაანარცხა დედამიწაზე. მოკლა. ცხენმა გამოიძრო ერთი ბეწვი და უთხრა: სადაც ჩემი თავი დაგჭირდეს, მახსენე და იქ ვარო!

ბებრისშვილმა იშოვა ცხრაფუთიანი რკინის კეტი, ცხრაფუთიანი ჯაჭვი და წავიდა. დევებს ის ქალი ჰყავდათ ჭაში, ჭის ძირას. დაარჭო ლომი ბებრისშვილმა, ჩავიდა ძირს ქალთან და ქალმა უთხრა: ჯერ შენ ადი, თორემ გიღალატებენო. ბიჭმა უთხრა, ვინ მიღალატებს, ცხრა ფუთიანი ლომი ურჭვიაო, ცხრა ფუთიანი ჯაჭვი არის ესაო. ავიდა ქალი. ამ დროს გამოიარა ერთმა გმირმა ბიჭმა და მოეწონა ეს ქალი. ამოაძრო ჯაჭვი, დაავლო ქალს ხელი და წაიყვანა. ბებრისშვილი ჭაში დარჩა. დაქორწინდა ეს ბიჭი იმ ქალზე.

ამ დროს ჭაში მარტოდმარტო დარჩენილ ბებრისშვილს მოაგონდა ცხენები. ახსენა თეთრი ცხენი, ცხენი მივარდა თავის შეკაზმულობით და უთხრა: — რა გაგიჭირდაო?—ის გამიჭირდა. რომ აქედან უნდა ამომიყვანოო. — ვერ აგიყვანო — უთხრა ცხენმა. ახსენა წითელი ცხენი, ისიც თავის შეკაზმულობით მოვარდა. — რა გაგიჭირდაო? — აქედან უნდა ამომიყვანოო. — ვერ აგიყვანო, — უთხრა ამ ცხენმაც. ახსენა ბიჭმა შავი ცხენი. მოვარდა შავი ცხენი თავის შეკაზმულობით და უთხრა: — რა გაგიჭირდაო? — აქედან უნდა ამიყვანო. ცხენმა უპასუხა: სამჯერ დამკარ ეს მათრახი, სამპირად ამძვრება სამპირი შოლტი ტყავი, მარილი მომაყარეო. დაჰკრა ბებრისშვილმა ცხენს მათრახი და ასძვრა სამი შოლტი ტყავი, მოაყარა მარილი. ისკუპა ამ ცხენმა და ამოიყვანა ბიჭი. გაუშვა ეს ცხენი. ბეწვი გამოიძრო ცხენმა: სადაც გაგიჭირდეს, მახსენე და იქა ვარო!

მოვიდა, ჭამა პური და წამოვიდა იმ ბიჭთან მუქარაზე. ამ დროს ბიჭი და ქალი ბაღში ხელგაყრილნი დასეირნობდნენ. მივიდა, ბებრისშვილი გადავიდა ბაღში და ხელი მოხვია ქალს. სიძე-ბიჭმა უთხრა:— ეს როგორ გამიბედეო. ბებრისშვილმა მიუგო:—შენ როგორ გამიბედე იქ ჯაჭვის ამოძრობაო. შეეტაკნენ ბებრისშვილი და ის გმირი ბიჭი. აიღო ბიჭი, დააწყვიტა მიწაზე და კისერი მოსტეხა. ჩაავლო ქალს ხელი, წამოვიდნენ სახლში და დაიწყეს ბედნიერად ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
მუხას ჯოხი შემოვკარი, გამოცვივდნენ ტურები,
ყველას მაშინ გაუმარჯოს, როცა ჰყავდეს სტუმრები.

მ ე ნ ა ხ ი რ ე

ერთხელ მამამ თავისი უმცროსი შვილი წაიყვანა შორს მთაზე, სადღაც დაებნა და თვითონ დაღონებული შინ წამოვიდა. ამ ქედზე გველვეშაპი ცხოვრობდა. გადაიხარა, დაინახა ბიჭი და ჩამოსძახა: ეი, შენ. ადამიანის შვილო, არ გინდა გაგზარდო ჩემს ძმადაო? ბიჭმა თანხმობა გამოუცხადა. გველეშაპმა აიყვანა ბიჭი მაღალ ქედზე და უთხრა: აქედან პირდაპირ ჩადი. ერთი ალვის ხე დგას, იქ ნახავ ჩემს დედამამას და უთხარი: თქვენს მზეს, ამაღამ შემინახეთ-თქო. ისინი დაგაყენებენ. დილით უთხარი: თქვენი შვილის მზეს, ამ ალვის ხის ნაფოტი მომეცით-თქო. მამაჩემი უარს გეტყვის, მაგრამ დედაჩემი მოგცემსო.

ყმაწვილი ჩავიდა ალვის ხესთან. იქ ერთი კაცი და დედაკაცი ცხოვრობდნენ. ბიჭმა სთხოვა: თქვენს მზეს, ამაღამ შემინახეთო. მისცეს ბინა. დილით სთხოვა: თქვენი შვილის მზეს, ამ ალვის ხის ნაფოტი მომეცითო. კაცი არა შვრებოდა, მაგრამ ქალმა მისცა და თან დაარიგა: რასაც ინატრებ, აგისრულებს ეს ნაფოტი, მხოლოდ უთხარი: ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ესა და ეს ამისრულე-თქო. ბიჭმა წაიღო ნაფოტი და წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთ ქვეყანაში. იქ ერთ დედაკაცს სთხოვა: დედი, პური მშია, მაჭამეო.

დედაკაცს ორი პური ჰქონდა და ერთი მისცა. ბიჭმა შეჭამა. დედაკაცმა მეორე პურის ნახევარიც მისცა, ისიც შეჭამა, ნარჩენი ნატეხიც მისცა, ბიჭმა ისიც შეჭამა. ბიჭი დანაყრდა და დედაკაცს უთხრა: — დედი, შენი შვილი ვიქნებიო. — მე შვილი არა მყავს და შენ იყავი ჩემი შვილიო. — გაუხარდა დედაკაცს.

ბიჭმა უთხრა: — წამიყვანე სადმე, მოჯამაგირედ დამაყენეო. დედაკაცმა წაიყვანა სოფელში და ერთი წლის ვადით მებატედ დააყენა; მეორე წელიწადს მეღორედ დააყენა; მესამე წელიწადს — სოფლის მენახირედ. იქაურ ხელმწიფის ქალს ორი ძროხა ჰყავდა და თვითონ წველიდა. ერთხელ, როცა ქალი ძროხას წველიდა, მენახირემ საქონელი ჩაატარა. დაინახა ხელმწიფის ქალი. ამოიღო ნაფოტი და დაელაპარაკა: ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამ ქალს მე ნუ ამაცდენ, ჩემი გახადეო.

შუადღისას მენახირემ ნახირი წყალზე მირეკა. ხელმწიფის ქალიც იქ იყო. დაინახა ქალმა მენახირე და შეიყვარა, ხვდებოდნენ ერთმანეთს. ქალი დაორსულდა, შვილი შეეძინა. ერთ დღეს ხელმწიფემ გაიგონა ბავშვის ტირილი და გაუკვირდა. ჩემს ასულს საიდან ან ვისგან გაუჩნდა შვილი, ეს რა ამბავია ჩემს თავსაო? შეყარა ჯარი-

ჯამაათი, უნდოდა გაეგო, ვინ იყო ბავშვის მამა. ბავშვი გაიძახოდა:— დედა აქა მყავს და მამა არაო. ხელმწიფემ იკითხა: კიდევ აკლია ვინმეო? — არავინ არ აკლია მენახირის მეტიო, — უთხრეს ხელმწიფეს. მოიყვანეს მენახირე; ზოგი თავში სცემდა, ზოგი დასცინოდა: ხელმწიფის ქალი სწორედ შენ გიკადრებდა, რომ ბავშვმა მამა შენ დაგიძახოსო.

დაინახა ბავშვმა მენახირე და შესძახა: დედა აქა მყავს, მამაც მოვიდა. დედა აქა მყავს, მამაც მოვიდაო! ხელმწიფე მიხვდა ყველაფერს: განდევნა ასულიცა და სიძეც. თვითონ ჯავრისაგან ავად გახდა. დაიბარა უფროსი სიძეები და უთხრა: უკვდავების წყალს თუ მომიტანთ, მოვრჩები, თუ არადა არაო. მენახირის ცოლმა გაიგო მამის სურვილი, მივიდა მამასთან და უთხრა: ჩემს ქმარს გავგზავნი უკვდავების წყლის მოსატანადაო.

მამა გაუწყრა: —წადი, თვალით არ დამენახო, თქვენი მიზეზითა ვარ ავადო. გააგდო ქალი. სიძეები წავიდნენ უკვდავების წყლისათვის.

მენახირემ ამოიღო ნაფოტი და ინატრა: აბა, ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი კარგი შეკაზმული ცხენი და ტანისამოსი მომეციო.

გაჩნდა შეკაზმული ცხენი და ტანისამოსი. მოირთო მენახირე, მოახტა ცხენს და მიაქროლა წყალთან.

უფროსი სიძეები მისულიყვნენ წყალთან, მენახირემ დაუყვირა: ვინა ხართ, რისთვის მოსულხართ აქაო?

სიძეებს წყლის პატრონი ეგონათ და მიუგეს: — წყალი გვინდა ვიყიდოთო. — არა ვყიდიო, უთხრა მენახირემ. — მაშ, რა ვქნათ, უწყლოდ როგორ წავიდეთ, ხელმწიფე კვდებაო, — შეწუხდნენ სიძეები. — წყალს არა ვყიდი, მაგრამ რადგან ასეა საქმე, მოგყიდით, მაგრამ ფასად ყურის ბიბილოებს მოგაჭრითო.

მოაჭრევინეს სიძეებმა ყურის ბიბილოები და წაიღეს წყალი. ხელმწიფე მაინც არ განიკურნა. ისევ დაიბარა სიძეები და უთხრა: — უკვდავების ყურძენი მომიტანეთ, იქნებ მარგოსო.

მენახირის ცოლმა კიდევ სთხოვა მამას: — ჩემი ქმარიც გაგზავნე უკვდავების ყურძნის მოსატანადაო. ხელმწიფემ დაითხოვა თავისი ქალი, — ქმარს ნუ ახსენებო. მენახირემ სიძეებს მიასწრო უკვდავების ყურძენთან. ავიდნენ სიძეები და სთხოვეს მენახირეს: — უკვდავების ყურძენი მოგვყიდე, სიმამრი გვყავს ავადაო. — ყურძენს არ ვყიდი, მაგრამ თუ ჩემ ცხენს თითო წიხლს მიაკვრევინებთ, მოგყიდით, თუ არა და არაო, — მიუგო მენახირემ. რას იზამდნენ

სიძეები, მიაკვრევინეს წიხლები. წაიღეს ყურძენი. ხელმწიფეს ვერც ყურძენმა უშველა რაიმე. ისევ დაიბარა სიძეები და უთხრა: — ირმის რძე მომიტანეთ, თუ მარგებს, ის მარგებსო.

მენახირემ ახლაც გაასწრო სიძეებს. ამოიღო ნაფოტი და დაიკივლა: — ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, რაც ირმები არიან, სულ აქ მოგროვდნენო.

მოცვივდნენ ყოველი მხრიდან ირმები და ერთ ადგილას მოგროვდნენ. ქვისლები მივიდნენ მენახირესთან და სთხოვეს: — ირმის რძე შოგვყიდეო. — თუ თითო შოლტ ტყავს ამაძრობინებთ, მაშინ მოგყიდითო, — მიუგო მენახირემ.

რას იზამდნენ ქვისლები, ააძრობინეს თითო შოლტი ტყავი, მენახირემ მისცა ირმის რძე და მიუტანეს სიმამრს. ხელმწიფე მორჩა, დიდი მეჯლისი გამართა. მენახირემ კარგად ჩაიცვა და ხალხში გაერია. ხელმწიფის სიძეებმა დაინახეს მენახირე და უთხრეს სიმამრს: აი, ის კაცი გვაძლევდა უკვდავების წყალს, უკვდავების ყურძენს და ირმის რძესაო.

ხელმწიფემ ახლოს მიიწვია უცხო სტუმარი, გვერდით მოისვა და ჰკითხა: ვინ ბრძანდები, სადაური ხარო?

მენახირემ არაფერი უპასუხა ამაზე და ჰკითხა: — უფროსი ქალები თუ დაპატიჟეთ მეჯლისზე, რატომ უმცროსი ქალი არა გაუვიდა დაპატიჟებულიო? — უმცროს ქალს ცოცხლებში აღარ ვთვლი, ისეთი მასხარა მენახირე ვმარი შეირთო, რომ საქვეყნოდ თავი მომჭრაო, — მიუგო ხელმწიფემ. — მენახირე სიძე მე გახლავარ, რით მჯობიან სხვა სიძეები, ჩემგან მოჰქონდათ უკვდავების წყალი, უკვდავების ყურძენი და ირმის რძე. აი, მაგათი ყურის ბიბილოები, საშოლტე ტყავები; გახადეთ შარვლები, თუ ჩემი ცხენის ნალის კვალი არ ამჩნევიაო, — თქვა მენახირემ და გამოხსნა ხელსახოცში გახვეული ყურის ბიბილოები და ტყავები.

ხელმწიფე დარწმუნდა, მენახირე სიძე სჯობნებია სხვა სიძეებსაო, პატიება სთხოვა და თავისი სახელმწიფო ჩააბარა.

ყოფილმა მენახირემ დაპატიჟა ძმობილი გველეშაპი, მამა და ძმები. სანამ გამოეცნაურებოდა მამას, ჰკითხა: — შვილი ხომ არა გყავს დაკარგულიო? — მგონი, ერთ დროს დავკარგე პატარა შვილი, კარგად არ მახსოვსო, — მიუგო მამამ.

შვილი გამოეცნაურა მამას და თავის სახელმწიფოში ცხოვრობდა ბედნიერად.

უკვდავების წყალი

იყო ერთი მეფე და ჰყავდა ერთი ქალი. იმ ქალს ჰყავდა ბევრი მთხოვნელი; მაგრამ ქალმა არავინ არ ინდომა, რომ გათხოვილიყო. მეფემ უთხრა ვეზირებს: წადით და ისეთი კაცი მოიყვანეთ, რომ ცხოვრების შნო არა ჰქონდეს, საწყალი იყოს, არაფერი არ გააჩნდეს. წავიდნენ ვეზირები იმისთანა კაცის საძებნელად. ბევრი იარეს და ნახეს, ერთ მწიფე ატამქვეშ ერთი კაცი წევს, შეჰყურებს მაღლა ატამს: ნეტავ, ის ატამი ჩამოვარდეს და პირში ჩამივარდესო. თქვეს ვეზირებმა: — ამაზე მეტი საწყალი და უხეირო რაღა იქნებაო. აიყვანეს ის კაცი და წაიყვანეს მეფესთან.

მიიყვანეს და მეფემ უთხრა შვილს, — ეს უნდა იყოს შენი ქმარიო. ქალმა მიიღო, რაღას იზამდა.

ამ კაცს გუდის მეტი არაფერი ჰქონდა. იყვნენ რამდენიმე ხანი ერთად. ქალმა და კაცმა ერთმანეთის არა იცოდნენ რა. უთხრა მერე ქალმა: განა აქ ზედსიძედ ხომ არ მოხვედიო. უნდა წავიდეთ, ჩვენ ჩვენთვის უნდა ვიცხოვროთო. ადგნენ და გაუდგნენ გზას. წაიღეს, რასაც მოერეოდნენ ხელდახელ.

იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ დიდ ქალაქს. ქალაქის გვერდზე იყო დიდი მინდორი. ქალმა უთხრა: ბინა აქ უნდა დავიდოთ ჩვენაო. გააკეთეს ანწლისა და წნელის ქოხი. ქალმა იცოდა ხელობა, რომლითაც შეეძლო ცხოვრება. მოქსოვა შალი, გაატანა ბაზარში. გაყიდე და სურსათი იყიდეო. იმ კაცმა მართლაც გაყიდა შალი სამ მანეთად. ბრუნდებოდა და ამ დროს შეხვდა ერთი კაცი, რომელსაც ერთი კატა ჰყავდა და სამ მანეთს აფასებდა. ამ კაცმა გამოართვა კატა და მისცა სამი მანეთი. მოვიდა სახლში და მოიყვანა კატა. ჰკითხა ქალმა: — რა ჰქენიო? — გავყიდე სამ მანეთად და ეს კატა ვიყიდეო. — რას იზამდა ქალი. მეორე დღესაც გაატანა ისეთივე შალი. — წადი, გაყიდე და საჭმელი რამე მოიტანეო. გაყიდა ამ კაცმა სამ მანეთად. შეხვდა ერთი კაცი, რომელსაც სარკე აქვს გასაყიდი. — რა ღირსო? — სამი მანეთიო. აიღო, მისცა სამი მანეთი და იყიდა სარკე. მოვიდა სახლში. — რა ჰქენიო, — უთხრა ქალმა. — გავყიდე და სარკე ვიყიდეო.

რას იზამდა ქალი. მესამე დღეს ისევ გაატანა შალი და გაისტუმრა ბაზარში. კაცმა კიდევ გაყიდა სამ მანეთად. აქ ერთი კაცი დადიოდა და იძახოდა: — ჭკუასა ვყიდიო. დაფიქრდა უხეირო, მოდი ამას ვიყიდიო. — კაცო, ჭკუა რა ღირს, როგორ ჰყიდიო? — სამი მანეთიო, — უპასუხა. აიღო და მისცა სამი მანეთი. — აბა, რა არის

ჭკუაო? — მან უთხრა: — ჭკუა ის არის, რომ ცოლ-ქმრობისთანა გემო არაფერში არ არისო. მოვიდა ეს კაცი სახლში, მოეხვია ცოლს და მაშინ გაიგეს ცოლ-ქმრობა თუ რა იყო.

გაიგეს ცოლ-ქმრობა, იყვნენ როგორც წესია. ცხოვრობდნენ ასე: დადიოდა კაცი ბაზარში, მოჰქონდა საჭმელი და ატარებდა დროს.

ერთხელ შეხვდა ერთი მოვაჭრე. რომელიც დადიოდა სავაჭროდ ძალიან შორს, სხვა სახელმწიფოებში. მოურიგდა იმას შვიდ თუმან ფულად და წაჰყვა მოჯამაგირედ. ცოლი დატოვა აქ. წავიდნენ და ბიდიან. ერთ ცხენზე ვაჭარი ზის, მეორეზე — მოჯამაგირე.

მოვიდნენ ერთ ალაგას. პატრონმა იცის, რომ აქ უკვდავების წყალია. ვინც ჩადის, ველარ ამოდის. უთხრა მოჯამაგირეს: ჩადი, იქ წყაროა, ამოგვიტანეო. წავიდა ეს მოჯამაგირე, მიუტანეს წყლის ჭურჭელი. მივიდა და ნახა: ერთი წყაროა. იმ წყაროს იქით და აქეთ ერთი კაცი და დედაკაცი ზის, ბებრები. აავსო წყალი და უნდა წამოვიდეს, ამ დროს უთხრეს: სად მიხვალ, არ შეიძლება წყლის წაღებაო. ერთ სიტყვას გეტყვით, თუ ის აგვიხსენი, გაგატანთ, თუ არადა, ვერაო. ჰკითხეს: — ქვეყანაზე გემო რაშიაო? — აუხსნა პიჭმა, რომ ცოლ-ქმრობაშია გემოო. გაუხარდათ ამათ და გაუშვეს ბიჭი. მისცეს ორი ბროწეული საჩუქრად. ამოვიდა ბიჭი მაღლა და ამოიტანა წყალი.

სანამ ის ამოვიდოდა, კიდევ მოვიდნენ ვაჭართან გამვლელები და დაიწყეს ცდა. ამოვიდა ბიჭიც. გაუკვირდათ ძალიან: ეს რა ამბავია, აქედან ცოცხალი არავინ ამოდიოდა, ეს რა მოხდაო. დალიეს ის წყალი. ბიჭმა ერთი ბროწეული თავის ცოლს გაუგზავნა. ის ბროწეული ისეთი იყო, რომ ყველაფერი ქონება შეეძლო მიეცა ადამიანისათვის.

ქალმა იცოდა ბროწეულის ყადრი და მოიხმარა იმდენად, რომ ბევრი საქმე გააკეთა: დიდი შენობა ააშენა, მინდორში გუთნები გამართა, ხვნა დაიწყო.

მოჯამაგირე და ვაჭარი კი თავიანთი გზით წავიდნენ. მოვიდნენ ერთ სახელმწიფოში და ვაჭრობენ. პატრონმა მოჯამაგირე შეიყვანა ერთ მდიდარ კაცთან. ბიჭს თავისი კატა თანა ჰყავდა და სარკეც თანა ჰქონდა. სახლში თაგვები ირეოდნენ და ცოცხით ერეკებოდნენ. კატა არ იყო იქ. უთხრა მოჯამაგირემ: — ისეთი რამე რომ გავაჩინო, რომ ეს თაგვები მოგაშოროთ, რას მომცემთო? — აბა, რა გითხრა, რა გინდა, რომ მოგცე, ოღონდ ესენი მოგვაშორეო. ამოიყვანა კატა და გაუშვა. თაგვები დაფრთხნენ. მაშინ უთხრეს:—აბა, რა გინდაო?— იმ ბიჭს იმაზე მეტი მისცეს, რაც მისმა პატრონმა ივაჭრა. აუკიდეს

ჯორ-აქლემზე და წავიდნენ. მოვიდნენ კიდეც სხვა სახელმწიფოში. შეიყვანა კიდევ ვაჭარმა თავისი მეგობრის სახლში.

აქ ნახა, რომ ქალებს ჯამში წყალი ჩაუსხამთ და შიგ იყურებიან. იმ მოჯამაგირემ უთხრა: — რას მომცემთო, რომ ისეთი რამე გამოვაჩინო, თქვენი სახე უკეთ დაინახოთო?—რა გინდა, მოგცეთო? — ისე ივაჭრა, რომ ჯორ-აქლემისათვის უნდა აეკიდა იმდენი, რაც მის პატრონსა ჰქონდა ნავაჭრი. აჰკიდეს ჯორ-აქლემებს, წამოვიდნენ შინ. ვაჭარმა დავა დაუწყო — შენი აქ არაფერი არ არისო. აი, შენი შვიდი თუმანი და ცარიელი უნდა წახვიდეო. იჩივლა ბიჭმა. ესე იყოო, უამბო ბიჭმა მოსამართლეს ყველაფერი რაც მას თავს გადახდა. მოსამართლემ ბიჭი გაამართლა, მისცა თავისი ყველაფერი. გამოვიდა გახარებული ბიჭი და მოდის შინისკენ. იფიქრა კაცმა, მაშინ მოაგონდა, ამოდენა ქონება მომაქვსო და ტანისამოსი მაინც ჩავიცვაო. მივიდა, რაც ძვირფასი ტანისამოსი იყო, ჩაიცვა და გამორეკა ჯორ-აქლემები.

მივიდა ეს ბიჭი, სადაც ქოხი ეგულებოდა, ნახა და ეუცხოვა: გალავანია და დგას დიდი შენობები. უიმე, ცოლს უღალატნიაო, მაგრამ ცოლმა უკვე იცოდა, როდის მოვიდოდა და გაუღო ალაყაფის კარები.

მიეგებნენ მოსამსახურეები, ჩამოხადეს და აიტანეს ქონება. შევიდა ვაჟი, იკითხა: — ეს რა ამბავია, ეს რა აგიშენებიაო? — შენ რომ ბროწეული გამომიგზავნე, იმას ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებინაო. — მაშინ, ერთი კიდევ თანაც მოვიტანეო. — დაიწყეს ცხოვრება.

გამართეს კიდევ ბევრი გუთანი, შოჰყავთ ძალიან ბევრი მოსავალი. გავარდა ხმა, მავან ალაგას ერთი ქალია, რომელსაც იმდენი მოსავალი მოჰყავს, მთელ სახელმწიფოს ეყოფაო.

ამ დროს დაიმშა მისი მამის სახელმწიფო. გაგზავნა მან ვეზირები ამბის გასაგებად, პური აქვს თუ არაო. ქალმა უთხრა: — თავისი ურმებით და ჯარით თვითონ მოვიდეს მეფე მავან დროს და წაიღოსო. დანიშნულ ვადაზე რამდენიმე ურემი და დიდი ჯარი წავიდა. დაუხვდა ეს ქალი. გაუმართა კარგი სადილი. მამაც იქ არის, მაგრამ ვერა სცნობს, თუ ეს ქალი მისი შვილია, ქალმა კი იცნო მამა. როცა ისადილეს, ურემს დაუდეს, მეფემ გაგზავნა ურმები და ჯარიც წავიდა. მაშინ მეფეს უთხრა ქალმა: — პატარა ხანს აქა ბრძანდებოდეო.

მეფე ცოტა შეფიქრდა, ეს რა ამბავია ჩემს თავსო, მაგრამ რა იქნებოდა, დარჩა. ჰკითხა ქალმა: — მეფევ, რა ამბავია რომ სახელმწიფო დაგიმშევია, ცოდვა ხომ არაფერი ჩაგიდენიაო? უპასუ-

ხა: — შვილო, მე ცოდვა არაფერი ჩამიდენია, მხოლოდ ერთი ქალი. მყავდაო, კარგი მთხოვნელები თხოულობდნენ, მაგრამ არავინ შეირთო, ავდექი და ერთი ბეჩავი კაცი ვიშოვე და იმას მივეცი. მაშინ ქალმა უთხრა: — შენ მამა ხარ და მე შვილიო. და აი შენი სიძეო. გამოეცნაურნენ ერთმანეთს. კარგი ქეიფი გამართეს. ერთიორი ჯამი ღვინო მეც დამალევინეს და წამოვედი.

ზღაპარი საკვირველი ქალისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყვნენ ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ერთი ბიჭი. ეს ბიჭი გაიწვიეს ჯარში. როცა მოუვიდა ბიჭს დათხოვნის დრო, თქვა: ჩემს დედ-მამასთან ცარიელი როგორ მივიდე, მოდი, მოჯამაგირედ დავუდგები ვინმეს, ვიშოვი პატარა ფულს და ისე ჩავალ დედ-მამასთანაო. იარა, იარა. ერთ სოფელში ნახა მარტოხელა დედაბერი და უთხრა:—მოჯამაგირე ხომ არავის სჭირდებაო? --- მოჯამაგირე მეც მინდა. თუ დამიდგები, ჩემთან წამოდიო. წაიყვანა ეს ბიჭი, მიიყვანა სახლში და უთხრა: შენი საქმე მხოლოდ ის იქნება, სახლიდან გამოიტანო ფული, გაამზეურო და ისევ სახლში შეიტანოო. მისცა გასაღები, — მხოლოდ მეორე ოთახი არამც და არამც არ გააღოო.

გათენდა დილა. გამოიტანა ფული ბიჭმა. წამოუწვა გვერდით და წევს მოსვენებით. ვნახოთ, ვიღაცამ დაუძახა სახელი. წამოიწია ბიჭმა, მაგრამ არავინ არ არის. წამოწვა ისევ ჩვეულებრივ. ისევ განმეორდა დაძახილი. ადგა ბიჭი, შევიდა სახლში, იყურება აქეთ-იქით, მაგრამ არავინ არა ჩანს. გამოვიდა ისევ და წამოწვა. ისევ დაუძახა სახელი. მერე თქვა: — ბებერმა რომ მითხრა, ამ ოთახში არ შეხვიდეო, იქნება იქ არის ვინმეო. გააღო კარები. შევიდა, მაგრამ არაფერი არ არის, ერთი მაგიდა დგას მარტო, ამ მაგიდაზე წყლით სავსე ლიტრა დგას. აიღო ეს ლიტრა, ატრიალებს ხელში, ვერაფერი ვერ შეამჩნია. გამოვიდა ისევ და დაწვა. დაუგდო ყური საიდან ეძახოდა. განმეორდა სწორედ იმ ოთახიდან სახელის დაძახება. შევიდა გაბრაზებული ამ ოთახში, აიღო წყლით სავსე ლიტრა და დააწყვიტა დაბალი. ლიტრიდან გამოვარდა ერთი ქალი. ამ ქალმა უთხრა: ჩქარა გაიქცეთ, თორემ იმ ბებერმა იცის და საცაა მოვაო. მე გავიქცევი, შენ უკან გამომეკიდე. ერთ ზღვასთან მივალთ, მე გადავფრინდები,

შენ აქეთ დარჩი. რომ მოვა და შეგეკითხება, რათ გაუშვიო, შენ უთხარი: ის ლიტრა ხელში მეჭირა, ვატრიალებდი, ჩამოვარდა და გატყდაო. ეს ქალი გამოვარდა და გაიქცა, გამოვეკიდე დასაჭერად, მაგრამ ვერ დავეწიე-თქო. თუ გითხრას, რომ ისევ ჩემთან წამოდიო, აღარ გაჰყვე. ამ ზღვის პირზე იტრიალე, ჩამოვიღლი გემით ერთ საღამოს და წაგიყვანო.

გაექცა ეს ქალი და მისდევს ბიჭი. გაიხედეს უკან და მართლა მორბის ბებერი დედაკაცი. მივიდნენ ზღვასთან; ქალი გადაფრინდა, ბიჭი აქეთ დარჩა, მივიდა ბებერი დედაკაცი და უთხრა: — რათ გაგიშვიო? მე არ გითხარი ის ოთახი არამც და არამც არ გააღოთქო. — მე რა ვიცოდი, ვილაცა მეძახდა. შემაწუხა. ავდექი და შევედი. ამ ლიტრას ხელში ვატრიალებდი, ხელიდან გამივარდა, გატყდა და ის ქალი გამოვარდა, გამოიქცა, მე დასაჭერად გამოვეკიდე და ველარ დავეწიეო. ამ ბებერმა უთხრა: — ისევ წამოდი ჩემთანაო. ბიჭმა უარი უთხრა: — იქ რაღა წამომიყვანსო. ადგა ეს ბებერი და მახლობლად ბატონი რომ ცხოვრობდა, იმას მოჯამაგირედ დაუყენა ბიჭი. ბებერმა იქ სხვა მოჯამაგირეებს მუხის რკო მისცა და უთხრა: ამ ბიჭს უთვალთვალეთ, როდესაც ზღვაზე გემი გამოჩნდეს, ეს რკო მიადეთ და დაეძინებაო.

ბიჭი დადის ზღვის პირზე, როგორც ქალმა უთხრა. ერთ საღამოს გამოჩნდა გემი, მიადეს ეს მუხის რკო ამ ბიჭს და დაეძინა. ქალი გადმოხტა გემიდან, მივიდა, ამ ბიჭს აჯუნჯრუხებს, მაგრამ ვერასგზით ვერ გააღვიძა. ამ მოჯამაგირეებს ამბავი დაუტოვა: ხვალ საღამოს კიდევ ჩამოვიღლი და აღარ დაიძინოსო. წავიდა ქალი. გამოეღვიძა ამ ბიჭს. ჰკითხა: მოვიდა ის ქალი თუ არაო?—მოვიდა, მაგრამ ვერ გაგაღვიძა და წავიდა ისევაო. დაიბარა, ხვალ საღამოს კიდევ ჩამოვიღლი და აღარ დაიძინოო.

გათენდა მეორე დილა. მოვიდა საღამო. გამოჩნდა გემი ზღვაზე. დაინახა ბიჭმა ეს გემი, ქალიც იყურება გემიდან და უცინის. მიეპარნენ მოჯამაგირეები, მიადეს ისევ მუხის რკო და დააძინეს. გადმოვიდა ქალი, მაგრამ ისევ ვერ გააღვიძა. დაუტოვა საბოლოოდ ამბავი. ხვალ საღამოსღა ჩამოვიღლი, თუ კიდევ დაგეძინა, ველარა მნახავო.

მოვიდა მეორე საღამო. ისევ ისე ქალი იქიდან უცინის, ბიჭი აქედან. მაგრამ ისევ მიეპარნენ მოჯამაგირეები და დააძინეს ისევ. გადმოვიდა ქალი, ეწვალა, ეწვალა. მაგრამ ვერ გააღვიძა ვერასგზით. ბეჭედი დაუტოვა სახსოვრად. წავიდა ეს ქალი და გამოეღვიძა ბიჭსაც. ამ ბიჭმა უთხრა მოჯამაგირეებს: უეჭველად თქვენა მმტრობ-

დით, თორემ რატომ ახლა არ მეძინებაო. გამოეკიდა და სამივენი დახოცა. ადგა ეს ბიჭი და დადის ზღვის პირზე, უნდა გავიდეს ზღვის იქითა მხარეს. ერთი კაცი ნახა, ზღვაში ნავს უშვებს. მივიდა და უთხრა: — თუ შეიძლება, იქითა ნაპირზე გამიყვანე და რაც გინდა, ის გამომართვიო. ამ კაცმა მიუგო: — რაღა უნდა გამოგართვა, მარტოკა მივდივარ და ერთად უფრო ხალისიანად ვიმგზავრებთო. გავიდა იქითა ნაპირზე ბიჭი. ჭამა პური და ისევ ისე დაიწყო მოჯამაგირის ადგილის ძებნა. ერთ ბატონს დაუდგა მოჯამაგირედ. ამ ბატონმა მებაღედ დასვა.

ბაღის გვერდზე ერთი ჩაბნელებული ტყე იყო. ბატონმა უთხრა: არამცა და არამც ამ ტყეში არ შეხვიდეო. ერთხელ ბიჭმა თქვა: ამ ბატონმა რომ მითხრა, არ შეხვიდე ტყეშიო, მოდი, შევალ და ვნახოთ რა იქნებაო. შევიდა ტყეში. ერთ დიდი ხის ძირას მივიდა. აიხედა მაღლა და ხედავს მკვდარი ჰკიდია. შემოჰკრა ხმალი ტოტს, ჩამოვარდა ძირს მკვდარი. მაგრამ ისევ ახტა და დაეკიდა ისევ ისე. ამ ბიჭმა რამდენჯერმე სცადა მკვდრის ჩამოგდება, მაგრამ ვერ დააყენა დაბლა. ბოლოს ამ მკვდარმა უთხრა: თუ ჩემი განთავისუფლება გინდა, აქ მოიცადე საღამომდის. საღამოზე სამი რაში ჩამოივლის, ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთიც წითელი. შავ რაშს შეაჯექი და თეთონ იცის, სადაც წაგიყვანსო. მართლაც მოიცადა საღამომდის ბიჭმა. ჩამოიარა სამმა რაშმა. დაიჭირა შავი რაში და შეჯდა. რაშმა წაიყვანა და ერთი შენობის ეზოში შეიყვანა. ამ შენობის კიბეზე ერთი ქალი იჯდა, ამ ქალმა უთხრა: თუ შენი თავის გადარჩენა გინდა, აქედან წადიო. ეს სახლი დევებისაა, ისინი რომ მოვლენ, შეგჭამენო. ბიჭმა არ გაუგონა. ჩამოვიდა რაშიდან, ავიდა მაღლა კიბეზე და სვეტს ამოეფარა.

ვნახოთ, მოდის ერთი ცხრათავიანი დევი. რომ მიუახლოვდა დაჰყვირა ბიჭმა და გადმოაგდო მაღლიდან, გადმოჰყვა თან და მოჭრა ცხრავე თავი. ჩამოვიდა, შეაჯდა ისევ თავის რაშს და წამოვიდა. მეორე საღამოსაც ისევ იმ ხის ძირში მივიდა. ჩამოიარეს ახლა თეთრმა და წითელმა რაშებმა. დაიჭირა თეთრი რაში და შეჯდა. ამ რაშმა ისევ იმ სახლის ეზოში მიიყვანა. ის ქალი ისევ ისე ზის. ამ ქალმა უთხრა: ახლა ათთავიანი დევია, მას ვეღარ მოერევი და უეჭველად მოგკლავსო. ბიჭმა არ გაუგონა, ავიდა მაღლა. დაუდარაჯდა. მოდის ათთავიანი დევი. დაჰყვირა ამ დევსაც, გადმოაგდო ისიც, გადმოჰყვა და მოსჭრა ათივე თავი.

ამ ქალმა აჩუქა ახსოვრად ერთი ბეჭედი. მესამე საღამოს კვლავ ისევ იმ ხის ძირში მივიდა. ჩამოიარა ახლა წითელმა რაშმა. დაიჭირა,

შეჯდა, ამ რაშმაც ისევ იმ ეზოში მიიყვანა. ამ ქალმა უთხრა: ახლა თერთმეტთავიანი დევია და თან პირიდან ცეცხლსა ჰყრისო. მოდი, ტყუილად მას ნუ შეებრძოლებიო. ამ ბიჭმა არ გაუგონა, დაუდარაჯდა ამ დევსაც. მოდის დევი, თან პირიდან სულ ცეცხლი გასდის. ბიჭი ცოტას შეფიქრიანდა, მაგრამ გული გაიმაგრა და დაუხვდა. მივიდა დევი, ამ ბიჭმა შემოუქნია ხმალი, მოაჭრა ორი თავი. გადმოხტა აივნიდან და წამოეფარა კუნჭულს. ეს დევიც მისდევს თან. მივიდა თუ არა, ბიჭმა ხელმეორედ მოუქნია ხმალი, მოაჭრა კიდევ ორი თავი. შეიბნენ ახლა ბიჭი და დევი. ამ დევმა მკლავზე წაუკიდა ცეცხლი ბიჭს. ქალმა რომ ეს დაინახა, გადმოხტა, დევს წყალი დაუსხა ფეხებში, ბიჭს კიდევ ლასტები დაუყარა. ამ ბიჭმა ასწია დევი, დასცა და ჩასვა გვერდამდის. მოაჭრა თავები. შეუხვია ამ ქალმა მკლავი და წამოვიდა. დევებთან ნაომარ ბიჭს დაღლილობამ რომ გაუაროს, სამი თვე ზედიზედ უნდა ეძინოს. ადგა ეს ქალი და შინ წავიდა. სახლში მამამ ჩხუბი დაუწყო. — რისთვის წამოხვედი იქიდან, გინდა, რომ ჩემი ოჯახი ააწიოკონ დევებმაო? — არა, მამი, ის დევები ერთმა ბიჭმა დახოცა, მე კიდევ წამოვედი იქედანო. — რას ამბობ, ქალო, იმ დევების დამხოცი ვინ იყოო? — აი, თუ არ გჯერა, აქედან გაიხედე და მოჩანან დახოცილებიო. დაიჯერა ქალის მამამ და თავი დაანება.

ერთხელ ამ ქალს მოენატრა ბაღში გასეირნება. შევიდა ბაღში და რასა ხედავს! იმ ბიჭს სწორედ იქა სძინავს. ქალს ძალიან გაუკვირდა, წამოვიდა თავის მამასთან და უთხრა: — მამი, ვინც დევები დახოცა, მას ჩვენს ბაღში სძინავსო. — რას ამბობ, ქალო, ვიღაცა იმერელი დავაყენე და იმას როგორ შეეძლო იმათი დახოცვაო! — არა, მამი, მართლა გეუბნები, ჩემი ნიშნები სულ ზედა აქვს ისევ. სწორედ ის ბიჭია, იმ დედაკაცს რომ ვყავდი დაჭერილი, სწორედ იმან გამომიშვა და მანდაც მაგან გამანთავისუფლაო.

ადგა ბატონი, ჩაიარა ბაღში, მართლაც ის ბიჭი აღმოჩნდა. ბიჭი მძინარე წამოიყვანეს სახლში და დააწვინეს სუფთა ლოგინში. სამი თვის შემდეგ გამოეღვიძა. რა დაინახა, ბატონის სახლში იწვა, გაუკვირდა. ბატონმა უთხრა: — მე კი არა ვყოფილვარ ბატონი, შენა ყოფილხარ ბატონიო, ეს ჩემი ქალიც შენ და ეს ჩემი საცხოვრებელიცო. ბიჭმა მოიყვანა თავის დედ-მამა და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა ძილი გაამოთ ყველასა.

გველადქცეული მზეთუნახავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბალღი. მას შრომა არ უყვარდა, პურის ჭამაში კი მაგარი იყო. ეს ბიჭი როცა გაიზარდა, ჯარში წაიყვანეს. ჯარში ის შესანიშნავი კაცი გახდა, სიყოჩაღით გაითქვა სახელი. ყველას შეუყვარდა. ტანადობით და შეხედულებითაც იმ სახელმწიფოში ყველას სჯობდა. ორი წლის მერე ძალიან მოუნდა მშობლების ნახვა და მეთაურს შეეხვეწა, სახლში დამითხოვეო. მეთაურებს ძალიან უყვარდათ და არ ეთმობოდათ, მაინც დაითხოვეს. ბიჭი შეჯდა შეკაზმულ ცხენზე და გაუდგა გზას. ერთხელ გზაზე დაუღამდა და ერთი უღრანი ტყე ჰქონდა გასავლელი. როცა გაიარა ეს ტყე, ნახა ერთი უზარმაზარი მინდორი და ტყის პირას შუაღამისას ენთო დიდი ცეცხლი. იქ არაფერი ჩანდა სხვა, მაგრამ ცეცხლიდან მოისმოდა ქალის ხმა: მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთო!

ბიჭი მივიდა ახლოს და დაუძახა: — როგორ გიშველო, შენ ცეცხლში ხარ, მე ნაპირზე და არცა სჩანხარო. — ამ დროს ცეცხლიდან გადმოხტა წითელი გველი და ბიჭს შემოეხვია, პირი კი ყელზე მიადო და უთხრა: —დიდი ხანია შენ დაგეძებ და ძლივს გიპოვეო. ბიჭი გაუდგა გზას. გზის პირას შეხვდათ ერთი სახლი. გველი შემოეხსნა და უთხრა: — მიდი, ამ სახლში დაიძინე ამაღამ, დილაზე გამოდი და ისევ გავუდგებით გზასაო. ეს ბიჭი შეევიდა სახლში, მაგრამ არ დაუძინია. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭმა იფიქრა, ახლა იმ გველს ან ეძინება, ან სხვაგან იქნება წასულიო და გავეპარებიო.

გამოვიდა გარეთ და გამოსწია. როგორც კი გზაზე გამოვიდა, გველი ეტაკა და ისევ შემოეხვია. — თუ დასვენება არ გინდა, ახლა მე გაჩვენებ სეირსაო, და გაუყენა გზას. მიადგნენ ერთ მაღალ კოშკს. გველი შემოეხსნა ბიჭს და მზეთუნახავ ქალად იქცა. ამ კოშკში ორი სხვა ქალიც იყო, ნაგველარის დები. ქალმა ბიჭი აიყვანა კოშკში და მასზე დაინიშნა. ერთი კვირის შემდეგ ბიჭმა სთხოვა ცოლს. — დიდი ხანია მშობლები არ მინახავს, გამიშვი და ისევ მალე მოვალო.— ცოლმა უთხრა: — დაგითხოვ, მხოლოდ აქედან ცოცხალი წახვალ და იქიდან მკვდარი მოხვალო. მისი ცოლი გულთმისანი იყო. ერთი ისეთი ხანჯალი გაატანა, რომ ვისზედაც ეტყოდა, თუნდაც მილიონობით ხალხი ყოფილიყო, ყველას თავებს დასჭრიდა.

ეს ბიჭი შეჯდა ცხენზე, ხანჯალიც წაიღო და გაუდგა გზას. დაუღამდა ხელმწიფის სახლის ახლოს. მივიდა ხელმწიფის სახლში და

იმ ღამეს იქ დარჩა. ამ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ლამაზი ქალი. ამ ქალს უყვარდა სხვა სახელმწიფოს ხელმწიფის შვილი და იმ ბიჭსაც უყვარდა ქალი, მხოლოდ ქალის მამაა არ მოსწონდა სასიძო. მეორე დღეს ბიჭი საომრად უნდა მოსულიყო თავისი ჯარით და ეს ქალი გაეტაცათ. ამ ქალის მამას ახლად მისული ბიჭი მოეწონა სასიძოდ და უთხრა კიდეც: შენ ჩემი სიძე გახდი, თუ გავიმარჯვეო. ხვალ სხვა მეფის შვილი მოდის ჩემი ქალის მოსატაცებლადო და ჩხუბს მიპირებსო. ბიჭმა იმედი მისცა: — ნუ გეშინია, მე მარტოკა ვეომებიო.

მართლაც, მეორე დღეს ამ სახელმწიფოს მოადგა დიდი ჯარი. ეს ბიჭი მარტოკა გამოვიდა საბრძოლველად. უბრძანა თავის ხანჯალს: იმ ბიჭის გარდა, რომელსაც ეს ქალი უყვარს, ყველას თავები დაჭერიო. ხანჯალმა აასრულა დავალება. ხელმწიფის შვილი დაღონდა და სირცხვილისაგან აღარ იცოდა რა ექნა, ერთმა ბიჭმა ამოდენა ჯარი როგორ დამიხოცაო. იმ ღამეს გამარჯვებული ქალთან დააწვინეს, ქალი შეეხვეწა, მითხარი, ამოდენა ჯარი როგორ დახოცეო. ბიჭმაც უთხრა ხანჯლის ამბავი. როცა ბიჭს დაეძინა, ქალმა მოჰპარა ხანჯალი და დამარცხებულს წაუღო. მეორე დღეს დამარცხებულმა ბიჭმა გამარჯვებულს ომი გამოუცხადა და იმ ხანჯლით მოკლა ეს ბიჭი, თვითონ კი ზედსიძედ მივიდა. ამ ბიჭის გვამი ჩადეს ხურჯინში, ცალ მხარეს ქვები ჩააწყეს და ცხენს აჰკიდეს. ცხენმა მზეთუნახავების კოშკში მიიტანა. ცოლმა ამოიღო ხურჯინიდან მკვდარი ქმარი და გააცოცხლა. ახლა ბიჭი შეეხვეწა ცოლს, ისეთ ცხენად მაქციე, რომ გულთმისანი ვიყო, ლაპარაკი ვიცოდე და კარგი მოსაწონიც ვიყოო. ცოლმა მართლაც აქცია გულთმისან ცხენად.

ცხენი წავიდა იმ სახელმწიფოში, სადაც იგი მოკლეს. გავიდა ბაზარში, დაინახა ერთი გლახა, მივიდა ახლოს და უთხრა: — ბიჭო, მოდი ჩემთანაო. — გლახამ გაიგო ცხენი დამელაპარაკაო, შეეშინდა და გაიქცა. ცხენი გამოეკიდა, დაიჭირა და უთხრა: — შე, ბეჩაო, რას გარბიხარ, მოდი, შემაჯექი, მავან ხელმწიფეს მიმყიდე, ათას თუმნად დამაფასე და მოგცემენო. გლახამ მართლაც წაიყვანა ცხენი და თავის ხელმწიფეს მიჰყიდა ათას თუმნად. ეს ცხენი მეფემ დაბა გრილოში. ცხენი როცა იმ ქალს დაინახავდა, რომელმაც ხანჯალი მოჰპარა, სულ თვალებში უყურებდა. ქალს შეეჯავრა ცხენი და უთხრა ქმარს, დავკლათო. მართლაც, გადაწყვიტეს ცხენის დაკვლა. აეკ ჰყავდათ ათი წლის გოგო, რომელსაც ცხენი ძალიან უყვარდა, ეს ამბავი რომ გაიგო, მივიდა ცხენთან ტირილით და უთხრა: — ვაიმე. ჩემო ცხენო, დღეს უნდა დაგკლანო, — თან თვალებზე ხელს უსვამდა.

ცხენმა ჰკითხა: — უნდა დამკლანო? — ქალმა ცხენის ლაპარაკი რომ გაიგო, შეეშინდა და უკან გადახტა. ცხენმა უთხრა: — როცა დამკლავენ, შენ ახლოს მოდი; შენსკენ ერთი წვეთი სისხლი გამოვარდება, აიღე მიწიანად და თქვენს ბაღჩაში დამარხეო.

ცხენი დაკლეს და გოგო ისეც მოიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ სისხლდამარხულ ადგილას ამოვიდა ერთი დიდი ძირი ვაშლის ხე. იგი ზამთარ-ზაფხულ სულ მწიფე ნაყოფს ისხამდა. როცა ქალი ხესთან მივიდოდა, ის ხე ერთბაშად შეირყეოდა და ვაშლი ჩამოცვივდა და ქალს თავში რახარუხს აუტეხდა. თუ ქალი ზედ ავიდოდა, მაშინვე ტოტები უტყდებოდა და დაბლა ვარდებოდა. ამ ქალმა ვაშლიც შეიძულა და ქმარს შეეხვეწა, მოვკვრათო. პატარა გოგომ ესეც გაიგო, გაიქცა ვაშლთან ტირილით და უთხრა: — ვაიმე, ჩემო ვაშლო, უნდა მოგკვრანო. ვაშლმა ჰკითხა: — უნდა მოძკვრანო?

ქალს ვაშლის დალაპარაკებაზე შეეშინდა და უკან გადახტა. ვაშლმა უთხრა: — როცა მომკვრიან, ერთი ნაფოტი შენსკენ გადმოვარდება, აიღე და მაგათ აბანოში ჩააგდეო. როცა ვაშლი მოკვრეს, გოგო ეგრეც მოიქცა: ნაფოტი აბანოში ჩააგდო. ნაფოტი ბატად იქცა. ცოლ-ქმარმა რომ დაინახეს ბატი, დაიხადეს ტანისამოსი, ის ხანჯალიც იქ დადეს, და შევიდნენ ბატის დასაჭერად. ბატმა შორს გაიტყუა. მობრუნდა, თვითონ გამოვიდა ნაპირზე და ისეთ ბიჭად იქცა, როგორიც წინათ იყო. ჩაიცვა ტანისამოსი, ხანჯალიც აიღო. დახოცა ცოლ-ქმარი და თვითონ წავიდა ცოლთან. მერე თავისი მშობლებიც იქ გადაიყვანა და იცხოვრეს ტკბილად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ია ხათუნი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაკაცი; ჰყავდა რვა ვაჟი და ერთი ქალი. ქალი ძალიან ლამაზი იყო; რომ გაიცინებდა, სულ ია და ვარდი გაიშლებოდა. ძმებს ძალიან უყვარდათ და ააზიზებდნენ.

ეს ქალი, რამდენჯერაც წყალზე წავა, აუძღვება ერთი პატარა ჩიტი და შესძახის: — ქალო, შენს თავს ბალა! ქალო, შენს თავს ბალაო! რომ გაუპირა საქმე, დედას უთხრა — რამდენჯერაც წყალზე წავალ, ერთი ჩიტი ამიძღვება და მეძახის: ქალო, შენს თავს ბა-

ლაო! — ვაიმე, შვილო, — უთხრა დედამ, — ასე უთქვამს: შენს თავს ხათაბალაო!

გავიდა ხანი. ხალხი დღეობაში მიდის. ქალმაც მოინდომა წასვლა. ძმებს უთხრა, რვა ძმას ერთი და გყევართ და მეც გულის მურაზს არ მისრულებთო!

დედას უსაყვედურა. დედამ უთხრა: — შვილო, თუ გაჰყვები, აგერ შენი ძმები მიდიან და გაჰყევიო.

ძმები წავიდნენ, წაიყვანეს დაცა. ერთი ხიდი ჰქონდათ გასავლელი. ძმები ერთად გავიდნენ, დაც უნდა გასულიყო, მაგრამ ამ დროს ერთი ციხე დაედგა თავზე. მოემწყვდა ქალი შიგა, არც კარი აქვს, არც ფანჯარა. ქალი ტირის, ტირის, სულ თვალებს ითხრის.

მივიდნენ შინ ძმები, უამბეს დედას, რაც დაემართა მათ დასა.

ქალი რომ ტირის, ამ დროს ამოივლის ერთი ბებერი კაცი, გაიღება ციხის კარი, ხედავს ქალი ტირის. — რადა სტირი, შვილო, — ეტყვის ბერიკაცი, — რა ძალა დაგდგომია ისეთი?

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი. — წამო, შვილო, ჩემთან, შვიდი ქალი მყავს, მერვე შენ მეყოლები, თუ მეტად არ მეყვარები, მათზე ნაკლებად ხომ არ გაგიფრთხილდებიო.

გაჰყვა ქალი. ამ კაცის ქალებიც, ეს კაცი და ამისი ცოლიც ისე უფრთხილდებიან ამ ქალსა, რომ ცივ ნიავს არ აკარებენ.

ერთხელ დედობილმა უთხრა: — მოდი, შვილო, ერთი თავი მომიხილეო. მოუხილა ქალმა თავი და ამ დედაკაცს ქალის კალთაში კი დაეძინა. ჰხედავს, თმაში ერთი გასაღები აქვს ჩატანებული. ქალი მუხლს გამოაცლის, მუთაქას დაუდებს, თვითონ გასაღებს წაიღებს, გააღებს დაკეტილ ოთახს და ერთი დევი კი შემოაჭყეტს თვალებს. ქალი უცებ გამოუხურავს კარებს და გასაღებს ისევ თმაში ჩაატანს დედობილსა.

ეს დედაკაცი როცა შევა ამ დევთან, დევი ეტყვის: — შენც ლამაზი და მეც, მაგრამ ია ხათუნისთანა კი არავინ იქნებაო.

ისეთია ეს დედაკაცი, სულ ნაღველი დაექცა. წამოვიდა, დაწვა, მოიავადმყოფა თავი. წევს და კვნესის. ეკითხებიან: რა გიშველისო. — ,ე სხვა არაფერი მიშველის, თუ ია ხათუნს დაჰკლავთ და იმის გულღვიძლს მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო. შეწუხდა ძალიან ეს კაცი. ძალიან უყვარს ია ხათუნი.

— აბა, როგორ დავკლათ, — ეუბნება ცოლს. — შვილად ავიყვანეთ. თავის დედ-მამასავით გვიცქერის, გვენდო და ახლა რომ დავკლათ, ხალხს რა ვუთხრათო!

წევს ეს დედაკაცი და კვნესის, ორი-სამი თვეა, აღარა დგება.

ძალიან რომ გაბეზრდა, ბერიკაცმა უთხრა მოჯამაგირეს: — წაიყვანე მინდორში ია ხათუნი დაკალ და გულ-ღვიძლი მომიტანეო.

წაიყვანა ბიჭმა ია ხათუნი. ბიჭს ერთი გოშია ჰყავდა, ის დაკლა, გულ-ღვიძლი ამოაცალა, ქალი გზაზე დააყენა და დალოცა, წადი და ღმერთმა გიშველოსო. მოუტანა ის გულ-ღვიძლი. ჭამა თუ არა დედაკაცმა, მერცხალივით ზეზე წამოვარდა საღ-სალამათი.

ია ხათუნმა კი იარა, იარა და ერთ ადგილას ცხრა ძმა დევი მდგარა, მათ სახლთან მივიდა. რვა ძმა სანადიროდ ყოფილა წასული და შეცხრე კოჭლი ძმა კი სახლში დაუტოვებიათ.

მივიდა ია ხათუნი, დგას სახლის წინ და ტირის. გადმოიხედავს ეს დევი და გადმოსძახებს: — რა ხარ, რა სულიერი ხარ, ჩემი ძმების შიშით ცაში ფრინველს ვერ გადაუფრენია და დედამიწაზე ჭიანჭველასა, შენ კი მოსულხარ და მახდა დგახარო. — ესე-ესე არის ჩემი საქმე, — უთხრა ქალმა, — და ახლა შენ იცი, რასაც მიზამო.

დევს ძალიან გაუხარდა: — მაინც ჩვენ ცხრა ძმას და არა გვყავს, შენ და და მე ძმა. მოვლენ ჩემი ძმებიცა, დაგმალავ და მერე გამოგაჩენო.

დამალა ქალი. როცა მოვიდნენ ძმები, უთხრეს, ადამიანის სუნი შოგვდისო. — თქვენ თვითონ მოგყვებოდათ, — უთხრა ძმამ, — აქ ადამიანს რა უნდაო!

როცა ირმები მოხარშეს და პურის საჭმელად დასხდნენ, კოჭლმა დევმა უთხრა ძმებს: — ცხრა ძმა ვართ და ერთი და არა გვყავს. არ გინდათ, რომ გყავდეთო? — ბარემ გვინდა, მაგრამ, აბა, საიდან მოვიყვანოთო? — მაშინ გამოუჩინა ია ხათუნი ძმებსა. ყველას გაუხარდა. ამის შემდეგ ია ხათუნი იყო სახლში დიასახლისი და ყველაფერი იმას ეკითხებოდა; უვლიდა სახლს, აკეთებდა საჭმელს.

დედაკაცი რომ შევიდა დევთან, დევმა ისევ უთხრა: — შენც ლამაზი ხარ და მეც, მაგრამ ცხრა ძმა დევს რომ დად ია ხათუნი ჰყავთ, იმისთანა არავინ იქნებაო! ისეთია ეს დედაკაცი, სულ ცოფებსა ჰყრის. მიუხტა ქმარსა: — აკი მოვაკვლევინეო, იძახოდი. ის ცხრა ძმა დევთანა ყოფილა! თუ არ წასულხარ და, რითაც იქნება და არ იქნება, აქ არ მოგიყვანია, ან არ მოწამლე, შენი ცოლობიდან ხელს ავიღებო. გაატანა ერთი კალათი სხვადასხვა წვრილმანი და ასე დაბარა: — უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში გვეწვიე-თქო. თუ არ გამოგყვეს, ეს წვრილმანი მიეცი, ესენი მაინცა გქონდეს-თქო.

აიღებს ბერიკაცი ჯოხს, წაიღებს ერთ კალათა წვრილმანს და წავა ცხრა ძმა დევებისაკენ. იმ დროს მივა, როცა ძმები სანადიროდ წასულან, მარტო ია ხათუნიღაა შინა. დადგება ძირსა და ელის, როდის გამოვა კარზე.

როცა ქალი გამოვა, ის კაცი მიესალმება: — ია ხათუნო, შვილივით გვიყვარდი და განა ეგრე უნდა, რომ ჩვენსკენ ერთხელ აღარ შემოიხედე. შენმა დედობილმა გამომგზავნა: უფროსი ქალი გავათხოვე და ქორწილში მეწვიეო. — თუ ჩემი ყოფნა გინდოდათ ქორწილში, მე იქ არ ვიყავი, რომ დაკვლა დამიპირეთო? ტყუილად გარჯილხარ, მე იქ აღარ წამოვალო. — თუ არ წამოხვალ, შვილო, ე წვრილმანი მაინც აიტანე. — ყველაფერი ბევრი მაქვს, ძე თქვენი არაფერი მინდა, — ჩამოსძახა ქალმა, — თუ გაქვს კევი ამომაწოდეო.

ჩამოუშვა თოკი, ასწია და აიტანა კევი. დაღეჭა და ჩაუვარდა ენა, ისეთია, აღარაფერი აღარ ესმის.

მოვიდნენ ძმები. ნახეს, რაღა სანახავია ქალი! აღარც ენა აქვს, აღარც გონება. ბევრი იმწუხრეს, ბევრი იტირეს, ბოლოს შეუკრეს ერთი კიდობანი, ჩააწვინეს შიგ და მისცეს წყალსა.

ატარა წყალმა, ატარა და ერთ სახელმწიფოში მიიტანა.

იქაურ ხელმწიფის შვილს ცოლი უნდა შერთონ, ხელმწიფეს გამოუცია ბრძანება: ვისაც გასათხოვარი ქალი გყავთ, ყველამ მოიყვანეთ, ჩემ შვილს უნდა ცოლი შეერთოო. ისეთია ეს ხალხი: მოდის და მოდის! სულ თავების მტვრევაა, იქნება მე მომიწონოსო.

ამ დროს დაინახავენ, რომ წყალს კიდობანი მოაქვს, შეგზავნიან მცურავებს, გამოიტანენ ნაპირზე, ახდიან: ია ხათუნი უკვე გაჯანსაღებულა, ისეთია კაცს თვალს მოსტაცებს. აბა, სხვა ვიღა მოეწონებოდა. ხელმწიფის შვილმა დაიწერა ჯვარი ია ხათუნზე. ცხოვრობენ ტკბილად და უდარდელად.

დედაკაცი რომ დევთან შევიდა, დევმა უთხრა: — ლამაზი ხარ, მაგრამ ამა და ამ ხელმწიფის შვილს რომ ცოლად ია ხათუნი ჰყავს, იმასთან კი ვერვინ მოვაო!

ოჰ, გაუსკდა გული დედაკაცს. დაეტაკა ქმარსა: — ეგ მეორედ გაუშვი ის ქალი ცოცხალი! წადი და აუტეხე რამე, თორემ იცოდე, ცოცხალი აღარ დამენახოო!

წავიდა ეს კაცი. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა ამ ქვეყანაში, სადაც ია ხათუნია. ხელმწიფის შვილს სთხოვა, მებაღედ დამიჭირეთო.

ია ხათუნმა უთხრა: — ნუ გინდა, გაანებე თავი, თორემ ინანებო! არ დაიშალა ხელმწიფის შვილმა: მაგან რა უნდა გვიყოსო!

იარა ამ ბერიკაცმა, იმდენი მოახერხა, რომ ხელზე მოსავსახურედ შეეპარა.

ერთხელ ხელმწიფის შვილი სხვაგან იყო სტუმრად; ია ხათუნი დაწვა და ოქროსქოჩრიანი ვაჟი ეყოლა. ამ ბერიკაცმა როცა დრო

იპოვა, შევიდა, გამოსჭრა ყელი დედა-შვილს და ერთ წყალში გადაყარა. მოიყვანა თავისი უფროსი ქალი და დააწვინა ლოგინში.

ია ხათუნი წყალში ოქროს თევზად იქცა. ისეთია ქალი მზესავით ანათებს. . .

ხელმწიფის შვილი დაბრუნებულა და სწორედ ამ წყალზე გამოიარა. ეს ოქროს თევზი სულ ზედ ახტება. დაიჭირა და წამოიყვანა სახლში.

ხელმწიფის შვილი სულ ზედ დაჰკანკალებს ამ თევზს. გაუკეთა აუზი, გაუშვა შიგ და დღე და ღამე აღარა შორდება. ეს ქალი კი ჯოჯოსავით გამოიყურება ლოგინიდან. გახდა ავად. თუ მაგ თევზს დაჰკლავთ და მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არადა, მოვკვდებიო! რას იზამს ხელმწიფის შვილი? თუმცა არ ემეტება, მაგრამ დედ-მამას ხათრს არ უტეხს. ისე აკრიფეთ ფხები, რომ ერთიც არსად არ გადაგივარდეთო, — ბრძანა ქალმა.

დაკლეს და მოუხარშეს. მოაგროვეს ფხებიც, მაგრამ ერთი ფხა მაინც გაჰყვა ნაგავსა. ამ ფხაზე ისეთი ალვის ხე ამოვიდა, წვერით ცასა სწვდება. ეს ხელმწიფის შვილი დღეც იმის ქვეშ არის და ღამეც. ჩამოუშვებს ეს ალვის ხე ტოტებს, ქვეშაც ეშლება და ზევიდანაც ეხურება.

გახდა ეს ქალი ავად. აიხირა, თუ მაგ ალვის ხეს მოსჭრით და მაგის ნაფოტს ისე აჰკრეფთ, რომ ერთი არსად გადავარდეს, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო!

მეტი რა ღონე იყო! მოსჭრეს, მაგრამ ერთი ნაფოტი ერთი ბებრის ეზოში გადავარდა. ბებერი ამ ნაფოტს გადააბრუნებს, აკოცებს, გადმოაბრუნებს, აკოცებს. ეს ბებერი რომ წავა, ეს ნაფოტი ქალად იქცევა, დაგვის, დარეცხავს, დაწმენდს, შეადგამს შეეამანდს, იქცევა ისევ ნაფოტად და დაეხურება ქოთანს.

ბებერს უკვირს: არ იცის, ვინ უვლის სახლსა! მეზობლებში ამბობს: ესეა ესე ჩემ თავს და არ ვიცი, ვინ შემოდიხართ, ვინ უვლით ჩემ სახლსაო. — უდარაჯე და ნახავ, ვინც არისო, — უთხრეს მეზობლებმა.

მართლაც გამოვიდა ერთხელ ბებერი, ვითომ სხვაგან მიდის და იქვე კი დაიმალა. ამ ნაფოტმა რომ იფიქრა, ახლა კი წავიდა ბებერიო, გადმოხტა, იქცა ქალად, დატრიალდა, ყველაფერი ხელად გაკეთა და რომ ისევ ნაფოტად უნდა ქცეულიყო, შემოასწრო ბებერმაც, მე დედა და შენ — შვილიო!

გაუხარდა ამ ბებერს და სულ თავს დასტრიალებს. უამბო ია ხათუხმა თავისი თავგადასავალი ბებერსა. ბებერმა უთხრა: — ხელ-

მწიფის შვილი დავპატიჟოთ, შვილო! — არა, დედი, ის არ გვიკადრებს, არ მოვა. ისევ ერთ წამალს გავაკეთებ, წადი, მის ცხენებს გადააყარე; ისეთი ჭირი გაუჩნდებათ, რომ ჩვენს მეტმა ვერავინ მოარჩინოსო. — მართლაც, მისცა წამალი. წაიღო ამ ბებერმა და გადააყარა ცხენებს.

გაუჩნდათ ცხენებს ჭირი. მივიდა ბებერი ხელმწიფესთან, მოახსენა, მე მყავს ერთი ქალი და ის მოარჩენსო. წაუყვანეს ქალს ცხენები. გადააყარა წამალი და, როგორებიც წინათ იყვნენ, ხელად ისეთებივე გახდნენ.

გაუხარდა ძალიან ხელმწიფის შვილს. რა მოგცე, — ეკითხება ბებერს, — რით დაგასაჩუქროო?

ბებერმა უთხრა: — მე არაფერი არ მინდა, ჩვენსა წამობრძანდი და ჩემს ქალს მადლობა მოახსენე, იმან მოგირჩინაო.

მოვიდა ხელმწიფის შვილი ბებერთან. ხედავს ია ხათუნი იქ არის. გადაეხვივნენ ერთმანეთს. ქალმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

ხელმწიფის შვილმა ის კაცი და მისი ცოლი ცხენის ძუაზე გამოაბმევინა და ისე დააგლეჯინა. ია ხათუნზე ხელმეორედ დაიწერა ჯვარი და გაბედნიერდნენ.

კოჭლი კამეჩი

ერთი კაცი იყო, ჰყავდა ქალ-ვაჟი. ცოლი რომ მოუკვდა, მეორე ცოლი მოიყვანა. დედინაცვალმა ისე შეიძულა ეს ბავშვები, რომ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. დედინაცვლის ყოველივე ბრძანებას რიგიანად ასრულებდნენ, მაგრამ დედინაცვლის გული მაინც ვერ მოიგეს ბავშვებმა. ყოველთვის სახიფათო გზაზე აგზავნიდა.

გარეკავდა ღორს, შორს გარეკავდა ეს ქალი, წყალს გაღმა, ან ძროხებს ტყეში და მთაში არეკავდა. მათ საძებნელად საღამოჟამს ბავშვებს აგზავნიდა. ტყე-ღრეში უნდა ეძებნათ საქონელი. ამისთანა განსაცდელში აგდებდა დედინაცვალი გერებს.

მაგრამ ბავშვებისდა ბედად იმ კაცსა ჰყავდა ერთი კოჭლი კამეჩი და ერთი მაკე ძაღლი. ეს ქალი საღამოზე ბავშვებს რომ უბრძანებდა, მონახეთ საქონელიო და ბავშვები ტირილით წავიდოდნენ, ეს კამეჩი და ეს ძაღლი უკან გაჰყვებოდნენ ბავშვებს, იცავდნენ ყო-

ველგვარი ნადირისაგან. ბავშვებს ზურგზე დაისვამდა კამეჩი და ისე აძებნინებდა საქონელს. დედინაცვალი იმ აზრით გარეკავდა შორს საქონელს, და გზა-კვალს დაუბნევდა, რომ იმის ძებნაში ბავშვები ნადირს შეეჭამა, მაგრამ მათ იცავდნენ კოპლი კამეჩი და მაკე ძაღლი.

როდესაც დედაკაცი სცემდა ბავშვებს, მაშინ კამეჩი ისე ძლიერად დაეჯახებოდა სახლს, დედაკაცი იფიქრებდა: ეს არის სახლი თავზე დამენგრაო! ამის შემხედვარე მეზობლები იტყოდნენ: ამ ბავშვების დედის სული ამ კამეჩზეა გადასულიო. ეს კამეჩი რომ არ იყოს, ამ ბავშვებს ამ დრომდე ან ნადირი შესჭამდა, ანდა ეს დედაკაცი დახოცავდაო.

დედაკაცს არაფერი არ გაუვიდა — ხელს უშლის კამეჩი, მაგრამ ბოლოს სხვა ხერხს მიმართა: ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს ძლიერ შეჭირვებული ავადმყოფი დაუხვდა. — რა დაგემართა? — ქმარმა უთხრა, — რა ამბავიაო?—მე ავადა ვარო. მარჩიელი მოვიყვანეო. მარჩიელი მეუბნება: თუკი შენი კამეჩის გულ-ღვიძლი არა სჭამე, უეჭველად მოკვდებიო.

ქმარს თავზარი დაეცა, თავში ხელი წაიშინა. განა კამეჩს შეელევა დასაკლავად? მთელი ოჯახის მარჩენალი, თავის ბავშვების გამზრდელი და დამცველი! ეს როგორ შეიძლებაო! ამ კამეჩის მოშორებით ხომ დაიღუპა ჩემი ოჯახიო.

ქალს უარი უთხრა ამის დაკვლაზე: სხვა რამე გამოსავალი ვნახოთო. — არანაირი გამოსავალი არ არის, უნდა მოკვდეო! შენ ჩემი სიკვდილი გდომებიაო, — უთხრა ცოლმა ქმარს.

მარჩიელი დაიბარა ქალმა და ასე დაარიგა: უთხარი ჩემს ქმარს, თუკი კამეჩის გულ-ღვიძლი არ აჭამე შენ ცოლსა, მოკვდება-თქო. მარჩიელი მიდის ქმართან და ეუბნება: — შენ რა კაცი ყოფილხარ, ერთი ცოლი მოგკვდომია უპატრონობით, ახლა ესეც უნდა მოჰკლ. უპატრონოდაო? ერთი კამეჩი არ გაგიმეტებია ქალის მოსარჩენადაო! ეს ქალი მოგიკვდება, თუკი კამეჩის გულ-ღვიძლი არ აჭამეო.

კაცმა იფიქრა: დიდ უბედურებას წარმოადგენს მისი ოჯახისათვის ამ კამეჩის მოშორება, მაგრამ რა ქნას თუკი ცოლი მოუკვდება უიმისოდ! არჩია დაკლას კამეჩი.

ერთ საღამოს დაუძახა მეზობელს: — თუ ძმა ხარ, დამეხმარე, კამეჩი უნდა დავკლაო.

მეზობელს გაუკვირდა: — კაცო, ხომ არ გადარეულხარ; ასეთი სასარგებლო საქონელი უნდა გიმეტოს კაცმაო? — რა ვქნა, ძმაო, მეც კი ვიცი, რომ ვიღუპები, მაგრამ ცოლი მიკვდებაო. მარჩიელი

მეუბნება, მისი გულ-ღვიძლი უნდა აჭამო, თორემ არაფერი არ ეშველება შენს ცოლსაო, — კარგი მოგეხმარები ხვალ დილასო. — კაცმა გამოიტანა დიდი დანა, გალესა ქვაზე. მიაყუდა იქვე. ემზადება დილისათვის კამეჩის დასაკლავად.

იმ ღამეს დაიძინა ყველამ. ბავშვებმა არაფერი არ იცოდნენ, კამეჩს დაკვლას რომ უპირებდნენ. ღრმა ძილში რომ იყვნენ, გამოაღვიძა რაღაცამ, ადგნენ და გარეთ გამოვიდნენ. იმავე ხმამ ბავშვებს დაუძახა: შეაჯექით კამეჩს, აიღეთ ეს დანა, ძაღლი წაიყვანეთ, სადაც კამეჩმა წაგიყვანოთ, თქვენც იმას მიჰყევითო.

ბავშვები დაასხდნენ კამეჩს. კამეჩი გაიქცა. ძაღლი მას გაჰყვა. გაიტაცა ბავშვები, გათენებამდე ორი რიგი მთა გადაირბინა.

მეორე დღეს მთელი დღე მიდიოდა კამეჩი.

საღამო ჟამზე გაჩერდნენ ერთ ტყეში. კამეჩი დაწვა და ძაღლიც მიუწვა. იმავე ხმამ დაუძახა ბავშვებს: — გამოსჭერით კამეჩს ყელი, გაატყავეთ, ასო-ასო დაჭერით, დააწყვეთ მინდორზე, შუაში თქვენ ჩაჯექით, ზედ ტყავი დაიხურეთო! ბავშვებმა ეს რომ გაიგონეს, ტირილი მორთეს. ამ უადამიანო ადგილას ერთადერთ იმედად კამეჩი ჰყავთ. კამეჩს კისერზე შემოეხვივნენ. უამისოდ ჩვენი სიცოცხლე არ იქნებაო, ცხარე ცრემლს აყრიან. ამ დროს კამეჩიც გაიშხლართა. მისი მუცლიდან ხმა მოესმათ: ჩქარა გამოსჭერით ყელი, თორემ მხეცები დაგჭამთო.

აიღო ვაჟმა დანა, გაუსვა კამეჩს ყელზე და თავი მოაჭრა. გაფატრა, გაატყავა როგორც იყო, დაჭრეს, დააწყვეს ხორცი, თვითონ ჩასხდნენ შუაში, დაიხურეს ზედ კამეჩის ტყავი და მიეძინათ იქვე.

გათენდა მეორე დილა. ისეთი ციხე-სასახლე აშენებულა, რომ თვალით უნახავი. ძვირფას ქვეშაგებში სძინავს ორივეს. ეზოს ქვეხ გალავანი არტყია. ერთი ძლივს გასაღები ქვის კარი ჰკიდია. შიგ სახლში აუარება სიმდიდრე ყრია. კინაღამ ჭკუა დაკარგა ორივე დაძმამ, ეს სანახავი რომ ნახეს. უხარიათ, რომ ამდენი სიმდიდრის პატრონი გახდნენ. უხარიათ, მით უფრო დედინაცვლის მოშორება.

ცხოვრობენ. გოგო დიდი გახდა, დაქალდა. ვაჟი დაუაქკაცდა, მშვილდ-ისარი გაიკეთა. ძაღლი რომ მიჰყავდათ, მან ოთხი ლეკვი დაყარა. ერთგული, ჭკვიანი ძაღლები გამოზარდა. სანადიროდ დაჰყავდა. ძაღლები იცავენ ამ ყმაწვილებს ყოველივე განსაცდელისაგან. ნადირს ხოცავს ეს ვაჟი. მოაქვს სახლში. ისე უყვარს თავისი და, ზედ დაჰკანკალებს. ძაღლებიც ძალიან უყვარს.

ვაჟი ყოველთვის დადის სანადიროდ. ქალი მარტო რჩება სახლ-

ში. მოწყენასა გრძნობს. ერთ დღეს გაიარ-გამოიარა ეზოში. იფიქრა: მოდი, ერთი კარი გავაღო და ეზოს გარეთ გავიდეო!

გააღო კარი და გავიდა ეზოს გარეთ. ნახა, რომ სულ ტყეა, იქით-აქით; მეორე მხარეს გაიხედა, ახალგაზრდა ტყის კაცი დგას და უყურებს, უყურებს, უცინის. დიდი ხანი გასულა, ადამიანის მსგავსი არაფერი არ უნახავს. ახლა ამ კაცის ნახვა გაუკვირდა. თან შიშსა გრძნობს და თან უკვირს. შევარდა ჭიშკარში, თავის ეზოში. კარი მოიხურა.

მეორე დღეს კიდევ გაიარ-გამოიარა ეზოში. მოდი, ერთი ვნახო, ვინ იყო ის კაცი, გუშინ რომ ვნახე, ეგება ვნახო დღესაც! გაიწია გარეთ. გააღო კარი და გავიდა. გაიხედა ქალმა და იქვე დაუხვდა ეს კაცი. ქალი გუშინდელივით კი არ შეშინებულა. მიუახლოვდა კაცი. ქალი გაუჩერდა, მოჰკიდა ხელი. ქალს არ უწინააღმდეგებია. შეიყვანა ეზოში და შეიყვარეს ერთმანეთი. ტყის კაცმა და ქალმა საღამოვდეს ითამაშეს. საღამოს ქალმა გაუღო კარი და გაუშვა: ჩემი ძმა მოვა და მოგკლავსო.

კაცსაც სწორედ იმ ძმის ეშინოდა, თორემ ამ ქალს დიდი ხანია უთვალთვალებდა. ძმა საღამოს დაბრუნდა ნადირობიდან ძაღლებით და რაღაცა ფერნაკრთობი ნახა: არ მიეგება როგორც სხვა დროს. მივარდა დას. დაუწყო კოცნა. — რა დაგემართა, გენაცვალე. ავად ხომ არ ხარო? დამ უთხრა: — არაფერიო, ცოტა თავი მეტკინა შენს ლოდინშიო.

მეორე დღეს ჩვეულებრივ სანადიროდ წავიდა ვაჟი თავისი ძაღლებით. ადგა ქალი მაშინვე, გაუღო კარი ტყის კაცს, შეიყვანა ეზოში, გააბეს თამაში. კაცი ეუბნება: — შენი ძმის რომ არ მეშინოდეს, მუდამ შენთან ვიქნებიო. ქალმაც ასევე უთხრა: — ჩემი ძმის რომ არ მეშინოდეს და მისი ძაღლებისა, შენ ყოველდღე ჩემთან იქნებიო. კაცმა უთხრა: — მოიგონე რამე და გაგზავნე შენი ძმა სადმე შორს, რომ ერთი კვირა არ მოვიდესო. ქალმა მიუგო: — კარგიო.

საღამო ჟამი რომ დადგა, გაუღო კარი და გაუშვა ტყის კაცი ტყეში. თვითონ გაიხადა ტანზე და დაწვა ლოგინში.

მოვიდა საღამოზე ძმა თავისი ძაღლებით და დიდი ნანადირევი მოიტანა. — უიმე, დაო! ეს რა დაგმართნია? ავადა ხარო?

ქალმა დიდი შეწუხებით მიუგო: — ძალიან ცუდადა ვარ, ძმაო, შეიძლება ვოკვდეო, — შეაშინა ძმა. იგი შეშინებული იძახის: — ეჰ, რაღა ექნა ახლა! რა მოგიხდება, ნეტავიო.

დამ უთხრა: — ეხ. წამალი ვიცი, ძმაო, მაგრამ შორს არის ძალიან და ვერ გაგგზავნი მოსატანადო.

ძმამ მიუგო: — დაო, ოღონდ თქვი რა მოგიხდება და მე და ჩემი ძაღლები არაფერს არ დავტოვებთ, არც ქვესკნელში და არც ჰაერშიო.

დამ უთხრა: — შავსა და თეთრ მთას შუა ცხოვრობს დედალ-მამალი დათვი. მამალი დათვის გულ-ღვიძლი თუ ვქამე, — შეიძლება მოვრჩეო, თუ არადა ჩემი მორჩენა შეუძლებელიაო. — დაუძახა ძაღლებს, გადაიკიდა მშვილდ-ისარი და გაუდგა გზას.

ქალმა გაიხედა, ჭიშკარში როგორც გადავიდა თუ არა, ადგა მაწინვე, გააღო კარი. იქვე დაუხვდა ტყის კაცი. შემოიყვანა. მთელი ერთი კვირა სულ თამაშობასა და განცხრომაში იყვნენ. ქალი ეუბნებოდა: ნეტავი სულ არ მოვიდოდეს ჩემი ძმაო.

მიდის ძმა ძალიან დაღონებული, ცრემლები ადგება თვალზე: ვაითუ ჩემ დას ვერ მივუსწრო და მოკვდეს ჩემს მისვლამდისო.

ამ ფიქრში რომ არის, რაღაც სტვენა მოესმა. გაიხედა, ნახა სერზე გადმომდგარი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი. მისკენ მიიხედა ვაჟმა თუ არა, ქალმა ხელი დაუქნია, მივიდა ვაჟი. თვალს ვერ უსწორებს ამ ქალის სილამაზეს. ვაჟკაცმა დაიწყო ღელვა, უნდა რამე სასიყვარულო სიტყვა უთხრას. ქალმა უკვე შეამჩნია ესა და სიტყვა გააწყვეტინა. — სად მიდიხარო? — ჰკითხა. ვაჟი თავის გაჭირვების ამბავს მოუყვა. ქალმა უთხრა: — შენი და სტყუისო; ის არ არის ავად. იმას უყვარს ტყის კაცი. ახლა იგი მასთან დროს ატარებსო. შენ გაგაგზავნეს დათვებთან საბრძოლველადო. ეს იმიტომ მოიგონა შენმა დამ, რომ შენ უნდა თავიდან მოგიშოროსო. დაბრუნდი ამ წუთში, აკაფე შენი დაც და ის ტყის კაციც, ორივე შენი მოღალატეები არიანო.

ხანჯალი მისცა ხელში. ვაჟს გული მოუვიდა ამ სიტყვებზე. — შენ ვის უბედავ მოტყუებასო! შენ სტყუი, ვიღაცა ხარ, ჩემი და მაგას არ მიზამდა. ჩემი და ავად არისო. მე წამლისთვის გამგზავნაო და მივუტან კიდევაცო.

ქალმა არწმუნა ბევრი, მაგრამ ვაჟმა არ დაიჯერა არას დიდებით და განაგრძო გზა. ქალს ძალიან შეებრალა ვაჟი. დაუძახა მიმავალს: — მობრუნდი კიდევ უნდა გითხრა რამეო. თუ არ დაგიშლია და მიდიხარ მაინც და მაინც, წაიღე ეს ხანჯალი და წაიყვანე ეს ჩემი ძაღლები, შენ ძაღლებს მიუმატეო.

ვაჟმა ეს სიტყვა გაუგონა: გაბრუნდა და აიღო ხანჯალი, ძაღლებიც გამოართვა.

რაკი არ დაიშალა ვაჟმა იქ წასვლა, ქალმა იცოდა აუცილებლად

დაიღუპებოდა თეთრი და წითელ მთის შუა დათვებთან ბრძოლაში და იმიტომ გაატანა ხანჯალი და ორი ძაღლი, რომ არ დაღუპულიყო ვაჟი.

იგი გაუდგა გზას, წავიდა. სამი დღის სიარულის შემდეგ მიაღწია დათვების ბუნაგს. დაუწყო ბრძოლა დათვებს. თუმცა ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ძაღლების სიმრავლით და თავის სიმარჯვით დათვი მაინც მოკლა. გაფატრა, ამოიღო გულ-ღვიძლი. მთლად სისხლით მოსვრილი წამოვიდა შინ. ნაცნობი ქალი კვლავ გზაზე დაუხვდა. ქალმა სახლში შეიპატიჟა ვაჟი. ის არ წაჰყვა, ქალს ხანჯალი და ძაღლები გადასცა. მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის და წავიდა.

სახლში მივიდა. და ისევ დაწოლილი დახვდა. მიუტანა დათვის გულ-ღვიძლი, და აჭამა. ძმა არ მოშორებია ერთი კვირა დას. და სულ მუდამ დაღვრემილი იყო. ძმა არაფერს არ ამჩნევდა.

მეორე კვირას წავიდა სანადიროდ. ჩვეულებრივ მოვიდა ტყის კაცი ქალთან. ალერსის შემდეგ დაიწყეს სჯა. რა ვუყოთ ამ ყმაწვილსო? ტყის კაცმა უთხრა: — მე მოგიტან ერთი შულო აბრეშუმის ძაფს. შენ გამოსცადე ღონე მაგისიო. ქალმა თქვა: — კაი, მომიტანეო! — წავიდა ტყის კაცი და მოიტანა ერთი შულო აბრეშუმის ძაფი და დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო. და ერთხელ მოწყენილი დაუხვდა, მიზეზი ჰკითხა ვაჟმა ჩვეულებრივ: — რა ამბავიაო? ავადხომ არა ხარ კიდევო? — ავად კი არა ვარ, მაგრამ ძალიან მოწყენილი ვარ, ძალიან დაფიქრებული ვარ შენზეო. — რატომ გენაცვალეო? — რატომ და ტყე-ღრეში დადიხარ. ვინ იცისო, რა ნადირი შეგხვდება. არც კი ვიცი, რა ღონის პატრონი ხარო. ეგება რამე ნადირმა წაგახდინოსო! ამისთვის მინდა გავიგო შენი ღონეო.

მაშინ მოიტანა ძაფი. გადააცვა ვაჟს ტანზე და უთხრა: — გასწიგამოსწიეო! ეს თუ გაწყვიტე, მაშინ დარწმუნებული ვიქნები, რომ შენ დიდი ღონის პატრონი ხარ, გული მშვიდად მექნებაო. ვაჟმა გაიქნია მხრები, ხელები. ძაფის ერთი წვერიც ვერ გაწყვიტა. ეწევა აქით-იქით, წვალობს ვაჟი, ძაფი დაიბლანდა, — ტანზე შემოეხვია. თავის განთავისუფლების მაგიერ გაება ძაფებში, გაიხლართა.

ამ დროს კუთხეში დამალული ტყის კაცი გამოვიდა. უძლურად რომ დაინახა ეს ვაჟი, დავლო ხელი, — უნდა დაახრჩოს. სწორედ მაშინ შემოანგრიეს კარი ძაღლებმა, დაეხვივნენ ტყის კაცს, ნაფლეთებად აქციეს. ტყის კაცმა ძლივს დააღწია თავი ძაღლებს.

ამ დროს და შემოვარდა ტირილით; ეგ რა დაგმართნია, ძმაო?— იყვირა მან და ძაფებიდან გამოხსნა ვაჟი.

ძაღლები მივიდნენ და მუხლებთან დაუწვნენ ვაჟს, შემოუწვნენ გარს. — ეს ყველაფერი კარგიო, მაგრამ ეს კაცი ვინ იყო, აქ რომ დამეცა თავს შეკრულ კაცსაო? — მე რა ვიცი, შენი ჭირიმე, ვინ იყო, — უთხრა ვაჟს, — ამიტომ გეუბნებოდი, ტყე არის და ტყეში საფრთხე ბევრიაო.

ვაჟს რაღაცამ უკბინა გულზე. მოაგონდა იმ ქალის ნათქვამი. მაგრამ უცბად გაფანტა ეს ფიქრები: ღრმად არის დარწმუნებული დის ერთგულებაში. ტყის კაცი სამი თვე არ გამოჩენილა. სამი თვის მერე ერთ დღეს მივიდა ქალთან და უთხრა: — ძაღლებს რამე უნდა მოვუხერხოთო. ისეთი ჯავრი მჭირს შენი ძმის, ძაღლები რომ არ ჰყავდეს, კბილით შევჭამო. ასწავლა ქალსა: — გახდი ავად. შენი ძმა მიზეზს რომ გკითხავს, შენ უთხარი შენი ავადმყოფობაო. ის ჩვეულებრივ წამლის ძებნას დაიწყებსო. მაშინ მე გასწავლი, სად უნდა გააგზავნოო და ასწავლა კიდეც.

ერთ მშვენიერ დღეს სანადიროდან დაბრუნებულ ძმას დახვდა გაჭირვებული ავადმყოფი და. — რა ამბავია, გენაცვალე, რა დაგემართა, რაშია საქმე, რა მოგარჩენსო? — ეჰ, ძმაო, მე უნდა მოვკვდე, მეტი გზა არ არისო. — რა მოგარჩენსო? — ჰკითხა ძმამ.

ქალმა უთხრა: — მე რომ მომარჩენს ის ძალიან შორს არისო და რომ გითხრა, შენ წასვლას მოინდომებ, მე კი არ მინდა შენი წასვლა, ვინ იცის, რა შეგემთხვევაო.

ძმა არ მოეშვა. ქალმა უთხრა, სამხრეთის მხარეს არის ერთი დიდი მთაო. ის მთა ყოველ ორ საათში იღება და იკეტებაო. როცა გაიღება, მაშინ ნახავ მშვენიერ ბაღს. მთა ბრუნავს. იქ აბია ერთი მწვანე ყურძენი. ის ყურძენი თუ მიშველის, თუ არადა, ჩემი მორჩენა შეუძლებელიაო.

ძმამ უთხრა: — რაც გინდა შემემთხვეს, უნდა მოგიტანო ის ყურძენიო.

წავიდა ვაჟი და წაიყვანა თავისი ოთხი ძაღლი. ბევრი ძებნის შემდეგ მიაგნო იმ მთას, რომელიც ყოველ ორ საათში იღება და იკეტება. ვაჟმა შიგნით მოჰკრა თვალი მშვენიერ დახუნძლულ ვენახს. მოუცადა იქ. როდესაც მობრუნდა მთა და გაიღო, ვაჟი შურდულივით შევარდა შიგ. მოწყვიტა ერთი მტევანი ყურძენი და სანამ მთა დაიკეტებოდა, გამობრუნდა უცბად და გამოვარდა. თვითონ მან დააღწია თავი, მაგრამ ძაღლები შიგ დარჩა. ძაღლების წკავ-წკავი ესმოდა, მაგრამ მოეშურებოდა სახლში: მისი და მართლა მძიმე ავადმყოფი ეგულებოდა.

როდესაც ეს ვაჟი შინ მოეშურებოდა, ამ დროს ტყის კაცი და

მისი და დიდ ამბავში იყვნენ: სუფრა გაეშალათ, ერთმანეთზე გადა-ხვეულები ისხდნენ და სვამდნენ, ჭამდნენ.

ამ დროს გაიხედეს და ეს ვაჟი ჩქარა მიმავალი დაინახეს, ძაღ-ლები არ მოპყავს. ახლა ტყის კაცი არ დამალულა.

ვაჟი კარს რომ მოადგა, ტყისკაცი სიცილით წინ მიეგება: ახლა რას აპირებ, უმაწვილოო?

ვაჟი გაშეშებული დარჩა, ყურძენი ხელში შერჩა. ვაჟი მოემზადა საბრძოლველად, მაგრამ დის ღალატით და მოტყუებით ისე გახდა ეს ბიჭი, რომ ხელის განძრევის ღონე აღარ ჰქონდა. იქვე ჩამოჯდა ხის ძირში, თავის ეზოში, ათი წუთი მომეცით ვადა, დავისვენო და ბერე მეც მოვემზადები საბრძოლველადო.

ტყის კაცმა და დამ ორივემ გაიცინა და უთხრეს: — იყავი! ათი წუთი კი არა, ერთი საათი იყავიო, არ გვეშინია შენიო!

ვაჟმა დაიკრიფა გულზე ხელი და ცხარე ცრემლით ტირილი და-იწყო. ამ დროს გაივლიან და გამოივლიან ეს ტყის კაცი და მისი და ამ ვაჟის წინ, ჩაჰკოცნიან და ჩაჰკოცნიან ერთმანეთს.

ამის დანახვაზე გული უკვდება ამ ბიჭს, მაგრამ რა ქნას ახლა.

ცხადი გახდა ყველაფერი. ამ დროს ესენი რომ ამ ყოფაში არიან, გაუგია იმ ქალს ვაჟის გაჭირვება. იმავე წამში წასულა იმ მთაში, სადაც ვაჟს ძაღლები დარჩა. დაუკრავს კვერთხი მთაზე, მთა გაღებულა, ძაღლები ყეფითა და გნიასით გამოცვენილან. იმ ქალს თავისი ორი ძაღლი მიუმატებია და ვაჟის სახლისაკენ გამოუშვია.

ვაჟი რომ ტირის და უნდა შეეჭიდოს ტყის კაცს, გაიხედა და ექვ-სი ძაღლი მიწას ეხეთქება, ისე მორბიან.

მოვიდნენ ეს ძაღლები და ვაჟს გარს შემოუწვნენ. ვაჟმა თვითე-ულად ყველა ძაღლი დაკოცნა. გაუხარდა ძაღლების ნახვა. მადლო-ბა შესწირა ზეცას, ქვეშ დედამიწას. გულით და სულით შეიყვარა ის თავისი მხსნელი ქალი.

ამასობაში ტყის კაცი გამოვიდა. აბა, ბიჭო, როგორ ხარ პირო-ბაზეო? — ჩემი პირობა ეს არისო, — უმაწვილმა დაუძახა და მოზ-და მშვილდ-ისარი, ესროლა, — შიგ გულში მოახვედრა. ტყის კაცმა ერთი საშინლად დაიღრიალა და წამოვიდა ვაჟისკენ, უნდა გაგლე-ჯოს.

ამ დროს წამოცვივდნენ ძაღლები, ისე დაგლიჯეს, რომ მისი ხორ-ცი ნაკუწ-ნაკუწ ეყარა მინდორზე. ვაჟმა ტყის კაცს ყელი გამოსჭრა რომ ქალის ნაჩუქარი ხანჯლით.

მივიდა დასთან და უთხრა: — ამაზე გამცვალე, დაო? ახლა მე უკვე შენთვის მკვდარი ვარო. შემიძლია ახლავე როგორც ამ ტყის

კაცს, ყელი შენც გამოგჭრა, მაგრამ მე შენ სისხლს არ დავაქცევ. გეყოფა სატანჯველად მარტო ყოფნაო.

დაუძახა ძაღლებს, გამობრუნდა და წავიდა. მონახა ის კეთილისმყოფელი ნაცნობი ქალი. ისიც მხიარულად მიეგება. — შენ ახლა თავისუფალი ხარ, წავიდეთ, ერთად ვიცხოვროთ მე ძალიან მიყვარხარ. წამოდი ჩემთან. არც არავინ მოგატყუებს და არც არავინ გიღალატებსო.

ვაჟს პირველად არა სჯეროდა, რადგანაც ღვიძლმა დამ ამისთანა რამ უყო. მაგრამ ამ ქალის ერთგულებით ისე იყო მოხიბლული, რომ დაიჯერა მისი ნათქვამი. ქალს გრძნობით გადაეხვია. აკოცა. მკლავგაყრილები წავიდნენ ქალის ბინისაკენ.

ქალმა გააღო დიდი რკინის კარები, შევიდნენ შიგ. ნახა ამ ვაჟმა დიდი ბაღი, ეზოში აუზები.

სახლში შევიდნენ. დიდი სიმდიდრე იყო დაგროვილი. ოთახები სავსე იყო ძვირფასი თვალ-მარგალიტით. ამ სახლს ჰქონდა თორმეტი ოთახი, სუყველა ძვირფასად მორთული. ქალმა ყველა ოთახი გააღო. აჩვენა, შიგ რაც იყო, მხოლოდ ერთი ოთახი არ გაუღია. ვაჟმა უთხრა: — ყველა ოთახი გააღე და მაჩვენე, რატომ ამას არ ნაჩვენებო? ქალმა მიუგო: — არა, გენაცვალე, მაგ ოთახის გაღებას ნუ მთხოვო.

ვაჟმა მაშინ არაფერი არ უთხრა, მაგრამ გულში მაინც სწყინდა. ნუთუ ამ ქალში კიდევ მოტყუვდეო. არაფერი არ უთქვამს, მაგრამ ეჭვის თვალით უყურებდა მაინც: რატომ არ მითხრა ამის საიდუმლოება, რა არის შიგაო?

სანადიროდ ერთად დადიოდნენ. ძალიან ტკბილად ცხოვრობდნენ. სამი წელიწადი ერთად ცხოვრობდნენ და ერთხელაც არ გაუღია იმ ქალს ის ოთახი. ვაჟს თანდათან ეჭვი ახრჩობდა. თუმცა ქალი ყოველთვის გვერდში ჰყავდა, მაგრამ მაინც რაღაცა ეჭვი ჰქონდა, ამ ოთახში ვინმე არა ჰყავდესო.

ერთ დღეს ვერ მოითმინა და ჰკითხა: — რატომ ჩემთან გულახდილად არა ხარო; რატომ არ მეუბნები მაგ ოთახის საიდუმლოებას, რა გაქვს შიგაო?

ქალი ტირილით ყელზე მოეხვია. — იმ ოთახის გაღებას ნუ მთხოვ, თორემ ჩემი თავი დაგეკარგებაო. ვაჟმა ამით დააჯერა თითქოს თავისი გული, მაგრამ ეჭვი მაინც ჰქონდა. ერთ დღეს თავი მოიავადმყოფა. ქალი მარტო გაუშვა სანადიროდ. თვითონ ადგა, მონახა გასაღები, მივიდა და ეს ოთახი გააღო. შევიდა შიგ — ვერაფერი ვერ ნახა. მხოლოდ ერთ კუთხეში იდგა ერთი მაგიდა. იმაზე

იდო პატარა ყუთი. მივიდა გააღო ეს ყუთი. ნახა თავის ცოლის სურათი, მეტი არაფერი. ყუთი გააღო თუ არადა, იქიდან ამოფრინდა ეს სურათი, გამოვარდა გარეთ ოთახიდან და გაფრინდა. გამოუდგა ბიჭი ხელების ქნევით, ყვირილით, კივილით, მაგრამ გაფრინდა, წავიდა ეს სურათი.

რას იზამდა ვაჟი, დაღონდა ძალიან, მაგრამ რა ქნას!

ქალმა რომ ეს ამბავი გაიგო, წაიშინა თავში. იტირა, რატომ ჰქონი ეგ საქმეო: ხომ დაჰკარგე ჩემი თავიო!

ვაჟი დარწმუნდა ქალის ერთგულებაში, მაგრამ რაღა დროს იყო, სურათი მაინც დაკარგა. სასოწარკვეთილი ელოდა რა მოხდებოდა. მთელი ექვსი თვის განმავლობაში მისი მსგავსი არაფერი არ მომხდარა: იყვნენ ტკბილად, ცხოვრობდნენ ჩვეულებრივ.

ერთ საღამოს გაიხედეს — ვიღაც მოკუნტული დედაბერი ზის კარზე. რომ დაინახეს ეს ბალი, ჰკითხეს: — რა გინდა. ვინა ხარო? — ქალმა მიუგო: — მე ერთი საწყალი ქალი ვარ, მათხოვარი, სოფელ-სოფელ დავდივარ, აქ შევხვდი ამ უკაცო ქვეყანას, შიმშილით ვკვდები და არც ბინა მაქვსო, თქვენ გენაცვალეთ, ერთი ამაღამ ღამე გამათევინეთ, ღმერთი დაგლოცავთო!

შეებრალათ ეს ქალი და შემოუშვეს სახლში, ერთი კუთხე მიუჩინეს და დააწვინეს, საჭმელი აჭამეს. მეორე დღეს დედაბერმა თავი მოიავადმყოფა, — არ ადგა. ეს დედაბერი ვერ დატოვა ქალმა იმ დღეს და სანადიროდ ვერ წავიდა. ქმარი გაუშვა, თვითონ დარჩა სახლში.

დეღაბერმა ეს ქალი მარტო რომ ნახა, მაშინვე წამოხტა ლოგინიდან, მამაკაცის სახე მიიღო. დაავლო თმებში ხელი, დაითრია ქალი, გამოათრია კარში. დაისტვინა. ტყიდან გამოვიდა ერთი შავი კაკი. მოიტანა დიდი ჭური, ქალი ამ ჭურში ჩასვეს, მოუკრეს თავი. დედაბერმა გაიდო მხარზე და წავიდა, — წაიყვანა.

ერთ სახელმწიფოში იყო ერთი მეფე. დაბერებული იყო უცოლოდ. საიდან არ მოქონდათ სურათები, მაგრამ არ იქნა, არ მოეწონა ქალი.

ერთხელ მეჯოგეებმა ნახეს სურათი ტყეში, აიღეს და ეს სურათი მეფეს მოართვეს. ამისთანა ქალი ამ მეფეს სიზმარში ენახა და სწორედ იმას იყო, რომ ეძებდა ამდენი ხნის განმავლობაში. სურათი ნახა თუ არადა იცნო, მაშინვე გასცა ბრძანება: ოქროს ვაჩუქებ, ვინც ამ სურათის პატრონს მომინახავსო.

ოქროს შეხარბებულებმა გადააბრუნეს ქვეყანა, მაგრამ ვერსად ვერაფერი ნახეს იმ სურათის მსგავსი. ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი

ცბიერი დედაკაცი, გულთმისანი, ნახა ეს სურათი თუ არა, მაშინვე თქვა: მე მოვიყვან მაგ ქალსო. წავიდა წამოსაყვანად და წამოიყვანა კიდეც, — მეფეს ეს ქალი ჰურით მოუყვანეს. ქალი ამოიყვანეს თუ არა, მეფემ მაშინვე იცნო და მოიწონა. ამ ქალზე იქორწინა დიდი ამბით.

ახლა დავუბრუნდეთ იმ ვაჟს. ვაჟი იმ ქალის დაკარგვით თვითონაც დაიკარგა, მკვდარს დაემსგავსა. რამდენჯერ მოინდომა თავის მოკვლა, მაგრამ „კიდევ შეიძლება ვნახოო“ და იმის იმედით სულდგმულობდა.

მოშორდა იმ არემარეს, წავიდა, დადის ტყეში, ღრეში, ნადირებთან. ტანისამოსი შემოეხია. ფეხშიშველა დადის. დაბერდა უკვე.

ის მეფე მოკვდა. ერთ დღეს ქალმა იფიქრა: ახლა მე ვარ დედოფალი ამ ქვეყანაში: მოვნახავ იმ კაცს, მოვიყვან აქ და მეფედ ვაღიარებო, იმაზე ვიქორწინებო. გასცა ბრძანება: მონახეთ ამისთანა და ამისთანა კაცი და მომიყვანეთო. წავიდნენ მძებნელები. ერთი წელიწადი იარეს, მაგრამ ვერ ნახეს. მერე ქალმა თავის შინაყმებს უბრძანა: გააკეთეთ ერთი ბოძი ერთ დიდ შარაზე და ჩასვით ჩემი სურათი. ვინც იკითხოს „სად არის ამის პატრონიო“, ან თქვას „ეს ქალი ჩემი ცოლიაო“, დაიჭირეთ და მომიყვანეთო!

მაშინვე შეასრულეს: ჩასვეს სურათი გზის პირზე.

მეთვალყურეები დგანან. გამვლელი და გამომვლელი შეხედავენ ამ სურათს და წავლენ. „კაი ქალიაო“, — იტყვიან და მეტი არაფერი.

ერთ დღეს გაიხედეს, ერთი მათხოვარი კაცი მოვიდა, მთლად დაბლანძული, კონკები უფარავდა სხეულს. მივიდა და როგორც შეხედა სურათს, ერთი საზარლად დაიყვირა, ბოძს შემოებღაუჭა, სურათის ჩამოღება მოინდომა, მაგრამ არ მიუშვეს. ყვირილი დაიწყო, ტირილი: — ეგ სურათი ჩემია და ამის პატრონიც ჩემიაო. მაჩვენეთ სად არის, მომეცით ჩემი სურათიო. — შენ ვინ მოგცა, შე გლახაო,— შეთვალყურეებმა უთხრეს, — ამის პატრონი დედოფალიაო.

არ მოეშვა ამ კაცებს. თავის მოკვლა მოინდომა. ბევრი ურტყეს, განდევნეს, მაგრამ მაინც არ იქნა, ვერ მოიცილეს თავიდან. დაიჭირეს, წამოიყვანეს სასახლეში. მოუყვანეს დედოფალს და უთხრეს:— ეს კაცი თავს არ ანებებს თქვენს სურათსო.

ამ კაცმა ქალი დაინახა თუ არა, მაშინვე დაიყვირა.

ქალმა ვერ იცნო, მაგრამ იფიქრა კი: „ჩემი დაკარგვის მერე ეს ასე გახდებოდაო“. დააკვირდა თვალებში და იცნო ქმარი: — ეგ როგორ გამხდარხარ, შე საწყალო, როგორ დაცემულხარო? — უთხრა ქალმა.

კაცმა მიუგო: — შენ დამკარგავს რა სიკეთე დამადგებოდაო.

ქალმა მაშინვე მიუჩინა მომვლელები, დააბანინა, მოასვენა, ჩააცვა ძვირფასი ტანისამოსი. ექვსი თვის მერე იქორწინა. ბოლოს მეფედ დასვა. ძალიან კარგი საქმის მცოდნე და მმართველი გამოდგა ეს კაცი. მთელ ქვეყანას უყვარდა. ცხოვრობდა ორივე — ცოლი და ქმარი. სიკვდილამდის არაფერი ხიფათი არ შეხვედრიათ.

გუშინ იქ ვიყავი, და დღეს აქა ვარ.

ლურჯი თევზი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა. იყო ერთი მეფე. ერთი კი არა, ბევრი იყო ქვეყანაზე, მაგრამ მაინც ეს მეფე მეტად გამოირჩეოდა. ერთხელ მეფეს თვალები ასტკივდა, დაბრმავდა. მეფემ სადაც ექიმები ჰყავდა, სუყველანი მოიწვია, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. ბოლოს ერთი ბებერი მკითხავი მოვიდა და ურჩია: თქვენს მდინარეში რომ ლურჯი თევზია, ის დაჭერინე თქვენს მეთევზეებს და გარიჟრაჟზე თვალებზე მიიკალითო. მეფემ ბრძანება გასცა, რომ ის თევზი დაეჭირათ. წავიდნენ მეთევზეები ბრძანების ასასრულებლად. ორი დღე იწვალეს მეთევზეებმა და მესამე დღეს კი დაიჭირეს. წამოიყვანეს დიდი სიხარულით და მოართვეს მეფეს. მეფემ თევზი ქილაში ჩაასმევინა, რადგანაც ჯერ დრო არ იყო, რომ თვალებზე მიეკლა.

მეფეს ჰყავდა ერთი თხუთმეტი წლის ვაჟი. ვაჟმა რომ ნახა თევზი ქილაშია და წვალობს, ამოიყვანა და იქვე ნაკადულში გაუშვა. თევზი ერთი შემოტრიალდა აქეთ-იქით და დაჰყვა ნაკადულს. გათენდა და მეფემ მოითხოვა თევზი, მაგრამ ის აღარ იყო. მეფემ მოიხმო შვილი და უთხრა: — წადი, ან ის თევზი მომგვარე, ან არადა ნულარ მოხვალო. წავიდა ვაჟი იარა, იარა და მივიდა ერთ ადგილას, სადაც გზები იყოფოდა. მივიდა და დაინახა, რომ იქ ერთი მისი ტოლი ბიჭი იყო. მიესალმა მეფის შვილი, გამოიკითხეს ვინაობა და აღმოჩნდა, რომ ორივენი ერთი გზით იყვნენ წამოსულნი. აიღეს თავისი გუდანაბადი და გასწიეს. თვითონაც არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ.

იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ქალაქში. იქ პირველად ერთი დედაბერი შეხვდათ. ამხანაგები ძალიან შეეხვეწნენ მათთვის ბინა

მიეცა. დედაბერმა მიიღო ისინი ისე, როგორც შვილები. დედაბერს ჰყავდა ერთი ქალი, ესენიც როგორც დას ისე ეექცეოდნენ. ერთ საღამოს მოვიდა დედაბერი შინ და ბიჭებს უთხრა: ჩონგური ვიყიდე, ჩაგრამ დაკვრა იცითო? ამის ოსტატი მეფის შვილი გამოდგა. ყოველ საღამოს იმდენ ფულს იღებდა თავისი ოსტატობით, რომ ფული აუარებელი ჰქონდათ. ერთ საღამოს დედაბერმა მოიხმო ვაჟები და უთხრა: — შვილებო, თქვენ უკვე დრო გაქვთ, რომ დაქორწინდეთ. აქ არის ერთი ქალი, მეფის შვილია. ბიჭს მისცემს ერთ შეკითხვას და თუ გასცა პასუხი, შეირთავს, თუ არადა თავს მოსჭრის. რა იქნება ისეთი, რომ თქვენ ვერ გამოიცნოთო?

მეორე დღეს, მართლაც, მივიდა მეფის შვილი ქალთან. ქალმა უთხრა: —მე ერთს გეტყვი, თუ გამოიცნობ, ცოლად წამიყვანე, თუ არადა თავს მოგჭრი. მოგცემ სამი დღის ვადას. — თქვა ესა და უთხრა ვაჟს:—სულამბარა და გულამბარა რა იყვნენ ერთმანეთისაო?

წამოვიდა მეფისშვილი სახლში და უთხრა თავის ამხანაგს და დედაბერს ეს ამბავი. დედაბერმა მიასწავლა ერთი დედაკაცის სახლი და უთხრა: — ისე ადი აივანზე, რომ დედაკაცმა არ გამოგასწროსო. ამ ბიჭმა მეფისშვილი არ გაუშვა, თვითონ წავიდა. მართლაც ისე მოახერხა როგორც დედაბერმა დაარიგა.

დედაკაცისაგან შეიტყო, რომ ერთ უზარმაზარ მინდორზე იდგა ერთი შენობა, რომელშიც ვაჭარი იყო. უნდა მისულიყო იქ, სადაც ვაჭარი იყო და ეთხოვა, რომ მოჯამაგირედ ამიყვანეო. შემდეგ ღამეს დუქანში არ დარჩენილიყო და თან გაჰყოლოდა ვაჭარს. ვაჭარს რომ გაჰყვებოდა, ყველაფერს შეიტყობდა, მაგრამ იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდა. მაშინ უნდა როგორმე სამჯერ დაესტვინა, მერე კი დედაკაცი უშველიდა. წავიდა ეს ბიჭი და მივიდა ვაჭართან, უთხრა, — მოჯამაგირე არ გინდაო? ვაჭარმა მიიღო და საღამოს შინ წასვლას რომ აპირებდა, მანაც თან გაყოლა უთხრა. ვაჭარმა ბევრი იწუწუნა, მაგრამ არ მოეშვა. მაშინ ვაჭარმა უთხრა: — წაგიყვან, მხოლოდ იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოხვალო. დათანხმდა და გაჰყვა.

ბიჭი შევიდა თუ არა, მაშინვე შენიშნა მაღლა ჩამოკიდებული ხმალი და მათრახი. ვახშმის შემდეგ ვაჭარმა შუა ადგილას სკამი დადგა, ჩამოიღო ხმალი და მათრახი და იქვე დააწყო. მერე ტახტის ქვეშ შეძვრა და ორი ადამიანის თავი გამოიღო. აიღო ერთი, დადო სკამზე და დაუწყო ალერსი, კოცნა და ტირილიც დაიწყო. ახლა დააელო ხელი მათრახს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააყარა, სცემა, სცემა და ისევ ტახტის ქვეშ შეაგდო. ახლა მეორე აიღო,

იმასაც დააყარა მათრახი და ისიც შეაგდო ტახტის ქვეშ. ბიჭი გაკვირვებით უყურებდა ამ ამბავს და ჰკითხა, რას ნიშნავდა ეს თავებიო?

ვაჭარმა უამბო, რომ პირველად რომელიც აიღო, ის იყო მისი ცოლის სულამბარას თავი, ხოლო მეორე იყო მისი მოჯამაგირის გულამბარას თავი. ამათ შეჰყვარებოდათ ერთმანეთი, გაეგო ვაჭარს და ორივენი დაეხოცნა. ეს ამბავი სცოდნოდა მარტო ვაჭარს და მეფის ქალს. ვაჭარმა უთხრა, რომ უნდა მოგკლაო, მან სთხოვა: გარეთ ჰაერზე მალოცვინე უკანასკნელადო. ვაჭარმა ნება დართო და ბიჭი გარეთ გავიდა.

მან ჯერ ნელა, შემდეგ კი უფრო ძალიან დაუსტვინა სამჯერ. უცბად სად იყო, სად არა, გაჩნდა ის დედაკაცი, რომელმაც გზა მიასწავლა. მოიკიდა ზურგზე და სიბნელეში გაქრა. დილით სრულდებოდა უკვე მესამე დღე, რომ მივიდნენ. ყველაფერი კარგად უამბო და მეფის ქალთან გაისტუმრა. მეფის შვილმა უთხრა ქალს სუყველაფერი და ცოლად წამოიყვანა. წამოვიდნენ სამივენი და მოადგნენ იმ ადგილს, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ბიჭმა უთხრა მეფის შვილს: შენს საქმეში წილი მეც მიდევს და ახლა ყველაფერი შუაზე გავიყოთო. გაყოფა რომ დაიწყეს, უცებ ბიჭი იქცა ლურჯ თევზად. შეცურდა წყალში და როდესაც უკან ამოვიდა, უთხრა მეფის შვილს: მე ის თევზი ვარ, რომელიც შენ გაუშვი ნაკადულშიო.

აიშენეს ერთი შენობა და ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად.

უჯუნდარას ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყვნენ სამნი ძმანი. ორი ძმა იყო ჭკვიანი — უფროსი და შუათანა. ისინი დაქორწინდნენ. დაიწყეს ცხოვრება. უმცროსი ძმა ძმებმა და რძლებმა შეიძულეს, გააგდეს სახლიდან. ერთ ალაგს, ცხრა მთას იქით, იდგა დიდი ტბა, სადაც თავს იყრიდა ყოველი მხეცი. აი, იქ გაგზავნეს ეს უმცროსი ძმა, რადგან მისი დაღუპვა სურდათ. მართლაც, წავიდა უმცროსი ძმა ტბაზე. ყოველდღე აქ მოფრინღებოდა სამი ფრინველი, ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ. ამ ტბაში იდგა კაკლის ხე. პირველ მოფრენისთანავე ხეზე დასხდებოდნენ,

დაათვალიერებდნენ იქაურობას და თუ საეჭვო არაფერი იყო, ჩამოფრინდებოდნენ ტბის ნაპირზე და იქცეოდნენ მშვენიერ ქალებად. იბანავებდნენ წყალში, ამოვიდოდნენ და ისევ გაფრინდებოდნენ. უმცროსმა ძმამ ეს პირველ დღიდანვე შეამჩნია და გადაწყვიტა დაეჭირა ეს ქალ-ფრინველები, ყველა თუ არა, ერთი მაინც. იმ ადგილას, სადაც პირველად გაიხადეს ტანისამოსი, ამოთხარა ორმო და შიგ ჩაჯდა, ზევიდან მწვანე ბალახი გადაიფარა.

მეორე დღეს ჩვეულებრივ მოფრინდნენ ფრინველები, დასხდნენ ტბის პირას, გაიხადეს სამოსელი და შევიდნენ წყალში. ბიჭი ჩუმად ამოვიდა ორმოდან, აიღო ერთის სამოსელი და ისევ ჩაიმალა. ბანაობის შემდეგ ქალები ამოვიდნენ, ჩაიცვეს ტანზე ორმა, ერთი კი შიშველი დარჩა. ამ ორმა ქალმა აღარ დაუცადა მესამეს და გაფრინდნენ თავიანთი გზით. ქალმა დაიძახა: — ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ვინც ჩემი სამოსელი აიღე გამომიჩინეო, ძმად მეკუთვნი — ძმად მიგიღებ, დად მეკუთვნი — დად მიგიღებ, ოღონდ გამომიჩინე ჩემი სამოსიო. — ბიჭმა უპასუხა: — მე შენი და-ძმობა არ ვიცი, თუ გამომყვები ცოლად გამოგიჩენ, თუ არადა არაო! ქალი დათანხმდა. ვაჟმა წამოიყვანა ეს ქალი თავის სახლში, მაგრამ ძმებმა და რძლებმა ისინი სახლში არ შეუშვეს.

ეს ქალი იყო დევების ხელმწიფე, მისი უფროსი და ფრინველების ხელმწიფე, ხოლო შუათანა — ქვეწარმავალთა. საღამოს ქალაქი დაიბარა თავისი უერთგულესი დევი ოყაჯადო და დაავალა: ამ ღამეს ამ ეზოში აეშენებინა ორსართულიანი სახლი და კარგადაც გაეწყო. რადგან ქალის ქმარს ეძინა, ის დევს უნდა აეყვანა მძინარე, ლოგინში ჩაეწვინა ისე, რომ კაცს ვერ გაეგო. დევმა ყველა დავალება შეასრულა და წავიდა. დილით გამოეღვიძა ვაჟს და განცვიფრებული დარჩა: მან დაიძინა უსაწოლოდ, ახლა კი ტახტზე იწვა. მაშინ ცოლმა ყველაფერი უამბო, თუ როგორ მოხდა ეს და მას თვითონ რა შეეძლო.

უმცროსი ძმის კარგი ცხოვრება უფროს ძმებსა და რძლებს შეშურდათ და გადაწყვიტეს ხელმწიფისათვის მოეხსენებინათ: ამ ბიჭს ცოლად ჰყავს ულამაზესი ქალიო. ხელმწიფე შეაგულიანეს, რომ ბიჭისთვის ქალი წაერთმია და თვითონ წაეყვანა ცოლად. ხელმწიფემ დაიბარა ვაჟი და ვინაიდან არ შეეძლო ცოლი წაერთმია უმიზეზოდ, მისცა დავალება: ამ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი მოჯირითე, რომელსაც ბადალი არ მოეპოვებოდა მთელ სახელმწიფოში. ეს ბიჭი ამ მოჯირითეს უნდა შებმოდა. თუ ვაჟი ხელმწიფის მოჯირითეს ვერ აჯობებდა, მაშინ მისი ცოლი ხელმწიფეს დარჩებოდა.

დაღონებული ვაჟი დაბრუნდა სახლში. უამბო ცოლს ყველაფერი. ცოლმა უთხრა: — შენ ამაზე ნუ იდარდებო. იმ ღამეს ქალმა დაიბარა თავისი ერთგული ოყაჯადო დევი და უთხრა: — ხვალ შენ ჩემი ქმარი შეისვი ზურგზე და ხელმწიფის მოჯირითეს შეეჯიბრეო. შეეცადე, ყველაფერი ხელმწიფის მოჯირითეზე უკეთ გააკეთოო. მეორე დილას მოვიდა ცხენად ქცეული ოყაჯადო და შეკაზმული გაჩერდა ქალის ეზოში. ქალმა გააღვიძა ქმარი და უთხრა შემჯდარიყო ამ ცხენზე და გასულიყო შეჯიბრში. შეჯდა ვაჟი ცხენზე და წავიდა. შორიდან დაინახა, ხელმწიფის მოჯირითეს აღარ დაეცადა და თავის რაშს დააბრიალებდა მოედანზე. ეს რომ შენიშნა ოყაჯადო დევმა, გაქანდა და დაასწრო ხელმწიფის მოჯირითეს. მერე შეფრინდა ჰაერში, ბიჭი ქვევიდან მუცელზე მოეკცა, რომ ცაზე არ მიჭყლეტილიყო. ახლა დევი დაეშვა მიწაზე, ამ დროს ვაჟი ზურგზე მოექცა. იმ დღეს ვაჟმა ხელმწიფის მოჯირითეს აჯობა და თავისი ცოლიც დარჩა.

ხელმწიფემ კიდევ დაიბარა ბიჭი და მეორე დავალება მისცა. ხელმწიფის სასახლის წინ იყო ტყიანი ადგილი. ბიჭს ეს ტყე ერთ ღამეში უნდა გაეჩეხა, მოეხნა და სიმინდი დაეთესა. მოისმინა, თუ არა დავალება ბიჭმა, წამოვიდა სახლში დაღონებული და ცოლს უამბო თუ რა უთხრა ხელმწიფემ. ცოლმა დააიმედა ქმარი. ქალმა ხელ- მეორედ დაიბარა ოყაჯადო დევი და უთხრა: — ასე და ასე არის საქმე და უნდა შეასრულოო. იმ ღამეს ოყაჯადო დევმა მოიყვანა ურიცხვი სხვა დევიც. მათი შემწეობით ოყაჯადო დევმა გაჩეხა ტყე, მოხნა და სიმინდიც დათესა. დილით ქალმა ქმარი თოხით დააყენა ხნულში, თითქოს დილით ათავებდა სამუშაოს. ხელმწიფემ გადმოიხედა და დაინახა, რომ დავალება შესრულებულია და განცვიფრდა. ვერც ახლა წაართვა ცოლი ბიჭს.

ბოლოს ერთმა ვეზირთაგანმა ურჩია ხელმწიფეს, ბიჭს ხელმწიფისათვის მოეტანა „არც შენ იცი და არც მე ვიცი“ და ამისათვის სამი წლის ვადა მიეცა. თუ ამ ხანში ვერ მოუტანდა, ცოლი ხელმწიფეს დარჩებოდა. ამ დავალებამ ძალიან დაადარდიანა ბიჭიცა და მისი ცოლიც. დაიბარა ქალმა ოყაჯადო დევი და უთხრა: — ასეთი რამ თუ მოიპოვებაო. დევთა ლაშქარმა შესძრა ხმელეთი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ბოლოს ქალმა ურჩია ქმარს, წასულიყო შუათანა დასთან და ეკითხა მისთვის, ასეთი რამ მოიპოვებოდა თუ არა მის სახელმწიფოში. ამ ბიჭს თან უნდა წაეღო პირსახოცი, რომელიც წამოღებული ჰქონდა ქალს თავისი სახლიდან. ამნაირი პირსახოცი დედამიწის ზურგზე მხოლოდ ამ დებს ჰქონდათ თითო ცალი, პირსახოცით იცნობდნენ. ქალმა დარიგა ქმარი, როცა მისი დის სასახლეში

მივიდოდა, ეთხოვა ღამის გათევინება, როცა პირს დააბანინებდნენ, მათი პირსახოცით არ შეეხოცა პირი, ამოეღო და თავისი პირსახოცით შეეხოცა.

წავიდა ბიჭი და მიადგა შუათანა დის სასახლეს, ითხოვა ღამე გამათევინეთო. მიიწვიეს სახლში, პირი დააბანინეს და პირსახოციც მოუტანეს, მაგრამ ბიჭმა ამოიღო თავისი პირსახოცი და იმით შეიწმინდა სახე. დაინახა თუ არა შუათანა დამ პირსახოცი, იცნო და მიხვდა, რომ ეს ბიჭი უეჭველად მისი სიძე იყო. ჰკითხა თავისი დის ამბავი. ბიჭმა უამბო თავიანთი გაჭირვება და შუათანა დაც დადარდიანდა: არც იმას მოეპოვებოდა ასეთი რამ თავის სახელმწიფოში. შუათანა დამ ეს ბიჭი უფროს დასთან გაგზავნა. თან დაარიგა, იქაც ისე მოქცეულიყო, როგორც აქ. მივიდა ბიჭი უფროსი დის სასახლეში და ღამის გათევინება ითხოვა. მიიწვიეს სახლში, პირი დააბანინეს და პირსახოციც მოართვეს, მაგრამ ბიჭმა თავისი პირსახოცი ამოიღო და იმით შეიწმინდა.

უფროსი დაც მიხვდა ეს ბიჭი მისი სიძე იყო ნამდვილად. ჰკითხა თავისი დის ამბავი და ამანაც თავიანთი გაჭირვება უამბო. ქალმა უთხრა: — ამას მე შეგისრულებო. მოაღწია სადილობამ, ქალმა დაიძახა: „უზუნდარა!“ პასუხად მიიღო: „ბატონო!“ ქალმა სთხოვა ისეთი სუფრა გაეშალა, რომელზედაც ყველაფერი იქნებოდა, რასაც კი სული და გული მოისურვებდა. ბიჭი განცვიფრდა, უზუნდარა არა ჩანდა — სუფრა ისე იშლებოდა. ბიჭმა ჰკითხა ქალს, თუ ვინ შლიდა ამ სუფრას. ქალმა უთხრა: სწორედ ეგ არის თქვენი საძებარი, ხელმწიფემ რომ დაგავალაო: „არც შენ იცი და არც მე ვიციო“. ეს უზუნდარა დასდევდა ოქროს თასს, რომელიც ამ ქალს ჰქონდა: სადაც ოქროს თასი იქნებოდა, უზუნდარაც იქ გაჩნდებოდა. უფროსმა დამ მისცა თავის სიძეს ოქროს თასი და გააფრთხილა, არავისათვის მიეცა თასი, თორემ დაეკარგებოდა უზუნდარა. ასე გამოისტუმრა სიძე.

წამოვიდა ბიჭი. მოდის გზაზე და პური მოშივდა, თანაც არ უნდოდა მარტო ეჭამა პური. გაიხედა, წინ ვიღაც მიმავალი კაცი დაინახა, ფეხი აუჩქარა და წამოეწია. უცნობს სთხოვა შეესვენათ საღმე ჩრდილში და პური ეჭამათ. მართლაც, შეისვენეს ერთ ადგილას. ბიჭმა დაუძახა უზუნდარას, რომ მას მწვანეზე გაეშალა სულის და გულის სუფრა. მართლაც, ისე შესრულდა ყველაფერი. დამშეული ბიჭი და უცნობი შეექცნენ სადილს, უცნობს ჰქონდა არღანი, თან უკრავდა და დრო გაატარეს. დაშორდნენ ერთმანეთს და წამოვიდნენ. ბევრი სიარულის შემდეგ მოაღწია თავის საცხოვრებელ ბინას. აქ ცოლს უთხრა: მოვიტანე „არც შენ იცი და არც მე ვიციო“, და ქალს ნაღვე-

ლი გადაეყარა. ცოლმა მოაგონა ვაჟს: შესრულდა სამი წელი, ორი დღეც გადასცილდა. ამ დროს ხელმწიფეს უხაროდა, რომ ვაჟის ცოლი მას რჩებოდა.

ცოლმა უთხრა ქმარს, წასულიყო ხელმწიფესთან და ეთქვა თავისი ოჯახითა და ვეზირებით სწვეოდა სადილად: ერთხელ მაინც ვიქეიფოთ, რადგან პირობა ვერ შეგისრულე დროზეო. ხელმწიფეს გაუხარდა ეს ამბავი და თავისი ამალით ეწვია ბიჭს სახლში. დაინახა ბიჭის ცოლი და ძალიან მოეწონა: ამ დროს ნატრულობდა ხელმწიფე და უსრულდებოდა კიდეც. გადმოდგა ქალი აივანზე. ახსენა უზუნდარას სახელი და დაავალა ეზოში გაეშალა სამეფო სუფრა. უზუნდარამ ყველაფერი შეასრულა ისე, რომ მეფემ ვერ შეამჩნია ვინ შლიდა სუფრას. კარგად იქეიფეს და ბოლოს ხელმწიფემ სთხოვა ქალს აეხსნა, თუ რის ძალით კეთდებოდა ყველაფერი. ცოლმა უთხრა: თქვენი დავალება შესრულებულია და ეგ არის სწორედ „არც შენ იცი და არც მე ვიციო". აწ ვერ ეღირსები ჩემს თავსო. ასე დარჩა ხელმწიფე პირში ჩალაგამოვლებული.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.

ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დასაქორწინებელი მეფე. მის სახელმწიფოში საშიშროების გამო ღამე სინათლის ანთება აკრძალული იყო. ღამით მეფის დანიშნულმა პირებმა შეამჩნიეს ერთ სახლში შუქი იყო. მივიდნენ, დაუგდეს ყური, მოისმა სამი ქალის ხმა, ეს ქალები დები იყვნენ. უფროსმა დამ თქვა: — მე ისეთი ხალიჩის მოქსოვა შემიძლია ერთ ღამეში, რომ ჩვენი მეფის ჯარები ნახევარზე დაეტევიანო. საშუალომ თქვა: — მე ისეთი გემრიელი საჭმელების გაკეთება შემიძლია, რომ ჩვენი მეფე იმის მეტს არაფერს ჭამდესო. უმცროსმა დამ თქვა: — მე შემიძლია ოქროსთმიანი ვშობოო. მეფის კაცებმა ყველაფერი მეფეს მოახსენეს. მან ქალები შოაყვანინა თავის სასახლეში. უმცროსი ცოლად შეირთო, უფ-

როსმა და საშუალომ ვერ შეასრულეს პირობა. მეფემ ესენი მაინც თავისთან დაიტოვა და ინახავდა. უმცროსი ქალი დაორსულდა.

ფეხმძიმობის დროს მეფე სხვა სახელმწიფოში იყო წასული. მეფის ცოლმა ამ დროს დაბადა ოქროსთმიანი გოგო. დებს შეშურდათ: ჩვენ ვერ შევასრულეთ პირობა და ამან შეასრულაო. ამიტომ მწუხარე დას მოჰპარეს ბავშვი, მის ბადლად კატის კნუტი ჩაუსვეს; ბავშვი გაახვიეს ჩვრებში და ერთი მოხუცი მეწისქვილის ღარში ჩააგდეს. ბავშვი წისქვილის ღარში გაიპეედა და წისქვილი გააჩერა. წისქვილის პატრონს შვილი არა ჰყავდა, გამოვიდა, ჩაჰხედა ღარს და რა დაინახა ოქროსთმიანი ბავშვი, ძალიან გაუხარდა, ამოიყვანა და თხის რძით გაზარდა.

მეფის ცოლისდებმა მეფეს მისწერეს: თქვენმა ცოლმა კატის კნუტი შობა და რა ვუყოთო. მეფემ მოსწერა, რა ვუყო, ეგა ყოფილა ჩემი ბედი და გაზარდეთო. როცა მეფე მოვიდა, მისი ცოლი მეორედ დაორსულდა, ფეხმძიმობის დროს ქმარი ისევ სხვა სახელმწიფოში იყო. მისმა ცოლმა ახლა ოქროსთმიანი ვაჟი შობა. დებმა ესეც მოჰპარეს და მის ბადლად ფილთაქვა ჩაუგდეს. ეს ბავშვიც ისევ იმ წისქვილში ჩააგდეს. მეწისქვილემ ისიც გაზარდა. ცოლისდებმა წერილი მისწერეს, თქვენმა ცოლმა ახლა ფილთაქვა შობაო. მეფემ ეს ვეღარ მოითმინა, წამოვიდა სახლში გაჯავრებული. როცა ჩამოვიდა სახლში, გზის პირას გააკრა კამეჩის ტყავი, ზედ თავისი ცოლი მიაკრა და მაღლა დააწერა: გამვლელმა და გამომვლელმა ყველამ ზედ მიაფურთხეთო, ცოლისდები კი თავისთან დატოვა შინამოსამსახურეებად.

მეწისქვილემ დაზარდა ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი. ეს ბალღები ისეთები დაიზარდნენ, რომ მათ მნახველს თვალი ზედა რჩებოდათ. ერთ მეზობელ ბებერ დედაკაცს შეშურდა მოხუცი ცოლ-ქმრისთვის ასეთი შვილები და მოიწადინა მათი დახოცვა. ერთ დღეს ბებერი მივიდა ოქროსთმიან ქალთან. ვაჟი ამ დროს წასული იყო სანადიროდ. ბებერი დედაკაცი მოუყვა ქალს: — შვილო, თქვენ ძალიან მიყვარხართ, მნახველს თვალი ზედა რჩება თქვენზეო და მენანებით, რომ დარიაჩანგის ბაღი არა გაქვთო. შენი ძმა გაგზავნე და მოიტანსო, მაშინ ხელმწიფეც ვეღარ შეგედარებათო და წავიდა. მოვიდა ძმა ნადირობიდან, და დაღონებული დახვდა. ძმამ ჰკითხა: დაო, რამ დაგაღონაო? და მოუყვა დაღონების მიზეზს. ძმამ უთხრა: ძმა მოგიკვდეს, დაო, თუ ის ბაღი არ მოგიტანოო. მეორე დღესვე წავიდა ბაღის საძებრად. იარა, იარა და შეხვდა ერთ სახლს. ეზოში დევის დედას მოჰკრა თვალი, მივიდა და უთხრა:—დედი, დედაშვილობას,

დარიაჩანგის ბაღს ვერ მიმასწავლიო? დევის დედამ უთხრა: — აჰ, თუ დედაშვილობა არ გეთქვა, კარგი ლუკმა იყავიო. მე ვერ მიგასწავლი, ა, ემ გზას დაადექი, შეხვდები ერთ სახლს, სახლი ჩემი დისა არის, ის მიგასწავლისო; მხოლოდ იმასაც დედაშვილობა უთხარი, თორემ შეგჭამსო.

ბიჭი ეგრეც მოიქცა. იმ ქალმაც ახლა მესამე დასთან მიასწავლა; როცა მივიდა მესამე დევთან, უთხრა: დედი, დედაშვილობას, დარიაჩანგის გზა მასწავლეო.— ჰაი ჰაი, თუ დედაშვილობა არ გეთქვა, კარგი ლუკმა იყავიო. მერმე უთხრა: — შვილო, მშვენიერი ვაჟკაცი ხარ და თავი რაზე უნდა მოიკლაო. აქეთ ათასამდის კაცს გაუვლია მისი ბაღისათვის, უკან კი არავინ დაბრუნებულაო. იქ რომ მიხვალ და ბაღის ტოტს მოსტეხავ და გამობრუნდები, ყველაფერი ყვირილს დაიწყებს: წაიღო, წაიღო, წაიღოო! ამას დარიაჩანგი გაიგებს და მაშინვე გაგაქვავებსო. ის ბაღი ზამთარ-ზაფხულ სულ მოწეული და ულეველიაო. მისი ბაღის ერთი პატარა ტოტი რომ მოტეხო და შენს ეზოში დარგო, მთელი დარიაჩანგის ბაღი იქ გაჩნდებაო. კარგ ბედზე კი გივლია, ახლა სძინავს, შენ გმართებს სისწრაფე, ჩქარა ბაღიდან ტოტი გამოაპარე, თორემ თუ შიგ მოგკრა თვალი დარიაჩანგმა, მაშინვე გაგაქვავებსო.

ბიჭი წავიდა და მოასწრო ტოტის გამოტანა. როცა ამოიარა, დევის ქალმა ქება-დიდება შეასხა: — შენს მეტი უკან არავინ დაბრუნებულაო. ეს ბაღი მოიტანა და თავის ეზოში გააშენა. რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცი დედაკაცი ისევ მივიდა ამ ბიჭის დასთან და ისევ დაუწყო უფრო ბოროტი ენით ლაპარაკი. — ახლა სუყველას სჯობიხართ, მხოლოდ თვითონ დარიაჩანგი რომ შენმა ძმამ ცოლად მოიყვანოს, მაშინ ხელმწიფეც აღარ შეგედარებათო. ამ ქალმა თავისი ძმა ისევ გაგზავნა დარიაჩანგის მოსაყვანად. ეს ბიჭი მივიდა უკანასკნელ დევთან და შეეკითხა: — როგორ ბედზე ვარ წამოსული, ან როგორ წამოვიყვანოო? დევის დედამ უთხრა: — ახლა ისევ სძინავს, მხოლოდ წამოყვანისა რა მოგახსენოო.

წავიდა ეს ბიჭი, მივიდა პირდაპირ დარიაჩანგის სახლში და დააკაკუნა კარებზე. დარიაჩანგმა გამოიღვიძა და დაიძახა: — ვინა ხარ, ქვა ხარ და ქვად იქეციო! შემდეგ გამოვიდა გარეთ, რომ დაინახა ოქროსთმიანი ვაჟი გამიქვავებიაო, შეიბრალა და თქვა: — რა გინდა, მშვენიერი ვაჟკაცი ჰყოფილხარ და რაზე გამექვავებინეო. აიღო ეს ქვა და განცალკევებულ ადგილას დასდო კუთხეში. ძალიან რომ დაიგვიანა ბიჭმა, მისმა დამ იფიქრა, უთუოდ გააქვავებდა დარიაჩანგი ჩემს ძმასაო, დაიწყო ტირილი, მაგრამ ტირილით რას უშველიდა.

ადგა, ჩაიცვა რკინის ტანისამოსი, რკინის ქუდი დაიხურა, რკინის ჯოხი დაიჭირა ხელში და წავიდა დარიაჩანგის სახლისაკენ. ეს ქალი მივიდა უკანასკნელ დევის ქალთან და დაუძახა. — დედი, დედაშვილობას დარიაჩანგის გზას ვერ მიმასწავლიო? — ჰეჰეი, თუ დედაშვილობა არ გეთქვა, კარგი ლუკმა იყავიო, — უთხრა დევის ქალმა. შემდეგ უთხრა: — შვილო, იქ რა გინდა, მშვენიერი ქალი ხარ და იმას ნუ გაექვავებინებიო. ერთმა შენსავით მშვენიერმა ბიჭმა ჩაიარა, ის პირველად დაბრუნდა, მაგრამ მეორედ ვეღარაო. ქალმა უთხრა: — დედი, ის ბიჭი ჩემი ძმა იყო, მე მის საძებრად მივდივარ და თუ გამაქვავებს, სადაც ჩემი ძმაა, მეც იქ ვიყოო. — კარგი მაშ, შვილო, რაკი აღარ დაიშლი, მე გასწავლი რამეს, კარგ ბედზე კი გივლია. ახლა სძინავსო, მხოლოდ შენს ხმას რომ გაიგებს გეტყვის: „ვინა ხარ, ქვა ხარ და ქვად იქეციო“; სანამ ამის თქმას მოასწრებს, შენ დაასწარ: ქვადაც იქეცი და ხედაც იქეცი-თქო. ამის თქმა უნდა მოასწრო სამჯერ.

ეს ქალი წავიდა. მართლაც, როგორც დევმა დაარიგა, ისეც მოიქცა. დაიმონავა დარიაჩანგი. ამ ქალმა დაუძახა: — დარიაჩანგო, ჩქარა გამოდი, ჩემი ძმა როგორიც იყო, ისეთი გახადე, თორემ შემოვალ და ამ რკინის ჯოხით თავ-პირს ჩამოგამტვრევ! დარიაჩანგმა ნიგნიდან დაუძახა: — გარეთ ფანჯარაში ცხვირსახოცია, აიღე, ქვას მიუსვ-მოუსვი და გაცოცხლდებაო! ქალმა აიღო ცხვირსახოცი. თითქმის ორასამდე კაცი გააცოცხლა, მაგრამ მისი ძმა არც ერთი არ გამოდგა. მერე დაუყვირა დარიაჩანგს: — გამოდი, რომელია ჩემი ძმის ქვა მაჩვენე, თორემ შემოვალ და თავ-პირს დაგამტვრევო. — დარიაჩანგმა მოიფიქრა და უთხრა: — საბოლოოდ რომ გავაქვავე ზემოთ კუთხეში დადე და ის იქნება შენი ძმაო. მართლაც, მივიდა ქალი. იპოვა თავისი ძმის ქვა და გააცოცხლა. გაცოცხლდა თუ არა, მოიფშვნიტა თვალები და თქვა: — უჰ, რამდენ ხანს მძინებიაო. ერთმანეთს გადაეხვივნენ, დაჰკოცნეს. ახლა ქალმა დარიაჩანგს დაუძახა: — წამოდი, რძლად უნდა გამომყვეო! რადგანაც დარიაჩანგი დამონავებული იყო და ვერაფერს გახდებოდა, გაჰყვა რძლად.

მოვიდნენ სახლში, გადიხადეს კარგი ქორწილი და ცხოვრობდნენ ტკბილად, მაგრამ მოხუცმა დედაკაცმა არც ახლა მოუსვენა. მოიფიქრა, მეფე შეაგულიანოს და დარიაჩანგი ცოლად შეართვევინოს, მისი ქმარი და ქმრის და კი მოაკვლევინოს. წავიდა მეფესთან და უთხრა: — დიდო მეფეო, ყველაფრად კარგი ხარ, მაგრამ აქ ერთი ბიჭი არის, მან დარიაჩანგის ბაღი მოიტანა, თვითონ დარიაჩანგი კი ცოლად შეირთო. დარიაჩანგი ისეთი ლამაზია, ისეთი

ლამაზი, რომ მასზე მოსაწონი არავინ იქნება ქვეყანაზეო. შენ მეფეხარ და ის შენ შეგფერის ცოლადო. შენ რომ ის შეირთო, დედამიწის ზურგზე მეფე აღარ შეგედრებაო. — მერე მე როგორ შევირთო? — შეეკითხა მოხუცს მეფე. — მე მოვახერხებო, — უთხრა მოხუცმა. შენ წვეულება გადაიხადე, ისინიც დაეპატიჟოთ, ქმარსა და მულს საჭმელი მოვუწამლოთ და დაიხოცებიან, დარიაჩანგი კი შენ დაგრჩებაო. ასეც მოიქცნენ. დაპატიჟეს სამივე. დარიაჩანგი გულთმისანი იყო, ქმარს და მულს თავის ბაღში მოაკრეფინა საუკეთესო ყვავილები, ხილი და წავიდნენ მეფესთან. როცა მიუახლოვდნენ მეფის სახლს, დაინახეს, რომ კამეჩის ტყავზე იყო მიკრული დედაკაცი, მაღლა ეწერა: ყველამ მიაფურთხეთო. დარიაჩანგმა უბრძანა ქმარს და მულს: — ამ დედაკაცს ეს ყვავილები შეაყარეთო. მართლაც შეაყარეს, მეფემ ეს დაინახა და ძალიან გაბრაზდა, მაგრამ მოხუცმა დედაკაცმა დააჩუმა: — ეგენი ხომ უნდა დავხოცოთ და დარიაჩანგი კი შენი ცოლი გახდეს; ეს არაფერია, მოითმინეო.

მივიდნენ დაპატიჟებულნი, მიესალმნენ მეფეს, შემდეგ ხალხს და შემოუსხდნენ სუფრას: ყველას მიართვეს საჭმელები. დარიაჩანგმა უთხრა და-ძმას, საჭმელს ხელს ნუ ახლებთ, სანამ მე არ გეტყვითო და არც თვითონ ჭამდა საჭმელს. მეფე და ხალხი ეხვეწებოდნენ მიერთვით საჭმელი, მოწყენილები რადა ხართო. — ჩვენ საჭმელი არ გვინდაო, — ერთად უპასუხეს სამთავემ. დარიაჩანგი ადგა და მეფეს მოახსენა. — დიდო მეფეო, თუ შეიძლება შემწვარი ხოხობი და გამხმარი ვაზის ყლორტი მოატანინეთ ჩემთვისო. მართლაც მოუტანეს. დარიაჩანგი ადგა ფეხზე და მეფეს სთხოვა რამდენიმე სიტყვის უფლება. მეფემ ნება დართო.

დარიაჩანგმა დაიწყო: — დიდო მეფეო! შენმა ცოლმა პირობა მოგცა, რომ ოქროსთმიან ქალ-ვაჟს შობდა, შენმა ცოლისდებმა კი ერთმა ხალიჩის მოქსოვის პირობა. ერთმა კი — გემრიელი საჭმელების გაკეთებისა. მათ ეს ვერ შეასრულეს. შენმა ცოლმა შეასრულა, ფეხმძიმობის დროს შენ შინ არც ერთხელ არ ყოფილხარ. შენმა ცოლმა შობა ოქროსთმიანი გოგო. აი, ეს, — ხელი დაადო თავის მულს, — მეორედ კი აი, ეს ვაჟი — ხელი დაადო თავის ქმარს.— შენმა ცოლის დებმა უღალატეს შენს ცოლს, ეს ბალღები დაპპარეს და წისქვილის ღარში ჩაყარეს, მეწისქვილემ იპოვა ესენი და თხის რძით დაზარდა. მათ ბადლად შენმა ცოლისდებმა ჩაუსვეს ერთხელ კატის კნუტი, მეორედ კი — ფილთაქვა. შენ ამის გულისათვის უსაშართლოდ გააკარი ტყავზე და საშინლად აწამე ცოლი, მოღალატე დები კი მიღებული გყავს. ახლა ესენი შენი შვილები არიან. უთხრა

ქვარ-მულზე. — შენ კი მათთვის მოიტანე მოწამლული საჭმელები, ესენი უნდა დაჰხოცო და მე კი ცოლად შემირთო. მე შენი რძალი ვარ! — აიღო დარიაჩანგმა ხელში შემწვარი ხოხობი, გამხმარი ვაზის ყლორტი და დაიძახა: — თუ რაცა ვთქვი, ეს ყველაფერი მართალია, შენ, შემწვარო ხოხობო, ფრთები გამოიბი და ამ ოთახში ფრენა დაიწყეო. გაუშვა ხოხობს ხელი და დაიწყო ფრენა. შენ კი, გამხმარო ვაზის ყლორტო, მწიფე ყურძენი დაისხიო და მართლაც დაისხა.

ამ ამბის გამგონე ხალხმა ყველამ ტირილი დაიწყო. მეფეს კი გული გაეპარა და დავარდა იატაკზე. როცა მეფე გონს მოვიდა, ადგა დაჰკოცნა თავისი შვილები, მერე რძალი. ბრძანა მისი ცოლი აეშვათ, გაესუფთავებინათ აბანოში, ახალი ტანისამოსი ჩაეცმიათ და მოეყვანათ.

მოსამსახურეებმა ეს ყველაფერი სწრაფად შეასრულეს. მოიყვანეს, გააცნეს თავისი შვილები, რძალი. გადაეხვივნენ და დაჰკოცნეს, ორმაგი ქორწილი გადაიხადეს. ცოლისდები და მოხუცი დედაკაცი ცხენს კუდზე გამოაბეს და ისე დახოცეს. მეფემ მოხუცი მეწისქვილე და მეწისქვილის ცოლი თავისთან მოიხმო და სიკვდილამდის სულ თვითონ ინახავდა. ამის შემდეგ იცხოვრეს ტკბილად. ახლა კი, მართლაც, დედამიწის ზურგზე არც ერთი მეფე არ შეედრებოდა მას.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.
კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი, კარგი ღვინო, კარგი მსმელი.
ელასა მელასა, ჭიქა მეკიდოს ყელასა,
მთქმელსაც და გამგონებელსაც ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.

საკვირველი ფრთა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ხელმწიფე ერთ დროს ავად გახდა. მკითხავმა უთხრა: — თუ შენ ისეთ მიწას მოგიტანენ, სადაც არ გაგივლია, მორჩები, თუ არადა მოკვდებიო. ადგა უფროსი შვილი, შეკაზმა ცხენი, ბევრი იარა თუ ცოტა, მთა-გორები მოიარა, სადაც მოეწონა ყამირი, მოგლიჯა ერთი დიდი ბელტი და წამოუღო მამას. დახედა მამამ და უთხრა: შვილო, მავან ალაგას არ მოგლიჯე ეს? მე იქ გამივლიაო. წამოხტა საშუალო ძმა და თქვა: — მამავ, ვერ მოვიტან ისეთ მიწას, სადაც შენ არ გაგივლიაო? მამამ გააფრთხილა შვილები: — მე ამ ხუთ სახელმწიფოს ადგილებში გოჯი არ არის,

რომ ფეხი არ დამედგასო. ადგა მაინც ეს საშუალო ვაჟი, შეკაზმა ცხენი და წავიდა. ბევრი იარა მთა-გორები, კლდეები, ბოლოს ერთ კლდეზე ნახა მერცხლის ბუდესავით ჩაკიდებული კალოსოდენა ადგილი, თქვა: — ეს რა კარგი საქეიფო ალაგია, მამაჩემი დარბაისელი კაცია, აქ არ ჩავიდოდაო. ჩავიდა ეს ბიჭი, მოგლიჯა შუა ადგილს ერთი დიდი ბელტი და წამოიღო. მიიტანა თუ არა მამასთან, მამამ უთხრა: — მავან კლდეში არ ამოიღე და თანაც გუნებაში ასე არ თქვი, რა კარგი საქეიფო ადგილიაო?

წამოხტა უმცროსი ვაჟი და უთხრა: მაშ, მე წავალ ახლაო! — მამამ ისიც გააფრთხილა: ტყუილად ნუ შეწუხდებით, მე მოვკვდები, თქვენ ისეთ ადგილს ვერ მომიტანთ, სადაც მე არ ვყოფილიყო. ვაჟი მივიდა მეჯოგესთან და უთხრა: — ისეთი ცხენი მომეცი, რომ ჯერ თითი არა ჰქონდეს დადებულიო. მეჯოგემ უთხრა: — ერთი რაში გამოერია ჩვენს ჯოგში, ახლა არის ხუთი წლისა, ყველაზე უკან გამოვა და დაიჭირეო. მართლაც, ეს ბიჭი ისე მოიქცა, დაიჭირა ეს რაში, რაშმა ბევრი იტოკა, მაგრამ ბიჭი მაინც შეჯდა და გაუდგა გზას. ბევრი იარა, გავიდა მეორე სახელმწიფოში. დაუღამდა. მიდის და ერთი ბუმბული ანათებს მთვარეზე მეტად.

აფრინდება ეს ბუმბული, რაში რომ მიდის და იძახის: — ამიღებ ინანებ, არ ამიღებ ინანებო! ერთი კილომეტრი რომ გაიარა, ბიჭმა უთხრა რაშს: — უნდა ავიღოო. რაშმა დაუშალა: — არ გინდა, ნუ აიღებო. ბიჭმა არ დაიშალა, აიღო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ჩაიდო უბეში და წავიდა. მივიდა იმ სახელმწიფოში, იკითხა ხელმწიფე. რადგანაც ხელმწიფის შვილი იყო, მიასწავლეს ხელმწიფესთან. დაუძახა. გამოვიდნენ ვეზირები. უთხრა ვეზირებს: — მე მავანი ხელმწიფის შვილი ვარ, დამიღამდა და ღამის გათევა მინდაო. მოახსენეს ხელმწიფეს, რომ მავანი ხელმწიფის შვილია და ღამის გათევას თხოულობსო. — მოიყვანეთ, აივანქვეშ იყოსო. მიუტანეს ყველი და პური. ხელმწიფეს კი აივანზე სხვადასხვა ნამცხვრებით და სიტკბოებით ავახშმებენ, ართობენ.

ეს ბიჭი, ხელმწიფის შვილი, დაღონებულია, არ იცის, სად ნახოს ისეთი ადგილი, რომ მიწა მიუტანოს და მით მოარჩინოს მამა. ბოლოს დიდი ფიქრის შემდეგ ის ბუმბული გაახსენდა, ამოიღო, შუქზე გავსინჯავო, მაგრამ ისე გაანათა, რომ მეფის სასახლის შუქიც კი სიბნელედ ეჩვენებოდათ. ხელმწიფემ დაიძახა: ეს რა ამბავია, რა მოხდაო? იქ ერთი ბებერი იჯდა, მან უთხრა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ, ახლა კი არა ხარ ხელმწიფე, ხელმწიფე მაშინ იქნები, როდესაც ეს ბუმბული რასაც გამოსძერა, ის შენი იქნე-

ბაო. — ვინ მოიყვანსო? — ეგ ბიჭიო. ხელმწიფემ დაუძახა ხელ-მწიფის შვილს და უთხრა: — თუ მოიყვან იმ ფრინველს, რასაც ეს ბუმბული გამოსძვრა, თუ არადა ჩამოგახრჩობო.

დაღონდა ეს ბიჭი და გამოვიდა გარეთ; მივიდა რაშთან და უთ-ხრა: — თუ ის ფრინველი არ მივუყვანე, უნდა დამახრჩონო. რაშმა უთხრა. აკი გითხარი ნუ აიღებო, მაგრამ ახლა რა ეშველება, უთხარი ხელმწიფეს, კამეჩი დაკლას და ფაშვი მოგცესო. უთხრა ხელმწი-ფეს. დაკლა კამეჩი, მისცა ფაშვი. ადგა რაში, წაიყვანა ერთ ზღვის პირას. — იმ კუნძულს ხომ ხედავ, იქ უნდა გადავხტეთ. რომ გადავ-ხტებით, მე ზღვაში დავიმალები, შენ იქ დაწვები, გულზე დაიდებ იმ ფაშვს, წამოვა მაღლიდან ძალიან მძლავრი ფრინველი და თუ მაგ-რად არ დაუხვდი, ფრთის ძირები არ დაუჭირე, გაგიტაცებს და გა-დაგკარგავსო.

შემოჰკრა რაშს მათრახი ხელმწიფის შვილმა. გადახტა კუნძულ-ზე. ეს ბიჭი გულაღმა დაწვა. ფაშვი ზედ დაიდო, რაში კი ჩავარდა ზღვაში. ამ დროს წამოვიდა ერთი ჭექა-ქუხილით ეს ფრინველი, დაე-ცა ამ ხელმწიფის შვილს. ხელმწიფის შვილმა დაუჭირა ფრთის ძი-რები, აიტანს თორმეტ-ცამეტ მხარზე მაღლა, ისევ დაუშვებს, ბო-ლოს ძალიან დაიღალა და დამორჩილდა. გამოვარდა რაში, შეჯდა რაშზე ხელმწიფის შვილი, წამოვიდა ხელმწიფესთან. ეზოში რომ შემოვიდა, ბებერმა უთხრა ხელმწიფეს: — მართალია, ეგ ფრინვე-ლი მოგიყვანა, მაგრამ ხელმწიფე მაინც არა ხარ, ხელმწიფე მაშინ იქნები, როდესაც მაგის აღმზრდელი ქალი შენ ცოლად გეყოლე-ბაო. — ვინ მოიყვანსო, — ბრძანა ხელმწიფემ. ბებერმა უთხრა: — ისევ ეგ ბიჭი მოიყვანსო. მოვიდა ეს ბიჭი, მოუყვანა ხელმწიფეს ფრინველი. ეს ბიჭი ფიქრობს, საით წავიდეს, რომ თავის მამას მიუ-ტანოს მიწა მოსარჩენად. ხელმწიფემ უთხრა: — მართალია, ეს ფრინველი მომიყვანე, მაგრამ მაინც არ განთავისუფლებო. — რა-ტომო? — უთხრა ხელმწიფის შვილმა. — იმიტომ, რომ მაგის აღმზ-რდელ ქალს თუ არ მომიყვან, ჩამოგახრჩობო.

დაღონდა ხელმწიფის შვილი, გავიდა რაშთან და უთხრა: — ახლა ქალის მოყვანასა მთხოვსო. — უჰ, კაცო, აკი გითხარი, ხელს ნუ ახლებ მაგ ბუმბულს-მეთქი. მაგრამ ახლა რაღა ეშველება, უნდა წავიდეთო. ადგნენ და წავიდნენ იმ ზღვის პირას ისევ. რაშმა უთხრა: — ჩვენ ისევ ამ კუნძულზე უნდა გადავხტეთ, ამაღამ აქ გა-ვათენებთ და იმ კუნძულის ბოლოს რომ სახლი დგას, იქ ცხოვრობს ის ქალი. მზე რომ ამოდის, სძინავს, ვინც წინიდან მივა, ჰხედავს, გინდა ეძინოს, გინდა ეღვიძოს. თორმეტი ნაწნავი თმა აქვს, ამოარ-

ჩიე შუა თმები, გადახტი, დაუჭირე მაგრა და დასწიე რაც ძალი და ღონე გაქვს. იწივლებს, იკივლებს, შემოგფიცავს. სანამ ის ფრინველი არ დაიფიცოს, რომელიც ჩვენ ხელმწიფეს მივუყვანეთ, არ გაუშვა.

მართლაც, ეს ბიჭი მივიდა დილით, ნახა, რომ ქალს პირი მზისკენ აქვს და სძინავს. გადახტა ბიჭი, დაუჭირა თმები. იწივლა, იკივლა, იფიცა, მაგრამ ამ ბიჭმა ხელი არ გაუშვა, სანამ ის ფრინველი არ დაიფიცა და უთხრა გამოგყვებიო. გაუშვა და უთხრა ქალმა: — მართალია, შენ სხვა გწვავს, მაგრამ შენს დამწველს დავწვავო. ადგა, შეისვა ეს ქალი რაშზე და ხელმწიფეს მიუყვანა. ხელმწიფის შვილს სადილი მიუტანეს. ხელმწიფემ ქალი თავის ოთახში შეიყვანა. ქალმა უთხრა: — მე შენი ცოლი მაშინ გავხდები, როცა იქ თორმეტი რაში რომ მყავს, მომიყვანო. ხელმწიფემ ბრძანა, ვინ მოიყვანოსო? — ისევ ეგ ბიჭიო,—უთხრა იმ ბებერმა. ხელმწიფემ უბრძანა ხელმწიფის შვილს მოერეკა ის რაშები. უთხრა: — მომიყვან იმ თორმეტ რაშს, თავისუფალი იქნები, თუ არა, ჩამოგახრჩობო. დაღონდა ხელმწიფის შვილი. მოვიდა რაშთან და უთხრა: — იმ ქალს თორმეტი რაში ჰყოლია ზღვაში და ხელმწიფეს უნდა მოვუყვანოთ.ი. — უჰ, ეგ კი ძნელი ამბავიაო!

— მოახსენე ხელმწიფეს: დაკლას თერთმეტი კამეჩი, გაატყავოს და მოგცეს თერთმეტი ტყავიო. მართლაც, ბრძანა ხელმწიფემ, დაატყავებინა თერთმეტი კამეჩი, მისცეს ტყავები. ამ რაშმა თერთმეტივე ჩაიცვა ზედ. მივიდა იმ ზღვის პირას და უთხრა ხელმწიფის შვილს: — მე ამ ზღვაში უნდა ჩავიდე და ძალიან ძნელია მათი ამორეკვაო. მე მათ შევებრძოლები, თე დავძლიე, ამოვრეკავ, თუ მოვკლეს, სისხლი ამოჩქეფს უცბად და მაშინ შენ იცი, მე მკვდარი ვიქნები; შენ თუნდა ხელმწიფესთან წადი, თუნდა შინ წადი, მე ვერაფერს გიშველიო.

გამოეშვიდობა რაში, ჩავიდა წყალში და ეს ბიჭი კი დარჩა ზღვის პირას. ჩავიდა რაში, დაერია იმ რაშებს, დიდი ბრძოლით შემოაძრეს ათი ტყავი, დაძალა კიდეც ეს თორმეტი რაში და გამოირეკა. რომ მოახლოვდნენ ნაპირზე, ამოჩქეფა ნაკბილარებიდან სისხლმა და ამ ბიჭმა თქვა: — ვაიმე, მოუკლავთ ჩემი რაშიო და გადავარდა ზღვაში. რაშმა პირი სტაცა და დაუძახა: — ნუ გეშინია, მომყავსო. მორეკეს რაშები. ხელმწიფემ რომ დაინახა, ხელმწიფის შვილს მიუდიოდა რაშები, ქალს მაშინვე სთხოვა სახლში შესვლა. ქალმა უთხრა: — მე შენი ცოლი არ გავხდები, მანამდის, სანამ ამ თორმეტ რაშს არ მომიწველიო და იმ რძეში თან უნდა იბანდეო. — ვინ მოსწველისო? —

ბრძანა ხელმწიფემ.—ისევ ეგ ბიჭიო, უთხრა ბ ე ბ ე რ მ ა. მოვიდა ბიჭი და უბრძანა ხელმწიფემ: — დაწველეო. მაშინ კი დაღონდა ბიჭი. აქამდე რაში მშველოდა, ახლა რაღა გავაკეთოო. მაგრამ ქალმა ჩუმად ბეჭედი გამოიძრო, მისცა ბიჭს და უთხრა: — ეს დაანახვე და მ ო ი წ ვ ე ლ ე ბ ი ა ნ ო.

მართლაც, ამ ბიჭმა დიდი საარაყე ქვაბი დაიდგა, დაანახა ბეჭედი და მოწველა რაშები. შედგეს ცეცხლზე ქვაბი, ადუღდა. იმ ბებერმა უთხრა ხელმწიფეს: — ჯერ ეს ბიჭი ჩასვი, მან იბანაოსო. უბრძანა ხელმწიფემ: — აბა ჩადი და იბანავე ჯერ შენო! აქ კი ეს ბიჭი ძალიან შეშინდა. იცოდა, ჩასულიყო, დაიწვებოდა. მაგრამ ქალმა ჩუმად ბეჭედი გამოიძრო და უთხრა: — ჯერ ეს ბეჭედი ჩააგდე და გაგრილდებაო. ჩახტა ის ბიჭი, ბანაობს და ხელმწიფე თავზე ადგას. — ჩქარა ამოდიო! ამოხტა ბიჭი, ახლა ჩახტა ხელმწიფე და ჩაიწვა.

ატყდა წიოკობა, ხელმწიფე დაიწვა. რაშმა დაუძახა: — ეგ ბ ე ბ ე რ ი გადმომიგდეო! გადაუგდო ბიჭმა ბ ე ბ ე რ ი და სულ კბილით დაგლიჯა. ქალმა უთხრა ხელმწიფის შვილს: — შენ ქმარი და მე ცოლიო. ეს სახელმწიფო შენი იქნებაო! ბიჭმა უთხრა: — არა, მე ძმა და შენ დაო. მე მამა ავად მყავს, ისეთი მიწა უნდა წავუღო, რომელზედაც მამაჩემს არ გაუელიაო. ქალმა უთხრა: — რა დროს ეგენია, მამაშენი გარდაიცვალა და დაასაფლავეს კიდევაცაო. სხვა რა გზა ჰქონდა ვაესა, გამართეს დიდი ქორწილი.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე — წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დამიძეხით, საიქიოს ცხონებითა.
ბლასა მელასა, ძილი გაამოთ ყველასა.

ბლეხი კაცი და ჩიტი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ისინი მეტად ღარიბად ცხოვრობდნენ. ერთხელ ცოლმა უთხრა: — წადი, კაცო, იქნება იშოვო რამეო; როდემდის უნდა ვიყოთ მშივრებიო. ადგა კაცი და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, იპოვა ერთი ხორბლის მარცვალი და წამოვიდა გახარებული შინ. დათესა და ამოვიდა ერთი თავთავი. მეორე წელიწადს ახლა ის ჩააგდო მიწაში და ისე გაამრავლა, რომ ერთ დღიურ ადგილში სულ დათესა.

დაეჩვივნენ ჩიტები, და სულ გამოკენკეს. ეს კაცი ადგება დილით, წავა, თავიდან მოუვლის, ბოლოში ჩამოფრინდებიან, ბოლოდან მოუვლის, თავში გაფრინდებიან. ბოლოს, როგორც იყო, ესროლა კომბალი და ერთ ჩიტს ფრთა მოსტეხა. ჩიტმა უთხრა: — ოღონდ გაჩიშვი და ბედსა გწევო: ჩიტმა გამოიძრო ერთი ბუმბული და დაუნიშნა ადგილი: — იქ მოდი, ჩემი სახელი ახსენე და მაშინვე იქ დაგიბადები, რასაც მთხოვ, შეგისრულებო.

რამდენიმე ხნის შემდეგ კაცი წავიდა დანიშნულ ადგილას. გზაში ერთი მუხის ქვეშ ერთ მეცხვარეს ცხვარი ჰყავდა. მივიდა იქ, დაისვენა. მეცხვარემ გამოჰკითხა: სად მიდიხარო? კაცმა ყველაფერი უამბო. ბოლოს მეცხვარემ უთხრა: რომ მიხვალ, რა უნდა სთხოვოო? გლეხმა უთხრა: რა ვიცი, რასაც მომცემს, იმას წამოვიღებო. მეცხვარემ უთხრა: შენ სთხოვე, ერთი ძველი მამაპაპისეული სუფრა რომ გაქვთ, ის მომეცი-თქო. ადგა გლეხი და წავიდა. მივიდა დანიშნულ ადგილზე. ამოიღო ბუმბული და ახსენა ჩიტის სახელი. ჩიტი მაშინვე იქ გამოცხადდა და უთხრა:— რა გაგჭირებიაო? გლეხმა უთხრა: — თქვენ მომეცით ერთი მამაპაპისეული სუფრა რომ გაქვთო. ჩიტმა გამოუტანა და წამოვიდა გლეხი უკან. ატრიალებს გლეხი ამ სუფრას და თან თავის თავს ემდურის: რომ გავიარე მეცხვარის ჭკუაზე, რად მინდა ეს ძველი სუფრაო.

მოვიდა იმ მუხასთან, მეცხვარე ისევ იქ იყო. უთხრა: — იცი, რა იცის ამ სუფრამ? გლეხმა უთხრა: — რა უნდა იცოდეს, მივიტან და მაგიდას გადავაფარებო. მაშინ მეცხვარემ გამოართვა ეს სუფრა და უთხრა:—აბა, ჩემო სუფრავ, რაც ჩვენ გვესიამოვნება, მოგვიტანეო, — და გაშალა სუფრა. რა გინდოდა, რომ იქ არა ყოფილიყო, ჩიტის რძეც კი მოიპოვებოდა. წამოვიდა გახარებული გლეხი. შინ რომ მოვიდა, გლეხმა უთხრა თავის ცოლს: — ჩემი ხელმწიფე უნდა გავაკვირვოო და დაპატიჟა თავისი ჯარით. მოვიდნენ დაპატიჟებული სტუმრები, მაგრამ ხედავენ, რომ გლეხს ცეცხლიც არ უნთია და უკვირთ, რაზე გვპატიჟებდაო. გლეხმა აიღო სუფრა და უთხრა: — აბა, ჩემო სუფრავ. რაც ჩემ ხელმწიფეს ესიამოვნება, ყველაფერი მოიტანეო. გლეხმა გაშალა სუფრა და რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ ყოფილიყო, ჩიტის რძეც მოიპოვებოდა.

წასვლის დროს ხელმწიფემ უთხრა: — ეს სუფრა მათხოვეო, სხვა სახელმწიფოს ხელმწიფეს დავპატიჟებო. გლეხმა ჯერ უარი უთხრა, მაგრამ როცა დაუჟინა, ხელმწიფეს ვეღარ გაუძალიანდა და ათხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმწიფემ სხვა ძველი სუფრა მოუტანა, გლეხი ხან უკუღმა გაშლის, ხან წაღმა, მაგრამ არაფერი არ

შოდის. გლეხი ჩავარდა ისევ დიდ გაჭირვებაში. ადგა და წავიდა ხელმეორედ სათხოვნელად, მაგრამ არ იცის კი რა სთხოვოს. იმ მუხასთან რომ მივიდა, მეცხვარე ისევ იქ იყო და უთხრა: რომ მიხვალ, ახლა რაღა უნდა სთხოვოო? — არ ვიციო. — შენ მიდი და სთხოვე, ძველი ხელსაფქვავი რომ გაქვთ, ის მომეცი-თქო.

გლეხი მივიდა, ახსენა ჩიტის სახელი. ჩიტი იმ წამში იქ დაიბადა. — რა გაგჭირვებიაო? გლეხმა სთხოვა ხელსაფქვავი. ჩიტმა გამოუტანა და გამოისტუმრა გლეხი. როცა მოვიდა მეცხვარესთან, მეცხვარემ უთხრა: გესმის, თუ არა, რა იცის ამ ხელსაფქვავმაო? გლეხმა უთხრა: — არ ვიციო. გამოართვა მეცხვარემ, წაღმა გადაატრიალა—ოქროს ფული გადმოცვივდა, უკუღმა გადაატრიალა — ვერცხლის ფულები. გახარებული გლეხი წამოვიდა შინ და ცხოვრობდა ტკბილად. ერთ დღეს გლეხი სხვაგან წავიდა და მის ცოლთან მივიდა მათივე მეზობელი, ბებერი დედაკაცი ხელსაფქვავის სათხოვნელად. დედაკაცი უარს ეუბნებოდა, ვერ გათხოვებ, ჩემი ქმარი გამიჯავრდებაო, მაგრამ ისე ჩამოეკიდა, რომ ათხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ხელსაფქვავი მიუტანა. ეს გლეხი ხან უკუღმა გადაატრიალებს, ხან წაღმა, მაგრამ ტყუილად, არაფერი აღარ გამოდის. გლეხი ჩავარდა ისევ დიდ გასაჭირში და წავიდა ჩიტთან სათხოვნელად. როდესაც მივიდა იმ მეცხვარესთან, მეცხვარემ უთხრა — შენ სთხოვე, მამაპაპისეული კომბალი რომ გაქვთ, ის მომეცით-თქო.

გლეხი მივიდა დანიშნულ ადგილას. ამოიღო ბუმბული, ახსენა ჩიტის სახელი, ჩიტიც მოფრინდა და ჰკითხა: — რა გაგჭირვებიაო? გლეხმა უთხრა: — მამაპაპისეული კომბალი რომ გაქვთ, ის მომეცი-თო. ჩიტმა მისცა და გახარებული გლეხი წამოვიდა უკან, მაგრამ არ იცის, რის გამოსადეგია. მივიდა მეცხვარესთან, მეცხვარემ უთხრა:— იცი თუ არა, ამ კომბალმა რა იცისო? გლეხმა უთხრა: არ ვიციო. — აბა, მაშ, ხელში მომეციო. გლეხმა კომბალი მიაწოდა მეცხვარეს. — აბა, ჩემო კომბალო, დატრიალდი! — უთხრა მეცხვარემ კომბალს, და გაქანებული კომბალი გლეხს დაეჯახა კისერში. კისრიდან გაქანდა და დაეჯახა კოჭებში. კარგა მიბეგვა, მაშინ მეცხვარემ უთხრა: — კარგი, კომბალავ, ეყოფაო! და დადგა. — ა, ეს იცის კომბალამო და ვისიც ჯავრი გჭირს, წადი და იმას გაუმასპინძლდიო.

გახარებული გლეხი წამოვიდა შინ და მივიდა იმ ბებერ დედაკაცთან, რომელმაც ხელსაფქვავი შეუცვალა, დაუძახა და უთხრა: — გამომიტანე ჩემი ხელსაფქვავიო! დედაბერი დიდ უარზე შედგა: — არა მაქვს მე შენი ხელსაფქვავიო. გლეხი გაბრაზდა და უთხრა კომბალს: — აბა, ჩემო კომბალავ, დატრიალდიო! კომბალი გაე-

ქანა და ეცა ბ ე ბ ე რ ს, ხან თავში, ხან ფეხებში. კარგად რომ მიბეგვა, ბ ე ბ ე რ ი თვითონვე ეხვეწებოდა, გამოგიტანო, სანამ არ გამოიტანა და ხელში არ ჩააბარა, მანამ კომბალა ასე განაგრძობდა ცემას. გლეხი ახლა სუფრის გამოსართმევად წავიდა ხელმწიფესთან. მივიდა და ხელმწიფეს უთხრა: — ბატონო ხელმწიფევ, ან ჩემი სუფრა ჭამეცი, ან კიდევ უნდა მეომოო. ხელმწიფეს სიცილადაც არ ეყო და ასე ამბობდა: — ეს ერთი კაცი ერთი კომბლით რას მიზამს ან მე, ან ამოდენა შეიარაღებულ ჯარსაო. — და გამოუცხადა ომი.

გლეხმა კომბალი მოიმარჯვა და უთხრა: — აბა, კომბალო, კარგად მოემზადე და ჯერ ხელმწიფეს და მერე მის ჯარსაო! კომბალი გაქანდა, ხელმწიფეს შიგ შუბლში დაეჯახა და გადააგდო, გლეხი კი აივნის ქვეშ შეძვრა და დაიმალა. ხელმწიფის წაქცევაზე ატყდა თოფების სროლა, მაგრამ კომბალს ვერც ერთი ვერ არტყამს. ისე ამოწყვიტა მთელი ჯარი, რომ ერთი აღარავინ დაურჩენია. მაგრამ კომბალი მაინც არ დგება და ხან ერთს დაეჯახება გატეხილ თავში, ხან მეორეს. ბოლოს როცა გაიგო გლეხმა, რომ საშიში აღარა იყო რა, გამოვიდა გარეთ და უთხრა კომბალს: — კარგი, დადექიო! კომბალი დადგა და გამოცხადდა პატრონთან. გლეხი უშიშრად შეევიდა, გამოიტანა სუფრა და წავიდა გულდამშვიდებული შინისაკენ. ამის შემდეგ გლეხი ცხოვრობდა უდარდელად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა

მონადირე და მისი რაში

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თხუთმეტი წლის ბიჭი. ერთხელ ეს ბიჭი ადგა, იარა და ცხრა მთა გადაიარა, გადავიდა სხვა სახელმწიფოში. ჩამოიარა ერთ სოფელში. მივიდა ვიღაც დედაბერთან და უთხრა: — შვილად ამიყვანე და შეგინახავო. დედაბერს ძალიან გაუხარდა. — მობრძანდი, შვილო, უშვილო ვარ და აგიყვანო. ამ ქვეყნის ხელმწიფეს ჰყავდა მონადირეები. წავიდოდნენ, ინადირებდნენ და ხელმწიფეც საჩუქარს აძლევდა. ერთხელ ამ ბიჭმა თქვა: — მოდი, დედი, მეც წავალ სანადიროდ, არ კი ვიცი კარგი ნადირობა, მაგრამ მაინც წავალო. დედაბერმა უთხრა: — წადი, შვილო, მხოლოდ სააბჯროს რომ გააღებენ, სულ პრიალა იარაღი აწყვია, შენ

იმას ყურს ნუ ათხოვებ, ცალკე კუთხეში დევს ერთი ქართული თოფი და აიღე, ის გერჩივნოსო.

მართლაც, წავიდა ბიჭი. ხელმწიფემ გაუღო საიარაღოს კარები. იქ სულ პრიალა იარაღი ეწყო. ბიჭმა ამ იარაღს ყურადღება არ მიაქცია, აიღო ერთი ჩახმახიანი თოფი, ერთი ხმალი და გამოვიდა გარეთ. მონადირეები როცა წავიდნენ, წაჰყვა თან ეს ბიჭიც. საღამოს შეჭუჩდნენ ერთად. თვითეულ მონადირეს რაღაც მოეკლა, მაგრამ ამ ბიჭს კი ვერაფერი ვერ მოეკლა და დაღონებული მოდიოდა. ზოგმა მონადირემ მოკლა ვეფხვი, ზოგმა — ლომი, ზოგმა — შველი; ზოგმა რა მოკლა და ზოგმა რა. ეს ბიჭი წამოწვა წყლის პირას, დალია წყალი და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ ხეზე ზის ერთი ფრინველი. ამ ფრინველმა ბიჭს გადმოსძახა: მომკლავ, ინანებ, არ მომკლავ, ინანებო! ამ ბიჭს ისეთი თოფი ჰქონდა, რომ ლაპარაკი იცოდა. თოფმა უთხრა: ესროლეო!

ესროლა ბიჭმა თოფი, ფრინველი აფრინდა და გამოუვარდა ბუმბული. მივიდა ბიჭი, აიღო ბუმბული, ჩაიდო ჯიბეში და წამოვიდა. გზაში მას სხვა მონადირეები შეხვდნენ, ისინი დასცინოდნენ, ვერაფერი მოჰკალიო! როდესაც მოვიდა ხელმწიფესთან, ყველა მონადირემ ჩააბარა თავიანთი ნანადირევი. მეფემ ბიჭს უთხრა: — შენ რაღა მოკალიო? ბიჭმა თქვა: მე არაფერი მომიკლავს, ერთ ფრინველს ვესროლე და ბუმბული გავარდაო. ხელმწიფემ უბრძანა ამ ბიჭს, მოეტანა ის ბუმბული. ბიჭმა მიართვა. ეს ბუმბული ისეთი რამე გამოდგა, რომ მკვდარ კაცს აცოცხლებდა. ხელმწიფემ დაასაჩუქრა, ძალიან ბევრი ოქრო მისცა.

მეორე დღეს ისევ წავიდნენ სანადიროდ. ყველამ ინადირა, ამ ბიჭმა კი ვერა მოკლა რა. როცა წამოვიდნენ, ზოგ მონადირეს ვერც კი მოჰქონდა, იმდენი ენადირა. ეს ბიჭი მივიდა წყაროსთან, დაისვენა, დალია წყალი. გაიხედა გვერდზე და დაინახა ერთ ხეზე იჯდა ფრინველი. ამ ფრინველმა გადმოსძახა: — მომკლავ, ინანებ, არ მომკლავ, ინანებო. თოფმა უთხრა: — ესროლეო. გავარდა თოფი. ფრინველი აფრინდა და მას გავარდა ერთი კვერცხი. აიღო ის კვერცხი და ჩაიდო ჯიბეში. ხელმწიფესთან რომ მოვიდნენ, მონადირეები ცულუხვად დაასაჩუქრეს. ამ ბიჭს უთხრა: — შენ რაღა ინადირეო? მე ერთ ფრინველს ვესროლე თოფი და კვერცხი გავარდაო. ხელმწიფემ გამოართვა სიხარულით კვერცხი და შეინახა. ამ ბიჭს ძალიან დიდი საჩუქარი დაულოცა. გაუხარდა ბიჭსაც და წამოვიდა შინ. დედაბერმა რომ გაიგო, საჩუქარი მისცესო, ძალიან გაუხარდა. ამ მონადირის ამხანაგებს შურდათ და გადაწყვიტეს, ეს ბიჭი დაეღუპათ, მაგრამ თვითონ ვერ მოკლავდნენ, ეშინოდათ.

მონადირეებმა გადაწყვიტეს ხელმწიფისათვის ეთქვათ, მავან მინდორზე რომ რაში ჩამოდის, იმ რაშთან გაეგზავნა ის ბიჭი. მართლაც მივიდნენ მონადირეები ხელმწიფესთან და მოახსენეს: ყველაფრით აყვავებული ხარ და ციდან რომ რაში ჩამოდის, ისიც რომ აქა გყავდეს, მაშინ შენ ხელმწიფე ვეღარ შეგედრებოდაო. ხელმწიფემ ჰკითხა: — ვინ მოიყვანსო? — ჩვენი მონადირე მოიყვანსო. ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და უთხრა: — მავანი რაში რომ ჩამოდის მავან მინდორში წყლის დასალევად, ის უნდა მოიყვანოო. დაღონდა ბიჭი და გამობრუნდა უკან. მივიდა და თავის თოფს მოახსენა:—ესე ესე მითხრა ხელმწიფემაო. თოფმა უთხრა:—შენ ნუ გეშინია, მოატანინე ცხრა კილო მარილი, ცხრაფუთიანი ურო, ცხრა ლიტრი ლაგამი და ოცდაათმეტრიანი ლურსმანი და ცხრა კამეჩის ტყავი. ესენი შეგისრულოს და ნუ გეშინიაო. ბიჭი წავიდა და მოახსენა ხელმწიფეს, ესენი მჭირდებაო. ხელმწიფემ აუსრულა თხოვნა. შეჯდა ცხენზე, გადაიკიდა თავისი თოფი და წავიდა იმ მინდვრისაკენ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ წყაროსთან, სადაც რაში ჩამოვიდოდა. ჩამოხტა ბიჭი ცხენიდან. ეს წყარო ისეთი იყო, რომ ამოდიოდა მაღლა და ისევ იმ ადგილას ჩადიოდა. ბიჭმა გადააფარა ზედ ცხრა კამეჩის ტყავი, დაურჭო ოცდაათმეტრიანი ლურსმანი, დააყარა ცხრა კამეჩის ტყავზე ცხრა კილო მარილი და მარილს ცოტა წყალი მოაწკაპწკაპა. თვითონ წავიდა და მოშორებით ბუჩქს ამოეფარა. შუადღისას მოდის მაღლიდან რაში როგორც შურდული, ჩამოფრინდა, დაეშვა წყაროს ნაპირას. რომ დაინახა, წყაროს ზემოდან ტყავი ჰქონდა გადაფარებული, ტორის ცემა დაუწყო, მაგრამ წყალი მაინც ვერ გამოაჩინა. მერე გაბრაზებულმა რაშმა მარილს დაუწყო წკნატაწკნუტი. მარილმა წყალი უფრო ძალიან მოაწყურა. მაშინ რაშმა დაიძახა: — ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ოღონდ მოდი წყალი დამალევინე და სადაც მეტყვი, იქ წამოგყვებიო.

გამოვიდა ბიჭი და უთხრა: — ლაგამი ამომადებინეო. ამოსდო ბიჭმა ლაგამი. ახადა ცხრა კამეჩის ტყავი და რაშს წყალი დაალევინა. დალია თუ არა წყალი, რაში აფრინდა მაღლა და ბიჭი ზევით მოგქცა. აფრინდა რაში და უნდა ბიჭი ცას მიახალოს, მაგრამ ბიჭმა დაჰკრა ცხრაფუთიანი ურო და დაბლა ჩამოაგდო. ახლა რაში წამოვიდა დაბლა იმ განზრახვით, რომ დედამიწას უნდა ააჭყლიტოს, მაგრამ ბიჭმა ცხრაფუთიანი ურო ამოარტყა ქვეშიდან და ზევით ააგდო. რაში ახლა გვერდზე წავიდა, რათა კლდისათვის მიეჯახებინა, მაგრამ ბიჭმა ურო გვერდიდან მოარტყა და გვერდზე გადმოაგდო.

რაშმა უთხრა ბიჭს: — რაკი შენ დამიმორჩილე, მე ამას იქით შენი ვიქნებიო. მე ვიცი, შენ უნდა წამიყვანო ხელმწიფესთან. მე მყავს ცხრა შვილი, როგორც ანგელოზები. ისინი ხელმწიფეს მიეცი. მე შენი ვიქნები. როცა გეტყვის, რით დაგასაჩუქროო, შენ უთხარი, ეს რაში მომეცი-თქო. ესე უთხარი და მოგცემს. — კარგიო, — უთხრა ბიჭმა. წამოვიდნენ სახლში.

მართლაც, ამ რაშმა მოიხმო შვილები და უთხრა, რომ თქვენ ამას იქით ხელმწიფის იქნებითო. წამოვიდნენ. ხელმწიფეს ბიჭმა მიუყვანა ცხრა რაშის შვილი და მეათე დედა რაშიც. ხელმწიფემ უთხრა:—რით დაგაჯილდოვოო. — არაფრით, თუ მომცემ, აი, ეს რაში მომეცი, ჩემთვის მოვაგვარებ რამესო. ხელმწიფე დათანხმდა, — კარგიო, წაიყვანა ბიჭმა რაში სახლში. ახლა ამ მონადირეებმა უფრო ძალიან შეიჯავრეს ეს ბიჭი. მეორე დღეს ისევ მივიდნენ ხელმწიფესთან და მოახსენეს: ახლა ყველაფრით აყვავებული ხარ, მაგრამ მავან ალაგას მზეთუნახავი ქალია, ის რომ შენ გყავდეს, ხელმწიფე არ შეგედრებოდაო. ხელმწიფემ თქვა: — ვინ მოიყვანს იმასო? — ჩვენი მონადირე მოიყვანსო. დაიბარა ხელმწიფემ ეს ბიჭი და დაავალა ქალის მოყვანა. დაღონებული ბიჭი დაბრუნდა სახლში და მოახსენა თავის რაშს: — ესე ესე მითხრა ხელმწიფემ და რა ვუყოთო? — შენ ნუ გეშინიაო. მიდი და გააკეთებინე ისეთი გემი, რომ იმისთანა ლამაზი ქვეყანაზე არ იყოსო.

წავიდა ბიჭი და მოახსენა ხელმწიფეს: — ააგე ისეთი გემი, კაცი რომ შევიდეს, გარეთ გამოსვლა აღარ მოუნდესო. მართლაც, ააგო ხელმწიფემ გემი და წავიდნენ. ამ ბიჭმა თან წაიყვანა თავისი რაში. იმ კუნძულამდის წელიწადნახევრის სავალი იყო. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ კუნძულამდის. გემი ხმელეთზე ამოიტანეს და თვენახევარი დატოვეს იქ. ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ზანგები. იქ არ მოიპოვებოდა ლამაზი მცენარეები. ხალხი გემში შედიოდა და ნახულობდა მშვენიერ მცენარეებს.

ერთხელ მზეთუნახავმა ქალმა თქვა: — წამოდი, დედი, ჩვენც ვინახულოთო. წამოვიდა დედა-შვილი გემის სანახავად. მოვიდნენ გემთან. ჯერ თვითონ შევიდა. შესვლის უმალვე ჩაკეტა ბიჭმა კარები, მისცა ნიშანი. დაიძრა გემი. მთელი ზანგები გამოედევნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. მათ არ ჰქონდათ გემი და არც ნავი. გზაში ბიჭმა ქალს უთხრა: ჩემთვის კი არ მიმყევხარ, არამედ ხელმწიფისთვისო. ქალმა უთხრა: შენ წამომიყვანე და მე შენს იქით გზა არ შაქვსო, ბიჭმა უთხრა: — მე იმისი სიტყვა შევასრულე და ახლა ჩემი იქნები თუ მისი, არ ვიციო.

სამი წელი შესრულდა, ხელმწიფე მოლოდინში იყო. მთელი ქვეყანა ზღვის პირას გამოსულიყო და გასცქეროდა. შეამჩნიეს, რომ შორს გამოჩნდა გემი. სიხარულით დაიძახეს: — მოდის გემი, მოდი-ს! ხელმწიფესაც ძალიან გაუხარდა, გემი თანდათან მოუახლოვდა. ამ ბიჭმა გადმოიყვანა მზეთუნახავი ქალი და ჩააბარა ხელმწიფეს. ხელმწიფეს გაუხარდა. იმ დღისითვე ხელმწიფემ გამართა ქორწილი. მოიწვია სოფლის ხალხი. ამ ბიჭმა კი წაიყვანა რაში და სარდაფში დააბა. თვითონ ტახტზე წამოწვა; დაისვენა. სასახლეში გაჭურებული ქორწილი იყო, სადღეგრძელო სადღეგრძელოზე ისმებოდა. ადგა მზეთუნახავი ქალი და თქვა: — ერთი სადღეგრძელოს უფლება მომეცით. ხელმწიფემ უთხრა: — ერთი კი არა, ათი თქვით. ქალმა დაიწყო: — მე ვინც მომიყვანა, რატომ ის აქ არ არისო. ხელმწიფემ მიიხედ-მოიხედა და, მართლაც ის ბიჭი იქ არ იყო! გააგზავნეს კაცი და საჩქაროდ მოიყვანეს ბიჭი. შემოვიდა და დაუთმეს ალაგი. ქალი ისევ სადღეგრძელოს ამბობდა, ბიჭი რომ დაინახა, თქვა:— ხალხნო, თქვენა სთქვით, ვის ვეკუთვნი მე, ხელმწიფეს თუ ამ ბიჭსაო?

ხალხმა ხმაც არ ამოიღო. ხელმწიფემ თქვა: — მე ერთ დავალებას მივცემ მაგ ბიჭს და თუ შემისრულებს, მისი იყავიო. მე ავადუღებ ქვაბს, გავდებ ფიცარსა და ზედ ითამაშოსო. ხელმწიფეს ძალიან დიდი ქვაბი ჰქონდა. აადუღა, ბიჭს უბრძანა: — ითამაშეო. ეს ბიჭი ავიდა ზედ და დაიწყო თამაში. ხელმწიფემ წაკრა ფიცარს ხელი და ეს ბიჭი შიგ ჩააგდო. ბიჭი ჩაიხარშა და ქვაბში ცარიელი ძვლები დარჩა. მეფემ უბრძანა ვეზირებს, გადაღვარეთ წყალიო. ვეზირებმა გადაღვარეს წყალი. ძვლებსაც კი არ აღირსეს დამარხვა. განაგრძეს ქორწილი. ამ ბიჭს რაში ჰყავდა გულთმისანი. გაიგო თუ არა რაშმა, პატრონი მომიკლესო, იქაურობას ანგრევდა ფეხით. მოხუც დედაკაცს ჩასძინებოდა, რაშის ხმაურზე გამოეღვიძა. ჩავიდა ძირს, ჰკითხა: — რად ანგრევო? რაშმა უთხრა: — შენი შვილი მკვდარია, წადი, აიღე ტომარა და მიდი ხელმწიფის სახლთან. შენი შვილის ძვლები ბაღჩაში გადაყარეს. თუ გითხრან რას აკეთებო, უთხარი, ძვლები უნდა მოვკრიფო, ძაღლი და ღორი გააფუჭებს-თქო.

წავიდა მოხუცი დედაკაცი, წაიღო ტომარა და დაუწყო ძვლებს კრეფა. მოკრიფა სულ მთელი ძვლები და წამოიღო შინ. მიუტანა რაშს. რაშმა ეს ძვლები ააწყო კარგად, ბიჭის ნაშოვნი ბუმბული მიუს-მოუსვა და ბიჭიც წამოხტა ფეხზე. რაშმა უთხრა: — წადი ახლა და ხელმწიფეს უთხარი, რომ, მე ხომ ვითამაშე ადუღებულ ქვაბ-

ზე, მიბრძანდი, ახლა შენ ითამაშე-თქო. როცა ხელმწიფე ავა სათამაშოდ, მან თუ უჩუმრად მკრა ხელი, შენ კიდევ თვალხმიერად ჰკარი ხელი და შიგ ჩააგდეო.

მართლაც, ბიჭი მივიდა ხელმწიფის სასახლეში, შევიდა იქ, სადაც ქორწილი იყო. ხალხმა რომ დაინახა, სიცილით დაიხოცნენ, ამ წუთში ქვაბში ჩახარშა და ახლა საიდან მოგვეჩვენაო. ბიჭმა უთხრა ხელმწიფეს: — მე ხომ ვითამაშე ადუღებულ ქვაბზე, ახლა შენ ითამაშეო. ადუღეს ქვაბი. მივიდა ხელმწიფე, ავიდა ზედ და დაიწყო თამაში. მივიდა ეს ბიჭი, ჰკრა ხელი ფიცარს და ხელმწიფე შიგ ჩაიხარშა. მერე ბიჭმა უბრძანა, ძვლები დამარხეთო. ვეზირებმა დამარხეს ხელმწიფის ძვლები და განაგრძეს ქორწილი.

ამ დროს მოვიდა რაში, ჩაკეტა ყველა კარი. ერთ კარებში თვითონ დადგა და ხალხს უთხრა: გამოდითო. ეს რაში თითოობით უშვებს ყველას: უბრალო ხალხი სულ ყველა გაუშვა, მხოლოდ მონადირეები დატოვა შიგ. რაში მივიდა მონადირეებთან და უთხრა: თქვენ რას ერჩოდით ამ მონადირეს რომ სასიკვდილოდ აგზავნინებდით ხოლმეო. რაშმა მონადირეები ამოხოცა. მერე ეს ბიჭი დადგა ხელმწიფედ და ცხოვრობდნენ კარგად.

ლილოველი მონადირე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი სახელგანთქმული მონადირე. იგი არასოდეს ნადირობიდან ხელცარიელი არ დაბრუნებულა. ერთხელ მონადირე დილაადრიან გაუდგა გზას. იხეტიალა მთელი დღე და არ იქნა, ვერაფერი ნახა. იარა, იარა და მიადგა ტყეში ერთ უზარმაზარ ეკლესიას. შემოუარა გარშემო, მაგრამ შესავალი ვერ უპოვა. გამობრუნდა, იქვე შორიახლოს ჩამოჯდა და დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ დღეს მთელი დღე ტყუილად ეკარგებოდა და ვერაფერი ინადირა. ამ ფიქრში იყო გართული, როცა უეცრად გაიხსნა ეკლესიის კედელი და გამოხტა ერთი ყელმოღერებული შველი და პირდაპირ ამ მონადირეს წინ დაუდგა. მონადირემ ესროლა ისარი და მოკლა. დატრიალდა გახარებული მონადირე, რომ ამ დღეს უკმად არ ჩაუარა. დაანთო ცეცხლი, დათალა შამფურები, წამოაგო მწვადები და ცეცხლზე ააშიშხინა. როცა მწვადები შეიწვა, მონადი-

რე მივიდა თავის გუდასთან, რომელიც იქვე ახლოს იყო ხეზე ჩამოკიდებული, და პური ამოიღო.

მოტრიალდა თუ არა, გაოცებული დარჩა: ამ შვლის მთელი მწვადები ისევ შეერთდა და გადაიქცა შვლად. შველმა ერთი მოჰხედა მონადირეს და უცებ ტყეში გაუჩინარდა. „ვაჰ, კაცო, ეს რა საკვირველი რამე მოხდა!“ — წამოიყვირა მონადირემ. ამ დროს ეკლესიის კედელი გაიხსნა და მოესმა ხმა: — საკვირველი შენ რა ნახე, საკვირველი ლილოველმა მონადირემ ნახაო! — დაიწყო მონადირემ ხმის პატრონის ძებნა, მაგრამ ვერავინ იპოვა. წამოვიდა მონადირე სახლში გაოცებული. მოვიდა და თავის დედას უთხრა: — გამომიცხვე საგზალი, ერთი კვირით მივდივარ მთაში ირმებზე სანადიროდო. დედამ გაუმზადა საგზალი და მონადირეც წავიდა. წავიდა ირმებზე სანადიროდ კი არა, ლილოველი მონადირის სანახავად, რათა ეკითხა, თუ ასეთი საკვირველი რა ნახა.

ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ ციხე-კოშკს, საიდანაც გამოდიოდა მხიარულების ხმა. მონადირე მივიდა და იკითხა: — ლილოველი მონადირე აქ ხომ არა ცხოვრობსო? — დიახ, აქა ცხოვრობსო, — უთხრეს და შეიყვანეს დარბაზში. ამ დარბაზში მონადირეს გახურებული ქეიფი დახვდა. ქეიფობდა ლილოველი მონადირე. ცალკე გაიხმო ლილოველი მონადირე. მანაც არ დაიზარა და ეახლა მონადირეს. მონადირემ უამბო, რაც თავზე გადახდა და ჰკითხა ამაზე საკვირველი შენ რა ნახეო. მასპინძელმა უთხრა: — აბა, ახლა დრო არა მაქვს, ქეიფია და მაგის მოყოლისათვის არა მცალიაო. თუ მოიცდი ერთ კვირას, ამ ხალხს გავისტუმრებ და აუცილებლად მოგიყვებიო.

მონადირეს ისე უნდოდა ამბის გაგება, ერთი კვირა კი არა, ერთი წელი რომ ეთქვა, მაინც დარჩებოდა. ამ ერთ კვირას ძალიან მაგრად იქეიფა და როდესაც გაისტუმრა ლილოველმა ყველა სტუმარი, უთხრა: — აბა, ძმობილო, ახლა მოდი, მოგიყვე ჩემი ამბავიო, და დაიწყო:

— მე ვცხოვრობდი ერთ სოფელში და საკმაოდ გამოჩენილ კაცად ვითვლებოდი. ლამაზი ცოლი მყავდა და ბედნიერიც ვიყავი. ერთხელ, როდესაც მოვედი სახლში, ჩემს ცოლს რაღაც მრუშობის ნიშნები შევამჩნიე. თურმე ჩემი ცოლი მღალატობდა და მე კი ეს არ ვიცოდი. მინდოდა სიმართლე გამეგო და ასე მოვიქეცი: ჩემს ცოლს ვუთხარი, გამიმზადე ერთი კვირის საგზალი, მივდივარ, ერთ კვირამდე სახლში ვეღარ მოვალ-მეთქი. ჩემმა ცოლმაც სიხარულით გამიმზადა საგზალი და წავედი, მაგრამ სად წამესვლება, გავიარე

ცოტაოდენი გზა და იქავე ჩავჯექი, დაღამდა თუ არა, მოვბრუნდი, მივიპარე ჩემი სახლის ფანჯარასთან და შევიხედე სახლში. შევიხედე და რა დავინახე: ჩემი ცოლი ვიღაცას გადახვევია და გორაობენ. ვერ მოვითმინე და შევვარდი სახლში. შევვარდი თუ არა, ჩემი ცოლი იმ წუთში წამოხტა, აიღო ჩემი მათრახი, რომელიც კუთხეში ეგდო და გადამიჭირა. თან მითხრა: შენამც ქცეულხარ ძაღლადო. მეც ვიქეცი ძაღლად და დავიწყე ძაღლური ცხოვრება. ასე ვცხოვრობდი ჩემს სახლში ძაღლურად, ოღონდ ადამიანის გრძნობები მქონდა. მაჭმევდნენ ყოველდღე ნაყარ კუტებს და მეც ვეგდე ჩემთვის. ბოლო დროს საჭმელიც შემიწყვიტეს.

ერთხელ გადალასლასებული მივსუნსულებდი ბაზარში. ერთმა ყასაბმა ერთი ნახევარი დამპალი და ნახევარი კარგი ღვიძლის ნაჭერი გადმომიგდო: მე ავიღე ეს ნაჭერი, გამოვარჩიე კბილებით კარგი ნაწილი და მივიტანე იქვე დანთებულ ცეცხლთან, რომელზედაც ხალხი მწვადებს აშიშხინებდა. დავდე ჩემი ნაჭერი ცეცხლზე და დავუწყე შეწვა. ყასაბმა რომ დამინახა, გადაირია, იმ წუთში მოვიდა და წამიყვანა თავისთან. მეც დავიწყე ერთგული სამსახური და ბევრი საგმირო საქმე ჩავიდინე. თურმე ჩემმა გაკეთებულმა საქმემ მთელს ხალხში სახელი გამითქვა, ყველამ დაიწყო ჩემი ნახვა და ქება.

ერთხელ მოვიდა ერთი მდიდარი ვაჭარი და ჩემ პატრონს მოუყვა: როგორც კი ბავშვი დაებადებოდა მის ცოლს, იმ წუთშივე ეკარგებოდათ, თუნდაც დაბადებისთანავე ხელი მოეკიდათ და ათი მცველი დაეყენებინათ. ვაჭარმა სთხოვა ჩემს პატრონს: მათხოვე შენი ძაღლი და რაც გინდა მთხოვეო. ჩემმა პატრონმა მითხრა მე, გაჰყვებიო და მეც გავყევი. იმ ღამეს, როცა ცოლი ლოგინზე უნდა დაწოლილიყო, მე ძალიან ვფხიზლობდი. ეყოლა თუ არა ბავშვი, გავიხედე და რას ვხედავ: ერთ კუზიან დედაბერს აუყვანია ბავშვი და მიჰყავს ისე, რომ ვერავინ ვერაფერს იგებს. გავექანე იმ წუთში, ვეცი, წავაქციე და დახრჩობას ვუპირებდი, მაგრამ დედაბერმა ჩუმად ჩამჩურჩულა: გამიშვი, ლილოველო მონადირევ, და ბედსა გწევო. ეე გავუშვი, ოღონდ ბავშვი კი არ გამიტანებია. გათენდა მეორე დღე და ბავშვი სახლშია. გახარებულმა ვაჭარმა აიღო ერთი ხურჯინი ოქრო, გადამკიდა ზურგზე და მითხრა: წადიო. მეც წამოვედი, მაგრამ ყასბის მაგიერ ჩემს სახლში მივედი. ვიფიქრე, იქნებ ამდენი ოქრო რომ მივუტანო ჩემს ცოლს, გაუხარდეს და ისევ კაცად მაქციოს-მეთქი. მივიტანე ეს ოქრო სახლში. ჩემმა ცოლმა რომ დამინახა, გაეცინა და თქვა: არ უყურებ ამ ჩვენს ძაღლსა რამოდენა ოქრო მოუტანიაო? მომხსნა ეს ოქრო და მითხრა, დაწექი აქ სახლის კარებში, ამის შემ-

დეგ კარგად გკვებავთო. ახლაც გამიცრუვდა იმედები, რაღას ვიზამ-დი, დავწექი სახლის კარებში და დავიწყე ისევ ტანჯული ცხოვრება.

ერთხელ მწყემსებს ცხვარი ბარიდან მთაში მიუდიოდათ. ერთი-კარგი ყმაწვილი მწყემსი მომეწონა; წავედი და ჩოხის კალთაზე და-ვუწყე ლოკვა. მასაც მოვეწონე, გადამისვა თავზე ხელი, მომეფერა. და მეც გავყევი. წავედით მთაში. დაღამდა, დაკლეს ცხვარი და თა-ვიანთ ძაღლებს გადაუგდეს ჯიგარი, მე ნაწლავები და უვარგისი ნაჭ-რები გადმომიყარეს. გავასუფთავე, მივიტანე ცეცხლთან და დავიწყე შეწვა. მწყემსებმა რომ ეს დაინახეს, განცვიფრდნენ და გაშტერებუ-ლებმა დამიწყეს ყურება. როცა შეიწვა, მივედი მწყემსებთან, ავი-ღე მიწა თათებით და თითქოს მწვადს მარილს ვაყრიდი, ისე დავიწყე მიწის ფრქვევა და თან მარილისკენ თათს ვიშვერდი. მიხვდნენ, რა-შიც იყო საქმე და პირველად რომელ მწყემსთანაც მივედი, მან გად-მომიდგა მარილი. ავიღე, დავაყარე შემწვარ კუჭმაკს და ვჭამე. იმ ღამეს მოვიდა კოკისპირული წვიმა და მგლები ცხვრისკენ მოი-წევდნენ. მათი ძაღლები მკვდრებივით ეყარნენ ჯიგრისაგან დამძღრე-ბი მე კი მთელი ღამე ვაჟკაცურად ვუმკლავდებოდი.

ერთ ადგილას ფარეხი გარღვეული იყო. მივედი იმ ადგილას და რასა ვხედავ, მგლები დასევიან ცხვრებს და აფუჭებენ. დავიწყე ომი, ხან ერთ მგელს და ხან მეორეს ვეცემი და სულ ყირაზე გადამყავს. ისე რომ, იმ ღამეს ცხვრებიც გადავარჩინე და ხუთი მგელიც და-გახრჩვე. მეორე დღეს მოვავლე ჩემს ნაცნობ მწყემს პირი ჩოხაზე და წავიყვანე იმ ადგილას, სადაც ხუთი დამხრჩვალი მგელი ეგდო. მწყემსმა რომ დაინახა, გაუხარდა, დაუძახა თავის ამხანაგებს და უჩვენა დამხრჩვალი მგლები. იმ დღიდან ჩემთვის სულ საკუთარი ცხვარი იკვლებოდა.

ერთხელ ნისლიანი დღე იყო. ცხვარი ძალიან დაიფანტა. მწყემ-სებმა დაიწყეს სირბილი აქეთ-იქით და ცხვრის დაქუჩება. მეც ვტრიალებდი და ვაქუჩებდი ცხვარს. ცხვარი ისე შორს გაფანტუ-ლიყო, რომ, როგორც მოვაქუჩე და მივიყვანე, მწყემსები იქ აღარ დამხვდნენ. მეც აღარ დავაყოვნე, ვიფიქრე, იქნებ ეს ცხვრები რომ მივუყვანო ჩემს ცოლს, ამან მაინც მოულბოს გული და დამიბრუნოს ადამიანობა-მეთქი. და აღარც დავაყოვნე, მოვუსვი და მთელი ეს ცხვრები მივიყვანე სახლში. ჩემმა ცოლმა რომ დაინახა ამოდენა ცხვარი, გაუხარდა, შევიდა, გამოიტანა მათრახი, მე მეგონა ახლა კი დამიბრუნდა ადამიანობა-მეთქი, მაგრამ მოტყუვდი. გადამკრა მათ-რახი და მითხრა: შენამც ეცეულხარ მწყერადაო, ქორ-მიმინოს შე-საჭმელადაო! ვიქეცი მწყრად და გავფრინდი. კალოობაა, ხალხს

ძნები მოაქვს კალოზე. მეც გზის პირზე ურმებიდან ჩამოყრილი თავ-თავებით ვიკვებები. უცებ წამომიქროლა ალალმა, ავფრინდი შეშინებული და ერთ ლამაზ ყმაწვილს შიგ უბეში ჩავუვარდი. ამ ბიჭმა ნიმიყვანა სახლში და თავის ბებიას დაუძახა: ბებია, ასე, ასე იყო და მოდი, ეს მწყერი შემიწვი, სანამ მე ურემს დავცლიო. ამიყვანა თუ არა ხელში ამ დედაბერმა, იმ წუთში მითხრა: აჰა, ლილოველო მონადირევ, მოხვედი თუ არა ჩემთანაო. შევხედე და ვიცანი ეს ის დედაბერი იყო, რომელსაც მე ვაჭრის შვილი არ გავატანე. ადგა და ამ მოხუცმა დაკლა ერთი ჩემოდენა ვარია, მე კი ჯამის ქვეშ დამმალა. ამ დაკლული ვარიით გაისტუმრა ის ბიჭი, მე კი ამიყვანა ხელში და მითხრა: გახსოვს, მე რომ გითხარი, ბედსა გწევო. ახლა უნდა გწირ ბედსაო.

დამარიგა ასეთნაირად: წადი, გაფრინდი შენს სახლში, კარებიდან ნუ შეხვალ, ფანჯრიდან შეფრინდი. შენი ცხენის მათრახი ჰკიდია სახლის მარჯვენა კუთხეში, გაეხახუნე იმ მათრახს და ადამიანად იქცევი. შემდეგ აიღე ის მათრახი და დაარტყი სათითაოდ შენ ცოლსა და მის საყვარელსო. ერთი იქცევა დედალ ვირად, მეორე მამალ ვირად, და მერე რაც გინდა, ის უყავიო. მეც მართლა ასე მოვიქეცი. ამ საუბრით მონადირე აივანზე გამოიყვანა და უთხრა: ეს ჩემი ეზოსულ უსწორმასწორო იყო და ამ ვირებით გავასწორე. აი, ეს ჩემი ციხე-დარბაზი ამ ვირებით ავაშენე. გადავკიდებდი ხურჯინებს, ჩაყრიდი შიგ ქვას და ქვიშას და ვაზიდინებდიო. თან ხელი გაიშვირა ქვევით დაბმული ორი ვირისაკენ, რომლებიც ერთმანეთს ეალერსებოდნენ. ამ ვირებიდან ერთი არის ჩემი ცოლი და მეორე მისი საყვარელიო.

ჩვენმა ნაცნობმა მონადირემ მასპინძელს გადაუხადა მადლობა და შინ გამოემგზავრა. ამის შემდეგ თავისი ამბავი, რაც მას შეემთხვა ტყეში, აღარ მიაჩნდა დიდ საკვირველებად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა

მათხოვარი და ხელსახოცი

დადის ერთი მათხოვარი. იარა, იარა და სოფლები რომ მორჩა, გზაზე გავიდა და მიდის. ერთი ხელსახოცი იპოვა. იმ ხელსახოცს აწერია: „ნეტავი იმას, ვინც ამის დამკარგავს შემირთავსო“. ეს მა-

თხოვარი მივიდა ქალაქში, შევიდა სახაშეში და მეხაშეს უთხრა: — ამისი რაც მერგება, მაჭამეო. მზარეულმა გალანძღა: — მაგისი რა გერგებაო. აქ იყო ერთი ხელმწიფის შვილი. მან დაინახა და უთხრა მათხოვარს: — მე მომეციო. ერთი ათთუმნიანი გადმოუგდო მეხაშეს და უთხრა: რაც მოითხოვოს მაგ მათხოვარმა, აჭამე, ასვი და ხურდაც მიეციო, ეგ ხელსახოცი კი აქ მომეციო. მიუტანა ეს ხელსახოცი და ზედ აწერია: „ნეტავი იმას, ვინც ამის დამკარგავს შემირთავსო“. ხელმწიფის შვილი შინ წავიდა, მამას კი არ უთხრა გულის პასუხი. მალე ავად გახდა ბოლმისაგან. მამამ დაასია ექიმები, მაგრამ მაინც ვერ მოარჩინეს. ბოლოს შვილმა უთხრა: — მამი, შენ ვერ მომარჩენ, გინდა შენი სახელმწიფო სულ დააგირაო.

ამოიღო ხელსახოცი, უჩვენა მამას და უთხრა: — აი, თუ ამის დამკარგავს შევირთავ, თუ არადა ჩემი სიცოცხლე რა იქნებაო. მამამ უთხრა: — აი, შვილო, მთელი სალაროები შენი არ არის? მოიხმარე და იპოვეო. ადგა ეს ყმაწვილი, დაიარა თავის სახელმწიფო და ვერ იპოვა ეს ქალი. მერმე გადავიდა საზღვრებს და ერთი ხელმწიფის სასახლის ახლოს გაიარა. ხელმწიფემ რომ დაინახა, თქვა: — აქ მოაბრუნეთო. წავიდა მოსამსახურე, დაუძახა და ხელმწიფის შვილი მობრუნდა. ხელმწიფის შვილი რომ მობრუნდა, ერთ ადგილას დაინახა, რომ ხაროში ჩაუგდიათ ერთი კაცი, ზედ ადგას თორმეტი კაცი რკინის ურიებით, რამდენიც ამოიწევს, თავში დასცემენ და ჩააგდებენ. ხელმწიფის შვილს შეებრალა. მივიდა ხელმწიფესთან და ხელმწიფემ ჰკითხა:—ვისი შვილი ხარო. მანაც უთხრა:— ამა და ამ ხელმწიფისაო. — მაშინ ხელმწიფემ გადაჰხვია ხელი და დაჰკოცნა: ახლობელი ნათესავი ხელმწიფის შვილი აღმოჩნდა.

მეფემ უთხრა მზარეულს: — ძვირფასი სტუმარი მომივიდა და აბა, შენ იცი, კარგი სადილი მოამზადეო. როცა მზარეულმა მოახსენა მზად არისო, ხელმწიფემაც უთხრა ამ ხელმწიფის შვილს, მოდი დამეწვიეო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: — მე ისეთი საცოდაობა ვნახე შენს სახელმწიფოში, რომ სანამ შენს საზღვრებს არ გავცდები, ლუკმას პირში ვერ ჩავიდებო. — რაო? — ჰკითხა ხელმწიფემ. — ისაო, რომ აგერ ერთი კაცი ჩაგუგდია ორმოში და თორმეტი კაცი თავზე ურიებით ადგას. თუ დამნაშავეა ან მოკალი, ან დაახრჩვე, ანდა გაასახლე, თუ არადა საცოდაობას რას უყურებო. ხელმწიფემ უთხრა: — ის რომ გამოვუშვა, ჩემი ქვეყანა სამ წელს არ ეყოფა: თორმეტი ხაბაზი უნდა დავაყენოო და პური აცხონ, თორმეტი ხარი უნდა დავკლა, თორმეტი რუმბი ღვინო უნდა დავუდგა მაგას და ერთ ჯერზე შეჭამსო. ხელმწიფის ვაჟმა უთხრა: — მაშ, მშვიდობი-

თაო, — და წავიდა. ხელმწიფემ იფიქრა: რა კაცობაა, ამდენი ხნის უნახავია, რომ გავუშვა, დედ-მამა რას იტყვისო? — ადგა და გასცა ბრძანება, მოაბრუნეთ ეს ყმაწვილიო, თან ხაბაზებს უბრძანა მალე პური გამოეცხოთ. დაჰკლა თორმეტი საკლავი, დაამზადა თორმეტი რუმბი ღვინო და ბრძანა: აბა, ამოუშვითო. როგორც გაიგეს მცველებმა, ზოგმა იქით გადააგდო ურო, ზოგმა აქეთ, ადგნენ და წავიდნენ. ხაროდან ამოვიდა ის კაცი. ამ კაცს ერქვა გარდაქეშანი.

გარდაქეშანმა რომ გაიხედ-გამოიხედა, დაინახა ამდენი პურია მზად, შეჭამა თორმეტი დღის ნაცხობი პური, თორმეტი საკლავი და დალია თორმეტი რუმბი ღვინო. მოიფშვნიტა თვალები და თქვა: — ვინ იყო ჩემი გადმომხედავი, ვინ გამანთავისუფლაო? — მივიდა ხელმწიფის შვილი და უთხრა, მე ვარო. გარდაქეშანმა უთხრა: — რა მოგცე, ძმაო, რომ შენ ასეთი სიკეთე მიყავიო? — არაფერი, მე ერთი ხელმწიფის შვილი ვარო. მაშ, თავი როგორ მესახელებოდეს, თუ კი ერთ კაცს ვერ გამოვაშვებინებო. — მაინც რა მოგცეო, — უთხრა გარდაქეშანმა. — მე სიმდიდრე არა მაქვს და სხვა რაც გინდა, ისა მთხოვეო.

ამ ყმაწვილმა აჩვენა ეს ხელსახოცი და უთხრა: — აი, თუ ამის პატრონს მიპოვი, პირიქით, მე მოგცემ საჩუქარსაო. გარდაქეშანმა უთხრა: — მაშ, შენი ძმა გარდაქეშანი მოგიკვდეს, თუ ვერ გიპოვოსო. გარდაქეშანმა ეს დარჩენილი სურსათი გამოიხვია ერთ ჩოხის კალთაში, მეორეში — ეს ბიჭი და წავიდა. მივიდა ერთ ალმასის კლდესთან. ეს კლდე იღებოდა და იკეტებოდა. გარდაქეშანმა უთხრა: — აი, აქ არის ის ქალი. მე ამათ ხელებით გავაჩერებ, შენ შედი, გნახავს თუ არა, ის ქალი შენსკენ გამოექანება და გეტყვის, შენ ქმარი და მე ცოლიო. შენც წაავლე ხელი და მალე გამოდითო. რომ გაიღო კლდე, ამ გარდაქეშანმა გაშალა ხელები და გაჩერა, მაშინვე შევიდა ხელმწიფის შვილი. გაშალა ეს ხელსახოცი, ქალმა დაინახა თუ არა, უთხრა: — შენ ქმარი და მე ცოლიო. ამ ხელმწიფის შვილმა უთხრა: — აბა, მაშ, მალე გავიდეთო. — გამოიყვანა ყმაწვილმა ეს ქალი, კლდე დაიხურა. წამოვიდნენ სამივე.

ერთ ტყეში გამოჩნდა სასახლე. ამ გარდაქეშანმა უთხრა:—თქვენ იარეთ, მე ვნახავ ვინ არიან ამ სასახლეშიო და მალე დაგეწევითო. ჩავიდა ამ სახლთან, ერთი დაიჭყივლა და სახლიდან რვა დევი გამოვიდა მუხლისჩოქითა და უთხრეს: — მადლობა ღმერთს, გარდაქეშანო, რომ, როგორც გვესმოდა კიდევ დახსნილხარო. ამ დევებს ერთი ძმა ჰყავდათ, ცხრათავიანი. ის გამოვარდა და უთხრა: —

შე ძაღლო, აქ რამ მოგიყვანა?! ჩვენი შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუფრენია და დაბლა ჭიანჭველასაო. — მოავლო ხელი გარდაქეშანმა და ისე გაისროლა, რომ მთას იქით დაეცა. ამ გორას იქით ერთი რკინის დევი, მეათე ძმა ჰყავთ დაბმული, სწორედ იმ დევთან დაეცა ეს ცხრათავიანი დევი. რკინის დევმა ჰკითხა: — რა დაგემართაო? — ცხრათავიანმა უთხრა: — გარდაქეშანი ამოუშვიათ, მოვიდა ჩვენსას, ხელი ამომარტყა და გადმომაგდოო. — არიქა, მალე ამიშვიო, — უთხრა რკინის დევმა. მიცოცდა ცხრათავა და აუშვა.

ამ დროს ყმაწვილი და ქალი არხეინად მიდიან გზაზე. უცებ რაღაცა შხუილი შემოესმათ. მოვიდა რაღაც რკინის კაცივით, გაარტყა სილა ამ ყმაწვილს, ქალი მოიტაცა და წაიყვანა. რომ გამოვიდა გარდაქეშანი, ერთი გადააბოტა, არაფერი, მეორე, მესამე, თითო ნაბიჯით ათ ვერსს გადის, ყმაწვილი და ქალი არსად ჩანან. ეს რა ამბავიაო. სად წავიდნენო, ესე მალე ვერ ივლიდნენო. მობრუნდა უკან, ერთი გადააბიჯა — არაფერი, მეორეზე იპოვა ეს ბიჭი, თხრილში გდია გულწასული. აიყვანა, მოასულიერა და ჰკითხა, რა ამბავიაო.

მან მიუგო: — ერთი რკინის რაღაც დაგვეცა. მე გამარტყა, აქ გადამაგდო და ქალი წაიყვანაო.

— ერიჰა, — თქვა გარდაქეშანმა,—ახლა საით ვეძებოო. მიბრუნდა ამ დევებთან და უთხრა: — თქვენი ბრალია, ჩემი რძალი თქვენ გააშვებინეთო.

მათ უთხრეს: — შენ რომ ჩვენი ძმა გაისროლე ცხრა მთას იქით, ის აუშვებდა ჩვენს ძმა რკინის დევსაო; აბა, რა ჩვენი ბრალიაო.

გარდაქეშანმა უთხრა დევებს: აი, ეს ჩემი ძმაო, ოც დღეს უნდა შემინახოთ, მუდამდღე აბანაოთ, მუდამდღე კარგი საჭმელები არ მოაკლოთო, თუ მოვედი ოც დღეს, ხომ კარგი, თუ არადა რაც გინდათ, ის უყავითო.

წავიდა იქიდან და მიდის, მივიდა ერთ მთაში მეძროხეებს ჰკითხა: — ხომ არ იცით, სადა ცხოვრობს რკინის დევიო? მეძროხეებმა უთხრეს: — აქ სამი დღეა უღელი კამეჩია დაჭიდებული, აი, თუ ამ კამეჩებს დააშორებ, მაშინ გასწავლითო. — მივიდა. ერთი კამეჩი იქით გასტყორცნა, მეორე აქეთ. მეძროხეებმა უთხრეს: — ჩვენ არ ვიცით, აგერ მეცხვარეებია და ისინი გასწავლიანო. — იქიდან წავიდა გარდაქეშანი. მივიდა მწყემსებთან და უთხრა: — მითხარით, სადა ცხოვრობს რკინის დევიო? მათ უთხრეს: — რად გინდა, თუ საომრად მიდიხარ, ხომ ვერაფერს დააკლებთ და ცოდვა არ არის,

ასეთი კაცი გაფუჭდესო? ის ხომ რკინაა და რკინაა. უთხრა მან მეცხვარეებს: — მე საომრად კი არ მივდივარ, ჩემი მეგობარია და სამოყვროდ მივდივარო. მაშინ მისცეს ერთი მეცხვარე, რომელმაც წაიყვანა, აიყვანა ერთ გორაზე და იქედან დაანახა სახლი. აგერ ხედავო? — უთხრა მეცხვარემ. — ვხედავო. — ის არის მისი სახლიო. წავიდა, მივიდა იმ სახლში, მარტო ქალი იყო, იმ ხელმწიფის შვილის ცოლი. რკინის დევი სანადიროდ იყო. ამ ქალმა შესტირა: — ვაიმე, ჩემო მაზლო, აქ რამ მოგიყვანაო. ის ხომ რკინაა და ვერაფერს დააკლებ. რომ წამიყვანო, დაგვეწევა ორივეს და გაგვსრესავსო. — გარდაქეშანმა უთხრა რძალს: — ნუ გეშინია, როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი და ყველაფერი რიგზე იქნებაო. — საღამოზე რომ მოვიდეს დევი, შენ დაჯექი, იტირე ისე, რომ მან გაიგონოსო. რომ გკითხავს, რა გატირებსო, შენ უთხარი: მომიყვანე ამ ოთხ კედელშუა და დამსვი, შენ სანადიროდ მიდიხარ, აქ არავინ არ არის და შენ შენს სულსაც არ მანდობ! შენი სული სად არის, რომ იმას მაინც ვეთამაშო-თქო.

საღამოს ქალმა დაიწყო ტირილი. დევმა ჰკითხა: — რა გატირებსო? უთხრა, როგორც გარდაქეშანმა დაარიგა. ამ დევმა მიუგო: — ჩემი სული, ბუხარშიაო. მეორე დილით დევი წავიდა. მოვიდა გარდაქეშანი. — რა გითხარო? — ჰკითხა ქალს. ქალმა უთხრა. — ბუხარშიაო. — აბა, მაშ, ეს ბუხარი უნდა ააყვავო, რომ მეტი არ შეიძლებოდეს და მოუსიყვარულოო. რომ გაიგებს, მაშინ სიმართლეს გეტყვისო. — ამ ქალმა მართლა ააყვავა ბუხარი. დაჯდა და მღერის. დაინახა დევმა, გაუხარდა და ჰკითხა: — ეგრე გიყვარს ჩემი სულიო? ქალმა უთხრა: — მაშ, ვიღა უნდა მიყვარდეს, შენს მეტი ვინღა მყავსო? მაშინ თქვა დევმა, მოდი, ამას სიმართლეს ვეტყვი, რაკი ასე ვუყვარვარო. გამოიყვანა დევმა ეს ქალი, დაანახა ერთი მთა და უთხრა: — აგერ იმ მთასა ჰხედავო? — ვხედავო. იმ მთაშიო, — უთხრა დევმა, — არის ერთი ირემი, მას სამასი კაცი ყოველდღე ბალახს უთიბავს, სამ ადგილას უნდა დადგან. ირემმა სამ ლუკმად უნდა გადაყლაპოს. თუ დააკლდა თუნდაც ცოტა ბალახი, მაშინ ეს ირემი სუყველას გადაყლაპავსო. იმ ირმის თავში ერთი კოლოფია, იმ კოლოფში სამი მერცხალი ზის, ის მერცხლებია ჩემი სულიო: ერთი ჯანი, ერთი თვალის სინათლე, ერთი სიცოცხლე. იმათ მოჰკლავენ თუ არა, მეც მოვკვდებიო.

მოვიდა გარდაქეშანი, — რა ჰქენი, ჩემო რძალო. ქალმა უამბო დევის ნათქვამი.

გარდაქეშანმა აიღო მშვილდ-ისარი და წავიდა იმ მთისაკენ, სა-

დაც ის ირემი იყო. რომ მოვიდა გარდაქეშანი, დაინახა: სამასი კაცი მართლაც თიბავს, და უთხრა, — გამარჯობათო.—თავი არავინ ასწია, კიდე უთხრა მესამედაც. მაშინ უფროსი რომელიც იყო, იმან მიუგო: — კაცო, ჩვენ ცოდოში რათ დგებიო. აქ ერთი თეთრი ირემია რკინის დევისაო, თუ მას სამი ლუკმა ბალახი ვერ გავუთიბეთ, სუყველას დაგვხოცავსო. გარდაქეშანი შეეკითხა: — რამდენი . გაქვთ გათიბულიო? მათ უთხრეს, ორ ლუკმა ნახევარიო. გაუშვით ხელიო. მე უნდა მოგაშოროთ ის ჭირიო. იმ კაცებმა იფიქრეს: იქნებ მართლა, ღმერთმა ვინმე მოგვივლინაო და შეწყვიტეს თიბვა.

გარდაქეშანმა ჰკითხა: საიდან მოდის ირემიო? უთხრეს საიდანაც. —მოიტანეთ ეგ თივა, ზედ დამადგით, მხოლოდ ერთი ღარი დამიტოვეთო სათვალთვალოდო. ამ კაცებმა მართლაც ასე გააკეთეს: დაუტოვეს ერთი ჭუჭრუტანა. რომ მოატანა საღამომ, გამოჩნდა ირემი. დაინახა თუ არა თივა, გაუხარდა: უჰ, რამდენი დაუდგამთო. გაქანდა. ერთი ძირი გადაყლაპა, მეორესთან რომ გაექანა, გამოსწია გარდაქეშანმა ისარი, სთხლიშა შიგ თავში. ირემი წაიქცა. გამოხტა გარდაქეშანი, გაიძრო ხმალი, მოჭრა ირემს თავი, ააძრო თავის სარქველი და ამოიღო ის კოლიფი.

როცა გარდაქეშანმა ჯანის მერცხალს წაგლიჯა თავი, დევი ავად გახდა, გაიგო, ქალმა მიღალატაო და გამობრუნდა სახლისაკენ. როცა დაუახლოვდა სახლს, ქალი გამოვიდა და სიცილი დაიწყო. ამ დროს გარდაქეშანი უახლოვდებოდა სახლს, აიღო თვალის სინათლის მერცხალსაც წაუჭეჭყა თავი, დევი დაბრმავდა და დაეცა. ქალს ეხვეწებოდა, სახლამდის მაინც მიმათრიეო. ქალმა უთხრა: — ნუთუ არ იცოდი, რომ ჩემმა მაზლმა გარდაქეშანმა შენთვის არ გამომიყვანა იმ კლდიდანაო? არ შეიწყნარა დევის ხვეწნა. წაჰგლიჯა მესამე მერცხალსაც თავი და დევი მოკვდა. როდესაც ირემი მოკლა, იმ სამას კაცს უთხრა: — აქედან არ წახვიდეთ, სანამ მე არ მოვალო. როცა მოკლა დევი და გაანთავისუფლა ქალი, შეისვა მხარზე და აატარა. იმ მეძროხეებსაც აჩვენა და მეცხვარეებსაც. მივიდა ამ სამას კაცთან და უთხრა: — აი, ამ დევის საყმო-საბრძანებელი სულ თქვენი იყოსო, იცხოვრეთ როგორც გინდათო. ნუ გეშინიათ, მე წელიწადში ერთხელ მაინც დაგხედავთო.

წამოვიდა იქიდან და გამოემგზავრა სახლისაკენ. მეცხვარეებსაც ისევე აჩუქა ცხვარი, მეძროხეებს — ძროხა და სწორედ მეოცე დღე ღამდება. ქალს უთხრა, რომ დრო გადისო და იმ დევებმა ის ჩემი ძმა არ შეჭამონო. ინატრა: ეს ისარი წავიდეს იმ დევების კოშკში, სადაც ჩემი ძმაა, შეამტვრიოს და სწორედ ზედ კედელთან დაერჭოსო.

გაუშვა ისარი, წავიდა, შეამტვრია კოშკი და ზედ კედელთან დაერჭო. გაიგეს დევებმა მოდისო და გამოეგებნენ.

მივიდა გარდაქეშანი და ჰკითხა: — იქნებ ჩემ ძმას მოკვლას უპირებდითო? — არაო,—დაუმალეს დევებმა, სინამდვილეში დანებსა ლესავდნენ. — აბა, რომელიც კარგი ოთახია, ამ ჩემ ძმასა და რძალსაო, კარგი ვახშამიც მოამზადეთ, მშიერი ვარო. ის ღამე იქ გაატარა, მეორე დღეს უთხრა დევებს: — აბა, ეს ჩემი ძმა და რძალი უნდა წავიყვანო და პატრონს ჩავაბარო. მერე მოვალ და თქვენთან ვიცხოვრებო. ადგა და იქიდან წავიდა, წაიყვანა ეს ყმაწვილი და ქალი. დაუახლოვდა თუ არა მათ სახელმწიფოს, ნახა, რომ სახელმწიფო სულ შავად არის გათალხული.

ყმაწვილმა უთხრა: ეს მე მგლოვობენო. სანამ სასახლესთან მივიდოდნენ, ერთი კაცი შეხვდათ, ის გაიქცა და მეფეს ახარა: — ღმერთმანი, შვილი მოგდის, მზეთუნახავი ქალი მოჰყავს და ერთიც გორასაეით კაცი მოსდევს უკანაო. ხელმწიფე და ხელმწიფის ცოლი წამოცვივდნენ და მიეგებნენ. აი, სიცილი, აი, ცრემლები. მეფემ ბრძანა, თალხები გაიხადეთ და სამხიარულო ჩაიცვითო, შვილი მომივიდაო.

მეორე დღეს გაჭიმეს ეორწილი. გარდაქეშანმა სამი დღე და ღამე იქეიფა, მერე ადგა და უთხრა ამ ყმაწვილს: — მე რომ აქ დავრჩე, სამ წელს არ მეყოფა მამიშენის სახელმწიფო. მოდი, მე ჩემს დევებთან წავალო. მისცა ერთი პატარა სარკე და უთხრა: — აი, მაშინ ჩაიხედე, როცა გიჭირდეს, ან ჩვენი დაპატიჟება გინდოდესო,— და წავიდა.

გამოხდა ხანი, ხმა დაირხა: ამა და ამ ხელმწიფის შვილმა მზეთუნახავი ცოლი მოიყვანაო. შვიდი სახელმწიფო დაემუქრა — თუ შენი ნებით არ მოგვცემ მაგ ქალს, მოვალთ და ძალით წავიყვანთო. ხელმწიფემ ვერ გაუბედა თავის შვილს ეს ამბავი. ეს შვიდი სახელმწიფო გარს შემოეხვია მის სახელმწიფოს. ადგა და მეფემ შვილს უთხრა: — აი, შვილო, შვიდი სახელმწიფო მოვიდა შენი ცოლის წასაყვანად და რა ვქნათო? შვილმა უთხრა: — თუ ასე იყო, რატომ ადრე არ შემატყობინეო? გავიდა მეორე ოთახში, ამოიღო სარკე და ჩაიხედა. სწორედ იმ დროს გარდაქეშანს ერთი დიდი ჯამფილით ღვინო ჰქონდა მოყუდებული და ხელიდან გაუვარდა. — თქვა: — ჩემს ძმას რაღაც უჭირსო. აბა, დევებო, წავიდეთო! წავიდნენ ჩქარა და მივიდნენ ძმასთან. — რა გაგჭირვებიაო?—ჰკითხა გარდაქეშანმა. ძმამ უთხრა: — აი შვიდი სახელმწიფო ცოლს მართმევსო. — გარდაქეშანმა უთხრა დევებს: — თქვენ გახვალთ საომრად, თუ მე

ერთი გავიდეო? დევებმა უთხრეს: შენი გასვლა რად გვინდაო. მაშინ უთხრა გარდაქეშანმა: მთელი ჯარი გაეღლიტეთ და შვიდივე ხელმწიფე აქ მომგვარეთო.

ამ დევებმა ეს შვიდი სახელმწიფოს ჯარები სულ მოფშრუკეს. დაიჭირეს შვიდი ხელმწიფე და მოიყვანეს. გარდაქეშანმა უთხრა მათ: — თქვენ ხელმწიფობის ღირსი არა ხართო. ერთი მეჯინიბედ დააყენა, მეორე მეეთმედ, მესამე მებაღედ, ეზოს დამგველად, ხელზე მოსამსახურედ და ასე. ერთი კარგი დრო გაატარეს. ბოლოს უთხრა გარდაქეშანმა: — აი, რვა სახელმწიფო თქვენია, თქვენ უნდა გაუძღვეთ. ამ სარკეში მარტო მაშინ ჩაიხედეთ, როცა ჩვენი დაპატიჟება გინდოდეთო. დღეის იქით ნუ გეშინიათო, — ადგა და წავიდა. ესტუმრებოდა ხოლმე თავის ძმობილს და კარგ დროს ატარებდნენ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

საწყალი ცოლ-ქმარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. მათ ბევრი შვილი ჰყავდათ და თან ღარიბებიც იყვნენ. ერთხელ დედაკაცმა უთხრა: წადი, კაცო, რამე იშოვე და ბავშვებს ლუკმა მოუტანეო. წავიდა ეს კაცი და იარა, ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ მეკომურთან და სთხოვა, ამაღამ შემინახეო. მათ ჯერ უარი უთხრეს, მერე დაუძახეს, მოდი, მოდიო. მასპინძლის დედაკაცმა ეს კაცი დაარიგა: ჩემი შვილები წასულები არიან სანადიროდ და როცა დაბრუნდებიან, უთხარი: გაუმარჯოს ცხრა დევსა და მეათე მამასაო.

ეს კაცი იმასა ფიქრობდა, არ დამავიწყდესო და როცა დევები დაბრუნდნენ, მართლაც უთხრა: — გაუმარჯოს ცხრა დევსა და მეათე მამასაო. მათ კარგად მიიღეს. ამ კაცს პური შიოდა, აქეთ-იქით იყურებოდა და არაფერი არ იყო. მერე მიიყვანეს ეს კაცი მაგიდასთან, ჩამოიღეს გუდა და უთხრეს: — აბა, გუდავ, გუდანდარავ, ისეთი სუფრა გაგვიშალე, რომ ჩვენ საწყალს სტუმარს თვალით არ ენახოსო. მართლაც, გაიშალა ძვირფასი სუფრა. ახლა ის კაცი ფიქრობს, ჩემს ცოლ-შვილს რომ არაფერი აქვს, ამ გუდას მოვიპარავ და მეტი აღარც მინდა რაო.

ვახშმის შემდეგ სტუმარი მოასვენეს, მაგრამ იმას არ ეძინება და ფიქრობს გუდის მოპარვაზე. წამოიწია და ამ დროს კარებმა დაიძახა: სტუმარი გუდას იპარავსო. მასპინძელი ამაზე გაბრაზდა: ამ კარებმა რა შეგვარცხვინაო, სტუმარს ძინავს, ეს კი ქურდობას აბრალებსო. მასპინძლებმა დაიძინეს, სტუმარმა წამოიწია ლოგინიდან და კარებმა ისევ დაიძახა: სტუმარი გუდას იპარავსო. მასპინძლები ადგნენ, აასინათლეს და ნახეს სტუმარს ეძინა, გაბრაზებულებმა კარები დაკუწეს, ცეცხლზე დაწვეს.

მასპინძლებმა ისევ დაიძინეს, სტუმარი ადგა ისევ მოსაპარად და ამ დროს კიდევ დაიყვირა ერთმა ნაფოტმა, რომელიც დაუწვავი დარჩენილიყო. ნაფოტი ხტის და იძახის: სტუმარმა გუდა მოიპარაო. მასპინძლები ადგნენ. აასინათლეს, იპოვეს ის ნაფოტიც, დაწვეს და დაიძინეს. სტუმარი ისევ ფხიზლად არის. როცა ყველას ღრმად დაეძინა, სტუმარმა გადაიწერა პირჯვარი, აიღო გუდა და გასწია შინისაკენ.

ამ კაცს გზაში ერთი მონადირე შეხვდა, ისინი დაემგზავრნენ ერთმანეთს. წყლის პირას რომ მივიდნენ, მათ თქვეს: — მოდი, ერთი კარგი პური ვჭამოთო. მონადირემ ამოიღო ერთი ხმელი პური და წყალში დაასველა. ამ კაცმა ვეღარ მოითმინა და მონადირეს უთხრა: — იცი, ჩემმა გუდამ რა იცისო? — მონადირემაც თავისი ხმალი შეაქო. ამ ღარიბმა კაცმა გუდას უთხრა: მოდი, ისეთი სუფრა გაგვიშალე, რომ ამ კაცს ჯერაც არ ენახოსო. სუფრა გაიშალა და ისადილეს. მონადირემ უთხრა: — ჩემმა ხმალმა ის იცის, რომ თუ ეტყვი მავან კაცს თავი მოსჭერიო, წავა, თავს მოსჭრის და ისევ ქარქაშში ჩავა ქარიგითაო. შეთანხმდნენ და გუდა და ხმალი გაცვალეს. წავიდნენ ერთი ერთ გზაზე და მეორე მეორე გზაზე.

ამ ღარიბმა კაცმა, რომელსაც ახლა ხმალი ჰქონდა, უბრძანა ხმალს: წადი, იმ მონადირეს თავი მოსჭერ და ჩემი გუდა ისევ მომიტანეო. ხმალი წავიდა, მოსჭრა თავი მონადირეს და გუდაც ამ კაცს დაუბრუნდა. წაიღო გუდაცა და ხმალიც.

ამ კაცმა ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა თავის სახლში. ცოლმა ტირილი დაიწყო: — კაცო, ამდენი ხანი წასული ხარ და არც პური მოგვიტანე და არც რაო. კაცმა კი გულამაყად დაუწყო ლაპარაკი: — ნუ გეშინია, დედაკაცო, ბავშვებს დაუძახე და დასხიო. დედაკაცმა ბავშვები დასხა. კაცმა დადო გუდა შუა ალაგას და უთხრა: — აბა, გუდავ, გუდანდარავ, ისეთი სუფრა გაგვიშალე. რომ ამ ჩემ საწყალ ცოლ-შვილს ჯერაც არ ენახოსო. გაიშალა ძვირფასი სუფრა. ბავშვები სიხარულით მიესივნენ, დედაკაცი კი არ ჭამდა,

ხვალისთვის შევუნახავ ბავშვებსო. მას ეგონა, გათავდება და ხვალისათვის აღარ იქნებაო, კაცმა კი უთხრა: — ნუ გეშინია, ჭამე. ხვალ უკეთესიც იქნება, ჩვენმა გუდამ ეგრე იცისო.

ერთხელ კაცმა უთხრა დედაკაცს: — მოდი, ერთი ჩვენი ხელმწიფე დავპატიჟოთ თავისი ჯარითაო. — ამაზე დედაკაცმა ტირილი დაიწყო: — ხელმწიფე წაგვართმევს ამ გუდასაო. კაცმა დაპატიჟა ხელმწიფე და ხელმწიფემ კი სასაცილოდ აიღო: ამისთანა ღარიბი კაცი ჩვენს სოფელში არ არის და ამან რაზე უნდა დაგვპატიჟოსო. კაცმა მეორედ სთხოვა ხელმწიფეს, რომ სწვეოდა. ახლა ხელმწიფემ წაიღო თავისი ხარჯი და ეახლა. იმ საწყალ კაცს კარგი მაგიდები და სკამები გაემზადებინა. დადო შუაზე გუდა და უთხრა: აბა, გუდავ, გუდანდარავ, ისეთი სუფრა გაგვიშალე, რომ ხელმწიფეს არ ენახოსო. გაიშალა მშვენიერი სუფრა. ყველაფერი თავის ალაგას იყო.

ხელმწიფემ იფიქრა: მოდი, ამ კაცს ჩემს ჯარს დავახვევ და ამ გუდას ჩამოვართმევო. ჩამოართვეს გუდა და მიჰქონდათ. ამ საწყალი კაცის დედაკაცმა დაიწყო ტირილი: — აკი გითხარი, ჩამოგართმევენ-მეთქი. კაცმა უპასუხა: — ნუ გეშინია, დედაკაცო. — გამოიტანა თავისი ხმალი და უთხრა: აბა, ჩემო ხმალო, წადი ჩვენი ხელმწიფე თავისი ჯარით აკაფე და ჩემი გუდა უკანვე მოიტანეო.

ხმალი წავიდა, აკაფა ყველა და გუდა ამ საწყალ კაცს მოუტანა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა. ფქვილი აქა.

კოჭლი მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კოჭლი მონადირე. უშვილო იყო და ნატრობდა შვილს, მაგრამ არ უჩნდებოდა. სწორედ იმ დროს მოკვდა, როცა ცოლი დაორსულდა და დღე-დღეზე იყო. ქალს გაუჩნდა ბავშვი. ვინც წლით იზრდებოდა — ის დღით იზრდებოდა. ეს იყო უღრან მთაში, შორს სოფლიდან. დედა და შვილიც ხის ნაყოფით საზრდოობდნენ.

როცა წამოიზარდა ეს ბიჭი, დედას უთხრა: ან ნათესავი არა გვყავს, ან მეგობარი არა ჰყავდა მამაჩემსაო?.. დედამ უპასუხა: ეჰ, შვილო, როგორ არა ჰყავდა მეგობრები მამაშენს, მაგრამ იქ მისვლა ძნელიაო. მე დავქსოვ წინდებს, წაიღე ბაზარში, გაყიდე ეს წინდები, იყიდე პური და შენცა ჭამე და მეც მაჭამეო.

მართლაც, ამ ბიჭმა წაიღო წინდები. რომ შევიდა იმ ქალაქში, სადაც ბაზარი იყო, ნახა პატარა ბიჭებს გამოუყვანიათ ერთი კატის კნუტი და ჰკლავენ. შეეხვეწა ეს ბიჭი: — მაჩუქეთო. ბიჭებმა უთხრეს: — წინდები მოგვეცი და მოგცემთ, თუ არადა არაო. — რამდენჯერმე შეეხვეწა ბიჭი და კვლავ ისე უთხრეს. დიდი ხვეწნის შემდეგ მისცა წინდები და წამოიყვანა შინ კნუტი.

დედამ უთხრა: — რად გინდა, შვილო, ჩვენთვის არა გვაქვს პური და ამას რა უნდა ვაჭამოთო? ეს კნუტი და ბავშვი ერთად თამაშობდნენ. ხის ნაყოფს მასთან ერთად ჭამდა. დედამ მოქსოვა ხელთათმანები, მისცა ბიჭს და უთხრა: — წადი, შვილო, ესენი გაყიდე, იყიდე პური, შენცა ჭამე, მეც მაჭამე და კატასაცაო.

წავიდა ეს ბიჭი. ისევ იმ ალაგას გამოუყვანიათ თაგვის წრუწუნა და უნდა მოკლან. შეეხვეწა: — ნუ მოჰკლავთ, მე მაჩუქეთო. ბიჭებმა უთხრეს: — მოგვეცი ეს ხელთათმანები და მოგცემთო. მისცა ხელთათმანები და წამოიყვანა თაგვის წრუწუნა, მოიყვანა სახლში და დედამ უთხრა: — რად გინდა, შვილო? — კლავდნენ და მაშ რა მექნაო. ამ ბიჭმა ეს კნუტი და თაგვის წრუწუნა ერთად შეაჩვია და თამაშობდნენ. დედამ დაქსოვა პაჭიჭები, უთხრა შვილს: — ამათაც ხომ ჭამა უნდა, წაიღე, გაყიდე და მოიტანე აუცილებლად პურიო. როგორც მივიდა ბიჭი იმ ალაგას, გამოუყვანიათ ძაღლის ლეკვი და ჰკლავენ. უთხრა: — ბიჭებო, ნუ მოკლავთ, მე მაჩუქეთო. — არ მოგცემთ, თუ პაჭიჭებს მოგვცემ, მოგცემთ, თუ არადა არაო. მისცა ის პაჭიჭებიც და წამოიყვანა ძაღლის ლეკვიც. მოიყვანა სახლში და დედას ეწყინა. — უნდა მოეკლათ და იმიტომ წამოვიყვანეო. ეს კნუტი. თაგვის წრუწუნა და ლეკვი ბიჭმა შეაჩვია ერთმანეთს. ერთად თამაშობდნენ, ერთად ჭამდენ თუ რამეს იშოვნიდნენ.

ძალიან შეწუხდა დედა უპურობით, ეს ბიჭიც წამოიზარდა. უთხრა დედას: — მითხარი ვინა ჰყავს კარგი მეგობრები მამაჩემს, რომ წავიდე და პური გამოვართვაო? — აი, იმ მთას იქით ერთი მდიდარი დევია, მამიშენის სახელი რომ უხსენო, რამდენიც გინდა, იმდენ პურს მოგცემსო. ადგა ერთ მშვენიერ დღეს ეს ბიჭი, გაუდგა გზას, წინ ერთი კაცი შემოხვდა და უთხრა: — სად მიხვალო? — მან უპასუხა: — მამაჩემს კარგი მეგობარი ჰყავს, დევი, და მასთან მივალ პურის სათხოვნელადაო. კაცმა დაარიგა: — შენ მამიშენის ყავარჯენი დაიჭირე და ისე წადიო. უთხარი, მამაჩემმა შემოგითვალა, სუფრა გამომიგზავნე-თქო, თორემ ისე რომ მიხვიდე, შეგეშამსო. ბიჭი მიბრუნდა, აიღო ყავარჯენი და წავიდა.

რომ დაინახა დევმა ადამიანი მოდისო, წამოვიდა ერთი მძლავრად, უნდა დასცემოდა ბიჭს, ამ დროს ბიჭმა დაანახა ყავარჯენი, დევი გაქვავდა ადგილზე. — რა გინდა, ვინ გამოგგზავნაო? ყავარჯენი იცნო, კოკლი მონადირისა იყო. — მამაჩემს მე რომ გავუჩნდი, მას შემდეგ სულ ქეიფობს, და შემოგითვალა, შენი სუფრა გამომიგზავნეო. დევმა ბიჭს პური აჭამა, მეორე ოთახში გაიყვანა და უთხრა: — აი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, ურმები მოიყვანეთ და რაც გინდათ, წაიღეთო. ბიჭმა უთხრა: — მამაჩემს შენ ჩემზე უკეთესად იცნობ, რაც დამაბარა, თუ ის არ წავუღე, მომკლავს, ისევ ისა სჯობია, მე ცარიელა წავიდე, შენ რაც უნდა გითხრასო.— დევმა უთხრა ამ ბიჭს: — ამ მთას იქით ჩემი ძმაა, ნატვრისთვალი აქვს, უთხარი, რომ გამოუგზავნოს მამაშენს. თუ გამოგატანოს, გამომიარე და მეც გაგატანო. დევმა იფიქრა, ის უფრო შეძლებულია ჩემზე, თუ ის შეშინდება, მე რაღა ძალა მაქვსო.

ეს ბიჭი წავიდა და გზაზე ფიქრები კარგა დააწყო, რომ მტკიცედ ეთხოვა, რაკი ეშინოდათ მისი მამისა. რომ დაინახა მეორე დევმა ადამიანი მოდისო, ერთი საშინელი ღრიალით გამოექანა ამ ბიჭისკენ. ბიჭმა ყავარჯენი ასწია. დაინახა თუ არა დევმა ყავარჯენი, ადგილზე გაქვავდა. იცნო, კოკლი მონადირესი იყო. ბიჭს უთხრა: ვინა ხარ, რას თხოულობო? ბიჭმა უთხრა: — მე კოკლი მონადირის შვილი ვარ, რაც მე გავუჩნდი, მამაჩემი სულ ქეიფობს, და შემოგითვალა ნატვრისთვალი გამომიგზავნეო. დევმა წაიყვანა ბიჭი სახლში, აჭამა პური და გაიყვანა მეორე ოთახში, ამანაც უთხრა: — აი ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი! მოიყვანეთ ურმები და წაიღეთ, რამდენიც გინდაო. — მე რაც მამაჩემმა დამაბარა, თუ გამატან იმას, კარგია, არადა სჯობს ისევ ცარიელი წავიდეო. დევმა იფიქრა: „აი ამ მთას იქით ჩემი ძმაა, ის ჩემზე მდიდარიცაა და ღონიერიც — რკინასა ჭამს, მასთან გავგზავნი, მას აქვს ხალიჩა, თუ დაუთმო, მაშინ მეც მივცემო“. გუნებაში ამბობს ამას დევი, და უთხრა ბიჭს: — წადი, ამ მთას იქით ჩემი ძმაა, მას მფრინავი ხალიჩა აქვს, სთხოვე, თუ მოგცა, ჩამოიარე და მეც მოგცემო. გაუხარდა ამ ბიჭს და გაიქცა რომ მივიდა იმ დევის სახლთან, დევი წამოვიდა, მთა მთასა სთხლიშა, გორა გორას და გამოიქცა ამ ბიჭისკენ. ბიჭმა ყავარჯენი ასწია და გაჩერდა ეს დევი მაშინვე; ჰკითხრა: — რა გინდა, ვინ გამოგგზავნაო?—რაც მე გავუჩნდი მამაჩემს სულ ქეიფობს და ახლა ფრენა მოუნდა და შემოგითვალა, ხალიჩა გამოგზავნეო. — დევმა მიიყვანა სახლში ეს ბიჭი. აჭამა პური, გაიყვანა მეორე ოთახში. — აი, ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი

ურმით წაიღეო. — მამაჩემს შენ უფრო კარგა იცნობ, მე რაც დამაბარა, თუ ის არ მივუტანე, მომკლავს, ისევ ის სჯობია ცარიელა წავიდე და შენ რაც უნდა, ის გითხრასო! — დევმა ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოიგონა რა დაებარებინა. უარი რომ შეეთვალა, იცოდა მოჰკლავდა და ბოლოს გადაწყვიტა გაეგზავნა ის ხალიჩა.

დაჯდა ის ბიჭი ამ ხალიჩაზე და უბრძანა, გადაფრენილიყო მეორე დევთან. რომ დაინახა დევმა, ხალიჩით მოდის ის ბიჭი, გამოურბენინა მაშინვე ნატვრისთვალი და გუნებაში თქვა: — „თუ იმას ეშინია, მე მასთან რა გამოსაჩენი ვარო“ და მისცა ნატვრისთვალი. უბრძანა ამ ბიჭმა ხალიჩას მესამე დევთან გადაფრენილიყო. ჩამოფრინდა მესამე დევის კართან ხალიჩა. გამოვიდა დევი, დაინახა თუ არა ნატვრისთვალი და ხალიჩა მოჰქონდა, მაშინვე გამოურბენინა სუფრა. უთხრა: — ეტყვი, ე, სუფრავ, სუფრავ, შენი გამომცემლის მზესა, რაც აქ ხალხია და ეყოფათ, იმოდენაზე გაიშალეო და რაც ქვეყანაზე საუკეთესო საჭმელია, გაიშლება ზედაო. ამ ბიჭმა დაკეცა სუფრა, დაჯდა ხალიჩაზე და გამოფრინდა. მოფრინავს ეს ბიჭი, დაინახა ერთ ტრიალ მინდორზე ყანასა მკის ორმოცდაათისამოცი კაცი. მოტრიალდა, იქვე გრილო იყო, დიდი თელები იდგა და ჩამოვიდა იმ გრილოებში. უთხრა სუფრას ამ ბიჭმა: რაც იქ მუშები არიან, იმათ რომ ეყოფათ, იმდენი კარგი პურმარილი, და ღვინო გაგვიშალეო.

ბიჭმა დაუძახა მუშებს: — მოდით, მოდით აქაო. ადგნენ და წამოვიდნენ. უთხრა: — მეწვიეთ სადილადაო. მუშებს გაუხარდათ, რა თქმა უნდა, რომ ასეთი დიდებული სუფრა დაინახეს, შემოუსხდნენ და ერთი ლაზათიანად იქეიფეს. როცა იკმარეს, აიშალნენ მუშები, გამოემშვიდობენ ამ ბიჭს და შეუდგნენ მუშაობას. შევხედოთ, ერთი კაცი მოდის გზაზე, კომბალი უდევს მხარზე. დაუძახა ბიჭმა: — მობრძანდი, სადილად მესტუმრეო. მობრუნდა ეს მგზავრი. ბიჭმა სუფრას უბრძანა: რაც ამ ერთ კაცს ეყოფა, სასმელ-საჭმელი გაუშალეო. მართლაც, პურ-მარილი დახვავდა. ამ კაცმა რომ დაინახა ეს ამბავი, თვალები დაჭყიტა და უთხრა ამ ბიჭს: — ეს სუფრა მე მომეცი და ამ კომბალს მოგცემო. — ჩემმა სუფრამ ეს იცის და შენმა კომბალმა რა იცისო? — უთხრა ბიჭმა.—ჩემმა კომბალმა ის იცის, — უთხრა ამ მგზავრმა,—თუნდაც ათასი კაცი იყოს, ეტყვი: კომბალ შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, ამათ სცემეო! მაშინ თუნდაც დაახოცვინებ, თუნდაც ცოტათი სცემო, როგორიც შენი სურვილი იქნებაო. დათანხმდა ბიჭი და გაუცვალა. გა-

მოემშვიდობნენ ერთმანეთს. აფრინდა ეს ბიჭი და თქვა: სახლში ასე უცბად პურს სად ვიშოვი, მოდი ამ კომბალს ვცდი ერთი, შეუძლია რამე თუ არაო. — კომბალ, კომბალ, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, ეს შენი ძველი პატრონი კარგად მიბეგვე, დაიხვიე ის სუფრა და, წამოიღეო! მართლა, გაიქცა ეს კომბალა, პატრონს ერთი-ორჯერ კარგა ლაზათიანად უთაქა, დაიხვია ის სუფრა და წამოუღო ამ ბიჭს.

მიფრინავს ეს ბიჭი. დაინახა, რომ ერთი მგზავრი მოდის ვიღაცა. ჩამოფრინდა გრილოში და დაუძახა იმ კაცს: — მობრძანდი, სადილად მესტუმრეთო. მივიდა ეს კაცი და წყრომით უთხრა: — რაზე მეპატიჟებიო? — მოითმინე, ბიძავ, ამ საათში ყველაფერი გაჩნდებაო. უბრძანა სუფრას: რაც ორ კაცს გვეყოფა, იმდენი საჭმელები გააჩინეო. მართლაც გაიშალა და დაინახა ამ კაცმა, რომ სუფრამ ეს გააკეთა. უთხრა: — გამიცვალე, აი, ამ ოთხ შამფურს მოგცემო. — შენმა შამფურებმა რა იცისო? შეეკითხა ეს ბიჭი. — ამ შამფურებმა ის იცის, დაურჭობ ოთხკუთხივ და ეტყვი: შამფურ, შამფურ, შენსა მზესა, შენი გამომცემლის მზესა, ისეთი გალავანი გააკეთე, რომ ბუზიც ვერ გადმოფრინდესო! მაშინვე ისეთი გალავანი შეიკვრება, რომ ბუზიც ვერ გადმოფრინდებაო. — მოეწონა ამ ბიჭს და გაუცვალა სუფრა. ბიჭმა უბრძანა ხალიჩას, აფრენილიყო. ეს კაცი კი გახარებული გაუდგა გზას, რომ ეს სუფრა დასტყუა ამ ბიჭს. ბიჭმა კომბალს უბრძანა: კომბალ, კომბალ, შენსა ძზესა, შენი გამომცემლის მზესა, ამ შამფურების ძველი პატრონი კარგად მიტყიპე, დაიხვიე სუფრა და წამოიღეო! მართლა გაიქცა ეს კომბალი, კარგადა სცემა, დაიხვია სუფრა და წამოუღო ამ ბიჭს. ბიჭი მოფრინდა სახლში. გაშალა სუფრა, შემოუსხდნენ დედა, თვითონ, ძაღლი, კატა და თაგვი. გასწიეს ქეიფი. ასე, ქეიფობდნენ ყოველდღიურად დედა-შვილი თავისი ძაღლით, კატით და თაგვით.

ბიჭი ამ ხნის განმავლობაში ძალიან დავაქკაცდა, ღონიერი გახდა. შეეჩვია ნადირობას. თან დაჰყავდა თავისი ძაღლი, კატა და თაგვი. ამ ბიჭს მოეწონა ერთი ხელმწიფის ქალი. თავის დედას დაავალა, რომ ეთხოვნა ის ქალი მისთვის. ხელმწიფემ რომ ეს გაიგო, ძალიან გაბრაზდა, ვინ ოხერი გდია და მე როგორ გამიბედა ქალის თხოვაო. შემდეგ კი უთხრა: — თუ თქვენი ქოხიდან ჩემს სასახლემდე ისეთ ბაღს გააშენებ, რომ რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდებოდეს და რიგი ილეოდეს, მივცემ ქალს, თუ არადა ჩამოვახრჩობო. შემდეგ კი დედას შეეშინდა, ტირილით მივიდა შვილთან და უთხრა: — გაბრაზდა ხელმწიფე და თქვა თქვენი ქოხიდან ჩემს სასახლემდე

ისეთი ბაღი უნდა გააშენო, რომ რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდებოდეს და რიგი ილეოდესო, თუ არა ჩამოვახრჩობო. — ნუ გეშინია, დედი, — უთხრა ბიჭმა და წავიდა. ამოიღო ნატვრისთვალი და ინატრა: აქედან სასახლემდე ისეთი ბაღი გაშენდეს, რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდებოდეს და რიგი ილეოდესო. ინატრა და ასრულდა. უთხრა დედას: წადი ახლა და ჰკითხე, რას იტყვის ხელმწიფეო.

ხელმწიფემ რომ ეს ბაღი დაინახა, ძალიან გაუკვირდა. მერე ეს უთხრა ბიჭის დედას:—თუ ა იმ ზღვაზე ისეთ ხიდს გადებს რომ ხუთი სახელმწიფოს ჯარი გავიდეს, მივცემ ქალს თუ არადა ჩამოვახრჩობო. მოვიდა ეს დედაკაცი ტირილით და შვილს უთხრა: — ეს რა ჭირს გადაეკიდე, ახლა ბრძანა, ამ ზღვაზე ამისთანა ხიდი გააკეთოს, რომ ხუთმა სახელმწიფომ გაიაროს და არ ჩაინგრესო. ბიჭმა უთხრა: — არა უშავს რა, ადვილიაო. ადგა, დაჯდა ხალიჩაზე. გაფრინდა ზღვაზე, გადაფრინდა, დაათვალიერა, სადაც რა ვიწრო იყო, ინატრა აქ ისეთი ხიდი გაკეთდეს, რომ ხუთმა სახელმწიფომ რომ ერთად გამოიაროს, არ ჩაიმტვრესო. გაკეთდა მართლა ხიდი. წამოვიდა და უთხრა დედას: აბა ნახე, ახლა რას იტყვისო. — ხელმწიფემ რომ დაინახა ეს ხიდი, გაუკვირდა. თქვა მჯობნისო. უთხრა: — ახლა ხუთ სახელმწიფოს დავიბარებ თავის ჯარით, გამოივლის და თანაც ამოდენა სურსათი თუ აქვს, ერთ დღეს გაუძღვეს, აჭამოს, თანაც ქორწილი იქნება, თუ არადა უნდა ჩამოვახრჩოო. დედამ უთხრა: — შვილო, ეს რა არის, ამას რას გადავეკიდე, ახლა ასე მითხრა ხელმწიფემ: ხუთ სახელმწიფოს პური აჭამოს, თანაც ქორწილი იქნებაო, თუ არა და ჩამოვახრჩობო. შვილმა გაუცინა: ხუთი სახელმწიფოს ჯარი კი არა, თავისი ნარიზ-ვეზირებიც მოიყვანოსო. მართლაც, მეორე დღეს მოადგა ხელმწიფე თავისი ჯარითა და ვეზირებით.

ბიჭმა ინატრა: იმდენი სკამი დაეწყოს, რამდენი ადამიანიც არისო. დაეწყო მართლაც. გაშალა სუფრა და უბრძანა: ამ ხალხს თავიდან ბოლომდე გასწვდი და გაშალე, რაც საუკეთესო საჭმელი და სასმელი არისო. მართლაც, გაიშალა სუფრა. რა საჭმელი გინდა, რა სასმელი გინდა, ჩიტის რძეც კი მოიპოვებოდა! მოუყვანეს პატარძალი, დაუსვეს გვერდზე, ამ ოთხ ხელმწიფეს შეშურდა ისეთი ლამაზი ქალი, ასეთი ქონება ამას რად უნდა ჰქონდესო. უთხრეს: — ეს შენი ქალიც, სუფრაც, ხალიჩაც და ნატვრისთვალიც მას დარჩეს, ვინც ომში გაიმარჯვებსო. ბიჭმა უთხრა: — ძალიან კარგი! შემატყობინეთ და მობრძანდითო. მართლაც, მეორე დღეს შეაიარაღეს ჯარი და გამოუგზავნეს კაცი, — მოამზადეს საბრძოლველად. ბიჭმა გარშე-

მო შამფურები დაურჭო თავის სახლს და ინატრა: შამფურ, შამფურ, შენსა მზესა, ისეთი გალავანი შემოარტყი, რომ ზარბაზანი კი არა, რაც არ უნდა დაარტყან, ნაპერწკალი ვერ აადინონ, ვერც მაღლიდან და ვერც გვერდიდანაო! მართლაც, გაკეთდა ისეთი გალავანი, ოთხი სახელმწიფო აქეთ-იქიდან მიადგა, ესვრიან ზარბაზნებს, მაგრამ ნაპერწკალსაც ვერ აგდებინებენ. კომბალმა უთხრა პატრონს: — რა წკატი-წკუტის ხმა ისმისო. — არაფერია, ჩემო კომბალავ, ოთხი სახელმწიფო მეომება, მაგრამ ვერაფერს დამაკლებსო. კომბალმა უთხრა: — მოდი, ცოტა ხანს გამიშვი გარეთ და მე გაჩვენებ მათ სეირსაო. — როგორ გაგიშვა, მოგკლავენო. — ნუ გეშინია ერთი არშინი მოთხარე გალავნის ძირზე, თავი გავყო და ისე გავალო. — მართლაც, ამოთხარა ამ ბიჭმა, კომბალი გავარდა გარეთ, დაერია ამ ჯარს, რომელსაც დაეჯახება, მაშინვე სულს აფრთხობინებს. მთელი ჯარი გაუწყვიტა ამ ოთხ ხელმწიფეს. ერთი მოდის ცხენდაცხენ ხმალ-ამოღებული და დაუძახა: — აი, შენ ასე და ისე, ამდენი მოძმე როგორ დამიხოცე, ახლა მიყურე, შენ რას გიზამო! ჩამოჰკრა ხმალი და კომბალი შუაზე გახეთქა. კომბალმა უთხრა: აქამდე ერთი ვიყავი, ახლა ორნი ვართო. ეცნენ და ეს მხედარი მოკლეს. მოუარეს ამ ოთხ ხელმწიფეს, კარგა მაგრად სცემეს, მიიყვანეს გალავნის ძირას, ერთი ჩახტა და რა დაინახა პატრონმა გახლეჩილი კომბალი, შეეშინდა და დაუძახა: — არ გითხარი, ნუ გახვალ, მოგკლავენ-მეთქი! — ნუ გეშინია, აქამდე ერთი ვიყავი, ახლა ორნი ვართ. ახსენ გალავანი და ნახე, როგორ არიან შენი დამარცხებული ხელმწიფეებიო. ახსნა ამ ბიჭმა გალავანი, ნახა თავდამტვრეული ხელმწიფეები, უბრძანა კომბალს, წაეყვანა ზღვაზე და გადაეყარა, მართლაც, წაიყვანეს და ოთხივე ხელმწიფე ჩაყარეს ზღვაში.

ეს ბიჭი დადიოდა სანადიროდ თავისი კატით და ძაღლით. ცხოვრობდა ტკბილად თავის ცოლთან და დედასთან ერთად.

ერთ მშვენიერ დღეს ჩარჩმა ჩამოატარა ფარჩა და იძახის: ფარჩა, ქალებო, ფარჩა, ქალებო! — გამოვიდა პატარძალი, აარჩია, საკაბე უნდოდა თუ სხვა რაც სჭირდებოდა ოჯახისათვის ჩითები. ჩარჩს ეს ქალი მოეწონა და უთხრა, პური მშია მაჭამეთო. ამ დროს ეს ბიჭი წასულა სანადიროდ თავისი ლეკვით, კატით და თაგვით. ჩარჩი სახლში რომ შევიდა, მიიხედ-მოიხედა და დაინახა ბუხრის თავზე ნატვრისთვალი, აიღო ჩუმად და ინატრა: ეს სახლი იდგეს შუა ზღვაში. მართლაც, ეს სახლი შუა ზღვაში გაჩნდა და ჩარჩმა ამ პატარძალს უთხრა: — შენ ჩემი ცოლი ხარ დღეიდანო. ქალმა ტირილი დაიწყო და მიუგო: — ძალა არ შეგწევს, უმწეო ქალები

ვართ, მაგრამ დრო უნდა მოგვცე, სამი დღე და სამი საათი. თუ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა პატრონმა გვიშველა, გვიშველა, თუ არადა რაც გინდა გვიყავიო.

საღამოთი ეს ბიჭი რომ მივიდა, ნახა თავისი სახლი იქ აღარა დგას, გაიხედა — შუა ზღვაშია. მარტოდმარტო შერჩა კატა, თაგვი და ძაღლი. სხვა იმ სახლშია ყველაფერი. მივიდა ზღვის პირას და ტირის: ნეტავ რომელმა მიღალატა, ცოლმა თუ დედამაო. ძაღლმა უთხრა კატას — შემაჯექი ზურგზეო, — მერე თაგვს უთხრა: — შეაჯექიო კატასო. შეცურდა ძაღლი და წავიდა იმ სახლისაკენ. კატას უთხრა: — აიყვანე ეს თაგვი ისეთ ადგილას, სადაც შეძვრება და გაიგებს, ვინ არის შიგაო. მართლაც, ავიდა ეს კატა, მიიყვანა ხვრელთან, შეძვრა თაგვი და ნახა ერთ ჩარჩს სძინავს სახლში და რძალ-დედამთილი ტირიან მეორე ოთახში. გამოვიდა თაგვი, ჩამოიყვანა კატამ ძაღლთან და ძაღლმა უთხრა: — ვინ არიან სახლშიო? — ერთ ჩარჩს სძინავს. რძალ-დედამთილი კი ტირიან მეორე ოთახშიო. ძაღლმა უთხრა: — ადი და მოძებნე ნატვრისთვალიო. — ავიდა, თაგვმა ირბინა აქეთ-იქით, მაგრამ ვერ იპოვა. ჩამოვიდა და უთხრა ძაღლს: ვერა ვპოულობო. — ჩარჩი ეშმაკია, — ძაღლმა უთხრა, — პირში ექნებაო. — თაგვმა უთხრა: — მაშ ადვილიაო. — ავარდა, შევარდა კარადაში, მიირბინ-მოირბინა, ერთი ძმრის ბოთლი გადააქცია, ჩაყო კუდი შიგ. დაასველა, მოვიდა, მიეპარა ჩარჩს, წაუჩუჩხუნა ცხვირში. ჩარჩს ცხარე რომ მოხვდა ცხვირში, დააცემინა, გამოუვარდა პირიდან ნატვრისთვალი, თაგვმა დაავლო პირი და გაიქცა. ჩარჩი გამოედევნა, მაგრამ ვერ დაიჭირა. თაგვი ჩავიდა დაბლა, უთხრა ძაღლს: — მომაქვსო. უბრძანა ძაღლმა კატას: შემაჯექ ზურგზე, შენ თაგვი შეისვი და გავიდეთ პატრონთანაო! კატამ დაუწყო კაწუნი თაგვს: მე მომეცი, შენ ჩაგივარდება წყალშიო. თაგვმა არ დაანება, ამ დროს გადავარდა თაგვი და დაიხრჩო.

გამოვიდა ნაპირზე, რომ ნახა ძაღლმა თაგვი აღარ იყო, ეცა კატას, დაუწყო ჯენჯვა. რომ დაინახა პატრონმა, გააშველა ეს მოჩხუბრები. ძაღლმა დაისვენა და წავიდა ზღვაზე. ჩავიდა, იარა ბევრი. მიანგრ-მოანგრია იქაურობა, მაგრამ ვერ იპოვა. გამოვიდა. დაისვენა და დაბრუნდა ისევ წყალში. იარა იმდენი, რომ იპოვა დამხრჩვალი თაგვი. გამოიტანა პატრონთან. პატრონი ძალიან შეწუხდა ამ თაგვის დახრჩობაზე, ძაღლმა რომ დადო თაგვი მიწაზე, დააჭირა ფეხი მუცელზე და პირიდან წყალთან ერთად გადმოვარდა ნატვრისთვალი. ბიჭმა სიხარულით ერთი შეჰკივლა და დაავლო ხელი ნატვ-

რისთვალს. ეგ იყო, რომ დანიშნული დროც მთავრდებოდა და ის ჩარჩი სიხარულით ცას ეწეოდა. ამ დროს ამ ბიჭმა ინატრა: ჩემი სახლი როგორც იდგა, ისევ იმ ალაგას იდგეს და შიგ ვინც არიან, ისევ ისე დამიხვდესო. მართლაც, სახლი ადგილზე დადგა. შევიდა ეს ბიჭი ოთახში და რასა ჰხედავს: ვიღაც ჩარჩს სძინავს. გავიდა მეორე ოთახში, ნახა ცოლი და დედა თავპირდასიებულები ბევრი ტირილისაგან. — რა მოხდა, მითხარით ახლაო? — შეეკითხა თავის ცოლსა და დედას. ცოლმა დაწვრილებით უამბო: — ამ ჩარჩს ფარჩა დაჰქონდა, ჩვენ ავიზომეთ ფარჩა. მერე ამან პური მოგვთხოვა, მოვიყვანეთ სახლში და უეცრად ჩვენი სახლი ზღვაზე გაჩნდა. ვერ ჭავიგეთ რანაირად და როგორაო. წამოხტა ეს ბიჭი, გავარდა ჩარჩთან, გააღვიძა, გამოიყვანა აივანზე. კარგი მოზრდილი აივანი ჰქონდათ.

უბრძანა კომბლებს: ჯერ ისე სცემეთ, ამ აივანზე გააქც-გამოაქციეთო, მერე დააგორეთ კიბეზე და ბოლოს წაიყვანეთ, ზღვაში გადააგდეთო! მართლაც, შეასრულეს ამ კომბლებმა. ჯერ იქა სცემეს, მერე კიბეზე დააგორეს, წაიყვანეს და გადააგდეს ზღვაში.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე — წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით დამიძეხით, საიქიოს ცხონებითა.

მზის დედა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. სახლის წინ ედგათ ერთი ხე, რომელიც ისხამდა ოქროებს. დილ-დილით გავიღოდნენ, კრეფდნენ ამ ოქროებს. კაცმა გამოაცხადა: — ვისაც უნდა მოვიდეს და სანაძლეო დამიდოს: თუ გამოიცნოს ხე რაზეა ამოსული, ეს ხე მას დარჩეს, თუ არადა ერთი ტომარა ფული დაარჩინოსო. მოდიოდნენ და ვერავინ ვერ გამოიცნო. მის ცოლს ჰყავდა ერთი საყვარელი. ცოლმა უთხრა იმ საყვარელს: გველის კუდზეა ამოსულიო. მოვიდა ის კაცი და პირველად თითქოს ვერ გამოიცნო, გაბრუნდა და ფული დაარჩინა იქ, მობრუნდა და უთხრა: — ერთიც მაქვს სათქმელიო, გველის კუდზე ხომ არ არის ამოსულიო? — მართალიაო, და დაუთმო ის სახლი და ის ხე მას. დაფიქრდა და თქვა: „ამან როგორ გაიგოო?“ გამოვიდა და მზის დედასთან წავიდა საკითხავად.

მიდიოდა და წინ შეხვდა ერთი ზღვა. ზღვისპირას იწვა ერთი დიდი თევზი, ძალიან იყო გამაძღარი და ვერ ინელებდა. იმ თევზმა უთხრა: ჩემი ამბავიც უთხარი, როგორ უნდა მოვინელოო. იარა, იარა და წინ შეხვდა დიდი მინდორი, ხის გუთნით ხნავდნენ, გუთანი უფუჭდებოდათ მალ-მალე. აჭამეს პური: ბარემ ჩვენი ამბავიც უთხარიო. — იარა, იარა და წინ შეხვდა ერთი დიდი მინდორი, იმ მინდორში ჰყავდათ ცხვარი, არ იცოდნენ, როგორ გაეპარსათ და ეხოცებოდათ. მათაც უთხრეს: ბარემ ჩვენი ამბავიც გაიგე და გვითხარიო. წავიდა, იარა, იარა და შეხვდა ერთი დიდი ხე, იმხელა იყო, რომ თვალს ვერ აწვდენდა. ირემზე იყო ის დიდი ალვის ხე ამოსული, იმ ალვის ხეზე იყო კიბე, იმ კიბით მზის დედასთან უნდა მისულიყო. ირემმა ჰკითხა: — სად მიდიხარო? — მზის დედასთანაო. — კიბე აქა მაქვს და ამოდიო. მხოლოდ ერთი ბღუჯა ბალახი მომაწოდე, რომ შევჭამო, მშიერი ვარო. შეაჭამა და ავიდა.

იარა, იარა და მივიდა მზის დედასთან. მივიდა და — რა გაგჭირვებიაო? — ჩემი საქმე ასეა და იმ კაცმა როგორ გაიგოო? — უთხრა — ის კაცი შენი ცოლის საყვარელია და ცოლმა გიღალატაო. ჰკითხა თევზის ამბავი, საქმელს ვერ ინელებსო. მზის დედამ უთხრა: — შეაჯექი, წყალში გაგიყვანსო, აქეთ-იქით ხელი შემოარტყი და ერთი ტომარა ფული გამოვარდებაო, მიდი და იმ კაცს ასეთი სანაძლეო დაუდე: მზე ხომ აღმოსავლეთით ამოდის და დასავლეთით ჩადისო? დააწერინე ხელწერილი, მოიწვიე ხალხი და დასხედით და დასავლეთით ქენით პირიო. დასავლეთით ამოვალ და აღმოსავლეთში ჩავალო. ახლა უთხრა გუთნის ამბავი: უთხარი, რომ მარტო სახნისი გაუკეთონ რკინისა, დანარჩენი ხისა იყოსო და არ გაუფუჭდება-თქო. უთხრა ცხვრისა: მაკრატელი აიღონ და გაპარსონო.

დაბრუნდა და ჩამოვიდა. მეცხვარეებს გააპარსვინა ცხვარი, ადგნენ და გაიქცნენ. მივიდა გუთნებთან: — რკინის სახნისი გაუკეთეთ, დანარჩენი ხისა იყოს და არ გაგიფუჭდებათო. მართლაც, გაუკეთეს და მოხნეს, არ უფუჭდებოდათ. — რა გაჩუქოთო? — ერთი მშვილდ-ისარი გამიმართეთ და ხმალიო. გაუკეთეს, მისცეს და წამოვიდა. თევზს უთხრა: — შემისვი, გამიყვანე და მე მოგანელებინებო. შეისვა და გაიყვანა იქითა მხარეს. შემოარტყა ხელი გამოვარდა ერთი ტომარა ფული. მოისვენა თევზმა, შეცურა წყალში და წავიდა. ეს კაციც წავიდა, ვისთანაც სანაძლეო უნდა დაედო. მივიდა მათთან და ხედავს, იმ კაცს შეურთავს მისი ცოლი. ვერც ნაცოლარმა და ვერც იმ კაცმა ვერ იცნეს. დაუდო სანაძლეო: ,ხომ

აღმოსავლეთით ამოდის მზე და დასავლეთით ჩადის? მე სანაძლეოს დაგიდებ, რომ დასავლეთით ამოვიდეს და აღმოსავლეთით ჩავიდეს. იმ კაცმა დაუდო სანაძლეო.

მოიწვიეს ხალხი, დასხდნენ სკამზე და პირი დასავლეთისაკენ ქნეს. სანაძლეოს ძალით, თუ მოიგებდა, იმ კაცს ის ცოლიც უნდა მოეკლა, ის კაციც და სახლი თვითონ დარჩენოდა. მართლაც, დაინახეს, რომ აღმოსავლეთით ჩაბნელდა და დასავლეთით ამოვიდა მზე. მოუგო სანაძლეო, მივიდა იმ კაცთან და იმის ცოლთან და უნდა დაეხოცა ისინი. უთხრა: — სიცოცხლე გაჩუქოთ თუ არაო? კაცმა უთხრა: — მარტო ყური ჩამომაჭერიო.

როგორ თუ ყურიო, მოსჭრა კისერი, ცოლიც მოკლა, ის სახლი მას დარჩა ისევე და უფრო კარგად იცხოვრა.

მადლიერი მკვდარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე, მას ჰყავდა სამი შვილი. ხელმწიფე მობერდა, მოიხმო შვილები და უთხრა: ამ სიბერის დროს ჩემი სურვილი უნდა აასრულოთო. მავან ხელმწიფეს ქალი ჰყავს, ის ქალი უმცროსმა ძმამ ცოლად შეირთოსო. გარდაიცვალა ხელმწიფე. ადგნენ სამნი ძმანი, გაემგზავრნენ ქალის საძებნელად. ერთი და ჰყავთ და ისიც თან წაიყვანეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გზაჯვარედინს მიადგნენ, სამი გზა იყრებოდა, სამივე გზაზე ქვა იყო ჩასმული და ზედ ეწერა: ვინც აქით წავიდეს, ადვილად დაბრუნდეს, მეორეს ეწერა: ვინც აქეთ წავიდეს, საეჭვო იყოს მისი დაბრუნებაო, მესამეს ეწერა: ვინც აქეთ წავიდეს, ვეღარ მობრუნდესო.

უფროსმა ძმამ აირჩია საიმედო გზა, საშუალომ — საეჭვო, უმცროსმა კი — სახიფათო. უმცროსმა ძმამ თან გაიყოლა და. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდნენ ერთ კაცს, რომელსაც საფლავიდან ახალი მკვდარი ამოეღო და ჯოხითა სცემდა. ხელმწიფის ბიჭმა უთხრა: — რათა სცემო? — იმიტომ ვცემ, რომ ჩემი აბაზი ემართა, არ მომცა და ისე მოკვდაო. ამოიღო ხელმწიფის ბიჭმა რვა აბაზი, ოღონდ ნუ სცემ და ამას მოგცემო. მისცა რვა აბაზი.

ხელმწიფის ბიჭმა აიკიდა კვლავ თავისი ბარგი, წაიყვანა თავისი და, მიდის გზაზე. დასვენება მოუნდათ. უთხრა დას: — დავისვენო-

თო. იქვე ხე იყო, იმ ხის ქვეშ იჯდა ერთი მოხუცი კაცი. ქალს შერცხვა და ისევ გამობრუნდა. მოხუცმა დაუძახა: — მეც ღვთის კაცი ვარ, დაისვენეთო. მივიდა ხელმწიფის ბიჭი, ჩამოიღეს ბარგი და დაისვენეს. როცა წამოსვლა დააპირეს, მოხუცმა კაცმა უთხრა: — მე და შენ დავძმობილდეთო. ხელმწიფის ბიჭმა უარი მოახსენა. მოხუცმა უთხრა: — რატომ ამბობ უარსო? ბიჭმა უთხრა: — მე და მყავს და შენ მარტოხელა კაცი ხარო. რასაც ვიშოვით, შენი მეტი დაიხარჯებაო. მოხუცმა უთხრა: — ორნი უფრო შევინახავთო. რახან მოხუცმა მოუჭრა სიტყვა, დაძმობილდნენ. ბიჭმა უთხრა: — უფროსი შენ უნდა იყოო. მოხუცმა მიუგო: — არა, შენ უნდა იყოო. ბიჭის დამაც ურჩია უფროსობა, რადგან ხნიერი კაცი იყო და კარგად წაიყვანდა საქმეს, კარგად იუფროსებდა. ადგნენ და წავიდნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ სოფელს, ერთ დედაბერთან მივიდნენ. დაუძახეს, ამაღამ შეგვიფარეთო. დედაკაცმა შეიბრალა ძმობილები. გათენებისას ადგნენ და ყველაფერი გამოჰკითხეს ამ ბებერ დედაკაცს: ან ხელმწიფე სად ცხოვრობდა, ან როგორი სახელმწიფო იყო ეს. ბებერი დედაკაცი მოუყვა ყველაფერს: ჩვენს მეფეს ჰყავს ერთი ქალი, ოთხმოცჯერ მაინც გაათხოვა, მაგრამ საქმრო არა რჩება, ეხოცებაო. ადგა მოხუცი კაცი და მაშინვე წავიდა მასთან. უთხრა: — ბიჭი მოგიყვანე სასიძო და ქალი უნდა გაათხოვოო. ხელმწიფემ უარი განუცხადა: — ჩემ შვილს მრავალი საქმრო მოვუყვანე, მაგრამ დაეხოცნენ. რად გინდა, რომ ეგ კარგი ყმაწვილიც მოკვდესო. ხელმწიფის ქალმაც უარი თქვა: — რაკი ბედი არა მაქვს, არა მაქვსო. ეს ბებერი კაცი ძალიან შეეხვეწა და როგორც იყო მოაწადინებინა. მოიყვანეს ბიჭი, შესახედავად ძალიან მოეწონათ, მაგრამ ქალი ტიროდა, არც ეს შემრჩება და რად გინდათ, რომ გავთხოვდეო.

გამართეს ქორწილი. ხელმწიფემ სუყველა სოფლიდან მოიწვია ხალხი. დაღამდა, ხელმწიფის ქალი და ბიჭიც ცალკე ოთახში უნდა დაეწვინათ. ქალს გამოჰყვნენ სხვა ქალებიც. ეს ბიჭი რომ წაიყვანეს, მოხუცმა თქვა: — მეც უნდა გავყვე ჩემს ძმასო. ხალხმა უარი უთხრა: არ შეიძლება შენი გაყოლაო. დიდი ხვეწნის შემდეგ გააყოლეს ბერიკაცი. ქალი და ბიჭი დაწვნენ, მოხუცი ცალკე კუთხეში დაწვა. ამ მოხუცს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მივიდოდა და მალი-მალ დახედავდა თავის ძმას: სუნთქავს თუ არაო. შუაღამისას ქალმა გაიზმორა და პირიდან ამოუფრინდა არწივი. ბერიკაცს გალესილი დანა ეჭირა ხელში, ამოფრენისთანავე სტაცა ხე-

ლი და მოაჭრა ყინწი. ქალმა მეორედაც გაიზმორა, პირიდან ამოუფ-რინდა ისეთივე არწივი. მოხუცმა კაცმა მასაც მოაჭრა ყინწი. ქალმა რამდენჯერმე გაიზმორა და სულ არწივები ამოდიოდნენ. თანდათან უფრო პატარა-პატარა არწივები ამოფრინდნენ. მოხუცმა კაცმა ყველა დახოცა. გათენების ხანს ქალმა დაიწყო ტირილი. ხელმწიფის ქალს ეგონა, ესეც მკვდარიაო.

მოხუცმა ჩუმად უთხრა: ნუ ტირი, ჯერ მიდი და ნახე, ეგება მკვდარი არ არისო. ქალის ერთი ცრემლი ბიჭს დაეცა ლოყაზე და შეტოკდა. გახარებული ქალი წამოხტა, გაიქცა თავის მამას-თან და უთხრა: — ცოცხალიაო! ხელმწიფეს გაუხარდა, შეუყვარდა ეს ყმაწვილი, მეფობას ულოცავდა, მაგრამ ბიჭმა არ იკისრა. მეორე დღეს ბიჭი ადგა, ჭამა პური და უთხრა: — ნადირობა მიყვარს და ახლომახლო ვინადირებო. ხელმწიფემ არ დაუშალა, ინადირე, მხო-ლოდ აი, ამ მთას იქით მინდორში დევების კოშკია, იქ არ მიხვიდეო. ბიჭმა უთხრა: — იქ არ წავალო. ხელმწიფემ უბრძანა თავის ვეზი-რებს: — ცხენები გამოუყვანეთ და თვითონ აირჩიოსო. სიძემ ერთი კარგი შავი ცხენი დაიჭირა, წაავლო წელზე ხელი, მოუჭირა ორი თითი და შუაზე გაწყვიტა. ახლა თეთრს სტაცა ხელი, ისიც გა-წყვიტა. ვეზირები გაიქცნენ, ხელმწიფეს უამბეს: — რომელ ცხენ-საც კი დაიჭერს, ორი თითით შუაზე წყვეტავსო. ხელმწიფეს ძა-ლიან გაუხარდა ეს ამბავი, თქვა — ჩემი მერანი გამოუყვანეთ, მი-სი ღირსი ყოფილაო! მოუჭირა თითები, მერანს წელი ეტკინა, შეხტა და ფლოქვი შემოჰკრა სიძეს. მას ძალიან მოეწონა ეს ცხენი, შეჯდა, აისხა იარაღი და წავიდა სანადიროდ.

ეს ბიჭი წავიდა პირდაპირ დევებთან. მთა რომ გადაიარა, გამო-ჩნდა კოშკი. გააქანა მერანი იმ კოშკისაკენ, მივიდა და დაუძახა სამ ძმა დევს: კარში გამოიხედეთო! გამოიხედეს. სამთავიანმა დევმა თქვა: — კარგი ლუკმა მოსულხარო. გამოქანდა დევი და უნდა სტაცოს პირი ამ ბიჭს, მაგრამ მან ესროლა მშვილდ-ისარი და სამივე თავი წააგლიჯა. კიდევ დაიძახა: — გამოდი, საშუალოვ, ძმა მოგიკალიო! გაბრაზებული გამოვარდა ექვსთავიანი დევი. უნდა ეტაკოს ბიჭს და გადაყლაპოს, მაგრამ ბიჭმა ესროლა მშვილდ-ისარი და სამი თავი წააგლიჯა. სანამ დევი მოვარდებოდა, მეორედაც ესროლა და მოკლა საშუალო დევიც, ძმები დამიხოცეო! გამოვარ-და ცხრათავიანი დევი. აივნის ქვემოთ იდო ხუთასფუთიანი საწონი. სტაცა მას ხელი და ესროლა ბიჭს. ბიჭმა მერანი გვერდზე გაახტუ-ნა და თვითონ ესროლა მშვილდ-ისარი. მშვილდ-ისარმა სამი თავი წააგლიჯა. ჩამოხტა ბიჭი, სტაცა ხელი დევს, აიტაცა მაღლა, დასცა

დედამიწაზე, კისრამდის ჩასვა მიწაში და უთხრა: უნდა მოგაჭრა თავებიო. ხუთი თავი რომ მოაჭრა, ამოიყვანა დევი მიწიდან და უთხრა: — დამატარე ამ სახლში, თორემ მოგკლავო!

დევმა დაატარა სახლი და სუყველაფერი უჩვენა. ბიჭმა გამოაგდო სახლიდან დევი: — სადაც გინდა, იქ წადიო! დევს იქვე ახლოს გამოქვაბული ეგულებოდა, მივიდა და ამ გამოქვაბულში დაწვა. ბიჭმა მოკრიფა დევების თავები და გამოემგზავრა შინისაკენ. მოვიდა თუ არა შინ, ხელმწიფეს მოახსენა: შენ რომ გაშინებდნენ, ის დევები, სულ ყველა დავხოცეო. ხელმწიფემ არ დაიჯერა: იმათი მომრევი არავინ არ იყო ქვეყანაზე და შენ როგორ დახოცავდიო. ბიჭმა უჩვენა. — მე იმ კოშკში უნდა ვიცხოვრო ცოლთან ერთად, დასაც თან წავიყვანო. მაშინ ძმობილმა უთხრა: — უნდა გამეყარო და ქონება გავიყოთო. ბიჭმა ვერაფერი უთხრა, რადგან უფროსობა მას ჰქონდა ჩაბარებული. მოხუცმაც ყველაფერი შუასე გაყო და ბოლოს უთხრა: — ეს ქალიც უნდა გავყოთ შუაზეო. როგორ უნდა გავყოთო? — მე გავყოფო. მოხუცმა ჩაანთო თონეში ცეცხლი, სულ ნაკვერჩხლად აქცია. აიყვანა ქალი, დაიჭირა თონეზე, ცალი ხელი თვითონ წაავლო, ცალი ხელი ქმარს დააჭერინა, ჩამოჭრა ხმალი თავიდან და შუაზე გააპო. გადაჭრილი ქალიდან გამოცვივდნენ არწივები, ბაყაყები, გველები. მიატკაცა ისევ ის ქალი ერთმანეთს, მოუსვა ფრინველის ბუმბული და როგორიც იყო ისეთი გახდა.

ახლა უთხრა მოხუცმა ბიჭს: — მე არაფერში არ შეგეცილები, ყველაფერი შენთვის დამილოცნია. მე ისა ვარ, გზაზე რომ შეგხვდი. ერთი კაცი მკვდარს რომ სცემდა და შენ რომ უთხარი: რაც ემართა ორ იმდენს მოგცემ, ოღონდ თავი დაანებეო. შენ რაკი სიკეთე მიყავი, იმისათვის დავეთხოვე უფალს, წამოვედი შენთან, სამაგიერო სიკეთე გამეწია რამე. ამაზე მეტი სიკეთე როგორღა გინდა! ეს ამოდენა საცხოვრებელი შენო და გაფრინდა ცაში. ყველანი გაკვირვებულები დარჩნენ. ბიჭი წამოვიდა იმ კოშკისაკენ და დაიწყო კოშკში ცხოვრება.

რამდენიმე წელმა განვლო. ბიჭის დას მოუნდა გათხოვება. დაიწყო ახლომახლო ხეტიალი. მიადგა იმ გამოქვაბულს, სადაც დევი იყო. ნახა დევი, ერთი თავი რომ დაურჩინა. ქალმა დევს უთხრა: შენ ქმარი და მე ცოლიო. დევი უარზე იდგა: შენს ძმას ერთი თავი შეურჩენია და იმასაც მომაჭრისო. ქალმა უთხრა: — ჩემ ძმას ვეტყვი, ძალად გამაუნამუსა-თქო და მოგკლავსო. დევს შეეშინდა და დათანხმდა —მე ჩემს ძმას ძალიან ვუყვარვარ, მას ისეთ ალაგას გავგზავ-

ნი, რომ იქიდან ცოცხალი აღარ დაბრუნდებაო. შენ ქმარი იყავი და მე ცოლიო. ამ ქალის ძმა სანადიროდ იყო წასული, სანამ ბიჭი მოვიდოდა, ქალმა მოიავადმყოფა თავი და დაწვა. როცა ძმა მოვიდა, უთხრა: — რად დაწოლილხარ, რა გაგჭირვებიაო? — მე ძალიან ავადა ვარ და ცხრა მთას იქით რომ ერთი კამეჩია, მხოლოდ იმის გულ-ღვიძლი მომარჩენსო. ბიჭმა უთხრა, მაშ ძმა მოგკვდომია, თუ არ მოგიტანოს იმის გულ-ღვიძლიო. ქალს დევმა ასწავლა ეს.

წავიდა ბიჭი. გადაიარა ცხრა მთა, კამეჩის სიახლოვეს რომ მივიდა, მის ცხენს ბარბაცი დააწყებინა. ჩამოვიდა ცხენიდან ბიჭი და მიდის ფეხით. ცხენი კი იქ დაება. მიუახლოვდა თუ არა, ბიჭმა ესროლა მშვილდ-ისარი, მაგრამ ვერაფერი დააკლო. კიდევ რომ მიუახლოვდა, კამეჩმა უთხრა ბიჭს: ვიღაცა ხარ, ძალიან ღონიერი ხარ, ჩემთან ასე ახლოს ვერავინ მოდის, შენ კი მოხვედი. მაგრამ რაც არ უნდა ქნა, მე მაინც ვერ მომკლავ, ორი მტკაველის სისქე ტყავი მაკრავს და შენი ისარი ერთი თითის სისქეზეც ვერ შემატანსო.

ბიჭმა არ დაუჯერა, ესროლა მშვილდ-ისარი, მაგრამ ვერაფერს ვახდა. კამეჩმა ისევ უთხრა: შორიდან ვერაფერს მიზამ, ახლოს მოხვალ და რქებით დაგხვევ! ბიჭმა იფიქრა: „ეს ისეთი ღონიერი ყოფილა, ვერაფერს გავხდებიო“ და დაბრუნდა უკან. დაღონებული მიდიოდა. გზაში ერთი კაცი შეხვდა. — რატომ ხარ დაღონებულიო? — ჰკითხა. ბიჭმა ყველაფერი უთხრა. კაცმა ურჩია: ჩადი ჭალაში, ხედავ რამდენი კამეჩია, ერთ-ერთ კამეჩს სტაცე ხელი, დაკალი, ამოარიდე გულ-ღვიძლი, მოუტანე შენს დას და მორჩებაო. იმ ბიჭმა მართლაც ასე გააკეთა. გამოარიდა ერთ კამეჩს გულ-ღვიძლი და წამოვიდა შინ. აჭამა დას, ქალი ადგა მაშინვე: — კარგადა ვარო. ბიჭი წავიდა სანადიროდ. მეორე დღეს ქალი მივიდა ისევ დევთან და უთხრა: — კამეჩის გულ-ღვიძლი მომიტანაო. დევმა უთხრა: — უკვდავების წყალი მოატანინეო. მისი მოტანა ძალიან ძნელია, იქ უეჭველად მოჰკლავენო. სანამ ნადირობიდან მოვიდოდა ბიჭი, დაწვა ქალი და მოიავადმყოფა თავი. მოვიდა ბიჭი, უთხრა დას: — რატომა ხარ ავად, რა მოგარჩენსო? — მე მომარჩენს მხოლოდ უკვდავების წყალიო. — მაშ, ძმა მოგკვდომია, თუ ის არ მოგიტანოსო.

იდგა ბიჭი, შეჯდა მერანზე და გაემგზავრა უკვდავების წყლის მოსატანად. იმ წყლის მოტანას სამი წელიწადი უნდოდა. გზაში ბიჭმა დაინახა ერთი მიჯაჭვული რაში. მივიდა ახლოს, როგორც იყო დაიჭირა, შეხსნა ჯაჭვები და შეჯდა ზედ. რაშმა უთხრა: — ჩემი

დამჭერი არავინ არ იყო, რაკი შენ დამიმორჩილე, რაც არ უნდა დამავალო, აგისრულებო. ბიჭმა უთხრა: — უკვდავების წყალი უნდა მოვიტანოთო. რაშმა მიუგო: — მე უკვდავების წყალი გამომიტანია იქიდან. ძალიან ძნელია მისი გამოტანა, შენ თუ ყოჩაღად მოიქცევი, გაძოვიტანთო. რაშმა ბიჭს უჩვენა ერთი გზა. ორი დოქი უკვდავების წყალი კლდის პირას აგდიაო, მე იმ კლდეს ახლოს ჩავუქროლებ და შენ უნდა სტაცო ხელი და სწრაფად წაიღოიღო. დოქს რომ აიღებ, რაც ქვეყანაზე ნადირია, ჩვენ გამოგვეკიდებაო, თუ ძალიან მოგვიახლოვდნენ, ხმლით მოიგერიე, მხოლოდ ხმალი მე არ მომარტყაო.

აფრინდა რაში, ბევრი ფრენის შემდეგ ჩაუქროლა იმ კლდეს, სადაც დოქები ეწყო. ამ ბიჭმა სწრაფად დასტაცა ხელი და დაიჭირა ხელში მაგრად. დოქის აღებისთანავე, რაც ქვეყანაზე ნადირი იყო, სუყველა მათ გამოედევნა. რაში ძალიან დაიღალა, მაგრამ მაინც გამოასწრო. ნადირები დაუახლოვდნენ. ერთი ლომი უნდა სტაკებოდა რაშს. ბიჭმა დაჰკრა ხმალი და მოაგლიჯა თავი. ბოლოს ნადირებმა თავი ანებეს. ეს ბიჭი წამოვიდა შინ. დიდი სიარულის შემდეგ მივიდა იქ, საღაც ხელმწიფე იყო. ერთ ტყეში შევიდა და დაინახა, რომ ხალხი მოდის შეკაზმული ცხენებით სულ განუწყვეტლივ. ბიჭმა თქვა: ნეტავ რისთვის მიდიანო? ამ ბიჭს ძალიან გაეზარდა წვერიც, ტანისამოსი სულ გაცვეთილ-დაკონკილი ეცვა. ამ ტყეში მოესმა წალდის ხმა, ფიჩხს სჭრიან. მიჰყვა ამ ხმაურობას და მივიდა ერთ კაცთან, უთხრა: — გამარჯობა, — გაგიმარჯოსო. — ეს ხალხი სად მიდისო? — ეს ხალხი მიდის ხელმწიფესთან. უწინ ჰყავდა ერთი სიძე, ეს სიძე წავიდა და დაიკარგა. ისეთი ღონიერი იყო, რომ მისი მომრევი არავინ არ გამოსულა. დაკარგვის შემდეგ სიძე ბევრი ეძება ხელმწიფემ, ხან ცაში, ხან დედამიწაზე, ხან ზღვაში და ხმელეთზე, მაგრამ ვერ იპოვა. გამოიგლოვეს ეს ბიჭი, ხელმწიფე ახლა ათხოვებს თავის ქალსაო. მხოლოდ იმ პირობით, რომ მეფემ გასჭრა დიდი ორმო, ას ორმოცდაათი მეტრის სიგრძისა, ოცდაათი მეტრი სიმაღლის, ვინც ამ ორმოზე გადაახტუნებს ცხენს, იმას მივცემ ქალსაო. ბიჭი წამოხტა მაშინვე, ენიშნა. — მომეცი, ეგ ჩოხა ჩამაცვიო. ერთი მეცხვარული ქუდიც გამოართვა და წამოვიდა. ხალხს სულ უკანიდან ამოუდგა. ბიჭმა უთხრა მეფეს: — აბა, ჰკითხე შენს ქალსა, თუ გადავახტუნო ამ ორმოზე ცხენი, შემირთავს თუ არა ქმრადაო? ხელმწიფე ქალს დაეკითხა. ქალმა უთხრა: — ეგ ვინ მოთრეულა, მაგას არ შევირთავ, რაც არ უნდა გადაახტუნოსო. ხელმწიფემ უთხრა იმ ბიჭს: — მაგას ვინა ჰკითხავს.

პირობა მე დავდეო. კარგიო, — უთხრა ბიჭმა. მეორე მხარეს ვერავინ ხტებოდა. ორმოში ცვივოდა, ზოგი კვდებოდა; ზოგი იმტვრეოდა, მაინც არ იშლიდნენ. ამ ბიჭის დრო რომ მოვიდა, მძიმედ გაარტყა ცხენს მათრახი, ისკუპა ცხენმა, შუა ალაგას ჩავარდა. ამოიყვანა ცხენი ბარბაცით, მეორე დღესაც გაგრძელდა გადახტომა, მაგრამ ვერავინ გადახტა ნაპირამდის. ამ ბიჭის დრო რომ მოვიდა უნდა გადაეხტუნებინა, მაგრამ ქალმა უთხრა: — კიდე მოეთრიეო? გინდა გადაახტუნო, მაინც არ შეგირთავო. ხელმწიფემ უთხრა: ამას არავინ ჰკითხავსო. ბიჭმა დაუჯერა, ცხენს ჰკრა ქუსლი და მათრახი, ისკუპა ცხენმა, ნაპირიდან კიდევაც გადააცილა, მოატრიალა ბიჭმა მერანი და უთხრა ხელმწიფეს: — გადავახტუნე და რას იტყვიო. უარს არ ვამბობო. იმ დღისითვე ხელმწიფემ დაავალა ვეზირებს, გაპარსეთ პირი, დაბანეთ და გამოუცვალეთ ტანისამოსიო. მართლაც, ვეზირები მივიდნენ დასაბანად, უთხრეს, უნდა დაგბანოთო. ბიჭმა უპასუხა: — არაო! გამოუცხადეს ხელმწიფეს, რომ უარს ამბობსო. კვლავ ხუთი ვეზირი გაგზავნა. ამ ბიჭმა უარი განუცხადა ისევ. ისევ უკან დაბრუნდნენ ვეზირები.

ახლა გაუგზავნა ოცი ვეზირი, რომლებსაც უბრძანა დაიჭირეთ და ძალად დაბანეთო. რომ მივიდნენ, ბიჭმა მოიქნია მუშტი და ოცივე დაყარა პირქვე. წამოდგენ ვეზირები და ისევ წაავლეს ხელი. გაბრაზებულმა ბიჭმა ზოგს თავი გაუტეხა, ზოგს მკლავი მოსტეხა და სულ დამტვრეულები გაგზავნა ხელმწიფესთან. მაშინ ხელმწიფემ თქვა: ის ბიჭი ხომ არ არის, მიდი გამიგეთო. წავიდა ქალი. როცა ქალს ქმარი ჰყავდა, მარჯვენა მკლავზე დაახატა ფუნჯი.

ქალმა აუწია მარჯვენა მკლავი და რომ დაინახა ფუნჯი, გამოვარდა და თავის მამასთან გაიქცა, უთხრა: — ის არისო, ნიშანი მქონდა დადებული და ისე აქვსო! ძალიან გაუხარდა ხელმწიფეს და ხელმეორედ გადაიხადეს ქორწილი.

ქორწილში მეც ვიყავი და ლაზათიანადაც დავითვერი.

მამის პოვნის ამგავი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი და ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. მამა შვილს ეხვეწებოდა დაქორწინდიო, შვილი კი ეუბნებოდა, სწავლა მინდაო. ბიჭს სასწავლებელში

შესვლა იმიტომაც უნდოდა, რომ იქ შეერჩია საცოლე. ბიჭი მართლაც შევიდა სასწავლებელში და აირჩია ერთი მშვენიერი გოგო. შვილმა მამას უთხრა: — ახლა კი მინდა ქორწილი იმ პირობით, თუ შემრთავ იმას, ვინც მე მომწონსო. მამამ შვილს ჰკითხა: — ვისია ის ქალიო. შვილმა უპასუხა: — მავან კაცისაო. მამამ უთხრა: — ძალიან კარგი, მისი მამა ჩემი კარგი მეგობარი კაცია და ვნახოთო.

მეორე დღეს ადგა მამა და წავიდა ქალის მშობლებთან მოსალაპარაკებლად. ქალის მამამ რომ ეს კაცი დაინახა, მიეგება, მიიპატიჟა სახლში. გასწიეს მშვენიერი ქეიფი და ვაჟის მამამ უთხრა, რაზედაც იყო მისული. მშობლები შეთანხმდნენ და ქორწილიც მალე დანიშნეს. ქორწილის დროს, როცა ქალი სახლში ჰყავდათ და მაყრები ჯერ ისევ ქეიფობდნენ, ნეფე-პატარძალს ძალი მოეკიდათ და გავიდნენ მეორე ოთახში მოსასვენებლად. ქალს წყალი მოსწყურდა და ქმარს უთხრა: — წყალი მწყურიაო. ბიჭი სასწრაფოდ წამოხტა, ნახა კოკები, მაგრამ წყალი არ იდგა. წყალი ეზოშივე იყო და ბიჭი იქითკენ გაიქცა. ბიჭმა რომ წყალს კოკა შეუდგა, რაღაც დაეცა და ბიჭი გაქრა. პატარძალი ელოდება, მაგრამ ნეფე არსადა ჩანს.

გათენდა მეორე დღე და პატარძალი ტირის. გავიდნენ ბიჭის მშობლები და ჰკითხეს: რა გატირებსო? პატარძალმა უთხრა, რაც მოხდა.

ბიჭი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ქალს მშობლები მოუვიდნენ. იტირეს. იგლოვეს და ვაჟის მშობლებს უთხრეს. ჩვენ ქალს წავიყვანთო. ბიჭის მშობლებმა უთხრეს: — ჩვენ ერთი შვილი გვყავდა და ისიც დავკარგეთ, მის სამაგიეროდ ამას ჩვენ აღვზრდითო, — ქალი ვაჟის სახლში დარჩა.

ერთხელ ქალმა უთხრა მამამთილს: ერთი დუქანი გამიხსენი ისეთ ალაგას, სადაც ჯვარედინი გზა იყოსო. ქალს სურვილი შეუსრულდა. იგი დახლში დგას. გამვლელ-გამომვლელი ქეიფობს, ქალი ფულს არ იღებს და ყველას ეუბნება: —მითხარით, სად რა ნახეთ საკვირველიო? ქალს ყველა ერთნაირად უპასუხებს: არაფერიო.

ერთხელ ერთი გზიდან მოდიოდა სამი კაცი. ორი კაცი კარგად ჩაცმული იყო, ერთს კი დაგლეჯილი ქალამნები ეცვა. ამ კაცმა უთხრა: ჩამოვსხდეთ აქ, შევისვენოთ ცოტა, ქალამნებს გავისწორებო. მგზავრები შევიდნენ ერთ დიდ ტყეში. ამ ორ კაცს დაეძინა და ეს ერთი კი ქალამნებს ისწორებს. ქალამნიანმა კაცმა შეხედა ერთ უზარმაზარ ხეს, რომელსაც მარტო წვერში ჰქონდა ტოტები ქოლგასავით. კაცმა ხეზე შეამჩნია კუბო, საიდანაც ვიღაცეებმა ამოიყვანეს ერთი საცვლებიანი კაცი, სცემეს ისე, რომ სიკვდილის პირზე მი-

აყენეს და მერე ისევ ჩააწვინეს, დაახურეს თავი და წავიდნენ. ქალამნიან კაცს ეს შემთხვევა უნდა ეთქვა ამხანაგებისათვის, მაგრამ დავიწყდა.

მგზავრები წამოვიდნენ და ბევრი იარეს, თუ ცოტა, მიადგნენ ამ ქალის დუქანს. შევიდნენ პურის საჭმელად და როცა მორჩნენ, ქალს უთხრეს: — რამდენი გერგებაო? ქალმა უთხრა: — თქვენი არაფერი მინდა, მხოლოდ მიამბეთ საკვირველი თუ რაიმე ნახეთო. მგზავრებმა უპასუხეს: არაფერიო. იმ ბიჭს აქაც დავიწყდა ის ამბავი, რომელიც ხეზე დაინახა. — მაშ თავისუფლები ხართო, — უთხრა ქალმა. მგზავრები წავიდნენ. ბოლო დროს იმ ბიჭს მოაგონდა ის ამბავი და უთხრა: — მოიცათ, თქვენ რომ გეძინათ, მაშინ ვნახე ერთი საკვირველი ამბავიო. მგზავრებმა არ გაუგონეს, ერთი-ორიც წამოკრეს და გაანებეს თავი.

მგზავრი მობრუნდა ქალთან, ჰკითხა და უთხრა: — ბოდიში, მაგრამ წეღან დამავიწყდა მეთქვა, მე ვნახე ასეთი ამბავი. ერთ ხეზე იყო კუბო, ვიღაცეები მოვიდნენ, ახადეს კუბოს თავი, ამოიყვანეს ერთი მშვენიერი ვაჟი, სცემეს, სცემეს, სიკვდილის პირას მიაყენეს და წავიდნენო.

ქალს ეს ეამა. წამოვიდნენ და ბიჭმა აჩვენა ის ალაგი. საღამო ხანია. მოვიდნენ ვიღაცეები, ამოიყვანეს ის ვაჟი, სცემეს. ქალმა დაინახა თუ არა, იცნო თავისი ახლად შერთული ქმარი და გული წაუვიდა. როცა ქალი გონს მოვიდა, ქალამნიან ბიჭს უთხრა: — დუქანი შენთვის დამილოცხია, მე კი აქ ვრჩებიო. ქალამნიანი ბიჭი დაბრუნდა დუქანში და დაიწყო ვაჭრობა, ქალი კი ავიდა ხეზე. ახადა კუბოს თაკი და ჩაუწვა ქმარს. ქმარმა უთხრა:— აქ რამ მოგიყვანა, წადი თორემ შენც ჩემს დღეში ჩავარდებიო. ქალი არ წამოვიდა, რაც მომივა, მომივაო. ქალი ყოველდღიურად მზის ამოსვლის შემდეგ ადიოდა და მზის ჩასვლის შემდეგ ჩამოდიოდა. ასე გავიდა ერთი კვირა. ბოლოს შეატყვეს ეშმაკებმა, ვიღაცას მოუკვლევიაო და მოიტაცეს კუბო. ქალი ბევრს ეცადა, რომ კვალი მაინც არ დაკარგოდა, მაგრამ ეშმაკებმა კუბო თვალს მოაფარეს.

ამ ქალმა იარა ბევრი, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო. ქალი დაორსულებული გამოდგა. გაუჩნდა ვაჟიშვილი და მაინც დადიოდა. ერთხელ გავიდა ერთ მინდორზე, სადაც იდგა მშვენიერი სახლი. ქალმა თქვა, რაც მომივა-მომივა და ახლა მაინც ვინმეს მივეკედლებიო. შევიდა ეზოში და წინ გამოეგება ერთი დედაბერი. დედაბერმა ქალს გამოკითხა ყველაფერი და ქალმაც უამბო რისთვისაც დადიოდა. დედაკაცმა უთხრა: — მოდი, შვილო, მე და ჩემს ქმარს შვილი არა

გვყავს და შენ იყავი ჩვენი შვილიო. ქალი დათანხმდა და მივიდა. მოხუცებულები სამუშაოდ დადიოდნენ და ეს ქალი კი სადილს უპზადებდა. ბავშვი დღითი დღე იზრდებოდა. დედა რომ გორებზე გადმოდიოდა, თვალ-მარგალიტი ეყარა. ორი ცალი წამოიღო და შვილს მისცა.

ერთ მშვენიერ დღეს ბავშვი გამოვიდა მინდორზე და მარგალიტებს ათამაშებდა: ერთს ააგდებდა მაღლა და მეორეს ხელში იპერდა. ერთი ხელმწიფის ვაჟი წამოსულიყო სანადიროდ. დაინახა მინდორზე რაღაც თამაშობს და თქვა, ეს რა ნადირიაო; დაუმიზნა თოფი და უნდა ესროლოს, მაგრამ ვერ არჩევს. ხელმწიფის ვაჟი მივიდა ახლოს, მიეპარა, მაგრამ თოფი არ გაუვარდა. ხელმწიფის ვაჟმა გვიან გაარჩია, რომ ადამიანი იყო. დაიპირა და წაიყვანა.

დედამ შვილი მოიკითხა, ველარ იპოვა და ტირილი დაიწყო. მოვიდნენ მოხუცები, მათ უარესად ასტეხეს ტირილი, ძებნა და ძახილი. დედა კიდევ უფრო დაღონდა და დაავადმყოფდა კიდეც. შვილი ეხვეწებოდა ხელმწიფეს: — გამიშვი, დედა ისედაც მწუხარეა და ჩემზე კიდევ ნუღარ ადარდებო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: თუ მოვიტან ამ თვალ-მარგალიტს ორი ჯორის საპალნეს, გაგათავისუფლებო. ბიჭმა უთხრა: გამიშვი და მოვიტანო. ბიჭი მივიდა სახლში, დედას ძალიან გაუხარდა, ავადმყოფობაც დაავიწყდა და ადგა. შვილმა დედას უამბო, რაც გადახდა და რა პირობითაც იყო გამოშვებული. დედამ უთხრა: წადი, გამოართვი ორი ჯორი და სამი აქლემიო. შვილი მართლაც წავიდა და გამოართვა. შესხდნენ დედა-შვილი და წავიდნენ თვალ-მარგალიტის გორასთან. დატვირთეს ორი ჯორი, სამი აქლემი და წამოვიდნენ. ორი ჯორის საპალნე მიუტანა ხელმწიფის შვილს, სამი აქლემის საპალნე კი თვითონ დაიტოვეს. ბიჭმა ჰკითხა ხელმწიფის შვილს: — ახლა თავისუფალი ხომ ვარო.

ხელმწიფის შვილმა უპასუხა: გაგანთავისუფლებ თუ ამ ჩემს ეზოს გააშენებ ისეთ ბაღად, რომ რიგი ჰყვაოდეს და რიგი მწიფდებოდესო. ბიჭი დაღონებული მოვიდა დედასთან. უამბო ხელმწიფის შვილის ახალი ახირების ამბავი. ახლა მე უნდა წავიდე ასეთი ხეხილის საშოვნელადაო, უთხრა დედას და წავიდა.

ეს ბიჭი ისეთი ღონიერი იყო, რომ შეეძლო ხელმწიფის მთელი ჯარი შეეკრა, მხოლოდ გამოცდა არ ჰქონია. ბევრი იარა თუ ცოტა, ამ ბიჭს შეხვდა ერთი ბებერი დედაკაცი. ამ დედაკაცმა ჰკითხა: — შვილო, სად მიდიხარო? ბიჭმა უთხრა: — ჯანდაბასაო. ბებერი კვლავ შეეკითხა: — რამ გაიძულა, შვილო, ასე რომ ლაპარაკობო? ბიჭმა უამბო თავისი თავგადასავალი. ბებერმა უთხრა: — შვილო,

აი, აგერ გდია ერთი სამასფუთიანი ქვა. იმის ქვეშ არის აღვირი და აიღებ თუ არა ხელში აღვირს, მოვარდება ერთი რაში, სტაცე ხელი და გაუკეთე აღვირიო. შეჯდები თუ არა, რაში მაშინვე გაქანდება ცაზე მისახეთქად, მაგრამ შენ ქვევიდან უნდა მოექცე, იქიდან რაში გამოსწევს დედამიწაზე დასათხლეშად, მაგრამ შენ ზევიდან მოექ-ცევი. ამის შემდეგ რაში დაგმორჩილდება და საითაც გინდა, იქით წაიყვანო. აგერ ამ კლდეს ხომ ხედავ, იმის თავზე ერთი ვაშლის ხე დგას, მოსწყვეტ ერთ კუნწულას, მიიტან ეზოში და როგორი ბა-ღიც დაუვალებია ხელმწიფის შვილს, ისეთი ბაღი გაშენდებაო. მხო-ლოდ ის კუნწულა ისე სწრაფად უნდა მოტეხო, რომ არავინ დაგი-ნახოსო.

ბიჭი მივიდა ქვასთან, გაჰკრა ნეკი, გადააბრუნა და აიღო აღვირი. ამ დროს მოვიდა რაში. ბიჭმა გაუკეთა აღვირი და შეჯდა ზედ. რაში გაქანდა ცისკენ მისათხლეშად. ბიჭი დაბლიდან მოექცა, შემდეგ რაში გამოექანა მიწისაკენ, მაგრამ ახლა ბიჭი ზევიდან მოექცა და რაშიც დამორჩილდა. ბიჭმა გააქროლა კლდისაკენ, მივარდა ვაშლს და კუნ-წულა მოსწყვიტა. დაეშვა ძირს და კიდეც მიაძახეს ზევიდან: ვაი დე-დიშენის ღმერთს, რომ გაგვასწარიო. ბიჭმა აღვირი ქვას ქვეშ ამოს-დო, კუნწულა სასახლეში მიიტანა და ბაღიც გაშენდა.

ბიჭმა ხელმწიფის შვილს უთხრა: ახლა ხომ თავისუფალი ვართ. ხელმწიფის შვილმა არ გაათავისუფლა და დაავალა გაეცოცხლე-ბინა მისი დედ-მამა. შვილი მივიდა დედასთან, უამბო ყველაფერი, გამოემშვიდობა და წავიდა.

შეხვდა ისევ ის ბებერი. ბიჭმა უთხრა: ახლა კი ვეღარ გადავრჩე-ბი, ისეთი რამ მომთხოვაო. ბებერმა უთხრა: აიღე ისევ ის აღვირი, მოვა რაში და წახვალ ამ კლდისაკენო. კლდე წამზე იღება და იკეტებაო. უნდა მოასწრო და შიგ შეხვიდეო. მართლაც, მიუახ-ლოვდა ეს ბიჭი, შემოჰკრა რაშს და შევარდა შიგ. ბიჭმა აიღო ერთი მწვანე ცხვირსახოცი, ჩაიდო ჯიბეში, რაში გაუშვა მინდორზე და ცოტა შეისვენა. ბიჭი შეჯდა რაშზე და უკან ბრუნდებოდა. თქვა, მო-დი, რა იქნება, ახლა რაშს ორს დავარტყამო. მართლაც, გადაჰკრა რაშს ორი, გადმოხტა, მაგრამ რაშს კუდი კლდის კარებში მოჰყვა და წვერი მოსწყვიტა. გაბრაზებული რაში წივილით დაეშვა დაბლა. ბებერმა უთხრა ბიჭს, — ორი კი არა სამი უნდა გადაგერტყაო. დაბრუნდა ეს ბიჭი. მივიდა ხელმწიფის ვაჟთან. ხელმწიფის ვაჟმა უჩვენა დედ-მამის სასაფლაო, ბიჭმა მიუსვ-მოუსვა ეს ცხვირსახოცი და გააცოცხლა.

ხელმწიფის ვაჟმა ახლა გაახთავისუფლა ბიჭი. იგი დაბრუნდა

დედასთან. დედამ შვილს უთხრა: — შვილო, შენ აქ რომ ბებია და პაპა გყავანან, ამათ გარდა ორი პაპა და ბებია მავან სოფელში გყავანანო. ბიჭმა უთხრა: — მაშ, წავიდეთ, ესენიც წავიყვანოთ და ბარგიც წავიღოთო. შეკაზმეს აქლემები, ცხენები და წავიდნენ.

დედა და შვილი მივიდნენ ბებრებთან. ბიჭის დედამ უცბად ფანჯარაში გადაიხედა და შორს კუნძულზე კუბო დაინახა და ტირილი დაიწყო. შვილი შეეკითხა: — რაზე სტირიო, მაგრამ დედამ არ უპასუხა. მაშინ ბებერმა უთხრა: — კუნძულზე კუბოში კაცს ჰხედავს, რომელსაც ეშმაკები აწვალებენ და მაზე სტირისო. ბიჭმა თქვა: ახლავე წავალ და იმ კაცს აქ მოვიყვანო. ბებერმა დაარიგა, თუ რა სჭირდებოდა იმ კაცის გამოსაყვანად. ბიჭმა წაიღო ორი დიდი პალო და ერთი დიდი ხე კიბის მაგივრად მისაყუდებლად.

ბიჭი რაშით გადაფრინდა, მივიდა ზღვის პირზე მენავესთან. სთხოვა მენავეს, მაგრამ მან არ შეიყვანა ზღვაში. მაშინ ბიჭმა მენავე გვერდზე მიაგდო, ჩაჯდა ნავში და ორი მოსმით კუნძულს მიადგა. დაურჭო პალოები მაგრად და ნავი დააბა. ამ დროს ჩადიოდა მზე, კუბოსთან მივიდნენ ეშმაკები და კაცს წვალება დაუწყეს. ბიჭიც ავიდა, ეშმაკები სულ დახოცა, კაცი თან წამოიყვანა და მოიყვანა ბებრის სახლში. ბიჭის დედა და ეს კაცი ერთმანეთს მოეხვივნენ. ბიჭი გაბრაზდა, ეს კაცი მე გადავარჩინე და დედაჩემს რას უბედავსო. ბიჭს უნდა გაერტყა კაცისათვის, მაგრამ ამ დროს ბებერმა უთხრა: — შვილო, ეს კაცი შენი მამაა და დედაშენი ამდენი ხანია მაგისათვის წვალობსო. ბიჭს გაუხარდა და მამაშვილიც ერთიმეორეს გადაეხვივნენ.

დედა, მამა და შვილი მხიარულად ეხვეოდნენ ერთმანეთს. წამოვიდნენ სახლში და ქორწილიც ხელახლა გადაიხადეს. ყველა დარჩა გახარებული.

მთას ურემი ავიტანე. წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით დამიძეხით, საიქიოს — ცხონებითა.
შაშვი არის მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი.

ასფურცელა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი ქალი. მამა ადრე გარდაიცვალა. დედამ უთხრა შვილებს: — შვილებო, თქვენს

დედულ-მამულს რატომ არ მოუვლითო. შვილებმა არ იცოდნენ, თუ დედულ-მამული ჰქონდათ. დედას უთხრეს: — ჩვენ რომ წავიდეთ, საჭმელი ვინ უნდა წამოგვიღოსო. დედამ უთხრა: — თქვენ დას გამოვატანო. მართლაც, გაუმზადა ერთი კვირის საგზალი და თან ხახვი გაატანა. გზადაგზა რომ იაროთ, ეს ხახვის ნაფცქვენები ყარეთ გზაშიო. თქვენი და გამოყვება ნაფცქვენებს და მოგაგნებთო. გზაზე ერთი სოფელი იყო გასავლელი. იქ ცხოვრობდა ასთავიანი დევი, რომელსაც ჰყავდა ბებერი დედა. გამოვიდა, მოკრიფა ხახვის ნაფ-ცქვენები და თავის გზაზე დაყარა. ერთი კვირის შემდეგ დედამ თავის ქალიშვილს გაატანა ბიჭების საჭმელი. მისდევს იგი ხახვის ნაფცქვე-ნებს, მიადგა ასთავიანის სახლს. დახვდა ასთავიანის დედა სახლში. მოხუცს ძალიან მოეწონა ქალი და უთხრა: — ჩოდი, შვილო, ახლოს, თორემ ჩემმა შვილმა რომ დაგინახოს, შეგჭამსო. ქალი მივიდა მოხუც-თან. საღამო ხანს, დედაბერმა, როცა მოსვლის დრო ჰქონდა ასთავიან დევს, ქალი დამალა. მოვიდა დევი და დედას ჰკითხა: — დედი, ადა-მიანის სუნი მომდისო. — არა,შვილო, აქ ადამიანს რა უნდაო. ბო-ლოს გამოტყდა დედა: თუ არ შესჭამ, გამოგიჩენო. გამოუჩინა ქალი. ასთავიან დევს ძალიან მოეწონა, შეირთო ცოლად.

რაკი დანიშნულ დროზე ამ ძმებს ხარჯი არ ჩაუტანა, ბიჭები სახლში წამოვიდნენ. დედას უთხრეს: რატომ ხარჯი არ გამოგვიგზავ-ნეო. დედამ იცოდა, იმ სოფელში რომ ასთავიანი დევი იყო და დაიწყო ტირილი: — ჩემს შვილს ასთავიანი დევი შეჭამდაო. ძმებმაც გაიგეს ეს ამბავი და გაემგზავრნენ დის დასახსნელად. რო-დესაც მივიდნენ, გამოიხედა ბებერმა. დაიწყო ჩხუბი: — ჩემი შვი-ლის შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუვლია, დაბლა ჭინჭველასაო. ვაჟებმა უთხრეს, რომ ის ქალი მათი და იყო. მოხუცმა მიიპატიჟა სახლში. ასთავიანი დევი სანადიროდ იყო წასული. როდესაც დევს მოსვლის დრო ჰქონდა, დედაბერმა ვაჟები დამალა. მოვიდა დევი, მოიტანა ნანადირევი და გაიგო, რომ აქ ვიღაც იყო. დედამ უთხრა: — თუ არ შესჭამ, გამოგიჩენო. მართლაც, გამოუჩინა დედამ და შეუდგნენ ვახშმის მზადებას. სანამდის ორნი ერთ ირემს გაატყავებდნენ, მანამ ასთავიამა დევმა მოხარშა კიდეც. მიიპატიჟა ცოლისძმები და ჰკითხა: — ხორცის კაცნი ხართ, თუ ძვლისანიო. ცოლისძმებს შეეშინდათ და უთხრეს: — ძვლის კაცები, ხორცი რა ჩვენი საქმეაო. მართლაც, ასთავიანი დევი ხორცს ჭამს, ძვლებს კი იმათ აძლევს. მოიტანა ღვინო და უთხრა: დოქის კაცები ხართ, თუ ყანწებისაო. დოქი რა ჩვენი საქმეა, ყანწი მოგვიტანეო. ვახშამი რომ დაამთავრეს, დევმა უთხრა: ლოგინის კაცები ხართ, თუ გომისაო. ლოგინი რა ჩვენი საქმეა, გომში დავიძინებთო.

დილით ადგა ასთავიანი დევი და უთხრა დედას: საგზალი გამიმზადე, სანადიროდ მივალო. დედამ უთხრა: შვილო, დაბლა ორი კუტი არის, ისინი ჩაილაგეო. ასთავიანი დევი ჩავიდა გომში, ერთი შეკამა, ერთი იღლიაში ამოიჩარა და გაემგზავრა სანადიროდ.

გავიდა დრო. ვაჟებიც დაკარგა დედამ და ქალიც. ტირის. ერთ მშვენიერ დღეს ჩამოიარა ერთმა კაცმა და ეკითხება დედაკაცს, რა გატირებსო. დედაკაცმა უამბო თავის თავგადასავალი. კაცმა ამოიღო ერთი ვაშლი, მისცა დედაკაცს და უთხრა:—ეს ვაშლი ას ნაწილად გაჭერიო. დღეში თითო შეჭამეო. დედაკაცმა დაჭრა ვაშლი ას ნაწილად. დაუწყო სათითაოდ ჭამა. გაათავა თუ არა ვაშლი, გაუჩნდა ერთი ვაჟი, დაუძახეს ასფურცელა. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს უბნის ბიჭები კორაობას თამაშობდნენ. ასფურცელაც ამ ბიჭებში იყო. ერთ სოფლის დედაკაცს კოკით წყალი მოჰქონდა. ასფურცელამ კორა გაარტყა ჯოხს, გაბზრიალდა ეს ჯოხი, კოკას მოხვდა და გატეხა. დედაკაცი გაბრაზდა: — დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, დედისერთა ხარ, ვერ გიმეტებო. თუ შნო გაქვს, შენი ძმები და შენი და ასთავიანი დევისაგან გამოიხსენიო!

ასფურცელამ ეს რომ გაიგო, იმ წამს სახლში გაიქცა. დედას უთხრა: — ძუძუ მინდაო. დედამ დაუწყო ჩხუბი: — რაღა დროს შენი ძუძუაო. მაგრამ ასფურცელამ ძალიან და ძალიან შეაწუხა. მისცა ძუძუ. ასფურცელამ მოუჭირა კბილები და დედას შეეკითხა: — მითხარი და-ძმები მყავს თუ არაო? დედამ უთხრა: ასთავიან დევთან არიანო. ასფურცელა ადგა და გაემგზავრა ასთავიანი დევის სახლისაკენ. გზაზე ერთი ხევი ჰქონდა გასავლელი. ხევს რომ მიუახლოვდა, გამოჩნდა ის სახლი, სადაც ასთავიანი დევი იყო. ბებერმა შენიშნა ეს ახალგაზრდა და თქვა: — ვაი დედიშენის ღმერთსაო! მიუახლოვდა ასფურცელა იმ სახლს. შევიდა ეზოში და სიბრაზით დაიწყო სიარული. ბებერმა ჩხუბი დაუწყო ახალგაზრდას: — წადი აქედან, თორემ ჩემი შვილი მოვა და შეგჭამსო. ასფურცელამ უთხრა: მე გიჩვენებთ შენცა და შენ შვილსაცაო! საღამო ხანს მოვიდა ასთავიანი დევი და მოიტანა ნანადირევი, დაინახა ვიღაც უცნობი. თვალებიდან ცეცხლი გადმოსცვივდა სიბრაზისაგან. მივიდა ახალგაზრდასთან. ახალგაზრდამ უთხრა ასთავიან დევს: — შენი ცოლისძმა ვარ და არ მიმიღებ ამაღამო? ასთავიანი დევი დაყაბულდა და მიიპატიჟა სახლში. დაიწყეს ნანადირევის გატყავება. სანამდის ასთავიანი დევი ერთს გაატყავებდა, მანამ ასფურცელამ ორი გაატყავა, დაკუწა და მოხარშა კიდეც.

დასხდნენ ვახშამზე. ასთავიანი დევი ეუბნება ასფურცელას: ძვლის კაცი ხარ, თუ ხორციანი? — ძვალი რა ჩემი ხელობაა. ხორცი მომიტანეო! ხორცს ასფურცელა ჭამდა, ძვლებს კი ასთავიან დევს აძლევდა. ღვინოზეც ისევე ქნა: — ღოქის კაცი ხარ, თუ ყანწისაო? — ყანწი რა ჩემი ხელობაა, ღოქი მოიტანეო! დაამთავრეს ვახშამი და უთხრა ასფურცელას: — მოდი ერთი დავიჭიდოთ, რომელმაც წააქციოს, ის იყოს ნაჯობნიო. ასთავიანმა წაავლო ხელი და ნძრევაც ვერ უყო. მერე წაავლო ხელი ასფურცელამ და წააქცია. ამ დევს ძალიან შეეშინდა, უთხრა: — გომის კაცი ხარ, თუ ლოგინისაო? — გომი რა ჩემი საქმეა, ლოგინისაო. როდესაც ჩავიდა ასთავიანი დევი გომში, დაიწყო ხმლის ლესვა. ასფურცელამ გაიგო ეს ამბავი, ადგა ჩუმად, გამოაღო კარები, შეიტანა ერთი დიდი კუნძი, დადო ლოგინზე, დააფარა ზევიდან საბანი და თვითონ კი კუთხეში მივიდა. როდესაც იფიქრა ასთავიანმა დევმა, ახლა კი სძინავსო, ამოვიდა მაღლა, შეაღო კარი ჩუმად და დაუშინა ლოგინს ხმალი. ეს ლოგინი სულ ქუცმა-ქუცმა აქცია, მერე წავიდა და დაიძინა.

ასფურცელა მივიდა, გადმობერტყა ლოგინი, ჩაწვა ისევე. ასთავიან დევს ეგონა, მოკვალიო. დილით გამოეღვიძა თუ არა, ავიდა მაღლა, ნახა ასფურცელა ისევე ლოგინში წევს, და შეეკითხა: — წუხელი რწყილებს ხომ არ უკბენია შენთვისაო? — არაფერი შემიტყვიაო. ასთავიან დევს უფრო შეეშინდა და უთხრა: — მოდი ერთხელაც დავიჭიდნეთ და თუ კიდე მაჯობე, შენი მონა ვიქნებიო. ასფურცელამ წაავლო ხელი, გადმოაგდო მაღლიდან, ყელამდის ჩაჯდა მიწაში ასთავიანი დევი. ამოიღო ხმალი ასფურცელამ და უთხრა: — თქვი, რა უყავი ჩემი ძმები და ჩემი და, თორემ თავებს დაგაყრევინებო. ასთავიანმა დევმა უპასუხა: — შენი და სახლში არის, შენი ძმები კი მუცელში ერთი კოლოფი მაქვს და იმაში სხედანო. ასფურცელამ დააჭრა თავები, გაჭრა შუახე, ამოიღო კოლოფი, რომელშიც ისხდნენ ძმები. მონახა თავისი დაც და გაემგზავრნენ შინისაკენ.

ერთ მშვენიერ ალაგას ერთი მუხა იდგა. მუხასთან რომ მივიდნენ, ასფურცელა შეეხვეწა თავის ძმებსა და დას: — აქ დავისვენოთ. ძალიან დაღლილი ვარო. არ გაუტეხეს ხათრი და დაისვენეს. ასფურცელა ცოტა ხნით მიწვა დაეძინა. უმადურმა ძმებმა დაგრიხეს წნელები, ააყენეს მძინარე ასფურცელა, მიაკრეს მუხაზე ისე, რომ თითოეული ფრჩხილებიდან სისხლი გასდიოდა. გამოეღვიძა ასფურცელას. ხეზე დაბმული იყო მუხაზე. შეეხვეწა ღმერთს: თუ მე ვტყუი ჩემს ძმებთან, აქვე მომკალი, თუ არადა ეს მუხა მომაგლეჯინეო. მართ-

ლაც, მოგლიჯა მუხა და შინისაკენ გაეშურა. სახლში რომ მივიდა, დაუძახა თავის ძმებს: — გამოიხედეთ, ეს მუხა მაინც მომხსენითო. ძმებს ძალიან შეეშინდათ: ახლა კი დაგვხოცავს ჩვენი ძმაო. მაგრამ რას იზამდნენ: მოხსნეს მუხა. შევიდა სახლში ასფურცელა და დედას ეუბნება: — დედავ, შენი შვილები მოგგვარე, მხოლოდ მე ძალიან დამტანჯესო. ამათ ყურებას ვერ შევძლებ, სხვაგან უნდა წავიდეო! მართლაც, ადგა და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ მინდორში. ერთი რცხილა იდგა, შეჩერდა ხესთან, გაისროლა მშვილდ-ისარი. წავიდა ისარი, გადაიარა ცხრა მთა და დაერჭო ერთი სახლის წინ. იქ ცხოვრობდა ცხრა დევი. დილით ნახეს ისარი. ცხრანივე დაეჭიდნენ და ვერ ამოაძრეს. შეეშინდათ დევებს და გადაიხვეწნენ იმ ადგილიდან. მივიდა ასფურცელა, დაათვალიერა სახლი. ერთ ოთახს კლიტე ედო, გატეხა კლიტე, შევიდა შიგნით და ნახა ცხრა მზეთუნახავი ქალი. გაუღო კარები: — წადით, თქვენ თქვენი გზა ნახეთ, ახლა თავისუფლები ხართო! ქალები არ წავიდნენ. შემოეხვივნენ ასფურცელას და ეუბნებიან: არა, ჩემი ქმარი უნდა იყო და არა ჩემიო. ასფურცელას ყველაზე ნაბოლარა მოეწონა და შეირთო.

ასფურცელას ნადირობა მოუნდა და გაემგზავრა სანადიროდ. როდესაც ინადირა, დაეძინა. ამ დროს ცხრა დევმა ნახა, მოსაკლავად ვერ გაიმეტეს და თვალები დასთხარეს. გაუშვეს ისე ტყეში. დადის ასფურცელა. იარა, ცოტა იარა თუ ბევრი, გავიდა ერთ მინდორზე. ყვირილი შემოესმა. რომ მიუახლოვდა ასფურცელა, გაიგო — კამეჩი ჩავარდნოდათ ღელეში მეხრეებს და ვერ ამოჰყავდათ. მივიდა ასფურცელა მეხრეებთან. უთხრა: ისე მიმიყვანეთ ნაპირას, რომ შიგ არ ჩავვარდე და მე ამოვიყვან კამეჩსაო. მეხრეებმა უთხრეს: — შვიდ-ულელა საქონლით ვერ ამოვიყვანეთ, შენ როგორ ამოიყვანო, მართლაც დააყენეს ნაპირას. ჩასწვდა ასფურცელა კამეჩს, დაავლო ხელი და მაღლა შემოისროლა. ეს კამეჩი სულ ქუცმა-ქუცმა დაიბნა.

მეხრეებში იყო ერთი კაცი, რომლის ქალიშვილებიც ტყეეობაში ჰყავდა იმ ცხრა დევს.. ასფურცელამ თავისი ამბავი აუხსნა მეხრეებს. მაშინ ენიშნა ეს სიტყვები. ამ კაცმა უთხრა ასფურცელას: ჩემთან წამოდი, თვალებს მე აგიხელო. წაიყვანა, წამალი გაუკეთა, წაუსვა თვალებზე და მოურჩინა. ასფურცელა გამოემშვიდობა ხალხს და გასწია თავის სახლისაკენ: მივიდა, ნახა ცოლი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მოღალირე და მისი ასული

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. იგი ძალიან კარგად ნადირობდა. ერთ დღეს ხელმწიფემ დაიბარა და უთხრა: ჩემი სახლიდან ქაჯები ქალებს იტაცებენ და შენ უნდა დაუდგე მცველადო.

ამ კაცმა თავის ცოლს დაუბარა: თუ ბიჭი გაგიჩნდეს, შემატყობინეო. მართლაც, მივიდა კაცი ხელმწიფესთან და დარაჯობს სასახლეს. რამდენიმე თვის შემდეგ ამ კაცის ცოლს გაუჩნდა ბიჭი. ისეთი ყმაწვილი გაუჩნდა, რომ, ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ცოლმა შეატყობინა ქმარს, ვაჟი გაჩნდაო. ამ კაცს ძალიან გაუხარდა ვაჟის შეძენა. როცა ბიჭი გახდა თვრამეტი წლისა, თავის დედას აუწყა: სანადიროდ უნდა წავიდეო. დედამ უთხრა: წადი, შვილო, მხოლოდ ბიძას გამოგაყოლებო. ბიჭმა მოიკითხა: — იარაღი გვაქვს თუ არაო. — იარაღი გვაქვს, შვილო, მაგრამ ვერ დასძრავო. — შენ მიჩვენე და თუ ვერ დავძრავ, აღარ წავალო. უჩვენა დედამ მამის იარაღი. ბიჭმა წაავლო ხელი მშვილდ-ისარს და ხელში აათამაშა. აიღო და გადაიკიდა. სანამ მშვილდ-ისარს გადაიკიდებდა, ბიჭმა უთხრა, ხმალი მომაწოდეო. მივიდა ბიძა, წაავლო ხმალს ხელი და ძვრაც ვერ უყო. მაშინ მივიდა ბიჭი, ცალი ხელით აიღო ხმალი და ჩამოიკიდა. ბიძას ძალიან ბრაზი მოუვიდა: ამისი მამაც მჯობნიდა და ესეც მჯობნისო. წავიდნენ სანადიროდ.

ბიძამ ბიჭი ისეთ ალაგას დააყენა, სადაც გარეული ღორები იყვნენ. თვითონ კი ერთ ორმოში ჩაჯდა. ბიჭმა შეამჩნია, მღალატობსო. გარეული ღორები დაეხვივნენ ამ ბიჭს და სუყველა დახოცა. მხოლოდ ერთიღა გადაურჩა მოუკლავი. ღორმა ამ ბიჭს რომ ვერაფერი დააკლო, გაექანა ბიძისაკენ, მივარდა, ეს არის, უნდა დაფლითოს, ბიჭმა ესროლა მშვილდ-ისარი და ღორი მოკლა. ბიძას უფრო ეწყინა: კინაღამ ღორმა დამფლითა და ვერაფერი დავაკელიო, ამან კი ღორი შორიდან მოკლაო. ადგა ბიძა და უთხრა ძმისწულს: — ამ გზას დაადექი და შინ მიგიყვანსო. ბიძა თავის შინ წავიდა. ბიჭი დაადგა ნაჩვენებ გზას და გავიდა ერთ დიდ მინდორზე. ამ დროს ვიღაცები მოდიოდნენ ეტლით. სტაცეს ბიჭს ხელი და გაიტაცეს ქაჯეთისაკენ. ბიჭი ჩაიყვანეს ქაჯეთის ხელმწიფესთან. ხელმწიფეს ძალიან მოეწონა და თავის ეტლზე დასვა. მუდამ საღამოს ეს ბიჭი ასეირნებდა ხელმწიფესა და მის ცოლს.

ბიძამ დედას ასეთი ამბავი მიუტანა: თქვენი შვილი გარეულმა ღორებმა დაფხრიწესო. ამ დროს ბიჭის მამაც მოვიდა და რომ გაი-

გო, აღარ არის ცოცხალიო, დაიწყო ტირილი. რამდენიმე წელმა განელო, გამოიგლოვეს ბიჭი. ერთ დღეს თავის ქალიშვილებს უთხრა მამამ: — ჩემს მაგივრობას ვინ გასწევთ მეფის კარზეო? — მე გავწევ შენს მაგივრობასო, — უთხრა უფროსმა ქალმა. შეიარაღდა ქალი და წავიდა მეფის სასახლისაკენ. ადგა, მამამ ჩაიცვა სხვა ტანსაცმელი, მოკლე გზით წავიდა, წინ შეეჩეხა თავის შვილს და დასჭყიალა: — თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდიო! ამ ქალმა მოატრიალა ცხენი და გამოაქანა შინისაკენ. მამამ მოკლე გზით წაიყვანა თავისი ცხენი და ქალზე ადრე მივიდა სახლში. — რად მობრუნდიო. — უთხრა კაცმა თავის შვილს. გზაში ცხრა ძმა დეევი დამიხვდნენ და მოვბრუნდიო. საშუალო ქალმაც ასე გააკეთა. ბოლოს უმცროსმა ქალმა უთხრა: — მე გავწევ შენს მაგივრობასო. ადგა და წავიდა უმცროსი გოგო. მამამ ისევ ისე გააკეთა, დაუხვდა წინ და თუ ვაჟკაცი ხარ გამიმაგრდიო! ქალმა დასჭყიალა: — ვაჟკაცია ვარ და გაგიმაგრდები კიდეცო! ჩამოჭარა ქალმა კაცს ხმალი და ცხენიდან გადმოაგდო. გადმოხტა ცხენიდან, მიეჭრა და უნდა დაარტყას ხმალი, ამ დროს კაცმა უთხრა: — შენი მამა ვარ. შვილო, არ მოკლაო. გაანება თავი ქალმა. — შენ კი შეგიძლია ჩემი მაგივრობაო, — უთხრა მამამ.

ადგა. წავიდა ქალი. მივიდა სასახლეში, დადგა ხელმწიფის მცველად. იგი მოეწონა ხელმწიფის ასულს, რადგანაც ბიჭურად იყო ჩაცმული და ბიჭი ეგონა. მოიავადმყოფა თავი და უთხრა მამას:— ქაჯეთში რომ ფარანია, ის ფარანი მომარჩენს, ისიც ემაგ ბიჭის მოტანილიო. ხელმწიფემ უთხრა მცველს: ქაჯეთიდან ფარანი უნდა მოუტანო ჩემს ქალსაო. რა უნდა ექნა, ადგა და წავიდა ქაჯეთში.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე, დაინახა ორი ახალგაზრდა ბიჭი და მივიდა მათთან. ბიჭებმა უთხრეს: ჩვენ და გვყავს ძალიან კარგი, სასიძოს ვერა ვშოულობთ და შენ უნდა იყო მისი ქმარიო. ქალმა უთხრა: მე არა მცალია, სხვაგან მივდივარ, ამოვიღლი და მაშინაო. ბიჭებმა უთხრეს: ახლა ნიშნობა გავმართოთ, რომ ამოიღლი მაშინ ქორწილიო. კარგიო.— უთხრა ქალმა. მივიდნენ სახლში და გამართეს ნიშნობა. ქალი გულთმისანი იყო, გაიგო, რომ ქალი იყო. უთხრა: — ვიცი, ქალი ხარ, რომ ამოიღლი, შენი ძმა გამირიგეო. მართლაც, წავიდა ქალი. ისე მიდის, ცხენი სულ გააფრინა. მივიდა ქაჯეთში. ნახა გარედან ის სახლი, რომელშიც ფარანია. ამ სახლს ალმასის კარები ჰქონდა გაკეთებული. ისე ჩქარა იკეტებოდა, რაც კი შევიდოდა, სუყველას შუაზე სჭრიდა. ამ ქალს ცხენი ჰყავდა გულთმისანი და მან

უთხრა: ჭოშორებით წამიყვანე, გადმომკარ მათრახი და სწრაფად შევვარდები შიგო, მაგრამ საიმედო პირობას მაინც ვერ მოგცემო. ქალაბიჭამ წაიყვანა ცხენი, დააყარა მარილი და დასცხო მათრახიც. ცხენი პირდაპირ გამოიფრინდა, შევარდა კარებში, მაგრამ კარებმა ცხენს კუდი ძირში მოსწყვიტა. ქალმა მიიხედ-მოიხედა და რას ხედავს: ყველაფერი გაქვავებულია. დაინახა ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მუცელს ქვევით ქვა არის, მუცელს ზევით — ადამიანი. მივიდა ბიჭთან და გამოჰკითხა: რათა ხარ ასეო. ბიჭმა უთხრა: თავიდან მოგიყვები ჩემს ამბავსო. მე ვიყავი მონადირის შვილი. მყავდა ერთი ბიძა. იმ უხეირომ ჩემი დაღუპვა მოიწადინა და დამკარგა. გზაში შემხვდნენ ქაჯები და წამომიყვანეს ქაჯეთში. მომიყვანეს აქ ხელმწიფესთან. ხელმწიფეს მოვეწონე და თავის ეტლზე დამსვა. ხელმწიფეს და დედოფალს ვასეირნებდი მუდამ საღამოთი. ხელმწიფეს ცოლი ძალიან ბოროტი ჰყავდა. ყველაფერი გააქვავა: ქმარიც, მთელი ქაჯეთის ხალხი. მე ნახევრად ადამიანი დამტოვა. დღესაც მაქვს მოლოდინი იმ ქალისა, შემოვა, ხელში უჭირავს წვეტიანი სადგისები და იმით მჩხვლეტს. ახლა მალე მოვაო.

ქალი გადაეხვია და დაჰკოცნა: შენ ჩემი ძმა ხარ! ბიჭმა დაარიგა: კარებს ამოეფარე, შემოვა თუ არა, სტაცე ხელი თმაში, აიყვანე მაღლა, დააწყვიტე პირქვე. მაღლა არ აახედო, თორემ შენც გაგაქვავებსო. მართლაც ქალი ასე მოიქცა.

შუადღე რომ მოვიდა, ქალი ამოეფარა კარებს. შემოვიდა ქაჯის ქალი, სტაცა თმებში ხელი და დააწყვიტა დედამიწაზე. დააჯდა მაღლიდან და უთხრა: — ჩქარა, ჩემი ძმა როგორიც იყო, ისეთი გახადეო! ქალმა მისი ძმა მართლაც ისეთი გახადა, როგორიც იყო. ჩქარა ეს ქვეყანა როგორიც იყო, ისეთივე გახადეო; ჩემ ცხენს როგორი კუდიც ება, ისეთი გამოაბიო. როცა ყველაფერი შეასრულებინა, დაჰკრა ხმალი და ქაჯის ქალი სულ ნაჭერ-ნაჭერად აქცია.

გამოიხედა ქალმა გარეთ და დაინახა, რომ გზაზე მოდის ხალხი. ქაჯეთის ხელმწიფემ ეს რომ გაიგო, თქვა:—ვინ იყო ის, ვინც ამდენი ხალხი გააცოცხლებინაო? ქალი მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: მე გავაცოცხლებინე და მე მოვკალ შენი ცოლიო. მაშინ ხელმწიფე შეეხვეწა: შენ იყავი ხელმწიფეო. ქალი უარზე დადგა: მე თქვენი ხელმწიფობა არ მინდა, ორ რამეს გთხოვ და ის ამისრულეო. ხელმწიფემ უთხრა: — აგისრულებო.—ერთი—ჩემი ძმა გამატანე სახლში, მეორე—ფარანი მომეციო. ხელმწიფემ მისცა ფარანი. გამოეშვიდობნენ ხელმწიფეს და წამოვიდნენ შინ. გზაში იმ ქალთან შეეარეს, რომელმაც უთხრა ძმა გამირიგეო. მოიწვიეს მშობლებიც და

გადაიხადეს ქორწილი. წამოვიდა ქალი და მივიდა ხელმწიფის შვილთან, მიუტანა ფარანი და უთხრა: ქალი ვარ, ბიჭი არა ვარ, როგორ შეგიროთო. მერე წამოვიდა შინ და იცხოვრა ტკბილად.

ჭირი იქა, ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ზღაპარი ხელმწიფის შვილისა, რომელსაც სწავლა არ უყვარდა

იყო და არა იყო, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ეს ყმაწვილი რვა წლისა რომ გახდა, სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ არა სწავლობდა. სადაც მიიყვანეს, გამოიქცა. ერთი სიტყვით, არა სწავლობდა. ადგა, ხელმწიფემ სხვა სახელმწიფოში გაგზავნა, თან დაბეჭდილი წერილი გაატანა სხვა ხელმწიფესთან:

— ჩემო დიდო ძმაო, ხელმწიფეე, გიგზავნი შვილს, მანდ მიაბარე სკოლაში, აქ არსად არ დადგა და ლამის არის უსწავლელი დამრჩესო. საკუთარი მასწავლებელი დაუჭირე და, რაც დაიხარჯება, გადავიხდიო.

ჩასვა ეტლში და გაგზავნა. წაიყვანეს და მივიდნენ ხელმწიფესთან ხელმწიფემ რომ წერილი წაიკითხა, ძალიან გაუხარდა და დაკოცნა ბიჭი. აბა, დიდი მეჯლისი გადაიხადეს და საკუთარი მასწავლებელიც დაუჭირეს, მაგრამ აქაც არ სწავლობდა. რამდენიმე წელიწადი დარჩა აქ. ერთ დღეს წერილი მოუვიდა ხელმწიფეს: „ჩემ შვილს უთხარი, დედაშენი ძლიერ ავად არის და შენი ნახვა სურს–თქო, ვინძლო გამომიგზავნოო“. ხელმწიფემ უთხრა: — წადი, ცხენებს შეგიბამო. — არ წავალო, — ბიჭმა უთხრა, — თუ უნდოდათ ჩემი იქ ყოფნა, იქ არ ვიყავიო! ამასობაში დედაც მოკვდა და ახლა მამა გაუხდა ავად. კიდევ წერილი გაუგზავნეს, მაგრამ კიდევ არ წავიდა.

ხელმწიფემ იფიქრა, ჩემი შვილი, ვიცი, აქაურობას შესჭამს და გაუჭირდება, ისეთი რამე უნდა დავუტოვო, რომ იმით იცხოვროსო. ერთი ქუდი ჰქონდა უჩინმაჩინისა, ვინც იმას დაიხურავდა, აღარ გამოჩნდებოდა; ერთი საფულე ჰქონდა, რომელ ჯიბეშიც ჩაიდებდა, სულ ოქროთი ევსებოდა; ერთი დაირა ჰქონდა, გარედან რომ ხელს შემოჰკრავდა, სულ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი შემოეხვეოდა. კედელი გამოათხრევინა, ეს სამი ნივთი შიგ შეინახა და ისევე ამოა-

შენებინა; გარედან ჩანგალი დაატანა და თან ზედ დააწერა: ჩემი შვილი რომ გაღარიბდეს, აქ ჩამოეკიდოს და ჩამოიხრჩოს თავი. გადაბრუნდა და მოკვდა. იმ ხელმწიფემ როცა გაიგო, ამ ყმაწვილის მამა მომკვდარაო, უთხრა: — არც ახლა წახვალო? ბიჭმა რომ გაიგო, მამაჩემი მომკვდარა და აღარავინ არის დამშლელიო, საჩქაროდ წავიდა მზა დოვლათზე და სულ იანა-იანას იძახოდა. ერთ წლამდე სულ დაბოლოვდა ყველაფერი. ახლა ოჯახის ავეჯს მიჰყო ხელი.

ეს ავეჯიც გათავდა. ახლა სახლ-კარი გაყიდა და შეჭამა. ბოლოს თქვა: ეჰ, ბარემ თავი ჩამოვიხრჩოო, აბა, საითღა წავიდეო. მივიდა შეიხედა, ნახა, კედელში ჩანგალი იყო. შეაბა თოკი, გაყო თავი და როგორც კი დაეკიდა, მაშინვე ფიცარი გადმოვარდა. ადგა ბიჭი და ნახა, რომ ფიცარზე ეწერა: „ჩემი შვილი რომ გაღარიბდეს, ამეებით იცხოვროსო“. შეიხედა და დაინახა სამი ნივთი. აიღო საფულე, ჯიბეში ჩაიდო და დაიკრა ჯიბეზე ხელი: აბა, ამით როგორ უნდა ვიცხოვროო. ნახა, რომ ჯიბე დაუმძიმდა. ჩაიყო ჯიბეში ხელი, ნახა, სულ ოქროს ფულებითა ჰქონდა სავსე, და თქვა: „გიშველა ღმერთმა, ეს რა კარგი რამე ყოფილაო“. სახლები ჩააბარა, ვიზეც გაყიდული ჰქონდა, და თვითონ სხვა სახელმწიფოში წავიდა. ფული ბევრი ჰქონდა და კარგი ტანისამოსი შეაკერინა.

ერთ სოფელში მივიდა და დაუღამდა. ერთი ბებრის სახლთან შედგა და უთხრა: დედაშვილობას, ამაღამ აქ გამათენებინეო. ბებერმა უთხრა: რა ვქნა, შვილო, სახლი ღვთისაა, სტუმარიც, მაგრამ შენი საკადრისი არც სახლი მაქვს და არც ლოგინიო და არც საშენო ვახშამიო. — შენ ნება დამრთე, დამაყენე და სუყველაფერს მე მოვიტანო. — მობრძანდიო, — უთხრა ბებერმა. მივიდა ეს ბიჭი, წაიყვანა ბებერი, ორი ხელი ლოგინი იყიდა, ერთი ხელი ტანისამოსი უყიდა ბებერს, ვახშმად — კარგი შემწვარი ინდაური, კარგი მწვადები, კარგი თევზეული, კარგი შავი ღვინო, აჰკიდა მუშას და წამოიღო. ბებერს უხაროდა: ეს რა ღვთის ნათლული ვინმე მომადგაო. გამართეს კარგი ვახშამი. როცა კარგა შექეიფიანდნენ, ბიჭმა ჰკითხა ბებერს ამ ქალაქის ამბავი: — რა არის უფრო საინტერესოო? — ბებერმა უთხრა: საინტერესო ბევრი რამ არის, მაგრამ ერთი რამე უფრო ყველაზე საინტერესოაო. ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყავს, მზეთუნახავი, საკუთარ კოშკში ზის, ჯერ იმას მზე არ უნახავს და არც ვინმესთან ულაპარაკნიაო. მარტო თავისი დედ-მამა იცის. და ერთი გამზრდელი და მე მივდივართ ხოლმე სალაპარაკოდო. მე ნება მაქვს, როცა მინდა, შევალო. სხვას არავის არ უშვებს, არც ნათესავებსო, ის შენთვის ძალზე კარგი იქნებოდაო. ბიჭმა

მოაგროვა ორასი თუმანი, და ბებერს უთხრა: წაუღე დილაზე ღა უთხარი, ცალი მკლავი გადმოყოს, მე დაბლა გავივლი და მარტო მკლავს დავუნახავო. — ძალიან კარგიო. მეორე დილით წავიდა ბებერი. წაიღო ორასი თუმანი ოქროს ფული, მიუტანა ქალს და უთხრა, როგორც ბიჭმა დააბარა. ქალი გაჯავრდა და უთხრა ბებერს: — თავის დღეში აქ აღარ გაიაროო. ბებერმა დაჰფხანა და უთხრა — „ტუხი, ტუხიო". — რა გაყვირებს, ეს ორასი თუმანი ჩაიდე ჯიბეში. შენ რომ ფანჯარაში ხელი გადაჰყო და იმან დაბლა ქუჩაში გაიაროს, რა გიშავდებაო. — კარგი, კარგიო, დაიყაბულა. მისცა ორასი თუმანი და წამოვიდა გახარებული.

წავიდა ბიჭი, დანიშნულ დროზე გადმოყო მკლავი და დაინახა. გამობრუნდა ბიჭი, იმ ღამეს კარგა იქეიფეს და კიდევ უთხრა: — დილაზე კიდევ წადი, ოთხასი თუმანი წაუღე და უთხარი, სარკმელთან მოდგეს და ორივე მკლავი გადმოყოსო, მე დაბლა ვიდგები, ერთს შევხედავ და წავალო.

დილით წავიდა ბებერი, უთხრა. რაც ბიჭმა დააბარა და ფული კალთაში ჩაუყარა. გაჯავრდა ქალი: — ადე, ადე. თვალით აღარ დაჰენახოო. ბებერმა უთხრა: ძალიან გაგაკვირვებია შენი თავი, შენ რომ მკლავები გადაჰყო და იმან ქუჩაში გაიაროს, ნეტავი რა დაგიშავდებაო? ჩადე ფული შენთვის ზანდუკში სახარჯოდ, მამაშენი, როცა გინდა, შენ გუნებაზე არც კი მოგცემსო, მაგაკ კი რაშიც გინდა, დახარჯავო. დაიყაბულა როგორც იყო და წამოვიდა გახარებული. მეორე დღეს ბიჭი წავიდა. დანიშნულ დროზე გადმოყო მკლავები ქალმა და გამობრუნდა. მოვიდა ბებერი სახლში. იმ ღამეს კარგად იქეიფეს და მერე უთხრა ბებერს: — დილაზე კიდევ წადიო. ათასი თუმანი წაუღე და უთხარი, თავის პატარა აივანზე გამოვიდეს ჩაცმულ-დახურული, გაიარ-გამოიაროს, მე დაბლა ვიდგები, ერთს შევხედავ და გამოვბრუნდებიო.

მეორე დილით წავიდა ბებერი, მივიდა, ფული კალთაში ჩაუყარა და უთხრა, რაც ბიჭმა დააბარა. გაჯავრდა ქალი და სულ პირიდან ცეცხლი გადმოსდიოდა, დატუქსა ბებერი, გამოაგდო გარეთ და ცოტა ხნის მერე დაუძახა: — აქ მოდიო. გამოართვა და უთხრა:—მოვიდესო.

წავიდა ბებერი გახარებული, მივიდა და ბიჭს უთხრა: — წადიო. დანიშნულ დროზე წავიდა ბიჭი. ქალი გამოვიდა, დაინახა, გამობრუნდა ბიჭი და წამოვიდა. იმ ღამეს კიდევ იქეიფეს. ბიჭმა უთხრა:— ხვალე აღარ გაგგზავნიო. გათენდა დილა. ეს ბებერი და ბიჭი საუზმობდნენ. ნახეს, რომ კარებზე ვიღაცა აკაკუნებს. გამოიხედეს და

იმ ქალის გამზრდელი მოსულიყო. ბებერს უთხრა: — ჩემი ქალ-ბატონი საჩქაროდ გიბარებსო. ადგა ეს ბებერი და გაქუცა. მივიდა ქალთან და ქალმა უთხრა:—ეგ შენი სტუმარი რა ადამიანი არის, რომ მაგოდენა ფულებს აკოკავებსო? ბებერმა უთხრა: — რა ვიცი, შვილო, საიდანღაც მომადგა, ეგ მამაცხონებული, ეგაო. მეც ერთი ხელი ძვირფასი ტანისამოსი მიყიდა, ორი ხელი ლოგინი, სასმელ-საჭმელი, რა გინდა, თვალო და გულოო! ქალმა თქვა: — მამაჩემი ხელმწიფეა და ეგრე იმას არ შეუძლია ფული ფანტოსო. თუ შეიძლება, ის ბიჭი აქ გამომიგზავნე, იმისი ვინაობა უნდა გავიგოო. — ძალიან კარგიო. ქალმა დაწერა პატარა ბარათი და ბებერს გაატანა ბიჭთან. ქალი სწერდა: „მოდი ჩემთან, შინაურულად, გავიცნოთ ერთმანეთიო.“

ბებერმა როგორც კი მიუტანა წერილი და წაიკითხა, ბიჭი მაშინვე წავიდა. დაუტოვა ბებერს რაც ფული ჰქონდა, თვითონ ცარიელი საფულე ჩაიდო ჯიბეში და წამოვიდა ქალისაკენ. მივიდა ის ბიჭი ქალის ჭიშკართან და კარებზე დაუკაკუნა. გაუღეს კარი და შიგ შეიპატიჟეს. დაუდგეს სკამი და დაჯდა. ქალმა უთხრა: — შენ რა ადამიანი ხარ, ჯიბეში ხაზინა, სტამბა გიდგა, თუ რა არისო? მამაჩემი ხელმწიფეა და ხანდახან შაური ენატრებაო! ბიჭმა ჩაიზმუკუნა და უთხრა:— მე ერთი საფულე მაქვს, ტომარაშიც რომ ჩავაგდო და ხელი დავკრა, სულ ოქროთი აივსებაო. აბა, მაჩვენეო, — უთხრა ქალმა. ამოიღო და მისცა. ჩადო ქალმა ცარიელ ზანდუკში. დაარტყა ხელი და სულ ოქროთი აივსო. მაინ უთხრა ქალმა: მაშ მე შენზე კარგი ვიღა უნდა ვიშოვნოო. დაუძახა ძიძას და უთხრა: ერთი კარგი საუზმე მოგვართვიო.

დაიწყო ქეიფი. ბიჭს ბანგი შეაპარა, მძინარი გარეთ გადმოაგდეს და საფულე კი თვითონ დაინარჩუნეს. გამოიფხიზლა ბიჭმა და ნახა, გარეთ გდია. ადგა, წამოვიდა დაღონებული ბებრისაკენ. ბებერმა იკითხა: — რადა ხარ დაღონებულიო? ბიჭმა ყველაფერი უამბო. ბებერს ძალიან ეწყინა და თქვა: — წავალ და ქვეყანას შევუყრიო. მაგრამ ბიჭმა არ გაუშვა. დაიხურა ქუდი და თან ჯავრობს: — აბა, ამით როგორ უნდა ვიცხოვრიო. ქუდი რომ დაიხურა, ბიჭი აღარა ჩანდა და ბებერმა დაიწყო წივილ-კივილი: სად წახვედი, შვილო. ბიჭმა უთხრა: — რა გაკვლებს, აქ არა ვდგეარო. — შვილო, არა ჩახხარო. მოიხადა ქუდი და ახლა ბებერს დაახურა და აღარც ის გამოჩნდა. რამდენიმეჯერ სცადეს და უჩინარნი გახდნენ. ქუდი უჩინმაჩიხი გამოდგა დაიხურა ბიჭმა ის ქუდი. წავიდა, დაიარა მთელი ქალაქის ბაზრები, დუქნები და ერთ ალაგას ერთი საკაბე მოეწონა ქა-

ლისათვის, აიღო მთელი თოფი და წამოიღო. მოიტანა ბებერთან და უთხრა: — წაუღე ეს საკაბე და უთხარ, ეს საკაბე იმ ბიჭმა გამოგიგზავნა, რადგან შენთან დალაპარაკების ღირსი გახადე-თქო.

წავიდა ბებერი. მიართვა ეს საკაბე და რაც ბიჭმა უთხრა. უამბო. ქალმა რომ ეს საკაბე ნახა, ძალიან გაუკვირდა და თქვა: ნეტავი სად იშოვა ამნაირი საკაბეო? მამაჩემს საკუთარი დუქნები აქვს და ამნაირი ძვირფასი ფარჩა არ მინახავსო. მოვიდეს ის ბიჭი ჩემთანაო. — წავიდა ეს ბებერი ბიჭთან და უთხრა: — გიბარებს, მაგრამ ქუდს თან ნუ წაიღებო, კიდევ არ დაგტყუოსო. ბიჭმა უთხრა: არა, თან უნდა წავიღოო. ჩაიდო ჯიბეში ქუდი და წავიდა. მივიდა, სალამი მისცა, ჩამოართვა ხელი, დაუდგეს სკამი და დასვეს. ქალმა უთხრა: — ამნაირი საკაბე სად გიშოვნია, მამაჩემს დუქნები აქვს და ამნაირი არაფერი მინახავსო, არც ჩვენ დუქნებში და არც სხვისაშიო. ბიჭმა უთხრა: მე ერთი ქუდი მაქვს იმას რომ დავიხურავ, აღარ გამოვჩნდებიო. დავიხურე ის ქუდი, წავედი მთელი ქალაქის დუქნები შემოვიარე და, ვნახოთ, ეს თოფი დახლქვეშ ედოთ, დავხედე, ანათებდა. მე მომეწონა და შენთვის წამოვიღეო. — აბა ის ქუდი ახლა დაიხურეო. ამოიღო, დაიხურა და აღარ გამოჩნდა. გამოართვა, ჩადო ზანდუკში და უთხრა: — ახლა კი შენი ვარო. მოართვეს საუზმე. დაიწყეს სმა, შეაპარეს ბანგი. დააძინეს და გარეთ გადმოაგდეს.

გამოეღვიძა ბიჭს, ნახა, რომ მოტყუებული იყო. ადგა და წამოვიდა რაცრაცით. მოვიდა დაღონებული ბებერთან და უამბო თავისი თავგადასავალი. აკი გითხარ, შვილო, ნუ წაიღებ-მეთქი. იმ ღამეს დაწვნენ და დაიძინეს. მეორე დილით აიღო ბიჭმა დაირა, ჩააგდო ტომარაში და წავიდა. ბებერს უთხრა: — ბები, ეგ ფული ხომ ბლომადა გაქვს, კარგად იცხოვრე, იმედი მაქვს კიდევა განახავო. დაიწყო ბებერმა ტირილი, გამოემშვიდობა და გაუდგა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი ღრიმე ხევის პირას, ჩამოჯდა ხევის პირზე და იფიქრა: ბოდი, ამ დაირას დავუკრავ და ჩემ დარდებს ვიმღერებო, მერე გადაევარდები და მოვიკლავ თავსაო. რაღა სასიცოცხლო მე ვარო. დაიძახა სიმღერა. დაირას ხელი შემოჰკრა თუ ორა, მაშინვე სულ ცხენოსანი ჯარი შემოეხვია და მიესალმნენ: — აბა, რას გვიბრძანებ, რა გაგჭირებიაო! ბიჭმა თქვა:—ესეც კარგი რამე ყოფილაო, წავალ ხელმწიფესთან, არც ახლა მომცეს ქალსაო, არადა მზად იყოს, უნდა ვიომოთო. ბიჭმა შემოჰკრა დაირას ხელი კიდევ და მთელი მინდორი და ქალაქი ჯარით აივსო თავის უფროსებითა. ეს უფროსები მოდიოდნენ მოწიწებით. რას გვიბრძანებო. ბიჭმა უბრძანა: — ამ საათში ხელმწიფის ოჯახი უნდა სულმ-

თლად დაამწყვდიოთთ. იმავ წამს აუსრულეს სურვილი. ხელმწიფე მივიდა თავის ქალთან და უთხრა: მოიყვანე შენთან, ეგებ როგორმე მოგვაშოროს ეს ჯარიო, ხათრს შეინახავს შენი სიყვარულითაო.

ქალმა დაიბარა ბიჭი: — თუ შეიძლება მობრძანდიო. ბიჭი მაშინვე წავიდა. მივიდა, მისცა სალამი, ჩამოართვა ხელი, დაუდგა სკამი და დაჯდა. ქალმა უთხრა: — ეს ამდენი ჯარი საიდან შემოიყვანეო, მაპაჩემი ხელმწიფეა და ამდენი კი არა, მაგის ნახევარიც არა ჰყავსო. — მე ერთი დაირა მაქვს, რამდენსაც გარედან ხელს შემოვკრავ, იმდენი ათასობით შეევატება თავის იარაღითაო. — მერე შენ როგორ შეგიძლია ამათი შენახვაო? — შენახვა რათ უნდათ, შიგნიდან რომ შემოვკრავ, მაშინვე ქრებიანო — მაშ ამიერიდან კი შენი ვარო და ვარო. ამოიღო დაირა, შემოჰკრა უკუღმიდან და ჯარმა სულ უკუქნაცბა მაჩვენე ეგ დაირაო. ადგა და დაირაც მისცა ბიჭმა ქალსა. ეს დაირაც ჩადო ზანდუკში და მოითხოვა ქეიფი. მაშინვე გაუშალეს სუფრა, დასხდნენ და იქეიფეს. მერე ბანგი შეაპარეს, დააძინეს და ქუჩაში გადმოაგდეს.

გამოეღვიძა, ნახა, რომ კიდევ მოტყუვდა. წავიდა დაღონებული ისე, რომ ბებერთანაც აღარ მისულა. იარა, იარა და ერთ ტყეში შევიდა. ნახა, ტყეში ერთი გულაბი მსხალი იდგა ისეთი სანახავი, რომ ადამიანი იტყოდა, ნეტავი ერთი შემაჭამაო. ამ ბიჭმა იფიქრა, მოდი წნელს მოვიგრეხავ, ავალ და ერთი მაგ მსხლით მაგრა გაკძღები, მემრე ჩამოვეკიდები და თავს დავიხრჩობო, რაღა სასიცოცხლო ვარო. ეგრეც აასრულა. მოიგრიხა წნელი და ავიდა მაღლა. ჯერ სახრჩობელა გაამზადა და მერე რომელი მსხალიც მოეწონა, მოწყვიტა და დაუწყო ჭამა. რა წამს შეჭამა, იმწამს ძირს ჩამოვარდა და იმის კისერზე ისეთი მსხალი ამოვიდა, როგორც ის მსხალი იყო. ეს საწყალი ბიჭი გდია პირქვე მშიერ-მწყურვალი და დაუწყო ხელებს ფათური, ეგებ რაშე ვიპოვნო და შევჭამოო. ნახა, რომ ამ მსხლის ახლოს ერთი პანტა მდგარიყო და ძირს ჩამოცვივნილიყო, მოჰხვდა ხელში, აიღო და ჭამა დაუწყო. რა წამს ერთი შეჭამა, ეს მსხალი გადაიქცა იმის კისრიდან და ბიჭი წამოდგა. მოწყვიტა სამი ცალი სათვალიო მსხალი, პანტა ბლომად წამოიღო და წამოვიდა. ბებერთან მიდიოდა და ბებერი გზაში მიეგება: სადა ხარ, შვილოო?—რა ვქნა, ბები, ქალმა კიდევ მომატყუაო. რა უშავს, შვილო, შენი მოცემული ოქრო იმდენი მაქვს. სიკვდილამდე ხელი რომ არ გავანძრიოთ, გვეყოფაო. ამ ბიჭმა უთხრა: — მართალია, გაწუხებ, მაგრამ ერთი კიდევ უნდა გამეგზავნო იმ ქალთანაო. დედაბერმა უთხრა: — შენი გულისთვის ცეცხლში ჩავდგებიო. — ეს სამი მსხალი წაიღე, ერთი ქალს მიეცი,

ერთი ხელმწიფეს, ერთი დედოფალს და უთხარ: ეს მსხლები იმ ბიჭ-მა მოგართვათ-თქო, ხოლო შენ მალე წამოდი, მეჩქარება-თქო. წაიღო ეს მსხლები ბებერმა და მიართვა. გაუხარდათ და თქვეს: სად იშოვა ასეთი მსხლებიო? დედაკაცი მალე გამობრუნდა. და-უწყეს ამ მსხლებს ჭამა და მაშინვე პირქვე დაეცნენ და კისერზე ხეები ამოუვიდათ. ხეებმა აგლიჯეს ჭერი, დაიწყო სახლმა ჭახჭახი; დედაკაცმა უკან მიიხედა და გულგახეთქილი გამოიქცა.

მივიდა შინ და უთხრა: — ხელმწიფის სახლი დაინგრაო. — არა უშავს რა. თვითონ მოგვნახავენო.—მართლაც მოვიდნენ კარისკაცე-ბი და უთხრეს: — ეს რა უყავიო?

ბიჭმა უთხრა: მე რა ვუყავი, მე მსხალი მივართვი და რა ვიცოდი, თუ მაგისთანა იყოო. — გიბარებენ, წამოდი, იქნება შეელა შეგეძ-ლოსო წავიდა ბიჭი და ჯიბეში პანტა ჩაიყარა. მივიდა და ნახა, რომ სამივენი პირქვე ეყარნენ და კისერზე ხეები ჰქონდათ ამოსული. ხელმწიფემ უთხრა: — ოღონდ ეს მოგვაშორე და ქალს კი არა, თუნ-და სახელმწიფოსაც შენ მოგცემო. ბიჭმა უთხრა: სიტყვით ვე-ღარ გენდობითო. დაუძახა მწერალს, დააწერინეს ხელწერილი და ხელმწიფემაც, დედოფალმაც და ქალმაც ხელი მოაწერეს წვალებით. მაშინ მისცა თითო პანტა და უთხრა: შეჭამეთო. შეჭამეს და განთავისუფლდნენ, მოეხვივნენ ბიჭს და დაუწყეს კოცნა, როგორც სიძეს. გამართეს ქორწილი და მთელი ორი კვირა ქორწილი ჰქონ-დათ. მერე დაბრუნდა თავის სახელმწიფოში, დაიხსნა მამის სასახ-ლე. დიდი დავიდარაბა გამოიარა, მაგრამ მამის ალაგი მაინც დაიჭ-ირა, გახელმწიფდა და კარგი მოწყალეც გამოდგა, წამოიყვანა ის ქალი და აქაც ქორწილი გადაიხადა.

ერთი ლიტრა ცერცვი მქონდა, ერთი ლიტრა ცერცვი რაო,
როცა კაცს არ უწერია, ვერ დაღუპავს, ვერცა რაო.

მზეთუნახავი ქალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მზეთუნახავი ქალი, რომელიც მზეს ეუბნებოდა: შენ ჩადი, მე ამოვალო. ამ ქალის ვინაობა დედამი-წის ზურგზე არავინ იცოდა, გარდა ერთი ცხრათავიანი ბაყბაყ დევი-სა. ერთხელ სამი ძმა წამოვიდა სანადიროდ, ინადირეს და შემოაღამ-დათ. ერთ საყდარს შეაფარეს თავი. საუბედუროდ, ამ საყდარში

ცხრათავიანი დევი ყოფილიყო. ეს ძმები შეებნენ დევს. ამ დევმა იმ-ხსვერპლა ორი ძმა. პატარა ძმამ რვა თავი მოაგდებინა. მეცხრე თავ-მა უთხრა: ოლონდ ნუ მომკლავ და ერთ რამეს გასწავლიო. დაე-თანხმა ეს ბიჭი და არ მოჭ

ჩუქარს მოგცემთ. ერთ საღამოს ამ ბებერმა ითხოვა ერთი ჯაგლაგი ცხენი და ურემი და გაუდგა გზას. მიადგა თუ არა იმ სახლს, შემოაღამდა და სთხოვა სახლის პატრონს: ეს ღამე შეეფარებინათ. მიიღეს ეს ბებერი და იმ ღამეს კარგად მოასვენეს.

გათენდა. ეს ბებერი წამოდგა. იმ სახლის წინ ერთი დიდი ორმო იყო ამოყრილი. ამ ორმოს მაღლიდან ფარდაგი გადააფარა და შეეიდა ისევ სახლში. ცოლ-ქმარმა გაშალა სუფრა ამ ფარდაგზე და შეუდგნენ საუზმის ჭამას. წინაპირველად ქმარი მივიდა იმ ფარდაგთან და ზედ დადგა და თავისი ჭურჭლით შიგ ორმოში ჩავარდა. ბევრი ივიშვიშეს დედაბერმა და ქალმა, მაგრამ რას უზამდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბებერმა ამოიღო ბანგი და იმ ქალს დაალევინა. მზეთუნახავ ქალს ძილი მოერია და მიწვა თავის ლოგინში. ბებერმა მოიტანა დანგრეული ურემი და ზედ დააწვინა ეს ქალი. წამოსვლისას ამ ბიჭს ერთი თორნის ნაცხობი ჩაუყარა და გაუდგა გზას. მეორე დღეს ქალმა გაახილა თვალები, დაინახა, რომ თავის სახლში აღარ იყო. ტირილი დაიწყო.

რამდენიმე ხანი გავიდა და ეს მზეთუნახავი ქალი მიეჩვია ხელმწიფის ვაჟს. რომ ნახა, თავისი პირველი ქმარი აღარ იქნებოდა ცოცხალი, დაიწყო ამასთან ცხოვრება. ერთ დღეს მწყემსებმა გამოიარეს იმ გზაზე, სადაც ის კაცი იყო ჩავარდნილი ორმოში. მოვიდნენ ამ ეზოს წინ, გამოუშვეს საქონელი და მიეცნენ მოსვენებას. ერთ მწყემსს ზმეული მოესმა. უთხრა თავის ამხანაგებს და მიიარ-მოიარეს ეს ეზო, მაგრამ ვერაფერი შენიშნეს. ბოლოს როგორც იყო მიაგნეს ორმოს, მაგრამ შიგ ჩასვლა ვერავინ გაბედა. ყველას ეშინოდა, შიგ ცხოველი რამე არ ყოფილიყო. ერთმა მწყემსმა იკისრა ჩასვლა. მოაბეს მხრებზე თოკი და ჩაუშვეს. მწყემსმა უთხრა: თუ თოკი შევანძრიო, მაშინ ამწიეთ, თუ არადა მოუშვით თოკიო. მართლაც, ჩაუშვეს თოკი ძირამდე. მოაბა მხრებზე თოკი და შეანძრია თოკი. მწყემსებმა ასწიეს თოკი და მაღლა აიყვანეს ეს დასნეულებული კაცი. მერე თავიანთი ამხანაგიც ამოიყვანეს. პური აჭამეს და, როგორც იყო, მოასულიერეს. კაცი მოუყვა თავის თავგადასავალს, თუ როგორ ჩავარდა ორმოში. კიდევ ბევრი ილაპარაკეს. კაცმა დიდი მადლობა გადაუხადა მწყემსებს და გაუდგა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ ხელმწიფის სახლს. ამ კაცს საგზალი შემოკლებოდა და მათხოვრობისათვის მიეყო ხელი. ტანსაცმელი ისე შემოგლეჯოდა, ერთი ჯამი ფეტვი რომ შეგეყარათ, ერთიც არ ჩამოვარდებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ცოტა

ვილაპარაკოთ, ეს გლახა შეეხვეწა ხელმწიფის ვეზირებს: სამუშაო რაიმე მიბოძეთო.

ვეზირებმა უთხრეს ხელმწიფეს: გლახა არის მოსული და სამუშაოს გვეხვეწებაო. ხელმწიფემ თანხმობა განაცხადა. მართლაც, ამ გლახას ბატები ჩააბარეს. დილით წაიყვანდა საძოვარზე და საღამოთი მორეკავდა. გლახას იმ მხარეს უნდა გაევლო, სადაც თავის პირველი ცოლი იყო დამწყვდეული. ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრიდან შეამჩნია გლახა და ფერფურმა გადაჰკრა. თან ეცნობა ეს კაცი ვინ არის და თან ვერა. როგორც იყო, იცნო თავისი პირველი ქმარი და თრთოლვამ აიტანა. მოაგონდა პირველი სიყვარული, მოაგონდა მისი ორმოში ჩავარდნა. ერთ დღესაც გლახა მიერეკება ბატებს. ქალმა ფანჯრიდან დაიძახა თავისი ქმრის სახელი. ეს კაცი შეკრთა დაძახილზე და მაღლა აიხედა. დაინახა თუ არა ქალი, მანაც იცნო. შიშმა აიტანა, მოაგონდა თავისი ცოლის სიტყვები, ამ ბეწვს ნუ დაჰკარგავო. ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც ამ კაცს გული წაუვიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე მოსულიერდა, წამოდგა და ბატები წაიყვანა მინდვრისაკენ.

გავიდა დღეები, წელიწადი და ერთ ღამეს გადაწყვიტეს გაპარვა. წავიდა კაცი ცხენების საშოვნელად. ვაი-ვაგლახით იშოვა ორი ცხენი, მოიყვანა და სახლთან დაბა. იმ ღამეს უნდა გადაწყვეტილიყო მათი გაქცევა. მზეთუნახავ ქალთან მარტო ერთი დედაბერი ადიოდა ხოლმე საჭმლის მისატანად. კაცი როგორც იყო, ამ დედაბერს ჩუმად შეუთანხმდა: მისი ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა. შეღამდა თუ არა, ეს კაცი ავიდა ქალთან. მცველებმა ვერაფერი შეუტყვეს. როდესაც ავიდა, ქალი შორიდანვე გაექანა, გადაეხვია და მაგრად დაკოცნეს ერთმანეთი. გაიხარეს. ბევრი ილაპარაკეს როგორ მოქცეულიყვნენ. როგორც იყო მოახერხეს, ვითომ სასეირნოდ მიგვყავს ქალბატონი, ჩამოვიდნენ დაბლა, ცხენებს მოახტნენ და გაქუსლეს. სანამ ოთახიდან ჩამოვიდოდნენ, კარის მცველმა ყველაფერი იცოდა, რაშიც იყო საქმე. ამ არაბს დიდი ხანია, რაც თვალი ეჭირა მზეთუნახავ ქალზე. ეს არაბი დაედევნათ.

ბევრი ირბინა, თუ ცოტა ირბინა, როგორც იყო მიუახლოვდა ცოლ-ქმარს. არაბი სწვდა ამ კაცს, მაგრამ სანამ დაახრჩობდა, მზეთუნაჩავმა ქალმა ამოიღო დანა და შიგ კისერში გაურჭო. ამის შემდეგ ეს ცოლ-ქმარი გადარჩა საფრთხეს, გამოვიდნენ სხვა სახელმწიფოში და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა. ლხინი აქა;
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ბრონწეულის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი ვაჟიშვილი. ამ ხელმწიფეს თავის ბაღში ედგა ბრონწეული, ისხამდა ადამიანის თავის სიმსხო ნაყოფს, და თანაც ძლიერ ტკბილი იყო. მხოლოდ კარგად დამწიფებას არავინ აცლიდა, ვიღაცა უკრეფავდა. მცველს აყენებდა, მაგრამ მაინც უკრეფავდნენ. შვილებმა უთხრეს: — მოდი, მამავ, ჩვენ ვუდარაჯებთო. — კარგიო, უთხრა ხელმწიფემ. წავიდა უფროსი შვილი სადარაჯოდ, ცოტა ხანს იფხიზლა, მერე კი დაეძინა. მოვიდა ვიღაცა და დაუკრიფა. მეორე ღამეს საშუალო წავიდა სადარაჯოდ, მაგრამ იმანაც შუაღამემდე იფხიზლა და დაეძინა. მოვიდა ვიღაცა შუაღამისას და დაუკრიფა. მესამე ღამეს პატარა წავიდა და მთელი ღამე იფხიზლა. თურმე, ის რჯულძაღლი, შორიდან ზვერავს, როდის დაეძინებაო. ვნახოთ, გათენებამ მოატანა და მაშინ იფიქრა, ეხლა აღარ მოვაო და ჩაიძინა. თურმე დევი ყოფილიყო. ჩაჩაჩუჩი რომ დაუწყო, ჯერ არც კი მოეწყვიტა, ბიჭს გამოეღვიძა, ნახა-დევი არის და ბრონწეულზე მიბობღავს. ჰკრა მშვილდ-ისარი, გამოცვივდნენ ძმები და მამა. ნახეს მოურტყამს და კვალი ეტყობა, სისხლი სდენია. ძმებს უთხრა: წამომყევით, უნდა დევი მოვკლაო.

შეიარაღდნენ და წავიდნენ. მიჰყვნენ კვალს, ნახეს მინდორზე ერთი ორმოსავით ამოხვრეტილი იყო და იმაში ჩავიდა. კვალიაო, თქვეს ბიჭებმა, უნდა ჩავიდეთო. წავიდნენ, გრძელი თოკი მოიტანეს. თურმე ორმო გრძნეული ყოფილა, როგორც თორნე, ისეთი სიმხურვალე ამოდიოდა. შეაბეს დიდ ძმას თოკი, ჩაუშვეს და უთხრეს: ნახე, რა ამბავიაო, და შემოგვძახეო. ჩაუშვეს. დაიწყო კივილი: ამიყვანეთ, დავიწვიო და ამოიყვანეს. შეიბა საშუალომ. ჩაუშვეს და იმანაც დაიწყო: ვაიმე, დავიწვიო, და ისიც ამოიყვანეს. ახლა პატარამ შეიბა და უთხრა: რამდენი დავიძახო დავიწვი, იმდენი უფრო ჩამიშვითო. ჩაუშვეს. შეაწუხა სიცხემ, მაგრამ უძლებდა და ამბობდა: თუ ამ დევის საქმე არ გავიგე, რად მინდა თავი ცოცხალიო. ჩავიდა ძირამდის და დაიძახა ჩავედიო. იმის ძახილზე, ვნახოთ, კარი გაიხსნა, სინათლეზე დაინახა: ქალი იყო; ქალმაც დაინახა, რომ ჯეელი ბიჭია. წაავლო ხელი და შიგნით შეიყვანა. ნახა ბიჭმა ორი სხვა ქალიც იყო. ქალებმა უთხრეს: — თავი ეგრე როგორ გაიმეტე, რომ აქ ჩამოხველო? ეს წყეული საიდანღაც მოვიდა დაჭრილი და ჯავრისაგან დაიძინა, არიქა თავს უშველე, როგორც ჩამოხველ, ისევე ადი, თორემ აი გაიღვიძებს და შეგჭამსო. ბიჭმა უთხრა: ეგ მე დავჭერი და მაგას გამოვედევნეო, უნდა მოვკლაო. ქალებმა უთხრეს: შენი ი-

რაღი მაგას ვერ მოჰკლავსო, და მაგის ხმალს კიდევ ვერ მოერევიო, ვერ დასძრავო. დაინახა კედელზე ხმალი ეკიდა უშველებელი, მივიდა, ჩამოიღო და გასინჯა. ქალებს გაუკვირდათ და თქვეს: — კარგა შესძლებიაო და იქნება მაგის ჯავრი ამოგვყაროსო. ქალებმა უთხრეს: — ნუღარ აგვიანებ, თუ იმედი გაქვსო. ბიჭმა უთხრა: დაძინებულს არ მოვკლავო. ქალებმა დაუწყეს: თუ გაიღვიძა, შენ შეგჭამს და ჩვენც დაგვხოცავსო. ბიჭმა უთხრა: ნუ გეშინიათო და დაჰკივლა დევს. ამ დევმა წამოაჭყიტა თვალები და ბიჭი რომ დაინახა, გაშმაგებული წამოხტა. სანამ ის გასწორდებოდა, დაჰკივლა ბიჭმა: — მე ისა ვარ, რომელმაც ფეხი მოგტეხაო და ახლა მოველ სული უნდა ამოგაცალოო, — და კიდეც მიუშვა ხმალი თავში და თავი ორად გადაუჩეხა. დაეცა ეს დევი, როგორც დიდი მორი. აკუწა ბიჭმა და გადაყარა. მოეხვივნენ ქალები და დაუწყეს კოცნა. მერე დასხდნენ და დაიწყეს თავთავიანთი თავგადასავალი.

ჩვენ სამნი მოტაცებულები ვყავართ სხვადასხვა ქვეყნიდანაო. ამ წყეულს ნეტავი რად ვუნდოდით, ჩვენ ნებას არ ვაძლევდით ახლოს გაგვკარებოდა, ტყუილად, სახელისთვის ვყავდითო.

ბიჭმა უთხრა: ორი ძმა მაღლა მელოდებაო. ქალებმა გაუღეს ოთახები და აჩვენეს იმისი ზინეთი ოქრო-ვერცხლი და სხვადასხვა სახლის ავეჯეულობა. მაშინ ბიჭმა უთხრა: — ჩვენ ხელმწიფის შვილები ვართო, ორნი ჩემს ძმებს, — და ერთსაც თვითონ წაავლო ხელი, — ესეც მეო. გაუხარდათ ქალებს და თქვეს, თუკი მაგის ღირსი გავხდებით, მეტი რაღა გვინდაო. გამოაბარგეს რაც ნაღდი რამე იყო და შესძახეს ძმებს: — აბა, ასწით თოკსაო. ასწიეს და აზიდეს, რაც უნდოდათ და მერე ქალები აიყვანეს. დარჩნენ ის ბიჭი და თავის საცოლე. ქალმა უთხრა: — ჯერ შენ ადი, თორემ ძმები გიღალატებენო და აღარ აგიყვანენო. ბიჭმა უპასუხა: — არა, არა, შენ გინდა მერე აღარ ამოხვიდეო. ან როგორ შეიძლება შენ აქ გამყოფო და მე ავიდეო. ქალმა უთხრა: — გხედავ, უჯიათი ჩანხარ. მე ვიცი, რომ მერე ძმები აღარ ამოგიყვანენ და მოდი ერთ რამეს გაჩვენებო, — მიიყვანა ერთ ოთახთან, გახსნა და აჩვენა შიგ სამი რაში ება: ერთი შავი, ერთი წითელი და ერთი თეთრი. ქალმა უთხრა: — რახან არ დაგიშლია, ყური დამიგდე და თუ გაგიჭირდეს, ამათ მიმართეო. თუ წითელზე შეჯდები — ნეტარება შენ — მაღლა ამოგიყვანსო; თუ თეთრზე შეჯექ, გვერდ-გვერდ წაგიყვანს და ვინ იცის, სად გაგგლეჯს, მიწაზე იქნება თუ ზღვაში სადმე დაგღუპავსო; თუ შავზე შეჯექი — ქვესკნელს ჩაგიყვანსო. იმდენი ეცადე, რომ წითელზე შეჯდეო. წითელზე რომ ჯდომას დაიწყებ, ესენი ეცდებიან თვითონ

ზეგისვანო და ლაჯებში გაგიძვრებიანო. მისცა ქალმა დარიგება, შეიბა თოკი და აიყვანეს.

ბიჭი ელოდებოდა, ან ახლა ჩამოუშვებენ თოკს ან ახლაო, მაგრამ აღარ ჩამოუშვეს. ძმებმა მოილაპარაკეს: — ახლა ეგ რომ ამოვიყვანოთ, სულ მაგისი სახელი იქნება და მამაჩვენი აბუჩად აგვიგდებსო, ეგრე ვუთხრათ: დევი ჩვენ მოვკალით და იმისი ქონებაც ჩვენ წამოვიღეთო, პატარა ძმა კი გზაშივე დავკარგეთ, ვერ გავიგეთ საით წავიდაო. ადგენენ, წამოიღეს ის დიდი დოვლათი და ქალებიც წამოიყვანეს. გზაში ქალებს უთხრეს: არამც და არამც არაფერი წამოგცდეთო, თორემ დაგხოცავთო. მოვიდნენ შინ და მამამ რომ დაინახა ორნი მოვიდნენ, მაშინვე გაიგო უღალატებდნენო და ჰკითხა: — ბიჭი რა უყავითო? უთხრეს, როგორც გზაში მოილაპარაკეს. დაედარდა ხელმწიფეს, მაგრამ რას იზამდა. პატარის საცოლემ უთხრა: — მე ერთი ოთახი ჩემთვის მომეცით, ცალკე უნდა ვიცხოვროო. იმ დღიდან მოყოლებული იყო ცალკე ოთახში დაღონებული. ძმები კი ხარობდნენ თავიანთ ცოლებთან.

ის საწყალი ბიჭი რომ დარჩა ორმოში, ძალიან ბევრს ეცადა და ეწვალა, მაგრამ ვერ გაახერხა წითელზე შეჯდომა; შავი გაუძვრა ლაჯებში, შეისვა და გაუძახა ქვესკნელს. რა ქნას საწყალმა, ზის რაშზე და დადის დაღონებული, ბოლოს მივიდა ერთ სახლთან და დაუძახა. გამოვიდა ერთი ბებერი და ჰკითხა: რა გინდაო? ბიჭმა უთხრა: — შეიძლება ამაღამ აქ დამაყენოო. — მობრძანდიო. შენ მაღლა ხმელეთისასა ჰგევხარო და აქ საიდან ჩამოსულხარო? — დიახ, წავიდეთ და შინ გეტყვი ყველაფერსაო. წავიდნენ, დააბა რაში, დასხდნენ და უამბო თავისი თავგადასავალი. ძალიან შეეცოდა ბებერს, მაგრამ რას იზამდა. იმ ღამეს ვახშამი აჭამა და დააძინა. გათენებამ რომ მოატანა, თურმე ბებერს პური არა სდებოდა, გაცრა ფქვილი, ქვევრში წვიმის წყალი ჰქონდა მღვრიე, ამოიღო, ქვაბში გაათბო და პურს ზელა დაუწყო. იმ დროს ბიჭს არ ეძინა და ბებერსა ჰკითხა: — ნუთუ წყალი არა გაქვთ, რომ მღვრიე წყლითა ზელავ პურსაო? ბებერმა უპასუხა: — წყალი კი გვაქვს, მაგრამ გველეშაპი ჰყავს დაპატრონებული და არ გვაძლევსო, მარტო ხელმწიფეს აძლევსო და ხელმწიფესაც იმიტომ აძლევს, რომ თავისი ქალი მისცაო. — რას ამბობ, მომეცი, დიდი ჭურჭლები გექნება, წავალ, მოვიტან წყალსაო. დედაკაცმა დაიწყო ტირილი: — არ გაგიშვებ, უცხოეთიდან ჩამოსულხარ, შენი რა ბრალია, ჩვენ რომ წყალი არა გვქონდესო. ბიჭმა უთხრა: წავალ, ვნახოთ როგორ არ მომცემს წყალსაო. ჩაიცვა, დაიხურა, შემოირტყა დევისეული ხმალი, მშვილდ-ისარი გაირჭო წელში, წავიდა

და წყლის ჭურჭლებიც წაიღო. მივიდა, ნახა, ერთი დიდი კოშკი იდგა და აივანზე ერთი მთვარესავით ქალი იყო გადმომდგარი. ქალმა რომ დაინახა, დაუძახა: — სად მიხვალ, რაზე გამოგიმეტებია თავი? ბიჭმა არც კი შეისადარა, მივიდა და წყალს ავსება დაუწყო. ჩამოვარდა ქალი სასწრაფოდ, მივიდა, მოჭიდა ხელი, მაღლა აიყვანა და ჰკითხა ვინაობა. ბიჭმა უამბო თავისი ვინაობა და ჰკითხა: — სად არის გველეშაპი? ქალმა უთხრა: — მაღლა ცაში არის სანადიროდ წასულიო, იქიდან დაგინახავს, წამოვაო და გაგაფუჭებსო. ბიჭმა უთხრა: — შენ ნუ გეშინია, ცოტა ხანს შენს მუხლზე მიმაძინე, რომ მოდიოდეს, გამაღვიძე და თუ არ გამეღვიძა, ერთი კარგი სილა შემომკარი არ დაგეხათროსო და გამომეღვიძებაო.

დაიძინა. გველეშაპმა რომ დაინახა იმ ქალის კალთაში ვიღაცას თავი უდევსო, წამოვიდა ჭექა-ქუხილით. გაიგონა ქალმა, რომ ერთი გნიასით მოდისო, დაიწყო ტირილი: მოვა და მოჭკლავს ამ პატიოსან ბიჭსაო. ცრემლები რომ დაეცა, მაშინვე წამოხტა ბიჭი. მოაკლო მშვილდ-ისარს ხელი, სტყორცნა და შიგ გულში გაუტარა. დატრიალდა ცაში, წამოვიდა და მიწაზე დაეცა. ბიჭმა ჩამოირბინა კიბეებზე, მივიდა, გაიძრო ხმალი, აკუწა და გადაყარა. აავსო ჭურჭლები და ქალს უთხრა:—წადი მამაშენთანაო. წამოიღო წყალი და მოვიდა ბებერთან. ბიჭი რომ მოვიდა, ბებერს ძალიან გაუხარდა, გაუკვირდა და ჰკითხა: — როგორ იყოო? ბიჭმა უთხრა: — ისარი ვესროლე, გულში მოხვდა და მოვკალიო. — ეს ხელმწიფის ქალიც წავიდა თავის მამასთან. აბა, ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა თავის ქალს: როგორ მოხვედი, შვილო? ქალმა უთხრა: ერთი ვიღაცა ბიჭი მოვიდა წყლის ასავსებად და იმან მოკლაო.

გავარდა ხმა გველეშაპის მოკვლისა და ქვეყანა ერთმანეთს ეცა. დაიწყეს ძებნა და მკვლელი კი არა ჩანდა, ვინ იყო და ვინ არა. მერე ხელმწიფემა ჰკითხა თავის ქალს: — შვილო, ვერ იცნობ ვინ იყოო? ქალმა უთხრა: — თუ ვნახე, ვიცნობო.

გამართა ხელმწიფემ მეჯლისი და დაუძახა თავის სახელმწიფოს. გაშალა სუფრა და დაიწყეს მეჯლისი. ხელმწიფემ უთხრა თავის ქალს: აბა, შვილო, ეგებ იცნო, ვინ იყოო. ბევრი ათვალიერა, მაგრამ ვერ იპოვნა და მამას უთხრა: აქ არ არის, მამაო. მაშინ ხელმწიფემ უთხრა ვეზირებს: ხომ არავინ დაგრჩათ მოსაყვანიო? ვეზირებმა უთხრეს: — რა ვიცით, ერთ ბებერთან ერთი ბიჭი არის, აქაური არა ჩანს, იმის მეტი ყველა მოვიყვანეთო. — წადით და ისიც აქ მოიყვანეთო. ვინც იქნება ის გველეშაპის მკვლელი, ის იქნება ჩემი სიძეო და სახელმწიფოც იმისი იქნებაო. ადგნენ და წამოიყვანეს

ის ბიჭი. ბიჭმა გზაში ერთი კურდღლის ბაჭია დაიჭირა, უბეში ჩაისვა და მოვიდა. ხალხმა რომ დაინახა, სიცილი დაიწყო: ეგ საიდანღა მოთრეულაო. როგორც მოვიდა და სადარბაზო ოთახში შეიყვანეს, იქვე კარებთან ჩაეგდო, მაგრამ რა წამს ქალმა დაინახა, იცნო, მივიდა და კალთაში უნდა ჩაჯდომოდა, მაგრამ ამ დროს ბიჭმა უბიდან კურდღელი გამოაჩინა და ქალი შეკრთა, შეეშინდა და უკან გაბრუნდა. მამამ უთხრა: — რა გეშინია, შვილო, თუ ეგ არის, მიდი და კალთაში ჩაუჯექიო. შვილმა უთხრა: უბეში რაღაცა ჰყავს და მაშინებსო. მერე მამამ უთხრა: თვალები დახუჭე, მიდი და ჩაუჯექი, ნუ გეშინიაო. მართლაც, დახუჭა თვალები, მივიდა და ჩაუჯდა კალთაში. ამოდენა ხალხმა იგრიალა და დაჰკრეს ტაში. ხელმწიფემ მაშინვე ააყენა და წაიყვანა ცალკე, თავის ოთახში და ჰკითხა სადაურობა. ბიჭმაც უამბო დაწვრილებით თავის თავგადასავალი. ხელმწიფემ უთხრა: მოდი, შვილო, ჩემი ქალი შეირთე ცოლად, დაჯექი ხელმწიფედ და დარჩი აქაო. ამ ბიჭმა უთხრა: თუ შეგიძლია და მაღლა ამიყვან, ხომ კარგი, და თუ არა მე არც ქალი მინდა და არც ხელმწიფობაო. მაშინ ხელმწიფემ უთხრა: რა ვქნა, შვილო, ეგ მე არ შემიძლია და თუ ვინმეს იშოვი ისეთს, რომ აგიყვანოს, რასაც ითხოვს და ან რაც დასჭირდება, მივცემო.

გამოეშვიდობა ბიჭი და წამოვიდა ბებერთან. სანამ ბიჭი მივიდოდა, ხელმწიფემ ბებერთან დიდძალი ცხოვრება გაგზავნა, კარგი სახლიც გაუკეთა ხელდახელ და მოსამსახურეებიც მისცა. მოვიდა ბიჭი ბებერთან და უთხრა: — მაღლა ასვლა მინდა ჩემს ქვეყანაში, თუ არ ავედი, არ ვიცი ჯავრით რა მომივაო. ეგები იცოდე ისეთი ვინმე. რომ მაღლა ამიყვანოსო. ბებერმა უთხრა: ერთი რამ ვიცი, მხოლოდ კი არც მემეტებიო, დარჩი ჩემთან, იქ რაღა გინდაო? ბიჭმა უთხრა: — რა ვქნა, იქ დანიშნული მელოდებაო. — მაშ კარგიო. შენ წადი მავან და მავან მინდორზეო, და მინდორი დაანახა, იქ ერთი ხე დგას და ზედ ფასკუნჯის ბუდე არისო. ახლა ბარტყები ეყოლება. იმას ერთი არწივი ჰყავს შეჩვეული, მუდამ წელიწადს ბარტყებს ის უჭამსო. წადი, ის არწივი მოუკალ და თუ აგიყვანს, ისა, თუ არა, სხვა ვერავინაო.

წავიდა, ნახა ის ხე; ზედ ბუდე იყო. მივიდა, დაჯდა გრილოში და დაისვენა. იმის ყისმათზე არწივიც მოვიდა. როგორც კი უნდა დასცემოდა და ერთ-ერთი წაეყვანა, ბიჭმა სტყორცნა არწივს ისარი და ჩამოაგდო. გაუხარდათ ბარტყებს, გაწალეს ფრთები და გრილო დაეყენეს. სად იყო, სად არა, ფასკუნჯიც მოვიდა. ნახა, რომ მისი შვილები უვნებლად არიან, არწივი მკვდარი გდია. შვილებმა უთხრეს: —

დაბლა რომ ბიჭი ზის, იმან მოკლაო. ფასკუნჯი მაშინვე ჩაფრინდა დაბლა, ამოიყვანა მაღლა და დაჰკოცნა. მერე უთხრა: — შვილები შენ გადამირჩინე და რას დამავალებ, რომ შეგისრულოო? ბიჭმა უთხრა: — მეტი არაფერი მინდა, მაღლა ხეელეთზე ამიყვანეო. ფასკუნჯმა უთხრა: — ძალიან ძნელი საქმე დამავალე, მაგრამ მეტი რა გაეწყობაო. მოამზადე საგზაო თადარიგი და აგიყვანო. ოცი ძროხა დაკალი, ოცი თონე პური დააკარ, ოცი რუმბი ღვინო. ერთი დიდი რამე დაწან, რომ ზურგზე დავიდგა, ყველაფერი შიგ ჩავაწყოთ, შენც დაგისვამ და ავფრინდეთო.

წამოვიდა ბიჭი ხელმწიფესთან დაღონებული. ხელმწიფემ რომ ბიჭი დაღონებული დაინახა, ჰკითხა:—რა ჰქენი, რამე საშველი არის, თუ არაო? ბიჭმა უპასუხა: საშველი კი არის, მაგრამ დიდი ხარჯი მომთხოვაო. — განა ისეთი რა მოგთხოვაო? — ჰკითხა ხელმწიფემ. ფასკუნჯის დავალება ყველაფერი უამბო ბიჭმა. გაუხარდა ხელმწიფეს და უთხრა: — მაგაზე ადვილი რაღა არისო. მაშინვე დააწნევინა დიდი გოდორი, დახოცა ძროხები, გამოაცხობინა პური და აავსებინა ქვევრები. ამასობაში ფასკუნჯიც მოვიდა, დაადგეს ზურგზე გოდორი, ჩააწყეს ყველაფერი და ბიჭიც გამოემშვიდობა ყველას და ჩაჯდა გოდორში. ფასკუნჯმა უთხრა: — რამდენიც დავიწივლო, იმდენი თითო ძროხა, თითო თონე პური და თითო რუმბი ღვინო უნდა ჩამაყაროო. იწივლა ფასკუნჯმა, გაიხსნა მიწა და წავიდა მაღლა. რამდენს იწივლებდა, იმდენს ჩაუგდებდა ხოლმე. ერთი აფრენაღა იყო, რომ ხორცი დააკლდა. რა ქნას ბიჭმა? იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ბარკალი გამოიჭრა, ჩაუგდო და კიდეც ავიდა მაღლა. მაღლა რომ ავიდნენ, ფასკუნჯმა იკითხა: — ბოლო დროს რომ ხორცი ჩამიდე, რად იყო ტკბილიო? ბიჭმა უპასუხა: მე გამოვიჭერ ბარკალიო. — ტკბილი ხორცი გქონია, რომ მცოდნოდა შეგჭამდიო! მერე მისცა პატარა ბუმბული და უთხრა: მოისვი და გაგიმრთელდებაო. მართლაც, მოისვა და გაუმრთელდა.

ფასკუნჯმა უთხრა: — მე რომ დაბლა წავალ, დიდი მიწისძვრა იქნებაო, ხეს რამეს მოეჭიდე, დაბლავე არ ჩამოვარდეო. ეს ბიჭიც მოეხვია ერთ დიდ მუხას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. წავიდა ფასკუნჯი დიდი ჭექა-ქუხილით და როცა დაამდა დედამიწა, ადგა ეს ბიჭი და წავიდა თავისი სახლისაკენ. ბეერი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა თავის სახლ-კარს. სანამ მივიდოდა, ხელმწიფეს მახარობელი მისვლოდა: შენი დაკარგული შვილი მოდის, გზაში ვნახეთო. გამოეგება ხელმწიფე თავისი ამალით და გახარებულებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ. თავისი საცოლე მივარდა, მოეხვია და უთხრა: — ახია შენზეო,

რა გინდოდა, გაგეგონებინა ჩემთვინ, ამდენ ტანჯვას ხომ არ გამოივლიდიო! მერე დაიბარა ხელმწიფემ თავისი შვილები და უთხრა: აკი ჩვენ თვალითაც არ დაგვინახავს ჩვენი ძმა და დევი კიდევ ჩვენ მოვკალითო? ხელმწიფემ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, მაგრამ პატარა შვილმა სთხოვა: მე მაპატიე მაგათი თავი და ნუ დახოცავო. დაუჯერა პატარა შვილს, არ დახოცა. მაგრამ ცალკე კი გაყარა. პატარა შვილს კარგი ქორწილი გადაუხადა, გაახელმწიფა და ხარობდნენ.

ზღაპარი ყაჩაღებისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ერთი ქალი. აქ მცხოვრებლებს ყოველ საღამოთი შეჩვეული ჰყავდათ თერთმეტი ყაჩაღი. ამ ყაჩაღებისაგან ისე იყვნენ შეწუხებული, რომ მეტის გაძლება არ შეეძლოთ. ყოველ საღამოთი მოდიოდნენ ყაჩაღები და რაც კი მოეპოვებოდათ სურსათ-სანოვაგე, სულ ეზიდებოდნენ. ეს დაღონებული დედ-მამა ნახა ერთ დღეს ქალმა და ჰკითხა: — რაზე ხართ ასე დაღონებულიო. უამბეს, რაც გაჭირვება ჰქონდათ. ქალმა ერთ საღამოს აიღო ხმალი და დაუდარაჯა ალაყაფის კარებთან. უცადა შუაღამემდე. ვნახოთ, მოვიდნენ კიდევაც. ჯერ წინ გაგზავნეს ერთი ყაჩაღი. ქალმა ის მოკლა. რომ დაიგვიანა, ახლა თვითონ წავიდნენ. ქალმა დახოცა ათი, მეთერთმეტეს მარჯვენა ყური მოაჭრა. ამ ყაჩაღმა უთხრა ქალს: — მე თუ შენ ცოლად არ წაგიყვანო და არ აგანაზღაურებინო ჩემი ძმების სისხლი, მე კაცი არ ვყოფილვარო. ქალი დაფიქრდა: „არ გავთხოვდები და საიდან წამიყვანს ცოლადაო?“ ეს ყაჩაღი მახლობელ მოხუც დედაკაცთან მიეჩვია. ამ ქალსაც უყვარდა ამ მოხუცთან მისვლა. ქალმა ეს ყაჩაღი რომ ნახა, ვეღარ იცნო. მოხუცის მაჭანკლობით ყაჩაღი და ქალი დაინიშნენ. მოვიდა ყაჩაღი ქალის წასაყვანად, წაიყვანეს ქალი, და რომ გავიდნენ ერთ ტყეში, გააჩერებინა ყაჩაღმა ეტლი, სხვები წავიდნენ წინ, გადმოიყვანა ეს ქალი, მეეტლეს უთხრა: — თქვენ წადითო. თვითონ წაიყვანა ქალი. ატარა, ატარა, შუა ტყეში რომ შეიყვანა, მოიხადა ყაჩაღმა ქუდი და უჩვენა ქალს მისგან ჩამოჭრილი ყური. ქალი გაკვირვებული დარჩა. ყაჩაღმა გაატიტვლა მთლიანად ქალი და წამება დაუწყო. თვალები დასთხარა. უნდოდა დაეწვა, მაგრამ ცეცხლი ვერაფრით დაანთო. უთხრა ქალს:

— სანამ მე არ მოვიდე, ფეხი არსად გადგა, თორემ ცაში ახვალ ამოგყვები, წყალში ჩახვალ, ჩაგყვებიო. წავიდა ეს ყაჩაღი.

ქალმა დაიწყო ყვირილი. გზაზე მოდიოდნენ მწყემსები, მატყლით დატვირთული ურმებით. გაიგეს ქალის ყვირილი, შეაჩერეს ურმები, ამბობენ: აქ რა უნდა ქალს, ამ უღრან ტყეშიო? რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს ქალი უნდა ვნახოთ, ვინ არისო. მივიდნენ, ნახეს, თვითონვე შეეშინდათ: ხედავენ, გატყავებული ქალია, თვალებდათხრილი. შეეკითხნენ: — აქ რას აკეთებ, ქალო, ან ვინ მოგიყვანაო? ქალი ზეევედრა: — აქედან წამიყვანეთო. წამოიყვანეს ეს ქალი მწყემსებმა. გადმოცალეს ერთი ურემი და შიგ ძირში ჩაუწვინეს. მაღლიდან ისევ დააყარეს მატყლი და გაუდგნენ გზას. გაიარეს ცოტაზე. ხედავენ, უკანიდან ვიღაცა უყვირის. დააყენეს ურმები. მივიდა ერთი კაცი და უთხრა:—ან ხომ არავის აუვლია, ან ხომ არავის ჩაუვლიაო?— მწყემსებმა უთხრეს: — არავინ გვინახავსო. — უცნობმა დაუარა ყველა ურემს და ხმლით დაუწყო სინჯვა. როცა მივიდა იმ ურემთან, რომელშიც ქალი იწვა, მწყემსებმა ერთმანეთს შეხედეს და თქვეს: რომ იპოვნოს, გინდ სუყველანი დაგვხოცოს, არ დავანებოთო. მაგრამ ქალმა ისეთი მოთმინება იქონია, ხმალი ეჩხვლიტებოდა, მაგრამ არცა ტოკავდა და არცა ყვიროდა. უცნობი გაბრუნდა ისევ უკან.

დაიძრა ისევ ურმები. მოადგნენ ერთ წყაროს. მაშინ ურემი გამოუშვეს, დაწერეს წერილი და ზედ გააკრეს: ვინც აი ამ ურემსა ნახავს და შიგ რასაც ინახულებს, ვინც იმას მოარჩენს, ეს დატვირთული ქონება სულ იმისი იყოსო. ვნახოთ, ერთი ბებერი დედაკაცი გამოვიდა, შეხედა ამ ურემს, წაიკითხა ეს წერილი, გაუკვირდა: რა უნდა იყოს ისეთია? დაუწყო მძიმე-ჰძიმედ ზიდვა მატყლს სახლში. რომ მიადგა ამ ქალს ეს მოხუცი, თვითონვე შეფიქრიანდა. მიიყვანა სახლში და დაუწყო მკურნალობა. ქალს მალე დაეტყო მორჩენა, თვალებიც აეხილა. ისეთი ქალი გამოვიდა, რაც წინათ იყო, იმაზე უკეთესი. ყაჩაღი კი დადის და ეძებს, მაგრამ ვერსად ვერ მიაკვლია. ამ ქალის სათხოვნელად ბევრი ახალგაზრდა ვაჟკაცი ჰიდის, მაგრამ ეს ქალი არავის არა თანხმდება. ერთმა ახალგაზრდამ შეაწუხა ძალიან და ქალმა უთხრა: — იმ პირობით გამოგყვები, თუ შენ ისეთ კოშკს ააგებ, სადაც ვერავინ ვერ ამოვაო. კიბე უნდა იყოს სულ ალმასებით დაგებული, აქეთ-იქიდან ორი ლომი ებასო. ბიჭი სიხარულით დათანხმდა.

გააკეთა ეს ყველაფერი, ქალიც გაჰყვა ცოლად. ამ ყაჩაღმა ბევრი ძებნის შემდეგ მიაკვლია. მოხუცთან მივიდა, უთხრა: — თუ სიცოცხლე გინდა, ან უნდა ის ქალი გამომიჩინო, ანდა თუ სადმე წავიდა, მითხრა სად წავიდაო. ადგა ეს მოხუცი და უთხრა: — მავან-

მავან ალაგას არის ერთი კოშკი, ამ კოშკში ცხოვრობენ ერთი ბიჭი და ის ქალიო. იქ მისვლა ყოვლად შეუძლებელიაო. ეს ყაჩაღი დადგა ამ მოხუცს, ისიც უნდა მასწავლო, როგორ მივიდეო. ადგა მოხუცი და ასწავლა: უნდა გააკეთებინო რკინის ქოშები, ერთი ცხვარი გაატყაო, ნახევარი ფეშხვა ერთ მხარეს დაიჭირო, ნახევარი მეორე მხარეზე. რომ მიხვალ კიბესთან, იქ ორი ლომი აბია, ერთი ნახევარი ერთს გადაუგდე, მეორე, — მეორეს, და სწრაფად უნდა აირბინო ამ კიბეზე. გადაუხადა მადლობა ყაჩაღმა და წავიდა. გააკეთებინა რკინის ქოშები ცხვარიც დაკლა, გაატყავა, გამოშიგნა და მივიდა კოშკთან. ერთი ფეშხვა ერთ ლომს გადაუგდო, მეორე — მეორეს და სწრაფად აირბინა კიბეზე. ბიჭს ქალის კალთაში ეძინა იმ დროს.

მივიდა ყაჩაღი, გაიარ-გამოიარა აივანზე, რომ დაინახა ქალმა, ძალიან შეფიქრიანდა. დაუქნია ხელი ამ ყაჩაღმა. ქალმა ისე დაადებინა დაბლა თავი, რომ ბიჭს არ გამოეღვიძა. გამოვიდა აივანზე. ყაჩაღმა უთხრა: — ხომ გითხარი, აქედან არსად წახვიდე, თორემ სადაც წახვალ თან გამოგყვები-თქო. ჩავიდეთ ახლა დაბლა. ქალმა უთხრა: — ხომ ვიცი უნდა მომკლა, შენ წინ იარე და მე უკან მოგყვები, რომ ლომებმა არ დაგგლიჯონო. გააშუალეს თუ არა კიბე, ჰკრა ქალმა ხელი, დაეცა ალმასებზე ეს ყაჩაღი და სულ ლუკმა-ლუკმად იქცა. ავიდა ქმართან და უთხრა: — მოვიშორეთ ჩვენი მტერი, ვისიც გვეშინოდა. ახლა როგორც გნებავს, ისე ვიცხოვროთო.

ზღაპარი ცხრა ყაჩაღისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, ჰყავდათ ერთი ვაჟიშვილი.

როცა კაცი მოკვდა, ბიჭი ექვსი წლისა დარჩა. დააწვა სახლ-კარი დედაკაცს კისერზე. დაიწყო მძიმე მუშაობა: ზოგს ურეცხავდა, ზოგს უცხობდა, ზოგს უმარგლიდა და იოლად მიდიოდნენ. ეგრე რომ თხუთმეტი წლისა გაუხდა ბიჭი. იმ წელიწადს შიმშილობა იყო და სუყველას თავისი თავი გასჭირვებოდა, აბა იმას ვილა ამუშავებდა. დედაკაცს გაუჭირდა შვილის შენახვა. ერთ დღეს დედამ გამოუცხადა თავის ვაჟიშვილს: — მე შენი შენახვა აღარ შემიძლია, ხომ ხედავ, სახლში აღარა გვაქვს რა, აღარც სამუშაოდ შეძახიანო. სახლ-

ში ერთი ლიტრა ცერცვი მაქვს, აიღე ხელში და დაიწყე კვნეტა, წავიდეთ, ვიაროთ, სანამ ცერცვი გაგვითავდება, მეც მოგყვები, სადაც გაგვითავდება, თავს გაგანებებ, მე დავბრუნდები და შენ საითაც გინდა წადიო. ეგრეც აასრულეს. წავიდნენ. იარეს, ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, გავიდნენ ერთ ტრიალ მინდორზე. როგორც კი ცერცვი გაუთავდათ, იმ დროს ერთი ცხენიანი კაცი გამოჩნდა. დედაკაცმა დაუძახა: — დაძმობას ცოტა ხანს დაითმინეო. მგზავრმაც დაუცადა და უთხრა: — მობრძანდი, რა გნებავს, დაო! დედაკაცმა უთხრა: — ეს ბიჭი ჩემი შვილია, ჩვენ სოფელში ძალიან შიმშილობა არის, გაგვიჭირდა ცხოვრება. ე ბიჭი შენთვის მიჩუქებია, რაც გინდა ის უყავიო. მგზავრმა მადლობა გადაუხადა. შემოისვა ცხენზე ბიჭი, დედაკაცს ათთუმნიანი აჩუქა და გაუდგა თავის გზას. დედაკაცი სახლში გამობრუნდა.

ამ კაცმა წაიყვანა ეს ბიჭი ერთ უღრან ტყეში. ატარა, ატარა და ერთ მთის ძირში გამოქვაბულში შეიყვანა. შიგ მისი რვა ამხანაგი დახვდათ. წამოხტნენ, მიეგებნენ და შეეკითხნენ: — ეს მშვენიერი ბიჭუნა როგორ გიშოვიაო. ამ კაცმა უამბო როგორც იშოვა. გაუხარდათ. აქ იქნება ან კერძს მოგვიხარშავს, ან გამოჰგვის აქაურობასაო. დასხდნენ და პური ჭამეს. როცა დაღამდა შეკაზმეს ცხენები, აისხეს იარაღი და სადღაც წავიდნენ. ბიჭს უთხრეს: არ შეგეშინდეს, მალე მოვალთო. გათენებამ რომ მოატანა, მოვიდნენ და ბევრი ნადავლი მოიტანეს. დასხდნენ, კარგი ყაურმა გააკეთეს, ჭამეს, იქეიფეს და დაიძინეს. თავი რომ არ მოგაწყინოთ, სულ მუდამ ღამე ასე მვრეობდნენ.

მიდიოდა დღეები, თვეები, მიდიოდა წლები და სულ ამ დღეში იყვნენ. ამასობაში ეს ბიჭი ოცი წლისა გახდა და ჭკუაში ჩავარდა. ამ ბიჭმა იფიქრა: „ჩემი უფროსები უკუღმა რადა მუშაობენო. ჩვენში დღისითა მუშაობდნენ და ღამე იძინებდნენ, ესენი კი ღამე მუშაობენ, დღისითა სძინავთო, ერთხელ უნდა გავყვე მალვით, სად მიდიან, საიდან შოულობენ ამდენ ზინეთსაო“.

ეგრეც აასრულა. როცა წავიდნენ, გამოიყვანა ერთი ცხენი, შეკაზმა, იარაღი აისხა, შეჯდა და გელიგეშად გაჰყვა. ნახა ერთ ალაგას ქარავანი იყო ჩამომდგარი, დაეცნენ, გაძარცვეს, აჰკიდეს ცხენებს და წამოიღეს. ამ ბიჭმა ყველაფერი დაინახა. გადახტა, წაართვა დავლა და ხელცარიელი გაუშვა. მერე გამობრუნდა და მოვიდა ბინაზე, ცხენი დააბა, იარაღი თავის ალაგას დაჰკიდა, ცეცხლი დაანთო, ხორცი დადგა და დასასვენებლად წამოწვა. ვნახოთ, ცოტა ხანს შემდეგ ისინიც მოვიდნენ ცარიელები. დაღონებულები დაწვნენ და დაიძი-

ნეს. დარდისგან პურიც არ ჭამეს. მეორე ღამესაც ეგრე უყო, მესამე ღამესაც. თავი რომ არ შეგაწყინოთ, ყველა მხრივ შეუკრა გზა.

გადიოდა კვირეები, გადიოდა თვეები, წლები, არსაიდან შემოსავალი არა ჰქონდათ. თუ წინანდელი გააჩნდათ რამე, ჰყიდდნენ და სჭამდნენ. ერთხელ იმათმა მეთაურმა თქვა: — არამც ჩვენი ბიჭი იყოს, რაიმე საძნელო საქმეში უნდა გამოვცადოთო. ყველას მოეწონა უფროსის აზრი. — აბაო, უთხრა, თქვენ წადით მავან და მავან სასაფლაოზე, სამი სასაფლაო ამოთხარეთ, ეგრე რომ ერთი კაცი არხეინად დადგეს ფეხზეო, სარქველად ფიცრები შეკარით და დაიფარეთ, შიგ ერთი ხელის ამოსაყოფი ამოუტერით. მერე სამი კაცი შიგ ჩახვალთ, ფეხზე დადგებით, წაიყვანთ ორ ცხვარს, ბრინჯს, ჭურჭელს, ღვინოს, პურს და შეშას. საღამოზე ბიჭსაც თან წაიყვანთ. დახოცავთ ცხვრებს, დაარჩევთ ბრინჯს, დაანთებინებთ ბიჭს ცეცხლს. ბიჭი გკითხავთ: რას აკეთებთო? თქვენ უთხარით: აქ ჩვენი სალოცავია, საღვთო დავკალით და უნდა ვიქეიფოთ-თქო. როცა ყველაფერი გაახერხოთ, ბიჭს მიეცით დარიგება ყველაფერი მოხარშოს. ხუთნი აქ წამოხვალთ, სამნი ორმოებში დარჩებით, ხოლო ორმოებს ზემოდან მიწა ექნება წაყრილი თხლად, ვითომ სასაფლაო არის. შიგ რომელიც დარჩებით, ვარაუდს გასწევთ ფლავის მოხარშვისას, როცა იტყვით, მოხარშული იქნებაო, იმ დროისათვის ერთი თქვენგანი ხელს ამოჰყოფს და ეტყვის: ცოტა ფლავი მაჭამე-თქო. ახლა მეორე, ახლა მესამე და ამით ჩვენ გავიგებთ, რა გული ექნება. თუ არ შეეშინდა, მაშინ ჩვენი დამღუპველი ეგ იქნება. ეს ისე უნდა გაუკეთდეს, რომ აზრზე არ მოვიდესო. ეგრეც აასრულეს. როცა ყველაფერი დაამზადეს, ბიჭს ჩააბარეს და უთხრეს: — კარგად მოხარშე, უფროსი არ გაგვიჯავროო. სამნი წინასწარ ჩასულები იყვნენ, ბიჭმა ამაზე არაფერი იცოდა. მას ახალი სასაფლაო ეგონა. დანარჩენები წამოვიდნენ და უთხრეს: — ამა და ამ დროს სუყველანი შევგროვდებით და მოვალთო. ამ ბიჭმა აიფარა ფეშტამალი, აიღო ქაფქირი და ურევდა ხან ერთ ქვაბს, ხან მეორეს. ამასობაში დროც მოვიდა და კერძებიც გამზადდა.

ამ დროს ერთი სასაფლაოდან ამოყო ერთმა ხელი და უთხრა: — ცოტა ფლავი მაჭამეო. რომელი ქვაბიც გადმოდგმული ჰქონდა, იქიდან ამოიღო ქაფქირით და ჩაუდო ხელში, ახლა მეორემ ამოყო ხელი და უთხრა: ცოტა ფლავი მაჭამეო. ამოუღო და იმასაც ჩაუდო ხელში. ახლა მესამემ ამოყო და იმანაც ფლავი სთხოვა. აიღო და ცხელი ქაფქირი ჩაარტყა ხელში და უთხრა: — თქვე მაშაძაღლებო, აქ სამი ათასი მკვდარი მაინც იქნება და ყველას რომ

თითო ქაფქირი ფლავი გაჭამოთ, ჩემი პატრონები რომ მოვლენ, იმათ რაღა ვაჭამოო. ცოტა ხნის მერე ისინიც მოვიდნენ. ბიჭს თავისი ვახშამი გაატანეს და გაისტუმრეს ბინაზე. ბიჭმა ჰკითხა. სამნი რაღა იქნენო? უთხრეს: ბაზარში წავიდნენ ღვინოზე, სტუმრებიც უნდა მოვიდნენ და ვაითუ დაგვაკლდესო. ბიჭმა უთხრა: — ერთი რამე უნდა გაცინოთო. ამ მკვდრებმა შემაწუხეს, ის იქიდან ამოყოფს ხელს, ცოტა ფლავი მაჭამეო, ის იქიდან. ეს ოხრები ცოცხლები დავარხეს, თუ როგორ არი, ვერ გამიგიაო. იმათაც ბევრი იცინეს და გაისტუმრეს სახლში. მერე ამოიყვანეს თავიანთი ამხანაგები და იმათაც ისე უამბეს, როგორც ბიჭმა. ორმა ამხანაგმა თქვა: — ჩვენ გვაჭამა. მხოლოდ მესამემ დამწვარი ხელი აჩვენა და უთხრა: — მე ცხელი ქაფქირი ჩამარტყა და მაგრადაც გამლანძღაო.

უფროსმა ყაჩაღმა ნეკზე იკბინა. სწორედ ეგ იქნება ჩვენი დამღუპველიო. ყველამ მომყვანს შეჰხედა ცუდი თვალით. იმან უთხრა: — მე რა ვიცოდი, თუ ასეთი გამოვიდოდაო. წამოვიდნენ შინისკენ და გზაში სულ იმასა ფიქრობდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან. მოკვლა არ უნდოდათ, აფსუსია ამისი უბრალოდ სიკვდილიო და გადაწყვიტეს, ისეთ ალაგას გაეგზავნათ, რომ იქიდან ველარ დაბრუნებულიყო. უფროსმა თქვა. — მე მოვიგონებ ტყუილად ავადმყოფობას, თქვენ მიწამლეთ, მანამდის ქალაქიდანაც წამალი მოიტანეთ და ვითომ არა მეშველა რა. მერე გეტყვით: სიზმარი ვნახე, უკვდავების წყალს თუ მომიტანთ და დავლევ, მოვრჩები, თუ არადა არამეთქი. ის წყარო არის ძნელი მოსატანი: ორი კლდე არის ერთმანეთზე მიბჯენილი, ერთ წუთში გაიხსნება და დაიკეტება. იმას ისეთი მარდი ადამიანი უნდა, რომ სანამ დაიკეტება გადაასწროს, თორემ შიგ მოეტანება და გაიჭყლიტება. მეორეც ესა, იმ წყაროს ერთი ქალი ჰყავს დაპატრონებული, იქიდან ცოცხალს არ გამოუშვებს. მე ამ სიზმარს საერთოდ ვიტყვი და გეტყვით: აბა ახლა გამოგცდით, ვინ წავა და ვინ არ დაზოგავს ჩემთვის თავს-მეთქი, ვნახოთ ერთი ჩვენი ბიჭუნა რას იტყვის. ეგრეც მოიქცნენ. გახდა ტყუილად ავად, შინაური წამლები ასვეს, უფრო შემძიმდა, ქალაქიდან მოუტახეს, უფრო შემძიმდა. მერე დაუძახა სუყველა ამხანაგს, იმ ბიჭსაც დაუძახა და დაიწყო სიზმრის თქმა. ჯერ არც კი დაემთავრებინა, რომ ბიჭი წამოხტა და უთხრა: — თუკი რამე მართლა გარგებს, ამ საათში წავალ და მოგიტანო. რაღა თქმა უნდა, განგებ უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ ბიჭი გაიძახოდა: თუკი ჩემი პატრონი იმით მორჩება, სასიკვდილოდაც არ დავზოგავ თავსაო. შეირბინა თავლაში, თავის საჯდომი ცხენი შეკაზმა, ერთი წყლის ჭურჭელი წაიღო, შეჯდა ცხენზე და გაფრინდა.

მიადგა ერთ კლდეს, რომელიც წუთში იხსნებოდა და იხურებოდა. გადმოხტა ცხენიდან, ცხენი დააბა და თვითონ კლდესთან მივიდა, რაწამს გაიხსნა, გადაფრინდა და სურაც თან გადიყოლა, როცა იქით გადავიდა, მოიხედა და კლდე დაკეტილი იყო. გაიარა ერთი ჯურღმული და ვნახოთ გამოჩნდა სინათლე. დაინახა, რომ ციცაბო კლდიდან გადმოჩხრიალებს უკვდავების წყარო. აავსო სურა წყლით და გამობრუნდა. შუა ჯურღმულში რომ მოვიდა, ნახა, რაღაცა წივის, ქალის ხმასა ჰგავს. ცოტა ახლოს რომ მივიდა, ნახა ზევიდან ქალი ჰკიდია თმებით და იხვეწება: — ვინა ხართ ქრისტიანი, ჩამომხსენითო. ბიჭმა წყლის სურა განზე გადადგა და უთხრა: მხრებზე დამადგი ფეხები, მაღლა აგწევ, შეიხსენ და განთავისუფლდებიო. ახლოს რომ მივიდა, ქალმა წიხლები ჩასცა და უთხრა: როგორ თუ ჩემი წყარო აავსე და მიგაქვსო? ბიჭმა იფიქრა, ეს ხომ აღარა ხუმრობსო. სტაცა ფეხებში ხელი და ჩამოგლიჯა, დაანარცხა დედამიწაზე და დააჭირა წიხლი. რომ ვთქვათ, ქალიც ყოჩაღი იყო, მაგრამ ვეღარა გააწყო რა, გაუძვრა ხელიდან და გაფრინდა, მხოლოდ ერთი ქოში დარჩა ბიჭს ხელში.

ადგა ბიჭი, ქოში ჯიბეში ჩაიდო, აიღო სურა და თავის გზას გაუდგა. მოვიდა ყაჩაღებთან და მოიტანა წყალი, იქაური ამბავიც უამბო და ქოშიც ამოიღო და აჩვენა. ახლა კი დარწმუნდნენ, რომ ესა ყოფილა ამათი დამღუპავი. ამასობაში რაცა ჰქონდათ ნაშოვნი სულ გაუთავდათ, პურის ფულიც აღარა ჰქონდათ. ბიჭს უთხრეს: — წადი ქალაქში, ქოში გაყიდე, პური იყიდე და წამოიღეო. წავიდა ბიჭი, წაიღო ქოში, მაგრამ სადაც მიიტანა, ყველგან უარი უთხრეს, მაგის ფასი ვინ მოგვცაო. ბოლოს გამოჩნდა ერთი ვაჭარი და დაიჩემა, ეგ ქოში ჩემიაო და მეფესთან უჩივლა. მეფემ ქოში ვაჭარს აკუთვნა, რადგან იფიქრა, ამ ბიჭს ასეთ ძვირფას ქოშს ვინ მისცემდაო. ბიჭმა უთხრა: — მე ცხრა უფროსი მყავს, ცხრავეს აქ მოგიყვანთ და მომეცით სამი წლის ვადა, თუ მაგ ქოშის ცალი მოგიტანოთ, ხომ მართალი ვიქნები და უფროსები გამინთავისუფლეთ და თუ არ მოვიდე, რაც გინდათ ის უყავითო.

წავიდა, მივიდა უფროსებთან, უამბო ეს ამბავი და უთხრა: — თქვენ უნდა წაგიყვანოთ და არ შეგეშინდეთ, მე უეჭველად მოვალო. ამათ კიდეც გაუხარდათ: — მშივრები ვიხოცებით, პურს ხომ გვაჭმევენო. ადგა და მიუყვანა ესენი, ჩაიდო ქოში ჯიბეში და წავიდა. იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ ზღვას, ნახა გემი გამზადებული დგას და არ მიდის. მივიდა ბიჭი მგზავრებთან და ჰკითხა: — რატომ არ მიდიხართო? მგზავრებმა უპასუ-

ხეს: — გემის უფროსსა ჰკითხეო. მივიდა გემის უფროსთან და ახლა იმასა ჰკითხა. უფროსმა უპასუხა: — შუა ზღვაში რომ შევდივართ, ზევიდან რაღაც ჩამოდის, როგორც მეხი ისე დაეცემა ხოლმე ბაქანს, დაღუპავს ყველას, ჩამოდის დაბლა, რაც ძვირფასი რამე., მიაქვს, მიდისო. ახლა მე სულ ვაჭარი ხალხი მიმყავს, ვერც ამათ გაუბედავთ წასვლა და ვერც მეო. ბიჭმა უთხრა: ნუ გეშინიათ, მე ამაღამ მაღლა ბაქანზე დავდგები და თუ რამე მოხდება, პირველად ჩემზე მოხდება. სანამ მე იმასთან ვიბრძოლებ, მანამდე თქვენ გემი არ დააყენოთ და ადგილზეც მივალთო. შეგულიანდნენ ყველანი, ერთმანეთი გაამხნევეს, ახსენეს ღმერთი, აუშვეს გემი და გაუდგნენ გზას. შუა ზღვაში რომ შევიდნენ, ზევიდან რაღაც წამოვიდა წკრტიალით. ბიჭი მაშინვე მაღლა ავარდა, უფროსს უთხრა, გემი არ გააჩერო და ხმელეთისაკენ მიაშურეო.

შეიქნა გემზე წივილ-კივილი. მაღლიდან მომავალმა რომ დაინახა ბაქანზე ვიღაც არისო, გაჯავრდა და სულ პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა. ვნახოთ, პირდაპირ ბიჭისაკენ მიატანა და ერთი წიხლის დარტყმით გაწყალებას უპირებდა და მაღლიდანვე დასძახა: — ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ მანდ დამიდექიო? ბიჭმა უთხრა: ნუ ფიცხობ, აქ მობრძანდიო. ახლოს რომ მივიდა, წიხლის დაცემას უპირებდა, მაგრამ ბიჭმა დროზე სტაცა ხელი ფეხებში და დაანარცხა ბაქანზე, დააჭირა მუხლი და უთხრა: — შე თმაასკვეცო, ეგ რეებსა შვრები, რომ შენი შიშით გემი ზღვაში ველარ გადისო, ამ წუთში ზღვაში გადაგაგდებო. ქალიც არ იყო მხდალი და ეცადა თავის განთავისუფლებას. გამოუძვრა ხელიდან, გაფრინდა და წავიდა წკრტიალით, ხოლო იმ ჰიდილში ხელიდან ბეჭედი წასძრომოდა და ბიჭს ხელში დარჩა. დაბლა რომ ჩავიდა, ხალხი შემოეხვია და აღარ იცოდნენ, როგორ გადაეხადნათ სიკეთე. როცა ბიჭმა ბეჭედი აჩვენა, ვაჭრებმა თქვეს, ერთი ქალაქის ფასიაო. ვაჭრებმა უთხრეს: ამოდენა ზინეთი ახლა შენია, წამოდი ჩვენთან, შენ ჩვენი უფროსი იყავ და ჩვენ შენი ხელქვეითები ვიქნებითო, როგორც გინდა ისე მოგვიხმარეო. ბიჭმა უთხრა: მე თქვენი არაფერი არ მინდა, მხოლოდ ერთი ქოში მაქვს და იმისი ცალი თუ ვისმე გეშოვებათ, ის მომეცით, ამის გულისთვის ცხრა კაცია დაჭერილიო. ამოიღო ჯიბიდან ქოში და აჩვენა. ვაჭრებმა რომ ეს ქოში დაინახეს, ერთმანეთს შეჰხედეს და თქვეს: — ჩვენ არც გვინახავს ასეთი ქოში, არც იქნება და არც მაგას ფასი დაედებაო, რაც ჩვენ სუყველას საქონელი გვაქვს, სამი იმდენი მაინც ეღირებაო.

სამშვიდობოზე რომ გავიდნენ, ბიჭი გამოემშვიდობა და წავიდა.

სანამ წავიდოდა, ვაჭრებმა ჯიბეები სულ ოქროებით აუვსეს, იქნებ დაგჭირდეაო. შეაჯდა თავის ცხენს და გაფრინდა, საითაც გუნებაჰ გაუწია. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთი ბებრის სახლს, დაუძახა და უთხრა: — თუ შეიძლება ამაღამ გამათენებინეო. დედაბერმა უპასუხა: — მობრძანდი, მაგრამ პატიოსანი ბიჭი ჩანხარ ღა შენი საკადრისი არც საჭმელი მაქვს და არც ლოგინიო. ბიჭმა უთხრა: ოღონდ გარეთ ნუ დავრჩები და ყველაფერს მე ვიშოვნიო. დედაბერმა მიიპატიჟა: მაშ მობრძანდიო. ბიჭმა ცხენი დაბა და სახლში შევიდა. შინ რომ შევიდა, ერთი ოცი წლის ბიჭი დაუხვდა, ძალიან ღარიბულად ჩაცმული და სახლიც ღარიბულად იყო მოწყობილი. ცოტა ხანს რომ დაისვენა, უთხრა: როგორც აქაურები, ბაზარში გამომყევით და გიყიდით ყველაფერსო.

წაუვა დედა-შვილი ბაზარში და უყიდა ორ-ორი ხელი კარგი ტანისამოსი და სამი ხელი ლოგინი, სასმელ-საჭმელი და ორი ჩაფი კარგი შავი ღვინო. წაიღეს სახლში ყველაფერი, გაამზადეს სუფრა, დასხდნენ და დაიწყეს ქეიფი. კარგა რომ შექეიფდნენ, დაწვნენ და დაიძინეს. შუაღამე რომ შეიქმნა, გზირმა დაიძახა: ამაღამ შენ შვილს შეხვდა რიგი და წავიდესო. დედაბერმა დაიწყო ტირილი ხმამაღლა და წაიშინა თავში და მოთქვამდა: ვაიმე, შვილო, ვაიმეო! ბიჭს გაუკვირდა და დაუწყო დედაბერს კითხვა, მაგრამ დედაბერმა მანაჰ გული არ მოიჯერა, ხმა არ გასცა. ბოლოს უამბო: — ჩვენ ხელმწიფეს ერთი ვაჟიშვილი მოუკვდა, ორი კვირა იქნება რაც დამარხა. იმ ღამიდან ყოველ ღამე ერთი მცველი ადგა თავს. ხოლო მეორე დღეს მცველი მკვდარია, და ვერ გაუგიათ, ვინა ხოცავსო. ამაღამ ჩემ შვილს შეხვედრია რიგი და ვიცი, მოჰკლავსო. ბიჭმა იფიქრა: ეგ ხომ ჩემი საქმეაო და დედაბერს უთხრა: — მაშ კარგი, დედი, ამაღამ მე წავალ და მე მომკლასო. დედაბერმა ცეცხლი მოიკიდა: — როგორ შეიძლება შენი წასვლა, შენ სტუმარი ხარ, შენი რა ბრალიაო. თუ არა და ხვალე ჩემი შვილი რომ ცოცხალი იქნება, ხელმწიფე ამბავს იკითხავს და აბა რა უნდა ვუთხრაო. სულ ერთია მაინც ხელმწიფე მომიკლავს და შენი ცოდვა რაღაზე დავიდოთო. ბიჭმა უთხრა:— ჯერ ერთი, მე იმედი მაქვს, რომ ვერ მომკლავს და თუ მეც მომკლა, მაშინ ადგეს შენი შვილი, წავიდეს საითმე და თავი შეაფაროსო.

დედაბერი დიდ უარზე იყო, მაგრამ ბიჭმა აჯობა. წაჰყვა იგი ხელმწიფის შვილის სასაფლაოზე. აჩვენა და დაბრუნდა სახლში. ეს ბიჭი სასაფლაოებში დაიმალა. შუაღამე რომ გახდა, მაღლიდან რაღაც წამოვიდა წკრტიალით, სწორედ იმ სასაფლაოზე ჩამოვიდა და რომ

ვერავინ დაინახა, გადაჰკრა მათრახი, სასაფლაო შუაზე გაიყო, ამოიღო კუბო და ამოიყვანა მკვდარი. გადაჰკრა მათრახი და მკვდარი გაცოცხლდა. გადაეხვივნენ და კოცნა დაუწყეს ერთმანეთს. მერე დასხდნენ საფლავის ქვაზე და დაიწყეს ალერსი. დიდხანს იალერსეს და გათენებამ კიდეც მოატანა. წამოდგა ქალი, გადაჰკრა ყმაწვილს მათრახი და ისევ მოკლა. ჩააწვინა სამარეში, გადაჰკრა საფლავს მათრახი და ბიწაც შეაერთა. რომ გაემზადა გასაფრენად, კიდეც ეცა ბიჭი. მოიგდო ბეჭზე, დაანარცხა დედამიწაზე და უთხრა: — რას შვრები, შე თმაასკვეცო.

ქალი ცდილობდა გაშვებოდა და გაეშვა, მხოლოდ მათრახი ბიჭს ხელში დარჩა. ბიჭმა უკვე იცოდა მათრახის ხმარება და რანაირადაც ქალმა გააცოცხლა, ბიჭმაც ისე გააკეთა. წამოდგა ხელმწიფის შვილი და ნახა, რომ ქალის მაგივრად შევარდენივით ბიჭი იდგა იმის წინ. გაუკვირდა და ჰკითხა: — შენ ვინა ხარო? ბიჭმა უთხრა: — შინ წავიდეთ და ყველაფერს იქ გეტყვიო. წავიდნენ დედაბრის სახლში. ვნახოთ, ესენიც გარეთ იდგნენ და გზას გაჰყურებდნენ, რომ დაინახეს ორნი მოვიდნენ და ხელმწიფის შვილი იცნეს, კინაღამ სიხარულით გული შეუღონდათ. ახლოს რომ მივიდნენ, მიესალმნენ ერთმანეთს. ბიჭმა უთხრა დედაბერს: — დედი, აბა ერთი საუზმე გაგვიშალე და გვაჭამეო. ისაუზმეს და კიდეც გათენდა. ახლა ბიჭმა უთხრა დედაბერს: — წაჰგვარე ხელმწიფეს თავისი შვილიო. დედაბერმა უთხრა: — შენ უნდა წამოხვიდე, რადგან შენ გადაარჩინეო. ბიჭმა თქვა: თქვენ წადით და თუ ხელმწიფეს უნდა, თვითონ დამიბარებსო. წავიდნენ და სანამ მივიდოდნენ, ათასი მახარობელი მისულიყო ხელმწიფესთან. შევხედოთ, ხელმწიფე და დედოფალი შუა გზაზე ფეხით მორბიან, რომ დაინახეს თავიანთი შვილი, ორივეს გულები შეუღონდათ. როცა გონზე მოვიდნენ, კოცნა დაუწყეს, ხან შვილს, ხან ბებერს და ხან ბებრის შვილს, აღარ იცოდნენ, რაღა უნდა ექნათ. ბოლოს დედაბრის შვილსა ჰკითხეს: ეს სასწაული როგორ მოხდაო? ბიჭმა უთხრა: — მე არაფერი არ ვიცი, ჩვენსა ერთი სტუმარია, იმან იცის ყველაფერიო, იმან გაგიცოცხლა შვილიო. მაშინვე ეტლი მოითხოვეს და წავიდნენ იმ ბიჭის მოსაყვანად.

მივიდნენ, ჩაისვეს ეტლში და წამოიყვანეს. მოიყვანეს სახლში და გაუმართეს დიდი მეჯლისი, ეგრე, რომ მთელი თავისი სახელმწიფო იქ იყო. როცა ბიჭმა უამბო ყველაფერი, მაშინ ხელმწიფემ უთხრა: — შენ იქნები ჩემი უფროსი შვილი და ჩემს შემდეგ შენ იქნები ხელმწიფეო. გაუხარდა ხალხს და ტაში დაჰკრეს, მაგრამ ბიჭმა განაცხადა: მე აქ ხელმწიფობისთვის არ მოვსულვარო. ამოიღო ჯიბი-

დან ქოში და უთხრა: — ერთი ამისთანა ქოში მინდა, ამის გულის-თვის ცხრა ამხანაგი მყავს დაჭერილიო. ხელმწიფემ მაშინვე ვაჭ-რებს დაუძახა და უთხრა: — სადაც იყოს და არ იყოს ამისთანა ქოში იშოვნეთო. ვაჭრებმა რომ ის ქოში ნახეს, სულ პირჯვარი იწერეს და ხელმწიფეს უთხრეს: — ხელმწიფეო! ამნაირი ქოში არც იქნება და არც ყოფილაო, და თუ საწყენად არ მიიღებ, მთელი ქალაქის ფა-სი ღირსო. ბიჭმა უთხრა: — მაშ ჩემი აქ გაჩერება არ შეიძლება, უნ-და ახლავე წავიდეო. წამოვიდა დედაბრის სახლში, შეჯდა თავის ცხენზე და გაფრინდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე. ნახა, რომ ერთ ალაგას მიწას ფიცარი აფარია. გადმოხტა ცხენიდან და დაიწყო თვალიერება. ბოლოს თქვა: აქ რამე საქმე იქნებაო. აჰხადა ფიცარი, ნახა, რომ შიგ კიბე იყო დახვეული. დაიწყო შიგ ჩასვლა. დაასრულა შიგ ჩასვლა კიბეზე და მიადგა ჯურღმულს, რომელიც სწორედ მიდიოდა. გაიარა ჯურღმული და გამოჩნდა ბაღი, ბაღში ერ-თი ორსართულიანი კოშკი იდგა, იმ კოშკის კიბეზე ავიდა, ოთახის კარები ღია დაუხვდა და შიგ შევიდა. ნახა, სუფრა გაშლილია სამი ადამიანისთვის. ბიჭმა იფიქრა, ეს უპატრონო არ იქნება, მოდი, და-ვიმალები, ვნახოთ რა იქნებაო. ერთი საათის შემდეგ სამი ქალი მო-ვიდა და შემოუსხდნენ სუფრას. თურმე ეს ქალები სამნი დანი ყო-ფილან. კარგა ხანია ერთმანეთი აღარ უნახავთ და დღეს შეხვედრიან ერთმანეთს.

ასე რომ დარდიანადაც იყვნენ და მშივრებიც და ამიტომ მშიერი მგლებივით დაიწყეს ჭამა. მერე დაისხა უფროსმა დამ ღვინო და თქვა: — ღმერთმა ადღეგრძელოს ის ბიჭი, რომელიც ამ ერთი თვის წინ ჩემ დაპატრონებულ უკვდავების წყაროზე უშიშრად მოვიდა, აავსო სურა და წავიდა. მე გზაზე დავუხვდი, უნდა წიხლით გამეჭეჭ-ყა, მაგრამ ვერას გავხდიო, ძლივს გამოვუსხლტი ხელიდან და გა-მოვფრინდიო, მხოლოდ ერთი ქოში დამრჩა იქაო. ყველამ დალია სადღეგრძელო.

ახლა შუათანამ აიღო ჭიქა და თქვა: გაუმარჯოს იმ ბიჭს, რომე-ლიც ამ ორი კვირის წინათ ზღვაზე გემის გაცარცვის დროს დამხვდა უშიშრად, ძალიან გამაბრაზა, რომ აბა რაღა გითხრათ, მე ვთქვი და-ვეცემი და ერთი წიხლის დარტყმით გავანიორწყლებ-მეთქი, მაგრამ ჩემს დაკივილზე წარბიც არ შეიხარა. როგორც მიველ ახლოს, მტაცა ფეხში ხელი, გამიგდო ბეჭზე და ბაქანზე დამანარცხა. ძლივს გა-მოვუსხლტი ხელიდან და გამოვფრინდი, ხოლო ბეჭედი იმას დარჩაო. ყველამ დაისხა და დალია სადღეგრძელო.

ახლა პატარა დამ თქვა:—დამისხით, ერთიც მე უნდა ვთქვაო. გა-უმარჯოს იმ ბიჭს, რომელიც ამ ერთი კვირის წინ სასაფლაოზე და-მიხვდა, სადაც ჩემი შეყვარებული ხელმწიფის შვილი იყო დამარხუ-ლი. ერთი სიტყვით, ყოველღამე მივდიოდი სასაფლაოზე, მცველებს ვხოცავდი, ხელმწიფის შვილს მათრახით ვაცოცხლებდი და იმასთან დროს ვატარებდი. გათენებისას ისევე ეკლავდი და მოვდიოდი, მაგ-რამ იმ ღამეს რომ მივედი, მცველი არ დამხვდა. ჩვეულებრივად გა-დავკარ მათრახი, გავაცოცხლე, ამოვიყვანე, ვიალერსეთ და გათენე-ბისას მოვკალ და ჩავსვენე. როდესაც წამოსვლას ვაპირებდი, იმ დროს ერთი ბიჭი გამოვარდა. მომხვია ხელი და მიწაზე ისე დამა-ნარცხა, რომ კინაღამ სული გამძვრა. ძლივს გამოვუსხლტი ხელიდან და გამოვფრინდი, ხოლო მათრახი იქ დამრჩაო. მაშინ გამოვიდა ბიჭი და უთხრა: — ერთი ჭიქაც მე დამისხით სამადლობელი დავ-ლიოო. ამოიღო იმათი ნივთები და დაურიგა: ეს შენი ქოში, ეს შენი ბეჭედი და ესეც შენი მათრახიო.

შეხედეს და გაუკვირდათ, არ იცოდნენ სიზმარი იყო თუ ცხადი. ბოლოს გადაეხვივნენ და კოცნა დაუწყეს და სამივემ და-ძმობა უთხრეს. ბოლოს დიდმა დამ გასცა ბრძანება: ერთი სულისათვის გა-შალეთ ყველაფერიო. ენახოთ, იშლება ყველაფერი, მაგრამ მომტანი კი არავინა ჩანს. გაუკვირდა ბიჭს, მაგრამ არაფერი არ იკითხა: შუა ქეიფში რომ შევიდნენ, ბიჭსა ჰკითხეს: — შენ უსაქმოდ არ იქნები, რად მოხვედიო? ბიჭმა უამბო თავისი თავგადასავალი. მერე წაი-ყვანეს ერთ ოთახში და აჩვენეს ერთი დიდი ხროვა იმისთანა ქოშე-ბისა, როგორიც იმ ბიჭსა ჰქონდა და უთხრეს: ორ ხურჯინის თვალს აგივსებთ, გაგატანთ და არ ეყოფაო? ბიჭმა რომ ეს ნახა, იმ წუ-თას უთხრა: — ახლავე უნდა წავიდე და ჩემი ამხანაგები გამოვიხსნ-ნაო. დებმა უთხრეს: — ნუ გეჩქარება, იმისთანა რამეს მოგცემთ, ორი წლის სავალს ორ დღეში გაგარბენინებსო. — ცხენი მეც კარგი მყავს, მაღლა ბალახზე მყავს მიშვებულიო. გაეცინათ დებს და თქვეს: მაღლა რომ ცხენი იყო, ამისი ყოფილაო და გულიანად იცინეს. ეგრე, რომ ორ დღეს მაინც არ გამოუშვეს და ორი დღის მერე კი შეკაზმეს რაში; ერთი სავსე ხურჯინი ქოში აუკიდეს რაშს და გამოისტუმრეს. წასვლის დროს უთხრეს: — როგორც კი გაანთა-ვისუფლო შენი ამხანაგები, მაშინვე ჩვენსკენ გამოეშურეო, თორემ დარდით დავიხოცებით და თანაც ჩვენი ბავშვობის მერე რაც თავგა-დასავალი გვაქვს, უნდა გიამბოთო. ჩვენ შენს მეტი პატრონი არა-ვინა გვყავსო.

შეჯდა ბიჭი რაშზე და გაფრინდა. მართლაც, ორ დღეში იმ ქო-

ლაქში გაჩნდა. მივიდა ხელმწიფესთან, წამოყარა ხურჯინის თვლებიდან ქოშები და უთხრა: — დაიბარე ის ვაჭარი მოვიდეს, ნახოს, რომელი ერთი დაკარგაო. ვაჭარი რომ მოიყვანეს და დაინახა ქოშები, გული შეუღონდა, მაგრამ, აბა რაღას იზამდა. ამოჰკრეს პანღური და გააგდეს, ამ ბიჭის ამხანაგები კი გამოუშვეს. ბიჭმა ერთი წყვილი ქოში აჩუქა ხელმწიფეს და წამოიყვანა თავისი ამხანაგები.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მოვიდნენ თავიანთ გვირაბში. ბიჭმა უთხრა: ჩემ მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალოთო. ფული ბევრი დაუტოვა, არაფერი მოიკლოთ სულ იქეიფეთო. ნუ გეშინიათ, ფულს კიდევ ბევრს მოვიტანო. ქოშებიც იქ დაყარა, შეჯდა რაშზე და წავიდა. ორმოსთან რომ მივიდა, ის ქალები მაღლა დაუხვდნენ და ელოდებოდნენ. ბიჭის დანახვაზე ისეთი კივილი ასტეხეს, რომ ამათი ხმა ზეცასა წვდებოდა. ჩავიდნენ ჭაში და კოშკში მივიდნენ. მისვლისთანავე უფროსმა დამ ბრძანება გასცა და უჩინარმა მოსამსახურეებმა სუფრა გაშალეს. სუფრას რომ შემოუსხდნენ, ბიჭმა უთხრა, აბა ახლა თქვენი ამბავი დაწვრილებით მითხარითო.

უფროსმა დამ დაიწყო ტირილი და როცა ტირილით გული მოიჯერა, დაიწყო: ჩვენ სამნი დანი ვართ, დედ-მამა რომ დაგვეხოცა, პატარები დავრჩით და გადავიქეცით ქუჩა-ქუჩა მაწანწალებად. ერთ დღეს ტყეში დავდიოდით და შვინდსა და ზღმარტლს ვეძებით შიმშილის მოსაკლავად. ამ დროს შეგვხვდნენ რაღაცა ალქაჯები, დაგვიჭირეს და წაგვასხეს სადღაც უღრან ხევში. ხუთი წელიწადი იმათ ხელში დავრჩით, გვასწავლიდნენ ალქაჯობას, ფრენას. თავი რომ არ შეგაწყინოთ, რაც იცოდნენ ყველაფერი გვასწავლეს. მერე რახან ფრენა ვისწავლეთ, გამოვიპარენით და მოვედით ამ ალაგას. ეს მიწა ჩვენ ჩვენი ხელით გავთხარეთ და გავაკეთეთ კოშკიც. მერე დავიწყეთ სიარული და მგზავრების ხოცვა. ნაძარცვითა ვცხოვრობდით. ბოლოს მე იმ წყაროს დავეპატრონე. ვინც შემოვიდოდა ვკლავდი და თუ ჰქონდა რამე, ვცარცვავდი და მომქონდა ამ საიდუმლო კოშკში. საშუალო და ზღვაზე ნადირობდა, უმცროს დას მათრახი ჰქონდა და იმითი ვისაც უნდოდა, ჰკლავდა და ვისაც უნდოდა, აცოცხლებდა. ეგრე ვცხოვრობდით და ამასობაში შეგვიგროვდა აუარებელი დოვლათი, დაასრულა თავისი ამბავი უფროსმა დამ.

წამოდგნენ სუფრიდან და წაიყვანეს ბიჭი ოთახების დასათვალიერებლად. დაატარეს სამი ოთახი და უჩვენეს აუარებელი სიმდიდრე და თან დასძინეს: — ოხრად დარჩეს, რათ გვინდა ამოდენა თვალმარგალიტი, ჩვენ ხალხში გასასვლელები არა ვართო და ახლა შენ იცი, თუ გვიპატრონებო. ჩვენ შენს მეტი პატრონი არა გვყავს და

როგორც გინდა, ისე მოუარე ამ ქონებასაო. მაშინ ბიჭმა უთხრა: — მე წავალ აქლემებს დავიქირავებ, ავკიდოთ და წავიღოთ ჩვენს სოფელშიო. იქ დედა მყავს, არ ვიცი, კიდევ იქნება ცოცხალი თუ არაო, არც იმან იცის ჩემი არაფერი, ცოცხალი ვარ თუ არა, გზად გავიაროთ იმ ხელმწიფესთან, რომლის შვილიც ამ ჩვენს პატარა დას უყვარს, დავწეროთ ჯვარი, ქორწილი ვქამოთ. გავუაროთ ჩემს უფროსებს, იმათაც თავიანთ გზას მივცემ და იქედან კი ჩემს სოფელში წავიდეთ, ჩემს მოხუცებულ დედას გავახარებო.

ქალებმა მოუწონეს აზრი და უთხრეს, როგორცა სჯობდეს, ისე მოიქეციო. წამოვიდა ბიჭი, დაიქირავა ათი აქლემი და მოიყვანა ჭასთან. აზიდეს ზევით ზინეთი და აჰკიდეს აქლემებს. მეაქლემეებს უთხრეს: მავან და მავან ქალაქში ხელმწიფესთან მიიტანთო. თვითონ შესხდნენ რაშებზე და ხელმწიფისაკენ გაქუსლეს. რაწამს მოვიდნენ, ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და მეჯლისის გადახდა დააპირა, მაგრამ ბიჭმა უთხრა: — აბა, ამაღამვე ქორწილი უნდა გავაჩაღოთო. თქვენ შვილს და ამ ჩემს პატარა დობილს ერთმანეთი ჰყვარებიათ და ჯვარი უნდა გადავწეროთო. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და გასცა ბრძანება: — აბა, ახლავე დახოცეთ ძროხები, ცხვრები და გაამზადეთ ქორწილიო. აფრინა კაცი თავის საბრძანებელში და ვინც უნდოდა სახელდახელოდ დაპატიჟა და იმ ღამესვე ქორწილი გადაიხადეს. მეორე დღეს აქლემებიც მოვიდნენ და ზინეთიც მიიღეს უკლებლივ. ორი კვირა სუფრააუღებლივ იქეიფეს, შემდეგ ხელმწიფემ თავის ურმებით გაუგზავნა სუყველაფერი ბიჭის დედას და თან ბიჭმა წერილიც გაატანა: ეს ზინეთი მიიღე და მეც მალე მოვალო. ქეიფი და ნადიმი რომ მოსწყინდათ, ბიჭმა გამოუცხადა: — ნებას ვითხოვთ ჩვენ ჩვენ გზაზე გაგვიშვათო. ხელმწიფე უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა და გაისტუმრა დიდი ამალით და თვითონაც გამოაცილა დიდ მანძილზე. წანავიდა ბიჭი თავისი ორი დობილით და მოვიდა თავის ამხანაგებთან. ამათ რომ ეს ბიჭი ნახეს, ხიხარულით ცას დაეწივნენ. ბიჭმა უთხრა: — რაკი კარგად დამიხვდით, მე მეტი არაფერი არ მინდაო. მისცა აუარებელი საცხოვრებელი და უთხრა: ეს თქვენ იმდენ ხანს გეყოფათ, სანამ იცოცხლებთ და იმნაირ საქმეზე კი აღარ იაროთო. ყველანი თქვენ თქვენ გზაზე წადით და რომ გაგიჭირდეთ, მე მომაკითხეთ და გიშველითო. გამოემშვიდობა და წამოვიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მოვიდნენ ბიჭის სოფელში. ამასობაში, დედასაც ვაეგო, წინ შეეგება და გადაკოცნა თავისი შვილი და თან პატიება სთხოვა, რომ გაჭირვების დროს სახლიდან გაგაგდე, შენ კი ისეთი კაცი გამოსულხარ, რომ დედა არ დაგვიწყებიაო.

ბოლოს ამ ბიჭმა სოფლად ცხოვრება აღარ ინდომა და ქალაქში იყიდა სახლ-კარი, იქ გადასახლდა თავისი დედითა და დობილებით. ბოლოს დები დაათხოვა, თვითონაც დაქორწილდა და ცხოვრობდნენ ტკბილად და პატიოსნად. იმ ხელმწიფესაც არ ივიწყებდნენ და მისდევ-მოსდევდნენ ერთმანეთს და დედასაც კარგად ინახავდა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

თერთმეტი ძმა

ამ რამდენიმე ასეული წლის წინათ იყო ერთი მეფე, რომელიც მეტად ჯიუტი ხასიათის იყო, ამაყი. არავის იბრალებდა და მთელი მოსახლეობა შეწუხებული ჰყავდა, იმათ გარდა, ვინც დღე და ღამე მის ქება-დიდებაში იყო. ამ მეფეს ხალხმა მეტსახელად ჯოჯოხეთა დაარქვა.

ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი. მას თერთმეტი ვაჟიშვილი ჰყავდა და ერთი ქალი. ღარიბი თავისი შვილებით მეფის ყოველგვარ განკარგულებას ასრულებდა, მაგრამ ის კი ვეღარ შეუსრულა, როცა ჯოჯოხეთამ მისი ათი ვაჟი ერთად მოსთხოვა. ჯოჯოხეთა თავის ქალს ათხოვებდა და მზითევში სიძეს რამდენიმე რჩეულ ვაჟკაცს ატანდა და მათ შორის მის ათ შვილსაც. ჯოჯოხეთა-მეფემ რომ უარი გაიგო, გაწყრა და ვეზირები გაგზავნა ამ კაცს ასაკლებად. ღარიბი ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ მეფე კარგს არ დააყრიდა უარის თქმისათვის და ამიტომ თავისი შვილებით გადიზნა ერთ უდაბურ ტყეში და იქ გაიკეთა საფარი. მეფემ დაადევნა ვეზირები და ჯარი, მაგრამ, რადგან მათ ადრევე ჰქონდათ სიმაგრე გაკეთებული და შვილებიც კარგი მეომრები ჰყავდა, მეფის ჯარმა ვერაფერი დააკლო და უკან გაბრუნდა. ჩავარდა შური მეფესა და ამ კაცს შორის. შვილებით წავიდოდა ხოლმე, მეფის ხაზინებს დაეცემოდა, გამოიტანდნენ, რაც კი რამ იყო, ფულს, ტანისამოსს, იარაღს თუ სხვა საჭირო რამეს და დაბრუნდებოდნენ უვნებლად. ასე რამდენიმე წლის განმავლობაში გააღარიბა მეფე. ფულს და ტანისამოსს, რაც ზედმეტი ჰქონდა, ღარიბებს ურიგებდა, მდიდრებს კი, სადაც მოახელებდნენ, სიცოცხლეს უმწარებდნენ.

გავიდა წლები. დადარდიანდა ჯოჯოხეთა-მეფე. ბოლოს მეფემ მო-

იფიქრა ერთი ხერხი. გაგზავნა თავისი ერთგული ვეზირი ამ კაცთან და სთხოვა, რომ დაბრუნებულიყო თავის სახლში: დღეიდან არაფერს გერჩიო. გარდა ამისა, თუ ნებას დართავდა, მის ქალს მეფე თავისი შვილისთვის თხოულობდა. შვილების მეტი წილი თანახმა იყო რომ მეფეს შერიგებოდნენ. დავმოყვრდებითო, იძახდა ზოგი ძმა. ყველაზე პატარა ძმა ჯიხვა დადგა უარზე.

— უთუოდ მოგვატყუებს, არც ჩვენს დას შერთავს თავის შვილს, ტყუილად შეგვირცხვენს დასა და ჩვენც არ მოგველის კარგი რამეო, არ იქნება მეფემ შური არ იძიოსო, ეუბნებოდათ ჯიხვა. მამა პატარა შვილის აზრისა იყო, მაგრამ უფროსმა შვილებმა ასე უსაყვედურეს: — განა როდემდის უნდა ვიყვნეთ ესე გადახვეწილები ამ უდაბურ ტყეში? ჩვენთვის არც ცოლ-შვილი და ოჯახი არის და არც ადამიანური ცხოვრებაო. თუ არ გინდა, ჩვენ წავალთ და თქვენ ორნი, მამა და შვილი, დარჩითო. ჯიხვამ უთხრა: — თქვენ წადით, მე არ წამოვალო. მამა ჩავარდა საგონებელში, არ უნდოდა წასვლა და შერიგება, შეუთვალა მეფეს: — შეგირიგდები, თუ ჩემს ქალს არ ითხოვთ რძლად და თუ ჩვენც ყველაფერს გვაპატიებთო. აგრეთვე, რაც ქონება გვაქვს წაღებული და ხალხზე გაცემული, თუ ამას არ წაართმევთ ხალხსაო. მეფე დათანხმდა.

დაიძრა ღარიბის ოჯახი. ძველ ნაბინავარზე აინთო ცეცხლი, გაჩაღდა ცხოვრება. მეფე დაუტკბა, დაიახლოვა. ხშირად უძახდა ხოლმე ჯიხვს, როგორც კარგს მონადირეს, მომღერალსა და მოთამაშეს. ჯიხვა თავისთან ჰყავდა მეფეს სადილზე, ვახშამზე. ჯიხვა ხშირად ხედავდა მეფის გასათხოვარ ქალს ზიარას და ძალიან მოსწონდა. მაგრამ ვინ აღირსებდა მასთან დალაპარაკებას! ზიარასაც მოსწონდა ჯიხვა, მაგრამ იცოდა, მასზე არ გაათხოვებდა მამამისი და თავი მაღლა ეჭირა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ მეფე წავიდა ხაზინების დასათვალიერებლად და იქ უთხრეს, რომ ამ ხაზინიდან იმ კაცმა და მისმა შვილებმა ამდენ-ამდენი ქონება წაიღოო. აღეძრა შური და ერთ დღეს თავის მხლებლებს მოულოდნელად დააჭერინა მამა-შვილები. ისა და მისი თერთმეტი ვაჟი სათითაოდ ორმოში ჩაყარეს და მცველები დააყენეს. ქალი მიიყვანა მეფემ თავის ქალთან და მოახლედ დაუსვა. ვერ ნახეს ძმებმა ერთმანეთი და არც იციან. თუ კის რა დაემართა, არ იციან არც მამის და დის რამე და არც მამამ შვილების რამე. აგონდებათ უფროს ძმებს ჯიხვას სიტყვები. მაგრამ რას გააწყობენ ორმოში მყოფნი? წუხს მაჰა შვილებზე. წუხან ცალ-ცალკე ორმოში შვილები მამაზე, დაზე. საჭმელად ეძლევათ პატარა

პური და თითო ლიტრა წყალი; გადის თვეები. ჩამოხმენ ყველანი ორმოში. წუხს ჯიხვა მეტად და აწყდება კედლებს. თხრის ხელის ფრჩხილებით ორმოს კედლებზე ნაჩვრეტებს, რომ ფეხი დაადგას, ამოვიდეს როგორმე, მაგრამ თითო საფეხურის გამოთხრას რამდენიმე თვე უნდა, ამ სიღრმე ორმოს როდის მოუთხრის საკმაო საფეხურებს! იცის ჯიხვამ, რომ დიდი ხანი მოუნდება იმ საფეხურების მოთხრას. ისიც კი გაიფიქრა, რომ შეიძლება ვერც კი მოასწროს საფეხურების მოთხრა და იქნება მალე მოკვდეს, მაგრამ იმედს არა ჰკარგავს და მუშაობს შეუსვენებლივ, თავგამოდებით, დღედაღამე მუშაობს, იმიტომ, რომ ამოვიდეს და გაათავისუფლოს მამა და ძმები.

ასეთ ფიქრებში გართულს და მომუშავე ჯიხვას რაღაც დაეცა თავზე. შემკრთალმა ხელი მოისვა და გაოცდა, როდესაც მან ხელი თოკს მოჰკიდა. აუსვა მაღლა ხელი და დარწმუნდა, რომ ეს თოკი უეჭველად მაღლიდან იყო. მოიბა წელზე, მოჰკიდა თოკს მაგრად ხელი, მიადგა ფეხები ორმოს კედლებს და რამდენიმე წუთის შემდეგ ამოვიდა ორმოდან. ნოტიო და უჰაერო ორმოში ნამყოფს, დასუსტებულს გული წაუვიდა ამოსვლისთანავე. ვიღაცამ ხელი მოხვია, აიყვანა და რამდენიმე ნაბიჯის იქით დააწვინა ნაბადზე. მოუსვა ცხვირზე სასუნებელი წამალი, მობრუნდა ჯიხვა. თვალი გაახილა, დაინახა მის გვერდით ადამიანი, მაგრამ ვერ იცნო. უცნობმა კიდევ დაალევინა წამლები და ადგა ჯიხვა. დააცქერდა სიბნელეში ადამიანს და იცნო, რომ მის გვერდით იყო მეფის ქალი ზიარა. შერცხვა ჯიხვას, რომ ქალთან ასეთი სიმხდალე გამოიჩინა და გული წაუვიდა, მაგრამ ზიარამ შენიშნა ეს და უთხრა: — დაყოვნების დრო არ არის, ცხენი მზად არის, უნდა წახვიდე სადმე, მოღონიერდი, ხალხი შეიძინე, იარაღი იშოვე, მოდი და მამაჩემს ეომე. მე შიგნიდან მოგიწყობ ხელს. შენი ძმების, მამის და დის ნუ გედარდება, არ დავახოცინებ. დანარჩენი შენ იცოდე. მეფე უომრად არ დაგნებდება. მშვიდობითო, — უთხრა ქალმა. მოჰგვარა ცხენი, შესვა ჯიხვა, ერთი აკოცა და გამოისტუმრა.

მიდის ჯიხვა ცხენით და არ იცის, საით უნდა წავიდეს. ბევრი სიარულის შემდეგ ერთ ხის ძირში ნახა ერთი ახალგაზრდა კაცი, ძალიან მოეწონა შეხედულებით და მივიდა მასთან. ჩამოვიდა ცხენიდან. გაუშვა ცხენი ბალახზე და თვითონ ახალგაზრდა კაცთან მიბრუნდა. ძალიან დაღონებული იყო ახალგაზრდა. ჯიხვამ ჰკითხა ვინაობა. ყმაწვილი ჯიხვას დააცქერდა და მასაც მოეწონა, ენდო გულის პასუხს, უამბო: — მე ერთი მძლავრი ხელმწიფის შვილი ვარ; მამა-

ჩემი ორივე თვალებით ბრმა იყო და მოხუცებულიც ძალიან. მაინც არ მანებებდა მე მეფობას და ცდილობდა ისევ თავისი თვალების მორჩენას. რამდენიმე ექიმი წამლობდა, მაგრამ თვალები ვერ აუხილეს. ამჟამად მოვიდა ერთი ბერი, რომელიც დაპირდა მამაჩემს მორჩენას. ბერმა უთხრა მამაჩემს, რომ მას თვალები აეხილებოდა მაშინ, თუ სამოცი პატარა ქალის და სამოცი პატარა ვაჟის სისხლში იბანავებდა. დაუჯერა მამაჩემმა ამ ბერს. გაგზავნა ჯარი თავის სახელმწიფოში და შეკრიბა ასოცი პატარა ქალი და ვაჟი. გაატიტვლეს ყველა ესენი და დაიწყეს სისხლის აღება. ტიროდნენ საცოდავი ბავშვები, იკლაკნებოდნენ სიმწარისაგან. შიგნით ბავშვები ტირიან და ეძახიან მშობლებს საშველად, გარეთ მშობლები იღადრიან პირსახეს. დამეწვა გული. ამერია გონება, შევვარდი მამიჩემის ოთახში, ჩამოვიღე ხმალი და შემოვკარ მამაჩემს, რომელიც ამდგარიყო და ლოგინში იჯდა, იმ მოლოდინით, რომ ებანავა და ახილებოდა თვალი, მაგრამ თვალები სამუდამოდ დავუყენე. გამოვედი იქ, სადაც ბავშვებს ტანჯავდნენ, მათაც დავუწყე ცემა ხმლით და გავათავისუფლე ბავშვები. ამ ხნის განმავლობაში მაინც მომკვდარიყო ათი ბავშვი. გამოვევარდი გარეთ და წამოველ, არ ვიცი, სად მივდივარ და ან საით წავიდე. სახლში რომ მივიდე, კარგი არ დამეყრება, ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს წავიდე სადმეო.

ჯიხვამაც უამბო თავისი თავგადასავალი და დაძმობილდნენ. ცხენები ახლო სოფელში იშოვეს და წავიდნენ ორივენი ერთად. იარეს დიდი ხანი და მივიდნენ ერთ სახელმწიფოში. მივიდნენ ერთ ბებერთან და სთხოვეს შენახვა. მან მიიღო. დარჩნენ რამდენიმე დღე, ათვალიერებდნენ ქალაქსა და სოფლებს. ერთ დღეს გაიარეს მეფის სასახლესთან და ნახეს, რომ სასახლის გალავანს მოაჯირად ადამიანის თავები ჰქონდა შემოვლებული. გაუკვირდათ ორივეს. მოვიდნენ თავიანთ ბებერთან და უთხრეს: — ბებია, გვითხარი რათა აქვს სასახლის გალავანს ადამიანის თავები შემოვლებულიო? — ბებერმა უარი უთხრა ამ კითხვაზე. მაგრამ არ მოეშვნენ, განსაკუთრებით ჯიხვა და უთხრა ბებერს: — ჩემს თავსა ვფიცავ, თუ არ მეტყვი, კარგი არ მოგელის შენ შენი ოჯახითო. ბებერი შეშინდა და უთხრა: — გეტყვით, მხოლოდ თუ რაიმე უბედურება მოგვიდეთ, ჩემი ბრალი არ იყოსო. შეჰპირდნენ ბიჭები, რომ ისინი ბრძოლისათვის არიან დაბადებულნი და არას ვიდარდებთ და არც შენ დაგაბრალებთო. ბებერმა უთხრა: — ამ ჩვენს მეფეს ჰყავს ერთი მშვენიერი ქალი. მას ვინც ითხოვს ცოლად, უარს არ ეტყვიან, მხოლოდ ერთის პირობით: ქალი ეტყვის ერთ გამოცანას და თუ გამოიცნობს, ცოლად

გაჰყვება, თუ ვერ გამოიცნობს, თავს მოსჭრიან. აი, ასეთი ხალხი ყველა ქვეყნიდან მოდის ქალის სათხოვნელად. ეუბნება ქალი გამოცანას, ვერ უხსნიან, თავს ჭრიან და სასახლეს გალავანზე უკეთებენო.

ბიჭებმა მოუსმინეს ბებერს და უთხრეს: ჩვენ ორივე თითეულნ ტოლები ვართ და რომელი წავიდეთ მის სათხოვნელადო. ჯიხვამ უთხრა ხელმწიფის შვილს: — შენ როგორც ხელმწიფის შვილს გეკუთვნის, რომ ითხოვო და მე დაგეხმარები, თუ საჭირო იქნებაო. გათენდა მეორე დილა. წავიდნენ ორივე სასახლისკენ. ჯიხვა გარეთ დარჩა და უთხრა, რომ თუ გამოცანა გითხრას, თუ გინდა იცოდე, ნუ უპასუხებ მაშინვე. უთხარი დრო მოგცეს მოფიქრებისა და გამოდი, მე მითხარი რაშია საქმე. მე გული რაღაც ცუდს მეუბნება, რომ ის ქალი კეთილი სულის არ უნდა იყოს და არაფერი გაენოსო. ელის ჯიხვა გარეთ მოუთმენლად, დაღამდა, გამოვიდა ხელმწიფის შვილი დაღონებული. რა ამბავიაო? — ჰკითხა ჯიხვამ.

ერთი გამოცანა მითხრა. პირობა დავდეთ, თუ ვერ გამოვიცნობ, თავი უნდა მომჭრას. გამოცანა ასეთი არის: გამოიცანი, ვინ იყო „სულამბარა და გულამბარაო". წამოვიდნენ ბებერთან და უთხრეს ეს ამბავი. ბებერი ძლიერ შეწუხდა და არ იცოდა რითი დახმარებოდა. ვადა, მართალია, დიდი ჰქონდათ — სამი თვე, მაგრამ არ იცოდნენ, თუ სად გაიგებდნენ სულამბარას და გულამბარას ამბავს. იარეს ბევრი სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ ამაოდ. გადის დღეები, კვირეები და ამბავს კი ვერსად მიაგნეს. იღუპება ხელმწიფის შვილი. ერთ დღეს ცალ-ცალკე წავიდნენ ამბის გასაგებად. ჯიხვა მალე დაბრუნდა ბებერთან. შევიდა შიგნით, ბებერი მარტოკა იყო. მივიდა ჯიხვა ბებერთან, ხელი მოავლო ხელში და ისე მაგრა მოუჭირა ხელი ბებერს, რომ ძვლებმა ჭახჭახი დაიწყო. ბებერმა ყვირილი მორთო. ჯიხვამ უთხრა: — აჰა, დაინახე, გინდა ეს ქისა ოქროთი სავსე და თუ გინდა სიცოცხლეს გამოესალმოო? შენვე უნდა გვითხრა სულამბარას და გულამბარას ამბავიო. შეშინდა ბებერი, იფიქრა უეჭველად მომკლავს თუ არ ვუთხარიო. უთხრა: — გამიშვი და გეტყვიო.

ჯიხვამ გაუშვა. ბებერმა უთხრა: — სულამბარას და გულამბარას ამბავი მე არ ვიცი, მხოლოდ გასწავლი ერთ ადგილს და თუ იქ შეხვალ, გაიგებ იმათ ამბავსაო. ანიშნა ქალაქგარეთ რომ მაღალი გალავანია, იქ ცხოვრობს ერთი ვაჭარი და იმან იცის ეს ამბავიო. თუ როგორმე შეხვედი ამ გალავანში, გაიგებ, თუ არა, ვერაო. ამ ვაჭრისაა, აგერ ქუჩის ბოლოში რომ სავაჭრო აქვსო. ახლა შენ იცი. მხოლოთ რაკი მიდიხარ მაგ საქმეზე და ამხანაგის გულისთვის სდებ თავს, ერთ რამეში მეც დაგეხმარები. აბა ეს სამი ღერი ჩემი თმა შე-

ინახე კარგად და სადაც ძალიან გაგიჭირდეს, გახსენი და სამჯერ დაუსტვინე, ოღონდაც ისეთ ადგილას, რომ დასტვენის ხმა გარეთ ჰაერზე მოხდეს და მე იმ წამსვე იქ გავჩნდებიო. გამოემშვიდობა ბებერს ჯიხვა და სთხოვა, რომ ხელმწიფის შვილი აღარსად გაეშვა.

დაყოვნების დროც არ იყო და წავიდა ჯიხვა, მივიდა იმ გალავანთან. გალავანი ისეთი მაღალი იყო, რომ თვალი ვერა სწვდებოდა. შიგნითრა იყო არ იცოდა. უარა ჯიხვამ გარშემო, შესავალი ვერ იპოვა. დაბრუნდა უკან, მოვიდა იმ სავაჭროსთან, სადაც ანიშნა ბებერმა, ნახა, რომ მხოლოდ ერთი კაცი იყო. შეევიდა, სთხოვა ვაჭარს: — მე შორეული ქვეყნიდან ვარ, უსაქმოდ ვარ, მიმიღე შენთან მოსამსახურედ დუქანშიო.

ვაჭარმა უარი არ უთხრა, რადგანაც დუქანში კაცი უჭირდა. ადგილობრივები კი მას არავინ უდგებოდა. იმ დღისით იქ იყო ჯიხვა. დაგავა, დაასუფთავა დუქანი. საღამოთი, როცა დაკეტვის დრო იყო, ვაჭარმა ჯიხვა დუქანში დატოვა, თვითონ გარეთ გამოვიდა, გარედან დაკეტა დუქანი და წავიდა. დარჩა ჯიხვა დაღონებული, მაგრამ რას იზამდა. იმ ღამეს ათასნაირ ფიქრებში გაატარა. გათენდა დილა. მოვიდა ვაჭარი, გააღო დუქანი და შეუდგა ვაჭრობას. მოვიდა საღამო და ვაჭარი ისევ ისე აპირებდა კარის დაკეტვას, მაგრამ ჯიხვა გარეთ გამოვიდა, შეეხვეწა ვაჭარს, რომ ერთი უპატრონო ვარ, აქ ნუ დამტოვებ. წუხელაც ათასი ეშმაკი მელანდებოდა და მაშინებდნენ. წამიყვანე თან, გეხვეწებიო. ვაჭარმა უთხრა: — ნუ წამოხვალ, თორემ იქ უარესი მოგელისო. — რაც გინდა დამემართოს, არ ვიდარდებ, ოღონდ აქ ნუ დამტოვებ და თან წამიყვანეო. ვაჭარმა უთხრა: — რაც დაგემართოს, შენს თავს დააბრალეო. დაკეტა დუქანი და წაიყვანა. მივიდნენ გალავანთან. ამოიღო ჯიბიდან გასაღები და გააღო ერთი პატარა კარი. შეევიდნენ ჯიხვა და ვაჭარი. მობრუნდა ვაჭარი და დაკეტა შიგნიდან.

გაიარეს ;ოტა, ისევ გალავანი და პატარა კარი გააღო და კვლავ შიგნიდან დაკეტა. ასე გაიარეს თორმეტი გალავანი და თორმეტივე კარი შიგნიდან დაკეტა. მივიდნენ სახლთან, გააღო კარი და დაკეტა შიგნიდან, ისიც თორმეტი კარი და თორმეტივე დაკეტა, გასაღებები ჯიბეში ჩაიდო. მეთორმეტე ოთახში დასხდნენ ტახტზე. მოიტანა საჭმელი ვაჭარმა. ივახშმეს, სხვა არავინ ჩანდა. აალაგა საჭმელი. ჩამოიღო ვაჭარმა კედლიდან ერთი რკინის მათრახი, რომელიც მკლავზე უფრო მსხვილი იყო. შეიხედა ტახტის ქვეშ და გამოიღო ერთი ადამიანის თავი, სახე კაცის იყო, დადო მაგიდაზე. დაუწყო ვაჭარმა თავს ლაპარაკი, ეუბნებოდა: — რათ მიღალატე, რა დაგიშავე? რა გაგი-

ჭირდა რომ ჩემი ღალატი გაბედეო, და მერე დაუწყო ლანძღვა-გინება, შემდეგ კი აიღო მათრახი და სცემა იქამდის, სანამ დაიღლებოდა. ვაჭარი დაჯდა, დაისვენა — თავი ტახტის ქვეშ შეაგორა და სხვა თავი გამოიღო. სახე ქალისა იყო. გრძელი თმა ჰქონდა. ვაჭარმა დაიჩოქა თავის წინ, იტირა დიდი ხანი, ტირილში ლუღლუღებდა რაღაცას, შემდეგ კი აიღო მათრახი და იმასაც სცემა, სანამ დაიღლებოდა. თავი ტახტის ქვეშ შეაგორა და თვითონ კი ტიროდა. ტირილით რომ გული იჯერა, უთხრა ჯიხვას: ახლა დაიძინე ემანდ ტახტზედა. მაგრამ ჯიხვამ უთხრა, მე არ დავიძინებ და არც წავალ აქედან ცოცხალი, თუ არ გავიგე მაგ თავების ამბავიო. ვაჭარმა უთხრა: — დაეხსენ მაგ ამბავს, ეს ამბავი არავისთვის მითქვამს და არც შენ გეტყვიო. — უნდა მითხრა,—უთხრა ჯიხვამ, თუ არა შენც მოგკლავ და ჩემ თავსაც მოვიკლავო. ვაჭარმა უთხრა: — მე შენ ვერ მომკლავ, და რაკი გინდა, რომ გაიგო ეს ამბავი, გეტყვი და შემდეგ კი შენც მოგკლავ და მესამე საცემი შენი თავი გამიხდებაო. ჯიხვამ უთხრა: — მითხარი და შემდეგ ნება შენი არისო.

ვაჭარმა უთხრა: — ეს ერთი კაცის თავი ჩემი მოჯამაგირისა იყო, მეორე კი ჩემი ცოლისა- ჩემი მოჯამაგირე გავამდიდრე, მაგრამ მან სიკეთე ვერ დაინახა. შეიყვარა ჩემი ცოლი და ჩემს წინააღმდეგ შეკრიბეს ხალხი, მე უნდა მოვეკალი, მაგრამ მე დრო ვიხელთე; ორივე აქ მოვახელე და ორივეს თავი მოვკვეთე. ეს ამბავი მხოლოდ მეფის ქალს ვუამბე, რომელმაც მათ დაარქვა სახელად გულამბარა და სულამბარა, რომლის გამოსაცნობად ბევრი ცდილა და ვერ გაუგიათ. ახლა რაკი შენ გითხარი და გაიგე ეს ამბავი, შენ სხვას ეტყვი და გამივარდება ცუდი სახელი. ამიტომ ახლა მოემზადე, შენც თავი უნდა მოგკვრაო. ჯიხვა დაფიქრდა, წასვლის საშუალება არ იყო! ვაჭარმა კი ხმალი ჩამოიღო კედლიდან და ემზადებოდა ჯიხვას მოსაკლავად.

ჯიხვა დაღონდა, ფიქრებში წავიდა. მოაგონდა, რომ ხვალ გადიოდა სამი თვის ვადა და იცოდა, ხელმწიფის შვილს მოსჭრიდნენ თავს. მოაგონდა ბებრის მიცემული ბეწვებიც. გამხიარულდა, ვაჭარს უთხრა:—ნება შენი ასრულდეს, მომჭერი თავი, მხოლოთ ერთსა გთხოვ. ქრისტიანი ვარ, ორი წუთით გარეთ აივანზე გამიშვი, ვილოცავ მარტოკა და შემდეგ ნება შენი ასრულდესო. ვაჭარმა იფიქრა, ვერსად ვერ გავა და გავუშვებ, ილოცოსო. გაუღო აივნის კარები, ჯიხვა გარეთ გავიდა, ჰაერს შეხედა. სამჯერ დასტვინა და წამზე ბებერი გაჩნდა, შეისვა ჯიხვა მხრებზე და გადააფრინა ერთ წამს თავისთან. ვაჭარი ელოდა დიდხანს, მაგრამ აღარ შევიდა ჯიხვა. გავიდა აივანზე და რაკი ვეღარ იპოვა, თვითონ მოიკლა თავი.

გათენდა დილა, ადგნენ ჯიხვა და ხელმწიფის შვილი, მივიდნენ სასახლესთან. შევიდა ქალთან, ქალმა უთხრა: — აბა, გათავდა ვადა, მითხარი ვინ იყო სულამბარა და გულამბარაო. თუ ვერ იტყვი, თავი უნდა მოგჭრაო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: — გულამბარა იყო ვაჭრის მოჯამაგირე, რომელმაც შეიყვარა ვაჭრის ცოლი. უნდა შოეკლათ ეს ვაჭარი, მაგრამ ვაჭარმა ორივე დახოცა და თავები დააჭრა. ეს ამბავი მარტო შენ გითხრა, შენ კი ეს გამოცანად გამოიყენეო.

— მართალია, — უთხრა ქალმა, — სწორედ გამოიცანი. პირობის თანახმად შენი ცოლი ვარო. შეიყვანეს ჯიხვაც, გადაიხადეს ქორწილი. მეფემ ქალს მისცა მზითევი, ჯიხვამ იმ ვაჭრის დუქანი გააღო და გამოიტანა ქონება. წამოიღეს რამდენიმე აქლემი ქონება და მოვიდნენ იქ, სადაც პირველად შეიყარნენ. ჯიხვამ უთხრა: — აქ შევიყარენით და შეიძლება აქვე გავიყარნეთ, მაგრამ ჩვენი შრომა მუქთად ჩაივლის. კაცი გავგზავნოთ შენს სახელმწიფოში, რომ შეგიშვან შენ და ხელმწიფედ დაგსვან, თუ არა, უნდა ომით დავიმორჩილოთო. გაგზავნეს კაცი, მაგრამ უარი მოუვიდათ: ჩვენი ხელმწიფის მკვლელს არ შევუშვებთ ჩვენს სახელმწიფოშიო. მობრუნდა ჯიხვა ძმობილის სიმამრთან, წაიყვანა ჯარი და ორი დღის ომის შემდეგ დაუმორჩილა სახელმწიფო და ხელმწიფედ დასვა. ახლა უთხრა ჯიხვამ: შენს სახელმწიფოს გარდა რაცა გვაქვს ქონება ნაშოვნი, ყველა ძმურად უნდა გავიყოთო. რას ეტყოდა, როცა მეტი ჯიხვამ იწვალა და ყველაფერი ჯიხვას ნაშოვნი იყო. უთხრა: სიამოვნებით ვღებულობ მაგ წინადადებას, გაყავი როგორც შენ გინდაო!

ჯიხვამ გაყო ყველაფერი ორად. — ერთი რამეც გვაქვს გასაყოფი, ეს არის ქალი, ამაში მეც წილი მაქვსო. — ქალს ხომ ვერ გავყოფთ და გნებავს შენ დაგითმობო. მაგრამ ჯიხვამ უთხრა: — არა, შუაზე უნდა გავჭრათ, ნახევარი შენ, ნახევარი მეო. შენი ნებააო, უთხრა ხელმწიფის შვილმა. ჯიხვამ ქალი დააყენა ფეხზე და უთხრა: — გასწორდი, უნდა გაგჭრა შუაზეო. დაუქნია ხმალი, შეშინდა ქალი და და შიშისაგან პირიდან მწვანე ნაღველივით შხამი ამოუვიდა. ხმალი ქარქაშში ჩააგო ჯიხვამ და უთხრა ხელმწიფის შვილს: აჰა, აი ახლა არის შენი ცოლი, რაც ბოროტება ჰქონდა გულში, ახლა ამოუვიდა და გაიწმინდა. ახლა გთხოვ, მომეცი ცოტაოდენი ჯარი, რომ ვიხსნა ჩემი მამა, ძმები და და, აგრეთვე ვიხსნა ხალხი იმ ჯოჯოხეთა მეფისაგან, დავამყაროთ ერთმანეთში მეგობრობა, ავაყვავოთ ჩვენი ქვეყანა. ხელმწიფის შვილმა შეკრიბა ჯარი, მოვიდნენ ჯოჯოხეთა-მეფის სამყოფელში, დაეცნენ სასახლეს, ჩამოაგდეს მეფე და გაანთავისუფ-

ლეს ჯიხვას მამა, ძმები და და. ჯიხვამ ჯოჯოხეთა-მეფის ქალი ზიარა შეირთო ცოლად. ჯიხვას მამა და ერთიც უფროსი ძმა ძალიან დასნეულებულიყვნენ ორმოში და მალე გარდაიცვალნენ. მეთერთმეტე ძმად გაიხადეს ხელმწიფის შვილი, შეაერთეს ეს სახელმწიფოები ერთად და აშენებენ საამურსა და ბედნიერ ცხოვრებას.

ერთი გიჟის ზღაპარი

იყო ერთი ხელმწიფე. მას ვაჟიშვილი არა ჰყავდა. ვეზირები ჰყოლია ბევრი, მაგრამ ერთი ყველაზე მეტად უყვარდა. სულ ყოველთვის პირდებოდა, იმისთანა ადგილზე დაგასახლებ, რომ შენისთანა მოსახლე სხვა არ იქნებაო. ერთ დღეს უთხრა ამ ვეზირს. — წადი ჩემს წყაროზე, წყალი მოიტანეო. თავისი წყარო ჰქონდა მას. წაიღო თუნგი და გამოვიდა იმ წყაროდან სისხლი. გადაასხა ამოიღო მეორე და კიდევ სისხლია; ამოიღო მესამე და კიდევ სისხლია. გაბრუნდა ცარიელი. — რა ჰქენი, ვერ მომიტანე წყალიო? — რაღაც სისხლი მოდის და წყალი არაო. — უპასუხა.

გაჯავრდა ხელმწიფე: — გაგიგონია, ჩემი წყაროსთანა წყალი არსად არის, სისხლს რა უნდაო! წადი ახლავე, თორემ მოგკვრი კისერსო!

წავიდა და კიდევ სისხლი გამოდიოდა. დაიჩოქა და ეხვეწება: — რაც გინდა ის დამავალე. ოღონდ ჩემს თავს ნუ მოაკვლევინებ ხელმწიფესო. იქიდან ქაჯმა დაიძახა: კარგი, ოღონდ რაცა გთხოვო, შეასრულეო.

იმას უარს როგორ ეტყვის. დაჯდა და დაწერა პირობა. — რა ვუყო ამ პირობასაო? — დადევი ქვაზეო.

ახლა წამოვიდა წყალი და შემოიტანა. — ხომ არ მოდის ჩემი წყალი სისხლიანიო.

ვეზირმა არ გაამხილა, რაც შეემთხვა. ამ ვეზირს ჰყავდა სოფელში საყვარელი ქალი. სთხოვა ხელმწიფეს, რომ ერთი დღის ვადით გაეშვა თავის სოფელში. — წადი, მაგრამ ბევრი არ დაიგვიანოო.

ის ქალი ყოფილა ორსულად. ვაჟიშვილი დაბადებია, დიდი ხანი არ ენახა და მამისხელა გაზრდილა, მოწიფული ახალგაზრდა.

ილაპარაკეს ახლა ამ ქალმა და კაცმა — ერთი რამ მოვახერხოთ, იქნება ჩვენი შვილი წაიყვანოს ხელმწიფემ ვეზირად და ჩვენ სამოსახლო მოგვცეს და დავესახლებითო. დაბრუნდა ის კაცი ხელმწიფესთან და სთხოვა: — სუყოველთვის რომ მპირდებოდი დაგასახლებო, სიკეთე მიქენი, ჩემი შვილი აიყვანე ვეზირად, მე სამოსახლო მომეცი და დავესახლები სადმეო. — საჩუქარს მოგცემ და დაესახლეო. — მე საჩუქარი არ მინდა, ოღონდ ჩემი შვილიც ჩემსავით პატივით იგულეო. —წადი და მოიყვანეო.

წავიდა ის კაცი, მოკაზმა მისი შვილი, ჩააცვეს კარგად, მიჰყავს წყლის პირზე. გამოიარა წყალზე და რაღაცამ დაიძახა წყლიდან: — ეე, რას შვრებიო! — რა არის, ჩემი შვილი მიმყავს ხელმწიფესთან, სხვა არაფერიო. — არა, ის შენი შვილი კი არ არის, ჩემი შვილია, აბა პირობა ნახეო.

ახლა მოაგონდა პირობა.

— ოო, მართალია, მართალი, შენია, ვერაფერს გეტყვიო.

— აბა, დასვი ქვაზეო!

დასვა ქვაზე და თვითონ წავიდა ხელმწიფესთან. მის შვილს წაუძღვა ქაჯი და წაიყვანა. მივიდნენ ზღვის პირზე. ახლა ამას სწუხს ბიჭი, ზღვაში დავიხრჩობიო. ქაჯმა უთხრა: — რა გატირებსო? — დავიხრჩობიო. — ნუ გეშინიაო.

შევიდა ქაჯი, ზღვა გაამაგრა, ფეხიც არ დაუსველდათ, გავიდნენ მეორე ნაპირზე. უთხრა ქაჯმა ბიჭს: — შენ დაჯექი, მომიცადე, ვიბანავებ, არსად წახვიდეო.

ბიჭმა შეხედა, დაბლა მეორე ნაპირზე ქალი ბანაობს, მიეპარა და ტანისამოსი მოპპარა. ტანისამოსი შეინახა და თვითონ დაჯდა, სადაც ქალმა დააწყო ტანსაცმელი. ქალმა ბანაობა რომ გაათავა, გაიხედ-გამოიხედა და შეხედა ამ ბიჭს. დაიძახა: — ეი, ბიჭო, ტანისამოსი მომიტანეო! — მე რა ვიცი შენი ტანისამოსის?

— მომიტანე, თორემ ის ჩემი ძმაა, ვინც მოგიყვანა, ვეტყვი და შეგჭამსო.

— არა, მე არ მომიპარავსო!

— მომიტანე, თორემ ინანებ, შენ დასაკლავად მიყავხარ იმ ჩემ ძმას და თუ არ მომცემ, უჩემოდ შენ თავს ვერ უშველი, თუ მომცემ, პირობას გაძლევ გიშველიო.

ამოიტანა ტანისამოსი. ქალმა უთხრა: — ერთ ოთახში ჩემი ძმაა, მეორეში მე ვარ, მესამეში შენ იქნებიო. ის მოგცემს სამ კითხვას, ჩემს უკითხავად არაფერი უთხრა, მე მკითხეო. ქალი წავიდა. ისეთია თვალადი, ლამაზი. გამოვიდა ქაჯი, ჩაიცვა ტანისამოსი და წამოიყვა-

ნა მის სახლში. ერთ ოთახში შეაგდო ბიჭი, თვითონ მის ოთახში შევიდა, მოისვენა და დაუძახა: — ბიჭო, მოდი აქო! აბა ერთ რამეს გეტყვი, თუ გააკეთებ, თავისუფლად გაგიშვებ და ჩემი ოჯახიდან რასაც ისურვებ გაჩუქებო. — რა არისო? — რა არის და ჩვენ რომ ზღვაში გამოვედით, იქ ქვედა სახლი ვერცხლის ააშენე, ხოლო ზედა— ოქროსი, თორმეტ-თორმეტი ფანჯარა გაუკეთე და ერთი კარიო. კარსა და ფანჯრის თავზე ყველგან გველვეშაპი, მგელი, დათვი და სხვა მხეცები დაბი ჯაჭვით, ისე დაბრუნდი და რასაც ხელს მოჰკიდებ ჩემს ოჯახში, საჩუქრად მოგცემო. ამას ვერ შეასრულებდა, დაიწყო ტირილი. გამოვიდა მისი დის ოთახში.

— რა არის, რა გითხრაო? — ასე და ასე მითხრაო. — ამას გიშველი, მაგრამ მეორეს გეტყვის. დამიცადე აქაო. თითონ გავიდა, ქაჯს სძინავს. ამას ჰქონია ქისა. მოიპარა, გამოიტანა. უთხრა: — დადექი ზღვის პირზე, ამ ქისას უთხარი და ის ხუთ წუთში შეგისრულებსო. მერე ქისა მე ჩამაბარე, მას არ შეუტანო, თორემ შეგჭამსო.

წაიღო, დაჯდა ზღვის პირზე, ჩაუთქვა ქისას და ხუთ წუთში სახლიც გააკეთა, ყველა მხეცი იქ დაბა, ქისა დას მისცა. დამ წაიღო, დადო იქ, სადაც იდო. ქაჯმა კი ვერაფერი ვერ გაიგო. გამოეღვიძა ქაჯს და დაიძახა: — ეე, ბიჭო, რა ჰქენი?! — გავაკეთე! — ეჰ, შენ როგორ გააკეთებდი, ჩემი ქისა გიშველიდა!

ქაჯის დამ პასუხი ასწავლა ბიჭს და მან ისე უპასუხა: — შენი ქისის მე არაფერი არ ვიცი, არც მინახავს, მე ვქენი ასეო! — შეისვენა ამ ქაჯმა და ბიჭმაც და კიდევ დაუძახა: — აბა, ერთი კი გააკეთე, მეორესაც თუ გააკეთებ, რასაც ითხოვ, გაჩუქებო! — რა არისო? — რა არის და დიდი კლდეა ამ სახლის ახლოს. იმის თავზე სამი გოგოა: ერთი — წითელი, მეორე — შავი, მესამე — თეთრი. ისინი ჩამოიყვანე აქ და ორ რამეს გაჩუქებ, თანაც გაგათავისუფლებო.

გამოვიდა ბიჭი ქალთან. — რა გითხრა, ბიჭო? — ასე და ასეო. — ეს იოლია, კი გავაკეთებო, მაგრამ მესამეს უფრო ძნელს გეტყვისო; შენ აქ მომიცადეო.

გავიდა, სძინავს ქაჯს. მოჰპარა ჯიბიდან გასაღები, გააღო ზანდუკი, ზანდუკში კოლოფია, კოლოფში კიდევ პატარა კოლოფი, ამოიღო ის და შეიტანა.

— ამაში არის სამი მერცხალიო: ერთი — თეთრი, მეორე — შავი, მესამე — წითელიო. სანამდის კლდის ძირში არ მიხვიდე, კოლოფი არ გააღო. იქ დაჯექი, კოლოფი გააღე, შავ მერცხალს შავი გოგოს ჩამოყვანა უთხარი, წითელს — წითლისა, თეთრს — თეთრისა. ჩამოიყვანენ ისინი, შემდეგ მერცხლები კოლოფში ჩასვი, მოიყვანე

ქაო. წაიღო იქ და ისე გააკეთა, როგორც ქალმა დაარიგა. მერე კოლოფი დახურა, შემოუტანა ქალს და ისინიც შემოიყვანა. იმ ქალმა კი შეიტანა ზანდუკში, შეინახა ჩუმად. გასაღები ქაჯს ჯიბეში ჩაუდო და გამოვიდა. ქაჯმა რომ გამოიღვიძა, დაუძახა: — ეე, ბიჭო, მოდი აქაო! რა ჰქენიო? — ჩამოვიყვანეო. — ეჰ, შენ როგორ ჩამოიყვანდი მათო? — თუ არ გჯერა, აქ არიან. — მათ მარტო ჩემი მერცხლები ჩამოიყვანსო. — მე რა ვიცი შენი მერცხლები, თუ ირმები? მე ჩამოვიყვანეო. — აბა კაი ბიჭი ყოფილხარ, მესამეს გეტყვი, თუ გააკეთებ, მაშინ სამ რანეს მოჰკიდე ხელი ჩემს ოჯახში, გაჩუქებ და გაგათავისუფლებო.

ამის მეტი დავალების უფლება არა აქვს. — რა არის მესამე? — რაში მყავს თავლაში, გამოგიყვან უნაგირიანად, შეჯექი, გაასეირნე მინდორში და მერე თავისუფალი ხარო. გამოვიდა ბიჭი. — რა გითხრაო? — ჰკითხა ქალმა. — რაშზე შეჯექი, გაასეირნეო. — ოჰ, შე საწყალო, ეს არის ყველაზე ძნელიო. ამას რაში კი არ ჰყავს, ის თვითონ იქნება რაშიც, უნაგირიც, გამომყვანიცო. იმაზე რომ შეჯდები, დაიღუპა შენი საქმე. მე გასწავლი, ისე თუ მოიქცევი, გადარჩებიო. — რაო? — რადა, წადი ბაზარში, თეთრი ნაბადი და ალმასის ნაჯახი იყიდე. ის რომ ვითომ გამოიყვანს რაშს, იფთხვინებს და გეტყვის: — აბა, ჩემო კარგო ბიჭო, შენ რომ იცი, ისე შეჯექ და თავისუფალი ხარ მაშინაო. ამ სიტყვამ გული არ აგიმჩატოს. ავეანდაზე რომ ფეხი შედგა, დაგაჩქარებს, არ შეჯდე უნაგირზე. უნაგირზე შეხტომამდე რაშს ნაჯახი შემოჰკარი ორ ფეხს შუა სამჯერ და დაიძახებს — რად მომკალო? შენ უპასუხე, — ეს გეკადრებოდა ჩემგანო. ის საჩუქრები ჩემს უკითხავად არ აიღოო.

ქაჯმა რაში შეიყვანა, ვითომ, დაბა. დაწვა თავის ოთახში და რომ გაიღვიძა უთხრა: კაი ბიჭი ყოფილხარო.

ქალმა დაარიგა ბიჭი: ორჯერ რომ გითხრას, რა გინდა საჩუქარი — ჩემი თავი სთხოვე ცოლადო. ის გაჯავრდება, მაგრამ სამივე შეკითხვაზე ასე უთხარი, არ შეცდეო. შენ დას თუ არ მომცემ, ქისა მაჩუქეო.

დაუძახა ქაჯმა: — პირველი საჩუქარი რა გინდაო?

— მეტი არაფერი, შენი და ცოლადო. — გაჯავრდა. — მეორე საჩუქარი რა გინდაო? — შენი და ცოლადო.

კიდევ გაჯავრდა და ჰკითხა — მესამე საჩუქარი რა გინდაო. — შენი და ცოლადო. — ამას არ მოგცემო. — აბა შენი ქისა მაჩუქე, რადგან იმას არ მაძლევო. — ო, შე მამაძაღლო, ჩემი ცხოვრება შენ გინდაო. წაიღო ქისა. მოვიდა ქალთან, ამან აკოცა და გაუშვა.

მივიდა ზღვის პირზე, გაიარა ზღვა, ახლა ქისა აქვს. გავიდა ნაპირზე, სამი დევი სცემს ერთი მეორეს. — რას შვრებით თქვენ ამასო? — ვიყოფთ, მარა ვერ გავიყავითო. —რა გაქვთ გასაყოფიო? — კაი რამეო. — რაო? — ხალიჩა, ქუდი და სუფრა. — ხალიჩაზე თუ შეჯდები, სადაც გინდა, იქ მიგიყვანს; სუფრა მთელ ჯარს სადილს შეუმზადებს; ქუდი რომ გეხუროს, ყველას შენ ხედავ და შენ ვერავინ გხედავსო. — მერე ამას ვერ ყოფთო? — ვერაო.

— მე გასწავლით გაყოფასო. ესენი დატოვეთ აქ, წადით მინდვრების ბოლოს, გამოიქეცით, ვინც მოასწრებთ, იმას გექნებათ უკეთესი, ამას რა გაყოფა უნდაო? — ოჰ, ამას რატომ ვერ მივხვდით ჩვენაო?

წავიდნენ ისინი. ამ ხალიჩაზე თვითონ დაჯდა, ის სუფრაც და ქუდიც აიღო, უთხრა — ხელმწიფის კარზე დამაყენეო. დეკები იქ დარჩნენ. თვითონ ხელმწიფის კარზე გაჩნდა. ქუდი ახურავს, ვერავინ ხედავს, თვითონ ყველას ხედავს.

რა მოახერხოს? ხელმწიფეს სამზარეულო აქვს. ამ სამზარეულოში მუშაობს დედაბერი დევი, ძუძუები ბეჭებზე აქვს აკეცილი. შეეპარა, ძუძუზე კბილი დაადგა — შენ დედა და მე შვილიო! — ვინა ხარო? მოიხადა ქუდი, შეხედა. — რა გინდაო? — ეს ბარგი შემინახეო, მაჭამე და დედობა გამიწიეო. — ნუ გეშინია, მოვახერხებო.

არის აქ. ხელმწიფეს ციხე უდგას. ციხეს მცველები ჰყავს ყველგან. — რა ამბავია აქ ციხეშიო? — ამაში არის ხელმწიფის ქალიშვილი და იმას დარაჯობენო. ყოველ დილით წონიან, თხუთმეტი გირვანქაა.

დაღამდა, ქუდი დაიხურა და უთხრა ნავახშმევს ხალიჩას, ციხეში შემიყვანეო. აფრინდა და შეიყვანა. გოგოს სძინავს, აკოცა და დაბრუნდა. დილით გოგო აწონეს; არის ჩვიდმეტი გირვანქა. დაბრალა ხელმწიფემ ხალხს და დახოცა. მეორე ღამეს კიდევ ისე ქნა ბიჭმა. აწონეს კიდევ, არის ცხრამეტი გირვანქა. მესამე საღამოს სულ ყველგან მცველებია. გოგოც არ დაწვა. ბიჭიც იქ არის. გოგო დადის იქით-აქეთ, არ წვება. თვითონ არ იცის, რა დაემართა. გათენებისას მიეყუდა თავის ქვეშაგებს და ბიჭმა აკოცა. გოგომ დაიძახა: მიჩვენე თავი, არსად გაგიშვებო.

მოიხადა ქუდი და ეჩვენა. შეუყვარდათ ერთიმეორე. — აბა თავს ვუშველოთ, თორემ მამა მოგვკლავსო. დასხდნენ ხალიჩაზე და ბიჭმა უთხრა: — იქ წაგვიყვანე, სადაც ადამიანი არ ყოფილა. გაფრინდნენ. მიფრინდნენ ერთ ადგილას. ქისას უთხრა და გაჩნდა სახლი: ქვედა სართული ვერცხლი, ზედა — ოქრო. რამდენიც გინდა

ოთახებია. სასმელ-საჭმელი უამრავი, ოღონდ არც ადამიანი და არც ფრინველი არ არის.

ქალის მამამ გაგზავნა მაძებრები. ვერაფერი გაიგეს. ამ დროს დევის დედამ უთხრა ხელმწიფეს: კუბოში ჩამაწვინეთ, ზემოდან დაჭედეთ და წყალში ჩამაგდეთო. ეს იყო ბიჭის დედობილი. წყალი ზღვაში მიდის. დედაბერი ჩააწვინეს კუბოში. წაიღო წყალმა კუბო ზღვაში. ერთი პატარა დოქი ბანგი დაუდგეს თავქვეშ. წყალმა კუბო ზღვაში შეიტანა. ცოლ-ქმარს მოსწყინდათ და ჩავიდნენ ზღვის პირას სათამაშოდ. შეხედეს კუბოა ზღვაში. ქმარმა თქვა: — გამოვიტან ამას, ამდენი ხანია არავინ გვინახავს, ცოცხალი თუ არ იქნება, მკვდარი ვნახოთო. ქალმა იკივლა: — არ გამოიყვანო, ინანებო. — აბა, მისი კი არ მეშინიაო.

გამოიყვანა, ახადა კუბო. ნახა მისი დედობილი. — ოჰ, საწყალო, რა დაგემართაო? — რა და ჩემი ცოდვა გქონდეს, გაიგეს, რომ შენ ჩემთან იყავი, სიკვდილი არ დამაჯერეს და ცოცხალი ჩამაგდეს წყალშიო. — აბა ნუ გეშინია, მე იმაზე უკეთ შეგინახავო, როგორც მკვიდრ დედასაო.

შეიყვანა სახლში, ემსახურა ოთხი-ხუთი დღე კარგად. ერთ საღამოს რომ დაწვნენ, მოსწყურდათ. დევის დედამ წყალი გადაღვარა და როცა წყალი მოითხოვეს, ბანგი დაალევინა. იმ ხალიჩაზე გოგო დაწვინა, აიღო სუფრა, ქუდი, ქისა და უთხრა ხალიჩას: — ხელმწიფის კარზე დამაყენეო. ის საწყალი კაცი დარჩა იქ ტიტველ მიწაზე. ახლა რა ქნას, გავიდა ერთი კვირა, არც საჭმელი აქვს, არც სასმელი. ოღონდა ისე, რომ სიარული არ შეუძლია. მინდორშია. ზევით ხე ჩანს. მივიდა იქ ოთხით. დაჯდა მის ქვეშ. ამის წვერზე ჩიტს ჰქონია ბუდე და წიწილები ჰყავს. მათი დედა მათი საჭმლის საძებრად წასულა. ბარტყებმა უთხრეს ერთმანეთს: — ამისი ცოდვა არ გადაგვარჩენს, ამისთანა საწყალი ქვეყანაზე არაფერი არ იქნებაო. ვკითხოთ დედაჩვენს; იქნებ მისი გადაყვანა მოხერხდესო. საღამო დროს მოვიდა მათი დედა, საჭმელი მოიტანა და წიწილებმა არ მიიღეს. — რა არი, რა გინდათ, რატომ საჭმელს არა ჭამთო?

— რად გვინდა საჭმელი, ყველა დაგვხოცე, საჭმელი უსარგებლოა ჩვენთვისო. ხომ უყურებ ჩვენს ქვეშ საწყალი კაცი არისო. შენ მოხუცი ხარ და გეცოდინება მისი იქით გადამყვანელიო. — ამის გადაყვანა არ მოხერხდება იქით, ოღონდ სადაც გიორგობას იხდიან, ამ ჩვენს ზევით რომ თეთრი ქვაა, მიწა ამოინგრევა, ქვა გასკდება, ამოვა თეთრი რაში, იმ ქვაზე დაჯდება, მაშინ მის ფეხებს რაშს თუ მოახვევდრებს, გადავა იქითო. იქ თუ კარგად გავარდა და გაგორდა,

მაშინ თავს უშველის, თუ არა, დაიღუპებაო. მივიდა ის ბიჭი მეორე დღეს, დაჯდა ქვაზე, აინგრა მიწა, გასკდა ქვა, ამოვიდა თეთრი რაში, მოახვედრა ფეხები, გადაყვა გადაღმა და დარჩა. რა ქნას ახლა, სიარული არ შეუძლია და საჭმელი აქ არ არის, მიდის ისე, როგორც ოთხფეხი. მიდის, მიდის და მივიდა ტყის პირას. მწიფს თეთრი ლეღვი. დაიწყო ამის ჭამა, ფეხზე ადგა, ახლა სიარული შესძლო. ამ ტყეში თეთრი ლეღვიცაა და შავიც. სულ ერთი იქნებაო და შავი შეჭამა. ის რომ შეჭამა, რამდენი ბალანი თავში აქვს, იმდენი ნაძვი და ხე გამოუვიდა თავზე. სული უდგია და ტყე არის უბედური მისი თავი. — მაინც დაღუპული ვარო, ახლოს არის თეთრი ლეღვი, აიღო, შეჭამა და მოურჩა თავი, გაეცალა ტყე. ახლა ბიჭმა ერთი ჯიბე შავი ლეღვი მოკრიფა, მეორე ჯიბე — თეთრი ლეღვი. მიდის, მიდის. შევიდა სოფელში. თხოულობს პურის ნატეხს და აჭმევენ. ამოვიდა აქამდე, ხელმწიფის სამოსახლომდე. მისი დედობილი აქ მუშაობს. ჩავიდა და უთხრა: ჩემო დედობილო, კარგად მიყავიო.

— კარგი არ გიქენი, მაგრამ შენს ნივთებს დაგიბრუნებო. ხელმწიფისათვის არ მიუცია. დღისით ქუდი ახურავს და არავინ ხედავს. ღამე დედობილთან არის. სადაც ხელმწიფის ეკლესიის გზაა, იქ დუქანი გააკეთა. საჭმელი, სასმელი აქვს საუკეთესო. ერთ კვირას მიდიან ეკლესიაში, ნახეს დუქანი. — ვინ ააშენაო, აქეთობას შევიდეთო. წავიდნენ. წირვის შემდეგ შევიდნენ. ბიჭმა საუზმე გააკეთა, მოეწონათ. — აწი შენ უნდა გაგვიკეთო საჭმელიო. ასე დადეს პირობა. ოთხ-ხუთ დღეს კაი საჭმელი უგზავნა. ერთ დღეს შეურია შავი ლეღვი და რომ შეჭამეს, თავზე ხეები დაესხათ. ამათაც ისე დაემართათ, რამდენიც ბალანი ჰქონდათ, იმდენი ხე-ტყე ამოუვიდათ. მოჰყავდათ ცისა და ქვეყნის ექიმები, ვერაფერი უშველეს, ჭრიან, ამოდის. ბიჭიც იქ არის. ბიჭმა თქვა: — მე მოვარჩენ და რას მომცემო? — ხელმწიფედ დაგაყენებო!

მისი მამაც აქ არის. ვერ იცნო შვილი. — შენ რას მოარჩენ, ექიმები ვერ არჩენენო.

ბიჭმა უთხრა: — მართლა მოვარჩენ, თუმცა არ ეკუთვნისო. ყველა შეეხვეწა: მოარჩინეო. — აბა, უღელი და კევრიო და ერთი მაგარი მათრახიო. დაადგა უღელი ცოლ-ქმარს, მიაბა კევრი, მათრახი ხელში აქვს, ურტყამს; თითო დარტყმაზე თითო თეთრ ლეღვს აჭმევს, ეცლებათ თანდათან. განთავისუფლდნენ. მორჩნენ, უთხრეს — ხელმწიფედ დაჯექიო. — მე ხელმწიფობა არ მინდა, შენი შვილი მინდა ცოლადო.

აუსრულეს. მისი მამაც გაანთავისუფლეს და დარჩნენ იქ.

ანანა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფის შვილი. ჰქონდა ერთი ბაღი. ბაღში მწვანილის ორი კვალი ჰქონდა გავლებული. ერთ კვალში ეთესა პრასა და მეორეში — კამა. ხელმწიფის შვილი ისე არა სჭამდა პურსა, რომ არ ჩამოსულიყო და იმ კვლებთან არ დამჯდარიყო.

ერთხელ ხელმწიფის შვილი ჩვეულებისამებრ ბაღში დადიოდა. კვლებში ერთი ქაღალდი ეგდო; დაწერილი იყო, მაგრამ ვერ წაიკითხა კი. აიღო და სხვას მისცა. ქაღალდი ქალად იქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ მასზე მშვენიერს კაცის თვალი ვეღარაფერს ნახავდა.

დაინახა ერთხელ ხელმწიფის შვილმა ეს ქალი, ძალიან მოეწონა და ცოლად შერთვა ინება. ქალსა ჰკითხა: — რა გვარი ხარო?

ქალმა უპასუხა: — გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყია, ერთი საწყალი ქალი ვარო.

ადგა ხელმწიფის შვილი, ანანას თავი დაანება და სხვა ცოლი შეირთო, რადგან ის ვითომ უხეირო გვარისაო. ანანას კი უყვარს ხელმწიფის შვილი, უყვარს საშინლად. დაიბარა მთიდან ირმები ანანამ, მოწველა, ჩაასხა ქვაბში, ჩაჯდა შიგ თვითონ, დუღს რძე და იბანება შიგ ანანა.

ხელმწიფის შვილმა დაინახა, რომ ანანა რძეში იბანება.

ცოლს უთხრა: — ჩვენი ანანა, იცი, რასა შვრება? მთიდან ირმები დაიბარა, მოწველა, ჩაასხა ქვაბში, დუღს რძე და შიგ იბანებაო.

ცოლმა უთხრა: — განა მე ვერ ვიქ მაგასო!

ფურები დაიბარა, რადგან ირმები არა ჰყავდა, მოწველა, ჩაასხა რძე ქვაბში, აადუღა და ჩავიდა შიგ საბანაოდ. გაებანა და მოიხარშა შიგ. დარჩა ქვრივად ხელმწიფის შვილი. წავიდა ანანასთან და ჰკითხა: — რა გაქვს გვარიო?

ქალმა ისევ ის უპასუხა: გვარი მაქვს პრასისა, კამის სარტყელი მარტყიაო. დაიწუნა ისევ ის გვარი ხელმწიფის შვილმა, სხვა ცოლი შეირთო.

წავიდა ანანა, დაჯდა მაღლა სართულზე, აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა. უცებ კვირისტავი გადმოუვარდა. მოიჭრა ანანამ ცხვირი, ჩაგზავნა, ამოატანინა კვირისტავი და ცხვირიც ისევ მოიბა.

ნახა ეს ხელმწიფის შვილმა. წავიდა და ცოლს უთხრა: — ჩვენი ანანა საკვირველი ქალია! მაღლა სართულში ავიდა, აბრეშუმს ართავდა; კვირისტავი ჩამოუვარდა ძირს, მოიჭრა ცხვირი, ჩამოაგდო და

ანტანინა კვირისტავი. მერე ცხვირი ისევ მოებაო. — ეგ რას გაგკვირვებია, — უთხრა ცოლმა, — განა მე ვერ ვიქ მაგასაო?

ავიდა ბანზე, აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა. კვირისტავი ჩამოაგდო, მოიკრა ცხვირი და ჩამოაყოლა. ცხვირმა კვირისტავი ვერ აუტანა, აღარც მოება. უდინა სისხლმა, უდინა და მოკვდა.

დაქვრივდა ისევ ხელმწიფის შვილი. წავიდა და ანანას ჰკითხა: — რა გვარი გაქვსო? — გვარი მაქვს პრასისა და კამის სარტყელი მარტყიაო, — უპასუხა ქალმა.

ხელმწიფის შვილმა კიდევ დაიწუნა გვარი და წავიდა მთაში. მეღორე ნახა და უთხრა: — ერთი ღორი მომყიდე, სისხლი მე და ხორცი შენაო. დააკვლევინა ღორი, უბრძანა: მაგ სისხლში მომთხუპნე, წამიღე მერე და ანანას წინ დამდეო.

დაკლეს მეღორეებმა ღორი, სისხლი ადინეს, სისხლში მოთხუპნეს ხელმწიფის შვილი, წაიყვანეს და ანანას წინ დადეს.

დაინახა სისხლში მოსვრილი ხელმწიფის შვილი ანანამ და შესძახა:

მზეო — დედავ, მამავ — მთვარევ,
ვარსკვლავებო, ჩემო მზეო!
ჩამოუშვით ოქროს სკამი,
აღარ არის ხელმწიფეო!

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, გაიხსნა ცა, და იქიდან ჩამოეშვა ოქროს სკამი. ადგა ხელმწიფის შვილი და მოეხვია ანანას. დაუწყეს ერთმანეთს კოცნა და სურვილება. გახდნენ ცოლ-ქმარი და დასხდნენ ოქროს სკამზე.

ხრისტაგან და გელთაგან ტარიელეგის არაკი

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ქალიშვილი. მის უკეთესი ცასა და დედამიწას შუა არაფერი დაიბადებოდა. ამ ხელმწიფეს ღამით დაეცა რაღაც და ქალი მოსტაცა. დაედევნენ, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს.

ამ დროს ცხოვრობდა თურმე ერთი ტყის კაცი, რომელსაც ღვთისადმი პირობა ჰქონდა მიცემული: თავის დღეში კაცთან არ

გამოსულიყო და მუდამ ტყეში ყოფილიყო. მიწა-ადგილი ჰქონდა თავისათვის მიჩენილი, რადგან გარეშემო მოსაზღვრეები დევები ჰყავდა და მათ ხეებს არ აძლევდა მოსაკრელად. ისეთი ღონიერი კაცი იყო, რომ ყველა დევს მისი ეშინოდა.

ერთხელ ეს ტყის კაცი წავიდა თავისი ადგილის შემოსაელელად: დევებმა ხომ არა გააოხრეს რაო. ერთის მხრით წყლის პირი იყო. ამ წყალს გაჰყვა. მზეც ჩასვლას დაეპირა. წყალს რომ დახედა ტყის კაცმა, სისხლით შეღებილი ნახა. გაუკვირდა: „ეს წყალი თეთრი იყო, ახლა რად არის წითელი, ეს უნდა ვნახოო". შეჰყვა წყლის პირს და დააღამდა. ერთ ადგილს მიაღწია და ნახა, რომ ორი დევი ერთმანეთს ეჭიდება. თურმე ამათი სისხლით ყოფილა შეღებილი წყალი. გაღმა რომ გაიხედა, დაინახა: დგას ნაპირზე რაღაც მზესავით მოელვარე. ტყისკაცი მივიდა დევებთან, იძრო ლეკური, მოუქნია, ორივე დახოცა და წყალს მისცა წასაღებად. ამ დროს გაღმიდან დაუძახა მან, მზესავით რო ბრწყინავდა: ქრისტიანი ხომ არა ხარო? — არ შეგეშინდეს, — უპასუხა ტყისკაცმა, — მე ქრისტიანი ვარ და შენ კი ვინა ხარ, მითხარიო? — მე ვარ ხელმწიფის ასული. შენ რომ მოჰკალი, იმ დევმა მომიტაცა და აქეთ წამომიყვანა. ამ წყალთან მეორე დევი დახვდა და ჩემი წართმევა დაუპირა. იმ დროს იყო, შენ რომ მოუსწარი ჩხუბობდნენ და დახოცეო.

ტყისკაცმა უთხრა ხელმწიფის ქალს: — მე ღვთისადმი მაქვს პირობა მიცემული, რომ ტყიდან არასდროს არ გამოვიდე. მინდორში გაგიყვან და შემდეგ შენს სახლში წადიო. მაგრამ ქალმა უპასუხა, შენი დაშორება არაფრით არ შემიძლიაო.

ტყისკაცმა წაიყვანა ქალი თავის სამყოფ ადგილას და დაიწყეს ერთად ცხოვრება. გავიდა ნახევარი წელიწადი. ქალი დაორსულდა. ბავშვის დაბადების დრომაც მოატანა. ტყისკაცმა უთხრა ქალს: — მე მარტო ვარ ამ ტყეში. შენ რომ დაწვები, კაცი გინდა ხელის მომწყობი. მე არაფერი არ შემიძლია. — მე შენთან უნდა მოვკვდე, სხვაგან ვერსად ვერ წავალო, — უთხრა ქალმა, მაგრამ ტყისკაცმა არ დაუჯერა: — შენ სახლში უნდა წახვიდე. მე ტყიდან გაგიყვან ღამით და შენი სახლის ახლოს მიგიყვანო.

ქალს რა უნდა ექნა: — კარგიო, უთხრა.

წაიყვანა ტყისკაცმა ღამით და მისი სახლის ახლოს დასტოვა. ამოიღო ჯიბიდან ერთი ბეჭედი, მისცა ქალს და უთხრა: — შენ დაგებადება ვაჟი; სახელად ხრისტაგანი დაარქვი. ეს ბეჭედი მაშინვე მარჯვენა ხელის თითზე წამოაცვი: მისდღეში არ წამოიძროს, — სულ თითზე ჰქონდესო.

ტყისკაცი დაბრუნდა თავის ადგილას. ქალი შევიდა თავის სახლში. დედ-მამამ რომ დაინახა, გაეხარდათ: ჩვენი ასული მოსულაო.

მეორე დღეს გამართეს დიდი წვეულება: ბევრი კაცი ჰყავდათ დაპატიჟებული. შუადღისას ქალს მუცელი ასტკივდა, დააწვინეს ლოგინად და ეყოლა ვაჟი. დედამ თქვა: ამის სახელი ხრისტაგანი იყოს, რადგან ამისმა მამამ ასე დამაბარაო. ყველა თანახმა გახდა. მამის ბეჭედი მარჯვენა ხელის თითზე წამოაცვეს. გავიდა სამი თვე. ბავშვი კარგა ღონიერია ხელმწიფეს გაუხარდა: ეს ვიღაც ურიგო კაცის შვილი არ უნდა იყოსო.

ამდენი რა გავაგრძელო, ბავშვმა მინდორში თამაში დაიწყო სხვა ბავშვებთან. ერთ დღეს თავის ბაბუა-ხელმწიფეს უთხრა: — გამიკეთებინე ფოლადის მშვილდ-ისარი ისეთი, რომ წონით ორასი ფუთი იყოსო. — ძალიან კარგიო, — უპასუხა ბაბუამ, თუმცა შვილიშვილის ასეთი სურვილი ბაბუას არ მოეწონა, მაინც გააგზავნა კაცი მჭედელთან. გამოჭედა მშვილდ-ისარი, მაგრამ მისი მოტანა საძნელო შეიქნა. გააგზავნა ხელმწიფემ კამეჩები ურმებით და დიდი წვალებით მოიტანეს. როდესაც ეზოში შემოვიდნენ, ბავშვმა დაინახა, გაიქცა, მიეგება ურემს. მოჰკიდა ხელი მშვილდ-ისარს და უცებ აიღო. ყველას გაუკვირდა: ეს ფარსაგი კაცი არ იქნებაო!

ხრისტაგანმა დაიკავა ხელში ისარი და ზევით აისროლა. უმზირეს სხვა კაცებმა, მაგრამ თვალიდან დაეკარგათ ისარი. დიდი ხნის შემდეგ ისარი მიწაში ჩაერჭო. ისარი რომ ამოეძროთ მიწიდან, სამოცი კაცი მივიდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამ დროს გაიქცა ხრისტაგანი, მივიდა და თავისი ისარი უცბად აიტაცა. ეს რომ ნახეს, ყველა ამბობდა: ეს უნდა იყოს ტარიელების ბატონიო.

ხრისტაგანმა დაიწყო სანადიროდ სიარული. ისეთი საღამო არ იქნებოდა, სხვადასხვა ნადირი არ მოეტანა. ახლა სრულიად გაიზარდა ხრისტაგანი. მისი ყველას ეშინია, რადგან იმის მსგავსი მაგარი ბავშვი დღემდის არავის ენახა.

ერთხელ ხრისტაგანი წავიდა სანადიროდ. იარა ბევრი, მაგრამ ვერაფერი მოკლა. საღამოს დაბრუნდა თავის სახლში. შარას რომ შეწუხებული მოდის, გაიხედა ერთი მინდვრისაკენ და დაინახა, რომ ქალს მხარზე უდგას წყლით სავსე კოკა. ხრისტაგანმა იფიქრა: აბა, ამ კოკას მხარზე თუ დავატეხავო. ესროლა ისარი, მოარტყა კოკას და გატეხა. ქალი გაიწუწა. მიბრუნდა და უთხრა ხრისტაგანს: — დედა-შვილობას, ჩემი კოკა რომ არ გაგეტეხა, სხვა ვერაფერი ნახე სასროლიო? ახლანდელმა ბიჭებმა ხელზე ბეჭდის წამოცმა იცით; ეს ძველმა ტარიელებმა არ იცოდნენო.

ხრისტაგანმა არა უთხრა რა. წამოიძრო იმ წამს ბეჭედი და ჯიბეში ჩაიდო. მოვიდა თავის სახლში. იმ ღამეს გულჯავრიანმა დაიძინა. მეორე დილას წამოდგა. საუზმელი ჭამა, დედას დაუძახა — აქ მოდიო. დედა მივიდა. — ერთს გკითხავ და არ დამიმალო: — უნდა მითხრა, ვინ არის მამაჩემი.

დედა შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა? უთხრა: — მამაშენი ტყის კაცია. ის მუდამ ტყეში ცხოვრობს. ღვთისადმი პირობა აქვს მიცემული, რომ კაცს არ ეჩვენოს. — საით არისო? — ჰკითხა ხრისტაგანმა. დედამ უთხრა: — ამა და ამა მხარესაო, — და თითით აჩვენა.

მონახა ხრიტაგანმა თავისი რაში, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარიყო. გამოიყვანეს რაში ჯაჭვებით. მივიდა ხრისტაგანი, გადაუსვა ხელი და უცებ უნაგირი დაადგა. აიღო თავისი მშვილდ-ისარი და სახლში დაუბარა: „მამაჩემის საძებნელად მივდივარო“.

შეაჯდა რაშს, მოუქნია და წავიდა ზევით-ზევით ჰაერში. იმ ტყის ახლოს დაასკუპა ცხენი. შევიდა ტყეში, ეძია მამამისი, მაგრამ ვერა ნახა. მამამისი თურმე დევებს გაჰკიდებოდა, რადგან მათ ხეები დაეოხრებინათ. აქეთ რომ მობრუნდა ტყის კაცი და მოდის, შეხედა, რაში ტყეში ბალახობს და ვაჟი თავისთვის დასეირნობს. — ჰეი! რა კაცი ხარ! — დაუძახა ტყისკაცმა. — ვინა ხარ, რომ ჩემს ტყეში შემოსვლა გაბედეო? — მე ვარ, რა გნებავს? მობრძანდი, თუ რამე შეგიძლიაო! — დაუძახა ხარისტაგანმა. — ჩემი წამოძახება ხრისტაგან-ტარიელის მეტს სხვას ვერ უნდა გაებედნაო! — დაუძახა ტყის კაცმა.

მაგრამ ხრისტაგანმა არ იკადრა სახელის თქმა, აიღო თავისი ისარი და სტყორცნა ტყისკაცს. ტყის კაცმა ხელით დაიჭირა ისარი. უყურა ხრისტაგანის ხელს, მაგრამ ბეჭედი ვერ შენიშნა: „ეს ჩემი შვილი არ უნდა იყოს, თორემ ხელზე ბეჭედი ექნებოდაო“, იფიქრა. მოიმარჯვა ტყისკაცმა მშვილდ-ისარი და ესროლა. მოხვდა ხრისტაგანს. წაიქცა და სული განუტევა. მოვიდა ტყისკაცი, დაიცქერდა მკვდარს, ხელები გაუსინჯა, მაგრამ ბეჭედი ვერ უპოვა. „ეგებ ჯიბეში რამე ედოსო“, იფიქრა. ჩაუყო ხელი ჯიბეში და ამოუღო საფულე. გახსნა და დაინახა მისი მინაცემი ბეჭედი. ერთი დაიღრიალა და თავი ხეს მიახეთქა. წაიქცა ხე. მეორე ხეს დაეტაკა, — მეორე წაიქცა, მესამე... და ასე ძირს დაადგა მთელი ტყე. მობრუნდა ისევ ხრისტაგანთან, წაიშინა თავში ხელი და კიდევ შეპბღავლა. ტირის ტყის კაცი განუწყვეტლივ და თავს ხეებს ახეთქებს. დევებს შეეშინდათ... „ეს რაღაც კარგი ამბავი არ უნდა იყოსო“, — და ყველანი სხვა ადგილებში გადაცვივდნენ.

ტყის კაცი უფრო და უფრო ბევრს ბღავის, ისე რომ ღმერთმა გაიგონა მისი ღრიალი. დაუძახა მტრედს და უბრძანა: „წადი, ნახე, რა არის, იმ კაცს რა უჭირსო“.

წამოვიდა მტრედი, ნახა, რომ მკვდარი მინდორზე დევს: ერთი კაცი მივა ახლოს, წაიშენს თავში ხელს, დაიწყებს ბღავილს, არტყამს ხეს თავს, წაიქცევა ხე და აქეთ-იქით ხეებსაც ანადგურებს. შემოელია ახლომახლო თავის მისარტყამი ხეები. თუ რას შვრებოდა ეს კაცი, ყველაფერი ნახა მტრედმა. ისე უფრთხილდებოდა ტყის კაცი მკვდარს, რომ ზედ ბუზიც ვერ გადაიფრენდა.

წავიდა მტრედი და ყველა ეს ამბავი ღმერთს მოახსენა. ღმერთმა მისცა მტრედს ერთი ცხვირსახოცი და უთხრა: „შენ ეს წაიღე ნისკარტით, მიდი მკვდრის ახლოს, დაუდარაჯე იმ კაცს: როდესაც წავიდეს ხეზე თავის მისახლელად, მაშინ ეს ცხვირსახოცი ზევიდან დაადგე მკვდარს სახეზე. შენ თავს გაუფრთხილდიო“.

მტრედმა წაიღო ცხვირსახოცი, იხელთა დრო, დააფრინდა მკვდარს და ცხვირსახოცი სახეზე დაადო; თვითონ გაფრინდა. ტყის კაცი რომ მოდის და მოღრიალებს, ნახა მკვდარი ვაჟი ფეხზე დგას. გაექანა, ეტაკა, გადაკოცნა და ჰკითხა, — სახელი რა გქვიაო. — ხრისტაგანიო, — უთხრა მან.

ახლა ყველაფერი გაიგეს ერთიმეორის ამბავი, მამა და შვილი არიან. ხრისტაგანი ბევრ ხანს დარჩა მამამისთან. ბოლოს ტყისკაცმა უთხრა თავის შვილს: — შენ ახლა სახლში წადი და იცოდე ამხანაგად გაიხადე ბელთაგანი-ტარიელი, რუვი-ტარიელის შვილიო. გამოეთხოვნენ ერთმანეთს, წავიდა ხრისტაგანი თავის გზაზე.

მიდის ხრისტაგანი და ფიქრობს: „ბელთაგანი-ტარიელი უნდა მოვძებნოო“. შემოუქნია რაშს და ერთი ზღვის პირას გადაახტუნა. გაჰყვა გზას, იარა, იარა ეს ღამე, დილა და მიადგა გზაჯვარედინს. ერთი გზისკენ რომ გაიხედა, რაღაც ყვავისოდენა გამოჩნდა. იფიქრა, ნამდვილად კაცი უნდა იყოსო. გაუქნია რაშს, მიაღწიეს ერთმანეთს. ჰაერი მოაწვა ხრისტაგან-ტარიელს, ისე, რომ სიარულს უშლიდა, მაგრამ ხრისტაგანის ჰაერიც იქით აწვებოდა იმ მხრიდან მომავალ კაცს. ხრისტაგანმა იცნო: ნამდვილად ეს უნდა იყოს ბელთაგანი-ტარიელიო. ბელთაგანიც მიხვდა: ნამდვილად ხრისტაგანი-ტარიელი უნდა იყოსო.

მიუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ წინდაწინ გამარჯვება არც ერთმა თქვა და არც მეორემ. აუარეს გვერდი ერთმანეთს. მობრუნდა ხრისტაგანი და დაუძახა: — გამარჯობა, ძმაო, ბელთაგან-ტარიელო!

ძობრუნდა ბელთაგანი და უთხრა: — გაგიმარჯოს ღმერთმა, ძმაო, ხრისტაგან-ტარიელოო!

ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და გადაკოცნეს. დასხდნენ ერთ ხის ჩრდილში, მოისვენეს და დაიწყეს ლაპარაკი. ბელთაგანმა თქვა: — ერთ ადგილას დევები მოსახლეობენ. გარშემო გალავანი აქვთ და რკინის კარები ჰკიდია. ეზოს ირგვლივ გარედან ცხელი წყალი უდის, ისეთი, რომ რასაც მიესხმება, დასწვავს. ამ დევებს ჰყავთ ერთი ისეთი და, რომ მზე და მთვარესავით ბრწყინავს. მაგრამ რა გამოვიდა? წყალში არ გაისვლება; წყალში თუ გახვედი, გალავანში არ შეისვლება; იმიტომ რომ თითო ჭიშკარი ათასფუთიანი რკინისაა.

— აბა, ძმაო, ბელთაგან-ტარიელო, წავიდეთ იმ ადგილას; რაც დაგვემართება, ღმერთია ჭოწყალე, — უთხრა ხრისტაგან-ტარიელმა.

ადგნენ ტარიელები, შესხდნენ თავიანთ რაშებზე, გაუქნიეს და მივიდნენ დევების ახლოს, სადაც ცხელი წყალი ირგვლივ უვლიდა. იქ ბელთაგან-ტარიელმა უთხრა: — აბა, ძმაო, ეს არის ის წყალი. რით გაისვლება აქეთკენ? — ჰე, ძმაო ბელთაგან, — უთხრა ხრისტაგანმა, — მე რომ გითხრა „ჰეი“, იმ დროს რაშს მათრახი დაჰკარი ისეთი, რომ უმწარესი არ იქნებოდეს.

ხრისტაგანმა მოჰკიდა ხელი ბელთაგანის რაშის კუდის ძირს და დაუძახა: — ჰეი!

დაჰკრა ბელთაგანმა მათრახი რაშს. ამ დროს აიყვანა ხრისტაგანმა რაში კუდით და გაისროლა გალმა. ბელთაგანი ამნაირად გალმა გახტა.

ხრისტაგანმა დაჰკრა მათრახი თავის რაშს და გახტა გალმა ნაპირს. ამ დროს დალამდა. მივიდნენ გალავანის პირთან და იმ ღამეს იქ მოისვენეს. დილით, როგორც კი მზის სინათლე მოეფინა ქვეყანას, ადგა ორივე ტარიელი. ბელთაგანმა უთხრა ხრისტაგანს: — ახლა როგორ უნდა მოვიქცეთო? — წამო, ძმაო, აქეთ! — უთხრა ხრისტაგანმა. წავიდნენ რკინის კარებისაკენ. მოჰკიდა ხელი ხრისტაგანმა, ორივე კარი მოჰგლიჯა. მაგრამ ამ დროს დევები გამოღვიძებული არ ყოფილან. როდესაც შუა ეზოში შევიდნენ, გაიგეს დევებმა, გამოცვივდნენ გარეთ; მაგრამ ხრისტაგან-ტარიელი წავიდა წინ, იძრო ლეკური და დაერია დევებს. ორივე ტარიელი საღამომდის ჭრიდა და ჟლეტდა დევებს. ყველა გაწყვიტეს და ბოლოს სახლში შევიდნენ. ნახეს, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა, ისეთი ქალიშვილი. ქალს შეეშინდა.

— არ შეგეშინდესო, — უთხრეს ქალს ტარიელებმა და დაამშვიდეს. ტარიელები დაწვნენ ლოგინზე და მოისვენეს დაღლილებმა. მეორე დღეს დილით წამოდგნენ ტარიელები, საუზმელი ჭამეს, გაიარ-

გამოიარეს, მაგრამ ბელთაგან-ტარიელს ყველაფერი შხამად მიაჩნდა, რადგანაც ეს ქალი შეუყვარდა. ამასთანავე ხრისტაგანისაც ეშინოდა: ეგებ მას უყვარდეს და მას უნდოდეს ცოლადო.

შუადღეზე სახლში შევიდნენ ტარიელები და ეს ქალიც. დასხდნენ ყველანი. ხრისტაგანმა თქვა: — ძმაო ბელთაგან-ტარიელო! ეს იყოს შენი ცოლი და ჩემი რძალი.

ბელთაგანს გაეხარდა, მაგრამ ქალს ცოტა ეწყინა, რადგან ხრისტაგან-ტარიელი უკეთესი იყო. ორი თვე ერთად იყვნენ. ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს: — მე, ძმაო, ახლა უნდა წავიდე. თქვენ იცით, როგორ ჭკვიანად იქნებითო.

გამოუყვანეს რაში ხრისტაგან-ტარიელს. ბელთაგანის ცოლმა გამოიტანა აბგით რაღაც საქონელი, მისცა ხრისტაგანს ხელში და უთხრა: — ამაში ძევს სამნაირი ტანისამოსი: — ერთი — ოქროსი, მეორე — ვერცხლისა და მესამე — სპილენძისა.

გამოართვა ხრისტაგანმა აბგა და რაშს უკან დააკრა. ამოიღო ჯაყვა, მისცა ბელთაგანს და უთხრა: — მე, ძმაო, გაჭირვებული ვიქნები, როდესაც ამ ჯაყვის პირი გასისხლიანდებაო.

გამოეთხოვენ ერთმანეთს. წავიდა ხრისტაგანი თავის გზაზე.

ხრისტაგანმა მოუქნია რაშს და ზღვის პირს გადაახტუნა. გზას რომ მიდის, ერთი დედაბერი დაინახა და ჰკითხა: — ეს რა სახელმწიფოაო? — ეს შავი ხელმწიფის სახელმწიფოაო. — უთხრა დედაბერმა. — ამ ზღვის გაღმა რა არისო? — გაღმა თეთრი ხელმწიფეა. იქაურ სახელმწიფოს მცხოვრებლები ყველანი გახარებული არიან. იმ ხელმწიფეს ჰყავს სამი ქალიშვილი.

ეს რომ გაიგონა ხრისტაგანმა, დაემშვიდობა დედაბერს და გასწია. ცოტა რომ გაიარა, ხრისტაგანი გადმოხტა რაშიდან, ამოიღო აბგიდან სპილენძის ტანისამოსი, თავისი ტანისამოსი გაიძრო და სპილენძისა ჩაიცვა. შეხტა ზღვაში რაშით, მოუქნია და გაღმა ნაპირს გავიდა. ერთი დღის გზა გაიარა ხრისტაგანმა, გადმოვიდა რაშიდან და უთხრა: წადი, იბალახე, როდესაც დაგიძახო, მაშინვე მოდიო.

რაში წავიდა საბალახოდ, ხრისტაგანი გაჰყვა მინდორს და ხელმწიფის სასახლეს მიუახლოვდა. ამ დროს მეღორე თავის ღორებს მოერეკებოდა. ხრისტაგანმა უთხრა მეღორეს: — შენი ტანისამოსი მე მომეცი და ჩემი შენა გქონდესო.

მეღორე ცოტა ხანს გაჰკვირდა და შემდეგ უთხრა ხრისტაგანს: — ჩემი ტანისამოსი დაგლეჯილია, შენი კი სპილენძისა არისო. — შენ რას დაეძებ, — უთხრა ხრისტაგანმა.

გახადა მეღორეს მისი ტანისამოსი და თავისი სპილენძის ტანისა-

მოსი მისცა. ჩაიცვა მეღორემ და წავიდა. ხრისტაგანმა კი მეღორეს ტანისამოსი ჩაიცვა.

მიდის შარაზე მეღორე და თან უკან იხედება, ეს სპილენძის ტანისამოსი ისევ არ წამართვასო. ამ შიშით გულში მეღორე თავის სახლში მივიდა.

ახლა ამდენი რად მოგაწყინოთ, ხრისტაგანიც ხელმწიფის ჭიშკართან მივიდა. კარი გაღებული დახვდა. შევიდა შიგ. ხელმწიფის მოსამსახურეებმა რომ დაინახეს, ერთმანეთს დაუძახეს: „გლახაკი მოდისო". ერთმა მოსამსახურემ თქვა: „ეს მე მინდა ჩემს დამხმარედ, საჯინიბოს გამოსაწმენდად მოვიხმარო". მეორემ თქვა: „რას ლაპარაკობ, ეს მე მინდა ეზოს დამგველადაო". მეეტლე წამოესწრო მათ ლაპარაკს და მან წაიყვანა ხრისტაგანი ცხენების მომვლელად.

ხრისტაგანს ჰქონდა ხუჭუჭი თმა და ამისათვის მოსამსახურეებმა დაარქვეს სახელად „ქოჩორა". არის ქოჩორა აქ და წმენდს ცხენებს. ისეთი წმენდა იცის, უკეთესს კაცის ხელი ვერ გასწმენდს. ერთ დღეს ხელმწიფე სასეირნოდ წავიდა ეტლით. ცხენებს დაუკვირდა და მეეტლეს ჰკითხა: — ეს ცხენები ვინ გაწმინდაო? — ერთი გლახაკი მოვიდა, ქოჩორას ვეძახით, ისა მყავს ცხენების მწმენდავადო, — მოახსენა მეეტლემ.

საღამოს ხელმწიფე დაბრუნდა სასახლეში და ქოჩორა დაინახა. გაუხარდა ხელმწიფეს, ქოჩორა მზარეულს მიაბარა და უბრძანა: — ამას საჭმელების კეთება ასწავლეო.

ქოჩორა ჰყავდა მზარეულს ერთი თვე და ყველაფრის კეთება შეასწავლა. ერთხელ მზარეული არ იყო და ქოჩორა მარტო აკეთებდა საჭმელებს. გააწყვეს სადილი. ხელმწიფე სუფრას მოუჯდა. საჭმელები ერთი მეორეზე უკეთესი იყო. ხელმწიფემ მოიწვია ქოჩორა და უთხრა: — დღეის შემდეგ შენ იქნები ჩემი ბაღის მუშების უფროსი; შენ უნდა მისცე მათ გეგმა, თუ როგორ უნდა ბაღს კეთება.

მადლი შესწირა ქოჩორამ ხელმწიფეს. მეორე დღეს დააყენეს ქოჩორა მებაღედ. ქოჩორამ ისეთი ხელი გამოიღო, რომ ნახევარი წლის შემდეგ ბაღში შესვლის ღირსი არავინ იყო.

შუა ბაღში კასრები იდგა წყლის ჭურჭლებად. ამ ალაგას მუშები მოვიდნენ. ოცი კაცი კასრებს ეზიდებოდა, მაგრამ ერთი კასრი ისეთი ერია, რომ ასი კაციც ვერ აიღებდა. საღამოს ქოჩორა შევიდა ბაღში, მიიხედ-მოიხედა, მოჰკიდა ხელი ამ დიდ კასრს, აიღო და მეორე ადგილას დადგა. ამ დროს ზემო სართულიდან ხელმწიფის უმცროსმა ქალმა დაინახა, რაც ქოჩორამ გააკეთა.

ცოტა ხნის შემდეგ ხელმწიფის ქალები ჩამოვიდნენ ძირს და

წავიდნენ ბაღში სასეირნოდ. ბაღში რომ სეირნობენ, ამ დროს ქოჩორას თურმე ხის ძირში დასძინებია. წინ მიდის უფროსი ქალი, უკან მისდევს საშუალო და სულ ბოლოს — უმცროსი. ეს უმცროსი ქალი დააცქერდა ქოჩორას, რომელსაც გულ-მკერდგახსნილს ეძინა. ქალი დაუკვირდა და მიხვდა, რომ ურიგო კაცის შვილი არ იყო, ხოლო რაც ღონე ჰქონდა, ეს ხომ ისედაც იცოდა. ავიდნენ ქალები ზემო სართულზე. ამ უმცროს დას სულ ქოჩორას ფიქრი აქვს.

გავიდა სამი დღე. ხელმწიფემ თავისი ვეზირები შეყარა და უთხრა: — ეს ჩემი ქალები ყველა ერთ დღეს უნდა გავათხოვო. — ძალიან კარგი, ბატონო. — მოახსენეს ვეზირებმა. — ყველა სახელმწიფოდან უნდა შევყაროთ ახალგაზრდა კაცები, — თქვა ხელმწიფემ, — იმ დღეს წვეულება უნდა გავმართო, სტუმრები ყველა სუფრასთან დავსხათ. როდესაც შუა სმა-ჭამა იქნება, იმ დროს უფროსი ქალი შევიდეს, ერთი ვაშლი უნდა მივცეთ ხელში და ქალი დაჰყვეს სუფრას. ვისაც საქმროდ ამოირჩევს, იმას მისცეს თავისი ვაშლი. საშუალო და უმცროსიც ასე უნდა მოიქცნენო.

ვეზირები დათანხმდნენ. მეორე დღეს დააგზავნეს ყველა სახელმწიფოში ქაღალდები. დანიშნულ დროს გამართეს ლხინი. მივიდნენ სტუმრები. ხელმწიფის შვილებიც არიან სხვადასხვა სახელმწიფოდან. ვინც კი ვარგოდა, ყველა ვაჟი იქ იყო. დასხეს ყველანი. შუა სმა-ჭამა რომ შეიქნა, გამოიყვანეს უფროსი ქალი. აქეთ-იქით ორი კაცი მოჰყვება. მიიყვანეს, მისცეს ხელში ვაშლი და ხელმწიფემ უთხრა: — შვილო, ვინც შენ საქმროდ გინდა, მას ეს ვაშლი ხელში ჩაუდეო.

დაჰყვა ქალი სუფრას. ვაჟებმა ამ დროს ულვაშის გრეხა დაიწყეს; ზოგმა თავზე ხელი გადისვა, ზოგმა მაგრად ჩაახველა, ეგებ მე შემომხედოს ქალმაო; მაგრამ ის სულ იქით-იქით მიდის. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. ყველამ ვაშა დაიძახა. ქალი და ის ორივე ზემო სართულში აიყვანეს. ეს ვაჟი გარეშე ხელმწიფის შვილი იყო.

ახლა სუფრას საშუალო ქალი დაჰყვა. ყმაწვილებმა მაწინვე დაიწყეს ულვაშის გრეხა, ვინ ხველება, ვინ ცხვირსახოცის ამოღება და ცხვირის წმენდა, იმიტომ რომ ის ცხვირსახოცები ყველა ძვირფასი იყო. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. მაყურებლებმა ვაშა დასძახეს. ეს ვაჟიც გარეშე ხელმწიფის შვილი იყო. ქალი და ვაჟი ორივე ზემო სართულში აიყვანეს.

ახლა მესამე ქალი, უმცროსი, მოიყვანეს და ისიც სუფრას დაჰყვა. ვაჟებმა დაიწყეს ქვეშ-ქვეშ ცქერა. არა მე მომცემს ვაშლს და არა

მეო. მაგრამ ეს ქალი სულ იქით-იქით მიდის. ვაჟებს ტყუილად თვალები დაებრიცათ, ქალმა გაიარა სუფრა, მაგრამ ვაშლი არავისთვის მიუცია. ხელმწიფემ ჰკითხა თავის ქალს: — რა არი, შვილო, არც ერთი კაცი არ მოგეწონაო? — ყველანი არა სხედან სუფრასთანო, — უთხრა ქალმა. — დასხით ყველანიო, — ბრძანა ხელმწიფემ.

დასხეს ყველანი, გარდა ხელმწიფის მოსამსახურეებისა — ჰე, შვილო, წადი ახლა! — უთხრა ხელმწიფემ ქალს.

ქალი დაჰყვა ხელმეორედ სუფრას, მაგრამ ვაშლი ახლაც არავის მისცა. — რა არი, შვილო, კაცი კიდევ აკლია? — კიდევ სრულად არა სხედან კაცები, — უთხრა ქალმა. — არავინ არ დატოვოთ, ვისაც კი ულვაში ასხია, — ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს ყველანი და დასვეს. დაჰყვა ქალი. ვაჟებმა ყურები ცქვიტეს, მაგრამ ამ ქალს მაინც არა ეშველა რა. იარა, იარა, იარა, — მიაღწია ქოჩორას ახლოს. ხელი რომ ასწია, ყველას გაუკვირდა, მაგრამ ვაშლი ხელში ჩაუდო ქოჩორას. არც ვაშა დაიძახეს და არც არაფერი. ყველა ერთმანეთს მისჩერებოდა: რა ქნა, ჯიმაღურელი[1], ამ ქალმა? სულ დაღუპული არა ყოფილაო!

ააყენეს ქოჩორა და მისი ცოლი. — საცხენე ფაცხა რომ იდგა, იქ წადიო, — უთხრა ხელმწიფემ: — ამისი ბედი გქონია: ყოველთვის მკვდარი იყავი და დღეს კი სულ მომიკვდიო.

ქოჩორა და მისი ცოლი ფაცხაში შევიდნენ და იქ დასხდნენ. ნარჩენი საჭმელები მოსამსახურემ გობით მიუტანა. ტირის ქალი, მაგრამ რა ქნას? ქოჩორამ მოირთხა და კერიასთან ჩაჯდა. ეს ორი სიძე და მათი ცოლები ზემო სართულში დათამაშობენ.

გავიდა დრო და ხანი. ხელმწიფე ავად გახდა და ვერავითარმა ექიმობამ ვერ უშველა. დასხდნენ ვეზირები, ითათბირეს, როგორ უჯობს ამ ჩვენი ხელმწიფის ავადმყოფობასაო. ბევრი სხვადასხვა ილაპარაკეს, მაგრამ ერთმა თქვა: — ამა და ამ მთაში არის ერთი გარეული ღორი. იმის გულსა და ღვიძლს ვინ მოიტანს, თორემ ნამდვილად მოუხდება ხელმწიფესო. — ვინ მოიტანს და სიძეებიო, — თქვეს ვეზირებმა.

უთხრეს ეს სიძეებს. გამოეწყო ორივე სიძე და წავიდნენ წამლის საშოვნელად. ეს რომ ქოჩორამ გაიგონა, ხელმწიფის ცოლს კაცი მიუგზავნა: „მეც მივდივარ და ცხენი მომეცითო“.

ხელმწიფის ცოლმა თქვა: — მიეცით საფქვილე ცხენი. ეგებ სადმე დაიღუპოსო.

---

[1] ჯიმაღურელი — ღმერთო მომკალი (სიტყვა სიტყვით: ძმა მკვდარი; ძმა ნუ მომიკვდება).

მოუყვანეს ქოჩორას ერთი მუნიანი ცხენი. დაუდგეს დაგლეჯილი უნაგირი. შეჯდა ქოჩორა და წავიდა. ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: „ქოჩორა მიჰქრის, მიაჭენებს!“

ქოჩორას ცხენი მიჩაქჩაქებს. იარა ქოჩორამ და იქ მივიდა, სადაც რაში დატოვა. დაუძახა რაშს. რაში მოვიდა. ცხენი იქ მინდორს დატოვა; დაგლეჯილი უნაგირი ტყეში შეინახა. ამოიღო რაშის ყურიდან უნაგირი და ტანისამოსიც. დაჰკრა რაშს მათრახი და რაში იმ მთაზე დასკუპდა, სადაც გარეული ღორი ცხოვრობდა. გადმოხტა რაშიდან და დაასადავა. თვითონ ჩრდილში დაწვა. გავიდა ცოტა ხანი და ორივე სიძემ თავი ამოჰყო. გაიხედეს ნახეს: რაში ჩრდილქვეშ დგას და ერთ კაცს ჩრდილში სძინავს. კარგად რომ დაუკვირდნენ, თქვეს: „ნამდვილად წვინდა გიორგი უნდა იყოსო“. ჩამოხტნენ ცხენებიდან, დაიწყეს პირჯვრის წერა მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა: — რა გინდათ, რა გაგვირვებიათო? — ჩვენ მოვდივართ ამა და ამ საქმისათვისო, — ყველაფერი უთხრეს სიძეებმა. — ის ღორი აი, სად არისო; წადით, ან მოჰკალით, ანდა აქეთ გამორეკეთო, — უთხრა მათ ქოჩორამ.

წავიდნენ, მაგრამ ვერც მოკლეს და ვერც გამორეკეს. ადგა ქოჩორა, წავიდა. მოჰკლა ღორი და სიძეებს უთხრა: — გასჭერით, გამოიღეთ გული და ღვიძლი!

მივიდნენ, გასჭრეს, შევიდნენ ღორის მუცელში და ძლივს გამოიღეს გულ-ღვიძლი.— მოდი აქ,— უთხრა ქოჩორამ უფროს სიძეს,— ცერი მაჩვენეო!

მოჰკიდა ქოჩორამ ხელი და ფრჩხილი ააძრო. — ახლა წადითო! — უთხრა ქოჩორამ.

დიდი მადლობა უთხრეს სიძეებმა ამ ღვთის სწორ კაცს და წამოვიდნენ. მოაწიეს შუა შარას, ძალიან ხათრიანად კი მოდიან. შევიდნენ ხელმწიფის ეზოში. აათამაშეს ცხენები და გადმოხტნენ. შემოეგებნენ სიდედრი და ცოლები. „მოვიტანეთო“, — უთხრეს სიძეებმა. ყველას გაეხარდა. მოხარშეს და აჭამეს ხელმწიფეს. ხელმწიფე მორჩა. იყო დიდი სიხარული: „ჩვენი სიძეები ტარიელები[1] არიანო“, — ამბობდნენ.

ქოჩორა მთაზე რომ იყო, შეჯდა რაშზე, დაჰკრა მათრახი და სადაც მისი ცხენი იყო იქ დაასკუპა. ტანისამოსი გაიხადა, ისევ რაშის ყურში შეინახა. უთხრა რაშს: „წადი იბალახეო“. დაიჭირა ცხენი, მოადგა დაგლეჯილი უნაგირი, წამოვიდა ხელმწიფის სასახლეში. ჭიშკარს რომ შევიდა ბავშვებმა დაინახეს. დაიწყეს სტვენა: „ქოჩორა მოდის, მოაჭენებს, ღვიძლი და გული მოაქვს“.

[1] გმირები

ამ დროს ქოჩორას მეუღლემ გაიხედა ფაცხიდან. გული მოუკვდა. შიიფაფება ქოჩორა მისი ცხენით. სიძეებმა რომ დაინახეს, სიცილი დააყარეს. ხელმწიფის ცოლმა თქვა: — ეს კიდევ არ დაღუპულაო?

გადმოვიდა ქოჩორა ცხენიდან, შევიდა ფაცხაში, ცოლს უთხრა:— საჭმელი არა გაქვს რაო? — ეგერ თუჯია, ეგებ ცოტა რამე იყოსო, — უთხრა ცოლმა. ადგა ქოჩორა, გამოიღო თუჯია, შეჭამა საჭმელი და დაწვა ლოგინში.

გავიდა ერთი თვე. ხელმწიფე კიდევ ავად გახდა, თვალის სინათლე დაეკარგა. ისევ მოხდა ვეზირობა. ბოლოს თქვეს: — ამა და ამ მთაში ერთი ირემი არისო; მის რძეს თუ ვინმე მოიტანს, ის მოუხდებაო. — ამას ვინ მოიტანსო, — თქვეს. — ვინ მოიტანს და ისევ სიძეებიო, — თქვა ერთმა.

უთხრეს სიძეებს; — კარგიო, — თქვეს. გამოეწყვნენ, შესხდნენ თავიანთ ცხენებზე და წავიდნენ. ეს რომ ქოჩორამ გაიგო, ხელმწიფის ცოლს შეუთვალა: მეც მივდივარ და ცხენი მინდაო. — მიეცით ისევ ის ცხენი და უნაგირიო. — თქვა ხელმწიფის ცოლმა.

მოუყვანეს ქოჩორას ცხენი. შეჯდა ზედ და წავიდა. ბავშვებმა უსტვინეს. ქოჩორა მიდის მისი ცხენით. მივიდა, სადაც რაში ჰყავდა, იქ. ჩამოხტა ცხენიდან, უნაგირი ტყეში შეინახა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა, ამოიღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანისამოსი. ჩაიცვა და შეჯდა რაშზე. დაჰკრა მათრახი, — გასწია რაშმა ზევითზევით ჰაერში და იქ დასკუპდა, სადაც ის ირემი იყო. რაში ჩრდილში დააყენა; თვითონაც მის ძირს დაწვა. გავიდა ცოტა დრო, მოვიდნენ სიძეები, ნახეს ყველაფერი.

— ხედავ, ძმაო, — უთხრეს ერთმანეთს: — ეს ნამდვილად ღმერთი უნდა იყოს, ჩვენი საქმე კარგად არისო.

მივიდნენ ახლოს. დაიწყეს პირჯვრის წერა და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა: რა ამბავია, რა გინდათო? — მათ ყველაფერი უამბეს, რაც უჭირდათ.

ადგა ქოჩორა, წავიდა, დაიჭირა ირემი, მოწველა და რძე დოქში ჩაასხა. მისცა სიძეებს და უთხრა საშუალო დის ქმარს — „აქ მოდიო“. მოჰკიდა ყურში ხელი და მარჯვენა ყური ააგლიჯა. „ახლა წადითო“, — უთხრა მათ. სიძეები წამოვიდნენ. მოიტანეს რძე, ჩაასხეს ხელმწიფეს თვალებში. ხელმწიფე მორჩა.

ქოჩორა კი შეჯდა რაშზე და იქ გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა დატოვებული. რაში საბალახოდ გაუშვა, ოქროს ტანისამოსი ყურებში ჩაუდვა. შეჯდა თავის მუნიან ცხენზე და წამოვიდა სასახლეში. ბავშვებმა უსტვინეს. ქოჩორას ცოლს გული მოუკვდა ამას

ვამო, მაგრამ რას იზამდა. შევიდა ქოჩორა ფაცხაში, შეჭამა ციცი ღომი და დაწვა ლოგინში.

გავიდა ბევრი ხანი. ერთხელ ერთმა ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს შემოუთვალა: „ამა და ამა დროს უნდა ვიომოთო“. ამ ხელმწიფემ თანხმობა მისცა.

მოვიდა დრო. წავიდა ხელმწიფე მისი ჯარით. მივიდნენ დანიშნულ ალაგს. მისი სიძეები ორივე, რასაკვირველია, იქ მიჰყავს. მოვიდა იქიდან ის ხელმწიფე თავისი ჯარით. დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს. ამ დროს ქოჩორამ ხელმწიფის ცოლს კაცი გაუგზავნა „ცხენი მინდა, მეც მივდივარ საომრადაო.“ — მიეცით: ეგებ სადმე გადაიკარგოსო.

ქოჩორა შეჯდა თავის ცხენზე. ცხენი წავიდა ჩაქჩაქით. ბავშვებმა სტვენა მორთეს: „ეჰე, ის დღეს ჯარს დაცხრილავსო!“.

ქოჩორა მივიდა იქ, სადაც რაში ჰყავდა. ცხენი მინდორში გაუშვა. რაშს დაუძახა. რაში მოვიდა. ყურიდან ამოუღო უნაგირი და ვერცხლის ტანისამოსი. უნაგირი რაშს მოადგა: ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა, შეჯდა რაშზე და გადაჰკრა მათრახი. რაშმა გასწია ზემოთ და იქ დასკუპდა, სადაც ხელმწიფეები ერთი მეორის პირდაპირ იდგნენ. ყველას შეეშინდა: — ეს რა ამბავიო. სიძეებმა კი იცნეს ვაჟი: — ჩვენ რომ მთაზე ვხედავდით, ის არისო, — თქვეს თავისათვის.

ქოჩორამ იძრო ლეკური, დაერია იმ ხელმწიფის ჯარს და სულ მუსრი გაავლო. ვინც რომ გაიქცა, გაიქცა. დაჰკრა ქოჩორამ რაშს მათრახი და იქვე გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა გაშვებული. გამარჯვებული ხელმწიფეც მოდის სიძეებიანად, ძლიერ გახარებული. მოვიდნენ სასახლეში. ხელმწიფემ თქვა: — დღეს ღმერთი შემეწია, ანგელოზი მომივლინა და იქაური ჯარი სულ ერთიანად დახოცა, ჩვენ კი თავისუფლად მოვედითო.

გავიდა დრო და ხანი. კიდევ შემოუთვალა იმ ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს: „უნდა ვიჩხუბოთო“. ამ ხელმწიფემ შეუთვალა — „კარგიო“.

დანიშნულ დროს წავიდა ხელმწიფე ჯარით და ორივე სიძით. იქიდან ის ხელმწიფე მოვიდა თავისი ჯარით. ამ დროს ქოჩორამ კაცი მიუგზავნა ხელმწიფის ცოლს: „მეც მივდივარ, და ცხენი მიბოძეთო“. — მიეცით, ეგებ დაიღუპოსო, — ბრძანა დედოფალმა.

შეჯდა ცხენზე ქოჩორა და გასწია. შარას რომ მიდის, ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: ქოჩორა დღეს სულ ერთიანად ამოხოცავს იქაური ხელმწიფის ჯარებსაო.

ქოჩორა მივიდა, სადაც რაში ჰყავდა. დაუძახა რაშს; რაში მო-

ვიდა. ამოუღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანისამოსი და გამოეწყო. შეჯდა რაშზე და ომის ადგილას გაჩნდა. ჩაერია შუაში, იძრო ლეკური და დაიწყო ჯარის ჟლეტა. მეორე ხელმწიფემ იფიქრა: ნამდვილად ღმერთი მე უნდა მიწყრებოდესო. გაპყვა ქოჩორა ჯარს და ერთიც არ გაუშვა ცოცხლად. ყველა რომ დახოცა, ქოჩორა მობრუნდა თავისი ხელმწიფისაკენ. ხელმწიფე მიეგება. პატივი სცა დაჩოქებულმა, როგორც ღმერთს ისე. ქარქაშში ლეკურის ჩაგების დროს ქოჩორამ მარცხენა ხელის თითი გაიკრა. ხელმწიფემ ყელსახვევი მოიხსნა და მით თითი შეუხვია.

ქოჩორა შეჯდა რაშზე, დაჰკრა მათრახი და პირდაპირ სასახლეში წამოვიდა. შევიდა ეზოში და აათამაშა რაში. როდესაც ხელმწიფის ცოლმა, შვილებმა და მსახურებმა ეს დაინახეს, ყველანი მიიმალ-მოიმალნენ: შეეშინდათ. ქოჩორამ მოუქნია რაშს, ისეთი შეათამაშა, რომ ხელმწიფის მოსახლობამ ცახცახი დაიწყო. ამ რაშის ნატორალი მიწას აჩნია. ბოლოს ქოჩორა გაექანა თავის ფაცხისაკენ. ჩამოხტა რაშიდან, გააღო კარი, შეიყვანა შიგ რაში და კუთხეში დაუყენა. ქოჩორას მეუღლე შიშით მოკვდა: ვერ იცნო, ვინ იყო. ქოჩორამ უთხრა: — არ შეგეშინდეს, მე ვარ — შენი ქოჩორა!

ქალს გაუხარდა, მიეარდა, ჩაეხუტა მკერდში; კიდეც სტიროდა და კიდეც იცინოდა, რა უნდა ექნა, — არ იცოდა. ქოჩორა დაწვა ლოგინში. თავი ქალის კალთაში ჩადო. ქალმა აიღო ჩონგური, იწყო დაკვრა და დამღერება.

ხელმწიფის ცოლმა თქვა: „ვინ უნდა იყოს, ჯიმაღურელი, ღვთის სწორი კაცი ფაცხაში რომ შევიდა და ჩემი დაღუპული ქალი მას ჩონგურს უმღერებსო?“ დედამ ქალს კაცი გაუგზავნა: — ვინ არის ეგ კაცო?

გააღო კარი გამოგზავნილმა კაცმა, შიგ რომ შეიხედა, ღვთისსწორი კაცი და მისი რაში დაინახა.

— რა გინდა? — ჰკითხა ქალმა.

— ქალბატონმა შემოგითვალა, ეგ კაცი ვინ არისო? — უთხრა გამოგზავნილმა კაცმა.

— ეს თქვენ არ გეკითხებათო. — უთხრა ქალმა.

ამ დროს მოაწიეს ხელმწიფემ და მისმა გამარჯვებულმა სიძეებმა. თავმა კაცებმა წინდაწინ გამოაჭენეს ცხენები, რომ ხელმწიფის ცოლს ახარონ გამარჯვება. ეზოში რომ შემოვიდნენ, რაშის ნაფეხურებში ჩაცვივდნენ, რადგან მიწის გული დაგლეჯილი იყო რაშის ნატერფალებით. ხელმწიფემ დაიძახა: — ეს რა ამბავია? ღორები ხომ არ შემოცვენილან ეზოშიო?

ხელმწიფის ცოლი ზემო სართულიდან გამოვიდა წუნარად, ხელი პირზე მიიფარა და შორიდან დაუძახა: — სუ, სუ, წუნარად! ღმერთი არის ფაცხაშიო!

ყველას შეეშინდა. ჩამოვიდა ხელმწიფე ცხენიდან, ავიდა ზემო სართულში და ჰკითხა ცოლს ამბავი. ცოლმა ყველაფერი უამბო. რაც ნახეს. ხელმწიფემ თქვა: ნამდვილად რომ მეხმარებოდა, ის ღმერთი უნდა იყოსო. — ხელმწიფემ კაცი მიუგზავნა: — მობრძანდიო, მაგრამ ქოჩორამ შემოუთვალა: — აქეთ მოვიდესო.

ხელმწიფე, მისი ცოლი, შვილები და სიძეები წამოვიდნენ ყველანი ერთად. შევიდნენ ფაცხაში, ნახეს სასწაული, დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა: — ადექით! მე ქოჩორა ვარ, ღმერთი არ გეგონოთო.

ადგნენ. ქოჩორამ უთხრა უფროს სიძეს: — რა უყავ თითის ფრჩხილი? — ამა და ამ დროს ქვაზე წავიგლიჯეო, — უთხრა მან. გაიცინა ქოჩორამ და უთხრა: — აი, შენი ფრჩხილი, ქვაზე წაიგლიჯე, თუ მე აგაგლიჯეო?

მოკვდა სირცხვილით უფროსი სიძე, მაგრამ რა უნდა ექნა? ქოჩორას ვერაფერს გაუბედავდა ახლა ქოჩორა მეორე სიძეს მიუბრუნდა: — რა უყავი ყურიო? — ამა და ამ დროს მთაში ქვაზე წავიგლიჯეო, — მიუგო იმანაც.

გაეცინა ქოჩორას და უთხრა: — აჰა, შენი ყური, ქვაზე წაიგლიჯე თუ მე მოგაგლიჯეო? დაიწვა სირცხვილით ესეც, მაგრამ რა უნდა ექნა?

ახლა ქოჩორა მიუბრუნდა ხელმწიფეს და ჰკითხა: — შენ რომ წუნათ საომრად იყავი, მაშინ როგორი კაცი ნახე, რომ გეხმარებოდაო? — ტანისამოსი ყველაფერი ვერცხლისა ეცვაო, — უთხრა ხელმწიფემ.

— მეორედ რომ იყავი საომრად, მაშინ როგორი ტანისამოსი ეცვა იმ კაცს?

— ბატონო, თქვენი ტანისამოსის მსგავსი ეცვა.

— რა დაემართა იმ კაცს ლეკურის ჩაგების დროს?

— თითი გაიჭრა.

— მერე შენ რა ქენი?

— მე, ბატონო, ჩემი ყელსახვევით თითი შევუხვიე.

— ეს ხომ არ არის? — აჩვენა ქოჩორამ შეკრული თითი.

ხელმწიფეს გაუხარდა, გადაეხვია. გადაკოცნა და ახლა კი გაიგეს, თუ რაში ყოფილა საქმე. ქოჩორა და მისი ცოლი მაშინვე ზემო სართულში აიყვანეს. სხვა სიძეები ცოლებიანად გადაიკარგნენ,

კაცისათვის თავი რომ არ ეჩვენებინათ. ხელმწიფე და მისი ცოლი გახარებულნი იყვნენ, რომ ასეთი სიძე მისცა მათ ბედმა.

გავიდა ბევრი დრო და ხანი. ქოჩორა სანადიროდ დადიოდა. ნანადირევი ბევრი მოჰქონდა. ერთხელ მისი ცოლი ზღვაზე წავიდა საბანაოდ. ამ ქალს თმა ესხა ოქროს ძაფივით, ერთი თმა მოსძვრა და ზღვაში ჩავარდა. ეს თმა წყალმა აატივტივა და გაღმელი სახელმწიფოს ზღვის პირას გააგდო. ეს ნახა იქაური ხელმწიფის ვაჟმა. აიღო, გასინჯა და თქვა: ამ თმის პატრონი თუ ჩემი ცოლი არ იქნება, სიცოცხლეც აღარ მინდაო. მივიდა სახლში და ყველაფერი მამას უამბო. მამა შეწუხდა, შეჰყარა თავისი სახელმწიფოს ყველა კაცი და ჰკითხა:

— ვის შეგიძლიათ ჩემი დახმარებაო.

— მე მოგეხმარებიო, — უთხრა ერთმა დედაბერმა. წაიყვანა ხელმწიფემ სახლში და ჰკითხა: — როგორაო? დედაბერმა უთხრა: — ერთი ჭიქა სასმელი მიშოვე ისეთი, ვინმე რომ დალევს, მაშინვე დააძინოსო. მეორე, —უთხრა დედაბერმა, — ისეთი ნაკი მიშოვე, თვალის დახამხამებაში ასი ვერსი გაიაროსო. — ძალიან კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ და მისცა ყველაფერი.

წამოვიდა დედაბერი. გამოვიდა ზღვაში ქოჩორას სახლის ახლოს. ნავი ნაპირზე მიაბა, კაცი რომ ვერ ნახავდა ისე. წამოვიდა სასახლისაკენ, შეავიდა ეზოში, თან ჯოხზეა დაყუდებული, ვითომ მათხოვარია. დაინახა დედაბერი ქოჩორას ცოლმა და ჰკითხა: — რა გინდა, დედი, რისი მათხოვარი ხარო? — მე, შვილო. მოსამსახურედ დამიყენეო, — უთხრა დედაბერმა. — ძალიან კარგიო, — დასთანხმდა ქოჩორას ცოლი. ამ დროს ხელმწიფე და მისი ცოლი მკვდრები იყვნენ. ქოჩორა საღამოს მოვიდა სანადიროდან. ნახა დედაბერი, გაუხარდა: მარტო ვიყავით და კაცი შეგვეძინაო. იმ დედაბერს გაუკვირდა ქოჩორას ძალა, იმდენი ნანადირევით დატვირთული რომ მოვიდა. მეორე დღეს ქოჩორა ისევ წავიდა სანადიროდ. ეს დედაბერი მიუჯდა ამ ქალს და დაუწყო ლაპარაკი: — შვილო, ამ შენს ქმარს სულისად უდგია, ღონე სად აქვსო? — მე რა ვიცი, — უთხრა ქალმა. — შვილო, შენი ქმარი ერთი სული და გული არა ყოფილა შენთანაო, — უთხრა დედაბერმა. იმ ღამეს მოვიდა ქოჩორა. რომ დაწვნენ, ქალმა უთხრა: — ქოჩორა, შენ მე არ გიყვარვარო. — რისთვისაო? — რისთვისაო და შენ სული და ღონე სადა გაქვს, მე არ უნდა ვიცოდეო?

— რისთვის გინდაო? — ჰკითხა ქოჩორამ და მისი საიდუმლო არ უთხრა. მაგრამ ცოლმა საშველი არ მისცა, და ბოლოს ყველაფერი

უთხრა. მეორე დილას ადგა ქოჩორა და წავიდა სანადიროდ. დედაბერმა ჰკითხა ქალს:—რა არის, რა გითხრაო?—ჩემი ღონე და სული, ერთი ღერი თმა მაქვს შუაგულ თავზე, ის თმა ყველა სხვაზე უმსხოსია, იმ თმას აბარიაო. როდესაც ის თმა მომძვრება, ბაშიხვე მოკვდებიო, — უთხრა ქალმა დედაბერს ქოჩორას ნაამბობი.

დედაბერს გაუხარდა. იმ საღამოს ქოჩორა მოვიდა სანადიროდან, დაწვა ლოგინში და დაიძინა. ეს დედაბერი მიქვაქვალდა კარადასთან, გამოიღო სასმელი, დაასხა ჭიქაში და უთხრა: „აი, შვილო, ეს ჩემი ნახელავი, დალიეო". ქალმა ჩამოართვა, დალია და ძილი მოუნდა. დაწვა და დაეძინა. ამ დროს დედაბერი მიეპარა ქოჩორას, მოჭიდა ხელი იმ თმას და უცბად ამოგლიჯა. ქოჩორა ერთი შეინძრა და რწყილივით სული განუტევა. დედაბერმა მოიტაცა ქალი. მიიყვანა ნავთან, ჩასვა შიგ და გადაკარგა მეორე სახელმწიფოში. ქოჩორას ის ერთი ღერი თმა თან წამოიღო და შუა ზღვაში გადაგდო. დედაბერმა ეს ქალი ხელმწიფეს მიუყვანა. გაუხარდათ ძლიერ და ბევრი საჩუქარი მისცეს დედაბერს. ხელმწიფემ უთხრა ქალს: —შენ მე რძლად მინდიხარ, გვირგვინი უნდა ისკვნა ჩემს შვილთანაო. — მე არ შემიძლია გვირგვინის სკვნა, ჩემი ქმარი სამ წელიწადს, სამ თვეს, სამ კვირას, სამ დღეს, სამ საათსა და სამ წამს უნდა ვიგლოვოო. შემდეგ — კიო, — უთხრა ქალმა. — კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ. წაიყვანეს ეს ქალი და ზემო სართულის ოთახში შეიყვანეს. ქალმა კარი შიგნიდან დაჰკეტა. ფანჯარა გაღებული აქვს დღისით და ღამით. გასცქერის ზღვის პირს და მუდამ სტირის. რაც დაემართა, ყველაფერი იცის, მაგრამ რას უშველის?!

გავიდა სამი წელი და სამი თვე. მოვიდა დანიშნული დრო. როდესაც ქოჩორა მოკვდა, ბელთაგან-ტარიელის ჯაყვის პირი გასისხლიანდა. შეჯდა რაშზე, მოუქნია და წამოვიდა ხრისტაგან-ტარიელის სიძებრად. მიხვდა, რომ ნამდვილად მკვდარია. ამდენი რა გავაგრძელო, მოვიდა ხრისტაგანის სახლში. ავიდა ზემო სართულში, ნახა ხრისტაგანი მკვდარი. დაიტირა, ადგა, დაიჭირა ხრისტაგანის რაში. ბელთაგან-ტარიელს გულმა უთხრა, თუ სად იყო ხრისტაგანის თმა. გასწია ზღვისაკენ, ჩახტა წყალში, მოუსვა და იწყო ძებნა. ეძება და დაინახა — ერთ ადგილს ზღვის ძირში ქვიშაში თავი ამოეყო. ჩაყვინთა. წავიდა ძირს, მოჭიდა თმას ხელი, გასცურა ნაპირისაკენ. შეახტა რაშს და მივიდა იქ, სადაც ხრისტაგანი მკვდარი ესვენა. ეს თმა სადაც ება, იქვე მიადო. ხრისტაგანმა უცბად გაიღვიძა და თქვა: „ჰა, ჯიმალურელი, როგორ დამძინებია". მაგრამ კი იცოდა, რაც უპირდა. შეჯდნენ ტარიელები რაშებზე, დაჰკრეს მათრახები და იქ გაჩნდნენ,

სადაც ქალი ფანჯრიდან ზღვის პირს გასცქეროდა. ეს ის დროა, რომ ხვალ თავდება ქალის მიერ დანიშნული ვადა. ქალმა გაიხედა ზღვის პირისაკენ, დაინახა ორივე ტარიელი და ტირილს თავი დაანება. მოვიდნენ ტარიელები, შემოვიდნენ ხელმწიფის ეზოში. ხელმწიფემ, როდესაც დაინახა, თქვა: — ვინ არიან, აქ რომ შემოვიდნენო? — ხრისტაგანმა დაუძახა: მე ვარ და ჩემი ძმა ბელთაგან-ტარიელი.

შევიდნენ სახლში, გატეხეს კარი, გაძოიყვანეს ქალი მინდორში, დაუძახეს ხელმწიფეს: მოგვიყვანე ამის მომყვანი დედაბერი. მაშინვე მოიყვანეს. ხრისტაგანმა რაშის კუდს მიაბა დედაბერი. შეჯდნენ რაშებზე. ხრისტაგანმა თავის ცოლი ხელში აიყვანა. დაჰკრეს რაშებს ტარიელებმა და წამოვიდნენ ფრენით. მოვიდნენ ხრისტაგანის ეზოში. იქ მოისვენეს ორი დღე-ღამე. მესამე დღეს წავიდნენ ყველანი ბელთაგანის სახლში. იქ რომ მივიდნენ, დიდი სიხარული შეიქნა. ბელთაგანის ცოლი მოეგება მის რძალს, გადაეხვივნენ ერთმანეთს და გადაკოცნეს. ერთი კვირის განმავლობაში იქ იყვნენ. ერთი კვირის შემდეგ ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს: — ჰე, ძმაო, ახლა წავიდეთ ჩემი დედისა და ბაბუას სახლშიო.

შესხდნენ რაშებზე, წავიდნენ და მივიდნენ ხრისტაგანის ბაბუას სახლში. ყველა ცოცხალი დაუხვდა: დედა, ბაბუა, ბებია და სხვა თავისიანები. მოეგებნენ, დაჰკოცნეს, გადაეხვივნენ. ხრისტაგანმა უთხრა ბაბუას: ეს არის ჩემი ძმა ბელთაგან-ტარიელი, ეს არის ჩემი რძალი, ეს — ჩემი ცოლიო.

იყო მხიარულება, დიდი ქორწილი, დიდი წვეულება. ისეთი ქორწილი ჰქონდათ, ჩიტის რძეც არ აკლდათ. მეც იქ ვიყავი ქორწილში. თქვენი გულიც მიხვდება, რა ამბავი იქნებოდა.

ივანე ფალავანი

იყო ერთი მეფე და ჰყავდა ერთი ფალავანი. ამ ფალავანს დევკაცი ერქვა სახელად. მართლაც რომ დევს ჰგავდა: მთელ სახელმწიფოში მისი მომრევი არ მოიპოვებოდა. დევკაცს სახე კაცისა ჰქონდა, ხოლო ტანი კი დევს მიუგავდა და მასავით ხშირი ჯაგრითა ჰქონდა დაფარული.

მეფე ძალიან ამაყობდა ასეთი ღონიერი ფალავნით. თან კი ცდილობდა მის სახელმწიფოში მასზე უფრო ღონიერი ეპოვნა ვინმე.

ეს სურვილი ისე აეკვიატა, რომ დღე და ღამ არ აძლევდა მოსვენებას. და აი, მეფემ გაგზავნა კაცები: წადით, მოიარეთ მთელი ქვეყანა და ისეთი კაცი მომგვარეთ, რომელიც ჩემს დევკაცს დაეჭიდოს და წაჭციოსო.

წავიდნენ მეფის კაცები. მოიქანცნენ სიარულით, მაგრამ ვისა ჰქონდა თავი მოსაკლავი? შორს გავარდნილიყო დევკაცის სახელი და ვერავინ ვერ ბედავდა მასთან დაჭიდებას. და აი, მეფის კაცებმა ჩაუარეს ერთ პატარა ქოხს, ქოხის გვერდზე ერთი ბალღი ჩაცუცქულიყო და თან პურსა სჭამდა. ეს რომ მეფის კაცებმა დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ. — რასა შვრები, შე საძაგელო, ადე, თორემ დევკაცი მოვა და გცემსო, — უთხრა ერთმა მეფის კაცმა. — ვერაფერსაც ვერ დამაკლებს თქვენი დევკაცო, — მიუგო ბიჭმა. — მართლა, დევკაცის მოჭიდავე კაცს ვეძებთ და ხომ არ წამოხვალო? — უთხრეს დაცინვით. რატომაც არაო, — მიუგო თამამად ივანემ (ასე ეძახდნენ ამ ბიჭს), — წამიყვანეთ თქვენს მეფესთანაო!

მეფის კაცებს ძალიან გაუხარდათ, რომ ისეთი კაცი იშოვეს, რომელიც დევკაცთან ბედავდა დაჭიდებას. — რა გვენაღვლება, თუ ეს კაცი დევკაცის შესაფერისი სულაც არაა, თვითონ ხომ ამბობს დავეჭიდებიო, — და ივანე მართლაც წაიყვანეს მეფესთან.

მეფეს რომ მიუყვანეს, ძალიან გაუკვირდა, ეს ბალღი რას გაუძლებს ჩემს ფალავანსო, და შეეკითხა ივანეს: — შეეჭიდები დევკაცსაო? — რატომაც არა, თქვენი დევკაცი ვინა გდია, რომ ვერ დავეჭიდოო, — მიუგო ივანემ, — ოღონდ ერთი თვე თავის ნებაზე მიმიშვით სასმელ-საჭმელზე და წითელ ღვინოს ნუ მომაკლებთო.

მეფე დათანხმდა და ერთი თვე სულ ჭამა-სმაში გაატარა ივანემ; ერთ დღეში იმდენსა მატულობს, რასაც სხვები წლობით ვერა მატულობენ. დანიშნეს ჭიდაობის დღეც. უამრავი ხალხი მოზღვავდა ჭიდაობის საყურებლად და უშველებელი წრე გააკეთეს. გადმოვიდა დევკაცი. გადმოხტა ივანეც, მაგრამ რა გადმოხტა, სულ მაღლა-მაღლა ფრინავდა და მთელ წრეს ისე უვლიდა. ამაოდ აცეცებდა ჰაერში ხელებს დევკაცი ივანეს დასაჭერად, ვერაფრის გზით ვერ მოიგდო ხელში. უეცრად ივანე შეხტა მაღლა და მაღლიდან დაეცა დევკაცს, დაეცა და კიდევაც მოიქვეშია. მაყურებლებმა ყიჟინა და ტაში დასცხეს გამარჯვებულს, ხოლო დევკაცს კი „ბიიბუუს“ ძახილი დაუწყეს. დამარცხდა დევკაცი და მეფემაც აღარ დააყენა იგი თავის ფალავნად. ახლა ივანე-ფალავანი დაიტოვა თავის კარზე მეფემ.

გაშვებულ ბუღასავით დადიოდა ივანე-ფალავანი სასახლის კარ-

ზე. არაფერს არ აკეთებდა, მაგრამ სასმელ-საჭმელი სულ თავზე საყრელი ჰქონდა. მხოლოდ ეს კია, რომ უმარავ ფალავანს, დაქადნებით მოსულს სასახლის კარზე, აჯობა და მრავალჯერ გაახარა მეფე. მეფეს ძალიან უყვარდა ივანე-ფალავანი და გვერდიდან არ იშორებდა.

ერთხელ სასახლის აივანზე ხელმწიფის ორი უფროსი ქალი გადმომდგარიყო (სულ სამი ქალი ჰყავდა მეფეს, რომელთაგან უმცროსი ძალიან მოსწონდა ივანეს და ქალსაც ივანეზე ჰქონდა გული შევარდნილი). ახლოს გაუარა ივანე-ფალავანმა და ერთი ორი მარილიანი სიტყვა გადაჰკრა.

იუკადრისეს მეფის ქალებმა: ვიღაც გლეხის ბიჭია და შეხე, როგორ გაგვითამამდაო. — წადი, შე საძაგელო, აქედან, ჩვენი ტოლი ხომ არა ხარ, ასე თამამად რომ გველაპარაკებიო, — უთხრეს მეფის ქალებმა და შებრუნდნენ სახლში. ამის შემდეგ აშურდნენ უფროსი ქალები ივანე-ფალავანს და ერთხელ, იმ მიზნით, რომ როგორმე დაეღუპათ და თავიდან მოეშორებინათ, შეუჩნდნენ თავის მამას:

— იცი, მამავ, მავან და მავან ადგილას ერთი სამთავიანი დევი ცხოვრობს, ამ დევს ეზოში უკვდავების ვაშლი უდგას. ის ვაშლი ყოველ თვე ახალ ნაყოფს ისხამს და ვინც იმ ვაშლს შესჭამს, არასოდეს აღარ მოკვდება. რა კარგი იქნებოდა, მამავ, ის ვაშლი ჩვენ რომ გვედგასო.

— კარგი კი იქნებოდა შვილებო, მაგრამ აბა, ვინ გაბედავს იმის მოტანას, ვინაა გიჟი, რომ ტყუილ-უბრალოდ გასწიროს სიცოცხლე და დევს თავი შეაკლასო?

— ტყუილ-უბრალოდ რადა? ჩვენი ივანე-ფალავანი განა ვერ მოერევა იმ დევსა, გაგზავნე და მოატანინეო, — მიუგეს ქალებმა.

მეფეს ჭკუაში დაუჯდა ქალებს რჩევა და დაიბარა ივანე-ფალავანი. — მავან და მავან ადგილას ერთ დევს უკვდავების ვაშლი უდგა და ის ვაშლი უნდა მოიტანო და ჩემს ეზოში დარგო! — დიდი სიამოვნებითაო! — უპასუხა ივანე-ფალავანმა და გაემართა იმ ქვეყნისაკენ, სადაც ის დევი ცხოვრობდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიაღწია დევის სასახლეს და შევიდა მის ეზოში. უშველებელი ვაშლი იდგა დევის ეზოში და სულ წითელ-ყვითელი ვაშლი ესხა. ივანე-ფალავანმა ჰკრა ერთი წიხლი და მთელმა ვაშლმა გრიალი მოიღო ძირსა, ერთი ვაშლიც კი არ დარჩენილა ხეზე.

მიადგა ამ ვაშლს ივანე-ფალავანი და ერთიც არ გაუშვა შეუჭმელი. რომ გაძღა, წამოწვა ვაშლის ჩრდილში და დაისვენა.

დევი გარეთ რომ გამოვიდა, გაოცდა, ეს ვინ მოსულა აქაო, — და დაუძახა: — ვინ ხარ, რომ ასე გათავხედებულხარ და ჩემი ეზო შემო-

გილახიაო, — თქვა ესა და ეცა ივანე-ფალავანს. მოიქნია დევმა და ჩაასო მუხლებამდე მიწაში. ამოხტა ივანე-ფალავანი, მოიქნია დევი და ჩაასო ყელამდე მიწაში. შემოუქნია ხმალი და ორი თავი მოაგდებინა. ის-ის იყო უნდა დევისთვის მესამე თავიც მოეგდებინებინა, რომ დევი შემოეხვეწა: — ოღონდ ნუ მომკლავ და შენი ყმა ვიქნებიო: ერთ ისეთ რაშს გაჩუქებ, რომ მთელ ხმელეთზე ვერ იშოვო ისეთი და ერთ სარკეს მოგცემ, რომ შიგ ჩაიხედო და რომელ ცხოველადაც ინატრებ. გადაიქცე, ჩაიხედო მეორედ და ისევ კაცად გადაიქცეო — კარგი, მიჩუქებია სიცოცხლეო, — უთხრა ივანე-ფალავანმა და გაუშვა დევი. გახარებულმა დევმა ივანე-ფალავანი სახლში შეიპატიჟა და აქეიფა. წამოსვლისას გამოიყვანა რაში და მისცა, ამოიღო სარკე და ისიც ივანე ფალავანს აჩუქა.

— ვაშლიც უნდა მომცე, იმისათვის გამომგზავნა მეფემაო, — უთხრა ივანე-ფალავანმა. — კარგი, მაგისთვის როგორ გაწყენინებო, — მიუგო დევმა და თავის ხელით ამოუგლიჯა ძირიანად.

გადაჯდა დევისეულ რაშზე ივანე-ფალავანი, ჩაიდო დევისეული სარკე ჯიბეში, გაიდო ვაშლი მხარზე და გამოსწია სახლისაკენ. — თუ რამე გაგიჭირდეს ჩემი სახელი ახსენე და იმ წამსვე იქ გავჩნდებიო, — მიაძახა დევმა უკანიდან.

მოვიდა ივანე-ფალავანი და მოუტანა ვაშლი მეფეს. ჩაჰკრა მიწას ერთ ადგილას წიხლი და დარგო ეზოში.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები, მაგრამ ვაშლი არა ჰყვაოდა, არც ნაყოფს ისხამდა.

უკვირდა ყველას. — ალბათ ის ვაშლი არააო, — ამბობდნენ ერთნი. — თუ გინდა სხვაც იყოს, რატომ არ ხარობსო, — ჰკვირობდნენ მეორენი.

მაინც არ სცხრებოდნენ ქალები, უნდოდათ როგორმე თავიდან მოეშორებინათ ივანე-ფალავანი და აი, კვლავ შეუჩნდნენ მეფეს.

— მამავ, მავან და მავან ადგილას სამნი ძმანი დევები ცხოვრობენ და სამთავეს ოქროსფაფრიანი რაშები ჰყავთ. რა კარგი იქნებოდა, რომ შენა გყავდეს ის ცხენებიო. — აბა, ვინ მომიყვანს, შვილებო, ვისა აქვს თავი მოსაკლავი, ვინ შეებრძოლება მათაო? — მიუგო მეფემ. — ჩვენი ივანე-ფალავანიო, — უთხრეს ქალებმა, — მაგან ისეთი საშინელი დევი დაამარცხა, რომ მათი დახოცვა იმას რა გაუხდებაო.

მეფეს ქალების რჩევა ჭკუაში დაუჯდა და ივანე-ფალავანი დაიბარა. — აქა და აქ რომ სამნი ძმანი ცხოვრობენ, მათი რაშები უნდა მომგვაროო. — დიდი სიამოვნებითაო, — უპასუხა კვლავ ივანე ფა-

ლავანმა და გაემართა იმ ქვეყნისაკენ, სადაც დევები ცხოვრობდნენ.

შუა გზაზე თავისი ძმობილი მოაგონდა და იფიქრა: მოდი, ერთი ვახსენო. იქნებ დამეხმაროს ამ გასაჭირშიო. ახსენა დევი და მართლაც იმ წუთში გაჩნდა მასთან. — რა გაგჭირვებია, ჩემო ძმაო, როგორა ხარო? — რაღა რა გამჭირვებია, ძეფემ მიბრძანა, აქა და აქ რომ სამნი ძმანი დევები არიან, მათი რაშები მომგვარეო. იქ მივდივარ და წამომყევიო. — ძალიან კარგიო, — უთხრა დევმა და გაჰყვა ივანე-ფალავანს.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მიუახლოვდნენ დევების სასახლესაც.

ივანე-ფალავანმა დევი თავის რაშიანად ერთ კუნძულზე დასტოვა. გაავსო წყლით ჯამი და ზედ ერთი კელაპტარი დაარქო. — იყავი აქ, მე კი წავალ დევებთან საბრძოლველადო. უყურე ამ ჯამს და როცა ამ წყალმა გაწითლება დაიწყოს და კელაპტარი ჩაქრეს, ეს იმის ნიშანია, რომ მე მიჭირს და მაშინ აუშვი რაში და მან თვითონ იცისო.

გასწია ივანე-ფალავანმა დევებისაკენ. ღამდებოდა. ივანე-ფალავანი სწორედ იმ გზაზე მივიდა, რომელიც დევების სახლისაკენ მიდიოდა და ჩასაფრდა ერთ მოხერხებულ ადგილას.

ვახშმობამ რომ მოატანა, ჩამოიარა უფროსმა ძმამ — სამთავიანმა დევმა და იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, სადაც ივანე-ფალავანი იყო დამალული, დევის რაშმა შეჰფრუტუნა და ფრთხობა დაიწყო. — აჩუ, შე სამგლევ, აქ რა ივანე-ფალავანი დაგიხვდებაო! — დასჭყივლა რაშს, დევმა. — აქა ვარ ივანე-ფალავანი და აბა, თუ ბიჭი ხარ, დამიხვდიო! — შესძახა ივანე-ფალავანმა. მიუხტა დევს და მაშინვე მოაყრევინა თავები. წამოიყვანა მისი რაში და გაიარა ცოტა გზა. ახლა მეორე დევს ჩაუსაფრდა ივანე-ფალავანი. როცა მეორე ძმაც იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ივანე-ფალავანი იყო ჩასაფრებული, ცხენი შეუფრთხა და გზას აღარ გადის. — აჩუ, შე სამგლევ, აქ რა ივანე-ფალავანი დაგიხვდებაო! — დასჭყივლა რაშს დევმა. — აქა ვარ ივანე-ფალავანიო! — მიუგო ივანე-ფალავანმა, ამოფრინდა, მივარდა დევს და ხმლის ერთი შემოკვრით მოაგდებინა ექვსივე თავი ერთად.

აიარა ცოტა ზევით და ახლა მესამე დევს ჩაუსაფრდა. შუაღამემ რომ მოატანა, ჩამოიარა უმცროსმა ძმამ — ცხრათავიანმა დევმა. მოდის ცხენზე გადამჯდარი მთისოდენა დევი და მოღიღინებს. იმ ადგილს რომ მოაღწია, სადაც ივანე-ფალავანი იყო ჩასაფრებული, მისმა რაშმაც შეჰფრუტუნა, შეფრთხა და აღარ გადის გზას. — აჩუ, შე სამგლევ, რა გემართება. აქ რა ივანე-ფალავანი დაგიხვდება

წინაო, — დასჭყივლა ცხენს დევმა. — აქა ვარ ივანე-ფალავანიო, — შეუძახა ივანე-ფალავანმა და მიუხტა დევს.

მაგრამ სხვებსავით ადვილი როდი გახდა ამ დევის მოკვლა. დევმა რომ ივანე-ფალავანს შეხედა, ერთი გაიცინა, სტაცა ხელი, დაისვა ხელისგულზე და უთხრა: — ახლა რომ მინდოდეს, ხელისგულზე მოგფშვნეტდი და სუ ნაცარმტვრად გადაგაქცევდი, მაგრამ სხვანაირად უნდა მოგექცე, სხვანაირად უნდა მოგიღო ბოლო, — და ივანე-ფალავანი დაახეთქა მიწაზე. მხრებამდე მიწაში ჩაეფლო ივანე-ფალავანი. ამოიღო დევმა ხმალი და ის არის უნდა თავი მოსჭრას, რომ ივანე ფალავანმა უთხრა: ჯერ ერთი შენი ყალიონი გამივსე და მომაწევინე და მერე რაც გინდა ის მიყავიო. — კარგიო! — დასთანხმდა დევი, გაუვსო თამბაქოთი ყალიონი და მიაწოდა.

უშველებელი ყალიონი ჰქონდა დევს, ერთი კოდი თამბაქო ეტეოდა შიგ, და აი, ნელ-ნელა სწევს ივანე-ფალავანი, არ უნდა რომ მალე გაათავოს, რადგან გაათავებს თუ არა ყალიონის წევას, გათავდება მისი სიცოცხლეც.

ის ოხერი რაშიც რატომ აღარ ეშველება? ტყუილად ელოდება ივანე-ფალავანი. ნეტავი რა დაემართათ? ნუთუ მიღალატა დევმა და აღარ აუშვა რაშიო? — ფიქრობს ივანე-ფალავანი.

ამ დროს კი დევს ღრმად ჩასძინებოდა და ვერ დაინახა, რომ ჯამში წყალი გაწითლდა და სანთელი ჩაქრა. ცხენმა აღლოთი იგრძნო თავისი პატრონის უბედურება და მორთო ჭიხვინი, მაგრამ რომ აღარავინ აუშვა, დაგლიჯა საბელი და გაიქცა ივანე-ფალავანის მისაშველებლად.

ის იყო ყალიონს ათავებდა ივანე-ფალავანი, რომ მოვარდა მისი რაში ჭიხვინით. მივარდა დევს, ჯერ ტორებით გაინაგვა და შემდეგ წიხლებიც კი მიაყოლა. მიუბრუნა კუდი ივანე-ფალავანს. ამოსწია კუდით და მიწიდან ამოიყვანა. მივარდა წაქცეულ დევს ივანე-ფალავანი და მოაჭრა ცხრავე თავი; წამოიყვანა მისი რაშიც და გამოსწია სასახლისაკენ.

დევების სახლს რომ მიუახლოვდა, იფიქრა: ერთი შევალ დევების სახლშიო. ამოიღო ჯიბიდან სარკე, ჩახედა და კატად გადაიქცა, შეძვრა დევების ოთახში და წამოუცუცქდა კერას. სახლში დევების დედა და მათი ცოლები იყვნენ.— რატომ არ მოდიან ნეტავ ჩემი შვილები? — თქვა დევების დედამ, — მე რომ ისინი ვინმემ დამიხოცოს, გზაზე ცეცხლად დავენთები და შიგ ჩავწვავ იმათ მკვლელს. — მე კი, — თქვა უფროსმა რძალმა, ქარიშხალს ავტეხავ, გზაზე ერთ წისქვილად ვიქცევი, შიგ რომ შემოვა, თავზე დავენგრევი და მოვკ-

ლავო. — მე ხიდად გავედები წყალზე, ზედ შედგება გასასვლელად და შიგ წყალში გადავაგდებო, — თქვა საშუალო რძალმა. — მე კი თოვლიან მთად ვიქცევი და ზედ გადასვლისას ჩემი ქმრის მკვლელს ზვავს ჩავაყოლებო.

კატა გამოიპარა გარეთ, ჩაიხედა სარკეში და კვლავ ივანე-ფალავნად გადაიქცა. შეჯდა თავის რაშზე და გაუდგა გზას.

გზაზე საშინლად აციკდა, რომ ივანე-ფალავანს სულ ბაგაბუგი დააწყებინა და აი, ივანე-ფალავანმა თვალი მოჰკრა უშველებელ ცეცხლს. „ის წყეული, დევების დედა იქნება“, — გაიფიქრა და შორს მოუარა, მაგრამ ცეცხლი კვლავ მის წინ აღიმართა.

მაშინ ივანე-ფალავანმა ახსენა თავისი ძმობილის სახელი და დევიც ივანე-ფალავანთან გაჩნდა. — მაპატიე, მაშინ დამძინებოდა და ველარ გავიგე სანთლის ჩაქრობა! — შეეხვეწა დევი. — მიპატიებია, ოღონდ ამ გაჭირვებიდან დამიხსენიო,— უთხრა ივანე-ფალავანმა,— გზაზე ვერ გავსულვარ, ეს ცეცხლი კი არა, დევების დედაა.

მაშინ დევმა ამოიღო ხმალი, შემოჰკრა ცეცხლის ალს და მათ წინ დევების მკვდარი დედა კი გაიშხლართა. გადმოაბიჯეს ზედ და წამოვიდნენ... უფრო აცივდა. ახლა ერთი წისქვილი დახვდათ წინ. დევმა დაარტყა ხმალი წისქვილს და წისქვილი უცებ დევების მკვდარ რძლად გადაიქცა: ეს რძალი უფროსი ძმის ცოლი იყო. ცოტა რომ გაიარეს, ახლა მდინარე დახვდათ წინ. ზედ ერთი ხიდი იყო გადებული. დაარტყა დევმა ხიდს ხმალი და ხიდი მკვდარ ქალად გადაიქცა. გაჰქრა მდინარეც.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, წინ ერთი თოვლიანი მთა აღემართათ. დევმა ახლაც იშიშვლა ხმალი, შემოჰკრა მთას და მათ წინ ცხრათავიანი დევის ცოლი მკვდარი დაეცა. გადმოაბიჯეს მას და გაშოსწიეს. სამშვიდობოზე რომ გამოვიდნენ, დევი გამოემშვიდობა და სახლში წავიდა, ხოლო ივანე-ფალავანმა კი თავის რაშებიანად მეფის სასახლისაკენ გასწია. მივიდა და მიურეკა მეფეს ცხენები. ამის შემდეგ ხარობდა მეფე ასეთი უშიშარი ფალავნით და თავის ფალავანს უხვად ასაჩუქრებდა.

უფროსი დები მაინც არ ასვენებდნენ და კვლავ შეუჩნდნენ მეფეს: — მავან და მავან ადგილას, ერთ ზღვაში ალმასისრქებიანი კამეჩები არიან და ისინი მოარეკინე ივანე-ფალავანსო.

მეფეს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა, დაიბარა ივანე-ფალავანი და უთხრა: — აქა და აქ, ერთ ზღვაში ალმასისრქებიანი კამეჩები ცხოვრობენ და ისინი უნდა მომირეკოო. — ძალიან კარგიო! — მიუგო

ივანე-ფალავანმა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რანაირად გამოიყვანდა ზღვიდან ალმასისრქებიან კამეჩებს.

ადგა მეორე დილით ივანე-ფალავანი და გაემართა იმ ზღვისაკენ. სადაც ეს კამეჩები ცხოვრობდნენ.

შუა გზაზე რომ მივიდა, მოაგონდა თავისი ძმობილი დევი და ახსენა მისი სახელი. დევი იმ წამსვე ფალავანთან გაჩნდა. — რა გაგჭირვებია, ჩემო ძმობილოო? — ჰკითხა დევმა.

ივანე-ფალავანმა უთხრა, რაც გასჭირვებოდა. დევმა მაშინ ეს ურჩია: — წადი, ის კამეჩები საღამოობით ზღვის პირას გამოდიან წყაროს წყლის სასმელად, რადგან ზღვის წყალი მლაშე-მწარეა და არ უყვართ. წაიღე ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, გადააფარე იმ წყაროს ის ტყავი და დააჭედე მიწაზე ლურსმნებით. როცა კამეჩები გამოვლენ, წყალი აღარ დახვდებათ, შეგეხვეწებიან, ოღონდ წყალი დაგვალევინე და შენი ყმები გავხდებითო.

მართლაც ივანე-ფალავანმა შეასრულა დევის დარიგება. იყიდა ლურსმანი, ტყავი, მივიდა წყაროსთან, გადააფარა ტყავი და ლურსმნებით დააჭედა.

საღამო რომ მოახლოვდა, კამეჩები მართლაც გამოცვივდნენ წყლის დასალევად, მაგრამ წყარო რომ აღარ დახვდათ, დაღონდნენ და შეეხვეწნენ ივანე-ფალავანსა: — ოღონდაც წყალი დაგვალევინე და შენი ყმები გავხდებითო.

ივანე-ფალავანმა კამეჩებს წყალი დაალევინა და შემდეგ წამოასხა სახლში.

ეს კამეჩები თურმე გულთმისნებიც იყვნენ და ივანე-ფალავანს უთხრეს: — სანამ ის ორი უფროსი და ცოცხალია, მოსვენებას არ ნოგცემენო; სულ მათი საქმეა ასეთ განსაცდელში რომ ხარ ყოველთვისაო. სასახლეში რომ მიგვრეკ, ორივეს რქებზე ავიცვამთ და მეფესაც თავიდან მოგაცილებთო.

მიიყვანა ივანე-ფალავანმა კამეჩები მეფის სასახლის კარზე. სასახლიდან ყველანი მათ სანახავად გამოვიდნენ. მაშინ კამეჩები გაექანენ. მეფის ორივე ქალიშვილი რქებზე წამოიცვეს და თვით მეფეც ზედ მიაყოლეს. ხალხმა მაშინ მეფედ ივანე-ფალავანი აირჩია. ივანე-ფალავანმა კი მეფის უმცროსი ქალიშვილი შეირთო ცოლად და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

მეორე დღეს, როცა ივანე-ფალავანის ცოლი ბაღში გამოვიდა, გაკვირვებით წამოიძახა: — ეს ვაშლი ვითომ არ ისხამდა და ახლა კი, შეხე, როგორ დახუნძლულაო. და მართლაც, უკვდავების ვაშლს ნაყოფი გამოესხა.

მეფე მუზარგიი

ყოფილა ერთი მეფე მუზარბიი. ერთი ქალის მეტი შვილი არ ჰყოლია. ჰქონდა დიდი კოშკი, საიდანაც მას ყოველ საღამოს უნდა გადაეკიდნებია თავის სამეფოსათვის, რომ ამით შეეშინებია დევები, რომლებიც დაეცემოდნენ ხოლმე ამ მეფის სამფლობელოს მცხოვრებთ და ხოცავდნენ. თუ მუზარბიი დაიძახებდა კოშკიდან, იმ ღამეს დევები ვერ შებედავდნენ მის სამფლობელოში. ამნაირად, მუზარბიი ღამით იფარავდა თავის სახელმწიფოს ყვირილ-კივინით, სადაც კი ხმა მიუწვდებოდა. დღისით დაჰქონდა თავის მშვილდ-ისარი, და სადაც კი დევს მოატანდა თვალს, ჭლაკვით თავს ჰგლეჯდა.

მუზარბიის ჰყავდა ცოლი, რომელსაც გული უცემდა ყველაზე უფროსი თორმეტთავიანი კაცა დევისათვის. ბოლოს მუზარბიის სიკვდილმა უსწრო, რაც ძლიერ გაუხარდა მის ცოლს. მას ხომ კაცა დევისადმი სიყვარული ჰქონდა, მაგრამ აქამდე ვერაფერი მოეხერ-ხებია. ბევრს, ბევრს ეცადა მუზარბიის ცოლი, მაგრამ თავს გულისწადილი ვერ დაუმალა თავის ქალს. ქალმა შეატყო დედას, რომ მას დევი უყვარდა და უთხრა: — ღმერთი გაგვიწყრა და მეფე გარ-დაგვეცალა; აწი რისი მაქნისია აქ ჩვენი ყოფნა, დღეს-ხვალ დევები შეგვჭამენ უმამაკაცოდ. უკეთესია წავიდეთ მთაში და ჩვენი მოკლე ხანი იქ გავატაროთო.

დედას ქალის აზრი სრულებით არ ეჭაშნიკა და უთხრა: — მე ახლა ისედაც ხანში შესული ვარ; გინდ დევმა წამიღოს, გინდ სიკვ-დილმა, სულ ერთია. შენ, შვილო, რაც გინდა ისა ჰქენი, მე კი სად ვათრიო ახლა ჩემი დაავადებული თავიო.

ქალმა უპასუხა: — არ შეიძლება არ წამოხვიდე. ამ წუთს კამო-ეწყვე და წამომყევი, სადაც მე წავიდე, თორემ აქავე შენს წინ თავს მოვიკლავო.

დედას ეოცა ქალის ასეთი ლაპარაკი. გამოეწყვნენ და წავიდნენ მთაში. ბარგი, რაც ვერ წაიღეს, დატოვეს. მთაში ერთი გამოქვა-ბული იპოვეს და შიგ დაიბარგეს. ყველაფერი ეს ფარულად მოიმო-ქმედეს: დედა და შვილი სად წავიდნენ, არავის შეუტყვია. ჰკრეფდ-ნენ ჰაფურიას, აფენდნენ კლდეზე, ახმობდნენ და იმით ირჩენდნენ თავს.

გავიდა დრო და ხანი. ერთ დილას ქალი წავიდა ჰაფურიას და-საკრეფად. ამ დროს დედას ვაჟი შეეძინა, ნახევრად ოქრო და ნა-

ხევრად ვერცხლი. დედამ აიყვანა შვილი და დიდი ქვის ქვეშ ამოდო. როგორც კი მოვიდა ქალი, მაშინვე მიხვდა თუ რა ამბავი მოხდა მისი წასვლის შემდეგ და დედას უთხრა: რა არის, რომ ფერი წაგსვლია? ახლავე მითხარი, თორემ შენს წინ თავს მოვიკლავო! — რა დამემართებოდა, შვილო? ერთი გლახა ბავშვი მეყოლა და ეგერ ქვის ქვეშ ამოვდევიო.

ქალი ეცა ქვას, ასწია და გამოიყვანა ვაჟი, ნახევრად ოქრო და ნახევრად ვერცხლი. ამ ქალს სიხარულით ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნადა. თქვა: ეს რაღაც ღვთის წყალობა არისო.

ბავშვია, მაგრამ რა ბავშვი: დღევანდელს ხვალინდელი სჯობს, ხვალინდელს — ზეგისა, როგორც მზეს — ისე მის პირისახეს ოვალს ვერ გაუმართავ. სამი დღის სამი წლისას ჰგავდა, სიარული დაიწყო. ათი-თორმეტი დღის რომ გახდა, ნადირობა დაიწყო, აიღებს ჭოლოკს, ისვრის და ჩიტებს თავებსა ჰგლეჯს. ცოტა ხნის შემდეგ ამ ბავშვმა უთხრა თავის დას: — გამიკეთე სასროლი რამეო.

დამ მოსჭრა წნელი და გაუკეთა უბრალო მშვილდ-ისარი, მოიგლიჯა თავიდან თმა, დაგრიხა და მშვილდზე გაუბა. ამის შემდეგ ბავშვმა უკეთ დაიწყო ნადირობა. მიდის დილას, საღამოს ბრუნდება ნანადირევით დატვირთული და ამნაირად საჭმელს არ აკლებს დასა და დედას. დედას ვაჟის სიმარჯვე დიდად არ უხარია. რაც ხანი გადიოდა, ბავშვი თანდათან შორს მიდიოდა სანადიროდ. საღამოობით დაყოვნება დაიწყო. ერთ მშვენიერ დილას წამოვარდა ალიონზე, უნდოდა იმ დღეს კიდევ უფრო მეტი ადგილი შემოევლო. მიდის ბავშვი და ერთ გორაკს მიადგა. გაიხედა და დაინახა: დგას შენობები, მამამისის კოშკი ცაში უწევს; ასეთი რამე თავის დღეში არ ენახა და გაკვირვებულია: რა არის, რომ ვნახეო, და ძლიერ უნდა გაიგოს, რა ამბავია, მაგრამ კაცი არაა, რომ ჰკითხოს. თვითონ ჩავიდეს გორაკიდან და ნახოს, ეშინია, მზე ჩასვლაზეა და სახლში დროზე ვეღარ დაბრუნდება; იმისი და კივილს ასტეხავს. არადა რა ქნას? — რაც იქნება, იქნება, უნდა ვნახოო. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა მთა, მივიდა ერთ სახლთან, მაგრამ შიგ ვერავინ ნახა; აგრეთვე მეორეშიც. მესამეში ნახა, ზის კერიასთან ერთი დედაბერი.

მოიხედა დედაბერმა და ნახა, რომ კარზე მშვენიერი ვაჟი დგას და უთხრა:

— შვილო, ვიღაც ქრისტიანის შვილი ხარ, თავი რატომ მოგძულებია? აქ დევები მიდი-მოდიან და ადამიანებს ხოცავენ. ამ ადგილს ჩემს მეტი კაცი აღარ დარჩენილა და მეც ხვალ წამიყვანენ. ეს

ხელმწიფე მუზარბიის სასახლეა, რომელიც უმემკვიდროდ ამოწყდა.

ბავშვმა ახლა ყველაფერი შეიტყო, ვინ არის და ვისი შვილია. გაუხარდა და დედაბერს გამოკითხა, როდის მოვლენ დეევებიო. წამოხტა და ისევ მთას გაეშურა დედასა და დასთან. გზა-გზა ცოტაოდენი წაინადირა. ვახშმობისას ვაეშა ჰკითხა დედას: დედი, მითხარი, ჩვენ საიდან მოვედითო. დედამ უპასუხა: ჩვენ არსაიდან არ მოვსულვართო.

დას უნდა ყველაფერი უთხრას ძმას, მაგრამ დედის ეშინია. ბავშვმა დედას მეტი აღარა ჰკითხა რა.

მეორე დღეს ალიონზე წამოხტა ბავშვი და წავიდა იქ, სადაც გუშინ იყო. როგორც კი დაინახა დედაბერმა, წამოვარდა და ბავშვს მიეგება. გადაეხვია, გადაკოცნა და ყველაფერი უამბო, რაც ენახავს, გაუგონია მუზარბიი ხელმწიფის შესახებ. ბავშვმა როგორც კი შეიტყო, მამამისის მშვილდ-ისარი კოშკში იდო, იმ წამს აირბინა და ჩამოიტანა. დედაბერს უთხრა: — როდესაც დევი მოვიდეს, სადაც ზიხარ, მანდედან არ დაიძრეო. თვითონ წავიდა და კარს ამოეფარა. ცოტა ხნის შემდეგ დევიც გამოჩნდა: მოდის და დედამიწას მოანგრევს. დევმა მოაწია კარამდის და დედაბერი რომ უნდა ჩაყლაპოს, ამ დროს ბავშვმა სტყორცნა ისარი და მიწაზე ტვინი დაუნთხია. მოეხვარა დედაბერი და დევი მიწაში დამარხეს. საბრალო ღედაბერს აწი რაღა უჭირს, რადგან ღმერთმა ასეთი მხსნელი მოუვლინა.

ბავშვმა მამამისის მშვილდ-ისარი იქვე შეინახა, აიღო თვისი მშვილდ-ისარი და სახლში წავიდა. გზაში დახოცა ცოტა ნადირი და წაიღო. მეორე დღეს ისევ წავიდა ბავშვი და ახლა მეორე დევს დაუდარაჯდა.

დედაბერმა დაუძახა: მეორე დევი მოდისო. დაუგდო ყური, გაიგონა ბავშვმა დევის ხმა: აქეთ გამოდი, დედაბერო, და მითხარი, სად წავიდა ჩემი ძმაო. დედაბერს ვითომც არც გაუგონია. გულგახეთქილმა დევმა მოატანა კარებს და უნდა დედაბერი ჩაყლაპოს, ბავშვმა სტყორცნა ისარი და თავი წააგლიჯა. ესეც დამარხეს. ამნაირადვე მესამე დღეს მესამე დევიც მოჰკლა ამ ბავშვმა. დარჩა ყველაზე უფროსი კაჟა-დევი. ამ კაჟა-დევს თორმეტი თავი ება. მისი მოკვლა, როგორც ამბობდნენ, არავის არ შეეძლო. მეოთხე დღეს კიდევ მოვიდა ბავშვი და ამ მეოთხე დევს დაუდარაჯდა: დღეს გადაწყდება ჩემი ბედისწერაო, ამბობს ბავშვი.

იძრა მიწა, სახლი, ყველაფერი ერთად. იკითხა ბავშვმა: ეს რა ამბავიაო? დედაბერმა უპასუხა: კაჟა-დევი მოდისო. მართლაც,

მოდის ეს დევი და თან მოღრიალებს: — აქეთ გამოეთრიე, დედაბერო, და მითხარი სად წავიდნენ ჩემი ძმები, თორემ მეტი არ იქხება შენი ყოფაო?!

დედაბერს ვითომც არ გაუგონია. ეს დევი მოვარდა კარებს, გააღო პირი და რომ უნდა გადაყლაპოს დედაბერი, ბავშვმა ამ დროს მშვილდ-ისრით თორმეტივე თავი დააყრევინა. შეხედა ბავშვმა, ნახა, რომ თორმეტივე თავი ისევ მოზრდია. შემოურბინა, აიღო ისარი და მეორედ თორმეტივე თავი წააგლიჯა. ისევ მოეზარდა. კიდევ გააყრევინა — კიდევ მოეზარდა. ასე არაფერმა უშველა: რამდენს გადასჭრის, იმდენი მოეზრდება. ამ დროს მოფრინდა ჭინჭრაქა, შემოჯდა კარს და დაიწყო ჭყივილი: „ნაცარ-ტუტა, ნაცარ-ტუტა!" დაფაცურდა დედაბერი, დაავლო კეცს ხელი, ამოუსვა ნაცარ-ტუტას და, როდესაც ბავშვმა დევს თავები გადასჭრა, ზევიდან დააყარა. შემდეგ თავს აღარ ამოუყრია. მოეხმარენ ისევ ერთმანეთს ბავშვი და დედაბერი, დევი ლუკმა-ლუკმად დასჭრეს და ისიც დამარხეს.

დედაბერმა უთხრა ბავშვს, რომ ქვეყანაზე მეტი საშიში აღარაფერი არისო. დედაბერს სიხარულით ყველაფერი გადაავიწყდა, რაც შიში უნახავს: ჰკოცნის ბავშვს და თავს ევლება. ბავშვი დაღლილი საღამოს სახლში წავიდა. როგორც კი მივიდა, იმ წამსვე დაწვა. დამ ჰკითხა: — რა არის, დაღლილი და დასუსტებული რომ ხარო?

ბავშვმა იმ დღეს არაფერი არა თქვა. მეორე დღეს უნდოდა ისევ გამოეცადა დედა და ჰკითხა: — ვისი შვილი ვარ, მითხარი. — დედამ ისევ დაუმალა. ბოლოს ბავშვმა გაუცხადა დასა და დედას სად იყო ეს ოთხი დღე, ვინ ნახა და რა ჰქნა. დამ ვერ მოითმინა სიხარული და უთხრა: შენა ხარ იმ მუზარბიის შვილი, რომლის მშვილდ-ისრით დევები დახოცეო.

დედამ თავი იმართლა, ვითომ მით, რომ არ უნდოდა მისი შვილი დევებს შეჰკვდომოდა. ბავშვმა წამოიყვანა დაცა და დედაც, გახარებული წამოვიდა თავის მამის სასახლეში. მზე რომ ჩავიდა, ავიდა კოშკის თავზე მამამისივით და ისეთი დაიკიჟინა, რომ ვარსკვლავებმა ცახცახი დაიწყეს. ხალხმა რომ ეს გაიგონა, გაოცდა: ეს რა ამბავიაო? მუზარბიის რა გააცოცხლებდა თუ არადა ვინ უნდა მოსულიყო მის მაგივრიო?

მეორე დღეს გააგებინეს ერთმანეთს, ყველას, მთაში ცხოვრობდა თუ ბარში. მოიყარეს თავი და წავიდნენ სასახლეში, რომ შეიტყონ ვინ მოსულა. როდესაც გაიგეს, რომ მუზარბიის შვილი მოსულა და სულ ყველა დევი დაუხოცავსო, სიხარულით ცას ეწივნენ. მიულოცეს მუზარბიის შვილს ხელმწიფობა და გახარებული დაბრუნდ-

ნენ თავიანთ სახლში. ამ ბავშვის დედას არ გახარებია კაჟა-დევის მოკვლა. როდესაც შეიტყო, სად იყო დამარხული კაჟა-დევი, ყოველ დილას მიდიოდა და საფლავს წყალს აპკურებდა. მესამე დილას ქვევიდან ხმა მოესმა.

— ვინ მადლიანი ხარ, წყალს რომ მასხამ: არ შეიძლება ერთი მუჭა მიწა გადამფხიკოო?

ქალმა მართლაც გადაფხიკა. ამ დროს გაიხსნა მიწა და დევი ამოვიდა. ამ ქალმა დევი ბუზად აქცია და კიდობანში ჩაკეტა, ცოტა ხანი რომ გავიდა, დედამ მიუტანა შვილს ცერის სისხო წულები და უთხრა: — შენ არა ჰგევხარ მამაშენს: იმას აი, ამისთანა წულები ეცვაო.

შვილს ეწყინა, როგორ თუ მამაჩემს არა ვგევარო. ჩამოართვა წულები — ჩავიცვამო. ჩაცმის დროს ფეხი გადაიგრიხა და კიდევაც მოიტეხა მარჯვენა ფეხი. დედა ეცა კიდობანს და ამოუშვა ბუზი. ბუზი დევად იქცა და დაეტაკა ბავშვს. შეიბნენ. აიყვანა ცალ ფეხზე მდგომარე ბავშვმა დევი და მუხლამდის მიწაში ჩაასო ბიჯგივით. ხედავს დედა, რომ აგერ-აგერ ბავშვი მოერევა დევს. მივიდა და ფეხქვეშ ფეტვი დაუყარა შვილს. მოუბრუნდა დევი ბავშვს და დასცა, დაადგა მკერდზე ფეხი და ნაგლეჯებად აქცია. დედა და კაჟა-დევი ზევით ავიდნენ კოშკში, მოვიდა და, დაინახა, რომ მისი ძმა აბედიევით დაწეწილი გდია. შეკრიბა ელვის სისწრაფით ძმის ნაწილები, ტომარაში ჩააწყო და გაიქცა იმ მთაზე, სადაც წინათ იყვნენ. როდესაც მივიდა გამოქვაბულში, მაშინვე ძმის ნაწილები დაწყო და სამი დღე და ღამე გვერდში უჯდა, დასტიროდა და თვალცრემლიანი ღმერთს ევედრებოდა. მესამე დღეს შეინძრა ბავშვი და გაიღვიძა მძინარე კაცივით. ძმამ უთხრა დას: — ახლა მე წავალ სახლში და ცოტა ხნის შემდეგ შენც გამომყევიო.

დამ დაუჯერა. ბავშვი ფარულად მივიდა სასახლეში და დედაბერს უთხრა: — შენ ირბინე და იძახე: მუზარბიი ამდგარა, მუზარბიი ამდგარა!

დედაბერმა დაუჯერა და გამოვარდა გარეთ კიჟინით. დედამ და დევმა რომ გაიგეს ასეთი ძახილი, გამოცვივდნენ გარეთ. ამ დროს ბავშვი შევარდა კოშკში, გამოარბენინა მშვილდ-ისარი. სტორცნა კაჟა-დევს და თორმეტივე თავი წააგლიჯა. მოირბინა დედაბერმა, ნაღვერდალი დააყარა დევს თავზე. მობრუნდა ბავშვი წვრილ-წვრილად დაკეპა დევი, დაანთო დიდი ცეცხლი, დასწვა და ფერფლად აქცია. ამ დროს დაც მოვიდა. იმას ძლიერ გაუხარდა, ძმა რომ გა-

მარჯვებული ნახა. დედამ, როდესაც გაიგო, რომ დევი მოჰკლეს, ზევით კოშკში ავიდა და იქ ჩაიკეცა. შემდეგ ამ ბავშვს უთხრეს მისმა დამ და დედაბერმა:

— აქამდე სათქმელად ვერ გაგიბედეთ, თორემ მამაშენს ჰყავდა რაში, რომელიც ამა და ამ გვირაბში აბიაო. თუ იმ რაშზე შეჯდები, შემდეგ არაფერი გაგიჭირდებაო.

მუზარბიის მემკვიდრემ მაშინვე გამოიყვანა რაში და ზედ მოაფრინდა ჩიტივით. რაში ავარდა და უნდოდა ცაზე მიესრისა მხედარი, მაგრამ ბავშვი მუცელ ქვეშ მოექცა; რაშს უნდოდა მიწაზე დაესრისა. ბავშვი გვერდზე მოექცა; მთაზე მისრესა მოუნდომა, მეორე გვერდზე მოექცა. მივიდა, თმით გამოათრია დედამისი და რაშის კუდს გამოაბა.

ჩემი არაკი გავათავე. წუხელ იქ ვიყავი, დღეს აქ მოვედი.

სამი ვაშლი, სამი ბროწეული
ღმერთმა ნუ მოგიშალოთ,
თქვენი ხელით მოწეული.

დევებით სავსე ქუდი

იყო სამი ძმა. თქვეს ერთხელ ამ ძმებმა, მოდი გავიყარნეთო. უფროსს ერგო სახლები, მეორეს — მამული, მესამეს — ერთი ქუდი. ეჩხუბება ეს ამ ძმებსა: — ამ ქუდზე მოვხნა, დავთესო, ვჭამო, ვსვაო? ეს რა ღვთის წყრომაა! — რაც არი, არი! ეგ იყო შენი წილი, — უპასუხეს ძმებმა. — კარგიო, კეთილად მოგახმაროთ თქვენი წილი და მე კი წავალო.

მიდის ერთ ტყიანში, დიდი ჯოხი უჭირავს ხელში. მაღალი ქუდი იყო, მოედო ხის ტოტებს, მოეხადა და ჩამოუვარდა. ეს ბიჭი ისედაც გაგულისებულია, დანა კბილს არ უხსნის. აიღო და თავისი ჯოხი ერთი ორჯერ დაარტყა ამ ქუდს: შე ასეთო და ისეთო, თავზედაც არ ჩერდებიო?!

უცებ გამოვარდა იმ ქუდიდან ორი უზარმაზარი დევი. — რა გაგიჭირდა, რომ გამოგვრეკე ამ ქუდიდანაო? — როგორ არ გამიჭირდა, მშია და მწყურია, ამაზე მეტი რა უნდა მიჭირდესო?!

დატრიალდნენ ეს დევები, გაუშალეს სუფრა, აჭამეს და მერე ქუდში შეძვრნენ ისევ ისე. თურმე რამდენი ბეწვიც არის ამ ქუდ-

ში, იმდენი დევია წიგ. რამდენჯერაც დაარტყამ ჯოხსა, იმდენი დევი გამოვარდება.

დაადგა ეს კაცი გზასა. რამდენი წელიწადი იარა, რამდენი დღე, სულ სხვათა სახელმწიფოში გავიდა. ერთ ბებერ ქალთან მივიდა. — თუ შეიძლება დამაყენე, საჭმელი იმდენი მაქვს, შენც გაჭმევ და შენს შინაურებსაცო, იქნებ სულაც აქ დავრჩეო.

იქ ახლოს ხელმწიფის კოშკი დგას. იმ ხელმწიფეს კაი ქალი ჰყოლია. ამ ქალზე ბიჭმა თვალი დაიჭირა, მიგზავნა ეს ბებერი. — წადი, ხელმწიფეს უთხარი: შენი ქალი ჩემს მდგმურს მიათხოვეო!

წავიდა ბებერი. — ქალს მივცევ, მხოლოდ თუ იმისთანა სახლს დასდგამს, რომ მეორე იმგვარი სახელმწიფოში არავის ჰქონდესო. — კარგიო, ეს ადვილი სამსახურიაო.

გამოვიდა ეს ბიჭი. გამოიტანა ეს ქუდი ღამე. მიადგა ერთი დიდი კეტითა. რამდენსაც დაარტყამს, იმდენი დევი გამოსცვივა, იმდენი, რომ ჭიანჭველებივით ირევიან. შემოუხაზა ბიჭმა და უთხრა:— ამ ადგილზე ისეთი სახლი უნდა დადგათ დილამდე, რომ სახელმწიფოში მისი მსგავსი სხვა არ მოიპოვებოდესო — შესვლისა და გამოსვლის მეტი არა უნდოდეს რა ადამიანსაო.

ზოგი ხესა სთლის, ზოგი თიხას ზელავს, ზოგს ქვა მოაქვს... ასე იყო თუ ისე, რას გავაჭიანურით, ეს სახლი ააშენეს დევებმა და შევარდნენ უკან ქუდში.

გაიღვიძა ამ ბიჭმა დილაადრიან, დაიჭირა განგებ ქაფჩა და მივიდა სახლთან. — ეს რა უცებ ააშენაო, — ფიქრობს ხელმწიფე — ახლა ისეთი ხიდი უნდა დაიდგას, რომ ზღვას გასწვდეს ნაპირიდან ნაპირამდეო, მაშინ მივცემ ჩემ ქალს, თუ არადა არაო.

დაღამდა. დააყარა ბიჭმა ქუდს კეტი კიდევა და აბა, ხიდი გააშენეთ, ზღვას გასწვდესო.

ზოგი ხეს მოათრევს, ზოგი ლურსმანს, ან ფიცრებს. მანამ გათენდებოდა, გააკეთეს ხიდი და შევარდნენ ქუდში. ამ ბიჭმა დაიჭირა ჩაქუჩი და სცემს ტყუილუბრალოდ ლურსმანსა.

მივიდა ბებერი ხელმწიფესთან: — ხომ შეასრულა შენი სიტყვაო! — ახლა ისეთი ბაღი უნდა გააშენოს, რომ ზოგი ხილი მწიფდებოდეს, ზოგი ყვაოდეს და ზოგს ფურცელი სცვიოდეს. გარშემო ღობეზე უნდა დახატოს ისეთი ბულბულები, რომ გალობდნენ სულაო.

წავიდა ეს ბიჭი, ხელმწიფის სახლის წინ დახაზა. ჩხირები ჩაარჭო. რომ დაღამდა, გამოიტანა ეს ქუდი, გამორეკა დევები: ბაღი გააშენეთ ჩქარა, ზოგი მწიფდებოდეს, ზოგი ყვაოდეს, ზოგს ფურცელი სცვივოდესო.

დილით შევიდა ეს ბიჭი ბაღში და სეირნობს. მივიდა ეს ბებერი: — რას იტყვი, დიდო ხელმწიფევ, შენ სიტყვას ხომ არ გადახვალო? — ახლა ყაბულსა ვარ, მოიყვანეთ ვაჟიო.

მოვიდა ვაჟი და წამოიყვანა მეფის ქალი. ტირის ქალი, ცრემლად იღვრება.

— რა გატირებსო?

რა ატირებს და თურმე შავი არაბი ჰყვარობს ამ ქალსა. ის უნდა გამოიყოლოს მოსამსახურედ.

— ერთს კი არა, გინდა ხუთს გამოგაყოლებო.

წავიდნენ. გავიდა დრო და ჟამი. ერთხელ დაათრო ქმარი ქალმა და ჩააცივდა: — სადა გქონდა ეს ძალა, ეს ღონე, რომ ამოდენა შესძელიო.

არ უნდა ბიჭს თქმა, მაგრამ მაინც ათქმევინა ამ ქალმა. — ამ ქუდში დევები მყავსო.

ამ ქალმა ჩაინერგა გულში ეს სიტყვები ლამაზადა და ერთ დღეს დაალევინა ამ ბიჭს ბანგი, დაათრო და ჩააგდო საღორეში. იქვე ჩააგდეს ბებერიც. მოხვიეს ამ ქუდს ხელი ამ ქალმა და შავმა არაბმა, დასცხეს კეტები: — აბა, წაგვიღეთ ჩქარა და ზღვასა და ზღვას შუა ჩადგით ეს სახლი და ბაღიო. ასწიეს დევებმაც და ჩადგეს ზღვასა და ზღვას შუა ეს სახლი არაბიანად და ქალიანად.

გათენდა დილა. გამოიღვიძა ამ ბიჭმა. საღორეშია ეს ბიჭი და ეს ბებერი. რას იზამს? დაიჭირა ბიჭმა ჯოხი, ჩაიცვა რკინის ქალამნები და წავიდა. ამ ბებერს უთხრა: — სამ წელიწადს მიცადე, თუ არ მოვიდე, მერე ჩაიცვი ჩემზე შავებიო.

მიდის ეს ბიჭი, ჩვენი ენა მალე იტყვის, მიდის... ბოლოს მივიდა ისეთ ქვეყანაში, რომლის ხელმწიფესაც ხალხი არა ჰყავს. არის ხელმწიფე ნადირების, ბაყაყებისა და ფრინველების. მივიდა ხელმწიფესთან.

— დიდო ხელმწიფევ, ერთი სიტყვა მაქვს, თუ იკადრებ ამ სიტყვასო. ერთი სახლი დამეკარგა თავისი ბაღით, თუ უნახავს ვისმეს თქვენს ქვეშევრდომსაო?

— დაიცა, მე გაგიგებ ამასაო. ჩემს ფრინველებს შევეკითხები, თუ ეცოდინებათ, მაგათ ეცოდინებაო, ცაში ესენი ფრენენ და ყველაფერს ხედავენო.

ერთი დაიყივლა ხელმწიფემ. მოვიდნენ ნადირები, მეორედ დაიკივლა და მოცვივდნენ ბაყაყები თუ სხვა ქვეწარმავალნი. დაიკივლა მესამეც და გაჩნდნენ ფრინველები. როცა დაბნელდა და ცა დაბლა ჩამოვიდა, უთხრა ხელმწიფემ ფრინველებს: — ამნაირი სახლი გადატანილი ხომ არ გინახავთო? — არავის ენახა.

დაითვალა ხელმწიფემ და ერთი პატარა ჩიტი აკლია — ღობე-მძვრალა. დაუკივლა ერთხელ — არ მოვიდა, დაუკივლა მეორედ — არ მოვიდა, დაუკივლა მესამედ და მოფრინდა. მუხლი მოიყარა ხელ-მწიფის ტახტთან. — სად იყავიო? — სად ვიყავი და ზღვასა და ზღვას შუა ერთი სახლი დაუდგამთ. იქ ქალმა დამიჭირა, არ მიშვებ-დაო. ერთი რომ დამიკივლე. ცოცხალი ვიყავი, მეორედ რომ მომეს-მა შენი ხმა, სული მხდებოდა, მესამედ ხელში მოვეკვდიო. ქალმა ფანჯარა გააღო და გადამაგდოო. მეცა ჰაერი, გავცოცხლდი და გა-მოვფრინდი კიდეცო. — უეჭველად ჩემი სახლია და ჩემი ცოლიო, — ბიჭი ამბობს. — შენ იქ ვერ მიხვალ, ისევ მე გწევ ბედსაო, — ნა-დირთ ხელმწიფე ეტყვის, — მარიფათობას თუ გამოიჩენ...

დაუძახა არწივს ხელმწიფემ. აიყვანა არწივმა ბიჭი და ზღვასა და ზღვას შუა მიიყვანა. ეს ბიჭი სახლის კარ-მიდამოზე დადის. მოახლე გოგომ რა დაინახა, გაუხარდა, მიეგება. — შენს გაზრდას, ჩემი ქუდი მჭირდება, გამომიტანეო.

შავ არაბსა და ქალს სძინავთ გაბრტყელებულებს, ქუდი მაღლა დაუკიდიათ. გამოიტანა ქუდი მოახლემ. დაარტყა ქუდს, ერთი დევი გამოვარდა. — წადი ოთახში და შეკაკარი არაბი და ჩემი ცოლიო.

ახლა სხვა დევები გამორეკა და უკან წააღებინა ეს სახლი. იქვე დადგეს. დედობილს ძალიან გაუხარდა. გათენდა დილა, მივიდა ეს ბიჭი ხელმწიფესთან. — სად იყავ, როგორ იყო თქვენი საქმეო? — წამობრძანდი, შენი ქალი ნახეო.

მივლენ. ნახავს მამა, რაღას იტყვის. დასწყეველა ქალი და არაბი, სათითაოდ მიაბა ცხენის კუდს და დახოცა. მეორე ქალი შერთო ხელმწიფემ.

გადაიხადეს დიდებული ქორწილი. გუშინწინ იყო, ვერ მიველ, დაპატიჟებული კი ვიყავი.

ისრის-მასრის სანდლის ქალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. დიდხანს შვილი არ ჰყავდა. დიდი ხნის შემდეგ მიეცა ბიჭი. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ბიჭი რომ მოწყენით არ ყოფილიყო, ხელმწიფე ყოველდღე იბარებდა თავის ვეზირის შვილებს, რომლებთანაც ყმა-წვილი თამაშობდა, მხიარულობდა.

ერთხელ ჩვეულებისამებრ ვეზირის შვილი და ხელმწიფისა გავიდნენ მინდვრად და მშვილდ-ისარს ისროდნენ. ხელმწიფის შვილის ისარი მოჰხვდა წყალზე მიმავალ ბებრის კოკას და გაუტეხა. გაჯავრებულმა ბებერმა დადგა კოკა ძირს, მიუბრუნდა ყმაწვილს და უთხრა: — დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, და შენამც ჩაგვარდნია ისრის-მასრის ქალის სიყვარულიო!

ის იყო და ის, ჩაუვარდა ყმაწვილს იმ ქალის სიყვარული გულში, არ აძლევდა მოსვენებას, არც დღე და არც ღამე: გახდა საბრალო, სანთელსავით დადნა. არც ჭამა იყო მისთვის და არც სმა. შეწუხდა ჩვენი ხელმწიფე. მოიწვია თავისი ექიმბაშები, მაგრამ შვილს ვერა უშველა რა. ბოლოს გადაწყვიტა, მოდი ვკითხავ, იქნება საიდუმლო ნაღველი რამე აქვსო. — შვილო ჩემო, ერთადერთო თვალის ჩინო, რადა ხარ ეგრე დაღონებული, რატომ ადრინდელივით ტოლებში არ თამაშობო? ახლა კი ყმაწვილმა გაპედა და მოახსენა მამას თავისი გულის პასუხი, ესე და ესეა ჩემი ამბავი და თუ არ წავედი, ის ქალი არ ვნახე, მოვკვდებიო.

დაღონდა და დაძმარდა დიდებული ხელმწიფე, იმ ერთ შვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე და ისიც თავს ანებებდა, მაგრამ შვილის სურვილს უარს ვერ ეტყოდა.

მეორე დღეს ყმაწვილი მარტოდმარტო გაუდგა გზასა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი ქოხის კართან. დაეკაკუნა. გამოვიდა ერთი გადახავსებული მოხუცი, გაუღო კარი სტუმარს და შინ შეიპატიჟა. ვაჟმა უთხრა: შენ დედა და მე შვილიო.

ბებერმა სიხარულით იშვილა ყმაწვილი, რადგანაც უშვილო იყო. ახალ შვილობილს ბებერმა ქათამი დაუკლა. დასხდნენ ორივენი ვახშმად. ვაჟმა ჰკითხა: მითხარი რა ამბავია ამ თქვენ სახელმწიფოშიო? ბებერმა უპასუხა: აბა, ჩემო შვილო, ყველას როგორ ჩამოსთვლის ადამიანის ენა, მაგრამ ამას კი გეტყვი, ჩვენს დიდად სახელგანთქმულს ხელმწიფეს ერთი მშვენიერი მზეთუნახავი ქალი ჰყავს. ეს ქალი თვალმიუწვდენელს კოშკში ზის. ის მთელ სახელმწიფოში არავის უნახავს. იმ გოგოებს გარდა, ვინც იმას საპმელ-სასმელს უზიდავენ. როგორც მზე კარგა სადილობისაკენ გადაიხრება, გოგოები მოვლენ კოშკის ძირს და დაიძახებენ:

ისრის-მასრის სანდლის ქალო!
გადმოყარე გიშრის თმანი,
აპიყვანე, შენთან დამსვი,
შენი მესურვილებანი.

ისიც გოგოების ხმაზე გამოვა, გადმოუშლის გიშრის თმას, აიტანს სასმელ-საჭმელს და ცარიელ ჭურჭელს უკან გადმოკურის.

გაათავა თუ არა ბებერმა ეს ამბავი, ვაჟმა ისეთი ამოიქშინა, რომ თითქოს ასლოდიანი საპალნე მოიშორა ზურგიდანაო.

ბებერმა ჰკითხა: — შენ რად ამოიქშინეო?

ვაჟმა უთხრა: — ასე და ასეა ჩემი ამბავი, თუ ის ქალი არა ვნახე, მოვკვდებიო.

— თუ ასეა, შვილო, ხვალვე იყიდე ერთი კაი ჭედილა, გაჭერი ოთხად და მისვლის უმალვე კოშკის ძირს ოთხი ქოფაკი გამოვარდება, იმათ მიუგდე, შენ კიდევ იდროვე და გოგოებს მიასწარი. როგორც გასწავლე, ისე შესძახე, მაშინ ქალი გადმოგიშლის თმებს, შენ მაგრა ჩაჰკიდე ხელები და აჰყევი. იქ, შვილო, შენ იცი, ამას კი გეტყვი, ფრთხილად იყავი, თორემ ის ძალიან კუდიანი ქალია და ძაღლებს არ გააფუჭებინოს შენი თავი.

მეორე დღეს გადაიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და შეუდგა საქმეს; იყიდა ერთი კარგად გასუქებული ჭედილა, დაკლა. გაჭრა ოთხად, ჩადო ხურჯინში, გადაიკიდა მხარზე, დადგა კოშკის შორიახლოს, მოათვალიერ-მიათვალიერა მიდამო და დაინახა, რომ ქალის ბასავალ კარებში აფთარსავით ძაღლები არიან. მივიდა ამათთან და გადაუყარა ხორცი. თვითონ დადგა კარებში და ნაზის ხმით შესძახა:

ისრის-მასრის სანდლის ქალო!
გადმოყარე გიშრის თმანი,
ამიყვანე, შენთან დამსვი,
შენი მესურვილებანი.

ქალმა გადმოშალა გიშერივით შავი თმა. ვაჟმა მაგრად ჩასჭიდა ხელები და აჰყვა ქალს კოშკში. ქალი და ვაჟი რომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ქალმა დიდხანს უყურა ვაჟსა და მერე უთხრა: — მე შენ ძლიერ მომწონხარ, მაგრამ მამაჩემი ჩემს თავს შენ არ მოგათხოვებს, სანამ ერთი კარგად არ გამოგცდის ვაჟკაცობაშიო.

ქალმა ვაჟს გადაახედა კოშკიდან და დაანახა თავის მამის სახლის გალავანი, რომელსაც გარშემო სულ კაცის თავები ჰქონდა შემორტყმული. — აი, ხედავ იმ კაცის თავებს? ისინი სულ ჩემი მთხოვნელები იყვნენ: მამაჩემმა სუყველას თავები დასჭრა, რადგან მისი პირობის შესრულება ვერ შესძლეს.

ვაჟს ეცვალა ფერი, ჩაჰკიდა თავი ძირსა და ფიქრობდა: რა ვქნა, რითი ვუშველო თავსაო? ქალმა უთხრა: — ნუ გეშინია მაგ გაჭირვებიდან მე დაგიხსნი, ოღონდ შენ სწორედ ისე მოიქეცი, რო-

გორც მე დაგარიგოო. ხვალ დილით მიდი მამაჩემთან და მუხლმოდრეკით მოახსენე: დიდებულო ხელმწიფეე, მე მსურს შენი ქალი ვეთხოვო-თქო. ის მაშინვე გეტყვის — კარგი და ჩინებულიო. აბა თუ მართლა ჩემი ქალი გინდა შეირთო, ეს კუნძი ნაფოტებად აქციეო. შენ გაგიხარდება, აიღებ. კუნძს ხელში დაჰკრავ და ცულის ყური მოგიტყდება. ეს ჩემგან იცოდე, რომ ის კუნძი რკინისაა. მერე მოგცემს ხელში წყლით სავსე ჯამს და გეტყვის: ეს ჯამი ისე უნდა აიტანო ჩემ ალვის ხეზე, რომ ერთი ცვარიც არ დააქციოო.

ვაჟმა ქალის ამბავი რომ მოისმინა, შესძახა: — ვაიმე! — შეუძლებელი როგორ უნდა შევიძლოო.

ქალმა მაშინვე გამოიძრო ნეკის ბეჭედი, მისცა ვაჟსა და უთხრა: აი, ეს ბეჭედი, როცა ცული მოგცენ ხელში, ჩუმად გაიკეთე ნეკზე და ერთი თვალის დახამხამებაზე რკინის კუნძს ნაფოტად აქცევო; როცა წყლით სავსე ჯამი მოგცენ ხელში, მაშინ ჯამში ჩააგდე ბეჭედი და ერთი ცვარიც არ დაიღვრებაო.

მეორე დღეს ვაჟი მივიდა ქალის მამასთან და სთხოვა ქალი. ხელმწიფემ გამოატანინა ეზოში რკინის კუნძი და მისცა ვაჟს ცული. ვაჟმა ჩუმად გაიკეთა ბეჭედი და თვალის დახამხამებაზე ნაფოტებად აქცია. გაუკვირდა ხელმწიფეს.

მერე გამოატანინა წყლით სავსე ჯამი. ვაჟმა ჩუმად ბეჭედი ჯამში ჩააგდო, ჯამიც ისე აიტანა ალვის ხეზე, რომ ერთი ცვარიც არ დაუღვრია. მაშინ ხელმწიფემ გადაჰკოცნა ვაჟი და უთხრა: — აი, შენისთანა სიძე მინდაო!

შემდეგ გასცა ბრძანება, ვაჟი მოერთოთ ისე, როგორც ეკადრებოდა ხელმწიფის შვილსა, მერე მოიწვია ყოველი წარჩინებულნი, ნაზირ-ვეზირნი. ჩამოაყვანინა მზეთუნახავი ისრის-მასრის სანდლის ქალიცა, დასწერა ჯვარი და ისეთი სუფრა გაუშალეს მოწვეულებს, რომ ჩიტის რძეც კი თავსაყრელი იყო. მოწვეულები თორმეტი დღე ლხინობდნენ, მეცამეტე დღეს ვაჟი ავიდა კოშკში, გაიხედ-გამოიხედა, დაინახა თავისი მამის სახელმწიფო და დაღონებული ჩამოვიდა ძირსა. ქალმა ჰკითხა, რამ დაგაღონაო?

ვაჟმა უთხრა: მამაჩემს მკვდარი ვგონივარ და სახელმწიფოსათვის შავი კარავი გადაუფარებიაო. ქალმა ურჩია: ოღონდ ნუ დაღონდები და წავიდეთ შენს დედ-მამასთანაო.

ქალმა და ვაჟმა გამოუცხადეს ხელმწიფეს თავიანთი სურვილი; ხელმწიფემ თვალ-მარგალიტით დაატვირთვინა ჯორ-აქლემები და გაისტუმრა ქალ-სიძე. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ ზღვის პირას; ჩამოხადეს ჯორ-აქლემებს და დასხდნენ. ვაჟს ძილი

მოერია, მიდო ქალის მუხლზე თავი და დაიძინა. ქალს წყალი მოსწყურდა. ზღვის პირას არაბის ქალი იდგა. ქალმა სთხოვა, დედაშვილობას, ერთი ცვარი წყალი ჩამაყლაპეო. არაბის ქალმა იწყინა, ხელი ჰკრა ისრის-მასრის სანდლის ქალს და ჩააგდო ზღვაში. თვითონ წყნარად აუწია ვაჟს თავი, დაიდო მუხლზე და დაჯდა. ვაჟმა გამოიღვიძა თუ არა, შეხედა ქალს, შეეშინდა და ჰკითხა, — რა დაგმართნიაო!

ქალმა უთხრა, — წყალთან არაბის დედაკაცმა სილა შემომკრა და პირი ასე გამიშავდაო. დაღონდა და დაძმარდა ვაჟი, მაგრამ რას იზამდა. გაუდგა გზას. მესამე დღეს მივიდა თავის მამის სახელმწიფოში. მამამ რომ გაიგო შვილის დაბრუნება, მაშინვე გადაჰხადა სახელმწიფოს შავი კარავი, მოიწვია თავის ნაზირ-ვეზირი, გამართა ლხინი, მაგრამ ხელმწიფის შვილი კი დიდად მოწყენილი და ნაღვლიანი იჯდა, ვერაფრით ვერ გაამხიარულეს.

ჩვენი ისრის-მასრის სანდლის ქალი კი ოქროს თევზად იქცა. ერთმა მეთევზემ დაიჭირა და დაღონებულ ხელმწიფის შვილს მოჰგვარა გასართობად ხელმწიფის შვილმა გააკეთებინა თევზი, მაგრამ დაჭრის დროს ერთი ფხა დერეფანში დაეცა. ეს ფხა მშვენიერ ალვის ხედ იქცა.

დილით ხელმწიფის შვილი რომ კარზე გამოვიდოდა, ეს ალვის ხე ჩამოუშვებდა ტოტებს, დაეკონებოდა კაცსა და ისევ გასწორდებოდა, ღამე კიდევ ქალად გადაიქცეოდა, ქალი ორსავე ხელებს მოხვევდა, იტირებდა, იტირებდა, ცრემლის გუბეს დააყენებდა, გათენებისას ისევ ალვის ხედ იქცეოდა ხოლმე. ვაჟს უკვირდა, — რა ვქნა, ვინ არის ჩემს ოთახში და ვინ სტირისო და თქვა, ერთი თუ არ ვუდარაჯე, არ იქნებაო.

დაღამდა თუ არა, ვაჟი ჩაწვა ლოგინში, ჩააქრო სანთლები და თავი მოიმძინარა. შუაღამისას, ვნახოთ, ვიღაც შემოვიდა მის ოთახში, მოეხვია ვაჟს და დაიწყო გულმოსაკლავი ტირილი.

ვაჟმა ჯერ ყური უგდო და მერე გულმა აღარ გაუძლო. დაუჭირა ქალს მაგრა ხელები და ჰკითხა: — მითხარ, რა სულიერი ხარ და ან რადა სტირი აგრე გულსაკლავადო? ქალმა უთხრა:—აანთე სანთელი და შენ თვითონ მიცნობ, ვინც ვარ.

ვაჟმა აანთო და დაინახა თავისი ისრის-მასრის სანდლის ქალი. ქალმა უამბო ვაჟს თავისი თავგადასავალი. მეორე დღეს ვაჟმა სიხარულით მიიყვანა თავისი ცოლი დედ-მამასთან.

გახარებულმა ხელმწიფემ მეორედ გადაიხადა შვილის ქორწილი. ბოროტი არაბის ქალი კი კიდობანში ჩასმევინა და წყალს მისცა.

ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა

ერთ ხელმწიფეს სამი ქალი ჰყავდა: ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა. ლალი დევსა ჰყავდა მოტაცებული, იადავარდი — ფერიების ხელმწიფეს, ვარსკვლავა გასათხოვარი იყო. ლალის თითო წვეთი სისხლი — ლალის თვალი იყო, იადავარდის სიცილი — თაიგულებად სცვიოდა, ცრემლები თვალმარგალიტად, ვარსკვლავა — ანათებდა. ვარსკვლავას და ახალგაზრდა ვაჟს, აბესალომს, უყვარდათ ერთმანეთი. პირობა დადეს, რომ ერთ ღამეს გაპარულიყვნენ და ეცხოვრათ ერთად, რადგან ვარსკვლავას მამა უარზე იყო. ვარსკვლავა და აბესალომი მინდორში დანგრეულ ეკლესიასთან უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. დანიშნულ ღამეს ადრე მისულიყო აბესალომი, ვარსკვლავას ლოდინში ჩასძინებოდა. ეკლესიაში ერთი მთიული, სახელად აბესალომი, შესულიყო, მგზავრად მიმავალს დაღამებოდა და ეკლესიაში თავი შეეფარებინა. ვარსკვლავა ოქრო-ვერცხლის ფულით დასაპალნებული ცხენებით მივიდა ეკლესიასთან და დაიძახა:— აბესალომ! — აუ, — მისცა ხმა მთიულმა. — აბა, ცხენზე შეჯექი დროით, არ დაგვედევნონ, — უთხრა ქალმა.

მთიული მოახტა ცხენს. ვარსკვლავა რამდენსაც დაელაპარაკებოდა, მთიული პასუხად სულ „ჰოოს“ ეუბნებოდა. კარგად რომ გარიეოაედა, ვარსკვლავამ მოიხედა აბესალომისაკენ და დაინახა ტყაპუჭიანი, ბოხოხქუდიანი, გუდააკიდებული მთიული. ვარსკვლავამ პირჯვარი გადაიწერა: ალბათ ეს ყოფილა ჩემი ბედი და რაც იქნება იქნებაო. ჰკითხა, სადაური იყო, რა ერქვა. მთიულმა უთხრა ვინც იყო, აბესალომი მქვიაო, და აუხსნა საიდან გაჩნდა ეკლესიაში.

იარეს. ჩამოხტნენ წყლის პირას. პური ჭამეს. ქალს ძილი მოერია. მთიულის კალთაში ჩადო თავი და ჩაეძინა. ამ დროს წყალმა ჩამოტარა დიდი, წითელი თვალი, მთიულს მოეწონა, მძინარე ქალის თავი ნელა დაუშვა ძირს, წამოხტა, დაიჭირა თვალი და ჩაიდო გუდაში. ქალს რომ გამოეღვიძა, გაუდგნენ გზას. მივიდნენ ერთ დაცემულ მინდორზე. შორიახლო ქალაქი მოჩანდა. ქალაქსა და მინდორს შუა მდინარე ჩაუდის და მინდორს გარშემო წმინდა წყლები დის, ქალს გული შეუვარდა, იფიქრა: ამ მდინარეზე რომ ქალაქი გაშენდეს, საუცხოო მდებარეობა არისო. შევიდნენ ქალაქში. ქალმა მთიულს უყიდა ტანისამოსი, ჩააცვა. საჭმელები მოიკითხა. ვერ იშოვეს როგორი საჭმელებიც შეუკვეთა სახლის პატრონმა და უთხრეს: — მაგისთანა საჭმელებს ხელმწიფის მზარეული ფირუზა აკეთებსო.

მოაყვანინა ფირუზა. სთხოვა ქალმა მისთვისაც ეკეთებინა საჭმელები. მზარეულმა მოახსენა: — ხელმწიფე ნებას არ მომცემს სხვებსაც ვუკეთო საჭმელი. შვიდას თუმანში ვყევარ გირაოდ, თუ გნებავთ, დამიხსენით და სულ თქვენთან ვიქნებიო.

ქალმა ოქროს სინზე ოქრო-ვერცხლი დააწყო და გაუგზავნა ხელმწიფეს ფირუზას გამოსახსნელად. ქალმა ფირუზას ვეზირობა უბოძა. ფირუზას შემწეობით მინდორი შეისყიდა ხელმწიფისაგან, გააშენეს ქალაქი, დაასახლეს ხალხი, გაჩაღდა დუქან-ბაზარი. ისე, რომ ძველ ქალაქს ბევრით დაემჯობინა. მთიულს სახელმწიფო ტანსამოსი ჩააცვეს. ხელმწიფედ გამოაცხადეს. ხელმწიფესი კიდევ ემართათ ფული. ოქროს სინზე დააწყვეს თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი. დაარიგეს მთიულ-ხელმწიფეს ფრთხილად დაეპირა თავი ხელმწიფესთან, არა წამოსცდენოდა რა. მთიულ-ხელმწიფე და ვეზირი მიდიან ცხენებით. იშვირა ფეხი მთიულ-ხელმწიფემ და გადმოხტა ცხენიდან, — პატარა რამ დამრჩა შინაო.

გაიქცა ჩარდახში, ავარდა, ამოიღო გუდიდან წითელი თვალი, წაიღო, თვალ-მარგალიტ-ოქრო-ვერცხლის ზემოდან დადო, ხელმწიფეს იამებისო. ვეზირი წინააღმდეგი იყო: — ეს თვალი მეტი მოუვაო.

მთიულ-ხელმწიფემ ხანჯალი იშიშვლა: — სუ თორემ აგკუწავო. ხელმწიფეს როგორც სურს, ისე მოიქცევისო!

ხელმწიფეს ყველაზე ძალიან წითელი თვალი მოეწონა. მას ახლდნენ ერთი გვარის ვეზირნი ბრძენი და თეთრწვერანნი. სულ უკანასკნელი ვეზირი ასოცი წლისა იყო. მთიულ-ხელმწიფე და მისი ვეზირი რომ მივიდნენ, მოხუც ვეზირს უჩვენა წითელი თვალი ხელმწიფემ და ჰკითხა ღირსება. ვეზირმა აუხსნა: ხელმწიფის ქალის ლალის სისხლის წვეთი არის და ლალად ქცეულაო.

ხელმწიფემ ჩაიდო გულში: მთიულ-ხელმწიფეს ომს ავუტეხ და ქალაქს და ამისთანა ლალებს წავართმევო. მოხუცი ვეზირი წინ აღუდგა: — შენ ჯარით ზურგი მაგარი გაქვს, მთიულ-ხელმწიფეს სულ არა ჰყავს და უღონო კაცთან შებრძოლება სასირცხვილო იქნებაო.

ხელმწიფეს ჭკუაში მოუვიდა ვეზირის რჩევა, მაგრამ გულით უნდოდა მთიულ-ხელმწიფის ცხოვრება ენახა. ერთ ღამეს მიიპარა, შეიხედა ფანჯარაში, დაინახა ქალის შუქზე მთიულ-ხელმწიფე და ფირუზა ვეზირი სხედან და მუსაიფობენ. ხელმწიფე გაოცდა ქალის ელვარებაზე და შურით კინაღამ გული წაუვიდა. ამას ამისთანა ქალი უნდა ჰყავდეს ცოლად და მე კი არაო! იფიქრა, ჯერ რაიმე შარს მოვდებ, მერე ომს გამოვუცხადებ, ქალაქიც და ქალიც მე დამრჩებაო.

მივიდა სახლში, დილით კაცი გაგზავნა მთიულ-ხელმწიფესთან და შეუთვალა: — ბავშვები მიტირიან და ექვსი ამისთანა წითელი თვალი მიშოვეო.

მთიულ-ხელმწიფემ შეუთვალა: გინდა თორმეტს მოგართმევო. მონახა თავისი მამა-პაპური გუდა, ტანისამოსი, რომელიც შენახული ჰქონდა, ჩაიცვა ტყაპუჭი, დაიხურა ბოხოხი, წამოიკიდა გუდა და წავიდა წითელი თვლების საშოვნელად. ვარსკვლავამ და ვეზირმა ბევრი უშალეს, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყა. გაუდგა გზას. ფირუზა ვეზირს ეშინოდა, ძველ ხელმწიფეს ჩხუბი არ აეტეხნა მთიულ-ხელმწიფისათვის, არ დაემარცხებინა და ფირუზა მის ხელში არ ჩავარდნილიყო.

წყალთან, რომელშიც ლალი იპოვა, მთიულ-ხელმწიფემ დაიმკლავა, ჩაჰყო ხელი. აჰყვება და ჩაჰყვება წყალს, ვერ პოულობს წითელ თვალს. ბოლოს აჰყვება, მისდევს და მისდევს. წყალი ხვრელივით გაყვანილ ალაგში გადიოდა, შეჰყვა იქაც. მთლად დაბურული ტყეა. მთიულმა მიიხედ-მოიხედა, ერთ გამოქვაბულსავით ალაგში ქალი თმითა ჰკიდია. ქალმა დაინახა მთიული, ჰკითხა: — ადამიანი ხარ თუ მავნე სული?

მთიულმა უთხრა: — ადამიანი ვარო, მაგრამ თვითონ შენ ვინა ხარ, თმით რადა ჰკიდიხარო?

უცებ შეინძრა მიწა, ახმაურდა ტყე, აშრიალდა ფოთლები.

ქალმა უთხრა: — აგერ ცხრა წელიწადი სრულდება, თმითა ვკიდივარ, ცხრათავიანმა დევმა მომიტაცა, ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა, მე არ ვნებდები. მცემს, მტანჯავს, მაწვალებს, მაგრამ რაც ერთხელ ვთქვი, რომ არ მინდა ქმრად, ვერ გადამათქმევინაო. ახლა ეს ტყე რომ ხმაუროს, დედამიწა ინძრევა, ის მოდის. სადმე დაიმალე, თორემ მოგკლავსო. სახელად ლალი მქვიაო.

მთიული ბუჩქნარებში შეძვრა. სულგანაბული შიშით კანკალებდა. მოვიდა დევი და ქალს ჰკითხა: — არც ახლა დამნებდები, დავიწეროთ ჯვარი?

უნდა ცემა დაეწყო ქალისათვის. ქალმა უთხრა: — კარგი, დავიწეროთ ჯვარი, მომწყინდა, მოვიღალე ამდენი ტანჯვითაო.

დევმა სუნვა დაიწყო და ჰკითხა: — ადამიანი ხომ არავინ მოსულაო?

ქალმა უთხრა: — ადამიანს აქ რა მოიყვანდა? ადამიანი მე ვარ, ჩემი სული იქნებაო, მაგრამ შენ რომ წახვიდე. უშენოდ როგორღა უნდა გავძლო, სად იქნება შენი სული, რომ მე იმ ადგილს მაინც ვესურვილოო?

დევს გაეხარდა და უთხრა: — აი, იქ კლდეში იქნებაო.

ქალი მივიდა, ესურვილა, ეხვევა. დევი დარწმუნდა, რომ ქალს მართლა შეყვარებოდა დევი და უთხრა: — გამოგცადე, იქ ჩემი სული არ არის, — უჩვენა წყლით სავსე გუბე, — აი, ხომ ხედავ, როგორც ეს გუბე სავსეა წყლით, ჩემი ძალ-ღონეც სავსეა, თუ ეს წყალი ამოშრება, გამოიცლება, ჩემი ძალ-ღონეც დაიცლება.

გუბეს სანაპირო გაუჭრა. როგორც წყალი გადმოდიოდა, აკლდებოდა — დევის ძალ-ღონეც სუსტდებოდა. გუბეს ძირში ქვა იდო. გადააგორა ქვა, ამოიღო მწვანე წყლით სავსე შუშა: — აი, ჩემი სული ამ შუშაშია, თუ ეს შუშა გატყდა, წყალი დაიქცევა, თუ ვინმემ შუშა გატეხა, ნატეხს ფეხი დაადგა, მაშინვე მოვკვდებიო. ახლა ხომ გაიგე ყველაფერი და როცა გინდოდეს, ამ ადგილს ესურვილე, სანამ მოვიდოდეო.

შუშა ჩადგა, დაადგა ქვა, მიუგდო წყალი, გუბე აივსო, დევიც გაღაჟღაჟდა, გაივსო ძალ-ღონით და წავიდა ერთ მაღალ კლდეში, სადაც ცხრა დღე და ღამე უნდა სძინებოდა და მერე დაეწერა ჯვარი. ერთი დღე-ღამე გავიდა, ქალმა დაეწყო ძახილი მთიულს: — კაცო, გამოჩნდი, სადა ხარ!

მთიული შიშით ვერა ჩნდებოდა და გამოსძახა: — მეშინის, შენი ქვნესამე, მეშინისო!

ქალმა უთხრა: — ნუ გეშინია, ცხრა დღე-ღამე უნდა ეძინოსო.

მთიული გამოვიდა ბუჩქიდან, რაც დევს ელაპარაკა თავის სულზე, მთიულს სულ გაეგონა. ქალმა გუბე გახსნა. წყალი დაიცალა. მთიულმა ქვა გადააგდო, შუშა ამოიღო, უჭირავს ხელში. ქალმა ჰკითხა: — რატომ არ გატეხავო?

— თორმეტი ცალი წითელი თვალი მიშოვე და მაშინ გავტეხავო, თუ არადა არც მე გავტეხ, არც შენ გაგატეხინებო.

შეინძრა დედამიწა, ახმაურდა ხე-ტყე, აშრიალდა ფოთლები: დაინახა ქალმა, დევი მოდის, დაუყვირა მთიულს: — გავტეხოთ, მოგცემ ლალებსაო.

გამოსტაცა შუშა, ის იყო დევმა მოატანა, ქალმა დაანარცხა შუშა, შუშა დაიმსხვრა, ქალმა ნატეხებს ფეხი გაუსვა და დევიც უსულოდ დავარდა ძირს.

მთიული და ქალი მიდიოდნენ. მთიული ეჩხუბებოდა გზადაგზა:

— წითელი თვლები მომეცი, არ მომატყუო, ხელმწიფეს დაეპირდიო.

გზაში იადავარდის თაიგული იპოვა მთიულმა. ჩაიგდო გუდაში. მივიდნენ სახლში. ვარსკვლავამ და ქალმა იცვნეს ერთმანეთი, გადა-

ეხვევნენ. დები იყვნენ ლალი და ვარსკვლავა. ლალმა მოაყვანინა დალაქი, ნეკში სისხლი გამოაშვებინა, წყლით სავსე ოქროს თასში თორმეტი წვეთი ჩააგდო — ლალის თვლებად გადაიქცა. მთიულ-ხელმწიფემ და ფირუზამ წაუღეს თორმეტი ლალი ხელმწიფეს, მთიულს გზაში მოაგონდა თაიგული, გაიქცა სახლში, მონახა გუდა. ამოიღო, მოიტანა, ლალებს ზემოდან დაადო თაიგული და მიართვა ხელმწიფეს. ხელმწიფეს ძალიან მოუვიდა თვალში და სთხოვა: — ამისთანა თაიგული კიდევ მიშოვეო.

მთიულ-ხელმწიფე შეპირდა, მოგართმევო.

მივიდა თუ არა სახლში, გაიხადა სახელმწიფო ტანისამოსი, ჩაიცვა ძველი მთიულური, წამოიკიდა გუდა და დაუპირა წასვლა. ლალმა და ვარსკვლავამ ჰკითხეს: — თაიგული სად იპოვნეო?

მთიულმა უთხრა ლალს: — მე და შენ რომ მოვდიოდით, მაშინ ვიპოვნეო.

დებმა დაარიგეს: — ამა და ამ ადგილას ორმოცი წლის კაცს ნახავ. მეორე ადგილას შეგხვდება სამოცი წლისა, მესამე ადგილას — ოთხმოცი წლისა. სამთავენი ძმები არიან, ფერიების ხელმწიფის მებაღეები. თუ გაშოვნინებენ თაიგულს, ისინი გაშოვნინებენ. რომ მიხვიდე, სამთავე ძმას ძმობა უთხარი, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩებიო.

მთიული მივიდა მოხუც კაცთან. — ძმობას, ერთი თაიგული მომეცი.

მოხუცმა უთხრა: — ძმობა არ გეთქვა აქვე გაგათავებდიო.

დასვა. საჭმელი მიუტანა, აჭამა პური. გაგზავნა შუათანა ძმასთან, თასი გაატანა ნიშნად. მთიულმა მეორე ძმასაც ძმობა უთხრა და თაიგული სთხოვა. შუათანა ძმამ დასვა, საჭმელი მიუტანა, აჭამა პური, გაატანა თასი, — გაგზავნა უმცროს ძმასთან და უთხრა: — უმცროსი ძმა ფერიების ბაღის მებაღეა და ის გიშოვნის თაიგულსო.

მთიულ-ხელმწიფე მივიდა მესამე ძმასთან, უთხრა ძმობა და შეეხვეწა, თაიგული მიშოვნეო. უმცროსმა ძმამ უთხრა:—ჩაიარე, აუზს ნახავ ფერიების ხელმწიფის ცოლი და ქალები იმ აუზში ბანაობენ. ჯერ ჩიტებად ჩამოვლენ, მერე მტრედებად იქცევიან, ძირს რომ ჩამოვლენ, ადამიანებად გადაიქცევიან. აუზთან ამოთხარე მიწა, ჩაიმალე. ზემოდან ტანისამოსზე სამკაულს დააწყობენ. პირველად დედა იბანავებს. მერე ქალები. დედის რაიმე ნივთი აიღე, თხოვნას დაგიწყებს. რადგან ვეღარ აფრინდება. შენ რაც გინდა მოსთხოვე, მაგრამ სანამ ლალი და ვარსკვლავა არ დაიფიცოს, არ დაანებო ნივთი, არც გამოჩნდე.

მთიულმა ამოთხარა აუზთან მიწა, ჩაიმალა, თავზე ფიცრები დაიფარა. ჩამოფრინდნენ მტრედები, იქცნენ ადამიანებად. დაიხადეს ტანისამოსი და დააწყეს ფიცარზე. მთიულმა ამოყო ხელი, ჩაიტანა დედის ბეჭედი. იბანავა დედამ, ჩაიცვა. ნივთი დაისაკლისა. მოკუვა ძახილს: ვინ წაიღო ჩემი ბეჭედი, რა სულიერი ხარ, მომეცი და რასაც მთხოვ, მოგცემო.

მთიულმა ამოსძახა: — ლალი და ვარსკვლავა შემომფიცეო.

ქალმა დაიფიცა. მთიული ამოვიდა ორმოდან. მისცა ბეჭედი და უამბო თავგადასავალი: სად ცხოვრობდა, ვისთან, რისთვის იყო წამოსული. ქალმა დაიწყო ტირილი. დები მოაგონდა, გააგებინა. რომ ცოლის და იყო მისი. დაიბარა თერთმეტი ფერია ტახტრევანით, დასხდნენ იადავარდი და მთიული და ციმციმით წაიღეს ტახტრევანი ფერიებმა. ფირუზა ვეზირმა შორით დაინახა რაღაც ღრუბელივით. შეუტანა ამბავი ლალის და ვარსკვლავას. გამოვიდნენ, დაუწყეს ცქერა. იცნეს და შეექმნათ სიხარული, სიცილი, ხარხარი. მოეხვივნენ ტახტრევანს და გადმოიყვანეს. იადავარდი რამდენსაც გაიცინებდა, ია და ვარდის თაიგულები სცვიოდა. სიხარულის ცრემლი გადმოვარდებოდა — მარგალიტად ვარდებოდა ძირს. მთიულ-ხელმწიფე მოირთო. ოქროს თასზე დაწყო ია და ვარდის თაიგულები და მიართვა ხელმწიფეს.

ხელმწიფეს უკვირს, თუ სად შოულობს მთიული ასეთ ნივთებს. ერთ ღამეს მიიპარა კიდევ მთიულ-ხელმწიფის სახლთან, შეიხედა ფანჯარაში. მთიულ-ხელმწიფეს მოსხდომიან სამი მზესავით მნათობი ქალი და სადილობენ, ხელმწიფე ავად გახდა ჯავრით. მივიდა სახლში, მოკლა მოხუცი ვეზირი, რად დამიშალა მთიულ-ხელმწიფესთან ომიო, აქამდის მთიულ-ხელმწიფის ბედნიერება მე მექნებოდაო. შეუთვალა მთიულ-ხელმწიფეს, ომს გიცხადებ და მზად იყავიო. იადავარდმა მაშინვე თერთმეტი ფერია გაგზავნა ფერიების ჯარის მოსაყვანად თავიანთი ხელმწიფით.

როგორც ხელმწიფის ჯარი წამოვიდა, მთიულ-ხელმწიფეზე საომრად, გაჩნდა ცეცხლის წვიმა, ჯარი სულ განადგურდა და ძველი ქალაქიც მთიულ-ხელმწიფეს დარჩა.

ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა — ერთი მთქმელსა, ერთი გამგონეთა, ერთი ამ ზღაპრის გამომთქმელსა.

ზღაპარი მიხდორთ ქალისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი შგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი მდიდარი კაცი, ჰყავდა სამი ქალი და ერთიც ვაჟი. რომ დაბერდა და მოაწია სიკვდილის ჟამმა, დაიბარა მამამ თავისი ერთადერთი ვაჟი და უთხრა: შვილო, ღვთით და ბედით ამოდენა სარჩო შემიძენია, თავიც დამიშვრია, ხალხიც შემიწუხებია, თქვენც მომიზდიხართ, ახლა ჩემი ამქვეყნად ყოფნის ბოლოც მოვიდა, ვკვდები, შვილო, და ერთი სურვილიც ამისრულე: ეს სამი ცოდვის შვილი, შენი დები, გაათხოვე. საქმროებისათვის ნუ შეწუხდები: ვინც პირველი მოგივიდეს, იმას მიეციო. — მაგისა ნუ გეფიქრებაო, — უპასუხა შვილმა. მოკვდა ეს მდიდარი კაცი. დაასაფლავა შვილმა, როგორც წესი და რიგი იყო.

გავიდა რამდენიმე დღე, ვაჟი კარებზე ზის და უცქერის გზას. შორს სადღაც ერთი კაცი გამოჩნდა: იარა, იარა, მოვიდა ვაჟთან, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ უთხრა: შენი უფროსი და მე უნდა მომცე ცოლადაო. ვაჟს მოაგონდა მამის ანდერძი და უთხრა უცნობ კაცს: კარგი, მოგცემ დას, მაგრამ არ უნდა მითხრა შენი გვარი და სახელი, ან ვინა ხარ, სად მიხვალ, რა ხელობისა ხარ? არ გინდა, ან მგზავრი მოვიდე შენთან, ან მტრის შეწუხებული, ან სამოკეთეოდ? იქნება ერთი გავარდნილი მეკობრე ხარ, რა ვიცი; მე შენ და მოგცე, წაიყვანო და სატყვეოს გაჰყიდო. — მე შენთან არც გვარისა და სახელის სათქმელად მოვსულვარ და არც სალაპარაკოდ, თუ გინდა, შენი და მომეცი, არა და შენც მშვიდობით და მეცაო.—ის იყო, უნდა წასულიყო, მაგრამ ვაჟმა იფიქრა: კაცო, მამიჩემის ანდერძი ეგრეა და ჩემი ცოდვა ხომ არ იქნებაო. გამოიყვანა უფროსი და და მისცა. გადისვა უცნობმა კაცმა ეს ქალი ცხენზე და გაჰქრა.

გავიდა ხანი, მოვიდა მეორე კაცი და სთხოვა ვაჟს შუათანა და ცოლად. ვაჟმა მასაც ჰკითხა: ვინა ხარ, კაცო, სადაური ხარ, სად მიხვალ, რა გქვიან, რას აკეთებ, რჯულიანი ხარ თუ ურჯულოო. არ გინდა ან სტუმრად მოგივიდე, ან მტრის გამოხვეწილი შენ სახლში შევეფარო, ან გზობას საგზალ გათავებული მოვიდე, ან გაჭირვებაში შველა გთხოვო. ჩემი და არის, ჩემი სისხლი და ხორცი, აბა ვის უნდა თავისი და ან ძმა დაკარგულ-დავიწყებულიო. — მე შენ არცარა სახელს გეტყვი და არცარა გვარს. თუ გინდა, მომეცი წენი და ცოლად, არ გინდა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე ჩემთვის წავალ და შენ კიდე შენთვის დარჩებიო, — უპასუხა სასიძომ. რაღას იზამ-

და ვაჟი, მისცა შუათანა დაც და ცოტა გული იმით გაიკეთა, რომ მამის ანდერძი იყო ეგრე; ჩემი ჭკუით ხომ არ მოვიხდინე ეგ საქმე და დები არ გადავყარეო.

მოვიდა ცოტა ხნის შემდეგ მესამე კაცი და სთხოვა მანაც და ცოლად. ვაჟმა მასაც ისე ჰკითხა და უთხრა, როგორც პირველს და მეორეს, მაგრამ მანაც ისე უპასუხა რას იზამდა ვაჟი, მისცა მასაც უმცროსი და. წავიდა მესამე სიძე, წაიყვანა უმცროსი და. დარჩა ვაჟი მარტოკა. შემოეყარა გულს, იფიქრა: ეს მამაც მომიკვდა, ეს დებიც ისე გადავკარგე, რომ მათი საცხოვრებელი ადგილის მხარეც არ ვიცი, რიღას მუშა ვარ, რაღასთვის უნდა ვიცოცხლო. ვეღარ გაუძლო დარდსა და სევდას. ადგა და ჩაჯდა საბნელოს. აღარც დღე გამოდის და აღარც ღამე. ზის იქ და ზის. გაიგონა ეს ხელმწიფემ, დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უთხრა, რომ ისეთი კაცი იშოვეთ, ის ახალგაზრდა ვაჟი საბნელოდან გამოიყვანოს და ამდენსა და ამდენს მივცემო. ერთი ბებერი იპოვნეს. მან თქვა, რომ ერთი ოციოდე ბავშვი მომეცით, მე წავალ და მე გამოვიყვანო. — თუნდა ასი წაიყვანე, ოღონდ გამოიყვანეო, — უთხრეს ბებერს. მისცეს ბავშვები და დაუწყეს მოლოდინი.

წაასხა ბებერმა ბავშვები, მისცა ბურთი, მიიყვანა საბნელოს ბანზე და უბრძანა, რომ ეთამაშათ საღამომდის. გააბეს ბალღებმა თამაშობა. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ერთმანეთი საბნელოს ბანზე. ითმინა ვაჟმაც საბნელოში, ითმინა, ბოლოს მოთმინება გამოელია. გამოუვარდა ამ ბალღებს და გამოუდგა საცემად. რაკი ხელმწიფის კაცებმა დაინახეს საბნელოდან გამოსული ვაჟი, სწვდნენ და გააკავეს. გაკავებული ვაჟი მიიყვანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფემ გაანთავისუფლა და ჰკითხა: რა იყო მიზეზი, საბნელოს რისთვის ჩაჯეკეო? — ერთი მამა მყავდაო, — უპასუხა ვაჟმა, — ისიც დავმარხე. სამი და მყავდა, ისინიც ისე გადავკარგე; ისეთ კაცებს მივეცი, რომ მათი კვალიც კი არ ვიცი, საითკენ წავიდნენო. — ვის მიზეზით მიეცი დები ისეთ კაცებსო? — ჰკითხა ხელმწიფემ. — მამის ანდერძი იყო, ვინც პირველი მოვიდოდა, ულაპარაკოდ იმისთვის უნდა მიმეცაო. — მაშ, თუ მამაშენის ანდერძი იყო, — უთხრა ხელმწიფემ, — ტყუილად შეგიწუხებია თავიო. მამაშენს რომ ჭკუა არა ჰქონოდა, მაგოდენა სარჩოს ვერ შეიძენდაო. ტყუილად სტირი, თავის დროზე დებსაც ნახავ და სიძეებსაც, გული გაიკეთე, ნუ სწუხარო.

დანიშნა ხელმწიფემ ჯარების უფროსად და დაიყენა გვერდზე. ერთხელ ჯარი სანადიროდ იყო გასული. ვაჟიც იქ იყო. შუა მინდორზე უცებ ერთი ქალი დაინახეს, ყვავილებზე დახტის, ხან ერთ ყვა-

ვილზე შეხტება და დაჯდება, ხან სხვაზე ისეთი ლამაზია, რომ უფრო მშვენიერს ვერც ნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს. შემოეხვევა მაშინვე ჯარები ამ ქალს დასაჭერად, მაგრამ ის აფრინდება, გადაუვლის თავზე ჯარს, გასცდება, გავა მინდორზე და ახლა იქ დაიწყებს თამაშობას. გამოუდგება მთელი ჯარი, ჯარების უფროსი ვაჟიც. მიხტუნავს ქალი, მიჰყვებიან ესენი უკან, მაგრამ ვინ დაეწევა? მირბის, მიფრინავს ქალი, მისდევს ჯარიც. ყველას დევნაში დაეხოცათ ცხენები, ვაჟს ისევა ჰყავს. ივლიან ქალი და ვაჟი, ივლიან, გადაუვარდა ვაჟსაც ცხენი, ვერ დაეწევა.

გასცდება ქალი და გაივლის. ვაჟი მიიხედ-მოიხედავს, სადღაა ნაცნობი ადგილები: აღარსად ჯარია, აღარსად სოფელ-ქალაქი. არც ერთი კაცი ჩანს და არც ერთი სახლი. შემოეყრება გულს, დაჯდება და დაიწყებს ტირილს. მოვა ქალი ახლოს, ჩამოჯდება ერთ ყვავილზე, შემოიდებს ფეხს ფეხზე და დაუწყებს ლაპარაკს: სირცხვილი არ არის. კაცი არა ხარ, რა გატირებს! ადექი, გაიარ-გამოიარე. ქვეყანა ფართოა. შენ დამჯდარხარ, დაგიკრეფია გულ-ხელი და ქალივით სტირიო. ადგა ვაჟი, მოიწმინდა თვალები, მიიხედ-მოიხედა და შორს ერთი თეთრი სახლი დაინახა, გაეშურა კიდეც მაშინვე მისკენ.

იარა, იარა და მივიდა იმ სახლთან. ხელმწიფის სასახლე ეგონებოდა კაცს, ისეთი სახლი და კარი იყო. სახლის წინ ერთი ვერცხლისლულიანი წყარო იყო. მივიდა ვაჟი მშიერ-მწყურვალი და დაჯდა წყაროსთან. გამოვიდა იმ სახლიდან ერთი მრახლე გოგო და მოიტანა პატარა სურა წყლის წასაღებად. ვაჟმა სთხოვა: დამალევინე წყალიო. გოგომ მისცა. ვაჟმა წყლის სმაში თავის ბეჭედი სურაში ჩააგდო და მისცა ქალს. გოგომ წაიღო სურა და მიუტანა თავის ქალბატონს. ქალმა დალია წყალი და ბეჭედი კი წამოვარდა. ისეთი სურა ყოფილიყო, რომ ერთხელ დალევდა და გათავდებოდა. როდესაც მოწყურდებოდა, ახალ-ახალი შემოჰქონდათ. ქალმა რომ დაინახა ბეჭედი, ერთი დაიკივლა სიხარულისაგან. გოგოს ჰკითხა: ვინ მოგცა ეს ბეჭედიო?! — ჩემთვის არავის არ მოუცია. მანდ, წყაროზე ერთი კაცი ზის, იმან მთხოვა სურა და თუ ჩააგდებდა, ის ჩააგდებდა, სხვა არავინაო. მაშინვე გაგზავნა ქალმა გოგო და უთხრა: აქ მოვიდესო.

წამოვიდა ვაჟი და ქალმა და ვაჟმა ერთმანეთი კი ჩაჰკოცნეს. ის ქალი ვაჟის უფროსი და იყო. ჰკითხა დამ მოსვლის მიზეზი. ძმამ უამბო, რომ მინდორში ერთი ქალი ვნახე, მისმა სილამაზემ დამწვა. გამოვუდექი, ვდიე, ვდიე, მაგრამ ვერ დავიჭირე: თითო გუთნის გაშლაზე ხტებოდაო. მერე ცხენი დამივარდა და დავანებე თავიო. საი-

მოზარემ, ეგონა, ჭინჭრაქაც გულამოსკვნით მოსთქვამსო. ის-კი არ იცოდა, რომ მისმა ზარმა მთლად გააყრუა იქაურობა და ჭინჭრაქაც სირცხვილით მიიმალა.

მობრუნდა უკან ჭიჭინობელა და იკითხა, რას შვრება მოტირალიო? მაგრამ ჭინჭრაქა იქ ვეღარა ნახა, თვალიღა მოჰკრა, რომ შორს, ღობეში შემძვრალიყო და იმალებოდა. დასწყევლა მაშინ მოზარე-ჭიჭინობელამ მოტირალი ჭინჭრაქა და სთქვა: სანამდის ჭიჭინობელა ჭიჭინობს, ჭინჭრაქას ჯილაგმა თავი მაღლა ვერ იჩინოსო. მას აქეთია, რომ ჭინჭრაქა, როცა ჭიჭინობელა ჭიჭინობს, სამს თვეს ღობე-ღობე დაძვრება და თავი ვეღარ გამოუყვია.

რწყილი და ჭიანჭველა

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ, წავიდნენ გზასა. მიადგნენ ერთ რუსა. რწყილმა უთხრა ჭიანჭველასა: — მე გადავხტები და შენ რაღა გეშველებაო? — განა მე კი ვერ გადავხტებიო?! —უთხრა ჭიანჭველამ.

რწყილმა ისკუპა — გადახტა; ჭიანჭველამ ისკუპა — წყალში ჩავარდა. შეეხვეწა რწყილსა: — ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და სთხოვა:

— ღორო, მომე ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ღორმა უთხრა: — შენ რომ ჩემთვის რკო მოგიტანიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

— მუხავ, მომე რკო,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

დანლაც აქ მოვაგენ თქვენ სახლს და მოვედი, თორემ საჩიტ-საყორ-ნედ გავხდებოდი მინდორში უსმელ-უქმელობითო. — ვაჰმე, ძმაო, გე-ნაცვალოს შენი დაო, — უთხრა დამ, — ის ქალი რო ეგეთი ადვილი დასაჭერი იყოს, შენს სიძეს მე რად ვუნდოდი, იმას მოიყვანდაო. ის ისეთი ქალია, ისეთი ბედი აქვს, რომ კაცი რომ დაეწიოს და დაი-ჭიროს, მაშინვე მოკვდებაო.

საღამოზე მოვიდა მისი სიძეც. დამ დამალა ვაჟი, უცებ რომ გნა-ხავს აქ, ვაითუ მტერი ეგონო და მოგკლასო. დამალა და მოვიდა არ-წივიც: უფროსი დის ქმარს არწივი ერქვა. ცოლმა უთხრა, რომ აქ შენი ცოლისძმა არის და ხომ არაფერს დაუშავებო. — რას დავუ-შავებ, ძლივაც მოველი მის ნახვასაო, — უთხრა არწივმა, — მაჩვე-ნეო. გამოვიდა ვაჟიც. გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი და ჰკითხა არწივმაც მისვლის მიზეზი. ვაჟმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. არწივმა უთხრა: — ნუ გე-წყინება კი, ცოლისძმავ, და იმას კი გეტყვი: მისი დაჭერა რომ რო-გორმე შეიძლებოდეს, მე შენი და რათ მინდოდა ცოლად, იმას მო-ვიყვანდიო. შენ ჯერ ჩემისთანა ვერა ხარ და აბა იმას როგორ დაი-ჭერო. ისევ ისა სჯობია, თავი დაანებო, ტყუილად არ იტანჯებოდე. ცოლსაც გიშოვით და ყველაფერს, იმას თავი დაანებეო. — არაო,— უპასუხა ვაჟმა, — ისევ მოვკვდები და იმას კი თავს არ დავანებებო. შენ, ჩემო სიძევ, უნდა იზარალო, მეტი ღონე არ არის და რაც უნდა დასაკლებარი იყვეს შენთვის, ერთი ცხენი მომცეო. — ცხენისა რაღა თხოვნა გინდაო, — უთხრა არწივმა, — ჩემს ჯოგებს მთელი მინდვ-რები უჭერია, თუნდა მთელი ჯოგი წაასხი, თუ რასმე იზამ. მაგრამ მე გირჩევ ისევ თავი დაანებო. — იმას კი ვერ დავანებებ თავსა და ისევ იმის დევნაში კი მოვკვდებიო, — უთხრა გადაკრით ვაჟმა. — მაშ მე ისეთ ცხენს მოგცემო, — უთხრა არწივმა, — რომ თითო გუთნის გა-შლას გადადიოდესო. ვაჟს მოაგონდა რომ, ქალი თითო გუთნის გაშ-ლას გადადიოდა, და ძალიან გაუხარდა.

მაშინვე შეჯდა ცხენზე, გამოეთხოვა მათ და გაუდგა გზას. მალე მინდორთ ქალიცა ნახა. ისევ გაექცა ქალი, მაგრამ ვაჟის ცხენი გადა-დის ერთი გუთნის გაშლაზე და ქალი კიდე ორ გუთნის გაშლაზე ხტე-ბა. ქალსაც, ცოტა არ იყოს, მოსწონს ვაჟი, მაგრამ რომ დაეჭერინოს, მოკვდება და იმიტომ არ ეჭერინება. როდესაც ვაჟი ჩამორჩება, ქალი უცდის, ხტება ყვავილებზე, მათ წვენს წყლადა სვამს და მათ მტვერს პურად ჭამს. ირბინა ქალმა, ირბინა ვაჟმა. გაუსქდა ცხენი და დარჩა ისევ ხელცარიელი. დაჯდა და დაიწყო ტირილი. მოვიდა ქალი, დაჯდა მის პირდაპირ ერთ ბალახზე. — არა გრცხვენია, კაცი არა ხარ, ქუდი

არა გხურავს, რომ სტირიო, — უთხრა ქალმა, — რა გატირებს, შენ კაცი კი არა ყოფილხარ, ქალი ყოფილხარ. შენ ტირილის მეტი არაფერი გცოდნია, შენ მე როგორ დამიჭერო, ადექი, ქვეყანა განიერია, მიიხედ-მოიხედე, გაიარ-გამოიარე, წამალს თვითონვე იპოვიო.

ადგა, მართლაც, ვაჟი, დაანება ტირილს თავი, წავიდა. გაიხედა და შორს სადღაც დაინახა ერთი სახლი. წავიდა იმ სახლთან. იქ შუათანა და ჰყოლიყო ფასკუნჯს. იმასთანაც შევიდა, უამბო დას თავისი ამბავი, დამაც დაუშალა: ტყუილად ნუ ეწვალები, თავი დაანებეო. შენი სიძეც კაი ბიჭია, მაგანაც სდია იმ ქალს დასაჭერად, მაგრამ სიკვდილის შვილი იმას ვერ დაიჭერსო. საღამოზე მოვიდა სახლში ფასკუნჯიც. ფასკუნჯსაც უამბო თავის თავგადასავალი ვაჟმა. უთხრა ისიც, სადაც მიდიოდა, მაგრამ იმან არ მოუწონა: შენი და რად მინდოდა, რომ ასეთი ადვილი დასაჭერი ყოფილიყო ის ქალიო? იმას თავი დაანებე, ტყუილად ნუ იკლავ თავსაო! — შენ ერთი ცხენი მომეციო, — უთხრა ვაჟმა, — შენი სხვა არაფერი მინდა, ეგ მიჭირს და სხვისა მე ვიციო. მისცა ფასკუნჯმა ისეთი ცხენი, რომ ორ გუთნის გაშლასა ხტებოდა. გამოეთხოვა და-სიძეს ვაჟი, შეჯდა რაშზე და გასწია.

მირბოდა ქალი, ხტებოდა სამ გუთნის გაშლას, მიჰყვებოდა ვაჟი, მაგრამ ორ გუთნის გაშლას ძლივს გადადიოდა მისი ცხენი. ჩამორჩა ისევ უკან: დაუვარდა ცხენი და დარჩა ისევ ტრიალ მინდორზე. არსად კაცი და არსაც სხვა ცხოველი. შეწუხდა, ამოუჯდა გული და დაიწყო ტირილი. იტირა, ბევრს იტირებდა, თუ ცოტას, მოვიდა ქალი, დაუჯდა პირდაპირ ბალახზე, გადიდო ფეხი ფეხზე და დასცინა ისევ. მერე კი გაუჯავრდა: ადექი ფეხზე, თუ კაცი ხარ, თუ არადა, წადი სასიცოცხლო არა ჰყოფილხარო! — ადგა ვაჟი, დაანება ტირილს თავი, მიიხედ-მოიხედა, შორს ერთი სასახლე დაინახა. მაშინვე მისაკენ გასწია. სახლის წინ წყარო იყო. წყალი სწყუროდა. მივიდა იმ წყაროსთან და დაჯდა.

მოვიდა ერთი გოგო, მოიტანა ერთი პატარა სურა და მიუდგა ოჭროს ლულას. ვაჟმა სთხოვა: დამალეინეო. მისცა გოგომაც წყლის ჭურჭელი. ვაჟმა დალია წყალი, შიგ სურაში ბეჭედი ჩააგდო და ისე შისცა გოგოს. გოგომ მიუტანა წყალი. დალია ქალმა და ბეჭედი კი წამოვარდა იქიდან. ქალმა მაშინვე ჰკითხა გოგოს: საიდან იშოვე ბეჭედი, ვინ მოგცაო? — არავინაო, — უპასუხა გოგომ, — იქ წყაროზე ერთი ვაჟი იჯდა, წყალი დავალევინე და იქნება იმან ჩაგდოო.—წადი და ახლავე აქ მოიყვანე ის კაციო, — უთხრა ქალმა გოგოს. მოვიდა ვაჟი და დაჰკოცნეს ერთმანეთი. ქალი უმცროსი და იყო ვაჟისა. გამოჰკითხა ქალმა ძმას მოსვლის მიზეზი. ძმამაც ყველაფერი უამბო.

ვაი შენს დასაო, — უპასუხა დამ, — იმის დაჭერა რომ ეგრე ადვილი იყოს, შენ სიძეს მე რად ვუნდოდი, იმას მოიყვანდაო. იმას ვერავინ ვერ დაიჭერს, რადგან დაჭერაზე ჰკიდია მისი სიკვდილ-სიცოცხლეო. დამალა ძმა დამ: სიძე რომ მოვა, უცებ რომ გნახავს, ვაითუ რამე გავნოსო.

საღამოზე მოვიდა გველვეშაპი. იკითხა: აქ ხომ არავინ მოსულაო? ცოლმა უთხრა: არავინაო. მერე ჰკითხა: შენი ცოლის ძმა რომ აქ საიდანმე მოვიდეს, რას იტყოდიო?—გადაეხვეოდი და ვაკოცებდიო. გამოუჩინა მაშინვე ქალმა გველვეშაპს ვაჟი. სიძე-ცოლისძმამ ერთმანეთი გადაჰკოცნეს. — რისათვის გარჯილხარ, რა ქარმა შემოგაგდო აქაო? — ჰკითხა სიძემ ცოლისძმას. სიძეს უამბო თავისი თავგადასავალი, თავისი გაჭირვება და შეწუხება. — შე სიძე მომკვდარო, რაზე შეიწუხე არა უბრალოზე თავიო. ის ქალი რომ ეგრე ადვილი დასაჭერი იყოს, ხომ შენ დას აღარ მოვიყვანდი ცოლადაო. ისევ ისა სჯობია, თავი დაანებო და უკან დაბრუნდეო. — ბრაო, — უპასუხა ვაჟმა, — ახლა ტყუილადღა ვინმე მეტყვის, თავი დაანებეო. ახლა აღარ დავანებებ თავს, თუნდაც ვიცოდე, რომ მაშინვე მოვკვდები, როგორც კი შენს სახლს გავცდები. თუ სიკეთეს მიზამ, სიძეე, მიყავ სიკეთე, შენი სხვა არაფერი მინდა და ერთი ცხენი კი მომეც, რომ იმას გამოვუდგეო. — ცხენის მოცემა რა ზარალია, თუნდა ორმოცი და სამოცი წაიყვანეო, — უპასუხა სიძემ, — მაგრამ კიდევ გეუბნები, რომ ტყუილად ივლიო. — არა და არაო! ვაჟმა გამოართვა ცხენი, რომ სამ გუთნის გაშლაზე ხტებოდა, გამოეთხოვა და-სიძეს და გამოეკიდა ისევ ქალს.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გავიდნენ სულ უცნობ ადგილას. ირბინეს ბევრი, ირბინეს, ეს ცხენი ხტება სამ გუთნის გაშლას, ქალი კიდევ ოთხს. დაუვარდა ბოლოს მესამე ცხენიც, დაჯდა და დაიწყო ისევ ტირილი. არსად კაცი ვინმე იყო, აღარსად სახლი და კარი. სიძეებსაც გამოსცდა, ვისთანღა მივიდოდა, გადაუწყდა იმედი და ტირის. მოვა ქალი, დაჯდება ვაჟის პირდაპირ ბალახის ფოთოლზე, შემოიდებს ფეხს ფეხზე და ეტყვის: კიდევა სტირი, კაცი არა ხარ, ფუი შენს კაცობას! ადექი, მიიხედ-მაიხედე, ან ავსა ნახავ, ან კარგს, ყველაფერი საჯარგებლოდ მოიხმარეო. შერცხვება ვაჟსაც, ადგება და გაივლის ცოტა მინდორს. სამ ეშმაკს დაინახავს, ჩხუბობენ, ხოცავენ ერთმანეთს და არავინ აშველებს კი, მათ მეტი კაცი იქ არავინ არის. ვაჟი მაშინვე მივა იმათთან და ჰკითხავს: რა გაჩხუბებთ, რა გაქვთ გასაყოფი?— ჩვენაო, — უთხრა ერთმა ეშმაკმა, — ერთი ხალიჩა გვაქვს, იმ ხალიჩას რომ უთხრა:—„ჰკა, ხალიჩაო“ და შეჯდე ზედ, სადაც გინდა, იქით-

კენ გაგიტაცებსო. ერთი სავარცხელი გვაქვს, უშველებელი კლდე რომ იყვეს, რომ კაცმა თვალი ვერ შეაწვდინოს, სავარცხელს რომ უთხრა: „ჰკა, სავარცხელო“, ისეთი კიბე აესხმის, როგორც მინდორი სარბენი. ერთი სალესავი გვაქვს, რომ უთხრა სალესავს: „ჰკა, სალესავო“ და ზღვაში რო ჩააგდო, სულ გააშრობს ზღვასაო. ახლა ეს ხალიჩა, სავარცხელი და სალესავი უნდა გავიყოთ და იმაზედა გვაქვს ჩხუბი და ვერ მოვშველებულვართ. თუ შეგიძლია, გაგვაშველეო. — ძალიან კარგიო, — უთხრა ვაჟმა, — მე გაგაშველებთ. აი გავკრავ ისარს, უნდა გაიქცეთ, ვინც პირველი მოხვალთ და მაიტანთ ისარს, იმას ხალიჩა, ვინც მეორე — იმას სალესავი და ვინც მესამე, იმას სავარცხელი ერგებაო.

გაუხარდათ ეშმაკებს: ძალიან კარგი სამართალიაო. ჩადო ისარი ვაჟმა მშვილდში, მოსწია და გაისროლა. ისარი ცხრა მთას იქით გადავარდა. გაიქცნენ ეშმაკებიც მოსატანად. ვაჟსაც ეს უნდოდა. ისენი რომ გადაეფარნენ გორას, ვაჟი შეჯდა ხალიჩაზე აიღო სალესავი და სავარცხელიც, უთხრა: „ჰკა, ხალიჩაო“ და გაფრინდა ქარზე ჩქარა. გამოუდგა ქალს. ქალი მიხტოდა ჩქარ-ჩქარა, მაგრამ ხალიჩას ახლა ისე ვეღარ ასწრებდა.

გადაირბინეს მთელი მინდვრები და უშველებელ კლდეებს მოადგნენ. ქალი ჯერ ცოტათი შედგა, მერე ისკუპა და გადააფრინდა ზედ.— „ჰკა, სავარცხელო“,—უთხრა ვაჟმა სავარცხელს და კლდეს სულ კიბე აესხა. ავარდა ხალიჩა ზედ და გამოუდგა ვაჟი ისევ ქალს. ირბინეს, ბევრი ირბინეს და მოადგნენ ერთ ზღვას. მოუცურდა ქალი და მიდის. — „ჰკა სალესაოო“, — უთხრა ვაჟმა სალესავს, ჩააგდო ზღვაში და ზღვა სულ ერთიან ამოშრა. გაირბინა მშრალი ზღვის ძირზე ხალიჩამ. მირბიან, მირბიან და მიეწია ვაჟიც. ის-ის არის უნდა წაავლოს ხელი, შევარდა ქალი მამის სახლში და შეიჭრა კარებში. ვაჟმა ჩიქილის მოხდა კი მოასწრო, ხელში შერჩა. შევიდა ქალი მამასთან და მოეგება მამაც: რას გამოექე, შვილო, რა იყო, რამ დაგღალაო?

ქალმა უამბო მამას ესე, ესე ერთი ვაჟი გამომეკიდა, გამოვექე და კარებამდე მომყვა, ჩიქილა წამართვაო. მაშინვე გამოვიდა ქალის მამა, გადაეხვია ვაჟს და დაუწყო კოცნა: როგორ სიძესაც ვთხოვდი ღმერთს, ისეთი მომცაო. შეიპატიჟა შინ, მოუსვა ქალი გვერდს და გაუმასპინძლდა.

ახლა ქალის ბედი ისე იყო, რომ თუ ვაჟი ვინმე დაიჭერდა სახლამდის ქალს, ქალი მოკვდებოდა; თუ სახლამდის მიჰყვებოდა და ისეთი ყოჩაღი იქნებოდა, ქალი ცოლად გაჰყვებოდა. შეირთო მინდორთ ქალი ვაჟმა, დაიწერა ჯვარი და დაბრუნდა თავის სახელმწიფოში. მინ-

დორთ ქალი და ვაჟი ახლაც ცოცხლები არიან. ხშირათა ხედავენ ხოლმე მინდორთ ქალს, ყვავილებზე მხტუნავს.

ჰირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა მელასა, ჰიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ჯვარი გეწეროთ ყველასა.

ზღაპარი ველის ყვავილისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი, ჰყავდა სამი ქალი: უფროსი ია, შუათანა ვარდი და უმცროსი ველის ყვავილი. წავა მამა ტყეში, მოჰკრეფს იას, მოუტანს უფროს ქალს და გაახარებს; წავა ვენახში, მოჰკრეფს ვარდს, მოუტანს შუათანას ქალს და გაახარებს. წავა ტყეში, წავა ვენახში, დაბრუნდება ისევ, მაგრამ ველის ყვავილს კი ვერა პოულობს. არის უმცროსი ქალი გულნატკენად და დაღონებული. მამას უთხრა ერთხელ ველის ყვავილმა: მამავ, მე რაღა დაგიშავე, რომ ჩემ დებს ია-ვარდს უზიდავ და მე კი ერთხელაც არ მომიტანო? — შვილო, მეც მინდა მოვკრიფო და მოვიტანო,— უპასუხა მამამ, — მაგრამ ჩემი ცდა ტყუილად ჩამივლის ხოლმეო. მაინც ქალი ძალიან ჯავრიანად იყო. შეატყობს მამა თავის ქალს, რომ გულით უნდა ველის ყვავილი და ჯავრად ჩასჭრია გულშიო.

ადგება და წავა ველის ყვავილის საძებნელად. ივლის ბევრს, ეძებს ველის ყვავილს, ვერსად შეხვდება და ბოლოს ერთ ადგილას მივა. იქ ძაღლის ტოლი გველი ნახა. ძალიან შეშინდა. გველმა ჰკითხა: სად მიდიხარ, რა საქმე გაქვსო? — ველის ყვავილს ვეძებო, — უპასუხა კაცმა. — ველის ყვავილს მე მოგცემ, თუ შენი გულის ყვავილს მე მომცემო, — უთხრა გველმა. თუ არ მომცემ და მე შენ შეგჭამო. სული ტკბილიაო, ნათქვამია. თავის სიკვდილს შვილის მიცემა არჩია კაცმა და გველს თვრამეტი დღის ვადა დაუდო: იმ ვადაზე მოდი და წაიყვანეო. მოუკრიფა ერთი კონა ველის ყვავილისა და მისცა კაცს.

მოუტანა მამამ ველის ყვავილს კონა ყვავილებისა და გაახარა. ქალი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა, დარბოდა, სუნავდა ველის ყვავილებს, ხან ჰკოცნიდა და ეტოლებოდა. ქალი დგას ბაღში და ესურვილება თავის ყვავილებს. ბაღს გარეთ ცხენის ჯოგია მომდგა-

რი. უცებ ჯოგიდან ერთი ჯაგლაგი ცხენი დაიძახებს: — ველის ყვავილო, რომ იცოდე, რაც არის შენ თავს, ეგრე აღარ გაიხარებდიო! — რათაო? — ჰკითხა ველის ყვავილმა. — იმიტომაო, — უპასუხა ცხენმა, — რომ მამაშენმა მაგ კონაში შენი სიცოცხლე მისცა გველსაო. თვრამეტი დღის შემდეგ მოვა გველი და წაგიყვანსო. როდესაც გველი მოვა და გაგამზადებს, მამა გკითხავს: რა მოგცეო და შენ ჩემი თავი სთხოვეო!

გავიდა თვრამეტი დღე და მოითხოვა გველმა თავისი, მოვიდა ველის ყვავილის წასაყვანად. მამამ ჰკითხა ველის ყვავილს: რა მოგცე, შვილოო? — ის ერთი ჯაგლაგი ცხენი რომ გყავს, ის მომეციო, — უთხრა ქალმა. ჯერ არ აძლევდა მამა: ეგ რად გინდაო, მაგრამ რაკი ქალმა არ დაიშალა, მისცა. როდესაც წასვლა დააპირეს, ცხენმა უთხრა ველის ყვავილს: შენ ერთი წმინდა სავარცხელი წამოიღე, ერთი მინა ზეთი და ლურსმნებიო. შეჯდა ქალი და გასწია. ცხენი ეტყვის კარგა გზას რომ გაივლიან: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოდისო? — მიიხედა ქალმა: — ძაღლის ტოლა რაღაცა მოგვდევსო! — გადააგდე სავარცხელი და მე კი არ მომახვედროო! გადააგდებს სავარცხელს. ისეთი ტყე გაჩნდა, ისეთი ჯაგი და ბარდა, რომ ხოხობს გაუჭირდება ჩაჭრომა. მოვა გველი, ეცემა ჯაგიანს, დაიგლიჯება და კატის ტოლა კიდევ დარჩება. გასცდება ამ დროს ქალი და წავა. ივლიან ბევრსა, ივლიან და ბოლოს ცხენი ეტყვის ველის ყვავილს: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოგვდევსო? მიიბრუნებს თავს ქალი. კატის ტოლა რაღაც მოგვდევსო,—ეტყვის ცხენსა.—გადააგდე ლურსმნებიო!—ეტყვის ცხენი. გადააგდებს ლურსმნებს ველის ყვავილი. დაეფინება ალმასი. მოვა გველი, დაიჭრება, დაიკუწება ალმასებზე. ბუზის ტოლა კიდევ გადარჩება. გასცდება ქალი და წავა.

ივლიან, ივლიან და ეტყვის ქალს ცხენი: აბა მიიხედე, მოგვდევს რამე, თუ არაო? მიიხედავს ქალი: ბუზის ტოლა რაღაცა მოგვდევსო. გადააგდე მინაო,—უთხრა ცხენმა. გადაისროლა მინა და გაჩნდა ტბა, ჰღელავს და ექანება. ცხენი ეტყვის: მე დაღლილი ვარ, დამეძინება, ის ბუზისტოლა გველი ბებრად იქცევა, მოვა ტბასთან და დაგვიძახებს: შვილო, ბეწვი გამოაძვრე ცხენს, გადმოდევ ტბაზე, გამიყვანე, შეგაქცევო, — მაგრამ შენ არ შეცდეო. — დაიძინებს ცხენი. მოვა გველი, მოადგება ტბას, იქცევა ბებრად, აუვლის და ჩაუვლის ტბას. — შვილო, შენს ცხენს ბეწვი გამოაძრე, ტბაზე დააგდე, ხიდად იქცევა, გამოვალ, შეგაქცევო! — დაუძახებს გველი. — ვერა, ეტკინებაო!— უპასუხებს ქალი. ვერ აცდინა ბებერმა ქალი.

გაეღვიძება რაშს, შეჯდება ქალი და გასწევენ. ცხენმა უთხრა

ქალს: ჩვენ ქალაქში შევალთ და ვინც პირველად ხელი მომკიდოს, იმას გაჰყევო. მივიდნენ ერთ ქალაქში, ჩაიარეს ბაზარზე. ერთი ახალგაზრდა სოვდაგრის შვილი მოვიდა ცხენთან, დაუჭირა აღვირი და უთხრა ქალს: შენ ცოლი და მე ქმარიო. ქალი დათანხმდა. ვაჟი ძალიან მდიდარი იყო. წაიყვანა ქალი და გადაიხადეს ქორწილი.

ქალმა უამბო ყველა თავის თავგადასავალი ქმარს. ვაჟი ეტყვის: თუ არ წაველ და არა ვნახე ჩემი სიმამრი, არ იქნებაო. უშალა ცოლმა, უშალა, მაგრამ ქმარმა არ დაიშალა. შეჯდება ცხენზე და წავალ: გონიერი ცხოველია, თვითონ მიმიყვანსო. შეჯდა, მაგრამ ცხენი ხმას აღარ იღებდა. გაჩუმებულები იყვნენ. საღამო ჟამს იმ გველის ტბასთან მივიდა, ჩამოხტა და დაისვენა. მოვიდა ისევ ის ბებერი ტბასთან და გამოსძახა: დედაშვილობას, ცხენს წამწამი გამოაძრე, გადმოაგდე ტბაში, ხიდად გაიდება, გამოვალ და შეგაქცევო! — რა იცოდა ქალის ქმარმა, გამოაძრო წამწამი და გადაუგდო. გამოვიდა ბებერი. იმ ღამეს ერთად იყვნენ, ბებერი შეაქცევდა.

გათენდა დილა. შეჯდა ცხენზე ვაჟი, უნდოდა წასვლა, მიიარ-მოიარა, მოძებნა გზა, მაგრამ ვეღარ იპოვა. ასე დაუღამდა. გათენდება მეორე დღე. დაუღამდება იქვე, ერთ ტანჯვაშია. ამ ხნობით ველის ყვავილს ვაჟი ეყოლება, მაშინვე გაგზავნიან მახარობელს სოვდაგრის შვილთან: ვაჟი გეყოლაო. მახარობელი მოადგება გველის ტბას და დაუღამდება. მოვა იმასთანაც ბებერი და შეაქცევს; ჰკითხავს: სად მიდიხარ, შვილო, რა საქმე გაქვსო? — მახარობელი ეტყვის, რომ სოვდაგრის შვილს ვაჟი ეყოლა და ის უნდა ვახაროო. აიღებს ეს ბებერი და წერილს ასე შეუცვლის: შენ ცოლს ძაღლის ლეკვი ეყოლა და რას იტყვი, რა ვუყოთო. წაიკითხავს სოვდაგრის შვილი, ეცემა ელდა. აიღებს და მისწერს: აიღეთ, გაახურეთ საკირე და იმაში ჩააგდეთო.

დაბრუნდება მახარობელი, მოუტანს ამ წერილს. დაღონდება ვაჟის დედ-მამა, არ უნდათ შვილ-რძლის სიკვდილი, მაინც გაახურებენ საკირეს, უნდა ჩააგდონ. შეიტყობს ცხენი, დასწყვეტს თოკს და გაქანდება ქალისაკენ. ეალს ეტყვის: აიყვანე შენი ბავშვი ხელში, შემაჯექი და წავიდეთო. შეჯდა ქალი, შესვა თავის შვილიც და გაფრინდა ცხენი. ბავშვს ქუდი გადმოუვარდა და დარჩა იქა. რაკი ქალს უბედურება გადაეკიდა, სოვდაგრის შვილსაც გზა გაეხსნა: იარა, იარა და მოვიდა სახლში. შეიტყო ყველაფერი. ბევრი ინანა, მაგრამ რაღას უშველიდა. იპოვა შვილის ეუდი, წაიღო და წავიდა: ვისაც ეს ქუდი გამოადგება, ის იქნება ჩემი შვილიო.

ცხენი და ქალი რომ წავიდნენ, ბევრი იარეს, ერთ მინდორზე გა-

მოვიდნენ. დადგა ცხენი, ქალს უთხრა: — ჩამოდი, აიღე დანა და ყელი გამომჭერიო. ასო-ასო დამჭერ, დამალაგე, მერე ინატრე რაც გინდა და იმად გექცევა ჩემი ნაჭრებიო. თუ მეც რამედ გინდივარ, ჩემთვისაც გადადევ ერთი ნაჭერიო. ქალი უარს ეტყვის: ვერ დაგკლავო. — არა, თვალები დახუჭეო, — უთხრა ცხენმა, — და ისე დამკალიო.

დახუჭა თვალები ველის ყვავილმა, დაკლა ცხენი, დაჭრა ასო-ასო და ინატრა. გაცოცხლდა ისევ ცხენიც და გაიმართა მშვენიერი დუქანბაზრიანი ქალაქიც. გახდა ქალი ქალაქის უფროსად და პატრონად; ყველაფერი იმას ეკითხება.

ივლის ველის ყვავილის ქმარი, ატარებს ქუდს, ხან ვის დაჰხურავს, ხან ვის, მაგრამ ვერ იპოვის შვილს, თუმცა ბევრ სოფელსა და ქალაქს გაივლის. ბოლოს მივა იმ ქალაქში, სადაც ველის ყვავილია უფროსად. ჩაატარებს ქუდს ქუჩებზე და ხან ვის დაჰხურავს და ხან ვის, მაგრამ ვერ იპოვა. ბოლოს შეხვდება თავის შვილს; ძიძა ასეირნებდა. გადააგდებს ერთხელ ქუდს, ქუდი დაეხურება ბავშვს და მოუხდება. გადააგდებს მეორედ, მესამედ და ქუდი კარგა მოსდის. გაჯავრდება ძიძა; რასა მასხარაობ, დაიკარგე აქედან, ჭკუიდან ხომ არ შეიშალეო!

ბოლოს წაიყვანენ სოვდაგრის შვილს ველის ყვავილთან. სოვდაგრის შვილი და ველის ყვავილი იცნობენ ერთმანეთს და მოეხვევიან. უამბობს ყველაფერს ქმარი ველის ყვავილს, შერიგდებიან, მორიგდებიან და დაიწყებენ წინანდებურად ტკბილ ცხოვრებას.

ჰირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე.
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე

ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი შვილი. როცა ბიჭი წამოიზარდა, ცოლმა უთხრა ქმარს: წაიყვანე, მიაბარე სადმე ხელობაზეო.

წაიყვანა კაცმა ის ვაჟი ხელობაზე მისაბარებლად. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ წყაროსთან და დაისვენეს. დაიბანეს ხელ-პირი და დალიეს. მამამ რომ დალია წყალი, თქვა: — ახ, რა კაი წყალი ხარო!

ამ დროს წყლიდან ამოძვრა ერთი კაცი და უთხრა: — აი, მე გახლავარ ახრაკაი, რა გნებავს, რისთვის მეძახდიო? — მე შენ არ გეძახადი, — უთხრა კაცმა, — წყალი დაელიე და წყალს ვუთხარ: — ახ, რა კაი წყალი ხარ-მეთქი! — მაინც სად მიხვალო? — ჰკითხა ახრაკამ. — ეს შვილი მიმყავს, მინდა ხელობაზე სადმე მივაბარო შეგირდადო,— უთხრა კაცმა. — მოდი, მე მომბარე. წლის თავზე მოდი და თუ იცან შენი შვილი, წაიყვანე, თუ ვერ იცან და მე დამრჩებაო! — ძალიან კარგიო! — უპასუხა კაცმა.

ბიჭი იქ დარჩა, კაცი შინ წავიდა. გავიდა წელიწადი. მოვიდა კაცი შვილის წასაყვანად. დალია წყალი და თქვა: — ახ, რა კაი წყალი ხარო!

გამოვიდა ახრაკა და წაიყვანა კაცი თავის ბინაზე. თერთმეტი შეგირდი სხვა ჰყავდა, მეთორმეტე ის იყო. შეგირდები ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. კაცმა ვერ იცნო შვილი, შვილმა კი იცნო მამა.

ახრაკას ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. ყველაზე მეტად ქალს იმ კაცის ვაჟი უყვარდა. მამა რომ მოუვიდა, ქალმა დაიბარა იმ კაცის ვაჟი და ერთი სხვა შეგირდი, დაარიგა: — სადილად რომ დასხდებით, ერთი იქით მიუჯექით, ერთი აქეთ, შენ მამაშენს სავსე ჭიქა დაუსხი, შენ კი ნაკლული. მამაშენს ეგრე უთხარი, ყური გიგდოთ და მაშინ გიცნობს. როცა გიცნობს, მამაჩემი გკითხავს: რა ისწავლე ჩემგანო? შენ ეტყვი: შენ რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლათქო!

სუფრაზე რომ დასხდნენ, შვილი ჭიქას აუვსებს, ის მეორე ნაკლულად დაუსხამს. იცნო მამამ შვილი, ახრაკას აბა რას ესიამოვნებოდა! ბიჭსა ჰკითხა: — რა ისწავლეო? — შენთვის რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლაო! — უთხრა ბიჭმა. მერე გზა დაულოცა ოსტატმა და გაისტუმრა.

წავიდნენ მამა და შვილი. შვილმა უთხრა: — იარე და მოგეწევიო!

მიუბრუნდა ჯაგებში, იქცა ოქროს ცხვრად, გამოვარდა, გაურბენს და გამოურბენს მამას წინა. დასდევს მამა დასაჭერად. შევარდა ისევ ჯაგებში, იქცა ბიჭად და გამოვიდა მამასთან.

მამამ უთხრა: — სად იყავ, შვილო?—ერთი ოქროს ცხვარი გამოვარდა ჯაგებიდან, ვდიე, ვდიე, მაგრამ ვერ დავიჭირეო.

— ალბათ ჩვენი ილბალი არ იყო და ვერ დაიჭირეო!

ამ დროს თავადიშვილები მოდიან სანადიროდ.

შვილმა უთხრა მამასა: — მამა, მე ეს ხელობა ვისწავლე: რადაც მინდა ვიქცევი. ახლა აი, თავადიშვილები რომ მოდიან, მწევრად

ვიქცევი და შემოგევაჭრებიან. რომ გკითხონ: ჰყიდიო? — ვყიდითქო! — დაგაფასებინონ, სამოც თუმნად დამაფასე. თოკი კი არ გამატანო თანაო.

იქცა მწევრად. ისეთია სულ თითის ფრჩხილებზე დგება. ჩამოიარეს თავადიშვილებმა: — კაცო, მწევარს არა ჰყიდი? — ვყიდი, ბატონო! — რა ღირსო? — სამოცი თუმანიო!

მისცეს სამოცი თუმანი და წაიყვანეს. მოსამსახურეები თოკიანად ართმევდნენ. ბერიკაცი არ ანებებდა. მერე თავადიშვილებმა უთხრეს: აჩუქეთ ეგ თოკი, მაგით რა იქნებაო!

წაიყვანეს. გზაზე ერთი კურდღელი გამოუვარდათ. გამოუდგა მწევარი, დაიჭირა და მოუყვანა. მეორეც ასე დაუჭირა. მესამეს რომ მიუტიეს, შეჰყვა ტყეში, იქცა ბიჭად, მოეწია მამას და წავიდნენ გზაზე.

იარეს, იარეს და ერთი ხელმწიფის სახლთან მივიდნენ. შვილმა უთხრა მამასა: ოქროს ცხვრად ვიქცევი, წამიყვანე და ხელმწიფის კარზე გამატარე და გამომატარე. გეტყვიან: როგორ აძლევო? — შენ უთხარი: ას თუმნად-თქო. მოგცემენ. თოკი კი თან არ გამატანო.

მისცეს ასი თუმანი. ბიჭები თოკს ართმევდნენ, მაგრამ ხელმწიფემ დაუშალა: გაუშვით, წაიღოსო.

შეიყვანეს ცხვარი ხელმწიფის სასახლეში. როცა ფეხის ხმა მიწყდა, იქცა ბიჭად და წამოვიდა. დაეწია მამას.

— მე ჯორად ვიქცევი, შენ ზედ შემაჯექ და ამატარე და ჩამატარე ქალაქში, აღვირი კი თან არ გამატანოო.

გაუგია ოსტატს, რომ ჩემს შეგირდს ჩემი ხელობა გაუტანიაო. წამოვიდა და შეხვდა ამ კაცსა. — ჰყიდი, ბერიკაცო, მაგ ჯორსა? — ვყიდი! — როგორ აფასებო? — სამას თუმნადო!

მისცა და გამოართვა ჯორი. აღვირს არ ანებებდა, მაგრამ ძალით წაართვა. შეჯდა, დაჰკრა მათრახი და ცას მიაკრა. კარგად რომ მოფეთქა, თავის სახლში წაიყვანა. მიაკრა ხეზე და ხმალს დაუწყო ლესვა, თავი უნდა მოეჭრა.

სანამ ის ხმალს გალესავს, ქალი მივიდა წააძრო თავიდან აღვირი, იქცა ბიჭად და გაიქცა.

ოსტატმა ნახა, რომ ჯორი იქ აღარ ება. გამოუდგა უკან. მოიხედა ბიჭმა. ხედავს ოსტატი საცაა დაეწევა, იქცა ვაშლად. ხელმწიფის შვილს ქორწილი ჰქონდა. ნეფეს კალთაში ჩაუვარდა. ოსტატი იქცა დანად და ვაშლში ჩაერჭო. შეგირდი იქცა ფეტვად და გაიფანტა. იქცა ოსტატი კრუხად, დაახვია წიწილები და დაუწყეს ფეტვს კენჭ

მუხამ უთხრა: — შენ რომ ჩემთვის ყვავი მოგიშორებიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

— ყვავო, ეხსენ მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ყვავმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის წიწილა მოგიყვანიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

— კრუხო, მომე წიწილა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

კრუხმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის ფეტვი მოგიტანიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ორმოსთან და სთხოვა:

— ორმოვ, მომე ფეტვი,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ორმომ უთხრა: შენ რომ ჩემთვის თაგვი მოგიშორებიაო!

რწყილი ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და სთხოვა:

— თაგვო, ეხსენ ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

თაგვმა უთხრა: შენ რომ ჩემთვის კატა მოგიშორებიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

— კატავ, ეხსენ თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ, ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

კატამ უთხრა: შენ რომ ჩემთვის რძე მოგიტანიაო!
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

— ძროხავ, მომე რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,

ვა. იქცა შეგირდი ნემსად, გაუძვრა ქვეშ და წავიდა. იქცა ოსტატი ძაფად, გაეყარა ყუნწში და გაჰყვა თან.

შეგირდმა დაინახა, მინდორში მწყემსებს ცეცხლი უნთიათ. გაიარა ნემსმა ცეცხლში და ოსტატი ცეცხლში დასწვა.

იქცა ვაჟად და წამოვიდა. მოვიდა ოსტატის სახლში, ქალს უთხრა: — შენ იმდენი სიკეთე მიყავი, რომ მე ვერაფრით გადაგიხდი, შენ და იყავ, მე — ძმაო. — არა, — უთხრა ქალმა, — შენ ქმარი და მე ცოლიო!

..ძალიან გაუხარდა. შეირთო ცოლად. დანარჩენი შეგირდები ყველა თავთავის სახლში გაგზავნა. რაც ქონება ჰქონდათ, წაიღეს თან. დაიწერეს ჯვარი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მიწა თავისას მოითხოვს

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟი იზრდებოდა და ხედავდა, რომ იმის გარდა ყველას მამა ჰყავდა, მარტო ის ვერავის ეტყოდა მამობას. შვილი გადაეკიდა დედას: — დედავ, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა მყავსო.

დედამ უთხრა: — მოკვდა, შვილო. — მაშ აღარ მოვაო? ან რა არის სიკვდილიო? — ჰკითხა შვილმა. — ის კი აღარ მოვა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ მასთანო; სიკვდილს ვერავინ გადავურჩებით, ყველა მიწად ვიქცევით, დავიხოცებითო.

— მე არ მითხოვია ღმერთისათვის გამაჩინეო და რაკი გამაჩინა, რადღა უნდა მომკლასო? — თქვა ვაჟმა, — ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არისო.

დედამ დააბრუნა შვილი, მაგრამ მან არ დაიშალა. მოიარა მთელი ქვეყანა, სადაც მივიდოდა, ჰკითხავდა, არის აქ სიკვდილიო? ყველასგან ერთი პასუხი ესმოდა, „არისო". დაღონდა ვაჟი, ადგილი არ იყო, რომ სიკვდილი არ ყოფილიყო.

ამ დროს ვაჟი ოცი წლისაც გახდა. ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა, გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა: მისი რქები ლრუბლებში იყო აწვდილი. ვაჟი მიუახლოვდა ირემს, მოეწონა ძა-

ლიან მისი რქები და ჰკითხა: — შენი გამჩენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკვდილი არ იყოსო? — ირემმა უთხრა: — მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის დანაწესებს ვასრულებ, სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ვიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და მეც მოვკვდებიო. თუ გინდა, შენც ჩემთან იყავი და სანამ მე ვიქნები, შენც იცოცხლებო. ვაჟმა უთხრა:

— თუ ვიცოცხლებ, მუდამ უნდა ვიცოცხლო, თორემ აქ მოუსვლელადაც მოვკვდებიო.

გასცდა ვაჟი და გაუდგა გზას. გაიარა მინდორი, ველები და გავიდა ტყიან და კლდიან ადგილს. ერთ ხევს მიადგა: სულ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა, რომ თვალი ვერ ჩასწვდებოდა მის ძირს. ხევის პირზე, კლდეზე იჯდა ყორანი და ასკინტლებდა ხევში. ეს ყორანიც ღვთის მოციქული იყო. ვაჟმა ჰკითხა ყორანს: — არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო? — ყორანმა უთხრა: — მე ღვთისგან დაწერილი მაქვს სიცოცხლე მანამდის, სანამ სკინტლით ამ ხევს არ ამოვავსებო. თუ გინდა ჩემთან იყავ და შენც ცოცხალი იქნები, სანამ მე არ მოვკვდებიო. არაფერზე არ დაგვჭირდება ზრუნვა, ყველაფერი მზა გვექნებაო. ვაჟმა ჩაიხედა ხევის უფსკრულში, მაგრამ მაინც ცოტად ეჩვენა. გასწი, გასწი შორსაო, — ეუბნებოდა რაღაც.

ამასაც გასცდა ვაჟი და მოათავა ხმელეთიც და მიადგა ზღვის პირს; აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შეხვდა. მესამე დღეს დაინახა შორს სადღაც მბრჭყვინაკი სარკე. ვაჟი წავიდა მისკენ და ნახა, რომ ის მბრჭყვინავი სარკე სალი მინის სახლი იყო. შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოვა კარები. ბოლოს ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო; გააღო და შევიდა. ოთახში ისეთი ლამაზი ქალი იწვა, რომ მზეს შეშურდებოდა მისი სილამაზე. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალსაც ვაჟი. ვაჟმა ჰკითხა: — მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექეცი, და არ იცი, იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ქალმა უთხრა: — მაგისთანა ადგილი არსად არ არის რას ეძებ, ჩემთან იყავიო. — ვაჟმა უთხრა: — მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოვედი, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვო, სადაც სიკვდილი არ არისო.

ქალმა უთხრა: — მიწა თავისას მოითხოვს, შენ მაინც უკვდავობას ვერ შეიფერებო. აბა მითხარ, რამდენი წლისა ვიქნები მეო?— ვაჟმა დაჰხედა: ქალს ახლად აკოკრებული მკერდი აქვს, ვარდის-

ფერი ლოყები ისეთი საუცხოო, რომ ვაჟს ერთ წუთში დააკიწყდა სიკვდილი. ვაჟმა უთხრა — ბევრი-ბევრი ხუთმეტი წლისა იყოო.

— არა, — უპასუხა ქალმა, — მე ქმნილების პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარო; „ტურფა“ მქვიან და არც როდის დავბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არც მოვკვდებიო. შენ აქ იქნებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგითხოვსო. ვაჟმა პირობა დაუდვა, რომ არასდროს არ მოშორდებოდა. დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერთად ცხოვრება. წლები წუთებივით მიფრინავდნენ; ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა, ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, მაგრამ ვაჟი ვერ ამჩნევდა დროის ფრენას. ქალი ისევ ისეთი ლამაზი იყო და ვაჟიც ისეთივე ახალგაზრდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუნდა თავისი ქვეყნის ნახვა; თავისი დედისა და ნათესავების დანახვა მოსწყურდა. ქალს უთხრა:— უნდა წავიდე და ვნახო ჩემი დედა და ნათესავებიო. ქალმა უთხრა: — ახლა მათი ძვლებიც აღარ იქნებაო. ვაჟმა უთხრა: — რას ამბობ, ეს სამი-ოთხი დღეა, რაც მოვსულვარ და როდის დაიხოცებოდნენო? ქალმა უთხრა — აკი გითხარ, მიწა თავისას მოითხოვს-მეთქი. კარგი, წადი და, რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო. — მისცა სამი ვაშლი და უთხრა, როდესაც იქ მიხვალ, მაშინ შეჭამეო.

წავიდა ვაჟი და აი, შემოხვდა ნაცნობი ადგილები. აი, ხეიც, ის უძირო უფსკრული. ყორანი მაშინღა მომკვდარიყო. ამოევსო ხეკი და თვითონაც გამხმარი ეგდო კლდის წვერზე. ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისევ წინ წავიდა. გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზე. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებიყო. ის იყო მაშინღა მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაჟი, რომ მართლა კარგა ხანი გასულიყო.

მაინც გასწია თავისი ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარავინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ მისი გამგონიც კი აღარავინ მოიპოვებოდა. ბოლოს ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა თავისი დედის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა: — ის დედაკაცი, როგორც მამა-პაპას უთქვამს, ათასი წლის წინათ ყოფილა და როგორ შეიძლება, რომ მისი შვილი ახლა ცოცხალი იყოსო. ხალხს არა სჯეროდა და ამბობდა: ეგ ღმერთისაგან არის მოგზავნილი საიქიოდანაო. გავარდა ამაზე ხმა სოფლებში და ხალხი კალია-

ხავით ედებოდა ამ ვაჟს სანახავად. ბოლოს ვაჟი მივიდა იმ ადგილს, სადაც მათი სახლი იყო; სახლის ყვითელი ხავსმოკიდებული ქვითკირის კედლები კიდევ დახვდა.

ვაჟს მოაგონდა ყველაფერი, თავისი დედა, თავისი ბალღობა, დაღონდა; ბოლოსა თქვა: — მოდი, ერთი შევეპამ ერთ ვაშლსაო. ამოიღო, შეეპამა, და ხავსივით წვერი ერთ წამში დაეკიდა წელამდე, შეეპამა მეორე და მოეშვა მუხლები, ველარ გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეზიზღდა; დაინახა ახლოს ერთი ვაჟი და დაუძახა, მოდი, ჯიბეში ერთი ვაშლი მაქვს, ამომიღეო. ბალღმა ამოუღო ვაშლი, შეეპამა ბერიკაცმა და განუტევა სული. გაიტანა სოფელმა და სამადლოდ დამარხა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ცხოველთა ზღაპრები

მ ე ლ ი ა დ ა დ ა თ ვ ი (გვ. 11), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

დ ა თ ვ ი დ ა მ ე ლ ი ა (გვ. 14), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ნ ა დ ი რ თ ა ძ მ ო ბ ა (გვ. 16), ჩამწერი სასოებაძე, „მოამბე" № 1, 1905 წ.

დ ა თ ვ ი ს, მ გ ლ ი ს ა დ ა მ ე ლ ი ი ს ა მ ბ ა ვ ი (გვ. 17), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ლ ო მ ი დ ა მ ე ლ ი ა (გვ. 21), მთქმელები ყოლა ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლარმეზ ხუციშვილი, ჩამწერი ლ. ბოცვაძე, „ნაკადული" 1907 წ. № 13.

კ უ რ დ ღ ე ლ ი, მ ე ლ ა დ ა მ გ ე ლ ი (გვ. 21), ჩამწერი ბ. კელენჯერიძე, სოფ. ძირული.

ტ უ რ ა ო ა მ ი ლ ა (გვ. 22). „ნაკადული". 1908 წ., № 9.

მ ე ლ ი ა (გვ. 23), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (შემოკლებით „ფოლკლორული არქივი") № 1146.

კ უ რ დ ღ ე ლ ი დ ა მ ი ს ი ბ ა ჯ ი ე ბ ი (გვ. 23), „მოამბე", № 1, 1905 წ.

ლ ო მ ი დ ა კ უ რ დ ღ ე ლ ი (გვ. 24), „ნაკადული", № 1, 1907 წ.

მ ი ნ დ ვ რ ი ს ა დ ა ს ა ხ ლ ი ს თ ა გ ვ ი (გვ. 25). ქართული ხალხური ზღაპრები 1, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

მ გ ლ ი ს ბ ე რ ა დ შ ე დ გ ო მ ა (გვ. 26), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ღ ო რ ი ს ა, მ ი ს ი ხ უ თ ი გ ო ჭ ი ხ ა დ ა მ გ ლ ი ხ ა (გვ. 28). „ნაკადული". № 11, 1908 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

მ ე ლ ი ა მ ს ა ჯ უ ლ ი (გვ. 21), „ნაკადული", № 11, 1908 წ.

ლ ო მ ი ს ე რ თ გ უ ლ ე ბ ა (გვ. 33), მთქმელი ხ. ჯავრიშვილი, სოფ. ერთაწმინდა; ჩამწერი ან. კაპანაძე. 1939 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

კ ა ტ ი ს მ ო ს ა რ ჩ ლ ე ვ ე ფ ხ ვ ი (გვ. 34), „მოამბე", № 1, 1905 წ.

მ ე ლ ი ა ს ე შ მ ა კ ო ბ ა (გვ. 35), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

გ ლ ე ხ ი, დ ა თ ვ ი დ ა მ ე ლ ი ა (გვ. 37), „ჯეჯილი", № 2, 1905 წ.

ც ხ ო ვ ე ლ თ ა ნ ა დ ი (გვ. 38), ჩამწერი აფრ. მერკვილაძე, სოფ. ჭალტყე. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, I, 1949 წ.

ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს მ ი მ ა ვ ა ლ ი მ ე ლ ი ა (გვ. 40), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ხ ო ხ ო ბ ი დ ა მ ე ლ ი ა (გვ. 42), ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯ. სონღულაშვილის მიერ, ელ. ვირსალაძის რედაქციით, 1957 წ.

ყ ო რ ა ნ ი დ ა გ ვ ე ლ ი (გვ. 43), „ნაკადული", № 1, 1908 წ.

შ ა შ ვ ი დ ა მ ე ლ ი ა (გვ. 43), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ნ ა ხ ე ვ ა რ ქ ა თ მ ი ს ა მ ბ ა ვ ი (გვ. 45), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ჩ ი ტ ი დ ა მ ე ლ ი ა (გვ. 46), ჩამწერი ი. გოგებაშვილი. „დედა ენა". „ფოლკლორული არქივი", № 1139.

მ ე ლ ი ა დ ა მ წ ყ ე რ ჩ ი ტ ა (გვ. 47), ჩამწერი ი. გოგებაშვილი, „დედა ენა". „ფოლკლორული არქივი", № 1141.

ჭ ი ნ ჭ რ ა ქ ა დ ა ჭ ი ჭ ი ნ ბ ე ლ ა (გვ. 48), „ჯეჯილი", 1905 წ.

რ წ ყ ი ლ ი დ ა ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ა (გვ. 49), ჩამწერი ი. გოგებაშვილი. „დედა ენა". „ფოლკლორული არქივი" № 1136.

ჯადოსნური ზღაპრები

ი რ მ ი ს ა (გვ. 53), „ზღაპრები", ქართველ ქალთა წრის გამოცემა, წიგნი II, 1902 წ.

ს ა მ მ ტ ე ვ ა ნ ქ ა ბ უ კ ი შ ვ ი ლ ი (გვ. 61) მთქმელი თ. თაღიაშვილი-ჩაფურიშვილისა, სოფ. ფშაველი, თელავის რაიონი; ჩამწერი ნ. ჩაფურიშვილი, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ლ ე რ წ მ ი ს ქ ა ლ ი (გვ. 65), მთქმელი არჩ. თაბორიძე, სოფ. ბაზალეთი; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1956 წ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ზ ღ ა პ ა რ ი (გვ. 73) მთქმელი არჩ. თაბორიძე სოფ. ბაზალეთი; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ც ხ ვ რ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 80), მთქმელი თ. მთიბელაშვილი, სოფ. ჩარგალი; ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ს ი ზ მ ა რ ა (გვ. 82), „ზღაპრები", I, 1902 წ.

შ ა ვ-თ ე ი მ უ რ ა ზ ი, მ ზ ე-თ ე ი მ უ რ ა ზ ი დ ა მ თ ვ ა რ ე-თ ე ი-მ უ რ ა ზ ი (გვ. 87), ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ი ვ ა ნ ე ც ი ს კ ი ს ა (გვ. 92), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

მ ზ ი ს ა ს უ ლ ი (გვ. 100), ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ი ა მ რ ა უ თ ხ რ ა ვ ა რ დ ს ა (გვ. 107), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი მ ო ნ ა დ ი რ ი ს ა და დ ი დ ი ა რ წ ი ვ ი ს ა (გვ. 110). ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ხ ა ს ა ნ-ხ უ ს ა ნ ა (გვ. 115), მთქმელი ს. ფეიქრიშვილი, ახალციხე; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ც ხ რ ა ძ მ ა (გვ. 119), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

გ ა უ ც ი ნ ა რ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ე (გვ. 125), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი უ ხ ე ი რ ო ს ი (გვ. 130). ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ხ უ თ კ უ ნ ე ულ ა (გვ. 139), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

მ ე ც ხ ვ ა რ ე, ბ რ მ ა დ ე ვ ი და ფ ე ი ქ რ ი ს შ ე გ ი რ დ ი (გვ. 143), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

დ ე დ ა ბ რ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 150), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ტ ი ტ ვ ე ლ ი მ გ ლ ი ს ა (გვ. 159), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ი ა დ ო ნ ი და ბ უ ლ ბ უ ლ ი (გვ. 164), „აკაკის კრებული", IV, 1899. „ფოლკლორული არქივი", № 161.

ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ს ა მ ი ვ ა ჟ ი (გვ. 169), მთქმელი ს. ფეიქრიშვილი, ახალციხე; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

მ ო ნ ა დ ი რ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 173), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ბ ო ქ მ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ი (გვ. 176), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ო ქ რ ო კ ა ც ა (გვ. 183), მთქმელი ს. ფეიქრიშვილი, ახალციხე; ჩამწერი აპ. მახარაძე, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ს ა წ ყ ა ლ ი კ ა ც ი და მ ი ს ი შ ვ ი ლ ი (გვ. 183), მთქმელი გ. მრელაშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ჯ ე ი რ ნ ი ს ქ ა ლ ი (გვ. 196), მთქმელი გ. მრელაშვილი. ს. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ბ ე რ ნ ა ძ ი ს შ ვ ი ლ ი (გვ. 203), მთქმელი გ. მრელაშვილი, ს. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ც ო ლ ი ს ი, გ ვ ე ლ ი რ ო მ გ ა უ ჩ ნ-

და (გვ. 208), მთქმელი ი. ზარაფიშვილი, ჩამწერი ა. ზარაფიშვილი. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ხელმწიფის შვილი (გვ. 216), ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

კონსტანტინეს ზღაპარი (გვ. 221), ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

უჩინმაჩინის ქუდი (გვ. 225), ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

თუშის შვილი და მეფის შვილი (გვ. 230), ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

დათუა (გვ. 233), ჩამწერი კუპატაძე, საზანო; ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

სასწაულმოქმედი პერანგი (გვ. 236), ჩამწერი ვაქირელი ქალი (ა. კარგარეთელი), სოფ. ვაქირი, ქიზიყი. „ძველი საქართველო", IV, 1915 წ.

ორმოცშვილიანი ხელმწიფე (გვ. 243) ჩაწერილი მესხეთ-ჯავახეთში 1930 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ელენე მშვენიერის ზღაპარი (გვ. 259), მთქმელი გრ. ხითარიშვილი, სოფ. ხიზაბავრა; ჩამწერი ზვიადაძე. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

წიქარა (გვ. 274), დამუშავებული ქეთევან ნადირაძის მიერ, „ნაკადულის" გამოცემა 1962 წ.

ჩაქუჩა (გვ. 279), მთქმელი ი. ჭონქაძე, სოფ. ყვავილი; ჩამწერი გ. ჩაჩუა, 1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ერთშვილიანი ხელმწიფე (გვ. 281), მთქმელი ი. ჭონქაძე, სოფ. ყვავილი; ჩამწერი გ. ჩაჩუა 1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ცხრა ძმისა (გვ. 282), ჩამწერი თავისუფალი სვანი (მ. ნიკარაძე), ზემო სვანეთი; „სვანური ზღაპრები", ქუთაისი, 1893 წ.

საწყალი კაცის ზღაპარი (გვ. 285), მთქმელი ვ. ლალიაშვილი, სოფ. ბაზალეთი; ჩამწერი ქ. სიხარულიძე, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მონადირის შვილი (გვ. 290), მთქმელი ი. პაპიაშვილი, სოფ. ბაზალეთი, ჩამწერი ქ. სიხარულიძე, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

უშვილო ხელმწიფე (გვ. 294), მთქმელი დ. ჭონქაძე, სოფ. ყვავილი; ჩამწერი გ. ჩაჩუა, 1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მენახირე (გვ. 297), ქ. სიხარულიძე, ზღაპრები, 1938 წ.

უკვდავების წყალი (გვ. 300), მთქმელი ი. არსენიშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზღაპარი საკვირველი ქალისა (გვ. 303), მთქმელი ი. ლაბაზოშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

გვილოდქცეული მზეთუნახავი (გვ. 307), თვითჩამ-

წერი ა. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა, თელავი. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ია ხათუნი (გვ. 309), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

კოკლი კამეჩი (გვ. 314), ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ლურჯი თევზი (გვ. 325). ჩამწერი მ. ჩიქოვანი, სოფ. იყალთო, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

უზუნდარას ზღაპარი (გვ. 327), მთქმელი თ. მამულაშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი (გვ. 331), მთქმელი ა. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ჩამწ. მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

საკვირველი ფრთა (გვ. 336), მთქმელი გ. ლაცაბიძე, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

გლეხი კაცი და ჩიტი (გვ. 340), მთქმელი ჯ. მრელაშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მონადირე და მისი რაში (გვ. 343) თვითჩამწერი ა. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ლილოველი მონადირე (გვ. 348), თვითჩამწერი ლ. ჯოტორლიშვილი, სოფ. აკურა; 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მათხოვარა და ხელსახოცი (გვ. 352) ხალხური სიტყვიერება II ტ., 1952 წ.

საწყალი ცოლ-ქმარი (გვ. 359), მთქმელი შაშვიაშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი ა. მახარაძე, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

კოკლი მონადირის შვილი (გვ. 361), მთქმელი გ. ლაცაბიძე, სოფ. იყალთო; ჩამწერი ა. მახარაძე, 1938 წ., ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მზის დედა (გვ. 369), მთქმელი გ. კირვალიძე, სოფ. აკურა; ჩამწერი ა. ცანავა, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მადლიერი მკვდარი (გვ. 371), მთქმელი ვ. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი ა. ცანავა. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მამის პოვნის ამბავი (გვ. 377), მთქმელი გ. ლაცაბიძე, სოფ. იყალთო; ჩამწერი ა. მახარაძე, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ასფურცელა (გვ. 382), მთქმელი შ. შიშნიაშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მონადირე და მისი ასული (გვ. 387), თვითჩამწერი ვ. ლამაზოშვილი, ს. აკურა, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზღაპარი ხელმწიფის შვილისა, რომელსაც სწავლა არ უყვარდა (გვ. 390), მთქმელი ი. ზარაფიშვილი,

კახეთი; ჩამწერი ა. ზარაფიშვილი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ქ ა ლ ი (გვ. 396), თვითჩაწერი დ. კირვალიძე, სოფ. აკურა, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ზ ღ ა პ ა რ ი (გვ. 400), მთქმელი ი. ზარაფიშვილი, კახეთი; ჩამწერი ა. ზარაფიშვილი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი ს ა (გვ. 406), მთქმელი ი. კულულაშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ც ხ რ ა ყ ა ჩ ა ღ ი ს ა (გვ. 408), მთქმელი ი. ზარაფიშვილი, კახეთი; ჩამწერი ა. ზარაფიშვილი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

თ ე რ თ მ ე ტ ი ძ მ ა (გვ. 420), თვითჩამწერი ვ. მრელაშვილი, სოფ. იყალთო, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ე რ თ ი ბ ი ჭ ი ს ზ ღ ა პ ა რ ი (გვ. 428), მთქმელი ე. გუჯეჯიანი, ს. მულახი; ჩამწერი ქ. სიხარულიძე, 1945 წ. ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, I, შემდგენელი ქ. სისარულიძე, 1956 წ.

ა ნ ა ნ ა — (გვ. 435), ხალხური ზღაპრები ქართლში, შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ხ რ ი ს ტ ა გ ა ნ დ ა ბ ე ლ თ ა გ ა ნ ტ ა რ ი ე ლ ე ბ ი ს ა რ ა კ ი (გვ. 436), ჩაწერა სამეგრელოში ი. ყიფშიძემ; „მეგრული ზღაპრები".

ი ვ ა ნ ე ფ ა ლ ა ვ ა ნ ი (გვ. 453), თვითჩამწერი ვ. ბეწუკლიშვილი, 1939 წ. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რედაქციით, 1958 წ.

მ ე ფ ე მ უ ზ ა რ ბ ი ი (გვ. 461), ჩაწერილია სამეგრელოში ი. ყიფშიძის მიერ; „მეგრული ზღაპრები".

დ ე ვ ე ბ ი თ ს ა ვ ს ე ქ უ დ ი (გვ. 466), მთქმელი გ. მაისურაძე, სოფ. ბერულა, ლიახვის ხეობა; ჩამწერი ე. ვირსალაძე, 1946 წ. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რედაქციით, 1958 წ.

ი ს რ ი ს-მ ა ს რ ი ს ს ა ნ დ ღ ლ ი ს ქ ა ლ ი (გვ. 469), ჩამწერი ეკ. ასათიანი, ახალციხე. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რედაქციით, 1958 წ.

ლ ა ლ ი, ი ა დ ა ვ ა რ დ ი დ ა ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ა (გვ. 474), ჩამწერი ა. კაპანაძე; რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ. ე. ვირსალაძის რედაქციით, 1958 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი მ ი ნ დ ო რ თ ქ ა ლ ი ს ა (გვ. 480), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ვ ე ლ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ი ს ა (გვ. 487), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი ო ს ტ ა ტ ი ს ა დ ა შ ე გ ი რ დ ი ს ა (გვ. 490), ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

მ ი წ ა თ ა ვ ი ს ა ს მ ო ი თ ხ ო ვ ს (გვ. 493), ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ . 5

ხალხური ზღაპარი (წინასიტყვაობა) პროფ. მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ი ნ ი 8

ც ხ ო ვ ე ლ თ ა ზ ღ ა პ რ ე ბ ი

მელია და დათვი 11
დათვი და მელია 14
ნადირთა ძმობა 16
დათვის, მგლისა და მელიის ამბავი . . . 17
ლომი და მელია 21
კურდღელი, მელა და მგელი 21
ტურა და მელა 22
მელია 23
კურდღელი და მისი ბაჭიები 23
ლომი და კურდღელი 24
მინდვრისა და სახლის თაგვი 25
მგლის ბერად შედგომა 26
ზღაპარი ღორისა, მისი ხუთი გოჭისა და მგლისა . 28
მელია-მსაჯული 31
ლომის ერთგულებაჯ 33
კატის მოსარჩლე ვეფხვი 34
მელიას ეშმაკობა 35
გლეხი, დათვი და მელია 37
ცხოველთა ნადი 38
იერუსალიმს მიმავალი მელია 40
ხოხობი და მელია 42
ყორანი და გველი 43
შაშვი და მელია 43
ნახევარქათმის ამბავი 45
ჩიტი და მელია 46

ჩელია და მწყერჩიტა 47
ჭინჭრაქა და ჭიჭინობელა 48
რწყილი და ჭიანჭველა 49

ჯადოსნური ზღაპრები

ირმისა 53
სამმტევან ჭაბუკიშვილი 61
ლერწმის ქალი 65
ხელმწიფის ზღაპარი 73
ცხვრის შვილი 80
სიზმარა 82
შავ-თეიმურაზი, ნზე-თეიმურაზი და მთვარე-თეიმურაზი . 87
ზღაპარი ივანე ცისკრისა 92
მზის ასული 100
იამ რა უთხრა ვარდსა 107
ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა . . . 110
ხასან-ხუსანა 115
ცხრა ძმა 119
გაუცინარი ხელმწიფე 125
ზღაპარი უხეიროსი 130
ხუთკუნჭულა 139
მეცხვარე ბრმა დეევი და ფეიქრის შეგირდი . . . 143
დედაბრის შვილი 150
ზღაპარი ტიტველი მგლისა 159
იადონი და ბულბული 164
ხელმწიფის სამი ვაჟი 169
მონადირის შვილი 173
ბოქმის ყვავილი 176
ოქროკაცა 183
საწყალი კაცი და მისი შვილი 188
ჯეირნის ქალი 196
ბერნაძის შვილი 203
ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა . 208
ხელმწიფის შვილი 216
კონსტანტინეს ზღაპარი 221
უჩინმაჩინის ქუდი 225
თუშის შვილი და მეფის შვილი 230
დათუა 233
სასწაულმოქმედი პერანგი 236
ორმოცშვილიანი ხელმწიფე 243
ელენე მშვენიერის ზღაპარი 259
წიქარა 274
ჩაქუჩა 279
ერთშვილიანი ხელმწიფე 281

ცხრა ძმისა 282
საწყალი კაცის ზღაპარი 285
მონადირის შვილი 290
უშვილო ხელმწიფე 294
მენახირე 297
უკვდავების წყლის ზღაპარი 300
ზღაპარი საკვირველი ქალისა 303
გველადქცეული მზეთუნახავი 307
ია ხათუნი 309
კოშელი კამეჩი 314
ლურჯი თევზი 325
უზუნდარას ზღაპარი 327
ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი 331
საკვირველი ფრთა 336
გლეხი კაცი და ჩიტი 340
მონადირე და მისი რაში 343
ლილოველი მონადირე 346
მათხოვარა და ხელსახოცი 352
საწყალი ცოლ-ქმარი 359
კოშელი მონადირის შვილი 361
მზის დედა 369
მადლიერი მკვდარი 371
მამის პოვნის ამბავი 377
ასფურცელა 382
მონადირე და მისი ასული 387
ზღაპარი ხელმწიფის შვილისა, რომელსაც სწავლა არ უყვარდა 390
მზეთუნახავი ქალი 396
ბროწეულის ზღაპარი 400
ზღაპარი ყაჩაღებისა 406
ზღაპარი ცხრა ყაჩაღისა 408
თერთმეტი ძმა 420
ერთი ბიჭის ზღაპარი 428
ანანა 435
ბრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი 436
ივანე ფალავანი 453
მეფე მუზარბიი 461
დეკებით სავსე ქუდი 466
ისრის-მასრის სანდლის ქალი 469
ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა 474
ზღაპარი მინდორთ ქალისა 480
ზღაპარი ველის ყვავილისა 487
ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა 490
მიწა თავისას მოითხოვს 493
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 497

გამომცემლობის რედაქტორი გ. ხორნაული
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი რ. მელაძე
კორექტორი ლ. ერისთავი

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-63 წ.
ანაწყობის ზომა 6×93/4
ქაღალდის ზომა 60×90
ნაბეჭდი თაბახი 31,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 26,06
ტირაჟი 20.000 ფასი 1 მან. 34 კაპ. შეკვ. № 1107